მთავარი რედაქტორი

ირ. აბაშიძე

მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები

ე. ანდრონიკაშვილი, ა. აფაქიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ლ. გაბუნია, ე. გამყრელიძე, თ. გამყრელიძე, ი. გვერდწითელი, ს. დურმიშიძე, ი. ვარდოსანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ფ. თავაძე, ო. თაქთაქიშვილი, თ. ლოლაძე, დ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, ე. მეტრეველი, რ. მეტრეველი, შ. ნაფეტვარიძე, გ. ნახუცრიშვილი, შ. ოკუჯავა, ა. საყვარელიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ე. სეხნიაშვილი, დ. სტურუა, ა. ტიხოვი, ა. ფრანგიშვილი, დ. ჩხიკვიშვილი, გ. ციციშვილი, ზ. ქიქაბია, ა. ქიძიბური, შ. ძიძიგური, ნ. ჭავჭავაძე, ბ. ჭამჭანიძე, ი. ხარაძე, დ. ხახუტაიშვილი, შ. ჯაოშვილი, გ. ჯიბლაძე, ს. ჯიქია.

# ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

# ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

## 11

### შინდი — ჰუხი

მთავარი სამეცნიერო რედაქცია

03
1 279

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
И. В. АБАШИДЗЕ

ЧЛЕНЫ ГЛАВНОЙ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Э. Л. АНДРОНИКАШВИЛИ, А. М. АПАКИДЗЕ, А. Г. БАРАМИДЗЕ, В. В. БЕРИДЗЕ, Я. Л. ВАРДОСАНИДЗЕ (Ответственный секретарь), Л. К. ГАВУНИЯ, Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, Э. П. ГАМКРЕЛИДЗЕ, И. Г. ГВЕРДЦИТЕЛИ, Р. М. ГЛОНТИ, В. Ш. ДЖАОШВИЛИ, Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ, С. С. ДЖИКИЯ, Г. А. ДЗИДЗАРИЯ, А. А. ДЗИДЗИГУРИ, Ш. В. ДЗИДЗИГУРИ, С. В. ДУРМИШИДЗЕ, Т. Н. ЛОЛАДЗЕ, Д. О. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Г. А. МЕЛИКИШВИЛИ, В. Н. МЕРКВИЛАДЗЕ, В. И. МЕТРЕВЕЛИ, Р. В. МЕТРЕВЕЛИ, Ш. Г. НАПЕТВАРИДЗЕ, Г. Ш. НАХУЦРИШВИЛИ, В. М. ОКУДЖАВА, А. С. ПРАНГИШВИЛИ, А. П. САКВАРЕЛИДЗЕ (Заместитель главного редактора), Э. А. СЕХНИАШВИЛИ, Д. Г. СТУРУА, Ф. Н. ТАВАДЗЕ, О. В. ТАКТАКИШВИЛИ, Б. В. ТЕХОВ, Е. К. ХАРАДЗЕ, Д. А. ХАХУТАИШВИЛИ, Г. В. ЦИЦИШВИЛИ, Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ, В. В. ЧАВЧАНИДЗЕ, Д. И. ЧХИКВИШВИЛИ.

დაზვერვის განყ-ბის უფროსი იყო შორეულ აღმოსავლეთის კამპანიაში (1945 წ. 9 აგვ. — 2 სექტ.) მონაწილეობდა იაპ. კვანტუნის არმიის განადგურებაში. შ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.
ტ. ჩინჩილაკაშვილი.

**ᲨᲘᲠᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ** შალვა ალექსანდრეს ძე (დ. 20. IX. 1918, თბილისი), ქართველი საბჭ. კინოოპერატორი საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967) სკკპ წევრი 1965-იდან. დაამთავრა „საკინომრეწველობის" არსებული ორწლიანი საოპერატორო კურსები (1939). 1938-იდან მუშაობს საქართვ. სამეცნ.-პოპულ. და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში. გადაღებული აქვს ფილმები: „ალიბა" (1947), „ოტუჯი" (1964), „გარეჯის მღვიმეებში" (1965), „დაბრუნება ზღვრათა სამყაროში" (1965; პრემია და დიპლომი კიევის II საკავშ. კინოფესტივალზე, 1966), „გამოძახილი" (1966; დიპლომი თბილისში ამიერკავკ. რესპუბლიკების და უკრ. I კინოფესტივალზე, 1967), „ნიკორწმინდა" (1977) და სხვ. ა. გვაზავა.

**ᲨᲘᲞᲘᲐᲙᲘ,** სოფელი წალკის რ-ნში (წალკის საქალაქო საბჭო), წალკის ქვაბულში, წალკის წყალსაცავის აღმ.-ით. ზ. დ. 1620 მ. წალკიდან 8 კმ. ახალციხის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

**ᲨᲘᲞᲙᲐ,** შ ი პ კ ი ს უ ღ ე ლ ტ ე ხ ი ლ ი, უღელტეხილი ბულგარეთში, სტარა-პლანინის მთებში, 1185 მ სიმაღლეზე. შ.-ზე გადის კაზანლიკ—გაბროვოს საავტ. გზა.

რუს.-ოსმ. ომის (1877—78) დროს შ.-ის ზელში ჩასაგდებად გაამართებული ბრძოლა გაიმართა. 1877 წ. 7 (19) ივლ. რუს. ჯარებმა დაიკავეს შ.-ის უღელტეხილი. ოსმ. სარდლობამ კონტრშეტევისა და რუს. ჯარების დუნაის იქით უკუგდების მიზნით ჩრდილოეთიდან იმიერბალკანეთში გადაისროლა სულეიმან-ფაშას არმია (37,5 ათ. კაცი). სულეიმან-ფაშამ შ.-ზე რუს.-ბულგ. 4,8-ათასიანი რაზმის წინააღმდეგ გაგზავნა 27 ათ. კაცი. რუს.-ბულგ. ჯარებმა (მათ წამოეშველათ 7,5 ათ. კაცი რეზერვიდან) მოიგერიეს ოსმალთა შეტევები. 11 (23) აგვ. ოსმ. ჯარმა უღელტეხილს შეუტია სამი მიმართულებით. რუს.-ბულგ. ჯარები გმირულად იცავდნენ თავს მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში და შეძლეს შეენარჩუნებინათ თავისი პოზიციები. 11—12 (23—24) აგვ. დამხმარე ძალების (9 ათ. კაცი) მოსვლის შემდეგ რუს.-ბულგ. ჯარებმა 14 (26) აგვ. კონტრშეტევით უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მტკიცედ დამკვიდრდნენ შ.-ის უღელტეხილზე.

**ᲨᲘᲠᲐ** (Schirra) უოლტერ (დ. 12. III. 1923, ჰეკენსეკი, ნიუ-ჯერსის შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საზღვაო ფლოტის 1-ლი რანგის კაპიტანი. 1940—41 სწავლობდა სამანქანათმშენებლო კოლეჯში ნიუარკში (ნიუ-ჯერსის შტ.). 1945 დაამთავრა სამხ.-საზღვ. აკადემია ანაპოლისში (მერილენდის შტ.), აგრეთვე საზღვაო-ავიაციის ოფიცერთა სკოლა (სამხრ. კალიფორნიის უნ-ტთან არსებული) და გამომცდელ მფრინავთა სკოლა (მერილენდის შტ.). 1959-იდან კოსმონავტთა რაზმშია. 1962 წ 3 ოქტ. ხომალდ „მერკურით" 6-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. 1965 წ. 15—16 დეკ. ტ. სტაფორდთან ერთად იფრინა კოსმოსში ხომალდ „ჯემინი-6-ით". 15 დეკ. მოხდა შეხვედრა ორბიტაზე ადრე გაშვებულ ხომალდ „ჯემინი-7-თან". ერთობლივი ფრენა 5,5 სთ გაგრძელდა და ხომალდები 1 მ მანძილზე დაახლოვდნენ. 1968 წ. 11—22 ოქტ. უ. კანინგემსა და დ. ეიზელთან ერთად იფრინა ხომალდ „აპოლონ-7-ით", იყო ხომალდის მეთაური; ჩაატარა კოსმ. ხომალდ „აპოლონის" მართვადი ბლოკის პირველი საფრენი გამოცდა.

**ᲨᲘᲠᲐᲖᲘ** (ნამდვ. გვარი კ ა რ ა პ ე ტ ი ა ნ ი) პოვანეს თათევოსის ძე [12 (25). IV. 1914, ალექსანდროპოლი, ახლანდ. ლენინაკანი, — 14. III. 1984, ერევანი], სომეხი საბჭ. პოეტი. 1935 გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული. ავტორია ლექსების კრებულებისა („სომხეთის სიმღერა", 1940, „ლირიკა", 1946 და სხვ.) და პოემებისა („ბიბლიური", 1944; „ჩვენი სოფლების სახელები", 1960 და სხვ.). შ.-ს რომანტ.-პათეტ. პოეზიისათვის დამახასიათებელია ხალხურობა, ხატოვანება და სომხ. პოეზიის ტრად. ენისადმი ერთგულება.

**ᲨᲘᲠᲐᲖᲘ,** ქალაქი სამხრ.-დას. ირანში, ბუშირ—ისპაჰანის საავტ. გზაზე ფარსის ოსტანის ადმ. ცენტრი 416 ათ მცხ. (1976). საფეიქრო, ქვის, ქიმ., ცემენტის მრეწველობა. ნავთობგადამამუშავებელი. ვარდის ზეთის წარმოება ცნობილია ხალიჩებით, მოზაიკური და ვერცხლის ნაკეთობებით. სას.-სამ. რ-ნის (ვარდი, ყურძენი, თამბაქო, შაქრის ჭარხალი) სავაჭრო ცენტრი. უნ-ტი.

სასანიანთა დროს შ.-ის ადგილას იყო დასახლება. როგორც ქალაქი დააარსეს არაბებმა VII ს.-ში. X—XI ს. შუა წლებიდან მეფეების სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრია. XIV ს.-ში ორჯერ დაიპყრო თემურლენგმა. XIV — XV სს.-ში ცნობილი იყო შირაზის სამხატვრო სკოლა. XVIII ს. II ნახევარში (ზენდების დროს) გახდა ირანის დედაქალაქი. შ. საადისა და ჰაფეზის სამშობლოა. შ.-ის ჩრდ.-აღმ.-ით 50 კმ დაშორებით არის პერსეპოლისის ნანგრევები. ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ცენტრ. მეჩეთის კედლები და სხვ.; ფარსის მუზეუმი (ირანული გამოყენებითი ხელოვნება). შ.-ის მახლობლად არის საადის მავზოლეუმი (1952, არქიტ. ა. გოდარი).

ლიტ.: გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ბ., ისფაჰანი, შირაზი, ქაშანი, თბ., 1980.

**ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲕᲐᲙᲔ,** დ ი დ ი შ ი რ ა ქ ი ს ვ ა კ ე (ველი), იორის ზეგნის უდიდესი მორწყული აკუმულაციური ვაკე, აღმოსავლეთ საქართველოში. წიაღისეულის რ-ნში სიგრძე 36 კმ, სიგანე 16 კმ. აბსოლ. სიმაღლე 500—700 მ შორის მერყეობს. წარმოადგენს ნეოგენური წყებების სინკლინურ ჩაზნექილობას, რ-იც ამოვსებულია მეოთხეული ნალექებით ეს უკანასკნელი უმეტესად შეიცავს არტეზიულ წყლებს. ჰავა ზომიერად კონტინენტურია. საშ. წლ. ტემპ-რა 10°C, იანვ. —0,8°C, ივლ 22,8°C; აბსოლ. მაქს. 38°C, აბსოლ. მინ. —32°C. წელიწადში 490 მმ ნალექი მოდის, მაქს. გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. გავრცელებულია შავმიწა და წაბლა ნიადაგები. შ. ვ.-ზე ბუნებრივი მცენარეულობა სტეპურია (ვაციწვერა). ამჟამად მთლიანად ათვისებულია (უმთავრესად მარცვლეული კულტურებისათვის). შ. ვ. საქართველოს მთავარი ბეღელია. შ. ვ.-ის სამხრ.-დას.-ით მდებარეობს პატარა შირაქის ვაკე. რ-იც ასევე ათვისებული სინკლინური დეპრესიაა. ლ. მარუაშვილი.

**ᲨᲘᲠᲛᲐᲜᲢᲘ** (Sesamum), ერთ- და მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი შირმანტისებრთა ოჯახისა. გვარში 35 სახეობაა. უმთავრესად გავრცელებულია ტროპ. და სუბტროპ. აფრიკაში. კულტურაშია ი ნ დ უ რ ი შ., რ-ის სიმაღლე 1—2 მ აღწევს. აქვს დატოტვილი, სწორმდგომი ღერო, ლანცეტა ფოთოლი, დიდი ვარდისფერი, იისფერი ან თეთრი ყვავილი; ნაყოფი კოლოფია. 1000 თესლის მასა 2—5 გ. შ. სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარულია. ვეგეტაციის პერიოდი 80—150 დღე გრძელდება. თესლი შეიცავს 50—65% ზეთს, რ-საც იყენებენ უშუალოდ საკვებად, ასევე საკონდიტრო, საკონსერვო, მარგარინის მრეწველობაში, მედიცინაში და ტექ. მიზნებისათვის. კოპტონს იყენებენ საქონლის საკვებად. სსრკ-ში შ. კულტივირებულია თურქმ., უზბ., აზერბ. რესპუბლიკებში და კრასნოდარის მხარის მცირე ფართობზე.

**ᲨᲘᲠᲛᲐᲜᲢᲘᲡᲔᲑᲠᲜᲘ,** ქ ი ნ ჯ უ ტ ი ს ე ბ რ ნ ი (Pedaliaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი ბალახები, იშვიათად ბუჩქები. აერთიანებს 12 გვარის 90-მდე სახეობას. უმთავრესად გავრცელებულია ტროპ. და სამხრ. აფრიკაში, აგრეთვე მადაგასკარზე, სოკოტრის კ-ზე, სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიაში, ახალ გვინეასა და ჩრდ. ავსტრალიაში. სსრკ-ში (შორეულ აღმოსავლეთში) მხოლოდ 1 სახეობაა. პრაქტ. მნიშვნელობა აქვს შირმანტს.

**ᲨᲘᲠᲕᲐᲜᲖᲐᲓᲔ** (ნამდვ. გვარი მ ო ვ ს ი ს ი ა ნ ი) ალექსანდრე მინასის ძე [7 (19). IV 1858, ქ. შემახა, ახლანდ. აზერბ. სსრ, —7. VIII 1935, კისლოვოდსკი. დაკრძალულია ერევანში], სომეხი საბჭ. მწერალი, სომხ. და აზერბ. სსრ სახ. მწერალი (1930) დაიბადა ხელოსნის ოჯახში. დაამთავრა რუს. სამაზრო სასწავლებელი (1873). 1883-მდე ბაქოში ცხოვრობდა. ბევრი პროფესია გამოიცვალა 80-იან წლებში აქვეყნებდა პუბლიც. სტატიებსა და ნარკვევებს ნავთობის სარეწის მუშების მძიმე მდგომარეობის შესახებ, რაც მის პირველ მოთხრობებშიც აირეკლა.

1883-იდან თბილისში ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას. 1905—10 პარიზში იყო, 1910—19 — კვლავ თბილისში, შემდეგ ისევ გაემგზავრა საზღვარგარეთ. 1917 ოქტ. რევოლუციას აღტაცებით შეხვდა. 1926 საბჭ. სომხეთში დაბრუნდა. ავტორია რომანისა „ნამუსი" (1885, ქართ. თარგმ. 1931), „ავი სული" (1894); დიდი ქალაქის ცხოვრება ასახული რომანში „ქაოსი" (1898, ქართ. თარგმ. 1952). აღსანიშნავია მისი მემუარები „ცხოვრების ბრძოლში". შ-მ შექმნა რეალისტური სახეების მდიდარი გალერეა მის ნაწარმოებებს ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი, ემოციურობა. მწვავე სატირა.

ლიტ.: Т а м р а з я н Г. С., Ширванзаде, М., 1967.

**ᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘ,** შ ა რ ვ ა ნ ი, ისტორიული ქვეყანა ახლანდ. აზერბ. სსრ ჩრდ.-აღმ. ნაწილში, კასპიის ზღვის დას. სანაპიროზე, მტკვრის ჩრდ.-აღმ.-ით, პოლიტ. ცენტრი — ქ. შემახა. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. ირანის მეფე შ.-ის კოლონიზაციისა და აქ ჩრდილოეთიდან თავდასხმების დიდი მნიშვნელობის ხანაში ცნობილი გახდა სახელი „შირვანი" და, შესაბამისად, სასანიანთა მიერ დანიშნული ადგილ. მმართველის შირვანის — წოდება „შირვანშაჰი".

არაბთა სახალიფოს რღვევის ეპოქაში, 861-იდან, აქ დამკვიდრდნენ არაბი იაზიდიდები, რ-ებმაც მიითვისეს „შირვანშაჰის". იაზიდიდებმა მიიღეს და განავრცეს პოლიტიკური მიდგომის თურქსელჯუკთა შემოსევები და სახელმწიფო შეინარჩუნეს. ეს განაპირობა ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლამაც ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი სწორედ შ.-ს ამოეყრდნო მხარში; მისმა რამდენიმე ძლევამოსილმა ლაშქრობამ ქვეყანა თურქთაგან იხსნა. საქართველოს სიუზერენობით ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობა შემდგომშიც განმტკიცდა. ამავე ხანაში გაჩნდა საქართ. მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი".

XII ს.-ში შ. მა სოც. და კულტ.-ეკონ. აღმავლობას მიაღწია: განვითარდა სოფ. მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა, ქ-ები და საქალაქო ცხოვრება; გამოცოცხლდა კულტ. ურთიერთობანი. შირვანშაჰების კარზე აღორძინდა ლიტ. ცხოვრება — აბუ ლ-ალა განჯევი, ხაკანი შირვანი, ფალაქი შირვანი სპარსულენოვანი პოეზიის შედევრებს ქმნიდნენ.

მონღოლთა ბატონობამ შ.-ც დიდად დააზარალა. ჰულაგუიანთა და ოქროს ურდოს სახელმწიფოთა შორის ბრძოლის ასპარეზი ხშირად შ. იყო ჰულაგუიანთა ბატონობის დროს შ.-მა შემდეგ გარკვეუ-


უ. შირა


შირმანტი: 1—მცენარის საერთო ხედი; 2 — მცენარის კოლოფებიანი ნაწილი.


ა. შირვანზადე

ლი პოლიტ. თავისუფლების შენარჩუნება. 1382-იდან შ-ს მართავდა შირვანშაჰთა ახ. დინასტია. იბრაჰიმ I (1382—1417) თემურლენგის სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებელი მმართველი გახდა. XV ს-ში შ. შედარებით ძლიერი და ეკონომიკურად დაწინაურებული სახელმწიფო იყო. გაფართოვდა ტრანზ. აბრეშუმით ვაჭრობა. მაგრამ თურქი ტომების ახ. გაერთიანებამ შ-ის სახელმწიფო წელში გატეხა (1500). მომდევნო წლებში შირვანშაჰები, თუმცა წინააღმდეგობას უწევდნენ ახ. ძალას, მაგრამ უშედეგოდ — 1538 სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა. შ. სეფიანთა სახელმწიფოს ოლქად გადაიქცა. 1748 აქ წარმოიქმნა შირვანის სახანო.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955, გვ. 331—356; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 16—17; Минорский В. Ф., История Ширвана и Дербенда X—XI вв., М., 1963. პ. თოფურია.



გ. შირმა

**შირვანის ველი**, მტკვარ-არაქსის დაბლობის ნაწილი აზერბ. სსრ-ში. მდებარეობს მტკვრის მარცხ. ნაპირის გასწვრივ. სიმაღლე 16-იდან 100 მ-მდე (ტერიტ. დაბლ. ნაწილი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს). ნიადაგი რუხია. ხარობს აბზინდა და მლაშობურები, არის ლიმანური მდელოები. მინგეჩაურის წყალსაცავიდან გაყვანილია ზემო შირვანის სარწყავი არხი. მეცხოველეობა, სარწყავი მიწათმოქმედება (მებამბეობა, მევენახეობა).

**შირვანის სახანო** (1748—1820), ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ერთეული, რ-იც შეიქმნა XVIII ს-ში აღმ. ამიერკავკასიაში (ახლანდ. აზერბ. სსრ ტერიტ.) ირანის ხელისუფლების დასუსტების შედეგად.

ირანის მიერ შირვანის სამეფოს დაპყრობის შემდეგ შ-ს მართავდნენ ირან. ბეგლარბეგები. XVIII ს. I ნახ. დასავლ. ირან. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს შირვანის ერთ ნაწილში დამკვიდრდნენ ნადირ-შაჰის ყოფილი მოხელეები, შემახაში — ხანჩობანის ტომის სარქართა (სპარს. „საქმის მოთავე") გვარის წარმომადგენლები, ძმები მუჰამედ სეიდ-ხანი და აღასი-ხანი.

შ. ს. სხვა სახანოებთან შედარებით ეკონომიკურად ერთ-ერთი ძლიერი სახანო იყო, სამხ. თვალსაზრისით კი — სუსტი. სახანოებს შორის პირველობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ხშირად სხვისი (განსაკუთრებით ყუბის სახანოს) მორჩილი იყო. მიუხედავად ამისა, შ. ს-ს მმართველებმა მაინც შეძლეს პოლიტ. თავისუფლების შენარჩუნება. 1805 შ. ს. რუსეთს შეუერთდა.

შ. ს-ში განვითარებული იყო აბრეშუმის წარმოება და ხალიჩების დამზადება.

ლიტ.: Абдуллаев Г. Б., Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60—80 гг. XVIII в., Баку, 1958; Левиатов В. Н., Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку, 1948. პ. თოფურია.



პ. შირშოვი

**შირვანული თანგა**, ვერცხლის მონეტა, მოჭრილი XV ს. შირვანში (აზერბ. სსრ) თემურლენგის მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტის მიხედვით. მისი 6,2 გ. დროთა განმავლობაში მისი კლებულობდა და ფარუხ იასარის მმართველობის დროს (1462—1500) 1,90—1,75 გ-მდე დაეცა. მონეტის შუბლზე და ზურგზე არაბ. ზედწერილებია. შ. თ-ის განძები აღმოჩენილია საქართველოშიც: სოფ. საქობოში (ლაგოდეხის რ-ნი) XV ს. I ნახევარში შემახიასა და ბაქოში მოჭრილი შ. თ-ები; სოფ. თამარაშენში (ცხინვალის რ-ნი), რ-თაგან ყველაზე გვიანდ. მონეტა 1462—68 თარიღდება; დუშეთის რ-ნში XV ს. I ნახ. შ. თ-ები, რ-ებიც მოჭრილია ბაქოში, დარუბანდსა და შემახაში და ქართ. მონეტები; სოფ. ალში (ხაშურის რ-ნი) ხალილულა I-ისა (1417—62) და ფარუხ იასარის დროის მოჭრილი შ. თ., რ-თაგან ყველაზე გვიანდ. მონეტა 1492—93 თარიღდება.

ლიტ.: დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; Джалаганиа И. Л., Дундуа Г. Ф., Обращение ширванских монет XV века в Грузии, «Известия АН Азербайджанской ССР. Серия истории, философии и права», 1973, № 4; 1974, № 1. გ. დუნდუა.

**შირვანშაჰების მონეტა**, XII—XIII სს. შირვანის მფლობელი ქესრანიდების საგვარეულოს მონეტები, რ-ებიც გავრცელებული იყო საქართველოში. ნაპოვნია XII—XIII სს. სპილენძის ქართ. ფულის განძებში (წინწყარო, ცხინვალი) მეფე გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV ლაშას მონეტებთან ერთად.

ლიტ.: Пахомов Е. А., Краткий курс истории Азербайджана с приложением экскурса по истории Ширваншахов XI—XIV вв., Баку, 1923. ი. ჯალაღანია.

**შირვანშაჰების სასახლე** ბაქოში, შუა საუკ. აზერბაიჯანის ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი. ანსამბლში შედის: სასახლის 2-სართულიანი შენობა (ყველაზე ძველი კომპლექსში), დივანხანე რვაწახნაგა დარბაზით, რ-ის 8 წახნაგს ამშვენებს თაღებიანი გალერეა (XV ს.), გუმბათიანი სწორკუთხა საძვალე (1435), 2-გუმბათიანი მეჩეთი და მინარეთი (1442), სეიდ იაჰია ბაქუვის მოძღვრის მავზოლეუმი, აღმოსავლეთის კარი (1585), აბანო, [illegible]. შ. ს-ში მუზეუმია.

**შირვანშაჰები**, შირვანის მმართველთა წოდება შუა საუკუნეებში. პირველი მმართველები ამ წოდებით იხსენიებიან სასანური ირანის დროს. შ-ების მაზიადიდთა საგვარეულო (861—1382) სათავეს იღებს აღმ. ამიერკავკ. მმართველ არაბ სამხ. მოხელეთაგან. XI ს-იდან გვარის „დამფუძნებლის" მიზნით ისინი თავიანთ წარმომავლობას სასანიდებს უკავშირებენ (ქესრანიდები). ამათ ენაცვლება შ-ის საგვარეულო შტო — დერბენდი (1382—1538). პ. თოფურია.

**შირიმნის ბრძოლა 1021**, ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიის ლაშქარს შორის, შირიმნთან (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსაგან მისი სიუზერენობის ფორმალური აღიარება და ცდილობდა რეალურად განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, რისთვისაც XI ს. დასაწყისში სამხრ. ტაოს ტერიტორიაზე დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოებიდან (იხ. სტატია დავით III კურაპალატი) თემი შექმნა. ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა შეეჩერებინა საქართველოს გაერთიანებისა და ზრდა-გაძლიერების პროცესი, დაესუსტებინა ის და ხელში ჩაეგდო მოსაზღვრე მიწები. 1014—1018, როცა ბიზანტია ბულგარეთთან ომით იყო დაკავებული, საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ამით და ბრძოლა დაიწყო სამხრ. ტაოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად. ქართველებმა მხარე შემოიერთეს. გიორგი I-მა დაიკავა ბიზანტ. მიერ მიტაცებული ციხესიმაგრეები, მაგრამ ბულგ. დამარცხების შემდეგ ბიზანტ. საიმპერატორო კარმა გიორგი I-ს დაკავებული ციხესიმაგრეების დაცლა მოსთხოვა. არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით, საქართვ. მეფემ არ შეასრულა ბიზანტ. იმპერატორის მოთხოვნა, ეს უკანასკნელი განრისხდა და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. გიორგი I-მა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, მაგრამ მოწინააღმდეგის დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო შებმა მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დაიხია. ბიზანტიელები დაედევნენ გიორგი I-ს, მტრის მოთარეშეობისაგან ხელი რომ შეეშალა, გადაწვა ოლთისი. ბიზანტიელები 1021 პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად, შირიმნთან შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს. ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელები, მაგრამ მოპირდაპირე უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს. ამან გააქტიურა მტერი. ბიზანტ. ლაშქარი დაედევნა ქართველებს, კოლა-არტაან-ბასიანზე გადმოიარა და გაანადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შეიჭრა. გიორგი I-მა მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქრის გაძლიერების გამო ბიზანტ. მბრძანებელმა ბრძოლა აღარ განაგრძელა და უკან გაბრუნდა, თანაც „ქუეყანაი უმოწყალოდ შერის-გებით მოაოხრნა ქუეყანანი".

შ. ბ-ში ქართვ. ფეოდალები ერთსულოვნად შეკავშირებულნი გამოვიდნენ მტრის წინააღმდეგ. ბრძოლაში დაიღუპნენ ცნობილი ფეოდალები კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი.

წყარო: არისტაკეს ლასტივერტცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაი იოვანესი და ეფთჳმესი, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგნ. 2, თბ., 1967; მატიანე ქართლისაი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. რ. მეტრეველი.

**შირმა** გრიგოლ რომანის ძე [ 8 (20). I. 1892, სოფ. შაკური, ახლანდ. ბრესტის ოლქ. — 23. III. 1978, მინსკი], საბჭ. საგუნდო დირიჟორი, ფოლკლორისტი, მუს.-საზ. მოღვაწე, სსრკ სახ. არტისტი (1955). სოციალ. შრომის გმირი (1977). სკკპ წევრი 1939-იდან. 1918 დაამთავრა სიმფეროპოლის სასწავლებელი ინ-ტი. 1940—70 ხელმძღვანელობდა ბელორ. სსრ სახელმწ. საგუნდო კაპელას. ბელორ. სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1966-იდან). შეადგინა მრავალი ფოლკლორული კრებული („ბელორუსული ხალხური სიმღერები", ტ. 1—4, 1959—76), გამოცემულია მის მიერ დამუშავებული ბელორ. ხალხ. სიმღერები 2 ტომად (1971—73). ბელორ. სსრ სახელმწ. პრემია (1966, 1974), დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

**შირშოვი** პეტრე პეტრეს ძე [12 (25). XII. 1905, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი, — 17. II. 1953, მოსკოვი], საბჭ. ოკეანოლოგი და ჰიდრობიოლოგი, პოლარეთის მკვლევარი, სახელმწ. მოღვაწე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), საბჭ. კავშირის გმირი (1938). სკკპ წევრი 1938-იდან. მონაწილეობდა არქტ. ექსპედიციებში, მ. შ. ყინულმჭრელ „სიბირიაკოვზე" (1932), გემ „ჩელიუსკინზე" (1933—34) და მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსზე" (1937—38). 1942—48 შ. იყო სსრკ საზღვ. ფლოტის სახ. კომისარი (შემდეგში მინისტრი), 1946-იდან — სსრკ მეცნ. აკად. ოკეანოლოგიის ინ-ტის დირექტორი.

მთავარი შრომები ეხება პოლარული ზღვების პლანქტონს. შ-მა უარყო პოპულარული თეზისი ყინულოვანი ოკეანის მაღალ განედებში სიცოცხლის არარსებობის შესახებ. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით. შ-ის სახელი ეწოდება უბეს ფრანც-იოსების მიწაზე, წყალქვეშა ქედს ბერინგის ზღვაში, სსრკ მეცნ. აკად. ოკეანოლოგიის ინ-ტს.

**შისტოსომატოზი**, შისტოსომოზი, ადამიანისა და ცხოველების ჰელმინთოზი, რ-საც იწვევენ ტრემატოდების კლასის შისტოსომატიდების ოჯახის ჰელმინთები. ადამიანის შ. გავრცელებულია ტროპიკულ ქვეყნებში. შისტოსომების გვარის [illegible] დებენ კვერცხებს შარდის ბუშტისა და ნაწლავების [illegible]

ობა, მუსამბაქოობა, მეჩაიეობა) საშ. სკოლა სოფ. ხოიუში (4 კმ).

**შკივი** (ჰოლანდ. schijf), ბ ო რ ბ ა ლ ი, დისკური, საბაგირო, ფრიქციული გადაცემების დეტალი. შ. წარმოადგენს ფართოდერხიან რგოლს, რ-საც ირგვლივ შემოწვეულია უსასრულო ღვედი ან ბაგირი. შ.-ბრუნვა მობრუნების გადასაცემად შ ლილვთან შეერთებულია სოლებით, შლიცებით და სხვ. ჭიმვა მბრუნავი შ. თავისუფლადაა ჩამოცმული ლილვზე, იგი მრავალჯერადია. მცირე დიამეტრის შ. მონოლითურია (ნახ. ა), საშ. და დიდი დიამეტრის შ-ებს (ნახ. ბ) აქვს ერთმანეთთან დისკოთი ან მანით დაკავშირებული მორგვი და ფერსო. არის ნაწილებისაგან შედგენილი შ-ც. ბრტყელი ღვედის დაცენტრებისათვის შ-ს აქვს ოდნავ ამოზნექილი ზედაპირი. ღვედის გადმოვარდნისაგან დასაცავად ცილინდრულ შ-ს ზოგჯერ აქვს რებორდი (ნახ. გ), ხოლო სოლური ან მრგვალი ღვედისათვის—სათანადო პროფილის ზედაპირი. კბილა ღვედური გადაცემის შ-ს აქვს ღერძული მიმართულებით კბილები და რებორდები. საფეხურებიან შ-ზე (ნახ. დ) ღვედი ერთი საფეხურიდან მეორეზე გადაჰყავთ, რის შედეგად ღებულობენ სხვადასხვა გადაცემის ფარდობას. შ-ს ამზადებენ თუჯისაგან, ფოლადისაგან, მსუბუქი შენადნობისაგან, პლასტმასისაგან, ზოგჯერ — ხისაგან. ა. ნაცვლიშვილი.

**შკილტერსი** გუსტავს [16 (28). XI. 1874, რუიენის თემი, ახლანდ. ვალმიერის რ-ნი, — 24 IX. 1954, რიგა], ლატვიელი მოქანდაკე და გრაფიკოსი. XX ს. ლატვ. ქანდაკების სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. სწავლობდა პეტერბურგში, შტიგლიცის ტექ. ხატვის ცენტრ. სასწავლებელში (1893—99). სტაჟირებოდა ო. როდენთან (1900—05). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა შტიგლიცის სასწავლებელსა (1906—10) და ლატვ. სამხატვრო აკადემიაში (1924—32). ნამუშევრები: რ. კაუდზიტესა (1902) და მ. კაუდზიტეს (1912, ორივე ბრინჯაო, ლატვ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, რიგა) პორტრეტები, „მღელვარე ზღვასთან" (თაბაშირი, 1924, Z-ის მემორიალური მუზეუმი, რიგა) 1974 რიგაში გაიხსნა შ-ის მემორიალური მუზეუმი

**შკლოვსკი** ვიქტორ ბორისის ძე [12 (24). I 1893, პეტერბურგი, —5 XII. 1984, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი, ლიტერატურათმცოდნე; სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1979). ოპოიაზის წევრი, ლიტერატურათმცოდნეობაში „ფორმალური მეთოდის" ერთ-ერთი ფუძემდებელი. 30-იანი წლებიდან თანდათანობით უარყოფდა ფორმალისტური სკოლის ზოგ დებულებას. ძირითადი ნაშრომები: „მოგონებები პროზაზე" (ტ 1—2, 1966), „ლარი. ერთგვაროვანის არაერთგვაროვნებაზე" (1970); მემუარები „სენტიმენტალური მოგზაურობა" (ნაწ. 1—2, 1923), „იყო და არა იყო რა" (1962); ბიოგრ. ჟანრის თხზულებანი „ლევ ტოლსტოი" (1963), „ეიზენშტეინი" (1973) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით

**შკლოვსკი** იოსიფ სამუილის ძე [18. VI (1. VII). 1916, გლუხოვი, ახლანდ. სუმის ოლქი, უკრ სსრ, —3. III. 1985, მოსკოვი], საბჭ. ასტროფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1966). დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1938). 1938-იდან მუშაობს შტერნბერგის სახელმწ. ასტრონ. ინ-ტში, 1968-იდან — სსრკ მეცნ. აკად. კოსმ. გამოკვლევების ინ-ტში ძირითადი შრომები ეძღვნება მზის გვირგვინის ფიზიკას, რადიო და რენტგენულ ასტრონომიას. 1948 გამოთვალა ნეიტრალური წყალბადის სპექტრში 21-სმ-იანი ხაზის არსებობის საიმედობა; 1953 კიბორჩხალასებრი ნისლეულის ოპტიკური ემისია ახსნა მაგნ. ველში რელატივისტური ელექტრონების გამოსხივებით. 1965 პლანეტარული ნისლეულების წარმოშობა თეთრი ჯუჯების დაბადებას დაუკავშირა. აშშ-ის ეროვნ მეცნ. აკად უცხოელი წევრი, ლონდ. სამეფო ასტრონ. საზ-ბის წევრი. ლენინური პრემია (1960). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით

ლიტ.: Вселенная, жизнь, разум, 4 изд., М., 1976; Звезды: их рождение, жизнь и смерть, 3 изд., М., 1984; Космическое радиоизлучение, М., 1956; Сверхновые звезды, М., 1976; Физика солнечной короны, 2 изд., М., 1962.

**შკოდერი**, შ კ ო დ რ ა (Shkodër, Shkodra), ქალაქი ალბანეთში, შკოდერის (სკადარის) ტბის ნაპირზე. შკოდერის რაიონის ადმ. ცენტრი. 65 ათ. მცხ. (1980). ნავმისადგომი, საავტ. გზით უკავშირდება ქ-ებს ტირანასა და დურესს, აგრეთვე ტიტოგრადს (იუგოსლ. სოციალ. ფედერ. რესპ.) ფერადი მეტალურგია, ცემენტის, ხის დამუშ., ქაღალდის, კვების, საფეიქრო, ტყავის მრეწველობა. ციხე-სიმაგრის (XIV ს.) ნანგრევები.

**შლაგბაუმი** (გერმ. Schlagbaum), ძელის სახის მოწყობილობა, რ-იც გზას უღობავს სატრანსპორტო ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეებს, ჩვეულებრივ, რკინიგზის გადასასვლელზე მატარებლის გავლის წინ. შ. არის ხელით საძრავი, მექანიკური, ამძრავიანი და ავტომატური

**შლაიდენი** (Schleiden) მათიას იაკობ (5. IV. 1804, ჰამბურგი, — 23. VI 1881, მაინის ფრანკფურტი), გერმანელი ბოტანიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თავისი დროის ბოტანიკის რეფორმატორი მკაცრად გააკრიტიკა ბოტანიკაში იმ დროის გაბატონებული ნატურფილოსოფიური და ვიწროსისტემატიკური მიმართულებანი. შ-ის ძირითადი ნაშრომები ეხება მცენარეთა ანატომიასა და ემბრიოლოგიას. დიდი წვლილი შეიტანა უჯრედული თეორიის შექმნაში. დარვინიზმის ერთ-ერთი წინამორბედი და დამცველი იყო კონკრ. გამოკვლევებში დაუშვა მთელი რიგი შეცდომები (წარმოადგენდა უსტრუქტურო ნივთიერებისაგან უჯრედის ახალწარმოქმნის, მტვრის მილიდან ჩანასახის განვითარების შესახებ).

**შლაიერმახერი** (Schleiermacher) ფრიდრიხ დანიელ ერნსტ (21 XI 1768, ბრესლაუ, — 12. II. 1834, ბერლინი), გერმანელი პროტესტანტი თეოლოგი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ჰალეს უნ-ტში 1804—06 ჰალეს უნ-ტის პროფესორი 1810-იდან ბერლინის უნ-ტის პროფესორი. 1814-იდან ბერლინის მეცნ აკად. წევრი. განყ-ბის მდივანი შ.-ის ძირითადი წვლილი. იდეები გადმოცემულია თხზულებაში „დიალექტიკა" (1804). ავტორია აგრეთვე ეთიკის, ესთეტიკის, პრაქტიკული თეოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომებისა. თავის ფილოსოფიაში შ. იდენტურობის იდეალისტური პრინციპის საფუძველზე აერთიანებდა ი. კანტის, ი. ფიხტეს, ფ. შელინგისა და პლატონის შეხედულებებს შ-ს ეკუთვნის პლატონის თხზ. კლასიკური თარგმანი გერმ ენაზე. შ-მა დიდი გავლენა მოახდინა ფილოს. ჰერმენევტიკისა და გერმანიაში ფილოს. ისტორიისა და მისი განვითარებაზე.

**შლაიხერი** (Schleicher) ავგუსტ (19 II. 1821, მაინინგენი, —6. XII 1868, იენა), გერმანელი ენათმეცნიერი, პრაღისა და იენის უნ-ტების პროფესორი; ინდოევრ. ენათა ისტ.-შედარებითი კვლევისა და ზოგადი ენათმეცნ. სპეციალისტი; ენათმეცნიერების ნატურალისტური თეორიის შემქმნელი „ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კომპენდიუმში" (1861—62) შეაჯამა ამ ენათა ისტ.-შედარებითი კვლევის შედეგები. მან სცადა ფუძე-ენის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. შემდეგში გამოკვლევებმა არსებითი შესწორებები შეიტანა შ-ის რეკონსტრუქციებში. მონათესავე ენათა ურთიერთობას შ გენეალოგიური ხის სქემით გამოხატავდა

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958

**შლამი** (გერმ. Schlamm, სიტყვასიტყვით—ტალახი), 1 სასარგებლო წიაღისეულის უწვრილესი ნაწილაკები, რ-თა ზომა (მადნისათვის) არ აღემატება 10—40 მკმ. შედგენილობის მიხედვით არის პირველადი და მეორეული. პირველადი მიიღება მადნეების შესაბამისი ქანის კაოლინიზაციის შედეგად. მეორეული წარმოიქმნება მაღ. დიდრონი ფ-კებში სამსხვრევი დანადგარების მუდმივი ზემოქმედებით. ზოგჯერ შ. აძნელებს სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების პროცესს 2. სპილენძის, თუთიისა და სხვა ლითონების ელექტროლიზის დროს დალექილი უხსნადი პროდუქტი, რ-იც შეიცავს ჩვეულებრივ კეთილშობილ ლითონებს. 3. ორთქლის ქვაბებში დალექილი ლამი 4. წვრილი ნაწილაკების ნალექი, რ-იც გამოიყოფა ზეთის დაწმენდის ან ფილტრაციის დროს.

**შლარა**, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ბლაბურხვის სოფსაბჭო), აფხ. მთისწინეთში, მდ. ხიფსთის ხეობაში, ზ. დ. 130 მ. გუდაუთიდან 23 კმ. ნ. ლაკობას სახ. ბლაბურხვის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). საშ. სკოლა სოფ. ბლაბურხვაში (6 კმ)

**შლაფი** (Schlaf) იოჰანეს (21. VI. 1862, ქერფურტი, — 2. II. 1941, იქვე), გერმანელი მწერალი, ა. ჰოლცთან ერთად დააფუძნა ე. წ. „თანმიმდევრული ნატურალიზმი", გერმ. ლიტ-რაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნატურალისტური გამოვლენება. მასთან ერთადვე დაწერა 3 მოთხრობისაგან შედგენილი „მამა ჰამლეტი" (1889) და დრამა „ზელიკეების ოჯახი" (1890).

**შლეგელი** (Schlegel) ავგუსტ ვილჰელმ (8 IX 1767, ჰანოვერი, — 12 V. 1845, ბონი), გერმანელი კრიტიკოსი, ლიტ-რის ისტორიკოსი, პოეტი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი, შედარებითი ენათმეცნ. ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფ. შლეგელის ძმა. სწავლობდა გეტინგენის უნ-ტში 1798-იდან იენის უნ-ტის ექსტრაორდინარული პროფესორი. გერმ რომანტიკოსთა იენის წრის წარმომადგენელი. რომანტიზმის იდეები პირველად სისტემურად გადმოსცა ბერლინში წაკითხულ ლექციების კურსში ლიტ-რასა და ხელოვნებაზე (1801—04, გამოქვეყნდა 1884) და ვენაში წაკითხულ ლექციებში დრამ. ხელოვნებასა და ლიტ-რაზე (1808, გამოქვეყნდა 1809—11) შ-ის მიერ გერმანულად თარგმნილი შექსპირის ნაწარმოებები მთარგმნელობითი ხელოვნ. ბრწყინვალე ნიმუშადაა მიჩნეული.

შ.-მა 1818 დააზუსტა თავისი ძმის — ფ. შლეგელის ენათა მორფოლ. კლასიფიკაცია და გამოყო სამი ტიპი 1. ყოველგვარ გრამატ. სტრუქტურას მოკლებული ენები (იზოლირებული ძირებისაგან შემდგარი — იზოლირებული ენები). 2. აფიქსებიანი ენები, 3. ფლექსიური ენები. მან დაყო აგრეთვე განასხვავა სინთეზური და ანალიზური ენების ტიპი.

ლიტ.: Sämtliche Werke, Bd. 1—15, Lpz., 1846; Kritische Schriften und Briefe, Bd. 1—6, Stuttg., 1962—67.

**შლეგელი** (Schlegel) ფრიდრიხ (10. III 1772, ჰანოვერი, — 12. I. 1829, დრეზდენი), გერმანელი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი და პოეტი. თავის ძმასთან ა. ვ. შლეგელთან ერთად იენაში გამოსცემდა ჟურნ. „ათენეუმს" („Athenaeum", 1798—1800). იყო რომანტიზმის ესთეტიკის ფუძემდებელი და თეორეტიკოსი („კრიტიკული ფრაგმენტები", 1797, „ფრაგმენტები", 1798, „იდეები", 1800). მისი ძირითადი ნაშრომია „საუბარი პოეზიაზე" (1800). შ-ს ეკუთვნის დაუმთავრებელი ფრაგმენტული ფორმით დაწერილი რომანი „ლუცინდე" (1799), დრამა „ალარკოსი" (1802). შ-ის ბოლოური ნაწარმოებები 1809 გამოქვეყნდა; მნიშვნელოვანია მისი „ძველი და ახალი ლიტერატურის ისტორია" (ტ. 1—2, 1813—15)

შ.-მა სიღრმისეულად შეისწავლა სანსკრიტის




შკივები: ა — მონოლითური, ბ—მორგვიანი და ფერსოიანი, გ—დარებორდებული, დ—საფეხურიანი; 1—მორგვი, 2—ფერსო, 3—დისკო, 4—რებორდი



გ. შ კ ი ლ ტ ე რ ს ი. „მღელვარე ზღვასთან" თაბაშირი 1924 გ. შკილტერსის მემორიალური მუზეუმი. რიგა



ფ. შლეგელი.

მნიშვნელობა აქვს შ-ის განვითარებაში. ზემძლავრი ნერვული სტიმულებით (ან ტოქსიკური ნივთიერებებით) ნერვული სისტემის პირველადი მკვეთრი გააქტივება იწვევს კატექოლამინების ჭარბი რაოდენობით გადასროლას სისხლში, რაც, თავის მხრივ, იწვევს კანის, კუნთების, თირკმლების, შეგულის ღრუს სისხლძარღვების სპაზმს და კლინიკურად ვლინდება კანის სიფერმკრთალით და გაცივებით, გუგების შევიწროებით, სახეზე ცივი ოფლით და სხვ. ქსოვილებისათვის სისხლის მიწოდების შემცირება დაკავშირებულია სისხლში ანაერობული ცვლის პროდუქტების, ბიოგენური ამინების, კინინების და სხვათა დაგროვებასთან, რაც სხვა პათოლოგიურ ფაქტორებთან ერთად (მაგ., ჟანგბადის პარციალური წნევის დაქვეითება და სხვ.) ხელს უწყობს ნერვული სისტემის მარეგულირებელი ფუნქციების შემდგომ მოშლას. მომდევნო სტადიებში შ-ის პათოგენეზის წამყვანი ფაქტორებია კაპილარში, სისხლძარღვოვანი ტონუსის დაცემა, ქსოვილთა მიკროცირკულაციის მოშლა, შემდეგ კი უჯრედოვანი მეტაბოლიზმის ღრმა დარღვევა, რასაც მოსდევს უჯრედების მემბრანების დაზიანება. შ-ის შემდგომ მიმდინარეობას ართულებს წვრილ სისხლძარღვებში სისხლის შედედება, სისხლძარღვებში ერითროციტების შეწებება, ცირკულირებადი სისხლის ნაკადის შემცირება, გულის მწვავე უკმარისობა და სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციის მოშლა. დამახასიათებელია კანის ცვიანობა, ძაფისებრი პულსი, არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა, გახშირებული ზედაპირული სუნთქვა, ცნობიერების დაკარგვა და სხვ. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ტარდება შ-ის საწინააღმდეგო სასწრაფო ღონისძიებანი იმისდამიხედვით, თუ რამ გამოიწვია შ. და განვითარების რომელ სტადიაშია ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი, სისხლისა და მისი შემცვლელების გადასხმა, ჟანგბადით თერაპია, ჰორმონები, ვიტამინები, გულ-სისხლძარღვთა საშუალებანი და სხვ.

ტერმ. „შ-ს" იყენებენ აგრეთვე ფსიქიკის განსაზღვრული მდგომარეობის, მძიმე ნერვული ტრავმის (ფსიქ. ან ემოციური შ.) აღსანიშნავად.

**შოკლი** (Schockley) უილიამ ბრედფორდ (დ. 13. II. 1910, ლონდონი), ამერიკელი ფიზიკოსი. დაამთავრა კალიფორნიის ტექნოლ. ინ-ტი (1932), შემდეგ სწავლა განაგრძო მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტში. 1936—54 მუშაობდა „ბელ ტელეფონის" ლაბორატორიაში. 1942—45 მუშაობდა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში. 1955-იდან ნახევრად გამტარების ლაბორ. დირექტორი, შემდეგ კი ფირმა „შოკლი-ტრანზისტორის" პრეზიდენტი და დირექტორი 1958-იდან სტენფორდის უნ-ტის ლექტორი, 1963—78 პროფესორი. შ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება მყარი სხეულის ფიზიკას (ნახევრად გამტარების თეორია, ფერომაგნეტიზმი, ლითონთა პლასტიკურობა, დისლოკაციების თეორია და სხვ.). 1948 აღმოაჩინა ტრანზისტორული ეფექტი (ნობელის პრემია, 1956, ჯ. ბარდინთან და უ. ბრატეინთან ერთად).

თხზ.: Теория электронных полупроводников. Приложения к теории транзисторов, М., 1953.

**შოკოლადი** (გერმ. Schokolade, ფრ. chocolate < აცტეკ. chocolatl — კაკაოს თესლისაგან მიღებული სასმელი), საკონდიტრო ნაწარმი, მიღებული კაკაოს მარცვლების გადამუშავებით შაქართა და სხვა საგემო კომპონენტებთან ერთად. განასხვავებენ ნატურალურსა (შეიცავს კაკაოს, კაკაოს ზეთსა და შაქარს) და დანამატებიან (შეიცავს მშრალ რძეს, ყავას, ნიგოზს და სხვ.) შ-ს. ნაწილაკების დაწვრილმანების ხარისხით იგი არის ჩვეულებრივი და სადესერტო. უმეტესი აგრეთვე საჭიროა შ-ს. შ-ის ცხიმიანობაა 35—37%, კალორიულობა — 2240 კჯ (540 კკალ) 100 გ-ზე.

კაკაოს მარცვლებს დახარისხებისა და მინარევის შემდეგ ლღობავენ, შემდეგ ხოხავენ და ღებულობენ იხეხავად მასას—გახეხილ კაკაოს, რ-ისგანაც გამოწნეხენ კაკაოს ზეთს. შოკოლადის მასას ღებულობენ გახეხილი კაკაოს, კაკაოს ზეთის, შაქრის პუდრისა და საჭირო გემოვანი და არომატული ნივთიერებების შერევით. მიღებულ მასას ერთნაირ კონცს აგრილებენ ზეთს და 30—31°C-მდე გაცივების შემდეგ გადაადგილდენ შოკოლადის ჩამოსასხმელ აგრეგატზე შ-ის ჩამოსასხმელად ან კანფეტების მოსაჭიქად. უშვებენ შ-ის ფილებს, შედილებს, ფიგურებს, შ-ის ნაკეთობებს (ბატონები, კანფეტი ასორტი და სხვ.). ნატურალური შ-ის შენახვის ვადაა 6 თვე, დანამატებიანისა — 3 თვემდე.

**შოლაპური**, ქალაქი ინდოეთში, მაჰარაშტრის შტატში, დეკანის ზეგანის დას. ნაწილში 514 ათ. მცხ. (1981). საფეიქრო საწარმოს ცენტრი ბამბეულისა და ზეთსახდელი მრეწველობა. შინამრეწველობა (ტყავის, ლითონის, მინის ნაკეთობანი, ქსოვილები).

**შოლომ-ალეიხემი** (ნამდვ. სახელი და გვარი შოლომ ნოხუმის ძე რ ა ბ ი ნ ო ვ ი ჩ ი) [18. II (2. III). 1859, ქ. პერეიასლავი, უკრაინა, — 13. V. 1916, ნიუ-იორკი], ებრაელი მწერალი. წერდა ებრ. ენაზე, იდიშზე და რუს. ენაზე. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1879-იდან. ებრ. და რუს. ლიტ-რის დიდმა, და საგანმან. ტრადიციების მიმდევარი იყო. ორგანიზატორია წელიწდეულისა „ებრ (იდიშ) ფოლკს ბიბლიოთეკ" (1888—89, „ებრაული სახალხო ბიბლიოთეკა"), რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახ. ებრ. ლიტ-რის განვითარებაში. ამავე წლებში შექმნა ბურჟუაზიის მძაფრი კრიტიკით გამსჭვალული ნაწარმოებები, რ-თა გმირები „პატარა ადამიანები" არიან (რომანი „ბულბული იოსელე", 1889; მოთხრობები „მენახემ მენდელი", 1892, „მერძევე ტევიე", 1894). 1900-იანი წწ. დასაწყისში დაუახლოვდა ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვს, მ. გორკის, ვ. კოროლენკოს. 1905—07 რევ. გამწვავებულმა აისახა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მის სატირულ პამფლეტებში, მოთხრობებში („ბიჭუნა მოტელი", 1907), რომანში „წარღვნა" (1906). რეაქციის გაბატონებისა და კიევის ებრაელთა ცნობილი დარბევის შემდეგ ამერიკაში გადასახლდა; შეეგუა ... იყო. 1908 რუსეთში დაბრუნდა. შექმნა ავტობიოგრაფიული სულისკვეთების რომანი „მოხეტიალე ვარსკვლავები" (1909—11). I-მა მსოფლიო ომმა სამკურნალოდ წასულს გერმანიაში მოუსწრო. 1914 ჩავიდა ნიუ-იორკში. შ. ა-ის შემოქმედება გამსჭვალულია დიდი ჰუმანიზმით, უხვადაა იუმორით, მსუბუქი ენით. იგი პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

თხზ.: ალე ვერკ, ტ. 1—28, ნიუ-იორკი, 1917—25; Собр. соч., т. 1—6, М., 1959—61; რჩეული, თბ., 1961; ტევიე მერძევე და მისი ქალიშვილები, თბ., 1947; ბიჭი მოტლი, ცხოვრება, სატირ. ზღაპრები ... თარგმანი, თბ., 1976.

ლიტ.: Р е м е н и к Г., Шолом-Алейхем. Критико-биографич. очерк, М., 1963.

ნ. ბაბალიკაშვილი.

**შოლოხოვი** მიხეილ ალექსანდრეს ძე [11 (24). V. 1905, ხუტორი კრუჟილინი, ახლანდ. ვეშენსკაიას რ-ნი, როსტოვის ოლქი, — 21. II. 1984, ვეშენსკაია], რუსი საბჭ. მწერალი. სსრკ სახელმწ. (1941), ლენინური (1960), ნობელის (1965) პრემიათა ლაურეატი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1967, 1980). სკკპ წევრი 1932-იდან, სკკპ ცკ-ის წევრი 1961-იდან. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. 1922 მოსკოვში ჩავიდა, 1923—24 გამოაქვეყნა პირველი მოთხრობები. 1926 — პირველი კრებ. „დონური მოთხრობები". 1926 დასახლდა სტანიცა ვეშენსკაიაში, აქვე დაიწყო მუშაობა ეპიკურ რომანზე „წყნარი დონი" (წგნ. 1—4, 1928—40), რ-მაც მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. დონის კაზაკთა ცხოვრება-ყოფის ფონზე შ-მა ასახა ის გრანდიოზული პროცესი, რ-მაც განსაზღვრა მთელი რუს. მოსახლეობა, კაზაკების პატრიარქალური ცხოვრება, რ-იც დიდი ისტ. მოვლენების ზეგავლენით (I მსოფლიო ომი, ოქტ. სოციალ. რევოლუცია, სამოქალაქო ომი) ძირფესვიანად შეიცვალა. რომანში წარმოდგენილია რევ. და კონტრრევ. ძალთა შეჯახების დრამ. პროცესი. მწერლის ფხიზელი თვალი ამჩნევს იმ მიზეზებს, რ-მებმაც კაზაკობა ერთ დროს ცარიზმის საყრდენად აქცია. შ. მხატვრული სახეთა შექმნის ოსტატია. დიდი მხატვრული ძალით არიან დახატული გრიგორი მელეხოვი, აქსინია, ნატალია, შტოკმანი, კოშევოი და სხვ. რომანის ცენტრშია ისტ. შემოქმედი მშრომელი ხალხი. სამოქალაქო ომის წლებში დაიღუპნენ აქსინია და ნატალია, რ-თაც ბევრი სიმწარე გამოსცადეს. უსიხარულო იყო გრიგორი მელეხოვის ბედიც. მიუხედავად ამ ტრაგიკული კოლიზიებით აღსავსე სიუჟეტებისა, რომანში იგრძნობა რევ. პათოსი, ჰუმანიზმი, მომავლის ღრმა რწმენა, კომუნისტური იდეალებისადმი მისწრაფება. რომანი რუს. ცხოვრების მნიშვნელოვან ათწლეულს (1912—22) მოიცავს. შ-ის მეორე ეპიკური თხზულება, რომანი „გატეხილი ყამირი" (წგნ. 1—2. 1932—1960); ასახავს სოციალ. გარდაქმნების სოფლად დონზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის, კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის წამმართველი როლის ჩვენება მჭიდროდ უკავშირდება მწერლის შეუნელებელ ინტერესს ფსიქოლ. პრობლემებისადმი. სოც. მეურნ. გარდაქმნას თან სდევს კერძომესაკუთრული სულისკვეთების თანდათანობითი გაქრობა და მომავლისადმი სოციალ. დამოკიდებულების ჩამოყალიბება. რომანის სიუჟეტის სიმძაფრეს განაპირობებს გლეხობისათვის მუშა დავიდოვის თანამოაზრეთა და კონტრრევოლუციონერ პოლოვცევის ძალაუფრო ჯგუფის ანტაგონიზმი. შ. ქმნის კომუნისტის მაღალმხატვრულ ტიპურ სახეს. ასევე სრულყოფილად არიან დახატული სოფსაბჭოს თავ-რე რაზმიოტნოვი, პარტუჯრედის მდივანი ნაგულნოვი, საშ. გლეხი მაიდანნიკოვი და სხვ.

დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს შ. გაზ. „პრავდის" სამხ. კორესპონდენტი იყო. წერდა ნარკვევებს. ცალკე წიგნად დაიბეჭდა მოთხრ. „სიძულვილის მეცნიერება" (1942). 1943—44 გამოქვეყნდა რამდენიმე თავი რომანიდან „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის" (ახ. ვარიანტი 1969). საბჭ. ლიტ-რის მნიშვნელოვანი მონაპოვარია მოთხრ. „ბედი კაცისა" (1956—57), რ-ის მთავარი გმირი ანდრია სოკოლოვი მრავალტანჯული, ქედუხრელი საბჭ. ადამიანის მაღალმხატვრული სახეა.

შ-მა განაგრძო და განავითარა რუს. კლასიკური ლიტ-რის ტრადიციები, იგი სოციალ. რეალიზმის დიდი წარმომადგენელი და საბჭ. ეპოსის ერთ-ერთი ფუძემდებელია. შ-ის თხზულებებში ჩანს პარტ. ტენდენციურობა სქემატიზმისა და დეკლარაციულობის გარეშე. შ-ს თანაბრად ეხერხება დრამ. კონფლიქტისა თუ კომ. სიტუაციების ხატვა. მისი ენა მდიდარია, ხატოვანი. მწერალი უხვად იყენებს ხალხ. გამოთქმებს.

შ-ის შემოქმედება დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში (მთარგმნელები თ. ჯაჯანიშვილი, ა. ჭუმბაძე, რ. თაბუკაშვილი და სხვ.). რეჟ. ნ. შენგელაიამ 1959 სცადა „გატეხილი ყამირის" ეკრანიზაცია და სცენარიც დაწერა შ-თან ერთად. მაგრამ ჩანაფიქრი არ განხორციელებულა.


შოლომ-ალეიხემი


მ. შოლოხოვი

4309

ლანდიელები იყვნენ, მაგრამ მათი შემოქმედება მაინც ინგლ. ლიტ. ტრადიციებს ეყრდნობოდა. XX ს-ში დიდი სახელი მოიპოვა ჰ. მაკდაიარმიდმა, რ-მაც კვლავ აღორძინა შოტ. ტრადიცია, შექმნა ე. წ. სინთეტური შოტ. ენა და გააცოცხლა პოეტთა მთელი პლეადა. XIX–XX სს-ში შოტ. ლიტ-რაში უკვე შეიმჩნეოდა პროზის მომძლავრება. 1920-იან წლებში წარმოიქმნა ისტ. რომანი. მნიშვნელოვანი რომანები შექმნეს ლ. გ. გიბონმა (ტრილოგია „შოტლანდიური რვეული", 1932—34), დ. ლინძმა („მშიერთა მარში", 1934), ჯ. ბლეიკმა („გემთმშენებლები", 1935), ჩ. ბრაუნმა („სიყვარულის კალენდარი", 1967) და სხვ. პროზაიკოსები წერენ ძირითადად ინგლ. ენაზე, მაგრამ მათი ნაწარმოებების თემატიკა და სულისკვეთება შოტლანდიურია.

**არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება.** გვაროვნ. წყობიდან შემორჩენილია მწკრივებად ქვის ქოხების, კოშკების ნაშთები, ირლანდიის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული ადრექრისტ. შოტ. ქანდაკებები, ქვის ჯვრები. XII ს-იდან შ-ში შენდება რომანული, XIII ს-იდან — გოთიკური ეკლესიები, ციხე-დარბაზები, რ-ებიც XV–XVI სს-ში იქცა ე. წ. ბარონული სტილის „კოშკიან სასახლეებად". XVII–XVIII სს. საუკეთესო შოტ. არქიტექტორები (ჯ. განბერი, ჯ. გიბზი, უ. ჩემბერზი, ძმები ადამები) ძირითადად ინგლისში მუშაობენ, მაგრამ აქაც, შ-ში იქმნება შოტ. კლასიციზმის მნიშვნელოვანი ნაგებობები და ქალაქთმშენებლობის საგულისხმო ნიმუშები. რომანტიზმის ეპოქაში (შ-ის ხუროთმოძღვრებაში ამ დროს ვრცელდება ცრუ გოთიკა) აყვავდა ეროვნ. სახვითი ხელოვნება (ჯ. გედესი, ა. და პ. ნეისმითები, დ. უილკი), ეროვნ.-რომანტ. სულისკვეთებითაა გამსჭვალული ბ. სკოტისა და სხვ. ილუსტრატორების ნამუშევრები. „მოდერნის" ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორი იყო ჩ. რ. მაკინტოში. XX ს-ში შ-ის არქიტექტურა თანამედროვე ინგლ. არქიტ. წიაღში ვითარდება. XX ს. სახვით ხელოვნებაში გამოირჩევა იმპრესიონიზმთან ახლოს მდგომი მხატვრების (უ. მაკგრეგორი და სხვ.), ექსპრესიონისტების (ს. პეპლო და სხვ.) ნაწარმოებები. ხალხ. შემოქმედებისთვის დამახასიათებელია საფეიქრო (შალის ქსოვილები) ნაწარმი, ხეზე კვეთა, მოწნული ნახელავი.

**მუსიკა.** შოტ. მუსიკა დასაბამს იღებს აქ დასახლებული ტომების (კელტები, სკოტები, სკანდინავიელები და სხვ.) ხალხ. სასიმღერო-საცეკვაო ხელოვნებიდან. ეროვნ. ეპოსი ვითარდებოდა და ვრცელდებოდა მოხეტიალე კელტი მომღერალ-მთხრობლების — ბარდების, მოგვიანებით კი მენესტრელთა და ლუტნისტთა შემოქმედებით. შოტ. სიმღერებისათვის დამახასიათებელია პენტატონიკა და პუნქტირული რიტმები. სიმღერები და ცეკვები სრულდება არფის (XII ს-იდან), სტვირის (XV ს-იდან), ფიდლის, ვიოლასა და ვიოლინოს თანხლებით. XII ს-იდან ვითარდება პროფ. საეკლ. და საერო მუსიკა, XIII ს-ში აღმოცენდა გალობის სკოლები, სადაც ასწავლიდნენ გრიგორიანულ ქორალს, ორგანზე და სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას. პირველი ორგანები დაიდგა ეკლესიებში 1440-იან წლებში. XV ს-ში ცნობილი იყვნენ კომპოზიტორები და ორგანზე დამკვრელები: ჯ. მელისონი, ჯ. ბლეკი, პ. ჯეთერისონი და სხვ. XV ს-ში ედინბურგში შეიქმნა სამეფო კაპელა. მუს. კულტურის აღმავლობა იწყება XVII ს-ში, შეიქმნა პროფ. მუს. საზ-ბები, საორკესტრო ანსამბლები, გამოიცა მრავალი ფოლკლორული კრებული, მ. შ. „კალედონიური ორფეუსი" (1726). 1890 დაარსდა მუს. სამეფო აკადემია. XX ს. დასაწყისის შოტ. მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ა. მაკენზი, ჰ. მაკ-კანი, ჩ. მაკ-ფერსონი, უ. უოლესი. თანამედროვეთაგან აღსანიშნავია ს. დეივი, რ. კროუფორდი, ტ. მასგრეივი. 1947-იდან ყოველწლიურად ტარდება მუსიკის, დრამის და სახალხო ხელოვნ. ფესტივალი ედინბურგში, სადაც არსებობს კონსერვატორია, სიმფ. ორკესტრი, გუნდები. მუს. ცენტრია აგრეთვე გლაზგო.

**თეატრი.** შ-ში დრამ. თეატრი XVIII ს. შუა წლებიდან აღმოცენდა. ამ პერიოდში გლაზგოში აშენდა 3 სათეატრო შენობა, რ-ებიც შემდეგში რელიგ. ფანატიკოსებმა დაწვეს. 1769 მსახიობმა და ანტრეპრენიორმა დ. როსმა ედინბურგში შექმნა თეატრი „როიალი", სადაც იდგმებოდა ინგლ. ავტორების პიესები, თამაშობდნენ ძირითადად ინგლ. მსახიობები. 1883 გაიხსნა თეატრი „ლიცეუმი". 1782—1860 გლაზგოში მუშაობდა „დანლოპ სტრიტ თიეტრი", 1806—29 — „ქუინ სტრიტ თიეტრი", 1842—48 — თეატრი „ადელფი". 1845 — „სიტი თიეტრი", „როიალ თიეტრი" და „პრინსს თიეტრი". 1909 შეიქმნა „გლაზგოს სარეპერტუარო თეატრი" რეჟ. ა. უეინჯის ხელმძღვანელობით. თეატრმა 5 სეზონი იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნ. თეატრ. ხელოვნ. ფორმირებაში. ინგლ. და საზღვარგარეთელ ავტორთა პიესების გარდა დაიდგა აგრეთვე შოტ. დრამატურგების პიესები. 1939 წარმატებით ჩატარდა პირველი შოტ. თეატრ. ფესტივალი. აქედან მოყოლებული „სკოტიშ კომიუნითი დრამა ასოუშიეიშენი" ყოველწლიურად მართავს ფესტივალებს. 1943 გლაზგოში შეიქმნა სამოქალაქო სარეპერტუარო თეატრი („გლაზგო სიტიზენს თიეტრი"). სარეპერტუარო თეატრებია აგრეთვე პერთში, დანდიში, სენტ-ენდრიუზში და სხვ. 1947-იდან ყოველწლიურად ტარდება ედინბურგის მუსიკისა და დრამის საერთაშ. ფესტივალები.

**შოტლანდიელები,** ერი. ცხოვრობენ დიდი ბრიტანეთის ჩრდ. ნაწილსა და მის მიმდებარე კ-ებზე. რაოდ. დიდ ბრიტანეთში 5 მლნ. კაცი (1978, შეფასება). შ-ს ხშირად გელებსაც აკუთვნებენ. შ-ის ემიგრანტები და მათი შთამომავლები ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ლაპარაკობენ ინგლ. ენის დიალექტზე. ლიტ. ენა — ინგლისური. რელიგია — პროტესტანტობა (პრესვიტერიანული ეკლესია). ნაწილი (დაახლ. 16%) კათოლიკეა. შ-ს ეთნ. საფუძველი შეადგინეს პიქტების ადგილ. ტომებმა და V—VI სს-ში ირლანდიიდან გადმოსახლებულმა სკოტების კელტურმა ტომებმა. VII ს-ში ნაწილობრივ გაითქვიფნენ შოტლანდიაში გადმოსახლებულ ანგლებისა და საქსების გერმ. ტომებთან. შემდგომში მათი ენა შოტ. ხალხის ჩამოყალიბება მოხდა შოტ. სახელმწიფოს შექმნისა (XI ს.) და ინგლ. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. კულტურითა და ყოფით ახლოს არიან ინგლისელებთან. მთიან რ-ნებში XVIII ს-მდე შერჩათ კლანები. შეინარჩუნეს მატერიალ. კულტურის ელემენტები (კუთხოვანი ქვედატანი, პლედი, გეტრები და სხვ.). უფრო ვრცლად იხ. სტ. შოტლანდია.

**შოტლანდიური ენა,** გელური (გაელური) ენა, ჩრდ. (მთიანი) შოტლანდიისა და ჰებრიდის კ-ებზე დასახლებული შოტლანდიელების ენა. განეკუთვნება კელტური ენების გოიდელურ ჯგუფს. შ. ე-ზე ლაპარაკობს 90 ათ-მდე კაცი (1978, შეფასება); ახლოს დგას ირლანდ. ენასთან, რ-ისგანაც განსხვავდება ფონეტიკური სისტემის რიგი ნიშნით, სახელისა და ზმნის ზოგიერთი მარტივი სისტემით. ლექსიკაში გვხვდება სკანდინავიზმები.

**შოტლანდიური სკოლა,** „საღი აზრის" ფილოსოფია, აღმოცენდა და გავრცელდა XVIII ს. 60—80-იან წლებში შოტლანდიის უნ-ტებში. ცდილობდა სკეპტიციზმის, სოლიფსიზმისა და მატერიალიზმის უარყოფას ყოველი ნორმალური ადამიანისათვის უეჭველი რწმენის საფუძველზე. შ. ს-ის ძირითადი დებულებები მოცემულია მისი დამაარსებლის ტ. რიდის წიგნში „ადამიანის გონებისა და საღი აზრის პრინციპების გამოკვლევა" (1764). მისი აზრით, ფილოსოფიით შეურყვნელი „საღი აზრი" შეიცავს 12 თანდაყოლილ ინტუიციურ პრინციპს (გარეგანი რეალობის, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობის, სულის არსებობის, მიზეზობრიობისა და სხვა პრინციპები), როგორც შეგრძნებანი, ისე რელიგია ამ პრინციპებს ემყარება. შოტლანდიური ფილოს. სკოლის წარმომადგენლები (ჯ. ოსვალდი, დ. სტიუარტი, ჯ. ბიტი და სხვ.) „საღი აზრის" ცნებაში გულისხმობენ შეგრძნებასა და ფილოსოფიაში გაუწაფავ ამ ადამიანთა შეხედულებებს, რ-ებიც სინამდვილეს განიხილავენ ისე, როგორც იგი წარმოუდგენიათ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ „საღი აზრი" ისტ. პროდუქტია. ისინი საზოგადოდ ფილოს. უარყოფამდე მიდიან.

ლიტ.: Грязнов А. Ф., Философия Шотландской школы, М., 1979.

გ. თევზაძე.

**შოუ,** შ ო (Shaw) ირვინ (27 II. 1913, ნიუ-იორკი, — 1984), ამერიკელი მწერალი. მრავალი პროფესია გამოიცვალა, მუშაობდა ჰოლივუდშიც. ყურადღება მიიქცია პირველივე პიესით „დამარხეთ მიცვალებულები" (1936); მეორე პიესამ „უბრალო ხალხი. ბრუკლინის იდილია" (1939) სოც. მწერლის სახელი დაუმკვიდრა. აღსანიშნავია მისი მოთხრობების კრებულები „მეზღვაური „ბრემენიდან"" (1939) და „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქალაქში" (1942). შ-ს რომანი „ახალგაზრდა ლომები" (1948) მიჩნეულია II მსოფლიო ომის თემაზე დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. მას ეკუთვნის აგრეთვე რომანები „მშფოთვარე ატმოსფერო" (1950), „მდიდარი, ღარიბი" (1970), „მათხოვარი, ქურდი" (1972), „საღამო ბიზანტიაში" (1973), „მთის მწვერვალზე" (1979), აგრეთვე პუბლიც. წიგნები და კინოსცენარები.

ლ. ჯანიაშვილი.



ი. შოუ

**შოუ,** შ ო (Shaw) ჯორჯ ბერნარდ (26. VII. 1856, დუბლინი, — 2 XI. 1950, ეიოტ-სენტ-ლორენსი), ინგლისელი მწერალი. წარმოშობით ირლანდიელი იყო. 1876-იდან ლონდონს გადასახლდა. მოღვაწეობა დაიწყო როგორც მუს. რეცენზენტმა. პირველი რომანები „უაზრო ქორწინება" (1880), „სიყვარული მხატვართა შორის" (1881) და სხვ. გამოირჩეოდა სოც. სიმახვილით, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მხატვრული თვალსაზრისით. შ-ს შემოქმედების მთავარი ჟანრი დრამატურგია გახდა. პირველი პიესა „ქვრივის სახლები" (1892), აგრეთვე „გულთამპყრობი" (1893) და „ქალბატონ უორენის პროფესია" (1894) შევიდა კრებულში „უსიამოვნო პიესები" (1898). პარალელურად გამოვიდა მეორე კრებ. „სასიამოვნო პიესები", რ-შიც გაერთიანდა „იარაღი და ადამიანი" (1894), „კანდიდა" (1894), „ბედის რჩეული" (1895) და „კაცმა არ იცის" (1895). შემდგომ ციკლში „სამი პიესა პურიტანებისათვის" (1901) შევიდა მისი ცნობილი ნაწარმოებები „ეშმაკის მოწაფე" (1896—97) და „კეისარი და კლეოპატრა" (1898), რ-იც შ-ს ანტიშექსპირული პოზიციის გამოვლენაა. შექს. პიესების „იულიუს კეისარი" და „ანტონიუსი და კლეოპატრას" ერთგვარი ანტითეზაა. მწერლის პოლემიკური პოზიცია პიესების სათაურებშიც ჩანს. განსაკუთრებული სოც. სიმახვილით გამოირჩევა „ქალბატონ უორენის პროფესია". აღსანიშნავია შ-ს თეორიული ნაწერებიც: „იბსენიზმის კვინტესენცია" (1891, სრული — 1913), „იდეების დრამები", „კაცი და ზეკაცი" (1901—03). შ-ს შემოქმედება თავისუფალია მშრალი სოც. სქემატიზმისაგან. მის სახელთან არის დაკავშირებული ინტელექტუალური თეატრის შემოღება. რეპერტუარის დამკვი-



ჯ. ბ. შოუ

ლეპ (შრედინგერის განტოლება); შემოიღო ტალღური ფუნქციის ცნება და სხვ. ნობელის პრემია (1933). სარკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1934).

თხზ.: Избр. труды по квантовой механике, М., 1976 (сер. «Классики науки»); Что такое жизнь? С точки зрения физика, 2 изд., М., 1972.

**შრედინგერის განტოლება,** არარელატივისტური კვანტური მექანიკის ძირითადი დინამიკური განტოლება; სახელი უწოდეს ე. შრედინგერის პატივსაცემად, რ-მაც იგი ჩამოაყალიბა 1926. კვანტურ მექანიკაში შ. გ. იმავე ძირითად როლს ასრულებს, როგორსაც ნიუტონის მოძრაობის განტოლება კლასიკურ მექანიკაში (იხ. ნიუტონის კანონები მექანიკაში) და მაქსველის განტოლებები ელექტრომაგნეტიზმის კლასიკურ თეორიაში. შ. გ. აღწერს კვანტური ობიექტების მდგომარეობის ცვლილებას დროის მიხედვით, რაც ხასიათდება ტალღური ფუნქციით. თუ ცნობილია ტალღური ფუნქცია $\psi$ დროის საწყის მომენტში, მაშინ შ. გ. ის ამოხსნით შეიძლება ვიპოვოთ $\psi$ დროის ნებისმიერ შემდგომ $t$ მომენტში. $m$ მასის ნაწილაკისათვის, რ-იც მოძრაობს $V(x, y, z, t)$ პოტენციალის მქონე ველით წარმოშობილი ძალის მოქმედებით, შ. გ-ს აქვს სახე:

$$i\hbar\frac{\partial\psi}{\partial t}=-\frac{\hbar^2}{2m}\Delta\psi+V(x, y, z, t)\psi, \quad (1)$$

სადაც $i=\sqrt{-1}$, $\hbar=1{,}05\cdot10^{-27}$ ერგ.·წმ არის პლანკის მუდმივა, $\Delta=\frac{\partial^2}{\partial x^2}+\frac{\partial^2}{\partial y^2}+\frac{\partial^2}{\partial z^2}$ — ლაპლასის ოპერატორი ($x, y, z$ — კოორდინატები). ამ განტოლებას დ რ ო ი თ ი შ. გ-ს უწოდებენ.

თუ პოტენციალი დროზე არ არის დამოკიდებული, მაშინ შ. გ-ის ამოხსნები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\psi(x, y, z, t)=e^{-(i/\hbar)Et}\,\psi(x, y, z), \quad (2)$$

სადაც $E$ არის კვანტური სისტემის სრული ენერგია, ხოლო $\psi(x, y, z)$ აკმაყოფილებს ს ტ ა ც ი ო ნ ა რ უ ლ შ. გ-ს:

$$-\frac{\hbar^2}{2m}\Delta\psi+V(x, y, z)\psi=E\psi. \quad (3)$$

სივრცის შემოსაზღვრულ არეში მოძრავი კვანტური სისტემისათვის შ. გ-ის ამონახსნები არსებობს მხოლოდ ენერგიის ზოგიერთი დისკრეტული მნიშვნელობისათვის: $E_1, E_2, \ldots, E_n, \ldots$; ამ მწკრივის (ზოგად შემთხვევაში უსასრულო) წევრები ინომრება მთელი კვანტური $n$ რიცხვების ნაკრებით. $E_n$ თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება $\psi_n(x, y, z)$ ტალღური ფუნქცია, ამ ფუნქციათა სრული ნაკრების ცოდნა საშუალებას გვაძლევს გამოვითვალოთ კვანტური სისტემის ყველა ზომვადი მახასიათებელი.

კულონის პოტენციალის კერძო შემთხვევაში $V(x, y, z)=-e^2/\sqrt{x^2+y^2+z^2}$ (სადაც $e$ ელემენტარული ელექტრული მუხტია). შ. გ. აღწერს წყალბადის ატომს და $E_n$ ატომის სტაციონარულ მდგომარეობათა ენერგიებია.

შ. გ. არის მატ. გამოსახულება მიკრონაწილაკების ფუნდამენტური თვისებისა — კორპუსკულურ-ტალღური დუალიზმისა, რ-ის თანახმად, ბუნებაში არსებული მატერიის ყველა ნაწილაკს აქვს ტალღური თვისებაც (ეს ჰიპოთეზა პირველად გამოთქვა ლ. დე ბროილმა 1924). შ. გ. აკმაყოფილებს შესაბამისობის პრინციპს.

ლიტ.: იხ. სტ.-თან კვანტური მექანიკა.

**შრეუბნაროვა,** დანალექი და ვულკანოგენურ-დანალექი ქანების აგებულების ერთი-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რ-იც გამოიხატება განსხვავებული თვისებების (მინერ. შედგენილობა, ფერი, ამგებები ნაწილების ზომა და სხვ.) შრეების მორიგეობით განარჩევენ ორი ტიპის შ-ს: დანალექი წყების ან ფენის შ-ს და შრის შიგა შ-ს (იხ. ნახ.). პირველი განპირობებულია სხვადასხვა შედგენილობის, ტექსტურის (მ. შ. ცალკეული შრეების სხვადასხვა შიგა შ-ის) და სხვა თვისებების მქონე შრეების მორიგეობით. შრეების და ფენების პირველადი განლაგება ჩვეულებრივ ჰორიზონტალურია. ოქვათად — დახრილი მეორე ტიპის შ. განპირობებულია შრის ფარგლებში სხვადასხვა სტრუქტურის, მინერ. შედგენილობის ან სხვადასხვა მინარევის მქონე თხელ-თხელი შრეების (მმ-ის ნაწილებიდან 1—2 სმ-მდე სისქისა) მორიგეობით, რ-თა განლაგების და ფორმის მიხედვით განარჩევენ შიგა შ-ის რამდენიმე სახეს (იხ. ნახ.).

**შრომ-ბლურის კულტურა,** ადრინდელი ბრინჯაოს ხანის კულტურა შრომ-ბლურის ნამოსახლარ ბორცვზე, არარატის ვაკეზე. 1913 შეისწავლა ე. ლალაიანმა ჯგუფ-ფენი თხრილების საშუალებით. აქ აღმოჩენილი მეტყვარ-არაქსული კერამიკა გამოირჩევა თავისებურებით. იგი შემკულია ჩაზნექილ-ამობურცული სპირალებითა და კონცენტრული წრეებით. აღმოჩენილია აგრეთვე კერასთან დაკავშირებული ზარის ფორმის თიხის სადგარი, ობსიდიანის სხვადასხვა იარაღი (ლამელები, სახვრეტები, ფუძეამოღარული და კუნწიანი ისრისპირები), კაჟის მჯარე ზომის ჩასართები და სხვ. არქეოლ. მასალა ქიულ-თეფეს მასალის მსგავსია. ამიტომ მას სინქრონულად თვლიან. კერამიკის ორნამენტიკა კავკასიის სამხრეთისა და მცირე აზიის ადრინდ. ნამოსახლარის კერამ. ორნამენტის მსგავსია. ეს ელემენტი ამ ძეგლებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ლიტ.: Куфтин Б. А., Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1944, ტ. 13 B; Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Л., 1949. *ქ. ფიცხელაური.*

**შროში** (Eremurus), შროშანისებრთა ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. ფესვის ყელთან როზეტად შეკრებილი ფოთლები აქვს, სადღესაც აქვთის 0,5—2 მ-მდე სიმაღლის საყვავილე ყლორტი, რ-საც წვერში ღერო, მრავალყვავილიანი მტევანა უვითარდება; გვარის 60-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ძირითადად შუა აზიაში, ყირიმში, ირანსა და ავღანეთში კავკასიაში მხოლოდ ერთი სახეობაა (E. spectabilis). რ-იც საქართველოშიც გვხვდება კლდეებსა და მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე. აშენებენ ბაღებსა და პარკებში. ფესვებიდან ამზადებენ წებოს. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ყვითელ საღებავს. ფესვებში არის პოლისაქარიდი ერემურანი, რ-საც მედიცინაში იყენებენ. ნორჩი ფოთლები საჭმელად იხმარება. *მ. გოგილაშვილი.*

**შრივიჯაია,** სრივიჯაია, სახელმწიფო ინდონეზიაში. შეიქმნა დაახლ. VII ს. შუა წლებში. ცენტრი ახლანდ. პალემბანგის რ-ნში (კ. სუმატრა) მდებარეობდა. შ-ის განვითარებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა გეოგრ. მდებარეობამ და ფეოდალ. დაყოფამ. VII—IX სს-ში შ-მ დაიპყრო სუმატრის მეზობელი სახელმწიფოები — დას. იავა, დას. კალიმანტანი, მალაკის ნ.-კ. და მალაის სახელმწ. ამპერიადიც ა. ავგუსტის ხანის მთავარი IX ს. II ნახევარსა და X ს-ში — შაილენდრების დინასტიის მმართველობის პერიოდში. დაახლ. 992 დაიწყო შ-ს ბრძოლა მატარამთან არქიპელაგზე ბატონობისათვის. დაახლ. 1016 ომი შ-ს გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ 1025 შ-ში შეიჭრნენ ჩოლების—ინდოეთის სახელმწიფოს ჯარები. ამ ომებმა შეარყია შ-ს ძლიერება, თუმცა კიდევ დაახლ. 2 საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა პირველობას არქიპელაგის დას. რ-ნებში. XIII ს. ბოლოდან შ-ს შეუტიეს იავურმა და სიამელებმა. XIV ს. შუა წლებში შ. მაჯაპაჰიტის მიერ კვე განადგურებულ. ტ. 1376 იხსენიება.

**შრივპორტი** (Shreveport), ქალაქი აშშ-ის სამხრ. ნაწილში, ლუიზიანის შტატში, მდ. რედ-რივერის მარჯვ. ნაპირზე 195 ათ. მცხ., აგლომერაციასთან 377 ათ. (1980). ნავთობმომპოვებითი და საზ.-სამ (უმთავრესად ბამბა) რ-ნის სავაჭრო-სატრანსპ. ცენტრი. იღებენ და ამუშავებენ ნავთობსა და ბუნებრივ აირს. განვითარებულია ქიმ., ხის დამამუშ., კვების მრეწველობა.

**შრი-ლანკა** (1972-მდე — ცეილონი), შ რ ი-ლ ა ნ კ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა, სახელმწიფო ამავე სახელწოდების კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში, ინდოსტანის ნ.-კ.-ის სამხრ.-აღმ. ით. შედის ერთა თანამეგობრობაში. ფართ. 65,6 ათ. კმ², მოსახლ. 15 მლნ-ზე მეტი კაცი (1984). დედაქალაქი — კოლომბო. ოფიც. ენები — სინჰალური და ტამილური. ერთეულ. დამოუკიდებლობის დღე (1948). ფულის ერთეულია რუპია. სარკ სახელმწ. ბანკის კურსით (1986 იელ.) 100 რუპია = 2,52 მანეთს. ადმინისტრაციულად შ.-ლ. იყოფა 9 პროვინციად და 24 ოლქად.

შ.-ლ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1978 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ერთპალატიან პარლამენტს, რ-საც ირჩევენ პროპორციული წარმომადგენლობით სისტემის საფუძველზე 6 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (ირჩევს მოსახლ. 6 წლის ვადით). პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და მინისტრის მოადგილეებს, ამასთან თავისი პარტიიდან ნიშნავს პარლამენტის დეპუტატებს, განსაზღვრავს მათ მოვალეობ.


შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი

შრი-ლანკა

სარკინიგზო ხაზები


შრი-ლანკა. ზორდაში სახალის ქალი XVIII საუკუნე

ბუმსა და აკონტროლებს ამ მოვალეობათა შესრულებას ადმ. ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და მთავრობას, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.

**ბუნება.** კუნძულის ნაპირები უმთავრესად დაბალია, ლაგუნური, გარშემორტყმულია მარჯნის რიფებით. ტერიტ. 80%-ზე მეტს უჭირავს დაბალ ვაკეებს, რ-ებზედაც ზოგან ცალკეული ნარჩენი მთებია აღმართული. კუნძულის ცენტრ. და სამხრ. ნაწილი უჭირავს საფეხურებრივ მთიანეთს (სიმაღლე 2524 მ-მდე, მთა პიდურუტალაგალა). სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება გრაფიტი, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, აპატიტი, კაოლინი და სხვ.

ჰავა მუსონურია, ჩრდ.-ით და აღმ.-ით — სუბეკვატორული, სამხრ.-ით და დას.-ით — ეკვატორული. ჰაერის ტემპ-რა ვაკეზე 26—30°C, მთაში იკლებს 16—20°C-მდე. ნალექები მთის ძირში 2000 მმ-მდეა წელიწადში, მთიანეთის სამხრ.-დას. კალთებზე — 5000 მმ-მდე.

მდინარეთა ქსელი ხშირია. ყველაზე დიდი მდინარეა მაჰაველი. მდ-ებს იყენებენ სარწყავად. აგებულია ბევრი წყალსაცავი.

ნიადაგები წითელმიწა და ლატერიტულია, მდინარეთა გაყოლებით და სანაპიროზე — ალუვიური. კუნძულის დაახლ. 3/4 შემოსილია ბუნებრივი მცენარეულობით. მთის სამხრ.-დას. კალთაზე შემორჩენილია ნოტიო ეკვატორული ტყეები. ვაკეები და მათი მიმდებარე მთიანეთის კალთები შემოსილია მუსონური ფოთოლცვენიანი ტყით. მთიანეთში სავანის ტიპის მცენარეულობა იზრდება, 2000 მ-ზე მაღლა — ტანბრეცილი ტყე. სანაპიროზე ალაგან ჯაგეკლიანია, ზოგან — მანგროვიანი და ქოქოსის პალმები.

ცხოველთა სამყაროდან ბინადრობს სპილო, ლეოპარდი, ჯიქი, ფოცხვერი, მაიმუნი, ირემი, გარეული ღორი, ვეფხვი. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო. ბევრია ხვლიკი, გველი, ნიანგი.

ფლორა და ფაუნა დაცულია ბოტან. ბაღებში, ეროვნ. პარკებსა და ნაკრძალებში.

**მოსახლეობა.** მოსახლ. 70% სინჰალელები არიან, 20% ტამილები. სინჰალელები ცხოვრობენ ქვეყნის დას., ცენტრ. და სამხრ. ნაწილებში. ლაპარაკობენ სინჰალურ ენაზე. ტამილები შედგებიან 2 დამოუკიდებელ შტოსაგან: ლანკას და ინდურს. ლაპარაკობენ ტამილურ ენაზე. მცირე ხალხებს მიეკუთვნებიან ცეილონის მავრები, ბიურგერები, მალაიელები. უძველესი მოსახლ. წინაპრები არიან ვედები. რელიგიით მოსახლ. უმრავლესობა ბუდისტია (სინჰალელები), არიან ინდუისტები (ტამილები), მუსლიმანები (მავრები, მალაიელები), ქრისტიანები (ბიურგერები, ტამილების ნაწილი და სხვ.).

მოსახლეობის ბუნებრივი მატება დიდია. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 60%-ზე მეტი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. საშ. სიმჭიდროვე დაახლ. 230 ად. კაცი 1 კმ²-ზე (1984). მოსახლ. დაახლ. 25% ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: კოლომბო (დაახლ. 700 ათ. მცხ., 1982), მაუნტ-ლავინია, მორატუვა, ჯაფნა, კანდი.

**ისტორიული ნარკვევი.** შ.-ლ-ის ტერიტ. დასახლებული იყო პალეოლითის ეპოქაში. ინდოეთთან ტერიტ. სიახლოვემ ძლიერი გავლენა იქონია კუნძულის მოსახლ. ისტ. განვითარებაზე. ახ. წ. დასაწყისში შ.-ლ.-ზე პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოები წარმოიქმნა. XV ს.-ში შ.-ლ.-ში წარმოიქმნა 3 დიდი სახელმწიფო: სინჰალური—კოტე (დას.-ით და სამხრ.-დას.-ით) და კანდი (ცენტრ. ოლქებში), ტამილური—ჯაფნა (ჩრდ.-ით). შ.-ლ-ის პოლიტ. დაქუცმაცებამ და ეკონ. სისუსტემ ევროპელებს კუნძულის დაპყრობა გააადვილა. 1517 შ.-ლ-ის სანაპირო ნაწილი პორტუგალიელებმა დაიპყრეს, 1658 — ჰოლანდიელებმა. 1795—96 ინგლისმა შ.-ლ-იდან განდევნა ჰოლანდ. ჯარები. 1815 კანდის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ მთელი შ.-ლ. ინგლ. კოლონიად იქცა. 1796, 1818, 1848 შ.-ლ-ის ხალხმა მოაწყო აჯანყება ინგლ. დამპყრობლების წინააღმდეგ. XX ს. დასაწყისში ეროვნ.-განმათ. მოძრაობას შ.-ლ-ზე სათავეში ჩაუდგა სინჰალისა და ტამილის ბურჟუაზია, რ-მაც 1919 შექმნა პირველი პოლიტ. პარტია — ცეილონის ეროვნ. კონგრესი. 1935 დაარსდა ლანკის სოციალ. პარტია. 1943 ივლ.-ში შეიქმნა ცეილონის კომპარტია. ომის შემდგომ წლებში ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ზრდამ აიძულა ინგლისი 1948 წ. 4 თებ. შ.-ლ-თვის დომინიონის სტატუსი მიენიჭებინა. 1955 შ.-ლ. გაეროს წევრი გახდა. 1956 ხელისუფლების სათავეში ჩაუდგა სოლომონ ბანდარანაიკე, რ-მაც გაატარა მთელი რიგი პროგრ. ღონისძიებები.

სსრკ-თან დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1957. რეაქციულმა ელემენტებმა 1959 მოკლეს ბანდარანაიკე. 1960 ივლისში პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვეს დემოკრ. ძალებმა. ახ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა სირიმავო ბანდარანაიკე (სოლომონ ბანდარანაიკეს ქვრივი), რ-მაც განაგრძო რიგი გარდაქმნები ს. ბანდარანაიკეს პოლიტიკისა. 1965 პარლამენტის არჩევნებში შედარებით მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ეროვნ. პარტიამ (ეპ), რ-ის ლიდერი დადლი ს. სენანაიაკე სათავეში ჩაუდგა მთავრობას. 1970 შეიქმნა ახ. კოალიციური მთავრობა სირიმავო ბანდარანაიკეს მეთაურობით. მან ფართო დემოკრ. გარდაქმნებსა და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაფართოებაზე აიღო გეზი. 1972 წ. 22 მაისს ცეილონი შ.-ლ-ის რესპუბლიკად გამოცხადდა. ახ. კონსტიტუციამ გააუქმა დიდ ბრიტანეთზე დამოკიდებულების ყველა პოლიტ. ფორმა, გაატარა აგრ. რეფორმა. მაგრამ მთავრობამ ვერ შეძლო მშრომელთა მატერ. მდგომარეობის გაუმჯობესება, ფასების ზრდის შეჩერება. ამით ისარგებლეს მემარჯვენე ძალებმა და მიაღწიეს მემარცხენე კოალიციის დაშლას. 1977 მაისში კომპარტიამ, ლანკის სოციალ. პარტიამ და სახ. დემოკრ. პარტიამ (დაარსდა 1977) შექმნეს გაერთ. მემარცხენე ფრონტი. ამავე წელს ტამილის ნაციონალისტურმა პარტიებმა განთავისუფლების ტამილის გაერთ. ფრონტი შექმნეს. 1977 ივლ.-ში პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა ეპ-მ (მმართველი პარტია 1977-იდან). მთავრობის მეთაური გახდა მისი ლიდერი ჯ. რ. ჯაიავარდენე. მან განაგრძო ეპ-ის წინა მთავრობის პოლიტიკა — ეროვნ. ბურჟ. საქმიანობისათვის ფართო გასაქანის მიცემისა და კერძო კაპიტალის წახალისების, ანტიდემოკრ. კურსის პოლიტიკა. 1978 წ. 7 სექტ. შ.-ლ. გამოცხადდა დემოკრ. სოციალ. რესპუბლიკად. 1982 ოქტ.-ში შ.-ლ-ში პირველად ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები, ხოლო 1983 მაისში პარლამენტის არჩევნები გაიმართა. ხმების უმრავლესობა ეპ-მა მიიღო, ივლ. დასაწყისში კვლავ მწვავედ დაიძაბა ურთიერთობა სინჰალურ და ტამილურ თემებს შორის, რასაც შეიარაღებული შეტაკებები მოჰყვა. „ტამილების საკითხი" გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ინდოეთ-შ.-ლ-ის ურთიერთობაზე. საგარეო პოლიტიკაში იგი განაგრძობს მიუმხრობლობის ტრად. პოლიტიკას.

**ეკონომიკა.** დამოუკიდებლობის წლებში განხორციელდა სოფ. მეურნ. გარდაქმნის რამდენიმე რეფორმა, გაფართოვდა ენერგეტ. და სამრეწვ. წარმოება. გაძლიერდა სახელმწ. სექტორი.

ქვეყნის ეროვნ. პროდუქტის ღირებულების 1/3-ზე მეტს იძლევა სოფ. მეურნეობა. გამოყენებული ფართობის დიდი ნაწილი უჭირავს მრავალწლოვან საპლანტაციო კულტურებს. მოჰყავთ (ათ. ტ, 1984): ჩაი—208 (III ადგილი მსოფლიოში ინდ. და ჩინ. შემდეგ), კაუჩუკი—140, ბრინჯი—1,6 მლნ. ტ. აგროვებენ ქოქოსის კაკალს (2,3 მლრდ. პირობითი კაკალი; ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიოში). სხვა კულტურებიდან აღსანიშნავია ფეტვი, სიმინდი, პარკოსნები, ბატატი, მანიოკი, ბოსტნეული, სანელებლები. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. 1983 შ.-ლ.-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი—დაახლ. 1,7, თხა—0,5, ღორი 0,1. მისდევენ თევზჭერას (220 ათ. ტ, 1983) და მარგალიტის რეწვას.

მრეწველობაში ჭარბობს წვრილი საწარმოები, უკანასკნელ ხანებში აშენდა რამდენიმე დიდი საწარმო, რ-ებიც სახელმწ. სექტორს ეკუთვნის. შ.-ლ. საგარეო ბაზარს აწვდის მაღალხარისხოვან გრაფიტს. იღებენ აგრეთვე ილმენიტს, რუტილს, ცირკონს, ძვირფას ქვებს. 1984 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 2,3 მლრდ. კვტ. სთ. დამუშავებითი მრეწვ. ტრად. დარგებია ჩაის, კაუჩუკის გადამუშ., კოპრისა და ქოქოსის ზეთის წარმოება. არის ბრინჯსაცეხი, შაქრის, საფეიქრო, ფეხსაცმლის, მეტალ., ავტოსაწყობი, ნავთობგადასამუშ., რეზინის, ხისდასამუშ. საწარმოები (ბევრი მათგანი აშენდა სსრკ-ისა და სხვა სოციალ. ქვეყნების დახმარებით). მთავარი სამრეწვ. ცენტრია კოლომბო და მისი მიდამოები. განვითარებულია ტრად. ხელოსნობა.

რკინიგზის სიგრძე 1,75 ათ. კმ, საავტ. გზებისა—დაახლ. 25 ათ. (1982). 1984 ავტოპარკში იყო დაახლ. 400 ათ. ავტომობილი. საზღვ. ნავსადგურების ტვირთბრუნვა 15 მლნ. ტ-ზე მეტია. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია კოლომბოს მახლობლად.

1984 ექსპორტმა შეადგინა 1,4 მლრდ. დოლ., იმპორტმა — 1,7 მლრდ. გააქვთ ჩაი, საფეიქრო ნაწარმი, კაუჩუკი, ქოქოსის პალმის პროდუქტები, ძვირფასი ქვები და სხვ. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, სურსათი, ნავთობი, სასუქი, ქიმ. საქონელი, ბამბა და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: იაპონია, აშშ, საუდის არაბეთი.

**განათლება.** 1972 განხორციელებული რეფორმით შემოღებულია ზოგადსავალდ. 11-წლიანი სკოლა: 5-წლიანი დაწყებითი, უმცროსი (არასრული) საშ. სკოლა (4 წელი) და უფროსი (სრული) საშ. სკოლა (2 წელი). სავალდებულოა პირველი ორი საფეხური (9 წელი). 1984 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 1,4 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, 6—11 კლასებში — 1 მლნ-ზე მეტი. სწავლება სკოლაში უფასოა, მიმდინარეობს სინჰალურ და ტამილურ ენებზე. 30-მდე პედ. კოლეჯში იყო 10 ათ-მდე სტუდენტი. პროფტექ. მომზადება ხორციელდება 9-წლიანი სკოლის ბაზაზე 2-წლიან სკოლებსა და 4-წლიან ე. წ. ტექ. ინ-ტებში. შ.-ლ-ის უნ-ტს აქვს ფილიალები.

სამეცნ. მუშაობას კოორდინაციას უწევს მრეწველობისა და სამეცნ. გამოკვლევათა სამინისტროსთან არსებული სამეცნ. გამოკვლევათა ეროვნ. საბჭო. სამეცნ. კადრები განათლებას იღებენ ძირითადად საზღვარგარეთ. წამყვანი სამეცნ. დაწესებულებაა შ.-ლ-ის უნ-ტი. უცხოელ მეცნიერებთან ერთად მზადდება და გამოდის „ბუდიზმის ენციკლოპედია" (მის მომზადებაში მონაწილეობს სსრკ-ც). კოლომბოში არის საჯარო ბ-კა (150 ათ-მდე ტომი), კოლომბოს ეროვნ. მუზეუმის ბ-კა (500 ათ-ზე მეტი ტომი), შ.-ლ-ის ეროვნ. მუზეუმი და სხვ.

შ.-ლ.-ში გამოდის 30-ზე მეტი პერიოდული გამოცემა. ეროვნ. კორპ. საინფორმაციო სააგენტო დაარსდა 1951. შ.-ლ-ის

გამოაგდებენ, მექანიკურად დაამუშავებენ და გადასცემენ ავტომატის მიმღებ მაგიდას. ჩამოსასხმელი პროცესის რეჟიმმა და ავტომატში შრიფტის დამუშავებამ უნდა უზრუნველყოს სხმულის ზუსტი სიმაღლე (25,1 მმ), სხვა ზომები, ზედაპირის სიგლუვე და სისუფთავე ერთი ასოს საჭირო რაოდენობის ლიტერების ჩამოსხმის შემდეგ (ერთი მატრიცა უძლებს 20-იდან 50 ათასამდე სხმულს) შრიფტის მატრიცას ცვლიან და ჩამოასხამენ სხვა ასოების ლიტერებს. ავტომატის მწარმოებლურობა (2-იდან 11 ათასამდე ლიტერი 1 სთ-ში) დამოკიდებულია შრიფტის კეგელზე. ჩამოსხმული ლიტერებიდან ასაწყობი ტექსტის გათვალისწინებით აწყობენ შრიფტს. საბეჭდი მასალას ჩამოასხამენ იმავე ავტომატებში, ოღონდ მატრიცების ნაცვლად გლუვ ფორმებს აყენებენ. მსხვილკეგლიანი შრიფტისა და საბარეზო მასალის ჩამოსასხმელად XX ს. 40-იანი წლებიდან იყენებენ აგრეთვე პლასტმასას, რ-იც აიაფებს მასალის თვითღირებულებას, ამცირებს მის მასას, ზრდის ცვეთამედეგობას და აუმჯობესებს ბეჭდვის პირობებს. გ. ფოჩხიძე.

**შრობა,** მყარი, თხევადი და აირისებრი სხეულებიდან წყლის (ტენის) მოცილება შ-ისას. როგორც წესი, სხეულის ტენი უკავშირდება მასალასთან ფიზიკურ-ქიმიურად (ადსორბციულად და ოსმოსურად) და მექანიკურად (მაკრო- და მიკროკაპილარების ტენი). დაკავშირებული ტენი ქიმიურად დაკავშირებული ტენის შ-ით მოცილება არ შეიძლება. ტექნიკაში უფრო ხშირად აშრობენ ტენიან მყარ მასალას მისი გადამუშავების, გამოყენების ან შენახვის წინ. შ მიმდინარეობს როგორც ბუნებრივად (ნელა), ისე ხელოვნურად (სწრაფად). ქიმიით განხილულია მხოლოდ ხელოვნური შ., რ-იც მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის საშრობების გამოყენებით.

შ-ის პირობებს (ტემპ-რა, წნევა, საშრობი აგენტის მოძრაობის სიჩქარე და სხვ.) შეარჩევენ გასაშრობი მასალის ფიზ.-ქიმ. თვისებების მიხედვით. მაგ., სითბოს მიწოდების ხერხის მიხედვით საშრობები არის კონვექციური, კონტაქტური, სუბლიმაციური, მაღალსიხშირული, რადიაციული.

კ ო ნ ვ ე ქ ც ი უ რ  ს ა შ რ ო ბ ე ბ შ ი, ძირითად ვარიანტში, კალორიფერში მაქსიმალურად დასაშვებ ტემპ-რამდე გახურებული საშრობი აგენტი მოძრაობს საშრობში და უშუალოდ ეხება გასაშრობ მასალას (საკვებ პროდუქტებს, სამედ. პრეპარატებს, ქიმ. ნაერთებს და სხვ.). ამ ვარიანტის თავისებურებაა საშრობი აგენტის ერთჯერადი გამოყენება. ზოგიერთი მასალის (მერქნის, კერამ. ნაკეთობების და სხვ.) შ-თვის ხშირად იყენებენ ისეთ საშრობებს, რ-ებშიც ნამუშევარი საშრობი აგენტის ნაწილს ხელახლა იყენებენ. ცეცხლ- და აფეთქებასაშიში მასალის შ-თვის ან გასაშრობი მასალიდან სპირტის, ეთერისა და სხვათა მოცილებისას იყენებენ ინერტული აირების ან ჰაერის ნაკადის შეკრული ცირკულაციის საშრობებს. დოლურ საშრობებში აშრობენ წვრილნატეხოვან და ფხვიერ მასალას. ზოგიერთ საშრობებს იყენებენ მარცვლოვანი მასალის შ-თვის. იგი ერთი ან მრავლობითი შეერთებული რამდენიმე მილისაგან შედგება. ამ მილებში გასაშრობ მასალას გადააადგილებს საშრობი აგენტის ნაკადი. მდუღარე (ფსევდოგათხევადებული) შრის საშრობში მასალა ინტენსიურად აირევა. ასეთ საშრობებს ფართოდ იყენებენ ქიმ. მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში (იხ. აგრეთვე *მდუღარე შრის ღუმელი*). საფრქვევ საშრობებში აშრობენ სითხეებს, რ-ებსაც გააფრქვევენ ცხელი საშრობი აგენტის ნაკადში შეჯან. ან პასტისებრი მასალებით, ფხვიერი და ბოჭკოვანი მასალის შ-ს ატარებენ ლენტურ საშრობებში, გასაშრობი მასალა მოძრაობს უსასრულო ლენტზე, ხოლო საშრობი აგენტი ლენტების გასწვრივ ან განივად გადაადგილდება.

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ (მაგ., ვალცებიან) ს ა შ რ ო ბ შ ი აშრობენ თხევად ან პასტისებრ მასალას ატმ. წნევის პირობებში ან ვაკუუმში. ასეთი საშრობების ძირითადი ნაწილია ნელა (2–10 ბრ/წთ) მბრუნავი ვალცები, რ-ებშიც ღრუ პლეჭნიკიდან შედის ორთქლი და გამოიყოფა კონდენსატი. გასაშრობი მასალა ეკვრება ვალცების ზედაპირს თხელ (1–2 მმ) ფენად და შრება, შემდეგ მას დანებით აფხეკენ.

ს უ ბ ლ ი მ ა ც ი უ რ ი  ს ა შ რ ო ბ ე ბ ი გამოიყენება საკვები პროდუქტებისა და სამედ. პრეპარატების შ-თვის. ასეთ საშრობებში გაყინული მასალის ტენს აცილებენ ვაკუუმში 0°C-მდე ტემპ-რის პირობებში. კამერაში ორთქლდება ტენის საერთო შემცველობის 60–85%. მასალას დარჩენილ ტენს აცილებენ 30–45°C ტემპ-რაზე ვაკუუმ შრობით. გასაშრობ მასალას სითბო გადაეცემა გაცხელებული ზედაპირებიდან ან გასხივებული ეკრანების რადიაციით. სუბლიმაციური შ-ისას პროდუქტზე არ მოქმედებს ჰაერის ჟანგბადი, არ შეირღვევა მისი ზომები, რის გამოც მიღებული პროდუქტი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით, ვიტამინებისა და სხვა ნივთიერებათა შემცველობით ახ. პროდუქტებს უახლოვდება.

მ ა ღ ა ლ ს ი ხ შ ი რ უ ლ  ს ა შ რ ო ბ ე ბ შ ი სპეც. გენერატორით შექმნილი მაღალი სიხშირის დენი გასაშრობ მასალას მთელ სისქეზე ათბობს, რაც აჩქარებს შ-ის პროცესს. შ-ის მსვლელობა ტემპ-რისა და ტენიანობის რეგულირება მასალის მთელ მოცულობაში.

სითხეებს აშრობენ წყლის შემთვისებელი ნივთიერებებით, რ-ებიც არ ურთიერთქმედებენ გასაშრობ სითხესთან.

აირებს აშრობენ აბსორბციული მეთოდით, აგრეთვე ადსორბციული მეთოდებით. აბსორბენტად იყენებენ დიეთილენგლიკოლს, ტრიეთილენგლიკოლს, გლიცერინს, მჟავეთა ხსნარებს და სხვა ხსნარებს. პროცესს ატარებენ აბსორბერში. ძირითადი ადსორბენტებია ბოქსიტები, ალუმოგელი, სილიკაგელი და სხვ. ადვილია მათი რეგენერაცია. აირების შ-თვის მიმართავენ აგრეთვე ტენის კონდენსაციას ან გაყინვას, ან მათ კონტაქტს მყარ ჰიგროსკოპულ ნივთიერებებთან.

ლიტ.: Гуйго Э. И., Журавская Н. К., Каухчешвили Э. И., Сублимационная сушка в пищевой промышленности, 2 изд., М., 1972; Лыков М. В., Сушка в химической промышленности, М., 1970.

**შრომა,** სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი; ადამიანის შეგნებული, მიზანშეწონილი საქმიანობა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. „შრომა არის უწინარეს ყოვლისა პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით შუამავლობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. შრომის პროცესის დასასრულს ღებულობენ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში... უკვე არსებობდა" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 227–228). შ-ის პროცესი ყოველთვის მოიცავს სამ მარტივ მომენტს: მიზანშეწონილ მოქმედებას, ანუ თვით შ-ს, შ-ის საგანსა და შ-ის საშუალებებს. ამ სამი მომენტის შეერთებით იწყება შ-ის პროცესი, რ-ის პროდუქტია სახმარი ღირებულება.

შ-ის პროცესი შინაარსის მიხედვით არის ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედება, თვისებრივად განსაზღვრული მიზნით ფუნქციების ერთობლიობა, რ-იც მიმართულია სახმარი ღირებულების საწარმოებლად. შ-ის შინაარსის ცვლილების მთავარი ფაქტორია მ ე ც ნ ი ე რ უ ლ - ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი  პ რ ო გ რ ე ს ი. წარმოების ავტომატიზაცია იწვევს ცოცხალი შ-ის მოდიფიცირებას წარმოების პროცესში, იზრდება ადამიანის გონებრივი საქმიანობის როლი. მართალია, ადამიანი კვლავ რჩება წარმოების მთავარ ელემენტად, მაგრამ იცვლება შ-ის შინაარსი, იგი რეალიზდება არა მხოლოდ მუშაკის ენერგეტ. ფუნქციაში, არამედ უპირატესად გონებრივ ფუნქციაში. ეს კი ქმნის მატერ. წანამძღვრებს შ-ის ხასიათის ძირეული შეცვლისათვის, მაგრამ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ სოც.-ეკონ. პირობებში.

შრომის პროცესში ორგანულად შეხამებულია ადამიანის ფიზ. მოქმედება და გონებრივი საქმიანობა. ეს არის შ-ის, როგორც შემოქმედებითი პროცესის, ფუნქციონირების ობიექტური საფუძველი. ანტაგონისტურ-ეკონ. ფორმაციებში გონებრივი საქმიანობა გამოეყოფა დამოუკიდებელ სფეროდ და უპირისპირდება ფიზიკურ შ-ს. ჯერ კიდევ მონათმფლობელური წარმოების წესში წარმოიშვა გონებრივი და ფიზ. შ-ს შორის დაპირისპირების ეკონ. საფუძვლები. კაპიტალისტური წარმოების წესი მწარმოებელს აქცევს შ-ის პროცესის მექან. შემსრულებლად, ართმევს მუშაკს შესაძლებლობას იმოქმედოს შეგნებულად. აქ შ-ის პროცესი გვევლინება მხოლოდ არა თუ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად. სოციალ. წარმოების წესი ქმნის შ-ის იმ საზ. ფორმას, რ-იც შეესაბამება შ-ის შინაარსის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

შ-ის სოც.-ეკონ. ხასიათი გამოხატავს შ-სა და მისი საზ. ორგანიზაციის სოც.-ეკონ. ფორმას. პოლიტეკონ. კატეგორიაა არა შ., როგორც ბუნებრივი აუცილებლობა, „არამედ მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი ფორმა, შრომის საზოგადოებრივი წყობა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ შრომაში მათი მონაწილეობის მიხედვით" (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 6, გვ. 324). შ-ის პროცესში ადამიანებს შორის მყარდება განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობა.

წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარება ძირეულად ცვლის შ-ის ხასიათს. შ-ში ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა ტიპში ვლინდება, რომ სოციალიზმის დროს შ. განთავისუფლებულია ექსპლუატაციისაგან. ამ გაგებით, იგი არის შ. თავისუფლად და შ. საზ.-თვის. ეს იმას ნიშნავს, რომ შ., რ-იც მშრომელთათვის მძიმე ტვირთი იყო ყველა ანტაგონისტურ საზ-ბაში, გარდაიქმნა თავისუფალ მწარმოებელთა შემოქმედებით შ-დ. „...მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების საშუალების ნაცვლად ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რამდენადაც იგი პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყველა მიმართულებით განავითაროს და აამოქმედოს ყოველი თავისი უნარი, როგორც ფიზიკური ისე სულიერი, რომელშიც ამგვარად მწარმოებლური შრომა მძიმე ტვირთისაგან სიამოვნებად იქცევა" (ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 381–382). ფ. ენგელსის ამ გამონათქვამის სისწორეს ადასტურებენ ფაქტები (რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობა საბჭოთა კავშირში, საერთო-სახ. სოციალისტური შეჯიბრება და ა. შ.).

შ-ისადმი შეგნებული დამოკიდებულება ერთბაშად და მექანიკურად როდი ეუფლება საზ-ბის ყველა წევრს, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შ-ისადმი დამოკიდებულებაში მეტ-ნაკლებად რჩება წვრილბურჟუაზიული, კერძომესაკუთრული შეხედულება და ჩვევები.

მშრომელთა მუშაობა თავისუფალია და ექსპ-ბისაგან, მათი ერთიანობით (კოლექტ.) აქტ. შემოქმედებითი საქმიანობა წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების ბატონობის პირობებში საზ-ბის ყველა წევრის ცხოვ. თავისუფლების შინაარსია. მათი კოლექტიურობა წარმოების პროცესში არის არა ფიქტიური, არამედ რეალური, რამდენადაც წარმოების ანარქიას, და კონკურენციის კანონი ადგილს უთმობს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის დროს შ. უშუალოდ საზოგადოებრივი ხასიათისა ხდება, ე. ი. ცალკეულ მწარმოებელთა შ. გეგმაზომიერად ერთდება ერთიან საზ. შ-ში. „როგორც კი საზოგადოება საწარმოო საშუალებებს დაეპატრონება და მას უშუალოდ გასაზოგადოებრივებული ფორმით გამოიყენებს წარმოებისათვის თითოეული ცალკე პიროვნების შრომა, როგორ განსხვავებულიც უნდა იყოს მისი სპეციფიკური სასარგებლო ხასიათი, თავიდანვე და უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა გახდება" (იქვე, გვ. 270).

სოციალიზმის დროს შ-ის საზ. ორგანიზაციის განუყოფელი ნიშანია შ-ის საყოველთაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საზ-ბა თავის ყველა წევრს აძლევს შ-ის შესაძლებლობას და ყველა შრომისუნარიანი ადამიანი ვალდებულია იშრომოს საზ-ბის სასარგებლოდ. ეს მოთხოვნა ასახულია პრინციპში: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს". „ეს მოქმედი, უპირატესი და უთვალსაჩინოესი ჭეშმარიტება — სოციალიზმის საფუძველია, მისი ძალის აღმოუფხვრელი წყარო, მისი საბოლოო გამარჯვების მოუსპობელი საწინდარი" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 27, გვ. 474). შ-ის საყოველთაობა სპობს ყველა ანტაგონისტური ფორმაციისათვის დამახასიათებელ იმ უსამართლობას, როცა ექსპლუატატორული კლასები, როგორც წესი, ეწევიან არაშრომით, პარაზიტულ ცხოვრებას და ითვისებენ სხვისი შ-ის შედეგებს. იგი სპობს აგრეთვე უმუშევრობას, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა მტკიცე რწმენას მომავლისადმი. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია სპობს არაშრომითი შემოსავლის მიღების საფუძველს. ყველა მშრომელისათვის მატერ. დოვლათის მიღების წყაროდ იქცევა საზოგადოებრივად სასარგებლო შ-ში აქტიური მონაწილეობა. სოციალ. საზ-ბა ახორციელებს კონტროლს საზოგადოებრივად სასარგებლო შ-ში საზ-ბის ყველა შრომისუნარიანი წევრის მონაწილეობაზე და გადამწყვეტ ბრძოლას უწევს იმ პირთა წინააღმდეგ, რ-ებიც ცდილობენ იცხოვრონ არაშრომითი შემოსავლის ხარჯზე.

სოციალიზმის განვითარების კვალობაზე ღრმავდება შ-ის საყოველთაობის შინაარსი. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება შრომისუნარიანი მოსახლ. დასაქმების დონეს (იხ. შრომითი რესურსები), რ-იც შ-ის საყოველთაობის რაოდენობრივ მაჩვენებელია. სწრაფად იზრდება ქალის დასაქმების დონეც (იხ. ქალის შრომა). შრომისუნარიანი მოსახლ. განსაზღვრული ნაწილი მუშაობს აგრეთვე პირად დამხმარე მეურნეობაში. მათი შ. საზოგადოებრივად სასარგებლო შ-ა, რადგან მათ ხარჯზე კმაყოფილდება საზ. მოთხოვნილებების განსაზღვრული ნაწილი.

სოციალიზმის დროს საზ-ბის ყველა წევრის ეკონომიკური თანასწორობა, შ-ის საყოველთაობა და სავალდებულობა, თანაბარ შ-ზე თანაბარი ანაზღაურება და ა. შ. შ-ს აძლევს სოციალისტურად ერთგვაროვან ხასიათს. მიუხედავად ამისა, სოციალიზმის დროსაც ადგილი აქვს არსებით სოც.-ეკონ. განსხვავებას შ-ში. მაგ., განსხვავებაა ფიზ. და გონებრივ შ-ს შორის. მეტწილად გონებრივი შ-ით დასაქმებული ადამიანები ქმნიან ცალკე სოც. ფენას — ინტელიგენციას. უპირატესად ფიზ. შ-ით დასაქმებული ადამიანები ძირითადად ასრულებენ საშემსრულებლო ფუნქციას. არსებითი განსხვავებაა ქალაქის მუშისა და სოფლის მუშის შ-ს შორის, რაც განპირობებულია როგორც მრეწველობისა და სოფ. მეურნეობას შორის განსხვავებით, ასევე წარმოების საშუალებებზე საკუთრების ორი ფორმის არსებობით და ა. შ.

სხვადასხვა სახის შ-ს შორის არსებული განსხვავება წარმოშობს მისდამი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. შ-ზე მოთხოვნილება ჯერ კიდევ არ გამხდარა ადამიანთა შრომითი საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი მოტივი, გარდა ამისა, საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მატერ. დოვლათის სიუხვის შესაქმნელად. ყოველივე ეს განაპირობებს შ-ის ზომასა და მოხმარების ზომაზე სახელმწ. კონტროლის აუცილებლობას.

სოციალიზმის განვითარების კვალობაზე შ-ში არსებითი განსხვავება თანდათანობით ქრება. თანამედროვე პირობებში საზ. შ-ის ნიშანდობლივი თავისებურებაა მისი მაღალი ტექ. დონე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამაღლება, [illegible]. შ-ის ნაყოფიერების ზრდა, მუშაკთა კვალიფიკაციისა და მისი ზოგადი კულტურის დონის ამაღლება, შრომითს კოლექტივში ამხანაგური ატმოსფეროს შექმნა. მეორე თავისებურებაა შ-ის ეფექტიანობისადმი ახლებური მიდგომა. ახლა არსებითია შ-ის არა მხოლოდ რაოდენობრივი მხარე, არამედ თვისებრივი მხარეც — მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

სოციალ. შ-ის შემდგომი სრულყოფა გამოიწვევს მის გადაზრდას კომუნისტურ შ-ში (იხ. აგრეთვე შრომის დანაწილება, შრომის კოოპერაცია).

**შრომა** (ყოფ. ჯვარისა), სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ბუგეულის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 800 მ, ამბროლაურიდან 9 კმ. ბუგეულის მეურნეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ზნაკვაში (4 კმ). ბ-კა, კლუბი, სამედიცინო პუნქტი, აფთიაქი.

შემონახულია ქვით ხუროთმოძღვრების ძეგლი — განვითარებული შუა საუკ. დარბაზული ეკლესია.

**შრომა** (ყოფ. განძაძიანი), სოფელი გურჯაანის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაან—თელავის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ., კაჩრეთი). ზ. დ. 560 მ, გურჯაანიდან 18 კმ, შრომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1,5 კმ. მევენახეობის საბჭ. მეურნ., ღვინის ქ-ნა. საშ. და სამუსიკო სკოლები, საბავშვო ბაღი, 3 ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი). ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფლიდან 9 კმ-ზე არის ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსი. იხ. გაჩნაძიანი.

**შრომა**, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში, ალაზნის ვაკეზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ., კავშირი) ლაგოდეხის აეროპორტი. ზ. დ. 420 მ, ლაგოდეხიდან 1,5 კმ. კოლ-ბა „ლენინის ანდერძი" (მეცხოველეობა), თამბაქოს, მეხილეობა-მევენახეობისა და სუბტროპ. კულტურების ჯიშთა გამოცდის სადგურები. საშ. სკოლა, პროფტექსასწავლებელი, საბავშვო ბაგა-ბაღი, 2 ბ-კა. კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კავშირგაბმ. განყ-ბა, მეტეოროლ. სადგური.

**შრომა** (ყოფ. მიქელგაბრიელი), სოფელი მახარაძის რ-ნში, მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ., ვაკე, ზედუბანი, [illegible], ორმეთი, ზრიალეთი). ზ. დ. 80 მ, მახარაძიდან 36 კმ, ურეკიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა), ჩაის ფ-კა, საშ. სკოლა, მეგობრობის მუზეუმი, ბ-კა, კლუბსახლი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**შრომა** (ყოფ. მიხაილოვკა), სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. აღმოსავლეთის გუმისთის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ., ამზარა, აფიანდა, ზედანი, კამანი, მთისუბანი, ნაშმარა, სტარუშკინო, ტბეთი, ქვალონი, წყურგილი). ზ. დ. 270 მ, სოხუმიდან 10 კმ. კოლ-ბა „გამარჯვება" (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა). კირის ქ-ნა, დაწყ. და საშ. სკოლები, ბ-კა, კლუბსახლი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფლის მახლობლად არის შრომის მღვიმე.

„**შრომა**", ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1881—83 ქუთაისში (ქუთაისში გამოცემული პირველი ქართ. გაზეთი), პროგრ. ახალგაზრდობის ორგანო, რ-იც იდგა ეროვნ. განთავისუფლების პოზიციაზე. სულ გამოვიდა 90 ნომერი. რედ.—დ. დადიანი, გამომცემლები—დ. დადიანი, დ. ნაზაროვი.

**შრომა-აღმზრდელობითი კოლონია**, შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც სასჯელად დანიშნულ თავისუფლების აღკვეთას იხდიან არასრულწლოვანები. შ.-ა. კ. ორი სახისაა: საერთო რეჟიმის კოლონია და გაძლიერებული რეჟიმის კოლონია. საერთო რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანები, რ-ებსაც პირველად დაედოთ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის ან 3 წლამდე მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე იხდის სასჯელს ყველა მდედრობითი სქესის მსჯავრდებული არასრულწლოვანი. გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან არასრულწლოვანები, რ-ებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე ისინი, რ-ებსაც მსჯავრი დაედოთ თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის. მსჯავრდებული, რ-მაც ბოროტად დაარღვია რეჟიმის მოთხოვნები, კანონით დადგენილი წესით შეიძლება გადაიყვანონ საერთო რეჟიმის კოლონიიდან გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზ. საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის შ.-ა. კ-ში, ნაცვლად გაძლიერებული შ.-ა. კ-ისა.

საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდექსში გათვალისწინებულია ნორმები, რ-ებშიც შ.-ა. კ-ის რეჟიმისა და სასწ.-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები გადაწყვეტილია არასრულწლოვანის ორგანიზმისა და ფსიქიკის თავისებურებათა გათვალისწინებით (იხ. საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდ., მმ. 36—40). გ. ტყეშელაძე.

**შრომა-გასწორების კოდექსი**, ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რ-ითაც განსაზღვრულია სასამართლოს განაჩენით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და გამასწორებელი სამუშაოების მოხდისა და აღსრულების წესები და პირობები. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას თავისი შ.-გ. კ. აქვს.

საქ. სსრ-ში შ.-გ. კ. მიღებულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1971 წ. 9 დეკემბერს. იგი სრულად შეესაბამება სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების 1969 მიღებულ საფუძვლებს, ამასთან, შეიცავს ზოგიერთ ახ. ნორმას, რ-იც ხსენებული საფუძვლების მიხედვით მოკავშირე რესპ. კომპეტენციის საგანს

წარმოადგენს საქ. სსრ შ.-გ. კ. შედგება 8 კარისა და 23 თავისაგან. I-ელ კარში ასახულია კოდექსის ამოცანები, სსრკ და საქ. სსრ კომპეტენცია შრომა-გასწორების კანონმდებლობის დარგში, სივრცეში კანონმდებლობის გამოყენების წესი, სასჯელის მოხდის საფუძვლები. მომდევნო, მე-2—მე-6 კარში გათვალისწინებულია ნორმები თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების სასჯელის აღსრულების შესახებ. მე-7 კარში გადმოცემულია ნორმები სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძვლებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი დახმარების, მათი მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის შესახებ. მე-8 კარი დათმობილი აქვს ნორმებს მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდაში საზ-ბის მონაწილეობის შესახებ. *გ. ტყეშელაძე.*

**შრომა-გასწორების კოლონია,** შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც ათავსებენ იმ სრულწლოვანს, რ-საც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით კანონში განსაზღვრულია თუ რომელი სახის შ.-გ. კ-ში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი. მსჯავრდებულ მამაკაცთა მიერ სასჯელის მოსახდელად არსებობს საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის შ.-გ. კ.; მსჯავრდებული ქალები სასჯელს იხდიან ან საერთო რეჟიმის, ან მკაცრი რეჟიმის შ.-გ. კ-ში. რეჟიმის სახის მიხედვით დაწესებულია სასჯელის მოხდის შესაბამისი პირობები.

შ.-გ. კ-დ ითვლება კოლონია-დასახლებაც. არსებობს აგრეთვე კოლონია-დასახლება იმ პირთათვის, რ-ნიც მსჯავრდებულნი არიან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის გამო (იხ. საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდ., მ. 22—27). *გ. ტყეშელაძე.*

**შრომა-გასწორების სამართალი,** საბჭ. სამართლის დარგი, რ-იც შეიცავს სასჯელის მოხდისა და აღსრულების მომწესრიგებელ ნორმათა სისტემას. საბჭ. შ.-გ. ს-ის ნორმათა ერთი ნაწილი შეიცავს ფუძემდებლურ პრინციპებს, ზოგად დებულებებსა და ცნებებს. სოციალ. დემოკრატიზმის პრინციპი გამოიხატება შ.-გ. ს-ის ნორმებისა და ინ-ტების შემუშავებაში ხალხ. მასების მონაწილეობაში, შ.-გ. ს-ის ზემოქმედების დემოკრ. ხასიათში, შ.-გ. ს-ის ურთიერთობების სუბიექტად მსჯავრდებულის აღიარებაში. ამ პრინციპის გამოვლინებაა ისიც, რომ საზოგადოებრიობას აქვს მონაწილეობის უფლება მსჯავრდებულ პირთა გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდაში, კანონით დადგენილი წესით კონტროლს უწევს სასჯელის აღმასრ. ორგანოების საქმიანობას. საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ასახულია კანონიერების პრინციპი (მ. 10), რ-ის თანახმადაც, სასჯელის აღმასრ. ორგანოების საქმიანობა დამყარებულია კანონების მკაცრ დაცვაზე. სოციალ. ჰუმანიზმის პრინციპი გამოიხატება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ შრომა-გასწორებითი კანონმდებლობა მიზნად ისახავს სოციალ. საზ-ბის, მისი წევრების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდექსის ამოცანაა (მ. 1) უზრუნველყოს სისხლისსამართ. სასჯელის აღსრულება ისე, რომ ეს იყოს არა მარტო დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი აგრეთვე ასწორებდეს და ხელახლა ზრდიდეს მსჯავრდებულებს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალ. საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, არიდებდეს ახ. დანაშაულს როგორც მსჯავრდებულებს, ისე სხვა პირებს, აგრეთვე ხელს უწყობდეს დანაშაულობის აღმოფხვრას. სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზ. ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას (მ. 1). საბჭ. შ.-გ. ს-ისთვის დამახასიათებელია აგრეთვე დარწმუნებისა და იძულების, მსჯავრდებულთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით სასჯელის აღსრულების დიფერენციაციის, თითოეულ მსჯავრდებულზე ინდივ. ზემოქმედების, მსჯავრდებულთა გამოსწორებაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის უპირატესობის და სხვ. პრინციპები. ხსენებული პრინციპები ძირითადად ასახულია სსრკ შრომა-გასწორების სამართ. კანონმდებლობის საფუძვლებში (1969) და შრომა-გასწორების კოდექსში. *გ. ტყეშელაძე.*

**შრომადღე,** საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნეთა შრომითი დანახარჯებისა და განაწილებულ შემოსავალში მათი წილობრივი მონაწილეობის საზომი. შემოიღეს 1930—31 წლებში, მოქმედებდა 1966-მდე. შ-ის შემოღებამ გამორიცხა გათანაბრება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში. გამომუშავებული შ-ის რაოდენობით განისაზღვრებოდა თითოეული კოლმეურნის შრომითი მონაწილეობა საზ. მეურნეობაში. შ-ში შრომის თვისებრივი შეფასება სირთულის მიხედვით აისახებოდა სამუშაოს დიფერენცირებაში. შ. იყო შრომის მიხედვით განაწილებისა და კოლმეურნეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება, რაც ნათლად აისახა შრომის სავალდებულო მინიმუმის შემოღებაში. კოლ-ბების განმტკიცებამ გამოიწვია შ-ის გამოყენების გარეშე შრომის ყოველთვიურ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე გადასვლა (1966-იდან).

**შრომატევადობა,** გამოშვებული პროდუქციის ერთეულზე აუცილებელი სამუშაო დროის დანახარჯი. შ. შრომის ნაყოფიერების შებრუნებული მაჩვენებელია, ეყრდნობა მთავარი საწარმოო ძალის — შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. პროდუქციის შ. (Q) გამოიანგარიშება პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული დროის (T) შეფარდებით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან (N). შ-ის განსაზღვრის ზოგადი ფორმულაა $Q=T:N$. შ-ის მაჩვენებელი გაიანგარიშება ნატურალური გამოხატულებით და გამოიყენება შემდეგი საზომი ერთეულები: წამი, წუთი, საათი, კილოგრამი, ტონა და სხვ.

ამჟამად, გამოყენებულია შ-ის შემდეგი მაჩვენებლები: ტექნოლ., წარმოების მომსახურების, საწარმოო, წარმოების მართვისა და სრული.

განასხვავებენ ნორმატიულ, გეგმიურსა და ფაქტობრივ შრომითს დანახარჯებს, ყველაზე უფრო გავრცელებულია ნორმატიული შ., რ-ის სიდიდეზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი: წარმოების ტექნ. დონე, წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, მოქმედი ნორმების სისტემა და სხვ.; საზ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პროდუქციის შ-ის შემცირება, შ-ს დიდად შეამცირებს ხელით შრომის შეცვლა მანქანური შრომით. საქართვ. მრეწველობაში ხელით შრომით დასაქმებულია მუშების მთლიანი რაოდენობის 58%-ზე მეტი. XI ხუთწლედში შრომის მექანიზაციის გადიდებით რესპ. სახ. მეურნეობაში პირობითად გამოთავისუფლდა 100,0 ათ. კაცზე მეტი. 1980—84 რესპუბლიკის სახ. მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 16,7%-ით, შესაბამისად შემცირდა შ-ც. *ჯ. ადეიშვილი.*

**შრომაუუნარობა,** შრომის უნარის უქონლობა დაინტერესებულის მდგომარეობის გამო, ასაკთან დაკავშირებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ხარისხის მიხედვით არჩევენ სრულსა და ნაწილობრივ შ-ს; შრომითი საქმიანობის მიხედვით — საერთოსა და პროფესიულს; შრომის უნარის აღდგენის პერსპექტიულობის თვალსაზრისით — დროებითსა და მუდმივს (მყარს). დროებითი შ. მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა მუშაკი დაკარგავს შრომის უნარს ავადმყოფობის ან სახიჩრობის გამო და იმ შემთხვევასაც, როცა თვითონ შრომაუნარიანია, მაგრამ შრომითი მოვალეობის შესრულებისაგან ათავისუფლებენ ინფექციის გავრცელების საშიშროების გამო ან ოჯახის წევრის მოვლისა თუ სანატორიულ-კურორტული მკურნალობისათვის. დროებითი შ., როცა ამას ადასტურებს სამკურნ. დაწესებულების ექიმი, იძლევა შრომითი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლებისა და სოციალური დაზღვევის ხარჯზე შემწეობის (დახმარების) უფლებას (იხ. *შრომაუუნარობის ფურცელი*). მუდმივი შ-ის დროს, როცა ავადმყოფი იძულებულია შეწყვიტოს მუშაობა ან მნიშვნელოვნად შეცვალოს შრომის პირობები, წესდება ინვალიდობა, შ. ჯგუფისა და შეზღუდვის დადგენის, შრომის პირობათა სფეროში სხვადასხვა შეღავათების მიცემის, პენსიის დანიშვნის, საყოფაცხოვრებო და სამედ. მომსახურებისა და სხვ. მიზნით, ძირითადი პირობაა.

**შრომითი აღზრდა,** ადამიანის მომზადება შრომითი საქმიანობისათვის, ცხოვრებისათვის; შრომის მეშვეობით ზნეობრივი თვისებების ფორმირება; კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილი. შ. ა. პიროვნების ყოველმხრივი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, იგი მიზნად ისახავს შრომისმოყვარეობის გრძნობის, ყოველგვარი შრომითი საქმიანობისათვის მზადყოფნის ჩვევების ფორმირებას, შრომისათვის პრაქტ. და ფსიქოლ. მომზადებას. მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომით სწავლებასთან, რ-იც ხორციელდება ყველა ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში. სსრკ-ში შ. ა-ის მიზნის განხორციელებას განაპირობებს სოციალ. წარმოებითი ურთიერთობა, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკა, ხალხის მატერ. კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ზრდა და სხვ.

კაცობრიობის ისტ. სხვადასხვა ეტაპზე შ. ა. სხვადასხვა შინაარსითა და ფორმით ხორციელდებოდა. მონათმფლობელურ საზ-ბაში შრომისადმი აჩვევდნენ დაბალი ფენების ახალგაზრდობას, „თავისუფლად დაბადებულნი" კი, პირიქით, შრომისა და მშრომელებისადმი ზიზღის გრძნობას აღუზრდიდნენ. ფეოდ. საზ-ბაშიც შრომა ყმა გლეხების უცილობელი ხვედრი იყო. საყოველთაო შრომითი აღზრდის იდეა XVI—XVII სს. სოციალისტ-უტოპისტებმა (ტ. მორი, ტ. კამპანელა) წამოაყენეს, მაგრამ ეს იდეები იდეებად დარჩა. შ. ა-ის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს ი. ა. კომენსკიმ, ჯ. ლოკმა, ჟ.-ჟ. რუსომ, რ. ოუენმა, ი. ჰ. პესტალოცემ, კ. უშინსკიმ, ი. გოგებაშვილმა. თანამედროვე ბურჟ. პედაგოგიკაში პოპულარობით სარგებლობს გ. კერშენშტაინერისა და ჯ. დიუის იდეები შ. ა-ისა და შრომის სკოლის შესახებ. ბურჟ. სკოლა დაინტერესებულია აღზარდოს საშუალო კვალიფიკაციისა და დისციპლინირებული შემსრულებლები. აშშ-ის, ინგლ., გფრ-ისა და სხვა კაპიტალ. ქვეყნების სკოლებში შრომა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ცენტრად იქცა, რამაც მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საქმეს ზიანი მიაყენა



სქ. ჩანთოსნები. 1. ჩრდილოამერიკული ოპოსუმი; 2. ჯუჯა ჩანთოსანი თაგვი; 3. კოპლებიანკუდა ჩანთოსანი კვერნა; 4. დიდი ჩანთოსანი თხუნელა; 5. ჩანთოსანი ჭიანჭველაჭამია; 6. ნოცურალა; 7. ქუსლითმავალი; 8. კოალა; 9. ჯუჯა ჩანთოსანი ფრენია; 10. დიდი რუხი კენგურუ; 11. მუხლური კენგურუ; 12. ზოლებიანი კენგურუ; 13. ჯუჯა მფრინავი კუსკუსი; 14. ბოცვრისებრი ბანდიკუტი; 15. ზოლებიანი ბანდიკუტი; 16. აღმოსავლეთავსტრალიური ჩანთოსანი მაჩის კურდღელი; 17. ჩანთოსანი ეშმაკი; 18. ხალებიანი კუსკუსი; 19. ჩანთოსანი მგელი; 20. ტასმანიური ვომბატი.




სუ. ხავსები. ანთოცეროტოვანი ხავსები: 1. *Anthoceros punctatus*; ღვიძლის ხავსები: 2. *Riccia glauca*; 3. *Conocephalum conicum*; 4. *Marchantia polymorpha*; ფოთლოვანი ხავსები: 5. *Dicranum scoparium*; 6. *Funaria hygrometrica*; 7. *Mnium undulatum*; 8. *Sphagnum palustre*; 9. *Sphagnum recurvum*; 10, 11. *Splachnum rubrum*; 12. *Splachnum luteum*; 13. *Polytrichum commune*; 14. *Fontinalis antipyretica*; 15. *Bryum marratii*; 16. *Rhytidiadelphus triquetrus*; 17. *Ptilium crista-castrensis*

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პედაგოგიკაში შეიმუშავეს პოლიტექნ. სწავლების ცნება, რომელიც შ. აღზ. მთავარი შემადგენელია. ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა პოლიტექნ. სწავლების იდეა. სკკპ VIII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში მითითებული იყო საბჭ. სკოლებში უფასო, საყოველთაო, ზოგადი და პოლიტექნ. განათლების განხორციელება, შრომასთან სწავლების მჭიდრო დაკავშირების აუცილებლობის შესახებ. შ. აღზრდისა და პოლიტექნ. სწავლების პრობლემები ფართოდ გააშუქეს საბჭ. პედ. კლასიკოსებმა მ. კალინინმა, ნ. კ. კრუპსკაიამ, ა. ლუნაჩარსკიმ და ა. მაკარენკომ.

შრომითი ჩვევების დაუფლება, შრომისმოყვარეობის აღზრდა, ახალგაზრდობის პროფორიენტაცია სსრკ-ში ხორციელდება ამ ზოგადსაგანმან. სკოლებში როგორც სწავლებისას, ისე კლასგარეშე მუშაობის პროცესში.

საქ. სს სსრ-ში, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ათასობით მოსწავლე და სტუდენტი მონაწილეობს შრომით რაზმებში. ისინი წარმატებით შრომობენ როგორც რესპ., ისე მის ფარგლებს გარეთ — ყაზ. სსრ და რსფსრ კოლ-ებში, საბჭ. მეურნეობებში, მშენებლობებზე.

სასამართლო პრაქტიკის სფეროში შ. ა-ს იყენებენ როგორც სამართალდამრღვევთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ერთ-ერთ მეთოდს.

ლიტ.: [illegible] ა., საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საშუალებაში, თბ., 1970; [illegible]ანიაშვილი გ., შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და შეგნებული დისციპლინა, თბ., 1961.

**შრომითი დავა**, საბჭ. სამართლის მიხედვით არ ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის წარმოშობილი უთანხმოება შრომის კანონმდებლობის გამოყენების ან შრომის პირობების დადგენის შესახებ. შ. დ-ის განხილვა ეწყობა შ. დ-ის განხილვის წესის თაობაზე [illegible] დამტკიცებული დებულების საფუძველზე (სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1974, № 21 22, მ. 326). შ. დ-ს განიხილავენ: საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შექმნილი შ. დ-ის კომისიები, პროფკავშირული კომიტეტები, რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოები. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შ. დ-ს [illegible] წესით განიხილავენ ზემდგომი ორგანოები. შ. დ-ის კომისიები საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იქმნება პროფკავშირული კომიტეტისა და საწარმოს (ორგანიზაციის) მეთაურის წარმომადგენელთაგან თანაბარი რაოდენობით. იქ სადაც არ არის პროფკომიტეტი, შ. დ-ის კომისია იქმნება პროფკავშირული ორგანიზაციისა და საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის შემადგენლობით. შ. დ-ის კომისია შ. დ-ს განმხილველი აუცილებელი პირველადი ორგანოა, მაგრამ იგი უფლებამოსილი არ არის განიხილოს ზოგიერთი ისეთი დავა, რ-იც შეეხება გამომუშავების, თანამდებობრივ ხელფასისა და სატარიფო განაკვეთის, შეღავათების შეფასებას, დასხმარებისა და პრემიების დანიშვნას, ადმინისტრაციის კანონსაწინააღმდეგოდ დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენას და სხვ.

შ. დ-ს რ-ს სახ. სასამართლოში იხილავენ, თუ მუშაკი არ ეთანხმება პროფკავშირული კომიტეტის დადგენილებას, უშუალოდ კი — სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევაში.

ნ. წერეთელი.

**შრომითი დიდების ორდენი**, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 18 იანვრის ბრძანებულებით დაწესებული ორდენი. შ. დ. ო-ით აჯილდოებენ მუშ., ტექნიკოსს, მშენებლობის მუშაკს და წარმოების ოსტატებს, კოლმეურნეებსა და სოფ. მეურნ. მუშაკებს მრავალი წლის თავდადებული შრომისათვის. შ. დ. ო. 3 ხარისხისაა: I, II და III. ორდენის უმაღლესი ხარისხია I ხარისხი. სამივე ხარისხის ორდენი მზადდება ვერცხლისაგან. შ. დ. ო-ს ატარებენ მკერდის მარცხ. მხარეს, ლენინის ორდენის გვერდით. ის. ჩანართი სტატიასთან ორდენები სსრ კავშირისა.

**შრომითი თერაპია**, შრომითი პროცესების გამოყენება სამკურნალო მიზნით. ზოგიერთი დაავადების დროს შ. თ-ს მიმართავენ ორგანიზმის ტონუსის ასაწევად, ნივთიერებათა ცვლის მოსაწესრიგებლად. ამისათვის შ. თ. ტარდება სუფთა ჰაერზე (მაგ., ბაღში). ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში კიდურების ფუნქციის აღსადგენად იყენებენ შრომის სახეებს, რ-ებიც მოითხოვს გარკვეული მოძრაობის შესრულებას და კიდურების გარკვეული ჯგუფების მონაწილეობას. შ. თ. უმეტესად ინიშნება ფსიქიატრიაში ავადმყოფების ფსიქიკაზე დადებითად ზემოქმედების მიზნით. თანდათანობით მზარდი შრომითი პროცესები წვრთნის და ამაღლებს კომპენსატორულ მექანიზმებს და აიძულებს ავადმყოფს საწარმოო პირობებში შრომაზე გადასვლას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, კოლექტიურ ღონისძიებებში ჩართვას დიდი სამკურნ.-პროფილაქტ. მნიშვნელობა აქვს. სსრკ-ში ფსიქიატრიულ დაავადებული ავადმყოფების შ. თ. რეგულარულად ტარდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, დისპანსერებში, სადაც შექმნილია სამკურნ. შრომითი სახელოსნოები; ამ სახელოსნოების შტატში შედიან ექიმები და მედდები, რ-ებიც მეთვალყურეობას უწევენ ავადმყოფებს, უტარებენ მათ მედიკამენტურ მკურნალობას, აძლევენ შრომით რეკომენდაციებს და სხვ.

**შრომითი კოლონია არასრულწლოვანთათვის**, სსრკ-ში 1935—69 შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც თავისუფლების აღკვეთისათვის დანიშნულ სასჯელს იხდიდნენ 18 წლის ასაკამდე მსჯავრდებულები. 1969-იდან არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში.

**შრომითი რესურსები**, ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რ-საც სახალხო მეურნეობაში მუშაობისათვის აქვს აუცილებელი ფიზიკური განვითარება, გონებრივი შესაძლებლობა და ცოდნა. სოციალ. ქვეყნებში შ. რ. გეგმაზომიერად გამოიყენება, რაც გამორიცხავს უმუშევრობას. სსრკ-ში დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში შ. რ-ს მიეკუთვნება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლ. (16—59 წლის მამაკაცები, 16—54 წლის ქალები) აქ არ შედიან არამომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდები, აგრეთვე ის პირები, რ-ებიც მოხუცებულობის პენსიას ღებულობენ შეღავათიან პირობებში (5—10 წლით ადრე), სახ. მეურნეობაში დასაქმებული აღნიშნულზე უფროსი და უმცროსი ასაკის მოსახლეობა.

შ. რ-ის რაოდენობისა და შემადგენლობის დინამიკა განისაზღვრება მოსახლ. ბუნებრივი და მექან. მოძრაობით. როგორც წესი, რაც უფრო სწრაფად მატულობს მოსახლეობა, მით უფრო სწრაფად იზრდება შ. რ. და პირიქით (იხ. ცხრ. № 1).

ცხრ. 1. სსრკ მოსახლეობის რაოდენობა და სსრკ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საშუალო წლიური რიცხვი

| | 1940 | 1965 | 1970 | 1975 | 1980 | 1984 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლ. რაოდენობა (მლნ. კაცი) | 194,1 | 232,2 | 241,7 | 253,3 | 264,5 | 273,8 |
| ზრდა (%) 1940 წელთან 100 | — | 119,6 | 124,5 | 130,5 | 136,3 | 140,8 |
| ზრდა (%), წინა პერიოდთან შედარებით | — | 119,6 | 104,1 | 104,8 | 104,4 | 103,6 |
| მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი (მლნ. კაცი) | 33,9 | 77,0 | 90,2 | 102,2 | 112,5 | 116,8 |
| ზრდა (%), 1940 წელთან 100 | — | 227,1 | 266,0 | 301,4 | 331,8 | 344,5 |
| ზრდა (%), წინა პერიოდთან შედარებით | — | 226,7 | 117,2 | 113,2 | 110,1 | 110,1 |
| კოლმეურნეები (მლნ. კაცი) | 29,0 | 18,9 | 16,6 | 15,0 | 13,1 | 12,7 |

ცხრილიდან ჩანს, რომ შ. რ-ის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აჭარბებს ქვეყნის მოსახლ. ზრდის ტემპს. ეს ძირითადად აიხსნება სახ. მეურნეობაში ქალის შრომის ხვედრითი წილის გადიდებით. მაგ., 1940 მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში ქალების წილი იყო 39% (13 190 ათ.), 1945 წ.— 56% (15 920 ათ.), 1960 წ —47% (29 250 ათ.), 1965 წ. — 49% (37 680 ათ.), 1980 წ. — 51% (57 569 ათ.), 1984 წ.—51% (59669 ათ.). მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში ქალების წილი ყველაზე მეტია ვაჭრობასა და საზ. კვებაში — 83%, ჯანდაცვაში, ფიზკულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში — 82%, სახ. განათლებაში — 75%, კულტურაში —74%, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში— 45%(5,7 მლნ. კოლმეურნე ქალი). ცალკეულ პირთა კმაყოფაზე იმყოფება მოსახლ. 30,6%, პენსიონერთა რაოდენობა მოსახლ. 19,76% (1986 წ).

შ. რ-ის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობა ასაკისა და სქესის მიხედვით. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მომუშავეთა წილი მოცემულია № 2 ცხრილში.

ცხრ 2 შრომითი რესურსების შემადგენლობა ასაკისა და საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულთა წილის მიხედვით (1979 წ)

| ასაკობრივი ჯგუფები | მომუშავეთა ხვედრითი წილი საზოგადოებრივ მეურნეობაში (%) |
|---|---|
| 20 წლამდე ასაკისა | 40%-ზე ნაკლები |
| 20—29 წლისა | 87 |
| 30—39 „—„ | 94 |
| 40—49 „—„ | 92 |
| 50—54 „—„ | 80 |
| 55—59 „—„ | 43 |
| 60 წლისა და მეტი | 9 |

შ. რ-ის გამოყენების დაგეგმვა ითვალისწინებს შრომის ეფექტიანობის განუხრელ ზრდას და სახ. მეურნ. უზრუნველყოფას საჭირო ძალით. დიდი ყურადღება ექცევა მუშაკთა განათლების დონის ამაღლებას. მაგ., 1939 სახ. მეურნეობაში დასაქმებულთა 1000 კაციდან უმაღლესი და საშ. (სრული და არასრული) განათლება მხოლოდ 123 კაცს ჰქონდა, 1959 წ. — 433, 1970 წ. — 653, 1979 წ — 805, ხოლო 1984 წ — 868 კაცს. 1984 წ დასაწყისში 155,3 მლნ. კაცს ჰქონდა უმაღლესი და საშ. (სრული და არასრული) განათლება.

შ. რ-ის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შრომითი რესურსების ბალანსი.

**შრომითი რესურსების ბალანსი**, სსრკ სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენელი ნაწილი, ახასიათებს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას და შეიცავს შრომითი რესურსების გამოყენების მაჩვენებელთა სისტემას. შ. რ. ბ-ში ასახულია შრომითი რესურსების რიცხვი, მისი [illegible] შემადგენლობა სქესის, ასაკის, სოც. ჯგუფების, დასაქმების სფეროების, პროფესიებისა და სახ. მეურნ. დარგების მიხედვით.

შ. რ. ბ. აერთიანებს კრებსით ბალანსს, კერძო ბალანსებსა და ბალანსურ ანგარიშებს (მოსახლეობის შრომის გამოყენების ბალანსი, კოლმეურნეების სამუშაო ძალის ბალანსი, მუშებსა და მოსამსახურეებზე დამატებითი მოთხოვნილების ბალანსური გაანგარიშება).

შრომითი რესურსების კრებსით ბალანსში აისახება: 1. შრომითი რესურსების რაოდენობა, მ. შ. შრომისუნარიანი მოსახლ. რაოდენობა შრომისუნარიან ასაკში. 2. შრომითი რესურსების განაწილება: სახ. მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი სოც. ჯგუფებისა (მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები) და დარგების მიხედვით; მოსწავლეთა რაოდენობა; დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა. კრებსით ბალანსში აისახება აგრეთვე შრომითი რესურსების განაწილება მატერ. წარმოების სფეროსა და არამატერ. წარმოების სფეროს შორის და თითოეულის შიგნით. კრებსითი ბალანსი დგება როგორც ქვეყნის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით. ცალ-ცალკე დგება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. შ. რ. ბ. არ უნდა გავაიგივოთ სამუშაო ძალის ბალანსთან. ეს უკანასკნელი ასახავს მხოლოდ მუშაკთა გამოყენებას. შ. რ. ბ. კი ქვეყნისა და მისი ცალკეული რ-ნის ყველა შრომითი რესურსების გამოყენებას (არამომუშავეთა ჩათვლით).

კერძო ბალანსები მოწოდებულია დაასაბუთოს კრებსითი ბალანსის ცალკეული მაჩვენებელი და გაითვალისწინოს ის, რაც აუცილებელია საგეგმო პერიოდში სამუშაო ძალაზე სახ. მეურნ. მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შ. რ. ბ. დაკავშირებულია საწარმოო ძალების განლაგების გეგმასთან. რ-შიც გათვალისწინებულია სამუშაო ძალის რეზერვები.

**შრომითი რესურსების გეოგრაფია,** მოსახლეობის გეოგრაფიის ერთ-ერთი დარგი, შეისწავლის მუშახელისა და სპეციალისტების ტერიტ. განლაგებას კონტინენტებსა და ქვეყნებში, აგრეთვე თითოეული ქვეყნის შიგნით. შრომითი რესურსები სხვადასხვა რეგიონში მოსახლ. პროპორციულად არ არის განლაგებული. რადგან მათი რაოდენობა და შემადგენლობაზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ტერიტ. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, ეს უკანასკნელი კი ბუნებრივად დამოკიდებულია შობადობისა და სიკვდილიანობის ნორმებზე, აგრეთვე მიგრაციის პროცესებზე. შ. რ. გ-თან მჭიდროდაა დაკავშირებული მეურნ. და კულტ. ცალკეული დარგების განვითარება. წარმოების თითოეული დარგი მოითხოვს გარკვეული სპეციალობის მქონე შრომით კონტინგენტებს; ამასთან დაკავშირებით შრომითი რესურსები და წარმოება ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. წარმოება იზიდავს შრომით რესურსებს, თავის მხრივ შრომითი რესურსების არსებობა ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება შრომითი რესურსების გარკვეული ტერიტ. განლაგება და მუდმივად მიმდინარეობს მათი გადანაწილება სხვადასხვა რეგიონს შორის, განსაკუთრებით თითოეული ქვეყნის შიგნით. ფართო ხასიათი აქვს შრომითი რესურსების მიზიდვას სოფლიდან ქალაქად, მთიანი რ-ნებიდან — ბარში. შრომითი რესურსების განლაგებასა და შემადგენლობაში დიდი ცვლილებები გამოიწვია სსრკ-ში მრეწვ. ახ. კერების შექმნამ, ყამირი მიწების ათვისებამ, ახ. ქ-ების წარმოქმნამ, ზოგადად — ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წარმოების სტრუქტურის სხვაობამ და განვითარების ტემპებმა. შ. რ. გ-ის ერთ-ერთი საგანია მუშახელის დასაქმებისა და სახ. მეურნეობაში მისი განაწილების ტერიტ. სხვაობათა დადგენა.

გ. ჯაოშვილი.

**შრომითი ღირებულების თეორია,** მეცნიერული კონცეფცია, რ-იც საქონლის ღირებულების სიდიდეს განსაზღვრავს მის წარმოებაზე დახარჯული შრომის მიხედვით. ბურჟ. პოლიტ. ეკონ. თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქონლის ღირებულების წყაროდ მიიჩნევდა კონკრეტული შრომის ამა თუ იმ სახეს: უ. პეტი — ძვირფასი ლითონების წარმოებაზე დახარჯულ შრომას; მერკანტილისტები — ექსპორტის საექსპორტო დარგებში დახარჯულ შრომას; ფიზიოკრატები — სოფ. მეურნეობაში დახარჯულ შრომას. პეტიმ პირველმა გამიჯნა საქონლის საბაზრო ფასი და ღირებულება. პირველს იგი უწოდებდა „პოლიტიკურ ფასს", მეორეს კი „ბუნებრივ ფასს". პეტი ცდილობდა შ. ღ. თ-ის საფუძველზე აეხსნა სხვადასხვა მოვლენას შორის რაოდენობრივი დამოკიდებულება მაგრამ ერთიმეორეში ურევდა საქონლის ღირებულებასა და სახმარ ღირებულებას. პეტი სწორად აღნიშნავდა, რომ შრომა არ არის წარმოებული სახმარი ღირებულების ერთადერთი წყარო. იგი შრომას სიმდიდრის „მამას", ხოლო მიწას სიმდიდრის „დედას" უწოდებდა. ამავე დროს მცდარი იყო პეტის აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ნივთის შეფასება საერთო დაყვანილი იყო ბუნებრივ მნიშვნელობამდე — მიწასა და შრომამდე. პეტის ეს შეცდომა იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი ვერ ხედავდა საქონელში განივთებული შრომის ორმაგ ხასიათს. ა. სმითის აზრით, საქონლის ღირებულება იქმნება მატერ. წარმოების ყველა დარგში. იგი ერთიმეორისაგან განასხვავებდა საქონლის ბუნებრივსა და საბაზრო ფასს, აგრეთვე სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას: „სიტყვა ღირებულებას... აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა. პირველს შეიძლება ვუწოდოთ სახმარი ღირებულება, მეორეს — საცვლელი ღირებულება" (ს მ ი თ ი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1, თბ., 1938, გვ. 39). სმითი საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა აუცილებელი შრომის რაოდენობით. საქონლის ღირებულების განსაზღვრაში სმითი თანამიმდევრული არ არის. მან წამოაყენა მეორე კონცეფცია, რ-ის მიხედვით, საქონლის ღირებულება განისაზღვრება „შრომის ღირებულებით", ანუ „ხელფასით". მასვე ეკუთვნის მცდარი შეხედულება, თითქოს „ხელფასი, მოგება და რენტა არის თავდაპირველი წყარო ყოველი შემოსავლის, ისე როგორც ყოველი საცვლელი ღირებულებისა" (იქვე, გვ. 60). პირველ კონცეფციას ა. სმითიავრცელებდა მარტივ სასაქონლო მეურნეობაზე, მეორეს კი — კაპიტალ. სასაქონლო მეურნეობაზე. კლასიკურ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში შ. ღ. თ-მ უმაღლეს საფეხურს მიაღწია დ. რიკარდოს შრომებში. მან იგი გამოიყენა კაპიტალ. საზ-ბის ეკონ. წყობილების ამოსავალ მეთოდოლოგ. პუნქტად. „წინააღმდეგ ადამ სმითისა, დავიდ რიკარდომ გარკვევით გამოთქვა საქონლის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით და დაამტკიცა, რომ ეს კანონი ბატონობს ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობაზე" (მ ა რ ქ ს ი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, წიგნ. 1, თბ., 1950, გვ. 66), მაგრამ დ. რიკარდო საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა წარმოების უარეს პირობებში საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით. რიკარდოს კონცეფციისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა ღირებულების კანონსა და ზედმეტი ღირებულების კანონს შორის. მისი აზრით, გაცვლის სფეროში ირღვევა ღირებულების კანონის მოთხოვნები, ადგილი აქვს არაეკვივალენტურ გაცვლას და მის საფუძველზე კაპიტალ. მოგების წარმოშობას. ასევე დ. რიკარდომ ვერ შეძლო აეხსნა საშ. მოგებისა და წარმოების ფასის კატეგორიები. მან ვერ გაიგო, რომ წარმოების ფასი არის ღირებულების გარდაქმნილი ფორმა.

დ. რიკარდომ აღნიშნა, რომ წარმოების საშუალებები არ ქმნიან ღირებულებას. მათ მხოლოდ გადააქვთ თავისი ღირებულება ახლად წარმოებულ პროდუქტზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში შრომა მიჩნეულია ღირებულების ერთადერთ წყაროდ, მაგრამ რიკარდომ ვერ შეძლო აეხსნა ახ. საქონელზე მთ. ღირებულების გადატანის პროცესი, ამიტომ გაიზიარა ა. სმითის შეხედულება იმის შესახებ, რომ ღირებულება იშლება შემოსავლებად.

დ. რიკარდომ ვერ გაიგო აბსტრ. შრომის არსი, საქონელში განივთებული შრომის ორმაგი ხასიათი. მას აინტერესებდა მხოლოდ საქონლის „შეფარდებითი ღირებულება" ე. ი. საცვლელი ღირებულება. იგი იკვლევდა ღირებულების მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს; არ გამოუკვლევია ღირებულების თვისებრიობა. რიკარდოს „...აზრადაც არ მოსდის, რომ შრომათა მარტოოდენ რაოდენობრივი განსხვავება გულისხმობს მათს თვისებრივ ერთიანობას ან ტოლობას, მაშასადამე, მათ დაყვანას აბსტრაქტულ შრომაზე" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 106).

შ. ღ. თ-ის დამუშავებაში წვლილი შეიტანეს წვრილბურჟ. პოლიტ. ეკონ. წარმომადგენლებმა (ჟ. შ. ლ. სისმონდი, პ. ჟ. პრუდონი და სხვ.).

შ. ღ. თ-ის მეცნ. დასაბუთება, მისი თანამიმდევრული და ყოვლისმომცველი დახასიათება მოცემულია კ. მარქსის ეკონ. მოძღვრებაში. კ. მარქსმა შრომის ორმაგი ხასიათის (იხ. საქონელი) კონცეფციის საფუძველზე მეცნიერულად ახსნა საქონლის ორმაგი ბუნების საიდუმლოება. კ. მარქსმა გადაწყვიტა საქონლის ღირებულების სოც. არსის პრობლემა და ღირებულება დაახასიათა როგორც სპეციფ. საზ. წარმოებითი ურთიერთობა. კ. მარქსმა გადალახა ინდივიდ. ღირებულებისა და საზ. ღირებულების აღრევის ადრე არსებული შეხედულებანი და გადაწყვიტა საქონლის ღირებულების სიდიდის პრობლემა. მან აგრეთვე ბოლო მოუღო დაბნეულობას საქონლის ღირებულების სტრუქტურის გაგებაში და აჩვენა, რომ საქონლის ღირებულება შეიცავს წარმოებულ საქონელზე გადატანილ მოხმარებული წარმოების საშუალებების ღირებულებას (c) და ახლად შექმნილ ღირებულებას (v+m). ამ პრობლემის გადაწყვეტის საფუძველზე კ. მარქსმა მოგვცა ღირებულების სიდიდისა და სტრუქტურის რაოდენობრივი კავშირი საწარმოო ძალების განვითარების დონესთან. კ. მარქსმა პირველმა პოლიტ. ეკონომიკაში გადაჭრა ღირებულების გამოვლინების ფორმის ანუ საცვლელი ღირებულების პრობლემა. მისი დასკვნით, საქონლის ღირებულების გამოვლინების ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა მისი დაპირისპირებულობა — სახმარი ღირებულება, რომ ღირებულება შეფარდებით გამოიხატება საქონლის სახმარი ღირებულების რაოდენობაში. ამრიგად, გზა გაეხსნა ღირებულების ფორმების ისტ. პროცესის მეცნ. შესწავლას. კ. მარქსმა გადაჭრა კლასიკური ბურჟ. პოლიტ. ეკონომიისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა ღირებულების კანონსა და ზედმეტი ღირებულების კანონს შორის, ღირებულების კანონსა და მოგების საშ. ნორმის კანონს შორის და აჩვენა, რომ წარმოების ფასი და საშ. მოგება სპეციფ. ღირებულებითი ფორმებია. კ. მარქსის მიერ დამუშავებული შ. ღ. თ. საფუძვლად დაედო მისი ზედმეტი ღირებულების თეორიას, რ-საც ვ. ი. ლენინმა კ. მარქსის ეკონ. მოძღვრების ქვაკუთხედი უწოდა.

*ვულგარული პოლიტიკური ეკონომია* ცდილობდა და ცდილობს შ. ღ. თ-ის უარყოფას. ამ მიზნით იგი თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამა თუ იმ კონცეფციებს აყენებს (იხ. სტ. *ღირებულების ბურჟუაზიული თეორიები*).

**ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘ,** სსრკ-ში ნორმატიული აქტი, რ-იც აწესრიგებს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაკთა ერთობლივ შრომას საწარმოო პროცესში. შ. შ.-ის მიზანია ხელი შეუწყოს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და საზ. წარმოების ეფექტურობას. შ. შ-ს ადგენს საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი შინაგანაწესის საფუძველზე (საქ. სსრ შრომის კანონთა კოდექსი. მ. 130). შ. შ. შეიცავს შემდეგ განყ-ებს: ზოგადი დებულებანი, მუშა-მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის წესი, მათი ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის მოვალეობა, სამუშაო დრო და მისი გამოყენება, მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის წახალისება, პასუხისმგებლობა შ. შ.-ის დარღვევისათვის. სახ. მეურნ. ზოგიერთ დარგში (მაგ., სარკინიგზო, საწყლო, საჰაერო ტრანსპორტზე) მოქმედებს წესდებები დისციპლინის შესახებ.

**ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ,** მშრომელისა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის შეთანხმება, რ-ითაც მშრომელი ვალდებულებას იღებს შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის ან თანამდებობის მიხედვით, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს მშრომელს გადაუხადოს ხელფასი და უზრუნველყოს იგი შრომის იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებით. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რ-იც შ. ხ-ით არ არის გათვალისწინებული. შ. ხ-ის პირობები ბათილია, თუ ისინი აუარესებენ მუშაკის მდგომარეობას შრომის კანონმდებლობის ნორმებთან შედარებით ან ეწინააღმდეგებიან მას. შ. ხ. იდება როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით (მხოლოდ არაუმეტეს 3 წლისა), აგრეთვე გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით. შ. ხ. შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. სამუშაოზე მიღება ფორმდება ადმინისტრაციის ბრძანებით. შ. ხ-ის შეწყვეტა ხდება: მხარეთა შეთანხმებით; ვადის გასვლის გამო; მუშაკის სამხ. სამსახურში გაწვევის ან შესვლის გამო; მუშაკის ინიციატივით (რის შესახებაც ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს წერილობით 2 თვით ადრე); პროფკავშირული ორგანოს (არანაკლებ რ-ნულისა) მოთხოვნით; სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საფუძველზე და სხვ.

*ნ. წერეთელი.*

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ,** რსფსრ სახკომსაბჭოს ორგანო, რ-იც წარმართავდა ეკონ. კომისარიატებისა და ყველა უწყების საქმიანობას ქვეყნის თავდაცვის დარგში. შეიქმნა 1920 აპრილში. მოქმედებდა სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით. მისი ორგანოები ადგილებზე იყვნენ საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო ეკონ. თათბირები. 1921 მაისში ვ. ი. ლენინმა შეადგინა „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის" (პროექტი) (თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 476—507). შ. და თ. ს-ში შედიოდნენ სახკომსაბჭოს თავ-რე (შ. და თ. ს-ს თავ-რე) და სახ. კომისრები — სამხ. საქმეთა, მიმოსვლის გზათა, მიწათმოქმედების, სურსათის, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის (მგი), სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) თავ-რე, საკავშ. ცენტრ. საბჭოს პროფესიული კავშირების (საცსპკ) წარმომადგენელი, ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს (ცსს) მმართველი (სათათბირო ხმით). შ. და თ. ს-ს პირველი თავ-რე იყო ვ. ი. ლენინი. 1937 წ. 28 აპრ. სსრკ ცაკის დადგენილებით შ. და თ. ს. გაუქმდა. მისი ფუნქციები გადაეცა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონ. საბჭოს.

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ,** იხ. *შრომის მიხედვით განაწილების კანონი.*

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ,** შრომის ანაზღაურება კოლექტივის (ბრიგადა, საამქრო, უბანი) შრომის შედეგების მიხედვით, სსრკ-ში განსაკუთრებით გავრცელდა მრეწვ. და მშენებლობის დარგებში. შ. ა. კ. ფ.-ის დროს გამომუშავებული თანხა ნაწილდება მუშის ნამუშევარი დროისა და სატარიფო თანრიგის გათვალისწინებით.

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ,** შრომის მიხედვით განაწილებისათვის გათვალისწინებული მატერიალური და ფულადი რესურსების ერთობლიობა. იქმნება სკკპ ცკ და სსრკ მინ. საბჭოს დადგენილებისა (16. V. 1966) და კოლ-ბის სანიმუშო წესდების 28, 29, 36—38 პუნქტების შესაბამისად. მისი შედგენილობა და ზრდა იგეგმება შრომის ანაზღაურების დებულებისა და კოლ-ბის საწარმოო-ფინანს. გეგმის შესაბამ. არსებული მითითებების შესაბამისად. კოლ-ბა პროდუქტის რეალიზაციისაგან მიღებულ შემოსავალს პირველ რიგში, იყენებს შრომის ანაზღაურების ფონდის შესავსებად (იხ. *შრომის ანაზღაურების ფორმა კოლმეურნეობებში*).

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ,** შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური ფორმა, რ-ის თავისებურება განპირობებულია წარმოების საშუალებებზე კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმით. კოლ-ბების ჩამოყალიბების დასაწყისში კოლმეურნეთა საზ. შრომაში მონაწილეობისა და შემოსავლის განაწილებაში მათი წილობრივი მონაწილეობის ძირითადი საზომი შრომადღე იყო.

კოლ-ბებში წარმოებული პროდუქცია მუშაკთა კოლექტივს ეკუთვნის, ამიტომ შრომის ანაზღაურების ფონდის წყაროა მოცემული მეურნეობის მთლიანი შემოსავალი. შრომის ანაზღაურების ფონდი კოლ-ბათა მთლიანი ნატურალური და ფულადი შემოსავლის ნაწილია.

შ. ა. ფ. კ. ხასიათდება ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების შეხამებით. იმისდა მიხედვით, თუ როგორია მეურნ. განვითარების დონე, შრომის ორგანიზაციის ფორმები და წარმოების სხვა პირობები, გამოიყენება შრომის ანაზღაურების სანარდო, დროითი, აკორდული, აკორდულ-პრემიული, სანარდო-პრემიული და დროით-პრემიული სისტემები (იხ. *ხელფასი*).

სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წ 16 მაისის დადგენილების („საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ") შესაბამისად, ამავე წლის 1 ივლ-იდან შემოღებულია კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება საბჭ. მეურნ. შესაბამისი მუშათა სატარიფო განაკვეთის საფუძველზე.

კოლ-ბის საწარმოო-ფინანსურ გეგმაში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების ფულადი და ნატურალური ფონდი. შრომის ანაზღაურება წარმოებს ფულით ყოველთვიურად, ხოლო ნატურით პროდუქციის შემოსავლის მიხედვით. შემოსავლის განაწილების დროს პირველ რიგში გამოიყოფა სახსრები შრომის ანაზღაურებაზე.

გარანტირებული ფულადი ანაზღაურება სათანადო სახსრების უქმარისობის შემთხვევაში იფარება სახელმწ. ბანკის კრედიტის ანგარიშზე, რ-იც მიეცემათ 5 წლის ვადით (დაფარვა იწყება მესამე წლიდან). სეზონის მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე სახსრების უქმარისობის დასაფარავად კოლ-ბებს შეუძლიათ ისარგებლონ მოკლევადიანი საბანკო კრედიტით.

*ლ. გეგეჭაძე.*

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ,** იხ. *შრომითი რესურსების ბალანსი.*

**ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ,** დაწესებულება, რ-იც ახორციელებს შუამავლის ფუნქციას მუშებსა და მეწარმეებს შორის სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. წარმოიშვა XIX ს. I ნახევარში (გერმანია, ინგლისი) და გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. XX ს. დასაწყისში ინგლისში დაწესდა საერთო ეროვნ. შ. ბ.; სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში შრომის დაქირავების ფუნქციას ძირითადად ახორციელებს სახელმწ. შ. ბ., რ-იც ექვემდებარება შრომის სამინისტროს. მის პარალელურად კაპიტალ. ქვეყნებში არსებობს ფასიანი კერძო სააგენტოები (კანტორები).

სსრკ-ში შ. ბ. არსებობდა საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში მან დიდი როლი შეასრულა მოსახლ. სამუშაოთი დასაქმების უზრუნველყოფაში 1930 დასასრულს სსრკ-ში უმუშევრობა ლიკვიდირებულ იქნა, რის გამოც შ. ბ-მ არსებობა შეწყვიტა.

**„ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ" ᲯᲒᲣᲤᲘ,** პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაცია, არსებობდა 1883 წ. 1 (13) სექტ. — 1903 აგვ. ჟენევაში, მის შემადგენლობაში შედიოდნენ გ. პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, პ. აქსელროდი, ლ. დეიჩი, ვ. იგნატოვი. ჯგუფის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო გ. პლეხანოვი. 1884 დაპატიმრების გამო ჯგუფს ჩამოსცილდა დეიჩი, 1885 გარდაიცვალა იგნატოვი. 1883-მდე „შ. გ." ჯ-ის წევრები ადრე ხალხოსნები (ე. წ. ჩერნოპერედელელები) იყვნენ. მუშათა მოძრაობის აღმოცენებამ და ხალხოსნური მოძრაობის მარცხმა დღის წესრიგში დააყენა ახ. რევ. თეორიის ჩამოყალიბება. პლეხანოვი და მისი თანამოაზრეები ემიგრაციაში გაეცნენ დას. ევრ. მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, შეისწავლეს მეცნ. სოციალიზმის თეორია, რამაც აიძულა ისინი ძირეულად გადაეხედათ თავიანთი რევ. პრაქტიკისათვის. „შ. გ." ჯ-მა წამოაყენა თავისი ძირითადი მიზნები და ამოცანები: 1. კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და მათი თანამოაზრეთა მნიშვნელოვანი ნაშრომების გადათარგმნა რუს. ენაზე 2. ნაროდნიკობის კრიტიკა და რუს. საზ. ცხოვრების პრობლემების დამუშავება მარქსიზმის თეორიის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ 1882 პლეხანოვმა თარგმნა რუს. ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". შემდგომში ჯგუფმა თარგმნა და გამოსცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მრავალი ნაშრომი, რ-ებსაც 80—90-იან წლებში სწავლობდნენ რუს. პირველ ს.-დ. ორგანიზაციებში და რ-ებმაც დიდი როლი ითამაშეს რევ. ახალგაზრდობის მარქსიზმისაკენ შემობრუნების საქმეში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პლეხანოვის შრომებს: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა" (1883), „ჩვენი უთანხმოებანი" (1885) და სხვ.

„შ. გ." ჯ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ეკონომიზმთან" ბრძოლაში. 1901—03 გამოვლინდა ვ. ი. ლენინისა და პლეხანოვს შორის იდეური უთანხმოებანი, რაც გამძაფრდა რსდმპ II ყრილობის შემდეგ და რამაც რუს. სოციალ-დემოკრატები მიიყვანა ბოლშევიკებად და მენშევიკებად გათიშვამდე. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა

„შ. ბ.“ ჯ-ის შეცდომებზე, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა იმაში, რომ ჯგუფი არ იყო დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან, რომ მისი წევრებისათვის არ იყო ნათელი რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებები და რუს. სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული ამოცანები II ინტერნაციონალისაგან განსხვავებული ახ. ტიპის პარტიის შექმნაში. „შ. ბ.“ ჯ-ის და უპირველესად პლეხანოვის დამსახურებად ვ. ი. ლენინი მიიჩნევდა ნაროდნიკების, „ლეგალური მარქსისტების“, საერთაშ. რევიზიონიზმისა და ანარქიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე იმას, რომ მან რუს. რევოლუციონერებს გააცნო მეცნ. სოციალიზმის რაობა. მარქსიზმის ისტორიას რუსეთში ვ. ი. ლენინი იწყებდა „შ. ბ.“ ჯ-ის დაარსების მომენტიდან.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., ტომი-4, ტ. 1, გვ. 214—221, ტ. 4, გვ. 275—78, 330—37; სკკპ ისტორია, თბ., 1974.

**შრომის გასაზოგადოება,** ინდივიდუალური შრომის პროცესის გარდაქმნა საზოგადოებრივად, რაც დაკავშირებულია შრომის დანაწილების განვითარებასთან და ინდივიდუალური წარმოების საშუალებების კოლექტიური წარმოების საშუალებებით შეცვლასთან.

პირველყოფილ საზ-ბაში საწარმოო ძალების განვითარებამ გამოიწვია შრომის ინდივიდუალიზაცია, ერთობლივი შრომის დარღვევა. წარმოიშვა ინდივიდ. გლეხური და ხელოსნური მეურნეობები. ინდივიდ. შრომა განსაკუთრებით გავრცელდა ფეოდალიზმის დაშლის პერიოდში. სასაქონლო წარმოების განვითარებასა და შრომის დანაწილების გაღრმავების პირობებში შეიქმნა უფრო სრულყოფილი წარმოების საშუალებები, რ-ებიც ადამიანთა ერთობლივ შრომას საჭიროებდა. დამოუკიდებელი გლეხური და ხელოსნური მეურნეობების ნაცვლად აღმოცენდა კაპიტალ. მანუფაქტურა, შემდეგში კი — კაპიტალ. ფ-კა. სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების განვითარების წყალობით შ. გ. გამოვიდა ერთი ფ-კის ჩარჩოდან. საბოლოოდ მთელი საზ. წარმოება გადაიქცა ერთ მთლიან ორგანიზმად, რ-შიც ყველა მისი რგოლი ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა არა მარტო შრომის ტექნიკ. დანაწილებით, არამედ თვით წარმოების პროცესში შრომის დანაწილებით. შ. გ-მ მიაღწია მსოფლიო მეურნ. აღმოცენებამდე.

საზ-ბის განვითარების გარკვეულ ეტაპზე კაპიტალიზმის პროგრ. როლი გამოვლინდა შ. გ-ში, მისი ნაყოფიერების ამაღლებაში. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში შ. გ. დაკავშირებულია ანტაგონისტური წინააღმდეგობის განვითარებასთან, ამიტომ იგი არ შეიძლება იქამდე განვითარდეს, რომ მოიცვას საზ-ბის ცხოვრების ყველა სფერო, დარგი და ქვეყანა.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი ამოცანაა შ. გ-ის ამაღლება. სოციალიზმის პირობებში შ. გ-ის პროცესი ღრმავდება საწარმოო ძალების განვითარებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საფუძველზე. შ. გ-ის შედეგად ერთი ქვეყნის მთელი საზ. მეურნ. და შემდეგში ყველა სოციალ. ქვეყანა გადაიქცევა ერთიან წარმოებად, კომპლექსად, რ-ისთვისაც დამახასიათებელი იქნება მრეწვ. და სოფ. მეურნ. განვითარების მაღალი დონე.

არაკაპიტალ. ფორმით შ. გ-ის განვითარების შესაძლებლობა წარმოიშვა განვითარებად ქვეყნებშიც, სოციალ. ქვეყნების დახმარების საფუძველზე მსხვილი სახელმწიფოებრივი საწარმოების მშენებლობისა და საწარმოო კოოპერირების შექმნის გზით.

*ლ. გაპრინდაძე.*

**შრომის გარანტირებული ყოველთვიური ანაზღაურება კოლმეურნეობებში,** იხ. *შრომის ანაზღაურების ფორმა კოლმეურნეობებში*.

**შრომის გეოგრაფიული დანაწილება,** იხ. *შრომის ტერიტორიული დანაწილება*.

**შრომის დანაწილება,** საზოგადოებრივი შრომის ისტორიულად განსაზღვრული სისტემა, რ-იც ყალიბდება საზოგადოების განვითარების პროცესში შრომითი საქმიანობის თვისებრივი დიფერენციაციის შედეგად. არსებობს შ. დ-ის სხვადასხვა ფორმა. შ. დ. შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულ დონეს. იგი შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. შ. დ. გულისხმობს ადამიანთა საქმიანობის გაცვლასაც. განასხვავებენ შ. დ-ს საზ-ბის შიგნით და საწარმოს შიგნით. შ. დ-ის ეს ორი სახე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. საზ. წარმოების დანაწილებას წინ მსხვილ საქმიანობად (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მრეწველობა და ა. შ.) კ. მარქსმა უწოდა ზოგადი შ. დ., ხოლო ამ საქმიანობის დაყოფას სახეებად და ქვესახეებად — კერძო შ. დ., საწარმოს შიგნით შ. დ-ს კი — ცალკეული შ. დ. განასხვავებენ აგრეთვე შრომის ტექნიკ. დანაწილებასა და შრომის საერთაშ. დანაწილებას.

კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში შ. დ. უმთავრესად ხასიათდებოდა შრომის მარტივი კოოპ. ფორმით. ეს არსებითად ნატურალური მეურნ. ბატონობით.

კაპიტალ. ფორმაციის ჩამოყალიბებასთან ერთად შ. დ-მა არნახული ზრდა. შ. დ-ის ანალიზი მოცემულია ა. სმითის შრომებში. იგი თვლიდა შ. დ-ის მეცნ. თეორიის ფუძემდებლად. მისი აზრით, შ. დ-ის მთავარი შედეგია მუშაკის შრომის ნაყოფიერების ზრდა. იგი ხელს უწყობს მუშაკის კვალიფიკაციის ზრდას და ახ. ტექნიკის დანერგვას. ამის გამო შ. დ. ა. სმითთან გამოდის ეკონ. განვითარების წამყვან ძალად. ამასთან ა. სმითი ეხებოდა შ. დ-ის ნეგატიურ მხარეებსაც. შრომის საერთაშორისო დანაწილების ანალიზის დროს ა. სმითი ამტკიცებდა ვაჭრობისა და მეწარმეობის თავისუფლების აუცილებლობას. შრომის საერთაშ. დანაწილების თეორიის შემდგომი განვითარება არსახა დ. რიკარდოს მოძღვრებაში, რ-მაც წამოაყენა ე. წ. შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ხ ა რ ჯ ე ბ ი ს კონცეფცია.

შ. დ-ის ჭეშმარიტად მეცნ. თეორია მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში, რ-ებშიც ლაპარაკია შ. დ-ის ისტ. აუცილებლობასა და პროგრესულობაზე. ახსნილია ექსპლუატატორულ საზ-ბაში შ. დ-ის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი და მოცემულია ამ წინააღმდეგობათა გადალახვის გზები.

შ. დ-ის განმსაზღვრელი პირობაა მოცემული ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დონე, თავის მხრივ, იგი ხელს უწყობს ტექ. პროგრესს, შრომის ნაყოფიერების ზრდას. შ. დ. გავლენას ახდენს წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაზეც. მაგ., შრომის პირველი დიდი საზ. დანაწილების შედეგად აღმოცენდა მესაკუთრეობრივი წყობილება. შ. დ-თან არის დაკავშირებული ქალაქისა და სოფლის შორის დაპირისპირებულობის წარმოშობა, სასაქონლოწარმოების აღმოცენება და ა. შ.

მანქანური ინდუსტრ. წარმოქმნასა და განვითარებას თან ახლდა შ. დ-ის გაღრმავება. კაპიტალიზმის დროს შრომის გასაზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა მრეწვ. ახ. დარგების წარმოშობა და წარმოების სპეციალიზაცია. შ. დ. წარმოიშობა აგრეთვე კაპიტალ. საწარმოს შიგნით. შ. დ-ის სტიქიური განვითარება ამწვავებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას — წინააღმდეგობას წარმოების საზ. ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტ. ფორმას შორის. კაპიტალიზმის განვითარება განაპირობებს ეროვნ. მეურნეობების დაახლოებას, შრომის საერთაშ. დანაწილების განვითარებას, მაგრამ ეს პროცესი მიმდინარეობს ხალხთა ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ბაზაზე.

ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს იქმნება შ. დ-ის პრინციპულად ახ. სისტემა. წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარება ხდის შ. დ-ის ექსპლუატატორულ საფუძვლებს აქ. შ. დ. ატარებს გეგმაზომიერ ხასიათს და ვლინდება ადამიანთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფორმით, საზ. წარმოების დარგებს შორის, ცალკეულ საწარმოებს ან ცალკეულ მუშაკებს შორის. არსებობს აგრეთვე შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება (იხ. აგრეთვე *სტატიები შრომის ტერიტორიული დანაწილება, შრომის საერთაშორისო დანაწილება, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, საწარმოო ძალთა განლაგება*).

**შრომის დანაწილება კაპიტალიზმის დროს,** იხ. *შრომის დანაწილება*.

**შრომის დანაწილება სოციალიზმის დროს,** იხ. *შრომის დანაწილება*.

**შრომის დაცვა,** ეკონომიკურ, ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემა, რ-იც უზრუნველყოფს მომუშავეთა უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების უზრუნველყოფას. სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, პროფ. დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. სახელმწიფოს ზრუნვა შ. დ-თვის კონსტიტუციურ პრინციპადაა აღიარებული (სსრკ კონსტ., მმ 21, 42). შ. დ-ის ძირითადი დებულებანი ასახულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებში. შ. დ-ის ნორმებს შეიცავს აგრეთვე შრომითი შინაგანაწესი. შ. დ-ის დებულებანი დაკონკრეტებულია უსაფრთხოების ტექ. წესებში, აგრეთვე საწარმოო სანიტ. და შრომის ჰიგიენის ნორმებში. ორგანიზმზე საწარმოო გარემოს მავნე ზემოქმედებისგან დასაცავად უსასყიდლოდ მუშებს, დადგენილი წესის მიხედვით, საწარმოს ხარჯზე ეძლევათ სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, სპეცკვება, სამკურნ.-პროფილაქტ. საკვები. შ. დ-ის ნორმების შესრულებას კონტროლს უწევენ პროფკავშირები, შრომის ტექ. და სამართ. ინსპექციები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული სახელმწ. ორგანოები. შ. დ-ის საერთო კანონმდებლობის დაცვაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებს სსრკ პროკურატურა.

**შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ თ ა ს რ უ ლ ი ა დ ს ა კ ა ვ შ ი რ ო ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს ი, დაარსდა თბილისში 1931 საქართვ. სახალხო კომისარიატის შრომის ჰიგიენის ლაბორ. ბაზაზე. ინ-ტის სამეცნ. კვლევის მთავარი მიმართულებაა საწარმოებში შრომის პირობების გაჯანსაღება, ტრავმატიზმისა და პროფდაავადებათა შემცირება, ნორმატიული დოკუმენტაციის დამუშავება. ინდივიდ. დაცვის საშუალებათა შექმნა და სხვ. ინ-ტში არის 13 ლაბორ., სპეც. საკონსტრუქტორო ბიურო და საცდელი წარმოება. ინ-ტი სსრკ-ში მთავარი და მაკოორდინირებელი ორგანიზაციაა საწარმოო პროცესების უსაფრთხოების დაცვისა და მართვის საკითხებში. ინ-ტის სამეცნ. შრომები ქვეყნდება თემატურ კრებულებში, რ-ებიც გამოდის 1974-იდან.

*ი. ცინცაძე.*

**შრომის დისციპლინა,** ერთობლივი, კოლექტიური შრომისათვის აუცილებელი წესრიგი, რ-იც განმტკიცებულია სამართლებრივ და სხვა სოციალური ნორმებით. ვ. ი. ლენინი შ. დ-ის დაცვას პირდაპირ უკავშირებდა სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. იგი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ უსასტიკესი ორგანიზაცია და

რად სტიქიურად და გეგმაზომიერად. სოციალიზმის დროს გეგმაზომიერება შ. კ-ის წამყვანი ფორმაა. აქ მოქმედებას განაგრძობს ღირებულების კანონი, როგორც გეგმიანი მეურნ. ერთ-ერთი კანონი.

შ. კ. ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას მრავალი ფაქტორის ზეგავლენის შედეგად. ეს ფაქტორებია: მასში ახ. საწარმოო ძალის წარმოქმნა, ზოგჯერ ცვლილება გადასვლა რაოდენობრიობიდან თვისებრიობაში; კოოპერაციას თან ახლავს წარმოების საშუალებების ეკონომია იმასთან დაკავშირებით, რომ ხდება წარმოების საშუალებების განსაზოგადოება, მისი სარგებლიანობა იზრდება ღირებულებაზე სწრაფად. შრომის საგნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპლექსურად და სრულად. კოოპერაცია გზას უხსნის შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას (შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, სამუშაო დროის დაკარგვის შემცირება, შეჯიბრების განვითარება), კოოპერაცია უზრუნველყოფს შრომის ერთიანობას და აღრმავებს მის დანაწილებას.

შ. კ-ის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მეთოდია მართვა. მართვა შრომის ერთ-ერთი ფუნქციაა. „ყოველი უშუალო საზოგადოებრივი ანუ კოლექტიური შრომა, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს იგი, ერთი მხრივ, - ამყარებს ინდივიდუალურ მოქმედებათა ჰარმონიას" და, მეორე მხრივ, „ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინარეობენ მისი დამოუკიდებელი მოძრაობისაგან განსხვავებით. ცალკეული მევიოლინე დირიჟორი თვითონ ლოტბარობს თავის თავს, ორკესტრი ლოტბარს საჭიროებს" (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 420). მართვის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას ხელს უწყობს სოციალ. დისციპლინა და სოციალისტური შეჯიბრება. დისციპლინა არის მართული პროცესების ერთიანობის დადგენის ფორმა. იგი მთელის ცალკეული ნაწილის ფუნქციონირების განსაზღვრული წესია. განასხვავებენ შრომით, ტექნოლ., ფინანს. და სხვ. დისციპლინას. შრომის სოც. კოოპერაცია ისტორიულად არსებული კოოპ. უმაღლესი ფორმაა. მისი უპირატესობის საფუძველია წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების არსებობა, მართვის ორგანიზაცია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე, რაც პირველად ცვლის როგორც დისციპლინის, ასევე შეჯიბრების ხასიათს. შეჯიბრება შ. კ-ის პროგრესის ერთ-ერთი ფაქტორია.

სოციალ. შ. კ-ის ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია.

**შრომის მეცნიერული ორგანიზაცია,** შრომის ორგანიზაციის სრულყოფის პროცესი, რ-იც დაფუძნებულია მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებზე. შ. მ. ო. ჩვეულებრივ გულისხმობს ცალკეულ შრომის კოლექტივში (მაგ. საწარმოში) ცოცხალი შრომის გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესებას. მაგრამ სოციალიზმის დროს მეურნ. მიდგომა ითვალისწინებს შრომის ორგანიზაციის სრულყოფას მთელ სახ. მეურნეობაში (იხ. *შრომის ორგანიზაცია*).

მუშაობა შრომის ორგანიზაციის ახ. მეთოდების გამოყენების საფუძველი დაუდო ფ. უ. ტეილორმა (იხ. *ტეილორიზმი*). ამჟამად მრავალი კაპიტალ. საწარმოსათვის დამახასიათებელია შრომის მაღალი ორგანიზაცია. მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „შრომას ფაბრიკის შიგნით კაპიტალი აწყობს და აწესრიგებს მუშის კიდევ უფრო დასაჩაგრავად, იაფისი მოგების გასადიდებლად, ხოლო საზოგადოებრივ წარმოებაში რჩება და იზრდება ქაოსი..." (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 20, გვ 178).

შ. მ. ო. სოციალ. წარმოებითი ურთიერთობის ეკონ. კატეგორიაა. იგი ერთიანებს საზ-ბისა და მისი ცალკეული წევრის ინტერესებს.

შრომის რაციონალური ორგანიზაციის პრობლემები მეცნ. საფუძველზე წამოაყენა ვ. ი. ლენინმა. უკვე 20-იანი წწ დასაწყისში ქვეყანაში მოქმედებდა შ. მ. ო-ის საკითხებზე მომუშავე 60-ზე მეტი სამეცნ.-კვლ. ორგანიზაცია. მათგან წამყვანი ადგილი ეკავა შრომის ცენტრ. ინ-ტს, რ-საც ხელმძღვანელობდა ა. გასტევი. საქ. კომისარიატთან შეიქმნა შ. მ. ო-ის საბჭო, რ-საც თავმჯდომარეობდა ფ. კუპრაშვილი (1923). შ. მ. ო-ის პროპაგანდასა და გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა პ. კერჟენცევმა.

შ. მ. ო-ის სფეროში შემდგომი მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დამკვრელური ბრიგადების მოძრაობასთან, სტახანოვური მოძრაობის განვითარებასთან და სხვ. შ. მ. ო-ის ფართოდ დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკკპ ცკ სექტ. პლენუმმა (1965) და სკკპ მომდევნო ყრილობებმა.

70-იანი წწ. დასაწყისში ქვეყანაში ჩამოყალიბდა შ. მ. ო-ის დაგეგმვის სისტემა. „მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმა" გახდა საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმის დამოუკიდებელი ნაწილი. დანერგილია საწარმოების სახელმწ. სტატისტ. ანგარიშგება შ. მ. ო-ის გეგმის შესრულებაზე და ა. შ. 1971-იდან სსრკ სახ. მეურნ. განვითარების გეგმაში შემოიღეს სპეც. განყ-ბა „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა". ამჟამად სამინისტროები და უწყებები დარგობრივი მასშტაბით აყენებენ შ. მ. ო-ის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, საწარმოებში შექმნილია შ. მ. ო-ის სპეც. სამსახურები, არსებობს საკავშ. დარგობრივი და რესპ. ცენტრები.

საწარმოში შ. მ. ო-ის განხორციელება გულისხმობს კოლექტივში შრომის დანაწილებისა და კოოპ. ფორმების სრულყოფას, სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მომსახურების გაუმჯობესებას, შრომის რაციონალური ხერხების და მეთოდების დამუშავებასა და დანერგვას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, შრომის მატერ. და მორალური სტიმულირების გაუმჯობესებას, შრომის ნორმირების, შრომის პირობების სრულყოფას, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას. *ი. დოკოშიძე, ა. მღებლიძე.*

**შრომის მიხედვით განაწილების კანონი,** შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების კანონი, სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონი, რ-ის მიხედვით მოხმარების საგნების ინდივიდ. ნაწილი მუშაკთა მიერ ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში შეტანილი წვლილის შესაბამისად ნაწილდება.

განსხვავებული კვალიფიკაციისა და ინტენსიური შრომისათვის მუშები განსხვავებულ ანაზღაურებას კაპიტალიზმის დროსაც იღებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს შ. მ. გ. კ-ის მოქმედებას: ჯერ ერთი, შექმნილი დოვლათის უდიდეს ნაწილს კაპიტალისტები ითვისებენ ერთობლივ საზ. კაპიტალში მათი წილისა და მათ მიერ მოპოვებული პოზიციების ძალაუფლების შესაბამისად, ე. ი. განაწილების მთავარი ფორმა იქ კაპიტალის მიხედვით განაწილებაა; მეორე, მუშათა შრომის ანაზღაურებას არეგულირებს სამუშაო ძალის ღირებულების კანონი.

შ. მ. გ. კ. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში მოქმედებს. სწორედ იგი აძლევს წარმოების მუშაკებს სტიმულს, რაც შეიძლება მეტი შრომითი წვლილი შეიტანონ საზ. დოვლათის შექმნაში და დახარჯული შრომის პროპორციულად მიიღონ ანაზღაურება. კომუნიზმის დროს საწარმოო ძალები ისე განვითარდება და ისეთ ხასიათს მიიღებს, რომ დოვლათის შესაქმნელად და მოსახმარად მისი მიღების ინდივიდ. ინტერესი შეერწყმება კოლექტ., საზ. ინტერესს, შრომა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა და შ. მ. გ. კ. მოქმედებას შეწყვეტს, ადგილს დაუთმობს მოთხოვნილების მიხედვით განაწილების კანონს. ჯერჯერობით კი შრომის წილისა და მოხმარების წილის ასეთი დაკავშირება ერთიმეორესთან მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, საზ. წარმოების ეფექტიანობის ზრდის მძლავრი ფაქტორია.

შ. მ. გ. კ. განსაზღვრავს მხოლოდ დოვლათის იმ წილს, რაც ცალკეულმა მშრომელებმა უნდა მიიღონ ერთობლივი დოვლათიდან იგი თავისთავად არ გვიჩვენებს, თუ რა აბსოლ. სიდიდისაა ეს წილი აბსოლ. სიდიდე კი დამოკიდებულია საზ. წარმოების განვითარების დონეზე. მაშასადამე, შრომის ანაზღაურება სოციალიზმის დროს აღარაა შემოსაზღვრული სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საჭირო ხარჯების ოდენობით. შრომის ანაზღაურება მხოლოდ მუშაკთა კვალიფიკაციისა და მათ მიერ საზ. შრომაში შეტანილი რეალური წვლილით კი არ ზრდის, არამედ იმიც, რომ ყოველდღე წარმოება, იზრდება ერთობლივი შრომის პროდუქტი, საზ-ბა ეკონომიკურად უფრო და უფრო ძლიერდება.

სოციალიზმის განვითარების ამჟამინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელია შრომის მიხედვით განაწილების მჭიდრო დაკავშირება შრომის საბოლოო შედეგებთან. *მ. გველესიანი.*

**შრომის მორალური სტიმულირება,** იხ. *მატერიალური და მორალური სტიმულირება*.

**შრომის მსოფლიო კონფედერაცია,** პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანება, დაარსდა ვატიკანის მხარდაჭერით ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ თ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს (ქპსკ) სახელწოდებით ევრ. ქვეყნების ეროვნული ქრისტიანული პროფცენტრების კონგრესზე. რ-იც ჩატარდა ჰააგაში (ნიდერლანდი) 1920 წ 15—19 ივნისს. ქპსკ-ის ხელმძღვანელები ქადაგებდნენ შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობას. 1932 ფაშიზმის მოახლოების ვითარებაში ზოგიერთი კათოლ. ქვეყანაში ქპსკ-ის V კონგრესმა წამოაყენა ლოზუნგი „არც კომუნიზმი, არც ფაშიზმი!". II მსოფლიო ომის (1939—45) წინ ეს ორგანიზაცია იყო პატარა, არსებითად ეროვნ. პროფკავშირული გაერთიანება. ომის წლებში ქპსკ არ მოქმედებდა. 1945 ოქტ. ჩატარდა მისი ომის შემდგომი პირველი კონგრესი, რ-მაც უარი თქვა მსოფლიო პროფკავშირთა ფედერაციაში შესვლაზე. 50-იანი წწ. ბოლოს შეიქმნა რეგიონალური ორგანიზაციები, დაარსდა სოლიდარობის სპეც. ფონდი, მომზადდა პროფკავშირების კადრები განვითარებადი ქვეყნებისათვის.

XVI კონგრესზე (1968 ოქტ.) მოხდა ორგანიზაციის „დექრისტიანიზაცია". მან მიიღო ახ. სახელწ. — შ. მ. კ. ორგანიზაციის ოფიც. დოკუმენტებში აღარ იყო ფორმალური მითითებები ქრისტიანობის სოც. დოქტრინაზე. ძალაში დარჩა კლასობრივი თანამშრომლობის „მესამე გზის" (რ-იც უარყოფს როგორც კაპიტალიზმს, ასევე სოციალიზმს) ქადაგება. ამასთანავე, შ. მ. კ. მხარს უჭერს მოთხოვნებს ხელფასის მომატების, შრომისა და მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. საგარეო პოლიტიკის სფეროში შ. მ. კ. მოუწოდებს მშვიდობისა და განიარაღებისაკენ, გამოდის ომის წინააღმდეგ.

შ. მ. კ-ის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რ-იც ირჩევს პრეზიდენტს, გენე-

რალურ მდივნისა და ხაზინადარის. მიმდინარე საკითხებს განაგებს აღმასრ. ბიურო. ბეჭდვითი ორგანო — ჟურნ. „Labor" (ლათ. „შრომა"). აერთიანებს 89 ქვეყნის 87 ეროვნ. პროფორგანიზაციას ითვლის 14 მლნ. წევრს (1986).

**შრომის მღვიმე**, მღვიმე სოფ. შრომის (სოხუმის რ-ნი) მიდამოებში, მდ. გუმისთის ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 276 მ. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში ქმნის ვიწრო დერეფნებისა და დარბაზების რიგს. ჯამური სიგრძე 75 მ, საშ. სიმაღლე და სიგანე 3—5 მ. მღვიმეში გვხვდება ნალვენითი ფორმები, ნაკადული მცირეა. ზ. ტინტილოზოვი.

**შრომის მწარმოებლურობა**, იხ. შრომის ნაყოფიერება

**შრომის ნაყოფიერება,** შრომითი საქმიანობის შედეგიანობა. იგი იზომება მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკის სამუშაო დროის ერთეულით (საათი, ცვლა, თვე, წელი) წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ან პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული დროის ოდენობით. შ. ნ-ის ზრდა ნიშნავს იმას, რომ „შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ძალას იძენს სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ 1, თბ., 1954, გვ. 399).

პროდუქტის შექმნისას ადამიანი იყენებს წარმოების საშუალებებს, რ-თა წარმოებაზეც აგრეთვე დაიხარჯა შრომის გარკვეული რაოდენობა. ამრიგად ყოველი პროდუქტი ერთსა და იმავე დროს შედეგია ახლად დახარჯული და წარსული შრომისა. შ. ნ-ის ზრდის კვალობაზე „ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოცემული შრომის მთელი ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე, რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 1, თბ., 1959, 330—331).

ამიტომ მოცემულ დარგში (საწარმოში) ახლად დახარჯული შ. ნ., უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პროდუქტზე ერთობლივად დახარჯული შ. ნ. მაშასადამე, აუცილებელია განვასხვავოთ ეს ორი მაჩვენებელი. საზ. შ. ნ-ის მაჩვენებლად მატერ. დოვლათის წარმოების სფეროში მიჩნეულია ერთ მუშაკზე წარმოებული ე რ ო ვ ნ უ ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს მოცულობა. ეს მაჩვენებელი ასახავს განივთებული შრომის წილის შეცვლასაც ერთობლივ დანახარჯებში. რაც ნაკლები შრომა სჭირდება დახარჯული წარმოების საშუალებების აღდგენას, მით უფრო მეტ ეროვნ. შემოსავალს ქმნის საზ-ბა მოხმარებისა და დაგროვებისათვის. ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოების საშუალებათა ეკონომია, მათი უფრო სრული გამოყენება.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ საშ. შ. ნ. მოცემულ დარგში (საწარმოში, რეგიონში და ა. შ.) და ინდივიდ. შ. ნ.

სხვადასხვა დარგში შ. ნ-ის ზრდის შესადარებლად იყენებენ ღირებულებით მაჩვენებლებს. იგი მოცემული დარგის პროდუქციის ერთეულის პირობითი საზომია.

ადამიანთა საზ-ბის ისტ. განვითარების ყველა საფეხურზე მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონი, მაგრამ კაპიტალიზმის აღმოცენებამდე შ. ნ. საუკუნეების მანძილზე შეუმჩნევლად იზრდებოდა. კაპიტალ. მანუფაქტურის წარმოშობამ, შემდეგ კი მანქანების გამოჩენამ (XVII ს. II ნახევარში სამრეწვ. გადატრიალება) ერთბაშად დააჩქარა ეს პროცესი. ამავე დროს კაპიტალიზმმა კიდევ უფრო გაამძაფრა შ. ნ-ის უთანაბრო ზრდა.

სოციალიზმის დროს შ. ნ. გ ა ნ უ ხ რ ე ლ ა დ იზრდება. „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რ-იც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდეც დამარცხდება სწორედ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას" (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 299). მართალია, სსრკ ჯერ კიდევ ჩამორჩება მოწინავე კაპიტალ. ქვეყნებს შ. ნ-ის დონით, მაგრამ შ. ნ-ს ზრდის მაღალი ტემპი ამცირებს ამ ჩამორჩენას. ეკონ. განვითარების ინტენსიურობასთან დაკავშირებით უფრო და უფრო იზრდება შ. ნ-ის როლი წარმოების ზრდაში. I ხუთწლედში სსრკ-ში (1929—32) შ. ნ-ის ხარჯზე მიღებული იქნა სამრეწვ. პროდუქციის მატების 51%, VIII ხუთწლედში (1966—70) — 73%, X ხუთწლედში (1976—80) — 75%. X ხუთწლედში შ. ნ-ის ხარჯზე მიღებულია სოფ. მეურნ. პროდუქციის მთელი მატება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მატების 95% 80-იან წლებში დასახულია ამ ტენდენციის კიდევ უფრო დამკვიდრება და გაღრმავება. ამ გზით მიღებულია ეროვნ. შემოსავლის მატების თითქმის 90%. 1986—90 წწ. გათვალისწინებულია საზ. შ. ნ-ის ზრდა 20—23%-ით, მ. შ. მრეწველობაში — 25, მშენებლობაში — 21, სარკინიგზო ტრანსპორტზე — 12%-ით. შ. ნ-ის ზრდის შედეგად მიღებულ იქნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთბრუნვისა და მშენებლობის სამუშაოთა მოცულობის მთელი მატება. 1986—2000 წწ. კი საზ. შ. ნ. გადიდდება 2,3—2,5-ჯერ და მის ხარჯზე მიღწეულ იქნება ეროვნ. შემოსავლისა და მატერიალური წარმოების დარგების მთლიანი მატება. *შ. გელიტაშვილი.*

**შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონი,** საყოველთაო ეკონომიკური კანონი, რ-იც გამოხატავს პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის მუდმივი შემცირების ობიექტურ აუცილებლობასა და შესაძლებლობას. შრომის ნაყოფიერების ამაღლება კანონზომიერი პროცესია. იგი დამახასიათებელია ყველა საზ.-ეკონ. ფორმაციისათვის, თუმცა სხვადასხვა საზ-ბაში ეს პროცესი განსხვავებულია. კაპიტალ. საზ-ბაში, სადაც კერძო საკუთრება ბატონობს წარმოების საშუალებებზე და წარმოების მიზანი ზედმეტი ღირებულების წარმოებაა, შ. ნ. ზ. კ-ს არ შეუძლია ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი. აქ შრომის ნაყოფიერების ზრდა წყდება ეკონომიკური კრიზისების დროს. თუმცა ამ კანონის მოქმედება კაპიტალიზმის პირობებშიც ეხმარება საწარმოო ძალების განვითარებასა და წარმოების ტექნ. დონის ამაღლებას, ამასთან ერთად ის აძლიერებს მშრომელთა ექსპლუატაციას, ხოლო კაპიტალისტებს აძლევს მაღალ მოგებას.

სოციალიზმის დროს საზ. მეურნ. გეგმაზომიერი განვითარების პირობებში შრომის ნაყოფიერება კაპიტალ. ქვეყნებთან შედარებით იზრდება უფრო სწრაფი ტემპით და განუხრელად. საზ. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონის სპეციფ. გამოვლინებაა სოციალიზმის (კომუნიზმის) პირობებში; წარმოიშობა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ახ. წყაროები: წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მატერ. დაინტერესების პარალელურად სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მორალური სტიმულირება (იხ. *მატერიალური და მორალური სტიმულირება*).

**შრომის ნორმირება,** ნაწარმის ერთეულის დასამზადებლად ან განსაზღვრულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ პირობებში მოცემული სამუშაოს მოცულობის შესასრულებლად საჭირო შრომის დანახარჯების რაოდენობის დადგენა. შ. ნ. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

სსრკ-ში შ. ნ. განსაზღვრავს წარმოებაში მუშების განაწილებას, მომსახურების ზონებს, შრომის ეფექტურ მეთოდებსა და ხერხებს, ადგენს ცალკეული მუშაკებისა და მთლიანად შრომითი კოლექტივებისათვის შრომის ზომას, ითვალისწინებს და აფასებს მათ წვლილს საზ. წარმოებაში.

შ. ნ. ძირითადად ხორციელდება ანალიზური მეთოდით, რ-იც ითვალისწინებს ტექნოლ. და შრომის პროცესების დანაწევრებას შემადგენელ ნაწილებად, მათ ანალიზს, სამუშაოს შესრულების უფრო ხელსაყრელი პირობების დაპროექტებასა და დროის გაანგარიშებას შემადგენელი ნაწილების მიხედვით. ანალიზური მეთოდი ორგვარია: ანალიზურ-გაანგარიშებითი და ანალიზურ-კვლევითი. ანალიზურ-გაანგარიშებითი მეთოდი ითვალისწინებს ნორმების გაანგარიშებას მოწყობილობების მუშაობის რეჟიმისა და დროის ნორმატივების მიხედვით. იგი გამოიყენება მრეწველობაში წარმოების ყველა ტიპის მოქმედ საწარმოებში ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გაანგარიშებისათვის და ახ. საწარმოების დაპროექტების დროს. ანალიზურ-კვლევითი მეთოდის დახმარებით განისაზღვრება სამუშაო დროის აუცილებელი დანახარჯები მოწყობილობათა მუშაობის რეჟიმსა და განსაზღვრული ოპერაციების შესრულებაზე სამუშაო დროის დანახარჯების გამოკვლევის გზით. ამ მეთოდს უპირატესად იყენებენ მოქმედ სამრეწვ. საწარმოებში მასობრივი წარმოებისას.

ნორმებს, რ-ებიც დადგენილია ანალიზური მეთოდით, დასაბუთებულია მეცნ. გამოკვლევებითა და მოწინავე საწარმოო გამოცდილებით, უწოდებენ ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება უფრო ეფექტიანად გამოიყენონ წარმოების მატერ. ელემენტები: ძირითადი და დამხმარე მოწყობილობა, ტექნოლ. აღჭურვილობა და სხვ.

ანალიზური შ. ნ. გულისხმობს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გაანგარიშებას შემადგენელი ნაწილების მიხედვით. ძირითადი მანქანური დროის ნორმირება ხორციელდება მოწყობილობათა პასპორტებისა და მათი მუშაობის რეჟიმის განმსაზღვრელი ნორმატივების გამოყენებით.

შ. ნ-ის ორგანიზაცია სახ. მეურნეობაში უზრუნველყოფს ნორმების თანაბარ დაძაბულობას ყველა საწარმოსა და მათ ქვედანაყოფებში.

*ი. დიაკონიძე. ა. მღვდელაძე.*

**შრომის ორადი ხასიათი**, იხ. *საქონელი*.

**შრომის ორგანიზაცია**, ადამიანთა შრომითი საქმიანობის მოწყობა გარკვეულ სისტემაში. განასხვავებენ საზ. შ. ო-სა და შ. ო-ს შრომითი კოლექტივის ფარგლებში. საზ. შ. ო. დაკავშირებულია მრავალ ისეთ საერთო მომენტთან, რ-თა ერთობლიობა განაპირობებს ყოველი წარმოების ფუნქციონირების შესაძლებლობას მისი საზ. ფორმისაგან დამოუკიდებლად. მაგ., შრომის დანაწილება და შრომის კოოპერაცია არსებობს როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის დროს, მაგრამ სხვადასხვა საზ.-ეკონ. ფორმაციაში ეს საერთო ნიშნები ვლინდება სპეციფ. ფორმით, რ-საც განსაზღვრავს მოცემული საზ-ბაში გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი.

კაპიტალ. წყობილებისათვის დამახასიათებელია საზ. წარმოების პროცესის სტიქიური რეგულირება, რ-იც გამორიცხავს საზ. შ. ო-ის პრობლემებისადმი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის შესაძლებლობას. კაპიტალიზმის პირობებში

საზ. შ. ჩ. ხორციელდება წარმოების საშუალებების მესაკუთრე კლასების ინტერესებისათვის. სოციალიზმის დროს მთელი ქვეყნისა და თითოეული შრომითი კოლექტივის ფარგლებში წარმოიშობა ადამიანთა შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის პროცესზე სახელმწიფოს შეგნებული, მიზანმიმართული მეცნ. ხელმძღვანელობის როგორც შესაძლებლობა, ისე აუცილებლობა.

**შრომის პროდუქტი,** ადამიანის შრომის მატერიალური შედეგი. შ. პ. იქმნება წარმოების საშუალებებისა და მომუშავეთა ძალისხმევით; სასაქონლო წარმოების პირობებში შ. პ. ღებულობს საქონლის ფორმას, რომელსაც აქვს არა მხოლოდ სახმარი ღირებულება, არამედ ღირებულებაც.

**შრომის რედუქცია,** რთული შრომის მარტივ შრომამდე დაყვანის ობიექტური პროცესი. ყოველი შრომა მისი შინაარსის მიხედვით განსხვავდება სირთულის ხარისხით, რთული შრომა დროის ერთეულში უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მარტივი შრომა, მაშასადამე, რთული შრომა არის ხარისხში აყვანილი მარტივი შრომა. კაპიტალიზმის დროს რთული შრომის გატოლება შესაბამისი რაოდენობის მარტივ შრომასთან ხორციელდება არა შეგნებულად, არამედ სტიქიურად, ბაზრის მეშვეობით. ღირებულების საზომია მარტივი შრომა, ამიტომ ყოველი რთული შრომა მარტივ შრომაზე დაიყვანება.

**შრომის საგანი,** იხ. *წარმოების საშუალებები*

**შრომის საერთაშორისო განაწილება,** შრომის საზოგადოებრივ-ტერიტორიული დანაწილების უმაღლესი საფეხური; ემყარება ცალკეული ქვეყნის წარმოების სპეციალიზაციას პროდუქციის განსაზღვრულ სახეებზე, რ-ებსაც ეს ქვეყნები ერთმანეთს უცვლიან. შ. ს. გ.-ის სიღრმე განისაზღვრება საწარმოო ძალების განვითარების დონით. მისი ხასიათი და ფორმები კი განპირობებულია შ. ს. გ.-ში მონაწილე ქვეყნებში გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობებით. აქედან გამომდინარე, შ. ს. გ.-ის შედეგად აღმოცენებული საერთაშ. ურთიერთობა არის „მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი, საერთოდ ნაწარმოები, გადატანილი, არაპირველადი წარმოებითი ურთიერთობანი" (კ. მარქსი).

შ. ს. გ. ქმნის საერთაშ. ვაჭრობის განვითარების საფუძველს, შეადგენს მსოფლიო ბაზრის განვითარების ობიექტურ ბაზას.

კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში, სადაც ნატურალური მეურნეობა ბატონობდა და განუვითარებელი იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, არსებობდა შ. ს. გ.-ის ელემენტები, რ-ებიც განპირობებული იყო ცალკეული ქვეყნის განსხვავებული ბუნებრივი პირობებით. ამ ქვეყნებს შორის გაცვლა შემოიფარგლებოდა იმ პროდუქტებით, რ-ებიც სხვა ქვეყანაში არ იწარმოებოდა (ე. წ. კოლონ. საქონელი). შ. ს. გ.-მ განვითარებული ფორმები მიიღო კაპიტალიზმის ეპოქაში.

შ რ ო მ ი ს ს ა ე რ თ ა შ. კ ა პ ი ტ ა ლ. დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ხელს უწყობს საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას მსოფლიო მასშტაბით, წარმოების კონცენტრაციისა და მის სპეციალიზაციას. ამასთან იგი ექსპლუატაციის გაძლიერების საშუალებაა კაპიტალ. შ. ს. დ.-ის განვითარება ეკონომიკურად აკავშირებს ერთმანეთთან ქვეყნებს და იწვევს წარმოების ინტერნაციონალიზაციას, რაც მსოფლიო კაპიტალ. მეურნ. ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

თანამედროვე პირობებში კაპიტალ. სისტემას ჩამოსცილდა მრავალი ქვეყანა, რ-ებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას, მოხდა იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის ლიკვიდაცია, წარმოიქმნა შ. ს. დ.-ის ახ. ტიპი — შ რ ო მ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, რ-იც ჩამოყალიბდა მეურნ. მსოფლიო სისტემის წარმოქმნისა და განვითარების პროცესში.

სოციალ. ქვეყნებს შორის შ. ს. დ.-ის ბუნებრივი წანამძღვარია ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის განაწილების უთანაბრობა, კლიმატ. პირობების განსხვავება. იგი ხორციელდება შეგნებულად და გეგმაზომიერად. ყოველი სოციალ. ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად და ხელს უწყობს მათი ეკონ. განვითარების დონეების დაახლოებასა და გათანაბრებას; იგი აიგება სრული თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, სოციალ. ინტერნაციონალიზმის, ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპზე. შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილება ამაღლებს საზ. წარმოების ეფექტიანობას და მის საფუძველზე ხელს უწყობს მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას ყველა სოციალ. ქვეყანაში.

შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების მთავარი სფეროა მატერ. წარმოება. იგი სწრაფად ღრმავდება სამეცნ.-ტექნ. და არაწარმოებით სფეროში.

შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების ძირითადი პრინციპები (დამტკიცდა ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს XV სესიაზე 1962): 1. ცალკეული ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო სოციალ. სისტემის ეკონ. განვითარების ობიექტურად აუცილებელი პროპორციების სწორი აღრიცხვა, რაც ხელს შეუწყობს ყოველი ქვეყნის ეკონ. ბალანსირებას, 2. შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების მაღალი ეკონ. ეფექტიანობის მიღწევა საზ. შრომის უმცირესი დანახარჯების პირობებში, 3. წარმოების საერთაშ. სპეციალიზაციისა და ცალკეული სოციალ. ქვეყნების ეკონ. კომპლ. განვითარების შეხამების უზრუნველყოფა ყველა ქვეყანაში წარმოების რესურსებისა და ეკონ. წანამძღვრების (შრომითი რესურსების ჩათვლით) რაც შეიძლება სრული და მიზანშეწონილი გამოყენებისათვის; 4. ცალკეული ქვეყნების ეკონ. განვითარების დონეებში ისტორიულად ჩამოყალიბებული განსხვავების თანდათანობით დაძლევა, უწინარეს ყოვლისა, ეკონ. განვითარების შედარებით დაბალი დონის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის გზით და თითოეული ქვეყნის შინაგან შესაძლებლობათა, აგრეთვე მსოფლიო სოციალ. სისტემის უპირატესობათა მაქს. გამოყენების საფუძველზე (იხ. აგრეთვე *შრომის დანაწილება*).

**შრომის საერთაშორისო კაპიტალისტური დანაწილება,** იხ. *შრომის საერთაშორისო დანაწილება*

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია** (შსო), გაერთს სპეციალიზებული დაწესებულება (1946-იდან). პირველად შეიქმნა 1919 როგორც ერთა ლიგის ავტონ. ორგანიზაცია. შსო-ის წესდების თანახმად, მისი ამოცანაა მშრომელთა შრომის პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება სამუშაო დროის რეგლამენტაციის, უმუშევრობასთან ბრძოლის, სამართლიანი ხელფასის გარანტირების, დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან მუშათა დაცვის და სხვა გზით. ორგანიზაციის დამახასიათებელი თავისებურებაა მის წევრ-სახელმწიფოთა სამმხრივი წარმომადგენლობა: მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობენ ამ ქვეყნების მშრომელთა და მეწარმეთა წარმომადგენლები. ძირითადად ორგანიზაციის საქმიანობაა კონვენციებისა და რეკომენდაციების დამუშავება, აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექ. დახმარების გაწევა, ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში შემავალი საკითხების შესწავლა და გამოცემა. 1960 ჟენევაში შეიქმნა სოც. გამოკვლევათა ინ-ტი. შსო-ის რეკომენდაციები რატიფიკაციას არ საჭიროებენ და სახელმწიფოებს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ. სსრკ და სხვა სოციალ. ქვეყნების მონაწილეობა შსო-ის მუშაობაში ამაგრებს პროგრ. ძალების პოზიციას, ისინი ამხილებენ ბურჟ. ცდებს შსო თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ. შსო-ის ძირითადი ორგანოებია: 1. გენერალური კონფერენცია — უმაღლესი ორგანო, რ-ის მუშაობაში მონაწილეობს თითოეული წევრ-სახელმწიფოს მთავრობის ორ-ორი დელეგატი, მშრომელთა და მეწარმეთაგან კი თითო დელეგატი. 2. ადმინისტრაციული საბჭო — აღმასრ. ორგანო. მის ფუნქციაში შედის გენ. კონფერენციისა და ორგანიზაციის სხვა ორგანოების სესიათა დღის წესრიგის განსაზღვრა, სამდივნოს მუშაობის ხელმძღვანელობა, შრომის საერთაშ. ბიუროს გენ. დირექტორის დანიშვნა და სხვ. შსო შედგება 48 წევრისაგან, რ-თაგან 24 მთავრობის, 12 მშრომელთა და 12 მეწარმეთა წარმომადგენელია; 3. შრომის საერთაშორისო ბიურო — შსო-ის მუდმივი სამდივნო, რ-საც სათავეში უდგას გენ. დირექტორი. შსო-ის შტაბ-ბინა ჟენევაშია (შვეიცარია).

**შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება,** იხ. *შრომის საერთაშორისო დანაწილება*

**შრომის საზოგადოებრივი დანაწილება,** იხ. *შრომის დანაწილება*

**შრომის სამართალი,** სამართ.-ში სამართლის დარგი, რ-იც არეგულირებს მუშებისა და მოსამსახურეების შრომით ურთიერთობებს და აგრეთვე ურთიერთობებს, რ-ებიც დაკავშირებულია სოც. დაზღვევასთან, შრომის დაცვაზე კონტროლის განხორციელებასთან, შრომითი დავების გადაწყვეტასთან, მშრომელთა შრომითი უფლებების დაცვასთან და სხვ. საბჭ. შ. ს. განსაზღვრავს მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი ურთიერთობების წარმოშობისა და შეწყვეტის წესს, შრომის პირობებს, შრომის ანაზღაურებას, დასვენების წესებს, შრომაში მიღწევებისათვის წახალისების სახეებს და შრომითი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისათვის ზემოქმედების ღონისძიებებს, განამტკიცებს პროფკავშირების როლს შრომის დაცვის რეგულირებისა და წარმოების მართვაში, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერ. და კულტ. დონის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და საზ.-ის საკეთილდღეოდ შრომის თანდათან გადაქცევას თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

შ. ს.-ის ძირითადი წყაროა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები (1970) და მის ნიადაგზე მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსები. საქართველოში მოქმედებს 1973 მიღებული საქ. სსრ შრომის კანონთა კოდექსი. შ. ს.-ის ძირითადი პრინციპებია: შრომის სავალდებულოობა, კონსტ. უფლება შრომაზე და უმუშევრობის თავიდან აცილება; სოციალ. შრომის დისციპლინის დაცვა, მოხუცებულობისა და შრომისუუნარობის დაკარგვისას სახელმწ. ხარჯზე უზრუნველყოფა და ა. შ. საბჭ. შ. ს.-ის სოციალ. საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე სოციალ. საკუთრება, მეურნეობის გეგმური სისტემა და ექსპლუატაციისაგან დაცული და გარანტირებული შრომის თავისუფლება. შ. ს.-ში გატარებულია შრომით ურთიერთობებში ქალის მამაკაცთან თანასწორობის და მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი მათი ეროვნებისა და რასის მიუხედავად.

*ნ. წერეთელი*




შროშანა (Convallaria transcaucasica): ა—ყვავილი



შროშანი (Lilium georgicum)

და გართობის, ქალის შრომის წესები, მოქალაქეთა შრომითი უფლებების სახელმწიფო დაცვა ამასთანავე, თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, შრომის დისციპლინის დაცვა (იხ. აგრეთვე სტ. შრომა).

შ. უ. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა აღიარებული ეკონ., სოც. და კულტ. უფლებათა საერთაშ. პაქტში (იხ. სტ. ადამიანის უფლებათა პაქტები), მიუხედავად ამისა, ბურჟ. კონსტიტუციების უმრავლესობა არ შეიცავს დებულებას შ. უ.-ის შესახებ იმ ბურჟ. ქვეყნებშიც, სადაც შ. უ. გათვალისწინებულია კონსტიტუციით (მაგ., საფ. 1946, იტალ. 1947, საბერძ. 1975, ესპ. 1978 კონსტიტუციები), კაპიტალ. წესწყობილების ეკონომიკური კრიზისის და უმუშევრობის პირობებში იგი ფიქციური უფლებაა.

*ი. ფუტკარაძე.*

**შრომის ფიზიოლოგია,** ფიზიოლოგიის დარგი, რ-იც სწავლობს ფიზიოლ. პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებებს და მათი რეგულაციის თავისებურებებს ადამიანის შრომითი საქმიანობის დროს, ე. ი. შრომის პროცესს მის ფიზიოლოგიურ გამოვლინებაში. შ. ფ. წყვეტს ორ ძირითად ამოცანას: განსაზღვრავს საწარმოო პროცესის ოპტიმალურობას, რ-იც შესაძლებლობას იძლევა უფრო აამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და მისი ეფექტურობა; შეიმუშავებს ღონისძიებებს, რ-იც ადამიანს დაიცავს ზოგიერთი ფაქტორის არასასურველი გავლენისაგან. ამ ამოცანებიდან გამომდინარე შ. ფ. ასაბუთებს შრომისა და დასვენების რეჟიმს, აფასებს ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და გაცემის ოპტიმალურ და ზღვრულ შესაძლებლობებს; განსაზღვრავს, აფასებს და ზღუდავს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას შრომითი საქმიანობის დაწყებამდე, მის მსვლელობაში და დამთავრების შემდეგ, ამუშავებს ვარჯიშისა და სწავლების წესებსა და რეჟიმს და ა. შ.

შ. ფ. შრომის ჰიგიენასა და შრომის მეცნ. ორგანიზაციასთან ერთად სწავლობს მნიშვნელოვან სოც. პრობლემას — ადამიანის შრომითი საქმიანობის პრობლემას (იხ. აგრეთვე *შრომის ფსიქოლოგია*).

**შრომის ფსიქოლოგია,** გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ადამიანის შრომას, როგორც მოტივირებული ქცევის სპეციფიკურ ფორმას, მის ზოგად, დიფერენციულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს იმ საზ.-ისტ. და ეკონ. პირობებთან კავშირში, რ-ებშიც იგი სწავლისა და პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება და ხორციელდება. გარდა შრომის ეფექტურობის ზრდისა, საბჭ. შ. ფ.-ის ამოცანაა აგრეთვე შრომის ჰუმანიზაცია, შრომის პროცესში პიროვნების ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება.

შ. ფ. ჩამოყალიბდა XIX—XX სს. მიჯნაზე კაპიტალ. წარმოების მკვეთრი ზრდისა და შრომის მწარმოებლურობის სწრაფი ამაღლების პირობებში (იხ. აგრეთვე *ფსიქოტექნიკა*).

შ. ფ.-ში სამეცნ. და პრაქტ. მუშაობის ძირითად მიმართულებათა შორის აღსანიშნავია: პროფესიების ფსიქოლოგიისა და ტესტურ მეთოდებზე დამყარებული შრომითი მოწყობა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის, პროფ. კონსულტაციის, პროფ. ვარგისიანობის შემოწმებისა და შერჩევის საშუალებით; შრომითი პროფ. სწავლება და აღზრდა, შრომითი ადაპტაცია, კვალიფიკაციის ამაღლება თუ შეცვლა, რეაბილიტაცია და სხვ. შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმის შედგენა, შრომის ნორმირება და შრომის უსაფრთხოება; შრომითი კოლექტივების რაციონალური ფსიქოლ. ორგანიზაცია, წევრთა ურთიერთობებისა და მშრომელთა კოლექტივების მართვის ფსიქოლ. კანონზომიერებების, შრომისა და მისი შედეგებისადმი დამოკიდებულების მოტივებისა და პიროვნების აქტივობის სხვა სოც.-ფსიქოლ. ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე. XX ს. II ნახევარში შეიქმნა შ. ფ.-ის ახ. დარგი — საინჟინრო ფსიქოლოგია.

შ. ფ.-ში გამოყენებული მეთოდებია ექსპერიმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა და ტესტი.

შრომითი ქცევის კონკრ. სახეების ფსიქოლ. თავისებურებათა შესწავლამ ხელი შეუწყო ცალკეულ პროფესიათა ფსიქოლ. სპეც. მიმართულებების ჩამოყალიბებას (საავიაციო, კოსმ., ინჟინერ-კონსტრუქტორის, მძღოლის, გამყიდველის და ა. შ.).

*ლიტ.:* კეხუაშვილი გ., შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია, თბ., 1982; Дмитриева М. А., Крылов А. А., Нафтульев А. И., Психология труда и инженерная психология, Л., 1979; Платонов К. К., Вопросы психологии труда, 2 изд., М., 1970; Психология труда, пер. со словацкого, М., 1979.

*გ. კეხუაშვილი.*

**შრომის წიგნაკი,** საბჭ. სამართლის მიხედვით, ძირითადი დოკუმენტი, რ-შიც აისახება სახელმწიფო, კოოპერაციული თუ საზ. საწარმოების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომითი საქმიანობა (საქ. სსრ შრომის კანონთა კოდ., მ. 41). შ. წ. იდება ყველა იმ მუშისა და მოსამსახურეზე, რ-საც 5 დღეზე მეტი აქვს ნამუშევარი. იდება აგრეთვე შტატგარეშე მუშაკებზე, თუ ისინი სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან. შ. წ.-ში შეაქვთ ცნობები მუშაკის (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება, პროფესია, სპეციალობა) მუშაობის (სამუშაოზე მიღების დრო, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, განთავისუფლება), დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ, აგრეთვე ცნობები აღმოჩენის თაობაზე, რ-ის გამოც გაიცა დიპლომი და ა. შ.

**შრომის წითელი დროშის ორდენი,** სსრკ ცაკისა და სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1928 წ. 7 სექტ. დაწესებული ორდენი. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შ. წ. დ. ო.-ით აჯილდოებს ცალკეულ მოქალაქეებს, დაწესებულებებსა და მშრომელთა კოლექტივებს წარმოების დარგში, სამეცნ. მოღვაწეობაში, სახელმწ. ან საზ. სამსახურში მოპოვებული განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ორდენი მზადდება ვერცხლისაგან. მის შუაგულში მოოქროვილი ნამგალი და ურო, ზემოთ — წითელი მინანქრით დაფარული გაშლილი დროშა და წარწერა — სსრკ. იბნევენ მკერდის მარცხ. მხარეს წითელი დროშის ორდენის შემდეგ. იხ. ჩანართი სტატიასთან ორდენები სსრ კავშირისა.

**შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** ნ. მახვილაძის სახელობისა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1927 წ. მახვილაძის თაოსნობით პროფესიული პათოლ. პოლიკლინიკის ბაზაზე. ამჟამად ინ-ტში არის 8 განყ.-ბა და 14 ლაბორატორია. შ. ჰ. წამყვანია შრომის ჰიგიენის, პროფ. პათოლ. და სამედ.-ბიოლ. განყ.-ბები. ინ-ტი იკვლევს ადამიანის ორგანიზმზე მრეწვ. და სოფ. მეურნ. საწარმოო ფაქტორების მოქმედების ხასიათს და სახავს ღონისძიებებს ამ დარგებში მომუშავეთა და მათი მომავალი თაობების ჯანმრთელობის დასაცავად და შრომის კომფორტული პირობების შესაქმნელად. ინ-ტი მოთავე დაწესებულებაა, რ-იც კოორდინაციას უწევს სხვადასხვა (სამედ., ტექ., ეკონ.) პროფილის 11 ინ-ტის საქმიანობას; მის ბაზაზე ხდება მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება ჰიგიენის, პროფ. პათოლ. და ტოქსიკოლოგიის დარგში. ინ-ტი სათავეში უდგას რესპ. კომისიას, რ-იც ადგენს პროფ. დაავადებების მიზეზებს და სახავს მათი პროფილაქტ. და რეაბილიტაციის გზებს; აწარმოებს ერთობლივ გამოკვლევებს სსრკ და საზღვარგარეთის სამეცნ.-კვლ. ცენტრებთან (მაგ., ბულგ. მედ. აკად. ჰიგიენის ცენტრი), აწყობს საკავშ. და საერთაშ. სიმპოზიუმებს. ინ-ტმა გამოსცა შრომათა კრებულის 19 ტომი.

*პ. გაბაკაძე.*

**შროტი** (გერმ. Schrot, ძირითადი მნიშვნელობა — წვრილი ნატეხები), ზეთსახდელი წარმოების თანაპროდუქტი, რ-იც მიიღება ზეთოვანი მცენარეების თესლისაგან ცხიმის გამოყოფის შემდეგ. იმის მიხედვით, თუ ნედლეული რა სახისაა, განასხვავებენ არაქისის, მდოგვის, აბუსალათინის, კანაფის, სიმინდის და სხვ. შ. ძვირფასი პროტეინიანი საკვებია. შ.-ით კვებავენ ყველა სახეობის სას.-სამ. ცხოველს.

**შროშა,** სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ძირულის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ., იმასიხი, საწაბლე, საწურეში). ზ. დ. 400 მ, ზესტაფონიდან 16 კმ, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 კმ. მეღვინეობა-მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. მარმარილოს კარიერი, გრანიტის ქ-ნა, ცეცხლგამძლე თიხის მოპოვება. საშ. სკოლა-ინტერნატი, 2 დაწყ. სკოლა, 2 ბ-კა, კლუბი, ამბულ., საფოსტო-სატელეგრაფო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**შროშანა** (Convallaria), ფესურიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. თეთრი, ზარისებრი, სურნელოვანი ყვავილები და წითელი კენკრა ნაყოფი აქვს. გვარის 2 სახეობიდან ერთი — C. majalis — ფართოდაა გავრცელებული სსრკ ევრ. ნაწილში, კავკ. და შორეული აღმოსავლეთის ტყეებში, მეორე — C. transcaucasica — ამიერკავკ. ენდემია, საქართველოში მთის შუა სარტყლამდე, ტყეებსა და ბუჩქნარებში იზრდება. ორივე სახეობა შხამიანია. ყვავილი და ფოთოლი შეიცავს გლიკოზიდებს — ძირითადად კონვალატოქსინს და კონვალაზიდს, რ-ებსაც გულის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებენ. მედიცინაში იხმარება ყვავილებისაგან გამოხდილი ეთეროვანი ზეთიც. შ. დეკორ. მცენარეა.

*მ. დავლიანიძე.*

**შროშანი** (Lilium), მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. 90-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. აქედან სსრკ-ში 16-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში — 8, უმეტესობა კავკასიის ენდემია (L. caucasicum, L. georgicum, L. kesselringianum და სხვ.); დეკორ. მიზნით აშენებენ ბაღებში, პარკებში. დიდი თეთრი, ყვითელი ან მონარინჯისფრო ყვავილები აქვთ, ბოლქვი — ერთმანეთზე კრამიტისებრად მიწყობილი ქერქლებით. იზრდება მინდვრებზე, ტყის პირებზე, სუბალპ. მდელოებზე, მაღალბალახეულობაში. გამოყვანილია შ.-ის მრავალი დეკორ. ჯიში.

*მ. დავლიანიძე.*

**შროშანისებრნი** (Liliaceae), ერთლებნიან მცენარეთა ოჯახი. მრავალწლოვანი ფესურიანი, ტუბერბოლქვიანი ან ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარეებია. საყვავილე ყლორტი შეფოთლილი აქვთ ან მთლიანი ფესვთანური ფოთლები უვითარდებათ. ფოთლები მთლიანი, ხშირად გრძელი ხაზური. ყვავილები აქტინომორფულია, იშვიათად ზიგომორფული. ნაყოფი კოლოფია, ზოგჯერ კენკრა. ოჯახში 170-მდე გვარია, რ-ებშიც გაერთიანებულია 2500-მდე სახეობა. გავრცელებული არიან მთელ დედამიწაზე. შ-თა შორის ბევრია სამკურნ. (შროშანა, შხამა და სხვ.) და დეკორ. (შროშანი, ტიტა, სუმბული და სხვ.) მცენარე.

*მ. დავლიანიძე.*

**შროშანისებრნი,** იგივეა, რაც შროშანისებრნი.

**შროშის მარმარილოს საბადო,** მდებარეობს ზესტაფონის რ-ნში, სოფ. შრო-

შტარკის ეფექტი




ნახ 1 გახლეჩის Δε სიდიდის დამოკიდებულება ელექტრული ველის E დაძაბულობაზე წრფივი შტარკის ეფექტის დროს (n=3 მთავარი კვანტური რიცხვით განსაზღვრული წყალბადის დონის გახლეჩა 5 ქვედონედ)




ნახ 2 გახლეჩის Δε სიდიდის დამოკიდებულება ელექტრული ველის E დაძაბულობაზე კვადრატული შტარკის ეფექტის დროს



შტატივი საპავილიონო ფოტოაპარატის შტატივი



ს შტეშენკო



ი შტერნბერგი

პის ღირებულება შედის პროდუქციის თვითღირებულებაში, შ უფრო ეკონომიურია ნაჭედის მასიურად წარმოებისას.

ფურცლოვანი შ. მოქლონიარილის ისეთ შტამპებში, რ-თა ძირითადი ნაწილია პუანსონი და მატრიცა. ზოგიერთ მაღალეფექტურ პროცესში პუანსონის როლს ასრულებს წყალი, ზეთი ან ჰაერი, ასეთი შ. ეკონომიურია ერთეული ნაკეთობათა დამზადების დროსაც

შ-თვის იყენებენ პრესებს, ჩაქუჩებსა წნეხებს, ჰორიზონტალურ საჭედ მანქანებს, ჰიდრავლიკურ წნეხებს და სხვ

ჯ. ლომსაძე

**შტამპი** (გერმ. Stamp<იტალ stampa —ბეჭედი) ტექნიკაში, მასალის წნევით დასამუშავებელი იარაღი ნამზადის პლასტიკური დეფორმაციის (შტამპვის) დროს. განასხვავებენ ფურცლოვანი და მოცულობითი, ცივი და ცხელი შტამპვისათვის განკუთვნილ შ-ებს. ფურცლოვანი შტამპვისათვის გამოყენებული შ-ები შეიძლება იყოს ამომჭრელი, გამჭვრეტი, სალუნი და სხვ. მათი ძირითადი დეტალებია პუანსონი და მატრიცა. მოცულობითი შტამპვის შ-ები არის საყალიბი, გამოსატეფრი, გამჭრელი და ა. შ. ფოლადშტამპებისა და მრუდმხარა ცხლად საშტამპი წნეხებისათვის განკუთვნილი შ-ის ზედა და ქვედა ნაწილების შუა ზედაპირებს აქვს ღარულები ნაკეთობის შემდეგი ფორმწარმოქმნისათვის

**შტანგა** (გერმ Stange — ღერო, წნელი) სპორტული, ძალოსნობის ძირითადი იარაღი. შედგება ფოლადის გრიფ-ღეროსაგან, რ-ის ბოლოებზე თავისუფლად მბრუნავი მილისებია მათზე ჩამოცმული ლითონის მოსახსნელი დისკოები (წონის შესაცვლელად) და საკეტები (დისკოს დასამაგრებლად). გრიფის სიგრძეა 2200 მმ, დიამეტრი — 28 მმ, მილისების (შესაბამისად) — 400 მმ და 56—60 მმ, დისკოების დიამეტრი 450 მმ, მასა 0,1—90,0 კგ (საერთაშ სტანდარტი) აღწევს.

**შტანგენიარაღი,** გაზომვის საშუალებათა და წრფივი (გარე და შიგა) ზომების დასაწნევი იარაღის განზოგადებული სახელწოდება. შ შედგება შტანგისა და მასზე მოძრავი ჩარჩოსაგან. შტანგაზე ძირითადი სკალაა, ხოლო ჩარჩოზე დატანებულია ან გრავირებულია ნონიუსი. შ-ს ამზადებენ ცვეთამედეგი და ანტიკოროზიული მასალისაგან (ნახშირბადიანი ფოლადი, სალი შენადნობებით არმირებული მუშა ნაწილებით და სხვ ). სსრკ-ში უშვებენ რამდენიმე სახისა და ტიპის შ-ს, რ-თა ნონიუსის სკალის ანათვლის სიზუსტე 0,05 და 0,1 მმ-ია. დანიშნულებისა და კონსტრუქციის მიხედვით შ. არის შტანგენფარგალი შტანგენრეისმასი (ნახ. 2), შტანგენსიღრმეზომი და შტანგენკბილსაზომი.

**შტანდარტი** (გერმ Standarte), 1. რუსეთისა (1731—1917) და ზოგიერთ უცხოურ არმიაში (XVIII—XX სს.) კავალერიის ნაწილების დროშა. 2. XIX—XX სს.-ში ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურის (მონარქის, პრეზიდენტის) ალამი, რ-საც აღმართავენ მისი ყოფნის ადგილზე (სასახლეში, ხომალდზე და სხვ.)

**შტაპელის ბოჭკო,** ქიმიური ბოჭკო, რ-საც ღებულობენ წინასწარგანსაზღვრული ქიმ. ბოჭკოების (ძირითადად ვისკოზის, პოლიაკრილონიტრილის, პოლიეთერის) ჩალიჩების დაჭრით სხვადასხვა ზომის შტაპელებად შ. ბ-ის სიგრძე დამოკიდებულია იმ ბუნებრივი ბოჭკოს სახეობაზე, რ-თანაც შერევის შემდეგ გადაამუშავებენ.

**შტარკი** (Stark) იოჰანეს (15. IV. 1874, შიკენჰოფი, — 21. VI. 1957, ტრაუნშტაინი), გერმანელი ფიზიკოსი (გფრ) ჰანოვერისა (1906-იდან) და აახენის (1909-იდან) უმაღლესი სკოლების, გრაიფსვალდისა (1917-იდან) და ვიურცბურგის (1920-იდან) უნ-ტების პროფესორი. ბერლინის ფიზიკა-ტექნ სამეცნ-კვლ ინ-ტისა (1933—39) და გერმ. სამეცნ. საზ.-ბის პრეზიდენტი (1934—36) 1919 მიენიჭა ნობელის პრემია არხულ სხივებში დოპლერის ეფექტისა და ელექტრულ ველებში სპექტრული ხაზების გახლეჩის აღმოჩენისათვის (იხ. შტარკის ეფექტი). ჰიტლერული რეჟიმის დროს იყო აქტ ნაცისტი.

**შტარკის ეფექტი,** სპექტრული ხაზების გახლეჩა ელექტრულ ველში; აღმოაჩინა ი. შტარკმა 1913 წყალბადის ატომების სპექტრის შესწავლისას შ. ე. შეინიშნება ატომებისა და სხვა კვანტური სისტემების სპექტრებში მისი მიზეზია კვანტური სისტემის ენერგიის დონეების წანაცვლება და ქვედონეებად გახლეჩა ელექტრულ ველში. ამიტომ ტერმინი „შ. ე." მიეკუთვნება არა მარტო სპექტრული ხაზების გახლეჩას ელექტრულ ველში, არამედ ენერგიის დონეების წანაცვლებასა და გახლეჩასაც ამ ველში.

შ. ე. ახსნილ იქნა კვანტური მექან. საფუძველზე. განსაზღვრული $\varepsilon$ ენერგიის მქონე მდგომარეობაში მყოფი ატომი (ან სხვა კვანტური სისტემა) გარე $E$ ელექტრულ ველში იძენს $\Delta\varepsilon$ ენერგიას, რ-საც განაპირობებს ატომის ელექტრონული გარსის პოლარიზაცია და დაინდუქცირებული დიპოლური მომენტის წარმოქმნა. ენერგიის დონე, რ-საც შეესაბამება ატომის ერთი შესაძლებელი მდგომარეობა (გადაუგვარებელი დონე), $E$ ველში მიიღებს $\varepsilon+\Delta\varepsilon$ ენერგიას, ე. ი. წაინაცვლებს. გადაგვარებული ენერგიის დონის სხვადასხვა მდგომარეობას შეიძლება შეიძინოს სხვადასხვა დამატებითი ენერგია $\Delta\varepsilon_\alpha$ ($\alpha=1,2,\ldots,g$, სადაც $g$ გადაგვარების ხარისხია) ამის შედეგად გადაგვარებული დონე იხლიჩება შტარკის ქვედონეებად, რ-თა რიცხვი უდრის $\Delta\varepsilon_\alpha$ განსხვავებულ მნიშვნელობათა რიცხვს მაგ., ატომის ენერგიის დონე მოძრაობის რაოდენობის მომენტის განსაზღვრული $M=\frac{h}{2\pi}\sqrt{J(J+1)}$ მნიშვნელობისას ($h$ არის პლანკის მუდმივა, $J=0, 1, 2,\ldots$ — სრული მოძრაობის რაოდენობის მომენტის კვანტური რიცხვი) ელექტრულ ველში იხლიჩება ქვედონეებად, რ-ებიც ხასიათდებიან $m_J$ მაგნ. კვანტური რიცხვების სხვადასხვა მნიშვნელობით ($m_J$ განსაზღვრავს $M$-ის პროექციას $E$ მიმართულებაზე) ამასთან, $-m_J$ და $+m_J$ მდგომარეობებს შეესაბამება ერთნაირი დამატებითი $\Delta\varepsilon$ ენერგია. ამიტომ შტარკის ყველა ქვედონე (გარდა ქვედონისა, რ-ისთვისაც $m=0$) ორჯერადად გადაგვარებული აღმოჩნდება (განსხვავებით გახლეჩისაგან მაგნ ველში, სადაც ყველა ქვედონე გადაუგვარებელია, იხ. ზეემანის ეფექტი)

არსებობს წრფივი შ. ე., როდესაც $\Delta\varepsilon$ ენერგია $E$ პროპორციულია (ნახ. 1) და კვადრატული შ. ე., როდესაც ენერგია $E^2$ პროპორციულია (ნახ 2) პირველ შემთხვევაში ენერგიის დონეების გახლეჩის სურათი სიმეტრიულია, მეორეში — არასიმეტრიული.

შ. ე.-ის მნიშვნელოვანი შემთხვევაა ატომის ენერგიის დონეების გახლეჩა კრისტალებში მეზობელი იონების მიერ შექმნილი შიგაკრისტ. $E_{კრ}$ ველის გამო ეს მოვლენა გასათვალისწინებელია კრისტალთა სპექტროსკოპიაში და მნიშვნელოვანია კვანტური მაძლიერებლების მუშაობისათვის

შ. ე. შეინიშნება ცვლად ელექტრულ ველებშიც შტარკის ქვედონეების მდებარეობის ცვლილება ცვლად ელექტრულ $E$ ველში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელსაწყოებში კვანტური გადასვლის სიხშირის შესაცვლელად (შტარკის მოდულაცია).

სწრაფად ცვლადი ელექტრული ველის გავლენა ატომების (იონების) ენერგიის დონეების მდებარეობაზე განსაზღვრავს პლაზმაში სპექტრული ხაზების შტარკის გაგანიერებას. შტარკის გაგანიერება საშუალებას იძლევა შეფასდეს დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაცია პლაზმაში (მაგ., ვარსკვლავთა ატმოსფეროში).

ლიტ.: Ельяшевич М. А., Атомная и молекулярная спектроскопия, М., 1962; Фриш С. Э., Оптические спектры атомов, М.—Л., 1963.

**შტატი** (გერმ. Staat — სახელმწიფო, მმართველობა), ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებრივ-ტერიტ ერთეული ზოგიერთ ფედერალურ სახელმწიფოში (აშშ, მექსიკა, ვენესუელა, ბრაზილია, ინდოეთი, ავსტრალია, ნიგერია). შ-ის კომპეტენცია განისაზღვრება მოკავშირეთა კონსტიტუციითა და შ-ის (აშშ, ვენესუელა, ავსტრალია) კონსტიტუციით, თუმცა შ-ს ყოველთვის არა აქვს საკუთარი კონსტიტუციის უფლება. შ-ებს ქმნიან ხელისუფლებისა და მმართველობის საკუთარ ორგანოებს. შ-ს, ჩვეულებრივ, მეთაურობს გუბერნატორი, რ-საც ირჩევს მოსახლ (მაგ., აშშ, მექსიკა) ან ნიშნავს ფედერ სახელმწიფოს მეთაური (ინდოეთი, ავსტრალია)

**შტატივი** (გერმ. Stativ < ლათ stativus — მდგარი, უძრავი), სადგარი. 1 დასაყენი გადასატანი სამარჯვი ფოტოგრაფიული (ნახ ), გეოდეზიური, კინოგადასაღები და სხვა აპარატის დასაყენებლად. შ.-ად იყენებენ აგრეთვე გადასატანვებულ მოწყობილობას, ზოგჯერ — ჯახ რაკსაც. 2 ლაბორ ჭურჭლისა და აპარატების დასადგმელი ვერტ დგარი

**შტაუბი** (Staub) რუდოლფ (27. I. 1890, გლარუსი, — 26. VI. 1961, ციურიხი, შვეიცარია), შვეიცარიელი გეოლოგი 1908-იდან სწავლობდა ჯერ შვეიცარიის უმაღლეს ტექ. სკოლაში (ციურიხი), შემდეგ — ციურიხის უნ-ტში. 1928—57 იყო ამავე სასწავლებლების პროფესორი შ-ის ძირითადი შრომები შეეხება ალპების გეოლ აგებულებისა და გეომორფოლოგიის, აგრეთვე ზოგადი გეოტექტონ საკითხებს ავითარებდა შეხედულებას, რომ დედამიწის ქერქის კონტინენტური ბლოკები ქერქქვეშა დინებების გავლენით ხან პოლუსებისკენ მოძრაობენ, ხან კი ცენტრიდანული ძალების გავლენით გადაინაცვლებენ ეკვატორისაკენ და, რომ ამგვარი მოძრაობა ეკვატორულ ზონაში იწვევს გეოსინკლინური არეების მიგრირებით შეკუმშვა-გაჭიმვას

**შტაუდინგერი** (Staudinger) ჰერმან (23 III 1881, ვორმსი, — 8 IX 1965, ფრაიბურგი), გერმანელი ქიმიკოსი სწავლობდა ჰალესა და მიუნხენის უნ-ტებში, ასწავლიდა დარმშტადტის უმაღლეს ტექ სკოლაში პროფესორი კარლსრუეს უმაღლესი ტექ სკოლის (1908—12), ციურიხის ფედერალური უმაღლესი სკოლის (1912—26) და ფრაიბურგის უნ-ტისა (1926—51) მაკრომოლეკულური ნაერთების სახელმწ ინ-ტის დირექტორი (1940—56) შ-ის შრომები ეხება მაკრომოლეკულური ნაერთების ქიმიას აღმოაჩინა ორგ. ნაერთების — კეტენების — ახ კლასი (1906) მეცნიერებაში შემოიტანა მაკრომოლეკულის ცნება და სხვ ნობელის პრემია (1953).

თხზ Arbeitserinnerungen, Hdlb., 1961

**შტაუდტე** (Staudte) ვოლფგანგ გეორგ (დ. 9 X 1906, საარბრიუკენი), გერმანელი რეჟისორი (გდრ). 1926-იდან მუშაობდა მსახიობად, — თეატრ „ფოლკსბიუნეში", მ რაინჰარდტისა და ე პისკატორის დასებში, 1931-იდან — კინოში, ჯერ მსახიობად, შემდეგ რეჟისორად 1946 რეჟისორებთან ზ დუდოვთან, კ მეციგთან და გ. პოლთან ერთად მონაწილეობდა კინოსტუდია „დეფა" შექმნაში აქ დადგა ანტიფაშისტური ფილმები: „მკვლელები ჩვენს შორის" (1946, საბჭ. ეკრანზე „ისინი ვერ დაიმალებიან"), „როტაცია" (1949, საბჭ. ეკრანზე „ყვავისფერი ამბავი") და სხვ 50-იანი წლებიდან შ. მუშაობს გფრ-ის კინოსტუდიებში, ილაშქრებს ნაციზმის აღორძინების წინააღმდეგ. სხვა ფილმები: „ვარდები ბატონი პროკურო-

ბილან არის ცაურის ლარიქსის გამეჩხერებული ტაიგა. არის ჭაობები. სამხრ. ნაწილში –მანჯურიის ტიპის წიწვოვან-ფართოფოთლოვანი ტყეები. შ. ა. ც.-ის ცენტრშია ქ. ხაბაროვსკი

**შუაატლანტიკური ქედი,** ატლანტის ოკეანის ფსკერის უდიდესი მთის სისტემა, შუაოკეანური ქედების სისტემის ერთ-ერთი ნაწილი. სიგრძე 18 ათ. კმ-ზე მეტი. მისი ცალკეული მონაკვეთებია: კნიპოვიჩის ქედი (ჩ. გ. 81°-იდან 73°-მდე, ნორვეგია-გრენლანდიის აუზი), სამხრ-ით – მონის ქედი, შემდეგ – ისლანდია-იან-მაიენის ქედი, ისლანდიის სამხრ-ით (ჩ. გ. 52°-მდე) – რეიკიანესის ქედი და ჩრდილოატლანტიკური ქედი, ეკვატორის სამხრეთით სამხრეთატლანტიკური ქედი. შ. ქ. განივი რღვევებით დანაწევრებულია ცალკეულ სეგმენტებად, რ-ებიც ძირით. მიმართულებით ერთმანეთის მიმართ გადაადგილებულია 300–600 კმ-ით. შ. ქ. აგებულია ტოლეიტ-ოლივინური ბაზალტებით და ოფიოლითებით და ოლიგოცენ-ანთროპოგენური კარბონატული დანალექი ქანების შუაშრეებიანი ტოლეიტური ბაზალტებით. სამხრ. ნახევარსფეროში შ. ქ.-ის კალთებზე აღმართულია წყალქვეშა ვულკანები. მათი ზოგიერთი მწვერვალი წარმოადგენს კუნძულს (აზორის, წმინდა ელენესი და სხვა კ-ები). ტრისტან-და-კუნია კ-ების ჯგუფში არის მოქმედი ვულკანი. სამხრ. ნახევარსფეროში შ. ქ.-ის აღმ. გაგრძელებაა აფრიკა-ანტარქტიკის ქედი

**შუა ალში,** სოფელი ცაგერის რ-ნში (ალშის სოფსაბჭო), ცაგერის ქვაბულის სამხრ. ნაწილში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში ზ. დ. 600 მ, ცაგერიდან 10 კმ. ლაშქრობის კოლ-ბა (მეხილეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ქვედა ალში (4 კმ)

**შუა აღმოსავლეთი,** პირობითი სახელწოდება აზიის რ-ნისა, რ-იც მდებარეობს ევროპასა და პაკისტანს შორის. ზოგჯერ უცხოურ ლიტ-რაში (მაგ., ინგლ., ამერ.) ცვლის ტერმინს ახლო აღმოსავლეთი. უფრო ხშირად კი გულისხმობს ახლო აღმოსავლეთს ირანსა და ავღანეთთან ერთად და ამიტომ ფუნქციურად იხმარება არა ცალკე, არამედ ვაერთ ტერმინად – „ახლო და შუა აღმოსავლეთი".

**შუა ბაში,** სოფელი სამტრედიის რ-ნში, იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ. ბ., ზედა ბაში, მეორე ეწერბაში, პირველი ეწერბაში, ქვედა ბაში). ზ. დ. 40 მ, სამტრედიიდან 18 კმ, ჩანჭიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 კმ. ბაშის მეთესლეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარით), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**შუა ბანახლება** (ყოფ. შ უ ა ა ხ ა ლ ე ბ ა), სოფელი ჩოხატაურის რ-ნში, გურიის სერის სამხრ. კალთის ძირას, მდ. სუფსის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ. ბ., გოგოლესუბანი). ზ. დ. 140 მ, ჩოხატაურიდან 4 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 კმ. კ. მარქსის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, 2 ბ-კა, კულტსახლი, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა

**შუა გეზრული,** სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილის მარცხ. მხარეს. გეზრულის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: შ. გ., ქვედა გეზრული). ზ. დ. 680 მ, ჭიათურიდან 26 კმ, ბელევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 კმ. გეზრულის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარით), საფერშლო-სამეანო პუნქტი

**შუა გერმანიის არხი** (Mittellandkanal), სანაოსნო არხი გფრ-ისა და გდრ-ის ტერიტორიაზე, აკავშირებს მდ-ებს ემსს, ვეზერსა და ელბას. შ. გ. ა. დას-ით უერთდება დორტმუნდ–ემსის არხს, ლიპე-ზაიტენ-კანალით – მდ. რაინს; აღმ-ით – ელბა–ჰაველის არხს, ოდერ–ჰაველისა და ოდერ–შპრეეს არხებით – მდ. ოდერს. სიგრძე 325 კმ (აქედან 258,7 კმ გფრ-შია). მინ. სიღრმე 3 მ, აქვს 3 რაბი, გემთამწევები ატარებს 1000 ტ-მდე ტვირთამწეობის გემებს. არხი აკვედუკით კვეთს მდ. ვეზერს. გაიხსნა 1938. არხის წილად მოდის გფრ-ის წყლის ტრანსპ. ტვირთბრუნვის დაახლ. 4–5%. მთავარი ტვირთია ქვანახშირი და მადანი. არხს აქვს განშტოებები. მთავარი ნავსადგურებია ჰანოვერი, ზალცგიტერი, მისბურგი, ჰილდესჰაიმი, აგრეთვე პაინე, ბრაუნშვაიგი, ოსნაბრიუკი

**შუა გორა,** სოფელი ვანის რ-ნში (ზეინდრის სოფსაბჭო), მდ. ფერსათის (რიონის აუზი) ნაპირებზე ზ. დ. 160 მ, ვანიდან 16 კმ, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 კმ. ზეინდრის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი)

**შუა გუბი,** სოფელი წყალტუბოს რ-ნში (გუბის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე ზ. დ. 75 მ, წყალტუბოდან 8 კმ, ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 კმ. გორაჯიხაიშის გუბის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. დიდ გუბში (2 კმ). შემორჩენილია შუა საუკ. ციხის ნანგრევები

**შუა დნეპრისპირეთის კულტურა,** ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. – II ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო შუა და ზემო დნეპრისპირეთში მცხოვრებ ტომებში. 1927 გამოყო ვ. გოროდცოვმა. ნამოსახლარებში გამოვლინდა მიწისზედა ხის სახლების ნაშთები, რ-ებშიც კერები იყო მოწყობილი. მიცვალებულებს კრემაციამდე ორმოსამარხებსა და გორასამარხებში, გვხვდება კრემაციის კვალიც. მოსახლ. ამზადებდა ქვისა და ბრინჯაოს იარაღს, ლითონის სამკაულს (კავკ. და კარპატისპირეთის წარმომავლობის). მრავალნაირ თიხის ჭურჭელს; ბალტიისპირეთის, ვოლგისპირისა და შავიზღვისპირეთის ტომებთან აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლას. საზ. წყობა – პატრიარქალურ-თემური, თუმცა ქონებრივი უთანასწორობის ნიშნები შეიმჩნევა.

ლიტ.: А р т е м е н к о И. И., Племена Верхнего и Среднего Поднепровья в эпоху бронзы, М., 1967 (Материалы и исследования по археологии СССР, № 148).

**შუა დუნაის ვაკე,** ვაკე დუნაის აუზის შუა წელში, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და ავსტრიის ფარგლებში. ჩრდ.-აღმ.-ით იჭრება უკრ. სსრ ამიერკარპატების ოლქის ტერიტორიაზე. ფართ. დაახლ. 200 ათ. კმ². წარმოადგენს მთათაშორის ტექტონ. დადაბლებას, რ-საც გარს აკრავს ალპები, კარპატები, დინარის მთები და აღმ. სერბიის მთები. აგებულია ნეოგენური კირქვებით, ქვიშაქვებითა და თიხებით, რ-ებიც პლეისტოცენში ლიოსებით, ლიოსური თიხნარებით, ეოლური ქვიშებითა და ალუვიური ნალექებით დაიფარა. სიმაღლე 100–200 მ. ზედაპირი ბრტყელია (ალფიოლდი, დუნაის აღმ-ით) ან ოდნავ ბორცვიანი (დუნანტული, დუნაის დას-ით), სადაც აღმართულია ცალკეული იზოლირებული საშ. სიმაღლის მთები (სიმაღლე 757 მ-მდე). ჩრდ.-დას. ნაწილია კისალფიოლდი. შ. დ. ვ.-ში შედის აგრეთვე ზაგრების აუზი და სავისა და დრავის ხეობები. შ. დ. ვ.-ზეა ბალატონის ტბა. არის ბოქსიტების, ნავთობის, ბუნებრივი აირის, მურა ნახშირის საბადოები. ჰავა ზომიერად კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა –1,–2°C, ივლ. 20–22°C. ნალექები 500–600 მმ წელიწადში, მთაში – 900 მმ-მდე. განვითარებულია შავმიწები და ალუვიური ნიადაგები. ზედაპირის 70–80% დახნულია. მნიშვნელოვანი ქ-ებია ბუდაპეშტი (უნგრეთი), ზაგრები (იუგოსლავია), ბრატისლავა (ჩეხოსლოვაკია), ტიმიშოარა (რუმინეთი).

**შუა ევროპის ვაკე,** ვაკე ევროპაში, უმთავრესად პოლონეთში, გფრ-ში, გდრ-სა და დანიაში, ჩრდ.-იდან ესაზღვრება ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის სანაპიროები, სამხრ-ით ჰერცინული სისტემის მთები და მაღლობები. სიგრძე დაახლ. 600 კმ, სიგანე 300-იდან 800 კმ-მდე. სიმაღლე უმეტესად 50–100 მ-მდე. ცალკეული მორენული სერების სიმაღლე 300 მ-ზე მეტია. უმთავრესად აგებულია კირქვებითა და ქვიშაქვებით, რ-ებიც ზემოდან დაფარულია მყინვარული ნალექებით. ჰავა გარდამავალია ზღვიურიდან კონტინენტურისაკენ. იანვ. საშ. ტემპ-რა დას-ით –1-იდან –3°C-მდე, აღმ-ით –2-იდან –4°C-მდე; ივლ. 17–19°C. ნალექები დას-ით 800 მმ წელიწადში, აღმ-ით – 500 მმ. მდ-თა ქსელი ხშირია (ოდერის, ელბის, ვეზერის, რაინის და სხვ. აუზები). ბევრია მყინვარული ტბა. განვითარებულია ტყის ეწერი და გაეწერებული ნიადაგები. ბუნებრივი მცენარეულობიდან დას-ით მუხნარ-წიფლნარია, აღმ-ით – შერეული ტყეები. ტყე ძირითადად გაჩეხილია. ჩრდ.-ით ბევრია ტორფნარი. ხეობებში მდელოებია. არის მარცვლეულის ნათესები, შაქრის ჭარხლის ნარგავები. მისდევენ მესაქონლეობას. შ. ე. ვ. მჭიდროდ არის დასახლებული. შ. ე. ვ.-ზეა ქ-ები: პოზნანი (პოლონეთი), ბერლინი (გდრ), დას. ბერლინი (განსაკუთრებული პოლიტ. ერთეული), ჰამბურგი, ბრემენი, ჰანოვერი (გფრ), ამსტერდამი, როტერდამი (ნიდერლანდი)

**შუაევროპული რასა,** დიდი ევროპეოიდული ანუ ევრაზიული რასის ერთ-ერთი ძირითადი ნაირსახეობა. გვხვდება ევროპის შუა ზოლის მოსახლეობაში. ახასიათებს მალიან ღია ფერის კანი და ზომიერად ღია ფერის, სწორი ან ტალღისებური თმა, ღია ფერის თვალები, სახეზე ზომიერად ან საშუალოზე მეტად განვითარებული თმიანი საფარველი, საშ. სიმაღლისა და სიგანის, ხშირად გამოწეულ-ზურგიანი ცხვირი, ბრაქიკრანიული, იშვიათად მეზოკრანიული თავის ქალა, საშ. სიგანისა და მაღალი სახე. სხეულის სიმაღლე 165–169 სმ აღწევს. პიგმენტაციის მიხედვით შ. რ. გარდამავალია სამხრ. და ჩრდ. ევროპეოიდებს შორის. ყველა რასობრივ კლასიფიკაციაში არ არის წარმოდგენილი. მ. აბდუშელიშვილი

**შუა ერმანი,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ჯავის რ-ნში (ედისის სოფსაბჭო), ოსეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ერმანისწყლის (დიდი ლიახვის სისტემა) ხეობაში. ზ. დ. 2220 მ, ჯავიდან 47 კმ. როკის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ქვემო როკაში (17 კმ).

**შუა ზახორი,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ლენინგორის რ-ნში (ზახორის სოფსაბჭო), ხარულის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ლეხურის ხეობაში. ზ. დ. 1020 მ, ლენინგორიდან 70 კმ, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 კმ. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ქვემო ზახორში (1 კმ).

**შუა ირანის მთები,** მთათა სისტემა ირანის მთიანეთის შიგა ნაწილში. სიგრძე დაახლ. 1000 კმ, სიგანე 300 კმ-მდე. ქედები უმთავრესად გადაჭიმულია ჩრდ.-დას.-იდან სამხრ.-აღმ.-კენ (მთავარი ქედებია ქუჰრუდი, ქუჰბანანი), სიმაღლე 4420 მ-მდე (მთა ჰაზარანი). შ. ი. მ. აგებულია დანალექი და ვულკ. ქანებით. ნალექები 100–300 მმ წელიწადში. მთათაშუა ხეობებსა და კალთების ქვედა ნაწილში აზონალურ-ეფემერული უდაბნოებია. მთის ზედა სარტყელში იზრდება ფრიგანოიდული მცენარეულობა. ხეობებში ალვის ხის, ტირიფისა და კაკლის ხის რაყებია. მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობას.



სტუცერული შეერთება: ა – გუნიოსთან; ბ – ქუროსთან; 1 – შტუცერი, 2 – მიმჭიდროებელი შუასადები, 3 – სახსრიანი ქანჩი, 4 – გუნიო; 5 – ქურო



ძველი შუამთა. დიდი ღვთისმშობლის ეკლესია VII საუკუნე. აღმოსავლეთის ხედი.

**შუა ისნარი,** სოფელი მახარაძის რ-ნში (ნაგომრის სოფსაბჭო), მდ. სუფსის მარცხ. მხარეს ზ. დ. 100 მ, მახარაძიდან 17 კმ. ნაგომრის კოლ-ბა (მეჩაიეობა) საშ. სკოლა სოფ. ნაგომარში (3 კმ) საბავშვო ბაგა

**შუაკაცი** (სამართ. ისტ.), ქართულ ჩვეულებით სამართალში პირი, რ-იც ბლაზლობდა დაზარალებული მხარის დასაყოლიებლად დავის მშვიდობიანად, მორიგებით დამთავრებისათვის კონკრ. ვითარების მიხედვით. შ-თა რაოდენობა 1—3 კაცით განისაზღვრებოდა სვანეთში შ-ს „მეცქეელარს" ეძახიან. როცა შ-ები დაითანხმებდნენ დაზარალებულს, შიდაკვე მხარეები, ხშირად შ-ების აქტ. მონაწილეობით, ირჩევდნენ საქმის არსებითად განმხილველ ბჭეებს, მედიატორებს (ხევსურეთში — „რჯულის კაცებს", სვანეთში — „მორვარებს"). შ-ები წარმართავდნენ ბჭეთა შეკრებამდე საჭირო მოსამზადებელ საქმიანობას („რიგის ყენებას"). ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებს არსებითად შ-ებიც წყვეტდნენ, ზოგჯერ კი ისინი თვითონაც შედიოდნენ ბჭე-მედიატორთა სასამართლოს შემადგენლობაში. შ-ების შესახებ ცნობებს შეიცავენ ბექა-აღბუღას (მმ 39, 49, 52, 60) და ვახტანგ VI-ის (მმ 180, 190) სამართ. წიგნები

ლიტ.: ფ ი ტ კ ე ლ ა ი ა მ. სვანეთის ჩვეულებითი სამართლიდან — „მეც ქეელარ", «მაცნე, ენისა, ისტორიისა და სამართლის სერია», 1980, № 1, ბ ა რ ა ტ ა შ ვ ი ლ ი., ხევსურული რჯული. თბილისი, 1947. [გ ]. ]

მ. კეკელია.

**შუა ქვალითი,** სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე ქვალითის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლებით: შ. ქ., ქვედა ქვალითი) ზ. დ 260 მ, ზესტაფონიდან 3 კმ. სერგო ორჯონიკიძის სახ. ქვალითის კოლ-ბა (მევენახეობა). ლენინის ქ-ნა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, 2 ბ-კა, კულტსახლი, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**შუა კოზი,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ჯავის რ-ნში (ზნაურის სოფსაბჭო). ოსეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, კოზის ტბის ნაპირას ზ. დ. 1500 მ, ჯავიდან 53 კმ. სოფ. კარიფის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა დაბა კვაისაში (18 კმ)

**შუა პრისი,** სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ამბროლაურის საქალაქო საბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში ზ. დ 720 მ, ამბროლაურიდან 3,5 კმ. ამბროლაურის კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა ამბროლაურში

**შუალედი,** ი ნ ტ ე რ ვ ა ლ ი. იხ. სტ. ინტერვალი და სეგმენტი

**შუალედი მასივი,** დედამიწის ქერქის გეოსინკლინურ სარტყელში მოქცეული შედარებით სტაბილური უბანი, რ-იც ყოფს ერთმანეთისაგან გეოსინკლინურ სისტემებს. შ. მ-ის ფუნდამენტს ქმნის ძვ., ხშირად კამბრიულისწინა ასაკის ქანები, რ-ებიც, გარაუდით, იმ ძვ. კონტინენტის ნაშთს წარმოადგენს, რ-ზედაც ჩაისახა ფანეროზოური დროის კონტინენტთშორისი გეოსინკლინური სარტყლები. შ. მ-ები დაფარულია წყალმარჩხა ზღვიური და კონტინენტური ნალექებით, აგრეთვე ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, რ-ებიც მოსაზღვრე გეოსინკლინური სისტემების სინქრონულ წყებებთან შედარებით მცირე სისქისაა და ნაკლებ დისლოცირებული. მაგმატიზმი, ჩვეულებრივ, შ. მ-ის პერიფერიაზე ვლინდება შ. მ-ის მაგმური ქანები, გეოსინკლინურთან შედარებით, უფრო მდიდარია კალიუმით და (ან) ტუტეებით.

**შუალედური მასაინძლები,** შ უ ა მ ა გ ა ლ ი მ ა ს პ ი ნ ძ ლ ე ბ ი (ბიოლ.), 1. ცხოველები, რ-ებშიც მინაღრობენ პარაზიტები სქესმწიფე პარაზიტები. მათგან განსხვავებით, დ ე ფ ი ნ ი ტ ი უ რ ი მ ა ს პ ი ნ ძ ლ ე ბ ი ეწოდება ცხოველებს, რ-თაც ორგანიზმშიც პარაზიტები სქესმწიფობას აღწევენ და სქესობრივად მრავლდებიან (პარაზიტიზმი). მაგ., მალარიის პლაზმოდიუმისათვის ადამიანი შ. მ-ია, ხოლო კოღო — დეფინიტიური მასპინძელი. 2 მცენარეები, რ-ებზედაც ითვისი განვითარების ციკლს გადიან ჟანგა- მცენარეების პარაზიტი ჟანგა სოკოები. ამ სოკოების უმრავლესობა შ მ-ზე წარმოქმნიან ეციდიუმებს ანუ ეციდიურ სპოროფიტარებს (მაგ., კოწახურის ფოთლებზე მარცვლოვნების ხაზოვანი ჟანგა Puccinia graminis).

ლ. ყიფიანი.

**შუალედური ცელა,** ნივთიერებათა გარდაქმნები უჯრედში მათი მიჩვეულის მომენტიდან ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების წარმოქმნამდე იხ. აგრეთვე მეტაბოლიზმი.

**„შუამავალი",** ქართული ყოველკვირეული იუმორისტული გაზეთი გამოდიოდა 1907 თბილისში რედ.-გამომცემელი — ს. ქვრივიშვილი ლიმბუხლილია იუმორისტული სცენები, ნაკვეპები ლექსები და პროზა. ფელეტონები („საქმო" და „საიქიო"). თანამშრომლობდნენ ორელელი (პ კალანდაძე), გერმოგენი (შ კაკაბაძე), ემმა (ნ. კალანდაძე), თასამანი (მ კინწურაშვილი). კარიკატურები ეკუთვნის ო. შმერლინგს და გ. ზაზიშვილს. „შ-ის" შემდეგ გამოვიდა ჟურნ. „მეჩონგურე".

ი. ლითანიშვილი.

**შუამავლობა** (საერთაშ. სამართ.), მოდავე სახელმწიფოების თანხმობით დავაში მესამე სახელმწიფოს ჩარევა კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. შუამავალს ეძლევა უფლება არა მარტო ხელი შეუწყოს მხარეთა შორის კონტაქტების დამყარებასა და ურთიერთკომპრომისების მიღწევას, არამედ თვითონ წარუდგინოს მხარეებს დავის გადაწყვეტის პირობები, აქტიურად წარმართოს მოლაპარაკება. შუამავლის ყველა წინადადება მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათის აქარეს და მხარეთათვის სავალდებულო არ არის. შ. თანამედროვე საერთაშ. სამართ. მნიშვნელოვანი ინ-ტია, იგი საერთაშ. დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ამას შე ითვალისწინებს გაერო-ს წესდებაც (მ. 33).

ლ. ალექსიძე.

**შუა მახისი,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ცხინვალის რ-ნში (ბიყარის სოფსაბჭო). მდ. მეჯუდის ხეობაში ზ. დ. 1120 მ, ცხინვალიდან 18 კმ. ლენინის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. დიდ ღრომში (5 კმ).

**შუამდებარე ტვინი,** თავის ტვინის განყოფილება, რ-იც შეადგენს ტვინის ღეროს ყველაზე წინა (ადამიანში — ზედა) ნაწილს, ზემოთ კი დიდი ტვინის ნახევარსფეროებით გადაფარულია (იხ. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქი) შ ტ-ის წარმონაქმნები (მხედველობის ბორცვები ანუ თალამუსი და ბორცვქვეშა მიდამო ანუ ჰიპოთალამუსი) მონაწილეობენ აბსოლუტურად ყველა მიმდინარე სენსორული პროცესების ორგანიზაციაში, ვეგეტატიურ ფუნქციებში შ ტ-თან არის დაკავშირებული ჰიპოფიზის შეკრინება, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის რეგულაცია და სხვ

**შუამდებარე ცვლადი** ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა შ ი, ქცევის მადეტერმინირებელი ცვლადი, ქცევის სუბიექტური ფაქტორი. შემოიღო ამერ. ფსიქოლოგმა ტოლმენმა. მან ქცევის ანალიზისას გამოყო დამოუკიდებელი, დამოკიდებული და შუამდებარე ცვლადები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ნეობიჰევიორისტულ მიმდინარეობას ფსიქოლოგიაში. შ. ც-ის შემოღების აუცილებლობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ (S და R) ცვლადებს შორის არ დასტურდა ცალსახა დამოკიდებულება აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე სტიმული (S) ხშირად განსხვავებულ რეაქციებს (R) იწვევს და პირიქით სტიმულით გამოწვეული რეაქციის სახე დამოკიდებული აღმოჩნდა შუამდებარე ცვლადზეც. ნეობიჰევიორიზმმა აღადგინა ტრად. ფსიქოლ. „სუბიექტივისტური" ცნებები, რითაც ფაქტობრივად შეცვალა ფსიქოლ. პროგრამული საკითხებისადმი მიდგომა. ნაცვლად ქცევის ბიჰევიორისტული ზოგადი მოდელისა (S=R), შეიქმნა ახალი, ნეობიჰევიორისტული მოდელი (S=O=R). განსხვავებას ნეობიჰევიორისტულ თეორიებში ქმნის ის, თუ რა შუალედური ცვლადია ნაგულისხმევი მოდელში.

ლიტ.: М о л л е р Д., Г а л а н т е р Ю., П р и б р а м К., Планы и структура поведения, М., 1965 რ. ქვარცხავა.

**შუამდინარეთი** (ბერძ. მ ე ს ო პ ო ტ ა მ ი ა), ტერიტორია მდ-ების ევფრატისა და ტიგრის დინებათა შორის (დაახლ. 40 ათ. კმ²) მიეკუთვნება აზიანტ. ერაყის ტერიტორიას, აგრეთვე ირანის, თურქეთის, სირიისა და ქუვეითის ტერიტორიების ნაწილს. წარმოადგენს დაბლობს (იხ. მესოპოტამიის დაბლობი). შ. იყოფოდა ჩრდ. და სამხრ. ნაწილებად, მ. შ. საზღვარი დაახლ. ბაღდადიდან გადიოდა შ კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის კერა იყო. აქ ძვ. წ IV—I ათასწლეულებში არსებობდა აქადის, შუმერისა და ბაბილონის სახელმწიფოები.

ვ. მარაბელიძე

**შუამთა,** მთა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ხევსურეთის არაგვის სათავეში, სიმაღლე 3171 მ. აგებულია ზედალიასური ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. დანაწევრებულია კლდოვანი, ძლიერ დანაწევრებული რელიეფი, ციცაბო კალთები. ჩრდ. კალთაზე ორი ძვ. ცირკია, სადაცაც ქმნებიდნენ მყინვარები მეოთხეულ პერიოდში მყინვარები. მთაზე გამოდის ხავსები და მდელოები.

ს. ნემსაძიშვილი.

**შუამთა,** ო რ თ უ ლ დ ა ღ ი, მთა ნიალისყურის ქედის თხემზე, საქ. და სომხ. სსრ-ების საზღვარზე სიმაღლე 2447 მ. აგებულია შუა-პალეოგენური ანდეზიტებით. გუმბათისებრი, სუსტად დანაწევრებული და დამრეცკალთებიანია. მთისიღა სუბალპ. და ალპ. მდელოს ბალახეულით.

ქ. ჯაყელი.

**შუამთა,** სოფელი ახალციხის გულდრინის რ-ნში (აწყურის სოფსაბჭო), მდ. კოდორის მარჯვ მხარეს ზ დ 520 მ, გუდაუთიდან 30 კმ აწყურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. აწყურში (2 კმ).

**შუამთა,** სოფელი ყვარის რ-ნში, მდ. ყუმურის ნაპირებზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლებით. შ., მთისძირი, ჭიკან-ჭყეპიში, ჭიკვიში). ზ. დ. 70 მ, ყვარიდან 6 კმ, სარკინიგზო სადგურიდან (უასლოესი რკინიგზის სადგ.) 18 კმ. ვანის მეხილეობა-მესაქონლეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. და საშუალო სკოლები, პროფტექ. სასწავლებელი, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კულტსახლი, კლუბი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმ. გიორგის ეკლესია (1615); შიგნით მოხატულია.

**შუამთა** ძ ვ ე ლ ი, ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი თელავის რ-ნში, მდებარეობს ტყეში, თელავიდან 7 კმ-ზე ანსამბლში შედის: V ს. ბაზილიკა, ქრისტ. არქიტექ. ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუში საქართველოში; VII ს. გუმბათოვანი ეკლესია, მცხეთის ჯვრის ტიპისა, თუმცა უფრო პატარა (შემკობილია აფსიდებისა და ბემების სიღრმე, გუმბათის ყელის მნიშვნელობა გაზრდილია, ტრომპების კონსტრუქცია ნათლად არის გამოყენებული); VII ს. მცირე გუმბათოვანი ეკლესია გეგმით ისიც ჯვრის ტიპისაა, მაგრამ აქ უკვე აღარ არის კუთხის ოთახები და ბემები. ორივე ღერძი ტოლია. სამივე ეკლესია რიყის ქვით არის ნაგები, კუთხეებისათვის გამოყენებულია შირიმი. XVI ს-ში ძველი შ-ის მონასტერი დაცარიელდა. მის მახლობლად კახთა მეფის ლევან


ა. შუმსკი.

სიმბოლიკა ნასაზრდოებია ნაციონალურების გამომხატველი ლექსიკით. გამოსახულების პერსონაჟები არიან დაბალი რანგის ღვთაებები (მაგ., ნაზარისა და მარცვლეულის ღვთაებები), აგრეთვე ცხოველები (ხარი და ცხენი), მცენარეები (პალმის ხეები და ფინიკის პალმა), ლითონები (ოქრო და ბრინჯაო), წელიწადის დროები (ზამთარი და ზაფხული) და სხვ. შ ე გ ო ნ ე ბ ა ნ ი ადასტურებს და ამტკიცებს საზ-ბაში ტრადიციულობას და ამ ნაკადის უწყვეტლობას, რ-იც ზნეობითი ნორმების სახით გადადის თაობიდან თაობაზე. აქ მონაწილეობენ შემეცნებელი მამა და მისი მორჩილი მსმენელი და მორჩილი შვილი.

ლიტ.: ყაუხჩიშ. სიბრძნე. ძველი შუამდინარული პოეზია, თბ., 1969; Крамер С. Н., История начинается в Шумере, М., 1965. ზ. კიკნაძე.

**შუმიხა**, ქალაქი რსფსრ კურგანის ოლქში. შუმიხის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ჩელიაბინსკ—კურგანის ხაზზე. მანქანათსაშ., სარემონტო-სასაკალო. რკინაბეტონის ნაკეთობათა, 2 კომბინირებული საკვების, აგურის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა, მეურნეობის, კარაქ-რძის კომბინატები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

**შუმპეტერი** (Schumpeter) იოზეფ [დ. 8. II. 1883, ტრიეშტი, მორავია, — გ. 8. I. 1950, სოლზბერი (აშშ)], ეკონომისტი და სოციოლოგი, წარმოშობით ავსტრიელი. იყო ავსტრ. რესპ. ფინანსთა მინისტრი (1919—20), 1932-იდან ჰარვარდის უნ-ტის (აშშ) პროფესორი. შ. უპირვ. ყურადღებას კაპიტალიზმის თეორეტიკოსია. მან კაპიტალიზმის ფუნქციონირების პირობად მიიჩნია კერძო საკუთრება, სახელმწიფოებელი და მოგების ძიების თავისუფლება. შ-ის ძირითადი ნაშრომია „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" (1942). შ-ს ეკუთვნის ეკონ. ციკლის ცნება. კონიუნქტურა. მანვე წამოაყენა „ეფექტური კონკურენციის" თეორია


შურთხი.

**შუმსკი** (ნამდ. გვარი შ ო მ ი ნ ი) იური ვასილის ძე [5 (17). XI. 1887, ტირასპოლი, — 7. VI. 1954, კიევი], უკრაინელი საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1944), სკკპ წევრი 1942-იდან. აქტიურად მონაწილეობდა რევ. მოძრაობაში. გამოდიოდა მუშათა დრამ. წრის სპექტაკლებში. 1925—34 უკრ. „ბერეზილის" (ახლანდ. ოდესის ოქტ. რევ. სახ. თეატრი) მსახიობი იყო. 1934-იდან მუშაობდა კიევის ი. ფრანკოს სახ. თეატრში. როლები: ხლესტაკოვი, გოროდნიჩი (გოგოლის „რევიზორი"), ბოგდან ხმელნიცკი (კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი"), ბორის გოდუნოვი (პუშკინის „ბორის გოდუნოვი") და სხვ. გადაღებულია მარშალ ვასილევსკის როლში კინოფილმებში „მესამე დარტყმა" (1948) და „სტალინგრადის ბრძოლა" (1949). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950, 1951). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

**შუნტი** (ინგლ. shunt — განშტოება) გ ა ზ ო მ ვ ა თ ა ტ ე ქ ნ ი კ ა შ ი, ელექტროსაზომი ხელსაწყოს პარალელურად ჩართული რეზისტორი, რ-ის დანიშნულებაა დენის ძალის, სიმძლავრის, ენერგიის გაზომვის საზღვრების გაფართოება მაშინ, როცა მცირეა ან არამიზანშეწონილია მთელი გასაზომი დენის გატარება საზომ ხელსაწყოში.


პ. შურუხინი.

**შუპე** (Schuppe) ვილჰელმ (5. V. 1836, ბრიგი, ახლანდ. ბჟეგი, პოლონეთი, — 29. 3. 1913, ბრესლაუ), გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, იმანენტური ფილოსოფიის წარმომადგენელი. ნაშრომში „შემეცნების თეორიული ლოგიკა" (1878) წამოაყენა თვალსაზრისი „მესადმი" დამორჩილებული სინამდვილის სუბიექტურ ფენომენებზე დაყვანის შესახებ; მყარად მიიჩნეულია „მე", როგორც მთლიანი დაუშლელი ელემენტი, და მთელი სინამდვილე მისი ცნობიერების იმანენტური შინაარსია. ამ თვალსაზრისს საერთო აქვს ემპირიოკრიტიციზმთან.

შ-მ სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი ობიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისად გარდაქმნა. ნაშრომში „შემეცნების თეორიისა და ლოგიკის ნარკვევები" (1894) „მე-ს" ცნება შეცვალა საყოველთაო ცნობიერებით. მისი თვალსაზრისით, საყოველთაო ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია სივრცულ-დროითი სინამდვილე, რ-ის შინაარსი მხოლოდ ზეინდივიდუალური არსია.

თხზ.: Die immanente Philosophie, «Zeitschrift für immanente Philosophie», 1897, Bd. 2, H. 1.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; Бакрадзе К. С., Избр. философские труды, 2 изд., т. 3, Тб., 1973. მ. ჭელიძე.

**„შურაი-ისლამი"** (არაბ. — „ისლამის საბჭო" ან „ისლამური საბჭო"), კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია თურქესტანში 1917—18; ბასმაჩობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დააარსეს ჯადიდებმა 1917 მარტში ტაშკენტში. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ორგანიზაციამ „კოკანდის ავტონომიის" შექმნა გამოაცხადა. 1918 თურქესტანის სახკომსაბჭომ „შ.-ი." გააუქმა.

**შურდო**, სოფელი ახალციხის რ-ნში (ფერსის სოფსაბჭო), მდ. მტკვრის ხეობაში. ზ. დ. 1430 მ, ახალციხიდან 16 კმ, ფერსადან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 კმ. ფერსის მეძროხეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. აქვს კარიერი. საშ. სკოლა სოფ. გოლოგოწმინდაში (6 კმ).

**შურდული**, ქვის სატყორცნი იარაღი. ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ხალხში (ეგვიპტე, საბერძნეთი და სხვ.), მ. შ. საქართველოშიც. შ. იყო საბრძოლო, სანადირო, სამწყემსო და სათამაშო. მზადდებოდა ტყავისაგან, შალის ქსოვილისაგან, ძუისაგან, ძაფის თოკისაგან, ლაფნისაგან და ა. შ. შედგებოდა ტყავის ან მოქსოვილი ჩაღრმავებული საქვისა და ყულფისაგან. ამ მოწყობილობაში ჩადებდნენ მრგვალ საშურდულე ქვას და შვლეჯის წრიული ტრიალით მიზანში ტყორცნიდნენ. საშურდულე ქვებისათვის ქართველ მეომარს საგანგებო აბგა-ჯიბეები ტყავისგან ჰქონდა. იგი ბაგრატიონთა გერბის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა, რადგან ამ გვარის ბიბლიურმა წინაპარმა დავითმა შ-ით მოკლა გოლიათი.

ლიტ.: ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ქ., შურდული, «მეცნიერება და ტექნიკა», 1968, № 1. ქ. ჩოლოყაშვილი.

**„შურდული"**, ქართული ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი. გამოდიოდა 1907 თბილისში გაზ. „შუამავლის" შემდეგ. რედ.-გამომცემელი — ს. თავდამშვილი. პირველ ნომერში გამოქვეყნებულია სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგი ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. ჟურნალში დაბეჭდილია იუმორისტული მოთხრობები, პაროდიები, გამოცანები, ო. შმერლინგისა და შ. ქიქოძის კარიკატურები, ხუმარას (ვ. რუხაძე), ეშმაკის (ნ. კალანდაძე), მამინის (გ. ხანდამაშვილი), თავისუფლის (შ. შარაშიძე) და სხვათა ნაწარმოებები. ი. ლორთქიფანიძე.

**„შურდული"**, ქართული ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი ს.-დ. მენშევიკებისა. გამოდიოდა თბილისში 1908 გაზ. „ელვის" ნაცვლად (დროებით). იყო ჟურნ. „შურდულის" გაგრძელება. გამოვიდა სამი ნომერი. რედ.-გამომცემელი — ს. თავდამშვილი. დაბეჭდილია ადგილ. კორესპონდენციები, ინფორმაციები, პოლემიკური წერილები და სხვ. თანამშრომლობდნენ კ. ჩხეიძე, ე. მგელაძე, შ. დავითაშვილი, ა. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი და სხვ. დაიხურა თბილ. გუბ.-გუბერნატორის განკარგულებით. ი. ლორთქიფანიძე.

**შურთხი** (Tetraogallus), ფრინველთა გვარი ქათმისნაირთა რიგისა. აქვთ მკვრივი ტანი, მაგარი ნისკარტი და ფეხები (მამლებს მოკლედეზებიანი). მათი სხეულის სიგრძე 50—70 სმ აღწევს. შეფერილობაში ჭარბობს რუხი და თეთრი ფერები. გვარი მოიცავს 5 სახეობას. ხუთივე გავრცელებულია სსრკ-ში — კავკასიონზე, მცირე კავკასიონზე, ტიბეტის, შუა და ცენტრ. აზიის მაღალმთიანეთში. საქართველოში ბინადრობენ კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი და კ ა ს პ ი უ რ ი შ-ები (უკანასკნელი შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში"). ვერტიკალურად ვრცელდებიან ზ. დ. 1600—4000 მ-ზე. გაზაფხულზე ტოკვის შემდეგ დედალი პატარა ორმოში დებს 8—10 კვერცხს და კრუხობს 3 კვირაზე მეტხანს. შ-ები იკვებებიან მცენარეთა კვირტებით, ყლორტებით, თესლით, კენკრით, ბოლქვებით, იშვიათად მწერებით. ამჟამად საქართველოში ცხოვრობს 10 ათ. კავკასიური და 50 ცალამდე კასპიური შ. რ. ჟორდანია.

**შურის ციხე**, თბილისის ციხის (იგივე ნარიყალა) ძველი პერიოდის სახელი. ხმარებაში შემოიღო ვახუშტი ბაგრატიონმა (XVIII ს.). ისტ. მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი (ლ. მელიქსეთ-ბეგი), რომ სახელწ. „შ. ც." არასწორადაა შეტანილი XI ს. მემატიანის ლეონტი მროველის ნაწარმოებიდან: „... და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხე მტკვრისად..." ციხე [ე. წ. „შურის" (ძვ. ქართ. „შურის" — ახ.ქართ. „საპირისპიროდ", „დასაპირისპირებლად")] აშენებულა არა მტრის არმიის დასაპირისპირებლად, არამედ „კავკასიონისა, ანუ დარიალისა და კასპის კართა შორის, ციხედ მტკვრისად". თ. ბერიძე.

**შურმული**, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ოქტომბრის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 920 მ, ხულოდან 7 კმ. სერგო ორჯონიკიძის სახ. ოქტომბრის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ფუშრუკაულში (1,5 კმ). საფერშლო-საბებიო პუნქტი, ბიბ-კა.

**შურფი**, დახრილი გვირაბი, რ-საც არა აქვს უშუალო გასასვლელი მიწის ზედაპირზე; იყენებენ სასარგებლო წიაღისეულის, მასალებისა და მოწყობილობების სამუშაო ჰორიზონტზე ჩასაშვებად. მომუშავეთა სასიარულოდ და სავენტილაციოდ.

**შურუპაკი** (ახლანდ. ნაქალაქარი ფ ა რ ა, ქ. დივანიის სამხრ.-აღმ.-ით 75 კმ-ზე, ერაყი), ძვ. შუამდინარეთის ერთ-ერთი ქალაქი. შუმერულ ქრონიკებში შ. იხსენიება იმ ხუთ ქალაქს შორის, რ-ებიც თითქოს წარღვნამდე არსებობდა. გათხრებით დადასტურდა, რომ შ. ადრინდ. ტაძრის საქალაქო დასახლებად (ძვ. წ. XXIX ს.) წარმოიქმნა. აქ აღმოჩენილი სამეურნეო თუ რელიგ. შინაარსის ლურსმნული დოკუმენტები მიეკუთვნება შ-ის აღზევებას ძვ. წ. XXVII—XXVI სს-ში. შუმერული მითების მიხედვით, ამ ქალაქში იჯდა წარღვნის დროს კაცთა მოდგმის თესლის გადამრჩენელი გმირი მეფე ზიუსუდრა (აქად. უტნაპიშთიმი, ბიბლ. ნოეს პროტოტიპი). ძვ. წ. III ათასწლ. ბოლოს შ-მა, როგორც ქალაქმა, არსებობა შეწყვიტა. ჯ. შარაშენიძე.

**შურუხინი** პაველ ივანეს ძე [5 (18). XI. 1912, სოფ. სოლომონ-ერიკი, ახლანდ. ბაკუნის რ-ნი, ვოლგოგრადის ოლქი, — 3. XI. 1956, მოსკოვი], ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (23. X. 1943 და 24. III. 1945), გენ.-მაიორი (1950). სკკპ წევრი 1940-იდან. წითელ არმიაშია 1931-იდან. დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის სამხ. სკოლა (1934) და მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემიასთან არსებული მსროლელთა დივიზიის მეთაურთა კურსები (1950). საბჭ.-ფინ. ომის (1939—40) მონაწილე. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს მსროლელი ბატალიონის, შემდეგ გვარდ. პარტიზ. რაზმისა და მსროლელი პოლკის მეთაური. სსრკ II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის



ს. შჩედრინი.

თ. შჩედრინის შვილი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1800—12). 1818-იდან იყო სამხატვრო აკად. პენსიონერი იტალიაში. თავდაპირველად ქმნიდა კლასიცისტური ხასიათის პეიზაჟებს. იტალიაში ბუნებიდანვე შეისწავლა ნატურა, აკვირდებოდა შუქისა და ჰაერის მოქმედებას, ისწრაფოდა ბუნებრიობისა და ლირიკული განწყობილებისაკენ ნამუშევრებში „ძველი ნავსადგური სორენტოში“, „ტერასა კაპრიზე“, „სორენტოს ხედი ნეაპოლიდან“ (ზეთი — 1826, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი) გადმოცემულია ბუნების პოეტურობა. შ. თანდათან მეტ ადგილს უთმობდა ჟანრობრივ მოტივებს სერია „სორენტოს ტერასები“ (1825—28) გამსჭვალულია ყოველდღიური ცხოვრების სილამაზით. ემოციური, რომანტიკულია „მთვარიანი ღამე ნეაპოლში“ (1828—29, ზეთი — ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი) შ-ის მიღწევები პლენერის დარგში ახ. ეტაპი იყო რუს. პეიზაჟურ ფერწერაში.

ლიტ.: Конопаева М., С. Ф. Щедрин, კრ. Материалы по русскому искусству, т. 1, Л., 1928. Фёдоров-Давыдов А., Русский пейзаж XVIII — начала XIX века, М., 1953.

**შჩედრინი** ფეოდოსი თეოდორეს ძე [1751, პეტერბურგი, — 19 (31) I 1825, იქვე], რუსი მოქანდაკე, ს. თ. შჩედრინის ძმა. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1764—70). ნ. ჟილესთან იყო სამხატვრო აკად. პენსიონერი ფლორენციასა და რომში — 1773—75, პარიზში — 1775—85. 1794-იდან აკადემიკოსი. მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1818-იდან რექტორი) თავდაპირველად ბაროკოს ტრადიციების მიმდევარი (მკვეთრი დინამიკით შესრულებული ფიგურა „მარსია“, თაბაშირი, 1776, სსრკ სამხატვრო აკად. მუზეუმი, ლენინგრადი), 1770-იანი წწ. ბოლოდან შ. რუს. კლასიციზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. შ-ის დაზგური ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია სახეთა კლასიკური სიცხადე, დახვეწილი, ფაქიზი მოდელირება („მძინარე ენდიმიონი“, ბრინჯაო, 1779; „ვენერა“, მარმარილო, 1792; ორივე — რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). შ. იყო მონუმ.-დეკორ. პლასტიკის ოსტატი (ფიგურები საადმირალოს ცენტრ. კოშკის კოლონადასა და ატიკზე, „ზღვის ნიმფები“, კირქვა, 1812—13 და სხვ.).



მ. შჩეპკინი.

ლიტ.: Каганович А., Ф. Ф. Щедрин, М., 1953.

**შჩეპკინა-კუპერნიკი** ტატიანა ლვოვის ასული [12 (24) I. 1874, მოსკოვი, — 27 VII 1952, იქვე], რუსი საბჭ. მწერალი, მთარგმნელი, რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). 1892-იდან წერდა პიესებს, ლექსებს, მოთხრობებს. ეკუთვნის აგრეთვე თარგმანები (ე. როსტანი, ლოპე დე ვეგა, მოლიერი, გოლდონი), მემუარები, ნარკვევები და სხვ.

**შჩეპკინი** მიხეილ სემიონის ძე [6 (17) XI. 1788, სოფ. კრასნოე, ობოიანის მაზრა, ახლანდ. ბელგოროდის ოლქი, — 11 (23). VIII. 1863, იალტა], რუსი მსახიობი, რუს. თეატრ. ხელოვნ. რეფორმატორი და რეალიზმის ფუძემდებელი. 1797-იდან სწავლობდა მცირე ხან სასწავლებელში. სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო 1805. მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა ფული შეაგროვეს და 1822 ყმობიდან გამოისყიდეს. 1823-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. მცირე თეატრის მსახიობი. შ-ის საზ. შემოქმედებითი მრწამსის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ა. პუშკინმა, ნ. გოგოლმა, ვ. ბელინსკიმ, ა. გერცენმა, ტ. შევჩენკომ და სხვ., რ-ებთანაც მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ცენზურის აკრძალვის მიუხედავად, შ. მაინც აღწევდა მათი პიესების დადგმას.

შ-მა გადატრიალება მოახდინა რუს. სასცენო ხელოვნებაში, დაუახლოვა იგი პუშკინისა და გოგოლის რეალიზმს, განამტკიცა მსახიობის ზნეობრივ-განმანათლებლური ფუნქციები, მისი მოქალაქეობრივი მისია, შეიმუშავა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაფუძნებული შემოქმედებითი მეთოდი. მისი აზრით, მსახიობი მოქმედი პირის ახლოს კი არ უნდა იდგეს, არამედ უნდა სწვდეს მის სულს. შ-მა უდიდეს წარმატებას მიაღწია რუს. სატირულ დრამატურგიაში, შექმნა თავადაზნაურული წრის წარმომადგენელთა თაობის გამომხატველი ტიპური სახეები: ფამუსოვი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ჰოროდნიჩი და კოჩკარიოვი (გოგოლის „ქორწინება“), ბარონი (პუშკინის „ძუნწი რაინდი“) და სხვ., აგრეთვე თვითმყოფი ხალხ. ხასიათები: მეზღვაური (სოვაჟისა და დელურიეს „მეზღვაური“), მაკოგონენკო (კოტლიაროვსკის „პოლტაველი ნატალკა“), შელმენკო (კვიტკა-ოსნოვიანენკოს „შელმენკო-დენშჩიკი“) და სხვ. შ-ის შესრულება გამოირჩეოდა უდიდესი ტემპერამენტით, იუმორით, ცხოვრებისეული სიმართლით, ფსიქოლ. სიღრმით. შ-ის წერილებში, მოგონებებში, მოწაფეებთან საუბრებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები მსახიობის შემოქმედებაზე შემდგომ საფუძვლად დაედო სტანისლავსკის სისტემას.

ლიტ.: Гриц Т. С., М. С. Щепкин. Летопись жизни и творчества, [М., 1966]. М. С. Щепкин. Записки. Письма. — Современники о Щепкине, М., 1952.



ლ. შჩერბა.

**შჩერბა** ლევ ვლადიმერის ძე [20 II (3. III). 1880, პეტერბურგი, — 26 XII 1944, მოსკოვი], რუსი საბჭ. ენათმეცნიერი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). ლენინგრ. ფონოლოგიური სკოლის დამაარსებელი, ფონემის თეორიის ერთ-ერთი ავტორი. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი (1903). მოღვაწეობდა ზოგადი ენათმეცნ., ექსპერ. ფონეტ., ლექსიკოგრაფიისა და გრამატ. თეორიის დარგებში, აგრეთვე რუს. და უცხოური ენების სწავლების მეთოდიკაში.

თხზ.: Языковая система и речевая деятельность, Л., 1974.



ლ. შჩერბაკოვი.

**შჩერბაკოვი** დიმიტრი ივანეს ძე [1 (13). I 1893, ნოვოჩერკასკი, ახლანდ. როსტოვის ოლქი, — 25 V. 1966, მოსკოვი], საბჭ. გეოლოგი და გეოქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). ვ. ვერნადსკისა და ა. ფერსმანის მოწაფე. 1922 დაამთავრა ტავრიდის (ახლანდ. სიმფეროპოლის) უნ-ტი. 1938—41 ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. მეცნ. ინ-ტის მინერალოგიისა და გეოქიმ. სექტორს. 1943—48 — სექტორს მინერალური ნედლეულის საკავშ. ინ-ტში. 1963-იდან ხელმძღვანელობდა 2 სამეცნ. განყ-ბას სსრკ მეცნ. აკად. მადნეულ საბადოთა გეოლ., პეტროგრაფიის, მინერალოგიისა და გეოქიმ. ინ-ტში. 1953—63 იყო სსრკ მეცნ. აკად. გეოლ.-გეოგრ. მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. შ-ის შრომები ძირითადად შეეხება იშვიათ ელემენტთა გეოქიმ., შუა აზიის, კოლის ნ-კ-ის, ამიერბაიკალეთის, კავკასიისა და სხვ. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლ. და შეფასების საკითხებს. მისი სახელი ეწოდა მინერალს — შჩერბაკოვიტი — $(K, Na, Ba)_3 (Ti, Nb)_2O_2[Si_4O_{12}]$. ლენინური პრემია (1965). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Избр. труды, т. 1—3, М., 1969—71.

**შჩერბატსკოი** თეოდორე იპოლიტის ძე [30. VIII (11. IX). 1866, კიელცე, პოლონეთი, — 18. III 1942, ბოროვოე, აკმოლინსკის ოლქი, (ყაზახეთი)], საბჭ. ინდოლოგი, ტიბეტოლოგი და ბუდოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1918). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტი (1889), 1900-იდან პეტერბ. უნ-ტის პროფესორი. ს. ოლდენბურგთან ერთად დააარსა სერია „Bibliotheca Buddhica“ (1897-იდან). 1928-იდან ლენინგრადში სათავეში ჩაუდგა ბუდისტური კულტ. ინ-ტს, რ-იც შემდეგში გადაკეთდა სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ინდ.-ტიბეტ. კაბინეტად. 1910 გაემგზავრა ინდოეთში ბუდისტური სამეცნ. ლიტ-რის შესასწავლად სანსკრიტზე. ძირითადი შრომები ეძღვნება ბუდიზმის ფილოსოფიას, ჩრდ. ბუდიზმის მაჰაიანის ფილოს. საფუძვლების ანალიზს. შ. არის ბუდოლოგიის რუს. სკოლის დამაარსებელი. თარგმნა და გამოსცა სანსკრიტული და ტიბეტური ლიტ-რის ძეგლები. დიდი ბრიტ., გერმ. და საფრ. სამეცნ. საზ-ების საპატიო წევრი.

თხზ.: Теория познания и логика по учению позднейших буддистов, ч. 1—2, СПб., 1903—09.



ვ. შჩერბიცკი.

**შჩერბინა** ბორის ევდოკიმის ძე (დ. 5. X. 1919, ქ. დებალცევო, დონეცკის ოლქი), საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1983). სკკპ წევრი 1939-იდან. დაამთავრა ხარკოვის რკინიგზის ტრანსპ. ინ-ტი (1942), უკრ. კპ ცკ-თან არსებული რესპ. პარტ. სკოლა (1948). 1942—44 კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1944-იდან პარტიულ სამუშაოზე. 1948—50 უკრ. კპ ხარკოვის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი, 1950—51 უკრ. კპ ხარკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი. 1951—61 სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი. 1961—73 სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1973—84 სსრკ ნავთობისა და გაზის მრეწვ. საწარმოთა მშენებლობის მინისტრი. 1984 იანვრიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1961-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1976-იდან სკკპ ცკ-ის წევრი. სსრკ V—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

**შჩერბიცკი** ვლადიმერ ვასილის ძე (დ. 17 II 1918, ვერხნედნეპროვსკი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკის ოლქი, უკრ. სსრ), საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1974, 1977). სკკპ წევრი 1941-იდან. 1941 დაამთავრა დნეპროპეტროვსკის ქიმ.-ტექნოლ. ინ-ტი. 1941—45 საბჭ. არმიაში იყო. 1946-იდან მუშაობდა საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობებზე დნეპროძერჟინსკში. 1948—51 უკრ. კპ დნეპროძერჟინსკის ქალაქკომის მეორე მდივანი. 1951—52 სკკპ ცკ-ის პარტორგი დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახ. მეტალ. ქ-ნაში. 1952—54 უკრ. კპ დნეპროძერჟინსკის ქალაქკომის პირველი მდივანი. 1954—55 უკრ. კპ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მეორე, 1955—57 პირველი მდივანი. 1957—61 უკრ. კპ ცკ-ის მდივანი. 1961—63 უკრ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1963—65 უკრ. კპ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1965—72 უკრ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1972-იდან უკრ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი. 1956—61 სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრი. 1961-იდან სკკპ ცკ-ის წევრი. 1961—63 და 1965—66 სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. 1966-იდან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1971 აპრ-იდან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. 1957-იდან უკრ. კპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი. 1966-იდან უკრ. კპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ V—XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1972-იდან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 2 ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

**შჩეცინი** (Szczecin), ქალაქი და ნავსადგური პოლონეთში, მდ. ოდრის ქვემოწელში, ბალტიის ზღვიდან 65 კმ. შჩეცინის სავოევოდოს ადმ. ცენტრი. 390,5 ათ. მცხ. (1982). ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზის „საზღვაო ჭიშკარი“ (ქვანახშირის, იმპორტ. რკინის მადნისა და მარცვლეულის გადატვირთვა). პოლ. სრ-ის საერთაშ. ტრანზი-



გ. გ. შხვაცაბაია. გ. ბაგრატიონის პორტრეტი. ბრინჯაო. 1978. საქართველოს სურათების გალერეა. თბილისი.



გ. ი. შხვაცაბაია.

ვია და საჭიროებს ალპინისტური ტექნიკის გამოყენებას  რ. ხაზარაძე.

**შხერები** [<შვედ. skär (შხ ერ)], მც. კონტინენტური გამყინვარების არეში (სკანდინავიის ნ-კ., ფინეთი, შვეცია, ნორვეგია, კანადა და სხვ.) ზღვისა და ტბების რთულ დანაწევრებულ ნაპირებთან მდებარე კლდოვანი კუნძულები, რ-ებიც დაყოფილია ვიწრო სრუტეებითა და ყურეებით. კრისტ. ქანებით აგებულ კ-ებზე მყინვარული დამუშავების კვალი („ცხვრის შუბლი") ან მორენული წარმონაქმნებია (ლოდნარი, ოზები, მორენული ბორცვები) სიღრმით კ-კის რამდენიმე კმ² აღწევს, სიმაღლით — რამდენიმე მ. შათ ტიპური მრავალი ასეულია

**შხეფია** (Toxotes jaculator), თევზი ქორჰულასნაირთა რიგისა. პატარაა, 20 სმ-მდე სიგრძის თევზია. ბინადრობს ინდ. და წყნარი ოკეანეების აუზის ტროპ. ნაწილის მტკნარ წყლებში იკვებება ხმელეთის ორგანიზმებით, ძირითადად მწერებით. აქვს ძების უცნაური ხერხი წყალსაცავის ნაპირას ბალახოვან მცენარეებზე მჯდომ ცხოველს (ხოჭო, ობობა, პეპელა, ჭიამაჭველა და სხვ.) პირიდან მარჯვედ ამოსროლილი წყლის ჭავლით (1,5 მ მანძილზე) აგდებს წყალში და სწრაფად მიირთმევს. აკვარიუმის სარეწაო თევზია.

მ. დემეტრაშვილი.

**შხეფის ციხე,** შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დას. საქართველოში, სამეგრელოში (ახლანდ. ქ. ცხაკაიას მახლობლად). აგებულია ადრინდ. შუა საუკუნეებში; ეტყობა შემდგომი პერიოდების გადაკეთებათა კვალი. კარგადაა შემორჩენილი ორი კოშკი და გალავანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შ. ც. არის იგივე ციხესიმაგრე თანამედროვე შ. ც-ს ხსენება საპატრიარქო საბუთებში იცნობენ. აქ 1590 ტყვეობაში გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევანი. შ. ც. XIX ს. დასაწყისშიც მოქმედებდა. 1979 ჩატარდა არქეოლ. გათხრები.  დ. ბერაძე

**შხვაცაბაია** გიორგი გიორგის ძე (დ. 15 IV 1940, თბილისი), ქართველი საბჭ. მოქანდაკე, საქ. სსრ დამს. მხატვარი (1979). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1964). იყო ნ. კანდელაკის მოწაფე. შ-ს ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია თემის აქტუალობა, ფორმის კარგი გრძნობა, დინამიკურობა. ძირითადი ნაწარმოებები: „ახალგაზრდობა" (თაბაშირი, 1976, სსრკ სამხატვრო აკად. გამოცემის დიდი მედალი, თბილ. სამხატვრო აკად. მუზეუმი), მირზა გელოვანის ძეგლი თბილისში კომკავშირელ ქალაქ ბორის ძნელაძეში (ბრინჯაო, 1977, საქ. სსრ ალექს. პრემია, 1978), „კომუნარების დახვრეტა" (ნეგატიური პორტრეტი, ბაზალტი, 1983, თბილისი), გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი (ბრინჯაო, ქვა, 1980, ქუთაისი) და სხვ.

**შხვაცაბაია** გიორგი იაკობის ძე [დ. 12 XI (25 XI). 1904, ქუთაისი], ქართველი საბჭ. მექანიზატორი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1955), სსრკ სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1956), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა თბილ. სახელმწ. უნ-ტის აგრონ. ფაკ-ტი (1930) და მოსკ. სოფლის მეურნ. მექან. და ელექტრიფიკაციის ინ-ტის ასპირანტურა (1936). 1941-მდე მუშაობდა ამავე ინ-ტში. 1941-იდან მუშაობს საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, 1952-იდან მოსავლის აღების მანქანების კათედრის გამგეა. შ-ს შრომები ეხება სას.-სამ. მანქანათა გამოცდისა და მათი გამოსაცდელი ხელსაწყოების შექმნას. დაჯილდოებულია ოქტ. რევ. და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

ლიტ.: სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ნაწ. 2, თბ., 1971 (თანაავტ. მ. თაბორიძე); Кабельная электросеть на плантациях чая для питания ручных электромоторных чаесборочных и подрезочных машин, «საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სამეცნიერო შრომები» 1979, ტ. 110; Приборы и методы их применения при испытаниях и исследованиях тракторов и сельскохозяйственных машин. Тб., 1967.

**შხიანი,** სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ჭელიშის სოფსაბჭო), რაჭის ქედის სამხ. კალთაზე, მდ. ველეულის (რიონის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1240 მ, ამბროლაურიდან 18 კმ. ვენახის კულ-ბა (მევენახეობა). რვაწლ. სკოლა. სოფ. ველეულში (3 კმ).

**ჩ**, ქართული ანბანის ოცდამეექვსე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეცხრე) ასო; მისი სახელია „ჩინი", გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ფშვინვიერი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴙ. ნუსხურში-ⴙ ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ათასს (1000)

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო „ჩ-ს" გრაფ. მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახის—ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა), რაც ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან




**ჩააადაევი** პეტრე იაკობის ძე [27. V (7. VI). 1794, მოსკოვი, — 14 (26). 4. 1856, იქვე], რუსი მოაზროვნე და პუბლიცისტი. სწავლობდა მოსკ. უნ-ტში, მონაწილეობდა 1812 სამამულო ომში და საზღვარგარეთის ლაშქრობებში (1813 — 14). ჩ. „კეთილდღეობის კავშირის" წევრი იყო. 1823 — 26 მოგზაურობდა საზღვარგარეთ, სადაც გაიცნო ფ. შელინგისა და ფ. ლამენეს რელიგ.-ფილოს. იდეები. 1829—31 შექმნა თავისი მთავარი ნაწარმოები „წერილები ისტორიის ფილოსოფიის შესახებ" (ფრანგ. ენაზე), რ-იც ცნობილია „ფილოსოფიური წერილების" სახელწოდებით. ჟურნ. „ტელესკოპში" დაბეჭდილ პირველ წერილში გამოთქმულმა გულისწყრომამ „ადამიანთა მოდგმის მსოფლიო აღზრდისაგან" რუსეთის განზე გადგომის, ეროვნ. თვითკმაყოფილების და სულიერი მოდუნების გამო, რაც აფერხებს მისთვის ზეციდან წინასწარდასახული ისტ. მისიის შეგნებასა და აღსრულებას, ხელისუფლების მკაცრი უკმაყოფილება გამოიწვია და მეფის ბრძანებულებით ჩ. შეშლილად გამოაცხადეს.

„ფილოსოფიურ წერილებში" ჩ-მა თავი გამოაცხადა კათოლიციზმის მთელი რიგი პრინციპების მიმდევრად. მაგრამ ა. გერცენმა მის მსოფლმხედველობაში მაინც რევ. კათოლიციზმი ჰპოვა. ჩ-ს აღაფრთოვანებდა კათოლ. ორთოდოქსიასთან შედარებით უპირატესი „სასიამოვნო რწმენა კავშირობის მომავალი ბედნიერებისა", იმედოვნებდა, რომ აღსრულდება მიწიერი მოლოდინი ხალხისა, ვითარცა ზეგრძნობადი ერთობისა, რ-იც დაძლევს ეგოიზმს და ინდივიდუალიზმს, როგორც ადამიანის საყოველთაო დანიშნულებასთან შეუსაბამოს. ჩ. არ თანაუგრძნობდა სოციალიზმს, მაგრამ წინასწარმეტყველებდა მის გამარჯვებას. ჩ-ის ფილოს.-ისტ. აზრი რუს. ფილოს. განვითარებისა და თვითშემეცნების მძლავრ სტიმულად იქცა.

ვ. მაჭარაძე.

**ჩაბანი**, სოფელი თიანეთის რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), კახეთის ქედის დას. კალთაზე, მდ. საგამის (ივრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 1180 მ, თიანეთიდან 8 კმ. ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა ახალსოფელში (1 კმ). საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

**ჩაბარების წესი**, იხ. შესყიდვების ფასები.

**ჩაბარუხი**, მდინარე დუშეთის რ-ნში, მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი, სათავე აქვს ალევის ქედის აღმ. კალთაზე 2355 მ სიმაღლეზე. სიგრძე 6,6 კმ, აუზის ფართ. 13,3 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა — ზამთარში, ზაფხულობით და განსაკუთრებით შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 0,36 მ³/წმ.

ი. აფხაზავა.

ცენტრაციის ჩამონადენის გაუწყლოვნებისა და შეერთული ნეიტრალიზაცია მისი გადამუშავების მეთოდები, აგრეთვე ჩამონადენის ღრმა, სიღრმეულ იზოლირებულ წყალშემცველ ჰორიზონტში ჩატუმბვის წესები. ზოგჯერ საყოფაცხოვრებო ჩწ-ში დიდი რაოდენობით შემავალ ნივთიერებებს, რ-ებიც შეიცავენ იოდ მინარევებს, აგრეთვე აზოტს, კალიუმს, ფოსფორს, კალციუმსა და სხვა ელემენტებს, სათანადო დამუშავების შემდეგ იყენებენ ნას.-სამ. კულტურების სასუქად.

**ჩამიჩი**, ქიშმიში, მზეზე ან ჩრდილში გამშრალი ყურძნის მარცვლები. ჩ. ..ის უკურკო (სამზა, ზარგა და სხვ.) და კურკიანი (ვერმიანი, ვასარგა და სხვ.) ზოგიერთი ჯიშისგან. ჩ-ის მისაღებად შრობამდე ყურძნის მარცვლებს მდუღარე კარბონატის ხსნარით ამუშავებენ (შრობის ხანგრძლივობა 4 დღიდან 9 დღემდე).

ჩ-ის საშ. ქიმ. შედგენილობა (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით %-ში): შაქარი (79,5–87,5), აზოტოვანი ნივთიერებები (2,1–2,9), მჟავები (ღვინომჟავას მიხედვით, 0,7–2,3), უჯრედისი (1,3), ნაცარი (2,0–2,9). ტენის შემცველობა — 16 დღიდან 22%-მდე. სსრკ-ში ჩ-ს აწარმოებენ უზბ., ტაჯ. და თურქმ. სსრ-ებში, საზღვარგარეთ — სამხრ. ევროპაში, სამხრ. ამერიკაში, ავსტრალიაში და სხვ.

**ჩამიწება** ელექტრული, მანქანების, აპარატების, ხელსაწყოებისა და მისთ. ელექტრული შეერთება მიწასთან. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ დამცავ ჩ-ს (ადამიანებს იცავს ელექტრული დენით დაზიანებისაგან, მაგ., ელექტრული მანქანებისა და აპარატების კორპუსების ჩ.) და მუშა ჩ-ს (მაგ., ტრანსფორმატორების ან რადიოტექ. ანტენების ნეიტრალური წერტილების ჩ.). ჩ. ხდება ჩამამიწებლების (ფოლადის მილები, ზოლები და ა. შ.) დახმარებით.

**ჩამიწების საზომი**, ჩამიწების ელექტრული წინაღობის საზომი ხელსაწყო. ჩ. ს-ს აგებენ საზომი ხიდის ან კომპენსაციური პრინციპის შესაბამისად. გაზომვას აწარმოებენ დამხმარე ზონდების გამოყენებით, რ-ებსაც ათავსებენ შესამოწმებელი ჩასამიწებელი მოწყობილობის გავლენის ზონის გარეთ.

**ჩამკეტი შრე**, ძირითადი დენის მატარებლებით გაღარიბებული არე ნახევარგამტარში ლითონთან ან სხვა ტიპის გამტარობის ნახევარგამტართან მისი კონტაქტის მახლობლად. p–n-გადასვლის დროს ჩ. შ-ის სისქე

$$d=\sqrt{\frac{\varepsilon(U-U_{k})}{2\pi e}\cdot\frac{p_0+n_0}{p_0 n_0}},$$

სადაც e არის ელექტრონის მუხტი, ε — დიელექტრიკული შეღწევადობა, $U_k$ — კონტაქტური პოტენციალთა სხვაობა, U — გარე ძაბვა, $n_0$ — გამტარობის ელექტრონების კონცენტრაცია n-არეში, $p_0$ — ხვრელების კონცენტრაცია p-არეში.

**ჩამონადენი** ჰიდროლოგიაში, წვიმისა და თოვლ-ყინულის წყლის ჩადენა ზედაპირზე და რელიეფის ჩაღრმავებებში, როგორც მიწის ზედაპირზე — ზედაპირული ჩ., ასევე ნიადაგსა და გრუნტში — მიწისქვეშა ჩ. ჩ-ის პროცესი ბუნებაში წყლის ბრუნვის შემადგენელი რგოლია. ზედაპირულ ჩ-ში განარჩევენ ფერდობულ ჩ-სა და კალაპოტურ ჩ-ს. ჩ-ის სიდიდეს გარკვეულ პერიოდში (წამში, დღეში, თვეში და ა. შ.) გამოსახავენ: ჩამონადენი წყლის ფენის სიმაღლით (მმ ან სმ), მდინარის კვეთში გავლილი წყლის მოცულობით ($მ^3$, $კმ^3$), ნაკადის ცოცხალ კვეთში გავლილი წყლის საშ. ხარჯით ($მ^3/წმ$), ჩ-ის მოდულით — დროის ერთეულში წყალშემკრების ფართობის ერთეულიდან ჩადენილი წყლის მოცულობით ($ლ/წმ\cdot კმ^2$) და ჩ-ის მოდულის კოეფიციენტით — დროში ცვალებადი ჩ-ის სიდიდის შეფარდება თავის საშ. მნიშვნელობასთან (მაგ., წლ. ჩ-ის შეფარდება საშ. მრავალწლ. ჩ-თან ანუ ნორმასთან). წყლის ჩ-ის გარდა (თხევადი ჩ.) განარჩევენ ატმოსფერული და მყარზე წარმოქმნილი ჩაფენის ჩ-ს (მყარი ჩ.). ჩ-ზე დაკვირვება მიმდინარეობს ჰიდროსადგურებსა და სადგურებში, ჩ-ს ექსპერიმენტულად შეისწავლიან ჩ-ის მოედანზე და ლაბორატორიაში.

**ჩამონადენისმიერი დინება** ოკეანეებსა და ზღვებში, დინება, რ-იც გამოწვეულია ზღვის დონის დახრით, გარკვეულ მონაკვეთზე ზღვისა და მდინარის წყლის მოდენის, უხვი ატმ. ნალექების მოსვლის ან ზღვის ზედაპირიდან ინტენსიური აორთქლების შედეგად. ჩ. დ-ის სიჩქარე ზღვის დონის დახრის პროპორციულია. ჩ. დ-ის მაგალითია ფლორიდის დინება, რ-იც მექსიკის ყურიდან გამოდის და წარმოქმნის გოლფსტრიმს.

**ჩამონაშალი**, ქანის ნატეხების გროვა მთის კალთის ძირში, იქმნება ქანების გამოფიტვისა და ნატეხების კალთებზე ჩამოგორების შედეგად. მასალა დაუხარისხებელია, რადგანაც შედგება სხვადასხვა ზომის დაკუთხული ნატეხებისაგან — ქვიშის მარცვლებიდან რამდენიმე მ სიდიდის ლოდებამდე. ჩ-ის ზედაპირის დახრა თავისი ბუნებრივი ფერდის კუთხის ტოლია (30–40°). ჩ-ის მთლიანობა დამოკიდებულია დახრის კუთხეზე.

**ჩამონაჭრები**, მიწა, რ-იც ჩამოჭრეს გლეხობას რუსეთში საგლეხო რეფორმის (1861) გატარების შედეგად. მეფის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბატონყმობის გაუქმება მაქსიმალურად სასარგებლო ყოფილიყო აზნაურ-მემამულეებისათვის. გლეხს მემამულისაგან მიღებული მიწისათვის გამოსასყიდი უნდა გადაეხადა. თუ მიწის ოდენობა, რ-ითაც სარგებლობდა გლეხი 1861 წ. 19 თებ.-მდე, სჭარბობდა იმ ადგილისათვის დაწესებულ ნორმას ან თუ მემამულეს გლეხებისათვის მიწის ნორმის მიცემის შემდეგ თავისი მამულის საკარგულების 1/3-ზე (ტრამალის რაიონებში კი — 1/2-ზე) ნაკლები რჩებოდა, მას შეეძლო ეს ნორმა შეემცირებინა — ჩამოეჭრა მიწა. გარდა ამისა, მემამულეს შეეძლო შეემცირებინა გლეხის მიწა უმაღლესი ნორმის ნახევრამდე გლეხის „თანხმობით" ვალდებულების შემცირების პირობით. თუ გლეხი თანახმა იყო გამოესყიდა მიწა, ნორმა შეიძლებოდა 1/3-მდე შემცირებულიყო. თუ გლეხი დათანხმდებოდა აეღო მიწა ნორმის მეოთხედის ოდენობით, მას ამ მიწას უსასყიდლოდ მისცემდნენ (საჩუქრის წილი). საუდელო (1863) და სახელმწ. გლეხების (1866) რეფორმების გატარების დროს მათ გაცილებით მცირე მიწები ჩამოაჭრეს, ვიდრე ეს მემამულეთა გლეხების მიწების ჩამოჭრის დროს მოხდა — ჩ-ის საერთო ოდენობამ გლეხთა მიწების 26% შეადგინა. როგორც წესი, ჩ-ში შედიოდა ან საუკეთესო მიწები ან გლეხისათვის მეტად აუცილებელი საძოვრები, სათიბები, წყარო, ტყე და ა. შ. ამიტომ გლეხი იძულებული იყო მძიმე კაბალური პირობით (მორიგეობით) აეღო იჯარით ჩ. რუს. გლეხობა აქტიურად იბრძოდა ჩ-ის დასაბრუნებლად. ეს მოთხოვნა შეიტანეს რსდმპ II ყრილობაზე (1903) მიღებულ პროგრამაში. რსდმპ III ყრილობაზე კი ჩ-ის დაბრუნების მოთხოვნა მემამულეთა მთელი მიწების გლეხთა სასარგებლოდ კონფისკაციის მოთხოვნით შეიცვალა. *ი. კობახიძე.*

**ჩამორო**, მარიანის კ-ების (აღმ. მიკრონეზია) ძირითადი მოსახლეობა. XVII ს-ში თითქმის მთლიანად გაანადგურეს ესპ. კოლონიზატორებმა. ლაპარაკობდნენ მალაიურ-პოლინეზიური ენების ერთ-ერთ ენაზე. მისიონერებმა მოაქრისტიანეს. მერე, გადარჩენილი ნაწილი შეერწყა ესპანელებსა და ესპ. ფარში მოსულ ფილიპინელებსა და მექსიკელებს; ჩამოყალიბებულმა მეტისურმა ჯგუფმა, ჩ-მ, შეინარჩუნა ძვ. ენა. თანამედროვე ჩ-ს რაოდ. 73 ათ. კაცი (1978, შეფასება). ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება. რელიგია კათოლიკობა.

**ჩამოსაშვები აპარატი**, კოსმოსური ხომალდის აპარატის ნაწილი, რ-საც იყენებენ დამუხრუჭებული ჩამოშვებისათვის და დასაჯდომად დედამიწაზე ან სხვა ციურ სხეულზე. პილოტირებულ კოსმოსურ ხომალდებზე ჩ. ა. არის კაბინა, რ-შიც კოსმონავტები იმყოფებიან, ავტომ. კოსმ. სადგურ აპარატებზე კი — ხელსაწყოებიანი კაფსულაა. ჩ. ა-ში განლაგებულია რადიოკავშირის, თერმორეგულირებისა და სიცოცხლის უზრუნველსაყოფი სისტემები, აგრეთვე მართვის პულტი, კოსმონავტების სავარძლები და ა. შ. ჩ. ა-ს აქვს მართვადი ჩამოშვების სისტემა, დამუხრუჭების სარაკეტო ძრავა, პარაშუტები და რბილი დაჯდომის სისტემები. მისი გარე ზედაპირი დაფარულია თბოდამცავი მასალით. ჩ. ა-ის ფორმა შეიძლება იყოს სფერული, კონუსური და სხვ. აპარატის აეროდინამ. ფორმისა და სიმძიმის ცენტრის მდებარეობის შერჩევისას ითვალისწინებენ აპარატის აეროდინამ. მდგრადობას. ჩ. ა-ის დამუხრუჭებული ჩამოშვება შეიძლება იყოს ბალისტიკური ტრაექტორიით ან ცურვის ტრაექტორიით.

**ჩამოსხმა**, სხვადასხვა მასალისაგან (ლითონი, ქანი, კერამ. მასალა, პლასტმასა და სხვ.) ნაკეთობის (სხმულის) მიღების პროცესი. სამრეწველო წარმოებაში ლითონის სხმულების მისაღებად იყენებენ ჩ-ის 50-ზე მეტ სახესხვაობას: ჩ-ს ქვიშის ყალიბებში, ლითონის ყალიბებში, ანუ კოკილებში, ჩ. ცვილის მოდელების გამოყენებით (ზუსტი), ცენტრიდანული, წნევის ქვეშ და სხვ.

**ჩამოქცევა** სამთო საქმეში, ქანების მასივის წონასწორობის თვითნებური ან იძულებითი დარღვევა. საბადოს მიწისქვეშა დამუშავების დროს (მაგ., გვირაბებში ჭერიდან და გვერდებიდან ქანის ლოდების) გამონგრევა ან ჭერის ქანების საზღვრის დაძვრა დიდ ფართობზე. ჩ. იწვევს გვირაბებზე დაწოლას, დატვირთვებსა და სამთო დარტყმებს. ჩ-ის მავნე შედეგების ასაცილებლად ან შესამცირებლად გვირაბებში აყენებენ სამაგრს (იხ. *სამთო სამაგრი*) და მართავენ გვერდითი ქანების მოძრაობას. გრძელ სანგრევებში სამთო წნევის მართვის ეფექტიანი საშუალებაა ჭერის ქანების სრული ან ნაწილობრივი ჩ. ჭერის ჩ-ის პარამეტრებს ადგენენ ქანის თვისებების, საბადოს სიღრმისა და სამთოტექ. პირობების მიხედვით. თუ ჭერის ქანები მაგარი და მდგრადია, ჩ. ხდება ხელოვნურად, აფეთქებითი სამუშაოების გამოყენებით. ქანების ჩ-ის კანონზომიერებათა შესწავლა საშუალებას იძლევა სწორად შეირჩეს სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების სისტემა, სრულყოფილი სამაგრის კონსტრუქციები, გვირაბებისა და ზედაპირზე ნაგებობათა დაცვის წესები და სხვ. საბადოს დამუშავების დროს ზოგჯერ კარიერის ბორტები და საფეხურები ჩამოიქცევა. მათ მდგრადობას უზრუნველყოფენ სიმაღლისა და დახრილობის კუთხის სწორი შერჩევით და ფერდის ხელოვნური გამაგრებით.

**ჩამოშვება** კოსმონავტიკაში, კოსმოსური საფრენი აპარატის (კსა) ან ჩამოსაშვები აპარატის (ჩა) დაშვება ატმოსფეროში ან უატმოსფერო პლანეტის ციურ სხეულზე დაჯდომის წინ. ატ-





ჩამიწება

ჩამიწება ელექტრული დანადგარების ჩამიწების სქემა: ტ — ტრანსფორმატორი; მ — მილსადენი; ძ — ელექტროძრავა; ხ — ჩამიწება; $U_{შ}$ — შეხების ძაბვა; ქვემოთ — შენობის ლითონის კარკასის ჩამიწების სქემა.





ჩამიწების საზომი ამპერმეტრისა და ვოლტმეტრის (ა) და საკომპენსაციო (ბ) მეთოდებით ჩამიწების წინაღობის გაზომვის სქემა: E — დენის წყარო; ტტ — დენის ტრანსფორმატორი; A — ჩამამიწებელი; ზ — ზონდი; B — დამხმარე ჩამამიწებელი; R — რეოსტატი; მტ — მაიზოლირებელი ტრანსფორმატორი; I — ჩამიწების დენის ძალა. ამპერმეტრისა და ვოლტმეტრის მეთოდით გაზომვისას ჩამამიწებლის (A) წინაღობას საზღვრავენ ფორმულით $r_{ჩ}=U/I$, სადაც U ელექტრული ძაბვაა ჩამამიწებელსა (A) და ზონდს (ზ) შორის ნულოვანი პოტენციალის ზონაში, I — დენის ძალა ჩამამიწებელში; კომპენსაციური მეთოდით გაზომვისას V — ვოლტმეტრის მიერ ტრანსფორმატორის (მტ) მეორეული გრაგნილის და R რეოსტატის ძრავის გადაადგილებით აღწევენ ტოლობას $U_1=U_2$, ამ დროს მეორე გრაგნილებში დენი არ გადის (V — ნულოვანი ჩვენება) და ჩამიწების წინაღობას ათვლიან რეოსტატის სკალაზე, რადგანაც $r_{ჩ}=R_{ა}$.

პოემა „სიმღერები შრი კრიშნას პატივსაცემად" (პოემის 13 სიმღერა 500-ზე მეტ ლირ. ლექსს შეიცავს) ჩ. გამოჩენილი პოეტია. ლექსებში უმღერის ღვთაებრივი წყვილის — მწყემსი ქალ-ვაჟის რადჰასა და კრიშნას (ვიშნუს მიწიერი განსახიერება) სიყვარულს. თანამედროვეების აზრით, ჩ-ის სატრფიალო ლირიკამ ხიდი გასდო იმ უფსკრულზე, რომელიც აშორებს ადამიანურს ღვთაებრივისაგან. თავისი ჰუმანისტური მისწრაფებებით დაამსხვრია ორთოდოქსის საზღვრები. ჩ-ის შემოქმედებამ არსებითი კვალი დააჩნია ინდ. ლიტ-რას.

**ჩანდრა** რომეშ (დ. 30. III. 1919, ლაჰორი), ინდოეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჟურნალისტი. დაამთავრა ლაჰორისა და კემბრიჯის უნ-ტები. 1939-იდან ინდ. კომპარტიის (იკპ) წევრი, 1952-იდან იკპ ცკ-ის წევრი, 1952—63 სრულიად ინდ. მშვიდობის საბჭოს გენ. მდივანი. 1953-იდან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს (მმს) წევრი, 1966—77 მმს გენ. მდივანი და პრეზიდიუმის წევრი. 1977-იდან მმს პრეზიდენტი. 1964 ფ. ჟოლიო-კიურის სახ. მშვიდობის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1968). დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით (1978).

**ჩანდრაგუპტა,** ძვ. ინდოეთის სახელმწიფო მაგადჰის გამგებელი (ძვ. წ. 317—293). მაურიების დინასტიის დამაარსებელი. ხელში ჩაიგდო მაგადჰის ტახტი, გააფართოვა თავისი სამფლობელოები მთელ ჩრდ. ინდოეთში. (ძვ. წ. 305), მოიგერია სელევკ I ნიკატორის თავდასხმა და დადო მასთან ხელშეკრულება, რის თანახმადაც შემოიერთა ახლანდ. ბელუჯისტანისა და ავღ. ტერიტ. ნაწილი. ზოგიერთი მონაცემებით, ძვ. წ. 293 ჩ-მ ჯაინიზმი მიიღო და ბერად აღიკვეცა.

**ჩანდრაგუპტა,** ძვ. ინდოეთის მეფეები გუპტების დინასტიიდან: ჩ. I, გუპტების მაგადჰის მეფეების გვარის. საგარეო პოლიტიკისა და სამხ. საქმეში წარმატებების შედეგად მთელი მაგადჰის მეფე (320—დაახლ. 340) გახდა. საფუძველი ჩაუყარა გუპტების იმპერიას. ჩ. II, შვილიშვილი ჩ. I-ისა (მეფობდა 380—415) გამეფდა უფროსი ძმის რამაგუპტას ჩამოგდების შემდეგ. ჩ. II-მ მეზობლურიერთობით მიიღო ჩამოყალიბებული იმპერია და მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი საზღვრები. ჩ. II-ის მეფობის პერიოდი გუპტების იმპერიის ძლიერების, ძვ. ინდოეთის ეკონ. კულტურული აღმავლობის, ასევე ძვ. ინდური კულტ. („გუპტების ოქროს საუკუნე") გაფურჩქვნის ხანა იყო.

**ჩანდრასეკარი** (Chandrasekhar) სუბრაჰმანიან (დ. 19. X. 1910, ლაჰორი, ინდოეთი), ამერიკელი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი. დაამთავრა მადრასის უნ-ტი (1930). 1933 ფელოუ. დოქტორის ხარისხი მიიღო კემბრიჯის უნ-ტში მუშაობდა იქვე. 1936 გადავიდა აშშ-ში (1953 მიიღო აშშ მოქალაქეობა), 1937-იდან მუშაობდა იერკეზის ობსერვატორიაში. ლექციებს კითხულობდა ჩიკაგოს უნ-ტში (1942-იდან პროფესორი). ჩ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება ვარსკვლავთა აგებულებისა და სტოქასტიკური პროცესების ანუ შემთხვევითი პროცესების თეორიას. ავტორია თეთრი ჯუჯების თეორიის. იწინასწარმეტყველა ამ ვარსკვლავთა ზღვრული მასის არსებობა და მოგვცა მასისა და რადიუსის ურთიერთ. თანაფარდობა. გამოიკვლია ვარსკვლავთა სისტემების დინამიკის, ვარსკვლავთა ატმოსფეროებში სხივური ენერგიის გადატანისა და ჰიდროდინამ. და ჰიდრომაგნ. მდგრადობის (ფარდობითობის ზოგადი თეორიის ფარგლებში) პრობლემები. ლონდონის სამეფო საზ-ბის (1944), ამერ. მეცნ. და ხელოვნ. აკად. და აშშ ეროვნ. მეცნ. აკად. წევრი, ნობე-



ჩანასახი. ჩანასახის განვითარება მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკურ ჯგუფში: 1 — ზამლა წყალმცენარეებში — ფუკუსში (ა—დ); 2 — ღვიძლისმაგვარებში (Conocephalum conicum): ა—ზიგოტა, ბ—ზიგოტის გაყოფა განივი ტიხრით, გ — განივი ტიხრების წარმოქმნა; დ — ჩანასახის აპიკალური და ბაზალური ბოლო, არქეგონიუმის ქსოვილის დიფერენცირება; ე—სპოროფიტის მომწიფებული ჩანასახი; 3 — ლიკოპოდიუმისმაგვარებში (Selaginella martensii): ა, ბ, გ — აპიკალური ზრდის წერტილის ჩასახვა (დაშტრიხული), დ — მწიფე ჩანასახი პერპენდიკულური ტიხრით, ყლორტის ზრდის წერტილით და ფოთლების ჩანასახებით, ე—ჩანასახი გამეტოფიტის ქსოვილში. 4—შვიტები (Equisetum debile, E. arvense): ა, ბ,—ემბრიოგენეზის საწყისი ეტაპები, გ—უჯრედ ჯგუფი, აპიკალური ნაწილში ჩანს ღეროს კუნწრული უჯრედი; 5—ციკასი (Dioklea sp.) მწიფე ჩანასახი, კარგადაა განვითარებული პირველი ფოთოლი (ა) და ფესვაკი (ბ), ისახება მეორე ფოთოლი (გ), ჩანს პერპენდიკულური ჭიმი (დ), რომელიც ჩანასახს ძალუძს გამოკვებს საკვების, მარცვლის ფუძიდ (ე). ... ჩანასახის გამეტოფიტის ანუ წინაზრდილის ქსოვილებიდან მიიღწევა საკვები ნივთიერებები



მცენარის ჩანასახი 1—ჩანასახი (ა) კვლრის ფეჩის თესლში; 2—ჩანასახის დიფერენცირების ადრეული ეტაპი (ჩანასახები ლებნების ბორცვებით); 3—კენჭოსნაყოფიანი განვითარებული დიფერენცირებული ჩანასახი, ჩანასახს აქვს ორი ლებანი, ღეროსა და ფესვაკის ჩანასახები, ღეროსა და ფესვაკის ზრდის წერტილები, ფესვის მალთა; 4, 5—შვრიის (Avena sativa) თესლის სიგრძივი ჭრილი, ჩანასახი დიფერენცირებულია და აქვს ა—ერთი ლებანი (ფარი), ბ—კოლეოპტილე, გ—პირველი ფოთოლაკები, დ—ღეროს ზრდის წერტილი, ე—ღეროს ჩანასახი, ვ—ფესვაკი, ზ—ფესვის მალთა, თ—კოლეორიზა, ი—ეპიბლასტი. 6 — ჯადვარის (Lycaste skinneri) თესლი არადიფერენცირებული ჩანასახით; 7—ბამბის (Gossypium herbaceum) ჩანასახი ორი დაკეცილი ლებნით



# ჩინეთი, ეკონომიკური რუკა



გასაღებმა ჩელეთის საეპისკოპოსოს დაარსა. წყაროებში ჩ. უკანასკნელად იხსენიება VIII ს-ში როგორც ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმ. ერთეული.

დ. მუსხელიშვილი.

**ჩელეთის საეპისკოპოსო**, ერთ-ერთი ძვ. ქრისტიანული ეპარქია საქართველოში. დაარსა ვახტანგ გორგასალმა დაახლ. 466—68 თითქმის სხვა საეპისკოპოსოებთან ერთად. ჩ. ს-ის ეპარქიაში შედიოდა ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი და ხერკი. მტრისაგან ჩელეთის შემოსევების გამო ჩ. ს-ს რეზიდენცია გადასულა ჟინვალის საეპისკოპოსო ქვეყანაში (დღეს ჟინვალი).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955. ბ. ლომინაძე.

**ჩელეკენი**, ნახევარკუნძული კასპიის ზღვის აღმ. ნაპირზე, თურქმ. სსრ-ში. ჩ. წარსულში კუნძული იყო, XX ს. 30-იან წლებში კასპიის ზღვის დონის დაწევის შედეგად ნაპირს შეუერთდა და ნ.-კ.-ად გადაიქცა. ფართ. დაახლ. 500 კმ². ზედაპირი ვაკეა. სიმაღლე 100 მ-მდე. არის ქვიშები და მლაშობები. იღებენ ნავთობს. მისდევენ თევზჭერას.

**ჩელეხაპთა**, სოფელი საქართ. ცხინვალის რ-ნში (ძარის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 950 მ, ცხინვალიდან 4 კმ. თამარაშენის მეღვინეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ქ. ცხინვალში.

**ჩელთი**, მდინარე ყვარლის რ-ნში, ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს კავკასიონის სამხრ. კალთაზე, 2595 მ სიმაღლეზე. სიგრძე 28 კმ, აუზის ფართ. 144 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. გაზაფხულზე ახასიათებს წყალდიდობა, შემოდგომაზე — წყალმოვარდნები, ზაფხულში — ხანმოკლე და ზამთარში — მდგრადი წყალმცირობა. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 3,74 მ³/წმ.

ი. აფხაზავა.

**ჩელიაბინსკი**, ქალაქი, რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქის ცენტრი. მდებარეობს სამხრ. ურალის აღმ. კალთაზე, მდ. მიასის (ობის აუზი) ნაპირებზე მნიშვნელოვანი ეკონ. კულტ. და სამეცნ. ცენტრი. დიდი სატრანსპ. კვანძი. 1096 ათ. მცხ. (1985).

დაარსდა 1736, 1743-იდან ქალაქია. XIX ს. 90-იან წლებში, ციმბ. დიდი მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით, გახდა სატრანსპ. და სავაჭრო ცენტრი; განვითარდა მრეწველობა. 1896 ჩ-ში შეიქმნა „ურალის მუშათა კავშირი", 1903 — რსდმპ ურალის კავშირის ჯგუფი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.). 1918 მაისში ჩ. ხელთ იგდეს თეთრმა ჩეხებმა (იხ. *ჩეხ-სლოვაკური კორპუსის ამბოხება 1918*). გაათავისუფლა წითელმა არმიამ ჩელიაბინსკის ოპერაციის (1919) მსვლელობის დროს. ქალაქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1980).

განვითარებულია შავი მეტალ., მანქანათმშ., ქიმიის მრეწველობა. უმსხვილესი ქ-ნებია: მეტალ., მილსაგლინი, ელექტროლითური თუთიის, საგზაო მანქანების, ჩარხთსაშენი, სამჭედლო-საწნეხი, მექან., ელექტრომანქანების, ინსტრუმენტული, აბრაზივების, საათების, სატრაქტორო გაერთიანება (სატრაქტორო და სატრაქტორო აგრეგატების ქ-ნები). არის ქიმ., მსუბუქი, კვების და საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები. თეცები.

თანამედროვე ქალაქი რეკონსტრუირებული და კეთილმოწყობილია. ცენტრია კიროვისა და ლენინის ქუჩების გადაკვეთის რ-ნი და რევ. მოედანი, სადაც აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1959, მოქანდაკეები ლ. გოლოვნიცკი, ვ. ზაიკოვი, არქიტ. ე. ალექსანდროვი). ნაგებობათაგან აღსანიშნავია სკკპ საოლქო კომიტეტის შენობა (1936, არქიტ. ა. [illegible]). მ. გლინკას სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (1954, არქიტ. ნ. კურენოი). სავაჭრო ცენტრი (1975, არქიტ. ფ. სულეიცკი და სხვ.). ქალაქში დგას ბევრი ძეგლი.

ჩ-ში არის უნ-ტი, პოლიტექ., სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, სამედ., ფიზ. კულტურის, პედ., კულტურის ინ-ტები; სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტები; 22 საშ. სპეც. სასწავლებელი; დრამ., ოპერისა და ბალეტის, თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა თეატრები, ფილარმონია; მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სურათების გალერეა.

**ჩელიაბინსკის ოლქი**, შედის რსფსრ შემადგენლობაში შეიქმნა 1934 წ. 17 იანვ. ფართ. 87,9 ათ. კმ² მოსახლ. 3548 ათ. კაცი (1985), აქედან 82% ქალაქში ცხოვრობს. ცენტრი — ქ. ჩელიაბინსკი. ოლქი მდებარეობს სამხრ. ურალისა და ურალისიქითა ტერიტორიაზე. მთავარი მდ-ებია ურალი და მიასი. შედარებით წყალუხვებია ბევრია მტკნარი და მლაშე ტბა. ჩ. ო. შედის ურალის ეკონ. რ-ნში. მრეწვ. ძირითადი დარგებია: შავი და ფერადი მეტალ., მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. ქიმ. მრეწველობა. უმსხვილესი საწარმოებია: მაგნიტოგორსკის მეტალ. კომბინატი, მეტალ., მილსაგლინი, ფეროშენადნობთა, საკალიბრებელი, ლითონის ნაკეთობათა, სპილენძსადნობი, ელექტროლიზური თუთიის ქ-ნები, ნიკელის კომბინატი. განვითარებულია სამთომოპოვებითი, ჩარხთ- და ხელსაწყოთსაშ., საშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. ჩ. ო. ცნობილია მხატვრული თუჯის ჩამოსხმით, ლითონის გრავირებით (ზლატოუსტი), საათების წარმოებით და სხვ. ჩ. ო-ში განვითარებულია მაღალმექანიზებული სოფ. მეურნეობა. მისდევენ მემარცვლეობას, მეკარტოფილეობას, მებოსტნეობას, მერძეწველობა-მეხორცეობას. მეცხოველეობა სარძე-სახორცე მიმართულებისაა. ოლქში განვითარებულია სარკინიგზო, საავტ. ტრანსპორტი. ოლქს კვეთს ნავთობსადენები, აირსადენებისა და ავიახაზების სატრანზიტო ქსელი. ოლქი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1956, 1970).



სფეროულია, ვინაიდან ისინი ყველა მიმართულებით ერთი და იმავე $u=c/n$ სიჩქარით ვრცელდებიან ($c$ არის სინათლის სიჩქარე ვაკუუმში, ხოლო $n$ — გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი). ნახ 1-ზე გამოსახული 1, 2, 3, 4 სფერული ზედაპირები შეესაბამება $A$, $B$, $C$ და $D$ წერტილებიდან გამოსხივებულ ტალღებს (ტალღები გამოსხივებულია დროის სხვადასხვა მომენტში, მათი ზედაპირების მდებარეობა კი მოცემულია დაკვირვების მომენტში). ჰიუგენსის პრინციპის თანახმად, პარციალური ტალღები ინტერფერენციის გამო ერთმანეთს აქრობენ ყველგან, გარდა ტალღების საერთო მომვლებ ზედაპირზე მდებარე წერტილებისა. სწორედ ეს მომვლები ზედაპირი შეესაბამება ტალღას, რ-იც ვრცელდება გარემოში.

თუ დამუხტული ნაწილაკის $v$ სიჩქარე ნაკლებია გარემოში სინათლის $u=c/n$ (ნახ 1) სიჩქარეზე, მაშინ სინათლე, რ-საც ნაწილაკი წინ ასხივებს, ყოველთვის უსწრებს მას. ამის გამო 1, 2, 3, 4, სფერული ზედაპირები ერთიმეორეში დევს და პარციალური ტალღების საერთო მომვლები არ არსებობს. ეს შეესაბამება იმ ცნობილ ფაქტს, რომ წრფივად და თანაბრად მოძრავი დამუხტული ნაწილაკი, რ-ის სიჩქარე გარემოში სინათლის სიჩქარეზე ნაკლებია, სინათლეს არ უნდა ასხივებდეს.

მდგომარეობა იცვლება, თუ $v>u=c/n$ ანუ $\beta n>1$ (სადაც $\beta=v/c$), ამ შემთხვევაში (ნახ.2) პარციალური ტალღების შესაბამისი სფერული ზედაპირები იკვეთება. მათი საერთო მომვლები (ტალღური ზედაპირი) კონუსია, რ-ის $s$ წვერო თანხვდება მოძრავი ნაწილაკის მყის მდებარეობას. ამ კონუსის მსახველის ნორმალი განსაზღვრავს ტალღურ ვექტორს (ე. ი. სინათლის გავრცელების მიმართულებას). კუთხე $\theta$, რ-საც ადგენს ტალღური ვექტორი ნაწილაკის მოძრაობის მიმართულებასთან (ნახ. 2), აკმაყოფილებს პირობას: $\cos\theta=u/v=c/nv$ (1). განხილული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოპტიკურად ანიზოტროპული გარემოსთვისაც. ჩ.–ვ. ე. ხდება არა მარტო ელექტრონების, არამედ ნებისმიერი დამუხტული ნაწილაკის გარემოში მოძრაობის დროსაც, თუ ნაწილაკისათვის სრულდება $v>c/n$ პირობა.

1940 ე. ფერმიმ განაზოგადა ჩ.–ვ. ე-ის თეორია გარემოს მიერ სინათლის შთანთქმის გათვალისწინებით და მნიშვნელოვნად დააზუსტა ენერგიის იონიზაციური დანაკარგების თეორია (გარემოს პოლარიზაციის ეფექტი).

თეორ. წარმოდგენები, რ-ებიც საფუძვლად უდევს ჩ.–ვ. ე-ს, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან (მაგ. ტალღები პლაზმაში, ნაწილაკთა ამაჩქარებლების თეორიის ზოგიერთი პრობლემა, ელექტრონიკა, ტალღების გავრცელება, გაძლიერება და სხვ.).

ჩ.–ვ. ე. საფუძვლად უდევს ჩერენკოვის მთვლელების მოქმედებას.

ლიტ.: Зрелов В. П., Излучение Вавилова-Черенкова и его применение в физике высоких энергий, ч. 1–2, М., 1968; Черенков П. А., Тамм И. Е., Франк И. М., Нобелевские лекции, М., 1960.

**ჩერენკოვი** პაველ ალექსის ძე [დ. 15 (28). VII. 1904, სოფ. ნოვაია-ჩიგლა, ახლანდ. ვორონეჟის ოლქი], საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970). სკკპ წევრი 1946-იდან. დაამთავრა ვორონეჟის უნ-ტი (1928). 1930-იდან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში, მოსკ. საინჟინრო-ფიზ. ინ-ტის პროფესორი. 1934 აღმოაჩინა ჩერენკოვ—ვავილოვის ეფექტი. ამ ეფექტის აღმოჩენისათვის ი. ტამთან და ი. ფრანკთან ერთად, რ-ებმაც შეიმუშავეს თეორია, მიენიჭა ნობელის პრემია (1958). ჩ-ის შრომები ეხება აგრეთვე ბირთვულ ფიზიკას, მაღალი ენერგიების ფიზიკას, კოსმ. სხივების შესწავლას და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1946, 1952, 1977) დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ლიტ.: Павел Алексеевич Черенков (К 70-летию со дня рождения), «Успехи физических наук», 1974, т. 113, в. 3.

**ჩერენკოვის მთვლელი**, დამუხტული ნაწილაკებისა და γ-კვანტების სპექტრომეტრული ხელსაწყო, რ-შიც იყენებენ ჩერენკოვ—ვავილოვის ეფექტს. თუ დამუხტული ნაწ. გარემოში მოძრაობს $v$ სიჩქარით, რ-იც სინათლის $u$ ფაზურ სიჩქარეს აღემატება მოცემული გარემოსთვის ($u=c/n$; $n$ არის გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი, $c$ — სინათლის სიჩქარე ვაკუუმში), მაშინ ნაწ. ასხივებს (ჩერენკოვის გამოსხივება). ამ უკანასკნელს გარკვეული მიმართულება აქვს. ამასთან, $\theta$ კუთხე გამოსხივების მიმართულებასა და ნაწილაკის ტრაექტორიას შორის $v$-სა და $n$-თან დაკავშირებულია თანაფარდობით:

$$\cos\theta=c/vn=1/\beta n \quad (\beta=v/c).$$

ჩ. მ-ის ძირითადი ელემენტია რადიატორი (ნივთიერება, რ-შიც $v>c/n$), სინათლის შემკრებელი ოპტ. სისტემა, და ერთი ან რამდენიმე ფოტოელექტრონული მამრავლებელი (ფემ). ჩ. მ-ს ფართოდ იყენებენ დამუხტული ნაწილაკების მთვლელებში.

ლიტ.: Джелли Дж., Черенковское излучение и его применения, пер. с англ., М., 1960.

**ჩერეპანოვები** ეფიმ ალექსის ძე [1774, ვიის ქ-ნა, — 15 (27) VI. 1842, ნიჟნი-ტაგილი] და მირონ ეფიმის ძე [1803, ვიის ქ-ნა, — 5 (17). X. 1849, ნიჟნი-ტაგილი], რუსი მანქანათმშენებლები, მამა და შვილი, მემამულე დემიდოვების ყმები. 1810 ეფიმ ჩ-მა შექმნა მანქანათსაშენი ქ-ნა; 1822-იდან სიკვდილამდე მუშაობდა ნიჟნი-ტაგილის ქ-ნების მთავარ მექანიკოსად. მირონ ჩ. 1819 დაინიშნა მამის (ეფიმის) თანაშემწედ, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ — მის თანამდებობაზე. ჩ-ებმა ააგეს დაახლ. 20 ორთქლის მანქანა. 1833–34 შექმნეს რუსეთში პირველი ორთქლმავალი.

**ჩერეპნინი** ლევ ვლადიმერის ძე [30. III (12. IV). 1905, რიაზანი, — 12. VI. 1977, მოსკოვი], საბჭ. ისტორიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1972). სკკპ წევრი 1957-იდან. 1946-იდან ისტ. ინ-ტის (1968-იდან სსრკ ისტ. ინ-ტის) უფროსი მეცნ. თანამშრომელი. ლექციებს კითხულობდა მოსკ. სახელმწ. უნ-ტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იკვლევდა რუს. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის თეორ., წყაროთმცოდნეობით და კონკრეტულ-ისტ. პრობლემებს, რუს. ისტორიის ფეოდ. ეპოქის პერიოდიზაციას, რუს. XIV–XVII სს. სამ-ბის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიას და სხვ. ჩ-მა შექმნა რუს. მედიევისტიკის ერთ-ერთი საბჭ. სკოლა. მინიჭებული აქვს მ. ლომონოსოვის სახ. პრემია (1957), სსრ კავშირის სახელმწ. პრემია (გარდაცვალების შემდეგ, 1981). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

**ჩერეპოვეცი**, ქალაქი რსფსრ ვოლოგდის ოლქში, ვოლგა-ბალტიის სანაოსნო გზაზე. ჩერეპოვეცის რ-ნის ცენტრი. ნავსადგური რიბინსკის წყალსაცავზე. რკინიგზის სადგური. 299 ათ. მცხ. (1986). ცნობილია XIV ს-იდან. 1777-იდან იყო ნოვგოროდის სამეფისნაცვლოს ქალაქი, 1780-იდან — ნოვგოროდის გუბ. სამაზრო ქალაქი. 1918–27 ჩერეპოვეცის გუბ. ცენტრია, შემდეგ ლენინგრ. ოლქის, 1937-იდან — ვოლოგდის ოლქის რაიცენტრი. ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1977).

ჩ. შავი მეტალ. და ქიმ. მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრია (მეტალ., ფოლადსადნობი, ქიმ., აზოტ-ტუქის ქ-ნები). არის ფანერ-ავეჯის კომბინატი, გემთსაშ.-გემთსარემონტო, ლითონის კონსტრუქციების, [illegible] მოწყობილობის ქ-ნები, საშენ მასალათა საწარმოები. პედ. ინ-ტი, დაუსწრებელი პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, 4 საშ. სპეც. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ქალაქი შედგება ძვ. (მთავარი ქუჩა — საბჭოთა) და რეგულარულად დაგეგმარებული (1951–58, არქიტ. ა. ოლი და სხვ.) ახ. რ-ნებისაგან. მიმდინარეობს მასობრივი საბინაო მშენებლობა. აღსანიშნავია კინოთეატრის შენობა (1958, არქიტ. ი. ვოლტოვსკი და სხვ.), მეტალურგების სასახლე და სხვ.

**ჩერეპოვეცის წყალსაცავი**, შექსნის წყალსაცავი, წყალსაცავი რსფსრ ვოლოგდის ოლქში. შექმნილია მდ. შექსნაზე ჩერეპოვეცის ჰიდროკვანძის კაშხლით. შედგება თეთრი ტბისა და მდინარეული ნაწილისაგან. აივსო 1963–64. ფართ. 1670 $კმ^2$, მოც. 6,5 $კმ^3$, სიგრძე 167 კმ, მაქს. სიგანე 20 კმ, წყლის დონე იცვლება 1,2 მ ფარგლებში. შეიქმნა წყლის ტრანსპორტისა (ვოლგა—ბალტიის სანაოსნო გზის ნაწილი) და ენერგეტიკის განვითარებისათვის. ჩ. წ-ის ნაპირზეა ქ-ები ბელოზიორსკი და კირილოვი.

**ჩერვონეცი** (<პოლ. czerwony—წითელი, ოქროსფერი), 1. სახელწოდება საზღვარგარეთის ოქროს მონეტებისა (დუკატი, ცეხინი), რ-ებიც მიმოქცევაში იყო რუსეთში პეტრე I-მდე. 2. XVIII–XIX სს-ში 3-მანეთიანი რუს. ოქროს მონეტის სახელწოდება (შეიცავდა 3,4 გ ოქროს). 3. 1922 — 47 წლებში სსრკ-ში სახელმწიფო ბანკის მიერ გამოშვებული 10-მანეთიანი ნომინალის საბანკო ბილეთი (1, 2, 3, 5, 10, 25 და 50 ჩ. კუპიურებით). ჩ-ის ოქროს შემცველობა შეადგენდა 7,74234 გ წმინდა ოქროს. 1947 ფულის რეფორმის საფუძველზე ჩ. შეიცვალა მანეთებში გამოხატული ახ. საბანკო ბილეთებით.

**„ჩერვონნაია რუს"**, გალიციის ისტორიული სახელწოდება XVI–XIX სს. უცხოურ წერილობით ძეგლებში.

**ჩერვონოგრადი** (1953-მდე კრისტინოპოლი), ქალაქი (1951-იდან) უკრ. სსრ ლვოვის ოლქში, მდ. ბუგის ნაპირზე. რკინიგზის სადგური. 67 ათ. მცხ. (1986). იღებენ ქვანახშირს. არის რკინაბეტონის ნაკეთობათა, რძის ქ-ნები, ხე-ტყის დამამუშ. კომბინატი, საშეკერვო, წინდის ფ-კები. ლვოვის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, სამთო ტექნიკუმი.

**ჩერკასი**, ქალაქი, უკრ. სსრ ჩერკასის ოლქის ცენტრი. სარკინიგზო და საავტოგზაო კვანძი, ნავსადგური კრემენჩუგის წყალსაცავის მარჯვ. ნაპირზე. 273 ათ. მცხ. (1986). ცნობილია 1394-იდან. 1795-იდან რუს. იმპერიის სამაზრო ქალაქია. 1797-იდან შედის კიევის გუბერნიაში. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 16 (29) იანვარს. სამოქალაქო ომის დროს (1918—20) ოკუპირებული იყო გერმ. ჯარებისა და თეთრგვარდიელების მიერ. საბჭ. ხელისუფლება აღდგა 1919 წ. დეკ.-ში. 1941 წ. 22 აგვ.-დან 1943 წ. 14 დეკ.-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტური ჯარების მიერ. 1954-იდან ოლქის ცენტრია.

განვითარებულია მანქანათსაშ., ქიმ., მსუბუქი, კვების მრეწველობა. არის სატელეგრაფო აპარატურის, სილიკატური აგურის, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ქ-ნები, სახლთსაშენი კომბინატი და სხვ. რეკონსტრუირებულია კვების, მსუბუქი, ქიმ., ლითონდამამუშ. და საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები. ქალაქის შენარჩუნებული აქვს რეგულარული დაგეგმარება (1828 არქიტ. ვ. გესტე). ნაგე-



პ. ჩერენკოვი



ლ. ჩერეპნინი




ჩერენკოვის მთვლელი სსრკ მაღალი ენერგიის ფიზიკის ინსტიტუტის 70 გევ-იან ამაჩქარებელზე გამოყენებული აბსოლუტური ჩერენკოვის მთვლელის სქემა. მოძრავი სარკისა და კვარცის ლინზისაგან შემდგარი ოპტიკური სისტემის შემწეობით ჩერენკოვის სინათლე ფოკუსირდება ფოტოელექტრონული მამრავლებლის (ფემ) კათოდზე. რადიატორი შედგება ჩერენკოვის გამოსხივებისათვის გამჭვირვალე მყარი, თხევადი ან აიროვანი ნივთიერებისაგან, რომელსაც აქვს სცინტილაციის დაბალი დონე

აპარატში მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანოთა განყ-ბის პასუხისმგებელი ორგანიზატორი, შემდეგ—სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის განყ-ბის გამგის მოადგილე.

1961-იდან საქ. ალკკ ცენტრ. კომიტეტის პირველი მდივანი იყო 1967-იდან პარტიულ სამუშაოზეა 1967—70 საქ. კომპარტიის თბილ. ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი; 1970—72 საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მეცნ. და სასწავლებელთა განყ-ბის გამგე, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყ-ბის გამგე წლების მანძილზე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას საქართვ. პოლიტექნ. ინ-ტში 1973 თებ-იდან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, 1985 სექტ-იდან პირველი მოადგილე, 1986 აპრ-იდან თავ-რე.

ჩ. არჩეულია საქ. სსრ VIII—X, სსრკ VII, XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არის საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის ბიუროს წევრი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

**ჩერქეზიშვილი** დიმიტრი, XVIII ს. II ნახევრის ქართველი მწიგნობარი, ანტონ I კათალიკოსის ლიტ. სკოლის წარმომადგენელი. დაახლ. 1768—89 ნიკორწმინდის ეპისკოპოსი ყოფილა, იწოდებოდა ნიკორწმინდელად. ერეკლე II-ის მიერ გახსნილ თელავის სასულიერო სემინარიის სკოლაში ასწავლიდა. აქვე დაიწყო ლიტ. მოღვაწეობა. წვლილი მიუძღვის ქართ.-სომხ. ლიტ. ურთიერთობათა განვითარებაში. ჩ. დაითმოწაფეშვილთან ერთად სომხურიდან თარგმნიდა ფილოს. ხასიათის თხზულებებს. ა. ხახანაშვილის ცნობით, ჩ-ს სომხურიდან გადმოუღია აპოკრიფებიც. მ. შ. „სიცრუე უმეცრისა". ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი და მჭევრმეტყველი მქადაგებელი.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. მ. ქავთარია.

**ჩერქეზიშვილი** ელისაბედ ალექსანდრეს ასული (14. XI. 1864, სოფ. კოშკა, გორის მაზრა, — 17. X. 1948, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1936). ქართ. რეალისტური სამსახიობო სკოლის წარმომადგენელი. 1884 გამოდიოდა სოფლის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, პროფ. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1886 თბილ. ქართ. დრამ. თეატრში. ჩ-ის ნიჭი ძირითადად მოხუცი ქალების, სახასიათო და კომედიურ როლებში გამოვლინდა. მისი ნამუშევრებია — სარა, ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა"), ელისაბედი (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"), კატონა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), ანა ანდრეევნა (გოგოლის „რევიზორი") და სხვ., გამოირჩეოდა სოც. სიმკვეთრით, სცენური სიმართლით, ხალხურობით, ეროვნ. კოლორიტით.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩ. ჯერ მოღვაწეობდა შ. რუსთაველის სახ. თეატრში, 1932-იდან კი — კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში, სადაც შექმნა შესანიშნავი სახეები: ნენე (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში"), ხორეშანი (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი"), მაკრინე (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), მარიამი (ვ. შკვარკინის „უბრალო გოგონა") და სხვ. 1921-იდან იღებდა კინოში როლებს: ჯავახა („ვინ არის დამნაშავე?"), ხანუმა („ხანუმა") და სხვ. დაჯილდოებულია „ლენინის ორდენით", „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

შ. ღვედაშვილი.

**ჩერქეზიშვილი** ვარლამ ნიკოლოზის ძე (15. IX. 1846, სოფ. თოხლიაური, ახლანდ. საგარეჯოს რ-ნი, — 18. VIII. 1925, ლონდონი), რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ანარქისტი. კადეტთა კორპუსში სწავლისას ჩაება რევ. მოძრაობაში, იყო „სახალხო საზოგადოების" წევრი. 1864 დაუახლოვდა ნ. იშუტინის წრის წევრებს 1866 დააპატიმრეს დ. კარაკოზოვის საქმესთან დაკავშირებით. ციხიდან გამოსვლის შემდეგ 1867—68 ჩ. ხელმძღვანელობდა სტუდენტთა რევ. წრეს. 1869 მონაწილეობდა ს. ნეჩაევის რევ. ორგანიზაციის მუშაობაში. 1869 ნეჩაევის საქმის გამო კვლავ დააპატიმრეს და 1873 ციმბირში, ქ. ტობოლსკში გადაასახლეს. 1876 ჩ. გადასახლებიდან საზღვარგარეთ გაიქცა და რევ. მოძრაობაში ჩაება; თანამშრომლობდა ბაკუნინელთა ორგანოებში. სხვადასხვა გამოცემებში დაბეჭდა მისი მრავალი სტატია ფილოს. და სოც.-პოლიტ. საკითხებზე ანარქისტული პოზიციებიდან იბრძოდა მილიტარიზმის წინააღმდეგ. ემიგრაციაში დაუახლოვდა პ. კროპოტკინს და ანარქისტ-კროპოტკინელად ჩამოყალიბდა. 1896 ფრანგ. ენაზე გამოვიდა ჩ-ის წიგნი „მეცნიერული სოციალიზმის ისტორიიდან", რ-იც მრავალ ენაზე ითარგმნა. ზოგად-ფილოს. თვალსაზრისით ჩ. მატერიალისტი იყო, მაგრამ უარყოფდა საგანთა და მოვლენათა განვითარებას, დიალექტ. კანონზომიერების ობიექტურობას; უარყოფდა სახელმწიფოს, სოციალიზმის დამყარება შესაძლებლად მიაჩნდა ცეცხლ გადატრიალების გზით. ჩ-ის მოღვაწეობა მარქსიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული 1903 ხსენებ.თან ერთად დააარსა რუს. ანარქისტული გაზეთი „Хлеб и воля", სადაც მასთან ერთად თანამშრომლობდნენ პ. კროპოტკინი და კ. გოგელია. რუს. I რევ. დროს ჩ. საქართველოში ჩამოვიდა, თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. მ. წერეთელთან და კ. და შ. გოგელიებთან ერთად დააარსა ანარქისტული გაზეთები „ნობათი" და „მუშა". ჩ. მონაწილეობდა საქართ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1895 საზღვარგარეთ დაიბეჭდა მისი წერილები ქართვ. ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლაზე. ჩ-მა მონაწილეობა მიიღო ქართვ. რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის (1904, ჟენევა) მუშაობაში, იგი გამოვიდა მოხსენებით აგრ. საკითხზე და იცავდა რუსეთის ფედერაციულად მოწყობის და საქართველოს ავტონომიის იდეას. ეროვნული პარტიისაგან შეყვანილ იქნა საქართვ. ეროვნ. კრებაში. 1921 კვლავ ემიგრანტთა, ცხოვრობდა ლონდონში.

უ. სიდამონიძე.

**ჩერქეზიშვილი** ნანული გიორგის ასული (დ. 15. V. 1940, გორი), ქართველი მქსოველი, სოციალ. შრომის გმირი (1966). სკკპ წევრი 1967-იდან დაამთავრა გორის № 39 პროფტექ. სასწავლებელი. მუშაობდა გორის ბამბეულის წარმოებით გაერთიანებაში მქსოველად (1960—69). 1980-იდან გორის № 39 საშ. პროფტექ. სასწავლებლის დირექტორის მოადგილეა. სსრკ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1966).

**ჩერქეზიძე**, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ბლაბურხვის სოფსაბჭო). აფხ. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთის ძირას. ზ. დ. 160 მ, გუდაუთიდან 20 კმ. ნ. ლაკობას სახ. ბლაბურხვის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). საშ. სკოლა სოფ. ბლაბურხვაში (1,5 კმ) ბ-კა, კლუბი.

**ჩერქეზული ლიტერატურა**, იხ. *ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი* ლიტერატურა

**ჩერჩი** (Church) ალონზო (დ. 14. VI. 1903, ვაშინგტონი), ამერიკელი ლოგიკოსი და მათემატიკოსი, სიმბოლური ლოგიკის ასოციაციის დამაარსებელი, პრინსტონის (1947—67) და კალიფორნიის (1967-იდან) უნ-ტების პროფესორი. 1936-იდან ჟურნ. „The Journal of Symbolic Logic" რედაქტორი. 1935 ააგო ამოუხსნელი მასობრივი პრობლემის მაგალითი. 1936 წამოაყენა თეზისი, რ-იც რეკურსიულობის მათ. ცნება მიჩნეულია ეფექტური გამოთვლადობის ინტუიციური ცნების ადეკვატურ ფორმალიზაციად (ე. წ. *ჩერჩის თეზისი*). 1936 დაამტკიცა პრედიკატთა ლოგიკის ამოხსნადობის პრობლემის ამოუხსნელობა.

ნ. ივანიძე.

**ჩერჩილი** (Churchill) უინსტონ ლეონარდ სპენსერ (30. XI. 1874, ბლენჰეიმი, ოქსფორდშირი, — 24. I. 1965, ლონდონი), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, ჰერცოგ მალბოროს არისტოკრ. გვარის შთამომავალი. დაამთავრა ჰეროუს პრივილეგირებული სკოლა და სენდჰერსტის სამხ. სასწავლებელი. 1895-იდან მსახურობდა ოფიცრად არმიაში, მონაწილეობდა კოლონ. ომებში და გამათ. მოძრაობათა ჩახშობაში (ინდოეთი, სუდანი და სხვ.), ინგლისელებისა და ბურების ომის 1899—1902 დროს სამხ. კორესპონდენტად იყო სამხრ. აფრიკაში. 1900 აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად კონსერვატიული პარტიიდან. 1904 ლიბერალთა პარტიაში გადავიდა, რადგან არ ეთანხმებოდა პროტექციონისტულ კურსს, რ-საც ზოგიერთი კონსერვატიული წრეები იცავდნენ. 1906 კვლავ აირჩიეს პარლამენტში, ამჯერად ლიბერ. პარტიიდან. 1906—29, სხვადასხვა დროს ეკავა კოლონიების მინისტრის მოადგილის, ვაჭრობის, შინაგან საქმეთა, საადმირალოს I ლორდის, სამხ. მომარაგების, სამხ. და ავიაციის, კოლონიების, ფინანსთა მინისტრის პოსტები. 1914 დაბრუნდა კონსერვატიულ პარტიაში. გარდაცვალებამდე დარჩა პარლამენტის დეპუტატად, იყო საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ლონდონის? ინტერვენციის მთავარი ორგანიზატორი. 1930—39 ჟურნალისტობდა, ოპოზიციაში იყო კონსერვატიულ ხელმძღვანელობასთან (ს. ბოლდუინი, ნ. ჩემბერლენი) და მწვავედ აკრიტიკებდა აგრესორთა დამშოშმინების პოლიტიკას, რ-საც ისინი ატარებდნენ II მსოფლიო ომის (1939—45) პერიოდში. 1939 სექტ. სამხ. საზღვაო მინისტრის პოსტი დაიკავა, ხოლო 1940 მაისში კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი და სამხ. კაბინეტის მეთაური გახდა. სსრკ-ზე ჰიტლერული გერმ. თავდასხმის პირველ დღესვე, 1941 წ. 22 ივნ. ჩ-მა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი მხარს დაუჭერდა სსრკ-ს. 1941 ივლ. ჩ-ის მთავრობამ დადო გერმანიის წინააღმდეგ სსრკ-თან ერთობლივი მოქმედების შესახებ შეთანხმება, ხოლო 1942 მაისში — სამოკავშირეო ხელშეკრულება. ჩ. მონაწილეობდა 3 სახელმწიფოს (სსრკ, დიდი ბრიტანეთი, აშშ) მეთაურთა თეირანის (1943), ყირიმის (1945) და პოტსდამის (1945) კონფერენციებში. ჩ. აჭიანურებდა II ფრონტის გახსნას დას. ევროპაში. გადადგომისა და ომის დამთავრების შემდეგ მეთაურობდა კონსერვატიულ ოპოზიციას პარლამენტში, იყო სსრკ-ის წინააღმდეგ „ცივი ომის" გაჩაღების (1946 წ 5 მარტი, ფულტონში წარმოთქმული სიტყვა), ანტისაბჭ. აგრესიული სამხ. კავშირების შექმნის მთავარი ინიციატორი. 1951—55 კვლავ პრემიერ-მინისტრია. ატარებდა ნატოს სამხ. ორგანიზაციის განმტკიცებისა და დას. გერმ. რემილიტარიზაციის პოლიტიკას. 1955 ჩამოსცილდა პოლიტ. მოღვაწეობას. ჩ. ცნობილია აგრეთვე როგორც პუბლიცისტი და სამხ.-ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაშრომთა ავტორი. ნობელის პრემია ლიტ. დარგში (1953).


ე. ჩერქეზიშვილი


უ. ჩერჩილი

**ჩერჩის თეზისი**, დებულება, რ-იც ადგენს ეფექტური გამოთვლადობის ინტუიციური ცნების ზუსტ მათემატიკურ შინაარსს. იგი პირველად ამერ. ლოგიკოსმა და მათემატიკოსმა ა. *ჩერჩმა* ჩამოაყალიბა 1936: ყოველი ეფექტურად გამოთვლადი ფუნქცია (ეფექტურად ამოხსნადი პრედიკატი) არის ზოგადრეკურსიული (იხ. *რეკურსიულობა*). ანალოგიური დებულებები ეფექტური გამოთვლადობის ცნების სხვა დაზუსტებებისთვისაც (იხ. *ალგორითმების თეორია*). ჩ. თ. შეუძლებელია მკაცრად დამტკიცდეს, მაგრამ იგი საფუძვლიანად ემპირიკული საბუთებითაა

1908, პრაღა), ჩეხი მწერალი. ლიტ. მოღვაწეობა 60-იან წლებში დაიწყო. ლექსთა კრებულებში „ღილის სიმღერები" (1887), „ახალი სიმღერები" (1888) და პოემაში „მონის სიმღერები" (1894) ჩ. თანაუგრძნობს მშრომელთა ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მასვე ეკუთვნის პოემა „მთიბავები" (1903).

მნიშვნელოვანია ჩ-ის სატირული მოთხრ. „ბატონ ბროუჩეკის მოგზაურობა XV საუკუნეში" (1888). ჩ-ის შემოქმედებამ გავლენა მოახდინა ჩეხ. დემოკრ. და რევ. პოეზიაზე.

**ჩეხია** (Čechy), ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკა (ჩსრ; Česká Socialistická Republika). რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიის (ჩსსრ) შემადგენლობაში, ქვეყნის დას. ნაწილში. შედგება 2 ისტ. ოლქისაგან: ჩეხეთისა და მორავიისაგან. ფართ. 78,9 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 10,3 მლნ. კაცი (1985), მთლიანად ჩსსრ-ის ტერიტ. 60%-ზე მეტს და მოსახლ. 66%-ს. მოსახლ. 94,2%-ს შეადგენენ ჩეხები, 3,6%-ს — სლოვაკები. ჩსრ-ისა და ჩსსრ-ის დედაქალაქია პრაღა. სხვა დიდი ქ-ებია: ბრნო, ოსტრავა, პლზენი, ჰრადეც-კრალოვე, ჩესკე-ბუდეიოვიცე, ოლომოუცი. ადმინისტრაციულად ჩსრ იყოფა 7 ოლქად.

**ბუნება.** ჩ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ჩეხეთის მასივს, რ-ის კიდეებზე აღმართულია საშ. სიმაღლის ქედები: შუმავა, ჩეხეთის ტყე, მადნიანი მთები, კრკონოშე (სიმაღლე 1602 მ-მდე, მთა სნეჟკა). ჩეხეთის მასივის შიგა ნაწილი, ე. წ. ჩეხეთის ქვაბული, შედგება რამდენიმე დაბლობისა და მათი გამყოფი დაბალმთიანი მასივებისაგან. ბორცვები და დაბალმთიანეთი ჩარჩობს მორავიის ფარგლებშიც (მორავიის კარსტი, კარპატების დას. შტოქედები და სხვ.). ჩ-ის სამხრ. და ცენტრ. ნაწილი უჭირავს ჩეხეთ-მორავიის მაღლობს მცვა ზედაპირით. ნალექები 450—600 მმ-იდან (ვაკეზე) 1200—1600 მმ-მდე (მთაში) წელიწადში. მთის კალთებზე შერეული და წიწვოვანი ტყეებია.

**ისტორიული ცნობა.** ჩ-ის ტერიტ. დასახლებული იყო ადრინდ. პალეოლითის ხანიდან. დაახლ. ძვ. წ. 400 აქ კელტები მოვიდნენ. ძვ. წ. I ს-იდან კელტური ტომების ბოიების (აქედან ჩ-ის ლათ. სახელწ. — ბოჰემია — Bohemia, გერმ. Böhmen) ადგილი დაიჭირეს I ათასწლ. შუა ხანებში — სლავებმა. IX ს. — X ს. დასაწყისში დიდი მორავიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. IX ს-ში გავრცელდა ქრისტიანობა. X ს-ში დაარსდა პრაღის საეპისკოპოსო. ჩ-ის მთავარ ბრჟეტისლავ I-ის (მართავდა 1034—55) დროს მის შემადგენლობაში მორავიაც შედიოდა. 1310-იდან ჩ-ის მიწები ლუქსემბურგების მფლობელობაში მოექცა. XIV ს.—XV ს. დასაწყ. ფეოდ. ექსპლუატაციისა და ეროვნ. ჩაგვრის (გერმ. მაგრ ჩ-ის კოლონიზაცია ჯერ კიდევ XIII ს-ში დაიწყო) ზრდამ ანტიფეოდ. და ეროვნ.-განმათ. მოძრაობა გამოიწვია, რ-ზეც ოდიდი გავლენა მოახდინა იან ჰუსმა (იხ. ჰუსიტური ომები). 1471 ჩ-ის მეფის ტახტზე ავიდნენ იაგელონების წარმომადგენლები. მოჰაჩის ბრძოლაში 1526 გაერთ. უნგრ.-ჩ-ის ჯარების დამარცხების შემდეგ ჩ-ის მიწები ჰაბსბურგების საუფლისწულო გახდა (1918-მდე). XVI ს-ში ჩ-ში რეფორმაცია დაიწყო. 1547 მოხდა ჰაბსბურგთა წინააღმდეგ პირველი აჯანყება, ხოლო ჩ-ის 1618—20 აჯანყება ოცდაათწლიანი ომის 1618—48 დაწყების საბაბად იქცა. ფეოდ. და ეროვნ. ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია აჯანყებები 1680, 1775, 1781 და სხვ. 1781 გლეხებმა პირადი დამოუკიდებლობა მიიღეს. XVIII ს. დასასრულიდან კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებას თან სდევდა ჩეხების ბურჟ. ერად ჩამოყალიბების პროცესი (იხ. ჩეხები). XVIII ს. დასასრ. — XIX ს. I ნახევარში კვლავ გაძლიერდა ეროვნ. მოძრაობა (ე. წ. ჩეხური აღორძინება), „ბუდიტელების" (ჩეხ. buditel — გამღვიძებელი) მოძრაობა. 1831 დაარსდა კულტ.-საგანმან. საზ-ბა „ჩეხური მატიცა". 1848—49 რევ. კულმინაცია იყო პრაღის აჯანყება 1848. 1860-იანი წლებიდან იწყება სოციალ. იდეების გავრცელება, გაძლიერდა მუშათა მოძრაობა. 1878 დაარსდა ჩეხოსლოვ. ს.-დ. მუშათა პარტია, რ-იც 1893-მდე ავსტრიის ს.-დ. პარტიის ნაწილი იყო. დაარსდა ჩ-ის ნაციონალ-სოციალ. პარტია (1897), ჩ-ის პროგრ. პარტია (1900) და სხვ. რუს. 1905—07 რევ. გავლენით ჩ-ში დაიწყო მუშათა გამოსვლები. ავსტრიის მთავრობა იძულებული იყო შემოეღო (1907) საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ჩ-ში დაიწყო ომის საწინააღმდეგო მასობრივი მოძრაობა. 1915 ანტანტის მომხრე ბურჟ. მოღვაწეებმა ტ. გ. მასარიკის ხელმძღვანელობით პარიზში დააარსეს ჩ-ის საზღვარგარეთის კომიტეტი, რ-ის ბაზაზე 1916 შეიქმნა ჩეხოსლ. ეროვნ. საბჭო. 1918 წ. 28 ოქტ., ავსტრ.-უნგრ. მონარქიის დაშლის პირობებში, პრაღაში ეროვნ. კომიტეტმა გამოაცხადა დამოუკიდებელი ჩეხოსლ. სახელმწიფოს შექმნა, 14 ნოემბ. დროებითმა ეროვნ. კრებამ კი — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. 1921 დაარსდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია (ჩკპ). მიუნხენის შეთანხმების 1938 დადების შემდეგ გერმანიას გადაეცა ე. წ. სუდეტის ოლქის მიწები, ხელისუფლებამ ჩკპ და სხვა პროგრ. პარტიები დაშლილად გამოაცხადა. 1939 მარტში ჩ-ის ოკუპირებულ ყველა მიწას ეწოდა „პროტექტორატი ბოჰემია და მორავია", რ-საც ე. წ. იმპერიის პროტექტორი განაგებდა. ოკუპანტებმა ჩ-ის მიწაზე ფაშისტური რეჟიმი დაამყარეს. სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებამ 1944 ხელი შეუწყო ჩ-ში წინააღმდეგობის მოძრაობის გააქტიურებას. ჩკპ-ის ინიციატივით 1945 გაზაფხულზე შეიქმნა ჩ-ის ეროვნ. საბჭო. საბჭ. არმიის წარმატებით შეტევის შედეგად ჩ-ში ფართო განმათ. მოძრაობა დაიწყო. პრაღის აჯანყების 1945 შედეგად განთავისუფლდა პრაღა. ქვეყნის გერმ. ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ შეიქმნა ჩ-ისა და სლოვაკიის გაერთიანების წინამძღვრები (იხ. კოშიცეს პროგრამა). ჩეხოსლ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სახ.-დემოკრ. წყობილების დამყარების შემდეგ, ქვეყანაში ღრმა სოც.-ეკონ. გარდაქმნები დაიწყო (იხ. აგრეთვე სტ. ჩეხოსლოვაკია, თავი ისტ. ნარკვევი). ეროვნ. კრების მიერ 1968 მიღებული საკონსტიტუციო კანონის (ძალაში შევიდა 1969 წ. 1 იანვ.) შესაბამისად, ჩსსრ-ის ფედერ. სახელმწიფოში ჩ. გახდა ორიდან ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი სოციალ. რესპუბლიკა.

**მეურნეობა.** ჩსრ მაღალგანვითარებული ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკაა. მის წილად მოდის ჩსსრ-ის ეროვნ. შემოსავლის დაახლ. 74%, სამრეწვ. წარმოების 74%, სას.-სამ. წარმოების 67%.

ჩსრ-ში თავმოყრილია ჩსსრ-ის ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის წარმოების უმეტესი ნაწილი. ჩამოყალიბდა დიდი მეტალ., მანქანათსაშ. კომპლექსი. ჩსრ-ის წილად მოდის ჩსსრ-ის მანქანათსაშ. მრეწვ. პროდუქციის 3/4, ენერგეტ. მოწყობილობის, სატრანსპ. საშუალებათა, ჩარხების, ტრაქტორების, ელექტროტექნ. ნაკეთობათა და სხვა მრავალი სახის მანქანისა და მოწყობილობის წარმოების დიდი ნაწილი. განვითარებულია ქიმ., მინის, ფაიფურის მრეწვ., ცემენტისა და სხვა საშენ მასალათა წარმოება. მთიან რ-ნებში მისდევენ ხე-ტყის დამზადებას და ხის დამუშავებას. ჩრდ. ჩ-ის ტრად. დარგია საფეიქრო მრეწვ., უმეტეს. ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, სელის ქსოვილებისა და სამკერვალო ნაწარმის. მსოფლიოშია ცნობილი ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ. (გოტვალდოვი). განვითარებულია კვების (უმთავრესად შაქრისა და ლუდის) მრეწველობა. სოფ. მეურნ. გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით, სასაქონლო დარგების დიდი განვითარებით და მრავალდარგოვანი საწარმოო სპეციალიზაციით. ხორბალი, შაქრის ჭარხალი და ქერი მოჰყავთ უმთავრესად მორავიისა და ლაბისპირეთის ნაყოფიერ ველებზე, ჭვავი და კარტოფილი — ბორცვიან ადგილებში. განვითარებულია მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, უმთავრესად სახორც-სარძეო მიმართულების მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. სატრანსპ. მეურნეობა. ჩსრ მდებარეობს ევრ. მნიშვნელობის სატრანსპ. გზების გზაჯვარედინზე. სანაოსნოა მდ-ები ელბა და ვლტავა.

**კულტურული მშენებლობა.** 1983 ჩ-ის განათლების სისტემის საფეხურები იყო: საბავშვო ბაღი (6,2 ათ-ზე მეტი, 320 ათ-მდე აღსაზრდელი), სავალდებულო ძირითადი სკოლა (5,9 ათ-ზე მეტი სკოლა, 1,2 მლნ. მოსწ.), საშ. ზოგადსაგანმან. 4-წლიანი გიმნაზია (70 ათ-ზე მეტი მოსწ.), პროფტექ. სასწავლებლები და სკოლები, 23 უმაღლესი სასწავლებელი (92,3 ათ. სტუდენტი). უმაღლესი სამეცნ. დაწესებულებაა ჩეხოსლ. მეცნ. აკად., მასში 80-მდე სამეცნ.-კვლ. დაწესებულება და სხვა დარგობრივი სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები. დიდი ბ-კებია: ჩ-ის სახელმწ. ბ-კა (1958), ჩეხოსლ. მეცნ. აკად. ბ-კა (1952), ეროვნ. მუზეუმის ბ-კა (1818) და სხვ. არის ეროვნ. მუზეუმი (1818), ეროვნ. გალერეა (1796), პრაღის დედაქალაქის მუზეუმი (1883) და სხვ.

ჩ-ში გამოდის 18 ყოველდღიური გაზეთი, 262 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. ყოველწლიურად ისტამბება 4 ათას.-ზე მეტი დასახელების წიგნი და ბროშურა (საერთო ტირაჟი 58 ათ.). მუშაობს რადიომაუწყებლობა (5 პროგრამა), ტელევიზია (2 პროგრამა), ცენტრები არის პრაღაში, ბრნოში, ოსტრავასა და პლზენში.

**ლიტერატურა.** IX—X სს. მისიონერ ძმების კირილესა და მეთოდეს განმან. მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ჩეხ. მწერლობის პირველი ნიმუშების (სახ. სიმღერები, ლეგენდები — ძველ სლავურ ენაზე) გამოჩენას. XI ს. ბოლოს რომის ეკლესიის გაძლიერების გამო ძველი სლავური ენა ლათინურმა განდევნა. მნიშვნელოვანია კოზმა პრაღელის „ჩეხური ქრონიკა" (1125) ლათ. ენაზე. XIII ს. ბოლოს საფუძველი ჩაეყარა ჩეხ. ლიტ-რას, განვითარდა საერო ლიტ-რა. აღსანიშნავია დალიმილ მეზირჩიცკის ე. წ. ბოლესლავის (ან დალიმილის) ისტ. ქრონიკა (დაახლ. 1308—14). წარმოიქმნა სატირულ-დიდაქტ. თხზულებები, სარაინდო ლიტ-რა, გავრცელდა სამიჯნურო ლირიკა, უბრალოების (მოხეტიალე მღერები და სტუდენტები) ლირ. და სატირული სიმღერები.

XV ს. I ნახევარში ჰუსიტურ რევ. მოძრაობასთან დაკავშირებით გავრცელდა ანტიკათოლ. ქადაგებანი (იან ჰუსი, იან ჟელივსკი, გ. 1422), ეპისტოლარული თხზულებები (იან ჟიჟკა, დაახლ. 1360 — 1424, და სხვ.), პროკლამაციები, მანიფესტები, ლექსად დაწერილი მოწოდებები და საბრძოლო სიმღერები. ჰუსიტური მოძრაობის დამარცხების შემდეგ ლიტ-რამ შეინარჩუნა პატრ. სული.

1468 დაიწყო წიგნის ბეჭდვა. XV ს. ბოლოს შეიქმნა სამეცნ. ხასიათის ნაშრომები, განვითარდა ქრონიკა. XVII—XVIII სს-ში, ავსტრიის ბატონობის შედეგად, ძლიერ გაძლიერდა ლათ. ენა. ჩეხ. წიგნები იდევნებოდა, ბევრი მწერალი ემიგრაციაში წავიდა. ოფიც. ლიტ-რის გვერდით, რ-იც კათოლ. პროპაგანდას ემსახურებოდა, ვრცელდებოდა ხელნაწერი თხზულებანი, ვითარდებოდა ბაროკოს სტილის სამიჯნურო ლიტ-რა.

ჩეხ. ეროვნ. აღორძინების პერიოდში (XVIII ს. დასასრ. — XIX ს. I ნახ.) „ბუდიტელების" მოღვაწეობამ განსაზღვრა ლიტ-რის ხასიათი. ჩეხ. ენაზე იწერებოდა ოდები, იგავები, ლირ. ნაწარ-

სამხრ.-აღმ. ნაწილში მდებარეობს ჩეხია-მორავიის მაღლობი, რ-ის ფარგლებში არის კარსტული რელიეფის მრავალრიცხოვანი ფორმები, მ. შ. კარსტული უფსკრული მაცოხა. ქვეყნის აღმ. ნაწილში მდებარეობს კარპატების სისტემის ქედები, რ-თაგან უმაღლესია ტატრები (მთა გერლახოვსკი-შტიტი, 2655 მ — ჩ-ისა და კარპატების უმაღლესი წერტილი), დიდი და პატარა ფატრა, დაბალი ტატრები, სლოვაკიის მადნიანი მთები. ქვეყნის სამხრ. ნაწილში შემოდის შუა დუნაის დაბ. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, მურა ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, რკინის, მანგანუმის, ტყვია-თუთიის, სპილენძის, კალის, ვოლფრამის, ურანის, სტიბიუმის, ვერცხლისწყლის მადანი, ფლუორიტი, გრაფიტი, ბარიტი, პირიტი და სხვ.

ჰავა ზომიერია. იანვ. საშ. ტემპ-რა ბარში —1°C-იდან —4°C-მდეა, ჩეხიის მასივის მთებში —7°C-მდე, კარპატებში —10°C-მდე ივლ. საშ. ტემპ-რა ბარში 19—21°C, ჩეხიის მასივის მთებში 8°C-მდე, კარპატებში 4°C-მდე ნალექები ბარში 450—700 მმ წელიწადში, მთაში — 1600—2100 მმ.

მდინარეთა ქსელი ხშირია, მაგრამ წყალმცირე. მდ-ები ცოტაა. მნიშვნელოვანი მდ-ებია: დუნაი (შუა დინება, შენაკადებით — ვაჰი და მორავა), ოდრა და ლაბა (შენაკადი — ვლტავა) ჩ-ის აღმ. საზღვრის გასწვრივ მიედინება მდ. ტისა (დუნაის შენაკადი). მის აუზს მიეკუთვნება მდ-ები ჰორნადი და ონდავა. სანაოსნოა მდ-ები დუნაი, ლაბა, ვლტავა. ტბების ფართობი უმნიშვნელოა. ბევრია ტბორი, რ-თაც იყენებენ თევზის მოსაშენებლად და წყალმომარაგებისათვის.

ჭარბობს მურა, მთა-ტყის ყომრალი, მთის ეწერი და მთა-მდელოს ნიადაგები. შუა ჩეხიისა და სამხრ. მორავიის ვაკეებში შავმიწისებრი, მდ-თა გაყოლებით ალუვიური ნიადაგებია.

ჩ-ის ტერიტ. დაახლ. 1/3 (უმთავრესად მთაში) უკავია ტყეს, აქედან დაახლ. 70% წიწვოვანია. ბარში ბუნებრივი მცენარეულობა (სტეპი და ტყესტეპი) შემორჩენილია მხოლოდ გამოსაყენებლად უვარგის ადგილებში და ნაკრძალებში.

ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, მელა, კვერნა, ჯარცხვი, ირემი, გარეული ღორი, შველი, რუხი კურდღელი, ციყვი, ზღარბი; ფრინველებიდან — როჭო, კაკაბი, ყარყატი, ოფოფი, არწივი და სხვ. მდ-ებსა და ტბორებში ბევრია კალმახი, კობრი, ორაგული, ქარიყლაპია, წვერა, ქორჭილა

შექმნილია რამდენიმე ეროვნ. პარკი და ნაკრძალი.

ჩეხოსლოვაკია. სლოვაკი ინტელიგენციის კრება ტურჩანსკი-სვეტი-მარტინში 1861, რომელზედაც მიიღეს სლოვაკი ხალხის მემორანდუმი



## IV მოსახლეობა

ჩ-ის ძირითად მოსახლეობას შეადგენს 2 ერი: ჩეხები (64%) და სლოვაკები (31%). ცხოვრობენ აგრეთვე უნგრელები, გერმანელები, პოლონელები, უკრაინელები, რუსები. მორწმუნეთა 2/3 კათოლიკეა. არიან აგრეთვე პროტესტანტები, უნიატები, მართლმადიდებლები.

1981 ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 47,4% დასაქმებული იყო მრეწველობასა და მშენებლობაში, 14%-ზე მეტი — სოფ. და სატყეო მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 121 კაცი 1 კმ²-ზე (1986). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ოსტრავა-კარვინისა და პრაღა-შუა ჩეხიის სამრეწვ. აგლომერაციები. მოსახლ. დაახლ. 3/4 ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია პრაღა (1,2 მლნ. მცხ., 1984). დიდი ქ-ებია: ბრნო, ბრატისლავა, ოსტრავა, კოშიცე, პლზენი.

## V. ისტორიული ნარკვევი

ჩ-ის ტერიტორიაზე ადამიანი პალეოლითის ეპოქიდან ცხოვრობდა. დაახლ. ძვ. წ. IV ს-ში აქ დასახლდნენ კელტები. ახ. წ. დასაწყისში მათი ბატონობა გერმანელთა ტომებმა შეასუსტეს. I ათასწლ. შუა ხანებში ჩ-ის ტერიტორიაზე დასახლდნენ სლავთა ტომები, რ-ებმაც აქ გამაგრებული ქ-ები ააგეს. ეს ქ-ები სახელმწიფოებრიობის აღორძინების ფორმის ე. წ. ტომთა სამთავროების ცენტრებად გადაიქცა. VII ს-ში ჩ-ის ტერიტ. შედიოდა სამოს სახელმწიფოში, ხოლო IX—X ს. დასაწყისში დიდი მორავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. IX ს-ში აქ ქრისტიანობა გავრცელდა. X ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა ძვ. ჩეხიის სახელმწიფო, რ-ის შემადგენლობაში 1029 მორავია შევიდა. XI ს. I მეოთხედში სლოვაკიის ტერიტ. უნგრ. სამეფოს ნაწილი გახდა. XIII ს. დასაწყისიდან ჩ-ის ტერიტ. ცალკეული რეგიონები გერმანელთა ინტენსიური კოლონიზაციის ობიექტი გახდა. XIII ს. 40-იანი წწ. დასაწყისში სლოვაკიის ტერიტ. ნაწილობრივ თათარ-მონღოლთა თავდასხმა განიცადა. XV ს. შუა ხანებში, კარლ IV-ის მეფობის დროს, ჩეხია ძლიერ ფეოდ. მონარქიად იქცა. ამ დროს ცენტრ. ხელისუფლება სლოვაკიაშიც გაძლიერდა. ჩეხიაში ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ გამოიწვია ანტიფეოდ. მოძრაობა, რ-იც XV ს დასაწყისში გადაიზარდა მძლავრ სოც.-რელიგიურ, ეროვნ.-განმათ. და ანტიკათოლიკურ ჰუსიტურ რევოლუციურ მოძრაობაში (იხ. *ჰუსიტური ომები*). გერმ. იმპერატორის სიგიზმუნდ I-ისა და რომის პაპის მარტინ VI-ის ჯვაროსნულ ლაშქრობებს ჰუსიტების წინააღმდეგ (1420, 1422 ორჯერ, 1427, 1431) წარმატება არ მოუტანია, მაგრამ წინააღმდეგობამ ჰუსიტური მოძრაობის შიგნით დაასუსტა რევ. ძალები, რასაც 1434 მოჰყვა მათი განადგურება, დამარცხების მიუხედავად ჰუსიტური რევ. მოძრაობა, როგორც ჩეხი ხალხის რევ. და ეროვნ. ტრადიციების წყარო, უმნიშვნელოვანესი ეტაპია ჩეხიის ისტორიაში. ჰუსიზმის იდეები გავრცელდა სლოვაკიაშიც, სადაც ანტიფეოდ. მოძრაობა („ბრატრიკების" მოძრაობა) განსაკუთრებით გაძლიერდა XV ს. შუა ხანებში. ჰუსიტური რევ. მოძრაობა ხელს უწყობდა ჩეხებისა და სლოვაკების ენობრივ და კულტურულ კავშირებს. 1526 ოსმალეთთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ჩეხია ჰაბსბურგთა მონარქიის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1547 უნგრეთის სამეფოს ფარგლებში მყოფი სლოვაკიის უმეტესი ნაწილიც ჰაბსბურგების ხელში გადავიდა. ჩეხები და სლოვაკები ეროვნ. ჩაგვრას განიცდიდნენ როგორც გერმანელ, ისევე უნგრელ ფეოდალთა მხრიდან. ამან გამოიწვია ჩეხიის თავადაზნაურობისა და ბიურგერების ნაწილის ოპოზიცია, რეფორმაციული მოძრაობის გაძლიერება. ჩეხიაში პირველი აჯანყება (ჰაბსბურგების წინააღმდეგ) 1547 ჩაახშეს. 1618—20 ანტიჰაბსბურგული აჯანყება ჩეხიაში გახდა ოცდაათწლიანი ომის *1618—48* დასაწყისი. 1620 ჰაბსბურგთა ჯარების გამარჯვების შემდეგ ჩეხია ჰაბსბურგების სამემკვიდრეო სამფლობელო გახდა. XVII ს. ბოლოს დასრულდა სლოვაკიის გაერთიანება ჰაბსბურგთა იმპერიაში. XIX ს. დასაწყისში, ფეოდ. წყობილების რღვევის პირობებში, ჯერ ჩეხიაში, შემდეგ კი სლოვაკიაშიც იწყება სამრეწველო გადატრიალება. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლას თან სდევდა ჩეხი და სლოვაკი ერების ჩამოყალიბების პროცესი, კულტურული და ეროვნ. წინააღმდეგობათა სიმწვავემ და დამოკიდებულობამ განაპირობა 1848—49 რევ. გამოსვლები ჩეხიასა და სლოვაკიაში. XIX ს. II ნახევარში დასრულდა ეროვნ. ბურჟ. და პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესი. დაახლოებით 1860 შეიქმნა ჩეხიის ბურჟუაზიული ეროვნული პარტია, რ-იც ჰაბსბურგთა მონარქიის ფარგლებში ჩეხიის ავტონომიას მოითხოვდა. ამ გეგმებმა მარცხი განიცადა 1867 ჰაბსბურგთა იმპერიის ავსტრია—უნგრეთის დუალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის გამო; კიდევ უფრო გაიზარდა ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნ. ჩაგვრა. 60-იანი წწ. დასასრულიდან ჩეხიის ეროვნ. მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ ხალხის მასები. ეს მოძრაობა საერთო დემოკრატიულ ხასიათს იძენს. ამავე დროიდან იწყება სოციალ. იდეების გავრცელება ჩეხიაში. 1878 დაარსდა ჩეხოსლავური ს.-დ. მუშათა პარტია (1893-მდე შედიოდა ავსტრიის ს.-დ. პარტიაში). მშრომელთა ექსპლუატაციამ, ეროვნულმა ჩაგვრამ და პოლიტიკურმა უუფლებობამ, რუსეთის 1905—07 რევ. მაგალითმა გამოიწვია ჩეხი და სლოვაკი მუშებისა და საერთაშორისო დემოკრ. მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. მაგრამ მუშათა მოძრაობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა ავსტრომარქსიზმი, არ არსებობდა მუშათა მოძრაობის ერთიანობა.

I მსოფლიო (1914—18) ომის წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო ანტისამთავრობო გამოსვლებმა, ჩეხი და სლოვაკი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დეზერტირობამ და ტყვედ ჩაბარებამ. ჩეხიისა და სლოვაკიის პოლიტ. პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერდა ავსტრია—უნგრეთის მთავრობის პოლიტიკას. ამავე დროს ბურჟ. ემიგრაციის მოღვაწეებმა დაიწყეს მოლაპარაკება ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებთან ომის დამთავრების შემდეგ ჩ-ის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის შესახებ. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით 1918 ჩეხიასა და სლოვაკიაში გაძლიერდა გაფიცვები და დემონსტრაციები, მათი მონაწილეები მოითხოვდნენ ჩ-ის დამოუკიდებლობას. 28 ოქტ. ავსტრია—უნგრეთის სამხ. დამარცხებისა და დაშლის დაწყების პირობებში, ეროვნულმა კომიტეტმა გამოაცხადა ჩ-ის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. 14 ნოემბერს იგი რესპუბლიკად გამოცხადდა. მთავრობათა საქმიანობას (1939 მარტამდე შეიცვალა 20 კაბინეტი) ფაქტობრივად წარმართავდა ბურჟ. და რეფორმისტული პარტიების ლიდერთა ჯგუფები.

1919 აპრ. ჩ-ის ჯარებმა მონაწილეობა მიიღეს ანტანტის შეიარაღებულ ინტერვენციაში უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. უნგრ. წითელმა არმიამ მოიგერია ინტერვენტები, გადავიდა კონტრშეტევაზე და ადგილ. მშრომელების აქტ. მხარდაჭერით შევიდა აღმ. სლოვაკიის ტერიტორიაზე. 1919 წ. 16 ივნ. ქ. პრეშოვში გამოცხადდა სლოვაკიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, მაგრამ ივლ. დასაწყისში რესპ. დაეცა და სლოვაკიის ტერიტ. დაიკავეს ჩ-ის ბურჟ. მთავრობის ჯარებმა.

1918 დეკემბერში ჩეხურ-სლავური ს.-დ. მუშათა პარტია გაერთიანდა სლოვაკიის ს.-დ. ძირითად ნაწილთან და შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ჩსდმპ). 1921 მაისში ჩსდმპ მემარცხენე მარქსისტული ფრთის

ბაზაზე შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია (ჩკპ).

ჩ-ის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკა 20-იან წლებში მიმართული იყო ვერსალის სისტემის ფარგლებში ქვეყნის მდგომარეობის განმტკიცებისაკენ. 1920—21 საფრ. ეგიდით შეიქმნა ჩ-ის, რუმინეთისა და იუგოსლავიის სამხ.-პოლიტ. ბლოკი (მცირე ანტანტა) 1924 დადეს საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის სამხ.-პოლიტიკური ხელშეკრულება, 1922 წ 5 ივნ. კი — დროებითი ხელშეკრულება, ჩ-სა და რსფსრ, ხოლო 6 ივნისს ჩ-სა და უსსრ შორის. ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ერთმანეთის დე-ფაქტოდ აღიარებას და სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობების დამყარებას. მაგრამ დასავლეთის ქვეყნების ანტისაბჭოთა პოლიტიკის გავლენის ქვეშ მყოფმა ჩ-მ ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებებს, რითაც საგრძნობლად გაართულდა მისი საგარეო პოლიტ. მდგომარეობა. ჩ-ის საერთაშ. და შიდაპოლიტ. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ფაშისტური ხელისუფლების დამყარებამ გერმანიაში. გააქტიურდნენ 20-იან წლებში შექმნილი ჩეხეთის ფაშისტური ორგანიზაციები ფაშისტური გერმ. აგენტების საფრთხემ, სსრ კავშირის საერთაშ. ავტორიტეტის ზრდამ, ხალხთა მასების დაწოლამ აიძულა ჩ-ის მთავრობა 1934 ივნისში სსრ კავშირი ეღიარებინა დე-იურე. ხოლო 1935 მაისში, საფრანგეთ—სსრ კავშირის ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, დადებო ანალოგიური ხელშეკრულება სსრ კავშირთან. ჩკპ კ. გოტვალდის ხელმძღვანელობით გამოდიოდა ეროვნ. დამოუკიდებლობის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნის ინიციატორად, მაგრამ ჩ-ის მმართველი წრეები მიყვებოდნენ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, რ-ებიც აგრესორის „დაშოშმინების" პოლიტიკას ატარებდნენ. ჩ-ის მთავრობამ მიიღო მათი ულტიმატური მოთხოვნა გერმანიისათვის ჩ-ის სასაზღვრო რაიონების გადაცემის შესახებ. ჩ-ის მმართველმა წრეებმა უარი თქვეს სამხ. დახმარებაზე, საბჭ. მთავრობა 1935 ხელშეკრულების შესაბამისად, მზად იყო დახმარებოდა ჩ-ს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა. 1938 სექტემბერში მიუნხენში დიდი ბრიტანეთისა და საფრ. მთავრობებმა გაყიდეს გერმანიასა და იტალიას ჩ-ის დანაწილების თაობაზე. 1938 ოქტ. ფაშისტურმა გერმანიამ მიიტაცა სუდეტის ოლქი, ხოლო პოლონეთმა ტეშინის ოლქის ოკუპაცია. ნოემბერში უნგრეთმა დაიპყრო სლოვაკიის სამხრ. ოლქები და იმიერკარპატების უკრაინა. ამის შედეგად ჩ-მ დაკარგა თავისი ტერიტ. და მოსახლ. 1/3, მრეწველობის 40% მეტი. ჩ. აღმოჩნდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოკიდებული ფაშისტურ გერმანიაზე. ჩკპ საქმიანობა აკრძალეს. 1939 წ. 15 მარტს გერმ. ჯარებმა მოახდინეს ჩეხეთის ოლქების ოკუპაცია, რ-ებსაც ჰიტლერის მითითებით ეწოდა „პროტექტორატი ბოჰემია და მორავია". ჩეხეთის ბურჟუაზიის რეაქციული წრეები დაადგნენ ოკუპანტებთან აშკარა თანამშრომლობის გზას. სლოვაკია ჩაება II მსოფლიო ომში (1939—45) ფაშისტური გერმ. მხარეზე. ემიგრაციაში მყოფ ბურჟუაზიულ მოღვაწეთა ნაწილმა ყოფილი პრეზიდენტის ე. ბენეშის მეთაურობით 1940 ლონდონში ჩამოაყალიბა ჩ-ის დროებითი მთავრობა. ქვეყანაში ოკუპანტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ჩკპ, რ-ის საქმიანობასაც წარმართავდა მოსკოვში მყოფი ჩკპ ერთიანი პარტიული ცენტრი კ. გოტვალდის მეთაურობით. 1941 წ. 18 ივლ. სსრ კავშირმა ლონდონში დადო ხელშეკრულება ჩ-ის მთავრობასთან. სამხ. თანამშრომლობის შესახებ. სსრკ ტერიტორიაზე ლ. სვობოდას სარდლობით დაიწყო ჩეხოსლოვაკიური სამხ. ნაწილის ფორმირება. 1943 წ. 12 დეკ. მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრკ-ჩ-ის ხელშეკრულებას მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებამ და საბჭ. არმიის მიახლოებამ ჩ-ის საზღვრებთან გააქტიურა ეროვნ.-განთ. მოძრაობა. 1944 წ. 29 აგვისტოს დაიწყო სლოვაკიის ეროვნ. აჯანყება. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ხელისუფლება გადავიდა 1943 კომუნისტთა ინიციატივით შექმნილ სლოვაკიის ეროვნული საბჭოს (სეს) ხელში. სლოვაკიის აჯანყება გახდა ჩ-ში ეროვნ.-დემოკრ. რევ. დასაწყისი. 1945 მარტში მოსკოვში ლონდონის ემიგრაციის, სეს-ის წარმომადგენლებისა და ჩკპ ხელმძღვანელობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩეხებისა და სლოვაკების ეროვნ. ფრონტის (ეფ) შექმნის შესახებ. აპრილის დასაწყისში ქ. კოშიცეში შეიქმნა ეფ-ის მთავრობა. მაისში ოკუპანტების წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები ჩეხეთის მთელ რიგ ქ-ებში. აჯანყებულებს დაეხმარა საბჭოთა არმია. 9 მაისს საბჭოთა ჯარებმა დაასრულეს ჩ-ის განთავისუფლება. ახალ. დემოკრ. საფუძველზე აღდგენილ იქნა ჩეხებისა და სლოვაკების დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქვეყანაში გაშლილი ეროვნ.-დემოკრ. რევოლუცია სახალხო-დემოკრ. წყობილების დამყარებით დაგვირგვინდა. 1946 მაისში ჩატარებულ ეროვნული დამფუძნებელი კრებისა და ეროვნული კომიტეტების არჩევნებში ჩკპ-მ ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ხმა მიიღო. კოალიციური მთავრობის სათავეში ჩაუდგა ჩკპ-ის თავმჯ. კ. გოტვალდი. ჩკპ-მ დაიწყო ბრძოლა ეროვნულ-დემოკრ. რევ. სოციალისტურში გადაზრდისათვის. მთავრობის პროგრამა ითვალისწინებდა დემოკრ. გარდაქმნებს. ამ ღონისძიებების წინააღმდეგ გამოვიდნენ ბურჟ. პარტიები. გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. 1948 თებ. რეაქციონერებმა ბურჟუაზიამ დას. იმპერიალ. წრეების დახმარებით სცადა მოეწყოთ კონტრრევოლ. გადატრიალება. ჩკპ-მ მოუწოდა ხალხთა მასებს დაეცვათ სახალხო-დემოკრ. წყობილება, მისი რევ. მონაპოვარი, ჩ-ის ბურჟ. და საერთაშ. იმპერიალ. ანტიხალხური შეთქმულება ჩაიფუშა. 1948 წ. 25 თებ. პრეზიდენტი ე. ბენეში იძულებული გახდა გადაეყენებინა რეაქციონერი მინისტრები და მთავრობის შემადგენლობა შეევსო გოტვალდის მიერ რეკომენდებული ახ. წევრებით. კრიზისი მშვიდობიანი გზით გადაიჭრა, მთელი ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადავიდა. ეროვნ.-დემოკრ. რევ. სოციალისტურში გადაზრდის პროცესი დასრულდა. ეროვნ.-დემოკრატიულმა წყობილებამ დაიწყო პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციების შესრულება. ახ. მთავრობა განაგრძობდა რევ. გარდაქმნებს და შეუდგა სოციალ. მშენებლობას. 1948 მიღებული კანონი, ზღუდავდა კერძო მიწათმფლობელობას. მიწის ნაწილი გადაეცა სახელმ. წილი მეურნეობებს, გრძელდებოდა მრეწვ. ნაციონალიზაცია, ნაციონალიზებულ იქნა მსხვილი სავაჭრო ფირმები, მაღაზიები, შემოიღეს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. გატარებული გარდაქმნების შედეგად ძირეულად შეიცვალა საზოგადოების სოციალ. სტრუქტურა, მოისპო ძირითადი ექსპლუატატორული კლასები. განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. 1948 კონსტიტუციამ ჩ. გამოაცხადა ჩეხებისა და სლოვაკების სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად, ქვეყნის განვითარების მიზნად კი დასახა სოციალიზმი. ბენეშის გადადგომის შემდეგ (1948 ივნ.) რესპ. პრეზიდენტად აირჩიეს კ. გოტვალდი. მთავრობის სათავეში ჩაუდგა ა. ზაპოტოცკი. გოტვალდის გარდაცვალების შემდეგ (1953 მარტი) პრეზიდენტად აირჩიეს ა. ზაპოტოცკი, ჩკპ ცკ-ის პირველ მდივნად — ა. ნოვოტნი. 1957 ნოემბერში (ზაპოტოცკის გარდაცვალების შემდეგ) ნოვოტნი გახდა აგრეთვე რესპ. პრეზიდენტი. 1968 მარტიდან 1975 მაისამდე რესპ. პრეზიდენტი იყო ლ. სვობოდა.



ჩეხოსლოვაკია. დემონსტრაცია 1948 წლის 1 მაისს პრაღა

პირველი ხუთწლიანი გეგმის (1949—53) შესრულების შედეგად ქვეყანაში შეიქმნა სოციალ. საზოგადოების საძირკველი. II ხუთწლედში (1956—60) დასრულდა სოციალიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზის მშენებლობა. ჩკპ კონფერენციამ (1960 ივლ.) დაადასტურა ქვეყანაში სოციალ. წარმოებითი ურთიერთობების გამარჯვება. 1960 ახალი კონსტიტუციით ქვეყანას ეწოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა (ჩსსრ).

სოციალიზმის მშენებლობის წლებში ჩ-ის მშრომელებმა ჩკპ ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ეკონ., მეცნ. და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში, ამასთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის გზაზე არსებობდა მრავალი სიძნელე, დაშვებულ იქნა ცალკეული შეცდომები; საზოგადოების განვითარებისა და მისი მორალურ-პოლიტ. ერთიანობის მიღწეული დონის გადაჭარბებით შეფასება, პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მარქსისტულ-ლენინური პრინციპების არათანმიმდევრული განხორციელება, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი სუბიექტური მიდგომა. არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას. შესუსტდა ბურჟ. იდეოლოგიისა და წვრილბურჟ. შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ხელს უწყობდა პარტიაში რევიზიონისტული ტენდენციების გავრცელებას. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ჩსსრ წინააღმდეგ უცხოეთის იმპერიალ. ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობა. სიძნელეთა გადალახვის გზები განისაზღვრა ჩკპ XIII ყრილობაზე (1966 მაის-ივნ.) და ჩკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1968) პლენუმზე. მაგრამ ამ პლენუმზე არჩეულ ჩკპ ხელმძღვანელობაში (პირველი მდივანი ა. დუბჩეკი) უპირატესობა მემარჯვენე ოპორტუნისტებმა მიიღეს. ხელმძღვა-



ჩეხოსლოვაკია. ბარიკადები პრაღის ქუჩებში 1945 წლის მაისის შეიარაღებული აჯანყების დროს



სტ ჩეხოსლოვაკია (I). 1. პატარა ფატრის მთები ზამთარში. 2. მაღალი ტატრები. 3. პრახოვის კლდეები. 4. მაცოხის კარსტული მღვიმე. ზღაპრული დარბაზი. 5. ადრშპახ-ტეპლიცის კლდეების რაიონში. 6. პრაღა. პრაღის ჰრადი მდ. ვლტავის მხრიდან. 7. ჰრადეც-კრალოვე. 8. ბრნო. 9. ბრატისლავა. 10. ოსტრავა.



ჩეხოსლოვაკია (*II*). 1. ძველი რატუშის შიგა ეზო. 1558. ბრატისლავა. 2. წმ. ელიზაბეთის ტაძარი. 1382 — XVI ს. კოშიცე. 3. რატუშა. 1550–1615. ლევოჩა. 4. სოციალური დაზღვევის ყოფილი სამმართველოს შენობა. 1930-იანი წლები. ბრატისლავა (ყველა სლოვაკია). 5. ი. ნ ო ვ ო ტ ნ ი, ფ. შ მ ო ლ ი კ ი, ს. გ ო რ ა კ ი და სხვ. საცხოვრებელი სახლი. 1960-იანი წლები. პრაღა (ჩეხია). 6. ი. მ ა რ ე კ ი. საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. 1929. ბრატისლავა (სლოვაკია). 7. ვ. ს პ უ რ ნ ი. საავადმყოფო. 1973. ზნოიმო (ჩეხია). 8. „მოგვთა თაყვანისცემა", წმ. ელიზაბეთის ტაძრის საკურთხევლის პანო. 1474–77. კოშიცე. 9. ი. პ ა ნ უ შ კ ა. „გუთნისდედა". 1936. კერძო კუთვნილება (ორივე სლოვაკია). 10. ი. ზ რ ზ ა ვ ი. „ბიბლიური პეიზაჟი". 1913. 11. ი. კ რ ა ლ ი. „თოვლის შეჯიბრებები". 1920-იანი წლები (ორივე ეროვნული გალერეა, პრაღა, ჩეხია). 12. კ. ლ ე დ ე რ ლ ე. სირჩები. ბროლი. გრავირება შესრულდა ჰ. ვან დე ველდეს ჩანახატით. 1901. 13. ვ. ზ ა ჰ ო უ რ ი. ლარნაკი. შუშა. 1972. შუშის ქარხანა პოდებრადი. 14. ვ. ზ ა ჰ ო უ რ ი. ლარნაკები. შუშა. 1972 (ყველა ჩეხია).



















სტ. ჩილე. 1. ჩილეს ანდები. 2. წყნარი ოკეანის სანაპირო ქ. კონსტიტუსიონის მახლობლად. 3. ქ. სანტიაგო. ცენტრალური ნაწილი. 4. ვალპარაისო. ქალაქის ნაწილის ხედი. 5. სან-ფრანცისკოს ეკლესიის ცენტრალური ნავი. 1572 – 1618. ჭერი — 1615 — 18. ოსტატი ბ. დ ე ლ ე მ ე. 6. უსმაგამის ეკლესიის პორტალი. XVIII ს. 7. სანჩეს ლოროსა ი ფონტეცილიას სახლის პორტალი. XVIII ს. 8. ვ. ა რ ი ა ს ი. „გარდამოხსნა". მარმარილო. 1884. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. სანტიაგო. 9. ხ. ვ ე ნ ტ უ რ ე ლ ი. „სიკვდილი მოედანზე". ნახატი ციკლიდან „28 იანვარი", 1946. გრაფიკა. 10. ხ. ხ ი ლ დ ე კ ა ს ტ რ ო. რ. მარტინეს ლუკო ვაჟიშვილთან ერთად. 1816. 11. ხ. ე ს კ ა მ ე ს ი. „მეთევზეები", ლითოგრაფია. 1950-იანი წლები.

















სტ. ჩინეთი (I). 1. ეროზია ლოესურ პლატოზე. 2. აღმოსავლეთი ტიან-შანის თხემური ზონა. 3. ტაკლა-მაკანის უდაბნო. 4. მდ. იანძი შუაწელში. 5. გუანჯოუ (ყოფ. კანტონი). სანაპირო. 6. უხანი. ხიდი მდ. იანძიზე. 7. პეკინი. მთავარი ქუჩა. 8. შანხაი. სანაპირო. 9. გუილინი. ქალაქის ნაწილის ხედი.





























ხტ. ჩინეთი (II). 1. საცხოვრებელი სახლის გამოსახულება ქვაზე. ხანის პერიოდი. 2. ჩინეთის დიდი კედელი. მშენებლობა დაიწყო ძვ. წ. IV–III საუკუნეებში. 3. წმინდა ღვინის ჭურჭელი. ბრინჯაო. შანის პერიოდი. 4. ცხოველის ფორმის ჭურჭელი. ბრინჯაო. ჯოუს პერიოდი. გალერეა ფრირი, ვაშინგტონი. 5. ბუდას ქანდაკება. გამოქვაბული ტაძარი იუნგანი. 6. პაგოდა სუნიუესი სუნშანის მთაზე ხენანის პროვინცია. 520. 7. დულესის მონასტრის ბოდჰისატვა გუანინის ტაძარი. ხებეის პროვინცია. 984. 8. ჯ ო უ ფ ა ნ ი. „ჩაის სმა ცინის მელოდიის თანხლებით", აბრეშუმი. ტუში. წყლის საღებავები. VIII ს. ნელსონის გალერეა, კანზას სიტი, აშშ. 9. პოტალის სასახლე XVI–XVII სს. 10. ჟ ა ო მ ე ნ ფ უ. „ცხენოსანი", აბრეშუმი. ტუში. წყლის საღებავები. 1296. გუგუნის მუზეუმი, პეკინი. 11. ბოდჰისატვა სამანტაბჰადრას ფიგურა. ბრინჯაო. XVI–XVII სს. აღმოსავლეთ ქვეყნების ხალხთა ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.













სტ. ჭიათურის რაიონი (Г). 1. დაბა ჭიათურა. საერთო ხედი. 2. საქათხვისის საშუალო სკოლა. 3. გვირის ქედის ხედი. 4. მდ. გუბაზეულის ხეობა სოფ. ხიდისთავთან. 5. სოფ. ბჟინევი. საერთო ხედი. 6. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფილიალი დაბა ჭიათურაში. ერთ-ერთი საამქრო. 7. ჯუნაბის ზურები, სოფ. მამულარი. 8. მეცხოველეობის ფერმა. სოფ. ხიდისთავი. 9. ჭიათურის № 1 ჩაის ფაბრიკა. 10. ჭიათურის ღვინის ქარხანა. 11. 1905 წლის რევოლუციის მონაწილეთა თავყრილობის აღმნიშვნელი ობელისკი. სოფ. ხიდისთავი. 12. მდ. სუფსის ხეობა სოფ. იანეულთან.





















სტ. ჩოხატაურის რაიონი (II). 1. ერქეთის ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები. 2. ქვენობნის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღი. 3. კინოთეატრის შენობა. დაბა ჩოხატაური. 4. ნ. შარის სახ. საშუალო სკოლა. დაბა ჩოხატაური. 5. ბ. ძნელაძის სახლ-მუზეუმი. სოფ. ბურნათი. 6. პანსიონატი „ნაბეღლავი". სოფ. ნაბეღლავი. 7. ობელისკი რევოლუციის რაინდებს. ჩოხატაურის კულტურისა და დასვენების პარკი. 8. ბუკნარის სახელმწიფო საწარმო მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა. 9. ს. თოდრიას სახ. რვაწლიანი სკოლა. სოფ. [illegible]. 10. ბავშვთა თეატრი. დაბა ჩოხატაური. 11. ე. ბენდელიანის სახ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. სოფ. [illegible]. 12. მებრძოლთა დიდების მემორიალი. სოფ. ჩაისუბანი.




















სტ. ჩრდილოეთ ა
რიკა. 1. ოლიმპის ქა
ფიჭვნარი ნაპირი აშშ
დასავლეთ კალიფ
მთა მაკ-კინლი, ალას
3. ვულკანი შასტის
ლისადაბზე (მდ. საკ
მენტო) კასკადის
მთებში (აშშ). 4. ტუ
ფაკეების კანადის ნა
ლი. 5. სიკვდილის
ლი (აშშ). 6. კოლ
რადოს დიდი კანიო
(აშშ). 7. ბედლენ
ჩრდილოეთ დაკოტ
(აშშ). 8. მკინლეთ
დაბა სიერა-ნევადის მ
ბში (აშშ). 9. ვულკა
ისტაქსიუატლი მექ
კის მთიანეთში. 10.
ალები და იუკები
სიკის მთიანეთის
ხრეთ ნაწილში. 11.
კლთა კინგზ-კანიონ
ეროვნულ პარკში (აშ







ჩვეულებრივი დელფინი.

ლების დროს სსრკ-ში ჩვეულებით სამართ. წყაროდ გამოიყენებოდა საზღვ. ვაჭრობის, ქირავნობ. სსრკ სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსში (მმ. 134, 135, 149, 151) იხ. აგრეთვე სტ. ადათი.

ლიტ.: თ ო ლ ო ძ ე ი., საქართველოს ჩვეულებითი სამართ., თბ., 1960; ფ უ თ კ ა რ ა ძ ე ი., მთიელთა ჩვეულებითი სამართლის სამართალწარმოების საკითხები, «ქართული ფილოსოფიური კრებული», 1971, [წ.] 3.

ი. ფუთკარაძე

**ჩვეულებრივი დელფინი** (Delphinus delphis), ძუძუმწოვარი ცხოველი დელფინისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 160—260 სმ. აქვს მუქი, თითქმის შავი ზურგი და ფარფლები, თეთრი მუცელი. გვერდებზე ყვითელი ოვალისა და თითქმის თეთრი ზოლები აქვს. საქართვ. ფარგლებში მოიპოვება შავი ზღვის სანაპირო ზოლში, იკვებება თევზით, თავფეხიანი მოლუსკებით, იშვიათად კიბოსნაირებით. სსრკ წყლებში გვხვდება ჩ. დ-ის 3 ქვესახეობა: ატლანტური (შორეულ ბალტიის ზღვაში), შორეულაღმოსავლური და შავი ზღვის დელფინი, რ-იც აგრეთვე საქართვ. სანაპირო ზოლში გვხვდება. სსრკ-ში ჩ. დ-ზე ნადირობა აკრძალულია 1966-იდან.

**ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები,** იხ. სტ. დიფერენციალური განტოლებები


ჩვეულებრივი ხურმა ნაყოფიანი ტოტი

**ჩვეულებრივი ხურმა,** კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ხ უ რ მ ა (Diospyros lotus), ფოთოლმცვენი ხე აბანოზისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 16 მ აღწევს. მოხრილი, მოგრძო კვერცხისებრი ან ელიფსური ფოთლები აქვს. ნაყოფი სფეროსებრი კენკრაა, მოწითალო-მურა ფერისაა და ლეგა ლურჯი ცვილის ფენით გადაკრული. გავრცელებულია წინა და აღმ. აზიაში, აგრეთვე ინდოეთში; სსრკ-ში — კავკასიასა (ამიერკავკასიასა და ნაწილობრივ სამხრ. დაღესტანში) და შუა აზიის მთებში. ამიერკავკასიაში იზრდება დას. ნაწილში (კერძოდ კოლხეთში), კახეთსა და აზერბაიჯანში, მთის ქვედა, ნაწილობრივ ზედა სარტყლამდე, ზ. დ. 1800 (2000) მ-მდე, ფოთლოვან ტყეებში. ევროპაში, ჩრდ. ამერიკასა და ჩრდ. აფრიკაში ბევრგან მოშენებულია და ხშირად გაველურდება. ამიერკავკასიაში წარსულში ჩ. ხ-ის ბუნებრივ არსებობას ადასტურებს მისი ნამარხი ნაშთი. ჩ. ხ. სწრაფმზარდია, ცოცხლობს 200 წელზე მეტს, სინათლისა და ტენის მოყვარულია. 20°C-მდე ყინვას უძლებს, ყვავილობს ივნისში, მსხმოიარობს ოქტ.-ნოემბერში. თითო ძირი 30—80 კგ ნაყოფს იძლევა. უმწიფარი ნაყოფი მწკლარტეა, მწიფე კი — მეტად გემრიელი. შეიცავს C ვიტამინს, გამხმარი — 40%-მდე შაქარს. იძლევა ძვირფას სამშენებლო მერქანს, რ-იც „მწვანე აბანოზის ხის" სახელითაა ცნობილი. ჩ. ხ-ს იყენებენ საძირედ აღმ. ხურმის დასამყნობად. თაფლოვანი და დეკორატიულია.

მ. სახოკია.

**ჩვიბიანი,** სოფელი მესტიის რ-ნში (უშგულის სოფსაბჭო), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 2080 მ, მესტიიდან 46,5 კმ. უშგულის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ჩაჟაშში (0,5 კმ).


მ. ჩიბურდანიძე


ჩიბუხა ჩვეულებრივი ჩიბუხა

**„ჩვიდმეტთა პროცესი",** „ნაროდნაია ვოლიას" წევრთა გასამართლება, მიმდინარეობდა 1883 წ. 28 მარტიდან (9 აპრ.) 5 (17) აპრილამდე, სამთავრობო სენატის განსაკუთრებულ განყ-ბაში. მთავარი ბრალდება იყო „ნაროდნაია ვოლიას" მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა (მ. შ. 4 თავდასხმა იმპ. ალექსანდრე II-ზე). სასამართლოზე ყველა ბრალდებულს თავი ღირსეულად ეჭირა. „ნაროდნაია ვოლიას" აღმასკომის წევრებს მ. ტრიგონის, ი. ბოგდანოვიჩს და პ. ტელალოვს მიუსაჯეს სიკვდილი, რაც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. სულ სამუდამო კატორღა მიუსაჯეს 7 კაცს. ასევე „ნაროდნაია ვოლიას" აღმასკომის წევრს და აგენტს ა. პრიბილევა-კორბას მიუსაჯეს 20 წლის კატორღა, ი. სტეფანოვიჩს კი, „ჩიგირინის შეთქმულების ორგანიზატორს" — 8 წლის კატორღა. სულ 8-იდან 20 წლამდე კატორღა მიუსაჯეს 7 კაცს, ციმბირში გადაასახლეს 3 კაცი.

**„ჩვიდმეტი ოქტომბრის კავშირი",** იხ. ოქტიაბრისტები.

**„ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტი",** ნიკოლოზ II-ის მანიფესტი, რ-იც გამოქვეყნდა 1905 სრულიად რუს. ოქტ. საყოველთაო პოლიტ. გაფიცვის დღეებში. ვ. ი. ლენინის შეფასებით, ეს იყო მომენტი, როცა ცარიზმს არ შესწევდა ძალა ჩაეხშო რევოლუცია, რევოლუციას კი ჯერ არ შეეძლო დაემხო ცარიზმი. მეფე იძულებული გახდა 17 ოქტ. ხელი მოეწერა მანიფესტზე, რომლითაც ხალხს დაჰპირდა დემოკრ. თავისუფლებებს და საკანონმდებლო უფლებების მქონე სახელმწ. სათათბიროს მოწვევას. მინისტრთა საბჭო მუდმივმოქმედ უმაღლეს სამთავრობო ორგანოდ გადაიქცა და თავ-რედ ს. ვიტე დაინიშნა. დაიწყო „პატრიოტული მანიფესტაციები", შავრაზმელების ბრბოები მხეცურად უსწორდებოდნენ რევოლუციონერებს. ბოლშევიკებმა ამხილეს მეფის დაპირებათა სიცრუე. რსდმპ ცკ-ის მიმართვა „რუსი ხალხისადმი" და სხვა ბოლშევიკური ფურცლები მოუწოდებდნენ საყოველთაო გაფიცვის გაგრძელებისა და საერთო სახ. აჯანყების მომზადებისაკენ. 1905 დეკ. შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფემ დაივიწყა თავისი კონსტ. დაპირებანი.

ლიტ.: Черменский Е. Д., Буржуазия и царизм в первой русской революции, 2 изд., М., 1970.

**ჩვილ ბავშვთა კვება,** ჩვილი ბავშვის რაციონალური კვება. შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი კვების დროს ბავშვი იკვებება დედის რძით (წოვს მკერდს), რ-იც შეიცავს ბავშვის სიცოცხლისა და ზრდისათვის აუცილებელ ნივთიერებებს, აგრეთვე ანტისხეულებს, რ-ებიც განამტკიცებენ ბავშვის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს გადამდები დაავადებების მიმართ. დედის რძეს ბავშვი ჩვეულებრივ ღებულობს ერთ წლამდე. თუ დედას რძე გაუშრა ან რაიმე მიზეზის (დედის ავადმყოფობა, ბავშვის რძის წოვის აპარატის თანდაყოლილი დეფექტი და სხვ.) გამო ბავშვი ძუძუს ვერ წოვს, იგი გადაჰყავთ ხელოვნურ კვებაზე — აძლევენ ქალის რძის შემცვლელ ნარევებს (იხ. რძის ნარევი), ვიტამინებს, განსაკუთრებით D ვიტამინს რაქიტის საწინააღმდეგოდ და სხვ. 4—5 თვიდან ბავშვს აძლევენ დამატებით საკვებს. თუ დამატებითი საკვები აღემატება საკვების საერთო რაოდენობის 1/5, ბავშვი შერეულ კვებაზე გადაყვანილად ითვლება. შერეულ და ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს დამატებითი საკვები ეძლევათ ისევე, როგორც ბუნებრივ კვებაზე მყოფთ, ოღონდ ერთი-ორი თვით ადრე, ინდივიდუალური ჩვენების მიხედვით. 4 თვიდან ბავშვს აძლევენ წიწიბურას, სიმინდის, ბრინჯის და სხვ. ბურღულის ფაფებს მაწონთან ერთად. 6 თვიდან უმატებენ ბოსტნეულის გახეხილს, აგრეთვე მჭლე ხორცის ან ხორცის ნახარშზე დამზადებულ სუპებს, მოხარშულ ხორცს (7—8 თვიდან). ბავშვს, კვერცხის გულს (1/2-ს დღეში), 1 წლისათვის — აზ. თევზს, ღვიძლს, ხიზილალას, კარაქს, ნაღებს, ყველს, მცენარეულ ზეთს, ხილისა და ბოსტნეულის პიურეს, პურს და სხვ. სსრკ-ში რძის მრეწველობა უშვებს მრავალი სახის რძის ნაწარმს, კონსერვირებულ ჰომოგენიზებულ ხილ-ბოსტნეულის ფაფებს და სხვა სახის დიეტური საკვებს. საქართვ. პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჩვილ ბავშვთა კვებისა და პათოლოგიის განყ-ბამ დამატებითი კვებისათვის დაამუშავა და მიიღო ახ. მაღალკალორიული ნარევი — პეპსინით ფერმენტირებული ვიტამინიანი მაწონი და ნარევი „ივერია", რ-ებსაც აძლევენ 1—6 თვის ბავშვებს. დღის კვების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის წონის ნორმალურ მატებას. უნდა ვერიდოთ ბავშვის გასუქებას, ბავშვი მკვრივკუნთიანი უნდა იყოს, ნორმალურად იმატებდეს სიგრძეში და ყოველმხრივ ასაკის შესაფერისად. დამატებით ან ხელოვნურ კვებაზე გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

ლ. გაბრ

**ჩია არწივი** (Aquila pennata), ფრინველი შევარდნისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 46—53 სმ, ფრთების შლილი 35—40,5 სმ, მასა 700 გ-მდე. გავრცელებულია ჩრდ.-დას. აფრიკაში, სამხრ. ევროპაში, წინა და შუა აზიაში, აღმოსავლეთით კი ჩრდ. მონღოლეთამდე. საქართველოში გვხვდება მიგრირებისას. ვერტიკალურად აღის ზ. დ. 2000 მ-მდე. იკვებება პატარა-პატარა ფრინველებით და თაგვისებრი მღრღნელებით. ქვესახეობიდან საქართველოში გვხვდება ე ვ რ ო პ უ ლ ი ჩ ი ა ა რ წ ი ვ ი — Aquila pennata pennata.

**ჩიანგმაი,** ჩ ი ე ნ გ მ ა ი, შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფო ახლანდელი ჩრდ. ტაილანდის ტერიტორიაზე. სახელი მიიღო იმავე სახელწ. ქალაქიდან, რ-იც 1296 დააარსა მანგრაიმ — ჩიანგრაის სამთავროს მმართველმა. XIV ს.-ში ხშირად იომდა სიამის (აიუთაია) სამეფოსთან. XVI—XVIII სს.-ში ჩ. ძირითადად ბირმის ან სიამის ვასალი იყო: 1556—98 ბირმის, 1595—1615 სიამის ვასალი, 1615 მიიტაცა ბირმამ, 1662 — სიამმა, 1664 — ისევ ბირმამ. 1727—64 დამოუკიდებელი იყო, 1764 კვლავ მიიტაცა ბირმამ. 1775 ჩ. სიამის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

**ჩიანგმაი,** ქალაქი ტაილანდში, მდ. პინგის (მენამის შენაკადი) ნაპირზე. ჩიანგმაის ჩანგვატის ადმ. ცენტრი. 105 ათ. მცხ. (1980). ბანგკოკიდან გამოსული რკინიგზის ბოლო პუნქტი. ხე-ტყის (უმთავრესად ტიკის) დამზადება, დაცურება და ხერხვა. კვების მრეწველობა. შუა საუკუნეებში იყო ჩ-ს სამეფოს ცენტრი.

**ჩიბათი,** ლანჩხუთის რ-ნის სოფლების ზემო ჩიბათისა და ქვემო ჩიბათის ძვ. სახელწოდება.

**ჩიბათის განძი,** ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, რ-იც 1958 აღმოჩნდა სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთის რ-ნი). განძი შეიცავდა 122 ც სოლიდს, რ-იც ეკუთვნის ბიზანტ. 4 იმპერატორს: ტიბერიუს II-ს (578—82) 1 ც., მავრიკიოსს (582—602) 1 ც.; ფოკას (602—10) 106 ც., ჰერაკლეს (610—41) 14 ც. ყველა მონეტა მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. სავარაუდოა, რომ განძი ჩაფლულია VII ს. 20-იან წლებში, როდესაც ჰერაკლე კეისარი ეგრისის გავლით ირანში მიდიოდა სალაშქროდ.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., ბიზანტიური ოქროს მონეტები (ჩიბათის განძი), «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1965, ტ. 25 B.

გ. დუნდუა.

**ჩიმლარა,** მთა ბზიფის ქედის უკიდურეს დას. ნაწილში. სიმაღლე 2120 მ. აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ასაკის მასიური კირქვებით. მთის ჩრდ. კალთა ციცაბო და კლდოვანია, სამხრ. — დამრეცი. დაფარულია კარსტული ძაბრე-



ჩიკაგო. ჩ. ბ. ე ტ ე ე ე ლ ი არქიტექტურული ფირმა „ჰოლაბერდი და როში" მონადნოკ-ბილდინგი 1890–94

სავაჭრო-სატრანსპ. და საფინანსო ცენტრი. გაშენებულია მიჩიგანის ტბის სამხრ.-დას. დაბლობებზე, მდ. ჩიკაგოს შესართავთან, დიდი ტბებიდან მდ. მისისიპისაკენ გამავალი წყლის გზის დასაწყისში. 3 მლნ მცხ. (1980), აქედან დაახლ. 33% ზანგია. ჩ. გერის, ჰემონდის, ისტ-ჩიკაგოსა და სხვა ქ-ებთან ერთად ქმნის აშშ-ის ერთ-ერთ უდიდეს საქალაქო აგლომერაციას, სადაც 7,7 მლნ-ზე მეტი მცხოვრებია. თანამედროვე ქალაქის ტერიტორია ძველთაგანვე ინდიელებს ეკავათ. XIX ს. დასაწყისში დაარსდა სამხ. დასახლება ფორტ-დირბორნი. 1833 მიიღო ქალაქის სტატუსი. ილინოის-მიჩიგანის არხის (1848) და ატლანტის ოკეანესთან დამაკავშირებელი რკინიგზის (1852) მშენებლობის შემდეგ ჩ. ნიუ-იორკის შემდეგ მეორე ქალაქი გახდა (1880 წ. — 550 ათ. მცხ., 1890 წ. — 1100 ათ.). 1893 ჩ-ში ჩატარდა კოლუმბიის მსოფლიო გამოფენა. ჩ. მუშათა და დემოკრ. მოძრაობის დიდი ცენტრია (იხ. ჩიკაგოს დემონსტრაცია 1886). 1960–70-იან წლებში ჩ. ზანგების მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი იყო.

ჩ. აშშ-ის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია (30-ზე მეტი სარკინიგზო ხაზი) და შიდა ავიამიმოსვლის მთავარი ცენტრია. ჩ-ს ნავსადგური (ტვირთბრუნვა დაახლ. 80 მლნ. ტ წელიწადში) მდებარეობს აშშ-ის შიდა წყლის გზებზე. ჩ. არის აშშ-ის შავი მეტალ. მთავარი ცენტრი. განვითარებულია კავშირგაბმ. საშუალებათა, მრავალდარგოვანი სამრეწვ. და სამშენებლო-საგზაო მოწყობილობის წარმოება. რადიოელექტრონიკა, ელექტროტ., სატრანსპ. და სას.-სამ. მანქანათმშ., პოლიგრ., ქიმ., ნავთობგადამამუშ., კვების (განსაკუთრებით ხორცსაკონსერვო, საფქვავი), სამკერვალო, ავეჯის მრეწველობა. ჩ. აშშ-ის ხორბლის, სიმინდის, ცოცხალი და საქონლის ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარია, მისი საფონდო ბირჟა მეორეა ნიუ-იორკის ბირჟის შემდეგ. ქალაქის ფინანს. ჯგუფი აშშ-ის ფინანს. კაპიტალის ერთ-ერთი მთავარი ჯგუფია.

ქალაქში არის თანამედროვე, გიგანტური ცათამბჯენებით განაშენიანებული საქმიანი ცენტრი ლუპი. კერძო სახლებით განაშენიანებული რ-ნი „ოქროს ნაპირი". პარკები, ბულვარები და მათ გარშემო ჯურღმულების რ-ნები და ეთნიკური გეტოები („ჩინური ქალაქი", ზანგებით დასახლებული „ბრონზვილის ქალაქი"). 1871 ხანძრის შემდეგ ჩ. ხელმეორედ განაშენიანდა. ჩ-ს არქიტ. სკოლა (არქიტ. უ. ლე ბარონ ჯენი, დ. ჰ. ბერნემი, ლ. სალივენი და სხვ.) XX ს. რაციონალისტური არქიტ. წინამორბედი იყო. აქ არის ფ. რაიტის, ლ. მის ვან დერ როეს, ბ. გოლდბერგის (მარინა-სიტის მაღლივი საცხოვრ. სახლები, 1964), არქიტ. ფირმის „სომ-ის" (მ. შ. 109-სართულიანი ცათამბჯენი სირზ-ბილდინგი, 442 მ, 1970–74) შენობები და სხვ.

ჩ. აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნ. და კულტ. ცენტრია. საერთაშ.-ერთ. მნიშვნელობისაა ჩიკაგოს, ჩრდ.-დას. და დეპოლის უნ-ტები, აგრეთვე ილინოისის ტექნოლ. ინ-ტი. მუზეუმები თეატრები

**ჩიკაგოს დემონსტრაცია 1886**, მუშათა დემონსტრაცია ქ. ჩიკაგოში (აშშ) 1 მაისს. მუშები გამოდიოდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნის ლოზუნგით. ამ დღეს ქალაქის საქმიანი ცხოვრება მთლიანად შეწყდა. დემონსტრაციები და და მიტინგები შემდგომ დღეებშიც გაგრძელდა. 4 მაისს, მიტინგის დროს, პოლიციის მოედანზე მუშათა საწინააღმდეგო პროვოკაცია მოაწყვეს და პოლიციელთა რაზმს ბომბი ესროლეს, რასაც რამდენიმე პოლიციელი და მუშა ემსხვერპლა. ხელისუფლებამ მუშათა ლიდერები დააპატიმრა, მათგან ოთხს სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა (1887, 11 ნოემბ.). ჩ. დ-ის უკვდავსაყოფად II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესმა 1889 ივლ. მიიღო დადგენილება 1 მაისის დემონსტრაციის ყოველწლიურად ჩატარების შესახებ. 1890 პირველად ჩატარდა 1 მაისის დემონსტრაცია, რომელიც მშრომელთა საერთაშ. დღესასწაული.

**„ჩიკაგო ტრიბიუნ"** („Chicago Tribune"), აშშ-ის ყოველდღიური გაზეთი მემარჯვენე მიმართულებისა. გამოდის ჩიკაგოში 1847-იდან. ტირაჟი 763 ათ. საკვირაო გამოცემისა — 1,1 მლნ-ზე მეტი (1986).

**ჩიკაშუა** დავით სიმონის ძე [18 (31) III. 1908, ნაშური, — 19. II. 1985, ზესტაფონი], ქართველი საბჭ. მეტალურგი, ტექ. მეცნ. კანდიდატი (1963), საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1961). სკკპ წევრი 1946-იდან. საქართვ. სამთო-მეტალ. ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1946-იდან — ქ-ნის ცენტრ. ლაბორ. უფროსი). მანგანუმიანი შენადნობების ახ. ტექნოლ. დამუშავების, გამოდნობისა და დანერგვისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად 1951 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.



გ. ჩიკვაიძე

**ჩიკვაიძე** გიორგი პაგრატის ძე (1896–1969), თანამედროვე საბჭ. სპორტის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1961). პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენი; 1915 კიევში დაამყარა მსოფლიო რეკორდი ძალოსნობაში. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკაში ფიზკულტ.-სპორტ. მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ჩ. მუშაობდა ფიზკულტ. და სპორტის უმაღლესი საბჭოს, მისი რეორგანიზაციის შემდეგ კი საქართველოს ფიზკულტ.- და სპორტის კომიტეტის თავ-რის მოადგილედ. 1947-იდან გარდაცვალებამდე საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი იყო. ჩ-ს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ძალოსნობის, მძლეოსნობისა და სპორტის მრავალი სახეობის განვითარებაში. მისმა სამეცნ. შრომებმა ხელი შეუწყო ბავშვთა ფიზ. აღზრდის მეთოდიკის დახვეწასა და სპორტ. შედეგების ზრდას.
*შ. თავართქილაძე*

**ჩიკვაიძე** დიმიტრი ვლადიმერის ძე [9 (22). XI. 1898, თბილისი, — 21 I 1972, იქვე], საქართველოში ჭადრაკის განვითარების ერთ-ერთი მესვეური, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1944), საქ. სსრ ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (1967), პედ. მეცნ. კანდიდატი (1952). საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1936). 1920 თბილისში დაამთავრა სატანკვარჯიშო კურსები, ხოლო 1927 — თსუ-ის ეკონ. ფაკულტ. გაუძღვა ჭადრაკის კათედრას საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტში. 1962–72 მუშაობდა ფიზკულტ. და სპორტის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. დაჯილდოებულია მედლებით.

**ჩიკვაიძე** ელენე გიორგის ასული (დ. 7 IX 1910, თბილისი), საბჭ. ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი და პედაგოგი. რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). სწავლობდა თბილისში მ. პერინის კერძო ქორეოგრაფიულ სტუდიაში. 1929 დაამთავრა ლენინგრ. ქორეოგრ. სასწავლებელი (მ. რომანოვასა და ა. ვაგანოვას კლასები). 1929–41 იყო ლენინგრ. ს. კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, 1943–57 კი — მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი (1956-იდან ბალეტმაისტერ-რეპეტიტორი). როლებიდან აღსანიშნავია ჯულიეტა, ლიზა. პარტიები, ჟიზელი, ოდეტა-ოდილია (ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტა" და „გედების ტბა"), ზარემა (კრეინის „ლაურენსია", 1939, პირველი შემსრულებელი, ბალეტმაისტერი ვ. ჭაბუკიანი), მარიკა (ა. ბალანჩივაძის „მთების გული") და სხვ.
*ნ. გვინია*

**ჩიკვაიძე** იური გიორგის ძე (დ. 1934), ქართველი საბჭ. ფერმწერი, სცენოგრაფი; იხ. სამხატვრო

**ჩიკვაშვილი** ვალერი დანიელის ძე (დ. 20. IX. 1929, ქუთაისი), ქართველი საბჭ. იურისტი, სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი, იურიდ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1970). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). სკკპ წევრი 1959-იდან. დაამთავრა ხარკოვის იურიდ. ინ-ტი (1952). 1968-იდან კითხულობს ლექციებს თსუ-ში. მისი ნაშრომები ეხება საბინაო და საოჯახო სამართალს: „საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია სსრ კავშირში" (მ., 1968, რუს. ენაზე), „ქონებრივი ურთიერთობანი ოჯახში" (1976, რუს. ენაზე), „ქორწინება, ოჯახი, სამართალი" (თბ. 1977) და სხვ.

**ჩიკლაიო** (Chiclayo), ქალაქი პერუს ჩრდ.-აღმ. ნაწილში, პანამერიკული გზატკეცილზე. ლამბაიეკეს დეპარტ. ადმ. ცენტრი. 190 ათ. მცხ. (1979) რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურებს პიმენტელსა და პუერტო-ეტენს. ბრინჯის, შაქრის, სასურსათო მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. სას.-სამ. რ-ნის (ბრინჯი, შაქრის ლერწამი) ცენტრი. უნ-ტი.

**ჩიკოიძე** ნიკოლოზ მიხეილის ძე (1852–1897, ქ. ქუთაისი), რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე. სწავლობდა პეტერბ. საარტილერიო სასწავლებელში. 1874 ქუთაისში ყოფნის დროს დაუკავშირდა რუს ხალხოსნებს იყო საზ-ბა „ფედერის" წევრი. 1875 დააპატიმრეს მოსკოვში 1877 გაასამართლეს „50-ის პროცესზე" და მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება. 1881 ციმბირიდან მოსკოვს გაიქცა და შევიდა საზ-ბა „ნაროდნაია ვოლიას" ორგანიზაციაში. 1883 ისევ შეიპყრეს და 3 წლის კატორღა მიუსაჯეს ციმბირიდან 1885 იაკუტიაში გადაასახლეს. 1895 გადაიყვანეს კურგანში, სადაც გარდაიცვალა მალე.
ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე ს., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960

**ჩიკოიძე** (ჩ ე კ ა ი ძ ე) როსტომ გიორგის ძე (1840, სოფ. მეჯვრისხევი, ახლანდ. გორის რ-ნი, — 1925, იქვე), რუსეთის არმიის არტილერიის გენერალ-მაიორი (1904). დაამთავრა ერევნის გრენადერთა პოლკთან არსებული სამხ. აღსაზრდელთა სკოლა (1869) და მიხ. მსროლელთა სასწავლებელი (1872). 1878–98 მსახურობდა სტავროპოლის პოლკში 1898-იდან მსროლელთა ბატალიონის უფროსი იყო ყაღიზმანში (ახლანდ. აღმოსავლ. თურქ. ტერიტორიაზე). მონაწილეობდა გურიის პოლიტ. (1902) და მსროლელთა ბრიგადის ერევანსა და ქუთაისში (1903–07). რუს.-თურქ. ომის (1877–78) დროს ბაიაზეთთან (ახლანდ. თურქ. ტერიტ.) ბრძოლის გმირი რამდენიმე ორდენის კავალერი. ჩ.-ზე ნ. ქისიშვილის რომანის „იყვნენ და არ იყვნენ" (1978) ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპია.
*თ. მურმანიშვილი.*

**ჩილაჩავა** რაულ შალვას ძე (დ. 15. V. 1948, სოფ. ჭითაწყარი, ზუგდიდის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე. საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1985). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1970). ავტორია პოეტური კრებულების „დასაწყისი" (1973), „კოცნა" (1976), „ბორჯღალი" (1982), „ბუნიობა" (1984) და სხვ. ქართულად თარგმნა ვ. სოსიურას, ბ. ოლეინიკის, ჰ. ტრინიას, მ. ბაჟანის და სხვ. ლექსები, უკრაინულად — გ. ტაბიძის, ე. მაღრაძის, რ. მიშველაძის თხზულებანი.
*რ. კვერენჩხილაძე*



შ. ჩილაჩავა

**ჩილაჩავა** შალვა ილიას ძე (დ. 20. V 1911, ზუგდიდი), საბჭ. კავშირის გმირი (23 VIII 1944), მაიორი. სკკპ წევრი 1939-იდან 1931–42 მუშაობდა ზუგ-

ლია სამთომოპოვებითი მრეწვ., რ-ის თითქმის ყველა საწარმო კუთვნის უცხ. კომპანიებს საპილენძის მადნეულის სახელმწიფოს საკუთრებაშია, მაგრამ მათ ექსპლუატაციას ფაქტობრივად ახორციელებს აშშ-ის მონოპოლიები. სპილენძის მოპოვების თითქმის 85%-ს იძლევა რუდოკამბატის, ელ-სალვადორისა და ელ-ტენიენტეს მაღაროები. 1982 მოიპოვეს (ათ. ტ): ქვანახშირი — 756, რკინის მადანი — 6468, სპილენძი — 1256, მოლიბდენი — 19,7, ოქროთა — 5,5, ნავთობი — 2480 ათ. მ³, ბუნებრივი აირი — 5066 მლნ მ³. ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრეა 3357 ათ. კვტ (1983) 1982 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 11,8 მლრდ კვტ-სთ დამუშავებითი მრეწვ. დარგებიდან წამყვანია კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფი ტემპით განვითარდა შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმ., ლითონდამუშავებ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის დაახლ 30%-ს აწარმოებენ სანტიაგოს, ვალპარაისოსა და კონსეფსიონის პროვინციებში, აქედან 50%-ზე მეტს — ქ. სანტიაგოში.

სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების დაახლ 60%-ს იძლევა მიწათმოქმედება, რ-ის მთავარი რ-ნია ჩ-ს ცენტრ. ნაწილი — სანტიაგო კორდილიერის კალთები და გასწვრივი ხეობა. მოჰყავთ (ათ. ტ, 1982/83): ხორბალი — 600, სიმინდი — 512, შვრია — 146, ქერი — 73, ბრინჯი — 107, კარტოფილი — 684, შაქრის ჭარხალი — 1460. მეცხოველეობა ექსტენსიური ხასიათისაა. 1983 ჩ-ში იყო (ათ. სულ): მსხ. რქ. საქონელი — 3665, ღორი — 1260, ცხვარი — 6434, ცხენი — 440, თხა — 660. ამზადებენ ხე-ტყეს. მოიპოვეს თევზჭერას (3,7 მლნ ტ, 1983).

შიდა გადაზიდვებში წამყვან როლს თამაშობს ავტოტრანსპორტი, საგარეო-სავაჭრო ბრუნვის დაახლ. 90% მოდის საზღვ. ტრანსპორტზე. რკინიგზის სიგრძე 11,2 ათ. კმ, საავტ. გზებისა — 60 ათ. კმ, აქედან 9,6 ათ. კმ მაგარსაფრიანია (1983). 1981 ავტოპარკში იყო 780 ათ. ავტომობილი. 1983 საზღვ. სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 487,5 ათ. მრუტო სარეგისტრო ტ. მთავარი ნავსადგურებია ვალპარაისო, ტოკოპილა, ანტოფაგასტა ....

1983 (წინასწარი მონაცემებით) ექსპორტმა შეადგინა 3827 მლნ. დოლ., იმპორტმა — 2969 მლნ. გააქვთ სპილენძი, რკინის მადანი, ქვარცი, სოფ. მეურნ. პროდუქცია, თევზის ფქვილი, ხე-ტყე, კვების მრეწვ. პროდუქცია, ქაღალდი და ცელულოზა. ლითონები. შეაქვთ სამომხმარებლო საქონელი, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, მანქანა-მოწყობილობა. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, გფრ, იაპონია, ბრაზილია.

ლიტ.: Нехтан М. С., Экономическая география Чили, М., 1976.

### VIII. შეიარაღებული ძალები

ჩ-ს შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. საერთო რაოდენობაა 85 ათ. კაცი (1979). უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი, უშუალოდ ხელმძღვანელობს სამხ. ხუნტა. სახმელეთო ჯარები (50 ათ. კაცი) შეიარაღებულია ტანკებით, ჯავშან-ტრანსპორტიორებით, არტილერიითა და შეეულმფრენებით რეზერვში ჰყავთ 160 ათ. კაცი. სამხ.-საჰაერო ძალების (11 ათ. კაცი) შემადგენლობაშია დაახლ. 100 საბრძოლო, 165 სხვადასხვა დანიშნულების თვითმფრინავი და 30 შვეულმფრენი. სამხ.-საზღვ. ძალები (24 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 30 საბრძოლო და დამხმარე ხომალდი და ზღვ. სამხ.-საზღვ. ძალების ავიაცია ითვლის სხვადასხვა დანიშნულების 32 თვითმფრინავსა და 36 შვეულმფრენს. სამხ.-საზღვ. ბაზებია: ტალკაუანო (მთავარი), ვალპარაისო და სხვ. შეიარაღებული ძალები კომპლექტდება სამხ. ვალდებულების კანონის საფუძველზე, სამხ. სამსახურის ვადა — 12 თვე. შეიარაღება და სამხ. ტექნიკა უცხ. წარმოებისაა.

### IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1980—84 შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 24,8, საერთო სიკვდილიანობა—7,7, ბავშვთა სიკვდილიანობა — 4,0 ყოველ 1 ათ. ცოცხლად შობილზე. მამაკაცების სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა 63,6 წელი, ქალებისა — 70,4 წელი იყო. ჩ-ში გავრცელებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, ავთვისებიანი წარმონაქმნები, ვენერული დაავადებანი, აგრეთვე ბავშვთა ინფექციები.

ჯანდაცვის ცენტრ. ორგანოა — ჯანდაცვის სამინისტრო. ჯანდაცვის სამსახურის ან ეროვნ. სისტემის შემოღების (1978) შემდეგ შემცირდა მოსახლ. სახელმწ. სამედ. მომსახურება; სულ უფრო ფრცელდება კერძო საექიმო პრაქტიკა.

1980 ჩ-ში იყო 300-მდე საავადმყოფო 40 ათ-მდე საწოლით (3,5 საწოლი 1 ათ. მცხოვრებზე), მუშაობდა 5,7 ათ. ექიმი (1 ექიმი 2 ათ-მდე მცხოვრებზე), 1,5 ათ. კბილის ექიმი, 290 ფარმაცევტი და 22 ათ-ზე მეტი საშ. სამედ. პერსონალი. ექიმების 60% მუშაობს სანტიაგოში (ცენტრ. პროვინცია). ექიმებს ამზადებს უნ-ტების 6 სამედ. ფაკ-ტი.

### X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

საზ. მთავრობამ მოახდინა განათლების სისტემის დემოკრატიზაცია, სავალდებულო გახადა 8-წლიანი სწავლება, გაიზარდა მოსწავლეთა და სკოლათა რაოდენობა. 1973 სამხ. გადატრიალების შემდეგ მკვეთრად შემცირდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, გაჭარდა ყველა სახ. დაწესებულებების მილიტარიზაცია. სამეცნიერო დაწესებულებები სახელმწიფო და კერძო, სამეცნ.-ტექ. პოლიტიკას ხელმძღვანელობს მეცნ. და ტექ ეროვნ. კომისია. სახელმწიფოთა მეტეოროლ., სამხ. სახურის (ობსერვატორიების, სამეცნ. სადგურების ქსელით), სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ნაწილი (ჩ-ს ანტარქტიკული ინ-ტი სადგურებით ანტარქტიდაში, გეოლ., ბიოლოგიური, ბირთვ. ენერგიის შემსწავლელი და სხვ. ინ-ტები). კერძო სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ნაწილი, სამეცნ. საზ-ბები და აკადემიები, ფირმების სამეცნ. დანაყოფები და სხვ. სამხ.-ფაშისტური დიქტატურის დამყარებამ, რეპრესიებმა, მეცნიერთა ემიგრაციამ, სამეცნ. მუშაობის ასიგნებათა შემცირებამ ძლიერ დააქვეითა ქვეყნის სამეცნ.-ტექ. პოტენციალი.

დაწყ. მოთითადი 8-წლიანი სკოლა სავალდებულოა 6—15 წლის ასაკის ბავშვებისათვის. მის ბაზაზე მუშაობს 4-წლიანი საშ. ზოგადსაგანმან., 4-წლიანი პროფტექ. და 4-წლიანი პედ. სასწავლებლები. 1984 მოთითადი სკოლაში სწავლობდა 2,7 მლნ-მდე მოსწავლე, ყველა ტიპის საშ. სკოლებში — 500 ათ-მდე მოსწავლე. ქვეყანაში 8 უნ-ტია (აქედან 6 კერძო), სულ სწავლობდა 100 ათ-ზე მეტი სტუდენტი; არის კოლეჯის ტიპის 3 უმაღლესი სკოლა, კონსერვატორია და გამოყენებითი ხელოვნ. სკოლა.

16 ბ-კაა (მ. შ. ეროვნულ ბ-კაში ... ჩ-ს ეროვნ. ბ-კა სანტიაგოში; 2 მლნ-ზე მეტი ტომი); ისტ. ეროვნ., ნატურ ხელოვნ., ეროვნ. პედ., თანამედროვე ხელოვნ., ამერ. ხალხ. ხელოვნ. და სხვ. მუზეუმები.

### XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1973 ჩ-ში სამხ.-ფაშისტურმა ხუნტამ ცენზურა შემოიღო პრესზე. ჟურნალ-გაზეთი ამჟამად ჩ-ში გამოდის გაზეთები—„მერკურიო" („El Mercurio", 1827-იდან, ტირაჟი 195 ათ.); „ნასიონ" („La Nación", 1917-იდან, ტირაჟი 20 ათ.) —1980-იდან ჩ-ს სამხ. ხუნტის ოფიც. ორგანოა; ჟურნალები — „ვეა" („Vea", 1939-იდან, ტირაჟი 40 ათ.); „ერსილია" („Ercilla", 1936-იდან, ტირაჟი 146 ათ.); ჩ-ის კომპარტიის ორგანოებია: გაზ. „სიგლო" („El Siglo", 1940-იდან, 1973 წ. 5 ოქტ.-იდან გამოდის არალეგალურად), ჟურნ. „პრინსიპიოს" („Los Principios", 1939-იდან, 1976 იანვრიდან გამოდის არალეგალურად). საინფორმაციო სააგენტო „ორბიტა ინფორმატივა ორბე დე ჩილე" დაარსდა 1953 სანტიაგოში. აქვეა ჩ-ს რადიოსადგურების ასოციაცია, დაარსდა 1936 სანტიაგოში ეროვნ. ტელევიზია მუშაობს 1959-იდან

### XII. ლიტერატურა

ჩ-ს ხალხთა ლიტ-რა ვითარდება ესპ. ენაზე. ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას — არაუკანებს — XVI ს-მდე. ესპ. შესვლამდე, საკუთარი წერილობითი ძეგლები არ ჰქონიათ. ლიტ-რამ ჩამოყალიბება დაიწყო ესპ. კოლონ. ბატონობის პერიოდში (XVI—XVIII სს.). პირველი ისტ. და მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს თვით დაპყრობითი ომის მონაწილეებმა, რ-თა შორის გამოირჩევა ესპ. პოეტის ა. დე ერსილია ი სუნიგას პოემა „არაუკანა" (ნაწ. 1—3, 1569—89). XVII ს-ში შეიქმნა ისტ. პროზა: ალონსო დე ოვალიეს (1601—51) „ჩილეს სამეფოს ისტორიული ქრონიკა", დიეგო დე როსალესის (1603—77) „ჩილეს სამეფოს ს ყოველთაო ისტორია", თანადროულად ფართოვდებოდა კრეოლული ფოლკლორი. XVIII ს. II ნახევრიდან გავრცელდა სატირული ფოლკლორი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში წამყვანი გახდა პოლიტ. პუბლიცისტიკა. 1842 ჩ-ს ლიტ. საზ-ბას სათავეში ჩაუდგა ხ. ვ. ლასტარიამ (1817—88), რ-იც ამავე დროს იყო ლიტ. ამერ. რომანტიზმის თეორეტიკოსი, ჩ-ს რომანტიზმის, ე. წ. 1842 წლის თაობის, მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ს. სანფუენტესი (1817—60), გ. მატა (1829—99), ე. ლილიო (1826—1910), ა. ბლესტ განა და სხვ. ეროვნ. პროზის განვითარების პირველი აშკარად გამოხატული ტენდენცია იყო კოსტუმბრიზმი, რ-ის ფუძემდებელი იყო ხ. ხ. ვალიეხო (1811—58). კოსტუმბრიზმი მალე გადაიზარდა კრიტ. რეალიზმში. XIX—XX სს. მიჯნაზე პოეზია უშიაკვრესად მოდერნიზმის მიმართულებით ვითარდებოდა. მნიშვნელოვანი იყო ე. წ. 1900 წლის თაობის წარმომადგენელთა შემოქმედება, რ-თა თემა — ბუნება და სოფ. ცხოვრება — აისახა ე. წ. კრიოლიზმში. მისი ბელადი გახდა მ. ლატორე (1886—1955). „კრიოლიზმი" ჯერ ეწინააღმდეგებოდა ნატურალიზმის ესთეტიკას, რ-მაც უკვე XIX ს. დასასრულიდან მოიკიდა ფეხი, ხოლო 20—30-იან წლებში მასში გამოიკვეთა რეალიზმისა და სოც. კრიტიკის ელემენტები. ამ წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა პოეზიამ, რ-მაც კიდევ უფრო მაღალ დონეს მიაღწია გ. მისტრალის შემოქმედებაში. დიდი რეზონანსი ჰქონდა ვ. უიდობროს (1893—1948) შემოქმედებას, რ-მაც დააარსა მიმდ. ე. წ. „კრეასიონიზმი" (ესპ. crear — შექმნა) პოეტურ მიმდინარეობას და იყო მისი თეორეტიკოსი. ამავე პერიოდში ლიტ. ასპარეზზე გამოვიდა პ. ნერუდა. ავანგარდიზმის ნიმუშ-თვისებური ანასათავებდა პ. დე როკას (1894—1968) პოეზიას. 30-იანი წწ. მიწურულს მოვლ. წარმოქმნა ე. წ. „1938 წლის თაობის" პოეტები — გ. როხასი (დ. 1917), ნ. პარა (დ. 1914) და სხვ. სიურრეალისტური ტენდენცია-

მრეწველობა სოფ. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სარწყავ მიწათმოქმედებას და საძოვრულ-საოჯახო მესაქონლეობას. მოჰყავთ ხორბალი, ბრინჯი, ბამბა, აშენებენ ცხვარს, აქლემს, ცხენსა და ფრინველს. განვითარებულია საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

**ჩინაბი**, მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში, სიგრძე დაახლ. 1100 კმ, აუზის ფართ. 138 ათ. კმ². სათავე აქვს დას. ჰიმალაის მყინვარებში, ინდ. ტერიტორიაზე ღრმა ხეობაში მიედინება, პაკისტანში — პენჯაბის ვაკეებზე. მთავარი შენაკადებია ჯელამი და რავი. რ-თა შეერთების შემდეგ ჩ-ს ტრიმაბი ეწოდება. ერთვის მდ. სატლეჯს (ინდის აუზი). საზრდოობს მყინვარების, თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობაა ივნ.-იდან ნოემბ.-მდე. მთებიდან გამოსვლისას წყლის საშ. ხარჯი 890 მ³/წმ. ჩ-ის ხეობა მჭიდროდ არის დასახლებული. მთავარი ქ-ები ვაზირაბადი, ჩინიოტი, მულტანი (პაკისტანი).

**ჩინარი** (თანამედროვე სახელი ჩინარლიე), ძველი ქართ. სოფელი საინგილოში. მდებარეობს სოფ. ლექართის ჩრდ.-აღმ-ით (ზაქათალის ოლქი). ახლა დასახლებული [illegible] ცხოვრობენ. სოფლის ახლოს მთის წვერზე აღმართულია გუმბათით მრგვალი კომპლექსური მასიური ნაგებობა. ადგილობრივი მოსახლეობა „გურჯი თილმს" უწოდებს, რაც ქართულ გმირთა ნაგებობას ნიშნავს. ნაგებობა აგურითა და ქვითაა ნაშენი. მის ირგვლივ შემორჩენილია მიწისქვეშა ნაგებობათა ნანგრევები.

**ჩინგიზ-ყაენი** (საკ. სახელი თ ე მ უ ჩ ი ნ ი) (დაახლ. 1155 დელიუნ-ბოლდაკის სამხრ. მდ. ონონზე, — 25. VIII 1227), ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, მხედართმთავარი. 1204 ხელისუფლებისათვის ბრძოლაში შეძლო დაემარცხებინა მრავალი მოწინააღმდეგე, მიიტაცა ვრცელი ტერიტორიები და ფაქტობრივად აქ დასახლებული მრავალრიცხოვანი გვარ-ტომობრივი გაერთიანებების მეთაური გახდა. 1206 მომთაბარე არისტოკრატიის ყურულთაიზე (ყრილობაზე) იგი დიდ ყაენად გამოაცხადეს და ჩინგიზის (თურქ. თენგიზ — ოკეანე, ზღვა) ტიტული უბოძეს.

საშინაო პოლიტიკაში ჩ-ყ-ის მთავარი მიზანი იყო მონღ. ტომების გაერთიანება და ახალშექმნილი სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაცია. ფეოდალიზაციის პროცესში მყოფი გვარ-ტომობრივი არისტოკრატიის ინტერესებისათვის 1206 მან გამოაქვეყნა დადგენილებანი (ე. წ. ჩ-ყ-ის იასა), რ-ებიც წარმოადგენდა ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციას. მონღ. ტომები სამხ.-ადმ. ერთეულებად — ათასეულებად (ყოველ მათგანს ამ ერთეულებს უნდა გამოეყვანა 1000 მეომარი ცხენოსანი) დაყო და სასტიკად [illegible] საუფლისწულო მამულებად (ხუბი) უბოძა თავის ნათესავებსა და ნოიონებს — ფეოდ. არისტოკრატიის წარმომადგენლებს. სახელმწიფოში ყოველგვარი უკმაყოფილების ჩასახშობად ძირითად ძალად ჩ.-ყ.-მა 10-ათასიანი პირადი გვარდია (კეშიკი) შექმნა. საგარეო პოლიტიკაში იგი ცდილობდა მტაცებლურად გაეფართოებინა თავისი სამფლობელოების ტერიტორია. ჩ-ყ-ის სტრატეგიისა და ტაქტიკისათვის დამახასიათებელი იყო გულმოდგინე დაზვერვა, უეცარი თავდასხმა, მტრის ძალების დაქსაქსვა, ცხენოსანთა მრავალრიცხოვანი ჯარებით მანევრირება და სხვ. 1207—11 დაიმორჩილა ციმბირი და აღმ. თურქესტანი. 1211 თავს დაესხა ძინის ჯურჯენთა სახელმწიფოს (იხ. *მონღოლთა დაპყრობლური ომები XIII ს.*). ჩ.-ყ. გარდაიცვალა ტანგუტის სახელმწ. ტერიტორიაზე ლაშქრობისას.

**ჩინგოლა** (Chingola), ქალაქი ზამბიაში. 192 ათ. მცხ. (1980). რკინიგზით უკავშირდება ქ. ნდოლას. ცენტრ. აფრ. სპილენძის სარტყლის ერთ-ერთი ცენტრი.

**ჩინგ ჩაგი და ჩინგ ბი**, ვიეტნამელი ეროვნ. გმირები, დები. ჩრდილოვიეტნამის ჩინეთის წარჩინებული გვარიდან იყვნენ. ახ. წ. 40—43 ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას ჩინ. დინასტიის ხანის წინააღმდეგ. რ-იც ვიეტ. ისტორიაში პირველ საერთო სახ. ომად იქცა. ის აგრეთვე „ორი დის" აჯანყებაა.

**ჩინდვინი**, მდინარე ბირმის დას. ნაწილში, მდ. ირავადის უდიდესი მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს კუმუნის მთების დას. კალთაზე. სიგრძე დაახლ. 1100 კმ, აუზის ფართ. დაახლ. 114 ათ. კმ² (აუზის ნაწილი ინდოეთის ტერიტორიაზეა). მიედინება ჯერ ტყით შემოსილ ხეობაში, შემდეგ — ვრცელ მთათაშორის ქვაბულში. იკვებება სარწყავად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის ზაფხულში. წყლის საშ. ხარჯი 4 ათ. მ³/წმ-ზე მეტია. სანაოსნოა 600 კმ-ზე მეტ მანძილზე, მშრალ სეზონში — 400 კმ-ზე. ჩ-ის ნაპირზეა ქ. მონივა.

**ჩინეთი**, ჩ ი ნ ე თ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (ჩინ. ჯუნხუა ჟენმინ გუნხეგო), ჩსრ.



### I. ზოგადი ცნობები

ჩ.—სახელმწიფო ცენტრ. და აღმ. აზიაში. მოსახლ. რაოდენობით მსოფლიოში უდიდესი, ფართობით — ერთ-ერთი უდიდესი. აღმ-ით აკრავს ყვითელი, აღმ. ჩინეთის და სამხრ. ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკ.). სახმელეთოსთან ბევრი კუნძულია, რ-თაგან უდიდესია ტაივანი და ხაინანი. ჩრდ.-ით ესაზღვრება სსრკ და მონღ. სრ, დას-ით და სამხრ-ით — ავღანეთი, ინდოეთი, ნეპალი, ბჰუტანი, ბირმა, ლაოსი, ვიეტ. სრ, ჩრდ.-აღმ-ით — კორ. სდრ. ფართ. 9,6 მლნ კმ², მოსახლ. 1 036,04 მლნ. კაცი (ტაივანის, აგრეთვე აომინისა და სიანგანის ჩათვლით, 1984). დედაქალაქი — პეკინი. ოფიც. ენა — ჩინური. ეროვნ. დღესასწაულია 1 ოქტ. — რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1949). ოფიც. კალენდარი — გრიგორიანული. იყენებენ მთვარისა და მზის კალენდარს. ფულის ერთეულია იუანი. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1986 აგვ.) 100 იუანი = 18,81 მანეთს. ადმინისტრაციულად ჩ. იყოფა 21 პროვინციად (ტაივანის ჩათვლით), 5 ავტონ. რ-ნად და 3 ცენტრ. დაქვემდებარების ქალაქად (პეკინი, შანხაი, ტიანძინი).

### II. სახელმწიფო წყობილება

მოქმედებს 1982 კონსტიტუცია. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რ-საც ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლება, არის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება (სჩსწკ). შედგება პროვინციების, ავტონ. რ-ნების, ცენტრ. დაქვემდებარების ქ-ებისა და შეიარაღებულ ძალთაგან არჩეული დეპუტატებისაგან. მათი უფლებამოსილების ვადა 5 წელია. კრება ირჩევს ჩსრ-ის თავ-რეს და მის მოადგილეს (5 წლის ვადით), ამტკიცებს სახელმწ. საბჭოს პრემიერს, მის მოადგილეებსა და სახელმწ. საბჭოს წევრებს, მინისტრებს და სხვ., ირჩევს სამხ. საბჭოს თავ-რეს, უზენაესი სახ. სასამართლოს თავ-რეს, გენ. პროკურორს, ამტკიცებს სახ. მეურნ. გეგმას, სახელმწ. ბიუჯეტს და ა. შ.; სესიებს შუა პერიოდში კრების მუდმივმოქმედი ორგანოა მის მიერ არჩეული მუდმივი კომიტეტი (უფლებამოსილების ვადაა 5 წელი).

აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის სახელმწ. საბჭოს (მთავრობას), რ-იც ანგარიშვალდებულია სჩსწკ-ს და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე. პრემიერი, მისი მოადგილეები, სახელმწ. საბჭოს წევრები და სამდივნოს უფროსი ქმნიან სახელმწ. საბჭოს მუდმივ კომიტეტს (სახელმწ. საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 5 წელი).

სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოები პროვინციებში, ქალაქებში, მაზრებში, რ-ნებში, თემებში არის სახ. წარმომადგენელთა კრებები. პროვინციების, ცენტრ. დაქვემდებარების ქ-ების და ოლქად დაყოფილ ქ-ების კრებების დეპუტატებს, საქალაქო ადმ. დაყოფისა, ირჩევს ქვემდგომი სახ. წარმომადგენელთა კრებები 5 წლის ვადით, იმ ქ-ების საქალაქო დაქვემდებარების რ-ნებისა და თემების კრებათა დეპუტატებს, რ-ებიც არ იყოფიან მაზრებში, რ-ნებში, ირჩევს მოსახლეობა საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 3 წლის ვადით. საარჩევნო უფლება ენიჭება ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

ჩსრ-ის სასამართლო სისტემაში შედის სახ. სასამართლო (უმაღლესი სასამართლო ორგანო), ადგილ. სახ. სასამართლოები და სპეც. სახ. სასამართლოები. სასამართლოების ზედამხედველობას ახორციელებს უზენაესი სახ. პროკურატურა და მასზე დაქვემდებარებული ადგილ. პროკურატურები.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი*, *სახელმწიფო დროშა*.

### III. ბუნება

სანაპირო ხაზის სიგრძე დაახლ. 15 ათ. კმ. აღმ. ჩინეთისა და სამხრ. ჩინეთის ზღვების სანაპიროზე ბევრია პატარა ყურე და უბე. ყვითელი ზღვის სანაპირო უმთავრესად დაბლობია, გამონაკლისს წარმოადგენს შანდუნისა და ლიაოდუნის ნ.-კ-ები.

ჩ-ის ტერიტ. უმთავრესად მაღლობია. მის სამხრ.-დას. ნაწილში აღმართულია ტიბეტის მთიანეთი, საშ. სიმაღლე — 4—4,5 ათ. მ, ცალკეული მწვერვალებისა — 6—7 ათ. მ. მთიანეთი შემოსაზღვრულია მაღალი მთის სისტემებით, სამხრ-ით და დას-ით აღმართულია ჰიმალაი (მაქს. სიმაღლე 8848 მ, მთა ჯომოლუნგმა) და ყარა-

მილიტარისტების ჯარებმა, გაანთავისუფლეს ჩ-ის მთელი სამხრ. და ცენტრ. ნაწილი.

მუშათა და გლეხთა რევ. მოძრაობის უდიდესმა გაქანებამ და იმპერიალ. ძალთა ჩარევამ დააშინა ეროვნ. ბურჟუაზია, რ-მაც თანდათან ჩამოშორდა რევოლუციას და იმპერიალიზმისა და შინარეაქციის მხარეზე გადავიდა. აღმ., სამხრ. და ცენტრ. ჩ-ში მოხდა კონტრრევ. გადატრიალებები. გომინდანი გახდა კონტრრევ., ფეოდ.-კომპრადორული პარტია, რ-საც მეთაურობდა ჩან კაიში.

რევ. დამარცხების შემდეგ ჩ-ში გაბატონდა გომინდანის რეაქც. დიქტატურა. 1928 ივლ. აშშ, შემდეგ სხვა იმპერიალ. სახელმწიფოებმა ოფიციალურად ცნეს გომინდანის მთავრობა. გომინდანელებმა სასტიკი რეპრესიები დაატეხეს თავს მშრომელებს (1927—28 წწ. 337 ათ. რევოლუციონერი მოკლეს). მათ ხელი შეუწყვეს აშშ და სხვ. იმპერიალ. ქვეყნების პოზიციების გაძლიერებას ჩ-ში. სსრკ-ის მიმართ ნანკინის მთავრობამ აშკარა მტრული პოზიცია დაიკავა. მან არაერთი საბაზღვრო პროვოკაცია მოაწყო სსრკ-ის წინააღმდეგ. რევოლუციის ბაზრობის მოუწყობლად ჩ-ის ტერიტორიის მნიშვნ. ნაწილში (ძირით. სამხ. რ-ნში) შეიქმნა რევ.-დემოკრ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოები (ე. წ. საბჭოები). საბჭოთა რ-ნებში ხორციელდებოდა რევ. აგრ. გარდაქმნები და სხვ. დემოკრ. ღონისძიებები. რევ. ძალების ძირითადი ბაზა იყო ქ. ჟუიძინი (ძიანსის პროვ.), სადაც არსებობდა ჩ-ის საბჭ. რესპ. დროებითი ცენტრ. მთავრობა. 1930—34 წლებში არმიამ აქ მოიგერია გომინდანელთა ოთხი დიდი შემოტევა. 1931 დამლევს იაპონელებმა მოახდინეს ჩრდ.-აღმ. ჩ-ის ოკუპაცია, 1932 შექმნეს მანჯოუ-გოს მარიონეტ. სახელმწიფო. სსრკ-მა დაგმო იაპ. მიერ ჩრდ.-აღმ. ჩ-ის ოკუპაცია და დიპლ. ურთიერთობა აღადგინა ჩ-თან, რამაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ჩ-ის საერთაშ. პოზიციები. 1933 იაპ. აგრესორებმა გომინდანური ჩ-ის სუსტი წინააღმდეგობის შედეგად მიიტაცეს ჩ-ის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. 1933—34 ჩან კაიშიმ იაპ. წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად მოაწყო მეხუთე დიდი ლაშქრობა საბჭ. რ-ნების წინააღმდეგ. 1934 ოქტ-ში წითელი არმია იძულებული იყო დაეტოვებინა ცენტრ. ჩ. და ჩრდ.-დას.-კენ დაძრულიყო. 1934 ოქტ. — 1936 ნოემბ. მან ბრძოლებით განვლო დიდი გზა, მივიდა შენსი-განსუს პროვინციების შესაყარზე, სადაც შექმნა ახალი საბჭოთა რ-ნი. ჩრდ.-დას. ლაშქრობის დროს 1935 იანვ. ქ. ძუნიში ჩატარებული პოლიტბიუროსა და ცკ წევრთა ნაწილის თათბირზე შეიცვალა ჩკპ ცკ შემადგენლობა, რასაც შედეგად მოჰყვა მაო ძედუნისა და მისი მომხრეების პოზიციის გაძლიერება.

1937 ივლისში იაპონიამ დაიწყო ჩ-ის დაპყრობა. ამის პასუხად გაიშალა ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1937—45. 1937 წ. 21 აგვ. სსრკ-მა ჩ-თან დადო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და მისცა მას დიდი სესხი. 1937—41 სსრკ-მა ჩ-ს მიაწოდა თანამედროვე შეიარაღება. გომინდანელთა [illegible] კაპიტულანტური პოლიტიკის წყალობით 1937 ივლ. — 1938 ოქტ. იაპონელებმა დაიპყრეს ჩ-ის ახალი ვრცელი ტერიტორიები.

II მსოფლიო ომის დაწყებამ და ფაშისტური გერმ. დროებითმა წარმატებებმა გააძლიერეს გომინდანელთა კაპიტულანტური განწყობა.

აშშ-მა და ინგლისმა, რ-ებიც 1941 დამლევიდან იაპონიასთან ომის მდგომარეობაში იყვნენ, დაიწყეს გომინდანის მთავრობისათვის იარაღის მიწოდება. ჩან კაიშის მთავრობა ასეთ პირობებშიც აგრძელებდა აგრესორებისადმი პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკას. მაგრამ ვითარება შეიცვალა II მსოფლიო ომში მომხდარი ძირითადი გარდატეხის შემდეგ (სსრკ შეიარაღ. ძალების ბრწყინვალე შეტევა აღმ. ფრონტზე). ჩკ-მ და ახ. მე-4 არმიებმა დაიწყეს სამხედ. ოპერაციები, გაძლიერებული რეგულარული და არ. ტერიტორიები გაათავისუფლეს იაპ. ოკუპანტებისგან. 1945 აპრ.-ივნ. ჩატარდა ჩკპ VII ყრილობა, რ-მაც ჩკპ-ის სახელმძღვანელო იდეოლოგიად გამოაცხადა „მაო ძედუნის იდეები". 1945 წ. 8 აგვ. საბჭოთა კავშირმა (ფაშისტ. გერმ. უპირობო კაპიტულაციის შემდეგ) ყალტის 1945 თებ. კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ომი გამოუცხადა იაპონიას. 9 აგვ. საბჭოთა არმია მონღ. სრ ჯარებთან ერთად შეიჭრა ჩრდ. ჩ-ისა და შიდა მონღოლეთის ტერიტორიებზე, სადაც მოკლე დროში გაანადგურა იაპ. ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ძალა — კვანტუნის არმია. 1945 წ. 2 სექტ. იაპონია იძულებული გახდა ხელი მოეწერა უპირობო კაპიტულაციაზე.

სსრკ-ის მიერ ფაშისტური გერმ. განადგურებამ ძირეულად შეცვალა საერთაშ. ვითარება. მან ხელსაყრელი პირობები შექმნა ხალ.-რევ. გარდაქმნებისათვის ჩ-ში. იაპ. კაპიტულაციის შემდეგ გომინდანელები შეეცადნენ აშშ-ის დახმარებით თავის სასარგებლოდ შეეცვალათ ვითარება და გაენადგურებინათ ჩ-ის რევ. ძალები. ჩკპ ცდილობდა ახ. სამოქალაქო ომის გაჩაღების გარეშე, მშვიდობიანად მოეწესრიგებინა ომის შემდგომი მოწყობის საქმე. 1946 წ. 10 იანვ. გომინდანი და ჩკპ შეთანხმდნენ შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები. ამასთან ჩუნცინში გაიმართა პოლიტ. საკონსულტ. კონფერენცია, რ-მაც მიიღო დადგენილება გომინდანის ერთპარტ. მთავრობის კოალიციურ მთავრობად გარდაქმნის, ჯარების გადაიარაღებისა და ეროვნ. კრების მოწვევის შესახებ. მაგრამ გომინდანის ცაკმა უარყო ეს დადგენილება და გააჩაღა ახ. სამოქალაქო ომი. 1946 წ. 4 ნოემბ. გაფორმდა აშშ-ჩ-ის ხელშეკრულება, რ-ითაც ჩ-ზე ფაქტობრივად მყარდებოდა აშშ პოლიტ., ეკონ. და ფინანს. კონტროლი. ამის სანაცვლოდ აშშ-მა ვალდებულება აიღო გომინდანისათვის გაეწია ფინანსური და სხვა დახმარება. 1947 ივლ. ჩ-ის სახ.-განმათ. არმია ყველა ფრონტზე გადავიდა კონტრშეტევაზე და 1948—49 გომინდანის ბატონობისაგან გაათავისუფლა ჩ-ის მთელი ჩრდ.-აღმ. და ქვეყნის დიდი ნაწილი მდ. იანძიმდე. 1949 სახ.-განმათ. არმიამ წარმატებით განაგრძო შეტევები და 1949 შემოდგომისათვის გომინდანის ბატონობისაგან გაათავისუფლა ჩ-ის კონტინენტის უდიდესი ნაწილი. ჩან კაიშის ხროვა ტაივანზე გაიქცა. 1949 წ. 1 ოქტ. პეკინში საზეიმოდ გამოცხადდა ჩ-ის სახ. რესპ. შექმნა.

ჩკპ-მ სახ. რევ. გამარჯვების შემდეგ ეკონ. ხაზად დასახა სოციალიზმის მშენებლობა ჩსრ-ში. სსრკ-მა პირველმა ცნო ჩსრ, მისცა მას 300 მლნ. აშშ. დოლარი გრძელვადიანი სესხი და გაუწია მას მრავალმხრივი სხვა დახმარება. აშშ-მა ჩსრ-ის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავა. იგი განაგრძობდა ტაივანზე მოკალათებული ჩან კაიშის ხროვისათვის დახმარებას, აკრძალა ვაჭრობა, კონტაქტები ჩსრ-თან და დაადო ყადაღა მის ქონებას აშშ-ში. 1950 ივნ. აშშ-მა ომი დაიწყო კორეაში და ფაქტობრივად მოახდინა ტაივანის ოკუპაცია. 1951 დამთავრდა ჩ-ის გაერთიანება. 1952 იქმნებოდა ახ. სახ. ორგანოები. 1953 (ზოგიერთი რ-ნის გამოკლებით) დამთავრდა აგრ. რეფორმა. 1954 მიიღეს ჩსრ პირველი კონსტიტუცია. 1953—57 პირველ ხუთწლედში დიდი მუშაობა ჩატარდა კერძო და კაპიტ. სექტორის სოციალისტურად გარდასაქმნელად. იგი შეეხო სოფლისა და საქალაქო სექტორს. 1953—57 ხელი მოაწერეს ჩსრ-სსრკ რამდენიმე შეთანხმებას. სსრკ-მა ჩსრ-ს დახმარება აღმოუჩინა დამატებით 161 მსხვილი სამრეწვ. ობიექტის მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, მიაწოდა მას საჭირო მანქანა-მოწყობილობა. 1956 სექტ. ჩატარდა ჩკპ VIII ყრილობა. მან შეაჯამა მიღწეული წარმატებები, დასახა ახ. საპროგრამო ამოცანები და ქვეყნის შემდგომი წინსვლის ძირითად პირობად მიიჩნია ჩსრ-სსრკ, აგრეთვე სხვა სოც. ქვეყნებთან თანამშრომლობა.

50-იანი წწ. II ნახევარში ჩკპ-ში გააქტიურდნენ ნაციონალისტური ელემენტები. მაო ძედუნით 1958 ფაქტობრივად გაუქმდა მეორე ხუთწლიანი გეგმა. გადაუწყვიტეს სოციალიზმის ობიექტურ ეკონ. კანონებს და წამოაყენეს „დიდი ნახტომის" გეგმა, რ-ითაც ხუთ წელიწადში სამრეწვ. წარმოება 6,5-ჯერ უნდა გადიდებულიყო, სოფ.-სამ. — 2,5-ჯერ. „დიდი ნახტომის" პოლიტიკის შედეგად მოხდა ჩსრ-ის სახ. მეურნ. დეზორგანიზაცია, დაირღვა ეკონ. კავშირი ქვეყნის სხვადასხვა რ-ნებს შორის, შემცირდა სამრეწვ. პროდუქცია.

60-იანი წლებიდან ჩკპ-ში თავი იჩინა საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის პრინციპული ხაზის რევიზიამ. თავს დაესხნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს, საგარეო პოლიტიკაში გაილაშქრეს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის წინააღმდეგ. ჩსრ-მ, ამასთან ერთად, შეამცირა ეკონ. ურთიერთობა სოც. ქვეყნებთან და გააფართოვა იგი კაპიტალ. ქვეყნებთან (იაპ., გფრ). 60-იანი წწ. II ნახევარში მოაწყვეს ე. წ. „კულტურული რევოლუცია", შექმნეს ხუნვეიბინების („წითელი გვარდიელების") და ძაოფანების („მეამბოხეთა-



ჩინეთი. სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის ნაწილების შესვლა გუანჯოუ-ში. ოქტომბერი 1949



ჩინეთი. ქ. დალიანის მოსახლეობის შეხვედრა მის გამათავისუფლებელ საბჭოთა არმიასთან. აგვისტო 1945

რი საგარეო-სავაჭრო პარტნიორები არიან: იაპონია, აშშ, ავსტრალია, სამხრ.-აღმ. აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ქვეყნები 1984 ჩ-სთან ტვირთბრუნვამ შეადგინა 977,8 მლნ. მან. (1983 წ. — 488,2 მლნ. მან.).

ლიტ.: Т а м т и к Г. А., Очерк экономики современного Китая, М., 1982.

## VIII. შეიარაღებული ძალები

ჩსრ-ის შეიარაღებული ძალები — ჩ-ის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია — შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან, დაახლ. 3,9 მლნ. კაცი (1984). ერთგვ. თავდაცვის ძალების შემადგენელი ნაწილია სახალხო ლაშქარი (40 მლნ კაცი). შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს ჩსრ-ის ცენტრალური სამხ. საბჭოს თავ-რე, უშუალო ხელმძღვანელობას უწევს თავდაცვის სამინისტრო. სახმელეთო ჯარები (3 მლნ. კაცი) შეიარაღებულია ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ზარბაზნებით, რაკეტული დანადგარებით და სხვ. სამხ.-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინაღო თავდაცვის (250 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 3800 საბრძოლო თვითმფრინავი, დაახლ. 400 სატრანსპორტო თვითმფრინავი და 300 შვეულმფრენი. სამხ.-საზღვ. ძალების (275 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 800 საბრძოლო და დამხმარე ხომალდი. შედგება 3 ფლოტილიისაგან: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის. საზღვ. ავიაცია ითვლის 30 ათ. კაცს და დაახლ. 600 თვითმფრინავს. ჩინეთის სტრატეგიული ძალები შეიარაღებულია სტრატეგიული დანიშნულების რაკეტებით და ბირთვული იარაღის მატარებელი 100 თვითმფრინავით. შეიარაღებული ძალები კომპლექტდება სამხ. ვალდებულების კანონის საფუძველზე (1955) შერჩევითი გაწვევის გზით. გასაწვევი ასაკია 18—25 წელი. სამხ. სამსახურის ვადა სახმელეთო ჯარებში 2—4 წელია, სამხ.-საჰაერო ძალებში — 3—5 წელი, სამხ.-საზღვ. ძალებში — 4—6 წელი

## IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1980—84 შობადობა 1 ათ. მცხოვრებზე შეადგენდა 19,4, სიკვდილიანობა — 6,7; ბავშვთა სიკვდილიანობა — 41 ყოველ 1 ათ. ცოცხლად შობილზე. სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა კაცების 68,7, ქალებისა — 71,1 წელი იყო. ავადობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებს, რაც სულ უფრო ნაკლებ ხდება სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი. 1981 ჩ-ში იყო 66 ათ. საავადმყოფო 2017,1 ათ. საწოლით (2 საწოლი 1 ათ. მცხ.). მუშაობდა 920 ათ.-მდე ექიმი (1 ექიმი 1930 მცხ.), 626,5 ათ. მედდა, 70,9 ათ. მეანი, 600 ათ.-ზე მეტი კაცი მოსახლეობას სამედ. დახმარებას უწევდა ტრად. ჩინ. მედიცინის მეთოდებით ახორციელებდა სამედ. დახმარების საქმეში დიდ როლს თამაშობენ ე. წ. „ფეხშიშველა ექიმები" გლეხობისათვის (მომზადების ვადა — 3 თვე), ექიმები — მუშებისათვის (მომზადების ვადა — 1 თვე) და წითელი ჯვარის ექიმები (ათდღიანი კურსები). ჩ-ში არის 100-ზე მეტი უმაღლესი სამედ. დაწესებულება, სადაც ამზადებენ ექიმებს, ფარმაცევტებს, სტომატოლოგებს, აგრეთვე საშ. და დამხმარე სამედ. პერსონალის მოსამზადებელი სკოლები.

## X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

სახ. განათლების საერთო სახელმწ. სისტემა ჩამოყალიბდა ჩინ. სრ შექმნის (1949) შემდეგ. 1951-იდან სახ. განათლების სისტემაში შედიოდა: საბავშვო ბაღები 3—7 წლის ასაკის ბავშვებისათვის, 6-წლიანი დაწყ. სკოლა, 6-წლიანი საშ. სკოლა, დაბალი და საშ. პედ. და ტექ. სასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლები. 1953-იდან დაწყ. სკოლა 6-წლიანი გახდა. 1952 დაწყ. სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის 81%-ს მუშათა და გლეხთა შვილები შეადგენდნენ. ამჟამად განათლების დარგს ხელმძღვანელობს ჩინ. სრ სახელმწ. საბჭო განათლების სამინისტროს მეშვეობით, რ-შიც შედის პოლიტ. აღზრდის, უმაღლესი, საშ. ტექ., საერთო, პედ. განათლების და სხვ. სამმართველოები. 1978 სახელმწ. საბჭოს გადაწყვეტილებით შემოიღეს 10-წლიანი საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა (5+3+2), შეიქმნა ე. წ. „საჩვენებელი" 6-წლიანი დაწყ. და 6-წლიანი საშ. (3+3) სკოლები. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება (1983 უმაღლეს სასწავლებელში შევიდა სკოლადამთავრებულთა მხოლოდ 5%). 1981 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 146270 ათ. მოსწავლე, საშ. სკოლაში — 55 მლნ. ამჟამად ჩინ. სრ-ში შემოიღეს 12-წლიანი საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა (6 + 3 + 3), რაც ჯერჯერობით ხორციელდება ქალაქის სკოლებში. პროფტექ. განათლების სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია, მასში გაერთიანებულია 1918 ათ. მოსწავლე. ჩატარდა უმაღლესი სკოლის რეფორმა: გაიხსნა ბევრი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკ-ტებზე დაწესდა 4—5-წლიანი სწავლება, ჰუმანიტარულებზე 4-წლიანი, უნიფიცირებულია შესასვლელი გამოცდები. 1986 სულ სწავლობდა 1,5 მლნ. სტუდენტი. დიდი უმაღლესი სასწავლებლებია პეკინის უნ-ტი, ნანკინის პედ. უნ-ტი, შანხაის უნ-ტი „ფუდანი", პეკინის მედ. და პოლიტექ. „ცინხუა" ინ-ტები და სხვ. 1951 რეფორმის შემდეგ დაიწყო მოზრდილთა განათლების ორგანიზაცია; შეიქმნა საღამოს სკოლა (ყველა საფეხურის დაწყებითიდან უმაღლესამდე), მოკლევადიანი მუშურ-გლეხური სკოლები, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო კურსები. 1977—80 წერა-კითხვას დაეუფლა 22,5 მლნ. კაცი. 1981 საღამოს დაწყ. სკოლაში სწავლობდა 16,5 მლნ. მოსწავლე, საღამოს საშ. სკოლაში — 8 მლნ.-ზე მეტი, საღამოს პროფტექ. სასწავლებლებში — 3 მლნ.-მდე კაცი, საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში — 1,5 მლნ.

80-იან წლებში დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებდნენ 3-წლიანი პედ. სასწავლებლები უმცროსი საშ. სკოლის ბაზაზე, უმცროსი საშ. სკოლის მასწავლებლებს — 3-წლიანი პედ. ინ-ტები უფროსი საშ. სკოლის ბაზაზე, სრული საშ. სკოლის მასწავლებლებს — პედ. ინ-ტები და უნ-ტები სრული საშ. სკოლის ბაზაზე. 1981 იყო 1 ათ. პედ. სასწავლებელი (482 ათ. მოსწ.), 172 უმაღლესი პედ. ინ-ტი და უნ-ტი (480 ათ. სტუდენტი).

ჩსრ-ის ყველაზე დიდი ბ-კაა ეროვნ. ბ-კა პეკინში (დაარსდა 1912; 11 მლნ-ზე მეტი დაცვითი ერთეული). დიდი ბ-კებია ჩსრ მეცნ. აკად. ბ-კა პეკინში (1951; 5,2 მლნ-ზე მეტი დაცვითი ერთეული, აქვს განყ-ბები შანხაიში, ნანკინსა და ანხოიში), არის აგრეთვე 30 ბ-კა პროვინციების ქალაქებში: შანხაის ბ-კა (1952; 7 მლნ. ტ.), ნანკინის (1933, 5 მლნ. ტ.) და სხვ. ყველაზე დიდი მუზეუმები თავმოყრილია პეკინში: მუზეუმი „გუგუნი" (დაარსდა 1925, ისტორია და ძვ. ხელოვნება), ისტ. მუზეუმი, ბუნების მუზეუმი, რევ. მუზეუმი, ლუ სინის მუზეუმი და სხვ. არის მუზეუმები პროვინციების ცენტრებშიაც

1949 შეიქმნა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია და სამეცნ.-კვლ. ინ-ტების სისტემა. 1957 პეკინში გაიხსნა სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემია, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა 30-ზე მეტი ინ-ტი. 1958 პეკინში დაარსდა სამხ. მეცნ. აკადემია, გეოლ. მეცნ. აკადემია (6 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი). 1966 სამეცნ. ორგანიზაციებში მუშაობდა 500 ათ.-მდე კაცი, მ. შ. 60 ათ.-მდე მეცნ. მუშაკი, რ-თაგან უმრავლესობა მიღებაწყვეტილი მრეწვ. სამინისტროს დარგობრივ სამეცნ.-კვლ. ინ-ტებსა და სამხ. მრეწველობაში, უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე 100 ათ. მასწავლებლიდან ბევრი ეწეოდა სამეცნ.-კვლ. მუშაობას. ჰუმანიტარულ მეცნ. დარგში კვლევა ძირითადად კონცენტრირებულია დიდი უნ-ტების სათანადო ფაკ-ტებზე. ქვეყნის უმაღლესი ინსტანცია სამეცნ.-კვლ. მუშაობის დარგში არის სახელმწ. საბჭო, რ-იც მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომისიის, სახელმწ. საგეგმო კომისიის და სხვა ორგანოების მეშვეობით აწესებს კონტროლს და ხელს უწყობს სამეცნ. მუშაობის განვითარებას. კოორდინაციას შეთავსებს ჩსრ მეცნ. აკადემია.

## XI. ფილოსოფია

ძველ ჩ-ში ფილოსოფიური სკოლები და მიმართულებები წარმოიშვა ძვ. წ. VI—III სს-ში. ჩინ. ფილოს. განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მითოლოგიამ და ძველმა წერილობითმა ძეგლებმა „ი ძინ-მა" — „გარდაქმნათა წიგნმა" და „ში ძინ-მა" — „ისტორიათა წიგნმა".

გავრცელებული სქემის მიხედვით ჩინ. ფილოს. განვითარების ისტორია იყოფა 4 პერიოდად: 1. ძველი ფილოსოფია (ძვ. წ. VI—III სს.); 2. შუა საუკუნეების ფილოსოფია (ძვ. წ. III—ახ. წ. XIX ს. შუა პერიოდამდე); 3. ახალი დროის ფილოსოფია (XIX ს. შუა პერიოდიდან 1919-მდე); 4. უახლესი პერიოდი (1919-იდან დღემდე).

ცნობილია ძველი ჩინ. ფილოს. ექვსი კლასიკური სკოლა: კონფუციანელობა, დაოსიზმი, მოიზმი, ლეგიზმი („კანონიკებთა" ანუ ფაძია), ნატურფილოსოფიური (ბუნებრივი მატერიალიზმი) და ნომინალისტური სკოლა (მინძია). ამ სკოლების ჩამოყალიბება და განვითარება მიეკუთვნება ჩ-ის ისტორიის ე. წ. ომების ხანას.

ჩ-ის იდეოლოგიურ-კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა კონფუციანელობამ. მასში ჭარბობს ეთიკურ-რელიგიური პრობლემები, ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი, რ-ის ცხოვრება ბედზე დამოკიდებულად ცხადდება. ბედი ზეცითაა განსაზღვრული, მიწიერ ყოფას ტიანი ანუ ზეცის კანონი მართავს. მეორე დიდი გავლენის სკოლა იყო დაოსიზმი — ლაო-ძის მოძღვრება — დაოს, ანუ კანონზომიერების შესახებ. დაო სამყაროს ის წესრიგია, რ-ის ძალით ჩნდება წინააღმდეგობა ყოველ არსებულში, რაც ცვლის, გარდაქმნის ყოველივეს, თვით კი უქმნელი და უცვლელია. დაოსიზმი დიალექტიკური მოძღვრებაა.

მატერიალისტურ სკოლებად ითვლება სიუნ-ძის მოძღვრება და ლეგისტების („ფაძია") სკოლა, ამათგან პირველი ნატურფილოსოფიური მოძღვრებაა. მეორე კი საზ-ბას ეხება და მის კანონებს იკვლევს.

კონფუციანელობა და დაოსიზმი თავიანთ განვითარებაში თანდათან რელიგ. სახეს იღებენ. V—VI სს. ჩ-ში გავრცელდა ბუდიზმი. ბუდისტური ლიტ-რის თარგმნა, გავრცელება და ათვისება ხდებოდა მასზე კონფუციანელობისა და დაოსიზმის ძლიერი გავლენით. VII—X სს-ში ბუდიზმი ყველაზე გავრცელებული მიმართულება გახდა. სუნის ეპოქა (X—XIII სს.) ჩინ. ფილოს. ხელახალი აღორძინების ხანად ითვლება, რაც ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. დაწინაურების გამომხატველი იყო. ამ დროს კვლავ გაძლიერდა კონფუციანელობა. მან ნეოკონფუციანელობის სახე მიიღო, თუ კონფუციანელობის აღორძინ. წარმომადგენელნი ფილოს. მთელ რიგ საკითხებს მა-

პლატფორმები. ჩკპ-ის ხელმძღვანელობით ჩინ. რევ. ძლევამოსილად დაგვირგვინებისა და ამ ქვეყნის უძველეს მიწაზე ახ. საზ-ბის მშენებლობის დასაწყისის სიმბოლოდ იქცა 1949 წ. 1 ოქტ. ჩინ. სახ. რესპ. შექმნა. 1952 ჩკპ ცკ-მა შეიმუშავა გარდამავალი პერიოდის გენ. ხაზი, რ-იც ითვალისწინებდა ჩინეთის თანდათანობით გადაქცევას სოციალ. სახელმწიფოდ.

1956 სექტ. შედგა ჩკპ-ის VIII ყრილობა, რ-მაც შეაჯამა პირველი ხუთწლედის გეგმის ოთხი წლის წარმატებით შესრულების შედეგები ძირითადად დაადასტურა პარტიის მიერ მიღებული გენ. ხაზის სისწორე; ყრილობამ მიიღო ჩკპ-ის ახ. წესდება, რ-ის საპროგრამო შესავალში ჩაიწერა, რომ პარტია „თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით".

ჩკპ-ის XII ყრილობის მიერ მიღებულ ოფიც. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ 1950-იდან 70-იანი წლების დასასრულამდე პარტია განიცდიდა საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე „მემარცხენე" შეხედულებების მოძალების მძიმე პერიოდს. ამ შეხედულებების მთავარი მატარებელი იყო მაო ძედუნი. მისი ინიციატივით 1958 გადაისინჯა ჩკპ-ის VIII ყრილობის (1956) ზოგიერთი გადაწყვეტილებები და წამოყენებულ იქნა ვოლუნტარისტული ახ. გენ. ხაზი, „დიდი ნახტომისა" და „სახალხო კომუნების" ყველგან შექმნის პოლიტიკა. ეს კურსი მძიმე წარუმატებლობის და შედეგების მიზეზი გახდა. 60-იანი წწ. დასაწყისში ეს კურსი გადაისინჯა და ჩკპ ცკ-ის ინიციატივით დაიწყო სახ. მეურნეობის მოწესრიგების პოლიტიკა, რ-საც 1966-თვის შესამჩნევი პოზიტიური შედეგები მოჰყვა, მაგრამ მათი განმტკიცება ვერ მოხერხდა. 1966 გაჩაღდა ე. წ. „კულტურული რევოლუცია", რ-იც მაო ძედუნის გარდაცვალებამდე (1976-მდე) გაგრძელდა. ჩკპ-ის დოკუმენტებში ეს კამპანია ოფიციალურად იქნა გაკიცხული როგორც „ხანგრძლივი ქაოსი", რ-მაც მთელ ხალხს, მთელ პარტიას აუნაზღაურებელი უბედურება და მძიმე განსაცდელი მოუტანა.

50-იანი წწ. დასასრულს ჩკპ-ის VIII ყრილობის ხაზიდან გადახვევას თან ახლდა ჩინეთის მთელი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა, რ-იც ამ პერიოდში აშკარად არამეგობრული იყო სსრკ-ისა და სოციალ. ქვეყნების უმრავლესობის მიმართ. 1966 ჩკპ-მ შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა სკკპ-სა და მსოფლიოს ბევრ კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან.

1982 სექტ. შედგა ჩკპ-ის XII ყრილობა, რ-მაც გარდატეხა მოახდინა პარტიის ცხოვრებაში; ამ დროისათვის ჩკპ თავის რიგებში აერთიანებდა 39 მლნ მეტ წევრს. ყრილობამ გაკიცხა „კულტურული რევოლუცია" და მოუწოდა გადაეჭრათ მისი მძიმე შედეგები. პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას ყრილობამ შეიმუშავა ახ. მიდგომა. მან კრიტიკულად განიხილა მაო ძედუნის იდეები და დაგმო მისი ზოგი „მემარცხენე" დებულება, თუმცა „მაო ძედუნის იდეები" მარქსიზმ-ლენინიზმთან ერთად პარტიის იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად შეინარჩუნა, ყრილობამ დაადგინა, რომ პარტიისა და მთელი ხალხის საქმიანობაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ოთხი მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელებას (თანამედროვე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, თავდაცვის შექმნა) და 2000 წლისათვის მრეწველობის საერთო პროდუქციის გაოთხკეცებას.

ჩკპ-ის XII ყრილობამ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები პარტიის ორგანიზაციული და იდეოლოგიური საკითხების მოსაწესრიგებლად. ყრილობამ მხარი დაუჭირა სსრკ-თან სახელმწიფოთა ურთიერთობების ნორმალიზაციის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპზე. სკკპ-ის XXVII ყრილობამ კმაყოფილება გამოთქვა ჩინ-თან მეზობლური ურთიერთობის ნორმალიზაციის გამო და ხაზგასმით აღნიშნა, მზად არის განავითაროს ამ ქვეყანასთან ყოველმხრივი კავშირი მშვიდობისა და სოციალიზმის საერთო ინტერესებისათვის. ჩკპ-მ აქტიურად დაიწყო მოქმედ. კომუნისტ. და მუშათა პარტიებთან, სკკპ-სა და ვიეტ. კპ-ის გარდა, ურთიერთობის აღდგენა.

სკკპ ცკ-ის გენ. მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა 1986 წ. 28 ივლისის ვლადივოსტოკში სახელით ჯილდოს გადაცემისას განაცხადა: „...ისტორიამ საბჭოთა და ჩინელ ხალხებს უდიდესად პასუხსაგები მისია დააკისრა. ორ უდიდეს სოციალისტურ სახელმწიფოზე ბევრი რამ არის დამოკიდებული საერთაშორისო განვითარებაში.

ბოლო წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა ჩვენი ურთიერთობა. მინდა დავადასტურო: საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველ დროს, ყოველ დონეზე, უოლოდ სერიოზულად განიხილოს ჩინეთთან ერთად კეთილმეზობლობის ვითარების შესაქმნელად განიზრახული დამატებითი ღონისძიებების საკითხები — იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ჩვენი გამყოფი (არა და გვინდა ვიქვათ — შემაერთებელი) საზღვარი მშვიდობისა და მეგობრობის ზოლი გახდება".

1986 სექტ. პეკინში შედგა ჩკპ-ის სრულიად ჩინეთის პარტიული კონფერენცია, რ-მაც დაადასტურა პარტიის კურსი ქვეყნის ეკონ. სისტემის ყოველმხრივი რეფორმის განხორციელებისა და შეიტანა არსებითი ცვლილებები ჩკპ-ის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში. 1986 დასაწყ. ჩკპ ითვლიდა 42 მლნ. მეტ წევრს.

ჩკპ ცკ-ის გენ. მდივანია ხუ იაობანი.

ჩკპ-ის მრჩეველთა ცენტრ. კომისიის (მცკ) თავ-რე და ჩკპ ცკ-ის სამხედრო საბჭოს თავ-რეა დენ სიაოპინი.

ჩკპ-ის დისციპლინის შემოწმების ცენტრ. კომისიის პირველი მდივანი ჩენ იუნი.

ჩკპ ცკ-ის ოფიც. ბეჭდვითი ორგანოებია — გაზ. „ჟენმინ ჟიბაო" („სახალხო ყოველდღიური გაზეთი") და თეორ. და პოლიტ. ჟურნალი „ხუნცი" („წითელი დროშა").

მ. ტატარაშვილი.

**ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია,** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ქვეყნის უმაღლესი სამეცნ. დაწესებულება, რ-იც კოორდინაციას უწევს კვლევას მეცნ. ყველა დარგში და ხელმძღვანელობს ბევრ სამეცნ.-კვლ. ორგანიზაციას. დაარსდა 1949 ნანკინის ცენტრ. და პეკინის სამეცნ.-კვლ. აკადემიათა გაერთიანების ბაზაზე. აკად. სათავეშია აკადემიის საბჭო, რ-იც ხელმძღვანელობს მეცნ. აკად. განყ-ბებს და ირჩევს მუდმივ კომიტეტს პრეზიდენტის, 6 ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის შემადგენლობით. ჩ. მ. ა-ის პირველი პრეზიდენტი იყო გო მოჟო (1949). 1988 ჩ. მ. ა-ის შემადგენლობაში იყო 5 განყ-ბა: ფიზ., ქიმ. და მათ. განყ-ბა; ბიოლ. განყ-ბა, გეოგრ.-გეოლ. განყ-ბა; ტექ. მეცნ. განყ-ბა და საზ. მეცნ. განყ-ბა. 1988 მთავრობამ მიიღო დადგენილება რესპ. პროვინციებსა და ავტონ. რ-ნებში ჩ. მ. ა-ის ფილიალების გახსნის შესახებ და 1989 უკვე 26 ფილიალი იყო. 1962 აკად. სისტემაში შედიოდა 110-ზე მეტი სამეცნ. კვლ. ინ-ტი. 1985 ჩ. მ. ა-ში იყო 400-მდე აკად. წევრი, სულ მუშაობდა 45 ათ-მდე თანამშრომელი.

**ჩინეთის რევოლუცია 1925—27,** დემოკრატიული ბურჟ.-დემოკრ. რევოლუცია, რ-ის ამოცანა იყო იმპერიალისტური ჩაგვრისა და ჩინეთის ეკონომიკურ-პოლიტიკურ წყობაში გაბატონებული ნახევრად ფეოდ. წყობების მოსპობა, ერთი მხრივ. I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ ჩინ. ხალხისა და იმპერიალიზმს შორის წინააღმდეგობის გამწვავებამ, მილიტარისტულმა ომებმა, მშრომელთა ჩაგვრის გაძლიერებამ და, მეორე მხრივ, დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენამ ჩინ. მოსახლ. ფართო ფენებში რევ. სულისკვეთება წარმოქმნა. სამხრ. ჩინეთში, სადაც 1923 თებ. სუნ იატსენის გუანჯოუს მთავრობა არსებობდა, ეროვნ.-რევ. ძალების დიდი წარმატებები მოიპოვეს: ჩკპ-ისა და გომინდანის თანამშრომლობის ბაზაზე შეიქმნა ერთიანი ეროვნ. ანტიიმპერიალ. ან ანტიმილიტარისტული ფრონტი; სსრკ-ის დახმარებით საფუძველი ჩაეყარა რევ. არმიის შექმნას, გუანდუნში კონტრრევ. ძალები დამარცხდნენ. დაიწყო მუშათა და გლეხთა მოძრაობის აღმავლობა, ყოველივე ამან ბიძგი მისცა უშუალოდ რევ. სიტუაციის მომწიფებას, რაც შანხაიში „ოცდაათი მაისის" მოძრაობის (1925 წ. 30 მაისი) შემდეგ რევოლუციაში გადაიზარდა, მისი მამოძრავებელი ძალები იყო მუშათა კლასი, გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ეროვნ. ბურჟუაზია, რ-იც რევ. მსვლელობაში ასწრაფებდა მასები თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა. რევოლუციის 3 პერიოდი ჰქონდა: „30 მაისის" მოძრაობისა და ჩრდ. ლაშქრობის მოსამზადებელ პერიოდში (1925 წ. 30 მაისი—1926 წ. 9 ივლ.) დიდი გაქანება მიიღო მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ და ანტიიმპერიალ. გამოსვლებმა, რამაც ნიადაგი მოუმზადა ეროვნ. რევ. არმიის (ერა) ლაშქრობას ჩრდ-ით მილიტარისტთა წინააღმდეგ. 1925 წ. 1 ივლ. გუანჯოუს მთავრობა ჩინ. რესპ. ეროვნულ მთავრობად გარდაიქმნა, რ-მაც თავისი ძალაუფლება გაავრცელა გუანდუნის, გუანსისა და გუიჯოუს პროვინციებზე. ჩრდილოეთის ლაშქრობის პერიოდში (1926 წ. 9 ივლ. — 1927 წ. 12 აპრ.) ჩინეთის რევ. ძალებმა დიდი წარმატება მოიპოვეს, ერა-ის ლაშქრობას ჩრდილოეთისაკენ და მასობრივი ანტიიმპერიალ. და ანტიმილიტარისტული მოძრაობის დიდ გაქანებას მოჰყვა სამხრ. და ცენტრ. ჩინეთის განთავისუფლება მილიტარისტებისაგან, ჩკპ-ის რიგებისა და გავლენის შეუჩერებელი ზრდა და რევ. გაღრმავება. ამან დააშინა ეროვნ. ბურჟუაზია, რ-მაც უღალატა რევოლუციას, იმპერიალ. და მილიტარისტული ძალების ზემოქმედებით ეროვნ. ბურჟუაზიის მხარდაჭერით 1927 წ. 12 აპრ. ჩან კაიშიმ და მისმა მომხრეებმა შანხაიში მოაწყვეს კონტრრევ. გადატრიალება. ცენტრალურ ჩინეთში რევოლუციის გაგრძელების პერიოდში (1927 წ. 12 აპრ.—15 ივლ.) ხუბეის, ხუნანის, ძიანსის და ნაწილობრივ ხენანის პროვინციებში ხელისუფლება დარჩა უხანის ეროვნ.-რევ. ძალების ხელში. აღნიშნულ რეგიონში ფართოდ გაიშალა აგრ. რევოლუცია და სხვა სოც.-ეკონ. გარდაქმნები. ერა განაგრძობდა ლაშქრობას ჩრდ. მილიტარისტების წინააღმდეგ, მაგრამ უხანის გომინდანის ხელმძღვანელობა, რ-იც ეროვნ. ბურჟ. მემარცხენე ფრთის, წვრილი ბურჟ. ზედაფენისა და ინტელიგენციის ინტერესებს გამოხატავდა, მუშათა და გლეხთა მოძრაობის დიდი გაქანებით შეშინდა და რევოლუციას უღალატა, 1927 წ. 15 ივლ. უხანში მოხდა კონტრრევ. გადატრიალება. ჩ. რ. დამარცხდა, მაგრამ ჩინეთში რევოლუციამდელი ვითარება არ აღდგენილა, მილიტარისტები განადგურდნენ, მემარცხენე ბურჟ.-მემამულეთა ბლოკმა გაძლიერდა მხოლოდ ბურჟ. გავლენა, აღდგა ქვეყნის ერთიანობა. რევ. პერიოდში მშრომელებმა მოიპოვეს პოლიტ. ბრძოლის გამოცდილება. მათ რიგებში გაღრმავდა სსრკ-თან მეგობრობის იდეები.

**ჩინეთის სახალხო ბანკი**, ჩსრ-ის საემისიო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო და საკასო ცენტრი; დაარსდა 1948 წ. 1 დეკემბერს. მთავარი კანტორა პეკინშია. ბანკი (34 ათ. კანტორა ქვეყნის შიგნით) თავს უყრის სახელმწ. ბიუჯეტის, სახელმწ. საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრებს. მისი ფუნქციაა აგრეთვე სახ. მეურნ. დაკრედიტება, საწარმოთა და ორგანიზაციების საკასო მომსახურება. ახორციელებს ოქროსა და ვერცხლის ყიდვა-გაყიდვასა და საერთაშ. ანგარიშსწორების ოპერაციებს. ჩ. ს. ბ. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საკრედიტო დაწესებულებაა.

**ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო** (ჩსპსს), ჩინეთის ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტის ორგანო. მოსამზადებელი კომიტეტი ჩსპსს-ს მოსაწვევად შეიქმნა პეკინში 1949 წ 16 ივნ. ჩინ. კომპარტიის (ჩკპ) ინიციატივით. ჩსპსს-ს I სესია ჩატარდა პეკინში 1949 წ. 21—30 სექტ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა 662 დელეგატი. სესიაზე მიიღეს საერთო პროგრამა და ჩსპსს-ს ორგანიზაციული სტატუტი, დეკლარაცია, რ-მაც გამოაცხადა ჩინ. სახ. რესპ. (ჩსრ) შექმნა, კანონი ჩსრ ცენტრ. სახ. მთავრობის ორგანიზაციის შესახებ, ჩსრ დედაქალაქად პეკინის გამოცხადების გადაწყვეტილება, ჩსრ სახელმწ. დროშის, გერბისა და ჰიმნის დამტკიცება. 1954 სექტ.-მდე, სახ. წარმომადგენელთა სრულიად ჩინ. კრების მოწვევამდე, რ-მაც მიიღო ჩსრ კონსტიტუცია, ჩსპსს სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო ჩსპსს-ს საერთო პროგრამა ჩსრ ძირითადი კანონი იყო. 1954 სექტ. შემდეგ ჩსპსს-ს სათათბირო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა. „კულტურული რევოლუციის" პერიოდში ჩსპსს-მ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. ამჟამად ფუნქციონირებს. მუდმივი ორგანოებია: ჩსპსს-ს სრულიად ჩინეთის კომიტეტი, ჩსპსს-ს სრულიად ჩინეთის კომიტეტის მუდმივი კომიტეტი და ჩსპსს-ს სრულიად ჩინეთის კომიტეტის ბიურო. ჩსპსს-ს სრულიად ჩინეთის კომიტეტის თავ-რეა დენ ინჩაო.

**ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი 1929**, ჩინელი მილიტარისტებისა და თეთრგვარდიელების მიერ ჩინეთ—აღმოსავლეთის რკინიგზის (ეკუთვნოდა სსრკ-სა და ჩინეთს) მიტაცება, რ-საც თან ახლდა საბჭ. მოქალაქეების დაპატიმრება, პროვოკაციები საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე. 1929 წ. ოქტ.-ნოემბ. საბჭოთა არმიამ ვ. ბლიუხერის მეთაურობით გაანადგურა ჩინ. ჯარის ძირითადი დაჯგუფებები. კონფლიქტი დასრულდა 1929 წ 22 დეკ. ხაბაროვსკის ოქმზე ხელმოწერით.

**ჩინლინ-ტიბეტის მთიანეთი**, სინჩუანის ალპები, ხუანდუანშანი, მთიანეთი ჩინეთში. წარმოადგენს ტიბეტის მთიანეთის სამხრ. აღმ. ჩინეთის ვაკეებსა და დაბალმთიანეთის საზღვარზე. სიგრძე დაახლ. 760 კმ, სიგანე 400 კმ-მდე, სიმაღლე 5000—6500 მ (დას.) და 1000—1200 მ (აღმ.), მაქს. — 7590 მ (მთა გუნგაშანი). შედგება ცამაკალთებიანი ქედებისაგან, რ-ებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სალუინის, მეკონგისა და იანძის ვიწრო და ღრმა ხეობებით. ჩ.-ტ. მ. არის ძვ. ბაქნის ნაწილი, რ-იც მეზოზოურ ეპოქაში დაიყო ცალკეულ ბლოკებად. აზევებული ბლოკები აგებულია არქეული და პროტეროზოური გნაისებით, კრისტ. ფიქლებითა და ქვიშაქვებით; დაწეული ბლოკები კი — პალეოზოური კირქვებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით. პერიფერიული სერები, რ-ებიც სიჩუანის ქვაბულს ეკვრის, აგებულია პერმული ასაკის ბაზალტებითა და მეზოზოური დანალექი წყებებით. ხშირია მიწისძვრა. არის რკინის მადნის, ოქროსა და სპილენძის საბადოები სიჩუანის ქვაბულის დას. კიდეზე ჰავა სუბტროპიკულია, რ-იც ტიბეტის მთიანეთისაკენ თანდათან იცვლება მკაცრ კონტინენტური გრილი ჰავით. მთათა სამხრ. კალთების ძირზე ნალექები 1200 მმ წელიწადში, ქარპირა კალთებზე დაახლ. 2000 მმ და მეტი, ტიბეტის მთიანეთისაკენ — 600 მმ. 4000 მ-ზე მაღლა ალპ. მდელოები და სტეპია, 2000—4000 მ სიმაღლეზე ჭარბობს წიწვოვანი ტყეები, 2000 მ-ის დაბლა შერეული ტყეებია, რ-ებიც ქვემოთ იცვლება მარადმწვანე სუბტროპ. ტყით (დაფნა, მაგნოლია); სამხრ.-ით ხეობებში გვხვდება უდაბნოვანი.

**ჩინელები** (თვით. სახელწ. — ხ ა ნ ი), ერი, ჩინ. სრ-ის ძირითადი მოსახლეობა. საერთო რაოდ. ჩინ. სრ-ში 974 მლნ. კაცი (1984); დიდ-დიდი ჯგუფები ცხოვრობენ აგრეთვე ტაილანდში, მალაიზიაში, ინდონეზიაში, სინგაპურში, ვიეტნამში, ბირმაში, ფილიპინებზე, კამპუჩიაში, ენა განეკუთვნება ჩინ.-ტიბ. ოჯახის ენებს. დამწერლობა — იეროგლიფური. ენა შედგება რამდენიმე განსხვავებული დიალექტისაგან. რასობრივად არაერთგვაროვანი არიან. ჩ-ის ძირითადი მასა განეკუთვნება მონღ. დიდი რასის წყნარი ოკეანის შტოს. ჩრდ. ჩ-ს შორის ჭარბობს აღმოსავლეთაზიური ჯგუფის სხვადასხვა ტიპი, ხოლო სამხრ. ჩ-ებს შორის—სამხრეთ აზიური ჯგუფის ვარიანტები. რელიგიაში დამახასიათებელია სხვადასხვა რწმენისა და რელიგ. ელემენტების შერწყმა. ჩ-ს შორის გავრცელებული იყო აგრეთვე თავდაპირველად დაოსიზმი და კონფუციანელობა, შემდეგ ბუდიზმი, ნაკლებად — ისლამი, ნაწილობრივ ქრისტიანობაც. ჩ-ის ეთნ. ისტორია წარმოადგენს რთულ მრავალსაუკუნოვან პროცესს, რ-შიც მონაწილეობდნენ ჩინ.-ტიბ., მალაიოპოლინეზიურ, მონქმერულ და ალთაურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. ჩ-ის წინაპრებს მიიჩნევენ ხუანხესა და იანძის აუზში მცხ. მიწათმოქმედი ტომები, რ-ებმაც ძვ. წ. III—II სს-ში შექმნეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ნეოლითური კულტურები (იანშაო, ლუნშანი და სხვ.) ძვ. წ. II ათასწლეულში თანამედროვე პროვინციების—ხენანის, შანსის, შენსის ტერიტორიებზე აღმოცენდა ადრინდ. სახელმწიფოებრივი გაერთიანება ინი. ძვ. წ. XI ს-ში ინის სახელმწიფო დაიპყრეს მეზობელმა ჯოუს ტომებმა. ძვ. წ. XI—III სს-ში ინისა და ჯოუს შერევით მიღებული ხალხის გვერდით ცხოვრობდნენ ჩინ. წყაროებში კრებითი სახელით ცნობილი მანი — სამხრ.-ით, ჟუნი — დას.-ით, დი — ჩრდ.-ით, ი — აღმ.-ით. ძვ. წ. I ათასწლ. ჩინ. წყაროები იხსენიებენ აგრეთვე სამხრეთში მცხ. იუეს მრავალრიცხოვან ტომებს. ამ ტომთა უმრავლესობა ჩაი ხალხების წინაპარია, მ. წ. იქნენ აგრეთვე ინდონეზიელების, ვიეტნამელებისა და შესაძლებელია მონქმერების წინაპრებიც.

ხანის დინასტიის დროს (ძვ. წ. III — ახ. წ. III სს.) წარმოიშვა ძვ. ჩინ. ხალხი ხანი. ხანის სახელმწიფოს ზრდას მოჰყვა ჩ-ის გადმოსახლება (ძირითადად სამხრეთით) და აღმ. აზიის სხვა ხალხების იძულებითი ასიმილაცია. ჩინ. ახალმა გაერთიანებამ ტანის დინასტიის მმართველობაში (VI—IX სს.) ფეოდ. დაქუცმაცებულობის შემდეგ ხელი შეუწყო ჩ-ის ეთნ. კონსოლიდაციას. XIII ს. შუა წლებში თანამედროვე ჩინ. ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოები მონღოლებმა დაიპყრეს. მათი განდევნის (1368) შემდეგ, მინის დინასტიის პერიოდში, გრძელდებოდა ჩ-ის გადასახლება ხუანხესა და იანძის აუზიდან სამხრეთით. მანჯურიული დინასტიის ცინის პერიოდში (1644—1911) ჩამოყალიბდა ძირითადად ჩინ. თანამედროვე პოლიტ. საზღვრები. XVIII ს-ში, ჯუნგარის სახანოს დაპყრობის შემდეგ, დაიწყო ჩ-ის გადასახლება ახლად შექმნილ სინძიანის პროვინციაში, რაც გრძელდება ჩვენს დრომდე. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, კაპიტალიზმის განვითარებისა და ჩინ. ერის ჩამოყალიბების პერიოდში, ჩ. თანდათან დასახლდნენ მანჯურიაში. მოსახლ. 80%-ზე მეტი ჩინეთში დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. განვითარებულია ხელოსნობა, განთქმულია ჩინ. ფაიფური. უძველ კულტურა ჩ-ის ისტ., მეურნ. და კულტ. შესახებ იხ. სტ. ჩინეთი.

**ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1937—45**, დაიწყო 7 ივლ. იაპ. ჯარების ჩინეთში შეჭრის (მისი დაპყრობის მიზნით) საპასუხოდ. ამ დროისათვის იაპონელებს ხელთ ეპყრათ 1931—36 ოკუპირებული ჩრდ.-აღმ. ჩინეთი (მანჯურია), შიდა მონღ. ნაწილი და ჩრდ. ჩინ. მთელი რიგი რ-ნები. სუსტად შეიარაღებულმა გომინდანის არმიამ (2900 ათ. კაცი) წინააღმდეგობა ვერ გაუწია აგრესორებს (400 ათ. კაცი). იაპ. ოკუპანტებმა ომის პირველსავე თვეს ხელში ჩაიგდეს პეკინი, ტიანძინი და ჩრდ. ჩინეთის ვრცელი რ-ნები. 1937 აგვ. იაპ. ჯარებმა შანხაისათვის დაიწყეს ბრძოლა. ხალხის მასების ზემოქმედებით გომინდანი 23 აგვ. დაეთანხმა ჩკპ-თან თანამშრომლობაზე. ჩკპ და გომინდანის შეთანხმებით შენსი—განსუ-ნინსიას სასაზღვრო რეგ. ბაზა ჩინ. რესპ. განსაკუთრებულ რ-ნად იქცა და ხელისუფლების დემოკრ. სისტემა შეინარჩუნა, ჩრდ. ჩინეთის წითელი არმიის ნაწილები (45 ათ. კაცი) გარდაიქმნა VIII არმიად, ხოლო ცენტრ. ჩინეთისა (10 ათ. კაცი) — ახ. IV არმიად. ეს არმიები შედიოდნენ ჩინ. ეროვნ. არმიის შემადგენლობაში, მაგრამ მათზე ხელმძღვანელობა ჩკპ-ს დარჩა. ამავე დროს გომინდანი ფაქტობრივად გაურბოდა ერთიან ფრონტს ჩკპ-თან და სურდა ანტიიაპ. ომით ქვეყანაში რევ. ძალების გასანადგურებლად. 1937 ნოემბრიდან 1939 თებ.-მდე ჩინ. ჯარის მთავრობა იაპონელებთან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა და პასიური თავდაცვის ტაქტიკას ახორციელებდა. ამის შედეგად 1937 დამლევს და 1938 იაპონელები დაეპატრონნენ ვრცელ ტერიტორიებს ჩრდ. ჩინეთისა და სხვა ნაწილებში ნანკინის, შანხაის, უხანის, გუანჯოუს ჩათვლით. გომინდანის მთავრობა ჩუნცინში გადავიდა. ჩკპ ერთიანი ეროვნ. ფრონტის შენარჩუნებისა და ანტიიაპ. სახ. ომის გაჩაღების კურსს ატარებდა. VIII და ახ. IV არმიის ძირითადმა ძალებმა იაპ. ზურგში შექმნეს საყრდენი ბაზები პარტიზ. ომისათვის — განთავისუფლებული რ-ნები. 1940 იაპ. ზურგში 11 განთავისუფლებული რ-ნი (დაახლ. 100 მლნ. მცხ.) მოქმედებდა.

იაპ. აგრესიას ჩინეთში აქტიურად უწყობდნენ ხელს ფაშისტური გერმანია და იტალია, ხოლო აშშ-ისა და ინგლ. მთავრობები სსრკ-ის წინააღმდეგ აგრესიის წარმართვის მიზნით აგრესორთან მორიგებაზე ფიქრობდნენ. მხოლოდ სსრკ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რ-მაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ჩინ. ხალხს. 1937 წ. 21 აგვ. სსრკ-მა ჩინეთთან დადო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ჩინეთში [illegible] შეიქმნა. ფაშისტური გერმ. სსრკ-ზე მუხანათური თავდასხმისა და იაპ. მიერ წყნარი ოკეანის აუზში ომის გაჩაღების (1941 დეკ.) მომენტიდან, აშშ და დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდნენ ერთმანეთის დახმარება გაეწიათ ჩინეთისათვის იარაღითა და სამხ. მასალით. მაგრამ აშშ-ისა და დიდი ბრიტ. დამარცხებამ წყნარ ოკეანეში (1941—42) და ჰიტლერულთა დროებითმა წარმატებებმა საბჭ. ფრონტზე გომინდანის ზედაფენა დააეჭვა ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებაში და გააძლიერა მისი კაპიტულანტური განწყობილება. 1941-43 გომინდანის 70 გენერალი თავიანთი შენაერთებით იაპ. მხარეზე გადავიდა. II მსოფლიო ომში (1939—45)

ციატივით ჩატარდა 1905 აპრილში მოწინავე მასწავლებელთა პირველი ყრილობა. როგორც პრაქტ., ისე თეორ. მოღვაწეობით ჩ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში პედ. აზრის განვითარებაში. იგი საფუძვლიანად იცნობდა დას. ევროპის, რუს. და ქართ. ლიტ-რას. აქვს ისტ.-ლიტ. ნარკვევები მ. გორკის, ა. ჩეხოვის, ნიცშეს, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებათა შესახებ. იგი გაზეთების „ცნობის ფურცლისა" და „შრომის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივი თანამშრომელი. წერდა შ. ჩ-ის და „კავგის" ფსევდონიმებით. მოკლეს ცარიზმის აგენტებმა.

ლიტ.: ჭ ა ჯ ა ი ა ე., გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ჩიტაძე, თბ., 1948

გ. ნაჭყებია.



ჩიტბატონა

**ჩიტბატონა** (Serinus pusillus), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა, ტანად პატარაა, ჭრელად შეფერილი. მამალს თავზე წითელი „ქუდი" აქვს. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, სსრკ-ში (კავკასიონის და მცირე კავკასიონის, შუა აზიისა და სამხრ. ყაზ., თარბაღატაის მთიანეთი), საქართველოში ბინადრობს ზ. დ. 1500–3500 მ-მდე ტყის ზედა ზონასა და სუბალპ. მთიანეთში. კვერცხს დებს 2-ჯერ, თითო დადებაზე 3–5 ცალს. იკვებება სარეველების თესლით, პატარ-პატარა ჭიებით. ჩ-ს ზოგჯერ არასწორად Carduelis carduelis-ს ეძახიან. რ. ჟორდანია.

**ჩიტიანი,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის ლენინგორის რ-ნში (ლარგვისის სოფსაბჭო), მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარჯ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1820 მ, ლენინგორიდან 25 კმ. უახლოესი კოლმ-ბა (მეცხვარეობა). დაწყ. სკოლა, რვაწლ. სკოლა სოფ. უკანაშხარში (2 კმ).



ჩიტისბუდა (Neottia nidus-avis): ა — ყვავილედი, ბ — ფესვურიანი ღერო, გ — ყვავილი

**ჩიტისბუდა** (Neottia), მცენარეთა გვარი ჯადვარისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. ფესვები დატოტვილია. მრავალი მსხვილი მოკლე ხორცოვანი ფესვით, რაც ჩიტის ბუდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღერო და ქერქლისებრი ფოთლები მოყვითალო-წაბლისფერია, უქლოროფილო (მცენარე-საპროფიტი). ყვავილები მკრთალ მტევნადაა შეკრებილი. 9 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ ზონაში. სსრკ-ში 4 სახეობა იზრდება, საქართველოში მხოლოდ ერთი — ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ჩ. (N. nidus-avis). რაც მურა ფერის ყვავილს თაფლის სუნი აქვს. გვხვდება ყველგან მთის შუა სარტყლამდე ტყეში.



ჩიტისთავა ყვითელი ჩიტისთავა (Gagea lutea): ა — ყვავილის ჭრილი

**ჩიტისთავა** (Gagea), მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. პატარა (3–30 სმ სიმაღლისა) ბოლქვიანი ბალახებია. მათი ყვავილსაფრის ფოთოლაკი ყვითელი ან თეთრია და დაყვავილების შემდეგ რჩება. ბევრი სახეობა გაზაფხულის ეფემერია. 100-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის და ჩრდ. აფრიკის ზომიერ ზონაში. სსრკ-ში, უმთავრესად კავკასიასა და შუა აზიაში, 90-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში — 14, მ. შ. 5 კავკ. ენდემია. გვხვდება დაბლობიდან მაღალმთიანეთამდე, სარტყლამდე ველებსა და კლდოვან ადგილებზე, ტყეებსა და ბუჩქნარებში, მდელოებზე. [illegible] სახეობათა მეტი წილი უფრო ალპ. საქართველოშია გავრცელებული.



ჩიტისთვალა ტყის ჩიტისთვალა (Asperula odorata): ა — ყვავილი, ბ — ნაყოფი

**ჩიტისთვალა** (Asperula), ერთ- ან მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა. ბალახები ან ბუჩქბალახებია. 200-მდე სახეობა გავრცელებულია უმთავრესად ხმელთაშუაზღვისპირეთში. სსრკ-ში გვხვდება 78 სახეობა, კავკასიაში — 23 (მ. შ. 6 ენდემი), საქართველოში — 16, მათგან ერთი — A. abchasica საქართველოს ენდემია. ჩ. იზრდება როგორც მშრალ, ისე ტენიან ფერდობებზე, ტყეში, ბუჩქნარებში, კლდეებზე, შოროლებზე, მთის ქვედა სარტყლიდან ალპ. სარტყლამდე. ჩ-ს ღერო შეიცავს მწვანე საღებავს, ფესვი — წითელს. მ. გურგენიძე.

**ჩიტის ოლქი,** რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1937 წ. 26 სექტ. მდებარეობს ამიერბაიკალეთში. ფართ. 431,5 ათ. კმ², მოსახლ. 1353 ათ. კაცი (1985), აქედან ქალაქში ცხოვრობს 64%. ჩ. ო-ის შემადგენლობაში შედის აგის ბურიატთა ავტონ. ოკრუგი. ცენტრი — ქ. ჩიტა. ოლქის ტერიტ. უმთავრესად მთიანია (სიმაღლე 3000 მ-მდე). ქედებს შორის მთათაშორისი ქვაბულებია. მთავარი მდ-ებია შილკა და არგუნი (ამურის სათავეები). ბევრია ტბა და მინერ. წყარო. ჩ. ო. შედის აღმ. ციმბირის ეკონ. რ-ნში. მრეწველობის მთავარი დარგია სამთამოპოვებითი. იღებენ ოქროს, ქვანახშირს, მოლიბდენს, კალას, ტყვია-თუთიის მადნებსა და სხვ. შავი მეტალურგიის მსხვილი საწარმოა პეტროვსკ-ზაბაიკალსკის მეტალ. ქ-ნა. ჩიტის, ხარანორის სრესები, თეცები. განვითარებულია ხე-ტყის (ილკინსკის, ამაზარის კომბინატები), მსუბუქი (მაუდ-კამვოლის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატები და სხვ.), კვების (ხორცკომბინატი, კარაქის, რძის მრეწვ. საწარმოები) მრეწველობა. მინერ. წყლის ჩამოსხმა. სოფ. მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა (მეცხვარეობა, მეხორცეობა), მეწველი რქოსანი. მოჰყავთ ხორბალი, შვრია, ქერი, წიწიბურა, კარტოფილი, ბოსტნეული, საკვები კულტურები. სანაოსნო მდ. შილკა. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1957).

**ჩიტის ოპერაცია 1920,** სამოქალაქო ომის (1918–20) დროს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური ჯარების (შორ ს-რ ჯ) და პარტიზანების საბრძოლო მოქმედება აპრ.-ოქტ.-ში თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან ჩიტის განთავისუფლებლად. ჩატარდა 3 ოპერაცია, ამასთან, ვ. ი. ლენინის დირექტივის მიხედვით, საბრძოლო მოქმედებებს იაპ. ჯარების წინააღმდეგ არ მიმართავდნენ. ჩიტის I-ლ ოპერაციაში შორ ს-რ ჯ-მა (სარდალი გ. ეიხე) შეძლეს ჩიტის ჩრდ. გარეუბნებში გასვლა, მაგრამ იაპ. ჯარებმა აიძულეს უკან დაეხიათ. ჩიტის მე-2 ოპერაციაც უშედეგოდ დამთავრდა. 1920 ზაფხულისათვის შორ ს-რ ჯ-ის მდგომარეობა გაუმჯობესდა და იაპ. სარდლობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა გონგოტის შეთანხმებაზე, ხოლო 25 ივლ. დაეწყო თავისი ჯარების ევაკუაცია ჩიტიდან და სრეტენსკიდან. შორ ს-რ ჯ-ის საბრძოლო მოქმედების ცენტრი ამურის ფრონტის (30 ათ. კაცი, სარდალი დ. შილოვი) მოქმედების ზონაში გადაიტანეს. 15 ოქტ. ამურის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და 22 ოქტ. გაათავისუფლეს კარიმსკაია და ჩიტა, 30 ოქტ. — ბორზა და ოლოვიანაია. გაცარჩენილი თეთრგვარდიელები მანჯურიაში გაიქცნენ. მათმა განადგურებამ აიძულა იაპონელები დაეჩქარებინათ თავიანთი ჯარების ევაკუაცია ხაბაროვსკიდან, რამაც შექმნა შორეული აღმოსავლეთის განთავისუფლების წინაპირობა.

**„ჩიტის რესპუბლიკა",** მუშათა და გლეხთა რევ.-დემოკრ. დიქტატურა ქ. ჩიტაში (1905 დეკ. — 1906 იანვ.). შეიარაღებული რაზმების შექმნა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 1905 აგვ.-ში დაიწყო. რაზმელთა რიცხვმა 4 ათ. მიაღწია, სათავეში ჩაუდგა ა. კოსტიუშკო-ვოლუჟანიჩი. ბოლშევიკების წინადადებით 22 ნოემბ. შექმნილმა ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატთა საბჭომ გაათავისუფლა პოლიტპატიმრები, დააწესა კონტროლი ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზისა და საფაბრიკო დაწესებულებების მუშაობაზე. 7 დეკ. დაიწყო გაზ. „ზაბაიკალსკი რაბოჩის" გამოსვლა ვ. კურნატოვსკის რედაქტორობით. ხელისუფლება ფაქტობრივად რსდმპ ჩიტის კომიტეტისა და ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადავიდა. მოსკოვსა და ცენტრ. რ-ნში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩიტას მიადგნენ გენ. პ. რენენკამპფისა და ა. მელერ-ზაკომელსკის დამსჯელი

ჩიტის ოლქი



წავლებლის დამთავრების (1922) შემდეგ თბილ. უნ-ტში სწავლობდა. პირველი ლექსი 1924 გამოაქვეყნა. 1934-იდან იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, 1944—51—თავ-რე. 1954—60 რედაქტორობდა ჟურნ. „მნათობს". განვლო რთული შემოქმედებითი გზა. იყო „ფუტურისტ-ლეფელების" ჯგუფის ლიდერთაგანი. ბგერწერით, „ორკესტრული ლექსსალობით" გატაცება, მხატვრულ სახეთა ექსცენტრულობა ერთდროულად ამჟღავნებდა ჩ-ის ადრინდ. პოეზიის ალქმას, თუმცა მასში თავიდანვე იგრძნობოდა ეროვნ. ტრადიციების სიძლიერე (ბუნების პოეტური გამოძახილი, მშვენიერი ფოლკლორის ელემენტების ათვისება და სხვ.). ცოცხალი აზრი და მაღალი რეალისტური ხედვა. ფუტურისტული არსენალის ბევრი პოეტური ხერხი შემდეგში ბუნებრივად შეერწყა ჩ-ის გადახალისებულ მხატვრულ პალიტრას. პოეტის ადრინდ. ნოვატორული თუ ფორმალური ძიებანი აირეკლა მის პირველ კრებულებში „ფიქრები მტკვრის პირას" (1925) და „მხოლოდ ლექსები" (1930). ჩ-ის პოეტურ ფორმისკვლევას, რ-იც დაახლ. 1927-იდან დაიწყო, მყარი ნიადაგი შეუქმნა საქართვ. განახლებულმა ყოფამ. ამ პერიოდში მიაღწია მან ფერწერულ ოსტატობას და რთული მეტაფორულ-ასოციაციური აზროვნების პოეტის სახელიც მოიპოვა. მის პოეზიაში ადგილი დაიმკვიდრა პატრიოტიზმმა, თანამედროვეობის თემატიკამ, შეხმიანებამ დიდ წინაპრებთან — ქართვ. კლასიკოსებთან (ლექსთა ციკლები „მთათ გადმოშვა", 1929—31; „შემოდგომის სალამოები კოლხეთში", 1933—39, „წინაპრები", 1936—40; „ქართლის სალამოები", 1946 და სხვ.). ჩ. ქართ. პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატი გახდა. 1942 გამოაქვეყნა პოეტური კრებ. „გამარჯვება", ომის წლებშივე შექმნა პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე" (1942—46; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947), რ-შიც წარსულის ყოფა, ავლენს ორგანულად დაუკავშირა სადღეისო განცდებს. ზოგადსაკ.-ფილოს. პრობლემატიკის აქტუალურობა იგრძნობა ისტ. წარსულით შთაგონებულ სხვა ლექსებშიც („თეიმურაზ პირველი", 1936; „მოძღვარი ფარმანის ოსტატისადმი", 1936; „ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე", 1938; „ვაჟა-ფშაველას ბუხართან", 1940; „წიწამური", 1957 და სხვ.). პოეტის შემოქმედებაში ღრმად გაიდგა ფესვები ინტერნაც. სოლიდარობამ (ლექსთა ციკლები უკრაინაზე, სომხეთზე, პოლონეთსა და გერმანიაზე). სიცოცხლის მიწურულს, ღრმად დაავადებულმა, თვალის ჩინს მოკლებულმა პოეტმა შექმნა ლირ. ლექსების განსაკუთრებული დრამატიზმით გამსჭვალული რამდენიმე ციკლი და ნ. ბარათაშვილის აღსასრულისადმი მიძღვნილი ლირ. პოემა „განჯის დღიური". პოეტის ფილოს. და სოც. თემატიკაზე, ღრმა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა ლირიკით, მონოლოგებში, რამაც განსაკუთრებული ელფერება შესძინა მისი ლექსის რიტმულ-ინტონაციურ სტრუქტურას.

ჩ-ს ეკუთვნის ლიტ.-კრიტ. სტატიები, თარგმანები და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია სსრკ ხალხთა, აგრეთვე უცხო ენებზე. სსრკ III მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: რჩეული ნაწარმოებები, თბ., 1963; თხზულებანი, ტ. 1—3, თბ., 1960—67, თხზულებანი ოთხ ტომად, თბ., 1976—83.
ლიტ.: ასათიანი გ., პოეზია და პოეტები, თბ., 1963; მარგველაშვილი გ., სიტყვა და საგანი, თბ., 1960, მისივე, პოეზიის ნათელი, თბ., 1976.

გ. მარგველაშვილი.

**ჩიქუნეთი**, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (აჭარისაღმართის სოფსაბჭო), მდ. მაჭახლისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 390 მ, ხელვაჩაურიდან 27 კმ. შოთა რუსთაველის სახ. ჩიქუნეთის კოლმ-ბა (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა). დაწყ. და რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარით), საფოსტო-სატელეგრაფო პუნქტი. ადრინდ. შუა საუკ. თაღოვანი ხიდი.

**ჩიყვი**, ფარისებრი ჯირკვლის გადიდება მისი ფუნქციური ქსოვილის (პარენქიმის) ან შემაერთებელქსოვილოვანი სტრომის ზრდის შედეგად. ჯირკვლის ქსოვილის ზრდამ შეიძლება მოიცვას ფარისებრი ჯირკვლის მთელი პარენქიმა (დიფუზური ჩ.) ან მისი ნაწილი (კვანძოვანი ჩ.). ჩ. შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. უმეტესად ლოკალიზებულია ყელზე, ზოგჯერ — მკერდის უკან (მკერდუკანა ჩ.; ამ შემთხვევაში კისრის კონტურები არ იცვლება). ფუნქციური ცვლილებების მიხედვით განარჩევენ თიროიდულ (ჯირკვლის ფუნქცია შენარჩუნებულია), ჰიპერთირეოიდულ (ფუნქცია მომატებულია) და ჰიპოთირეოიდულ ფორმას (ფუნქცია დაქვეითებულია). ჰიპერთირეოიდული ფორმის დროს აღინიშნება ნერვული აგზნება, გულის ფრიალი, ხელების კანკალი, ოფლიანობა, წონაში დაკლება; ჰიპოთირეოიდული ფორმის შემთხვევაში — მიქსედემისა და ზრდის უნარის მკვეთრი დაქვეითება, ბრადიკარდია, სახისა და სხეულის შეშუპება, კანის სიმშრალე, წონაში მატება და სხვ. ადგილ. ცვლილებებიდან ჩ-თვის დამახასიათებელია ყელის არეში ზეწოლის შეგრძნება, თავის ტკივილი, თავბრუ, უჰაერო ხველა და სხვ. ჩ-ის გართულებებია ჩ-ის ქსოვილში სისხლის ჩაქცევა, ჩაკირვა, ანთება, ავთვისებიანი სიმსივნე.

სპორადული ჩ. შეპირობებულია ორგანიზმში იოდის ენდოგენური დეფიციტით. ენდემური ჩ. გავრცელებულია იქ, სადაც აღინიშნება იოდის უკმარისობა ჰაერში, წყალში, ნიადაგსა და საკვებ პროდუქტებში (200—220 მკგ-ის ნაცვლად ადამიანი ღებულობს 60—20 მკგ იოდს); ამას ხშირად დაერთვის არახელსაყრელი ყოფითი და სანიტ.-ჰიგიენური პირობები, ენდოგენური (ორსულობა, ჰიპოვიტამინოზი, ინფექცია, ინტოქსიკაცია, ინვაზია და სხვ.) ფაქტორები. პროფილაქტიკა: ჩ-ის ენდემურ კერებში იოდირებული მარილის ხმარება; სანიტ.-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება; ავადმყოფობის ადრეული გამოვლენა და დისპანსერული მეთვალყურეობა. მკურნალობა: იოდის პრეპარატები; დიდი ზომის კვანძოვანი და მზარდი ჩ-ის დროს — ქირურგიული.

გ. ქადაგიძე.

**ჩიყვი ენდემური-ტოქსიკური**, ბაზედოვის დაავადება, თირეოტოქსიკოზი. დაავადება, რ-საც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, მისი ფუნქციის გაძლიერება და ტოქსიკოზი. დაავადებას საფუძვლად უდევს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების (თიროქსინი, ტრიიოდთირონინი) ჭარბი გამომუშავება და მათი შემცველობის მომატება სისხლსა და ქსოვილებში, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ. დაავადების მიზეზი უცნობია, შეიძლება იყოს დაკავშირებული ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა: ფსიქ. ტრავმა, ინტოქსიკაცია, ინფექცია (გრიპი, ანგინა, ქრონ. ტონზილიტი, რევმატიზმი, ენცეფალიტი და სხვ.). მზეზე გადახურება, სხვა ენდოკრინული ჯირკვლების დისფუნქცია, გენეტიკური ფაქტორი და სხვ. პათოგენეზი საბოლოოდ დადგენილი არ არის. უმეტესად ვითარდება 30—60 წლის ასაკში, ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები. ახასიათებს საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, ნერვული აგზნებადობა, კიდურებისა და თითების კანკალი, გულის ფრიალი, ოფლიანობა, ქოშინი, გაძლიერებული მადის მიუხედავად წონაში მკვეთრი დაკლება, უძილობა, თმის ცვენა. თვალების გამოსვლა — ეგზოფთალმი. დაავადების კლასიკური ნიშანია ე. წ. ბაზედოვის ტრიადა — ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, ეგზოფთალმი და ტაქიკარდია. ძირითადად ზიანდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა — გამოუდმებელი ტაქიკარდიის, სისტოლური სისხლის წნევის აწევისა და დიასტოლური წნევის დაწევის შედეგად ვითარდება გულის კუნთის ჰიპერტროფია, შეიძლება ჩამოყალიბდეს სერიოზული მიოკარდიტი. ზოგ, მძიმე შემთხვევებში — გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა. ირღვევა ყველა სახის ნივთიერებათა ცვლა. სხვა ენდოკრინული (მ. შ. სქესობრივი) ჯირკვლების ფუნქცია; ცვლილებას განიცდის კანი, კუჭ-ნაწლავი, ნერვული სისტემა. მკურნალობის გარეშე შეიძლება განვითარდეს მძიმე გართულება — თირეოტოქსიკური კომა, ფსიქოზი და სხვ. დიაგნოზის დასაზუსტებლად აუცილებელია რადიოიზოტოპური, რადიოიმუნოლოგიური გამოკვლევები, სკანირება და სხვ.

მკურნალობა: შრომის, დასვენებისა და ძილის რეჟიმის მოწესრიგება; გაძლიერებული კვება, ვიტამინები, ანტითირეოიდული პრეპარატები — მერკაზოლილი, დიიოდთიროზინი, კალიუმის პერქლორატი, რადიოაქტიური იოდი; ქირურგ. ოპერაცია.

გ. ქადაგიძე.

**ჩიჩხვა**, უღელტეხილი სვანეთის ქედზე. სიმაღლე 3054 მ. აგებულია იურული ასაკის ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. მიდამოები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. აკავშირებს მდ-ების ხეორისა და კასლეთის (ენგურის სისტემა) ხეობებს.


ს. ს. ჩიქოვანი

**ჩიჩახვი** (Ingluvies). საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი; წარმოადგენს საკვების რეზერვუარს; ზოგჯერ აქვე ხდება საჭმლის ქიმ. გადამუშავება (ფუტკრის ჩ-ში ყვავილის ნექტარი თაფლად გადამუშავდება). ჩ. აქვთ მოლუსკებს, მწერებს და ფრინველებს, აგრეთვე რგოლოვან, მრგვალ ჭიებსა და ნემერტინებს. ჩ-ში გამოიყოფა ლორწოვანი სეკრეტი, რ-იც ფერმენტულად ამუშავებს ან მხოლოდ ასველებს მშრალ საკვებს და მის გარკვეულ ულუფას აწვდის კუჭს. ამონაღების სახით ფრინველები ისვრიან მოუნელებელ ნაწილებს, კენჭებს, მარცვლებს, ჩ-ით მოაქვთ მართვეებისთვის წყალი და სხვ. ზოგიერთი ფრინველის ტოკების დროს ჩ. რეზონატორის როლს ასრულებს.

რ. ყორღანია.


ს. ი. ჩიქობავა

**ჩიჩენ-იცა** (Chichén-Itzá). მაიას ტომების პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. მდებარეობდა იუკატანის ნ.-კ.-ის (მექსიკა) ჩრდ. ნაწილში. ფიქრობენ, რომ დაარსებული უნდა იყოს ახ. წ. VIII ს-ში. X ს-ში ტოლტეკებმა დაიპყრეს. XI ს. შუა წლებიდან ჩ.-ი. ტოლტეკების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. ხანგრძლივი არქეოლ. კვლევის შედეგად გამოვლინდა მაია-ტოლტეკების არქიტ. ძეგლები: „კუკულკანის ტაძარი" — 9-საფეხურიანი პირამიდა (24 მ სიმაღლის) ოთხივე მხარეს ფართო კიბე აქვს დატანებული; 4-საფეხურიან პირამიდაზე აღმართული „მეომართა ტაძარი" და „ავაზებიანი ტაძარი" (ორივე ტაძარი მოხატულია); ობსერვატორია „კარაკოლი"; ბურთის სათამაშო 7 „სტადიონი"; 4 სვეტნარის ნანგრევები, რ-ებიც უზარმაზარ სწორკუთხედს ქმნიან („ათასი სვეტის ჯგუფი") და სხვ. აღმოჩნდა აგრეთვე ლითონისა ქანდაკებები, მცენარეული და ცხოვ. ორნამენტით მდიდარი რელიეფები, მცირე პლასტიკისა და მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები.


გ. ჩიჩერინი

**ჩიჩერინი** გიორგი ვასილის ძე [12 (24). XI. 1872, სოფ. კარაული, კირსანოვის მაზრა, ტამბოვის გუბ., — 7. VII. 1936, მოსკოვი], საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. კომპარტიის წევრი 1918-იდან. 1896 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1897-იდან მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1904 ემიგრაციაში გაემგზავრა გერმანიაში, სადაც 1905 შევიდა რსდმპ რიგებში. რსდმპ IV ყრილობის (1906) შემდეგ მიემხრო მენშევიკებს. 1917 დააპატიმრეს








44 000 000

ხეობაში ზ. დ. 1260 მ, ოზიდან 15 კმ. პიპილეთის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ოზში (5 კმ) ბ-კა, სოფურშლოს-სამედიცინო პუნქტი ჩ-იდან 5 კმ-ზე არის ბარიტის საბადო. ჩ. თავისი სიმდიდრით წყაროებში პირველად იხსენიება XV ს-ში. სოფლის განაპირას შუა საუკ. ეკლესიისა და მისი გალავნის ნანგრევებია.

**ჩორდის ბარიტის საბადო,** მდებარეობს ამბროლაურის რ-ნსა და ნაწილობრივ სამხრ. ოსეთის ავ. ჯავის რ-ნში (სოფ. ჩორდის მიდამოებში). ბარიტის ძარღვები განლაგებულია პაიოსის პორფირიტული წყების ზედა ჰორიზონტების ნაპრალოვან ზონაში, რ-ის სისქეა 150—200 მ. ბარიტის ძარღვების შემცველი ქანები მეტ-ნაკლებად შეცვლილია ჰიდროთერმული ხსნარების გავლენით. მადანი წვრილ- და მსხვილმარცვლოვანი, აგრეთვე მრავალფეროვანი ტიპისაა. ძარღვებში ბარიტის გარდა გვხვდება კვარცი, კალციტი, ზოგან — უიტერიტი.

ბარიტის მადნის გამდიდრებას აწარმოებს სოფ. ირის მამდიდრებელი ფ-კა, რ-იც ბარიტის კონცენტრატს აწვდის ლაქსაღებავების, ნავთობის მომპოვებელ და მრეწველობის სხვა დარგებს. რ. ფურძაძე.

**ჩორნი** კუზმა (ნამდვ. სახელი და გვარი ნიკოლოზ კაროლის ძე რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი) [11 (24) VI. 1900, სოფ. ბორკი, ახლანდ. მინსკის ოლქი, — 22 XI. 1944, მინსკი], ბელორუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1943-იდან. ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები „ქერცხლი ცხოვრებისა" (1925), „გზაზე", „გრძნობები" (ორივე 1926), რომანები „და" (1927—28), „მიწა" (1928), „მამული" (1931), „მესამე თაობა" (1935), „დიადი დღე" (გამოქვეყნდა 1947), „ორშის ნაპირი" (გამოქვეყნდა 1954). დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

**„ჩორნი პერედელ",** სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რევ. ხალხოსნური ორგანიზაცია რუსეთში. შეიქმნა 1879 „მიწისა და თავისუფლების" გათიშვის შედეგად. „ჩ. პ-ის" წევრები უარყოფდნენ პოლიტ. ბრძოლის აუცილებლობას, ტერორისტ. და შეთქმულების ტაქტიკას ძირითად ამოცანად არ თვლიდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ რევოლუცია შეიძლება მხოლოდ ხალხმა მოახდინოს. „ჩ. პ-ის" ცენტრ. წრის წევრები პეტერბურგში იყვნენ გ. პლეხანოვი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი და სხვ. ეს წრეები მოქმედებდნენ მოსკოვში და სხვა ქ-ებში. პლეხანოვის, ზასულიჩის და სხვათა ემიგრაციის (1880) შემდეგ „ჩ. პ-ს" სათავეში ჩაუდგნენ ა. ბულანოვი, მ. რეშკო, მ. შებალინი და სხვ. 1880 ბოლოს შეიქმნა „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი" „ჩ. პ-ის" წევრების ხელმძღვანელობით, რ-ებიც აერთიანებდნენ რამდენიმე ასეულ მუშას. 1880—81 დაპატიმრებებმა დაასუსტა ორგანიზაცია. 1881 დასარ. „ჩ. პ-მა" როგორც ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა, თუმცა „ჩ. პ-ის" ცალკეული წრეები 1880-იანი წწ. II ნახევარშიც მოქმედებდნენ.

**ჩორტკოვი,** ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ ტერნოპოლის ოლქში. მდ. სერეტის ნაპირზე. ჩორტკოვის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. სარკინიგზო ტრანსპ. საწარმოები. სარემონტო, შაქრის, ჯვილის, არაყის ქ-ნები, ხორც- და პურის კომბინატები, სამკერვალო, ბუმბულის ფ-კები. ისტ. მუზეუმი.

**ჩორხნა,** ლითონის ზედაპირიდან უხეში უსწორობების მექანიკურად მოცილება. ჩ-ით აშორებენ მიწის ყალიბებში ჩამოსხმულ დეტალებს, უხეშ ნაწიბურებს, შედუღ. ნაკერებს და სხვ.

**ჩორჩანა,** სოფელი ხაშურის რ-ნში (წაღვერის სოფსაბჭო). მდ. ლომანისწყლის (დასავლეთის ფრონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 900 მ, ხაშურიდან 33 კმ. გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 კმ. წაღვერის საბჭ. მეურნ. (მევენახეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. წაღვერში (3 კმ).

**ჩორჩანელები,** სამხრ. საქართველოს (სამცხის) წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო VIII—XI სს-ში. გვარის სახელწოდებაა ჩ-ის სამფლობელო ციხე ჩორჩანიდან. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი (გიორგი ჩორჩანელი) პირველად IX ს. წყაროში, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" იხსენიება, მაგრამ სავარაუდოა, რომ საგვარეულო არსებობდა VIII ს-იდან მაინც. ჩ-ის სამფლობელო მოიცავდა ჩორჩანს, ზანავს და სხვა მრავალ დაბას (ახლანდ. ადიგენის რ-ნი), სადაც ჰქონდათ ტაძრები (სასახლეები) და ციხეები. ჩორჩანელი ამ მხარის დიდი მთავარი იყო. მისი ვასალები („საკუთარნი", „წინამძღვართმძღვარნი") იყვნენ მცირე მთავრები. ეპარქიულად ჩ-ის სამფლობელო შედიოდა მაწყვერელის (აწყურის ეპისკოპოსის) სამწყსოში. გიორგი ჩორჩანელის დახმარებით ცნობილმა სასულ. მოღვაწემ სერაპიონმა ააშენა ზარზმის მონასტერი, რ-საც გიორგიმ სამფლობელოდ ვრცელი ტერიტ. უწყალობა.

გიორგი ჩორჩანელი იყო ძვ. ჩ-ის საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი. ის უშვილოდ გარდაიცვალა და ყმამამული დაუტოვა მირიან ბაშლაფენდზე გათხოვილ თავისი დის, ლატავრის (მონაზვნობაში თეკლას) შთამომავლობას. თევით ჩორჩანს, როგორც ჩანს, დაეუფლა ლატავრის უფროსი ვაჟი სულა, რ-იც გახდა ახ. ჩ-ის საგვარეულოს ფუძემდებელი. მეათანა ვაჟმა ბეშქენმა სამკვიდრო [illegible] საგვარეულოს, ხოლო უმცროსი ვაჟის სახელი — ლიპარიტ იქცა ბაღვაშების მესამე განშტოების სახელწოდებად — წარმოიქმნა ლიპარიტიანთა გვარი. ახალი ჩ-ის (ხოლო შემდეგ მათი შთამომავალი საგვარეულოს ხურსიძეების) საგვარეულო მონასტერი გახდა ზარზმა. X ს. 70-იან წლებში ზარზმაში ეკლესია ააგო ახ. ჩ-ის წარმომადგენელმა, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქრობის მონაწილემ იოანე სულის ძემ (ალბათ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" მოხსენიებული სულა მირიანის ძის ვაჟმა). იოანე სულას ძის შთამომავლები უნდა იყვნენ XI ს. შუა ხანების მოღვაწეები — ძმები გიორგი ჩორჩანელი და ფარსმან თმოგველი, სულას ძეები. გიორგი ჩორჩანელი უკანასკნელია წყაროებში მოხსენიებული ახალი ჩ-იდან. შემდეგ ახალი ჩ-ის სამფლობელოს დაეპატრონა ამ საგვარეულოს ახ. განშტოება — [illegible].

წყარო: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალბომი, ტფ., 1901; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1 — ლაპიდარული წარწერები. ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; ცხოვრებაი სერაპიონ ზარზმელისაი, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგნ. 1, თბ., 1963; Древнейшие памятники грузинской чеканки (с VIII и до перелома IX и X веков), წგნ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

ლიტ.: ჯ ა ნ ა ძ ე ნ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975. ნ. შოშიაშვილი.

**ჩორჩანი,** სოფელი ადიგენის რ-ნში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჩ., გომართი, დიდი სმადა, ზანავი, პატარა ზანავი, პატარა სმადა). ზ. დ. 1360 მ, ადიგენიდან 2 კმ. ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 კმ. ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-მა (მეკარტოფილეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა ადიგენში. საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი.

**ჩორჩანი,** ჭ ო რ ჭ ო ხ ი, სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ლენინგორის რ-ნში (სალხინოს სოფსაბჭო). ალევის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1180 მ, ლენინგორიდან 10 კმ. ლენინგორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი დაბა ლენინგორში.

**ჩორჯო,** ამბროლაურის რ-ნის სოფლების დიდი ჩორჯოსა და პატარა ჩორჯოს ძვ. სახელწოდება.

**ჩოსერი** (Chaucer) ჯეფრი [1340 (?), ლონდონი, — 25. X. 1400, იქვე], ინგლისელი პოეტი. მიჩნეულია იტალ. პოეზიის, ინგლ. კლასიკური ლიტ-რის, თანამედროვე ინგლ. ლიტ. ენის ფუძემდებლად. მისი შემოქმედების პირველ პერიოდს „ფრანგული" უწოდებენ (დაახლ. 1379-მდე, „ჰერცოგის მეუღლის წიგნი", 1369), მეორეს (დაახლ. 1380—86) — „იტალიურს", როდესაც შექმნა თავისი ძირითადი თხზულებები — პოემები „ფრინველთა პარლამენტი", „დიდების სახლი", „ტროილე და ქრისეიდა", „კეთილი ქალების ლეგენდა". ჩ. წერდა შვიდსტრიქონიანი იამბური სტროფით, რ-იც ცნობილია „როიალის სტროფის" სახელწოდებით. მისი „ინგლისური" მანერა საბოლოოდ დადგინდა „კენტერბერიული მოთხრობებით", რ-იც შედგება პროლოგისაგან, ოცზე მეტი გალექსილი მოთხრობისა და ამდენივე დამაკავშირებელი ინტერმედიისაგან; შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ეს მოთხრობები წარმოგვიდგენს XIV—XV სს. მიჯნაზე ინგლ. საზ-ბის საკმაოდ ფართო წრეს და მოიცავს თითქმის ყველა ძირითად ლიტ. ჟანრის ელემენტებს. ჩ. მიჩნეულია წინარენესანსის პირველ წარმომადგენლად.

თხზ.: The complete works, 2 ed., v. 1—7, Oxf., 1952—54; კენტერბერიული მოთხრობები, წინასიტყვ. ვ. თოფურიძისა, თბ., 1977.

ლიტ.: საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1977; R o b i n s o n I., Chaucer and the English traditions, Camb., 1972. ზ. გაჩეჩილაძე.

**ჩოსონი** (კორ., სიტყვასიტყვით — დილის სიმშვიდის ქვეყანა; უფრო ხშირად ითარგმნება როგორც დილის სიგრილის ქვეყანა), კორეის ერთ-ერთი სახელწოდება ლის დინასტიის გაბატონებიდან (1392) 1897-მდე. რ-ის შემდეგ კორეას ტაჰანი ეწოდა. კსდრ-ის შექმნის შემდეგ ტერმ. „ჩ." რესპ. ოფიც. სახელწოდებაში შევიდა.

**ჩოტოპაძიაი** ბონკიმჩონდრო (26. VI. 1838, კანტალპარა, — 8. IV. 1894 კალკუტა), ინდოელი მწერალი-განმანათლებელი და საზ. მოღვაწე. წერდა ბენგ. ენაზე რომანებს, მოთხრობებს, პამფლეტებს, ზღაპრებს. თვლება ბენგ. ისტ. რომანის ფუძემდებლად („მედაროთეთივრის ასული", 1865; „რაჯ სინგჰი", 1893). აღიარებდა ბენგ. ხალხის გმირულ წარსულს, რათა თანამედროვეებისათვის შთაენერგა ეროვნ. სიამაყის გრძნობა და მომავლის რწმენა. სოც. ხასიათისაა რომანები „შხამიანი ხე" (1872), „კრიშნოკანტის ანდერძი" (1875) და სხვ. მისი სიმღერა „ბანდემატარამ" („მოგესალმები, დედა-სამშობლოვ!", 1905—47) ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ჰიმნი იყო.

**ჩოტოპაძიაი** შოროტჩონდრო (15. IX 1876, სოფ. დევანანდაპური, ბენგალი, — 16. I. 1938, კალკუტა), ინდოელი მწერალი. წერდა ბენგ. ენაზე. გაიზარდა სიღარიბეში. 1903—16 ცხოვრობდა ბირმაში. 20-იანი წწ. დასაწყისში მონაწილეობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. ნაწარმოებებს წერდა 1904-იდან. ავტორია მოთხრობებისა და ოცამდე რომანისა („გზასაყრელი", 1917; „დამწვარი სახლი", 1920; „შრიკანტო", ნაწ. 1—4, 1917—33 და სხვ.), რეალისტურად ასახა ინდ. დიდი ოჯახების ცხოვრება, ქალთა უუფლებობა, მკაცრად აკრიტიკებდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს. გრ. ნაპუცრიშვილი.

**ჩოქელები** (Mantodea ან Mantoptera), მტაცებელი მწერების რიგი; ენათესავებიან ტარაკანებს. ნადავლის მოსატაცებელი კიდურების წინა წყვილზე ძლიერი ქლიცები აქვთ. წინა მკერდი დაგრძელებულია, თავი მეტად მოძრავი; ფრთები, ჩვეულებრივ, კარგად არის განვითარებუ-



ჩონჩხი 1—თავი 2—კისრის მალები, 3—ლავიწი, 4—ბეჭის ძვალი, 5—მკერდის ძვალი; 6—გულმკერდის მალები, 7—წელის მალები; 8—თეძოს ძვალი; 9—გავის ძვალი; 10—კუდუსუნი; 11—ბოქვენის ძვალი; 12—საჯდომი ძვალი; 13—ბარძაყის ძვალი; 14—კვირისტავი, 15—უკანა ტერფი, 16—წინა ტერფი, 17—ფალანგები, 18—დიდი წვივის ძვალი; 19—მცირე წვივის ძვალი, 20—ფალანგები; 21—ნება, 22—მაჯა; 23—იდაყვის ძვალი; 24—სხივის ძვალი, 25—ნეკნები, 26—მხრის ძვალი.


ჯ. ჩოსერი.


ჩოქელები. ჩვეულებრივი ჩოქელა.

ნიკარაგუა და პანამის დიდ ადგილზე პლუვიალური ნოტიო ტყეებიდან შემორჩენილი მნიშვნელოვანი რელიქტური ტყეა; დიდ ფართობზე ტყეა, კორდილიერებში ბევრია ფიჭვ., ტუჩა. სანაპირო დაბლობებზე ლაგუნური ტყეებია.

**გამყინვარება.** თანამედროვე გამყინვარების საერთო ფართ. 2 მლნ. $km^2$ აღემატება, უდიდესია გრენლანდიის მყინვარული ფარი. მყინვარული გუმბათებია კ. ელზმირზე და კანადის არქტ. არქიპელაგის აღმ. ნაწილში მდებარე კ-ებზე. მძლავრი გამყინვარებაა სამხრ. ალასკაზე, სადაც მყინვარები ოკეანის დონემდე ეშვება. მთის მყინვარებია ბრუქსის, ალასკის, ალეუტის ქედებზე, კლდოვან და კასკადის მთებში და სხვ. წარსულში მყინვარები ჩ. გ. 40°-მდე ეშვებოდა.

**ნიადაგი და მცენარეულობა.** ჩ. ა-ის დიდი ნაწილი ფლორისტიკულად ჰოლარქტიკულ ოლქს ეკუთვნის, მექსიკის მთიანეთის სამხრ. ნაწილი და ცენტრ. ამერიკა — ნეოტროპიკულ ოლქს. ჩ. ა-ის მცენარეული საფარი ევრაზიის მცენარეულობის მსგავსია. კანადის არქტ. არქიპელაგის ჩრდ. ნაწილსა და გრენლანდიაში მაღალი არქტიკული და ტუნდრის არქტ. ნიადაგებზე გვხვდება არქტ. უდაბნოების ძალზე ღარიბი მცენარეულობა. არქიპელაგის სამხრ. ნაწილსა და კონტინენტის არქტ. სანაპიროს ფართო ზოლში ტუნდრაა, რასაც სამხრ-ით ვიწრო ზოლად (100—200 km) ტყეტუნდრა ცვლის. აქ უმთავრესად ტუნდრის ლებიანი ნიადაგებია გავრცელებული ალეუტის კ-ებსა და ალასკაზე, სადაც კორდილიერ-ტუნდრიანი ნიადაგებია, ოკეანური მდელოებია. ტყეს უკავია ჩ. ა-ის ტერიტ. 1/3. ტაიგაში ეწერ ნიადაგზე ხარობს შავი და თეთრი ნაძვი, ბალზამის სოჭი, ქაღალდის არყი და სხვ. კანადის დას. სანაპიროზე და აშშ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში ხარობს ოკეანისპირა წიწვოვანი ტყე (სიტხის ნაძვი, დუგლასის ცრუცუგა, ცუგა, ფიჭვი და სხვ.), რაც 800 მ ზევით მთის ტაიგით და შემდეგ მთის ტუნდრით იცვლება. დიდი ტბების რ-ნში და ჩრდ. აპალაჩებში ეწერ ნიადაგზე შერეული ტყეებია. შუა და სამხრ. აპალაჩებში, ცენტრ. ვაკეების აღმ. ნაწილში ტყის ყომრალ ნიადაგზე ხარობს ფართოფოთლოვანი ტყე, ხოლო 700—1000 მ-ზე უფრო მაღლა ეწერ ნიადაგზე შერეული და წიწვოვანი ტყეები გვხვდება.

**ცხოველთა სამყარო.** ჩ. ა-ის ტროპიკულსგარე ნაწილის ფაუნა ევრაზიის ანალოგიური ნაწილის ფაუნის მსგავსია, რაც იმის ნიშანია, რომ წარსულში ამ ორ კონტინენტს შორის სახმელეთო კავშირი არსებობდა. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ეს ტერიტორიები ერთ მსხვილ ჰოლარქტიკულ ზოოგეოგრ. ოლქში გავაერთიანოთ, მაგრამ ზოოგეოგრ. სპეციფ. თავისებურების გამო ჩ. ა-ის ეს ნაწილი გამოყოფილია ცალკე ნეარქტიკულ ოლქად და დაპირისპირებულია ევრაზიის პალეარქტიკულ ოლქთან. ტუნდრის ზონისათვის დამახასიათებელია ჩრდილოეთის ირემი (კარიბუ), თეთრი დათვი, მგელი, ლემინგი, თეთრი კურდღელი, თეთრი ბუ, თეთრი გნოლი. ხარირემი მხოლოდ კანადის არქტ. არქიპელაგის ჩრდ. ნაწილსა და გრენლანდიაში გვხვდება. ტაიგაში ბინადრობს: ლოსი, ირემი ვაპიტი, შავი დათვი, ამერიკული კვერნა, კანადური ფოცხვერი, სასურავი, თახვი, ხის მაჩვზღარბი, ონდატრა და სხვ. შერეულ და ფართოფოთლოვან ტყეებში ბინადრობს: ვირგინიული ირემი, ნაცრისფერი მელა, წითელი ციყვი, ნაცრისფერი ციყვი; ფრინველებიდან — გარეული ინდაური და სხვ. მდგრადი ტყის მღრღნელები, ზაზუნა და სხვ. სუბტროპ. სარტყელში, კონტინენტის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ფართოფოთლოვანი ტყის ფაუნასთან ერთად გვხვდება ტროპ. ფაუნის ზოგიერთი სახეობაც, ალიგატორი, კაიმანისებრი კუ, იბისი, ვარხვი, ფლამინგო, კოლიბრი, კაროლინური თუთიყუში. სტეპისა და ტყესტეპის ფაუნა თითქმის განადგურებულია; ბიზონი მხოლოდ ნაკრძალებშია შემორჩენილი. მთაშიდა ვაკეებში რქაფორწალა ანტილოპა, ირემი მაზამა, გავრცელებულია კოიოტი, პრერიის მელა, მღრღნელები; კორდილიერების ტყეში ბინადრობს: რქასქელა, ანუ თოვლის ცხვარი, თოვლა, თხა, დათვი გრიზლი (მეტწილად ალასკაში) და სხვ. უდაბნო-სტეპურ ზონებზე ბევრია ქვეწარმავალი, მ. შ. შხამიანიც. ცენტრ. ამერიკაში, ვესტინდოეთსა და ნაწილობრივ მექსიკის მთიანეთის სამხრ. ნაწილში ჭარბობს ტროპ. ცხოველები, მ. შ. სამხრ. ამერიკული სახეობებიც. ჩ. ა-ის ტერიტორიაზე 85 ეროვნ. პარკია (იელოუსტოუნის, დიდი კანიონის, იოსემიტის, სეკვოიისა და სხვ.), სადაც ფლორისა და ფაუნის დაცვა შეხამებულია ტურიზმთან.

**ბუნებრივი რაიონები.** რელიეფის მიხედვით ჩ. ა-ს ყოფენ ორ დიდ ნაწილად: ვაკე რელიეფის კ ო რ დ ი ლ ი ე რ ე ბ ს გ ა რ ე  ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ა დ და მთიან კ ო რ დ ი ლ ი ე რ უ ლ  დ ა ს ა ვ ლ ე თ ა დ. კორდილიერებსგარე აღმოსავლეთში 7 გამოყოფილი ბუნებრივი მხარეა: გრენლანდია, კანადის არქტიკული არქიპელაგი, ლავრენტის მაღლობი, ცენტრალური ვაკეები, დიდი ვაკეები, აპალაჩები და სანაპირო დაბლობები.

კორდილიერულ დასავლეთში გამოიყოფა: ალასკის კორდილიერები, კანადის კორდილიერები, აშშ-ის კორდილიერები, მექსიკის კორდილიერები.

### III. გეოგრაფიული კვლევის ისტორია

ნორმანები ჯერ კიდევ XI—XIII სს-ში იცნობდნენ ჩ. ა-ის ატლანტისპირა ნაპირებს. 1492—1503 ქ. კოლუმბის 4 ესპ. ექსპედიციამ აღმოაჩინა ვესტინდოეთის მრავალი კუნძული, აგრეთვე ჰონდურასის, ნიკარაგუის, კოსტა-რიკისა და პანამის ყელის კარიბის ზღვის სანაპიროები. 1517—19 ესპანელებმა აღმოაჩინეს იუკატანის ნ.-კ.-ის მექსიკის ყურის ნაპირები, ნ. ავილას ესპ. ექსპედიციამ ზღვით გაიარა პანამის ყურიდან ფონსეკის ყურემდე, აღმოაჩინა კოსტა-რიკისა და ნიკარაგუის ნაპირები და ნიკარაგუისა და მანაგუის ტბები.

1528 პ. ნარვაესის ესპ. ექსპედიციამ აღმოაჩინა მისისიპის დელტა. 1532—33 ე. კორტესმა აღმოაჩინა კალიფორნიის ნ.-კ.-ის სამხრ. ნაწილი. 1540—43 ე. სოტოს ესპ. ექსპედიციამ აღმოაჩინა სამხრ. აპალაჩები, მდ-ები ალაბამა, ტენესი.

ჩრდ.-დას. გასასვლელის ძებნაში ფრანგმა ჟ. კარტიემ 1534—35 ჩრდ.-იდან შემოუარა კ. ნიუფაუნდლენდს, აღმოაჩინა ლაბრადორის ნ.-კ.-ის სამხრ.-აღმ. სანაპირო, გასპეს ნ.-კ., პრინც ედუარდის, ანტიკოსტის კ-ები და მდ. ლავრენტის შესართავი. XVII ს-ში ფრანგებმა აღმოაჩინეს ჩრდ. აპალაჩები, დიდი ტბები, მდ. ოჰაიო, მისურის შესართავი.

1648 ფ. პოპოვმა და ს. დეჟნიოვმა დაამტკიცეს, რომ ჩ. ა. აზიისაგან გამოყოფილია ბერინგის სრუტით. 1690—91 ინგლ. ჰ. კელსიმ აღმოაჩინა მდ. სასკაჩევანი; 1734—43 პ. ვარენ დე ლა ვერენდრიმ და მისმა ვაჟებმა აღმოაჩინეს ვინიპეგის, ვინიპეგოსისა და მანიტობის ტბები, მდ. მისურის შუა დინების ნაწილი და მისურის პლატო.

1732 რუსებმა ი. ფიოდოროვმა და მ. გვოზდევმა აღმოაჩინეს სიუარდის ნ.-კ.; 1741 ვ. ბერინგმა და ა. ჩირიკოვმა — ალასკის ყურის სანაპიროსა და ალექსანდრეს არქიპელაგის ნაწილი, კ. კადიაკი, ალეუტის რამდენიმე კუნძული და სხვ.; 1759—64 ს. გლოტოვმა, ს. პონომარიოვმა, პ. ტოლსტიხმა — მელისისა და ანდრეანოვის ზოგიერთი კუნძული, ალასკის ნ.-კ.-ის ნაწილი; 1768—69 პ. კრენიცინმა და მ. ლევაშოვმა აღმოაჩინეს ალეუტის კუნძულთა მწკრივის თითქმის ყველა სხვა უცნობი კუნძული.

1774—76 ესპ. ზღვაოსნებმა გამოიკვლიეს ჩ. ა-ის დას. სანაპირო ჩ. გ. 55°-მდე და აღმოაჩინეს მდ. კოლუმბიის შესართავი, კ. ვანკუვერის დას. ნაპირი და დედოფალ შარლოტას კ-ების ნაწილი. 1816—44 რუსმა მოგზაურებმა აღმოაჩინეს კოცებუს ყურე, კ. ნუნივაკი, მდ-ები კოიუკი, სუსიტნა, ნუშაგაკი, კუსკოკვიმი, იუკონის ქვემო და შუა დინებები; ჩუგაჩის, ვრანგელის, კუსკოკვიმის მთები, ალასკის ქედის ნაწილი. 1818 ჯ. როსმა რუკაზე აღნიშნა კ. დევონისა და ბაფინის მიწის აღმ. ნაპირები, 1818—25 უ. პარიმ აღმოაჩინა სამი სრუტე ჩ. გ. 74° მახლობლად, მიმდებარე კ-ები და მელვილის ნ.-კ., დაადგინა, რომ ბაფინის მიწა კუნძულია. ჯ. ფრანკლინის ორმა ექსპედიციამ, რ-შიც მონაწილეობდა ჯ. რიჩარდსონი, 1821 და 1826 აღმოაჩინა კორონეიშენისა და ბათერსტის ყურეები და ბოფორტის ზღვისა და ამუნდსენის ყურის ნაპირები. 1829—31 ჯონ და ჯეიმზ როსებმა აღმოაჩინეს ნ.-კ. ბუთია, ჩრდ. მაგნიტური პოლუსი და მეფე უილიამის კუნძული. 1837—39 პ. დიზმა და ტ. სიმფსონმა პირველებმა გაიარეს დ. გ. 156° და 95° შორის მდებარე ჩ. ა-ის ნაპირი და აღმოაჩინეს კენტის ნ.-კ., დიზის სრუტე, დედოფალ მოდის ყურე, სიმფსონის სრუტე, ადელაიდას ნ.-კ. და მეფე უილიამისა და ვიქტორიის კ-ების სამხრ. ნაპირები. 1848—64 (ფ. მაკ-კლინტოკის, ჰ. კელეტისა და სხვ.) ექსპედიციებმა გამოიკვლიეს არქტიკის ჩრდ. ნაპირი და აღმოაჩინეს უელსის პრინცისა და პრინს-პატრიკის კ-ები. 1858—71 ამერიკელებმა აღმოაჩინეს კეინისა და ჰოლის აუზები, კენედისა და რობსონის სრუტეები და პირველები მივიდნენ ლინკოლნის კონცხთან. 1914—17 კანადელებმა ვ. სტეფანსონმა და ს. სტორკერსონმა თითქმის მთლიანად აღმოაჩინეს კ. ვიქტორიას ჩრდ. ნაპირები და მთელი კანადის არქტ. არქიპელაგი. XIX ს. დასასრ.—XX ს. დასაწყისში აშშ. და კანადელი გეოლოგები ამთავრებენ კლდოვანი მთების, ლავრენტის ზეგნის, იუკონის პლატოს, ალასკის ქედის გამოკვლევას. მათ აღმოაჩინეს ბრუქსის ქედი.

### IV მოსახლეობა

ჩ. ა-ის თანამედროვე მოსახლეობას შეადგენენ 3 დიდი რასის წარმომადგენლები. აბორიგენი მოსახლე (ინდიელები, ესკიმოსები) და აზიიდან გვიან გადმოსახლებული ხალხი განეკუთვნება მონღოლოიდური რასის სხვადასხვა შტოს, ევროპიდან გადმოსახლებულები — ევროპეოიდულ რასას, ხოლო აფრიკიდან — ეკვატორიულს (ნეგრო-ავსტრალოიდურს). მოსახლ. მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ შერეული ჯგუფები: მესტისები, მულატები და სხვ. ჩ. ა-ის მოსახლ. უმრავლესობა ევროპისა და მცირე რაოდენობით აზიის ემიგრანტთა (XVI—XIX სს.), აგრეთვე აფრიკიდან შემოყვანილ (XVII—XVIII სს.) ზანგთა შთამომავალია. მოსახლ. მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ აბორიგენთა შთამომავლები — ინდიელები, ესკიმოსები, ალეუტები. მექსიკისა და ცენტრ. ამერიკის სახელმწიფოების უმრავლესობა შეიქმნა უმთავრესად მოსული ესპანელებისა და ადგილ. ინდიელი ტომების შერევის შედეგად. ანთროპოლოგიურად ისინი მესტისები არიან, ლაპარაკობენ ესპ. ენაზე. კარიბის ზღვის კ-ები დასახლებულია ზანგებითა და მულატებით — აფრ. მონებისა და ევროპელი კოლონიზატორების (ესპანელები, ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები) შთამომავლებით. აშშ-ში უფრო მეტად იმარჯვება ინგლ. ენა, კანადაში — ინგლ. და ფრანგული. ჩ. ა-ში ინგლისურენოვანი ხალხები არიან: ამერიკელები, ზანგები, კანადელი ინგლისელები, იამაიკელები, ტრინიდადელები,

პარაგვაიელები, ჩაჰამელები და სხვ., ნაწილობრივ ინგლისურენოვანი არიან იმიგრანტთა ჯგუფები იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან, პუერტო-რიკოდან და სხვ. ესპანურენოვან მოსახლ. შეადგენენ: მექსიკელები, კუბელები, დომინიკელები, სალვადორელები, გვატემალელები და სხვ. მრავალრიცხოვანი ხალხია კანადელი ფრანგები. ჩ. ა-ის სხვა ფრანგულენოვანი ჯგუფებია: ჰაიტელები, მარტინიკელები და გვადელუპელები. ინდიელი ხალხი უმთავრესად შემორჩა სამხრ.-აღმ. მექსიკასა და დას. გვატემალაში, ალასკის შიგა ოლქებში, ჩრდ. კანადაში, ზღვისპირა ჩრდ.-ში, კონტინენტის საზაფხოს და არქტიკის კ-ებზე სახლობენ ესკიმოსები, ალეუტის კ-ებზე — ალეუტები. შთამომავლები რელიგიით ჩ. ა-ის მოსახლ. უმრავლესობა კათოლიკეა. არიან მართლმადიდებლები, იუდაისტები, ბუდისტები.

### V. პოლიტიკური დაყოფა

ინგლ. კოლონიების რევ.-განმათ. ომის (იხ. დამოუკიდებლობისათვის ომი ჩრდილოეთ ამერიკაში 1775—83) პერიოდში შეიქმნა (1776) ჩ. ა-ში პირველი დამოუკიდებელი სახელმწ.—ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). 1804 ფრანგ. კოლონიზატორთა წინააღმდეგ აჯანყებამ დამოუკიდებლობა მოუტანა ჰაიტის. ერთდროულად სამუშაელი გამოყოფილი ესპანელთა ბატონობის კ. ჰაიტის აღმ. ნაწილში (1844-იდან — დომინიკელთა რესპუბლიკა). 1810—26 პოლიტ. დამოუკიდებლობა მოიპოვეს მექსიკამ, გვატემალამ, ჰონდურასმა, კოსტა-რიკამ, ნიკარაგუამ, სალვადორმა (იხ. აგრ. *დამოუკიდებლობისათვის ესპანეთის ამერიკული კოლონიების ომი 1810—26*).

1767 ბრიტ. იმპერიის შემადგენლობაში დომინიონის სტატუსი მიიღო კანადამ (ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფო თანამეგობრობის ფარგლებში; 1949 კანადას შეუერთდა ნიუფაუნდლენდი). 1898 დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა კუბა, თუმცა 1901-იდან ფაქტობრივად მოექცა აშშ-ის პროტექტორატის წარმოადგენდა. 1903 გამოცხადდა პანამის პოლიტ. დამოუკიდებლობა, თუმცა პანამის არხის ზონის და არხის ექსპლუატაციის რაცხ მონოპოლიური ხელშეკრულებით სამუდამო სარგებლობაში იღებდა აშშ. 1977 დადებული აშშ—პანამის ახ. შეთანხმებით პანამის არხი და მისი ზონა 2000-იდან გადავა პანამის სრულ სუვერენიტეტში. 1959 კუბის რევ. გამარჯვების შედეგად კუბაში შეიქმნა ამერიკაში პირველი სოციალ. სახელმწიფო, რამ ბიძგი მისცა ამერ. კონტინენტზე განმათ. მოძრაობის აღორძინებას. დამოუკიდებელი გახდა ინგლ. ყოფ. კოლონიები ვესტინდოეთში — იამაიკა (1962), ტრინიდადი და ტობაგო (1962), ბარბადოსი (1966), ბაჰამის კ-ები (1973), გრენადა (1974), დომინიკა (1977), სენტ-ლუსია (1979) და ბელიზი (1981). შეიქმნა ახ. დამოუკიდებელი სახელმწიფოები, სენტ-ვინსენტი და გრენადინები (1979), ანტიგუა და ბარბუდა (1981), სენტ-კრისტოფერი და ნევისი (1983). მაგრამ ჩ. ა-ის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ქვეყნები, რომლებიც აშშ-ის, დიდი ბრიტ., საფრ., ნიდერლანდების და დანიის სამფლობელოებს წარმოადგენენ.

ჩრდილოეთ ამერიკის პოლიტიკური დაყოფა

| სახელმწიფო და ქვეყანა | ფართობი (ათ. კმ²) | მოსახლეობა (ათ. კაცი) | წელი | დედაქალაქი ან ადმ. ცენტრი |
|---|---|---|---|---|
| **დამოუკიდებელი სახელმწიფოები** | | | | |
| ამერიკის შეერთებული შტატები | 9363,2 | 238700 | 1985 | ვაშინგტონი |
| ანტიგუა და ბარბუდა | 0,4 | 82 | 1984 | სენტ-ჯონსი |
| ბარბადოსი | 0,43 | 258 | 1984 | ბრიჯტაუნი |
| ბაჰამის კუნძულები | 13,9 | 222 | 1980 | ნასო (ნასაუ) |
| ბელიზი | 23 | 158 | 1983 | ბელმოპანი |
| გვატემალა | 108,9 | 8200 | 1984 | გვატემალა |
| გრენადა | 0,34 | 112 | 1982 | სენტ-ჯორჯესი |
| დომინიკა | 0,79 | 90 | 1983 | როზო |
| დომინიკელთა რესპუბლიკა | 48,7 | 5960 | 1983 | სანტო-დომინგო |
| იამაიკა | 11,5 | 2500 | 1983 | კინგსტონი |
| კანადა | 9976,1 | 92400 | 1986 | ოტავა |
| კოსტა-რიკა | 50,9 | 2380 | 1984 | სან-ხოსე |
| კუბა | 110,9 | 9946 | 1983 | ჰავანა |
| მექსიკა | 1958,2 | 76 800 დაახლ. | 1984 | მეხიკო |
| ნიკარაგუა | 130 | 3000 | 1984 | მანაგუა |
| პანამა | 77,1 | 2134 | 1983 | პანამა |
| სალვადორი | 21,4 | 5260 | 1983 | სან-სალვადორი |
| სენტ-ვინსენტი და გრენადინები | 0,38 | 134 | 1984 | კინგზტაუნი |
| სენტ-კრისტოფერი (სენტ-კიტსი) და ნევისი | 0,26 | 44,6 | 1984 | ბასტერი |
| სენტ-ლუსია | 0,6 | 125 | 1984 | კასტრი |
| ტრინიდადი და ტობაგო | 5,1 | 1205 | 1982 | პორტ-ოვ-სპეინი |
| ჰაიტი | 27,8 | 5270 | 1983 | პორტ-ო-პრენსი |
| ჰონდურასი | 112,1 | 4090 | 1983 | ტეგუსიგალპა |
| **კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სამფლობელოები** | | | | |
| **დიდი ბრიტანეთის სამფლობელოები** | | | | |
| ბერმუდის კუნძულები | 0,53 | 54,7 | 1980 | ჰამილტონი |
| ვირჯინის კ-ები (ნაწილი) | 0,15 | 11 | 1983 | როდ-ტაუნი |
| კაიმანის კ-ები | 0,26 | 18,8 | 1983 | ჯორჯტაუნი |
| მონტსერატი | 0,1 | 12 | 1983 | პლიმუთი |
| ტერქსი და კაიკოსი | 0,43 | 7,4 | 1980 | კოკბერნ-ტაუნი |
| **აშშ-ის სამფლობელოები** | | | | |
| ვირჯინის კ-ები (ნაწილი) | 0,34 | 99 | 1981 | შარლოტა-ამალია |
| **საფრანგეთის სამფლობელოები** | | | | |
| გვადელუპა | 1,8 | 330 | 1983 | ბას-ტერი |
| მარტინიკა | 1,1 | 326,5 | 1982 | ფორ-დე-ფრანსი |
| სენ-პიერი და მიკელონი | 0,24 | 6,0 | 1982 | სენ-პიერი |
| **ნიდერლანდების სამფლობელოები** | | | | |
| ნიდერლანდის ანტილის კ-ები | 1,0 | 263,2 | 1982 | ვილემსტადი |
| **დანიის სამფლობელო** | | | | |
| გრენლანდია | 2176 | 52,3 | 1984 | გოტჰობი |

ლიტ.: Америка. Общий обзор. Северная Америка. М., 1980 (серия «Страны и народы»); Америка. Общий обзор Латинской Америки. Средняя Америка. М., 1981 (серия «Страны и народы»); Б о л я А., Северная Америка, пер. с франц., М., 1948; К и н г Ф. Б., Геологическое развитие Северной Америки, пер. с англ., М., 1961.

რუკა — იხ. ჩანართი I, გვ. 145, II — გვ. 176—177. ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 113.

**ჩრდილოეთი დაკოტა** (North Dakota), შტატი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, კანადის საზღვართან. ფართ. 183 ათ. კმ². მოსახლ. 653 ათ. კაცი (1980). ადმ. ც. — ქ. ბისმარკი. ზედაპირი ვაკეა, რ-იც მაღლდება 350 მ-იდან ჩრდ.-აღმ-ით 1000 მ-მდე და უფრო მეტად სამხრ.-დას-ით. ნალექები 400—500 მმ წელიწადში. მთავარი მდინარეა მისური (ზემო დინება). ეკონ. სასოფლო-სამეურნეო სოფ. მეურნეობა. მთავარი კულტურაა საგაზაფხულო ხორბალი, რ-ის მოსავლიანობით ჩ. დ. II ადგილზეა (კანზასის შემდეგ) ქვეყანაში. მოჰყავთ აგრეთვე შვრია, ქერი, ჭვავი, სიმინდი, ზეთოვანი სელი, სათიბი ბალახი. დას. ნაწილში ფართობს საძოვრე მეცხოველეობა. ამრავლებენ მსხვ. რქ. საქონელს, ღორს, ცხვარს, ფრინველს. მთავარი დარგია კვების მრეწველობა. იღებენ ნავთობს, ბუნებრივ აირსა და მურა ნახშირს.

**ჩრდილოეთი ირლანდია** (Northern Ireland), ო ლ ს ტ ე რ ი (Ulster), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის შეერთებული სამეფოს „ავტონომიური" ნაწილი ფარავს კ. ირლანდიის ჩრდ.-აღმ. ნაწილს. ფართ. 14,1 ათ. კმ². მოსახლ. 1,6 მლნ კაცი (1982), აქედან 55%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. მთავარი ქალაქია ბელფასტი, ადმინისტრაციულად ჩ. ი. იყოფა 26 ოლქად.

მეურნეობა. ეკონ. თვალსაზრისით ჩ. ი. ჩამორჩება შეერთებული სამეფოს სხვა რაიონებს, აქ ყველაზე დიდია უმუშევართა პროცენტი. იღებენ ქვამარილს, ტორფს, საშენ მასალას. დამუშავებითი მრეწვ. (დასაქმებულია ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 32%) მთავარი და ტრად. დარგებია გემთმშენებლობა, სელისა და ქსოვილის მრეწვ., ახ. დარგია სინთეზური ბოჭკოს წარმოება. მრეწვ. კონცენტრირებულია უმთავრესად ქვეყნის აღმ. ნაწილში. დიდი სამრეწვ. ცენტრებია ბელფასტი და ლონდონდერი.

სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების 9/10-ს იძლევა მეცხოველეობა, განვითარებულია მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა. ხორცისა და კვერცხის დიდი ნაწილი გააქვთ ინგლ. ბაზარზე. მთავარი სას.-სამ. კულტურაა კარტოფილი. ბელფასტის მიდამოებში, ლუგნეის ხეობაში და ლოხ-ნეის ტბის სამხრ-ით ბაღ-ბოსტნეობა.

**ისტორიული ცნობა.** ჩ. ი-ის ტერიტორიაზე ადამიანი ძვ. წ. VI ათასწლეულიდან სახლობდა. ძვ. წ. IV ს-ში აქ კელტური ტომები დასახლდნენ. XII ს. ბოლოს ოლსტერის დამოუკიდებელი სამეფო (მისი ჩრდ. ნაწილი იყო ჩ. ი.) ფორმალურად

კის ქვემაქცევებში. ეს მნიშვნელოვანი ადგილსაპოვებელი პირველად რუსმა მეცნიერმა ვ. ამალიცკიმ გათხარა 1899—1914 შემდეგ კი აქ მუშაობდნენ საბჭ. მეცნიერები მ. ეფრემოვი და ა. გარტმან-ვეინბერგი. ჩ. დ. შ-ში ჭარბობენ ქვეწარმავლები: კოტილოზავრები — პარეიაზავრი, გორგონოფსიები — ინოსტრანცევია, დინოცეფალები. შედარებით ნაკლებია თეროცეფალებისა და ციონოდონტების ნაშთები, ამფიბიები მხოლოდ დვინოზავრების ერთი სახეობით არიან წარმოდგენილი ჩ. დ. შ. მსგავს სამხრ. აფრ. პერმული ნალექებიდან ცნობილ ხაზარის ხერხემლიანთა ფაუნას. ჩრდილოეთის დვინის ტიპის ხერხემლიანთა ფაუნა ფართოდ ყოფილა გავრცელებული პერმულ პერიოდში სსრკ ევრ. ნაწილის ტერიტორიაზე.

*გ. მჭედლიძე*



ჩრდილოეთის ირემი.

**ჩრდილოეთის დონეცი,** მდინარე რსფსრ ბელგოროდისა და როსტოვის ოლქებსა და უკრ. სსრ ხარკოვის, დონეცკისა და ვოროშილოვგრადის ოლქებში, მდ. დონის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 1053 კმ, აუზის ფართ. 98,9 ათ. კმ². ზემოთში გადაკეტილია კაშხალებით, მდინარეზე არის წყალსატევები და წყალსაცავები შესართავთან ატოტება. უპირატესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა აქვს თებ.—მაისში. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 119 კმ-ზე 159 მ³/წმ. იყინება დეკ.–იანვარში, გაიხსნება თებ. ბოლოდან აპრ. დასაწყისამდე. სანაოსნოა 222 კმ, ქ. დონეცკამდე. შესართავთან არის ნავსადგური უსტ-დონეცკი. დაბა რაზდოროჟნოიდან იწყება ჩ. დ.—დონბასის არხი (130 კმ). მდ-ის ნაპირზეა ქ-ები: ბელგოროდი, ჩუგუევი, იზიუმი, ლისიჩანსკი, სხალტე, დონეცკი, კამენსკ-შახტინსკი, ბელაია-კალიტვა.

**ჩრდილოეთის ზღვა,** ატლანტის ოკეანის განაპირა ზღვა. მდებარეობს დიდი ბრიტანეთის, ორკნის, შეტლენდის კ-ების (დას.), სკანდინავიისა და იუტლანდიის ნ-კ-ებსა (აღმ.) და ევროპის სანაპიროს (სამხრ.) შორის. ჩრდ-ით უკავშირდება ნორვეგიის ზღვას, აღმ-ით სკაგერაკის, კატეგატის, ერესუნდის, დიდი და მცირე ბელტის სრუტეებით — ბალტიის ზღვას, სამხრ.-დას-ით პა-დე-კალესა და ლა-მანშის სრუტეებით, ხოლო ჩრდ.-დას-ით კ-ებს შორის მდებარე სრუტეებით — ატლანტის ოკეანეს. ჩ. ზ. აკრავს დიდ ბრიტ., საფრ., ბელგიის, ნიდერლანდის, გფრ-ის, დანიისა და ნორვ. ნაპირებს. ფართ. 565 ათ. კმ², საშ. სიღრმე 96 მ, მოც. 42 ათ. კმ³ ჩრდ.-აღმ. ნაპირები ფიორდულია, სამხრ.-აღმ. — უმთავრესად დაბალი და ქვიშიანი, სამხრ. — ლაგუნური, ხოლო დას-ით ყურეები და ესტუარებია. ნიდერლანდის აღმ. ნაპირი თითქმის მთლიანად შემოსაზღვრულია ჯებირებით. ჩ. ზ-ში კ-ები არ არის, მხოლოდ სამხრ.-აღმ. ნაპირს გასდევს ფრიზის კ-ების მწკრივი.

ჩ. ზ. მდებარეობს კონტინენტურ შელფზე. ფსკერი ჩრდ-კენ სუსტად დახრილი ვაკეა სიღრმე 20—30-იდან 150—170 მ-მდეა. ფსკერი აგებულია 10—12 კმ სისქის დანალექი ქანების წყებებით. ფსკერზე არის ნავთობისა და აირის საბადოები (ნაწილი მუშავდება), აგრეთვე მარილის ბუდობები.

ჰავა ზომიერია, უშუალოდ განიცდის ჩრდილოატლანტიკური თბილი დინებისა და ისლანდიის დაბალი წნევის ცენტრის ციკლონურ ზემოქმედებას. ზამთარი იცის ხანმოკლე, შედარებით რბილი; ზაფხული — გრილი. მთელი წლის მანძილზე გაბატონებულია დას. და სამხრ.-დას. ქარები, რ-ებიც ზამთრობით ძლიერად ქრის. ნოემბრიდან მარტამდე ხშირია შტორმი. თებ. საშ. ტემპ-რა აღმ-ით 0°C, დას-ით 5°C, აგვ. ჩრდ-ით 15°C, სამხრ-ით 17°C. ზამთრობით ჩრდ. ქარების დროს ტემპ-რა ეცემა —23°C-მდე. სამხრ-ით წელიწადში მოდის 600—700 მმ ნალექი, ჩრდ-ით — 1000 მმ-მდე. ხშირია ნისლი. ჩ. ზ-ის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს ატლანტის ოკეანის თბილი და მარილიანი წყალი, დამახასიათებელია მოქცევითი დინებები, სიჩქარე 10 კმ/სთ. ზამთარში ზედაპირზე წყლის საშ. ტემპ-რაა 5—6°C, სამხრ.-აღმ. ნაპირებთან ეცემა 2°C-მდე, ზაფხულში წყლის ტემპ-რა ჩრდ-ით დაახლ. 12°C, შუა ნაწილში 16—17°C, სამხრ.-აღმ. ნაწილში 18—19°C-მდე აღწევს. მარილიანობა სამხრ.-აღმ. ნაწილში 29—31‰, ჩრდ.-დას. და სამხრ.-დას. ნაწილში — 34,7—35,3‰. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 0,6-იდან 7,6 მ-მდე, შტორმის დროს ქარისმიერი ტალღების სიმაღლე 8—19 მ აღწევს. ყინული ნაპირებთან დეკ.-იდან მარტის ჩათვლით გვხვდება. ჩ. ზ-ის წყალი ძლიერ გაჭუჭყიანებულია ნავთობითა და სამრეწვ. ობიექტების ჩამონადენით.

ჩ. ზ-ში დაახლ. 300-მდე მცენარისა და 1500-ზე მეტი ცხოველის სახეობა ბინადრობს. ბევრია კიბორჩხალისებრნი, მოლუსკი, თევზი. დამახასიათებელი ფრინველებია რეცვენა, თოლია, კაირა. განვითარებულია თევზჭერა (დაახლ. 4 მლნ ტ თევზი წელიწადში).

ჩ. ზ-ს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მასზე გადის საზღვაო გზები ბალტიის ზღვიდან ატლანტის ოკეანეში (დას. ევროპის ქვეყნების ძირითადი საგარეო-სავაჭრო და კაბოტაჟური ტვირთნაკადები). ტვირთბრუნვაში ჭარბობს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ქვანახშირი, რკინის მადანი, ხე-ტყე, ლითონი, ცელულოზა და ქაღალდი, მანქანები. დიდი ნავსადგურებია: როტერდამი (ტვირთბრუნვით პირველი ადგილი მსოფლიოში), ამსტერდამი (ნიდერლანდი), ანტვერპენი (ბელგია), ლონდონი, ბირმინგემი, ჰალი (დიდი ბრიტანეთი), ჰამბურგი, ბრემენი, ვილჰელმსჰაფენი (გფრ), გეტებორგი (შვეცია), ოსლო, ბერგენი (ნორვეგია).

**ჩრდილოეთის ირემი** (Rangifer tarandus), წყვილჩლიქოსანი ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა. მამლის სხეულის სიგრძე 220 სმ, მასა 100—220 კგ აღწევს. დედალი უფრო პატარაა. ჩ. ი. ზაფხულობით მოყავისფროდან მონაცრისფრომდე არის შეფერილი, ზამთრობით უფრო ღია, ზოგჯერ თითქმის თეთრია. რქები დედალსაც აქვს და მამალსაც. გავრცელებულია ევრაზიისა და ჩრდ. ამერ. ტუნდრისა და ტაიგის ზონაში. ჯოგური პოლიგამიური ცხოველია. იკვებება მღიერებით, ტოტებით, კვირტებით, კენკრით, სოკოთი და სხვ. ზამთრობით, როცა თოვლის საფარი განსაკუთრებით მაღალია, ჩ. ი. წინა ფეხებით თხრის თოვლს 70—80 სმ სიღრმეზე და პოულობს საკვებს. ახასიათებს სეზონური მიგრაციები. ფრთხილი ცხოველია. კარგად აქვს განვითარებული ყნოსვა, კარგად ცურავს, შეუძლია გადაცუროს მდინარე და ტბა. მაკეობა 7,5 თვე გრძელდება. შობს 1, იშვიათად 2 ნუკრს. აქვს სარეწაო მნიშვნელობა — იყენებენ მის ხორცს, ტყავს.

**ჩრდილოეთის ლაშქრობა 1926—27,** ჩინეთის ეროვნულ-რევოლუციური არმიის (ერა) ლაშქრობა ჰეიანელი მილიტარისტების წინააღმდეგ გუანდუნის პროვინციიდან ჩრდ-კენ. ეს იყო ჩინ. 1925—27 რევ. შემადგენელი ნაწილი. ერა-ის ძირითადი ძალების ლაშქრობა გუანდუნიდან 1926 წ. 9 ივლ. დაიწყო. 1926 სექტ. ერა-მ საომარი მოქმედება გადაიტანა აღმ. ჩინეთში ინგლ.-ამერ. ორიენტაციის მქონე მილიტარისტის სუნ ჩუანფანის წინააღმდეგ. 1926 ნოემბ.-დეკ. გაათავისუფლეს ძიანსის და ფუძიანის პროვინციები, ხოლო 1927 თებ.-მარტში ჯეძიანის პროვ. და ანხოის პროვ. ნაწილი. 21 მარტს შანხაის მუშებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით მოაწყვეს აჯანყება და ქალაქი გაათავისუფლეს მილიტარისტებისაგან. 22 მარტს შანხაიში შევიდა ერა, 24 მარტს გაათავისუფლეს ნანკინი, მაგრამ რევ. ძალების გამარჯვება მყარი არ აღმოჩნდა ერა-ის მხარეზე გადაუდგა ბევრი ყოფილი მილიტარისტი ერა-ის მთავარსარდალი იყო მემარჯვენე გომინდანელი ჩან კაიში. მან იმპერიალისტებთან დაამყარა კავშირი და 1927 აპრ. კონტრრევ. გადატრიალება მოაწყო შანხაიში, ნანკინში, გუანჯოუში, აღმ. და სამხრ. ჩინეთის სხვა ქ-ებში, ხოლო 1927 წ. 15 ივლ.—უხანში. ჩინ. რევოლუციამ დროებით მარცხი განიცადა.

**ჩრდილოეთის მიწა,** არქიპელაგი კარისა და ლაპტევების ზღვების საზღვარზე, ნ-კ. ტაიმირის ჩრდ-ით, რ-იდანაც გამოყოფილია ვილკიცკის სრუტით. შედის რსფსრ კრასნოიარსკის მხარის ტაიმირის (დოლგან-ნენეცთა) ავტონ. ოკრუგში. შედგება ოთხი დიდი (ოქტომბრის რევოლუციის კუნძული, ბოლშევიკი, კომსომოლეცი, პიონერი) და მცირე კ-ებისაგან. საერთო ფართ. დაახლ. 37 ათ. კმ². ნაპირები ძლიერ დაკლაკნილია და ციცაბო. ბევრია ფიორდისებრი ყურე. აგებულია დანალექი (ქვიშაქვები, მერგელები, კირქვები), მეტამორფული და ამონთხეული ქანებით. ჭარბობს პლატოსებრი და გორაკ-ბორცვიანი რელიეფი. არის ვაკეები. მყინვარის გუმბათები. ჰავა ტიპური არქტიკულია. საშ. წლ. ტემპ-რა—14°C. იცის ძლიერი ქარი. იანვ. საშ. ტემპ-რა —28, —30°C, ივლ. —0,5-იდან — 1,6°C-მდე. ზაფხულში ხშირია ნისლი. ნალექები 150—450 მმ წელიწადში. გამყინვარების საერთო ფართ. 17472 კმ². გაბატონებულია არქტიკული უდაბნოს ლანდშაფტი. ქვიშიან და ღორღიან არქტიკულ ნიადაგზე ხარობს ხავსები, ლიქენები და ზოგიერთი ყვავილოვანი მცენარე. ცხოველებიდან ბინადრობს: ლემინგი, ყარსაღი, თეთრი დათვი, სამხრ. კ-ებზე — ჩრდილოეთის ირემი, ზღვებში — გრენლანდიის სელაპი, მორჟი, თეთრი დელფინი. ფრინველთა ბაზრები. ჩ. მ. 1913 აღმოაჩინა რუსმა ჰიდროგრაფის ბ. ვილკიცკის ექსპედიციამ. 1930—32 გამოიკვლია არქტ. ინ-ტის ექსპედიციამ (გ. უშაკოვი, ნ. ურვანცევი).

**ჩრდილოეთის ომი 1655—60,** შვეციისა და მისი მოკავშირეების ომი რეჩ პოსპოლიტასა და მის მოკავშირეებთან. მიმდინარეობდა 1654—67 რუს.-პოლ. ომის დროს. შვეციის ჯარებმა დაიკავეს თითქმის მთელი პოლონეთი, აგრეთვე ლიტვ. ნაწილი. რუსეთთან დადებულმა დროებითმა ზავმა და რუს.-შვეციის 1656—58 ომის დაწყებამ ხელი შეუწყო აჯანყებულ გლეხთა მიერ შვედ დამპყრობთა განდევნას, მაგრამ 1656 ზაფხულში შვედებმა ბრანდენბურგთან ერთად კვლავ დაიკავეს ვარშავა. 1657 დანია შვეციის წინააღმდეგ ომში ჩაება და რეჩ პოსპოლიტა გათავისუფლდა შვედების ოკუპაციისაგან. შვეციამ ვერ შეძლო დანიის საბოლოო დამარცხება, რადგან დანიას მხარი დაუჭირეს რეჩ პოსპოლიტამ და მისმა მოკავშირეებმა — ავსტრიამ, ბრანდენბურგმა და ნიდერლანდებმა. 1660 რეჩ პოსპოლიტამ დადო ზავი შვეციასთან სტატუს-კვოს პირობით, რომ დაეკავებინა რუსეთთან ხელახლა შეერთებული უკრაინა და ბელორ. დიდი ნაწილი, რ-იც რუს. ჯარებს ეკავა. 1658 რეჩ პოსპოლიტამ განაახლა ომი რუსეთთან და რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა შვეციასთან არახელსაყრელ კარდისის ზავზე (1661).

**ჩრდილოეთის ომი 1700—21,** რუსეთის ომი შვეციის წინააღმდეგ ბალტიის ზღვაში გასასვლელის მოსაპოვებლად. XVII ს-ში მთელი რიგი ომების შედეგად შვეციამ ხელთ იგდო ბალტიისპირეთი (ლიფლიანდია, ესტლანდია), კ-ები ეზელი, გოტლანდი, ჩრდ. გერმ. მნიშვნელოვანი ტერიტ. მდ-ების ოდერისა და ელბის შესართავებითურთ და გაბატონდა ბალტიის ზღვაზე. XVII ს. ბოლოს შვეციამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი არმია და ფლოტი. იგი მიისწრაფოდა ნოვგოროდის, ფსკოვის, ოლონეცის, არხანგელსკის დაპყ-

რომისაკენ რუსეთისათვის ომის მთავარი მიზანი — ბალტიის ზღვაში გასასვლელის მოპოვება — გულისხმობდა აგრეთვე შვეციის მიერ XVII ს-ში მიტაცებული რუს. მიწა-წყლის დაბრუნებას. შვედეთის შემდგომი ექსპანსიის შეჩერებას. ამასთან შვედეთთან ომი რუსეთისათვის იყო ისტ. აუცილებლობა. უპასუხებდა ეროვნ. ინტერესებს, ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. საერთო ჩამორჩენილობის დაძლევას და მისი უშიშროების განმტკიცებას რუს. მხარეზე სხვადასხვა დროს ომში მონაწილეობდნენ დანია, საქსონია (1699 დაიდო „ჩრდილოეთის კავშირი", რ-შიც შედიოდნენ რუსეთი, დანია და საქსონია), რეჩ პოსპოლიტა. პრუსია და სხვ. შვეციას ეხმარებოდა ინგლისი, რ-საც მტრული პოზიცია ეკავა რუს. მიმართ. 1700 რუს. დიპლომატიამ მიაღწია ზავს ოსმალეთთან („კონსტანტინოპოლის ზავი"), რითაც უზრუნველყო ქვეყნის სამხრ. საზღვრების უშიშროება. რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო აგრეთვე ევრ. სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი, რ-მაც გამოიწვია ხანგრძლივი ომი ესპ. მემკვიდრეობისათვის (1701 — 14). შვეციის ახალგაზრდა მეფემ კარლ XII-მ ომის დასაწყისშივე დაამარცხა დანია, ინგლ.-ჰოლანდ. ფლოტის დახმარებით გადასხა დესანტი კოპენჰაგენთან და შეაწყვეტინა მას საომ. მოქმედება. პეტრე I-მა მხოლოდ ოსმალეთთან დაზავების შემდეგ (ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა აზოვის დაკარგვას და აჭიანურებდა ზავის ხელმოწერას) შეძლო 1700 წ. 19 (30) აგვ. გამოეცხადებინა ომი შვეციისათვის. რუს. არმიამ (დაახლ. 35 ათ. ჯარისკაცი, 145 ქვემეხი), რ-იც რაოდენობრივად და შეიარაღების მხრივ ჩამორჩებოდა შვეციისას, დაიწყო ნარვის გარემოცვა, რაც გვიან შემოდგომამდე გაგრძელდა. კარლ XII-მ პერნოვთან (პიარნუსთან) გადასხა დესანტი (დაახლ. 32,5 ათ. ჯარისკაცი, 37 ქვემეხი) და 19 (30) ნოემბ. ნარვის ბრძოლაში დაამარცხა რუს. არმია (შედგებოდა უმეტესად ახლად გაწვეული არასაკმარისად გაწვრთნილი რეკრუტებისაგან, ოფიცრობის უმეტესობა დაქირავებული უცხოელი იყო). ნარვის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ კარლ XII-მ, რ-საც რუსეთი დამარცხებულად მიაჩნდა, თავისი ძალები ავგუსტ II-ის წინააღმდეგ მიმართა. მაგრამ ამ დროს, როდესაც პეტრე I-ის თქმით, კარლ XII „პოლონეთში ჩაეფლო", რუსეთში გატარდა ენერგიული ზომები ნარვის ბრძოლის მძიმე შედეგების სალიკვიდაციოდ. სარეკრუტო გაწვევა, რ-იც 1699 შემოიღეს, არმიის შევსების მთავარი წყარო გახდა. პეტრე I-მა უსწრაფესად აღადგინა არმია (40 ათ. ჯარისკაცი, 300 ქვემეხი) 1708 არმიის პირადი შემადგენლობა 113 ათ-მდე გაიზარდა. დიდი ყურადღება მიექცა არმიის გაწვრთნა-აღჭურვას. ჯერ 1701 წ. 9 (21) დეკ. ერასტფერის კორპუსმა (სარდალი ბ. შერემეტევი) მოიპოვა პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება შვედებზე (ვენ. გ. შლიპენბახის კორპუსი) ერესტფერის (დერპტთან ახლოს) ბრძოლაში, იმავდროულად რუს. არმიის შენაერთებმა (სარდალი თ. აპრაქსინი) დაამარცხეს შვედები მდ. იჟორაზე და აიძულეს ისინი დაეხიათ ნიენშანცისაკენ (მდ. ნევის შესართავი). 1702 წ. 11 (22) ოქტ. პეტრე I-მა აიღო ციხესიმაგრე ნოტებურგი (ძვ. რუს. ორეშოკი), რ-საც „შლისელბურგი" (ქალაქ-გასაღები) დაარქვა, 1703 გაზაფხულზე — ნიენშანცი, იამბურგი და კოპორიე, ხოლო 16 (27) მაისს მდ. ნევის შესართავთან საფუძველი ჩაუყარა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეს, რ-ითაც დასაბამი მიეცა რუს. ახ. დედაქალაქის პეტერბურგის (ახლანდ. ქ. ლენინგრადი) დაარსებას. მოუხედავად რუს. არმიის დახმარებისა, ავგუსტ II შვედებთან ბრძოლაში დამარცხდა. 1706 ალტრანშტედტის ზავით უარი თქვა პოლ. გვირგვინზე (პოლ. მეფე გახდა კარლ XII-ის მოკავშირე პოზნანელი ვოევოდა სტანისლავ ლეშჩინსკი) და გამოეყოდა ჩრდილოეთის კავშირიდან. ამის შემდეგ ძლიერ მტერთან ომის მთელი სიმძიმე უმოკავშირეებოდ დარჩენილ რუსეთს დააწვა. პოლონეთსა და საქსონიაში მიღწეული გამარჯვებათა შემდეგ, 1708 ზაფხულში, კარლ XII-ის არმიამ დაიწყო შეტევა (მოგილიოვიდან) იმ მიზნით, რომ სმოლენსკის გავლით მოსკოვი აეღო. მაგრამ ადგილ. მოსახლ. წინააღმდეგობამ და საშიშროებამ, რ-საც შვედების გზაზე განლაგებული შერემეტევის არმია უქმნიდა, აიძულა კარლ XII გადაეხვია სამხრ.-დს, სადაც მას უკრ. ჰეტმანი, მოღალატე მაზეპა უცდიდა. კარლ XII-ს რუს. წინააღმდეგ თხშ. და ყირიმის ხანის გამოსვლის იმედიც ჰქონდა. 1708 წ. 28 სექტ. (9 ოქტ.) პეტრე I-მა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სოფ. ლესნაიასთან ბრძოლაში, გაანადგურა ლევენჰაუპტის 16-ათასიანი კორპუსი, რ-იც კარლ XII-თან შესაერთებლად მიდიოდა. ხელთ იგდო უზარმაზარი აღალი (8 ათ. ურემი 3 თვის სამყოფი სურსათით).

27 ივნ. (8 ივლ.) პოლტავის ბრძოლამ 1709 ომის ბედი რუს. სასარგებლოდ გადაწყვიტა. კარლ XII და მაზეპა ოსმალეთში გაიქცნენ. ჩ. ო.-ში დიდი წარმატებით მოქმედებდა რუს. ახალგაზრდა ფლოტი. მისმა დიდმა გამარჯვებებმა განგუტის (1714), ეზელის (1719) და გრენგამის (1720) საზღვ. ბრძოლებში ბოლო მოუღეს შვეციის ბატონობას ბალტიის ზღვაში. შვედები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ფინეთი, მათ მიუხედავად შესაძლებლობა დაეცვათ საკუთარი ტერიტ. რუს. მსხვილი დესანტისაგან. ნიშტადტის საზავო ხელშეკრულებით 1721 დამთავრდა ჩ. ო., რ-მაც დააგვირგვინა რუს. საუკუნოვანი ბრძოლა ბალტიის ზღვაში გასასვლელის მოსაპოვებლად. ჩ. ო.-ში გამარჯვებამ რუსეთი ევროპის ერთ-ერთი დიდ სახელმწიფოდ აქცია.

ლიტ.: Шутой В. Е., Северная война (1700—1721), М., 1970.

რ. სიკინჭალაშვილი.

**ჩრდილოეთის პოლარული ზღვა,** *ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ძველი* (1935-მდე) სახელწოდება. „არქტიკულ ოკეანესთან", „არქტიკულ ზღვასთან" და სხვ. სახელწოდებებთან ერთად იხმარებოდა XVIII ს-იდან XX ს. დასაწყისამდე.

**ჩრდილოეთის საბჭო** (Nordisk Rad), ჩრდ. ევროპის ქვეყნების — დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, ფინეთის, შვეციის პარლამენტების საკონსულტაციო რეგიონალური ორგანიზაცია, რ-ის მუშაობაში მონაწილეობენ (სათათბირო ხმით) მთავრობათა წარმომადგენლებიც. საბჭოში პარლამენტების დეპუტატებს ირჩევენ ერთი წლით (გადამწყვეტი ხმის უფლებით). ჩ. ს-ს განსახილველ საკითხთა წრე არ არის შემოფარგლული, მაგრამ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მისი წევრ-ქვეყნები თავს არიდებენ სამხ.-პოლიტ. პრობლემათა განხილვას. დაარსდა 1952. ჩ. ს-ში 1956 შეიტანა ფინეთი. წევრ-ქვეყნების თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრა „ჰელსინკის კონვენციამ" — (ხელმოწერილია 1962, გადაისინჯა 1971). ჩ. ს. აძლევს რეკომენდაციებს მთავრობებისათვის. 1971 ჩ. ს-ს ფარგლებში შეიქმნა ჩრდილოეთის ქვეყნების საკოორდინაციო მინისტრთა საბჭო, 1972 — მუდმივი სამდივნო. ჩ. ს-ს ბეჭდვითი ორგანოა ყოველთვიური „ნორდისკ კონტაქტი" („Nordisk kontakt", გამოდის სტოკჰოლმში 1956-იდან).

**ჩრდილოეთის საზღვაო გზა,** სსრკ-ის ჩრდ. სანაპიროს გასწვრივ გამავალი სანაოსნო მაგისტრალი. გაუყვება ჩრდ. ყინულოვანი ოკ. ზღვებს და აერთიანებს სსრკ ევრ. ნაწილისა და შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნავსადგურებსა და სანაოსნო მდინარეების შესართავებს ერთიან სატრანსპ. სისტემაში. ჩ. ს. გ. არის მთავარი საზღვაო კომუნიკაცია არქტიკაში. ჩ. ს. გ. უმოკლესი გზაა ევრ. და შორეული აღმოსავლეთის ნავსადგურებს შორის. ყინულიანი ტრასის სიგრძეა 5610 კმ. არქტიკული ზღვების დიდი ყინულიანობის გამო ტრასაზე ნაოსნობა მეტად გართულებულია. სატრანსპ. გემების გაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ყინულმჭრელების თანხლებით.

ჩ. ს. გ-ის ათვისების ისტორია იწყება XI—XIII სს-ში პოლარული ზღვების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა მ. ლომონოსოვმა, რ-იც სწავლობდა ჩრდ. ყინულოვან ოკეანესთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი შედეგები მიაღწიეს ს. დეჟნიოვის, ვ. ბერინგის, ვ. ჩიჩაგოვის, ი. ბილინგსის, გ. სარიჩევის, პ. ანჟუს, ფ. ვრანგელის, თ. ლიტკეს, გ. სედოვის, პ. პახტუსოვისა და ა. ცივოლკოს ექსპედიციებმა, რ-ებმაც დაასაბუთეს ჩ. ს. გ-ით ნაოსნობის შესაძლებლობა. 1878—79 შვეციის ექსპედიციამ ნ. ნორდენშელდის ხელმძღვანელობით პირველად გაიარა (გამოიზამთრა ჩუკოტკის ნ.-კ-თან) ჩ. ს. გ. 1913—15 ბ. ვილკიცკიმ ორი გემით გზაში გამოზამთრებით გაიარა ჩ. ს. გ. აღმ-იდან დას-ით. ამავე პერიოდში ჩატარდა უცხოელი მკვლევარების — ფ. ნანსენის, ფ. ნაისენისა და რ. ამუნდსენის ექსპედიციებიც.

ოქტ. რევ. შემდეგ დაიწყო ჩ. ს. გ-ის გეგმაზომიერი ათვისება 1932 ყინულმჭრელმა „ა. სიბირიაკოვმა" პირველად გაიარა გზა არხანგელსკიდან ბერინგის სრუტემდე ერთი ზაფხულის განმავლობაში. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ო. შმიდტი. შემდგომში გემებმა „ჩელიუსკინმა" (1933) და „ლიტკემ" (1934) დაამტკიცეს ჩ. ს. გ-ის ათვისების რეალურობა. 1932 შეიქმნა „გლავსევმორპუტის" სამმართველო, რ-საც დაევალა ჩ. ს. გ-ის გაყვანა თეთრი ზღვიდან ბერინგის სრუტემდე, მისი მოწყობა და ტვირთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამისათვის შეიქმნა სპეც. ყინულმჭრელებისა და სატრანსპ. გემების ფლოტი. დაიწყო გზის გასწვრივ სოციალ. ინდუსტრ. კერების შექმნა, აშენდა ნავსადგურები დიქსონი, პევეკი, პროვიდენია და სხვ.

ჩ. ს. გ-ს ემსახურება მძლავრი ყინულმჭრელები „მოსკვა", „ლენინგრადი", ატომური ყინულმჭრელები „ლენინი", „არქტიკა", „სიბირი", თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზღვაო ნავსადგურები, პოლარული სადგურებისა და ობსერვატორიების ფართო ქსელი 1970 საზღვ. ფლოტის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ჩ. ს. გ-ის მთავარი ადმინისტრაცია, რ-ის მოვალეობაა განახორციელოს სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა გზის რაციონალურ გამოყენებაზე, უზრუნველყოს არქტიკული ნაოსნობის ორგანიზაცია, ნაოსნობის უსაფრთხოება და ზღვის გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვა.

**ჩრდილოეთის სოსვა,** მდინარე რსფსრ ტიუმენის ოლქში, პატარა ობის (ობის ტოტი) მარცხ. შენაკადი. სიგრძე 754 კმ, აუზის ფართ. 98,3 ათ. $კმ^2$. წარმოიქმნება მდ-ების დიდი და პატარა სოსვის შეერთებით, რ-თაც სათავე აქვთ ჩრდ. ურალის აღმ. კალთაზე. მიედინება დას. ციმბირის ვაკის ჩრდ.-დას. ნაწილში, ფართო დაჭაობებულ ხეობაში, ქვემოთში კი — ობის პარალელურად. ტოტებით დაკავშირებულია პატარა ობთან. შერეული საზრდოობის მდინარეა. ჭარბობს თოვლის წყალი წყალდიდობა იცის მაის—სექტ-ში. წყლის საშ. ხარჯი 860 $მ^3$/წმ. იყინება ოქტ.-ნოემბ-ში, ყინულდგომაა აპრ.-მაისში. ხე-ტყის დაცურება. სანაოსნოა ქვემოთში.

**ჩრდილოეთის სპორადები** (Boreiai Sporades), კუნძულთა ჯგუფი (77 კ. და მრავალი შვერილი) ეგეოსის ზღვაში

ская Республика), ჩ უ ვ ა შ ე თ ი, შედის რსფსრ შემადგენლობაში. 1920 წ. 24 ივნ. შეიქმნა ჩუვაშეთის ავ; 1925 წ. 21 აპრ. გარდაიქმნა ასსრ-დ. მდებარეობს აღმ. ევრ. ვაკეზე, ვოლგის მარჯვენასანაპიროზე, მის შენაკადებს — სურასა და სვიაგას შორის. ფართ. 18,3 ათ. კმ². მოსახლ. 1316 ათ. კაცი (1986). დედაქალაქი — ჩებოქსარი. რესპუბლიკაში 21 რ-ნი, 9 ქალაქი და 7 დაბაა.

ჩუვ. ასსრ სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფოა. მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია ჩუვ. ასსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიაზე 1978 წ. 31 მაისს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო, რ-იც ირჩევს თავის პრეზიდიუმს, მუდმივმოქმედ ორგანოს — ჩუვ. ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლეს საბჭოს ირჩევს მოსახლ. 5 წლის ვადით. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო (მთავრობა), რ-საც ქმნის ჩუვ. ასსრ უმაღლესი საბჭო. სახელმწ. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია საოლქო, საქალაქო, ქალაქის რ-ნების, სადაბო, სასოფლო სახ. დეპუტატთა საბჭოები, რ-თაც ირჩევს მოსახლ. ორწელიწადნახევრის ვადით. სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში ჩუვ. ასსრ წარმოდგენილია 11 დეპუტატით.

**ბუნება.** მარჯვენასანაპირო უკავია ვოლგისპირა მაღლობს; მისი ჩრდ.-აღმ. ნაწილია ჩუვაშეთის პლატო (სიმაღლე 175—227 მ), რ-იც ციცაბოდ ეშვება ვოლგის ნაპირისაკენ. პლატოს ზედაპირი ძლიერ დანაწევრებულია ხრამებითა და ხევებით. მარცხენანაპირეთი, ე. წ. ვოლგისპირეთი წარმოადგენს ვაკეს (სიმაღლე 60—70 მ).

ჰავა ზომიერად კონტინენტურია, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რაა — 12,7°C, ივლ. 19,3°C, ნალექები 460—600 მმ წელიწადში.

მდ-ები ვოლგის აუზს განეკუთვნება. მთავარი შენაკადებია სურა, ცივილი, ანიში. არის კარსტული და ჭალის ტბები.

კორდიან-ეწერი და ტყის ნაცრისფერი ნიადაგები გავრცელებულია ჩრდ. რ-ნებში და წყალგამყოფებზე, გამოტუტვილი შავმიწა ნიადაგი—სურისპირეთის ნაწილში და რესპ. სამხრ.-აღმ-ში. ტერიტ. 32% ტყეს უკავია: ჭარბობს ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე, მუხა, ცაცხვი. ცხოველთა სამყარო: მელა, დათვი, მგელი, შველი, ფოცხვერი, კვერნა, ენოტისებრი ძაღლი, ონდატრა, ციყვი, ზაზუნა, ლოსი და სხვ.

**მოსახლეობა.** ჩ-ის ძირითად მოსახლეობას ჩუვაშები შეადგენენ (888 ათ. კაცი, 1979, აღწერა). ცხოვრობენ აგრეთვე რუსები (338 ათ.), თათრები (36 ათ.), მორდველები (20 ათ.), უკრაინელები (4 ათ.), მარიელები (2,5 ათ.) და სხვ.

ჩ-ის მოსახლ. 1926 შეადგენდა 891 ათ. კაცს, 1939 წ. — 1078 ათ., 1959 წ.—1098 ათ., 1970 წ.—1224 ათ., 1985 წ.—1316 ათ. კაცს. საშ. სიმჭიდროვეა 71,9 კაცი 1 კმ²-ზე (1986). ქალაქის მოსახლ. წილი 5-იდან (1926) 54%-მდე (1985) გაიზარდა. ქ-ები: ჩებოქსარი, ალათირი, მარიინსკი-პოსადი, ცივილსკი, იადრინი; საბჭ. პერიოდში შეიქმნა ქ-ები ნოვოჩებოქსარსკი, კანაში, შუმერლია, კოზლოვკა.

**ისტორიული ნარკვევი.** ჩ-ის ტერიტორიაზე შემონახულია შუა პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ძეგლები. ამ უკანასკნელის დასასრულს აქ გამოჩნდნენ ფინ.-უგრ. ტომები. ბრინჯაოს ეპოქაში დაიწყო ფატიანოვის კულტ. ტომების შემოჭრა. ადრინდ. რკინის ხანაში აქ დასახლ. ტომებში თავი იჩინა პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლამ. X ს-ში ჩამოყალიბდა პირველი სახელმწ. წარმონაქმნი შუა ვოლგისპირეთისა — ვოლგა-კამის ბულგარეთი (იხ. ბულგარეთი ვ ო ლ გ ა-კ ა მ ი ს ა). იგი XIII ს. 30-იან წლებში დაიპყრეს მონღოლებმა და შევიდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში. ბულგ., მოსახლ. და ფინ.-უგრულთა შერევის შედეგად XI ს-ში ჩამოყალიბდა ჩუვაში ხალხი. XV ს. დამდეგს ოქროს ურდო დაიშალა, წარმოიქმნა ყაზანის სახანო, რ-ის ძალაუფლების ქვეშ სხვა ხალხებთან ერთად ჩუვაშებიც აღმოჩნდნენ. 1551 ჩუვაშები ნებაყოფლობით შევიდნენ რუს. შემადგენლობაში, რასაც მათთვის პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა; მშრომელთა მასები განთავისუფლდნენ ყაზანის ფეოდალთა ჩაგვრისაგან, შეწყდა გამანადგურებელი ომები და მომთაბარე ტომთა თავდასხმები. რუს. გლეხობის გავლენით გაიზარდა ჩუვაშთა სოფ. მეურნ., აღმოცენდა სხვადასხვა სახის საწარმოები და სხვ. XVIII ს. 30-იან წლებში ჩუვაში გლეხები სახელმწ. გლეხთა რანგში შეიყვანეს. ჩუვაში მშრომელი მასები აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხთა ომებში (ს. რაზინი, ე. პუგაჩოვი). XIX ს. I ნახევარში ფეოდ.-ბატონყმური წყობის დაშლა და კრიზისი ჩ-საც შეეხო.

1902—04 სხვადასხვა ქ-ში შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები ჩ-ის მშრომელები აქტ. მონაწილეობდნენ 1905—07 რევოლუციაში.

კაპიტალიზმის განვითარება, ჩუვაშების რუსებთან და სხვა ხალხებთან კავშირი ხელს უწყობდა მათი მატერ. და სულიერი კულტ. ზრდას. 1870 მეფის მთავრობა იძულებული იყო ნება დაერთო, სწავლა დაწყებით სკოლაში ჩუვაშურ ენაზე ყოფილიყო. ჩუვაშთა განათლების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სიმბირსკის გუბ. სახ. სასწავლებლების ინსპექტორმა ი. ულიანოვმა (ვ. ი. ლენინის მამა) და ჩუვ. სკოლების ინსპექტორმა ი. იაკოვლევმა.

1917 წ 30 ოქტ (12 ნოემბ.), საბჭ. ხელისუფლება დამყარდა ჩებოქსარში, ხოლო 1918 იანვ-ში — სხვა ქ-ებში, იმავე წლის მარტში კი — საოლქო ცენტრებსა და სოფლებში. სამოქალაქო ომის (1918—20) პერიოდში ჩ-ის მშრომელები იბრძოდნენ ფრონტებზე თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. მ. შ. იყო ჩ-ის მკვიდრი — ლეგენდარული ვ. ჩაპაევი და სხვ. 1920 წ. 24 ივნ შეიქმნა ჩუვ. ავტონ. ოლქი (ჩაო), დედაქალაქი — ჩებოქსარი. 1925 წ 21 აპრ გარდაიქმნა ჩუვ. ასსრ-დ. ომამდელი ხუთწლედების პერიოდში ლენინური ეროვნ. პოლიტიკის განხორციელებამ მოიტანა სოციალ. ინდუსტრიალიზაცია, სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია და კულტ. რევოლუცია, მოისპო ჩუვაში ხალხის ფაქტობრივი უთანასწორობა და ჩუვაში ხალხი სოციალ. ერად ჩამოყალიბდა.

დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს ჩუვაშმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. 75 მეომარს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება, 54 ათ-მდე კაცი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. ომის შემდგომ წლებში ჩ-მა ახ. წარმატებებს მიაღწია; 58 კაცს (მ. შ. ერთს—ორჯერ) მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება.

1936 რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1970—ოქტ. რევ. ორდენით, 1972 — ხალხთა მეგობრობის ორდენით, 1974 — შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სახალხო მეურნეობა.** სოციალ. მშენებლობის წლებში ჩ. მრავალდარგოვანი მრეწვ. და განვითარებული სოფ. მეურნ. რესპუბლიკად გადაიქცა. მრეწვ. პროდუქციის მოცულობა 1941—85 წლებში თითქმის 50-ჯერ გაიზარდა. მოქმედებს 200-ზე მეტი სამრეწვ. საწარმო. არის თესები (ჩებოქსარში, ნოვოჩებოქსარსკში, ალათირში, კანაშში, შუმერლიაში), რ-ებიც სსრკ ევრ. ნაწილის ერთიან ენერგოსისტემაში შედიან. შენდება ჩებოქსარის ჰესი ვოლგაზე (1985)

მანქანათმშ. უმთავრესად შრომატევადი პროდუქციისა, ამზადებენ რელეებს, კონტაქტორებს, მაგნ. სადგურებსა და სხვა დაბალი ძაბვის აპარატურას, ტექნოლ. პროცესების რეგულირებისა და კონტროლის ხელსაწყოებს, ელექტროსაზომ ხელსაწყოებს, ელექტროშემსრულებელ მექანიზმებს, უმაქო სადეტიქრო დაზგებს, სპეციალიზებულ ავტომობილებსა და ავტოფურგონებს და სხვ.; მანქანათმშ. მთავარი ცენტრებია ჩებოქსარი, კანაში, ალათირი, შუმერლია. ქიმ. მრეწვ. სპეციალიზებულია შხამქიმიკატების, საღებრების, ლაქსაღებავების პროდუქციის, პოლიმერული ნაწარმის, საყოფაცხოვრებო ქიმ. პროდუქციის წარმოებაზე და სხვ. მსუბუქ მრეწველობაში მუშაობს ბამბის კომბინატი, წინდა-ტრიკოტაჟის ფ-კა, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება, ქერელის ქ-ნები, ფეხსაცმლის ფ-კები და სხვ. კვების მრეწვ. (ხორცის კომბინატი, მშრალი რძის ქ-ნა, წისქვილკომბინატი და მაკარონის ფ-კა, ლუდისა და სპირტის ქ-ნები) ამუშავებს ძირითადად ადგილ. ნედლეულს. განვითარებულია ტყისა და ხე-ტყის გადამამუშ. მრეწველობა. სამშენებლო ინდუსტრიის ცენტრია ნოვოჩებოქსარსკი (ასაწყობი რკინაბეტონის, აგურის, კერამზიტის, კერამ. ბლოკების და სხვა სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების წარმოება)

სოფ. მეურნეობისათვის დამახასიათებელია განვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ნათესი ფართ. შეადგენს (1985) 732,4 ათ. ჰა-ს ჩ-ში მოჰყავთ საგაზაფხულო ხორბალი, ჭვავი, შვრია, წიწიბურა, ბარდა, ტექ. კულტურებიდან — სვია, კანაფი. ფართოდ განვითარებულია მებაღეობა. 1985 წ. 1 იანვ-თვის ჩ-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 556,9, აქედან ძროხა — 217,8, ღორი — 573,4, ცხვარი და თხა — 439,6 რკინიგზის საექსპლუატაციო სიგრძეა 429 კმ (1980) ძირითადი სარკინიგზო ხაზები გადაკვეთილია კანაშში, საიდანაც ქმნიან დიდ სარკინიგზო კვანძს კანაში—ალათირი, კანაში—არზამასი, კანაში—ყაზანი, კანაში — ჩებოქსარი. სანაოსნო მდ-ებია ვოლგა და სურა.

ჩ სსრკ სხვა რ-ნებში აგზავნის მანქანებს, ქიმ ინდუსტრ პროდუქციას, ქსოვილებს, ტანსაცმელს, სვიასა და სხვ., სხვა რ-ნებიდან შემოაქვს სამრეწვ. მოწყობილობა, სას.-სამ. ტექნიკა, ლითონი, სათბობი და სხვ.

ჩ-ის მოსახლ. კეთილდღეობა სისტემატურად იზრდება 1985 აშენდა საცხოვრ. სახლები, რ-თა საერთო ფართ 543,5 ათ მ² შეადგენს იზრდება სოც. დაზღვევისა და საბჭოთა უზრუნველყოფის ფონდები

**სახალხო განათლება** 1914/15 სასწ წ რესპ ტერიტორიაზე იყო 463 ზოგადსაგან-



დ. ჩუვაში



ბ. ჩუვაკოვი

ჩუვაშეთის ასსრ




1- ულიანოვსკის ოლქი

წინ სკოლა (29,9 ათ. მოსწ.) და 2 საშ. სპეც. სასწავლებელი (140 მოსწ.). 1985 წ. 350-მდე სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 70-ათ-მდე აღსაზრდელი, ყველა სახის 750-ზე მეტ სკოლაში სწავლობდა 210,6 ათ. მოსწ., 30-მდე საშ. პროფტექ. სასწავლებელში — 17,4 ათ., 24 საშ. სპეც. სასწავლებელში — 24,4 ათ. მოსწ., უმაღლეს სასწავლებლებში (ჩუვაშეთის უნივერსიტეტში, სას.-სამ. და პედ. ინ-ტებსა და მოსკ. საკოოპერაციო ინ-ტის დაუსწრებელ ფაკ-ტზე) — დაახლ. 17,9 ათ. სტუდენტი. მოქმედებდა 60-ზე მეტი სკოლისგარეშე დაწესებულება. მუშაობდა 749 მასობრივი ბ-კა (10,1 მლნ. წიგნი და ჟურნალი). ჩ-ის სამხატვრო გალერეა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჩებოქსარში, კანაშის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; 1,1 ათ. საკლუბო დაწესებულება; 1,2 ათ-ზე მეტი კინოდანადგარი.

ჩ-ში ყოველწლიურად გამოდის 200-ზე მეტი დასახელების წიგნი და ბროშურა, რამდენიმე დასახელების ჟურნალი და გაზეთი ჩუვ. და რუს. ენებზე.

ხორციელდება საკავშ. რადიოს 3 პროგრამის ტრანსლაცია. ადგილ. რადიომაუწყებლობის გადაცემები მიმდინარეობს ჩუვ. და რუს. ენებზე.

**ლიტერატურა** ჩ-ის მდიდარი ზეპირსიტყვიერების პირველი ნიმუშების ჩაწერა XVIII ს-ში დაიწყო. პირველი ჩუვაში მწერალია ისტორიკოსი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ს. მიხაილოვი (1821—61), პირველი ჩუვ. წიგნია ი. იაკოვლევის (1848—1930) მიერ შედგენილი „ანბანი ჩუვაშებისათვის“ (1872). ჩუვ. ლიტ-რის პირველი წარმომადგენლები იყვნენ ი. ივანოვი (1848—85), ი. იურკინი (1863—1943). პოეტმა მ. ფედოროვმა (1848—1904) საფუძველი ჩაუყარა კრიტ. რეალიზმს. რევოლუციამდელი ეროვნ. პოეზიის მწვერვალია კ. ივანოვის (1890—1915) პოემა „ნარსპი“ (1908).

1920-იან წლებში ჩაისახა რუს.-ჩუვ. პოეზია. საბჭ. ჩუვ. პოეზიის ფუძემდებელია მ. სესპელი (მ. კუზმინი, 1899—1922), განვითარდა პროზა. 30-იანი წწ. სოციალ. რეალიზმის დამკვიდრების პერიოდი იყო. 40-იან წლებში, კერძოდ, სამამულო ომის დროს, იქმნებოდა პატრ. ნაწარმოებები. ომის შემდგომი პერიოდის და თანამედროვე თხზულებებში ასახა მუშათა კლასისა და სოფ. მშრომელთა ცხოვრება (მწერლები ი. უხსაი, დ. 1911, ლ. აგაკოვი, 1910—77, ი. ტუკტაში, 1907—87, ა. ვორობიოვი, 1922—76; გ. ეფიმოვი, დ. 1926; ა. ემელიანოვი, დ. 1932, გ. კრასნოვი, დ. 1936, და სხვ.).

**ხელოვნება** ჩ-ის ტერიტორიაზე მიკვლეულია პალეოლითის ხანის უძველესი არქეოლ. ძეგლები, ავრორის ნასახლარები, სამარხები, ნაშთები, ყორღანები. შემორჩენილია ვოლგის ბულგარელთა ნასახლარები (X—XII სს.). რუს. სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ (XVI ს. მეორე ნახ.) რუს. გამაგრებული პუნქტები — ალატირი, ჩებოქსარი, ცივილსკი, იადრინი — თანდათან იქცა რუს. ტიპის ქ-ებად, რ-ებშიც შენდებოდა ტაძრები, საცხოვრ. სახლები. XIX ს. II ნახევარში იგრძნობა რუს. ხალხ. ხუროთმოძღვრების გავლენა. სახლებს იმკობდნენ კვეთილი ჩუქურთმით და მცენარეული სტილის ორნამენტით. საბჭ. პერიოდში აშენდა საბჭოების სახლი (1940, არქიტ. მ. ბაზილევიჩი), ჩუვ. მუს.-დრამ. თეატრი (1961, არქიტ. ა. მაქსიმოვი — ყველა ჩებოქსარში). ჩებოქსარისა და ნოვოჩებოქსარსკში შეიქმნა მრავალსართულიანი მსხვილპანელიანი სახლებით განაშენიანებული ახ. საცხოვრ. მასივები. ხალხ. შემოქმედების დარგთაგან გავრცელებულია ფეიქრობა, ქარგვა, საწესჩვეულებო ნივთების დამზადება, მძივებით შემკული ნაკეთობანი. საბჭ. პერიოდში შეიქმნა საბჭ. ხელოვნება, რ-ის ფუძემდებლებიც იყვნენ ფერმწერები მ. სპირიდონოვი, ნ. სვერჩკოვი, ი. ზაიცევი, მოქანდაკე გ. სპირიდონოვი, თეატრის მხატვარი კ. ვასილიევი. ხელოვნ. დარგებიდან განვითარებულია თემატური ფერწერა, პეიზაჟი, პორტრეტის ჟანრი, ნატურმორტი, პლაკატი, ქანდაკება, მონუმ.-დეკორ. და თეატრ.-დეკორ. ხელოვნება, გრძელდება ხალხ. ქარგვის ტრადიციები (ფაბ-კა ჩებოქსარის რ-ნის სოფ. ალგეშევოში).

ჩ-ის ხალხ. სიმღერა გამორჩეული მრავალფეროვნებით (ყოფითი, საწესჩვეულებო, შრომის, სასიყვარულო და სხვ.) გამოირჩევა. იგი ერთხმიანია. ჩ-ის მუსიკის კილოური საფუძველია პენტატონიკა. ხალხ. საკრავებია შაპარი (დუდუკი), კესლე (გუსლი), გარმანი და პალანი (ენკაპანები), პარაპანი (დოლი), ტითლიმი და გარმონი. პროფ. ჩუვ. მუსიკა ოქტ. რევ. შემდეგ ჩაისახა. ჩ-ის პირველი კომპოზიტორები იყვნენ ფ. პავლოვი, ს. მაქსიმოვი, ვ. ვოროპაევი, გ. ლისკოვი. 1959 დრამ. თეატრი გარდაიქმნა ჩუვ. მუს.-დრამ. თეატრად. შემსრულებლებიდან აღსანიშნავი არიან მომღერლები ი. ვასილიევი, ა. ტოქსინა, ა. კაზაკოვა, ტ. ჩუმაკოვა, მ. დენისოვი; საგუნდო დირიჟორები — ფ. პავლოვი, კ. ვორობიოვი, ფ. ლუკინი, ა. ლებედევი, ა. ორლოვ-შუზმი და სხვ. ჩ. ასსრ-ში მუშაობს ჩუვ. მუს. თეატრი, ფილარმონია (1936), სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი (1924), ჩუვ. რადიოსა და ტელევიზიის გუნდი (1943), ხალხ. შემოქმედების სახლი (1936), კომპოზიტორთა კავშირი (1940), ჩებოქსარის სამუსიკო სასწავლებელი (1929), 40 სამუსიკო სკოლა.

ჩ-ის პროფ. თეატრი აღმოცენდა საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში. 1918 ყაზანში სტუდენტებმა, წითელარმიელებმა და მოსამსახურეებმა შექმნეს კოლექტივი, რ-მაც შემდეგში ჩ-ის საბჭ. მოძრავი თეატრის სახელწოდება მიიღო. დასში შედიოდნენ ი. მაქსიმოვ-კოშკინსკი (მოგვიანებით დრამატურგი, ცნობილი თეატრ. მოღვაწე), პ. ოსიპოვი, კ. ვასილიევი და სხვ. თეატრის აღმოცენებამ ხელი შეუწყო ეროვნ. დრამატურგიის შექმნას. დაიდგა პირველი ჩუვ. პიესები ი. მაქსიმოვ-კოშკინსკის „უდროო სიკვდილი“ (1918), ფ. პავლოვის „სასამართლოში“ (1919) და სხვ.; ინტერვენტებთან ბრძოლის პერიოდში (1919), მოქმედებდნენ ჩუვ. დრამ. კოლექტივები სიმბირსკში, უფაში, ყაზანში. 1920 ყაზანიდან თეატრი გადავიდა ჩებოქსარში. 1933 მიენიჭა აკადემიურის წოდება. 1969 გადაკეთდა ჩუვ. მუს.-დრამ. თეატრად და მიენიჭა პოეტ კ. ივანოვის სახელწოდება. 1969 ამ კოლექტივიდან გამოეყო მუს. თეატრი და დრამატულს ეწოდა ჩ-ის კ. ივანოვის სახ. აკად. დრამ. თეატრი. სხვადასხვა წლის სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ვ. რჟანოვის „ეჩტაბი“ (1950), გორკის „მეშჩანები“ (1968), შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ (1970) და სხვ. ჩ-ში მუშაობს აგრეთვე რუს. დრამ. თეატრი (შეიქმნა 1922), ჩუვ. მოზარდ მაყურებელთა თეატრი (შეიქმნა 1933), თოჯინების თეატრი (შეიქმნა 1943).

ლიტ.: В великом содружестве советских народов. Сб. ст., Чебоксары, 1974; История Чувашской АССР, т. 1—2, Чебоксары, 1966—67; История музыки народов СССР, т. 1—5, М., 1970—74; Романова Ф. А., Чувашский театр, წგნ: История советского драматического театра, т. 1—6, М., 1966—71; Российская Федерация. Центральная Россия, М., 1970 (серия «Советский Союз»); Урланкина Н. А., Чувашское советское искусство, [Чебоксары, 1973]; Юрьев М. И., Писатели Советской Чувашии, Чебоксары, 1975.

**ჩუვაშეთის უნივერსიტეტი** ი. ნ. ულიანოვის სახელობისა, დაარსდა 1967 ქ. ჩებოქსარში მოსკ. ენერგეტიკული ინ-ტის ვოლგის ფილიალის (დაარსდა 1960) ბაზაზე. 1983 უნ-ტის შემადგენლობაში იყო მანქანათმშ., ელექტროტექ., ძრეწ. ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის, ფიზ.-მათ., ქიმ., სამშენებლო, ეკონ., ისტ.-ფილოლ., სამედ. ფაკ-ტები; სადამოს, დაუსწრებელი და მოსამზადებელი განყ-ბები, ასპირანტურა; 60 კათედრა, სამეცნ.-კვლ. ცენტრი (350 მეცნ. მუშაკი და საინჟინრო-ტექნ. მუშაკი), სადაც ტარდება სამეცნ. კვლ. ფაკ-ტების სამეცნ. პროფილების შესაბამისად; სარედაქციო-საგამომცემლო განყ-ბა, ბ-კა (700 ათ. ტ.); სწავლობდა 9 ათ.-მდე სტუდენტი, მუშაობდა 660 პროფესორ-მასწავლებელი, მ. შ. 30-ზე მეტი მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 250-ზე მეტი მეცნ. კანდიდატი და დოცენტი.

**ჩუვაშური ენა**, განეკუთვნება ალთაური ენათა ოჯახის თურქულ ენებს. ჩ. ე-ზე ლაპარაკობს 1751 ათ. კაცი (1979, აღწერა). აქვს ორი დიალექტი: ზემო — ვირიალი და ქვემო — ანატრი, რ-ებიც, თავის მხრივ, იყოფიან კილოკავებად. თანამედროვე ჩუვაშური ორთოგრაფიის საფუძველია ფონემური პრინციპი. დამწერლობა ეფუძნება რუს. გრაფიკას. ანბანში 37 ასოა (33 რუს. ანბანისა, 4 დიაკრიტიკული ნიშანი). პირველი ბეჭდური წიგნები შეიქმნა XVIII ს-ში.

ლიტ. Андреев И. А., Чувашский язык, წგნ: Языки народов СССР, т. 2, М., 1966; Материалы по грамматике современного чувашского языка, ч. 1, Чебоксары, 1957.

**ჩუიის სტეპი**, მთათაშორისი ქვაბული ალთაის სამხრ.-აღმ. ნაწილში მდ. ჩუიას ზემო დინებაში, კურაის ქედსა და სამხრ. ჩუიის ქედს შორის. მდებარეობს 1750—2200 მ სიმაღლეზე. სიგრძე 70 კმ-მდე, სიგანე 30—40 კმ. აგებულია მყინვარული და ტბიურ-მდინარეული ნალექებით. უმთავრესად ნახევარუდაბნოებია, გამოყენებულია საძოვრად. ჩ. ს-ზე გადის ჩუიის ტრაქტი ბიისკ-იდან მონღოლეთში.

**ჩუიკოვი** ვასილი ივანეს ძე [31. I (12. II). 1900, სოფ. სერებრიანიე-პრუდი, ახლანდ. მოსკ. ოლქი, — 18. III. 1982, მოსკოვი], საბჭ. მხედართმთავარი, საბჭ. კავშირის მარშალი (1955), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (19. III. 1944 და 6. IV. 1945). სკკპ წევრი 1919-იდან. 1918 აპრილიდან წითელ არმიაში იყო. სამოქალაქო ომის (1918—20) მონაწილე. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1925), ამავე აკად. აღმოსავლური ფაკ-ტი (1927) და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მექანიზაციისა და მოტორიზაციის სამხ. აკადემიასთან არსებული აკად. კურსები (1936). დას. ბელორ. განთავისუფლების და საბჭ.-ფინ. ომის (1939—40) დროს არმიის სარდალი. 1940 დეკ-იდან 1942 მარტამდე სამხ. ატაშე ჩინეთში. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს სტალინგრადის, დონის, სამხრ.-დას., უკრ. III და ბელორ. I ფრონტებზე სარდლობდა არმიებს. 1949—53 საბჭ. ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი გერმანიაში. 1953—60 კიევის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი, 1960-იდან სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე. 1961-იდან ერთდროულად სსრკ სამოქალაქო თავდაცვის უფროსი. 1972-იდან სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენ. ინსპექტორების ჯგუფის გენ. ინსპექტორი. 1961-იდან სკკპ ცკ-ის წევრი (1952-იდან კანდიდატი). სსრკ II—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ჩ. დაჯილდოებულია 9 ლენინის ორდენით, 9 სხვა ორდენით, საპატიო იარაღით (ხმლით) და მედლებით, აგრეთვე უცხოური ორდენებითა და მედლებით.

**ჩუიკოვი** სემიონ აფანასის ძე [17 (30). X. 1902, ფიშპეკი, ახლანდ. ფრუნზე, — 18. V. 1980, იქვე], საბჭ. ფერმწერი, სსრკ სახ. მხატვარი (1963), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1958). სწავლობდა ნ. ხლუდოვთან ქ. ვერნიში (ახლანდ. ალმა-ათა), მოსკოვში უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო-ტექნ. სახელოსნოსა და უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო-ტექ. ინ-ტში (1924—30). მო-

ჩუვაშეთის ასსრ



ნაქარგი ქალის პერანგზე XVIII ს.



მონეტებით ნაქარგი ქალიშვილის ქუდი (ტუხია)



ჩუვაშური ორნამენტის მოტივები



ნაკვეთი ხის ჩამჩები და ხამპა ლუდისათვის

ხელმწ. ინ-ტშია დაჯილდოებულია 5 ორდენითა და მედლებით.

**ჩუხჩარხი,** ჩ უ ხ ჩ ა რ ხ ი, მოხელე ფეოდალურ საქართველოში, ჩ-ის სახელი სამხ ფუნქციასა და მეფის დაცვის საქმიანობას უკავშირდებოდა. იგი იმ მოხელეების უფროსი იყო, რ-ებსაც მეფის დაცვა ევალებოდათ. ჩ მეფეს თან ახლდა მგზავრობის დროს და სხვა მოხელეებთან ერთად მის წინ მიდიოდა. ჩ- ვალდებული იყო პირველს ენახა ის ადგილები, სადაც მეფე უნდა მისულიყო, შემდეგ მობრუნებულიყო და მეფეს წასძღოლოდა. ჩ- დიდი და საპატიო მოხელე იყო ძეგლებში იგი ეჯიბებთან ერთად იხსენიება.

ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970, გვ. 98.

ი. სურგულაძე.



ა. ჩხაიძე

**ჩუხჩუხელასებრნი** (Syrphidae), ორფრთიანი მწერების ოჯახი მოკლეულვაშიანთა ქვერიგისა უფრო ხშირად საშ. ზომისა (6–15 მმ) არიან, იშვიათად დიდებიც (26 მმ-მდე) გვხვდებიან. ოჯახში ათასამდე სახეობაა. ძირითადად ტროპიკებშია გავრცელებული სსრკ-ში 600-მდე სახეობაა ჩ კარგად დაფრინავენ, ხშირად ლივლივებენ ჰაერში დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მცენარეთა (კვრობდ., მრავალი კულტ. მცენარის) დამმტვერავებს. ზოგი ჩ-ის მატლი მცენარეებზე ცხოვრობს და მწერებით იკვებება. ზოგი წყალში ბინადრობს და ხრწნადი ნივთიერებებით, შლამითა და სხვ. საზრდოობს მრავალი ჩ-ის მატლი მცენარეებშია ზოგი „საზოგადოებრივი" მწერების (კრაზანების, ჭიანჭველების) ბუდეში ბინადრობს.

**ჩქამი,** ხმაური, რ-იც წარმოიქმნება საწარმოთქმო ხშვის ან ნაპრალის გადალახვისას. ხშირი სიმებზე ჰაერნაკადის ხახუნით მიღებულ ჩ-ს ეწოდება ა ს პ ი რ ა ც ი ა ანუ ფ შ ვ ი ნ ვ ა. სხვა სამეტყველო ორგანოებით შექმნილ ნაპრალში მიღებული— ფ რ ი კ ა ც ი ა. ზ. ჯაფარიძე.



ვ. ჩხაიძე

**ჩქამიერი,** თანხმოვანი, რ-იც საწარმოთქმო დაბრკოლების (ხშვის, ნაპრალის) დაძლევისას წარმოქმნილი ხმაურით — ჩქამით — ხასიათდება.

სალიტ. ქართულის 33 ბგერიდან 5 ხმოვანია (ა, ე, ი, ო, უ) და 5 სონორია (ვ, ლ, რ, მ, ნ) გარდა ამისა (ბ, გ, დ, ზ, თ, კ, პ, ჟ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ) ჩ-ია. ზ. ჯაფარიძე

**ჩქარული კინოგადაღება,** კინოგადაღება, რ-ის სიხშირეა 600—10000 კადრი წმ-ში. ჩ. კ. წარმოებს კინოგადასაღები აპარატით, რ-საც აქვს კინოფირის წყვეტილი წაწევის მექანიზმი. ჩ. კ. საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს დროის ერთეულში გადასაღები ობიექტის მოძრაობის უფრო მეტი ფაზა, ვიდრე სტანდ. სიხშირით (24 კადრი/წმ) კინოგადაღებისას ჩ. კ-ს იყენებენ როგორც ასახვის ხერხს სხვადასხვაგვარი ფილმების შექმნის პროცესში (მაგ., სპორტ. შეჯიბრების ცალკეულ მომენტებში მოძრაობის ცალკე ფაზის უკეთ დასანახავად), აგრეთვე დარტყმითი ტალღების გავრცელების შესასწავლად და ა. შ.



ი. ჩხაიძე

**ჩქარი,** სწრაფი დინება ვაკის მდინარის წყალმარჩხ კალაპოტში. წარმოიქმნება წყლის ნაკადის მიერ კალაპოტის არაისანაბარი წარეცხვის შედეგად მდინარის ფსკერზე ქვიშის გარდიგარდმო ზვინულის დაგროვების ადგილას ქვიშის ზვინულის დამრეცი კალთა მდინარის აღმა მიმართული, ციცაბო — დაღმა და ნაკადი სწრაფად ეშვება მასზე.

**ჩქვალერი,** სოფელი წალენჯიხის რ-ნში, მდ. ინწრის (ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი) ზემოთში, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჩ., ლეშამუგუ) ზ. დ. 320 მ, წალენჯიხიდან 18 კმ, ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 კმ. კომკავშირის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, ამბულატ., კავშირგაბმ. განყ-ბა. კ. ფოფხაძის სახლ-მუზეუმი

**ჩქონია** დავით ზურაბის ძე [11 (24). 1. 1849, სოფ. საჯიჯით, ახლანდ. გალის რ-ნი, — დაახლ. VII. 1929, სოფ. რეყე, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, დაკრძალულია საბერიოში], აფხაზი მწერალი, მეცნიერი. სტუდენტობაშივე აქტიურად თანამშრომლობდა ქართ. პრესაში, აქვეყნებდა მეცნ. და პუბლიც. წერილებს. ეთნ. ნარკვევებს ქართვ. და აფხ. ხალხის ცხოვრებიდან. 1875-იდან ძიძიშვილმა გ. წერეთელთან მიიწვია თავისი მამულების მმართველად ალმ. საქართველოში, თბილისში მწერალი დაუახლოვდა პროგრ. ქართვ. მოღვაწეთა ახ. თაობას, რ-იც ი. ჭავჭავაძის მეთაურობით იბრძოდა ქართვ. და აფხ. ხალხთა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გასაძლიერებლად. 1876 ჩ-ს ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა — ცარიზმის აგენტების ხრიკებით კატორღა და ციმბირში გადასახლება მიესაჯა, საიდანაც 1906 დაბრუნდა მძიმედ დაავადებული. სამშობლოში დაასრულა ვეფხისტყაოსნის შესახებ ვრცელი მონოგრაფია, რ-იც ამჟამად დაკარგულია. ჩვენამდე მოღწეული მისი მცირე ფრაგმენტი ავლენს ავტორის მაღალ მეცნ. დონეს და განსაკუთრებულ სიყვარულს ქართვ. ხალხის ეროვნ. საუნჯისადმი.

თხზ.: Герои поэмы Руставели и их миросозерцание, «ჩვენი მოამბე», 1946, ტ. 1.

ლიტ.: მ ე ნ ღ ე ლ ა ი ა ი, დავით ჩქონია, სოხ., 1969. ს. ცაიშვილი

**ჩქუმი,** სოფელი ცაგერის რ-ნში (წიფერჩის სოფსაბჭო), მდ. ჯანაულის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში ზ. დ. 680 მ, ცაგერიდან 15 კმ. წიფერჩის კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფელდშერ-სამეანო პუნქტი.

**ჩქუნეთი,** სოფელი სამხ. ოსეთის ავ. ოლქის ლენინგორის რ-ნში (დოღლაურის სოფსაბჭო). მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში ზ. დ. 1700 მ, ლენინგორიდან 36 კმ. სერგო ორჯონიკიძის სახ. ლარგვისის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ლარგვისში (18 კმ).

**ჩქუნი,** სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (სუფსის სოფსაბჭო), გურიის დაბლობზე ზ. დ. 20 მ, ლანჩხუთიდან 23 კმ, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 კმ. სუფსის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. სუფსაში (4 კმ).

**ჩხავერი,** ქართული ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიში. ძირითადი ნარგაობები გავრცელებულია ჩოხატაურისა და მახარაძის რ-ნებში. გვხვდება აგრეთვე ქედის, ქობულეთისა და ვანის რ-ნებში. ვაზი საშ. ინტენსივობით იზრდება. საგვიანო. მწიფდება ნოემბ. II ნახევარში. მტევნის საშ. მასა 95—125 გ. საშ. საჰექტარო მოსავალი 55—80 ც აღწევს. ჩ მაღალხარისხოვანი სადესერტო ჯიშია ღვინო ღია ვარდისფერია, ნაზი, ჰარმონიული, ზომიერად ალკოჰოლიანი, საუკეთესო სადესერტო თვისებები აქვს ჩ-ს შამპანური ღვინის დასამზადებლადაც იყენებენ.

**ჩხაიძე** ალექსანდრე კლავდიუსის ძე (დ. 24 II 1923, ბათუმი), ქართველი საბჭ. მწერალი, დრამატურგი; აჭარის ასსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1973), საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). სკკპ წევრი 1958-იდან. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1951, მოთხრობების პირველი კრებ. — 1955. ჩ-ს ეკუთვნის პროზაული კრებულები „უჩვეულო ლუბლიარი" (1958), „ქორწილი" (1961), „როცა მთავრდება ბავშვობა" (1966), „ზღვის შვილი" (1966), „ქალაქში ერთი ქუჩაა" (1968); აგრეთვე პიესები „ხიდი", „როცა ქალაქს სძინავს", „თავისუფალი თემა", „შთამომავლობა", „ჩინარის მანიფესტი" და სხვ. ზოგი მათგანი დაიდგა საქართვ., და მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე გდრ, პოლ., ბულგ., ჩეხოსლ. თეატრების სცენებზე.

**ჩხაიძე** ვლადიმერ მიხეილის ძე (1922, მისაქციელი, — 7. X 1943, სოფ. ანოვკა, კრინიჩანსკის რ-ნი, დნეპროპეტროვსკის ოლქი), საბჭ. კავშირის გმირი (20. VII. 1943, სიკვდილის შემდეგ), უმცროსი ლეიტენანტი. 1941 გაიწვიეს წითელ არმიაში. 1943 სატანკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იბრძოდა უკრაინაში, იყო 586-ე სატანკო ბატალიონის ტანკის მეთაური. 1943 წ. 2 ოქტ. სოფ. კოლომიისთან სატანკო ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება 1943 წ. 7 ოქტ. გამართულ ბრძოლაში, რომელსაც ჭურვები გამოელია, თავისი ტანკი მტრის ტანკს შეაჯახა და გმირულად დაიღუპა.

ტ. ჩინჩილაკაშვილი

**ჩხაიძე** იოსებ (სოსო) კალისტრატეს ძე (დ. 18 III. 1937, თბილისი), ქართველი საბჭ. რეჟისორი ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). 1969 დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის კინორეჟისორთა ფაკ-ტი (გ. ჩუხრაის სახელოსნო). 1968-იდან დღემდე მუშაობს საქართვ. ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიაში. გადაღებული აქვს ფილმები: „მეთხუთმეტე ზაფხული" (1970), „ძველი ქართული საგალობლები" (1971), „თუში მეცხვარე" [1976—77, ლენინგრ. სატელევიზიო ფილმების საკავშ. ფესტივალის I პრიზი; მანჰაიმში (გფრ) III პრიზი, 1981; რუსთაველის სახ. პრემია, 1979], „მდინარის რეპორტაჟი" (1982, ამავე წლის სატელევიზიო პროგრამების საერთაშ. ფესტივალ „რადუგაზე" მიენიჭა ერთ-ერთი მთავარი პრიზი). 1983 საარბრუკენში (გფრ) ჩ-ს გადაეცა ა. შვაიცერის სახ. მშვიდობის მედალი და პრემია. გ. აბულაძე

**ჩხაიძე** ლამარა ტარასის ასული (დ. 10 VI. 1941), სოფ. აცანა, ლანჩხუთის რ-ნი), ლანჩხუთის რ-ნის სოფ. აცანის კოლ-ბის მეჩაიე. სკკპ წევრი 1962-იდან. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1966 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

**ჩხაიძე** სერგო ალექსანდრეს ძე (12. XII 1919, სოფ. აცანა, ლანჩხუთის რ-ნი, — 1 IV 1971, მახარაძე), საბჭ. კავშირის გმირი (24. III 1945), უფროსი სერჟანტი. სკკპ წევრი 1944-იდან. 1937 დაამთავრა მახარაძის პედ. სასწავლებელი 1939—41 სწავლობდა ბათუმის სახელმწ. თეატრის სტუდიაში 1941 გაიწვიეს წითელ არმიაში იბრძოდა ამიერკავკ., ჩრდ. კავკ. და უკრ. IV ფრონტებზე 1944 მაისში სევასტოპოლის მისადგომებთან გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება 1946—71 მუშაობდა მახარაძის რ-ნში. ჩ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, დიდების III ხარისხის ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი

**ჩხაიძე** ტატიანა ნესტორის ასული (დ. 8 III. 1920, სოფ. შროშა, მახარაძის რ-ნი), სოფ. შროშის კოლ-ბის მეჩაიე სკკპ წევრი 1947-იდან. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1949 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით. ოქტ. რევ., შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით

**ჩხაიძე** შურა მელიტონის ასული (1. III 1923, სოფ. აცანა, ლანჩხუთის რ-ნი, — 28 X 1978, იქვე), სოფ. აცანის კოლ-ბის მეჩაიე-აგროტექნიკოსი. სკკპ წევრი 1946-იდან. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1948 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით

**ჩხაკოურა,** სოფელი ჩოხატაურის რ-ნში (ნაბეღლავის სოფსაბჭო), მდ. გუბაზეულის ხეობაში ზ. დ. 910 მ, ჩოხატაურიდან 33 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 51 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა) რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფელდშერ-სამეანო პუნქტი

დღისით იმალებიან სოროებში და ქვების ქვეშ. იკვებებიან მირითადად ძუძუმწოვრებით. უმრავლესობა კვერცხცოცხალმშობია (ნაშიერები კვერცხის დადებისთანავე იჩეკებიან). ჩ. გ-თა ორ ჩრდილოამერ. გვარს (Crotalus, Sistrurus) კუდის ბოლოზე აქვთ ტყავისებურ-სახეცვლილი ქერცლები, რ-თა ერთმანეთთან ხახუნი სწრაფი ვიბრაციისას მეტად თავისებურ ხმას გამოსცემს (ისმის 30 მ-ზეც). ჩ. გ-თა ოჯახი აერთიანებს 6 გვარსა და 120 სახეობას. სსრკ-ში რამდენიმე სახეობა გვხვდება. მათი ნაკბენი ადამიანებისათვის მეტად საშიშია.

*თ. მუსხელიშვილი.*

**ჩხუბა,** სოფელი დუშეთის რ-ნში (გუდანის სოფსაბჭო), მდ. ხევსურეთის არაგვისა და მისი მარცხ. შენაკადის გუდანისხევის წყალგამყოფის ჩრდ.-დას. კალთაზე, მდ. გორშელამისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 2040 მ, დუშეთიდან 75 კმ. ბარისახოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ბარისახოში (11 კმ).

**ჩხუნჩხონი,** ქალაქი სამხრ. კორეაში, სოიანგანის (მდ. პუქჰანგანის აუზი) ხეობაში. კანგვონდოს პროვ. ადმ. ცენტრი. 155 ათ. მცხ. (1980). სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო, კვების, ქიმ. (მინერ. სასუქები) მრეწველობა.

**ჩხუტელი,** სოფელი ცაგერის რ-ნში (ცაგერის საქალაქო საბჭო), მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 680 მ, ცაგერიდან 1 კმ. კოლ-ბა „განახლება" (მევენახეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს. დასასრულს

**ჩხუტნიერი,** უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის შტოქედ ჩხუტნიერზე. სიმაღლე 3000 მ. აგებულია პალეოზოური მეტამორფული ფიქლებით. დამახასიათებელია სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტი. აკავშირებს მდ-ების ხალედურჩალისა და ადიშისჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადები) ხეობებს.

*ი. უთმელიძე.*

**ჩხუტნიერის ქედი,** ქედი სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ-ების ხალედურჩალისა და ადიშისჭალის წყალგამყოფი. უმაღლესი აღგილია მწვ. ჩხუტნიერი (3036 მ). აგებულია იურული ასაკის ფიქლებით, თიხაფიქლებით და კირქვებით. დამახასიათებელია ალპ. მდელო და სუბნივალური ლანდშაფტები.

*გ. მარგველანი.*

**ჩხუტუნეთი,** აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნის სოფლების ზემო ჩხუტუნეთისა და ქვემო ჩხუტუნეთის ძვ. სახელწოდება.

**ც,** ქართული ანბანის ოცდამეშვიდე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეხუთე) ასო; მისი სახელია „ცანი". გრაფიკული სიმბოლო წინაენისმიერი ფშვინვიერი სისინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴚ, ნუსხურში — ⴚ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ორიათასს (2000).

ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია ასო ც-ს გრაფიკული მოხაზულობის განვითარების ამსახველი ასოს ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახისა — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა). ასოები ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.




**ცაბაძე** გიორგი გაბრიელის ძე (დ. 24. VIII. 1924, თბილისი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1973). 1956 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასი). 1956—76 იყო საქართვ. ფილარმონიის საესტრადო მუს. განყ-ბის გამგე. 1976-იდან თბილ. საცირკო-საესტრადო სასწავლებლის პედაგოგი. ც. ნაყოფიერად მუშაობს ოპერეტის, საესტრადო სიმღერისა და რომანსის ჟანრში. მისი სიმღერების წყაროა ქართ. ქალაქური ფოლკლორი. ც-ის მუსიკა გამოირჩევა მელოდიურობით, გამომსახველობით, რამაც განაპირობა მისი პოპულარობა. ნაწარმოებები: ოპერეტები „სიმღერა სიყვარულზე" (1949), „ჩვენი ნაცნობები" (1963), „შესანიშნავი საჩუქარი" (1963), „ყურკას ქორწილი" (1969, მ. ჯავახიშვილის მიხედვით), „ეფემ გურჯი" (1976), „მეტეხის ჩრდილში" (1984). მიუზიკლები: „ჩემი მეუღლის ძმა" (1965), „იტალიური რომანი" (1977) და სხვ. (სულ 17), 200-ზე მეტი სიმღერა, მ. შ. „ნინელია", „პატარა ბალადა", „თბილისური სერენადა", „გამოღვიძე შენ ხარ", „მეხამბაზი", „მეფაიტონე" და სხვ., საგუნდო ნაწარმოებები, დრამ. სპექტაკლებისა და კინოს მუსიკა (მ. შ. „ვერის უბნის მელოდიები"). საქ. ლენინური კომკავშირის პრემია (1971), თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და ხალხთა მეგობრობის ორდენით. (იხ. ილუსტრაცია — იხ. გვ. 162) ლ. კაკულია.

**ცაბაძე** ვალერიან მიხეილის ძე (დ. 3 (16) III. 1908, თბილისი), ქართველი საბჭ. ჰიგიენისტი და ჯანდაცვის ორგანიზატორი, მედ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1968), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). სკკპ წევრი 1941-იდან. 1931 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1934-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტის სოც. ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრაზე. 1968—74 იყო კათედრის პროფესორი, 1974-იდან კათედრის გამგე; ერთდროულად (1935—47) მუშაობდა სანიტ. და ჰიგიენის სამეცნ. კვლ. ინ-ტში ჯანდაცვის ორგანიზაციის განყ-ბის გამგედ. შეისწავლის საქართვ. მოსახლ. ფიზ. განვითარების, სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობისა და ავადობის საკითხებს და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: მუცლის ტიფით დაავადებიანობა თბილისში (1932—1940 წწ) და მასთან ბრძოლა, თბ., 1944; Материалы изучения здоровья населения Грузинской ССР, Тб., 1973. ე. ახალაძე.

**ცაგარეიშვილი** გური ბენედიქტეს ძე (დ. 26. XI. 1931, ქუთაისი), ქართველი საბჭ. მეტალურგი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976). სკკპ წევრი 1974-იდან. 1956 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 1958-იდან მუშაობს საქ. სსრ მეცნ. აკად. სსრკ 50-ე წლისთავის სახ. მეტალ. ინ-ტში (1966-იდან—ლაბორ. ხელმძღვანელი). მუშა-

ობს მასალათმცოდნეობისა და მყარი სხეულის ფიზ. და ქიმ. დარგში. იკვლევს ძნელდნობადი მასალების სტრუქტურასა და თვისებებს 1980 ნაშრომთა ციკლისათვის „მაღალი სისუფთავის კრისტალური ბორის მიღება, მისი სტრუქტურისა და თვისებების გამოკვლევა" მიენიჭა საქ. სსრ მეცნ. აკად. პ. ნიკოლაძის სახ. პრემია. 1975-იდან Ც. არის ბორის საერთაშ. სიმპოზიუმების მუდმივი საერთ. კომიტეტის წევრი. დაჯილდოებულია მედლით.

თხზ.: Полупроводниковый бор, М., 1978 (თანაავტ. Ф. Н. Тавадзе).

*გ. ჯაყარიშვილი.*



გ. ცაბაძე

**ცაგარეიშვილი** ვალერიან გერასიმეს ძე (25. IV. 1901, ქუთაისი, — 28. II. 1974, თბილისი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი, საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). სკპ წევრი 1949-იდან. 1942 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი. მეცადინეობდა აგრეთვე ა. ფირსალავას საფორტეპიანო და ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასებში). 1923-იდან ეწეოდა პედაგ. მოღვაწეობას სხვადასხვა სამუსიკო სკოლასა თუ სასწავლებელში. 1935—43 იყო თბილ. მუს. კომედიის თეატრის სამუსიკო ნაწილის გამგე, 1949—50 ხალხ. შემოქმედების სახლის დირექტორი, 1950—58 საქ. სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი. ავტორია მუს. კომედიებისა: „მზის დაბნელება" (1943), „აზნაური" (1946), „სამთა სიყვარული" (1948), საბავშვო ოპერებისა — „ჩიტიბრუში" და „ჭუღლი წრუწუნა" (1928), კანტატებისა — „ლომგულოვანი" (1944), „დიდება ლენინს" (1971), „საქართველოს მრავალჟამიერი" (1971), სიმფ. პოემისა — „ელისო" (1943), საგუნდო სიმღერების, ერთნაწილიანი კონცერტინოსი „ზარობს ქართლი" (1966) და სხვ.

*ლ. ქაჩულია.*



ვ. ცაგარეიშვილი

**ცაგარეიშვილი** შალვა ვლადიმერის ძე (18. III. 1901, სოფ. გუბი, ქუთ. მაზრა, — 28. XII. 1983, თბილისი), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. სკპ წევრი 1918-იდან. 1919 იყო თბილ. ტრამვაის პარკის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; აქტიურად იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა ქართ. დივიზიის ნაწილებში. 1929—30 იყო საქ. კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, 1932—33 — საქ. კომუნისტური სას.-სამ. უმაღლესი სკოლის დირექტორი, 1942—47 — მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქ. ფილიალის პარტ. არქივის გამგე, 1948—52 — საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტ. სკოლის დირექტორი, 1952—63 — საქ. ცენტრ. საარქივო სამმართველოს უფროსი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

*ნ. ჩიხაძე.*



ი. ცაგარელი

**ცაგარელი** ავქსენტი ანტონის ძე [9 (21). II. 1857, სოფ. დიღომი, ახლანდ. მცხეთის რ-ნი, — 12 (25) VIII. 1902, თბილისი], ქართველი დრამატურგი, მსახიობი. ა. ცაგარლის ძმა, ნ. გაბუნიას მეუღლე. 1879 თბილისში შექმნილი მუდმივი ქართ. დასის აქტ. წევრი და დრამატურგი. მისი ზოგიერთი კომედია ქართ. დრამ. თეატრის ფონდში შევიდა.

Ც. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია. მისი ყურადღების ცენტრშია კაპიტალიზმის შემოჭრით სახეცვლილი საზ. ურთიერთობანი; უსახსროდ დარჩენილი თავადაზნაურობა, რ-იც ვერ იგუებს ახ. პრივილეგიებს და უფლებებს; ფულით გაყოყოჩებული, დაუნდობელი ვაჭრები; ხელოსნები, ყარაჩოღელები და სხვ. დრამატურგის პირველი პიესა — კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" (1878) იყო მძაფრი სოც. პროტესტი თავად-აზნაურების წინააღმდეგ. პიესა საფუძვლად დაედო ამავე სახელწ. ფილმს (1965, რეჟ. მ. ჭიაურელი). კომედია „ხანუმაში" [1882; პიესა საფუძვლად დაედო ამავე სახელწ. ფილმს (1926, რეჟ. ა. წუწუნავა), ვ. დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტე" ლიბრეტოსა და ფილმ „ქეთო და კოტეს" (1948, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი)] ნაჩვენებია ფეოდ. კლასის გადაგვარება და ზნეობრივი დაკნინება.

Ც-ს ეკუთვნის აგრეთვე დრამები („მამიკო", 1880; „ცისარტყელა", 1900), კომედიები („ციმბირელი", 1886), ვოდევილები („ჭკუასა შვილს", 1897; „როგორც მოხვალ სეირნათ, ისე წახვალ შინათ", 1900), ლექსები („პოეტი", 1882; „ყვარელიდან ლოთი", 1885, „ჩვენი ქალები", 1892; „ნატვრა", 1900), პუბლიც. წერილები და სხვ. მისი თხზულებები გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, სოც. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. მკაცრი სატირული ტონით გამოირჩევა Ც-ის პამფლეტები (ქვეყნდებოდა გაზ. „დროებაში" სათაურით „დუდუკი").

Ც-ის დრამ. ნაწარმოებებმა იმთავითვე დიდი აღიარება მოიპოვა, რაც განაპირობა მისი პიესების ცოცხალმა სასაუბრო ენამ, დახვეწილმა დიალოგებმა, ოსტატურად დახატულმა ტიპაჟმა. დიდმა ცხოვრებისეულმა სიმართლემ. მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ.

თხზ.: კომედიები, [თბ.], 1936

ლიტ.: გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., თეატრალური წერილები, გამოც. მე-2, თბ., 1960; ბ ა ს ხ ა ძ ე რ., ავქსენტი ცაგარელი, თბ., 1966; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4, თბ., 1974; ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს., ავქსენტი ცაგარელი, თბ., 1958

*ლ. კიწიურაშვილი.*



ალ. ცაგარელი

**ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე [27 XI (9 XII). 1844, კასპი, — 12. XI. 1929, თბილისი], ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი. 1865 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია 1867-იდან სწავლობდა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემიაში, მალე გადავიდა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე. 1868 სწავლობდა გერმანიაში (ისმენდა ლექციებს მიუნხენის, ტიუბინგენის უნ-ტებში), შემდეგ ავსტრიაში — ვენაში. 1871-იდან პეტერბ. უნ-ტის ქართ. ენის კათედრას განაგებდა. 1874—75 კითხულობდა ლექციებს საქართვ. ისტორიაში; 1886-იდან ამავე უნ-ტის პროფესორი, ხოლო 1922-იდან თსუ-ის პროფესორი იყო. 70-იანი წლებიდან Ც. ქართ. და რუს. პრესაში აქვეყნებდა წერილებს ქართ. მწერლობის საკითხებზე. 1870 გაზ. „დროებაში" გამოაქვეყნა წერილების ციკლი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში", არქივებში გამოავლინა რუს.-საქართვ. პოლიტ.-კულტ. ურთიერთობათა ამსახველი მასალები, დაიწყო ქართ. ხელნაწერთა მოძიება, აღწერა და შესწავლა. საგანგებოდ მოიარა მთელი საქართველო. 1883 გაემგზავრა საზღვარგარეთ, მოიარა პალესტინის, ათონის მთის, სინის მთის ქართ. კულტ. კერები, მიღებული შედეგები გამოაქვეყნა 1880—94 („ცნობები საქართველოს მწიგნობრობის ძეგლებზე", რუს. ენაზე, 3 ნაკვეთად), 1888 („ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე", რუს. ენაზე, დაიბეჭდა კრებულში „პრავოსლავნი პალესტინსკი სბორნიკ", ტ. 4). Ც-ის მიერ წარმოდგენილი მასალა დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის. მისი მუშაობით გაეცნო მკითხველი პირველად X ს. ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს თხზულებას „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ". პირველად Ც-მა აღწერა დათარიღებული (864) უძველესი ქართ. ხელნაწერი, ე. წ. სინური მრავალთავი ძვ. ქართ. ხელნაწერებისა და ისტ. დოკუმენტაციის შესწავლით Ც. მიზნად ისახავდა ქართ. ფილოლ. მეცნიერების მყარ დონეზე დაყენებას. მისმა შრომებმა წარმოაჩინეს ძვ. ქართ. კულტურისა და მწიგნობრობის მნიშვნელობა.

Ც-ის ნაშრომთა დიდი ნაწილი ქართ. ენათმეცნიერებას ეძღვნება. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლას. იკვლევდა კავკ. ენების მიმართ აღრე გამოთქმულ დებულებას, რომ ეს ენები არ ენათესავებიან არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს; აკრიტიკებდა თეორიებს, რ-ებიც ქართ. ენას ინდოევრ. და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახებს აკუთვნებდნენ. გამოაქვეყნა ქართულისა და ქართველური ენების შესწავლის ვრცელი ისტ.-კრიტ. მიმოხილვა.

Ც. აქტიურად მონაწილეობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში, იბრძოდა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (წიგნ. „სტატიები და შენიშვნები ქართული საეკლესიო საკითხისათვის", რუს. ენაზე, პეტერბურგი, 1912). ი. ჭავჭავაძესთან ერთად იბრძოდა აგრეთვე კატკოვის ცილისმწამებლური გამოსვლების წინააღმდეგ. რუს. ენაზე თარგმნა (1878) ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა".

თხზ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. 1, СПб., 1891; т. 2, в. 1—2, СПб., 1898—1902; Неотрекаемые права Грузии на признание ее независимости и на восстановление ее государственных границ, Тфл., 1919; О грамматической литературе грузинского языка (Критический очерк), СПб., 1873; Сношения России с Кавказом в XVI—XVIII столетиях, СПб., 1891; Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб., 1872; 2 изд., Тб., 1957.

ლიტ.: კ ი წ ი უ რ ა შ ვ ი ლ ი ს., ალექსანდრე ცაგარელი, თბ., 1974; ბ ა ბ ა ძ ე ა., პროფესორი ალ. ცაგარელი (1844—1929), თსუ შრომები, 1980, ტ. 10.

*ა. მარტიროსოვი. უ. სიდამონიძე. მ. ქავთარია.*

**ცაგარელი** არჩილ ლუკას ძე [დ. 22. XI (5. XII). 1913, თბილისი], ქართველი საბჭ. გეოლოგი, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966) სკპ წევრი 1964-იდან. 1936 დაამთავრა თსუ. 1940-იდან მუშაობს საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (1961-იდან ხელმძღვანელობს რეგიონული გეოლ. განყ-ბას; 1979—81 იყო ინ-ტის დირექტორი) 1980-იდან საქ. სსრ მეცნ. აკად. დედამიწის შემსწავლელ მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია. 1954-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. Ც-ის შრომები ეხება საქართვ. და კავკ. მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის, მეოთხეული გეოლ. და რეგიონული გეოლ. საკითხებს. პირველმა შეადგინა და თანამედროვე დონეზე განაზოგადა საქართვ. ზედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის საკითხები. შეიმუშავა კავკ. განვითარების ნეოტექტონიკური ეტაპის სქემა. თანაავტორი და თანარედაქტორია საქართვ. გეოლ. შესახებ შექმნილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომისა („Геология СССР, т. 10 — Грузинская ССР, ч. 1. Геологическое описание", М., 1964; საქ. სსრ სახელმწ. პრემია, 1978). Ც. არის ლონდონის გეოლ. საზ-ბის საპატიო წევრი (1975), აგრეთვე რამდენიმე საკავშ. საერთაშ. საუწყებათაშორისო დარგობრივი კომისიისა და საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით, აგრეთვე მედლებით

თხზ.: საქართველოს ცარცული ინოცერამები. გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლოგიური სერია, 1942, ტ. 1 (6), ნაკვ. 2, Верхний мел Грузии, Тб., 1954; Геологическое строение подошвы угленосных отложений между бассейнами рр. Бахвила и Уруша, Тб., 1960 (თანაავტ.); К вопросу о стратиграфических границах средней юры, წგნ.: Стратиграфия юрской системы, Тб., 1962; Неотектоника Грузии, წგნ. Тектоника и металлогения Кавказа, Тб., 1964 (თანაავტ.: С. И. Кулошвили), О связи мезозойско-кайнозойского вулканизма Грузии с глу-

ნარი, წიფლნარი, ფიჭვნარი; წიწვოვნებიდან — ნაძვი, სოჭი, ფიჭვი. ქვეტყეში ხშირია შქერი, წყავი, ბზა. წიფლნარებში შერეულია წაბლი, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, იფანი და სხვ. ქვეტყეში არის იელი, მოცვი, ჭანჭყატა, თხილი, იმერული ხეჭრელი და სხვ. კირქვიან ადგილებზე წიფლნარ-მუხნარი, აგრეთვე მუხნარია. ეგრისისა და ლეჩხუმის ქედების კალთებზე წიწვოვან ტყეებს ზემოთ მოსდევს სუბალპ. ტყეები და მდელოები. რჩერის ფართობი უკავია ალპ. მდელოებს. ცაგერის, საზათორისა და საქორიას ჩაქვები აღწევენ სუბნივალურ სარტყლამდე.

ცხოველთა სამყარო. რ-ნში ბინადრობს მთის ტყის ცხოველები: დათვი, მგელი, ტურა, მელა, შველი, კურდღელი, ზღარბი, თხუნელა. ფრინველებიდან: ყვავი, ყორანი, ძერა, ტყის ქათამი, შაშვი, ტოროლა და სხვ. ქვეწარმავლებიდან: ხვლიკები, გველები და სხვ. მდ-ებში ბევრია თევზი.

ძირითადი ლანდშაფტები. გავრცელებულია მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტების შემდეგი სახეები: 1. დაბალმთის ქვაბული ტყე ბუჩქნარით ალუვიურ-კარბონატულ და კორდიან-კარბონატულ ნიადაგებზე, 2. კარსტული დაბალმთიანეთი რცხილნარ-მუხნარით კორდიან-კარბონატულ ნიადაგებზე, 3. დაბალმთიანეთი წიფლნარ-რცხილნარ-წაბლნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე, 4. დაბალმთიანეთი წიფლნარ-რცხილნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე, 5. საშუალმთიანეთი წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყით ტიპურ და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე, 6. მაღალმთიანეთი სუბალპ. მდელოებით და ბუჩქნარებით მთა-მდელოს კორდიან ნიადაგებზე, 7. მაღალმთიანეთი ალპ. მდელოებით მთის მდელოს ნიადაგებზე, 8. სუბნივალური ლანდშაფტი.

მოსახლეობა. რ-ნში ძირითადად ცხოვრობენ ქართველები, მცირე რაოდენობით რუსები და სხვ. სოფლის მოსახლ. შეადგენს რ-ნის მთელი მოსახლ. 90%-ს. დასახლების ძირითადი ზონაა ცაგერის ქვაბული და მიმდებარე მთების კალთები, ზ. დ. 600—800 მ-ის ფარგლებში.

სახალხო მეურნეობა. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. რ-ნში არის 10 კოლ-ბა, 1 საბჭ. მეურნ. (მევენახეობის), 2 სამეურნეობათაშორისო მეურნ. (სანერგე და სატყეო მეურნეობის), 4 სამეურნეობათაშორისო საწარმო და სოფ. მეურნ. პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. მთაგორიანი რელიეფის გამო დასამუშავებლად ვარგისი მიწების ფართობი დიდი არ არის. სას.-სამ. სავარგულებს უჭირავს 17,1 ათ. ჰა, აქედან სახნავია 3,7 ათ. ჰა, მრავალწლიანი ნარგავი 2,3 ათ. ჰა, სათიბ-საძოვარი 10,7 ათ. ჰა, ნაკვეთი მიწა 0,7 ათ. ჰა. მრავალწლიანი ნარგავებიდან ძირითადია ვენახი (1,5 ათ. ჰა), მარცვლეული კულტურებიდან — სიმინდი (3,2 ათ. ჰა). მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვ. რქ. საქონელი. პირუტყვის სულადობა (1986): მსხვ. რქ. საქონელი 16,1 ათ., ღორი 17,8 ათ., ცხვარი და თხა 2,6 ათ.

მრეწველობა. რ-ნის ტერიტორიაზე არის საქართვ. ერთ-ერთი უდიდესი ჰესი — ლაჯანურჰესი (სიმძლავრე 111 840 კვტ). მრეწვ. მთავარი დარგია კვების მრეწველობა. ცაგერში, ორბელში, ლაჯურეთსა და ტვიშში არის ღვინის პირველადი დამამუშ. ქ-ნები, სოფ. ალპანაში — ქუთაისის ტრიკოტაჟის საწარმოო გ-ნის ფილიალი, სამრეწვ. კომბინატი, ავტოსატრანსპ. საწარმო.

ტრანსპორტი. სატრანსპ. სისტემაში მთავარ როლს ასრულებს ავტოტრანსპორტი. რ-ნში რკინიგზის ხაზი არ არის (უახლოესი რკინიგზის სადგურია ქუთაისი, ცაგერიდან 90 კმ). აქ გადის რესპ. მნიშვნელობის გზები ქუთაისი — ცაგერი — ლენტეხის და ონი — ცაგერის. ადგილ. მნიშვნელობის გზების სიგრძე 186 კმ.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. რ-ნში 1986 იყო 43 ზოგადსაგანმან. სკოლა (3,0 ათ. მოსწ., 0,5 ათ. მასწავლებელი), 10 საბავშვო ბაგა და ბაღი, 48 ბ-კა, 31 კლუბი. ცაგერში არის სამუსიკო და სამხატვრო სკოლა, სახ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სოფ. ბარდნალაში არის ლ. ასათიანის, სოფ. სპათაგორში — მარშალ ა. გელოვანის სახლ-მუზეუმები. გამოდის რ-ნული გაზ. „კომუნიზმის სხივი".

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 3 საავადმყოფო (175 საწოლი), 12 ამბულ.-პოლიკლინიკა და 30 საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტი, 48 ექიმი და 244 საშ. მედმუშაკი.

ხუროთმოძღვრული ძეგლებია: თაბორის, ლაბეჭინის წმ. გიორგის (შუა საუკ.) ეკლესიები, ზუბის, გვესოს, ზოგიშის (შუა საუკ.) ციხეები და სხვ.

ჯ. დვალარიანი, მ. ჯაყელი.

ლიტერატურა — იხ. რაჭა 1—II, გვ. 240—241.

**ცაგერკარი**, უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 2270 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ც-ის მიდამოები შემოსილია სუბალპ. მდელოს მცენარეულობით. აკავშირებს მდ. ბზიფისა (აფხ. ასსრ) და დიდი ლაბის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო) ხეობებს.



გ. ცაგოლოვი

**ცაგოლოვი** გიორგი ალექსანდრეს ძე [29 VI (11. VII) 1897, სოფ. ხრისტიანოვსკოე, ახლანდ. ქ. დიგორა, ჩრდ.-ოსეთის ასსრ, — 29. IV. 1919, იქვე], კავკასიაში საბჭ. ხელისუფლებისათვის მებრძოლთა ერთ-ერთი ორგანიზატორი, კომპარტიის წევრი 1916-იდან. 1917 თებ. რევოლუციის მონაწილე მოსკოვში. 1917 აპრ. მოღვაწეობდა ვლადიკავკაზში (ახლანდ. ორჯონიკიძე), იყო პარტია „კერმენის" ცკ-ის თავმჯდ. რევ. პარტ. მუშაობას განაგრძობდა ბაქოში. შემდეგ ჩრდ. კავკასიაში შექმნა კერმენელების რაზმები, იყო თერგის საოლქო სახ. საბჭოს წევრი, ჩრდ.-ოსეთის საბჭ.-რევ. საბჭოს თავ-რე, ვლადიკავკაზის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1919 ც. თეთრგვარდიელებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

**ცადიფაპ**, სოფელი სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის ჯავის რ-ნში (წონის სოფსაბჭო), რაჭის ქედის აღმ. ნაწილში, ერწოს ტბის ნაპირზე, ზ. დ. 1750 მ, ჯავიდან 21 კმ, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 31 კმ. წონის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. წონაში (7 კმ).

**ცაიდამის ვაკე**, ცაიდამი, ტექტონიკური ქვაბული ცენტრ. აზიაში, ჩინეთში. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-იდან ესაზღვრება ალთინთაღისა და ნანშანის მთები, სამხრ. და სამხრ.-დას-იდან — კუნლუნი. სიგრძე დაახლ. 700 კმ, სიგანე — 100—300 კმ, სიმაღლე 2600—2900 მ. ჩრდ.-დას. ნაწილი ქვიშა-თიხოვანი ვაკეა, არის ცალკეული სერები, ბორცვები და ეოლური გამოფიტვის ფორმები. სამხრ.-აღმ. ნაწილში მშ. ტბების ადგილზე განვითარებულია მლაშობები. ჰავა მკვეთრად კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა −11, −15°C, ივლ. 15—18°C. ნალექები 50—150 მმ წელიწადში. ზამთარი უთოვლო იცის. ხარობს მლაშობურა, რეამურია, ოქსიტროპისი, ზაისანის საქსაული, ... სამხრ.-აღმ. ნაწილში ადგილ-ადგილ გვხვდება ისლიან-მარცვლოვანი მდელოები და ლერწმიანი ჭაობები. არის ნავთობისა და სუფრის მარილის საბადოები.



ს. ს. ცაიშვილი

**ცაიშვილი** სარგის სოლომონის ძე (დ. 20. XII. 1929, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968). საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983). სკკპ წევრი 1963-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგ. ფაკ-ტი (1952). 1966-იდან შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის განყ-ბის ხელმძღვანელი, 1984-იდან ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში; 1964-იდან „ვეფხისტყაოსნის აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის" თავ-რის მოადგილე. 1986-იდან სსრ-ის ქართული ენისა და ლიტ-რის კათედრის გამგე. ც-ის კვლევის ობიექტია ქართ. მწერლობა, რუსთველოლოგია. მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა ქართ. ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას. აღსანიშნავია ფუნდამენტური გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაზე, მონოგრაფიები შოთა რუსთაველზე, დ. გურამიშვილსა და ბესიკზე. ავტორია წერილებისა და ლიტერატურული ნარკვევებისა თანამედროვე ქართ. მწერლებზე, მ. შ. გ. ტაბიძეზე, ლ. ქიაჩელზე, ნ. ლორთქიფანიძეზე, კ. გამსახურდიაზე, ტ. ტაბიძეზე, გ. ლეონიძეზე, ს. ჩიქოვანზე, ლ. გოთუაზე და სხვ. მისი ნაშრომები გამოირჩევა ქართ. ლიტ-რის განვითარების ერთიან პროცესში ცალკეულ მწერალთა ადგილის, აზროვნების თავისებურებათა წარმოჩენით. ც-ის წიგნები და წერილები თარგმნილია რუს. და საბჭ. კავშირის, აგრეთვე ევრ. ზოგიერთ ენაზე. ც., სსრკ სპორტის ოსტატი (1955), აქტიურად მონაწილეობს რესპ. სპორტულ ცხოვრებაში, არის საქ. სსრ მთამსვლელთა ფედერაციის თავ-რე (1983-იდან).

თხზ.: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 1—2, თბ., 1970; ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, წერილები და გამოკვლევები, ტ. 1, თბ., 1984; ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984; მარადიული სახეება, თბ., 1981; ძველი ქართული მწერლობა. წერილები და გამოკვლევები, ტ. 2, თბ., 1985.

ვ. რობაქიძე



ს. მ. ცაიშვილი.

**ცაიშვილი** სოლომონ მაქსიმეს ძე [14 (26). 11. 1900, სოფ. ურთა, ახლანდ. ზუგდიდის რ-ნი, — 21. XI. 1957, თბილისი], ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. 1919 დაამთავრა ქუთ. სასულიერო სასწავლებელი. ც-მა საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტ. საკითხებს (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ჭალაღაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.), დიდი ამაგი დასდო ი. მეუნარგიასა და უთარგმნის ლიტ. მემკვიდრეობის შესწავლა-გამოქვეყნებას; გამოავლინა მანამდე უცნობი საარქივო მასალები ს. დოდაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ყიფიანის, ს. მესხის, ე. გურიელის, ნ. დადიანის, ა. ლაისტის ლიტ. მემკვიდრეობასა და მოღვაწეობაზე. იკვლევდა ქართ. მოღვაწეთა (პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ი. კერესელიძე, დ. ჩუბინიძე, ი. რისთომაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი, თ. რაზიკაშვილი და სხვ.) ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ქართ. ფოლკლორის ცალკეულ საკითხებს.

თხზ.: ლიტერატურული ნარკვევები, ტ. 1—2, თბ., 1962—63.

ლიტ.: ძიძიგური შ., სოლომონ ცაიშვილი, «საბჭოთა ხელ.», 1975, № 14; ხუციშვილი ს., ქართული მწერლობის ერთგული მეგობარი, «ლიტერატურული საქართველო», 1967, № 6.

**ცაიში**, სოფელი ზუგდიდის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ც., ურთა, ჩხოური, ცაცხვი). ზ. დ. 90 მ, ზუგდიდიდან 10 კმ, ცაცხვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 კმ. ი. მეუნარგიას სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა), ჩაის ფ-კა. 2 საშ. და სამუსიკო სკოლები, 2 საბავშვო ბაღი, ი. მეუნარგიას სახლ-მუზეუმი, 2 ბ-კა, კულტსახლი, 2 კლუბი (2 კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. მდ. ჯუმის მარჯვ. ნაპირზე არის ძველქვის ხანის ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი. აქ ზედა პალეოლითის ხანის განძეულობები მიკვლეულია, აგრეთვე ახალი ქვის ხანის ძეგლები. წყაროებში პირველად იხსენიება (ხ ა ი ს ი, ს ი ს ე ნ ი  ა ზ ი ს ე ნ ი) IX ს-ში, როგორც საეპისკოპოსოს ცენტრი. ც-ში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — საეპისკოპოსო კომპლექსი, რომელიც შედგება ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძრის, სამრეკლოსა და პალატის პირველი



ცარცული სისტემა (პერიოდი) დამახასიათებელი ორგანიზმები: თავფეხიანი მოლუსკები—ამონიტები (1—5) 1—Crioceratites; 2—Ancyloceras; 3—Hamulina; 4—Turrilites; 5—Nippooites; 6—Belemnitella. ორსაგდულიანი მოლუსკები: 7—Inoceramus; 8—Hippurites. კანქლიანები 9—ზღვის შროშანი Marsupites; 10—ზღვის ზღარბი Micraster.

ხმელთაშუა ზღვის არეში, ისე ამერ. და აღმ. აზიის გეოსინკლინურ რაიონებში, აღმ. ევრ. ბაქნის აღმ. ნაწილში, შუა ციმბირში და სხვ. ბაქნების ვრცელი არეები, განსაკუთრებით სამხრ. ნახევარსფეროში, ხმელეთს წარმოადგენდა. ც. პ-ის შუაში წყნარი ოკეანის პერიფერიის გეოსინკლინურ სარტყლებში გაძლიერდა ტექტონ. მოძრაობები. გვიანდ. ცარცულ ეპოქაში დედამიწის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრანსგრესიის შედეგად ზღვამ მოიცვა აღმ. ევრ., ჩრდ. ამერ., აფრ. და ავსტრალ. ბაქნების ვრცელი ფართობები. ც. პ-ის ბოლოს განახლდა ტექტონ. მოძრაობები წყნარი ოკეანის პერიფერიაზე. გვიანდ. ცარცულ ეპოქაში დედამიწის მრავალ ადგილას აღინიშნება მძლავრი ვულკანიზმი. ც. პ-ში გრძელდებოდა გონდვანის შემდგომი დანაწევრება. ადრინდ. ცარცული ეპოქის ხმელეთის ფლორაში ჭარბობდა გვიმრანაირები და შიშველთესლიანები. გაჩნდა პირველი ფარულთესლიანები, რ-ებიც ეპოქის ბოლოს გაბატონდნენ ხმელეთის ფლორაში. ფაუნაში ყველაზე მეტად იყვნენ გავრცელებული ქვეწარმავლები (დინოზავრები და მფრინავი ხვლიკები). გაჩნდა პირველი პლაცენტიანი ძუძუმწოვრები. ზღვიურ უხერხემლოთა ფაუნაში ჭარბობდნენ მოლუსკები, განსაკუთრებით ამონიტები და ბელემნიტები. ც. პ-ის ბოლოს ამოწყდა ამ პერიოდისათვის და საერთოდ მეზოზოური ერისათვის დამახასიათებელი ცხოველები: რამდენიმე ჯგუფი ამონიტებისა, ბელემნიტები, რუდისტები, დინოზავრები, მფრინავი ხვლიკები და სხვ. ც. ს-ის ნალექები ყველა კონტინენტზეა გავრცელებული. ბურღვით ისინი დადგენილია ოკეანის ფსკერზედაც. სსრკ-ში ც. ს-ის ნალექები გავრცელებულია აღმ. ევრ. ბაქანზე, კარპატებში, ყირიმში, კავკასიაში, ციმბ. ბაქანზე და სხვ.

სასარგებლო წიაღისეულიდან ც. ს-ის ნალექებში აღსანიშნავია ქვანახშირისა და მურა ნახშირის, ნავთობისა და აირის, რკინის მადნის, მარილების, ფოსფორიტებისა და სხვ. საბადოები. საქართველოს ცარცული ნალექების შესახებ იხ. ტ. საქართველოს სსრ, თავი—გეოლოგიური აგებულება.

ლიტ.: ჯანელიძე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

**ᲪᲐᲨᲘᲙᲘᲑᲣᲚᲘ,** ცაცკიბალი, კლდოვანი მთა ეგრისის ქედის სამხრ. ფერდობზე, მდ. ცხენისწყლის (ზოთისწყლის მარჯ. შენაკადი) და მაგანის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 3017 მ. აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული იურული (ბაიოსური) ვულკანოგენური წყებებით — პორფირიტებით, მათი ტუფებითა და ტუფ-ბრექჩიებით. დამახასიათებელია ალპ. ლანდშაფტი. ქ. ჯავახიშ.

**ᲪᲐᲪᲮᲕᲘ** (Tilia), მცენარეთა გვარი ცაცხვისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ხეებია, იშვიათად ბუჩქები. ხის სიმაღლე 40 მ, დიამეტრი 5 მ აღწევს. რუხი-მურა ქერქი აქვს. 50-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, სამხრ.-ით ნაწილობრივ აღწევს ტროპიკებს. სსრკ-ში (უმთავრესად ევრ. ნაწილსა და კავკასიაში, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში) ბუნებრივად 16-მდე სახეობა გვხვდება. კულტივირებულია 26 ეგზოტიკური სახეობა, მ. შ. უმეტესად აღმოსავლეთაზიური სახეობები, ხუთიოდე — ჩრდილოამერ. და მექსიკური. კავკასიაში გავრცელებული 8 სახეობიდან საქართველოში იზრდება 4, მათგან ერთი — ლედებურის ანუ მრავალყვავილა ც. (T. ledebourii, T. multiflora) ენდემურია კოლხეთისათვის, მეორე — ბეგონიაფოთოლა ანუ კავკასიური ც. (T. begoniifolia, T. caucasica) ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. ც. საქართველოში გავრცელებულია მთის შუა, იშვიათად ზედა სარტყელში, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეში. ზოგი სახეობა ტყეს ქმნის. ჩრდილის ამტანი მცენარეა, ამიტომ ხშირია ქვეტყეში. ცოცხლობს 150, ზოგჯერ 600—800 წელს და მეტს (ცნობილია 1250 წლის ხეები). ქარ- და სიცივეგამძლეა. ც-ს თეთრი ან მოყვითალო მსუბუქი და რბილი მერქანი აქვს. იყენებენ სახარატო ტექნიკაში, ხის ჭურჭლის, ფანერის, ავეჯის, მუს. ინსტრუმენტების, ასანთისა და სხვ. დასამზადებლად. მერქნისაგან მიღებული ხრალი იხმარება მცენარეთა მყნობისას, ჭრილობის მოსაწმენდად, გამხმარი ყვავილის ნაყენი (ცაცხვის ჩაი) — ოფლმდენ და გამოსაბოლებ საშუალებად; ყვავილს იყენებენ აგრეთვე ღვინის არომატიზაციისათვის. ც. კარგი თაფლოვანი მცენარეა. მ. სახოკია.

**ᲪᲐᲪᲮᲕᲘ,** სოფელი ზუგდიდის რ-ნში (ცაიშის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 40 მ, ზუგდიდიდან 12 კმ. რკინიგზის სადგური. ი. მეუნარგიას სახ. ცაიშის კოლ-ბა (მეციტრუსეობა, დაფნის კულტურა). კირის ქ-ნა. კირქვის კარიერი. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარით), საფერშლო პუნქტი.

**ᲪᲐᲪᲮᲕᲘᲡᲔᲑᲠᲜᲘ** (Tiliaceae), ფარულთესლოვან ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ფოთოლმცვივანი ხეები, ბუჩქები, ბუჩქბალახები ან ძირში გახევებული ბალახებია. აერთიანებს 60 გვარს (450-მდე სახეობას), გავრცელებული არიან აზიის, ამერ., აფრ. და ავსტრალ. სუბტროპიკებსა და ტროპიკებში, ევრაზია-ჩრდ. ამერიკის ზომიერ ზონაში. მთავარი გვარებია: ცაცხვი, გრევია (Grewia), ჯუთი (Corchorus), ტრიუმფეტა (Triumfetta) და სხვ. სსრკ-ში, კერძოდ საქართველოში, ბუნებრივად გავრცელებულია მხოლოდ ცაცხვი, ინტროდუცირებულია გრევია და ჯუთი. მ. სახოკია.

**ᲪᲐᲮᲐᲚᲐ,** მთა თუშეთი-ხევსურეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ხევსურეთის არაგვის (ფშავის არაგვის მარჯვ. შენაკადი) ზემოწელში. სიმაღლე 2522 მ. აგებულია იურული თიხაფიქლებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოს მცენარეულობით. ნ. ართმაძე

**ᲪᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲤᲝᲜ ᲚᲘᲜᲒᲔᲜᲢᲐᲚᲘ** (Zacharia von Lingenthal) კარლ ედუარდ (24. XII. 1812 — 3. VI. 1894), გერმანელი ბიზანტინოლოგი, სამართლის ისტორიის მკვლევარი, პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1856), ბერლინის პრუსიის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1866), ჰაიდელბერგის უნ-ტის პროფესორი (1842—45). 50—60-იან წლებში აქტიურ პოლიტ. მოღვაწეობას ეწეოდა — ერფურტის პარლამენტის, პრუსიის დეპუტატთა პალატის წევრი იყო. ც. ფ. ლ-მა პირველმა მეცნიერულად შეისწავლა ბიზანტ. სამართალი და იგი დარგობრივად დაამუშავა, მის ბიზანტ. (ბერძნ.-რომაული) სამართლის ისტორიას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ ნაშრომში მან პირველმა წამოაყენა კონცეფცია ბიზანტიაში თავისუფალი გლეხური თემის არსებობის შესახებ. გამოსცა ბიზანტ. სამართლის ძირითადი ძეგლების კრებ. გამოცემები, იყენებდა საეკლ. სამართლის ძეგლებსაც.

თხზ.: Geschichte des griechisch-römischen Rechts, Aalen in Württemberg, 1955.

**ᲪᲐᲮᲔᲚᲘ** (ნამდვ. სახელი და გვარი ჯერმენ იაკობის ძე თვალჭრელიძე) (9 VI 1866, სოფ. ცახი, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი, — 31. VIII 1919, ქუთაისი), ქართველი პოეტი. 1905 რევოლუციაში მონაწილეობისათვის დევნიდნენ. მოკლეს მენშევიკების ბატონობის დროს. ც-მა გამოსცა „[illegible]" [illegible]. შეგნებულების ზრდა. მისი შემოქმედებიდან მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ლექსები „ნანა" (1885, აკრძალა ცენზურამ, გამოქვეყნდა 1919), „ქვეყნის ერთგული ის არის" (1896) და სხვ. ც. პოპულარული საბავშვო პოეტი იყო. მისი ლექსები და პოემები („მარინე", 1883, „ზაალი", 1884; „შალვას თავგადასავალი", 1885; „გურგენ რაინდი", 1893) მაღალი მოქალაქეობრივი და პატრ. შეგნებით ზრდიდა ახალგაზრდობას, ეწინააღმდეგებოდა მჩაგვრელი ხალხის სოციალურ, ეროვნულ ჩაგვრას. ც-მა თარგმნა ი. კრილოვის იგავ-არაკები.

თხზ.: ლექსები და პოემები, თბ., 1946; რჩეული, თბ., 1950; საბავშვო ლექსები, პოემები და იგავ-არაკები, თბ., 1956.

ლ. კინწურაშვილი

**ᲪᲐᲮᲘ,** სოფელი ამბროლაურის რ-ნში, მდ. შარეულის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები ც., ზოგიშლეთი, ზედა ლუარდია, ქვედა ლუარდია). ზ. დ. 840 მ, ამბროლაურიდან 29 კმ. კოლ-ბა (მევენახეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა. ცახის მღვიმე. წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ში.

**ᲪᲐᲮᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ,** კარსტული მღვიმე შარეულის აუზში (ამბროლაურის რ-ნი). გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. სიმაღლე 1,7—3,5 მ. ც. მ. დერეფნული ტიპის ცალსართულიანი მშრალი მღვიმეა. მღვიმის ჯამური სიგრძე — 600 მ. გვხვდება ზრდაშეჩერებული სტალაქტიტები და სტალაგმიტები. მდიდარია მღვიმის ცხოველებით. ზ. ტატაშიძე

**ᲪᲐᲪᲐᲜᲐ** (Briza), ერთ- ან მრავალწლოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. 15-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში, 5—6 სახეობა — სსრკ-ში, 4 საქართველოში. იზრდება თითქმის ყველგან დაბლობიდან ალპ. სარტყლამდე, ტყიან და სილიან ადგილებზე, მინდვრებში, ბუჩქნარებში, ველებზე, მდელოებზე. საქონლის საკვები ბალახია. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში. მ. გაგნიძე

**ᲪᲓᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ,** მეცნიერების სახე, რ-ის შედეგები ცდის მონაცემების განზოგადებითაა მიღებული და მათი ემპირიული შემოწმება პრინციპულად შესაძლებელია. ც. მ. ძირითადად ეყრდნობა ექსპერიმენტის ჩატარებას, მისი შედეგების დაკვირვებას, აღწერასა და ინდუქციას. ც. მ.-ის შინაარსი ალბათურია და ცდის სრულყოფის კვალობაზე იცვლება. ც. მ. განსხვავდება თეორ. მეცნიერებისაგან, რ-იც თავის დებულებებს ასაბუთებს ცდისაგან დამოუკიდებლად, აზრობრივი დაშვებების საფუძველზე. ექსპერიმენტულ და თეორიულ დარგებს შორის განსხვავებაა ცოდნის ყველა სფეროში. ც. მ. თანამედროვე გაგებით ჩამოყალიბდა XVI—XVII სს-ში. პირველად გ. გალილეიმ დაამტკიცა ცდა, როგორც მეცნ. საფუძველი და ფ. ბეკონმა ფილოსოფიურად დაასაბუთა ცდის მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.

ვ. ერქომაიშვილი

**ᲪᲓᲝ,** სოფელი ყაზბეგის რ-ნში (ყაზბეგის სადაბო საბჭო), დარიალის ხეობაში. ზ. დ. 1760 მ, ყაზბეგიდან 6 კმ. ფ. მახარაძის სახ. ყაზბეგის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა დაბა ყაზბეგში.

**ᲪᲓᲝᲛᲘᲚᲔᲑᲐ** (მათ.), სხვაობა რომელიმე სიდიდის $x$ ზუსტ მნიშვნელობასა და მის $a$ მიახლოებით მნიშვნელობას შორის. ამ სხვაობის მოდულს ეწოდება სიდიდის აბსოლ. ცდომილება, ხოლო $|x-a|/a$ ფარდობას—ფარდობითი ც. $x\approx a$ მიახლოებითი ტოლობის სიზუსტის დასახასიათებლად განიხილავენ აბსოლ. ც-ის ზედა საზღვარს—ზღვრულ აბსოლ. ც-ს (ზოგჯერ აბსოლ. ც-ს უწოდებენ), რ-იც განისაზღვრება როგორც ისეთი $\Delta a$ რიცხვი, რომ $|x-a|\leq\Delta a$. ფართოდ იყენებენ აგრეთვე ზღვრულ ფარდობით ც-ს $\delta=\Delta a/a$. თუ ცნობილია $x$ უცნობის $a$ რიცხვის $\Delta a$ სიზუსტით, ეს იმას ნიშნავს, რომ $a$ რიცხვის ზღვრული აბსოლ. ც. უდრის $\Delta a$. ჩანაწერება ასე: $x=a\pm\Delta a$, ან $a-\Delta a\leq x\leq a+\Delta a$. მიახლოებითი რიცხვი ჩაიწერება ისე, რომ მისი ზღვრული აბსოლ. ც. არ აღემატებოდეს $a$ რიცხვის ბოლო ციფრის თანრიგის ერთ ერთეულს (ზუსტად დამრგვალებისთან დაკავშირებით—ერთეულის ნახევარს). თუ-

ხელისუფლების პერიოდში კოოპერაციის განვითარების ხელშემწყობი პირობები შეიქმნა საქართ. რევკომის დეკრეტებით აღიარებულ იქნა მისი ხელშეუხებლობა, დამოუკიდებლობა და თვითმოქმედება. სახელმწ. ფონდიდან Ც-ს ანაზღაურების გარეშე გადაეცა 100 ათ. მან. მანუფაქტურა და მაუდის საქსოვი ფ-კა, გამოეყო 60,7 ათ. მან. სესხი ოქროთი, ნება დაერთო ჰქონოდა საკუთარი კოოპ. ბანკი, დაუტოვეს სტამბა და გემი „საქართველოს კოოპერაცია“ 1922 რწმუნებულთა III ყრილობაზე Ც-ის თავ-რედ აირჩიეს მ. ტოროშელიძე.


ა. ცელიკოვი

1921 Ც. აერთიანებდა 360 ათ. წევრ-მეპაიეს, ხოლო მისი საქონელბრუნვა შეადგენდა დაახლ. 2,36 მლნ. მანეთს. 1985 წ. – 1,5 მლნ. მეპაიეს, საცალო საქონელბრუნვა კი 1,590 მლნ მანეთს აღემატებოდა, მ. შ. სასურსათო საქონლისა – 706 მლნ. მან. რესპ. საქონელბრუნვის მთლიან მოცულობაში Ც-ის წილი შეადგენს 30,7% (1969 წ –26%). იზრდება საცალო ვაჭრობისა და საზ. კვების დასაქმებულ მუშაკთა რიცხვიც. 1985 დასაქმებული იყო 38 ათ. კაცი (1960-ში 17,4 ათ. კაცი). Ც-ის განკარგულებაშია 6660 მაღაზია (სავაჭრო ფართობი – 471 ათ. მ²), 1667 ფარდული, 4240 საზ. კვების საწარმო, მ. შ. 2728 რესტორანი და სასადილო, სასაუზმე და ბუფეტი. Ც-ის სისტემაშია 10 საბითუმო ბაზა

Ც. აწარმოებს საკუთარ პროდუქციასაც. აქვს 697 პურის ქ-ნა და საცხობი, 1201 სამრეწვ. საწარმო. წარმოებას ხაზავს Ც-ის ძირითადი დანაყოფები „საქკოოპკვებმრეწვი“, „საქკოოპსოფლმრეწვი“ და „საქკოოპმრეწვი“. სისტემატურად იზრდება Ც-ის მოგების მოცულობა, რ-მაც 1981 გადააჭარბა 52,6 მლნ. მანეთს. მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება სოფლად საწარმოო სიმძლავრეების განვითარებას, სავაჭრო ქსელის გაუმჯობესებასა და სოფ. მოსახლ. კულტ. საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებას. Ც. 1921-იდან საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის წევრია. იგი „სოიუზკოოპვნეშტორგის“ მეშვეობით გაცვლით ოპერაციებს ახორციელებს მსოფლიოს 36 ქვეყანასთან

Ც-ს აქვს საკუთარი სასწ. და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები. მის სისტემაში უმაღლესი კურს. განათლების კადრების მომზადებას ეხმარება მოსკ. კოოპ. ინ-ტის თბილ. ფაკ-ტი, საშ.-სპეც. განათლების კადრებს ამზადებენ თბილ. და ქუთ. კოოპ. ტექნიკუმები 1985 Ც-ის სისტემაში მუშაობდა 6000-მდე უმაღლესი განათლების და 11,1 ათ. საშ. სპეც. განათლების მქონე სპეციალისტი. Ც-ს აქვს საკუთარი სამკურნ.-პროფილაქტ. დაწესებულებები (სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები და ა. შ.).

მნიშვნელოვანია Ც-ის როლი ქართ. კულტურისა და ხელოვნ. განვითარების საქმეში. ამას ადასტურებს Ც-ის 67-წლიანი ისტორიაც. 1918 „ზაკსოიუზში“ შემავალმა ქართ. კოოპორგანიზაციებმა თავიანთი მოგებიდან კულტ.-საგანმ. დაწესებულებებს გამოუყვეს 43,1 ათ. მან. მ. შ. უნ-ტს – 2,0 ათ. მან., ჭიათურის დრამ. საზ-ბას – 5,0 ათ. მან., ზუგდიდის სახ. სახლს ქართული წარმოდგენებისათვის – 4,0 ათ. მან. და ა. შ., უნ-ტის ბ-კას შემატეს 2400-ზე მეტი წიგნი, ღარიბი სტუდენტებისათვის იხდიდნენ სწავლის გადასახდელს და სხვ. Ც-ის „მუშკოოპთეატრის“ ბაზაზე დაარსდა ვ. აბაშიძის სახ. თბილ. მუს. კომედიის თეატრი. იგი აფინანსებდა ქართ. სამუსიკო საზ-ბასთან არსებულ საოპერო სტუდიას, სადაც ს. ახმეტელმა დადგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.


ცელოსტატი.

ლიტ.: ბაჟანიძე ნ., საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია 40 წლის მანძილზე, თბ., 1961; Балашов А. С., Потребительская кооперация в СССР, М., 1975

ა. წილოსანი.

**ცეკვა,** ხელოვნების დარგი, რ-იც მხატვრულ სახეს ქმნის მოცეკვავის ტანის, ტანისა და კიდურების მოძრაობით, აგრეთვე ჟესტიკულაციით. მოძრაობათა მეშვეობით მატერიალური სამყაროს მიმართ ადამიანის დამოკიდებულების გამოვლენა, ამ მოძრაობათა სისტემატიზაცია მრავალსაუკუნოვანი კულტ.-ისტ. პროცესია. იგი დაკავშირებულია შრომის პროცესებთან, ჩვეულებ-ტრადიციას, შრომის ყველაზე ადრინდელ სახეებთან – ნადირობასთან. პირველყოფილ ადამიანებში, ნორმალური მეტყველებისა და საერთოდ ენის ჩამოყალიბებამდე, ცეკვა ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. მოგვიანებით მონადირეულ ც-ებში თავს იჩენს მისტიკური ელემენტები, რაც, უთუოდ, ბუნების აუხსნელი მოვლენების წინაშე ადამიანის კრძალვის გამომხატველია. სვანეთში დღემდეა შემორჩენილი როლურ-მისტ. ხასიათის, საფერხულო წყობის უძველესი ცეკვები, ქალღმერთ დალის პატივსაცემი „დალი კოჟასხელღვაჟალე“ (დალი კლდეში მშობიარობს). „ბოლე ბეთქილ“, „ლილე“, „ლემჩქვლია“, „დიდებას“ და სხვ. საზ-ბის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როდესაც ადამიანმა ბუნების მრავალი საიდუმლო ამოხსნა, ც-მ თანდათან დაკარგა როლურ-მისტ. ხასიათი და საწესჩვეულებო-რიტუალურ ქმედებად იქცა. უფრო გვიან კი, მოძრაობათა დახვეწის და მხატვრული განზოგადების შედეგად იგი ჩამოყალიბდა როგორც ხელოვნება. განვითარების ასეთი გზა განვლო უძველესმა მონადირეულმა ცეკვებმა; სვანურმა „ლემჩილმა“, „სამდღიორმა“, „ამირანის ფერხულმა“ და სხვ. მეომრულ-ლაშქრულმა („ხორუმი“, „ზემყრელი“, „ქართველური“, „მირმიქული“, „თამარ დედოფალ“ და სხვ.), აგრეთვე საყოფაცხოვრებო შინაარსის, სატრფიალო და სახუმარო ც-ებმა. ყოველ ხალხს თავისი საკუთარი საცეკვაო ტრადიციები, საკუთარი ქორეოგრაფიული ენა, პლასტ. გამომსახველობის ხერხები გააჩნია. ამ ინდივიდუალობებმა შეადგინა რამდენიმე საცეკვაო სისტემა: ევროპული (კლასიკური ც.), აზიისა და აფრიკის ქვეყნების ც-ები და სხვ. ც-ის განვითარების ისტ. პროცესში ჩამოყალიბდა მისი ძირითადი სახეობანი: ხალხური ც. (იხ. ხალხური შემოქმედება), სასცენო, სამეჯლისო ც-ები, კლასიკური ც. (იხ. ბალეტი), სახასიათო ც. და ც. „მოდერნი“.

ა. თათარაძე.

**ცეკვა,** სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (ჭვანის სოფსაბჭო), მდ. ნაღვარევის (აჭარისწყლის აუზი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 800 მ, შუახევიდან 18 კმ. მ კოლმეურნეობის სახ. ჭვანის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ცხმორისში (2 კმ)

**ცეკი** (Zecchi) კარლო (დ. 8 VII 1903, რომი), იტალიელი პიანისტი და დირიჟორი. ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა რომსა (ფ. ბაჯარდისთან) და ბერლინში (ფ. ბუზონისა და ა. შნაბელთან). ც.-პიანისტის დებიუტი შედგა 1920 მალე გაითქვა სახელი როგორც ვირტუოზმა შემსრულებელმა. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა სკარლატისა და ფ. ლისტის ნაწარმოებებს. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ში (1926-იდან). 30-იანი წწ. მეორე ნახ. თითის ტრავმის გამო შეწყვიტა გამოსვლები. 1938–41 სწავლობდა დირიჟორობას შვეიცარიაში. 1941-იდან ეწევა სადირიჟორო მოღვაწეობას.

**ცეკური,** მთა ეგრისის ქედის აღმ. ნაწილში, მდ. ახალღურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 3170 მ. აგებულია ინტრუზიურად დანაოჭებული და მეტამორფულად შეცვლილი იურული პორფირიტებით და მათი ტუფებით. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი. დამახასიათებელია სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტი.

ქ. ჯაჯანიძე.

**ცელა,** ზღვის ან ტბის ნაპირებზე ქვიშის, კენჭნარის ან ნიჟარების ვიწრო წინაელექი ზოლი, რ-იც ერთი მხრით ნაპირზეა მიზრდილი. წარმოიქმნება ნაპირის გასწვრივ ნალექების გადაადგილებისა და დალექვის შედეგად; ზოგჯერ ნალექების საწინააღმდეგო მიმართულების ნაპირისგასწვრივი დინების შეხვედრის ადგილას გროვდება ასეთი ც. სანაპირო ხაზის პერპენდიკულარულადაა შეჭრილი ზღვაში და ისარი ეწოდება (მაგ., არაბატის ისარი ყირიმში).

**ცელე** (Celje), ქალაქი იუგოსლავიაში, სლოვენიის სრ-ში 61 ათ. მცხ. (1981). თუთიის სადნობი ქ-ნა, ლითონდამამუშ., ქიმ., ხის დამამუშ., საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლისა და კვების მრეწველობა. გარეუბანში – მეტალ. ქ-ნა ც-ს რ-ნში იღებენ მურა ნახშირს.

**ცელებესი** (Celebes), კ. სულავესის ლიტერატურაში ხმარებული სახელწოდება

**ცელერი** (Zeller) ედუარდ [22 I. 1814, კლაინბოტვარი (ვიურტემბერგი), –19. III. 1908, შტუტგარტი], ანტიკური ფილოსოფიის გერმანელი ისტორიკოსი, პროფესორი ბერნში (1847-იდან), მარბურგში (1849-იდან), ჰაიდელბერგში (1862-იდან) ბერლინში (1872–1895). ავტორია ფუნდამენტური ნაშრომისა „ბერძენთა ფილოსოფია ისტორიულ განვითარებაში“ (ნაწ. 1–3, 1844–52). თავდაპირველად განიცდიდა ჰეგელის გავლენას, შემდეგ დაინტერესდა შლაიერმახერის ემპირიული თეორიით. ც. არ ამჟღავნებდა განსაკუთრებულ მიდრეკილებას არც იდეალიზმისადმი და არც მატერიალიზმისადმი.

თხზ. Очерк истории греческой философии, М., 1913

**ცელერი** (Zeller) კარლ (19. VI. 1842, სანქტ-პეტერ-ინ-დერ-აუ, ქვემო ავსტრია,– 17. VIII 1898, ბადენი, ვენის მახლობლად), ავსტრიელი კომპოზიტორი. ვენის კლასიკური ოპერეტის წარმომადგენელი. ავტორია პოპულარული ოპერეტებისა „ჩიტების გამყიდველი“ (დაიდგა 1891), „მეშახტერე“ (დაიდგა 1894, რუს. სცენაზე „მარტინ მეშახტერე“) და სხვ. ც-ის ოპერეტების მუსიკა მელოდიურია, მისაწვდომი. ფართოდ იყენებდა მუს. ფოლკლორს, განსაკუთრებით ტიროლურს. აგრძელებდა ავსტრ. ზინგშპილის ტრადიციებს. სხვა ნაწარმოებები: „ჟოკონდა“ (დაიდგა 1876), „კარბონარები“ (დაიდგა 1880), „მაწანწალა“ (დაიდგა 1886)

**ცელესტინელები,** კათოლიკური მონაზვნური ორდენის წევრები. ორდენი დააარსა ბერმა პიეტრო და მორონემ (შემდგომში პაპი ცელესტინ V, აქედან წარმოდგება ორდენის სახელწოდებაც) სამხრ. იტალიაში XIII ს. შუა წლებში. 1263 ც-მა ბენედიქტელთა წესდება მიიღეს. ც-ის ორდენი მოქმედებდა იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდში, ჩეხიაში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში ორდენმა არსებობა შეწყვიტა.

**ცელესტინი** (< ლათ. caelestis – ციური), სულფატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $SrSO_4$. ჩვეულებრივი მინარევებია Ca და Ba. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აქვს ასისებრი ან სვეტისებრი კრისტალები. ხშირია კონკრეციები, ბოჭკოვანი და მარცვლოვანი აგრეგატები. ჩვეულებრივ ცისფერია. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3–3,5; სიმკვრივე დაახლ. 4000 კგ/მ³. გვხვდება კირქვებში, დოლომიტებსა და თაბაშირში. იყენებენ Sr-ის ნაერთების მისაღებად.

**ცელიბატი** (ლათ. caelibatus<caelebs– უცოლო), კათოლიკური სამღვდელოებისათვის ქორწინების აკრძალვა. საყოველთაო კანონად გამოაცხადა პაპმა გრიგოლ VII-მ (1073–85). მაგრამ პრაქტიკულად

მხოლოდ XIII ს. შუა წლებიდან ხორციელდებოდა. ეკლესიამ ც. გამოიყენა საეკლ. მიწების შესანარჩუნებლად, რამდენადაც აღარ იყო საჭირო მემკვიდრეებს შორის მიწის განაწილება გატიკანის II საეკლ. კრებაზე (1962—65) სცადეს ც-ის საკითხის გადასინჯვა (რადგანაც ც-ს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს როგორც მორწმუნეთა, ისე სამღვდელოებას შორის), მაგრამ პაპი პავლე VI წინააღმდეგ გამოვიდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ც-ის ხელშეუვალობა და „სიწმინდე". კათოლ. ეკლესია მაინც იძულებული გახდა გარკვეულ ლათობაში წასულიყო და შემოიღო დიაკვანთა მუდმივი ინ-ტი, რ-თა წევრებსაც ქორწინების უფლება ეძლევათ.

პროტესტანტები ც-ს უარყოფენ. მართლმადიდებელ ეკლესიაში ც. სავალდებულოა მხოლოდ ბერ-მონაზვნებისა და მღვდელმთავრებისათვის.

**ცელიკოვი** ალექსანდრე ივანეს ძე [7 (20) IV. 1904, მოსკოვი, — 24 X. 1984, მოსკოვი]. საბჭ. მეცნიერ-მეტალურგი, საგლინი დგანებისა და სხვა მეტალურგიული აგრეგატების კონსტრუქტორი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1964), სოც. შრომის გმირი (1964, 1984). სკკპ წევრი 1946-იდან. მოსკ. ნ. ბაუმანის სახ. უმაღლესი ტექ. სასწავლებლის დამთავრების (1928) შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა მეტალ. საწარმოში. 1959-იდან გარდაცვალებამდე იყო მეტალ. მანქანათმშ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინ-ტის დირექტორი. შეიმუშავა გლინვის თეორია და საგლინი დგანების გაანგარიშების მეთოდი. ც-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა მაღალმწარმოებლური საგლინი დგანები, ფოლადის უწყვეტად ჩამოსხმის მანქანები, მძლავრი ფოლადსადნობი აგრეგატები. წოდებით სსრკ სახელმწ. პრემია (1947, 1948, 1951), ლენინური პრემია (1964). სსრკ მეცნ. აკად. მ. ლომონოსოვის სახ. ოქროს მედალი იყო სკკპ XXIII, XXIV, XXV, XXVI ყრილობების დელეგატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით და მედლებით

თხზ.: Прокатные станы: настоящее и будущее, М., 1974; Специальные прокатные станы, М., 1971 (თანაავტ.)

**ცელინოგრადი** (1961-მდე ა კ მ ო ლ ი ნ ს კ ი), ქალაქი, ყაზ. სსრ ცელინოგრადის ოლქის ცენტრი. მდებარეობს ყაზ. წვრილბორცვების ჩრდ. ნაწილში, მდ. იშიმის მარჯვ. ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი აეროპორტი. 262 ათ. მცხ. (1985) დააარსა რუს. ჯარმა 1830 როგორც სიმაგრე აქმოლი, 1832-იდან არის ქ. აკმოლინსკი. საბჭ. ხელისუფლება დამ. ყარდა 1917 წ. 25 დეკ. (1918 წ. 7 იანვ.). 1918 ივნისში დაიკავეს თეთრგვარდიელებმა. გაათავისუფლა წითელმა არმიამ 1919 წ. 26 ნოემბ. 1936-იდან შედის ყაზ. სსრ-ში. 1954 გახდა ყამირი მიწების ათვისების საორგანიზაციო ცენტრი. 1960—65 იყო ყამირის მხარის ადმ. ცენტრი, 1965-იდან არის საოლქო ცენტრი. ც. ჩრდ. ყაზ. დიდი სამრეწვ. ცენტრია. მთავარი სამრეწვ. საწარმოებია სას.-სამ. მანქანების, სატუმბო, აირის აპარატურის, თუჯსასხმელი, ვაგონსარემონტო ქ-ნები, კერამიკის კომბინატი და სხვ., კვების მრეწველობა. აგურის, რკინაბეტონის ნაკეთობათა, სამშენ. დეტალების, ასფალტის წარმოებათა. ც-ში არის სამეცნიერო-საშენებლო, სას.-სამ., სამედ. და პედ. ინ-ტები; 6 პროფ. ტექნიკუმი, პედ. და 2 სამედ. სასწავლებელი, დრამ. თეატრი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

**ცელინოგრადის ოლქი** (1961-მდე ა კ მ ო ლ ი ნ ს კ ი ს), შედის ყაზ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1961 წ. 24 აპრ. (პირველად შეიქმნა 1939 წ. 14 ოქტ., გაუქმდა 1960 წ. 26 დეკ.). ფართ. 124,6 ათ. კმ², მოსახლ. 862 ათ. კაცი (1985), აქედან 60% ქალაქში ცხოვრობს. ცენტრი — ქ. ცელინოგრადი. ც. ო. მდებარეობს რესპ. ჩრდ. ნაწილში, მდ. იშიმის ზემოთში ტერიტ. უმეტესი ნაწილი მდებარეობს ყაზახეთის წვრილბორცვების ჩრდ.-დას. კიდეში. დიდი ვაკეებია იშიმი (იხის აუზი). განვითარებულია ჟდაჩელსაველი დიდი წყალსაცავი. ბევრია ტბა, განსაკუთრებით — მლაშე. ც. ო. მარცვლეულის ერთ-ერთი უმთავრესი რაიონია, რ-იც შეიქმნა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად. მეურნ. მთავარი დარგებია უწყვეტი მარცვლეულის მეურნ. და ხორცის-საშატყლე მეცხოველეობა. განვითარებულია სამთომოპოვებითი, მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. (სას.-სამ. მანქანების, სატუმბო, ვაგონსარემონტო და სხვ. ქ-ნები), კვების, მსუბუქი და სამშენ. მასალათა მრეწველობა. 1954—58 ც. ო-ში აითვისეს 4 მლნ ჰა-ზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. შეიქმნა მარცვლეულის საბჭ. მეურნეობები მსხვილ მიწათმოქმედებასთან ერთად განვითარებულია სარძე-სახორცე მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეღორეობა, წმინდამატყლიანი მეცხვარეობა, მეცხენეობა. მდ. იშიმზე და მჭიდრო ტბებზე მისდევენ მეთევზეობას. წვრილფეხა რ-ნში — ნადირობას.

განვითარებულია სარკინიგზო და საავტ. ტრანსპორტი ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1958).

**ცელნერი** (Zöllner) იოჰან კარლ ფრიდრიხ (8. XI. 1834, ბერლინი,—25. IV. 1882, ლაიფციგი), გერმანელი ასტროფიზიკოსი 1866-იდან ლაიფციგის უნ-ტის პროფესორი. ფოტომეტრული მეთოდებით იკვლევდა ცის სხეულებს. დაამზადა ვიზუალური ფოტომეტრი. სპექტროსკოპით ერთ-ერთი პირველი დააკვირდა მზის პროტუბერანცებს. შრომები მიუძღვნა კომეტებისა და მზის ატმოსფეროს გამოკვლევასაც.

**ცელობიოზა,** ნახშირწყალი დისაქარიდების ჯგუფისა. ცელულოზის ძირითადი სტრუქტურული ერთეული. თეთრი კრისტალური ნივთიერებაა. კარგად იხსნება წყალში. მჟავური ჰიდროლიზის დროს ან ფერმენტ β-გლუკოზიდაზის მოქმედებით მ იშლება გლუკოზის 2 მოლეკულად. ც-ს იღებენ ცელულოზის ნაწილობრივი ჰიდროლიზის გზით. თავისუფალი სახით ც-ს შეიცავს ზოგი ხის წვენი.

**ცელომი** (<ბერძ. koilōma — ჩაღრმავება, ღრუ), ს ხ ე უ ლ ი ს მ ე ო რ ე უ ლ ი ღ რ უ. უმაღლესი ცხოველების სხეულის კედელსა და შინაგან ორგანოებს შორის არსებული არე, რ-იც შემოფარგლულია საკუთარი ეპითელური გარსებით. იხ. სხეულის ღრუ.

**ცელოსტატი** (ლათ. caelum—ცა და ბერძ statos — მდგომი უძრავი), ჩაწუნავსარკიანი დამხმარე ასტრონომიული ინსტრუმენტი. იგი საშუალებას გვაძლევს ცის სხეულებს, რ-ებიც ცის დღეღამური ბრუნვის გამო გადაადგილდებიან ცამრგვალზე, დავაკვირდეთ უძრავი ინსტრუმენტებით (მაგ., ჰორიზ. საშუეო ტელესკოპით), ე. ი. ისე, რომ სხივი შემოდიოდეს ინსტრუმენტში ყოველთვის ერთი მიმართულებიდან (იხ. ნახ.). ბრტყელი სარკე (ს) დამაგრებულია მისი სიბრტყისა და სამყაროს ღერძის პარალელურ ღერძზე (OO′), რ-იც საათის (სთ) მექანიზმით ბრუნავს 48 საათში 1 ბრუნის სიჩქარით (მზისეული დროით, თუ მზეს ვაკვირდებით და ვარსკვლავური დროით — ვარსკვლავებზე დაკვირვებისას), რის გამოც სარკის ნორმალი ცის ეკვატორის გასწვრივ სრიალებს. ცის სხეულის სარკიდან არეკლილი სხივი კი უცვლელ მიმართულებას ინარჩუნებს ნ დახრილობის მქონე მნათობის არეკლილი სხივი შეიძლება მივმართოთ დახრილობის შესაბამისი პარალელის ნებისმიერ წერტილში (მაგ., ჰორიზ. მიმართულებით, რაც ყველაზე ხელსაყრელია), დამხმარე სარკეებით კი — ნებისმიერი მიმართულებით. ც-ის პრინციპით აგებულ ხელსაწყოს, რ-საც მზეზე დაკვირვებისათვის იყენებენ ჰ ე ლ ი ო ს ტ ა ტ ი ეწოდება, ვარსკვლავებისათვის გამოყენების შემთხვევაში კი — ს ი დ ე რ ო ს ტ ა ტ ი. ამათთან შედარებით ც. გაუმჯობესებული სისტემაა. კერძოდ, ც-ით მიღებული მნათობის გამოსახულება არ ბრუნავს (თავისსავე სიბრტყეში).

**ცელოფანი** (ცელულოზა და ბერძ. phainos — ღია ფერის), გამჭვირვალე აფსკური



მასალა: ლეპტულომბენ ვისკოზისაგან. ც-ს იყენებენ საფუთავ მასალად და სხვ.

**ცელსიუსი** (Celsius) ანდერს (1701—1744), შვედი ასტრონომი და ფიზიკოსი, სტოკჰოლმის მეცნ. აკად. წევრი. 1730-იდან უფსალის უნ-ტის პროფესორი, მონაწილეობდა ლაპლანდიის ექსპედიციაში (1736—37, ხელმძღვანელი ფრანგი მეცნ. პ. მოპერტიუი), რ-მაც ჩაატარა მერიდიანული გაზომვები ფინეთში. 1740-იდან იყო თავის მიერ უფსალაში აგებული ობსერვ. დირექტორი. ც-ის შრომები ეხება ასტრონ., გეოფიზ. და ფიზ. საკითხებს. 1742 გამოიგონა ტემპ-რული სკალა (იხ. *ცელსიუსის სკალა*).

**ცელსიუსის სკალა**, ტემპერატურული სკალა, რ-შიაც ნორმალური ატმოსფერული წნევის დროს (101325 პა, ანუ 760 *მმ ვწყ. სვ.*) ყინულის დნობისა და წყლის დუღილის ტემპ-რებს შორის ინტერვალი დაყოფილია 100 თანაბარ ნაწილად. სახელი ეწოდა ა. ცელსიუსის პატივსაცემად. ტემპ-რა ც. ს-ის მიხედვით გამოისახება ცელსიუსის გრადუსებით (°C). ამასთან, ყინულის დნობის ტემპ-რად მიღებულია 0°C, წყლის დუღილის ტემპ-რად კი—100°C. 1°C=1K (ტემპ-რის ერთეული თერმოდინ. სკალის მიხედვით).

**ცელსუსი** ავლუს კორნელიუს (Celsus Aulus Cornelius) (დაახლ. ძვ. წ. 25,— დაახლ. ახ. წ. 50), რომაელი მეცნიერ-ენციკლოპედისტი. მისი საენციკლოპედიო ნაშრომიდან „ხელოვნებანი" („Artes") (დაახლ. 25—30), რ-შიც წარმოდგენილია ცოდნის სხვადასხვა დარგი (ფილოსოფია, რიტორიკა, სამართალი, მედიცინა, სოფლ. მეურნეობა, სამხ. საქმე და სხვ.), დღემდე შემორჩენილია მხოლოდ მედიცინის ნაწილი (6—13 წიგნი), სადაც მოცემულია ცნობები ჰიგიენის, დიეტეტიკის, პათოლ., თერაპიის, ქირურგ. შესახებ. ეს ცნობები ც-მა ძირითადად ამოკრიბა ძვ. ბერძენ მედიკოსთა, კერძოდ, ალექსანდრიის სკოლის (ჰეროფილე, ერასისტრატე) წარმომადგენელთა შრომებიდან. ც-ის ნაშრომი „მედიცინის შესახებ" ძვ. სამყაროს ერთადერთი ლიტერატურული სამედ. თხზულებაა, რ-მაც ჩვენამდე მოაღწია. ამ ნაშრომში აღწერილია ანთების 4 ნიშანი: შეწითლება, შეშუპება, სიცხე და ტკივილი. თანამედროვენი ც-ს მედიცინის ციცერონს და რომაელ ჰიპოკრატეს უწოდებდნენ. ც. ამუშავებდა სამედ.-მეცნ. ტერმინოლოგიას, ზოგიერთ ქირურგ. მეთოდს და დაავადებას ც-ის სახელი ეწოდა.

ლიტ.: О медицине, [кн. 1—8], М., 1959.

ლიტ.: Ковнер С. Г., История древней медицины, в. 3, К., 1888.

**ცელტერი** (Zelter) კარლ ფრიდრიხ (11 XII. 1758, ბერლინი,— 15 V 1832, იქვე), გერმანელი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი, 1800-იდან ხელმძღვანელობდა ბერლინის სიმღერის აკადემიას, 1807 ბერლინში დააარსა საორკესტრო დაკვრის სკოლა („რიპიენშულე"). 1809 — გერმანიაში პირველი მამაკაცთა სიმღერის საზ-ბა „ლიდერტაფელი". 1822 — საეკლ. მუსიკის სამეფო ინ-ტი, ასწავლიდა სამუსიკო საგნებს ბერლინის უნ-ტში (1829-იდან უნ-ტის ე. წ. სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი). მოწაფეები: ფ. მენდელსონ-ბართოლდი, ო. ნიკოლაი, ჯ. მეიერბერი. ც. იყო გოეთეს ახლო მეგობარი. მრავალი სიმღერა შექმნა გოეთესა და შილერის ლექსებზე. ხელოვნ. სამეფო აკად. საპატიო წევრი (1809).

**ცელულაზა**, ჰიდროლაზების კლასის ფერმენტი; ხლეჩს პოლისაქარიდ ცელულოზას (უჯრედისს) გლუკოზად ან დისაქარიდ ცელობიოზად. შეიცავს მრავალი ბაქტერია, სოკო, აგრეთვე ზოგიერთი ცხოველი, რ-იც მერქნით იკვებება. მცოხნელი ცხოველის უნარი მოინელოს უჯრედისი განპირობებულია მის კუჭში იმ სიმბიონტი მიკროორგანიზმების არსებობით, რ-ებიც ც-ს გამოყოფენ.

**ცელულოზა** (ფრანგ. cellulose <ლათ. cellula, სიტყვასიტყვით — პატარა ოთახი; აქ — უჯრედი), უ ჯ რ ე დ ი ს ი, $[C_6H_7O_2(OH)_3]_n$, პოლისაქარიდი, მცენარეული უჯრედის გარსის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რ-იც სიმტკიცესა და ელასტიკურობას აძლევს მცენარის ქსოვილებს. ც. ყველაზე უფრო გავრცელებული ბიოპოლიმერია. მაგ., ბამბის თესლის ბოჭკოებში 95—98% ც-აა, ლაფნის მცენარეების ღეროებში — 60—90%, მერქანში — 40—50%, მწვანე ფოთლებში, ბალახში — 10—25%. ც. აღმოჩენილია აგრეთვე ზოგიერთ უმდაბლეს უხერხემლო ცხოველში. ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში ც. თითქმის არ მონაწილეობს. ც. თეთრი ბოჭკოვანი მასალაა (40—50 *მმ*-მდე სიგრძის), სიმკვრივე 1520—1540 *კგ/მ*³. წყალსა და ორგ. გამხსნელებში არ იხსნება, ც-ის მაკრომოლეკულა D-გლუკოზის რგოლებისაგანაა შედგენილი. ც-ის ნაწარმები (მაგ., *აცეტილცელულოზა*, *ნიტროცელულოზა* და სხვ.) მნიშვნელოვანი ტექნ. პროდუქტებია. ც-გან ამზადებენ ქაღალდს, მუყაოს, სხვადასხვა ხელოვნურ ბოჭკოს, აფსკებს (ცელოფანი), პლასტმასებსა და ლაქებს. ც-ის ბუნებრივი და ხელოვნ. ბოჭკოებს ფართოდ იყენებენ საფეიქრო მრეწველობაში.

ლიტ.: Роговин З. А., Химия целлюлозы, М., 1972.

**ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა**, მრეწველობის დარგი, რ-იც ამზადებს სხვადასხვა სახეობის ქაღალდსა და მუყაოს და სხვადასხვა ნაწარმს მათგან, აგრეთვე ცელულოზას, საიზოლაციო ბოჭკოვან და მყარ მერქანბოჭკოვან ფილებს. დარგის თანაპროდუქტებია: ღვინის სპირტი, საკვები საფუარი, კანიფოლი, სკიპიდარი და ცხიმოვანი მჟავები. ც.-ქ. მ. სახ. მეურნ. ერთ-ერთი უძველესი დარგია. რევოლუციამდელ რუსეთში არსებული დარგის საწარმოები საზღვარგარეთიდან შემოტანილ მოწყობილობებს იყენებდნენ, მოთხოვნილება ქვეყნის ქაღალდსა და მუყაოზე უმთავრესად უცხოეთიდან შემოტანილი ქაღალდით კმაყოფილდებოდა.

სსრკ-ში პირველ ხუთწლედებში (1929—40) აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა ამ დროისათვის ევროპაში უმსხვილესი კამისა და ბალახნის, არხანგელსკის, სოლიკამსკისა და სხვ. ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში ბევრი საწარმოს მოწყობილობა ევაკუირებული იყო ქვეყნის აღმოსავლეთ რ-ნებში. ომისშემდგომ წლებში გაფართოვდა და რეკონსტრუირებული იქნა ათობით საწარმო, შეიქმნა დარგის სანედლეულო ბაზა. წარმოებაში ინტენსიურად იყენებენ დაბალი ხარისხის ხის მერქანს. შესამჩნევად გაიზარდა ც.-ქ. მ-ის პროდუქციის მოცულობაც (იხ. ცხრ. 1). ამჟამად დარგის ყველაზე დიდი საწარმოებია ბრატსკისა და სიქტივკარის ხე-ტყის მრეწვ. კომპლექსები, კოტლასის, არხანგელსკის, კრასნოიარსკისა და სხვ. ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები.

სოციალ. ქვეყნებს შორის ც.-ქ. მ. ყველაზე განვითარებულია გდრ-ში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, კაპიტალ. ქვეყნებს შორის კი აშშ-ში, ფინეთში, შვედეთსა და კანადაში. ქაღალდისა და მუყაოს მსოფლიო წარმოების დაახლ. 1/3 მოდის აშშ-ზე. ომის შემდგომ წლებში ც.-ქ. მ. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე იაპონიაში.

საქართველოს სსრ-ში ც.-ქ. მ-ის ძირითადი საწარმოა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი. საქ. სსრ ც.-ქ. მ-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის წარმოების დინამიკა მოცემულია 2 ცხრილში.

ალ. წერეთელი

ცხრ. 1. სსრ კავშირში ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოება

| | 1940 | 1960 | 1970 | 1975 | 1980 | 1984 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქაღალდი, ათ. ტ | 838 | 2334 | 4185 | 5215 | 5262 | 5862 |
| მუყაო, ათ. ტ | 183 | 893 | 2516 | 3360 | 3445 | 3965 |
| ცელულოზა, ათ. ტ | 592 | 2282 | 5110 | 6815 | 7123 | 8153 |

ცხრ. 2. საქართველოს სსრ-ში ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოება

| | 1940 | 1965 | 1970 | 1975 | 1980 | 1984 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცელულოზა, ათ. ტ | 7,1 | 15,8 | 19,7 | 16,3 | 18,2 | 17,9 |
| ქაღალდი, ათ. ტ | 9,7 | 32,2 | 35,6 | 32,6 | 38,8 | 40,1 |
| მუყაო, ათ. ტ | — | 6,5 | 11,1 | 65,8 | 55,7 | 66,3 |

**ცელულოზის ეთერები**, ცელულოზის ქიმ. მოდიფიკაციების პროდუქტები; ც. ე-ებს შორის პრაქტიკული მნიშვნელობისაა *აცეტილცელულოზა*, *ნიტროცელულოზა*, *ცელულოზის ქსანთოგენატები* და სხვ.

**ცელულოზის ნიტრატები**, იგივეა, რაც *ნიტროცელულოზა*.

**ცელულოზის ქსანთოგენატები**, ცელულოზისა და დითიოკარბონმჟავას რთული ეთერი. ც. ქ.-ის მისაღებად, გაჟღენთილს NaOH-თან, უწოდებენ ვისკოზას, რ-საც იყენებენ ვისკოზის ბოჭკოსა და აფსკების (*ცელოფანი*) დასამზადებლად.

**ცელულოზური დუღილი**, იხ. *დუღილი*.

**ცელულოიდი** (ცელულოზა და ბერძნ. eidos — სახე, სახეობა), ნიტროცელულოზის ფუძეზე დამზადებული თერმოპლასტი. შეიცავს პლასტიფიკატორებსა და საღებრებს; იყენებენ პლანშეტების, სახაზავების, საკალამეების ნაკეთობათა, მაგიდის ჩოგბურთის ბურთების, სათამაშოების და სხვ. დასამზადებლად. ც-ის მნიშვნელოვანი ნაკლია წვადობა, რის გამოც მისი გამოყენების სფერო მცირდება.

**ცელულური პათოლოგია** (ლათ. cellula, სიტყვასიტყვით — პატარა ოთახი, აქ — უჯრედი), უ ჯ რ ე დ ო ვ ა ნ ი პ ა თ ო ლ ო გ ი ა, მედიცინის თეორია, რ-საც საფუძვლად უდევს რ. ვირხოვის სწავლება უჯრედზე, როგორც ავადმყოფობის მატერიალურ სუბსტრატზე. ეს თეორია ვირხოვმა ჩამოაყალიბა 1855—58 წლებში. ც. პ-ის მიხედვით, ავადმყოფობა ცალკეული უჯრედების დაზიანების შედეგია და ვითარდება პათოგენური გამღიზიანებლის უშუალო ზემოქმედების შედეგად. ც. პ-ის საფუძველზე, პირველად მედიცინის ისტორიაში, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა დაავადებისა და პროცესის მორფოლ. სუბსტრატის დადგენა და ძირითადი დაავადებებისა და პათოლ. პროცესების კლასიფიკაციის შექმნა, რამაც დიდი როლი ითამაშა საერთოდ მედ. და, კერძოდ, პათოლ. ანატომიის განვითარებაში. ამ თეორიამდე მედიცინაში გაბატონებული იყო მყარ მეცნ. საფუძველს მოკლებული ჰუმორალური პათოლოგია, რ-იც ყოველი პათოლ. პროცესის საფუძვლად მიიჩნევდა პირველად დარღვევებს ორგანიზმის სითხეებსა და სისხლში. მიუხედავად იმისა, რომ ვირხოვის მიერ დადგენილი პათომორფოლ. ცვლილებების ფაქტობრივი მხარე ძირითადად მისაღებია დღესაც, ც. პ-მ, როგორც თეორიამ, საერთოდ ვერ ახსნა დაავადებათა არსი, რადგან დაავადებებს იხილავდა უჯრედოვანი მორფოლ. პოზიციიდან და არ ითვალისწინებდა ნერვული სისტემის უდიდეს მნიშვნელობას მთლიანი ორგანიზმის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში. ც. პ-მ სათანადოდ ვერ შეაფასა გარემოსა და შინაგანი არის როლი დაავადებათა აღმოცენებაში. მეცნ. შემდგომმა მიღწევებმა, განსაკუთრებით ნეიროჰუმორალური ფაქტორების, სუბუჯრედოვანი და მოლეკულური სტრუქტურების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა ც. პ-ის ცალმხრივობისა და მისი მცდარი დებულებების დაძლევა და იმ მნიშვნელოვან ფასეულობათა სინთეზი, რ-საც მოიცავდა ცელულარიზმი, ჰუმორალიზმი და ნერვიზმი.

გ. დანელია.

**ცენოზი** (<ბერძ. koinos — საერთო), იგივეა, რაც ბიოცენოზი.

**ცენოლესტიდები** (Caenolestidae), ძუძუმწოვრების ოჯახი ჩანთოსნების რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 9—14 სმ აქვთ მოგრძო თავი, პატარა თვალები და ყურები, ხუთთითიანი კიდურები, ბალნზე პრიმიტიული თავის ტვინი. ოჯახში 3 (ან 7) სახეობაა, რ-ებიც განეკუთვნებიან 3 გვარს: ცენოლესტი (Caenolestes), ლესტორი (Lestores) და რინქოლესტი (Rhyncholestes). ცენოლესტიდები გავრცელებული არიან სამხრ. ამერ. დას.-ით, სამხრ. ვენესუელიდან სამხრ. ჩილემდე მინადორიბის ტყის ზოლში, მთებში ადიან 4000 მ-მდე. აქტ. არიან ღამით. იკვებებიან უხერხემლო ცხოველებით. მცირერიცხოვანი არიან.

**ცენტავრები**, იხ. კენტავრები.

**ცენტავრი**, იხ. კენტავრი.

**ცენტი** (ინგლ. და ჰოლანდ. cent<ლათ. centum — ასი), 1. აშშ-ის ხურდა ფული, რ-იც უდრის 1/100 დოლარს. 2. ავსტრ., კანადის, ნიდერლ., ახალი ზელანდიის, შრი-ლანკის, კენიის, ლიბერიის, სომალის, ტანზანიის, უგანდის, ეთიოპიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხურდა ფული.

**ცენტნერი** (გერმ. Zentner < ლათ. centenarius — 100 ერთეულის შემცველი), მასის სისტემის გარეშე ერთეული. უდრის 100 კგ (0,1 ტ). ქართ. აღინიშნება ც. ლათ. ანბანის მქონე ქვეყნებში — q (<quintal). ინგლ. საზომთა სისტემაში მისი სახელწოდებაა ცენტალი. რომ უდრის 100 ინგლ. ფუნტს ანუ 45,359 კგ.

**ცენტონი** (ლათ. cento, ნათ. ბრ. centonis — ნაკუწებისაგან შეკერილი ტანსაცმელი ანდა საბანი), ერთი ან რამდენიმე პოეტის ცნობილი ტაეპებით შედგენილი ლექსი. ც. ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტ. საბერძნეთში (მაგ., ავსონიუსის „საქორწილო ცენტონი", რ-იც შედგენილია ვერგილიუსის სხვადასხვა ტაეპით). ახ. დროის ლიტ-რაში ც. თავშესაქცევ პოეტურ თამაშად აღიქმება. ქართ. პოეზიაში ც. არ დასტურდება. რ. ბარამიძე.

**ცენტრალიზებული ფაზიდა შემოსავალი**, იხ. წმინდა შემოსავალი.

**ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული**, საბრძოლო იარაღი, რ-საც აქვს მოხრ-ბუალი სამუშაო პირი და მაღალი, ოვალური სატარე ნახვრეტი. ძვ. წ. III ათასწლეულიდან გავრცელებული იყო ცენტრ. ამიერკავკასიაში. გავრცელების საზღვრები ჩრდ.-ით — კავკასიონის ქედი, აღმ.-ით — ნუხა-მინგეჩაურის ზოლი, სამხრ.-ით — მდ. არაქსის შუა წელი, დას.-ით — ძირითადად სურამის ქედი (იმერეთიდან ამ ფორმებს გარეთაც). შემდეგომში, როგორც ამ რეგიონში მატერ. კულტურის რამდენიმე ლოკალური ვარიანტი ჩამოყალიბდა, ბრინჯაოს ცული ამ ტერიტორიისათვის ერთი და იგივე სახისა იყო. დაახლ. ძვ. წ. VII ს-ში ამ ტიპის ცული ცენტრ. ამიერკავკასიაში სრულიად გაქრა. მისი ადგილი კოლხ. ცულის ფორმის რკინის ცულმა დაიკავა.

ლიტ.: ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973; ქ ო რ ი ძ ე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბ., 1955; Е с а я н С. А., Оружие и военное дело древней Армении (III—I тыс. до н. э.), Ер., 1966.
კ. ფიცხელაური.

**ცენტრალურევროპული რასა**, დიდი ევროპეოიდული რასის ერთ-ერთი შტო. გარდამავალი ადგილი უკავია დიდ ევრ. რასაში შემავალ ორ მცირე რასას (სამხრეთულ, ანუ ინდოხმელთაშუაზღვისპირულ და ჩრდილოურ, ანუ ბალტიურ რასას) შორის. მას მიიჩნევენ მესამე ანუ ცენტრალურად. შდრ. ახასიათებს გარდამავალი ინტენსივობის პიგმენტაცია, ნაკლებ დოლიქოკეფალიურია, ვიდრე ჩრდილოური. რასა, სიმაღლეც შედარებით მცირე აქვს. ამ რასობრივი კატეგორიის ადგილ. ნაირსახეობად მიიჩნევენ ატლანტურ-შავიზღვისპირული რასობრივი ტიპების ჯგუფს, რ-იც თავისთავად კონტაქტური წარმონაქმნისა უნდა იყოს.
მ. აბდუშელიშვილი.

**ცენტრალური აეროლოგიური ობსერვატორია** სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტისა, დაარსდა 1940; მდებარეობს მოსკ. ოლქის ქ. დოლგოპრუდნიში. ც. ა. ო-ში სწავლობენ თავისუფალი ატმ. ფიზიკურ და აეროზოლურ შედგენილობას, ტემპ-რის, წნევის, ქარისა და სხვა მახასიათებლების განაწილებას, იკვლევენ ღრუბლებისა და ნალექების წარმოქმნის პროცესს, ატმ. ტურბულენტურობასა და მის სხვა თვისებებს ამინდის პროგნოზისა და ამინდის მიზანდასახული შეცვლის მეცნ. საფუძვლების შესაქმნელად და ატმ. პროცესებზე ხელოვნური ზემოქმედების მიზნით. ც. ა. ო-ში ქმნიან ატმ. ზონდების ტექ. საშუალებებს. ც. ა. ო. მეთოდურად ხელმძღვანელობს სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიის აეროლოგიურ და რაკეტული ზონდირების სადგურებს. „ცენტრის შედეგები ქვეყნდება „ც. ა. ო-ის შრომებში".

**ცენტრალური აზია**, ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვეყანა აზიაში, რ-იც მოიცავს უდაბნო და ნახევარუდაბნო ვაკეებს, ზეგნებსა და მთიანეთებს. აღმ.-იდან ესაზღვრება დიდი ხინგანის სამხრ. ნაწილი და ტაიხანშანის ქედი, სამხრ.-იდან — მდ.-ების ინდისა და ბრაჰმაპუტრის ზემო დინების გასწვრივ ტექტ. ქვაბული, დას. და ჩრდ.-იდან — აღმ. ყაზახეთის ქედები, ალთაი, დას. და აღმ. საიანები. ფართ. სხვადასხვა მონაცემებით 5—6 მლნ. კმ²-მდე. ც. ა-ის ტერიტორიაზე მდებარეობს ჩინეთის დიდი ნაწილი და მონღოლეთი. რელიეფი რთულია. აქ არის გობის, ალაშანის, ორდოსის, ჯუნგარის, ტარიმის ვაკეები და ტიბეტის მთიანეთი (საშ. სიმაღლე 4—4,5 ათ. კმ) ვაკეები და ზეგნები ერთმანეთისაგან გამოყოფილია აღმ. ტიანშანის, კუნლუნის, ნანშანის, მონღოლეთის ალთაის, განდისიშანისა და სხვა განედური და სუბგანედური ქედებით. ც. ა-ის მაქს. სიმაღლეა 8611 მ.

ც. ა. ჩინეთ-კორეის ბაქანის დას. გაგრძელებაა, რ-ზეც ალპამდელ-ალპური განვითარებულია პალეოზოური და მეზოზოური ნაოჭა სტრუქტურები. ც. ა-ში მოიპოვება ნავთობი, ქვანახშირი, მურა ნახშირი, რკინის მადანი. მდიდარია ფერადი და იშვიათი ლითონებით, არის სუფრის მარილი და სხვა წიაღისეული.

ჰავა მკვეთრად კონტინენტურია, მშრალი. იანვ. საშ. ტემპ-რა ვაკეზე —10°, —25°C-მდე, ივლ. 20-იდან 26°C მდე, ტიბეტის ზეგანზე დაახლ. 10°C. ნალექები ვაკეზე 200 მმ არ აღემატება წელიწადში; ზოგან 50 მმ-ზე ნაკლებია. მთაში 300—1000 მმ იცის ძლიერი ქარები. თანამედროვე გამყინვარების ფართ. 50—60 ათ. კმ². ც. ა-ის დიდი ნაწილი დახშულ აუზს მიეკუთვნება, სადაც მდ-თა უმრავლესობა ზაფხულობით შრება. ც. ა-ის კიდეებზე აღმართულ ქედებზე სათავე აქვს მდ-ებს: ხუანხეს, იანძის, მეკონგის, ბრაჰმაპუტრას, ინდს, ირტიშს, ამურს. მდიდარია ტბა (ლობნორი, ხუბსუგული და სხვ.). ც. ა-ის ვაკეებზე უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობაა, ჩრდ. ნაწილში — სტეპი, მთაში ჩრდ. კალთებზე — ნაძვის, სოჭისა და ლარიქსის ტყეები, მდ-თა გასწვრივ — ტუგაის ტყეები. ცხოველებიდან ბინადრობს გარეული აქლემი, კულანი, პრჟევალსკის ცხენი, ქურციკი, კურდღელი, მთის თხა და ცხვარი, ანტილოპები ორონგო და ადა. მგელი, გარეული იაკი და სხვ.

**ცენტრალური ამერიკა**, ტერიტორია ჩრდ. ამერიკის სამხრ. ნაწილში, წყნარ ოკეანეს, მექსიკის ყურესა და კარიბის ზღვას შორის, გადაჭიმულია ბალსასის დეპრესიიდან (მექსიკის მთიანეთის სამხრ. მოსაზღვრე) დარიენის ყურემდე (სამხრ. ამერიკის ჩრდ.-დას.-ით), ზოგჯერ საზღვარს ატარებენ ტეჰუანტეპეკის ყელსა და პანამის ყელზე. ფართ. 770 ათ. კმ². სიგანე ჩრდ.-დას.-ით 960 კმ-მდე, სამხრ.-აღმ.-ით 48 კმ-მდე. ც. ა-ის ტერიტორიაზე მდებარეობს სახელმწიფოები: მექსიკა (სამხრ.-აღმ. ნაწილი), გვატემალა, სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტა-რიკა, პანამა და ბელიზი. ძირითადი მკვიდრი მოსახლ. — ინდიელები განეკუთვნებიან მონღოლოიდურ რასას. ამერ. რასისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად ახასიათებთ დაბალი ტანი და ბრაქიკეფალია. ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები განეკუთვნებიან ევროპეოიდულ რასას, აფრიკიდან შემოყვანილ მონათა შთამომავლები — ნეგროიდულს. ც. ა-ის თანამედროვე მოსახლ. უმრავლესობა შერეული, ძირითადად ინდურ-ესპ. წარმოშობისაა.

ც. ა-ის წყნარიოკეანური ნაპირის გასწვრივ სანაპირო დაბლობების ვიწრო წყვეტილი ზოლია, სამხრ. ნაწილში — ყურეები (ფონსეკა, ნიკოია, ჩირიკი, პანამა და სხვ.), ნ-კ-ები (ნიკოია, ოსა, აზუერო და სხვ.) და კ-ები (კოიბა, ხიკარო, რეი და სხვ.). მექსიკის ყურისა და კარიბის ზღვის ნაპირები უმთავრესად დაბალია, ლაგუნური. იუკატანის ნ-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში ღრმად არის შეჭრილი ჰონდურასის ყურე.

ც. ა-ის დიდი ნაწილი კორდილიერების სისტემაში შემავალ საშ. სიმაღლის მთებს უკავია (სამხრ. სიერა-მადრე, სიერა-მადრე-დე-ჩიაპასი და სხვ.). მათი მასივები დასერილია ღრმა ხეობებით, გვხვდება მოვულკანებული ზეგნები და ტაფობები. ქვაბულებიც მექსიკის საზღვრიდან დას. პანამამდე წყნარი ოკეანის გასწვრივ, აღმართულია ვულკ. ქედი, სადაც ბევრი მოქმედი ვულკანია (სანტა-მარია, ატიტლანი, სანტა-ანა და სხვ.). აქ არის ც. ა-ის უმაღლესი წერტილი ვულკ. ტახუმულკო (4220 მ). ჩრდ. ნაწილი ვრცელ დაბლობებს უჭირავს.

ც. ა-ის ჩრდ. ნაწილი წარმოადგენს ცენტრ. ამერიკის მასივისა და იუკატანის ფილაქნის შედარებით სტაბილურ ბლოკებს, სამხრ. ნაწილი — კორდილიერების ნაოჭა სარტყელს. ც. ა-ში არის ოქროს, ვერცხლის, ვერცხლისწყლის, ქრომის, სპილენძის, ნავთობისა და არის საბადოები.

ტროპ. და სუბეკვატორულ კლიმ. სარტყელებში (ჩ. გ. 7—22°-ს შორის) მდებარეობის გამო ტემპ-რა ც. ა-ში მთელი წლის განმავლობაში მაღალია. ბარში ყველაზე ცივი თვის საშ. ტემპ-რაა 22—24°C (ჩრდ.) და 26°C (სამხრ.), ყველაზე თბილი თვისა 26—28°C, მთაში 1000-იდან 2000 მ სიმაღლეზე ტემპ-რა 5—8°-ით ნაკლებია. ჩრდ.-აღმ. ქარპირა კალთებზე მუდმივად ნოტიო ჰავაა. ნალექები 1500—2000 მმ წელიწადში, ზოგან 3000-იდან 7000 მმ-მდე. ქარზურგა წყნარიოკეანურ კალთებზე ზამთარი მშრალია. ნალექები 1000—1800 მმ წელიწადში. შიდა ქვაბულებში — 500 მმ-ზე ნაკლები. ც. ა-ის მდ-თა ქსელი წყალუხვი და ხშირია. მდ-ები (მოტაგუა, პატუკა და კოკო) მოკლე და ჩქარმდინარეა. ტბებიდან აღსანიშნავია ნიკარაგუა, მანაგუა, იზაბალი, ატიტლანი.

ც. ა-ის დაბლობები და მთის ჩრდ.-აღმ. ქარპირა კალთები 800 მ სიმაღლემდე (ტიერა-კალიენტის სარტყელი) შემოსილია ნოტიო ტროპ. მარადმწვანე ტყით. განვითარებულია წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. ხარობს პალმები, ლიანები, ეპიფიტები. დაბლობები დაჭაობებულია. სანაპიროს გასწვრივ მანგრის, ანანასის, კაკაოს პლანტაციებია. იუკატანის ჩრდ.-დას. ნაწილში ქსეროფილური ტყეები, ბუჩქნარი და აგავის პლანტაციებია. მთაში 1700 მ სიმაღლემდე (ტიერა-ტემპლადა) ხშირია გვიმრები,


ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული ბრინჯაოს ცული. ძვ. წ. II ათასწლ. შუა წლები.

დი აგზნება—მოქმედების ანუ წვეტოვანი პოტენციალი. მედიატორის ბუნება ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. მხოლოდ აცეტილქოლინი და გლუტამინმჟავა შეიძლება ჩაითვალოს ზურგისა და თავის ტვინში ამგზნებ მედიატორად.

შემაკავებელ სინაფსებში მედიატორი, მაგ., გამა-ამინოერბომჟავა იწვევს ნატრიუმისადმი მემბრანის განვლადობის შეზღუდვას და ამის გამო ვითარდება ჰიპერპოლარიზაცია, რ-იც შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს. ამ ჰიპერპოლარიზაციას შემაკავებელ პოსტსინაფსურ პოტენციალს უწოდებენ. რეფლექსურ რკალში აგზნება რიტმული იმპულსების სახით ვრცელდება ერთი მიმართულებით — რეცეპტორული აპარატიდან აფერენტული ნერვით აგზნება აღწევს ტვინში და გადაეცემა ეფერენტულ ნეირონს, ხოლო ამ უკანასკნელით—პერიფერიულ მომუშავე ორგანოს (ჯირკვალი, კუნთი).

**რეფლექსური რკალის ცენტრალური ნაწილი** (რეფლექსური ცენტრი) ი. პავლოვის თანახმად, ნერვული ცენტრი (ნც) არის ც. ნ. ს-ის სხვადასხვა განყ-ბაში განლაგებულ ნერვულ ელემენტთა ერთობლიობა, რ-ებიც ქმნიან ერთიან სისტემას და არეგულირებენ ორგანიზმის გარკვეულ ფუნქციას.

თავისი ფიზიოლ. თვისებებით ნც-ს ახასიათებს ერთმხრივი გამტარებლობა, სინაფსური დაყოვნება (გავრცელების სიჩქარის შემცირება), რაც განსაზღვრავს რეფლექსის ფარული პერიოდის ხანგრძლივობას, აგზნებათა სუმაცია (სუსტ არაეფექტურ გაღიზიანებათა განმეორებისას ისინი ეფექტური ხდებიან), გაადვილება, აგზნების რიტმის ტრანსფორმაცია (ტვინში შესულ ერთ იმპულსს ცენტრი უპასუხებს იმპულსთა ზალპით), რიტმის შეთვისება, შეკავება, ოკლუზია და სხვ. ეს თვისებები განპირობებულია სინაფსების დენდრიტებისა და ნეირონთა სხეულების თვისებებით.

1862 ი. სეჩენოვმა ც. ნ. ს-ში აღმოაჩინა აგზნების საწინააღმდეგო შეკავების პროცესი. შემდგომში მრავალმა მკვლევარმა აღწერა ცენტრ. შეკავების სხვადასხვა გამოვლინება და შეკავება, როგორც ფიზიოლ. პროცესი, საფუძვლიანად აღიარეს. ამასთანავე, დაადგინეს, რომ შეკავების პროცესს უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ც. ნ. ს-ის ყოველი ნაწილის მოქმედებაში. იგი მონაწილეობს თითოეული რეფლექსური აქტის განხორციელებაში. შეუძლებელია, მაგ., ჩონჩხის კუნთების კოორდინირებული რეფლექსური მოქმედება შეკავების გარეშე. როდესაც კუნთების ერთი რომელიმე ჯგუფი, მაგ., მომხრელების ცენტრები აგზნებულია, მათი ანტაგონისტი კუნთების — გამშლელების ცენტრები შეკავებულია და პირიქით. ნც-ში მიმდინარე პროცესების ამგვარ დამოკიდებულებას ჩ. შერინგტონმა რეციპროკული უწოდა. უფრო მეტიც, შეკავება ატარებს ზოგად ხასიათს (ი. ბერიტაშვილი) და რეფლექსური აგზნება ზოგადი შეკავების ფონზე ხდება.

თანამედროვე ელექტროფიზიოლ. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ც. ნ. ს-ში არსებობს სხვადასხვა ლოკალიზაციისა და ბუნების რამდენიმე სახის შეკავება.

**შემაკავებელი ნეირონები.** დადგენილია, რომ ც. ნ. ს-ში ამგზნები ნეირონების გვერდით არსებობენ შემაკავებელი ნეირონები. ასეთია, მაგ., ი. ბერიტაშვილისა და ა. ბაკურაძის მიერ 1941 აღმოჩენილი ნერვული უჯრედები ზურგის ტვინში. აღმოჩნდა, რომ ზურგის ტვინის მოტონეირონების აქსონები ზურგის ტვინიდან გამოსვლამდე ხშირად იძლევიან ერთ ან რამდენიმე კოლატერალს, რ-ებიც შებრუნდებიან და ბოლოვდებიან განსაკუთრებულ შემაკავებელ ინტერნეირონებზე. ეს უკანასკნელი კი ბოლოვდება ისევ კოლატერალის მომცემ ნეირონსა და აგრეთვე სხვა მეზობელ ნეირონებზე, რ-ებიც აქტივირებენ ამ და სხვა ნეირონების უარყოფითი უკუკავშირის პრინციპის საფუძველზე. იმავე წელს, უფრო მოგვიანებით, იგივე მოვლენა აღწერა გერმ. მკვლევარმა ბ. რენშოუმ და ამ შემაკავებელ უჯრედებს უწოდეს რენშოუს უჯრედები, ხოლო თვით შეკავებას — შებრუნებითი შეკავება. სავარაუდოა, რომ ასეთი შეკავება დადასტურდა დიდი ნახევარსფეროების ქერქის პირამიდულ უჯრედებსა და ც. ნ. ს-ის სხვა უჯრედებშიც (ჯ. ეკლზი).

რეფლექსები წარმოიქმნებიან არა ქაოსურად, არამედ კოორდინირებულად, ერთი მთლიანი შეგუებითი მოქმედების სახით. კოორდინაციაში იგულისხმება ნეირონთა და, მაშასადამე, ც. ნ. ს-ში მიმდინარე ნერვულ პროცესთა ურთიერთმოქმედება, რ-იც უზრუნველყოფს მათ შეთანხმებულ მოქმედებას. კოორდინაცია უზრუნველყოფს კუნთურ მოძრაობათა ზუსტ შესრულებას, სხვადასხვა სიტუაციაში შეგუებულ რეფლექსურ აქტებს, რ-თა შემადგენლობაშია სამოძრაო, სეკრეციული, სისხლძარღვოვანი და სხვა კომპონენტები.

**კოორდინაციის პრინციპებია** კონვერგენცია, აგზნებათა ირადიაცია, რეციპროკული ინერვაცია, აგზნების თანამიმდევრული შეცვლა შეკავებით და შეკავებისა აგზნებით, უკუცემის ფენომენი და რიტმული რეფლექსები, უკუკავშირის პრინციპი, საერთო საბოლოო გზის პრინციპი, დომინანტის პრინციპი, ნერვულ ცენტრთა პლასტიკურობა და კომპენსაციური შეგუებადობა.

**კონვერგენცია** ნიშნავს სხვადასხვა აფერენტული ბოჭკოებით ც. ნ. ს-ში მისული იმპულსების თავმოყრას ერთსა და იმავე შუამდებარე და ეფექტორულ ნეირონებთან. ზურგისა და მოგრძო ტვინში კონვერგენცია შედარებით შეზღუდულია, ც. ნ. ს-ის უმაღლეს განყ-ბებში, ქერქსა და ქერქქვეშა ბირთვებში — ფართოდაა წარმოდგენილი. ამიტომ ერთი და იგივე ქერქული ნეირონი შეიძლება აგზნდეს სხვადასხვა რეცეპტორის გაღიზიანებით.

**აგზნების ირადიაციას** მისული იმპულსები ძლიერი და ხანგრძლივი გაღიზიანებით აგზნებენ არა მარტო ამ ცენტრებს, სადაც ნერვული იმპულსი მიდის, არამედ სხვა ნერვულ ცენტრებსაც. ეს ხდება აგზნების გავრცელებით ანუ აგზნების ირადიაციით ერთი ცენტრიდან მეორეზე. რაც განპირობებულია იმით, რომ აფერენტულ და შუამდებარე ნეირონებს ფართო კავშირი აქვთ ც. ნ. ს-ის სხვადასხვა განყ-ბასთან. ირადიაციის მექანიზმში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ბადებრივ ფორმაციას.

აგზნების ირადიაციას ზღუდავს მრავალი შემაკავებელი ნეირონი და სინაფსი. თუ ჩვენ გავუქმებთ ბლოკირებას შემაკავებელ სინაფსებს, მაგ., სტრიქნინის ან ტეტანოტოქსინის შეყვანით და ამით აგვიცილებთ პოსტსინაფსურ შეკავებას, ერთი წერტილის შეხება ბაყაყის თათზე იწვევს მთელი სხეულის მუსკულატურის კრუნჩხვებს. რაც აიხსნება ც. ნ. ს-ის აგზნების ფართო ირადიაციით.

**რეციპროკული ინერვაციის** არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეფლექსურ მოქმედებაში არსებობს გარკვეული ურთიერთობა ანტაგონისტურ მომხრელ და გამშლელ კუნთთა ცენტრებს შორის. როდესაც კიდურის მოხრის რეფლექსში მომხრელი კუნთების ცენტრი აგზნებულია, გამშლელი ცენტრი შეკავებულია და პირიქით. რეციპროკული აგზნებისა და შეკავების მექანიზმი გამოიკვლიეს ჯ. ეკლზმა და მისმა თანამშრომლებმა. აღმოჩნდა, რომ აფერენტული ნეირონების აქსონები ზურგის ტვინში იტოტებიან. ერთი მათგანი აგზნებს ამ მოტონეირონებს, რ-ებიც ანერვირებენ მომხრელ კუნთებს, ხოლო მეორენი — შუამდებარე ნეირონებს, რ-ებიც ქმნიან გამშლელ კუნთთა მოტონეირონებზე შემაკავებელ სინაფსებს. ამგვარად, აფერენტული ბოჭკოების აგზნება ერთდროულად იწვევს მომხრელი კუნთების ცენტრის აგზნებას და გამშლელი კუნთების ცენტრის შეკავებას. ც. ნ. ს-თვის დამახასიათებელია აგზნების **თანამიმდევრული შეცვლა შეკავებით და შეკავებისა—აგზნებით** (მოვლენა ნერვული ცენტრის მდგომარეობის შეცვლისა ამგზნები ან შემაკავებელი გაღიზიანების შეწყვეტის შემდეგ).

**„უკუცემის" შეკუმშვის ფენომენი და რიტმული რეფლექსები** ფენომენი მდგომარეობს ერთი რეფლექსის სწრაფ შეცვლაში მეორე, საწინააღმდეგო რეფლექსით. შესაძლოა, ერთმა რეფლექსმა გამოიწვიოს საწინააღმდეგო მეორე რეფლექსი, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და ა. შ. ასეთ რიგულ რეფლექსებს, როცა ერთი რეფლექსის ბოლო განაპირობებს მეორე რეფლექსის აღმოცენებას, ჯაჭვური რეფლექსები ეწოდება. ამ უკანასკნელის დროს ხშირად ხდება ერთი და იგივე მარტივი რეფლექსური აქტების მორიგეობა. ასეთ რეფლექსებს რიტმული რეფლექსები ეწოდება.

**უკუკავშირის პრინციპი.** აფერენტული იმპულსით გამოწვეულ ყოველ სამოძრაო აქტს თან სდევს კუნთის შეკუმშვის, სახსრების რეცეპტორების — პროპრიორეცეპტორების აგზნება. აქ აღმოცენებული იმპულსები ისწრაფვიან ც. ნ. ს-ში. ამგვარ აფერენტულ იმპულსებს, რ-ებიც ორგანიზმში აღმოცენდებიან ორგანოებისა და ქსოვილების მოქმედების შედეგად, მეორეული აფერენტული იმპულსები ეწოდება. ისინი აწვდიან ინფორმაციას ნც-ს სამოძრაო აპარატის მდგომარეობის შესახებ. ამ სიგნალების საპასუხოდ ც. ნ. ს-იდან კუნთებთან მიდის ახ. სამოძრაო იმპულსები, რ-ებიც განაპირობებენ მოძრაობის მომდევნო ფაზას ან ასრულებენ შესაბამისად შესრულებული მოძრაობის მაკორეგირებელ როლს. შემსრულებელი ორგანოების რეცეპტორებიდან მომდინარე ინფორმაციის განუწყვეტელი ნაკადი უკუკავშირის სახით მათი მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კორექციასა და მუშაობის თვითრეგულაციაში. ეს არის ორგანიზმის ფუნქციათა რეფლექსური თვითრეგულაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რ-მაც უკუკავშირის სახელწოდება მიიღო.

რეფლექსური რკალის ცენტრ. და პერიფერიულ რგოლებს შორის ასეთი წრიული ურთიერთმოქმედება ზოგჯერ გრძელდება ურთიერთგადაქცევის სახით. კუნთის რეფლექსური შეკუმშვა ასტიმულირებს მასში მოთავსებულ რეცეპტორებს, რაც ახალ კუნთის ახ. შეკუმშვას იწვევს. ასეთივე წრიული ურთიერთმოქმედება არსებობს რეფლექსური რკალის ცენტრ. ნაწილის ნეირონებს შორის და გრძელდება დადებითი და უარყოფითი უკუკავშირის სახით. დადებითი უკუკავშირის მაგალითს წარმოადგენს რ. ლორენტე დე ნოს მიერ აღწერილი ნერვული აგზნების ცირკულირება რეფლექსური ცენტრის მრავალად განშტოებული ნეირონების შეკრულ წრეში, ხოლო უარყოფითი უკუკავშირის მაგალითს — შებრუნებითი შეკავების ზემოთ აღწერილი ფენომენი.

**საერთო საბოლოო გზის პრინციპი.** რეცეპტორული (აფერენტული) ნეირონების საერთო რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება ეფექტორული ნეირონების საერთო რაოდენობას, უკვე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი და იგივე მოტონეირონი შედის მრავალი რეფლექსური რკალის შემადგენლობაში. ეფექტორული ნეირონები ამის გამო შეადგენენ ე. წ. საერთო საბოლოო გზას თავისი წარმოშობით სხვადასხვა რეფლექ-

**ცენტრალური ცილინდრი** მცენარის, ღერძული ცილინდრი, სტელა, უმაღლეს მცენარეთა ღეროსა და ფესვის შიგნითა ნაწილი, რ-საც გარს აკრავს პირველადი ქერქი. შედგება ან მხოლოდ გამტარი ქსოვილებისაგან (მაგ., პროტოსტელა), ან კიდევ პარენქიმული გულგულისა და პერიციკლისაგან. იხ. აგრეთვე სტელარული თეორია.

**ცენტრალური ძალა,** მატერიალურ სხეულზე მოქმედი ძალა, რ-ის მოქმედების წირი მატერიალური სხეულის ნებისმიერი მდებარეობის დროს გადის ძალთა ცენტრად წოდებულ ერთსა და იმავე უძრავ წერტილზე. ც. ძ-ის მაგალითებია გრავიტაციული ძალა, ელექტრული მუხტების ელექტროსტატ. ურთიერთქმედების ძალა (იხ. კულონის კანონი) და სხვ. ც. ძ-ის მოქმედებით თავისუფალი სხეულის მასათა ცენტრი მოძრაობს ბრტყელი ტრაექტორიის გასწვრივ, ხოლო წირის მონაკვეთი, რ-იც ამ ცენტრს ძალის ცენტრთან აერთებს, ნებისმიერ დროის ტოლ შუალედებში ტოლ ფართობებს შემოწერს (იხ. ფართობთა კანონი).

**ცენტრი** (ლათ. centrum<ბერძ. kentron — წერტილი, შუა წერტილი) მათემატიკაში, 1. სიმეტრიის ც. გეომეტრიული ფიგურისა, ისეთი O წერტილი, რომ ფიგურა ყოველ A წერტილთან ერთად შეიცავს A' წერტილსაც, რ-იც მდებარეობს OA წრფის O წერტილიდან მეორე მხარეს და OA=OA'. სიმეტრიის ც-ის მქონე ფიგურებსა და ზედაპირებს (მაგ., წრეწირი, ელიფსი, სფერო, ელიფსოიდი და სხვ.) ცენტრალურს უწოდებენ. ფიგურას შეიძლება ჰქონდეს უსასრულო რაოდენობის ც. 2. ორი მსგავსი და მსგავსად განლაგებული ფიგურის მსგავსების ც. — S წერტილი (იხ. ნახ.), რ-შიც იკვეთება წყვილ-წყვილად შესაბამისი წერტილების შემაერთებელი წრფეები. 3. დიფერენციალური განტოლების განსაკუთრებული წერტილების ერთ-ერთი სახელობა.

**ცენტრი** მანქანათმშენებლობაში, მოწყობილობა, რ-საც იყენებენ დეტალების დასამაგრებლად სახარატო, მრგვალსახეხ და სხვა ჩარხებში, აგრეთვე საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებში. ც-ის ერთი ბოლო — მუშა კონუსური ბოლო — წაწვეტებულია 60 ან 90° კუთხით. მეორე ბოლოს — საიარაღო დახრილკონუსიან ბოლოს — დგამენ შპინდელის ან უკანა ვეცის კონუსურ ბუდეში. დეტალის ტორსის დამუშავებისას უძრავ ც-ზე დატანებულია საჭრისის გამოსასვლელი ამონაჭერი. დიდი დეტალების დასამაგრებლად იყენებენ სოკოსებრი მუშა ბოლოს მქონე ც-ს.

**ცენტრიდანული მოდელირება,** ფიზიკური მოდელირების მეთოდი, რ-საც იყენებენ მეცნიერული კვლევისათვის და იმ საინჟინრო ნაგებობათა თვისებების (მახასიათებლების) მოდელებზე შესასწავლად, რ-ებიც სიმძიმის ძალის ზემოქმედებას განიცდიან. ც. მ-ით უფრო ხშირად სარგებლობენ გრუნტის ან გრუნტთან დაკავშირებული ნაგებობების (ფერდი, ჯებირი, კაშხალი, საძირკველი, მიწისქვეშა ნაგებობა და სხვ.) შესწავლის დროს. კვლევის მიზანია ნაგებობაში წარმოქმნილი დეფორმაციებისა და ძაბვების განსაზღვრა, ე. ი. იმ პირობების დადგენა, რ-ის დროს ნაგებობას არ ემუქრება რღვევა, ან რღვევის მიზეზისა და ხასიათის გარკვევა და ა. შ. ც. მ-ის მეთოდებით შეიძლება შევისწავლოთ საავიაციო და კოსმ. ფრენისას წარმოქმნილი გადატვირთვების ზემოქმედება ადამიანებსა და ტექ. ობიექტებზე. ც. მ-ის იდეის გამოყენება შეიძლება აგრეთვე კოსმ. სადგურის ბორტზე ხელოვნური „სიმძიმის" შესაქმნელად. მოდელირების დროს აუცილებელია მსგავსების კრიტერიუმების შესრულება. ც. მ-ის იდეა 1869 წამოაყენა ფრანგმა მეცნ. ე. ფილიპსმა, სსრკ-ში იგი დაამუშავეს და გამოიყენეს გ. პოკროვსკიმ და ი. ფედოროვმა.

**ცენტრიდანული ნერვული ბოჭკოები,** ეფერენტული, მოტორული ნერვული ბოჭკოები, ნერვული უჯრედების მორჩები (აქსონები) თავისი გარსებითურთ, რ-ებიც ცენტრალური ნერვული სისტემიდან აგზნებას გადასცემენ მომუშავე ორგანოებს (კუნთებს, ჯირკვლებს). პერიფერიულ ნერვებს შორის მხოლოდ ზოგიერთია წმინდა ცენტრიდანული, უმრავლესობა შერეულია, ე. ი. შეიცავს ცენტრისკენულ ნერვულ ბოჭკოებსაც.

**ცენტრიდანული ჩამოსხმა,** სხმულის დამზადება ლითონის ყალიბებში. ამ პროცესის დროს გამდნარი ლითონი განიცდის ცენტრიდანული ძალების გავლენას. ჩასხმული ლითონი ყალიბის კედლებისაკენ გადატყორცნება და გამყარების შემდეგ სხმულს წარმოქმნის. ამ ხერხს იყენებენ თუჯისა და ფოლადის მილების, რგოლების, მილისებრისა და სხვ. დასამზადებლად. ბრუნვის ღერძის მდებარეობის მიხედვით განასხვავებენ ჰორიზ. და ვერტ. სამსხმელო ცენტრიდანულ მანქანებს.

**ცენტრიდანული ძალა,** ძალა, რ-ითაც მოძრავი მატერიალური წერტილი მოქმედებს სხეულზე (ბმაზე), რ-იც ზღუდავს წერტილის მოძრაობას და აიძულებს მას იმოძრაოს მრუდწირულად. რიცხობრივად ც. ძ. ტოლია $mv^2/\rho$ (სადაც m არის მატერ. წერტილის მასა, v — მისი სიჩქარე, ρ — ტრაექტორიის სიმრუდის რადიუსი) და მიმართულია მთავარი ნორმალის გასწვრივ სიმრუდის ცენტრიდან ტრაექტორიისაკენ (წერტილის წრეწირზე მოძრაობისას — წრეწირის ცენტრიდან). ც. ძ. და ცენტრისკენული ძალა რიცხობრივად ერთმანეთის ტოლია და მიმართულია ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ერთი წრფის გასწვრივ, მაგრამ მოდებულია სხვადასხვა სხეულზე როგორც ქმედებისა და უკუქმედების ძალები.

**ცენტრიზმი,** იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა II ინტერნაციონალში. აღმოცენდა რევ. და რეფორმისტულ მიმართულებებს შორის ბრძოლის პერიოდში და ცდილობდა მ. შ. შეურიგებელი წინააღმდეგობანი მოეგვარებინა მუშათა მოძრაობის კარდინალურ საპროგრამო და ტაქტიკურ საკითხებში ოპორტუნიზმისათვის დათმობის გზით. ოპორტუნისტებისაგან განსხვავებით, რ-ებიც აშკარად გამოდიოდნენ მარქსიზმის რევიზიით სოციალ-რეფორმიზმის სულისკვეთებით, ცენტრისტები თავიანთ ოპორტუნიზმს ნიღბავდნენ „ორთოდოქსალური" მარქსისტული ფრაზეოლოგიით. ამის გამო ვ. ი. ლენინი წერდა: „იგი საშიშარი და მავნებელია არა აშკარა ოპორტუნიზმი, რომელიც ერთბაშად ჩამოიშორებს ხოლმე მუშათა მასას, როგორც არის იგი, არამედ — საშუალო პოზიციაზე დგომის თეორია, რომელიც მარქსისტული სიტყვებით ამართლებს ოპორტუნისტულ პრაქტიკას, მთელი რიგი სოფიზმებით ამტკიცებს რევოლუციური მოქმედების უდროობას და სხვა" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21, გვ. 306).

ც-ის მთავარ მიმართულებას საერთაშ. ასპარეზზე წარმოადგენდა კაუცკიანელობა, ხოლო რუსეთში — ტროცკიზმი. ც-ის იდეოლოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა I მსოფლიო ომის (1914—18) წინ, რ-ის მსვლელობის დროს მისი ოპორტუნისტული არსი აშკარა გახდა.

ც. მტრულად შეხვდა ოქტ. რევოლუციას რუსეთში, და კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნას.

ლიტ.: Ленин В. И., Полн. собр. соч., 5 изд. (см. Справочный том, ч. 1, с. 706—707); История КПСС, т. 2, М., 1966, с. 303—11, 472—77, 595—648; История Второго Интернационала, т. 2, М., 1966, с. 166—78, 235—38, 411—77; Ленин в борьбе за революционный Интернационал, М., 1970, с. 161—70, 296—301.

**ცენტრიოლი,** ცხოველური და ზოგი მცენარეული უჯრედის მუდმივი სტრუქტურა. უჯრედის ცენტრის ძირითადი ნაწილი, გარშემორტყმულია ცენტროსფეროთი. უჯრედში არის 2 ც. უჯრედის გაყოფისას ისინი პოლუსებისაკენ მიემართებიან. თითოეული ც-ის გაორმაგება, როგორც წესი, გაყოფის ბოლოს ხდება. ზოგიერთ უჯრედში ც. არ არსებობს და მათ ფუნქციას პოლუსებზე თავმოყრილი მემბრანული კომპონენტები ასრულებენ.

**ცენტრისკენული აჩქარება,** იხ. ნორმალური აჩქარება.

**ცენტრისკენული ნერვული ბოჭკოები,** აფერენტული, სენსორული, მგრძნობიარე ბოჭკოები, ნერვული უჯრედების მორჩები (აქსონები) თავისი გარსებითურთ, რ-ებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემას (ცნს) აგზნებას გადასცემენ რეცეპტორებიდან. ც. ნ. ბ. განლაგებულია ან თვითონ რეცეპტორულ ორგანოში, ან ცნს-ის მხოლოდ სპეც. მგრძნობიარე განგლიონებში. წმინდა ც. ნ. ბ. იშვიათად გვხვდება. როგორც წესი, ისინი შერეულია—შეიცავენ ცენტრიდანულ ნერვულ ბოჭკოებსაც.

**ცენტრისკენული ძალა,** მატერიალურ წერტილზე მოქმედი ძალა, რ-იც მიმართულია მისი ტრაექტორიის მთავარი ნორმალის გასწვრივ სიმრუდის ცენტრისაკენ (წრეწირზე წერტილის მოძრაობისას — წრეწირის ცენტრისაკენ). რიცხობრივად ც. ძ. უდრის $mv^2/\rho$, სადაც m არის მატერ. წერტილის მასა, v—მისი სიჩქარე, ρ—ტრაექტორიის სიმრუდის რადიუსი. ც. ძ-ის მოქმედებით თავისუფალი მატერ. წერტილი მრუდწირულად მოძრაობს. წრფივი მოძრაობისას ც. ძ. ნულის ტოლია.

**„ცენტრის" პარტია** გერმანიაში, გერმანიის ბურჟუაზიული პარტია 1870—1933. XIX ს. 70-იან წლებში ო. ბისმარკის მთავრობის მხრივ რეპრესიები (იხ. „კულტურკამფი") განიცადა. XX ს. დასაწყისში „ც." პ. უკვე მხარს უჭერდა გერმ. იმპერიალიზმის პოლიტ. კურსს. 1918 ნოემბ. რევ. შემდეგ „ც."-ის ხელმძღვანელობა მთლიანად სამრეწვ. ბურჟ. ხელში გადავიდა, მაგრამ შეინარჩუნა თავისი მასობრივი ბაზა, იგი შედიოდა ე. წ. ვაიმარის ბლოკში. 1919—33 წლებში „ც." პ-ის წარმომადგენლები ბევრჯერ მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ, ხშირად მთავრობასაც მეთაურობდნენ. 30-იან წლებში პარტია აშკარა რეაქციულ პოზიციებზე გადავიდა და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში ჰიტლერელების მოსვლას; ამ კურსის შედეგად 1933 წ. 5 ივლ. „ც." პ. თვითონვე დაიშალა.

**ცენტრიფუგა** (ცენტრი და ლათ. fuga — გაქცევა, სირბილი), აპარატი, რ-იც ცენტრიდანული ძალის ზეგავლენით განაცალკევებს არაერთგვაროვან სისტემას (სუსპენზიას, შლამს, ემულსიას). ც-ის ძირითადი ნაწილია დიდი სიჩქარით მბრუნავი როტორი, რ-იც წარმოქმნის ცენტრიდანული ძალების ველს. ც. ორი სახეობისაა: პერიოდული მოქმედების გაკამკამებელი ც. (ნახ. 1) და უწყვეტი მოქმედების შნეკიანი ც. (ნახ. 2). პირველში სუსპენზია ხვდება ღრუ როტორის ცენტრ. ნაწილში; როტორის ბრუნვის დროს მყარი ნაწილაკები ეკვრება მის შიგა ზედაპირს, ხოლო გაკამკამებული სითხე არინდება ზედა ნაწილიდან. როტორიდან მყარი ნაწილაკების (ნალექის) განტვირთვას ახდენენ სპეციალური საქშენებიდან ან ხვრელებიდან; უწყვეტი მოქმედების შნეკიან ც-ში სუსპენზიას აწვდიან ღრუ როტორის ღერძის გასწვრივ. გაკამკამებული სითხე გამოედინება როტორის ფართო ნაწილიდან, ხოლო წარმოქმნილი ნალექი შნეკით როტორის ვიწრო ნაწილში გადაადგილდება და ხვრელების საშუალებით მოიცილება.

ც-ს იყენებენ ქიმ., კვების, სამთამადნო




ცენტრი.




ცენტრიფუგა. ნახ. 1. პერიოდული მოქმედების მაკამკამებელი ცენტრიფუგის როტორის სქემა: 1—სუსპენზიის მიწოდება; 2—გაკამკამებული სითხის არინება; 3—ნალექი.




ცენტრიფუგა. ნახ. 2. უწყვეტი მოქმედების შნეკიანი ცენტრიფუგის სქემა: 1—როტორი; 2—შნეკი; 3—სუსპენზიის მიწოდება; 4—გაწმენდილი სითხის არინება; 5 — ნალექის მოცილება



ცენტრიფუგა. ნახ. 3. კონუსებიანი საწურიანი ცენტრიფუგა.

და მრეწვ. სხვ. დარგებში, აგრეთვე კოსმონავტების საწვრთნელად.

ლიტ.: Соколов В. И., Центрифугирование, М., 1976.

**ცენტრიფუგირება**, არაერთგვაროვანი სისტემების—ემულსიების, სუსპენზიების, შლამების—დაყოფა ცენტრიდანული ძალების ზემოქმედებით. ც. შეიძლება განხორციელდეს დალექვის ან გაფილტვრის პრინციპებით. ცენტრიდანული დალექვით კონცენტრირებული სუსპენზიებისაგან გამოიყოფა მყარი ფაზა, ხოლო განზავებული სუსპენზიებისაგან—გაკამკამებული თხევადი ფაზა. ცენტრიდანული ფილტრაცია გამოიყენება მყარი ფაზის გამოსაყოფად მცირე თხევადი ფაზის შემცველი სუსპენზიებისა და შლამებისაგან. მაღალდისპერსული და მაღალმოლეკულური ნაერთების (მაგ., ცილების) კვლევისას იყენებენ ულტრაცენტრიფუგირებას.

**„ცენტრნაუჩფილმი"**, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების ცენტრალური სტუდია, საბჭ. კინოსტუდია (მოსკოვი), შეიქმნა 1933. 1941-მდე ტექ. ფილმების სტუდია („მოსტეხფილმი"), 1941—44 „ვოენტეხფილმი", 1945—66 „მოსნაუჩფილმი". 1966-იდან ახლანდ. სახელწოდება. სტუდია უშვებს წელიწადში 300-ზე მეტ ფილმს. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით (1945).

**ცენტრობალტი**, ბალტიის ფლოტის ცენტრალური კომიტეტი (ბფცკ), მატროსების არჩეული უმაღლესი რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანო. შეიქმნა 1917 წ. 28—30 აპრ. (11—13 მაისს) ჰელსინგფორსის საბჭოს დეპუტატების მატროს-ბოლშევიკების ინიციატივით. თავ-რედ აირჩიეს ბოლშევიკი პ. დიბენკო. ც. ხელმძღვანელობდა პოლიტ. მუშაობას ფლოტში. 1917 ივლისის დღეებში ც-მა მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში და ჩაშალა დროებითი მთავრობის გეგმები, მოითხოვა ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისათვის, რისთვისაც ც-ის დელეგაცია დიბენკოს მეთაურობით დააპატიმრეს. აგვ-ში ც-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო კორნილოვის შეთქმულების ჩახშობაში და დროებითი მთავრობა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ივლ-ში დაპატიმრებული ც-ის წევრები. 1917 ოქტ-ში ც. იქცა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებელ საბრძოლო შტაბად ბალტიის ფლოტში. მან სამხ.-რევკომის განკარგულებით გაგზავნა კრეისერი „ავრორა", 25 ოქტ. (7 ნოემბ.) პეტერბურგში გადაისროლა სამხ. ხომალდები და მატროსების ეშელონი, მონაწილეობა მიიღო კერენსკი-კრასნოვის ამბოხების ჩახშობაში. 6 (19) დეკ. ფლოტის სარდლის თანამდებობა და მისი შტაბი გაუქმდა. ც-ის შემადგენლობა ახ., რევ. სარდლობის (ბალტიის ფლოტის კომისართა საბჭოს) შექმნასთან დაკავშირებით დაითხოვეს.

**ცენტროკასპი**, კასპიის სამხედრო ფლოტილიის ცენტრალური კომიტეტი, კასპიის სამხედრო ფლოტილიის უმაღლესი არჩევითი ორგანო, შეიქმნა ბაქოში 1917 წ. I ნახევარში. ფლოტილიის მეზღვაურთა I ყრილობა 3 (16) ნოემბ. მიესალმა ოქტ. რევოლუციას და ც-ს დაავალა მხარი დაეჭირა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთვის, მაგრამ ც-ს ხელმძღვანელობამ (ოფიცერი, კადეტი ი. თურქია და სხვ.) არ შეასრულა ყრილობის გადაწყვ. მეზღვაურებისა და რევ. ჯარების მიერ მუსავატელთა ამბოხების (1918 წ. 30 მარტი—1 აპრ.) ჩახშობის დროს ც-მ ნეიტრალიტეტი დაიცვა. ახ. ბოლშევიკური ც.-ის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. კუზნეცოვი. ბაქოში საბჭ. ხელისუფლების დროებით დამხობის (1918 წ. 31 ივლ.) შემდეგ ესერებმა, მენშევიკებმა და ბურჟ. ნაციონალისტებმა შექმნეს კონტრრევ. მთავრობა, ე. წ. „ც.-ის" დიქტატურა.

**„ცენტროლიტი"**, იხ. თბილისის ფოლადთუჯსაჩამოსხმელი ქარხანა „ცენტროლიტი".

**„ცენტროსოიუზი"** (სსრ კ სამომხმარებლო საზოგადოების ცენტრალური კავშირი), სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი სამეურნეო და ორგანიზაციული ცენტრი. არსებობს 1917-იდან. აერთიანებს მოკავშირე რესპუბლიკების სამომხმარებლო საზ-ბათა კავშირებს. საერთაშ. ალიანსის წევრია 1921-იდან. ც-ის შემადგენლობაში შედის ცეკავშირი.

**ცენტროსომა** (ცენტრი და ბერძნ. sōma — სხეული). ცენტროსფერო, ცენტროპლაზმა, უჯრედის ციტოპლაზმის ნაწილი, რ-იც ცენტრიოლის ირგვლივაა განლაგებული. ც. უჯრედის ორგანოიდებს არ შეიცავს. იგი ციტოპლაზმის დანარჩენ ნაწილზე მკვრივია. ძვ. ლიტ-რაში ამ ტერმინის ნაცვლად ცენტრიოლების სინონიმად ხმარობდნენ.

**ცენტროციმბირი**, ციმბირის საბჭოების ცენტრალური აღმასკომი, ციმბირის ცაკი, უმაღლესი საბჭ. ორგანო (ირკუტსკი, 1917 ოქტ. — 1918 აგვ.). ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ციმბირში წარმართავდა საბჭ. ხელისუფლების მშენებლობას. კონტრრევ. გამოსვლების ვითარებაში ც. მასობრივი პარტიზ. მოძრაობის ორგანიზატორი იყო.

**ცენტურია** (ლათ. centuria < centum — ასი), ძვ. რომში მოქალაქეთა სამხედრო-პოლიტიკური ერთეული. ანტ. ტრადიციით, ძვ. წ. VIII—VI სს-ში რომის ცხენოსანი ჯარი ც-ებად იყო დაყოფილი. ძვ. წ. VI ს-ში სერვიუს ტულიუსის რეფორმით ქონებრივი ცენზის მიხედვით მოქალაქეები 5 კლასად დაიყო, 170 centuriae equitum (ქვეითი ჯარი). 4 ც. ხელოსნებისაგან. შემდეგომში მათ დაემატა 1 ც. უქონელთაგან (Proletarii). რ-ებიც კლასებს არ შეადგენდნენ, მაგრამ ხმის უფლება დაუტოვეს. სულ 193 ც. იყო და ცენტურიატის კომიციებზე თითოეული ც. თითო ხმით (suffragium) იყო წარმოდგენილი. I და II პუნიკურ ომებს შორის ც-ების რაოდენობა 373-მდე გაიზარდა. იმპერიის ეპოქაში ც-ს ქვეგანაყოფის მნიშვნელობა დარჩა და ლეგიონის შემადგენლობის ნაწილს წარმოადგენდა.

**ცენურუსი**, ჩლიქოსანთა, განსაკუთრებით ცხვრის და ზოგჯერ ადამიანის ჰელმინთოზი. ხასიათდება ცხოველის სხვადასხვა ქსოვილში თასმისებრი ჭიების ლარვების — ცენურების განვითარებით. ცენურები ლოკალიზდებიან ტვინში (ც. ცერებრალური), კუნთთაშუა შემაერთებელ და კანქვეშა ქსოვილებში. ც-ის გამომწვევის წყაროა ხორცისმჭამელი ცხოველი, უმთავრესად ძაღლი, რ-ის ნაწლავებში პარაზიტობენ სქესმწიფე ცესტოდები. დაინვაზიება ხდება ჰელმინთის კვერცხებით გაბინძურებული საკვებითა და წყლით. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ოპერაციულია მხოლოდ ძვირფასი ცხოველის დაავადებისას, სხვა შემთხვევაში ცხვარი იკვლება. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: სამომსახურო ძაღლების დეჰელმინთიზაცია, მაწანწალა ძაღლების მოსპობა. ი. ბადურაშვილი.

**ცეოლითები** (ბერძნ. zeō — ვდუღვარ და ... ლითი; გახურებისას ეს ნაერთები ფუყდება), კარკასული ალუმოსილიკატები. ზოგადი ქიმ. ფორმულაა $Me_{x/n}[Al_xSi_yO_{2(x+y)}]\cdot zH_2O$, სადაც Me—Na, K, Ca, Mg, Ba; n—ლითონის ჟანგვის ხარისხი. ც-ის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია გამჭოლი არხები და დიდი ზომის სიცარიელეები, რ-ებშიც განლაგებულია წყლის მოლეკულები და ლითონების კატიონები, აგრეთვე ამონიუმი, ჰიდრონიუმი და სხვა პოლივალენტური იონები, რ-ებიც შეიძლება კატიონური გაცვლის გზით. არსებობს ბუნებრივი და ხელოვნურად მიღებული ც. ბუნებრივი ც. 40-ზე მეტ მინერალს მოიცავს. მათგან მნიშვნელოვანია: ანალციმი, ლომონტიტი, ფილიფსიტი, ნატროლითი, მორდენიტი, ჰეილანდიტი, კლინოპტილოლითი, შაბაზიტი, ერიონიტი, ფოჟაზიტი და სხვ. ც-ს აქვს გამჭვირვალე უფერული კრისტალები. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3—5; სიმკვრივე 1800—2250 კგ/მ³ (ბარიუმიან ც-ს 2800—2700 კგ/მ³). ძირითადად წარმოიქმნება დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული პროცესების, აგრეთვე დიაგენეზისის და მეტამორფიზმის საწყისი სტადიების დროს. ც-ის საბადოები ცნობილია სსრკ-ში (ამიერკავკასია, ამიერბაიკალეთი, კამჩატკა), ახალ ზელანდიაში, იაპონიაში, აშშ-ში, ისლანდიაში და სხვ. მრავალრიცხოვანი ხელოვნური ც-იდან პრაქტიკაში იყენებენ: $A-Na[AlSiO_4]\cdot(2\div3)H_2O$, $X-Na[AlSi_{1-1.5}O_{4-5}]\cdot3H_2O$ და $Y-Na[AlSi_{1.5-3}O_{5-8}]\cdot(3\div4)H_2O$. ც. ამჟღავნებენ იონმიმოცვლით თვისებებს, ხოლო გახურებისას მათი სიცარიელეებიდან წყლის მოლეკულების გამოდევნის შემდეგ — ადსორბციულ თვისებებს. ც-ის სტრუქტურაში არხებისა და სიღრუეებში შესასვლელების მკვეთრად განსაზღვრული ზომები ანიჭებენ მათ ე. წ. მოლეკულური საცრების და სელექციური ადსორბენტების თვისებებს. ც-ს იყენებენ ნავთობის ნახშირწყალბადების გამოსაყოფად და გასაწმენდად, კატალიზატორად, აირების გასაწმენდად, გამოსაშრობად და გასაყოფად, რადიოაქტიური ელემენტების ამოსაკრებად, სოფლის მეურნეობაში და სხვ.

ლიტ.: Природные цеолиты, М., 1985; Сендеров Э. Э., Хитаров Н. И., Цеолиты, их синтез и условия образования в природе, М., 1970.

**ცეპელინი** (Zeppelin) ფერდინანდ (8. VII. 1838, კონსტანცი, — 8. III. 1917, შარლოტენბურგი, ბერლინის მახლობლად), დირიჟაბლების გერმანელი კონსტრუქტორი. 1891-იდან მუშაობდა ხისტკარკასიანი დირიჟაბლების კონსტრუქციის შექმნაზე. 1900 ააგო პირველი ასეთი დირიჟაბლი, რ-იც გრიგალმა დაამსხვრია. 1914-მდე ააგეს 26 დირიჟაბლი (იყენებდნენ I მსოფლიო ომში, 1914—18). ც-ის სიკვდილის შემდეგ, 1928, აგებული დირიჟაბლი „გრაფ ც" დემონსტრირებული იყო მოსკოვში (1930), მგზავრებით გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს. უკანასკნელმა სამგზავრო დირიჟაბლმა („ჰინდენბურგი", 1936) 63-ჯერ იფრინა (დაიწვა 1937).

ლიტ.: Вейгелин К. Е., Очерки по истории летного дела, [М.], 1940.

**ცერასკი** ვიტოლდ კარლის ძე [27. IV (9. V). 1849, სლუცკი, მინსკის ოლქი, — 29. V. 1925], საბჭ. ასტრონომი, პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1914). 1871 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1878-იდან დამკვირვებლად მუშაობდა მოსკ. უნ-ტის ასტრონ. ობსერვატორიაში (1890—1916 დირექტორი, 1889-იდან მოსკ. უნ-ტის პროფესორი).

საფუძველი ჩაუყარა მისკ ფოტომეტრისტთა სკოლას; დაამუშავა ფოტომეტრიული დაკვირვებების მეთოდი, განსაზღვრა ≈ 500 ვარსკვლავის ბრწყინვალება. 1900 ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა მზის ვარსკვლავიერი სიდიდე 1895 დაამტკიცა, რომ მზის ტემპ-რა 5500°-ზე მეტია. 1885 აღმოაჩინა ვერცხლისფერი ღრუბლები და ა ბელოპოლსკისთან ერთად განსაზღვრა მათი სიმაღლე დედამიწიდან (≈ 80 კმ). 1896-იდან მისი ინიციატივით დაიწყო ცის სისტემატ. ფოტოგრაფირება ცვალებადი ვარსკვლავების გამოვლენის მიზნით

**ცერატოზავრი** (Ceratosaurus), ამოწყვეტილი ქვეწარმავლების გვარი დინოზავრების ზერიგისა. ცხვირის ძვლებზე დიდი გამონაზარდი ჰქონდათ, რ-იც ალბათ რქის სიომაგრებს ემსახურებოდა. ცნობილია ც-ის ერთადერთი სახეობა—C. nasicornis, რ-ის ნიშნები ნაპოვნია ჩრდ. ამერ. ზედა იურულ ნალექებში. დიდტანიანი ორფეხა მტაცებელი იყო, რ-ის სიმაღლე 3 მ აღწევდა

**ცერბერი**, კ ე რ ბ ე რ ო (ლათ. Cerberus, ბერძ. Kerberos), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ჰადესის სამთავა ძაღლი, სულეთის შესასვლელის დარაჯი, რ-საც გველის კუდი აქვს; ჰესიოდეს მიხედვით, ც. მრავალთავაა, ხოლო ჰორაციუსის თანახმად — ერთთავა. ც ტიფონის და ექიდნეს ნაშიერია, ორთავიანი ორთროსისა და ურჩხული ქიმერას ძმა. ც-ს მიუკვალებულის სულს რომ გაუშვებდა, თავისი კუდით უნდა მიეფერებოდა, ამასთანავე მიცვალებულს ხელში თაფლის კვერი უნდა ჰქონოდა. მხოლოდ ერთხელ გაატარა ც-მა ცოცხალი არსება სულეთში, ეს იყო ორფევსი, რ-მაც მოხიბლა თავისი სიმღერით ქრისტ. კონცეფციით — სამთავა ქუჩებით დაბმული ეშმაკისეული ძაღლი. ქართ. (სვანური) მითოლოგიაში ცნობილია საიქიოს (ქვესკნელის) შავი ქოფაკი, რომელიც ანალოგიური ც. — აია, ბოროტი დარაჯი.

ა. გელოვანი.

**ცერბერი** (Cerberus), გველების გვარი ანკარასებრთა ოჯახისა, მათი სიგრძე 1,3 მ აღწევს კუდი გვერდებიდან ოდნავ შებრტყელებულია. შეფერილობა ზემოდან ნაცრისფერია, სუსტად გამოხატული შავი ლაქები აქვთ ან განივი ზოლები დასდევს, ქვემოდან მუქნაბაჭიანი და ყვითელია. გვარში 3 სახეობაა. გავრცელებულია არაბ. ზღვის-ა-ლის ახიასა და ჩრდ. ავსტრალიაში ყველაზე უფრო ცნობილია C. rhynchops. ბინადრობს მდინარეთა შესართავებსა და ლაგუნებში, როგორც მტკნარ, აგრეთვე მლაშე წყალში. იკვებება თევზით. დედალი შობს 8—26 ნაშიერს.

თ. მუსხელიშვილი.

**ცერებრალური თანხმოვნები**, თანხმოვნები, რ-თა წარმოთქმისას ენის წვერი მიმართულია ზემოთ და უკან, ხოლო ქვედა მხარე ეხებება მაგარ სასას.

ც. თ. (ḍ, ṭ) იყო ძვ. ინდურში და ახლაც არის ბენგალურში. ზ. ჭუმბურიძე.

**ცერებროზიდები** (<ლათ. cerebrum— ტვინი). ბუნებრივი ორგანული ნაერთები რთული ლიპიდების ჯგუფიდან. შეიცავენ ამინოსპირტ სფინგოზინის, ცხიმოვანი მჟავასა და ნახშირწყლის (გალაქტოზის, იშვიათად გლუკოზის) ნაშთებს. ც. დიდი რაოდენობითაა ნერვულ ქსოვილში, განსაკუთრებით ნერვული ბოჭკოს მიელინურ გარსში, გვხვდება აგრეთვე ელენთაში, ფილტვებსა და სხვა ორგანოებში. ც-ის ცვლის მოშლა იწვევს ე. წ. გოშეს დაავადებას, რ-ის დროსაც ეს ნაერთები დიდი რაოდენობით გროვდება ღვიძლში, ელენთაში. ც. მიღებულია სინთეზურადაც.

დ. ჯოხაძე.

**ცერერა** [ლათ. Ceres, (Cereris)], მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი ძვ. რომაულ მითოლოგიაში. ბერძნ. დემეტრას იგივეა. ბერძნულად პლებეების ქალღმერთი იყო. მისი კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაულები (Cerealia) იმართებოდა აპრილში 11—12 აპრ. და 8 დღეს გრძელდებოდა. დღესასწაულის დროს იყვანდნენ თეთრ ტანსაცმელს, მიზეზერბლად სწირავდნენ ღორს. მიწის მუშა მკის წინ ქალღმერთის ღორს უკლავდა და პირველ მოსავალს სწირავდა. ც-ს პირველი ტაძარი რომში ძვ. წ. 496, შიმშილობის დროს აუგეს. გამოსახავდნენ წარმოსადეგ, დიდმკერდა, ლამაზი დიდი სახის ქალად. თავთავის გვირგვინით დამშვენებულს, ჩირაღდნითა და ნაყოფით სავსე კალათით (პომპეის ფრესკის გამოსახულება), ზოგჯერ თავთავითა და ყაყაჩოებით ხელში. ა. გელოვანი.

**ცერერა**, მცირე ცთომილი № 1, აღმოაჩინა ჯ. პიაციმ 1801 წ. 1 იანვ. ყველაზე დიდი ზომისა და აღმოჩენის რიგის მიხედვით პირველი მცირე ცთომილი. ც-ს დიამეტრია 770 კმ, მზის ირგვლივ გარშემოქცევის პერიოდი — 4,6 წ, ორბიტის დიდი ნახევარღერძი —2 77 ა. ე. საშ. ბრწყინვალების დროს მისი ვარსკვლავიერი სიდიდე 7,4 ვარსკვლავის ბრწყინვალების მცირე ცვლილებებს (ამპლიტუდა 0,04 ვარსკვლავიერი სიდიდე, პერიოდი 9 სთ 6 წთ).

**ცერეუსი** (Cereus), მცენარეთა გვარი კაქტუსისებრთა ოჯახისა. ხისებრი, ბუჩქისებრი (იშვიათად გართხმული) მცენარეებია. თეთრი, იშვიათად ვარდისფერი ან წითელი ყვავილები აქვთ ზოგიერთი სახეობის ნაყოფი იჭმება. ამ მონაცემებით, გვარი იყოფა რამდენიმე სხვა გვარად. საკუთრივ ც-ის გვარი აერთიანებს 40-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ანტილის კ-ებზე, ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში. ც იზრდება სავანაში, ზღვის ქვიშიან სანაპიროზე, ტყის პირებზე, ქვიან უდაბნოში. დეკორ. მცენარედ აშენებენ. ამრავლებენ თესლით და კალმით. ინტროდუცირებულია ბათუმისა და სოხუმის ბოტან. ბაღებში

**ცერეცო** (Anethum graveolens), ერთწლოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა. აქვს სწორმდგომი ღერო, დანაწევრებული და განტოტვილი. მწვანე ან მოყვითალო ფოთლები, რთული ქოლგაყვავილედი. მცენარე ძლიერ არომატულია, იყენებენ სალათაზე დასამატებლად. მომწიფების ფაზაში მკრეფ თესლს საკაზმ-სანელებლად ხმარობენ და ამზადებენ კიტრს. პამიდორს, კომბოსტოს. საქართველოში გავრცელებული ჯიშია „სოხუმური". თ. რობაქიძე.

**ცერიმეტრია** (ცერიუმი და ...მეტრია), აღმდგენლის განსაზღვრის ტიტრიმეტრიული მეთოდი, რ-იც ემყარება $Ce^{4+} + e \rightleftarrows Ce^{3+}$ რეაქციას. ტიტრის ბოლო წერტილს ადგენენ ქიმ. ინდიკატორებით, ამპერმეტრიული, პოტენციომეტრიული და სხვა მეთოდებით. ც-ს იყენებენ Sb(III), As (III), Fe(II), Mo(V), Cr(II), შაქრების, ჰიდროქსილამინისა და სხვ. განსასაზღვრავად.

**ცერიუმი** (Cerium), Ce, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი. მიეკუთვნება ლანთანიდებს. ატ. ნომერი 58, ატ. მასა 140,12, $t_{დნ}$ 795°C, $t_{დუღ}$ 3450°C, სიმკვრივე 6770 კგ/მ³, რუხი ფერის ირვალი მიწათა ელემენტი. ც-ის ჟანგვის ხარისხია +3 და +4. ოთახის ტემპ-რაზე რეაგირებს $H_2O$, HCl, $HNO_3$ $H_2SO_4$. გახურებისას — ჰალოგენებთან, $N_2$, C, S. ღებულობენ ც-ის ტრიფთორიდის ლითონთერმული აღდგენით, ქლორიდის ნალღობის ელექტროლიზით. იყენებენ შენადნობებში და სხვ.

**ცერკარია**, ტრემატოდთა მწოველების კლასის პარაზიტული ჭიების ლარვული (იხ. ლარვა) სტადია. მათი სხეულის სიგრძე 0,3—1 მმ აღწევს. აქვს პირისა და მუცლის მისაწოვარი, განშტოებული ნაწლავი, ნერვული სისტემა. ზოგჯერ თვალაკები, თავის ჯირკვლები, კუდი. ც. პართენოგენეზის გზით ვითარდება სპოროცისტების ანუ რედიების სხეულში, ტოვებს პირველი შორისული მასპინძლის (მოლუსკის) სხეულს და იჭრება მეორე შორისულ მასპინძელში (უხერხემლოები, ხმელეთ — თევზები), სადაც გარდაიქმნება მეტაცერკარიად. ტიპური ბოლოს ც. ინცისტირდება სანაპირო მცენარეულობაზე, სადაც გარდაიქმნება მომდევნო სტადიად — ადოლესკარიად.

**ცერკოსპოროზი**, მცენარის დაავადება, რ-საც იწვევს Cercospora-ს გვარის სოკოები. უფრო ხშირად გვხვდება ჭარხლის, კარტოფილის, ბუხილის, ყურძნის ც. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ჭარხლის ც. უმთავრესად ავადდება ფოთოლი, ღერო, თესლი. ფოთოლზე ჩნდება წვრილი, მრგვალი, მოყავისფრო ან წითელი არშიით შემოფარგლული ლაქები. ღეროზე ლაქებს მოგრძო ფორმა აქვს. დაავადების ძლიერ განვითარებისას ფოთოლი ლაქებით იფარება, ყავისფრდება ან შავდება და მცენარე იღუპება ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი. ჭარხლისა და კარტოფილის ალების შემდეგ მინდვრის აგროწმენდა; მცენარის დამატებითი გამოკვება ფოსფორ-კალიუმიანი სასუქით; 1%-იანი ბორდოს სითხის 2—3-ჯერადი შესხურება და სხვ. მ. გეგეჭკორი.

**ცერმელო** (Zermelo) ერნსტ (27. VII. 1871, ბერლინი, — 21. V. 1953, ფრაიბურგი), გერმანელი მათემატიკოსი, 1894 დაამთავრა ბერლინის უნ-ტი. ძირითადი შრომები მიეძღვნა სიმრავლეთა თეორიას; კერძოდ, ც-მ მოგვცა სიმრავლეთა თეორიის ზოგადი აქსიომატიკა და დაამტკიცა, რომ ყოველი სიმრავლე შეიძლება სრულყოფილად დალაგდეს. ც მუშაობდა აგრეთვე ვარიაციათა აღრიცხვისა და ალბათობის თეორიის საკითხებზე

**ცერნიკე** (Zernicke) ფრიც (16. VII. 1888, ამსტერდამი, — 10. III. 1966, გრონინგენი). ნიდერლანდელი ფიზიკოსი, ნიდერლ. სამეფო მეცნ. აკად. წევრი (1946). დაამთავრა ამსტერდამის უნ-ტი. 1915 მიიღო მეცნ. დოქტორის ხარისხი. 1913-იდან მუშაობდა გრონინგენის უნ-ტში (1920—58 პროფესორი). ც-ის ძირითადი შრომები ეხება ოპტიკას, მათ. სტატისტიკასა და სხვ. საკითხებს, 1935 აღმოაჩინა ფაზური კონტრასტის მეთოდი და შექმნა პირველი ფაზურ-კონტრასტული მიკროსკოპი (ნობელის პრემია, 1953).

თხზ.: Wie ich den Phasenkontrast entdeckte, «Physikalische Blätter», 1955, Jg 11, H 4.

**ცეროვანი**, სოფელი ქართლის რ-ნში (ახალგორის საკრებულო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 700 მ, ქარელიდან 28 კმ, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 კმ. ავადმყოფთა მკურნალობის საშუ. მეურნეობა, საშ. სკოლა სოფ. ახლოს (0,5 კმ). ბ-კა, კლუბი, ბიბლიოთეკა, ფოსტა.

**ცერული**, 1) უძველესი ქართული (სვანური) ხალხური ცეკვა. ასრულებენ მამაკაცები ცერილეთების გამოყენებით, სამხმიანი სიმღერის ფონზე. სვანური ც. ხასიათდება ფეხმოთი და წვრილფეხებიანი ცეკვით მოძრაობებით. მუს. ზომა 2/4. 2) ც. როგორც საცეკვაო ილეთი, დამახასიათებელია საერთოდ მთის ფოლკლორისათვის და აღმოცენებულია მთიელთა ყოფიდან (ფეხის წვერებზე სიარულის ჩვევა).

ა. თათარაძე.

**ცერუსიტი** (ლათ. cerussa — თეთრა), კარბონატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $PbCO_3$, კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აქვს სვეტისებრი, დიპირამიდული ან აპისებრი კრისტალები. ჩვეულებრივ, მარცვლოვანი ან ნაღვენთი აგრეგატების სახით გვხვდება. თეთრია, მოყვითალო ან მუქი ნაცრისფერი. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3—3,5; სიმკვრივე 6400—6600 კგ/მ³. გვხვდება ტყვიის სულფიდური საბადოების დაჟანგვის ზონაში. ტყვიის ერთ-ერთი მადანია. იყენებენ თეთრას მისაღებადაც.



ცერეუსი (Cereus fulviceps) 10 მ სიმაღლისა



ცერეცო

და თვისებების შეცვლა ამ პროცესის შედეგად მცირდება პლასტიკურობა და დარტყმითი სიბლანტე, მნიშვნელოვნად იზრდება სიმტკიცე, დენადობის ზღვრები და სისალე. Ც წარმოიქმნება გარე დეფორმაციული ძალების (დეფორმაციული Ც.) ან შედარებით იშვიათად ფაზური გარდაქმნების (ფაზური Ც) შედეგად.

**ცივსაბავარი პროცესი**, ცომისებრი რკინის მიღება უშუალოდ მადნისაგან ცეცხლგამძლე ქურებში ან მცირე შახტური ტიპის ღუმელებში. Ც. პ. რკინის მიღების უძველესი (ძვ. წ. მე-2 ათასწლ.) პროცესია. თავდაპირველად Ც. პ.-ს ახორციელებდნენ ცეცხლგამძლე ქურებში (ცეცხლგამძლე თიხის ამონაგოზით ორმო ან ქვის კერა). ხის ნახშირის შრის ანთების შემდეგ ქურის ქვედაზე ზემოდან რიგრიგობით ტვირთავდნენ რკინის მადანსა და ხის ნახშირს. ტემპ-რა (1100—1350°C) ქურის მუშა სივრცეში საკმარისი არ იყო მცირენახშირბადიანი რკინის გასადნობად. ამიტომ ქურიდან იღებდნენ გახურებულ გუნდებს და ჭედდნენ, რათა მათთვის ნაწილობრივ მოეცილებინათ წიდა. მადანრკინიდან იმდენად წიდას ქურიდან ღარით გადმოუშვებდნენ. შემდეგ ამონაგისათვის დაიწყეს აგურისა და ბუნებრივი ცეცხლგამძლე ქვის გამოყენება. ქურის ზომების გაზრდა და საბერველებით ჰაერის ხელოვნურად ჩაბერვა.

**ცივსისხლიანი ცხოველები**, იგივეა, რაც პოიკილოთერმული ცხოველები.

**ცივწყარო**, მთა არსიანის ქედის ჩრდ. ნაწილში, მდ. ქვაბლიანისა და ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 2190 მ. აგებულია ზედაცარცული ვულკანოგენური ბაზალტებით, ტრაქიტებითა და მათი ტუფებით. მთის ქვემო და შუა კალთები შემოსილია შერეული ტყით (ფართოფოთლოვანი, წიწვიანები), ზემო — სუბალპ. მდელოს მცენარეულობით.

ქ. ჯაყელი.

**ცივწყარო**, სოფელი ხაშურის რ-ნში (ცივწყაროს სოფსაბჭო). ლიხის ქედის აღმ. კალთაზე ზ. დ. 930 მ, ხაშურიდან 14 კმ. სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 კმ. ცოცხნარის კოლ-ბა (მევენახეობა, მეხილეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ოძისში (2 კმ)

**ციზოთი**, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ხორშის სოფსაბჭო), ოდიშის ვაკეზე, მდ. ხობისწყლის მარცხ. მხარეს ზ. დ. 160 მ, ცხაკაიადან 20 კმ. ხორშის ეთეროზეთოვანი კულტურების მეურნ.-ქნა რვაწლ. სკოლა, ბ-კა შუა საუკ. მაცხოვრის ეკლესია.

**ციკასი**, საგოვანა (Cycas), შიშველთესლოვან მცენარეთა გვარი საგოვანების კლასისა. დაბალი მცენარეებია, მათი სიმაღლე ზოგჯერ 10—15 მ აღწევს. ღერო დაფარულია მკვდარი ფოთლების ნარჩენებით, წვეროზე ფრთისებრი ფოთლები აქვს. 20-მდე სახეობა გავრცელებულია აზიისა და ავსტრალ. ტროპიკებში. ყველაზე უფრო ცნობილია C revoluta: 2—3 მ სიმაღლის ლამაზი მცენარეა. სამშობლოა სამხრ. იაპონია. საქართველოში ინტროდუცირებულია შავი ზღვის სანაპიროზე; იტანს 8°C-მდე ყინვას, ნაყოფმსხმოიარობს და ზოგჯერ იძლევა თესლს.

ნ. შარაშიძე.

**ციკლი** (ბერძნ. kyklos — წრე), 1. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მიმდინარე (პროცესთა) გარდაქმნების დასრულებული წრე; მაგ., საწარმოო Ც., საწელიწადო Ც. 2. საერთო ნიშნით (შინაარსით, თემით) გაერთ. ნაწარმოებთა (ლექსების, სიმღერების და მისთ.) წყება.

**ციკლი** (ეკონ.), იხ. კაპიტალისტური ციკლი.

**ციკლი** (მათ.), იხ. სტ. პერმუტაციური ჯგუფი.

**ციკლის ეკონომიკური თეორიები**, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვანი მიმართულება, რ-შიც გაანალიზებულია კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლური მერყეობის მექანიზმი. ეს თეორიები მიზნად ისახავს ე. წ. „უკრიზისო კაპიტალიზმის“ მოდელის შექმნას. თავდაპირველად Ც. ე. თ-ში გაბატონებული იყო ნეოკლასიკური მიმართულება, რ-იც კრიზისებს განიხილავდა შემთხვევით, მოკლე დროის მოვლენად და მათ არაეკონომიკურ ფაქტორებთან აკავშირებდა. მაგ., ჯევონსმა ერთმანეთს დაუკავშირა მზეზე ლაქების ციკლი და მოსავლიანობის მერყეობა და იგი მიიჩნია სამრეწვ. და სავაჭრო ციკლის წარმოშობის მიზეზად. ეკონ. ციკლის ტრად. ძვ. თეორიებს მიეკუთვნება ნაკლებ მოხმარების, დისპროპორციულობისა და ფულად-საკრედიტო თეორიები. ნაკლებმოხმარების კონცეფციის ავტორების (ჟ. სისმონდის, კ. როდბერტუსის, ჯ. ჰობსონის და სხვ.) აზრით, კრიზისების ძირითადი მიზეზია მშრომელი მასების სიღარიბე და გადახდისუნარიანი მოთხოვნის არასაკმარისობა. აღნიშნული თეორია მალთუსმა გამოიყენა პარაზიტული კლასების არამწარმოებლური მოთხოვნილებისა და ბატონობის გასამართლებლად.

დისპროპორციულობის თეორიის მომხრეთა (ჟ. ბ. სეი, დ. რიკარდო, მ. ტუგან-ბარანოვსკი, რ. ჰილფერდინგი და სხვ.) აზრით, ციკლურობის ძირითადი მიზეზია დისპროპორციულობის დარღვევა ცალკეული დარგის განვითარებაში. ჟ. ბ. სეი უარყოფდა ჭარბწარმოების საერთო კრიზისებს და ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის სტიქიური განვითარება ნაწილობრივი კრიზისების ავტომატურად დაძლევის საშუალებაა.

XIX—XX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა ციკლის ფულად-საკრედიტო თეორიები (გ. კასელი, ა. შპიტჰოფი, შტუკერი, ა. ჰანი, რ. ჰოუტრი, ი. ფიშერი და სხვ.). „კაპიტალის ნაკლებობისა“ და „წმინდა“ ფულად-საკრედიტო თეორიების სახით. რ-თა მიხედვით ციკლურობის მიზეზია დარღვევები მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ფულად სფეროში.

ტრად. Ც. ე. თ-მა, რ-ებიც ეყრდნობოდნენ „საბაზრო ავტომატიზმის თვითრეგულირების“ პოლიტეკონომიურ დოქტრინას, კრახი განიცადეს XX ს. I მეოთხედში. უკვე კ. ვიქსელის ნაშრომებში უარყოფილია ბურჟ. ლიტ-რაში იმ პერიოდში გაბატონებული ჟ. ბ. სეის რეალიზაციის თეორია. ვიქსელმა მიუთითა, რომ ეკონ. კრიზისების პერიოდში, როდესაც საზ. მიწოდება აღემატება საზ. მოთხოვნას, ავტომატურად არ წარმოიშობა ამ წონასწორობის დამძლევი მარეგულირებელი ძალები კაპიტალ. ციკლის მოძრაობაში მან გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ცვლილებებს სარგებლის ნორმაში და ფაქტობრივად განავითარა ციკლის ფულად-საკრედიტო თეორიის მიმართულ. მსგავსი შეხედულებები აქვთ გერმ. ეკონომისტ ჯ. გეტემანს, ჯ. ლაუტენბახს, ინგლ. კანსა და სხვ.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე გავრცელდა ამერ. ინსტიტუციონალური კონცეფციები (თ. ვებლენი, უ. მიჩელი, რ. კომონსი და სხვ.) „დიდი“ და „პატარა“ ციკლების შესახებ. მათი განმარტებით, პატარა ანუ მცირე ციკლი მოიცავს რამდენიმე წელს (ნაგულისხმევია ფასიანი ქაღალდების კურსისა და ფასების დაცემა), ხოლო „კონიუნქტურის დიდი ციკლი“ — ათეულობით წლებს. მათი აზრით, „უკრიზისო ციკლის“ უზრუნველსაყოფად საჭიროა მშრომელთა ხელფასის შემცირება, კაპიტალ. ეკონომიკის რეგულირებისა და პროგნოზირების გაძლიერება. ამავე პერიოდში „კონიუნქტურის გრძელი ციკლების“ სქემ. თეორია შექმნა ნ. კონდრატიევმა, ხოლო თანამედროვე პერიოდში მას ქადაგებს ინგლ. ეკონომისტი ნ. კალდორი.

1929—33 ეკონ. კრიზისის შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯ. კეინზის (1883—1946) „რეგულირებადი ციკლის“ თეორია, რ-იც ცდილობს გაითვალისწინოს კაპიტალ. მეურნ. მექანიზმისა და წონასწორობის მდგომარეობიდან მისი გადახრის მიზეზები და იძლევა რეცეპტებს კვლავწარმოების პროცესში სახელმწიფოს აქტ. ჩარევისათვის. ამ თეორიის განვითარება დაკავშირებულია ე. ჰანსენის, რ. ჰაროდის, ს. ჰარისის, ჯ. გელბრეითის, პ. სამუელსონის, ჯ. ჰიქსის და სხვათა სახელებთან. ნეოკეინზიანელებმა მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის კონცეფციათა გაერთიანებით შექმნეს ე. წ. ეკონ. ციკლის მოდელი. ნეოკეინზიანელთა მიერ შემოთავაზებული „მულტიპლიკაციური პროცესის“ სქემა მოწყვეტილია კაპიტალ. ცხოვრების სინამდვილეს.

60-იანი წწ. ბოლოსა და 70-იანი წწ. დასაწყისში წინა პლანზე წამოიწია ციკლის მონეტარული თეორია (მ. ფრიდმენი, ა. შვარცი, ჟ. რიუეფი და სხვ.), რ-შიც უგულებელყოფილია წარმოებითი ურთიერთობა და გადამწყვეტი როლი მინიჭებული აქვს ფულად-საკრედიტო ინ-ტებს ეს თეორია ეწინააღმდეგება კეინზიანურ თეორიას და ეკონ. კრიზისების თავიდან აცილებისათვის შესაძლებლად თვლის ფულადი მასის გადიდებას წელიწადში საშუალოდ 3—5 პროცენტით.

უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა ეკონ. „ზრდის ციკლის“ ბურჟ. თეორიები (ა. ვაგნერი, ჰ. პირში, ი. მინცი და სხვ.), რ-შიც ციკლური მერყეობის წლები დაკავშირებულია საინფლაციო პროცესთან.

Ც. ე. თ-ის მეთოდოლ. ნაკლი ის არის, რომ ისინი განიხილავენ მხოლოდ კაპიტალ. კვლავწარმოების ზედაპირულ მოვლენებს და უგულებელყოფენ ციკლისა და ეკონ. კრიზისების ძირითად მიზეზს — კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, ანუ წინააღმდეგობას წარმოების საზ. ხასიათსა და წარმოების შედეგების მითვისების კერძო კაპიტალ. ფორმას შორის.

ლით.: ჭანტურიაძე ა., ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4, თბ., 1969; Самуэльсон П., Экономика, пер. с англ., М., 1964; Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, пер. с англ., М., 1968; Хаберлер Г., Процветание и депрессия, пер. с англ., М., 1960; Хансен Э., Экономические циклы и национальный доход, пер. с англ., М., 1959.

ა. ჩილაგაძე.

**ციკლო...** (ბერძნ. kyklos — წრე), რთული სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს: წრეს, რგოლს, ციკლს, მაგ., ციკლოგრაფი.

**ციკლოალკანები**, ციკლოპარაფინები, ციკლანები, ნაჯერი ციკლური ნახშირწყალბადები, მათი ზოგადი ფორმულაა $C_nH_{2n}$ (იხ. ალიციკლური ნაერთები) უმარტივესი Ც-ის — ციკლოპროპანის — რგოლი შედგება სამი მეთილენის $CH_2$-ჯგუფისაგან, ციკლობუტანისა — ოთხისაგან და ა. შ. ხშირად Ც-ს უწოდებენ პოლიმეთილენურ ნახშირწყალბადებს ან პოლიმეთილენებს, მაგ., ციკლოპენტანს $C_5H_{10}$ ეწოდება პენტამეთილენი, ციკლოჰექსანს $C_6H_{12}$ — ჰექსამეთილენი. უკანასკნელი ორი Ც. მათი ალკილწარმოებულებთან ერთად შედის ნავთობის შემადგენლობაში, ამიტომ მათ ნაფთენებსაც უწოდებენ. ფიზ. და ქიმ. თვისებებით Ც ნაჯერი აციკლური ნახშირწყალბადების ანალოგიურია (გამონაკლისია ციკლოპროპანი). Ც-ს ღებულობენ სხვადასხვა ხერხით, მაგ., დიჰალოგენიდების ციკლიზაციით, ციკლოალკენების ან არომატული ნაერთების ჰიდრირებით.

**ციკლობუტანი**, ტეტრამეთილენი, $C_4H_8$, ალიციკლური ნახშირწყალბადი, უფერული, სუსტი სუნის აირი, $t_{დნ}$ −80°C, $t_{დუღ}$ 13°C, სიმკვრივე 703 კგ/მ³. წყალში უხსნარია, ხსნადია ორგ. გამხს-



ცილინდრული კბილა თვლის ხელსაწყოებით გამოჭრის სქემა. 1 — ნაკეთობა (დასამუშავებელი კბილა თვალი) 2—იარაღები (კბილმოსაჭრელი ღილაკები)

1962–64 ვიცე-პრემიერი, 1964–70 პოლ. სახ. რესპ. მინისტრთა საბჭოს თავ-რე, 1970–72 სახელმწ. საბჭოს თავ-რე 1973-იდან სრულიად პოლ. მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავ-რე

**ცირეკიძე** სანდრო გიორგის ძე (1894, ქუთაისი, — 18. I. 1923, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი. 1913-იდან სწავლობდა პეტერბ., შემდეგ კიევის უნ-ტებში. 10-იანი წლებიდან ც-ის მოთხრობები, მინიატურები, ესკიზები, თარგმანები, ლიტ.-კრიტ. წერილები იბეჭდებოდა ქართ. პრესაში, 1916-იდან იყო „ცისფერყანწელთა" ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მწერლის მხატვრული დასტატება, წარმოსახვის ან საშუალებათა, ამაღლებულ ფორმათა ძიება გამოვლინდა მინიატურების კრებულში „მთვარეულები" (ქუთაისი, 1921). რედაქტორობდა ჟურნ. „შვილდოსანს" 1919 ქუთაისში დაარსა გამომც. „კორპორაცია", გამოსცა „ახალი მწერლობის ანთოლოგია", ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის კრებულები, ს. მალარმეს ქართ. თარგმანები. ც-მ წვლილი შეიტანა მცირე ფორმის ქართ. პროზის განვითარებაში

თხზ.: [illegible] შედგენა და შენიშვნები [illegible] ნიკოლეიშვილისა, ქუთ., 1991

ლიტ.: ჭილაია ს., სანდრო ცირეკიძე, «კრიტიკა», 1980, №30; ჭილაია ს., სანდრო ცირეკიძე — ცისფერყანწელთა ბედის [illegible], «მნათობი», 1983, №10; [illegible] ს., ორფეოსი, თბ., 1969.

ლ. ავალიანი

**ცირკელი** (Zirkel) ფერდინანდ (20. V 1838, ბონი, — 11. VI 1912, იქვე), გერმანელი გეოლოგი, პეტროგრაფი. დაამთავრა ბონის უნ-ტი (1861). 1868-იდან იყო ლაიფციგის უნ-ტის, 1870–1909 — ლაიფციგის უნ-ტის პროფესორი. იკვლევდა ისლ., შოტლ., იტალ., საფრ., ჩრდ. ამერ., ინდ. და შრი-ლანკის მაგმურ ქანებს. ქანების მიკროსკოპული შესწავლისათვის და მათი დიაგნოსტიკისათვის ც-მა პირველმა გამოიყენა კრისტალოოპტ. მეთოდი. არის პირველი პეტროგრაფიის სახელმძღვანელოსი (1893–94), რ-მაც დიდად შეუწყო ხელი პეტროგრაფიის განვითარებას

**ცირკი** (ლათ. circus, სიტყვასიტყვით — წრე), შენობა საცირკო წარმოდგენების ჩასატარებლად. ძვ. რომში გაკეთებული იყო ტრიბუნებიანი გაშლილი ელიფსური არენა, რ-შიც იმართებოდა შეჯიბრება (რბოლა) ეტლებით, შემდეგში დიდი გამოფენები, აკრობატიკა, [illegible], გლადიატორთა და სხვ. რომის დიდი ც. იტევდა 80 ათ. მეტ მაყურებელს. ესპანეთში, მექსიკასა და ზოგ სხვა ქვეყანაში ც-ის არენებს იყენებენ კორიდისათვის. თანამედროვე ც. არენა (მანეჟი) მრგვალია (დიამეტრი 13–14, ზოგჯერ 9–17 მ), გარს არტყია მყარი ბარიერი, გადახურულია სფერული გუმბათით (საჰაერო აკრობატებისათვის), მაყურებელთა ადგილები განლაგებულია ამფითეატრისებურად. თანამედროვე ც. აღჭურვილია სპეციალური საცირკო ტექნიკით, დიდი საკუთრივ [illegible], სარეჟისორო მანეჟით და სხვ.

**ცირკი** მყინვარული, იგივე კარი (1-ლი მნიშვნელობა). მკვლევართა ერთი ნაწილი ც-ით აღნიშნავს მყინვარული ხეობის თავს, რ-იც ამფითეატრისებრ სამი მხრიდან ციცაბო კედლებით არის შემოზღუდული, ხოლო ჩაზნექილ ძირზე კი მორენები და, ხშირად, მყინვარული ტბაა

**ცირკონი** (გერმ. Zirkon, სპარს. ზარგუნ — ოქროსფერი), სილიკატების კლასის მინერალი. ქიმ. შედგენილობა $Zr[SiO_4]$ მინარევებია Hf, იშვიათ მიწათა ელემენტები, ზოგჯერ U, Th. კრისტალდება ტეტრაგონულ სინგონიაში ჩვეულებრივ აქვს სვეტისებრი კრისტალები. მოყვითალო-ყავისფერი, ნაცრისფერი, წითელი ან უფერულია. გამჭვირვალეა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 7–8; სიმკვრივე 4600–4710 კგ/მ³. U-ისა და Th-ის შემცველი სახეობები მეტამიქტური მინერალებია. ც. გრანიტების, ნეფელინიანი სიენიტების, აგრეთვე ზოგიერთი მეტამორფული და დანალექი ქანის აქცესორული მინერალია. ც-ის დიდი კრისტალები გვხვდება პეგმატიტებში. ქიმიურად მდგრადია, გამოფიტვისას გადადის ქვიშრობებში. ც. ცირკონიუმისა და ჰაფნიუმის ძირითადი წყაროა. გამოიყენება კერამ. მრეწველობაში. გამჭვირვალე, ლამაზად შეფერილი ც. ძვირფასი ქვაა

**ცირკონიუმი** (Zirconium), Zr, ელემენტთა პერიოდული სისტემის IV ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 40, ატ. მასა 91,22, $t_{დნ}$ 1852°C, $t_{დუღ}$ ≈4000°C, სიმკვრივე 6450 კგ/მ³; მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონი. ცნობილია ც-ის ხუთი მდგრადი ბუნებრივი იზოტოპი, რ-თა მასური რიცხვებია 90—92, 94 და 96. ც. აღმოაჩინა (1789) გერმ. ქიმიკოსმა მ. კლაპროტმა ლითონური ც. პირველად მიიღო ი. ბერცელიუსმა 1824 დედამიწის ქერქში ც-ის საშ. შემცველობა მასის მიხედვით $1,7 \cdot 10^{-2}$%-ია. ცნობილია ც-ის 27 მინერალი სამრეწვ. მნიშვნელობისაა ბადელეიტი და ცირკონი. სუფთა ც. პლასტიკურია. ც-ის ჟანგვის ხარისხია +4; იშვიათად +3, +2, +1 კომპაქტური ც. 200—400°C ტემპერატურაზე ნელ-ნელა იწყებს ჟანგვას და იფარება ცირკონიუმის ორჟანგის აფსკით. მაღალ ტემპ-რაზე ც. ენერგიულად ურთიერთქმედებს ჰაერის ჟანგბადთან. ც. აქტიურად შთანთქავს წყალბადს, აზოტს ურთიერთქმედებს ჰალოგენებთან, გაცხელებისას კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან, [illegible], ნახშირბადთან. ც-ის ნიტრიდი ZrN და კარბიდი ZrC მყარი, ძნელდნობადი ნაერთებია. მრეწველობაში ც-ის მიღების ძირითადი ნედლეულია მინერალი ცირკონი $ZrSiO_4$. [illegible] ც-ს ღებულობენ $K_2ZrF_6$, $ZrCl_4$, $ZrO_2$-ის ლითონთერმული აღდგენით

ცირკონიუმის შენადნობებს იყენებენ ბირთვულ რეაქტორებში, ქიმ. მანქანათმშენებლობაში, ც-ის სულფატს — ტყავის მრეწველობაში და სხვ.

ლიტ.: Зеликман А. Н., Меерсон Г. А., Металлургия редких металлов, М., 1973

**ცირკონიუმის ორჟანგი,** ცირკონიუმის დიოქსიდი, $ZrO_2$, თეთრი კრისტალებია, $t_{დნ}$ 2900°C. წყალში უხსნადია. იყენებენ კომბინირებულ კერამიკის, მინანქრების, სპეც. მინების, ლაზერული მასალების, [illegible] (ფიანიტების) წარმოებაში; ც. ო. პიეზოელექტრიკი და მყარი ელექტროლიტია.

**ცირკონიუმის შენადნობები,** ცირკონიუმის ფუძეზე დამზადებული შენადნობები. ც. შ-ის შესწავლა და გამოყენება დაიწყეს XX ს. 50-იანი წწ. შემდეგ, როცა მიიღეს ჰაფნიუმის მინარევებისაგან გაწმენდილი ცირკონიუმი და აღმოაჩინეს, რომ მას აქვს სითბური ნეიტრონების შთანთქმის მცირე განივკვეთი. ამ და სხვა ხელსაყრელ თვისებათა გამო პერსპექტიული გახდა ცირკონიუმის გამოყენება სითბური ნეიტრონებით მომუშავე ბირთვული რეაქტორების კონსტრუქციებში სითბოს გამომყოფი ელემენტების გარსებად. არალეგირებული ცირკონიუმის ამ მიზნისათვის გამოყენება შეუძლებელი გახდა გამთბარ წყალში მისი არასტაბილური კოროზიამედეგობის გამო. ამიტომ შეიმუშავეს სამრეწვ. შენადნობები, რ-ებსაც ფართოდ იყენებენ ბირთვულ ენერგეტიკაში. ცირკონიუმის ლეგირებისათვის იყენებენ Nb, Sn, Fe, Cr, Ni, Cu და Mo გამოკვლეულია მრავალი ც. შ. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებენ სამრეწველო მასშტაბით. ყველაზე ფართოდ გავრცელდა აშშ შენადნობი ცირკალოი-2 (1,5% Sn, 0,1% Fe, 0,1% Cr, 0,05% Ni და არა უმეტეს 0,01% N). იყენებენ აგრეთვე შენადნობს ცირკალოი-4 (ნიკელს შეიცავს მცირე რაოდენობით — 0,007%. ამით განსხვავდება იგი ცირკალოი-2-გან). სსრკ-ში შეიმუშავეს და იყენებენ ორიგინ. ც. შ-ს, რ-ებიც კალას არ შეიცავს — Zr1Nb და Zr2,5Nb (შესაბამისად, 1 და 2,5% Nb). ც. შ. Zr1Nb პირველად გამოიყენეს ატომურ ყინულმჭრელ „ლენინის" რეაქტორების სითბოგამომყოფი ელემენტების გარსებში, ხოლო Zr2,5Nb — ნოვოვორონეჟის ატომური ელექტროსადგურის რეაქტორის კასეტებისათვის. კოროზიამედეგობით ც. შ. Zr2,5Nb ცირკალოის ტიპის შენადნობებს უტოლდება, მაგრამ მას ნაკლები მიდრეკილება აქვს წყალბადით გაჯერებისადმი. ახასიათებს დიდი სიმტკიცე და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ცირკონიუმის დნობის ტემპ-რა მაღალია (1852°C), მის შენადნობებს არ ახასიათებს მაღალი მხურვალმტკიცეობა. ამიტომ მათ ძირითადად იყენებენ ორთქლწყლის გარემოში (400°C-მდე) სამუშაოდ

ლიტ.: Дуглас Д., Металловедение циркония, пер. с англ., М., 1975 (ბიბლიოგრ.); Ривкин Е. Ю., Родченков Б. С., Филатов В. М., Прочность сплавов циркония, М., 1974

**ცირკულარი** (გერმ. Zirkular, <ლათ. circularis — წრიული), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანოს წერილობითი განკარგულება ან განმარტება რაიმე აქტის გამოყენების წესის თაობაზე, რ-იც ეგზავნება საქვეუწყებო დაწესებულება-ორგანიზაციას. როგორც წესი, ც. ეხება საუწყებო ხასიათის ერთ ან რამდენიმე საკითხს. სსრკ-ში 1936-მდე ც. იყო ოფიც. აქტი, რ-საც მაღალი კომისარიატის ხელმძღვანელი გამოსცემდა

**ცირკულაცია** ვექტორული ველისა $a(r)$ ჩაკეტილ $L$ წირის გასწვრივ, $\oint_L a\,dr$ სახის ინტეგრალი. კოორდინატული ფორმით ც. უდრის $\oint_L (a_x dx + a_y dy + a_z dz)$.

$a(r)$ ძალური ველის ძალების მიერ შესრულებული მუშაობა საცდელი სხეულის (ერთეული მასის, მუხტის და ა. შ.) გადაადგილებისას $L$ წირის გასწვრივ უდრის ველის ც-ს ამ წირის გასწვრივ.

**ციროზი** (ბერძ. kirros — ლიმონისფერი, ქარვისფერი), ორგანოს შეჭმუხვნა და დეფორმაცია, რასაც იწვევს ზოგიერთი ინფექციური დაავადება, ინტოქსიკაცია, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ. ც. ვითარდება უმეტესად პარენქიმულ ორგანოებში — ღვიძლში, რ-იც ც-ის დროს ყვითლდება (აქედან სახელწოდებაც), თირკმლებში (ნეფროსკლეროზი), ფილტვებში (პნევმოსკლეროზი) და სხვ. მორფოლოგიურად ც. ვლინდება პარენქიმული ელემენტების დისტროფიითა და ნეკროზით, გაუკუღმართებული რეგენერაციით, შემაერთებელი ქსოვილის დიფუზური ზრდით (სკლეროზი), ორგანოს სტრუქტურის შეცვლით და დეფორმაციით. კლინიკურად — დაზიანებული ორგანოს ქრონ. ფუნქციური უკმარისობით და სხვ. განარჩევენ პოსტნეკროზულ, პორტულ, ბილიარულ და შერეულ ც-ს. ფიქრობენ, რომ ც. თავისი განვითარების ადრეულ სტადიაში შექცევადი პროცესია.



ცირკი. თბილისის სახელმწიფო ცირკი. არქიტექტორები ნ. ნეპრინცევი, ს. სტერნ-და ვ. ურუშაძე. 1940



ცირცელი (Sorbus caucasigena)



ცისვაზი აყვავებული ტოტი



ლ. ცისკარიშვილი

**ცირცელა** (Sorbaria), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა ბუჩქებია. 10 სახეობა გავრცელებულია აზიაში, სსრკ-ში, კერძოდ, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და შუა აზიაში 4 სახეობაა. იზრდება ტენიან ადგილებზე, მდ.-ებისა და ჭაობების ნაპირებზე. კავკასიაში ინტროდუცირებულია ც-ს 5 სახეობა. მათგან ზოგიერთს აშენებენ საქართვ. შავი ზღვის სანაპიროსა და თბილისში. ც. დეკორ. ბუჩქია და ფართოდ იყენებენ ბაღმშენებლობაში, ზოგან გელურდება.

ქ. ქიმერიძე.

**ცირცელი** (Sorbus), მერქნიან მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. უმეტესად ფოთოლმცვივანი ხეები ან ბუჩქებია. 100-მდე სახეობა (სხვა მონაცემებით გაცილებით ნაკლები) გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი კლიმატის ქვეყნებში. სსრკ-ში 35 სახეობაა, საქართველოში 14, მ. შ. 10 კავკ. ენდემია, 2 — საქართველოსი; უმეტესობა ტყის ზედა და სუბალპ. სარტყელში იზრდება, ზ. დ. 1800–2500-მდე, ზოგი — მთის შუა სარტყლის ტყეებშიც, ზ. დ. 1700 მ-მდე. ყველა სახეობა დეკორატიულია. S. aucuparia-ს, S domestica-ს და სხვათა ნაყოფს იყენებენ საკონდიტრო მრეწველობაში; მათი მერქანი მძიმეა, მტკიცე, მაგარი და მკვრივი. იყენებენ სახარატო საქმეში და ავეჯის დასამზადებლად.

ქ. ქიმერიძე

**ცის-** (ლათ. cis — აქეთ მხრიდან) ქ ი მ ი ა შ ი. ქიმიური ნაერთების ორი გეომეტრიული იზომერიდან ერთ-ერთი იზომერის სახელწოდების თავსართი. ცის-იზომერის მოლეკულაში 2 ერთნაირი ან განსხვავებული ჩანაცვლებული განლაგებულია ნახშირბადის ატომებს შორის ორმაგი ბმის სიბრტყის ერთ მხარეს. იხ. აგრეთვე ტრანს- ქიმიაში.

**ცისანა**, ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა, იგივეა, რაც კესანე.

**ცისარტყელა**, ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში, რ-საც ცის თაღზე მრავალფერი რკალის სახე აქვს. ჩანს წვიმის ფონზე, როცა მზე დამკვირვებლის ზურგსუკანაა. ც წარმოიქმნება მზის სხივების წვიმის წვეთებში გარდატეხისა და სპექტრის შემადგენელ ფერებად დაშლის შედეგად. ც-ში ზევიდან ქვევით თანდათანობით გადასვლით ერთმანეთს ენაცვლება სპექტრის წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი ზოლები. ც-ის ფერების სიკაშკაშე დამოკიდებულია წვეთების ზომაზე. რაც უფრო დიდია წვეთები, ც მით უფრო კაშკაშაა. ც. მთვარის სინათლეზედაც შეიმჩნევა.

**„ცისარტყელა"**, ქართული ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1919–21. რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია [ი. გომართელი, ა. აბაშელი (ჩოჩია), პ. ირეთელი (ქალანდაძე), ა. რუხაძე და სხვ.]. ჟურნალში წარმოდგენილი იყო პოეზია, პროზა, დრამატურგია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია. გამოქვეყნდა შ. არაგვისპირელის, გ. ბარნოვის, ნ. ლორთქიფანიძის, ი. გომართელის, ლ. ქიაჩელის, დუტუ მეგრელის, კ. გამსახურდიას და სხვათა ნაწარმოებები.

**ცისარტყელები** (Donaciinae), ხოჭოების ქვეოჯახი ფოთლიჭამიასებრთა ოჯახისა. აქვთ მოგრძო-ოვალური სხეული, ფერად კაშკაშა მოწვანო ან ლურჯია. ხოჭოები ცხოვრობენ წყლისა და ჭაობის მცენარეებზე, იკვებებიან ფოთლებით, მატლების ადგილსამყოფელია წყალქვეშა ღეროები და ფესვები. სსრკ-ში ცნობილია ც-ის 54 სახეობა, კავკასიაში — 22, საქართველოში — 16.

მ. სეყრიოლიძე

**ცის ეკვატორი**, იხ. ეკვატორი ციური.

**ცისვაზი**, ვ ი ს ტ ე რ ი ა (Wisteria sinensis, Glicine sinensis), მცენარე პარკოსანთა ოჯახისა ხის მაგვარი ლიანაა, აღწევს ყველაზე მაღალი ხის კენწეროს და ზემოვლება მას. აქვს მოყავისფრო-მონაცრისფრო ყლორტები, კენტფრთართული ფოთლები. ც-ის ცისფერი სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია მტევნებად. ყვავის გაზაფხულზე (შეფოთვლამდე) და ხელმეორედ ზაფხულში. თბილ ზამთარში შეფოთვლილია იანვ. ბოლომდე. სამშობლოა ჩინეთი. ძველთაგანვე იყენებენ დეკორ. მებაღეობაში. სსრკ-ში კულტივირებულია ყირიმისა და კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე. კარგად ხარობს აღმ. საქართველოში.

ნ. შარაშიძე.

**ცისთვალა** (Scilla), მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახებია. საყვავილე ღეროზე ერთი ან რამდენიმე ორსქესიანი, ზარისებრი, კაშკაშა ლურჯი, თეთრი, ცისფერი, მეწამული ან ვარდისფერი ყვავილი აქვს. 60-მდე სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში. სსრკ-ში 13 სახეობა გვხვდება, საქართველოში — 8, მათგან 1 სახეობა ენდემია. ც ძირითადად გაზაფხულზე ყვავილობს. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყეებში, ტყის პირებზე, სუბალპ. და ალპ. მდელოებზე. საქართვ. ტყეებსა და ბუჩქებში უფრო ფართოდ ციმბირული ც-ა (S. sibirica) გავრცელებული. ც დეკორ. მცენარეა, ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა S. rosenii.

მ. გურგენიძე

**ცისი**, ც ი ს ი (29. XI. 1835–15. XI. 1908, პეკინი). ჩინეთის იმპერატრიცა ქალი. ფაქტობრივად ხელისუფლების სათავეში იდგა 1861-იდან 1908-მდე. იმპ. სიანფენის ხარჭა იყო, ხოლო ვაჟიშვილის (ტახტის მემკვიდრის) დაბადების შემდეგ — მისი მეორე ცოლი გახდა. რეგენტი 1861-იდან 1873-მდე და 1875-იდან 1889-მდე. 1898 სახალხოს გადატრიალების შემდეგ (იხ. „რეფორმების ასი დღე") კვლავ ხელში აიღო ძალაუფლება. გამოირჩეოდა სისასტიკითა და ეშმაკობით.

**„ცისკარი"**, ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა. დაარსდა თბილისში 1904. „ც-ის" გამგეობაში შედიოდნენ პ. თუმანიშვილი (თავ-რე), ი. გოგებაშვილი, პ. გოთუა, კ. თუმანიშვილი, ც. გოგიჩაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ალექსანდრე მრევლიშვილი—მეცენატი ი. ზუბალაშვილი. „ც" გამოსცემდა ორიგინ. თხზულებებს და უცხოელ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმანებს. პოლიტ. ასალებდა წიგნით მოკავშირე ამხანაგობებს — „ტარტალას" და „კალმის" მეშვეობით. გამოსცა პ. უმიკაშვილის ხალხ. ლექსების კრებული (1905), პ. სურგულაძის „ქართული ენა" (1905), ლ. ტოლსტოის მოთხრობები (1905), ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" (წ. 1, 1906). განზრახული ჰქონდა „საქართველოს ენციკლოპედიის" გამოცემა (რუს., ქართ. და ფრანგ. ენებზე), რ-ის პროგრამაც გამგეობამ 1904 შეადგინა. გამომცემლობამ 1912-მდე იარსება.

ი. ყიფიანი.

**„ცისკარი"**, ქართული ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1852–53 (რედ. გ. ერისთავი), 1857–75 (რედ. — ი. კერესელიძე). ჟურნალი ეხმაურებოდა ქართ. ლიტ. და საზ. ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, ახალ., მ. შ. „თერგდალეულების" სამოღვაწეო ასპარეზის დაწყებას. იბეჭდებოდა მხატვრული, პუბლიც., კრიტ., ისტ.-ეთნოგრ. ლიტ-რის, ძვ. მწერლობის ნიმუშები. ჟურნალში გამოჩნდა დასაწყისი ძვ. და ახ. თაობის შორის, დაიბეჭდა, ერთი მხრივ, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ს. მესხის და სხვათა წერილები, რომლებიც ეხმაურებოდა ლიტ-რის ხალხურობის, ახ. სალიტ. ენის დადგენის საკითხებს, მეორე მხრივ, ბ. ჯორჯაძის, გ. ბარათაშვილის, რ. ერისთავის და სხვათა წერილები, მიმართული „თერგდალეულების" ესთეტიკისა და ლიტ.-საზ. მრწამსის წინააღმდეგ. 1863 „ც-ს" ეკამათებოდა ახ. თაობის ჟურნ. „საქართველოს მოამბე". მან დიდი როლი ითამაშა ლიტ. ინტერესთა განვითარების საქმეში.

ს. ხუციშვილი.

**„ცისკარი"**, ყოველკვირეული სამეურნეო გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1888წ. რედ.-გამომცემელი — ი. კერესელიძე. გამოვიდა სულ 23 ნომერი. ქვეყნდებოდა წერილები სოფ. მეურნ. სხვადასხვა დარგებზე (მევენახეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა), აგრეთვე პოეზიაზე. ადგილი და უცხოეთის ამბები, მხატვრული ნაწარმოებები, მოთხრობები, ლექსები და სხვ.

ს. ხუციშვილი

**„ცისკარი"**, ქართული ყოველთვიური ლიტ.-მხატვრული და საზ.-პოლიტ. ჟურნალი. საქ. ალკკ ცკ-ისა და საქართვ. მწერალთა კავშირის ორგანო. დაარსდა თბილისში 1957. სხვადასხვა დროს მთავარი რედაქტორები იყვნენ — ვ. ჟღენტი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ბერულავა, ჯ. ჩარკვიანი, გ. ფანჯიკიძე, თ. ცოცხიშვილი, ჯ. ლეონიძე. ჟურნალში იბეჭდებოდა შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ა. ბელიაშვილის, ნ. დუმბაძის, ჭ. ამირეჯიბის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის, რ. ინანიშვილის, გ. რჩეულიშვილის, ე. ყიფიანის და სხვ. ნაწარმოებები. მრავალფეროვანია მისი რუბრიკა: პოეზია, პროზა, თარგმანები, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი. ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა საზ. პრობლემებს. ტირაჟი 60 ათ. (1986)

თ. მელქიშვილი.

**ცისკარიშვილი** იოანე დავითის ძე (1822, ალვანი, ახლანდ. ახმეტის რ-ნი, — 1900, ზემო ალვანი), ქართველი ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი. 1840–50-იან წწ-ში კრებდა და აქვეყნებდა ხალხ. სიტყვიერების ნიმუშებს. ც-ს ეკუთვნის ეთნოგრ., ფოლკლორული, მხატვრული ნარკვევები (რუს. ენაზე). „თუშეთის სურათები", „ალივლი და შანაქო" („კავკაზ", 1844ბ), „წერილები თუშეთის შესახებ", „თუშური სიმღერები" (იქვე, 1849), „საქართველოს ვაზი" (ალმანახი „ზურნა", 1855). ც-მა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ამირანის თქმულების მსგავსებას პრომეთეს მითთან.

ლიტ.: ანდღულაძე ი., ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელ საქართველოს რუსულ პერიოდიკაში, თბ., 1976.

გ. ანდღულაძე

**ცისკარიშვილი** ლევან დიმიტრის ძე [დ. 10 (23). IX. 1896, სოფ. ზემო ალვანი, ახლანდ. ახმეტის რ-ნი]. ქართველი საბჭ. ექიმი, უროლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1926 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1930–53 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტსა და ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. ერთდროულად (1948–50) იყო თბილ. მთავარი ქირურგი და უროლოგი, 1959–74 განაგებდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის უროლოგიის კათედრას, 1975-იდან ამავე კათედრის მეცნ.-კონსულტანტია. ც. შეისწავლის შარდკენჭოვან დაავადებას, შარდ-სასქესო ორგანოთა სიმსივნეებს, საქართვ. მინერ. წყლების სამკურნ. თვისებებს და გამოყენებას უროლოგიური დაავადებების დროს. ც იყო (1973–82) საქართვ. უროლოგთა სამეცნ. საზ.-ების თავ-რე. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის 2 ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: უროგინეკოლოგიის საკითხები, თბ., 1983 (თანაავტ.: მ. ხანიკიძე); უროლოგიურ დაავადებათა სიმპტომატიკა და ავადმყოფთა გამოკვლევის მეთოდები, თბ., 1984 (თანაავტ.: მ. ხანიკიძე); К вопросу о жизнеспособности почки в условиях перевязки её составной ножки, Тб., 1952. Курорт

Сакрымп и лечебные свойства его минеральных вод, Тб., 1937.

**ცისკარიშვილი** მიხეილ ამბროსის ძე (დ. 11 IXI. 1928, თბილისი), ქართველი საბჭ. პარტიომშენებელი, სოციალ. შრომის გმირი (1979), საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1979), სსრკ საპატიო ენერგეტიკოსი (1981), საქ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982). სკკპ წევრი 1957-იდან. 1952 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. მუშაობდა საქ. სსრ წყალთა მეურნ. სამინისტროს სახელმწ. საპროექტო ინ-ტში (1952—66), საქ. სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნ. სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის" მეყსნერე სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად (1966—68), ამავე სამინისტროს ტრესტ „ალაზანმშენის" მმართველად (1968—72), სსრკ ენერგეტ. და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ენგურჰესის მშენებლობის უფროსად (1972—79). 1979-იდან ამავე სამინისტროს ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველი და ენგურჰესის კასკადის მშენებლობის უფროსია, 1984-იდან ლენინის ორდენოსანი საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანების „საქჰიდროენერგომშენის" უფროსი. სკკპ XXV, საქ. კომპარტიის XXVI—XXVII ყრილობების დელეგატი, საქ. კომპარტიის ცკ-ის წევრი (1976-იდან), სსრკ IX—XI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. ნ. ნუცუბიძე.

**ცისკარიშვილი** პეტრე დიმიტრის ძე (დ. 15 IXI. 1902, სოფ. ზემო ალვანი, ახლანდ. ახმეტის რ-ნი), ქართველი საბჭ. ქიმიკოსი. ტექნ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). საქართვ. ინდუსტრ. (ახლანდ. პოლიტექნ.) ინ-ტის დამთავრების (1930) შემდეგ მუშაობდა ჯერ საქ. სსრ მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტში, შემდეგ ამავე ინ-ტის ნახშირების ქიმ. ლაბორ. გამგე (1932—49), შემდეგ კი — მაღალმოლეკულურ ნაერთთა ლაბორ. გამგე (1949—76). ც-ის ძირითადი მეცნ. შრომები ეძღვნება მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიას. ც-მა აღმოაჩინა ნახშირების პლასტიფიკაცია და პირველმა შეისწავლა დეტალურად საქართვ. ნახშირების ქიმ. ბუნება, შეიმუშავა ნახშირების თერმოპლასტიფიკაციის მეთოდი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

**ცისკარიძე** ვიოლეტა კოლუნტუს ასული (დ. 19 XII 1921, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე; ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970), მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). სკკპ წევრი 1947-იდან. დიდი სამამულო ომის მონაწილე (1942—45). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1942). ეწევა აქტ. პედ. და სამ. საქმიანობას. იკვლევს უახლესი ქართ. ლიტ-რის ისტორიის საკითხებს (XX ს. დასაწყისის ქართ. ნოველისტიკა, ქართ. ისტ. რომანი), XX ს. ქართვ. კლასიკოსთა (შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია და სხვ.) შემოქმედებას, უძღვნის წერილებს თანამედროვე ქართ. მწერლობასა და ლიტერატურათმცოდნეობაზე. ც-ის მრავალწლიანი მეცნ. კვლევის შედეგები თავმოყრილია ორტომეულში „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები" (ნაკვ. I, თბ., 1972; ნაკვ. II, თბ., 1984).

ლ. ავალიანი.

**ცის კოორდინატები**, რიცხვები, რ-თა საშუალებით განისაზღვრება ცის სფეროზე ნებისმიერი წერტილის, მ. შ. მნათობის თუ ხელოვნური ციური სხეულების მდებარეობა. ასტრონომიაში ხმარებულ ც. კ-ის ყველა სისტემას საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად, ესაა სფეროზე პოლარული კოორდინატთა სისტემა. ამ უკანასკნელის დასაფუძნებლად აირჩევენ ცის სფეროს დიდ წრეწირს, რ-ზეც აირჩევენ საწყის წერტილს ერთ-ერთი კოორდინატის ასათვლელად. წრეწირის ნაცვლად შეიძლება დავასახელოთ მისი პოლუსი, ე. ი. ცის სფეროს ზედაპირის ის წერტილი, რ-იც 90°-ითაა დაშორებული ამ წრეწირის თითოეული წერტილიდან. ც. კ-ის სისტემის ძირითადი წრეწირი შეიძლება იყოს მათ. ჰორიზონტი, ცის ეკვატორი, ეკლიპტიკა ან გალაქტიკური ეკვატორი, ამის შესაბამისად სათანადო ც. კ-ს ეწოდება ჰორიზონტული, ეკვატორული, ეკლიპტიკური ან გალაქტიკური. მეორე კოორდინატი გვიჩვენებს აღებული წერტილის დაშორებას ძირითადი წრეწირიდან. სხვადასხვა ამოცანათა გადაწყვეტისას ამოცანის ხასიათის მიხედვით სარგებლობენ ც. კ-ის ამა თუ იმ კონკრ. სისტემით. ც. კ-ს იყენებდნენ შორეულ წარსულში. მაგ. ისინი აღწერილია ძვ. ბერძენი მათემატიკოსის ევკლიდეს შრომებში. პტოლემეს „ალმაგესტში" გამოქვეყნებული ჰიპარქეს ვარსკვლავთა კატალოგში კი ვარსკვლავთა მდებარეობების დასასახელებლად პრაქტიკულადაა გამოყენებული ც. კ-ის ეკლიპტიკური სისტემა.

ც. კ. გეოგრ. კოორდინატების მსგავსია. ისინი კუთხური ცვლადებია, რ-თაგან ერთი შეესაბამება განედს, მეორე — გრძედს. ჰორიზ. სისტემაში (იხ. ნახ. 1) პოლუსს ზენიტი წარმოადგენს, ის კი სხვადასხვაა დედამიწის სხვადასხვა წერტილებში მყოფი დამკვირვებლისთვის. მაგალითად, ერთი და იმავე მნათობის ჰორიზ. კოორდინატები — აზიმუტი და სიმაღლე (ან ზენიტური მანძილი) — სხვადასხვა დამკვირვებლისთვის სხვადასხვაა. მეორე მხრივ, ცის დღეღამური ბრუნვის გამო იცვლება მნათობთა მდებარეობა ჰორიზონტის მიმართ, ამიტომ მოცემული დამკვირვებლისთვის ცალკეული ციური სხეულის ჰორიზ. კოორდინატები დროის მიმდინარეობაში ცვალებადია.

ეკვატორული სისტემა ორ ნაირსახეობას მოიცავს (იხ. ნახ. 2). ორივეში ერთ-ერთი კოორდინატი დახრილობაა, მოცემული მნათობის დახრილობა ცის დღეღამური ბრუნვის მიზეზით არ იცვლება. მეორე კოორდინატია საათობრივი კუთხე (I სისტემაში) ან პირდაპირი აღვლენა (II სისტემაში). რადგანაც II სისტემის ათვლის წერტილი მონაწილეობს დღეღამურ ბრუნვაში, პირდაპირი აღვლენა დროის მცირე შუალედებში უცვლელია; დროის დიდ შუალედებში (საუკუნეები და მეტი) რამდენადმე იცვლება მნათობის ეკვატორული კოორდინატებიც, ასევე ეკლიპტიკური და გალაქტიკური კოორდინატები [ამ უკანასკნელთა აღწერა იხ. (სათანადოდ) ნახ. 3. და ნახ. 4-ზე და მათთვის დართულ ტექსტებში]. ამის მიზეზია ცის ეკვატორისა და ეკლიპტიკის ნელი ცვლა პრეცესიისა და ნუტაციის გამო. პარალაქსის გათვალისწინებით, მნათობთა მდებარეობათა შესადარებლად ც. კ. მიჰყავთ დედამიწის ცენტრში ან მზის ცენტრში მოთავსებული წარმოსახვითი დამკვირვებლისათვის აგებულ საკოორდინატო სისტემაზე. საუკუნეობრივი ცვლილებების გამო ც. კ-ის დასახელებისას მიუთითებენ ეპოქას, ანუ მომენტს, რ-ისთვისაც განსაზღვრულია ც. კ-ის სიდიდეები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მნათობის ც. კ-ს ამახინჯებს დედამიწის ღერძული ბრუნვით ან წლიური მზისგარშემოვლითი მოძრაობით გამოწვეული აბერაციის მოვლენა (იხ. აბერაცია სინათლისა) და რეფრაქცია. მნათობთა ც. კ. ნელა იცვლება მათი საკუთარი მოძრაობის გამოც.

უშუალო დაკვირვებებით ზომავენ მხოლოდ ჰორიზონტულ და ეკვატორულ კოორდინატებს, ეკლიპტიკური და გალაქტიკური კოორდინატები გამოითვლება ეკვატორული კოორდინატებისაგან.

ლიტ.: იხ. სტ. ცის სფერო.

შ. ხაჩიშვილი.

**ცისკრელი** გიორგი დავითის ძე [29. XI (12 XII). 1905, სოფ. ქარელი, — 18 X 1972, თბილისი], საბჭ. მეცნიერი ბეტონისა და რკინაბეტონის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1936-იდან. საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ მუშაობდა ნაგებობათა და ჰიდროენერგეტ. თბილ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1971-იდან — ენერგეტ. და ჰიდროტექ. ნაგებობათა საქართვ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი) მეცნიერ თანამშრომლად, განყ-ბის გამგედ (1932—72). პარალელურად 1947—72 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინრების ინ-ტში (1969-იდან — ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი). ც-ის სამეცნ. შრომების მთავარი თემაა ბეტონისა და რკინაბეტონის ტექნოლ. თეორია. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Сопротивление растяжению армированных и неармированных бетонов, М., 1954.

**ცის მერიდიანი**, ცის სფეროს დიდი წრეწირი, რ-იც გადის სამყაროს პოლუსებზე და დამკვირვებლის ადგილის ზენიტზე. ც. მ. მათ. ჰორიზონტს კვეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის წერტილებში.

**ცის მექანიკა**, ასტრონომიის დარგი, რ-იც შეისწავლის მზის სისტემის სხეულთა მოძრაობას გრავიტაციულ ველში. ზოგიერთი საკითხის კვლევისას (მაგ. კომეტების შესწავლისას) ხანდახან საჭირო ხდება არაგრავიტაციული ძალების (რეაქტიული ძალები, გარემოს წინააღმდეგობა და სხვ.) გათვალისწინებაც. ც. მ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასტროდინამიკა. ც. მ. შეისწავლის გრავიტაციულ ველში კოსმ. სხეულების მოძრაობის ზოგად საკითხებს, კონკრ. ბუნებრივი და ხელოვნური სხეულების მოძრაობის მათ. თეორიას, ფუნდამენტური ასტრონომიული მუდმივების განსაზღვრის საკითხებს თეორ. გამოკვლევების ასტრონ. დაკვირვებებთან შედარების საფუძველზე, ამუშავებს ასტრონ. ეფემერიდების (ასტრონ. წელიწდეულების) შედგენის საკითხს, რ-ებიც შეიცავენ ც. მ-ის (ასევე ასტრომეტრიის, ვარსკვლავთა ასტრონომიის, გეოდეზიის და სხვ.) თეორ. გამოკვლევების შედეგებს და დროის ყოველი მომენტისათვის აფიქსირებენ სივრცე-დროის ათვლის ფუნდამენტურ სისტემას.

ურთიერთმიმზიდველი მრავალი სხეულის მოძრაობის განსაზღვრა ნიუტონისეულ გრავიტაციულ ველში — ე. წ. მრავალი სხეულის ამოცანა — ც. მ-ის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. იგი დაკავშირებულია საკმაოდ რთულ არაწრფივ ჩვეულებრივ დიფერენც. განტოლებათა სისტემის ამოხსნასთან, რ-ის მათ. სიმკაცრე ზოგად შემთხვევაში ამჟამადაც არ არის გადაწყვეტილი. სრულად არის ამოხსნილი მხოლოდ ორი სხეულის ამოცანა, რ-ისთვისაც მოძრაობის დიფერენც. განტოლებათა ინტეგრაცია მიიყვანება კვადრატურებში. ამ შემთხვევაში მოძრაობა წარმოებს კეპლერის კანონების თანახმად. აგებულია სამი სხეულის ამოცანის ზოგადი ამოხსნა უსასრულო მწკრივების სახით. ეს მწკრივები ძალზედ რთულია და ნელა კრებადი, რომ მათი გამოყენება პრაქტიკულად ჯერჯერობით შეუძლებელია. ამ ამოცანის ზოგიერთი სხვა საწყისი პირობისათვის მიახლოებით შეიძლება მარტივი ამოხსნების აგება. ც. მ-ში დამუშავებულია დაკვირვების საფუძველზე მზის სისტემის სხეულთა ორბიტების განსაზღვრის მეთოდები და საზოგადოდ მნათობის მოძრაობის დიფერენც. განტოლებათა ამოხსნებში შემავალი საინტეგრაციო მუდმივების განსაზღვრის საკითხი. დიდი ცთომილების შეშფოთებული მოძრაობის დიფერენც. განტოლებები ამოიხსნება ანალიზური მეთო-

ცის კოორდინატები




ნახ. 1. ცის კოორდინატების ჰორიზონტული სისტემა (P და P' სამყაროს ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსებია, Z — ზენიტი, Z' — ნადირი, N — ჩრდილოეთის, S — სამხრეთის წერტილი, NES — მათემატიკური ჰორიზონტი). Z ზენიტსა და Z' ნადირზე გავლებული დიდი წრეწირი, ე. წ. ვერტიკალი, ჰორიზონტს კვეთს M წერტილში. σM რკალს მნათობის სიმაღლე ეწოდება. სიმაღლე ათვლილია ჰორიზონტიდან ორივე მხარეს და იცვლება —90°-იდან +90°-მდე; იგი დადებითია, თუ მნათობი ჰორიზონტს ზემოთაა, ხოლო უარყოფითი — საწინააღმდეგო შემთხვევაში. გამოიყენება აგრეთვე ზენიტური მანძილი z, რომელიც σZ რკალს წარმოადგენს, ითვლება Z წერტილიდან და იღებს მნიშვნელობებს 0°-იდან 180°-მდე. ცხადია, მნათობისათვის z+h=90°. მეორე კოორდინატია აზიმუტი A. იგი SM რკალია, ითვლება სამხრეთის S წერტილიდან დასავლეთით და იღებს მნიშვნელობებს 0°-იდან 360°-მდე. აზიმუტი არის სფერული კუთხე Z-თან წვეროთი და მნათობზე გამავალ ვერტიკალს შორის. ზოგჯერ აზიმუტს N წერტილიდან ითვლიან აღმოსავლეთის მიმართულებით (NEM რკალი)




ნახ. 2. ცის კოორდინატთა ეკვატორული სისტემები (P, P' სამყაროს პოლუსებია, Z — ზენიტი, Z' — ნადირი, QQ' — ეკვატორი). P პოლუსსა და σ მნათობზე გავლებული დიდი წრეწირი, ე. წ. დახრილობის ანუ საათობრივი წრეწირი, ეკვატორს კვეთს M წერტილში, γ გაზაფხულის ბუნიობის წერტილია, MQ რკალს σ მნათობის საათობრივ კუთხეს უწოდებენ და აღნიშნავენ t-თი. იგი ითვლება Q წერტილიდან დასავლეთისაკენ და იღებს მნიშვნელობებს 0°-იდან (გაგრძელება იხ. გვ. 226)

ქირობდა რკპ დელეგაციას კომინტერნში 1935 წ 20 თებ. გერმანიასის ნაწილებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა და წამებით მოკლეს.

**ციურიხი** (Zürich), ქალაქი შვეიცარიაში, ციურიხის ტბის ნაპირზე, მდ. ლიმატის შესართავთან. ციურიხის კანტონის ადმ. ცენტრი მოსახლ. მიხედვით ქვეყნის უდიდესი ქალაქი. 380 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 720 ათ-ზე მეტი (1983). სატრანსპ. კვანძი ნავსადგომი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი (კლოტენი) ქვეყნის მთავარი სამრეწვ. და სავაჭრო-საფინანსო ცენტრი მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (ჩარხები, ლოკომოტივები, ვაგონები, ხელსაწყოები, ელექტროტექ. და სხვა სამრეწვ. მოწყობილობა), ქიმ., საფეიქრო, სამკერვალო, ქაღალდის, პოლიგრ. მრეწველობა უნ-ტი. აღმოცენდა კელტურ-რომ. დასახლება ტურიკუმის ადგილზე პირველად 929 იხსენიება 1218 მიიღო საიმპერიო ქალაქის სტატუსი, 1336 ამქრების შედეგად ც-ის ხელოსნებმა მოიპოვეს ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლება. 1351 შეუერთდა შვეიც. კონფედერაციას და გახდა ც-ის კანტონის დედაქალაქი. XIV—XV სს-ში გააფართოვა თავისი ტერიტორიები XVI ს-ში რეფორმაციის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო XIX ს II ნახევარში გახდა მსხვილი საბანკო, სამრეწვ. და კულტ. ცენტრი XIX ს 20-იან წლებში რუს. ემიგრაციის ერთ-ერთი ცენტრი იყო. 1916 თებ. — 1917 მარტში ც-ში ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი.

ხუროთმოძღვრული ძეგლები გროსმიუნსტერის (XII—XV სს.) და ფრაუმიუნსტერის (XIII—XIV სს.) ტაძრები, დომინიკელთა ეკლესია (XIII ს., ბაროკული ნაწილები, 1611—14), გოტიკური ეკლესია ვასერკირხე (1479—84. არქიტ. ჰ. ფელდერი), რენესანსული რატუშა (1694—98), გილდიების ბაროკული სახლები (XVII—XVIII სს.) XIX ს-ში ც-ის განაშენიანება ნეოკლასიციზმისა და ნეორენესანსის სტილშია.


ციურიხი. გილდიის სახლები XVII—XVIII სს.

**ციურიხის ბრძოლა 1799,** ბრძოლა რუსეთისა და საფრანგეთის ჯარებს შორის ქ. ციურიხის რ-ნში 14—16 (25—26) სექტ. მე-2 კოალიციის (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, რუსეთი და სხვ.) საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დროს რუსეთიდან შვეიცარიაში ჩამოსული გენ. ა. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი (24 ათ. კაცი), რ-იც ჩრდ. იტალიიდან გენ.-ფელდმარშალ ა. სუვოროვის ჯარების მოსვლამდე უცდიდა ციურიხის რ-ნში განლაგდა 14 (25) სექტ. რუს ჯარებს შეუტია საფრ. არმიის გენ. ა. მასენას ჯარმა ძალებმა (38 ათ. კაცი) ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ფრანგების სასარგებლოდ დამთავრდა რუს. ჯარებმა მთის გზებით, მძიმე პირობებში, ეინზიდელნისაკენ დაიწყეს უკანდახევა, რის გამოც დატოვა 80 ქვემეხი და ურემის (ალაფი) უმეტესი ნაწილი; დაკარგა 15 ათ. კაცი. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსის დამარცხებამ მკვეთრად გააუარესა სუვოროვის ჯარების მდგომარეობა, რ-ებიც მტრის ჯარ. ბი ძალების პირისპირ აღმოჩნდნენ (იხ. *შვეიცარიული ლაშქრობა სუვოროვისა 1799*).

**ციურიხის ტბა** (Zürichsee), ტბა შვეიცარიაში, გლარნის ალპების ჩრდ.-ით. მყინვარულ ტექტონიკურ ქვაბულში 406 *მ* სიმაღლეზე სიგრძე 40 *კმ*, სიგანე 1—4 *კმ*, ფართ. 88,5 *კმ²*, სიღრმე 143 *მ*-მდე. რაპერსვილის ჯებირებით გაყოფილია ორ ნაწილად ტბის წყალი მდ. ლიმატის ნაკადით ჩაედინება მდ. აარეში (რაინის შენაკადი). სანაოსნო. თევზჭერა. ტბის ჩრდ.-დას. ნაპირზეა ქ. ციურიხი.

**ციურუპა** ალექსანდრე დიმიტრის ძე [19. IX (1. X). 1870, ქ. ალეშკი, ახლანდ. ციურუპინსკი, — 8. V. 1928, სოფ. მუხალატკა, ახლანდ. ყირიმის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1898-იდან 1891 მონაწილეობდა ხერსონის მოსწავლეთა მარქსისტული წრის დაარსებაში. 1900 თებ.-ში გაიცნო ვ. ი. ლენინს. იყო „ისკრის" აგენტი ც. იყო 1905—07 რევ. აქტ. მონაწილე უფაში 1917 თებ. რევ. შემდეგ რკპ(ბ) უფის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტის თავ-რე და საქალაქო სათათბიროს თავ-რე. 1917 ოქტ. სამხ. რევკომის წევრი, ნოემბრიდან რსფსრ სასურსათო საქმეების სახკომის მოადგილე, 1918 თებ. სახკომი. 1921 დეკ-ში რსფსრ სახკომსაბჭოს თავ-რისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავ-რის მოადგილე, ერთდროულად მუშგლეხინის სახკომი (1922—23). 1923—25 სსრკ სახ. საგეგმო კომიტეტის თავ-რე, 1925-იდან სსრკ საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახკომი. პარტიის X, XII—XV ყრილობების დელეგატი. 1923-იდან პარტიის ცკ-ის წევრი, 1922—28 სრულიად რუს. ცაკისა და სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრი. დაკრძალულია მოსკოვში წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.


ა. ციურუპა

**ციურუპინსკი** (1928-მდე ალეშკი), ქალაქი უკრ. სსრ ხერსონის ოლქში, მდ. კონკის ნაპირზე ციურუპინსკის რ-ნის ცენტრი. ნავმისადგომი. რკინიგზის სადგ. რადენსკიდან 20 *კმ*. ცელულოზა-ქაღალდის, კარაქის, ღვინის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა, ხერსონის თევზკომბინატის თევზსაშენი მეურნეობა ქვიშების გატყიანებისა და ქვიშებზე მევენახეობის განვითარების ქვემო დნეპრის სამეცნ.-კვლ. სადგური ა. ციურუპას მუზეუმი (ხერსონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი).

**ციხანისა,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ჯავის რ-ნში (ხეხის სოფსაბჭო), გუდისის ქედის დას. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის მარცხ. ნაპირას ზ. დ. 1200 *მ*, ჯავიდან 4 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ*. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა. სოფ. ქვემო ხეჩუში (1 *კმ*).

**ციფრი** (გვიანდ. ლათ. cifra < არაბ. სიფრ — ნული, სიტყვასიტყვით — ცარიელი), რიცხვების გამომსახველი პირობითი ნიშნები. ყველაზე ადრეული რიცხვითი სისტემური ჩაწერა (შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მათემატიკოსები სისტემურ ჩაწერას X ს. შუა იყენებდნენ) ჩვენთვის ცნობილი უძველესი ც-ებია ბაბილონელებისა და ეგვიპტელების ც-ები თანამედროვე ც-ის წინა სახე (ნულის ჩათვლით) წარმოიქმნა ინდოეთში არა უგვიანეს ძვ. წ. V ს. ამ ც-ების საშუალებით რიცხვების ჩაწერის პოზიციური სისტემა სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც ევროპაში ინდური ც-ები შემოიტანეს არაბებმა X—XIII სს-ში. ინდური ც-ების მოხაზულობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ც-ის ადრეული ისტორია ცუდადაა შესწავლილი (იხ. ცხრილი).

**ციფრული გამომთვლელი მანქანა** (ცგმ), ციფრების (რიცხვების) სახით წარმოდგენილ სიდიდეთა გარდამქმნელი *გამომთვლელი მანქანა*. ნებისმიერ ავტომატურ ცგმ-ს უნდა ჰქონდეს ფუნქციური შესაძლებლობა შეასრულოს ოპერაციები (მ. შ. არითმეტიკული) ციფრული სახით მოცემულ სიდიდეებზე („სიტყვებზე"), დაიხსომოს ამოსავალი ინფორმაცია და გამოთვლის შედეგები; მართოს გამოთვლის პროცესი, ე. ი. ავტომატურად აარჩიოს მანქანა პროგრამის შესაბამისად მორიგი ოპერაციის შესასრულებლად; მიიღოს ადამიანისაგან ამოსავალი ინფორმაცია და გასცეს გამოთვლის შედეგები ჩვეულებრივ ამ ფუნქციებს ასრულებს მანქანის სათანადო მოწყობილობები (იხ. ნახ.). პირველი ელექტრონული ცგმ — „ენიაკ" აიგეს 1945 აშშ-ში მისი ციფრული ელემენტი იყო ტრიგერი. ამიტომ ელექტრონული ცგმ დიდი რაოდენობით შეიცავდა ელექტრონ-მილაკებს და მუშაობის პროცესში არ იყო საიმედო XX ს. 50-იან წლებში შეიქმნა 1-ლი თაობის ტიპური ცგმ. მასში ოპერატიული მეხსიერების ციფრული ელემენტი რგოლური ფერომაგნიტური გული იყო, ხოლო მართვისა და არითმ. მოწყობილობის ძირითადი ელემენტი — ელექტრონულ-მილაკებიანი ტრიგერი. ამის გამო 1-ლი თაობის ცგმ-ის საიმედოობა მნიშვნელოვნად ამაღლდა. ცგმ-ში ფერომაგნიტურ გულარიან დამახსოვრებელ მოწყობილობებთან ერთად იყენებენ აგრეთვე გარე დამახსოვრებელ მოწყობილობებს (ინფორმაცია ჩაწერილია *მაგნიტურ ლენტებზე, მაგნიტურ დისკოებზე, მაგნიტურ დოლზე*), რ-თა ტევადობა შეუდარებლად მეტია მათ მიერ დაკავებული ფართობით.

50-იან წლებში ცგმ-ში ელექტრონული მილაკები შეიცვალა *ნახევარგამტარიანი ხელსაწყოებით* (დიოდებითა და ტრანზისტორებით) ამაღლდა ცგმ-ის საიმედოობა, მნიშვნელოვნად შემცირდა მანქანის გაბარიტები დაიწყო ცგმ-ის მე-2 თაობის პერიოდი. მანქანების გაუმჯობესება ხდებოდა მათი სწრაფქმედების ამაღლებით. 1-ლი თაობის მანქანების სწრაფქმედება გამოიხატება 1 წმ-ში რამდენიმე ათეული ოპერაციიდან რამდენიმე ათეულ ათას ოპერაციამდე, ტრანზისტორებიანი მანქანების სწრაფქმედებამ მიაღწია 10—15 მლნ ოპერაციას 1 წმ-ში (ცგმ CDC-7600, აშშ). ცგმ-ის სწრაფქმედების შემდგომი ამაღლება შეზღუდული იყო იმის გამო, რომ მანქანის შიგნით მოწყობილობები მკაცრი სინქრონით ასრულებდა სამუშაოს (ამოსავალი ინფორმაციის ამოკითხვა, გამოთვლის შედეგების საბეჭდ მოწყობილობაზე გამოტანა, ინფორმაციის გარე დამახსოვრებელ მოწყობილობიდან ოპერატიულში გადატანა და ა. შ.) ამიტომ 60-იან წლებში არსებითად შეიცვალა ცგმ-ის სტრუქტურა, რის შედეგად მანქანის მოწყობილობებს ერთმანეთისაგან განსხვავებული პროგრამით შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა პარალელურად, შესაძლებელი გახდა მანქანით ერთდროულად რამდენიმე ამოცანის ამოხსნა (ე. წ. მულტიპროგრამება). მულტიპროგრამული რეჟიმი არ აჩქარებს ერთი კონკრ. ამოცანის ამოხსნას, მაგრამ მნიშვნელოვნად ამაღლებს ცგმ-ის საერთო მწარმოებლურობას ცგმ-ის მულტიპროგრამული რეჟიმით მუშაობის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო კოლექტ. სარგებლობის ცგმ-ზე გადასვლა (გამოთვლითი ცენტრების ქსელი).

მულტიპროგრამული მანქანების შექმნამ გამოიწვია კოლექტ. სარგებლობის ცგმ-თა სისტემების განვითარება. ეს სისტემები აერთიანებს სხვადასხვა მწარმოებლურობის რამდენიმე მანქანას და ერთდროულად ემსახურება სხვადასხვა ქალაქში (ზოგჯერ სხვა ქვეყნებშიც) ასეულ მომხმარებელს. ცგმ-ის ასეთი გამოყენება ითვალისწინებს მის ფუნქციურ შესაძლებლობათა გაფართოებას და, მაშასადამე, სტრუქტურის გართულებას. 60-იან წლებში გამოჩნდა ინტეგრალურ მიკროსქემებზე აგებული (იხ. *ინტეგრალური სქემა*) მე-3 თაობის ცგმ-ები.

მე-2 თაობის ცგმ-ში ელემენტარული ბლოკის მისაღებად ცალკეულ დეტალებს (დიოდებს, ტრანზისტორებს, კონდენსატორებს, რეზისტორებს და ა. შ.) ერთმანეთს უკავშირებდნენ რჩილვით. ასეთი ბლოკების მოცულობა რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი ასეული სმ³-ს აღწევდა. რჩილვის ადგილები ხშირად მტყუნებათა წყარო იყო.

ინტეგრალური მიკროსქემების გამოყენება საშუალებას იძლევა ამაღლდეს ცგმ-ის ბლოკების ტევადობა ფიზ. მოცულობის გადიდების გარეშე. 1-ლი ინტეგრალური მიკროსქემები (ის) ცვლიდა მე-2 თაობის ცგმ-ის მხოლოდ ერთ ბლოკს, ხოლო დიდი ინტეგრალური სქემები (დის) — რამდენიმე ათეულ ასეთ ბლოკს. უკანასკ-

ნულთა ინტეგრაციის ხარისხი განუწყვეტლივ იზრდება.

მე-4 თაობის ცგმ-ების ტექნიკურ საფუძველია დიდ და ზემაღალი სწრაფქმედების მეხსიერება, რაც კონსტრუქციულად განხორციელებულია მულტიპროცესორულ ცგმ-ში.

ცგმ-ს იყენებენ ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. მისი გამოყენების უმთავრესი სფეროებია სამეცნიერო გამოთვლები, ტექ. ობიექტების დაპროექტების ავტომატიზაცია, ეკონ. გაანგარიშება, საინფორმაციო-საცნობარო სამსახური; მათემატიკური მოდელირება ბიოლოგიაში, მედიცინაში, გეოლოგიაში, სოციოლოგიაში და სხვ.

ლიტ.: Каган Б. М., Каневский М. М., Цифровые вычислительные машины и системы, 2 изд., М., 1973.

**ციფრულ-დიფერენციალური ანალიზატორი,** სპეციალიზებული ციფრული მაინტეგრირებელი მანქანა, რ-ის საფუძველია ციფრული ინტეგრატორი (ინტეგრირება ხდება ნამატის სახით მოცემული დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით და წარმოდგენილია ორობითი ან სამობითი თვლის სისტემით). ამოცანის ამოხსნა ც. დ. ა-ში განპირობებულია ინტეგრატორების ურთიერთქმედებით, როგორც ეს განხორციელებულია *ანალოგურ გამომთვლელ მანქანაში* (აგმ). მომზადების ხერხისა და ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდების მიხედვით ც. დ. ა-ს ბევრი საერთო აქვს აგმ-თან, მონაცემების წარმოდგენისა და გამოყენებული ელემენტების მიხედვით კი — *ციფრულ გამომთვლელ მანქანასთან*.

ც. დ. ა-ს ახასიათებს გამოთვლების უფრო მაღალი სიზუსტე, ვიდრე აგმ-ს, მაგრამ ნაკლებად უნივერსალური და ნაკლებად სწრაფქმედია. ც. დ. ა. ინტეგრირებას ასრულებს ნებისმიერი დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით, აგმ კი — მხოლოდ დროის მიხედვით. ც. დ. ა. ვერ წყვეტს ისეთ რთულ ლოგიკურ ამოცანებს, როგორსაც — ცგმ.

**ციფრული ინდიკატორული ელექტრონული ლამპა,** ციფრული ინდიკატორი, ელექტროვაკუუმური ხელსაწყო, რ-ის დანიშნულებაა ინფორმაციის ვიზუალური აღწარმოება მნათი ციფრებისა და სხვა ნიშნების სახით. იყენებენ უმთავრესად გამომთვლელ მოწყობილობებში, ციფრულ საზომ ხელსაწყოებში, მართვის პულტებზე. მეტად გავრცელებულია აირგანმუხტვის ც. ი. ე., რ-ის კათოდებს მნათი ნიშნების ფორმის მსგავსი, ანოდი კი ბადის წარმოადგენს. ელექტრონილამპა ავსებულია ნეონით, ზოგჯერ უმატებენ ვერცხლისწყლის ორთქლს. ც. ი. ე. ხასიათდება მაღალი საიმედოობითა და ხანგამძლეობით ($10^4$ სთ), მცირე სიმძლავრის მოხმარებით (მუშა დენი არ აღემატება რამდენიმე მა-ს 100 ვ ძაბვის დროს), დიდი სიკაშკაშით (ასეული კდ/მ²) და სხვ. ც. ი. ე-ის ძირითადი ნაკლია დაბალძაბვიან მოწყობილობებთან (ტრანზისტორები, *ინტეგრალური სქემები*) უშუალო შეთანხმების შეუძლებლობა.




ციფრული გამომთვლელი მანქანა. ციფრული გამომთვლელი მანქანის ტიპური ბლოკ-სქემა.

**ციფრული სისტემა** მართვისა, მართვის ავტომატური სისტემა, რ-შიც ხდება სიგნალების დაკვანტვა დონისა და დროის მიხედვით. ზემოქმედების უწყვეტი სიგნალები წარმოიქმნება სისტემის ანალოგურ ნაწილში (რ-იც შედგება მართვის ობიექტისაგან, შემსრულებელი მექანიზმისა და საზომი გარდამქმნელისაგან) და გარდაიქმნება ანალოგურ-ციფრულ გარდამქმნელში, აქედან კი ციფრების სახით მიიყვება ციფრულ გამომთვლელ მანქანაში. აქ დამუშავებული მონაცემები

ციფრი.

სხვადასხვა ხალხის რიცხვთა აღნიშვნები



ხელნ. აკად. მთავარი ბოტან. ბაღის დირექტორი. მისი შრომები უმთავრესად ეხება მცენარეთა შორეული ჰიბრიდიზაციის საკითხებს. ხორბლისა და ჭანგის შეჯვარებით მიიღო ხორბლის ახ. ჯიში (Triticum agropyrotriticum), ავტორია ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდული ჯიშებისა. სოციალ. შრომის გმირი (1978). ლენინური (1978) და სსრკ სახელმწ. (1943) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

**ციციშვილები,** ფეოდალური საგვარეულო ქართლში. XIV ს. 11 ნახევარში ბაგრატ V-ს დროიდან ქართლში გაძლიერებულ ფეოდალთა გვარის მემკვიდრე ზაზა და მისი შთამომავალნი ბოლოს ხეობაში (მდ. ძამაზე) მამულები ჰქონდათ. მისთვის შის განაყოფთა მამულები ნიჩბისის ხეობაში მდებარეობდა. შემდეგ ზაზამ ნასისხლად მიიღო ორბელიანთა მამულები ხეფრუთში. მისი ერთ-ერთი მემკვიდრე, თაყა, მეფე ალექსანდრე I-ის დაახლოებული პირი იყო. ბაგრატიონების გამეფების შემდეგ თაყას ერთგულობით მეფესთან გამწვავდა. მან თავი შეაფარა და შემდეგ მეფის ძმას, დიმიტრის. თაყას შემკვიდრეები ერთგულად ემსახურებოდნენ მეფე გიორგი VIII-ს, ერისთავნი მის წინააღმდეგ აჯანყებულ ბაგრატს (შემდგომ ბაგრატ VI) ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ისინი ქართლის მეფე კონსტანტინეს ერთგულობდნენ. ამ დროისათვის ჩამოყალიბდა მათი სათავადო. 1467, ჯერ კიდევ ქართლში კონსტანტინემ ზაზა ციციშვილს (მეორეს) გაუახლა მამულების მფლობელობა და დამატებით უბოძა ულისციხე, ქვახერელი და კარალეთი ქილდიანთურთ, უფრო გვიან კი ზაზას შვილს, ციცყას, თავადობა უბოძა. ციცის შთამომავლები უკვე ც.-ად იწოდებოდნენ. XVIII ს-ში მათი მამულები ჰქონდათ ხეფრუთში, ძამისა და გუჯარეთის ხეობებში, გვერდისძირში. საქართველოს რუსეთთან შეერთებისა შემდეგ ც. კუთვნილ მამულებში აღირიცხნენ და შესაბამისი პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

ლიტ.: გ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ც., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1986. *ვ. ბაქრაძე.*

**ციციშვილი** ალექსანდრე (1852–1885), ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი. სწავლობდა მოსკ. უნ-ტში სტუდენტობის დროის კავშირი ჰქონდა ქართ. ხალხოსნებთან იყო საზ-ბა „ულლის" წევრი. 1876 დააპატიმრეს. 1877 გაასამართლეს „50-ის პროცესზე" და 10 წლით კატორღა მიუსაჯეს. 1880-მდე იმყოფებოდა ნოვო-ბელგოროდის ცენტრ. საპყრობილეში, შემდეგ გადაასახლეს კარაზე, აქედან კი რუსეთში, სადაც გარდაიცვალა.

**ციციშვილი** პაატა (გ. 1 VII. 1626), ქართლის დიდებული, თავადი, სარდალი, გ. სააკაძის თანამებრძოლი XVII ს. 20-იან წლებში. სპარსელთა წინააღმდეგ ქართლ-კახეთის აჯანყების აქტ. მონაწილე. დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში. *გ. ჟამბურია.*

**ციციშვილი** გიორგი ვლადიმერის ძე [დ. 11 (24) X. 1915, თბილისი], ქართველი საბჭ. ქიმიკოსი. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960) საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). სკკპ წევრი 1945-იდან. საქ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი, ქიმ. და ქიმ. ტექნოლ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1963-იდან). სსრკ ქიმიკოსთა ნაციონალური კომიტეტის წევრი (1972), მოლეკულური საცრების — ცეოლითების — საერთაშ. საზ-ბის წევრი (1973-იდან), სსრკ მეცნ. აკად. ადსორბციის სამეცნ. საბჭოს წევრი 1960-იდან, 1981-იდან ბიუროს წევრი და ცეოლითების სექციის თავ-რე. ც. ქართული ადსორბციული სკოლის შემქმნელია. 1937 დაამთავრა თსუ. 1940-იდან მუშაობს თსუ-ში, 1941-იდან პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ. ინ-ტში (1947-იდან დირექტორი). ც-ის ძირითადი შრომები ეხება ნივთიერების აგებულებისა და სორბციული პროცესების შესწავლას. ც-მა დაადგინა იზოტოპების მოლეკულაში იზოლირებული ბმის ტალღური ბუნება, თეორიულად დაასაბუთა პოლიკონიუგირებული სისტემების კოორდინაციული ნაერთების ელექტრონული სტრუქტურის გავლენის მნიშვნელობა და მისი კვანტურ-ქიმ. ბუნება. მოლეკულურ-სპექტროსკოპიული თვისების შესწავლის შედეგად დაასაბუთა მათი გააქტივების პროცესი, ფორიანობა, სორბციული ფილტრაცია, სორბციის კინეტიკა. შეისწავლა აგრეთვე ცეოლითების სინთეზის მეთოდები. გაარკვია იელოსურის ტიპის კატიონების ბუნებისა და ჩანაცვლების ხარისხის გავლენა ამ სხეულების თვისებებზე. აქტიური მონაწილეობა მიიღო ბუნებრივი ცეოლითების კვლევისა და მათი სახ. მეურნეობაში დანერგვის საქმეში. არის საქ. სსრ მეცნ. აკად. ჟურნალ „მაცნეს" ქიმ. სერიის რედაქტორი, ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და ქიმ. სამეცნ. საბჭოს თავმჯდომარე. მიიღო პ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1965). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: სორბციული პროცესები, თბ., 1969; Адсорбционные, хроматографические и спектральные свойства высококремнистых молекулярных сит, Тб., 1979.

ლიტ.: Георгий Владимирович Цицишвили (к 70-летию со дня рождения), «Журнал физической химии», 1985, т. 59, в. 8. *მ. ტატარიშვილი.*

**ციციშვილი** გიორგი შალვას ძე (დ. 23. XI. 1922, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტ. (1968), პროფ. (1969), საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979). სკკპ წევრი 1972-იდან. დიდი სამამულო ომის (1941–45) მონაწილე. სწავლობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში, თსუ-ში. 1941 დაამთავრა მაქსიმ. სახ. საარტ. სასწავლებელი, 1950 — თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი, 1953—საქ. სსრ მეცნ. აკად. ასპირანტურა, 1989—სსრკ მეცნ. აკად. დოქტორანტურა. 1953-იდან იყო რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი, სწავლ. მდივანი, დირექტორის მოადგილე, განყ-ბის ხელმძღვანელი, 1965-იდან—დირექტორი. 1967–77 რედაქტორობდა ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზია". 1977–85 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1986-იდან თავ-რე, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი. პირველი სამეცნ. კრიტ. წერილები 1960 გამოაქვეყნა. ც-ს ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები ლიტ. თეორიისა და ისტ., თეატ. კრიტიკისა და ისტ., ლიტ. ურთიერთობათა საკითხებზე. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხები" (1960), „ქართული საბჭოთა დრამატურგია" (1962), „გალა ლომთათიძე" (1966), „მაქსიმ გორკი და ქართული საზოგადოებრიობა" (1969), „შალვა დადიანი" (1974), „ს. შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება", „წერილები ქართულ თეატრსა და დრამატურგიაზე" (1958), „ქართველი ხალხის ლიტ. ურთიერთობანი სხვა ხალხებთან და მისი შესწავლის ისტორია" (1981) და სხვ. დიდი სამამულო ომის წლებს ეძღვნება ნოველების კრებ. „სიყვარული სისხლის წვეთების დროს" (1973). ჩვენი თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებს — რომანი „სიცილივ სიხარულისა შენსა" (1978). მათში გამოხატულია მწერლის მოქალაქეობრივი პათოსი, პარტიული პოზიცია, წარმოჩენილია დიდი სამამულო ომის წლების პერიოდი, რეგვ. მშრომელთა ბრძოლა მანკიერებათა აღმოსაფხვრელად ც-ის მეცნ. ნაშრომები და რომანები თარგმნილია რუს. და სსრკ სხვა ხალხთა, აგრეთვე რუმინ., ჩეხ., გერმ., ინგლ., ფრანგ., უნგრ., პოლ. ენებზე. საქ. სსრ X და XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის", სამამულო ომის I და II ხარისხის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: მხატვრ. ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხები, თბ., 1957; სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, თბ., 1978; Грузинская лит-ра на совр. этапе, М., 1986.

*გ. ბენედიქტაშვილი.*

**ციციშვილი** გლახა, XVIII ს. შუა წლების ადმ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ბოლნისის მოურავი 1747 მიემხრო აბდულა-ბეგს და იბრძოდა გრიგოლ II-ის წინააღმდეგ. 1749 ერეკლემ აიღო ბოლნისი, აბდულა-ბეგის სხვა მომხრეებთან ერთად ც. ც. დაატყვევა და თბილისში მიიყვანა. დატყვევებულია განთავისუფლების საფასურად აბდულა-ბეგმა დათმო ბორჯომის ციხე. ც-მა მონაწილეობა მიიღო პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში, რისთვისაც, დარბაზის გადაწყვეტილებით, ენა ამოჰკვეთეს.

წყარო: თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის რედ., თბ., 1983; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ., ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981. *გ. ჯამბურია.*

**ციციშვილი** დავით ნიკოლოზის ძე [დ. 26 X (8 XI) 1901, ტაშკენტი — 5. XI. 1986, თბილისი], ქართველი საბჭ. საბჭ. მხატვარი, გრაფიკოსი. საქ. სსრ სახ. მხატვარი (1982), ქართ. ხალხ. დეკორ. ხელოვნ. შესწავლის დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1931) იყო ი. შარლემანის მოწაფე. 1927–39 იყო საქართველოს მუზეუმის მთავარი მხატვარი. 1936–73 მოღვაწეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1959 დაასრულა დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ფაკ-ტი (ა. ქუთათელაძესთან ერთად). 1973-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში. ც-მა აღადგინა ტრიპტიქი მიხანეიძის, ლეგენდა სვეტისა და ძვ. ქართ. ფერადი დანითის ტექნოლოგია. მას ეკუთვნის ი. ჩავჭავაძის, ა. გრიბოედოვის, ა. წერეთლის, ა. ჭავჭავაძის, ს. არნის და სხვ. ნაწარმოებთა ილუსტრაციები ავტორია წიგნისა „ხალხური რეწვის ტექნოლოგია".

**ციციშვილი** დიმიტრი პაატას (პავლეს) ძე (1723–1777), ქართველი მეცნიერი და მწერალი, მოღვაწეობდა რუსეთში. 1742 დაამთავრა პეტერბ. კადეტთა კორპუსი იმავე წელს ჩაბარა გამოცდები რუს. მეცნ. აკადემიაში 1767–74 მსახურობდა ხამოფის კანცელარიაში. ც. არის ავტორი გეოდეზიის პირველი რუს. სახელმძღვანელოსი („Краткое математическое изъяснение землемерия межевого", СПб., 1757). ზნეობრივ-დიდაქტიკური შინაარსის ნაშრომისა „Завещание статского советника Дмитрия Павловича Цицианова детям своим. Последуемое эпитафиею" (СПб., 1786), აგრეთვე გამოუქვეყნებელი მათ. შრომებისა ქართ. ენაზე 1762–68 აქტიურად მოღვაწეობდა მოსკ. ქართ. სტამბაში.

ლიტ.: Д. П. Цицианов, წგ.: Русский биографический словарь, т. 21, СПб., 1901. *ქ. ჯაფარიძე.*

**ციციშვილი** ვახტანგ დავითის ძე [12 (24) XII. 1888, სოფ. ქვემო ხეფრუთი, ახლანდ. ქარელის რ-ნი, — 23. XII. 1965, თბილისი], ქართველი საბჭ. სპეციალისტი კონიაკის წარმოების დარგში. 1907–10 სწავლობდა მოსკ. უნ-ტში. 1915 დაამთავრა ქ. დიჟონის (საფრანგეთი) სამეურნეო ინ-ტის ტექნოლ. ფაკ-ტი. 1916–20 მუშაობდა დ. სარაჯიშვილის ფირმის კონიაკის ქ-ნაში. 1924–49 იყო თბილ. კონიაკის ქ-ნის ტექნოლოგი 1949–53 — თბილ. კონიაკის კომბინატის დირექტორის მოადგილე და მთავარი ტექნოლოგი. 1953-იდან მუშაობდა „სამტრესტის" კონიაკის წარმოების მთავარ ტექნოლოგად.



ციცინათელები. დიდი ციცინათელა 1—მამალი, 2—დედალი.



დ. ციციშვილი



გ. ვ. ციციშვილი



ვ. დ. ციციშვილი

კალთაზე, ზ. დ. 1620 მ, ადიგენიდან 13 კმ, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 42 კმ. მოსახ. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. მოხეში (2 კმ).

**ციხისუბანი,** სოფელი დუშეთის რ-ნში (გრემისხევის სოფსაბჭო), მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1000 მ, დუშეთიდან 22 კმ. გრემისხევის ექსპერ. საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. პატარაანში (0,7 კმ). კავშირგაბმ. განყ-ბა.

**ციხისუბანი,** სოფელი ვანის რ-ნში (დიხაშხოს სოფსაბჭო), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. სულორის მარცხ. მხარეს ზ. დ. 250 მ, ვანიდან 7 კმ, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 კმ. დიხაშხოს კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ძირითში (2 კმ).

**ციხისუბანი,** სოფელი მახარაძის რ-ნში (გურიანთის სოფსაბჭო), მდ. ნატანების მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 60 მ, მახარაძიდან 7 კმ, მერიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. გურიანთის კოლ-ბა (მეჩაიეობა). რვაწლ. სკოლა.

**ციხისძირი,** სოფელი დუშეთის რ-ნში (ანანურის სოფსაბჭო), მდ. შავი არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 820 მ, დუშეთიდან 26 კმ. ანანურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ანანურში (3 კმ). ბ-კა, კლუბი. სოფლის სამხრ.-ით, მდ. ჭიუხის? ჯავახის მარცხ. ნაპირზე, აღმართულია შუა საუკ. ციხე (ჯავახის ციხე). იგი ჩართული იყო არაგვის ხეობის სიმაგრეთა სისტემაში და კონტროლს უწევდა ჯავახის ხეობაზე გამავალ ქსნის ხეობასთან დამაკავშირებელ გზას. ციხე შედგება ციტადელისა და ქვედა ეზოსაგან. ციტადელის კოშკი ოთხსართულიანი იყო (ახლა ზედა ორი ჩანგრეულია). შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. ძვ. ნაწილები ნაგებია კარგად გათლილი ქვით. სოფლის ქვემო უბანში დგას რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები გვიანდ. შუა საუკ. გეგმით მრგვალი სამ. სართულიანი კოშკი, სოფლის ზემო უბანში კიდევ ერთი, ძლიერ დაზიანებული კოშკია, რ-საც ადგილ. მოსახლეობა განთის წმ. გიორგის უწოდებს. სოფლის სამხრ. ნაწილში ფეოდალ. ხანის ნაგები წმ. ბარბარეს მცირე დარბაზული ეკლესია, სოფლის ახლოს, მდ. ჯავახის მარჯვ. ნაპირზე, ოხიალოსის ჭალაში, შუა საუკ. ქვისსამარხებიანი სამაროვანია.

*რ. რამიშვილი,*
*ბ. ჯორბენაძე.*

**ციხისძირი,** სოფელი მცხეთის რ-ნში (მუხრანის სოფსაბჭო), მუხრანის ველზე, მდ. ქსნის მარცხ. ნაპირას, მცხეთა—გორის საავტ. გზაზე ზ. დ. 510 მ, მცხეთიდან 21 კმ, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 კმ. მუხრანის სანერგე საბჭ. მეურნ. (მევენახეობა, მეხილეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

**ციხისძირი,** ამაშუკეთი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (ბორითის სოფსაბჭო), მდ. ძირულის მარცხ. მხარეს ზ. დ. 440 მ, ორჯონიკიძიდან 32 კმ, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 კმ. საქარის კოლ-ბა (მევენახეობა, მესიმინდეობა). კოზმანის სამეწი ქვის კარიერი. საშ. სკოლა სოფ. ბორითში (2 კმ). ც-ში კოზმანის მთაზე არის პატარა ეკლესია. რ-ის აგებას ლეგენდა მეფე თამარის სახელს უკავშირებენ. სოფლის თავში, მდ. ძირულის ნაპირას დგას შუა საუკ. ეკლესია.

**ციხისძირი,** სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში, შავი ზღვის ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ც., სტალინისუბანი, შუაღელე). რკინიგზის ბაქანი. ზ. დ. 20—40 მ, ქობულეთიდან 9 კმ. მეციტრუსეობის საბჭ. მეურნ., კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). დაწყ., რვაწლ. და საშ. სკოლები, საბავშვო ბაგა და ბაღი, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

ც. რესპ. მნიშვნელობის ზღვისპირა კლიმ. კურორტია. ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცხელი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 22,2°C), ხანგრძლივი შემოდგომა და თბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 6,2°C). ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 14,4°C. ნალექები 2700 მმ წელიწადში. სამკურნ. ფაქტორი: ჰავა. სამკურნ. საშუალებები: მზისა და ზღვის აბაზანები, ზღვაში ბანაობა. სამკურ. ჩვენებები: სასუნთქი გზების არატუბერკულოზური დაავადებანი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი. ნ. დასასვენებელი სახლი, ტურბაზა. სეზონი—მაის-სექტემბერი.

ფიქრობენ, რომ ძვ. წ. II ს-ში ც.-ის მიდამოებში ლაზიკის სახელმწ. პატარა ქალაქი იყო. ციხე ააშენა იოანე სტრატეგოსმა 535. სოფლის სახელწოდებაც ამ ციხიდან მოდის. ბერძნებმა მას პეტრა უწოდეს. ქართ. წყაროებში ქაჯეთის ციხედაც იწოდება. ვარაუდობენ, რომ ვეფხისტყაოსანში სწორედ ამ ციხეზეა ლაპარაკი. 1908 ც.-ში აღმოაჩინეს მდიდარი სამარხი (ნაპოვნია ოქროს ჩარჩოში ჩასმული დიდი ბროლი, ინახება ერმიტაჟში).

*რ. სურმანიძე.*

**ციხისძირის კონცხი,** კონცხი ქობულეთის რ-ნში, მდ. ჩაქვისა და ჩაქვისწყლის შესართავებს შორის, 6 კმ-ზე ქ. ქობულეთის სამხრ.-ით. აქ თავდება კოლხეთის მთათაშორისი დეპრესიის სამხრ. ნაწილი და ზღვას ებჯინება მესხეთის ქედის დას. განშტოებების ქობულეთისა და ჩაქვის ქედების დას. დაბოლოებები, რ-ებიც ჩამოკვეთილია საკმაოდ სწორი სანაპირო ზოლით, ცალკეული კლდოვანი შვერილით, მათგან ერთ-ერთი ც. კ-ს წარმოშობს. ც. კ. აგებულია ახალგაზრდა ვულკანოგენური ანდეზიტ-ბაზალტებით. კონცხის ძირში გამომუშავებულია ქვიშიან-ღორღიანი ვიწრო პლაჟი, რ-ზედაც თითქმის ციცაბოდაა აღმართული 80 მ სიმაღლის ეოცენური ანდეზიტ-ბაზალტებისაგან აგებული შვერილი. აქვე პატარა ყურეში არის 2,5 მ სიმაღლისა და 5,6 მ სიგანის გამჭოლი გროტი, რ-იც კონცხის დას. კალთიდან მოწყვეტილ დიდ ლოდზე ზღვის ტალღების ზემოქმედებით წარმოშობილა.

*ი. აფხაზავა.*

**ციხისჯვარელები,** სამხრეთ საქართველოს, სამცხის წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო, ახალ ბოროჩანელთა განშტოება. მისი ფუძემდებელი იყო XI ს. შუა წლების მოღვაწე, სულა კალმახელი ერისთავი, ეგარის სახელწ. წარმომდგა სამცხეში მდებარე ციხე ციხისჯვარიდან, რ-იც სულას უწყალობა საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-მ ლიპარიტ ბაღუაშის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ერთგული სამსახურისათვის. სულას საგვარეულოს შემდეგ შტომ მამულად დაიმკვიდრა საერისთავო—კალმახი და კალმახელთა სახელწ. მიიღო. XII ს. 80-იან წლებში თამარ მეფემ გიორგი რუსის აჯანყების დროს ერთგული სამსახურისათვის ივანე ყვარყვარე ციხისჯვარელს სამცხის ერისთავთუხუცესობა და სპასალარობა უბოძა, და უწყალობა ჯავახ ციხე, რ-იც ახალ ბოროჩანელთა მეორე განშტოების წარმომადგენლის ბოცო ჯაყელს ჩამოართვა. ამიერიდან ციხისჯვარელ-ჯაყელები პირველობენ სამცხეში. XIII ს 60-იან წლებში კი, ყვარყვარის შვილიშვილი სარგის I სამცხის მთავარი ხდება.

ლიტ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

*ნ. შოშიაშვილი.*

**ციხისჯვარი,** სოფელი ბორჯომის რ-ნში, თორის ქვაბულში, მდ. შავიწყლის (ბორჯომულის ერთ-ერთი შენაკადი) ნაპირებზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 1640 მ, ბორჯომიდან 41 კმ, ბაკურიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 კმ. ადგილ. მნიშვნელობის კლიმ. ბალნეოლ. კურორტი. მსხვ. რქ. საქონლის სანაშენე საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფელდშერო-სამეანო პუნქტი, სააბაზანო შენობა, კავშირგაბმ. განყ-ბა. შემონახულია შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი — ციხე, რ-ის ტერიტორიაზე დგას ციხის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. ც-ის მახლობლად კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული კომპლექსია, ე. წ. „ნადარბაზევი", რ-შიც შედის განვითარებული შუა საუკ. ეკლესია, სასახლე და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

**ციხისჯვარი,** ისტორიული ციხესიმაგრე სამხრ. საქართველოში, თორში, მდ. შავწყალას სათავესთან, მის მარჯვ. ნაპირზე (ახლანდ. ბორჯომის რ-ნის ტერიტ.). ციხე აგებული იყო მდინარისპირა ვაკეზე ამოზიდულ კლდოვან ბორცვზე; ამჟამად მისგან თითქმის არაფერია შემორჩენილი. ციხეში მდგარა ქართული ეკლესია, აქედან მოდის ციხისა და იქვე მდებარე სოფლის სახელი — ციხისჯვარი. 1161 ძვ. ქართული ეკლესიის საძირკველზე ბერძნ. მართლმადიდებლური ეკლესია აიგეს. ც. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო — სამცხის, ჯავახეთის, სამდევრის ხეობისა და გუჯარეთის გზისაყარზე. ციხის ფლობამ ხელი შეუწყო თორელთა ფეოდ. სახლის გაძლიერებას. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ც. ავალიშვილთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

*დ. ბერძენიშვილი.*

**ცნება,** აზროვნების ერთ-ერთი ფორმა, რ-ის საშუალებით აზროვნებაში აისახება, მის შინაარსად გადაიქცევა ცალკეული საგნები, საგანთა თვისებები და საგნებს შორის არსებული მიმართებები, მათგან საგნობრივ ვითარებათა ამგვარი კავშირები. ამის შესაბამისად არსებობს ც-თა სამი ძირითადი სახე — ერთეულოვანი, ზოგადი და ლოგიკური ც-ები. ზოგადი ც-ის საშუალებით აზროვნებაში წარმოდგენილია საგანთა რომელიმე თვისება ან მათ შორის არსებული მიმართება (იხ. აბსტრაქცია). ამ თვისებას (ან მიმართებას) ც-ის შინაარსი ეწოდება, ხოლო იმ საგანთა ერთობლიობას, რ-ებიც ამ თვისებით (მიმართებით) ხასიათდებიან — მისი მოცულობა. ც-თა შემუშავება ხდება საგანთა ურთიერთშედარების, ანალიზის, სინთეზის, აბსტრაქციისა და განზოგადების ოპერაციების გამოყენებით. ტრადიციულ ლოგიკაში ც-ს (მეცნიერებაში ჰქონდათ ზოგადი ც.) განმარტავდნენ როგორც აზრს საგანთა არსებითი ნიშან-თვისებების შესახებ. თანამედროვე ლოგიკაში მას ძირითადად შეესაბამება მიმართება ენობრივ გამოსახულებათა სემანტიკურ კატეგორიებში.

*ლ. მჭედლიშვილი.*

**ცნების გაყოფა,** ზოგადი ცნების მოცულობის გაყოფა სახეებად რომელიმე ნიშან თვისების მიხედვით. გაყოფის შედეგად მიღებული ცნების სახეებს გაყოფის წევრებს უწოდებენ. ც. გ. შეიძლება ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგ., ადამიანის ცნება სტუდენტობისა და სპორტსმენობის ნიშნების მიხედვით გაიყოფა ოთხ სახედ: სტუდენტები და სპორტსმენები, სტუდენტები და არასპორტსმენები, არასტუდენტები და სპორტსმენები, არასტუდენტები და არასპორტსმენები), აგრეთვე რომელიმე ნიშნის ცვალებადობის მიხედვით (მაგ., კუთხის სიდიდის ცვალებადობის მიხედვით სამკუთხედები შეიძლება გაიყოს მახვილკუთხა, მართკუთხა და ბლაგვკუთხა სამკუთხედებად). კორექტული ც. გ. იმავე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც კლასიფიკაცია. გაყოფის წევრები უნდა ამოწურავდნენ გასაყოფი ცნების მოცულობას, ამასთან ერთად ისინი ერთმანეთს უნდა გამორიცხავდნენ. ც. გ.-ისას გაყოფის ერთი ან რამდენიმე წევრი შეიძლება ცარიელი აღმოჩნდეს.

*ლ. მჭედლიშვილი.*









სტ. ჩხოროწყუს რაიონი (I). 1. მდ. ოჩხომურის ხეობა. 2. მდ. ხობისწყლის ხეობა სოფ. მუხურთან. 3. სოფ. ქვედა ჩხოროწყუ. მეფრინველეობის ფაბრიკა. 4. თევზსაშენი ტბორი მდ. ოჩხომურის ხეობაში. 5. მუხურის მეფუტკრეობის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობა. 6. ლესიჭინის ჩაის საბჭ. მეურნეობის პლანტაცია. 7. სოფ. ჭოღო. კირის საწვავი ღუმელი. 8. ყველ-კარაქის ქარხანა. ყველის დასამუშავებელი საამქრო. 9. ჩხოროწყუს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი. სამკერვალო საამქრო. 10. ჩხოროწყუს საკონსერვო ქარხანა. წვენის ჩამოსასხმელი საამქრო.


















სქ. *ჩხოროწყუს რაიონი (II)*. **1.** სოფ. მუხუ-რი, მიწმოუშლელთა მემორიალი. **2.** დაბა ჩხოროწყუ, პიონერთა სახლი. **3.** სოფ. მუხური, საშუალო სკოლა. **4.** დაბა ჩხოროწყუს ახალ-გაზრდობის სახლი. **5.** ლესიჭინის ჩაის საბ-ჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა. **6.** სოფ. ლესიჭინე, სოფსაბჭოს ადმინისტრა-ციული შენობა. **7.** დაბა ჩხოროწყუ, ადმი-ნისტრაციული სახლი. **8.** დაბა ჩხოროწყუ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეთნოგრაფიული განყოფილება ღია ცის ქვეშ. **9.** გ. მალაზონია. პანო—„მოსავლის ზეიმი". მოზაიკა. **10.** სამ-ეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის სასა-ხლის ოთხწახნაგოვანი მუხის სვეტები, XVII ს. ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. **11.** სოფ. მუხური, ეკლესია „ოქონდალე". XIV ს.





































ცაგერის რაიონი (I). 1. რიონის ხეობა სოფ. ალპანას. 2. ლაჯანურის ხეობა. 3. მდ. ცხენისწყლის ჭა. 4. სოფ. ლაილაში. 5. სოფ. ჩხუტელის ხედი. 6. ხვამლის მთის მიდამოები. 7. სოფ. ორბელის ხედი. 8. ჯონოულის ხეობა. 9. ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი. 10. მდ. ლაჯანურის ხეობა. 11. სოფ. ლაილაშის კოლმეურნეობის სიმინდის ყანა. 12. სოფ. ზოღის კოლმეურნეობის უსახელოურის ჯიშის ვაზი. 13. სოფ. ლასურიაშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა. 14. ქ. ცაგერი. ადგილობრივი მრეწველობის სამშენებლო კომბინატი.











სტ. ცაგერის რაიონი (II). 1. ჩანჩქერი სოფ. ლაილაშთან. 2. ქ. ცაგერი, ადმინისტრაციული შენობა. 3. ქ. ცაგერი. ესთეტიკური აღზრდის სახლი. 4. ცაგერის კულტურის სახლი. 5. სოფ. ცხუკუშერის საშუალო სკოლა. 6. ქ. ცაგერი. სამხატვრო გალერეა. 7. ქ. ცაგერი. მწვანე თეატრი. 8. ცაგერის ქორწინების სახლი. 9. სოფ. ზარდნალა. ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმი. 10. ცაგერის ციხე. 11. ნაკურალეშის ეკლესიის (XVII ს.) ინტერიერი. 12. მევენახის სახლი სოფ. რაჭხის პირას.







სტ. ცხაკაიას რაიონი (I). 1. მდ. ცივის ხეობა. 2. სოფ. სახარბედიო. 3. სოფ. მენჯი. 4. მდ. ტეხურის ხეობა ნოქალაქევის მიდამოებში. 5. სოფ. ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაცია. 6. სოფ. კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახი. 7. ქ. ცხაკაია. ლენინის სახელობის მოედანი. 8. შხეფის ციხე. XVIII ს.













7



სტ. ცხაკაიას რაიონი (II). 1. ქ. ცხაკაია. მეცხოველეობის სამეურნეთაშორისო კომბინატი. 2. ქ. ცხაკაია. ხალიჩების კომბინატი. საქსოვი საამქრო „იმედი". 3. ქ. ცხაკაია. საკონსერვო ქარხანა. მურაბის, ჯემისა და ხილფაფის ავტომატური ჩამოსხმის საამქრო. 4. ცხაკაიის № 1 ჩაის ფაბრიკა. 5. სოფ. ნოსირის საშუალო სკოლა. 6. ქ. ცხაკაია. ადმინისტრაციული შენობა. 7. ქ. ცხაკაია. სურათების გალერეა. 8. ქ. ცხაკაია. კულტურის სახლი. 9. კურორტი მენჯი. სანატორიუმი „კოლხიდა". 10. სოფ. ძველი სენაკის საშუალო სკოლა. 11. ნოქალაქევის 40 მოწამის სახელობის ეკლესია. V ს. (უკანა პლანზე ციხექალაქის კედელი და ბურჯები).

8



















12

სმ. ცხინვალის რაიონი (I). 1. მდ. პატარა ლიახვის ხეობა. 2. მდ. მეჯუდის ხეობა. 3. მდ. ფრონისის ხეობა. 3. მდ. დიდი ლიახვი. 5. მდ. ქსნის ხეობა. 4. სოფ. არცევის ხედი. 7. სოფ. დმენისი. 8. სოფ. ვანათის ხედი. 9. სოფ. ზონკარი. 10. სოფ. დმენისის კოლმეურნეობის ვაშლის ბაღი. 11. სოფ. თამარაშენი, კოლმეურნეობის ზურები. 12. სოფ. არცევის მეცხოველეობის ფერმა.

10

11



















სტ. ცხინვალის რაიონი (II). 1. ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკა. სამრეწველო ბრიგადა. 2. ტბეთის № 141 პროფტექნიკური სასწავლებელი. 3. ქ. ცხინვალი. ტურბაზა. 4. ქ. ცხინვალი. კ. ხეთაგუროვის მემორიალი. 5. სოფ. აჩაბეთის საშუალო სკოლა. 6. ცხინვალის რაიონული კულტურის სახლი. 7. სოფ. არცევის კოლმეურნეობის კანტორა. 8. ქვენათის ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები. 9. აჩაბეთის ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები. 10. სოფ. ქორდის ბაზილიკა. 906 წ. გადაკეთებულია XIII – XIV სს. 11. თირის მონასტერი. XIII ს. 12. ბელოთის ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები. 13. იკორთის ეკლესია. 1172. ცხრა-ძმა-დარბაზი. ბუიანი შუა საუკუნეები.




ცოცვადობა. მასალის ცოცვადობის მრუდი: AB — დაუმყარებელი (მიმდინარე) ცოცვადობის უბანი (I სტადია); BC — დამყარებული ცოცვადობის (მუდმივი სიჩქარით მიმდინარე დეფორმაციის) უბანი (II სტადია); CD — აჩქარებული ცოცვადობის უბანი (III სტადია); $E_0$ — დეფორმაცია დატვირთვის მოდების მომენტში, D — რღვევის მომენტი



ცოციასებრნი. ჩვეულებრივი ცოცია



ცოცხალი ღობე



ცოცხანა. სამკურნალო ცოცხანა.

აგზნებითი და წყნარი, დილებში — მკვეთრად აგზნებითი. დაავადებულ ცხოველებს სპობენ. ცოფიანი ცხოველებისაგან დაკბენილებს აძლევენ ვაქცინას. პროფილაქტიკა: მოხეტიალე ძაღლებისა და კატების მოსპობა, სამოსამსახურო ძაღლების დაწყვეტილობითი აცრა.

გ. შამათავა.

**„ცოფიანები"** („Enragés"), საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789—94 პერიოდში რევოლუციონერთა (ჟაკ რუ, ჟან ვარლე, თეოფილ ლეკლერკი და სხვ.) იმ მცირე ჯგუფის სახელწოდება, რ-იც ქალაქის პლებეების ინტერესებს გამოხატავდა. მოითხოვდნენ ფასების კონტროლს, ვაჭარ-სპეკულანტთა წინააღმდეგ მკაცრ ზომებს, მაქსიმუმის შემოღებას და სხვ. აკრიტიკებდნენ იაკობინელთა 1793 კონსტიტუციას: თავისუფლება მოჩვენებითია, როცა ერთ კლასს შეუძლია შიმშილით მოკლას მეორე, თანასწორობა მხოლოდ მოჩვენებითია, როცა მდიდარს მონოპოლიის მეოხებით უფლება აქვს განაგოს თავის მსგავსთა სიცოცხლე-სიკვდილი; რესპუბლიკა ცარიელი სიტყვაა, როცა ყოველდღიურად მოქმედებს კონტრრევოლუცია, რ-იც პროლეტარებზე აწესებს ფასებს, მიუწვდომელს მოქალაქეთა სამი მეოთხედისათვის,—აცხადებდა ჟაკ რუ 25 ივნისის კონვენტში. „ც-ის" მოთხოვნათა ზეწოლამ რადიკალობამ განაპირობა „ც-ხა" და იაკობინელებს შორის ბრძოლა და „ც-ის" განადგურება (1793).

**ცოცვადობა** მასალის, მყარი სხეულის ნელი, უწყვეტი პლასტიკური დეფორმაცია, რ-იც გამოწვეულია მუდმივი დატვირთვით ან მექანიკური ძაბვით. ც-ის გამომწვევი ძალა ნაკლებია იმ ძალაზე, რ-იც ჩვეულებრივი გამოცდის დროს წარმოქმნის ნარჩენ დეფორმაციას. ც-ს თან სდევს ძაბვათა რელაქსაცია. ც. ახასიათებს პრაქტიკულად ყველა საკონსტრუქციო მასალას. ფოლადისა და თუჯისათვის ც. დამახასიათებელია მხოლოდ მაღალი ტემპ-რის (300°C-ზე მეტი) დროს და მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც უფრო მაღალია ტემპ-რა. იმ ლითონებისათვის, რ-თა დნობის ტემპ-რა დაბალია (ტყვია, ალუმინი), აგრეთვე ბეტონისათვის, ხისა და მაღალპოლიმერული მასალისათვის (რეზინი, კაუჩუკი, პლასტმასა) ც. შეიმჩნევა ოთახის ტემპ-რაზეც. ბეტონის ც. დამოკიდებულია მის ხნოვანებაზე: რაც უფრო „ახალგაზრდაა" ბეტონი, მით უფრო დიდია მისი ც. ც-ს აღწერს ე. წ. ცოცვადობის მრუდი (ნახ.).

**ცოციასებრნი** (Sittidae), ფრინველთა ოჯახი ბეღურასნაირთა რიგისა. მოიცავს ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში გავრცელებულ 21 სახეობას. სხეულის სიგრძე 9,5—19 სმ. ბუდობენ ხის ფუღუროებსა და კლდის ნაპრალებში. იკვებებიან თესლებით, მწერებით, კურკით. სსრკ-ში გვხვდება 8 სახეობა, რ-თაგან საქართველოში ბინადრობს 3: ჩვეულებრივი ცოცია (Sitta europaea), შავთავა ცოცია (S. canadensis) და პატარა მეკლდეური ცოცია (S. neumayer).

რ. ჟორდანია.

**ცოცოლთა,** სოფელი ყაზბეგის რ-ნში (კობის სოფსაბჭო), თერგის ხეობაში, მდ. თერგის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 2280 მ, დაბა ყაზბეგიდან 39 კმ. სერგო ორჯონიკიძის სახ. კობის კოლ-ზა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ყანობში (23 კმ).

**ცოცხალი კვეთი** ჰიდრავლიკაში, სითხის ნაკადის განივკვეთი (მილგაყვანილობაში, არხში, მდინარის კალაპოტში და სხვ.) თავისი დინების სიჩქარის მიმართულების პერპენდიკულარულად. ითვლება, რომ სითხის მდორე ცვალებადი მოძრაობის დროს ც. კ. ბრტყელია და ნაკადის განივკვეთის ფართობის ტოლია.

**ცოცხალი ღობე,** თანაბარი სიმაღლისა და მჭიდროდ მოზრდილი ხემცენარეების ბუჩქნარისა და ხეების ნარგაობათა მწკრივი. მწვანე მშენებლობაში ც. ღ-ს იყენებენ გზების დასაცავად, ქუჩებიდან საცხოვრ. კვარტალების გასამიჯნავად, სკვერებსა და ბულვარებში გაზონების, ყვავილნარების, საპარკო გზების მოსაჩარჩოებლად, ბაღებსა და პარკებში სხვადასხვა კომპოზიციის შესაქმნელად და სხვ. სიმაღლის მიხედვით განასხვავებენ 3 სახის ც. ღ-ს: ბორდიურს (1 მ-მდე), საშ. სიმაღლისას (1-იდან 3 მ-მდე) და მწვანე კედელს (3 მ ზევით). ბორდიურისათვის იყენებენ წელიწადში, ხშირფოთოლიან და კრეჭის ამტან ბუჩქებს (ბზა, თუია, ჭანჭყატი და სხვ.). საშ. სიმაღლის ც. ღ. კეთდება საშ. ან მაღალმზარდი ბუჩქებისა და ბუჩქისებრი ხეებისაგან (კუნელი, ტრიფოლიატა და სხვ.). მწვანე კედლის შესაქმნელად იყენებენ თავისუფლად მზარდ ხეებსა და ბუჩქებს, რ-თაც ძლიერი კომპაქტური ვარჯი აქვთ. ც. ღ. უკეთეს ეფექტს იძლევა, როცა შიგ ურევია ლამაზფოთლებიანი, ყვავილოვანი და ნაყოფიანი მცენარეები.

ნ. რატიანი.

**ცოცხალი ზრობა,** იხ. ზრობა.

**ცოცხანა** (Verbena), მცენარეთა გვარი ცოცხანასებრთა ოჯახისა. ერთ- და მრავალწლოვანი ბალახები ან ბუჩქებია. 200-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ამერ. ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში 4 სახეობაა, საქართველოში 3, მათგან 2 გაუდაბურებულია; ხშირად გვხვდება სამკურნალო ც. (V. officinalis) იგი 30—100 სმ სიმაღლის ბალახია თავთავებად შეკრებილი წვრილი მოცისფრო-სოსანი ყვავილები აქვს. იზრდება ტყეებში, დანაგვიანებულ ადგილებზე, ნათესებში მათს შუა სარეველაა. შეიცავს ეთერზეთ ნივთიერებას და ეთეროვან ზეთს; ფესვები იხმარება სანელებლად, თაფლოვანია. ხალხურ მედიცინაში ხმარობდნენ. V. hastata, V. venosa დეკორ. მცენარეებია.

**ცოცხანასებრნი** (Verbenaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახები, ბუჩქები, ლიანები და ხეებია. 100-მდე გვარის 2600-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია უმთავრესად ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში 4 გვარის 7 სახეობაა, საქართველოში — 3 გვარის 5 სახეობა. ზოგი ც. სამკურნ. და სანელებელია (სამკურნ. ცოცხანა, ბეკვიტრა), ზოგი დეკორ. (ცოცხანა, ლანტანა და სხვ.), ლიპია (Lippia citriodora) ეთეროვანი ზეთების შემცველია, ტექის ხე ძვირფას მერქანს იძლევა და სხვ.

მ. გურგენიძე.

**ცოცხაძე** ელიზბარ გიორგის ძე (დ. 11. VII. 1924, თბილისი), ქართველი საბჭოთა მანქანათმშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1972), მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). სკკპ წევრი 1962-დან. დაამთავრა საქ. პოლიტექ. ინ-ტი (სპი; 1950) მუშაობდა იქვე სხვადასხვა თანამდებობაზე. 1954—1960 იყო ამ ინ-ტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი. 1963—66—ბომბეის (ინდოეთი) ტექნიკ. ინ-ტის პროფესორი. 1970—78 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტის დირექტორი ინდოეთში და ამავე ორგანიზაციის მთავარი ტექ. მრჩეველი ინდოეთის განათლების სამინისტროში. 1980-დან სპი-ის მანქანათმშენებლობის კათედრის გამგეა. ც-ის შრომები ეხება წინასწარ გახურებული ლითონების ჭრის დამუშავების თეორიასა და ამ თეორიის საფუძველზე ხსნ. ლითონსაჭრელი ჩარხების შექმნას.

**ცოცხლადმშობი თევზები,** თევზები, რ-ებსაც ქვირითი ორგანიზმში უვითარდებათ და შობენ ცოცხალ თუ მეტ-ნაკლებად გაფორმებულ ლიფსიტებს. არჩევენ საკუთრივ ც. თ-ს და ცრუცოცხლადმშობ თევზებს. ც. თ-ს ახასიათებს შინაგანი განაყოფიერება. საკუთრივ ც. თ-ის ჩანასახები დაკავშირებული არიან მშობლის სხეულთან და იკვებებიან მის ხარჯზე, ხოლო ცრუცოცხლადმშობ თევზებში კვერცხები ვითარდება მშობლის სხეულში, მაგრამ მასთან დაკავშირებული არ არის. საკუთრივ ც. თ-ს მიეკუთვნებიან ხრტილოვანი თევზებიდან ზვიგენები (კვერცხცოცხალი, ლურჯა, ვეფხვა, გრძელფარფლა და სხვ.), ძვლიანი თევზებიდან ბაიკალის ტბის თევზი, ოთხთვალა, გამბუზია, გუპია, ხმალა და სხვ.

მ. დემეტრაშვილი.

**ცოცხლადმშობი მცენარეები** (plantae viviparae), მცენარეები, რ-თაც დედა ორგანიზმზე უვითარდებათ პატარა მწვანე მცენარეები, რ-ებიც ჩამოცვივდებიან მიწაზე, ფესვს იკეთებენ და ვითარდებიან ზრდასრულ ინდივიდად (ვივიპარია). მანგროს ტყის მრავალ მცენარეს ნაყოფში (დედა კიდევ სანამ ხეზეა) ღივდება, სხვებს—ყვავილების ნაცვლად შეფოთლილი ყლორტები (ჭილა, ფურცელა), ბოლქვაკები (ზოგიერთი თივაქასრა), გორგლები (წიწიბურა) უვითარდება. პერიულ მარცვლოვნებში მწიფე თესლი ზოგჯერ თავთავშივე იწყებს გაღივებას. ზოგ ც. მ-ს (ბრიოფილუმი, ზოგიერთი ტროპ. გვიმრა და სხვ.) ფოთლებზე აქვს მერისტემული უჯრედების გროვები, საიდანაც გამოიზრდება პატარა შვილეული მცენარეები.

**ცოცხლადშობა,** ვივიპარია, შთამომავლობის მოცემის ხერხი, რ-ის დროსაც ჩანასახი ვითარდება დედის ორგანიზმში და იკვებება პლაცენტის მეშვეობით. ნაშიერი იბადება მეტ-ნაკლებად განვითარებული, კვერცხის გარსებისაგან თავისუფალი. ცოცხლადმშობებში ჩანასახის განვითარება შეიძლება მოხდეს საკვერცხეებში, კვერცხსავლებში ან მათ გაფართოებებში (საშვილოსნოში), აგრეთვე საშოში. ცოცხლადშობისას უმეტესობას უვითარდება ჩანასახოვანი გარსები. უხერხემლო ცხოველებში ც. ახასიათებს ნაწლავღრუიანების, ფუნსაწოვრების, სახსრიანების, მოლუსკების, ჭიების, კანეკლიანების და ზოგ სხვა სახეობას. ქორდიანებში ც. გვხვდება სალპების, ზვიგენების უმრავლესობისა და სკაროსებში, კბილკბილასებრნში, გომბეშოებში, ჭიამაგვარებში, სალამანდრებში, კუებში, ხვლიკებსა და გველებში, ძუძუმწოვრებში უმეტესობაში (გარდა კლოაკიანებისა), მ. შ. ადამიანში.

ტ. ელიაშვილი.

**ცოცხმაგარა** (Lythrum), მცენარეთა გვარი ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახები, იშვიათად დაბალი ბუჩქებია. 30-მდე სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. სსრკ-ში 14 სახეობაა, კავკასიაში 7 (2 ენდემი), საქართველოში 3. მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი ფოთლები, ყვავილები აქვს. ნაყოფი მშრალი კოლოფია. იზრდებიან ტენიან ადგილებზე, მდინარის და წყალსატევების, ჭაობებისა და თხრილების ნაპირებზე. ნესტიან ბუჩქნარებში, საძოვრებად — ბრინჯის პლანტაციებში. L. salicaria გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, კარგი თაფლოვანი მცენარეა; L. virgatum — შიდა ქართლში, L. hyssopifolia — აღმოსავლეთში, გარეკახეთში, თრიალეთში.

მ. გურგენიძე.

**ცოცხმაგარასებრნი** (Lythraceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახები, იშვიათად ხეები და ბუჩქებია. 25 გვარის 500-მდე სახეობა ძირითადად გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში გვხვდება 5 გვარის 25-მდე სახეობა, კავკასიაში 4 გვარის 14 სახეობა, საქართველოში 3 გვარის 6 სახეობა. როტალას (Rotala) და ამანიის (Ammania) გვარების სახეობები ბრინჯის ნათესების სარეველებია. ბრაზილიური კუფეისებრი ხე (Physocalymma scaberrimum) ძვირფას მერქანს იძლევა. ზოგიერთი სილამაზე მცენარეა, ზოგი — თაფლოვანი და დეკორატიული.

მ. გურგენიძე.

**ცოცხნარა** (ყაზ. ცოცხნარა), სოფელი ხაშურის რ-ნში, ლიხის ქედის აღმ.

ბულების გამო, აგრეთვე კლიმატში არსებული რეგიონული დამატები კუნძულების მეშვეობით. 1 კგ რძის წარმოსაქმნელად ც-მა უნდა გაატაროს 500 ლ სისხლი.

**ცურტავი,** ისტორიული ქალაქი აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლში, მდ.-ების ქციისა და დებედის შუა დაბლობზე გარაუდით მდებარეობდა ვაგის ციხის მიდამოებში (ახლანდ. სოფლების ყარაღანისა და კუშნის ახლოს, მარნეულის რ-ნი). ძველ სომეხ ისტორიკოსს — უხტანესს აქვს ცნობა, რომ ადრე ც-ად ცნობილ ქალაქს X ს.-ში გარდაბანი ეწოდებოდა. V ს. ც-ში იყო ქართლის პიტიახშის რეზიდენცია; აქვე დაარსდა საეპისკოპოსო კათედრალი ქალაქში და მის რეგიონში ცხოვრობდა ქართ. და სომხ. მოსახლეობა. ც კულტ.-საგანმ. კერა იყო აქ სწავლობდნენ ქართ. და სომხ. მწიგნობრობას. ც-ში მოღვაწეობდნენ იაკობ ცურტაველი (ხუცესი), მისი ცურტაველი ეპისკოპოსი (VII ს.). აქ უწმაველია სომეხ ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცი (V ს.).

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), წიგნი 1, თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი, ი. ლ მენაბდე.

**ცუსიმა,** კუნძულთა ჯგუფი კორეის სრუტეში. იაპონიის ტერიტორია. ფართ. დაახლ. 700 $км^2$. დიდი კ-ებია კამიძიმა და სიმოძიმა. რელიეფი უმთავრესად ბორცვიანი და დაბალმთიანია (სიმაღლე 649 მ-მდე). კ-ებზე მდელოები და ფართოფოთლოვანი ტყის უბნებია. მოჰყავთ კარტოფილი, მარცვლეული, უმთავრესად ბრინჯი თევზჭერა. ც-ზეა ქ-ები: მიცუსიმა, იძუჰარა. ც-ზე გაიმართა ცუსიმის ბრძოლა 1905.

**ცუსიმის ბრძოლა 1905,** რუსეთ-იაპონიის ომის (1904—05) დროს ბრძოლა რუსეთის ესკადრასა და იაპონიის ფლოტს შორის 14—15 (27—28) მაისს ცუსიმის კ-თან. რუს. მე-2 წყნარი ოკეანის ესკადრა (38 სხვადასხვა სახის ხომალდი, სარდალი ვიცე-ადმ. ზ. როჟესტვენსკი), რ-იც ლიბავიდან (ლიეპაია) ვლადივოსტოკისაკენ მიემართებოდა, ცუსიმის სრუტეში იაპ. ფლოტს (121 სხვადასხვა სახის ხომალდი, სარდალი ადმ. ჰ. ტოგო) წააწყდა. იაპონელებმა გადაწყვიტეს რუს. ესკადრისათვის გზა გადაეჭრათ და გაენადგურებინათ იგი. როჟესტვენსკიმ ესკადრა ორ კილვატერულ კოლონად გადააჯგუფა, ხოლო 13 სთ და 15 წთ-ზე, როცა იაპ. მთავარი ძალები გამოჩნდა ხომალდები ერთ კილვატერულ კოლონად განალაგა და მტერს ცეცხლი დაუშინა. პასუხად იაპონელებმა რუს. სადროშმანო ხომალდებს შეუტიეს, ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვი" მწყობრიდან გამოიყვანეს და საესკადრო ნაღმოსანი „ოსლიაბია" ჩაძირეს. ბრძოლაში როჟესტვენსკი დაიჭრა და ესკადრის სარდლობა ნ. ნებოგატოვს გადაეცა. რუს. ესკადრა უწესრიგოდ იგერიებდა იაპონელთა შეტევებს და ვლადივოსტოკისაკენ განაგრძობდა სვლას. დაღამებისას ესკადრას იაპონელთა დაძაბ. 60 ნაღმოსანმა შეუტია. ჩაიძირა ჯავშნოსანი „ნავარინი", ხოლო მძიმე რიგი ხომალდები დააზიანა. საბნელეში რუს. ხომალდებმა ერთმანეთთან კავშირი დაკარგეს. ნაწილი ცალ-ცალკე ჯგუფებად მიიკვლევდა გზას ჩრდ.-კენ. 15(28) მაისს დილისათვის ესკადრამ, როგორც საბრძოლო ძალამ, არსებობა შეწყვიტა. ალყაში მოქცეული ნებოგატოვის რაზმი 4 ხომალდით მტერს დანებდა. მიუხედავად რუსი მეზღვაურების გმირული წინააღმდეგობისა, რუს. ესკადრა გაანადგურეს ეს იყო მეფის რუს. საზოგადო დამარცხება ომში.

ლიტ.: История военно-морского искусства, т. 3, М., 1953.

**ცუსიმის დინება,** თბილი დინება იაპონიის ზღვის აღმ. ნაწილში, კუროსიოს დინების ტოტი. მიემართება სამხრ.-იდან ჩრდ.-კენ. ც დ. იაპონიის ზღვის აღმ. ნაწილში იწვევს წყლის ტემპ-რის მატებას 5—6°C-ით ზამთარში და 1—3°C-ით ზაფხულში. სიჩქარე 0,5—1 კმ/სთ. ც. დ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიის ზღვის ცხოველებისა და მცენარეულობის გავრცელებისათვის.

**ცუსიმის სრუტე,** კორეის სრუტის სამხრ.-აღმ. ნაწილის აღრინდელი სახელწოდება. იხ. ალმოსავლეთი გასასვლელი.



ლ. ცუცქირიძე „ლომის ბუდე" 1982 მხატვრის საკუთრებაში

**ცუცქირიძე** კონსტანტინე ზაქარიას ძე (12. VI. 1912, სოფ. სვერი, ახლანდ. ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტ. — 19. IV. 1945, ქ. ბუკოვი, გერმანია), საბჭ. კავშირის გმირი (15 V. 1945, სიკვდილის შემდეგ), მაიორი (1943) სკკპ წევრი 1931-იდან. 1931—33 მუშაობდა საქ. ალკკ ჭიათურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის გამგედ. 1933 გაიწვიეს წითელ არმიაში, 1938 მონაწილეობდა ხასანის ტბასთან ბრძოლებში. 1939—41 სწავლობდა მოსკ. ვ. ი. ლენინის სახ. სამხ.-პოლიტ. აკადემიაში. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იბრძოდა სამხრ., ჩრდ. კავკასიის, უკრ. III, IV, ბელორ. ფრონტებზე. დაიღუპა ბერლინის მისადგომებთან ბრძოლებში. ც. დაჯილდოებულია 3 ორდენით და მედლებით.

ტ. რინჩილაკაშვილი.

**ცუცქირიძე** ლევან სიმონის ძე (დ. 12. I. 1926, ქ. ხაშური), ქართველი საბჭ. ფერმწერი და გრაფიკოსი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1967). 1967 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია 1960-იდან ამავე სასწავლებლის პედაგოგია ც. ძირითადად მონუმენტალისტი მხატვარია; მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართ. კედლის მხატვრობის მემკვიდრეობამ და მისმა შემოქმედებითმა ათვისებამ. ტრადიციულისა და ახლის შერწყმით ქმნის მონუმ. ფორმებს მუშაობს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში. ამჟღავნებს წიგნებს. ც-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის უზადო გრძნობა, შინაგანი ექსპრესია, პლასტიკურობა, ძლიერი ნახატი, თავდაჭერილი კოლორიტი, დეკორატიულობა. დიდი სიყვარულითა და სითბოთი გადმოსცემს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სილამაზეს. ნამუშევრები: „სადღეგრძელო" (1959), „მზე და ქალი" (1961), „პეიზაჟი მზესთან" (1963, ყველა მხატვრის კუთვნილება), „ხელოვნების სავოჭმანები" (1983, საქართვ. მწერალთა კავშირის სასახლე); შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის (1966), ვაჟა-ფშაველას პოემების (1972, თსუ-ის ვაჟა-ფშაველას კაბინეტი), ვ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" (1973, ანდერსენის სახ. დიპლომი საბავშვო წიგნის საერთაშ. კონკურსზე, 1974, მხატვრის კუთვნილება). ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება" (1977, ლიტ. მუზეუმი, თბილისი), გოეთეს „ფაუსტის" (1977, გოეთეს სახლ-მუზეუმი, ქ. ვაიმარი) და სხვ. ილუსტრაციები, წარმატებით მუშაობს პორტრეტის ჟანრში.

ა. ჩხარტიშვილი

**ცუცქირიძე** რევაზ ალექსანდრეს ძე (დ. 2. II. 1925, თბილისი), ქართველი საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი საქ სსრ დამს მხატვარი (1976) დაამთავრა თბილ სამხატვრო აკადემია (1950). პედ. მოღვაწეობას ეწევა იქვე (1961-იდან). ნამუშევრები. „ზაფხულის დღე" (1953, სამხატვრო აკად. მუზეუმი), „წყაროსთან" (1966, საქართვ. სურათების გალერეა), სერია „საქართველოს რევოლუციური წარსული" (1970—73). ნაყოფიერად მოღვაწეობს როგორც მხატვარ-ილუსტრატორი, გააფორმა „დედაენა" (1956). „რუსული ლოტო" (1960), პირველი საკითხავი წიგნი ეროვნულ სკოლებისათვის (1978, რუს. ენაზე) და სხვ. 1949-იდან თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალებში „დილა", „პიონერი".

**ცუცქირიძე** შოთა ქრისტეფორეს ძე (დ. 19 IX 1926, სოფ. სვერი, ახლანდ. ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტ.), ქართველი საბჭ. მსახიობი, რეჟისორი, თეატრმცოდნე. საქ სსრ დამს. არტისტი (1961). 1967 დაამთავრა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი 1945—46 ჭიათურის თეატრში მუშაობდა მსახიობად, 1946-იდან თბილ. თოჯინების სახელმწ. ქართ. თეატრის მსახიობია, 1961-იდან მსახიობი და რეჟისორი. როლები: სულთანი (ნ. გერნეტის „ალადინის ჯადოსნური ლამპარი"), ბუტრიკელა (გ. ნაქიაშვილის „ორი ქისატყუილა"), მეფე (ს. ოსმანაშვილისა და ს. პროკოფიევის „დიდი იავნე"), პაჟ ტოტ სე (ლ. პრავ-



ცულისკორა



შ. ცუცქირიძე

რ. ცუცქირიძე „ძმობილობა" თბილისში 1970 მხატვრის კუთვნილება



ბული. ცხაკაიაში არის საშ.-საშ. ტექნიკუმი, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, 2 პროფტექსასწავლებელი, პიონერთა სახლი, სამხატვრო გალერეა, მიხა ცხაკაიას სახლ-მუზეუმი. სოფ. ჯიხაში არის არქეოლ. მუზეუმი. რ-ნში 33 კლუბი და 50 ბ-კაა. გამოდის რ-ნული გაზ. „კოლხეთი“. იღებენ ტელეგადაცემებს.

რ-ნის მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 6 საავადმყოფო (420 საწოლი), 22 ამბულ.-პოლიკლინიკა, 12 საფერშლო და საფერშლო-საბებიო პუნქტი, 166 ექიმი და 424 საშ. მედმუშაკი. ქ. ცხაკაიას ესაზღვრება რესპ. მნიშვნელობის კურორტი მენჯი.

ხუროთმოძღვრული ძეგლები: ყვის ეკლესია და ციხე (შუა საუკ.), წმ. გიორგის ციხე (შუა საუკ.), ნოქალაქევი.

*გ. დეკანოზიშვილი, დ. ხვანიძე.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი I — II, გვ. 240—241.

**ცხავი,** სოფელი საჩხერის რ-ნში (არგვეთის სოფსაბჭო), ლიხის ქედის დას. კალთაზე, მდ. ძირულის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ზემოწელში, ზ. დ. 880 მ, საჩხერიდან 17 კმ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მევენახეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი.

**ცხაური მილები,** ყვავილოვან მცენარეთა გამტარი ელემენტები, იგივეა, რაც საცრიანი მილები.

**ცხელება Q,** Q რიკეტსიოზი, ავსტრალიური დაავადება, შუააზიური ცხელება, მწვავე ინფექციური დაავადება, რ-საც ახასიათებს ცხელება და ფილტვების დაზიანება. იწვევს ბერნეტის რიკეტსია, რ-იც ფ. ბერნეტმა აღმოაჩინა 1937. ბუნებაში გამომწვევის მატარებელი არიან ჩანთოსნები, მღრღნელები, ფრინველები, მსხვ. რქ. საქონელი და სხვ., რ-ებიც რიკეტსიებს გამოყოფენ შარდთან, განავალთან ან რძესთან ერთად. გადამტანია ტკიპის მრავალი სახეობა. Ც. — Q ცხოველიდან ადამიანზე გადადის ინფიცირებული რძით ან სხვა პროდუქტით, აგრეთვე, დასნებოვნებულ მატყლზე, ბეწვეულზე, ჩალაზე მუშაობისას წარმოქმნილი მტვრის საშუალებით. ინკუბაციური პერიოდი 2—5 დღე-ღამე გრძელდება. იწყება მწვავედ, ტემპ-რის მომატებით, შემცივნებით. აღსანიშნავია თავისა და კუნთების ძლიერი ტკივილი, უძილობა. ფილტვებში ანთებითი კერების განვითარება. მე-12 მე-16 დღეს იწყება გამოჯანმრთელება; შესაძლებელია დაავადების რეციდივები. მკურნალობა — ანტიბიოტიკები. პროფილაქტიკა: ავადმყოფ ცხოველთა გამოვლენა, ცხოველებთან მუშაობის დროს ჰიგიენური ნორმების დაცვა, ვაქცინაცია.

ლიტ.: Лобан Ю. М., Лихорадка Ку, М., 1974.

*ე. ბოცვაძე.*

Ც—Q ცხოველებში. ავადდება მსხვ. რქ. საქონელი, ძაღლი, ცხენი, აქლემი, ღორი, შინაური და გარეული ფრინველი, გარეული ცხოველები. ცხოველთა Ც — Q გავრცელებულია ავსტრალიაში, ევრ., აზიისა და აფრ. ზოგიერთ ქვეყანაში. დაავადება უმეტეს შემთხვევაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

**ცხელება პაპატაჩი** (იტალ. pappa — კბენს და tace — ჩუმად), მოსკიტური ცხელება, სამდღიანი ცხელება, დაავადება, იწვევს ვირუსი, რ-იც ორგანიზმში ხვდება მოსკიტის (მოლეხის) — Phlebotomus pappatasii-ის კბენის შედეგად. ინკუბაციური პერიოდი 3—6 დღე გრძელდება. იწყება მწვავედ. ახასიათებს მაღალი ტემპ-რა, თავის ტკივილი (რ-იც ძლიერდება თვალების მოძრაობისას), აგრეთვე წელის კუნთებისა და ზურგის მწვავე ტკივილი. ვირუსი ავადმყოფის სისხლში ვლინდება დაავადებიდან 24—36 საათის შემდეგ. დაავადება გავრცელებულია ცხელ ქვეყნებში (აფრიკა, აზია, ამერიკა, ევრ. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო და სხვ.). სსრკ-ში აღრიცხულია ყირიმში, მოლდავეთში, შუა აზიასა და კავკასიაში. მოსკიტების საწინააღმდეგო რადიკალური ზომების მიღების შემდეგ Ც. პ. ლიკვიდირებულია.

**„ცხელი“ ატომები,** ბირთვული გარდაქმნებისას წარმოქმნილი ატომები, რ-თაც აქვთ ჭარბი („ჩვეულებრივ“ ატომებთან შედარებით) კინეტიკური ენერგია. ეს ენერგია განპირობებულია უკუცემის ეფექტით, რ-იც თან ახლავს ბირთვის მიერ α- და β-ნაწილაკების ან γ-კვანტების გამოსხივებას. იგი შეესაბამება $10^4$—$10^7$K ტემპ-რას და აღემატება მრავალი ქიმ. რეაქციის აქტივაციის ენერგიას. Ც. ა-ს იყენებენ ნიშანდებული ნაერთების სინთეზის, იზოტოპების დაყოფისა და გამდიდრების დროს.

**„ცხელი“ ელექტრონები (ხვრელები),** მყარ გამტარებში მოძრავი მუხტის მატარებლები, რ-თა ენერგეტიკული განაწილება შესამჩნევად განსხვავდება (დიდი ენერგიების მხარეს) ფერმი—დირაკის სტატისტიკით ან ბოლცმანის სტატისტიკით განსაზღვრული წონასწორული განაწილებისაგან.

**„ცხელი უჯრი“,** სათბურის ტიპის ჰელიოდანადგარი, რ-საც იყენებენ წყლის გასაცხელებლად, ხილ-ბოსტნეულისა და სხვადასხვა მასალის საშრობად, მინერალიზებული წყლის გასამტკნარებლად და სხვ. იგი მზისკენ მიმართული კარგად იზოლირებული და მინიანი ბრტყელი ყუთია (ნახ. 1). მზის სხივები თავისუფლად გადიან მინაში და აცხელებენ „Ც. უ-ში“ მოთავსებულ ხილ-ბოსტნეულს ან წყალს. „Ც. უ-ის“ ტიპის წყალსათბობის მწარმოებლურობაა 40—60 ლ წყალი (1 $მ^2$-იდან) დღეში, წყლის ტემპ-რა 50—55°C, მქკ — 0,2—0,5. მქკ-ის გადიდება შეიძლება მზის რადიაციის შთანთქმის მაღალი კოეფიციენტის მქონე სელექციური მასალით, რ-თაც უნდა დაიფაროს „Ც. უ-ის“ მზისკენ მიმართული მიმღები ზედაპირი (მზის სხივების მიმართ მუდამ შეუღლად მდებარე). ასეთი მბრუნავი „Ც. უ-ის“ (ნახ. 2) მწარმოებლურობა იზრდება 40—45%-ით.

**„ცხელი წერტილები“,** დედამიწის ლითოსფეროს ქვეშ, მანტიაში ტემპ-რის ძლიერი ამაღლების შედეგად წარმოქმნილი ლოკალური დნობის არეები. მათი დიამეტრი აღწევს რამდენიმე ასეულ კმ. „Ც. წ.“ ვლინდება ოკეანის ფსკერზე ინტენს. ვულკ. აქტიურობით. „ახალი გლობალური ტექტონიკის“ ჰიპოთეზის მიხედვით, „Ც. წ.“ არსებობენ ხანგრძლივი დროის (ათეული მლნ. წელი და მეტი) განმავლობაში; ისინი მანტიაში ფიქსირებული არეებია, ხოლო მათ თავზე მდებარე ლითოსფეროს ფილას კი შეუძლია გადაადგილდეს. ასეთ შემთხვევაში „Ც. წ.“ ფილის ზედაპირზე წარმოქმნის ვულკ. ამოფრქვევის ახალ-ახალ წერტილებს, რ-თა ერთობლიობა ქმნის ვულკ. ცენტრების მწკრივს (წყალქვეშა ვულკ. ქედები, მაღლობები, ვულკ. კ-ების მწკრივები). ამ ტიპის წარმონაქმნებია: წყნარ ოკეანეში — ჰავაის კ-ებისა და ჩრდ.-დას. ქედის (იმპერატორის მთების) სისტემა, ტუამოტუს და ლაინის კ-ები, ტუბუაის, გილბერტისა და მარშალის კ-ები, ატლანტის ოკეანეში — მაღლობი რიუ-გრანდი და ვეშაპის ქედი, რეიკიანესის ქედი და სხვ., ინდ. ოკეანეში — ქედი კერგელენი და სხვ. „Ც. წ.-ის“ კვალი დადგენილია კონტინენტებზეც.

**ცხელი წყლით მომარაგება,** საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და სამრეწველო საწარმოების მომარაგება ცხელი წყლით საყოფაცხოვრებო და საწარმოო საჭიროებისათვის, აგრეთვე ამ პროცესის უზრუნველმყოფი მოწყობილობების კომპლექსი. Ც. წ. მ-ის სისტემაში შედის სითბოს წყარო, წყალშესამზადებელი აპარატურა (მაგ., წყალსათბობი), მილსადენი წყლის მისაწოდებლად და წყლის ტემპ-რის სარეგულირებელი და საკონტროლო მოწყობილობა. Ც. წ. მ-ის სისტემა ორგვარია, ცენტრალიზებული და ადგილობრივი. ცენტრალიზებულ სისტემაში გამოყენებულია სითბო, რ-იც გამომუშავდება თბოელექტროცენტრალში (თეცში), ცალკე მდებარე საქვაბეში, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა ნარჩენი სითბო, მიწისქვეშა და სხვა წყაროთა სითბო და ა. შ. სითბო გადაეცემა მომხმარებლებს თბოქსელის მილსადენით. წყალს აცხელებენ როგორც უშუალოდ სითბოს წყაროში, ისე ცენტრ. თბურ პუნქტში ან უშუალოდ შენობაში განლაგებულ საქვაბეში. ადგილობრივ სისტემაში წყლის გასაცხელებელი სითბოს წყარო წყლის მოხმარების ადგილზეა. Ც. წ. მ-ის სისტემებში წყლის მაქს. ტემპ-რაა 75°C, მინ. 60°C. დატვირთვის ერთგვარის გასათანაბრებლად და სითბოს წყაროსთან, თბოგადამცემთან, თბოქსელისა და წყლის გამცხელებლებთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად ცენტრალიზებულ სისტემებში იყენებენ ცხელი წყლის აკუმულატორებს, რ-ებშიც წყალი გროვდება მისი მცირე ხარჯვისას. ეს წყალი იხარჯება წყლის მაქს. საჭიროების დროს. სსრკ-ის თითქმის ყველა ქ. საცხოვრ. სახ. და სამრეწვ. შენობებში მოწყობილია Ც. წ. მ-ის ცენტრალიზებული სისტემა.

**ცხელსაფენი,** კანზე, ღრმად მდებარე ქსოვილებსა და ორგანოებზე სითბური ზემოქმედების ფორმა. Ც-თვის იყენებენ მცენარეულ ლორწოვანი თესლების მქონე ნაყოფიერებებს (სელის თესლი, ისლ




ცხელი უჯრი. ნახ. 1: 1 — მზის სხივები; 2 — მინა, 3 — გასაცხელებელი ზედაპირი, 4 — იზოლაცია.



ცხელი უჯრი. ნახ. 2. გადასაბრუნებელი ჰელიოგამშრობელი, რომლის მწარმოებლურობაა 1000 ლ წყალი (60° C) დღეში, წყალსათბობის ფართობი — 16 მ²

**ცხენის ძალა,** სიმძლავრის მოძველებული სისტემის გარეშე ერთეული. შემოიღეს XVIII ს-ში, როცა აუცილებელი გახდა ორთქლის მრავალსა და ცხენის მუშაობათა უნარის შედარება. ცდებით დაადგინეს, რომ მუშა ცხენს შეუძლია იმოძრაოს 4,5 *კმ/სთ* სიჩქარით და 30 დროის განავითარის ≈ 60 *კგძ* წევის ძალა; ეს შეესაბამება ≈ 75 *კგძ·მ/წმ* სიმძლავრეს. ტექ. ზოგიერთ დარგში (პირობითად ავტომშენებლობასა და ტრაქტორთმშენებლობაში) ამჟამადაც იყენებენ. აღინიშნება ასე: ც. ძ., PS (Pferdestärke, გერმ.), CV (cheval-vapeur, ფრანგ.), HP ან hp (horsepower, ინგლ.). სსრკ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში 1 ც. ძ. (1PS, 1CV) ≈ 75 *კგძ·მ/წმ* ≈ 736 ვტ. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში 1hp = 550 ფუტ·ფუნტ/წმ ≈ 746 ვტ.

ტერმინი „ც. ძ." მცდარია, ვინაიდან მასში იგულისხმება სიმძლავრე და არა ცხენის ძალა.

**ცხენისწაბლა** (Aesculus), ხეების, იშვიათად ბუჩქების გვარი ცხენისწაბლისებრთა ოჯახისა. 15-მდე (სხვა მონაცემებით 25-მდე) სახეობა ბუნებრივად იზრდება ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. უფრო გავრცელებულია ჩვეულებრივი ც. (A. hippocastanum), რ-იც ხშირად არის ბალ-პარკებში. მისი სიმაღლე 30 *მ* აღწევს, ღეროს დიამეტრი 2 *მ*-ია. ქერქის ნაყენს (ვენისკტაზინი) წამლების სახით ხმარობენ ვენების გასაფართოებლად, თრომბოფლებიტის, ათეროსკლეროზის და სხვ. დროს. დეკორ. თვისებების არანაკლებ საინტერესოა ჰიბრიდული წითელყვავილა ც. (A. pavia. X A. hippocastanum). რ-ის თითოოროლა ეგზემპლარი გვხვდება ბათუმში, ქუთაისში, ლაგოდეხში, წინანდალში, თბილისში (პლეხანოვისა და მოსწავლეთა სასახლის ბაღი) და სხვ.
*ნ. ბაშინჯაღაშვილი.*

**ცხენისწყალი,** მდინარე დას. საქართველოში. სათავე აქვს სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მწვ. ფასისმთის დას-ით, 2710 *მ* სიმაღლეზე, ერთვის რიონს მარჯვნიდან ხოვ. სამგამარტის ახლოს. სიგრძე 176 *კმ*, აუზის ფართ. 2120 *კმ*². ც-ის ზემო და შუა დინება კავკასიონის სამხრ. კალთაზე მიედინება. ქვემო — კოლხეთის დაბლობზე. საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარული და მიწისქვეშა წყლით. გაზაფხულ-ზაფხულში ახასიათებს წყალდიდობა (ჩამონადენის წლ. ჩამონადენის 70%). შემოდგომაზე — წყალმცირობა (10%), შემოდგომაზე — წყალმოვარდნა (20%). წყალდიდობა ქვემო დინებაში თებ.-მარტში იწყება, ზემო დინებაში — აპრ-ში. წყალდიდობის მაქს. მაის-ივლ-შია, რის შემდეგ დონე იკლებს ივნ. ბოლომდე. აუზის მთიან ნაწილში წყალმცირობა 4—5 თვე გრძელდება (ნოემბრიდან მარტამდე). ქვემო დინებაში წყალმცირობა არამდგრადია, ხშირია წვიმებითა და თოვლის დნობით გამოწვეული წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 90,4 *მ*³/*წმ*. ც. ჩამოდინების წლიურად ყურთებს რიონს 2,84 *კმ*³ წყალს. ყინულოვანი მოვლენები — ყინულსაშიროსა და თოში — იცის ზემო და შუა დინებაში. მდორე დინების ცალკეულ მონაკვეთებზე წარმოიქმნება ყინულსაფარი, რ-იც 5—6 დღეს გრძელდება.

ც-ის უმთავრესი შენაკადებია: ზესხო, ხელედულა, ჯანოული (მარჯვ.). ლაშხურა, ლეუშერისწყალი, ხოფური (მარცხ.). ზემო და შუა დინებაში იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. წისქვილების ასამუშავებლად, ენერგეტიკისათვის. ქვემო დინებაში — სარწყავად (გაყვანილია 8 სარწყავი არხი, ირწყვის 16500-მდე ჰა). ც-ის ნაწილი გადაგდებულია მდ. ლაჯანურში ლაჯანურჰესის ასამუშავებლად, რისთვისაც ქ. ცაგერთან კაშხალია აგებული.
*ი. ადეიშვილი.*

**ცხენისწყალი** (ძვ. ხ ვ ა ფ ს ი, ხ ე ც ქ უ ა რ ა), სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (კინდღის სოფსაბჭო), შავი ზღვის პირა დაბლობზე ზ. დ. 10 *მ*, ოჩამჩირიდან 12 *კმ*. კინდღის კოლ-ბა „საქართველო" (მეჩაიეობა), რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი).

**ცხენიწყარო,** ც ხ ე ნ ი ს წ ყ ა რ ო, მდინარე აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში, ერთვის შავ ზღვას. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრ. კალთაზე, 792 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 27 *კმ*, აუზის ფართ. 61 *კმ*². საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. ახასიათებს წყალმოვარდნები მთელი წლის განმავლობაში, შედარებით წყალმცირეა ზაფხულში. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 1,61 *მ*³/*წმ*.
*ი. ადეიშვილი.*

**ცხეში,** ხიჯვალებულის სპორტის პატივსაცემად გამართული ცხენ-შეჯიბრთა შეჯიბრება ხევსურეთში. იხ. აგრეთვე სტადიონი.

**ცხენოსნობა,** ძირითადი სპორტული ასპარეზობა, რ-იც მოიცავს როგორც უშუალოდ ცხენზე ჯდომას, ისე მის საზიდში შებმასაც. ც. მოიცავს წინაღობათა გადალახვას (საშინაოდრიფო პარკური, 6 დაბრკოლება, სარეკორდო ხტომები), სამჭიდს (სამანეჟე სვლა, კროსი დასხურილ ადგილმდებარეობაზე, დაბრკოლებათა გადალახვა). ცხენთა გამოცდას, დოღს, მარულას და სხვ.; არსებობს ც-ის ტოლენ. სახელობოკი. საცხენოსნო სპორტის საერთაშ. ფედერაციის წესებით თანამედროვე საერთაშ. შეჯიბრებები გულისხმობს დაბრკოლებათა გადალახვას, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომას, გლუვ დოღს, წინაღობებიან დოღს, მრავალჭიდს, ცხენის ვაჭრობის უმაღლეს სკოლას, ბოლოთამაშობას და სხვ.

ც. საქართველოში ოდითგან არის გავრცელებული. ხალ. დღესასწაულებზე იმართებოდა დოღი, მარულა (ცხენთა რბოლა გრძელ მანძილებზე) ისინდი, ცხენბურთი, ჟამაში, ჩუბუა, მითიდან დაშვება და სხვ. ცნობილია, რომ თეფიცერმა კ. აფალიშვილმა 1912, რუს. ოლიმპიადაში პირველმა, მოიგო ლიფლენდელის სტოკჰ.-ჩიცში (წინაღობიანი დოღი), ა. ხაინდრავამ — საკავშირო დერბი (ცხენი „ფუშაული", 1938); საქართველოში ც-ის განვითარებაში დიდი დვაწლი მიუძღვით ა. დარასელიას, გ. იცანიძეს, გ. ძიძიგურს, ფ. მეტრეველიშვილს, კ. ნაჭყებიას, მ. ჭავჭავაძეს, გ. ნავროზაშვილს, ი. კიზირიას, ვ. ერისთავს, გ. ჭანჭავას, ბ. კორძაიას; მაღალი სპორტ. მიღწევებისათვის აღწევდნენ ს. კრაინენკოს, ა. ლოლუევას, ზ. არშბას, მ. ერისთავს, თ. ჯელარკავას, მ. ძიძიგურს, ნ. სიმონიას, შ აშუგიავეს და სხვ.
*რ. ყარჩავა.*

**ცხვარა,** ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართველოში, ახლანდ. თურქეთის ტერიტორიაზე, ჩრდილის (ჩილდირის) ტბასთან. იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" (XVI ს.).

*ლიტ.:* ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგნ. 3, თბ., 1958.

**ცხვარი** (Ovis), წყვილჩლიქოსანი მცოხნელი ცხოველების გვარი ძროხისებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 140 *სმ*, მასა 40—200 *კგ* აღწევს. გავრცელებულნი არიან ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კ-ზე, წინა, შუა, ცენტრ. და ჩრდ.-აღმ. აზიაში, აგრეთვე ჩრდ. ამერ.დას. ოლქებში. გვხვდებიან ზ. დ. 5500 *მ*-მდე. მინდვრობენ გაშლილ ადგილებში. ჯოგური პოლიგამიური ცხოველები არიან. სსრკ-ში ც-ის 2 სახეობაა: არხარი (O. ammon) და რქასქელი ც. (O. canadensis). ც-ის გვარს. რასებს შორის ამიერკავკასიაში (სომხეთი) გვხვდება O. ammon gmelini. იკვებებიან ბალახოვანი მცენარეებით. მაკეობა 5 თვემდე გრძელდება. შობენ 1—2 კრავს. იყენებენ ხორცსა და ტყავს. წარმოადგენენ მრავალი თანამედროვე შინაური ცხვრის წინაპარს.
*რ. ავალიანი.*

**ცხვარი,** შინაური მცოხნავი წყვილჩლიქოსანი ცხოველი ცხვრის გვარისა, ღრუქრქიანების ოჯახისა. წარმოშობილია 8 ათ. წლის წინათ მუფლონის მოშინაურებით. აქვს წაწვეტებული ცხვირი, წვრილი, მოძრავი ტუჩები, 32 კბილი. საჭრელი კბილების სპეცეფ განლაგების გამო შეუძლია დაბალი ბალახის მოწიწკნა მოშინაურების დიდი ცვლილებები განიცადა მიღებულია 500-ზე მეტი ჯიში, რ-ებიც განსხვავდებიან მატყლით, ფერით, რქიანობით, მასით, ზრდის ენერგიით, მუხორცულობით, კუდის ფორმით და სხვ. განასხვავებენ მჭლეკუდიანს, მჭლეგრძელკუდიანს, გრძელცხიმკუდიანს, ცხიმკუდიანს, დუმიანს, ნახევარდუმიან ც-ებს. ც. ცოცხლობს 14—15 წელს, სქესობრივად მწიფდება 5—7 თვისა, მაკეობა გრძელდება 145—155 დღე. იგებს 1, ზოგი ჯიში 2—3 და მეტ ბატკანს, ბატკნის მასა დაბადებისას 3—5 *კგ*, 5—7 თვის შემდეგ — 18—22 *კგ*. ნაირბეწვიანი ც-ის მატყლი შედგება თივთიკის, გარდამავალი, მქისე და ზოგჯერ მკვდარი ბეწვისაგან. თივთიკის სიგრძე (ს/მ-ობით) წმინდამატყლიანი ც-ისა 5—9; ნახევრად წმინდამატყლიანისა — 10—40, ნაირბეწვიანისა — 10—25 ნერბი იწველის 50—200 *კგ* მაღალცხიმიან რძეს, ზოგი ჯიში — 600 *კგ*, ცალკეული ცხოველები — 1500 *კგ* და მეტს. ნერბის ცოცხალი მასაა 28—100 *კგ*, ვერძისა 35—180 *კგ*. ც. კარგად იყენებს ულაბნოს, მთისა და ბარის საძოვრებს. გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. *შ. რჩეულიშვილი.*

**ცხვარიო,** მ ე ჭ ე ჭ უ ბ ი ა ნ ი ქ ა მ ა (Agaricus augustus), ქუდიანი სოკო ქუდის დიამეტრია 20—25 *სმ*, თავდაპირველად მოთეთროა, შემდეგ — მუქი ლიმონისფერი, ზედაპირი მოყავისფრო ქერცლებით. ფეხი ძირისკენ გამსხვილებულია, თეთრია და გადატეხვისას მოყვითალო ხდება, თეთრია სუნელოვანი, ზედაპირი მოყვითალო ფიფქები აქვს. ფეხთან მიზრდილია. გვხვდება ტყეში და საძოვრებზე შემოდგომაზე, იშვიათად ზაფხულში. განსაკუთრებით ბევრია ჯავახეთის ზეგანზე საჭმელად იხმარება ახალი.
*ი. ნახუცრიშვილი.*

**ცხვარიჭამია,** სოფელი მცხეთის რ-ნში, საბადურის ქედზე, მდ. თეზმის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ც., თეზამი, კუცლიანი). ზ. დ. 1180 *მ*, მცხეთიდან 30 *კმ*. გალავნის ეკლესიები (შუასაუკუნეობა). დაწყ. სკოლა, საშ. სკოლა სოფ. გლდანში (20 *კმ*) ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი ტერიტორიაზე, პიონერთა ბანაკები.

**ცხვედაძე** ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე (15. I. 1845, სოფ. სოჯანი, ახლანდ. ცხინვალის რ-ნი, — 30. X. 1911, თბილისი), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. დაამთავრა თბილ. სას. სემინარია და მოსკ. სას. აკადემია 1869-იდან თბილ. სას. სემინარიის მასწავლებელი. 1874 შემდეგ ასწავლიდა თბილ. ქალთა ინ-ტში და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში. ც. იყო ქ. შ. წ.-კ. გ. საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წესდების პროექტის შემდგენელი და საზ-ბის გამგეობის მუდმივი წევრი, 1899—1907 კი — საზ-ბის თავ-რის უცვლელი ამხანაგი (მოადგილე). მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქართ. სკოლები გაიხსნა ლაგოდეხსა და ზაზში (ახლანდ. ქ. ორჯონიკიძე), ბაქოსა და ბათუმში ც. იყო თბილ. ქართ. გიმნაზიის გამგე-კომიტეტის წევრი, მისი თავ-რის ამხანაგი, 1889—92 თბილ. ქალაქის ხმოსანი; აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო კომისიაში, რ-მაც მთელი თბილ. საქალაქო სკოლების რეორგანიზაციის ც-ის მიერ შედგენილი პროექტი. 1898 ც. სათავეში ჩაუდგა თბილ. ქართ. გიმნაზიის, სინამდვილეში მომავალი ქართ. უნ-ტისათვის გაიცალისწინებული შენობის, აგების საქმეს. შენობის ასაგები თანხა მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა. 1877, სწავლა-აღზრდის მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლის



ცხენისწაბლა ჩვეულებრივი ცხენისწაბლა: ყვავილებიანი ტოტი; ა—ნაყოფი

ცხვარი



1 — მერინოსი; 2—კრეტაული ცხვარი; 3—ალიგაური ცხვარი; 4 — რქასქელი ცხვარი



ნ. ცხვედაძე

ქვიშაქვებით, კირქვებით. სამხრ. და დას. კალთები ციცაბოა, ჩრდ. და აღმ. შედარებით დამრეცი. შემოსილია სუბალპ. ბალახეულით.

დ. უკლება.

**ცხრაწყარო,** მთა თრიალეთის ქედის დას. ნაწილში, მდ. ბაკურიანისწყლის (გუჯარეთისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 2683 მ. აგებულია ზედაპალეოცენური ანდეზიტ-ბაზალტებითა და დაციტებით. მისი ჩრდ. და დას. კალთები ფლატოვანია, სამხრ — დამრეცი. კალთები შემოსილია სუბალპ., ზედა — ალპ. მდელოს ბალახეულით.

ა. ნემანიშვილი.

**ცხრაწყარო,** უღელტეხილი თრიალეთის ქედის დას. ნაწილში. სიმაღლე 2462 მ. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური განფენებით და მათი პიროკლასტოლითებით. მიდამოები შემოსილია სუბალპ. მდელოს ბალახეულით. აკავშირებს ბორჯომისა და ახალქალაქის რ-ნებს.

**ცხრაწყარო,** სოფელი ზესტაფონის რ-ნში, მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირ. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ც., ზედა კვალითი, ძლოურ.-დანეთი). ზ. დ. 320 მ, ზესტაფონიდან 3 კმ. ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, 3 ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ში. აქ იყო იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია

**ცხრაჯვარის მღვიმე,** კარსტული მღვიმე ნაქერალას ქედზე, 1435 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ურგონულ სქელშრეებრივ კირქვებში. ჯამური სიგრძე 460 მ, ფსკერის ფართ. 127 000 $м^2$, მოცულობა 185 000 $м^3$. შიგა — „დიდი დარბაზის" სიგრძე 245 მ, სიმაღლე 15—30 მ, სიგანე — 15—25 მ. ჰაერის ტემპ-რა 6,5°C. „დიდ დარბაზში" მიკვლეულია პალეოზოოლ. მასალა. ბინადრობენ ღამურები.

ზ. ტინტილოზოვი.

**ცხროჯა,** ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართველოში, ახლანდ. ახალციხის რ-ნის ტერიტორიაზე, მდ. ქვაბლიანის ხეობაში. წყაროებში პირველად იხსენიება X ს-ში (ბასილი ზარზმელი, „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა").

წყარო: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

**ცხრუკვეთი,** სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (სვერის სოფსაბჭო), ჭიათურის პლატოზე, მდ. საძალისხევის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 600 მ, ჭიათურიდან 18 კმ. თვალურების კოლ-ბა (მეცხოველეობა, მეჩაიეობა, მესიმინდეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი). აქაა გ. წერეთლისა და პროფ. ა. წერეთლის სახლ-მუზეუმები. წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ში.

**ცხუკუშერი,** სოფელი ცაგერის რ-ნში (ნაკურალეშის სოფსაბჭო), მდ-ების ცხენისწყლისა და რიონის წყალგამყოფზე. ზ. დ. 900 მ, ცაგერიდან 33 კმ. ლენინის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს. I ნახევარში.

**ცხუმარი,** სოფელი ლენტეხის რ-ნში (ხელედის სოფსაბჭო), მდ. ხელედულის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1220 მ, ლენტეხიდან 27 კმ. ხელედის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ხელედში (20 კმ).

**ცხუმი,** ქ. სოხუმის ადრინდელი ქართული სახელწოდება, მისი შემოკლებული ფორმა. სახელწ. „სოხუმი" ც-ის თურქიზებული ფორმაა.

**ცხუნკური,** სოფელი წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, იმერეთის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში, მდ. სემის (გუბისწყლის ერთ-ერთი შენაკადი) ნაპირას, წყალტუბო—ცაგერის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ც., ყუმისთავი, ჩუნეში). ზ. დ. 360 მ, წყალტუბოდან 15 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მევენახეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა. ც-ის მახლობლად არის კარსტული მღვიმე. წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ში. ადრე სოფელში იყო ქვის ეკლესია იდგა (1652, 1804)



| ასომთავრული | | ნუსხური | მხედრული | საუკუნეები |
|---|---|---|---|---|
| ეპიგრაფიკის | წიგნის | | | |
| Ⴛ | Ⴛ | | | V |
| | | | | VI–VII |
| Ⴛ | | | | VIII |
| | Ⴛ Ⴛ | ⴛ ⴛ ⴛ ⴛ | | IX |
| Ⴛ Ⴛ | Ⴛ | ⴛ | | X |
| Ⴛ Ⴛ | Ⴛ Ⴛ | ⴛ ⴛ ⴛ | ძ ძ | XI |
| Ⴛ Ⴛ | Ⴛ | ⴛ ⴛ ⴛ | ძ ძ | XII |
| Ⴛ Ⴛ | | | ძ ძ | XIII |
| Ⴛ Ⴛ Ⴛ | Ⴛ Ⴛ | | ძ ძ | XIV |
| | | ⴛ ⴛ | ძ ძ | XV |
| | | | ძ ძ | XVI |
| Ⴛ Ⴛ | | ⴛ ⴛ ⴛ ⴛ ⴛ | ძ ძ ძ | XVII |
| | | | ძ ძ ძ ძ | XVIII |

**ძ**, ქართული ანბანის ოცდამერვე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთერთმეტე) ასო; მისი სახელია „ძილი", გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი მჟღერი სისინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴛ, ნუსხურში — ⴛ ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა სამ ათასს (3000).

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო ძ-ს გრაფ. მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახის — ასომთავრულის, ნუსხურის და მხედრულის), რომლებიც ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

**ძაბახიძე** ვალერიან სერგოს ძე (10. V. 1903, სოფ. ბზვანი, ახლანდ. ვანის რ-ნი, — 28. IV 1986, თბილისი, დაკრძალულია ვანში), ქართველი საბჭ. გენერალ-მაიორი (1943). საბჭ. ჯარში 1925-იდან. 1925 დაამთავრა ქართ. გაერთ. სამხ. სკოლა, 1931—32 ლენინგრ. ჯავშანსატანკო ჯარების მეთაურთა მოსამზადებელ კურსებზე სწავლობდა. 1937 დაამთავრა მ. ფრუნზის სახ. სამხ. აკადემია 1938—41 საქ. სსრ სამხ. კომისარი იყო. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს მეთაურობდა 224-ე, 414-ე ქართ. მსროლელ დივიზიებს, მონაწილეობდა ქერჩის, სიმფეროპოლის და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ომის შემდეგ მსახურობდა ვოლგისპირეთის, დონისა და [illegible] ამიერკავკასიის სამხ. ოლქებში. 1956-იდან თადარიგში იყო. საქ. სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

*ტ. ჩინჩილაკაშვილი*

**ძაბვა** ელექტრული, ფიზიკური სიდიდე, რომელიც უდრის ელექტრული წრედის ან ელექტრული ველის ორ წერტილს შორის ელექტრული ველის მიერ შესრულებულ მუშაობას ერთეული დადებითი მუხტის გადაადგილებისას ველის ერთი წერტილიდან მეორეში. პოტენციურ ელექტრულ ველში ეს მუშაობა მუხტის გადაადგილების გზაზე არ არის დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ორ წერტილს შორის ძ. ემთხვევა მ შ პოტენციალთა სხვაობას.

თუ ველი არაპოტენციურია, მაშინ ძ. დამოკიდებულია იმ გზაზე, რ-თაც მუხტი გადაადგილდება წერტილებს შორის. გ ა რ ე შ ე ძ ა ლ ე ბ ა დ წოდებული არაპოტენციური ძალები მოქმედებს მუდმივი დენის ნებისმიერი წყაროს (გენერატორის, აკუმულატორის, გალვანური ელემენტი და სხვ.) შიგნით. დენის წყაროს მომჭერებზე ძ-ის ქვეშ ყოველთვის გულისხმობენ წყაროს გარეშე მდებარე გზის გასწვრივ ერთეული დადებითი მუხტის გადაადგილებისას ელექტრული ველის მიერ შესრულებულ მუშაობას. ამ შემთხვევაში ელექტრული ძ. $U$ უდრის წყაროს მომჭერებზე პოტენციალთა სხვაობას და განისაზღვრება ომის კანონით $U=\varepsilon-Ir$, სადაც $I$ არის დენის ძალა, $r$—წყაროს შიგა წინაღობა, ხოლო $\varepsilon$—მისი ელექტრომამოძრავებელი ძალა (ემძ). განრთული წრედის დროს ($I=0$) ელექტრული ძ. მოდულით უდრის წყაროს ემძ-ს. ამიტომ წყაროს ემძ-ს ზოგჯერ განსაზღვრავენ როგორც ელექტრულ ძ-ს მის მომჭერებზე განრთული წრედის დროს.

ცვლადი დენის შემთხვევაში ელექტრული ძ. ხასიათდება მოქმედი (ეფექტური) მნიშვნელობით, რ-იც პერიოდის განმავლობაში ძ-ის მნიშვნელობის საშ. კვადრატულია. ძ ცვლადი დენის წყაროს ან ინდუქციურობის კოჭას მომჭერებზე იზომება ელექტრული ველის მუშაობით, რ-იც სრულდება ერთეული დადებითი მუხტის გადაადგილებისას წყა-

გრემისხევის ეპისკოპ. საბჭ. მეურნეობა, საშ. სკოლა სოფ. პეტრიაანში (3 კმ).

**ძველი გავაზი**, ისტორიული სახელწოდება სოფ. ახალსოფლისა (ყვარლის რ-ნი). რ-ის მიდამოებშიც მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი — ძველი გავაზის VI ს. ღვთისმშობლის ეკლესია.

**ძველი ვეძისი**, სოფელი მცხეთის რ-ნში (დიღმის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დიღმისწყლის ხეობაში ზ. დ. 660 მ, მცხეთიდან 22 კმ, თბილისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 კმ. დიღმის მერძეულობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. დიღომში (4 კმ).

**ძველი კასტილია** (Castilla la Vieja), ისტორიული ოლქი ესპანეთში, უმეტესად კასტილიის ზეგანზე (მესეტაზე) მოიცავს სანტანდერის, პალენსიის, ბურგოსის, ლოგრონიოს, ვალიადოლიდის, სორიის, სეგოვიის, ავილის პროვინციებს ფართ. 66,1 ათ. კმ² მოსახლ. 2,1 მლნ. კაცი (1976). მთავარი ქალაქი — ბურგოსი ძ. ძ. აგროინდუსტრ. ოლქია. მოჰყავთ ხორბალი, შვრია, ქერი, ჭვავი, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მევენახეობა და მეღვინეობა, მეცხვარეობა (ქვეყნის ცხვრის სულადობის დაახლ. 1/6) სარძე-სახორცე მეცხოველეობა. იღებენ რკინისა და თუთიის მადანს, ნავთობს, ქვანახშირს. განვითარებულია მეტალ., მანქანათმშ., ლითონდამუშ., კვების, ქიმ. მრეწველობა. ელექტროენერგიის დიდ ნაწილს გამოიმუშავებენ თესები. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია სანტანდერი, ვალიადოლიდი, ბურგოსი. საზღვ. ნავსადგურია სანტანდერი.

**ძველი კასტილიის ზეგანი**, ძ ვ ე ლ ი კ ა ს ტ ი ლ ი ი ს პ ლ ა ტ ო, ზეგანი ესპანეთში, მესეტის ჩრდ.-დას. ნაწილში. სიმაღლე დაახლ. 800 მ (კიდეებზე 1000—2000 მ). აგებულია ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, მერგელებით დანაწევრებულია (100—120 მ სიღრმემდე) მდ. დუეროს აუზის მდინარეთა ხეობებით. შემოსილია ქსეროფიტული ბუჩქნარითა და სტეპის მცენარეულობით. არის ტყეები და მუხის ჭალები. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი. გაშენებულია ვენახი, ბაღები. ძ. ზ-ზეა ქ-ები ვალიადოლიდი, სალამანკა.

**ძველი მარაბდა**, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (კოდის სოფსაბჭო), ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ალგეთის მარჯ. ნაპირას ზ. დ. 630 მ, თეთრი წყაროდან 42 კმ, მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 კმ. კოდის მეხორცეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კოდაში (5 კმ). ბ-კა, კლუბი, საფერშლო პუნქტი. ძ. მ-ში დგას ცნობილ ძმა ხერხეულიძეების მემორიალი.

**ძველი მსოფლიო**, იხმარება ორი მნიშვნელობით: ფ ა რ თ ო მნიშვნელობით აღნიშნავს კაცობრიობის ისტორიის უადრეს და ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს — ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისიდან (დაახლ. ძვ. წ. 800—100 ათ. წწ.) ფეოდ. ფორმაციის დამყარებამდე (ახ. წ. პირველი საუკუნეები). ამ მნიშვნელობით ძ. მ. მოიცავს ორ ძირითად პერიოდს — პირველყოფილსა და ადრინდ. კლასობრივ (ძველაღმ., ანტ.) საზ-ბათა ეპოქებს. ვ ი წ რ ო მნიშვნელობით ძ. მ. იხმარება ძვ. აღმოსავლეთის ადრინდ. კლასობრივი საზ-ბებისა და ანტ. სამყაროს მონათმფლობელური სახელმწიფოთა პერიოდების აღსანიშნავად, რ-თაც სწავლობს სპეც. სამეცნ. დისციპლინა — ძველი ისტორია. ძვ. ისტორიის საწყის ხანაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ანტ. ავტორებს. მათგან მხოლოდ ზოგიერთი დიდ მოაზროვნე (განსაკუთრებით არისტოტელე, ტიტუს კარუს ლუკრეციუსი) შექმნა სწორი წარმოდგენა ამ ხანგრძლივ გზაზე, რ-იც განვლო ადამიანთა საზ-ბამ ველურობიდან ანტ. ცივილიზაციამდე. შუა საუკ. ადრეულ ხანებში კაცობრიობის განვითარების ძირითად ეტაპად ითვლებოდა ქრისტ. ეკლესიის გამარჯვება. ისტ. უფრო ადრეული პერიოდი განიხილებოდა როგორც წარმართობა, ხოლო კაცობრიობის განვითარების ხანა შესაბამისად იყოფოდა ორ ეპოქად — წარმართობად და ქრისტიანობად. მაგრამ მოგვიანებით ანტ. სამყაროსთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავებამ, ამ სამყაროს პოლიტ. ინ-ტების, ფილოს. და მეცნ. სხვადასხვა დარგში მოპოვებულმა დიდმა მიღწევებმა მთელი გადატრიალება მოახდინა თეოლ. კონცეფციაში და ძვ. ისტორიის კონცეფციის ინტერპრეტაცია ახალ საფუძველზე აიყვანა (იტალ. ჰუმანისტები ლ. ბრუნი, ფ. ბიონდო, ნ. მაკიაველი; ფრანგი ჰუმანისტი ჟ. ბოდენი და სხვ.). აღორძინების ხანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძ. მ-ს ლიტერ. მემკვიდრეობის, მისი ფილოს. და სხვადასხვა მეცნ. შესწავლას. მზარდ ინტერესს იჩენდნენ ანტ. პოლიტ. ბრძოლისადმი ბურჟ. რევ. მოღვაწენი, როგორც კ. მარქსმა მართებულად აღნიშნა, ხალისით ეფუძნებოდნენ ანტ. პოლიტ. მოღვაწეთა ტოგაში და მათ სახელებსაც ირქმევდნენ (მაგ., შომეტმა მიიღო ანაქსაგორას სახელი, ხოლო ბაბეფმა თავის თავს გრაკქუსი უწოდა). განმანათლებლობის ეპოქაში კრიტიკულად გაშუქდა ძვ. ისტორიის მრავალი მხარე (ფ. ვოლნე, ე. გიბონი). მაგრამ განმანათლებლებმა გვერდი აუარეს ადრინდელი სამყაროს ეკონომიკის საკითხებს და სოც. ურთიერთობათა კარდინალურ პრობლემებს, დაკმაყოფილდნენ რა პოლიტ. ინ-ტების შესწავლით. მოგვიანებით, განმანათლებლობის ეპოქაში ძვ. ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: დაისვა ისეთი პრობლემები, როგორიცაა სახელმწიფოს წარმოშობა, უთანასწორობის გაჩენა (ჟ. ჟ. რუსო, შ. ფურიე), ხაზგასმით იქნა დასმული, რომ შექმნილიყო წარმოდგენა ადამიანის საზ-ბის განვითარების ადრეული ეტაპების თანმიმდევრობის შესახებ. ანტ. ავტორების საიმისოდ მეორე მასალა მოჰყავდათ ეთნოგრ. (შდრ. ლ. მორგანის წიგნი „ძველი საზოგადოება") და არქეოლ. განვითარება შემდგომ შესაძლებელი გახდა ღრმად და მართებულად გაეგებულიყო ძ. მ-ის ისტ. საწყისი ეტაპები. XVIII—XIX სს. დიდმა მეცნ. აღმოჩენებმა, სანსკრიტული ლიტ-რის (ინგლ. უ. ჯონზი, გერმ. პოლიბრუხი და სხვ.), ეგვიპტ. იეროგლიფების (ფრანგი ჟ. შამპოლიონი) და ლურსმული დამწერლობის (გერმ. გ. გროტეფენდი, ინგლ. ჰ. როულინსონი) გაშიფვრამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ძვ. ისტორიის ნაკვლევი. მაგრამ დასავლეთის ზოგიერთი თეორეტიკოსი, ევროპოცენტრისტული შეხედულებებიდან გამომდინარე, კატეგორიულად გამოყოფდა კლასიკურ საბერძნეთისა და რომის და ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნების პატრიარქალურობასა და ჩამორჩენილობას ამტკიცებდა. XIX ს. 80—90-იან წლებში ე. მაიერმა, რ. პელმანმა და სხვ. წამოაყენეს ე. წ. ციკლიზმის თეორია, რ-იც უარყოფდა მარქსიზმის კლასიკოსთა იდეას საზ. წყობილების პროგრესული ცვლის შესახებ. აღნიშნული თეორიის თანახმად, ძ. მ-ს ჰქონდა „თავისი ძველი პერიოდი", „თავისი შუა საუკუნეები", „კაპიტალიზმი" და „სახელმწ. სოციალიზმიც" კი, რის საფუძველზე მათ გამოაცხადეს დასკვნა, თითქოს კაცობრიობა მუდამ იმეორებს განვლილ სტადიებს და წინ არ მიიწევს, რომ ყოველივე ისტ. პროგრესი არ არსებობს. თანამედროვე ბურჟ. ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრის თანახმად, ძვ. ისტორია არის მხოლოდ ცალკეული ცივილიზაციათა წარმოქმნისა და დაღუპვის პროცესი (ინგლ. ა. ტოინბი, ფრანგი ჟ. პირენი და სხვ.) საპირისპიროდ მარქსიზმ-ლენინიზმისა, რ-იც ამტკიცებს კაცობრიობის ისტორიის სპირალისებრ განვითარებას წარსულის ზოგიერთი მხარის განმეორებით საწარმოო ძალთა უფრო მაღალ საფეხურზე. ბურჟ. ისტორიკოსები მხოლოდ ისტორიას კვლავ განიხილავენ როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელ ცალკეულ რგოლებს. მარქსიზმ-ლენინიზმმა დაამტკიცა, რომ მთელი ძვ. ისტორია არის ადრინდ. კლასობრივ და მონათმფლობელურ საზ-ბათა წარმოქმნის, განვითარებისა და დაღუპვის ისტორია. ეს იყო აუცილებელი სტადია კაცობრიობის საზ. განვითარებაში. ამიტომ ფ. ენგელსი შენიშნავდა, რომ ანტ. მონობის გარეშე არ იქნებოდა თანამედროვე სოციალიზმიც. მონათმფლობელურ ურთიერთობათა დონე და ხასიათი [illegible] სხვადასხვა იყო. საზ-ბის კონკრ. მრავალფეროვნებას, ისეთი ძველ აღმოსავლეთშიც კი, სადაც ძირითადად უმეტესი მწარმოებელი იყო ეკონომიკურად დამოკიდებული მეთემე, მარქსისტული დიალექტიკა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ზოგადი, ის სპეციფ. და განსაკუთრებული, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადრინდ. კლასობრივ საზ-ბათა განვითარებაში ეტაპებს და კონკრ. საზ-ბებს, რ-ებიც წარმოიქმნებოდნენ განსხვავებულ პირობებში. ისტ. მატერიალიზმი აღიარებს მონათმფლობელურ საზ-ბათა გარდაუვალი დაღუპვისა და მათ ნანგრევებზე უფრო განვითარებული სოციორგანიზმების წარმოშობის საკითხს. ძვ. ისტორიის შესწავლამ წარმოშვა სპეც. მეცნ. დისციპლინები, რ-ებიც იკვლევენ ძ. მ-ს ცალკეულ რეგიონებს ან. აგრეთვე სტადიებს. აღმოსავლეთმცოდნეობა, არაბისტიკა, ასირიოლოგია, ბიზანტინოლოგია, ეგვიპტოლოგია, ინდოლოგია, ირანისტიკა, სინოლოგია, ხეთოლოგია, ურარტოლოგია.

გ. გიორგაძე.

**ძველი ოლთისი** ([illegible]), თანამედროვე სოფ. კემერი, მდებარეობს წალკის რ-ნში, ისტორიულ თრიალეთში.

**ძველი ობანი**, სოფელი დუშეთის რ-ნში (ლაფანაანთკარის სოფსაბჭო), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. ობანისხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას ზ. დ. 1120 მ, დუშეთიდან 21 კმ. ჟინვალის საბჭ. მეურნ. (მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ლაფანაანთკარში (3 კმ). ბ-კა.

**ძველი საქარამული** (ოფიც. ს ა ყ რ ა მ უ ლ ი), სოფელი დუშეთის რ-ნში (ბაზალეთის სოფსაბჭო), ბაზალეთის პლატოზე, ბაზალეთის ტბის სამხრ-ით, ზ. დ. 1040 მ, დუშეთიდან 8 კმ. საშაქრე მერძ. მეცხოველეობის კომპლექსი. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

**„ძველი საქართველო"**, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მიერ დაარსებული სერიული სამეცნიერო კრებული. გამოიცა ოთხი ტომი (I — 1909, II — 1913, III — 1913—14, IV — 1914—15). გამოდიოდა თბილისში. კრებულში იბეჭდებოდა იმდროინდელი მოწინავე ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები, რეცენზიები, სხვადასხვა ისტ., ლიტ., არქეოლ. და ეთნოგრ. მასალა. [illegible] გამოქვეყნებულ მასალიდან აღსანიშნავია სამეცნ. გამოკვლევები ე. თაყაიშვილის „ქართული ტაძრის სახარება და მისი მინაწერები", მ. ჯანაშვილის „კორიდეთის თახთაე და მისი ქართული წარწერები", ა. სარაჯიშვილის „ერთი გლეხკაცის ოჯახის ბედი მეთვრამეტე საუკუნეში" და „არჩანჯელის ქართველი ეპისკოპოსისა", თავისუფალი ცხენის (ბ. ნიჟარაძის) „ძველი განხილვა სვანური გრამატიკისა", გ. კარბელაშვილის „ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები" და სხვ.; ეთნოგრაფიული მასალა: ს. გაჩეჩილაძის მიერ ზემო იმერეთში შეკრებილი ხალხ. ზღაპრები და ლექსები, ი. კარგარეთელის მიერ ჩაწერილი ხალხ. სიმღერები ნოტებითურთ,









სტ. ცხინვალი. 1. სტალინის ქუჩა. 2. ადმინისტრაციული შენობა. 3. პედაგოგიური ინსტიტუტი. 4. დრამატული თეატრი. 5. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი. 6. ადმინისტრაციული შენობა. 7. ელექტროსადენების ქარხანა. 8. ვიბროთმანქანების ქარხანა.











2 3









სტ. წალკის რაიონი (I). 1. ქ. წალკა. საერთო ხედი. 2. სოფ. ავრანლო. 3. კარტოფილის ნათესი. 4. სოფ. კუშჩიარის მეცხოველეობის კომპლექსი. 5. მეცხოველეობის ფერმა წალკის წყალსაცავთან. 6. ქ. წალკა. კარიერის სამმართველოს [illegible] ქარხნის ფილიალის საამქრო. 7. სოფ. ახალიკის სამშ. მეურნეობა. ქვის კარიერი.

















სურ. *წალკის რაიონი (II)*. 1. ქ. წალკა. ადმინისტრაციული შენობა. 2. წალკის რაიონული საავადმყოფო. 3. ქლდეკარის ციხესიმაგრე. 4. სოფ. ავრანლოს ციკლოპური ციხესიმაგრე. მარცხნივ წმ. გიორგის ეკლესია. 5. ბეშთაშენის ეკლესია. VII ს. 6. თიქილისის ეკლესია. XII–XIII სს. 7. სოფ. ოლიანგი. ქუშის ეკლესია. 8. ქირიაკის ეკლესია. XII – XIII სს.

















სტ. წალენჯიხის რაიონი (I). 1. ქ. წალენჯიხა. საერთო ხედი. 2. სოფ. ლიის ჩაის ფაბრიკა. 3. მინერალური წყლის „სქურისი" ჩამომსხმელი საამქრო მდ. სქურის ხეობა. 4. წალენჯიხის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების საფუტკრე. 5. წალენჯიხის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი სამკერვალო საამქრო. 6. წალენჯიხის ჩაის საბჭ. მეურნეობა. ჩაის მექანიკური კრეფა. 7. ინგურის ჩანჩქერი 8. მდ. ენგურის ხეობაში — „ენგურის ზღვა". 9. სოფ. საჩინოს ზვრები.









1



2



3

სტ. წალენჯიხის რაიონი (II). 1. ქ. წალენჯიხა. ერთ-ერთი კუთხე. 2. ქ. წალენჯიხა. საქალაქო საბჭოს შენობა. 3. ქ. წალენჯიხა. კულტურის სახლი. 4. ქ. წალენჯიხა. კინოთეატრის შენობა. 5. „ქვის ზღაპარი“ — მდინარეული ქვებისაგან აგებული მოზაიკური კედელი წალენჯიხის ცენტრში. 6. ქ. წალენჯიხა. რევოლუციური მოძრაობის და პარტიული ორგანიზაციის მუზეუმი. 7. სოფ. ობუჯი. ლ. ქიაჩელის სახლ-მუზეუმი. 8. წალენჯიხის წმინდა მაცხოვრის ეკლესია X – XI სს.



4



5



6



7



8





სტ. წითელი მოედანი. 1. საერთო ხედი ისტორიული მუზეუმის მხრიდან. 2. საერთო ხედი ვასილი ნეტარის ტაძრის მხრიდან.









სტ. წითელწყაროს რაიონი (I). 1. მდ. ილიაჯურის ხეობა. 2. ქ. წითელწყარო. საერთო ხედი. 3. სოფ. ოზაანი. 4. სოფ. არბოშიკი. 5. სოფ. მირზაანი. 6. სოფ. ჯაფარიძე. 7. სოფ. მირზაანის ღვინის ქარხანა. ყურძნის მიღება. 8. სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობის ცხვრის ფარა. 9. სოფ. ჯაფარიძის მეცხოველეობის ფერმა. 10. წითელწყაროს ყველკარხნის სათავო ქარხანა. რძის მიღების საამქრო. 11. წითელწყაროს მეფრინველეობის ფაბრიკა. 12. წითელწყაროს ღვინის ქარხანა. კასრი ღვინო-მასალის საამქრო. 13. წითელწყაროს რაიონის [illegible] მექანიზებული ქარხნის [illegible] [illegible] [illegible] და [illegible].





































სტ. *წითელწყაროს რაიონი (II)*. **1.** ქ. წითელწყარო. ადმინისტრაციული შენობა. **2.** სოფ. ჯაფარიძე. პროფტექნიკური სასწავლებელი. **3.** სოფ. ზემო მაჩხაანი. კულტურის სახლი. **4.** ქ. წითელწყარო. აგროსამრეწველო გაერთიანება. **5.** სოფ. ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა. **6.** წითელწყაროს რაიონული კულტურის სახლი. **7.** წითელწყაროს რაიონული საავადმყოფო. **8.** ქ. წითელწყარო. საშუალო სკოლა. **9.** სოფ. მირზაანი. ნ. ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი. **10.** ქ. წითელწყარო. შინმოუსვლელთა მემორიალი. **11.** სოფ. მირზაანი. ალავერდის ეკლესია. შუა საუკუნეები.





**ძირითადი კაპიტალის ცვეთა**, იხ. ძირითადი კაპიტალი.

**ძირითადი მასალა**, წარმოების ნივთობრივი ელემენტები, შრომის საგნები, რ-ებსაც საწარმოები იყენებენ პროდუქციის დასამზადებლად და შეადგენენ მის მთავარ სუბსტანციას. არის დამხმარე მასალაც; დაყოფა განპირობებულია მასალის გამოყენების თავისებურებით, რის გამოც ერთი და იგივე მასალა ამა თუ იმ დარგისათვის შეიძლება ძირითადიც იყოს და დამხმარეც. ძ. მ. პროდუქციის ღირებულებისა და თვითღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილია. სახ. წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში მცირდება პროდუქციის მასალატევადობა.

**ძირითადი მუშები**, წარმოების მუშები, რ-ებიც უშუალოდ ამზადებენ იმ პროდუქციას, რ-ის გამოშვება და რეალიზაცია შეადგენს მოცემული საწარმოს მიზანს. ძ. მ-ის რაოდენობასა და ხვ. წონას მრეწველობაში განაპირობებს წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის განვითარება, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა. ძ. მ-ის ხვ. წ. ზრდა დამხმარე მუშების რაოდენობის შემცირების ხარჯზე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სახ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია.

**ძირითადი ორგანული სინთეზი**, მძიმე ორგანული სინთეზი, ორგანულ ნივთიერებათა მრავალტონაჟიანი წარმოება. ძ. ო. ს-ით მიღებულ პროდუქტებს იყენებენ კაუჩუკის, სინთეზური ბოჭკოების, პლასტმასების, საღებრებისა და სხვ. წარმოებაში, აგრეთვე შხამქიმიკატებად, გამხსნელებად და სხვ.

**ძირითადი საამქრო**, ქარხნის, ფაბრიკის ან სხვა სამრეწველო საწარმოს ძირითადი საწარმოო ქვედანაყოფი. ასეთ საამქროში თავმოყრილია ისეთი საწარმოო ოპერაციები, რ-თა განხორციელების შედეგად შრომის საგანი (ნედლეული, მასალა და ა. შ.) განიცდის თვისობრივ ცვლილებას და გადაიქცევა მოცემული საამქროსათვის დასრულებულ პროდუქციად.

**ძირითადი საშუალებები**, ფულით გამოხატული ძირითადი ფონდები. ასეთი ფორმით აისახება ძ. ს. ძირითადი ფონდების ბალანსსა და ბუღალტრულ ბალანსში.

**„ძირითადი სახელმწიფო კანონები“** რუსეთის იმპერიისა, კრებული კანონ-დებულებებისა მეფის რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების ზოგადი საწყისების შესახებ. პირველი კოდიფიკაცია განხორციელდა მ. სპერანსკის ხელმძღვანელობით 1832. ასახულია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის პირველ გამოცემაში. „ძ. ს. კ.“ გადასინჯეს 1906 წ. 1905 წ. 17 ოქტ. მანიფესტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. რეფორმა ასახავდა თვითმპყრობელობის ცვლილებას ბურჟ. მონარქიისაკენ. აღიარებული იყო მეფის შეუზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივა, მისი მონოპოლია „ძ. ს. კ.-ის“ გამოცემაზე. მოქალაქეთა დეკლარირებული უფლებები შეიძლებოდა გაუქმებულიყო მეფის მიერ საგ. და განსაკუთრებული მდგომარეობის შემოღების საფუძველზე. მეფეს ეკუთვნოდა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება. „ძ. ს. კ.“ იცავდა იმპერიის ერთიანობას, მოქმედებდა 1917 თებ. რევოლუციამდე.

**ძირითადი ტონი**, ტონი, რ-საც ქმნის აკუსტიკური სისტემა, როცა იგი ირხევა თავისი უდაბლესი საკუთარი სიხშირით. ძ. ტ-ის სიმაღლე განსაზღვრავს სისტემის ძირითადი საკუთარი რხევის სიხშირე და, შესაბამისად, ამ სისტემის ბუნება. ტერმ. „ძ. ტ-ს“ იყენებენ უდაბლესი სიხშირის მქონე მდგენელის აღსანიშნავად რთული პერიოდული რხევის ობერტონების მიხედვით მწკრივად გაშლისას.

**ძირითადი ფონდები** სოციალისტური მეურნეობისა, მატერიალურ-ნივთობრივი ფასეულობანი, რ-ებიც მრავალჯერ მონაწილეობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ესენია: შენობები, ნაგებობანი, მანქანები, გადამცემი მოწყობილობანი, სატრანსპ. საშუალებები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და სხვ. ძ. ფ. ქვეყნის ეროვნ. სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილია. 1985 დასაწყისში სსრკ ძ. ფ-მა (პირუტყვის ჩაუთვლელად) შეადგინა 2218 მლრდ მან.; მატერ. წარმოების პროცესში ფუნქციონირებად ძ. ფ-ს ეწოდება წარმოებითი ძ. ფ., ხოლო არაწარმოებითს სფეროში — არაწარმოებითი ძ. ფ. (იხ. აგრეთვე სტატია წარმოებითი ფონდები)

ა. ოთარაძე.

**ძირითადი ფონდების ამორტიზაცია**, იხ. ამორტიზაცია ძირითადი ფონდებისა.

**ძირითადი ფონდების ბალანსი**, ღირებულებითი მაჩვენებლების სისტემა, რ-იც ახასიათებს ძირითადი ფონდების მოცულობას, სტრუქტურასა და დინამიკას; ძ. ფ. ბ. სსრკ სახ. მეურნ. ბალანსის შემადგენელი ნაწილია. იგი დგება განსაზღვრული სქემით; მოიცავს დანაყოფებს დანიშნულების, სახ. მეურნ. დარგებისა და საკუთრების ორი ფორმის მიხედვით. მასში მოცემულია აგრეთვე ფასეულობათა როგორც სრული პირველადი ღირებულება, ასევე ცვეთა გამოკლებული პირველადი ღირებულება.

ა. ოთარაძე.

**ძირითადი ცვლა**, ადამიანის ან ცხოველთა ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის პროცესების ერთობლიობა მოსვენებისა და სიფხიზლის დროს, უზმოზე და გარემოს ოპტიმალური ტემპ-რის პირობებში. ენერგიას, რ-იც იხარჯება ორგანიზმის მიერ სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ძ. ც-ის დონე ეწოდება. იგი დამოკიდებულია სხეულის მასასა და ფართზე, ასაკსა და სქესზე, ცხოველის სახეობაზე, კვების ხასიათზე, საცხოვრ. გარემოზე და სხვ. ძ. ც-ის ენერგეტ. დანახარჯები გამოიხატება კკალ-ით 1 საათში (ან დღე-ღ-ში) და გადაიანგარიშება სხეულის 1 კგ მასაზე ან 1 $м^2$ ფართზე. თბილსისხლიანი ცხოველების ძ. ც-ის სიდიდე უმეტესად დამოკიდებულია მათი სხეულის ფართზე და ნაკლებად მასაზე (ე. წ. სხეულის ფართის კანონი, იხ. ცხრ. 1).

ცხრ. 1. სხვადასხვა ცხოველის სითბოპროდუქცია დღე-ღამეში

| ცხოველი | მასა (კგ) | სითბოპროდუქცია (კკალ) 1 კგ-ზე | სითბოპროდუქცია (კკალ) 1 $м^2$-ზე |
|---|---|---|---|
| სპილო | 3672 | 13 | 2060 |
| ღორი | 122 | 20 | 974 |
| ძაღლი | 14 | 36 | 745 |
| კატა | 3,0 | 51 | 731 |
| ბოცვერი | 2,6 | 45 | 619 |
| მტრედი | 0,280 | 102 | 667 |
| თაგვი | 0,021 | 171 | 526 |

1 კკალ—4,19 კჯ

ადამიანის ძ. ც. განისაზღვრება დილაობით, უზმოზე, გარემოს ტემპ-რის 20—22°C პირობებში. ძ. ც-ის განსაზღვრა ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი კალორიმეტრიის მეთოდით. პირველ შემთხვევაში ორგანიზმის მიერ დროის ერთეულში გამოყოფილი სითბო იზომება სპეც. საკანში — კალორიმეტრში, მეორე შემთხვევაში განისაზღვრება მოხმარებული ჟანგბადის რაოდენობა. ახალგაზრდა ორგანიზმის ძ. ც. უფრო მაღალია, ვიდრე ხანდაზმულისა, ამასთანავე, ქალის ძ. ც. 10—15%-ით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცისა (იხ. ცხრ. 2)

ცხრ. 2. ძირითადი ცვლა სხვადასხვა ასაკის მამაკაცსა და ქალში

| ასაკი | კკალ სხეულის ფართის 1 $м^2$-ზე 1 საათში: მამაკაცები | კკალ სხეულის ფართის 1 $м^2$-ზე 1 საათში: ქალები |
|---|---|---|
| 14—16 წ. | 46,0 | 43,0 |
| 16—18 „ | 43,0 | 40,0 |
| 18—20 „ | 41,0 | 38,0 |
| 20—30 „ | 39,5 | 37,0 |
| 30—40 „ | 39,5 | 36,5 |
| 40—50 „ | 38,5 | 36,0 |
| 50—60 „ | 37,5 | 35,0 |
| 60—70 „ | 36,0 | 34,0 |
| 70—80 „ | 35,5 | 33,0 |

სამედიცინო პრაქტიკაში ძ. ც-ს განსაზღვრავენ ზოგიერთი დაავადების სადიაგნოსტიკოდ, მკურნალობაში — კვების ნორმების დასადგენად. ა. ქორქელი.

**ძირითადი წარმოება**, წარმოებითი პროცესის მთავარი ნაწილი, სადაც ძირითადი მასალა გარდაიქმნება მზა პროდუქციად. მანქანათმშენებლობაში ძ. წ-ს მიეკუთვნება დამამზადებელი, გადამამუშავებელი და საამწყობო საამქროები, ხოლო საფეიქრო მრეწველობაში — სართავი და საქსოვ-გამოსაყვანი განყ-ბები.

**ძირიჯუმათი**, სოფელი მახარაძის რ-ნში (ჯუმათის სოფსაბჭო), მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს ზ. დ. 100 მ, მახარაძიდან 17 კმ. ჯუმათის კოლ-ბა (მეჩაიეობა). საშ. სკოლა სოფ. ჯუმათში (3 კმ).

**ძირკვაძეები**, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ხულოს სადაბო საბჭო), მდ. აჭარისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 1200 მ, ხულოდან 6 კმ. ნ. კრუპსკაიას სახ. ოქროს ... მეურნეობის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფელდშერო-სამეანო პუნქტი.

**ძირკოკი**, სოფელი გურჯაანის რ-ნში (ჭანდრის სოფსაბჭო). გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე ზ. დ. 450 მ, გურჯაანიდან 4 კმ. ჭანდრის კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა სოფ. ჭანდარში (1 კმ) ბ-კა.

**ძირმაგარა**, ფურუნკული, თმის პარკისა და ირგვლივი შემაერთებელი ქსოვილის ჩირქოვან-ნეკროზული ანთება, რ-საც იწვევს ჩირქმბადი ბაქტერიები, უმეტესად ოქროსფერი სტაფილოკოკი (იხ. პიოდერმია). ძ-ის განვითარებას ხელს უწყობს კანის გაჭუჭყიანება, ტრავმა, ოფლიანობა და ქონის ჭარბად გამოყოფა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ. ძ-თვის დამახასიათებელია კანზე წითელი, ცენტრში დაჩირქებული და დანეკროზებული ანთებითი კვანძის გაჩენა. დანეკროზებული ქსოვილის მოცილების შემდეგ ჰ ხორცდება და ნაწიბურს ტოვებს. უფრო ხშირად ძ. ჩნდება კისრის უკანა ზედაპირზე, სახეზე, ზურგზე და სხვ. მრავლობითი ძ-ის გაჩენას ფურუნკულოზი ეწოდება, ხოლო თმის პარკების ჯგუფისა და ქონის ჯირკვლების ირგვლივ კანისა და კანქვეშა უჯრედისის ჩირქოვან-ნეკროზულ ანთებას — კარბუნკული. სახეზე ძ-ის გაჩენას შეიძლება მძიმე გართულება (ჩირქოვანი მენინგიტი, სეფსისი) მოჰყვეს. მკურნალობა კანის ანტისეპტიკური დამუშავება, ზოგჯერ — ანტიბიოტიკები, საოპერაციო ჩვენების დროს — ქირურგიული ჩარევა. პროფილაქტიკა: პირადი ჰიგიენა, კანის ტრავმის დროული დამუშავება და სხვ.



ძირწყალა (Aristolochia clematitis)

**ძირწყალა** (Aristolochia), მცენარეთა გვარი ძირწყალასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები და მცოცავი ბუჩქებია. ცნობილია 500-მდე სახეობა, რ-ებიც უმეტესად ტროპ. და ზომიერ სარტყლებშია გავრცელებული. სსრკ-ში 7 და საქართველოში 5 სახეობაა

ლება ძ-ს იყენებენ მსხ. რქ. საქონლის ჯიშების მოსაშენებლად, აგრეთვე რძისა და ხორცის პროდუქტების მისაღებად.

**ძროხისებრნი** (Bovidae), მცოხნელი ძუძუმწოვრების ოჯახი წყვილჩლიქოსნების რიგისა. წარმოქმნილი ზომა-წონა აქვთ, ჯუჯა ანტილოპის სიმაღლე მინდაოში 25 სმ, მასა 3 კგ აღწევს. ბიზონის სიმაღლე მინდაოში კი 200 სმ, მასა 1000 კგ-მდეა. ზოგი სახეობა მოხდენილია, ზოგი მასიური აგებულებისაა. ხარებს (მრავალი სახეობის ფურებსაც) ორი წაწვეტებული რქა აქვთ (გამონაკლისია ოთხრქა ანტილოპა). რქები მუდმივია და არ იცვლება. თითები 4-4-ია, მაგრამ II და IV თითი ძალზე პატარებია. კუჭი ოთხსაკნიანია. ძ. გავრცელებული არიან ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში. ცხოვრობენ ველებზე, სავანებში, პრერიებში, ალპ. მდელოებზე, ტყეებში. ზოგი ვერტიკალურად ზ. დ. 5000 მ-მდე აღწევს. იკვებებიან მცენარეულობით. მაკეობა გრძელდება 4–11 თვემდე. შობენ 1–5 ნაშიერს. ძ-თა უმრავლესობას სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ზოგი მათგანი (ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა) მოშინაურებულია და გამოყენებულია მეურნეობაში. ოჯახში 6 ქვეოჯახის 43 გვარი და 109 სახეობაა. საქართველოში გვხვდება 6 სახეობა. ა. ჯანაშვილი



ძროხისებრნი. 1—ტური; 2—დომბა; 3—იაკი; 4—ბიზონი; 5—ბანტენგი; 6—გაიალი

**ძუარზენი,** მწვერვალი კავკასიის ქედის განშტოება ძუარზენზე, მდ. გონდრულის (რიონის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 3419 მ. აგებულია ქვედაცარცული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. აქვს ცირკის კალთები. დამახასიათებელია ალპ.- და სუბნივალური ლანდშაფტები. დ. უკლება

**ძუგაევი** გიორგი ხასაყოს ძე (11. III 1911, სოფ. ძუგაოთაუ, ახლანდ. ჯავის რ-ნი, სამხრ. ოსეთის ავ. ო. — 10. IV. 1986, ცხინვალი), ოსი საბჭოთა პოეტი. სკკპ წევრი 1939-იდან. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1935. ლექსების პირველი კრებ. „მზის სხივი" გამოსცა 1938. წერდა პოემებს, მოთხრობებს, რომანებს („დანის პირზე", 1964, ქართ. თარგმ. 1970, „ოქროს წყარო", 1976, ქართ. თარგმ. 1983, კ. ხეთაგუროვის სახ. პრემია 1980). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

**ძუკავა,** სოფელი სამხრ. ოსეთის ავ. ოლქის ლენინგორის რ-ნში, ტირიფონის ველის ჩრდ. ნაწილში. წინაგრის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ძ., აბრევი, ბედულეთი, ბუდიანი, ზემო ბოჟები, ზემო კორი, კანტრიული, მესხეტრი, მსხლები, ორჯონიკიძე, ქედაგორა, ქვემო ბოჟები, ცოცხალაური, წინაგარი). ზ. დ. 830 მ, ლენინგორიდან 70 კმ, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 კმ. წინაგრის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლედი სკოლა, კლუბი, საავადმყოფო.

**ძულუხი,** სოფელი ვანის რ-ნში, იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ძულუხურის (სულორის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას ზ. დ. 420 მ, ვანიდან 15 კმ, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 37 კმ. სულორის მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი. სოფლის აღმ-ით, მდ. ძულუხურის მარცხ. ნაპირზე, მელოურის მთაზე, შემონახულია შუა საუკ. ციხესიმაგრის ნანგრევები — მელოურის ციხე. კედლების სიმაღლე 7–8 მ-მდეა. ციტადელში სხვადასხვა დანიშნულების სათავსები იყო მოთავსებული. ციხიდან მდინარისაკენ გვირაბი მიემართებოდა. სოფლის მიდამოებშია მელოურის ეკლესია (XIV ს.). უ. ბოჭორიძე

**ძუნი,** ქალაქი სამხრ.-აღმ. ჩინეთში, გუიჯოუს პროვინციაში. 351 ათ. მცხ. (1982). მეტალ., ქიმ., მანქანათმშ., ქსოვილის, საფეიქრო, კვების მრეწველობა. ძ-ს რ-ნში იღებენ ქვანახშირსა და მანგანუმის მადანს.



ძურწა მწვანე ძურწა — თავთავი

**ძურძაქალი,** იხ. ღურძუმელი.

**ძურწა** (Setaria), მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახებია. 125-მდე სახეობა გავრცელებულია ტროპ., სუბტროპ., ნაწილობრივ ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში 9 სახეობა გვხვდება, საქართველოში — 5; მათგან მ წ ვ ა ნ ე ძ. (S. viridis), ყ ვ ი თ ე ლ ი ძ. (S. glauca) და ნ ა მ ქ ე ფ ი ლ ი ძ. (S. verticillata) მთელ საქართველოშია გავრცელებული. სუსტრობ. კულტურების სარეველებია, გვხვდება აგრეთვე ქვიან, ბალახიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ნორჩ მცენარეს საქონელი ეხება. მარცვალს იყენებენ ბურღულად, შინაური ფრინველების საკვებად. შ. მარდალეიშვილი

**ძუსა,** მდინარე თერჯოლისა და ზესტაფონის რ-ნებში, მდ. ჩოლაბურის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 25 კმ, აუზის ფართ. 111 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალმცირობა იცის ზამთარში, წყალდიდობა გაზაფხულზე, წყალმოვარდნები — ზაფხულ-შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 2,66 მ³/წმ. ბ. გიგორიშვილი

**ძუძნარი,** სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ხრესილის სოფსაბჭო), ოკრიბა-არგვეთის სერის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 420 მ, ტყიბულიდან 14 კმ, ხრესილიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 კმ. მეჩაის კოლ-ბა (მევენახეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა), დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. დაბამოჭედში (3 კმ). ბ-კა, კლუბი.

**ძუძუანა,** მრავალფენიანი (ზედა პალეოლითიდან ადრინდ. ბრინჯაოს ხანამდე) კარსტული წარმოშობის მღვიმესადგომ-სახლარი. მდებარეობს სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე (ჭიათურის საქალაქო საბჭო) მდ. ყვირილის მარჯვ. შენაკადის ნიკორასის ღელის მარჯვ. ნაპირზე. აღმოაჩინეს 1966 (ხელმძღ. დ. თუშაბრამიშვილი). მღვიმის სიღრმეა 160 მ, შესასვლელის სიგანე 22 მ, სიმაღლე — 10–15 მ. გამოყოფენ 8 ლითოლოგიურ ფენას (საერთო სისქე 3,5 მ). ქვედა ფენა სტერილური აღმოჩნდა, მომდევნო 4 ფენა შეიცავდა ზედა პალეოლითური ხანის კულტურულ ნაშთებს. V–VII ფენების მასალა ართაული ტიპოლოგიურად შეკრულებულია და ახლოს დგას დას. საქართველოს ზედა პალეოლითურ ძეგლებთან. მოპოვებულია აგრეთვე გვიანდ. პლეისტოცენური ფაუნის (მღვიმის დათვი, მღვიმური დათვი, ბიზონი, გარეული ცხენი, ჯიხვი და სხვ.) ნაშთები. ზედა 3 ფენა შეიცავდა ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მასალას. თ. მეშველიანი

**ძუძუმწოვრები** (Mammalia), ცხოველების კლასი ხერხემლიანების ქვეტიპისა. მათი სხეულის სიგრძე 1,5 სმ-იდან (ფუღუ) — 33 მ-მდე მერყეობს (ლურჯი ვეშაპი), შესაბამისად, მასა — 1,5 გ-იდან 190 ტ აღწევს. ჩვეულებრივ წაგრძელებული სხეული აქვთ, 5–6 თითიან 4 კიდურზე დაყრდნობილი. ზოგს (ცხენებსა და სხვ.) ნაკლები თითი აქვს. ხელფრთიანებს კიდურები ფრთებადაა გადაქცეული, ხოლო ფარფლფეხიანებისა — ფარფლებად. ცხოვრების წესის შესაბამისად, ზოგ ძ-ს თევზისმაგვარი სხეული აქვს, უკანა კიდურები არ გააჩნია, კანი ბალნით აქვთ დაფარული. ვეშაპებს, ბეჰემოთებს და ზოგ სხვა ძ-ს ბალნიანი საფარველი მეორეულად რედუცირებული აქვს. კანის წარმონაქმნებია ბრჭყალი, ჩლიქი, ფრჩხილი, რქა, ქერცლი და სხვ. ძ-ს აქვთ მუწუკის, თეხის, ოფლისა და სხვ. ჯირკვლები. მნიშვნელოვანია სარძევე ჯირკვლები, რ-თაც სეკრეტით დედა კვებავს თავის ნაშიერებს. კუნთოვანი სისტემა ძლიერ დიფერენცირებულია. საგულისხმოა გუმბათისებური კუნთი, რ-თაც გულმკერდისა და მუცლის ღრუები ერთი მეორისაგანაა გამიჯნული. ჩონჩხი მაღალგანვითარებულია. კისრის განყოფილებაში 7 მალაა, ზოგ ლამანტინს 6 მალა აქვს, ხოლო ზოგიერთ ზარმაცას — 8–9, კუდში 3–49 მალაა. საჭმლის მომნელებელი სისტემა გართულებულია. უმრავლესობის კბილები დიფერენცირებულია: ჭიანჭველაჭამიებს კბილები არ გააჩნიათ. ძ. სუნთქავენ ფილტვებით. აქვთ ოთხსაკნიანი გული, მხოლოდ მარცხ. აორტის რკალი. ერითროციტები მრგვალია, იშვიათად ოვალური. პულსი განსხვავებულია, მაგ., თაგვის პულსი 1 წუთში აღწევს 600, ძაღლისა — 120, ძროხისა — 48 და ა. შ. სხეულის ტემპერატურა მუდმივია და მაღალი, საშუალოდ 39°-მდე. თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროები და ნათხემი დიდი ზომისაა. განვითარების მაღალ დონეს აღწევს ყნოსვის, სმენისა და მხედველობის ორგანოები. კარგად აქვთ განვითარებული შეხებისა და გემოვნების ორგანოები. გამრავლების ორგანოთა სისტემა წარმოდგენილია 2 თირკმლით. ძ. განსხვავებულსქესიანები არიან. მთელ რიგ სახეობებს (სპილო, ცხვარი, ირემი, წავი და სხვ.) მკაფიოდ ემჩნევათ სქესობრივი დიმორფიზმი. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. ზოგი რამდენჯერმე, ზოგი კი 4–5 წელიწადში ერთხელ. მაკეობა გრძელდება 8 დღიდან (ოპოსუმი) 22 თვემდე (სპილო). შობენ 1–20 ნაშიერს, რ-ებიც უმეტეს შემთხვევაში უსუსური და თვალდახუჭულია. ერთგასავლიანები დებენ კვერცხებს, საიდანაც შემდეგ ნაშიერები იჩეკება. ჩანთოსნების ნაშიერთა ემბრიონული განვითარება დედის ჩანთაში მთავრდება. სქესობრივად სხვადასხვა ასაკში მწიფდებიან (მღრღნელების გამრავლების უნარი შესწევს 2 თვიდან, ხოლო სპილოს 10–15, ზოგი ცნობით — 30 წლიდან). ზოგი თაგვისებური მღრღნელი ცოცხლობს 1 წელიწადს, ხოლო სპილო 80 წელს აღწევს. ზოგი ძ. ფიტოფაგია, ზოგი — ზოოფაგი. ძ-ის ზოგი სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშე დგას და შეტანილია საერთაშ. „წითელ წიგნში". მაგ., საქართველოში აღრიცხულია 100-მდე სახეობის ძ., რ-თაგან 21 შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში". ძ. ცხოვრობენ ველებზე, ბუჩქნარებში, ტყეებში, ალპ. მდელოებზე, კულტ. ლანდშაფტში და სხვ. უმრავლესობა ბინადრობს ხმელეთზე. ზოგი — ოკეანეებსა და ზღვებში, ზოგი — მტკნარ წყალში. გავრცელებული არიან მთელ დედამიწაზე, არ გვხვდებიან ანტარქტიდის ცენტრ. ნაწილში. ზოგი სახეობა (ირემი, მურა დათვი, ქვისმგლეჯი ძაღლი და სხვ.) ეძლევა ზამთრის ძილს ან ძილქუშს. ძ-ს სამეურნეო მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ბევრი მათგანი (ძროხა, ცხვარი, ცხენი და სხვ.) მოშინაურებული და გამოყენებულია სახ. მეურნეობაში, ზოგი (სასაზღვრო, ციყვი, ზღვის წავი, თახვი და სხვ.) ძვირფას ბეწვეულს იძლევა. მთელ რიგ სახეობებს (მგელი, თხა, ცხვარი და სხვ.) სანადირო-სარეწაო მნიშვნელობა აქვთ. თაგვისებრ მღრღნელებს, მგელსა და ზოგ სხვას სას. მეურნეობისათვის აუნაზღაურებელი ზიანი მოაქვს. ზოგიერთი (მგელი, ტურა და სხვ.) სხვადასხვა ჰელმინთების, ცოფის, ტულარემიის, შავი ჭირისა და სხვ. გამომწვევის (თაგვისებრი მღრღნელები და სხვ.) გადამტანია. ძ-ის კლასი იყოფა 20 რიგად. ძ-ის შემსწავლელ ზოოლოგიის დარგს თერიოლოგია ეწოდება. ა. ჯანაშვილი

**ძუძუს ბავშვობის ასაკი,** ჩ ვ ი ლ ი ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი, პერიოდი დაბადებიდან მეორე წლის დაწყებამდე; იყოფა 4 მონაკვეთად: 1. ახალშობილობის (1–1/2 თვე), გარდამავალი პერიოდი ემბრიონალურ მდგომარეობასა და იმ პერიოდს შორის, როცა ინსტინქტებისა და თანდაყოლილი რეფლექ-

სუფების მეშვეობით ბავშვი ეგუება გარემოს (სუნთქავს, ძუძუს წოვს, ყლაპავს, ინელებს საკვებს და ა. შ.); დასაწყისში დროის თითქმის 90% ძილისებრ მდგომარეობაშია; ყველა გამღიზიანებელზე უპირობოთ რეაქციას იძლევა. 2. „პირუტყვის“ ანუ „მჭვრეტის“ პერიოდის (1—1/2-იდან 4 თვემდე) ძირითადი ფუნქციაა გარე სინამდვილის აღქმის განვითარება, ყველა გამღიზიანებელი იქცევს ბავშვის ყურადღებას და მეტწილად დადებით რეაქციას იწვევს, ვითარდება საორიენტაციო რეფლექსი. დედას გამოყოფს გარემოსაგან, იწყებს ღიმილს. 3. „ხელის მოქმედების“ ანუ „ტაცების“ პერიოდი (5 თვიდან) — ბავშვი პრაქტიკულად ითვისებს გარე სინამდვილეში — მიისწრაფის ხელი მოჰკიდოს საგანს და პირისაკენ წაიღოს, რისი შედეგადაც ეუფლება თავის სხეულს, ვითარდება მოტორიკა; ხდება აქტიური სუბიექტის პირველი ჩასახვა, რაც ნებისმიერი ქცევის (ე. ი. ნებელობის) პირველ ჩასახვად ითვლება და შესაძლებელს ხდის პირველი ჰიგიენური ჩვევების შემუშავებას, ადვილად ხდება პირობითი რეფლექსების შემუშავება. 4. ძ. ბ. ა-ის მეორე ნახევარი (6—7 თვიდან წლამდე ან წლინახევრამდე). ბავშვი სწრაფად ეუფლება საკუთარ სხეულს — ფოფხავს, ჯდება, სწავლობს სიარულს, რის შედეგადაც მისთვის პრაქტიკულად მისაწვდომი ხდება სივრცე და უფართოვდება სივრცეში ორიენტაციის უნარი; იწყებს ე. წ. „ექსპერიმენტულ თამაშს“; საგნებით მანიპულაციის შედეგად საგნებსა და ბავშვებს შორის მყარდება მარტივი დამოკიდებულება, ე. ი. იწყება „პრაქტიკული ინტელექტის“ პირველი ჩასახვა — „გონივრი მოქმედების“ უნარის განვითარება: ერთი საგნის გამოყენება მეორის ამოქმედების საშუალებად („იარაღად“). დამახასიათებელია აგრეთვე ცვლილებები სოც. გარემოსთან დამოკიდებულებაში: აქტიური ხდება ბავშვის დამოკიდებულება მოზრდილებთან — იწყებს ტიტინს, მოფერებას და ამ პერიოდის ბოლოს — მეტყველებასაც, რაც არსებითად დაკავშირებულია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ წაბაძვის ძლიერ ტენდენციასა და მეხსიერების განვითარებასთან. ბავშვი იწყებს ცალკეული სიტყვების გამოთქმას, რომელსაც „ერთსიტყვიანი წინადადების ხასიათი“ უწოდებენ, რადგანაც თითოეული სიტყვა საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ გამოხატავს ბავშვის განცდას, რ-საც მეტყველი ადამიანი მთელი წინადადებით გამოხატავდა. რ. ნათაძე.

**ძუძუაძე** [illegible] ძე (დ. 1. I. 1935, სოფ. ყორნისი, ზნაურის რ-ნი), ოსი საბჭ. პოეტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. სკკპ წევრი 1963-იდან. დაამთავრა მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1967). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1948, ლექსების პირველი წიგნი „პირველი სიტყვა“ — 1956. ავტორია ლექსთა კრებულებისა „რომანტიკა“ (1959), „ქარი დროისა“ (1960), „წვიმის ცეცხლი“ (1964), „ლექსები“ (1967), „რჩეული“ (1970) და სხვ.; მონოგრაფიული ნაშრომებისა „ჩერმენ ბეჯიზათის შემოქმედება“ (1964), „ომი და გული“ (1966), „კოსტა ხეთაგუროვის რეალიზმის შესახებ“ (1979) და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია ქართ., რუს., ბელორ., უკრ., ალთაურ და სხვ. ენებზე. ოსურად თარგმნა გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, ი. აბაშიძის და სხვ. ლექსები.

**ძღვენი**, საზეიმოდ მირთმეული რამ, — მოსაკითხი ძვ. საქართველოში ძ. იყო საპატიო ბეგარის სახეობა — დღესასწაულებში ყმებისაგან მებატონისათვის მისართმევად დაწესებული საჭმელ-სასმელი, აგრეთვე „საითათო გამოსაღებელი“ (მონღ. მოხელეებისა და თურქ. სულთნისათვის). შეფისათვის მისართმევ სხვადასხვაგვარ ძ-ს („სანახავი ძ.“, „ძ. საწვლისთათვის ერისთავთა“, „გულათური ძ.“, „გარეჯული ძ.“) აწესებდა „გარიგება ხელმწიფის კარისა“. ლ ო გ ი ნ ი ს ძ. — მოსაკითხი ახლად მოლოგინებულისათვის. იხ. აგრ. ფეშქაში, ჩექობა, ნიში (სამართ. ისტ.).

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—8, თბ., 1963—85.
ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979, გვ. 640—641, 650, 657, 661—662; ტ. 4, თბ., 1973, გვ. 463, 471, 482; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 169, 180—183, 193—194; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., ქართული ფეოდალურ-ბურჟუაზიული სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, გვ. 18—19, 26—27, 34—35.
ი. ფუტკარაძე.






**წ**, ქართული ანბანის ოცდამეცხრე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთორმეტე) ასო; მისი სახელია „წილი", გრაფ. სიმბოლოთ წინაენისმიერი აბრუპტივი სისინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴜ, ნუსხურში — ⴜ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ოთხიათასს (4000).

ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია ასო წ წ-ს გრაფ. მოხაზულობის ცვალებადობა სამი სახის (ქართული დამწერლობის სამივე სახეობა — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა), რომლებიც ამოკრებილია V — XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან

**წაბლანა**, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (ჭვანის სოფსაბჭო), მდ. ჭვანის (აჭარისწყლის აუზი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1220 მ, შუახევიდან 11 კმ ძ. სტალინის სახ. სამეურნეოს კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი.

**წაბლანა**, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ხიხაძირის სოფსაბჭო), მდ. ხიხანის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1220 მ, ხულოდან 20,5 კმ. ფ. ენგელსის სახ. ხიხაძირის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა), საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), სამედიცინო-სამეანო პუნქტი.

**წაბლა ნიადაგები**, მშრალი სტეპის ნიადაგის ტიპი. მნიშვნელოვანი ფართობი უკავია თურქ., ირანი, ჩრდ. ჩინეთის, აშშ-ს, არგენტ. ტერიტორიებზე. სსრკ-ში წ. ნ. გავრცელებულია ყაზახეთში, უკრ. და მოლდ. სამხრ. ნაწილში, ჩრდ. კავკასიაში, დას. ციმბირის სამხრ. რეგიონში, ვოლგისპირეთის შუა და სამხრ. ნაწილში და სხვ. წ. ნ-ის ნიადაგწარმომქმნელი ქანებია კარბონატული, ლიოსისებრი ნაფენებია, იშვიათად — ლიოსისებრი, სტრუქტურა — გოროხოვან-მარცვლოვანი, აქვს ცუდი ფიზ. თვისებები. უმთავრესად თიხნარი ან მძიმე თიხნარია. წ. ნ. იყოფა მუქ წაბლა, წაბლა და ღია წაბლა ნიადაგებად. სსრკ-ში წ. ნ-ის საერთო ფართობი, მლაშობ წაბლანიადაგებთან და წაბლა ბიცობის კომპლექსითურთ, შეადგენს 107,4 მლნ. ჰა.

ლ. ნაკაიძე

**წაბლარასწყალი**, მდინარე მაიაკოვსკის რ-ნში. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, 2 200 მ სიმაღლეზე, ერთვის ხანისწყალს. სიგრძე 29 კმ, აუზის ფართ. 230 კმ². წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. წყალმოვარდნები — შემოდგომა-ზამთარში. წყალმცირობა — ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 6,16 მ³/წმ.

გ. გოგიჩაიშვილი.

**წაბლარასხევი**, სოფელი მაიაკოვსკის რ-ნში (წითელხევის სოფსაბჭო), მდ. წაბლარასწყლის (ხანისწყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 340 მ, მაიაკოვსკიდან 10 კმ, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 კმ. ვ. ი. ლენინის სახ. მაიაკოვსკის კოლ-ბა (მევენახეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა. სოფ. წყალთაშუაში (2 კმ).

**წაბლა წყალმცენარეები** (Phaeophyta), სპოროვან მცენარეთა განყოფილება (ტიპი). თალუსი შეფერილია ღია მწვანიდან მუქ წაბლისფრამდე; უჯრედებს აქვს ქრომატოფორებში არსებული ფუკოქსანთინი, რ-იც სხვა პიგმენტების შეფერვას ნიღბავს. წ. წ. განსხვავებული ფორმისა და ზომისაა — მიკროსკოპულიდან 60 მ-მდე. უფრო მაღალი ორგანიზაციის მქონე წ. წ-ს (ლამინარიასნაირნი) აქვთ რთული ანატომიური აგებულების დიფერენცირებული სხეული თავისი განსაკუთრებული ელემენტებით. უჯრედის გარსი შეიცავს ცელულოზას და სპეციფიკ-

**კაპიტალიზმის დროს** წ-ის მიზანია ზედმეტი ღირებულების წარმოება. კაპიტალიზმმა დააჩქარა წ-ის განვითარება, შექმნა აღრინდ. წ-ის წესთან შედარებით უმაგალითოდ მძლავრი საწარმოო ძალები, უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში წ-ის განვითარება და მასთან განპირობებული ეროვნ. სიმდიდრის ზრდა დაკავშირებულია ბურჟ. საზ-ბის ანტაგონისტური წინააღმდეგობების გაღრმავებასთან. კაპიტალ. კონკურენცია მუდმივად არღვევს წ-ის განვითარებისათვის აუცილებელ პროპორციებს ამასთან კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე ძლიერდება წარმოების განსაზოგადოება. ეს კი იწვევს კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის გამწვავებას — წინააღმდეგობას წ-ის საზ. ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალ. ფორმას შორის.

**სოციალიზმის დროს** წ-ის მიზანი აისახება სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონში. წ-ის საშუალებებზე საზ. საკუთრების წარმოქმნა წარმოშობს სახ. მეურნ. მასშტაბით გეგმიანი გაძღოლის ეკონ. საფუძველს. ეს შესაძლებლობას იძლევა სოციალიზმს კაპიტალიზმთან შედარებით წ. უფრო მაღალი ტემპებით განავითაროს (იხ. ცხრილი). სოციალ. წ-ის დამახასიათებელი ნიშანია მისი სწრაფი და მყარი ზრდა. სოციალ. წ-ის განვითარებას ახასიათებს თვისებრივი ცვლილება ტექ. დონეში, დარგობრივსა და ტერიტ. სტრუქტურაში. სოციალ. წ-ის ტექ. დონის ამაღლება ვლინდება შრომის ფონდშეიარაღების, მისი ენერგოშეიარაღების, თანამედროვე და უფრო ეფექტურ ტექ. და ტექნოლ. ზრდაში. მაგ., 1970—84 წწ. მრეწველობაში საშ. რიცხვ. წარმოებითი პერსონალის ფონდშეიარაღება გაიზარდა 246%-ით, ხოლო 1985 წ. 1940-თან შედარებით მრეწველობაში შრომის ენერგოშეიარაღება — 7,9-ჯერ და ა. შ.

სოციალ. წ. განვითარების პროცესში მრავალ ეტაპს გაივლის თანამედროვე ეტაპზე წ-ის დამახასიათებელი თავისებურებაა მოხმარების საგნების წ-ის (ჯგუფი „ბ") ზრდის ტემპის დაახლოება წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპთან (ჯგუფი „ა"), მაღლდება საზ. წარმოების ეფექტურობა.

**წარმოებითი სტრუქტურა** სამრეწველო საწარმოსი (გაერთიანებისა). ქვედანაყოფების კომპლექსი, მათი თანაფარდობა და ურთიერთკავშირი პროდუქციის დამზადების პროცესში. პირველადი სტრუქტურული წარმოებითი ერთეულია სამუშაო ადგილი, სადაც ცალკეული ოპერაციები სრულდება. სამუშაო ადგილები ერთიანდება წარმოებით უბნებად, რ-ებიც ქმნიან საამქროს. წარმოების პროცესში შესასრულებელი როლის მიხედვით განასხვავებენ ძირითად, დამხმარე და მომსახურე საამქროებსა და უბნებს. ძირითადი ქვედანაყოფები (დამამზადებელი, დამამუშავებელი, საამწყობო) იქმნება ძირითადი წარმოების ირგვლივ. დამხმარე ქვედანაყოფები (საიარაღო წარმოება, ენერგეტ. და სარემონტო მეურნეობები და სხვ. (იხ. *დამხმარე წარმოება*)) ამზადებენ იმ პროდუქციას, რ-საც მოიხმარს ძირითადი წარმოება. მომსახურე რგოლების დანიშნულებაა ნედლეულისა და მასალის შენახვა (სასაწყობო მეურნ.), შრომის საგნების გადაზიდვა (სატრანსპ. მეურნ.) და ა. შ. საწარმოს მართვის ორგანოები კი წარმართავენ და არეგულირებენ მთლიანად წარმოებას.

**წარმოებითი ურთიერთობა**, საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანებს შორის მატერიალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობა. წ. უ. საწარმოო ძალებთან ერთად წარმოშობენ ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესს მთლიანი წარმოების წესი და წ. უ-თა ერთობლიობა ქმნის ერთიან სისტემას, საზ-ბის ეკონ. სტრუქტურას, ბაზისს, რ-ზედაც იგება საზ-ბის ზედნაშენი. წ. უ-თა ერთიანი სისტემის საფუძველია საკუთრებითი ურთიერთობა. წ. უ-თა ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ ვის საკუთრებაშია წარმოების საშუალებები, როგორ ხორციელდება მათი შეერთება უშუალო მწარმოებლებთან და როგორია მატერ. და სულიერი დოვლათის მითვისების საზ. ფორმა. ვისაც ეკუთვნის წარმოების საშუალებანი, ის არის წარმოებული პროდუქტის მესაკუთრე იმის მიუხედავად, მიიღო მან უშუალო მონაწილეობა პროდუქტის წარმოებაში თუ არა. წარმოების საშუალებებზე საკუთრების ესა თუ ის ისტ.-საზ. ფორმა განსაზღვრავს განაწილებითს ურთიერთობას და სხვადასხვა სოც. ჯგუფის (კლასის) მდგომარეობას საზ-ბაში. წ. უ. საწარმოო ძალების სოც. ფორმაა და ყალიბდება საწარმოო ძალების ხასიათისა და მისი განვითარების დონის მიხედვით. ამ პროცესში წ. უ-სა და საწარმოო ძალებს შორის წარმოიშობა წინააღმდეგობები, რ-ებიც ანტაგონისტურ საზ-ბაში გადაიჭრება სოციალ. რევ. გზით. ისტორიისათვის ცნობილია წ. უ-ის ხუთი ტიპი და შესაბამისად წარმოების ხუთი წესი: პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდ., კაპიტალ. და კომუნისტური. პირველყოფილ თემური წ. უ. არის ადამიანთა საზ-ბის განვითარების ყველაზე ადრინდ. ურთიერთობა, მონათმფლობელური, ფეოდ. და კაპიტალისტური კი კერძომესაკუთრული ექსპლუატატორული ურთიერთობებია.

სოციალ. წ. უ-ის წარმოშობას აქვს სპეციფ. თავისებურება. იგი ჩაისახება არა ძვ. ბურჟ. საზ-ბის წიაღში, არამედ წარმოიშობა სოციალ. რევ. შედეგად წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა და მატერ. დოვლათის უშუალო მწარმოებლებთან საზ. წარმოების საშუალებების შეერთების საფუძველზე. წ. უ-ის სისტემაში შედის აგრეთვე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობა. წ. უ. ყოველ საზ-ბაში ვლინდება როგორც ეკონ. ინტერესები. სოციალ. წ. უ-თვის დამახასიათებელია საზ-ბის, კლასების, საწარმოო კოლექტივების, თითოეული მუშაკის ინტერესთა ერთიანობა, სადაც წამყვანია საერთო-სახალხო ინტერესები. წ. უ. ყველა ფორმაციაში ატარებს ობიექტურ ხასიათს. სოციალიზმამდელ ფორმაციებში იგი ფუნქციონირებს სტიქიურად, კომუნ. წარმოების წესისათვის კი დამახასიათებელია წ. უ-ის მთელი სისტემის გეგმაზომიერი ფუნქციონირება — საზ-ბას აქვს შესაძლებლობა განჭვრიტოს ურთიერთობის მოქმედების შედეგები და სრულყოს წ. უ. ეს არის საზ. ურთიერთობაზე ადამიანთა ბატონობის ახ. თვისებრივი საფეხური. სოციალ. წ. უ-ის სრულყოფა და მისი გეგმაზომიერი გადაზრდა კომუნისტურში არის კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1977; მარქსი კ., ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობის დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის" I თავი), რჩეული ნაწარმოებნი, ტ. 1, თბ., 1979; მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954; ლენინი ვ. ი., იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 22; [illegible], საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, იქვე, ტ. 27; სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986; სკკპ პროგრამა. ახალი რედაქცია, თბ., 1986.

*[illegible]*

**წარმოებითი ფონდები**, მატერიალური წარმოებისათვის აუცილებელი წარმოების საშუალებები. წარმოების პროცესში წ. ფ-ს მზა პროდუქტზე გადააქვს თავისი ღირებულება. ღირებულების გადატანის წესის მიხედვით წ. ფ. იყოფა **ძირითად და საბრუნავ ფონდებად**. წარმოებითი ძირითადი ფონდები (ძირითადად **შრომის საშუალებები**) წარმოებაში მონაწილეობს მრავალი ციკლის განმავლობაში, რის გამოც მისი ღირებულება მზა პროდუქტზე გადაიტანება მისი ცვეთის კვალობაზე.

წარმოებითი საბრუნავი ფონდები (უპირატესად შრომის საგნები) ბრუნვა მთლიანად ერთი წარმოებითი ციკლის განმავლობაში, ხოლო მისი ღირებულება მთლიანად გადაიტანება ახლად შექმნილ პროდუქტზე. მათი ბრუნვის დრო შედარებით მცირეა სსრკ მრეწველობაში 70-იანი წწ. დასაწყისში იგი უდრიდა 70 — 75 დღეს.

წ. ფ-ის შემადგენლობაში ჭარბობს წარმოებითი ძირითადი ფონდები 1984 სსრკ წარმოებითმა ძირითადმა ფონდებმა შეადგინა 1489 მლრდ. მან. ხოლო საბრუნავმა საშუალებებმა — 899,4 მლრდ. მან. წარმოებითი ძირითადი ფონდების ზრდა (იხ. ცხრილი), საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საზ. წარმოების განვითარებას, „ეკონომიკურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება" (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1984, გვ. 200). ძირითად ფონდებზე მოდის ქვეყნის წ. ფ-ის 66,6% (საქ. სსრ-ში — 64,2%).

მატერ. წარმოების ყველა დარგში (მშენებლობის გარდა) წარმოებითი ძირითადი ფონდები, მოცულობის მიხედვით, შეადგენს წ. ფ-ის მთავარ ნაწილს, მაგ., 1985 წ. I იან-ისთვის სსრკ მრეწველობაში წარმოებითი ძირითადი ფონდები შეადგენდა 720 მლრდ მან (ე. ი. მრეწველობაში არსებული წ. ფ-ის 79,5%), სოფ. მეურნეობაში — 306 მლრდ. მან. (85%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 304 მლრდ მან (96,7%), მშენებლობაში — 76 მლრდ მან (39,8%).

ძირითადი ფონდების მატებით იზრდება შრომის ფონდშეიარაღება. წარმოებითი ძირითადი ფონდები შრომის საშუალებების ფუნქციების თავისებურების შესაბამისად იყოფა სახეებად: შენობა, ნაგებობა, გადამცემი მოწყობილობა, მანქანები და მოწყობილობა, სატრანსპ. საშუალება, ინსტრუმენტი, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი და სხვ.

ძირითადი ფონდების სტრუქტურის შეფასების არსებითი ნიშანია მისი დაყოფა პასიურ (შენობა და ნაგებობა) და აქტიურ (უმთავრესად მანქანები და მოწყობილობა) ნაწილებად. წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარია ძირითად ფონდებში მისი აქტ. ნაწილის ამაღლება. სამეცნ.-ტექ. პროგრესი ხელს უწყობს ძირითადი ფონდების აქტ. ნაწილის გადიდებას.

ძირითადი ფონდები მისი ფუნქციონირების პროცესში ფიზიკურად ცვდება, კარ-

ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი სოციალისტურ, განვითარებულ კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში (1950=1)

| წლები | სოციალისტური ქვეყნები | მ. შ. სსრ კავშირი | განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები | განვითარებადი ქვეყნები |
|---|---|---|---|---|
| 1960 | 2,6 | 2,5 | 1.5 | 1.6 |
| 1970 | 4,6 | 4,8 | 2,4 | 2,8 |
| 1980 | 8,0 | 8,0 | 3,3 | 4,8 |
| 1984 | 9,6 | 9.1 | 3,6 | 5,4 |
| მატების საშუალოწლიური ტემპები, პროცენტებში | | | | |
| 1951—1984 წწ. | 6,8 | 6,7 | 3,8 | 5,1 |
| 1971—1984 წწ | 5,2 | 4.7 | 2,9 | 4,9 |
| 1981—1984 წწ. | 4,3 | 3 2 | 2,1 | 3,0 |

გადაცემს თავის სრულ ღირებულებას (ან ამორტიზაციას ძირითადი ფონდების.)

ძირითადი ფონდები ფიზ. ცვეთის გარდა განიცდის მორალურ ცვეთას. ამ შემთხვევაში მცირდება ძირითადი ფონდების ღირებულება სამეცნ.-ტექნ. პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. მორალური ცვეთა მოითხოვს ძირითადი ფონდების სხვადასხვა შეფასების აუცილებლობას სრული აღდგენითი ღირებულების მიხედვით (სხვაობა სრულ დაწყებით ღირებულებასა და მორალური ცვეთით გამოწვეულ დანაკარგებს შორის) და დარჩენილი აღდგენითი ღირებულების მიხედვით (სხვაობა სრულ აღდგენით ღირებულებასა და მატერ. ცვეთის სიდიდეს შორის).

ტექ. პროგრესი ქმნის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთ პირობას, რ-იც ფარავს მორალური ცვეთის დანაკარგს, ამიტომ იგი სახ. პროგრესის მძლავრი ფაქტორია. მოძველებული ტექ. დროული შეცვლა სახ. მეურნ. ეფექტური გაძღოლის აუცილებელი პირობაა.

ძირითადი ფონდების მოძრაობის პროცესი ხასიათდება სხვადასხვა მაჩვენებლით, რ-თაგან მნიშვნელოვანია განახლების კოეფიციენტი, რ-იც ახასიათებს მოცემულ პერიოდში ექსპლუატაციაში შესული ახ. ძირითადი ფონდების ღირებულების ხვ. წ. პერიოდის დასაწყისის ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში, მწყობრიდან გამოსვლის კოეფიციენტი, რ-იც ახასიათებს ძირითადი ფონდების მწყობრიდან გამოსვლის ინტენსიურობას. იგი განისაზღვრება როგორც თანაფარდობა მწყობრიდან გამოსული ძირითადი ფონდების ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული ძირითადი ფონდების ღირებულებას შორის.

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება ასახავს კავშირს წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და წარმოებითი ძირითადი ფონდების ღირებულებას შორის; იგი ერთი ერთმანეთთან დაკავშირებული მაჩვენებლით — ფონდუკუგებით და ფონდტევადობით გამოიხატება.

საბრუნავი ფონდები მოიცავს შრომის საგნებს — წარმოების მარაგს (ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა, სათბობი, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და ა. შ.) და დაუმთავრებელ პროდუქციას (საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები და დანახარჯი მომავალი პერიოდისათვის, ე. ი. დანახარჯი იმ პროდუქციაზე, რ-იც მომავალში გამოიშვება). დაუმთავრებელი პროდუქციის ღირებულებაში შედის მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი, რ-იც დარიცხულია ამ პროდუქციის გამოშვების დროს. საბრუნავ ფონდებს მიეკუთვნება აგრეთვე მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი შრომის საშუალებები, რ-თა ღირებულება არ აღემატება 100 მან. ან რ-თა სამსახურის ვადა, მიუხედავად მათი ღირებულებისა, ერთ წელზე ნაკლებია.

საბრუნავი ფონდების გამოყენების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია პროდუქციის მასალატევადობა, რ-იც ასახავს შრომის საგნების ერთობლივ ხარჯვას პროდუქციის წარმოებაზე როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი მაჩვენებლებით. იგი განისაზღვრება სახ. მეურნ. მასშტაბით:

$$მტ = \frac{\text{მატერიალური დანახარჯების ღირებულება (ამორტიზაციის გარეშე)}}{\text{მთლიანი ერთობლივი პროდუქტი (ერთობლივი შემოსავალი)}}$$

ცალკეული საწარმოს მიხედვით:

$$მტ = \frac{\text{მატერიალური დანახარჯების ღირებულება (ამორტიზაციის გარეშე)}}{\text{სასაქონლო ან მთლიანი პროდუქცია}}$$

პროდუქციის მასალატევადობის შემცირება შესაძლებელია მანქანა-მოწყობილობების წონის შემცირებით, ტექნოლ. პროცესის სრულყოფით, მეორეული რესურსების გამოყენებით, ხარჯვის ნორმების შემცირებით და ა. შ.

წ. ფ-ის ბრუნვის პროცესში საბრუნავი ფონდები მიმოქცევის ფონდებთან ერთად ქმნის საბრუნავ საშუალებებს.

**წარმოებითი ფონდების ბრუნვა** სოციალისტური საწარმოების (გაერთიანებების), განუწყვეტლივ განახლებადი წარმოებითი ფონდების წრებრუნვა.

წ. ფ. ბ-ის დრო შედგება წარმოების დროისა და მიმოქცევის დროის ჯამისაგან. წარმოების დრო არის წარმოებითი ფონდების ხანგრძლივობა წარმოების სფეროში. იგი მოიცავს პერიოდს საწარმოში წარმოების საშუალებების შესვლიდან საწარმოს მზა პროდუქციის გამოშვებამდე.

წარმოების დროში შედის: 1 დრო, რ-ის განმავლობაში წარმოების საშუალებები საწარმოო მარაგის სახითაა და რ-იც აუცილებელია წარმოების პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად; 2 შრომის პროცესის დრო, რ-ის მსვლელობაში ცოცხალი შრომა უშუალოდ უერთდება წარმოების ნივთობრივ და პიროვნულ ფაქტორებს. ამ დროს უწოდებენ სამუშაო პერიოდს, რ-იც წარმოების დროის მთავარი ელემენტია. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოცემული წარმოების ხასიათზე (მრეწვ., სოფ. მეურნ. და ა. შ.), წარმოების ტექ. შეიარაღებულობასა და ორგანიზაციაზე, წარმოებული პროდუქციის თვისებრივ ხასიათზე და ა. შ., აგრეთვე სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის ნაყოფიერების დონეზე; 3 შრომაში წყვეტილობის დრო (მოცდენა, შესვენება და სხვ.); 4 წყვეტილობა შრომის საგნების უშუალო დამუშავებისას, რ-ის განმავლობაში შრომის საგნები განიცდის ბუნებრივ ან ხელოვნური პროცესების ზემოქმედებას (მოსავლის მომწიფება, ღვინის დადუღება, მერქნის შრობა, ტყავის დათრიმვლა და ა. შ.).

სოციალიზმის დროს წარმოების დროის შემცირების მასტიმულირებელი მოტივია სახ.-ბის მისწრაფება აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა და დროის შედარებით მცირე მონაკვეთში შექმნას უხვი მატერ. დოვლათი. წარმოების დროის შესამცირებლად საჭიროა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, რაც უზრუნველყოფს წარმოებითი ფონდების ბრუნვის დროის შემცირებას. ამ ტენდენციას ემსახურება წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფა და მისი რიტმულობის გაძლიერება; სოციალისტური შეჯიბრება, ცალკეული საწარმოს სპეციალიზაციის გაღრმავება და მ. შ. კოოპერირების სრულყოფა, ხელშეკრულებათა დაცვა და ა. შ.

მიმოქცევის დრო მოიცავს მიმოქცევის სფეროში წარმოების საშუალებების ხანგრძლივობის დროს. მასში შედის: 1. დრო, რ-ის განმავლობაში სარეალიზაციო საქონელი საწარმოს საწყობებშია; 2 მომხმარებლამდე მზა პროდუქციის ტრანსპორტირების დრო; 3. მზა პროდუქციის რეალიზაციის დრო; 4. დრო, რ-იც საჭიროა ახ. წარმოების საშუალებების შესაძენად.

მიმოქცევის დროის შემცირება უმთავრესად დამოკიდებულია ტექ. განვითარების დონეზე, გასაღების ორგანიზაციისა და მატერ.-ტექ. მომარაგების სრულყოფის ხარისხზე, საწარმოს მიერ ყველა ვალდებულების შესრულებაზე ყველა მაჩვენებლის მიხედვით (ნომენკლატურა, ასორტიმენტი, ხარისხი და სხვ.), რაც გამორიცხავს ამ საქონლის რეალიზაციის შეფერხებას.

სოციალ. სახ.-ბა დაინტერესებულია წ. ფ. ბ-ის დაჩქარებით. ვინაიდან რაც უფრო მცირეა ფონდების ბრუნვის ხანგრძლივობა, მით უფრო მეტი მატერ. დოვლათი იწარმოება იგივე დანახარჯებით, გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობის ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა შრომის ნაყოფიერება, რენტაბელობა, პროდუქციის თვითღირებულება, ფონდუკუგება და ა. შ.

**წარმოებითი ფონდების წრებრუნვა**, წარმოებითი ფონდების მოძრაობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში. ამ მოძრაობისას ისინი გადიან სამ სტადიას და შესაბამისად იძენენ სამ ფუნქციურ ფორმას. სოციალ. საწარმოები თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. სამეურნეო ანგარიშზე აღმოცენებული ურთიერთობის მატერ. საფუძველია საწარმოს განკარგულებაში არსებული წარმოებითი ფონდები.

სოციალ. კვლავწარმოების მსვლელობაში წარმოებითი ფონდების მუდმივი მოძრაობის შედეგია ახ. სამეურნეო ღირებულების შექმნა და ღირებულების ზრდა. ამ მოძრაობაში სოციალ. საწარმოების ფონდების ფულადი ფორმა გარდაიქმნება საწარმოო ფორმად, საწარმოო ფორმა — სასაქონლოდ, ხოლო სასაქონლო ფორმა — კვლავ ფულად ფორმად, ე. ი. წარმოებითი ფონდე-

ძირითადი ფონდები სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით (წლის ბოლოს; 1973 წ. შესადარ ფასებში; მლრდ. მანეთებში)

| | სსრკ 1970 მლრდ. მან. | სსრკ 1975 მლრდ. მან. | სსრკ 1984 მლრდ. მან. | სსრკ 1984 პროცენტებში ჯამის მიმართ | საქ. სსრ 1970 მლრდ. მან. | საქ. სსრ 1975 მლრდ. მან. | საქ. სსრ 1984 მლრდ. მან. | საქ. სსრ 1984 პროცენტებში ჯამის მიმართ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთელი ძირითადი ფონდები (პირუტყვის ჩათვლით) | 860 | 1256 | 2216 | 100 | 14.1 | 18,9 | 31.1 | 100 |
| წარმოებითი ძირითადი ფონდები | 531 | 805 | 1489 | 67,1 | 8,5 | 11,8 | 20,5 | 65,9 |
| აქედან: | | | | | | | | |
| მრეწველობაში | 255 | 385 | 720 | 32,5 | 3,4 | 4,6 | 8,6 | 27,7 |
| სოფლის მეურნეობაში | 106 | 137 | 306 | 13,8 | 2,2 | 3,1 | 5,2 | 16,6 |
| ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში | 117 | 171 | 304 | 13,7 | 2,2 | 3,0 | 4,7 | 15,2 |
| მშენებლობაში | 22 | 35 | 76 | 3,4 | 0,3 | 0,5 | 0,9 | 3,0 |
| მატერიალური წარმოების სხვა დარგებში | 31 | 47 | 83 | 3,7 | 0,4 | 0,7 | 1,1 | 3,4 |

ბი ასრულებენ წრებრუნვას სოციალ. საწარმოების ფონდებს ერთდროულად სამივე ფუნქციური ფორმა აქვს. ეს უზრუნველყოფს მათი მოძრაობის პროცესის უწყვეტობას როგორც წარმოების, ასევე მიმოქცევის სფეროში სავსებით ფორმით სოციალ. წ. ფ. წ. ემსგავსება კაპიტალის წრებრუნვას (იხ. კაპიტალის წრებრუნვა და ბრუნვა): ფ—ს<(წს / სძ) ... წ ... ს'—ფ', ფაქტობრივად კი მ. შ. პრინციპული სოც.-ეკონ. განსხვავებაა სოციალ. საწარმოს ფონდები, განსხვავებით კაპიტ. საწარმოს ფონდებისაგან, სახ. საკუთრებაა და გეგმაზომიერად გამოიყენება მთელი საზ-ბის საკეთილდღეოდ. ფონდების წრებრუნვას არ ახასიათებს კაპიტალის წრებრუნვის ისეთი ელემენტი, როგორიცაა სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, ყიდვა; ფონდების წრებრუნვის მიზანია სახმარ ღირებულებათა მასის წარმოება; შესაბამისად, მთელი საზ-ბის მატერ. და კულტ. მოთხოვნილებების მაქს. დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, წ. ფ. წ. როგორც მთლიანად, ისევე ცალკეულ სტადიაზე გეგმაზომიერად ხორციელდება; სოციალ. მეურნეობაში წ. ფ. წ-ის უწყვეტობა არ აწყდება კაპიტალის წრებრუნვისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ წ. ფ. წ-ის პროცესში შეიძლება გამოვლინდეს არაანტაგონისტური წინააღმდეგობა კერძოდ, წინააღმდეგობა საწარმოში ფულადი მასის მოძრაობასა და მატერ. ფონდებს შორის. წრებრუნვის მესამე სტადია ყველაზე მწვავეა კაპიტალ. საწარმოებისათვის. სოციალიზმის დროს კი იგი გეგმაზომიერად, მაგრამ არაავტომატურად ხორციელდება, შეფერხებებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამივე სტადიაზე, მაგრამ სოციალიზმის დროს არ არსებობს ნორმალური წრებრუნვის ხელშემშლელი ობიექტური პირობები.

წ. ფ. წ-ის პირველადი სტადია, რ-იც მიმდინარეობს მიმოქცევის სფეროში, ფულადი სტადიაა. ამ დროს ფულის (ფ) მეშვეობით ხდება წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წარმოების საშუალებების (წს) ანუ საქონლის (ს) შეძენა. ამ სტადიაზე წ. ფ. წ-ის ფორმულაა ფ ს (წს). აქ ეკონ. სტიმულირების სისტემა (გადასახდელი წარმოების ფონდებზე) ხელს უწყობს ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, ხოლო ახ. ტექ. დანერგვა — ცოცხალი შრომის ეკონომიას. წ. ფ. წ-ის პირველ სტადიაზე მნიშვნელოვანია საწარმოებში ნედლეულისა და მასალების საწარმოო მარაგის ნორმირება და ა. შ.

წ. ფ. წ-ის II სტადია მიმდინარეობს წარმოების სფეროში, სადაც შრომის პროცესში იქმნება ახ. წმინდა პროდუქტი, რის შედეგად საწარმო ღებულობს მოგებას. ეს არის წ. ფ. წ-ის მთავარი და გადამწყვეტი სტადია, რ-ის დროს ერთდება წარმოების ნივთობრივი (წარმოების საშუალებები) და პირადული ფაქტორების (სამუშაო ძალა) შეერთების განსაკუთრებული წესი. II სტადიაზე წ. ფ. წ-ის ფორმულაა ს (წარმ. (საშ.) ... წ ... ს' / სამუშაო ძალა).

წ. ფ. წ-ის III სტადიაზე — სასაქონლო სტადიაზე — მიმდინარეობს მზა პროდუქტის, როგორც საქონლის, რეალიზაცია: ს'-ფ'. იგი დაკავშირებულია მიმოქცევის სფეროსთან. ამ სტადიის მთავარი მიზანია წარმოებული საქონლის რეალიზაცია. ეს საწარმოს საშუალებას აძლევს ფულადი ფორმით აანაზღაუროს საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯები (თვითღირებულება) და მიიღოს წმინდა შემოსავალი, რ-ის ერთი ნაწილი მოგების ფორმით რჩება საწარმოს, მეორე ნაწილი კი გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში.

წ. ფ. წ-ის სამივე სტადიას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. წრებრუნვის ნორმალური მსვლელობისათვის სტადიებს შორის შეუფერხებელი მოძრაობა უნდა იყოს. ამა თუ იმ სტადიაზე ფონდების მოძრაობის შეფერხება არღვევს წ. ფ. წ-ის ნორმალურ პროცესს.

წარმოების პროცესის უწყვეტობის აუცილებელი პირობაა ფონდების მოძრაობა ერთდროულად სამივე სტადიასა და ფორმაში ფონდების „სხვადასხვა ნაწილი ერთიმეორის მიყოლებით გაივლის წრებრუნვას", ასე რომ ფონდების „წრებრუნვა თანმიმდევრობით მისი სხვადასხვა წილის წრებრუნვაში ხორციელდება" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 2, თბ., 1957, გვ 152). ამგვარი დაყოფით შესაძლებელია ფონდების მოძრაობის თანმიმდევრობა დროსა და სივრცეში. ფონდების თითოეული ნაწილი რიგრიგობით იღებს და იმორებს თანმიმდევრობით სამივე ფორმას: ფულადს, წარმოებითსა და სასაქონლოს. მაგ., სოციალ. ქ-ნის ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში თავისებური რეზერვუარია, სადაც უწყვეტად ჩაირიცხება და საიდანაც ასევე უწყვეტად გადის ფულადი სახსრები. ქ-ნის საამქროებში ერთდროულად განუწყვეტლივ შემოდის წარმოების საშუალებები და გადის მზა პროდუქცია ასევე ქ-ნის საწყობებში უწყვეტად ხდება საქონლის მიღება და გაცემა. ამრიგად, „მხოლოდ სამი წრებრუნვის ერთიანობაში ხორციელდება ერთობლივი პროცესის უწყვეტობა" (იქვე, გვ 126) წრებრუნვის ფორმულები შემდეგნაირად აღინიშნება

1. ფულადი ფონდების წრებრუნვა

ფ—ს(წს)...წ...ს'(ს+Δს)—ფ'(ფ+Δფ), სადაც |___ ხელფ. ; Δ არის ნამატი

2. საწარმოო ფონდების წრებრუნვა

წ ... ს'—ფ'—ს ... წ'

3. სასაქონლო ფონდების წრებრუნვა

ს'—ფ'—ს ... წ ... ს'.

ფონდების წრებრუნვის უწყვეტობა უზრუნველყოფილია შრომითი, მატერ. და ფინანს. რესურსების საბალანსო შეხამებით, რაც კი მოითხოვს ფონდების წრებრუნვის გეგმაზომიერ ორგანიზაციას ქვეყნის სახ. მეურნ. მასშტაბით.

**წარმოების ავტომატიზაცია**, მანქანური წარმოების განვითარების პროცესი, რ-ის დროსაც მართვისა და კონტროლის ფუნქციები სრულდება არა ადამიანის მიერ, არამედ ხელსაწყოებითა და ავტომატური მოწყობილობებით. წ ა თანამედროვე მრეწვ. განვითარების საფუძველი და მეცნ.-ტექნ. პროგრესის ერთ-ერთი მიმართულებაა. წ. ა-ის მიზანია შრომის ეფექტურობის ამაღლება, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და საწარმოს ყველა რესურსის ოპტიმალური გამოყენებისათვის პირობების შექმნა. განასხვავებენ ნაწილობრივ, კომპლ. და სრულ წ. ა-ს.

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი წ ა (ცალკეული საწარმოო ოპერაციების ავტომატიზაცია) იმ შემთხვევაში ხორციელდება, როცა რთული ჩქარული პროცესების მართვა ადამიანისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია ან როცა პროცესი მიმდინარეობს ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში. წ. ა-ის ამ სახეობას მიეკუთვნება აგრეთვე მძიმე და ერთფეროვანი სამუშაოების ავტომატიზაცია.

კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი წ. ა-ის დროს უბანი, საამქრო, ქარხანა, ელექტროსადგური მოქმედებენ ისე, როგორც მოქმედებს ერთიანი ურთიერთდაკავშირებული ავტომ. კომპლექსი. კომპლ. წ. ა. მიზანშეწონილია მხოლოდ მაღალგანვითარებულ წარმოებაში სრულყოფილი ტექნოლოგიისა და მართვის პროგრ. მეთოდების ბაზაზე უნიკალურ საიმედო ავტომატიზაციის ტექნიკურ საშუალებათა და იმ საწარმოო დანადგარების გამოყენების პირობებში, რ-ებიც მუშაობენ მოცემული ან ოპტიმიზირებული პროგრამით. ამ დროს ადამიანი მხოლოდ აკონტროლებს და მართავს კომპლექსის მუშაობას.

ს რ უ ლ ი წ. ა ითვალისწინებს საწარმოს მართვისა და კონტროლის ყველა ფუნქციის გადაცემას მართვის ავტომ. სისტემებისათვის (იხ. ავტომატური მართვა); ახორციელებენ მაშინ, როცა საწარმო რენტაბელურია, მდგრადია, მისი მუშაობის რეჟიმი უცვლელია, ხოლო შესაძლო ცვლილებები წინასწარ შეიძლება იყოს გათვალისწინებული, აგრეთვე ადამიანისათვის მიუწვდომელ ან სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში.

ავტომატიზაციის ხარისხის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იღებენ მის ეკონ. ეფექტურობასა და მიზანშეწონილობას კონკრ. საწარმოს პირობებში. წ. ა. არ გულისხმობს ავტომატების მიერ ადამიანის სრულ განდევნას, მაგრამ იცვლება ადამიანის მონაწილეობის, აგრეთვე მისი და მანქანის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ადამიანის შრომა იქცევა ან ოპერატორის ფუნქციად, ხდება უფრო რთული და შინაარსიანი. ერთი ადამიანის მუშაობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მთელი უბნის ან საამქროს მუშაობა.

შრომის ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება მუშის კვალიფიკაციაც. უქმდება მძიმე ფიზ. შრომაზე დამყარებული ძველი პროფესიები. წ ა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. იგივე იძლევა ბუნების გარდაქმნის, უდიდესი მატერ. სიმდიდრის შექმნისა და ადამიანების შემოქმედების უნარის გამოვლენის უსაზღვრო შესაძლებლობას.

კაპიტალიზმი ამ შესაძლებლობებს იყენებს მოგების გასადიდებლად და მშრომელთა ექსპლუატაციის გასაძლიერებლად. კაპიტალიზმის პირობებში წ. ა. ხელს უწყობს სოც. ანტაგონიზმის და წარმოქმნის ახ. წინააღმდეგობებს ეს, პირველ რიგში, წინააღმდეგობაა სამეცნ.-ტექნ. რევოლუციის შესაძლებლობასა და იმ დაბრკოლებებს შორის, რ-ებსაც კაპიტალიზმი წარმოქმნის. მთელი საზ-ბის ინტერესების საწინააღმდეგოდ კაპიტალიზმი სამეცნ. აღმოჩენების უდიდეს ნაწილს და დიდძალ მატერ. რესურსებს სამხ. მიზნებისათვის იყენებს.

წ ა. სოციალიზმის პირობებში სახ. მეურნ. განვითარების საფუძველია. საკუთრების სოციალ. ხასიათი, წარმოების გეგმური ორგანიზაცია, ფიზ. და გონებრივი შრომის მუშაკთა მონაწილეობა მეურნეობის მართვაში ხელს უწყობს ქვეყნის ეკონ. განვითარებას და მთელი სისრულით აკმაყოფილებს საზ-ბის ყველა წევრის მოთხოვნილებებს. სსრკ-ში წ ა. ხელს უწყობს ფიზ. და გონებრივ შრომას შორის განსხვავების თანდათანობით ლიკვიდაციას. მაღალმა ეკონ. ეფექტურობამ, ტექნოლ. მიზანშეწონილობამ და სოციალ.-პოლიტ. აუცილებლობამ ხელი შეუწყო ავტომატიზაციის დანერგვას მრეწვ. თითქმის ყველა დარგში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ენერგეტიკასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში. მისთვის დამახასიათებელია ეკონ. რესურსების (ენერგიის, ნედლეულის, დანადგარების, სამუშაო ძალისა და კაპიტალდაბანდებების) ეფექტური გამოყენება ამასთან ერთად გამოსაშვები პროდუქცია ერთგვაროვანია და უმჯობესდება მისი ხარისხი, მაღლდება დანადგარებისა და ნაგებობათა ექსპლუატაციის საიმედოობა. სოციალ. სახელმწიფო წ ა-ს ახორციელებს სახ. მეურნ. განვითარების ერთიანი კომპლ. გეგმის შესაბამისად, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება ემყარება მეცნ. პროგრესს, უახლესი სამეცნ. აღმოჩენებისა და იდეების გამოკვლევების გამოყენებას მატერ. ფასეულობათა შესაქმნელად. ამიტომ, პირველ რიგში, ს სა-

წარმოების წარმოებითისა და არაწარმოებითის სფეროებში; სახელმწ. ფინანსების სისტემას (სახელმწ. ბიუჯეტი და სახელმწ. კრედიტი), სახელმწ. დაწესებულებისა და აპარატს ეკონ. მომსახურებისა და რეგულირებისათვის (ინფორმაციულ-სტატ. სამსახური, სახელმწ. ქონების რეგულირებისა და მართვის ორგანოები და ა. შ.).

სახელმწ. მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა უმნიშვნელოვანესი სახელმწ. კომპანიების ჩართვა წარმოებისა და კაპიტალ. ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რ-შიც ისინი ასრულებენ ძალზე აქტიურ როლს და ასტიმულირებენ ტრანსეროვნ. სახელმწიფო-კაპიტალის განვითარებას. სახელმწ. კომპანიები ქმნიან საზღვარგარეთულ ფილიალებს უცხოეთის სამრეწვ. ჯგუფებთან ერთად მაგ., „რენო" (საფრანგეთი) უშვებს ავტომობილებს მსოფლიოს 23 ქვეყანაში და საზღვარგარეთ ყიდის თავისი მთლიანი პროდუქციის მესამედზე მეტს. თანამედროვე პირობებში წ. ქ-ის პროცესი ინტერნაციონალურ ხასიათს ღებულობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონცენტრაციის ზრდა ევრ. ეკონ. თანამეგობრობაში („საერთო ბაზარი").

განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში წ. ქ-ის დაჩქარებული პროცესი შეეხო ეკონ. აქტივობის ყველა წამყვან სექტორს. თანდათანობით ეკონ. ძირითადი დარგები აღმოჩნდა რამდენიმე მონოპ. ჯგუფის ხელში მაგ., 70-იან წლებში საფრ. ეკონომიკაში გაბატონდა 27 ჯგუფი, რ-ებიც ექსპლუატაციას უწევენ დაახლ. 3 მლნ. დაქირავებულ მუშაკს, ანუ ქვეყნის დაქირავებული სამუშაო ძალის დაახლოებით 17%-ს აქედან 2 მლნ-ზე მეტი მუშაკი საქმიანობს კერძო სექტორში, მათი უმრავლესობა თავმოყრილია „პარიბასა" და „სუეცის" ანსამბლში.

საწარმოების სიდიდე ან მათი წილი ქვეყნის ერთობლივ წარმოებაში ყოველთვის როდი განსაზღვრავს წ. ქ-ის დონეს. ხშირად წარმოებითი ერთეულების გადიდება წარმოების ხარჯების ზრდას იწვევს. მაღალი მოგების ნორმის მისაღებად კაპიტალისტებს სჭირდებათ საწარმოთა ოპტიმ. სიდიდე ამის გამო თანამ. პირობებში წ. ქ-ის მონოპ. დონეს იმდენად ცალკეული საწარმოს სიდიდე არ განსაზღვრავს, რამდენადაც მონოპოლიების განკარგულებაში არსებული საწარმოთა და მათში თავმოყრილი წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის რაოდენობა მაგ., გფრ-ში კონცერნ „მანესმანში" შედის 151 კომპანია, აქედან 128 თვით კონცერნს ეკუთვნის. კონცერნის კომპანიებში დასაქმებული იყო 107 ათ. კაცი, აქედან 18 ათ. „მანესმანის" საზღვარგარეთის ფილიალებში კონცერნის წლიური ბრუნვა შეადგენს 18,4 მლრდ. მარკას. კონცერნში თავმოყრილია ქვეყნის შიგნით ფოლადის წარმოების თითქმის 2/3 (1981). იგი ითვლება კაპიტალ. სამყაროში ფოლადის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებლად და ჩამორჩება მხოლოდ „იუნაიტედ სტეიტს სტილს" (აშშ).

კაპიტალ. სამყაროში წ. ქ-ის პროცესმა მოიცვა სოფ. მეურნეობაც (იხ. სტატია *სოფლის მეურნეობის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება*).

წ. ქ. სოციალ. ქვეყნებში არის უმსხვილეს წარმოების რგოლებში წარმოების თავმოყრის გეგმაზომიერი პროცესი და ექვემდებარება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებას. წარმოების გეგმაზომიერ რეგულირებას აქვს სხვადასხვა ფორმა: მოქმედი საწარმოების სიდიდის გაზრდა მათი გაფართოებით, რეკონსტრუქციითა და მოდერნიზაციით; ახ. მსხვილი საწარმოების მშენებლობა. მოქმედი საწარმოების გამსხვილება და წარმოებითი გაერთიანებების შექმნა. წ. ქ-ის დონის გასაზომად გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი: გამოშვებული პროდუქციის მოცულობა (განსაკუთრებით დარგის შიგნით და ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელი საწარმოების შედარების დროს), ძირითადი ფონდების ღირებულება, ენერგეტ. დანადგარების სიმძლავრე, ენერგიის მოხმარება ან დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა. წ. ქ-ს დიდი ეკონ. უპირატესობა აქვს. იგი უზრუნველყოფს უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებასა და პროდუქციის დაბალ თვითღირებულებას. ამასთან განუყრელად არის დაკავშირებული წარმოების სპეციალიზაციასა და კომბინირებასთან მჭიდროლობაში. წ. ქ-ის პროცესი მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაშიც (იხ. სტ. *სახელმწიფო მეურნეობა*, *სოფლის მეურნეობის კოოპერირება*), *სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია* აძლიერებს წ. ქ-ის როლს. ამ პირობებში საწარმოს ოპტიმალური სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ მოცემული ქვეყნის, არამედ მსოფლიო სოციალ. მეურნ. მოთხოვნილების გათვალისწინებით. იხ. აგრეთვე სტ. *კაპიტალის კონცენტრაცია*, *წარმოების განსაზოგადოება*, *წარმოების ინტერნაციონალიზაცია*.

**ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ**, წარმოებაზე მიზანმიმართული ზემოქმედება წარმოების სისტემის შექმნის, მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. წ. მ-ის ობიექტია წარმოების სრული ციკლი — წარმოების უშუალო პროცესი და მიმოქცევის პროცესი მართვის ფორმით წ. მ. აღმოცენდა პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაზე. კლასობრივი საზ-ბის წარმოშობამ წ. მ-ის ბუნების გაორება გამოიწვია, იგი გახდა სხვისი შრომის ექსპლუატაციის იარაღი.

კაპიტალიზმის პირობებში გამოიყოფა წ. მ-ის განვითარების სამი ეტაპი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში კაპიტალ. მანუფაქტურას, ფ-კას მართავს თვით მესაკუთრე, ხოლო კაპიტალ. წარმოების საყოველთაო რეგულატორი ბაზრის სტიქიური მექანიზმია. მსხვილი მანქანური წარმოების სტადიაზე წ. მ-ის ფუნქციას დაქირავებული მმართველები ასრულებენ. *სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის* ეტაპზე ყალიბდება წარმოების პროფესიონალი ორგანიზატორების ინ-ტი (იხ. *მენეჯმენტი*). წ. მ-ის პროცესში ფართოდ ინერგება თანამედროვე ტექ. საშუალებები, საკმაოდ სწრაფად ვითარდება წარმოების მეცნ. მართვის ელემენტები. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაპიტალ. წ. მ-ის ორგანიზაციულ-ტექ. ასპექტის შესწავლას. ამავე დროს აქ წ. მ. შეზღუდულია კერძო საკუთრებით, ამიტომ იგი ვრცელდება მხოლოდ ცალკეულ საწარმოებზე, კომპანიებზე, კონგლომერატებზე სახელმწიფო-მონოპ. რეგულირება და ინტეგრაციული პროცესები საქმის ვითარებას ვერ ცვლის.

საზ. წ. მ. სოციალიზმის დროის ხორციელდება ქვეყნის სახ. მეურნ. მასშტაბით. შექმნილია წ. მ-ის ერთიანი სისტემა. სახ. მეურნეობას სათავეში უდგას სსრკ მინისტრთა საბჭო ქვეყნის ცალკეულ დარგს უშთავრესად სამინისტროები მართავენ, არსებობს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები, რ-ებსაც ექვემდებარება სამეურნეო ობიექტები (ქვედარგები, კომპლექსები, გაერთიანებები და საწარმოები). ამ ობიექტებს შესაბამისი ორგანოები მართავენ, ამგვარად სახ.-მეურნ. მართვა ძირითადად დარგობრივ პრინციპს ეყრდნობა. შექმნილია აგრეთვე წ. მ-ის ტერიტ. ორგანოები. ამრიგად, ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბებულია წ. მ-ის ისეთი ერთიანი სისტემა, რ-იც ემყარება მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალურ შეხამებას.

საზ. წ. მ-ის ფუნქციებია დაგეგმვა, ორგანიზაცია, კოორდინაცია, აქტივიზაცია და კონტროლი გამოყოფენ წ. მ-ის ორგანიზაციულ, ეკონ. და სოც. მეთოდებს, რ-ებიც დაკავშირებულია წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირების ამოცანასთან მეცნ. ლიტ-რაში დასახელებულია სხვა სახის მეთოდებიც.

წ. მ. შეიძლება იყოს ხაზური ან ფუნქციური. ხაზური მართვის ნიშნებია: 1. მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის პირდაპირი კავშირი, 2. მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე ზემოქმედების უშუალოდ განხორციელება, 3 მართვის ობიექტზე ისეთი ზემოქმედების განხორციელება, რ-იც მოიცავს ყველა ფუნქციას (ამომწურავი ზემოქმედება). შესაბამისად გამოყოფენ ხაზური და ფუნქციური მართვის რგოლებს. ხაზური მართვის რგოლები ასრულებენ შესაბამის ობიექტზე მართვის ამომწურავად ყველა ფუნქციას, ფუნქციური რგოლები კი — მხოლოდ მათ ნაწილს (მაგალითად გეგმ-ის — დაგეგმვა, ბუღალტერია — ბუღალტრული აღრიცხვა და ა. შ.). წარმოების მასშტაბის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა იწვევს წ. მ-ის გართულებას განვითარების თანამედროვე ეტაპზე სკკპ ცკ-ის მიერ შემუშავებული წ. მ-ის გაუმჯობესების პროგრამა ითვალისწინებს შემდეგს: დაგეგმვის როგორც ეკონ. პოლიტიკის რეალიზაციის ქმედითობის ამაღლებას, წ. მ-ის ორგანიზაციის სამეცნ.-ტექ. მიღწევებზე, წ. მ-ის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას, წ. მ-ის მეთოდების გაუმჯობესებას, უმნიშვნელოვანესი საერთო-სახ. პროგრამების შესრულებაზე ძალებისა და რესურსების კონცენტრაციას; დარგობრივი და ტერიტ. მართვის ოპტიმ. შეხამების უზრუნველყოფას; წ. მ-ის ყველა დონეზე ეკონ. მერკანტიზმისა და სტიმულების უფრო სრულად გამოყენებას; კადრების პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას, მნიშვნელოვანი საერთო-სახ. დარგთაშორისი და ტერიტ. პრობლემების კომპლ. გადაჭრის მეთოდების გაუმჯობესებას, ელექტრონულ-გამომთვლელი და სხვა თანამ. ტექ. ფართოდ გამოყენებას; დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპის შემდგომ განვითარებას, რ-იც ითვალისწინებს როგორც ცენტრალიზმის, ისე დემოკრ. საწყისების განვითარებას, მშრომელთა წ. მ-ში ფართოდ ჩაბმას (იხ. აგრეთვე სტატიები *მართვა*, *სახელმწიფო მმართველობა*)

ი. აბესაძე

**ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ**, ხელით შრომის საშუალებების შეცვლა მანქანებითა და მექანიზმებით, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. განასხვავებენ ნაწილობრივ და კომპლ. მექანიზაციას. პირველ შემთხვევაში მოიცვალდება ცალკეული წარმოებითი ოპერაციების მექანიზაცია, ამავე დროს შენარჩუნებულია ხელითი შრომის მნიშვნელოვანი წილი, განსაკუთრებით დამხმარე სამუშაოებზე. კომპლ. მექანიზაციის დროს ხელით შრომა შეცვლილია მანქანებით, როგორც ძირითად, ისე დამხმარე ოპერაციებში. კომპლ. მექანიზაციის შემდგომი საფეხურია წარმოების ავტომატიზაცია

**ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ**, წარმოების პიროვნული და ნივთობრივი ფაქტორების შეერთების ისეთი ფორმა, რ-იც წარმოებათა ზომიერებისა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების ბაზაზე ითვალისწინებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებასა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას.

წ. ო-ს განიხილავენ წარმოების ელემენტების (ფუნქციურ) სივრცობრივ და დროით ასპექტში. წარმოების ელემენტების ორგანიზაცია გულისხმობს წარმოების ნივთობრივი ფაქტორების შეთანაწყობის სრულყოფას, სივრცობრივი — ცალკეული საწარმოო პროცესის ურთიერთკავშირებას, ხოლო დროითი — საწარმოო



შ. ქ. წრომი. 1. წრომის ტაძარი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი. VII ს. I მესამედი.



სმ. წალენჯიხა. 2. წალენჯიხის ტაძარი. აღმოსავლეთის ხედი. 1213–22.



სტ. წულუკიძის რაიონი (I). 1. მდ. ცხენისწყლის ხეობა. 2,3. სოფ. კინჩხის ხეობები. 4. სოფ. გორდიდი. 4. სოფ. მათხოჯი. 5. მდ. ოკაცე. 6. წულუკიძის მეაბრეშუმეობის თუთის სანერგე-საცდელი სადგური, თუთის პლანტაცია. 7. წულუკიძის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის სიმინდის ყანანა. 8. სოფ. იქაქანდარის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია. 9. წულუკიძის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსი. 10. წულუკიძის საკონსერვო ქარხანა. 11. ქ. წულუკიძე. ა. წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ქარხანა. 12. ქ. წულუკიძე. საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურნეობტექნიკა". 13. წულუკიძის ჩაის ფაბრიკა. სა-ჯავახო ს. სამქრო. 14. ქ. წულუკიძე. ცენტრი. 15. ქ. წულუკიძე. ადმინისტრაციული შენობა.



სტ. წულუკიძის რაიონი. (ГГ.) 1. ადმინისტრაციული შენობა. 2. მე-4 საშუალო სკოლა (ყოფილი ხონის სამასწავლებლო სემინარია). 3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი. 4. ნიკო ლორთქიფანიძის რაიონული სახლი. 5. მე-6 პროფტექნიკური სასწავლებელი. 6. რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო. 7. სავაჭრო ცენტრი. 8. კულტურის სახლი. 9. ცენტრალური პარკი. 10. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს შენობა. 11. სოფ. გორისუბნის სანატორიუმული სკოლა-ინტერნატი. 12. [illegible] მუზეუმი. 13. სოფ. მათხოჯის წმ. ბასილის ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები. 14. ხონის წმ. გიორგის ეკლესია. XI ს. 15. ხონის წმ. გიორგის ეკლესიის ინტერიერი (1–10, 12 — ქ. წულუკიძე).













სტ. ჭიათურის საქალაქო საბჭო (1). 1. სოფ. შუხრუთის ჩაის პლანტაცია. 2—8. ქ. ჭიათურა. 2. მანგანუმის ცენტრალური [illegible] ქარხანა. 3. საერთო ხედი. 4. ვ. ი. ლენინის სახ. მაღარო. მექანიკური კომპლექსი. 5. შლამის საშრობი საამქრო. 6. მანგანუმის შლამის გაზიდვა მილსადენებით. 7. მანგანუმის ღია კარიერი. 8. სამგზავრო ბაგირგზა. 9. კაცხის სვეტი. სოფ. კაცხი.













სტ. ჭიათურის საქალაქო საბჭო (II). 1. კაცხის მონასტრის აღმოსავლეთის ფასადის დეტალი. განვითარებული შუა საუკუნეები. 2—10 ქ. ჭიათურა. 2. ერთ-ერთი კუთხე. 3. სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი. 4. ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატ. თეატრის შენობა. 5. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ადმინისტრაციული შენობა. 6. ადმინისტრაციული სახლი. 7. მანგანუმის მამდიდრებელი ცენტრალური ფაბრიკები. 8. კულტურის სახლი. 9. შინმოუსვლელთა მემორიალი. 10. ხეივნი სტადიონზე.

















სტ. ხალხური შემოქმედება. 1. კარის ალის სოფ. სიღნაღის საცხოვრებელი სახლის დეკორი. ფრაგმენტი. XIX ს. II ნახევარი. 2. სამშე-ნის სანთლური. ტოლფხიკე (სამხრეთ ნორვეგია). XVIII ს. ნორვეგიის ხალხური ხელოვნების მუზეუმი. ნ.-ა. ბიგდო. 3. კარადა. ოსტერგეტლანდი (შვეცია). XVII ს. ნორდისკის მუზეუმი. სტოკჰოლმი. 4. ფიჭვის კარადა. ისლანდია. XVII ს. ლიუნებურგის მუზეუმი. 5. სვეტის ბალიშის კარი. ფრაგმენტი. XI–XII სს. 6. პერუქლე ბარიშინისთვის. ფრაგმენტი. 1660–70. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი. 7. ჯვარი-ლამაზი გორა (ბოლნისის რაიონი). ქვა. V–VI სს. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი. 8. საფლავის ბოძები ი. მონარი. (ბუშტის მეგრე, უნგრეთი). 1894, 1904, 1913. 9. სამარილე. ხე. ნოდ. რუსეთი. XIX ს. ხალხური ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი. 10. კერამიკული სინი. XII–XIII სს. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი. 11. ღვინის ჭურჭელი. თიხა. სოფ. შრომა. XX ს. 12. დოქი. ქვის მასა, კალის ჭიქური. ქვემო რაინი (ახლანდ. ნორდ. რაინვესტფალია, გფრ). 1696. ხელოვნებისა და ხელოსნობის მუზეუმი, ჰამბურგი.

ნე ფრინველები გაერთიანებული არიან 8 ქვერიგში, 22 ოჯახში (მ. შ. 9 ოჯახი წარმოდგენილია ამოწყვეტილი ფრინველებით) და 84 გვარში. თანამედროვე წეროები მოიცავს 193 სახეობას და ერთიანდება 13 ოჯახში. სსრკ-ში გვხვდება ამ რიგის 5 ოჯახის 23 სახეობა, ხოლო საქართველოში — როგორც მობუდარი, ისე მიმომფრენი ფრინველების სახით 4 ოჯახის 12 სახეობა, მ. შ. 4 (ხინთქრის ქათამი ანუ პორფირიონი, რუხი წერო, სავათი, სარსარაკი) შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“. წ. მეტწილად ნიადაგზე ცხოვრობენ, ნაწილი ჭაობებში ბინადრობს, მცირე რაოდენობა — ხეებზე. მეტწილად მონოგამიური არიან. რ. ჟორდანია.

**წეროს ტბა,** ტბა თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, დაბადების ლავურ პლატოზე, ბორჯომის რ-ნში, 1808 მ სიმაღლეზე. სარკის ფართ. 0,02 კმ², აუზის ფართ. 0,62 კმ², უდიდესი სიღრმე 6,6 მ, წყლის მოცულობა 90 ათ. მ³. ქვაბული წარმოქმნილია მეწყან სუფოზიით. წყალი ღია ლურჯი ფერის, მტკნარი და სუფთაა. გაუდინარია. ტბაში თევზი არ არის. ც. აფხაზავა.

**წეროსოკოა** (Macrolepiota procera), ქუდიანი სოკო. ქუდი ძალიან დიდია, ზოგჯერ მისი დიამეტრი 50 სმ აღწევს, მოთეთროა, მურა ქერცლებით და შუაში მურა ბორცვაკი აქვს. ფეხი გრძელია (ზოგჯერ 60 სმ-მდე) და ძირში ბოლქვისებრ გაგანიერებული, თეთრია, მურაქერცლიანი, თეთრი მოძრავი საყელო აქვს. ქუდის ქვედა მხარეს თეთრი ფირფიტებია განლაგებული. იზრდება მეჩხერ ტყეში და ტყის პირებზე ზაფხულ-შემოდგომით. საჭმელად ვარგა მხოლოდ ახ. ქუდი. ი. ნახუცრიშვილი.

**წეროტურა** (Anthropoides virgo), ლიტანიანი ფრინველი წეროსნაირთა რიგისა. გავრცელებულია სამხრეთულად ევროპაში, აზიასა და სამხრ.-დას. აფრიკაში. ზამთრობს აფრიკაში, ინდოსტანსა და ბირმაში. სსრკ-ში ბუდობს მრავალ ადგილას, საქართველოში გვხვდება მიმოფრენისას. ბინადრობს ველ-მინდვრებზე, ნახევრად უდაბნოებში. იკვებება მცენარეული (კენკრა, თესლები) და ცხოველური (მოლუსკები, მწერები, ამფიბიები, ქვეწარმავლები) საკვებით. რ. ჟორდანია.



დ. წეროძე

**წეროძე** დუდუხანა პლატონის ასული (დ. 8 XI. 1918, თბილისი), ქართველი საბჭ. კინომსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1968). სკკპ წევრი 1947-იდან. 1938 დაამთავრა „საქკინმრეწვთან“ არსებული კინოსკოლა. 1934-იდან იღებენ კინოში. შესრულებული აქვს როლები: მარო („უკანასკნელი მასკარადი“, 1934), ჰეპელა („დაკარგული სამოთხე“, 1937), ნინო („ქოლხეთის ჩირაღდნები“, 1941), მაგდანი („მაგდანას ლურჯა“, 1956), თამარი („ჩვენი ეზო“, 1956), თამარი („განაჩენი“, 1959), კესარია („უცხოლისმი სახლში“ 1961), ეკა („პალიასტომი“, 1963), კაკანო („მე ვხედავ მზეს“, 1965), ბარბალე („ტარიელ გოლუა“, 1968), ივლიტა („სურ მირაზიდას ბალადა“, 1970), ლეილა („ზარი რამა“, 1972), ასპიროზი („კვარტეტი“, 1978) და სხვ. ა. გაგენცაძე.

**წეროძე** კორნელი გრიგოლის ძე (დ. 28. VIII 1916, თბილისი), ქართველი საბჭ. ექიმი. სკკპ წევრი 1944-იდან. 1938-იდან იყო საბჭ. არმიის რიგებში. 1941–43, დიდი სამამულო ომის დროს, 121-ე სამედ.-სანიტ. ბატალიონის ხელმძღვანელი იყო. 1951-იდან, თბილ. სამედ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ჩოხატაურის რ-ნის სოფ. დაბლაცხის საექიმო უბნის გამგედ, 1956-იდან — თბილ. სასწრაფო სამედ. დახმარების სადგურში. 1979, პირველს საქართველოში, მიენიჭა სსრკ სახ. ექიმის წოდება. დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენითა და მედლებით.

**წერტილი** (მათ.), გეომეტრიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. გეომეტრიის სისტემატური გადმოცემისას წ., წრფესთან და სიბრტყესთან ერთად, მიღებულია საწყის ცნებად. თანამედროვე მათემატიკაში წ-ები ეწოდება სხვადასხვა ბუნების ელემენტებს, რ-თაგანაც შედგება სხვადასხვა სივრცე (მაგ., n-განზომილებიან ევკლიდურ სივრცეში წ. ეწოდება n რიცხვისაგან შედგენილ დალაგებულ ერთობლიობას).

მათ. მრავალ დარგში გვხვდება სპეც. სახელწოდების მქონე წ-ები. მაგ., გეომეტრიაში შეისწავლება წირთა განსაკუთრებული წ-ები; მათ. ანალიზში — დიფერენც. განტოლებების ამონახსნთა განსაკუთრებული წ-ები, ანალიზურ ფუნქციათა განსაკუთრებული წ-ები (იხ. განკუთრო წერტილები); სიმრავლეთა თეორიაში — მოცემული სიმრავლის თვისებების მახასიათებელი წ-ები (შიდური წ., საზღვრის წ., სიმკვრივის წ.) და ა. შ.

**წერტილი** (მუს.) სანოტო დამწერლობაში: 1. ნოტის ხანგრძლივობის ან პაუზის ერთნახევარჯერ გაზრდის ნიშანი. იწერება ნოტის მარჯვნივ ან პაუზის შემდეგ. 2. ნოტის სტაკატოთი (წყვეტილად) შესრულების ნიშანი. იწერება ნოტის ზემოთ ან ქვემოთ.

**წერტილი,** იხ. პუნქტუაცია.

**წერტილ-მძიმე,** იხ. პუნქტუაცია.

**წერტილოვანი მეჭეჭია** (Pissodes notatus). მწერი ხოჭოების გვარის ცხვირგრძელასებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 6–10 მმ აღწევს, ფერად მურა-წითელია, ფრენს მაის-ივნ-ში. აზიანებს ახალგაზრდა ფიჭვის ნარგავებს, განსაკუთრებით მცენარის ყლორტებსა და წვრილ ტოტებს. დაზიანების ადგილებში ჩნდება ფისის წვეთები. წ. მ კვერცხებს დებს ფიჭვის ახალგაზრდა ღეროებზე. სატოლე სიგრძე სხვადასხვა მხარეს მიემართება და თანდათან ფართოვდება. ზამთრობს მატლი, ჭუპრი და ხოჭო. მავნებელი წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ბრძოლის ღონისძიებანი: წ. მ-ით ახალდასახლებული ხეების მოჭრა და სატყეო-სამეურნ. ღონისძიების დროულად განხორციელება. კ. სარაჯიშვილი.

**წერტილოვანი ჯგუფი** კრისტალთა სიმეტრიისა, სიმეტრიის ოპერაციების ერთობლიობა, რ-თა საშუალებით შესაძლებელია კრისტალის შეთავსება თავის თავთან ისე, რომ კრისტალის ერთი წერტილი უძრავი დარჩეს. წ. ჯ-ის საშუალებით აღწერენ კრისტალების გარეგნულ სიმეტრიას. არსებობს კრისტალთა სიმეტრიის 32 წ. ჯ. მათ სიმეტრიის კლასებსაც უწოდებენ.



წერწა ნაყოფიანი ტოტი

**წერწა** (Lonicera caucasica), ბუჩქი ცხრატყავასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლეა 3 მ. მოყავისფრო-ყვითელი ქერქით დაფარული შიშველი ტოტები აქვს. მოვარდისფრო-მოწითალო ან მოიისფრო ყვავილებს იკეთებს. ნაყოფი წვენიანი კენკრაა, შეფერილი მოშავო-ლურჯი. გავრცელებულია მცირე აზიაში, სსრკ-ში — მხოლოდ კავკასიაში; საქართველოში უმეტესად დაბლობის ტყეებში იზრდება. შეიძლება შევხვდეთ მთის შუა სარტყელში და ზოგჯერ უფრო ზემოთაც. იყენებენ მშრალი ფერდობების გასამწვანებლად. კარგი თაფლოვანი მცენარეა.

**წესდება,** წესების კრებული, რ-იც არეგულირებს ურთიერთობათა განსაზღვრული სფეროს ანდა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, საწარმოსა თუ დაწესებულების ორგანიზაციისა და საქმიანობას. საერთო წ-ებს, როგორიც წესი, ამტკიცებენ სსრკ სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ცალკეული დაწესებულებისა და ორგანიზაციის წ-ებს — შესაბამისი სამინისტროები და უწყებები. წ. აქვთ საზ. ორგანიზაციებსაც (სპორტ. საზ-ბებს, შემოქმედებით კავშირებს და ა. შ.). წ. აქვს აგრეთვე უმრავლეს საერთაშორისო ორგანიზაციას, ეს ძირითადი აქტი განსაზღვრავს ამ ორგანიზაციების ამოცანებს, მათი შექმნის პრინციპებს და საქმიანობას (მაგ., გაეროს წესდება).

**წესი,** სოფელი ამბროლაურის რ-ნში, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: წ., მუხლი). ზ. დ. 700 მ, ამბროლაურიდან 5 კმ, ტყიბულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 43 კმ. კოლ-მა (მევენახეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), სამშობ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

შუა და გვიანდ. ფეოდ. ხანაში წ-ში რაჭის ერისთავთა რეზიდენცია იყო. აქ იდგა მათი კარის ეკლესია — ბარაკონი (ადრინდ. ფეოდ. ხანა, შემორჩენილია ნანგრევები); 1753 აგეს ბარაკონის ახალი გუმბათოვანი ეკლესია. შემორჩენილია აგრეთვე ფეოდ. ხანის რამდენიმე სიმაგრისა და ეკლესიის ნანგრევები. სოფლის ახლოს დგას წინდას ციხე (შუა საუკ.)

**„წესი და განგება მეფეთ[ა] კურთხევისა[ჲ]“,** ძველი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი. შეიცავს საქართველოს მეფის კურთხევის სრულფორმულირებულ საეკლესიო წესებს. შედგენილია XIII ს-ში. შემონახულია XVIII ს. კრებულში. ცნობა ძეგლის შესახებ პირველად დაბეჭდა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წგნ. I, ტფ., 1892), მეცნიერულ-აკადემიური თვალსაზრისით განიხილა კ. კეკელიძემ (ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში, ტფ., 1908, რუს. ენაზე). პირველად გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (მეფის კურთხევის წესი, ტფ., 1913), მერმე — ი. დოლიძემ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბ., 1965, საბ. № 21). ძეგლის მიხედვით, მეფის კურთხევის წინა საღამოს სასახლიდან საზეიმოდ გამოჰქონდათ სამეფო ნიშნები (გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი, ხმალი) და მიჰქონდათ იმ ეკლესიაში, სადაც კურთხევის წესი უნდა შესრულებულიყო „მეფეთა განმწმენდელის“ მონაწილეობით იწყებოდა ღამისთევა „ლოცვითა და გალობებითა“. გათენებისას მლოცველნი შინ ბრუნდებოდნენ და ისვენებდნენ. წირვის ჟამს მეფე მღვდელმსახურთა, „ლაშქართა“ (რაინდობისა) და დიდ მოხელეთა თანხლებით კრძალვით ეკლესიაკენ მიემართებოდა. საზეიმო პროცესია განსაზღვრული წესრიგით წარიმართებოდა (კერძოდ, წინ მიჰქონდათ „ზარი მეფეთა“, „შემდგომად დროშა და შუბი“). ეკლესიაში მეფეს „სამეფოსა ადგილსა“ მიიყვანდნენ და დაასვენებდნენ. მეფე კათალიკოსს თაყვანისცემით ხვდებოდა კურთხევას, კათალიკოსიც აკურთხებდა მას და სამეფო ნიშნებით შემკობდა. „საკურთხევლის კარით“ ჩამოსხმულ მეფეს ამირსპასალართ წელზე ხმალს შემოარტყამდა, რითაც კურთხევის წესი მთავრდებოდა. მეფე ბრუნდებოდა სასახლეში, სადაც ჯერ მილოცვა და „ძღვენობაჲ“ გაიმართებოდა, ხოლო შემდეგ „პურობა“ (წვეულება) იწყებოდა. კურთხევის დღესასწაული 3 დღეს გრძელდებოდა; მეფეს „მოუწოდებდა დღეთა“ „ტაბლასა ზედა“ იყვნენ იგი ვერცხლითა და პორფირითა“.

ძეგლში მნიშვნელოვნად არის შეკვეცილი მეფის კურთხევის ადრინდ. წესები — წარმოცემულია ფეოდალიზმის ნიშნები და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლის ისე ანარეკლი; მეფის გვერდით მთავარეპისკოპოსის ნაცვლად სრულიად საქართველოს კათალიკოსი დგას, განზრახ დაჩრდილულია საკ. ხელისუფლების მნიშვნ. ძე. სიმბოლური ჩვეულება, რის მიხედვითაც „სამეფო ხრმალი“ მეფეს შესაბამისი უწყების მეთაური ამირსპასალარი კი არ შემოარტყამს, არამედ ლიხთიმერეთის დიდებულთაგან აზნაურთა საგვარეულოს წარმომადგენელი გადასცემდა. ცვლილებათა არსს მეფის თვითმპყრობელობის მკაფიოდ გამოხატვა შეადგენდა. ამავე დროს ძეგლში „თვითმპყრობელი“ მეფის თანასწორი პარტნიორი („ძლიერნი და უძლეველნი“) ისინიცაა



წვეთი. ვარდნილი წვეთის მექანიკური ფოტოგრაფიები და წვეთები სხვადასხვა დიამეტრის ძალის, ვარდნის შემდეგ ნაკადის წნევისა და ზედაპირული დაჭიმულობის გავლენით ცვლილებას „ფლეშ-ფოტოს“ ფორმებს. ა — წვეთის დიამეტრი d=6 მმ, ვარდნის სიჩქარე v=8,8 მ/წმ. ბ — d=4,8 მმ, v=8,0 მ/წმ; გ — d=2,8 მმ, v=6,8 მ/წმ

თბილისში. 1923—37 მოსკოვში მოღვაწეობდა პასუხსაგებ ადმ.-სამეურნეო თანამდებობებზე. წ. ხშირად ხვდებოდა ვ. ი. ლენინს, ასრულებდა მის დავალებებს, რის შესახებაც დატოვა საინტერესო მოგონებანი. რკპ (ბ) VIII—IX ყრილობების დელეგატი, სრულიად რუს. ცაკის წევრი. ფ. დანელია.

**წითელა,** მწვავე ინფექციური დაავადება, რ-საც ახასიათებს ტემპ-რის აწევა, ინტოქსიკაცია, ზემო სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსების ანთება, ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი. წ-ის ვირუსი გარემოში მალე იღუპება, ამიტომ ჯანმრთელს ეს ინფექცია გადაეცემა მხოლოდ ავადმყოფისაგან ჰაერწვეთოვანი გზით. წ-ით უმეტესად ავადდებიან 1—4 წლის ბავშვები; მისი მოხდის შემდეგ რჩება მყარი იმუნიტეტი. ავადობა მატულობს ზამთარ-გაზაფხულზე. ფარული პერიოდი საშუალოდ 8—10 დღეს გრძელდება. წ. იწყება მწვავედ, ახასიათებს მაღალი ტემპ-რა, სურდო, მშრალი ხველა, ცხვირის ცემინება, ქუთუთოების შეშუპება, წითელი არშიით შემოფარგლული მოთეთრო-მონაცრისფრო წერტილები ლოყის შიგნითა ზედაპირზე (ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის სიმპტომი). მე-3 მე-4 დღეს ჯერ სახეზე, შემდეგ მთელ სხეულსა და კიდურებზე ჩნდება ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი, რ-იც მე-6 მე-7 დღეს ფერმკრთალდება და ქრება, ნაცვლად მოყვითალო ლაქები დიდხანს რჩება; ტემპ-რა თანდათან ნორმას უბრუნდება. წ-ს მძიმე გართულებებია (განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებისათვის) ფილტვების ანთება, ხორხის ანთება (კრუპი), შუა ყურის ანთება, მოზრდილებში წ-ს შეიძლება ტვინის ანთებაც დაერთოს.

მკურნალობა ჩვეულებრივ ტარდება ბინაზე, მძიმე შემთხვევებში — საავადმყოფოში; წოლითი რეჟიმი, დიეტა (პროტეინულისა და ხილის წვენი, ხაჭო, კეფირი, მაწონი, ახალი ნაყენი), ბევრი სითხე; ანტიბიოტიკები და სხვა წამლები (მხოლოდ ექიმის დანიშნულებით). ავადმყოფთან კონტაქტში მყოფი პირები კოლექტივში არ დაიშვებიან ბოლო კონტაქტიდან 17 დღის მანძილზე. 15—18 თვის ბავშვებს უტარდებათ წ-ს საწინააღმდეგო პროფილაქტ. აცრა ცოცხალი დასუსტებული ვირუსის შემცველი ვაქცინით. ქ. ბოლქვაძე.

**წითელა,** მთა რაჭის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ზოფხიტურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 4225 მ. აგებულია პალეოზოური კრისტ. ქანებით, კალთები ციცაბო და კლდოვანია. ჩრდ. კალთაზე ვრცელი ფირნია, სამხრ-ზე — რამდენიმე მცირე მყინვარი. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. დ. ტაბიძე.

**წითელარმიელი,** მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო ჯარებსა და სამხედრო-საჰაერო ძალებში რიგითი შემადგენლობის სამხედრო წოდება 1918 იანვრიდან. 1946 ივლ-იდან წოდება „წ." შეცვალა „რიგითმა".

**წითელგორა,** სოფელი ჩოხატაურის რ-ნში (ზემო სურების სოფსაბჭო), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 600 მ, ჩოხატაურიდან 26 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 45 კმ. XIX პარტყრილობის სახ. ზემო სურების კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ზემო სურებში (2 კმ).

**წითელგორი,** სოფელი ლაგოდეხის რ-ნში (ულიანოვკის სოფსაბჭო), ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 210 მ. ლაგოდეხიდან 25 კმ, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 კმ. ვ. ი. ულიანოვის სახ. ულიანოვკის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ულიანოვკაში (2 კმ). საფერშლო-სამეანო პუნქტი.

**წითელმორისთავი,** მთა კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ-ების დურუჯისა და ბურსის (ალაზნის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფ წითელგორის ქედზე. სიმაღლე 2217,5 მ. აგებულია იურული თიხაფიქლებით. კალთები ციცაბოა. მწვერვალი შემოსილია სუბალპ. ბალახეულით, კალთები — შერეული ფოთლოვანი ტყით. გ. ჩანგაშვილი.

**წითელშარხველავი,** სოფელი წულუკიძის რ-ნში (ნახახულევის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 125 მ, წულუკიძიდან 3 კმ, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 კმ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი.

**წითელი არმია,** მუშურ-გლეხური წითელი არმია (მგწა), საბჭ. არმიის ოფიციალური სახელწოდება 1918—46 წწ. წ. ა. იწოდებოდა საბჭ. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ძირითად ნაწილად, რ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე სამხ.-საჰაერო ძალები, მესაზღვრე და შინაგანი ჯარები (იხ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. თავი შეიარაღებული ძალები).

**წითელი არმიის ქართველი ნაწილები,** იხ. *ქართული დივიზიები.*

**წითელი ბრტყელი ლიქენი,** ჟოლოსნის ლიქენი, დერმატოზი, რ-საც ახასიათებს მონომორფული კვანძოვანი გამონაყარი კანსა და ლორწოვან გარსზე. სხვადასხვა სახელწოდებით აღწერეს ფ. ჰებრამ (1860) და მ. კაპოშმა (1877). უფრო ხშირია 30—50 წლის ასაკში. არსებობს დაავადების განვითარების ნევროგენული, ენდოკრინული და ინფექციური (ვირუსული) თეორიები; განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მემკვიდრეობით ფაქტორსაც. დაავადების დროს კანზე (უმეტესად წინამხრის, სხივ-მაჯისა და კოჭ-წვივის სახსრების მიდამოთა ზედაპირზე) ჩნდება კანიდან ოდნავ წამოწეული, მკვეთრად შემოფარგლული მოწითალო-იისფერი, მბზინავი პაპულები, ცენტრში ჭიპისებრი ჩაღრმავებით. გამონაყარი შეიძლება გავრცელდეს მთელ სხეულზე (სახის გარდა), შეიძლება დაზიანდეს პირის ლორწოვანი გარსი. გადამდები არ არის. გრძელდება თვეების, ზოგჯერ წლების მანძილზე. რეციდივები იშვიათია, პროგნოზი — კარგი. მკურნალობა. სედატიური საშუალებები, B ჯგ. ვიტამინები; ქინგამინისა და ანთების საწინააღმდეგო მალამოები. დ. საყვარელიძე.

**წითელი გვარდია,** პროლეტარიატის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და მსვლელობის, აგრეთვე სამოქალაქო ომის (1918—20) დასაწყის პერიოდში. წ. გ-ის შექმნასა და მის განვითარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს პეტროგრადში ი. იურენევმა (მთავარი შტაბის თავ-რე), გ. და ე. ტრიფონოვებმა, ვ. პავლოვმა, ა. ბოლდირევმა, კ. მალახოვსკიმ, ნ. პოდვოისკიმ და სხვ., მოსკოვში — ა. ვედერნიკოვმა, ი. პეხემ, ე. იაროსლავსკიმ, პ. დობრინინმა და სხვ.; რუს. განაპირა მხარეებში წ. გ-ის საქმიანობამ განვითარების სხვადასხვა გზა განვლო. დაახლ. 53 ქალაქსა და დაბაში მოქმედებდნენ წ. გ-ის ნაწილები, რ-ებშიც 26 ათ-ზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული. 1917 ოქტ.-ნოემბ. საერთოდ წ. გ-ის ნაწილები დაახლ. 200 ათ-მდე კაცს აერთიანებდა. წითელი არმიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, 1918 მარტს, წ. გ. დაიშალა.

**წითელი დროშის ორდენი,** სამხედრო ორდენი, რ-იც დააწესა სსრკ ცაკის პრეზიდიუმმა 1924 წ. 1 აგვისტოს (რსფსრ-ში არსებობდა 1918-იდან, სხვა საბჭ. რესპუბლიკებში — 1920—21-იდან). აჯილდოვებენ საბჭ. არმიისა და სამხ.-საზღვაო ფლოტის რიგით მებრძოლებს, მეთაურებს, ჯარის ნაწილებსა და შენაერთებს, აგრეთვე სხვა მოქალაქეებს საბრძოლო საქმიანობის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისა და თავდადებისათვის, საბჭ. კავშირის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული წარჩინებისათვის; 1944-იდან — გენერლებს, ოფიცრებსა და სერჟანტებს ნამსახურობისათვის. დაჯილდოებულ კოლექტივს „წითელდროშოვანი" ეწოდება. ორდენის ნიშანი ოვალური ფორმისაა, მზადდება ვერცხლისაგან, ატარებენ მკერდის მარცხ. მხარეს, ოქტ. რევ. ორდენის შემდეგ. იხ. ფერადი ჩანართი *ორდენები სსრ კავშირისა.*

**„წითელი ვარსკვლავი",** 1. ქართული ყოველდღიური გაზეთი, საქართველოს წითელი არმიის პოლიტ. განყ-ბის გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1921. 2. ყოველთვიური სამხ.-პოლიტ. ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1923 რედ. ა. ქუთათელაძე. 3. ყოველდღიური მუშურ-გლეხური გაზეთი საქ. კპ (ბ) ქუთ. სამაზრო კომიტეტისა და მე-2 ქართ. მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების ორგანო. 1924—25 ქუთაისში გამოვიდა 226 ნომერი. გაზეთის დამატების სახით ჰქონდა ორკვირეული იუმორისტული ჟურნ. „წითელი ცოცხი" (1925).

**წითელი ვარსკვლავის ორდენი,** სამხედრო ორდენი, რ-იც დააწესა სსრკ ცაკის პრეზიდიუმმა 1930 წ. 6 აპრილს. აჯილდოვებენ საბჭ. არმიისა და სამხ.-საზღვაო ფლოტის რიგით მებრძოლებსა და მეთაურებს, აგრეთვე ჯარის ნაწილებს, გემებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს სსრკ თავდაცვის საქმეში დიდი დამსახურებისათვის; 1944-იდან — გენერლებს, ადმირალებს, ოფიცრებსა და სერჟანტებს ნამსახურობისათვის. ორდენის ნიშანი ვერცხლის ხუთქიმიანი ვარსკვლავია, რ-იც დაფარულია მოწითალო-ლალისფერი ემალით. ატარებენ მკერდის მარჯვ. მხარეს, სამამულო ომის II ხარისხის ორდენის შემდეგ. იხ. ფერადი ჩანართი *ორდენები სსრ კავშირისა.*

**წითელი ზღვა** (ვარაუდობენ, რომ სახელი ეწოდა ზღვაში მნიშვნელოვანი რაოდენობით წყალმცენარეების Trichodesmium erythraeum-ის არსებობის გამო, რ-თაც ზოგჯერ მოწითალო ფერს იღებენ), ინდ. ოკეანის ხმელეთშუა ზღვა არაბეთის ნ-კ-სა და აფრიკას შორის. სუეცის არხით უკავშირდება ხმელთაშუა ზღვას, ბაბ-ელ-მანდების სრუტით — ადენის ყურესა და არაბეთის ზღვას. სიგრძე 1932 კმ, სიგანე 305 კმ-მდე. ფართ. 460 ათ. კმ², წყლის მოც. 251 ათ. კმ³. მაქს. სიღრმე 3039 მ. ნაპირები სუსტად არის შეჭრილ-შემოჭრილი. ზღვის ქვაბული წარმოადგენს რიფტს, რ-იც გენეტურად დაკავშირებულია ადენის ყურისა და აღმ. აფრიკის რიფტული ხეობების სისტემასთან. ჩრდ-ით ეს სისტემა გრძელდება აკაბის ყურის, იორდანეს ხეობისა და მკვდარი ზღვის ღრმულის რიფტების სახით. ფსკერი უმთავრესად „გრანიტულია", რ-იც 1 კმ-მდე სისქის კარბონატული ნალექებითაა დაფარული. ღერძულ ნაწილში გრანიტული ფუნდამენტის ნაცვლად უშუალოდ ფუძე ქანებზე განლაგებულია რკინისა და ფერადი ლითონების ჟანგეულებით შეცემენტებული დანალექი ქანები.

ჰავა მუსონური, მშრალი. მაისიდან სექტ. ჩრდილოეთ ზღვაზე ქრის ჩრდ.-ჩრდ.-დასავლეთის ქარები. იანვ. საშ. ტემპ-რა 15,8°C (ჩრდ.) და 27°C (სამხრ.); აგვ-ში, შესაბამისად, 27 და 32°C. ნალექები 25—217 მმ წელიწადში. ხშირია მტვრის ნისლი. ზედაპირული დინება სეზონურია. სამხრ. ნაწილში ნოემბრიდან მარტამდე დინება მიმართულია ჩრდ.-ჩრდ.-დას-კენ, ივნ-იდან სექტ. ჩათვლით მიმართებს სამხრ.-სამხრ.-აღმ. დინება; სიჩქარე დაახლ. 2 კმ/სთ. ჩრდ-ით თებ-ში წყლის საშ. ტემპ-

მდგომარეობაში. უშუალო საბაბი კი გახდა საიმპერატორო აღმ. მხრივ მდებით მოსახლე სასტიკი შევიწროება და წყალდიდობით გამოწვეული შიმშილი. აჯანყება დაიწყო შანდუნის პროვინციაში გლეხ ფან ჩუნის ხელმძღვანელობით 21 წ. აჯანყებულებმა გაანადგურეს მთავრობის ჯარები, ასევე იმპ. ვან მანის 100-ათასიანი არმია. „წითელწარბიანებთან“ ერთად მთავრობის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდნენ აჯანყებულთა სხვა რაზმებიც. ერთ-ერთ მათგანს ხელმძღვანელობდა ხანის დინასტიის წარმომადგენელი ლიუ სიუანი 23—24 წწ აჯანყებულები დედაქალაქ ჩანანს მოადგნენ 23 წ ლიუ სიუანმა თავი იმპერატორად გამოაცხადა გენ შის სახელით და ჩანანი აიღო. ვან მანს თავი მოჰკვეთეს. მაგრამ აჯანყებულთა სხვა რაზმებმა არ ცნეს ახ. იმპერატორი. 25 წ. დასაწყ. „წითელწარბიანებმა“ გენ შის ჯარები დაამარცხეს და 25 წ ზაფხულში ჩანანში შევიდნენ. მათ იმპერატორად დასვეს მწყემსი ლიუ პენძი. 27 წ. დიდგვაროვან სიაოდინასთან ბრძოლაში „წითელწარბიანები“ სასტიკად დაამარცხეს იმპერატორის ჯარებმა.

**წითელწვერა** (Kochia prostrata), ბუჩქბალახი ნაცარქათამასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 75 სმ აღწევს აქვს წამოწეული ტოტები, ვიწრო ხაზური, თითქმის მჯდომარე ფოთლები, რ-ებიც გრძელი ხავერდოვან-ბეწვიანი შებუსვით მოფენილი. სსრკ-ში გავრცელებულია ევრ. ნაწილში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში. ჩვენში იზრდება აღმ. საქართველოში თიხნარ, ქვიან. სილნარ, მლაშობ და რუდერალურ ადგილებზე დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. გვხვდება აგრეთვე აფხაზეთშიც. ძვირფასი საკვები მცენარეა ზამთრის საძოვრებზე. იყენებენ საწვავად. მ. ივანიშვილი.

**წითელწყარო** (ყოფ. დედოფლისწყარო), ქალაქი (1963-იდან), აღმ. საქართველოში, წითელწყაროს რ-ნის ადმ. და საქალაქო საბჭოს ცენტრი (შედის წ., დაბა მირზაანი, სოფ. პატარა შირაქი). თბილისი — წითელწყაროს სარკინიგზო ხაზის საბოლოო პუნქტი. მდებარეობს შირაქის ვაკეზე. ზ. დ. 800 მ, თბილისიდან 144 კმ (რკინიგზით).

წ-ში ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 10,1°C, იანვ. —1,5°C, ივლ. 21,7°C; აბსოლ. მინ. —26°C; აბსოლ. მაქს. 38°C, ნალექები 650 მმ მოდის წელიწადში.

ქალაქში არის [illegible] ორგანიზაციის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მევენახეობა), მევენახეობის საბჭ. მეურნ., ლენინისა და მეცხვ.-კარაქის ქ-ნები, ხორცისა და რძისამრეწველო კომბინატები, ლიმონათისა და [illegible] საამქროები. კირქვების კარიერი; 3 საშ. სკოლა, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტ. სკოლები, 6 საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსახლი, კინოთეატრი, ბ-კა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, პოლიკლინიკა, საავადმყოფო, აფთიაქი., კავშირგაბმ. რ-ნული კვანძი. წ-ს მახლობლად დგას ხორნაბუჯის ციხე.

**წითელწყარო** (ყოფ. ნათლისმცემელი), სოფელი გორის რ-ნში (საყავრის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე ზ. დ. 1080 მ, გორიდან 36 კმ, გრაკალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 კმ. საყავრის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. საყავრეში (3 კმ). სოფელში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია (XI ს.). ეკლესიაზე ამოკვეთილია ლაპიდარული წარწერა.

**წითელწყარო** (ყოფ. ნაცარიანი), სოფელი წითელწყაროს რ-ნში, შირაქის ვაკეზე, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები. წ., ლენინოვკა). ზ. დ. 800 მ, ქ. წითელწყაროდან 2 კმ ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მეხილეობა, მევენახეობა), მარცვლეულის ელევატორი, საწარმოო გაერთიანება „საქარამშენებლის“ ფილიალი. დაწყ., საშ. და სამუსიკო (ცემლიანი) სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), კავშირგაბმ. განყ-ბა

**წითელწყაროს რაიონი**, ადმ.-ტერ. რ-ნი აღმ. საქართველოში, იორის ზეგანზე. 1917-მდე ახლანდ. წ. რ-ის ტერიტ. შედიოდა თბილ. გუბ. სიღნაღის მაზრაში, 1921 საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით ისევ სიღნაღის მაზრაშია, 1928 — კახეთის მაზრაში, 1929 — კახეთის ოლქში, 1930—37 — სიღნაღის რ-ნში. 1938 ჩამოყალიბდა ცალკე რ-ნად სიღნაღის რ-ნისაგან გამოყოფილი ტერიტ. ხარჯზე. 1963—64 ისევ სიღნაღის რ-ნში შედის, 1965-იდან კვლავ გამოიყო ცალკე რ-ნად. აღმ-ით და სამხრ-ით ესაზღვრება აზერბ. სსრ, დას-ით და ჩრდ-ით — სიღნაღის რ-ნი. ფართ. 2531,7 კმ². რაიცენტრი — ქ. წითელწყარო. რ-ნში არის 1 საქალაქო (წითელწყარო) და 11 სასოფლო საბჭო (არბოშიკი, არხილოსკალო, გამარჯვება, ზემო მაჩხაანი, ზემო ქედი, ოზაანი, სამთაწყარო, ქვემო ქედი, წითელი სამადლო, წითელწყარო, ჯაფარიძე); 1 ქალაქი, 1 დაბა და 16 სოფელი.

ბუნება. რელიეფი რ-ნი განლაგებულია მთლიანად იორის ზეგანზე (წყლო-მთიანეთზე), უჭირავს აგრეთვე გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი და მდ. ალაზნის ხეობის უკიდურესი სამხრ.-აღმ. ნაწილი. იორის ზეგანი ტერშოვანი და მეოთხეული ნალექი წყებებისგან აგებული და ხასიათდება ტექტონიკურად ვიწრო ანტიკლინებისა და ფართო სინკლინების ურთიერთმონაცვლეობით. ამან განსაზღვრა რ-ნის გეომორფოლ. სახე: იგი შედგება ტექტოგენური ფორმების — მონოკლინური და ანტიკლინური მაღლობებისა (ზოლიბების, დაბალი სერებისა და ქედების) და სინკლინური გაკეთებული ტაფობებისაგან, რ-ებიც ამოვსებულია მეოთხეული ტბიური ნალექებით. ამავე დროს ტექტოგენურ რელიეფზე დაშენებულია ეროზიული ხეობები, ხრამები, მდინარეული ტერასები, ბედლენდები, ფსევდოკარსტი, ტალახის ვულკანები და სხვ. მთავარი ოროგრ. ერთეულებია: დიდი შირაქის, პატარა შირაქის, ტარიბანის, ნატბეურის, იორის სტეპის ანუ პატარა ტარიბანის, ნაომარქალათავის, ქვაჭუნის ვაკე ტაფობები და დაბალი სერები (ქედები): კოწახურის, ნაზარლების, ყალადარის, ჩოჩანდაღის, ზილიჩის, ყაჯირის, ყანლის, ელდარის. რ-ნის ტერიტორიაზე აღმართულია მთები: უზუნდარა, ჩალხვეი, ქვაბები, ბილეონა, ოროძმა, ნიკორაცმინდა და სხვ. ტაფობებს შორის ყველაზე დიდია (30—35 კმ სიგრძ., 14—15 კმ სიგანე) დიდი შირაქის ტაფობი. იგი აგებულია პლიოცენური თიხებითა და კონგლომერატებით, ფსკერი — მეოთხეული თიხნარებითა და რიყნარით. დიდი შირაქის ტაფობი სამხრ-იდან შემოფარგლულია ანტიკლინური სერებით: ქოჩებას, ნაზარლების, შუანამისის. ჩრდ-ით დიდი შირაქის ტაფობი შემოზღუდულია არხილოსკალო-ცაშის დაბალი ქედით, რ-ის თხემი მოვაკებულია და ზილიჩის სერთან ერთად მდ. იორის აუზს გამოყოფს ალაზნის აუზისაგან. დიდი შირაქის ტაფობი აღმ-ით კასრისწყლის ეროზიულ ტაფობს უერთდება, რ-იც აღმ-ით ჯეირანის სტეპის ეროზიულ ტაფობში გადადის.

პატარა შირაქის ტაფობიც (სიგრძე 12—15 კმ) ახალგაზრდა ნალექებით დაფარული სინკლინია და შემოფარგლულია ჩრდ-ით შუანამისით, სამხრ-ით — ყალადარის ქედით. პატარა შირაქის სამხრ.-აღმ-ით ტალღოვან-ბორცვიანი სინკლინური დეპრესია — ნატბეურისთავის ტაფობია, ვრცელი ტაფობია აგრეთვე ტარიბანა, რ-იც სამხრ-ით ნატბეურის სტეპში გადადის. ამ უკანასკნელის სამხრ-ით ქვაჭუნის ბორცვიანი ვაკეა. რ-ნის უკიდურეს სამხრ.-აღმ. კუთხეში მდებარეობს მეოთხეული მდინარეული ნალექებით აგებული ელდარის დაბლობი (ზ. დ. 150—200 მ) ელდარის დაბლობის უკიდურესი სამხრ.-აღმ. ნაწილი ცნობილია ბუდამოედნის სახელწოდებით. სტრუქტურულ-დენუდაციური და სტრუქტურულ-ეროზიული ფორმებით ხასიათდება აგრეთვე ყალადარის, ნაზარლების, კუშებისთავის, ქვაბების, ზილიჩის, ელდარის და სხვ. დაბალი ქედები და სერები. ეროზიულ-სკულპტურული ფორმები გამომუშავებულია პანტიშარის, ყუმურისხევის, კოდასხევისა და სხვ. აუზებში. ბევრგან კალთებზე განვითარებულია ბედლენდები. მდ. ლეკისწყლის ხეობაში გვხვდება სუფოზიური და ქანდაკებისებრი ფორმები. აქვე არის „თიხის კარსტი“, აგრეთვე „ალექსილები“ — ვერტიკალურად ჩამოკვეთილი თიხნარი ფორმები აქა-იქ (პანტიშარის ხეობა, გაშლოვანის ნაკრძალი, კოწახურის ქედი და სხვ.) რელიეფის კუესტური ფორმებიცაა. რ-ნში შემოდის გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოება ქ. წითელწყაროს მახლობლად მესამეულის ნალექებში ამოჭრილია ზედაიურული კირქვები, რ-ებიც ქმნიან კოშკისმაგვარ და გუმბათისმაგვარ კლდოვან ფორმებს (ოროძმის, ბილეონის და ნიკორაცმინდის მთების სახით). წ. რ-ს ეკუთვნის აგრეთვე ალაზნის ვაკე სოფლებს წითელ სამადლოსა და ზემო ქედს შორის. მნიშვნელოვანი წიაღისეულია ნავთობი (პატარა შირაქის, მირზაანის, ტარიბანის საბადოები) და კირქვები (წითელწყაროს საბადო)

ჰავა. რ-ნის ტერიტ. ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავის ოლქს მიეკუთვნება და ძირითადად არის ორი ტიპის ჰავა. სამხრ-ით ცხელზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, ჩრდ. ზოლში — ზომიერად ნოტიო ჰავა, სადაც ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული — ხანგრძლივად თბილი. საშ. წლ. ტემპ-რა 10—10,3°C-მდეა (შირაქი 10,3°C. წითელწყარო 10,1°C), ივლ. 22—22,6°C (შირაქი 22,6°C. წითელწყარო 21,7°C), იანვ. —1,5,—2,3°C (შირაქი — 2,3°C, წითელწყარო — 1,5°C); ტემპ-რის აბსოლ. მაქს. 36 —38°C, აბსოლ. მინ. —26, —32°C. წელიწადში 500—600 მმ ნალექი მოდის (შირაქი 540 მმ, წითელწყარო 650 მმ) მცირე ნალექი მოდის ელდარის დაბლობზე (250—300 მმ). ნალექების მაქს. მაისსა და ივნ. დასაწყისშია, მინ. — ზამთარსა და ზაფხულში.

შიგა წყლები. რ-ნი ღარიბია. აღმ. საზღვართან ჩამოუდის მდ. ალაზანი, დას. ნაწილს კვეთს მდ. იორი, მაგრამ ტერიტ. უდიდესი ნაწილი მოკლებულია ნელმდ. მდ-ებს. აქ მოედინება პატარა პერიოდული მდ-ები (ლეკისწყალი, ყუმურისხევი, პანტიშარისხევი, ქუშისხევი, დორისწყლის-



წითელწვერა





რ რამიშვილი) სამართლიანი და ნაწილსაბლარი. ნაპოვნია ქვისა და ალიზის კედლის ნაშთები, სამეურნეო ორმოები, კერამიკის, თიხის ქურჭლის ნატეხები და სხვ.

რ. რამიშვილი, ბ. ყვირკველია

**წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა**, ერთ-ერთი უძველესი მეურნეობა თელავის რ-ნში (თბილისიდან – 150 კმ) შეიქმნა საუფლისწულო მამულების ბაზაზე 1889 საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა. 1945 წ ვენახების ფართობი 170 ჰა იყო, 1985 წ-ისთვის კი იგი 919 ჰა-მდე გაიზარდა. 1961 მარტში მახლობლად არსებული კოლ-მა და საბჭ. მეურნეობა გაერთიანდა წ. მ. ს. მ-ად. მეურნ. წამყვანი დარგია მევენახეობა. მეურნ. მიწის მთლიანი ფონდი 2546 ჰა-ს შეადგენს მრავალწლიანი ნარგავები გაშენებულია 1031 ჰა-ზე, აქედან ვენახს — 919 ჰა უჭირავს. მეურნ. მთლიანი პროდუქცია 2480 ათ. მანეთს უდრის (1985). მეურნეობა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1949).

**წინანდლის ღვინის ქარხანა**, ერთ-ერთი უძველესი ქ-ნა შეიქმნა ჭავჭავაძეთა მამულში არსებული ღვინის მარნის ბაზაზე, ექსპლუატაციაში შევიდა 1887 რეკონსტრუქციის შემდეგ. ქ-ნამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველივე წლიდან. 1939 ქ-ნა (სარდაფი) უკვე უშვებდა 162 ათ. დალ 7 სახეობის მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოს და 6 სახეობის ორდინარულ ღვინოს. ღვინო „წინანდალმა" მსოფლიო გამოფენაზე 10 ოქროს, 9 ვერცხლისა და 1 დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა.

ქ-ნას აქვს მიწისქვეშა სამარკო ღვინოების საცავი და ორდინარული მშრალი და შემაგრებული ღვინოების დასამუშ. განყ-ბები. ქ-ნის სიმძლავრეა (1985) 10 ათ. ტ. ყურძნის გადამუშავება, 600 ათ. დალ სამარკო, 970 ათ. დალ ორდინარული მშრალი და შემაგრებული ღვინოების დამზადება-შენახვა.

**წინაპრის კულტი**, რწმენა-წარმოდგენათა სისტემა, რ-იც გ-ულისხმობს სახელოვან წინაპართა თაყვანისცემას, დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. მიჩნეულია რელიგ. ერთ-ერთ უძველეს (პირველსაწყისს) ფორმად აღმოცენდა გვაროვნ. წყობილებაში, სადაც სისხლით ნათესაობა გვარის ერთიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობად იყო მიჩნეული და საფუძვლად ედო იმ ეპოქის საზ-ბის რეალურ შეხედულებებს (მაგ., ტოტემიზმი).

საქართვ. სხვადასხვა კუთხეში წ. კ. მეტ-ნაკლებად არის დაცული. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის შემონახული აღმ. საქართვ. მთიანეთის ყოფაში, რასაც ხელი შეუწყო რწმენამ „კაი ყმისა" და „ხატის რჩეულობის" შესახებ. წ. კ. მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სახელოვანი გმირების კულტთან, რ-იც სათავეს იღებს სახელოვან წინაპართა თაყვანისცემიდან.

ლიტ.: კ ო ს ვ ე ნ ი მ. ო., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971; ო ჩ ი ა უ რ ი თ., წინაპრის კულტის გადმონაშთები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კრ.: რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში, [წ.] 9, თბ., 1984; ჩ ი ტ ა ი ა გ., წინასიტყვაობა, კრ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, [წ.] 3, თბ., 1940; ჩ ო ხ ე ლ ი ს., წინაპრის კულტი საქართველოში, კრ.: რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პრობლემა საქართველოში, თბ., 1973; ს ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (უ რ ბ ნ ე ლ ი) ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 2).

თ. ოჩიაური

**წინარე ენა**, იხ. ფუძეენა.

**წინარეხი**, სოფელი კასპის რ-ნში, მდ. ქსნის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: წ., გომისუბანი, თელათგორი, იდლეთი, ლავრისხევი). ზ. დ. 780 მ, კასპიდან 18 კმ კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 კმ. ქვათახევის მონასტრობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბიბლ., კლუბი, საბავშვო ბაღი, საფეიქრო-სამკერვალო პუნქტი. სოფლის მახლობლად შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — მაღალაანთ ეკლესია.

**წინასახელშეკრულებო დავა**, სსრკ-ში სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო სამართლებრივ ხელშეკრულებათა დადებისას წარმოშობილი უთანხმოება ხელშეკრულების კონკრეტული პირობების თაობაზე. აწესრიგებს სამოქალაქო სამართ. კანონმდებლობა, კერძოდ, პროდუქციისა და საქონლის მიწოდებათა შესახებ (1981) და პროდუქციის წარდგენის, გამოყენებისა და სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით წარმოშობილ უთანხმოებათა რეგულირების შესახებ (1973) არსებული დებულებები. ისინი ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილ უთანხმოებას, რ-საც სავალდებულოდ უდგენს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო დავალება, წყვეტს არბიტრაჟი, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარეს კოლ-ბა ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს — სასამართლო. ისეთი ხელშეკრულების დადებისას წარმოქმნილ უთანხმოებას კი, რ-საც სავალდებულოდ არ უდგენს საგეგმო დავალება, არბიტრაჟი ან სასამართლო განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ეს სპეციალურადაა კანონით გათვალისწინებული ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილი. მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება აღინიშნება უთანხმოების ოქმში, რ-საც ადგენს ხელშეკრულების პროექტის მიმღები ორგანიზაცია და 10 დღის ვადაში ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად უგზავნის მიმწოდებელს. ხელშეკრულების პროექტის ავტორი ამ ოქმის მიღებისას ვალდებულია მისთვის მისაღები წინადადებანი შეიტანოს ხელშეკრულებაში, ხოლო დარჩენილი მოურიგებელი წინადადებანი გადასცეს არბიტრაჟს განსახილველად 20 დღის ვადაში. არბიტრაჟის (სასამართლოს) გადაწყვეტილება სადავო საკითხებზე სავალდებულოა მხარეებისათვის, რის შემდეგაც ხელშეკრულება დადებულად ითვლება არბიტრაჟის (სასამართლოს) რედაქციით.

ნ. წერეთელი

**წინასიტყვა**, წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა, წ ი ნ ა თ ქ მ ა, ცალკე წიგნად გამოცემული თხზულების ძირითადი ნაწილის წინ მოთავსებული საცნობარო ხასიათის მოკლე წერილი.

**წინასოკრატელები**, ტერმინი, რომლითაც ფილოსოფიის ისტორიაში მოიხსენიებენ სოკრატემდელ (ძვ. წ. VI–IV სს.) ბერძენ ფილოსოფოსებს. ესენი იყვნენ: მილეთის სკოლისა და ელეატთა სკოლის წარმომადგენლები, ჰერაკლიტე ე ფ ე ს ე ლ ი, ძვ. პითაგორეიზმის იდეების დამცველები, ემპედოკლე, ანაქსაგორა, ატომისტების სკოლის წარმომადგენლები (ფუძემდებლები — დემოკრიტე და ლევკიპე მოწაფეები) და სოფისტები. წ-ის ფილოსოფიის ძირითადი მიზანი იყო ბუნების შესწავლა.

**წინასწარ დაძაბული კონსტრუქციები**, სამშენებლო კონსტრუქციები, რ-ებშიც წინასწარ (დამზადებისა და აწყობის პროცესში) იქმნება იმ კონსტრუქციების ელემენტებში ხელოვნურად განაწილებული ძაბვები. თანამედროვე მშენებლობაში ფართოდ იყენებენ სხვადასხვა დანიშნულების წ. დ. ძ-ს (ტრანსპორტის კონსტრუქციები და ნაგებობები, ლითონის კონსტრუქციები).

**წინასწარი გამოძიება**, გამოძიების სახე, რ-საც ატარებს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამომძიებელი ან პროკურორი. წ. გ-ის ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება, გამოძიების ყოველმხრივი, ობიექტური ჩატარება და იმ მიზეზების გამომჟღავნება და აღკვეთა, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას ან განაპირობა იგი. წ. გ. ტარდება იმ რ-ნში, სადაც დანაშაულია ჩადენილი. გამოძიების დასაჩქარებლად იგი შეიძლება ჩატარდეს დანაშაულის გამომჟღავნების ადგილას ან იქ, სადაც დანაშაულის ჩამდენი ან მოწმეთა უმრავლესობა იმყოფება (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 130). საქმის სირთულის ან დიდი მოცულობის შემთხვევაში წ. გ-ის ჩატარება შეიძლება დაევალოს რამდენიმე გამომძიებელს (მ. 131).

წ. გ-ის დროს გამომძიებელი ატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედებას (დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩხრეკა და სხვ.); აგროვებს საქმეზე ყველა საჭირო მტკიცებულებას, აძლევს სავალდებულო მითითებებს მოკვლევის ორგანოს სამძებრო-ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებათა შესასრულებლად.

წ. გ. უნდა დამთავრდეს ორ თვეში. პროცესუალური კანონი განსაკუთრებით რთული საქმის გამოძიებისათვის განსაზღვრავს წ. გ-ის ვადის შემდგომი გაგრძელების წესს (მ. 134). წ. გ., როგორც წესი, მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით და პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გადაგზავნით.

წ. გ-ის დროს კანონთა შესრულებას და მის ერთგვაროვან გამოყენებას ზედამხედველობას უწევს პროკურორი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უწყება ატარებს წ. გ-ს.

ა. ფალავანდიშვილი

**წინასწარი პატიმრობა**, აღკვეთის ღონისძიების სახე, რ-საც გამოიყენებს მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ბრალდებულის (განსასჯელის) ან ეჭვმიტანილის მიმართ. წ. პ-ს მიმართავენ იმ მიზნით, რათა გამოირიცხოს გამოძიებისა და სასამართლოსაგან დამალვის შესაძლებლობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართ. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და სხვ. წინასწარი დაპატიმრებისათვის აუცილებელია, რომ კანონი ითვალისწინებდეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში — ერთ წელზე ნაკლები ვადითაც. ეჭვმიტანილის დაპატიმრება წინასწარ შეიძლება, მაგრამ, თუ ბრალდებას 10 დღე-ღამის განმავლობაში არ წაუყენებენ, წ. პ. უქმდება და ეჭვმიტანილი თავისუფლდება (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 81). წ. პ-ის შესახებ უნდა ეცნობოს ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის ოჯახს და სამუშაო ადგილს (მ. 90). წ. პ-ის ვადა ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში. წ. პ-ის საფუძვლიანობას და კანონიერებას ზედამხედველობას უწევს პროკურორი.

ა. ფალავანდიშვილი

**წინასწარხედვა**, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი, მომავლის განჭვრეტა, განვითარების პროცესში საგნისა და მოვლენათა ცვლილებათა ტენდენციის გააზრება. არსებობს წ-ის სამი დონე: სალი აზრისეული, ემპირიული და მეცნიერული. ემპირიული წ. საერთოდ ცნობიერების დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია. შრომა, მიზანშეწონილი მოქმედება თავის თავში შეიცავს წ-ს, ადამიანი ჯერ იდეალურად წარმოსახავს სასურველ საგანს ან მოვლენას და შემდეგ იწყებს ჩანაფიქრის განხორციელებას. წ-ის მაღალი დონეა მეცნიერული წ., რ-იც ემყარება ბუნებისა და საზ-ბის განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას. ბუნების კანონზომიერებათა შეცნობამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ბუნების მოვლენათა ახსნის სფეროში წ-ს. წ-ს, ბუნების მეცნიერების განვითარებამ მეცნიერული წ-ის ბრწყინვალე მაგალითები მოგვცა, მაგ., მეცნიერებისათვის უცნობი ქიმ. ელემენტების არსებობის გააზრება და მათი თვისებების დადგენა მენდელეევის პერიოდული კანონის აღმოჩენის საფუძველზე; ან, ვიშერის გამ-





**ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲐᲕᲐᲓᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜᲔᲑᲘ** (Hepialidae), ფარვანების ერთ-ერთი პრიმიტიული ოჯახი ქერცლფრთიანთა რიგისა. ოჯახში 400-მდე სახეობაა, რომელთაგან სსრკ-ში ცნობილია 20-მდე, საქართველოში — 4 სახეობა. კავკ. ეტიკეტის — დიდი წმინდადანისფერის (Phassus schamyl) ფრთების შლილი 9,5 სმ, სხეულის სიგრძე — 3,5 სმ აღწევს. ჩვენში ის V–VI თვეში ფრენს, რის გამოც ღამის მთვარის ნათელზე. მატლები ვითარდება ხეების ფესვებში და ღეროებში. ზოგი სახეობა სოფლის მეურნეობის მავნებელია.
*მ. ხელაშვილი.*

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ** (Saint Helena Island), ვულკანური კუნძული ატლანტის ოკეანის სამხრ. ნაწილში, დიდი ბრიტ. სამფლობელო. ფართ. 122 კმ². მოსახლ. ... ადმ. ცენტრი — ჯეიმზტაუნი. ... კლიმატი ტროპიკ., ... ნაპოლეონ I, რომელიც აქ გარდაიცვალა 1821.

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ** (Saint Elias Mountains), მთები ჩრდ. ამერიკის კორდილიერებში, აშშ-სა (ალასკა) და კანადაში. სიგრძე 350 კმ მეტი, სიმაღლე 6050 მ (მთა ლოგანი). აგებულია გრანიტებითა და ... 500 მ-ზე ზევით ... მყინვარები ... (მალასპინა ...) ...

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ,** იმპერიალისტური ... რომელიც I მსოფლიო ომის წლებში (1914—18) წამოაყენეს ... იმპერიალიზმის ... კაპიტალიზმის ... სახელმწიფოები ...

*ა. ბარამიძე.*

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ** (Saint Lawrence Island), კუნძული ბერინგის ზღვის ჩრდ. ნაწილში, ... აშშ-ის ... ფართ. 4,4 ათ. კმ². ... დაბლობი, არის

მთიანი ... (სიმაღლე 673 მ-მდე). ... ტუნდრის მცენარეულობით. ... კუნძული აღმოაჩინა ვ. ბერინგმა 1728.

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** (Saint Lawrence River), მდინარე ჩრდ. ამერიკის აღმ. ნაწილში. გამოდის ონტარიოს ტბიდან (დიდი ტბების სისტემა) და ერთვის წმინდა ლავრენტის ყურეს. სიგრძე დაახლ. 1200 კმ, ... სიგრძე ... აუზის ფართ. 1290 ათ. კმ². ... შენაკადები ... ოტავა ... სენ-მორისი, საგენეი ... რომლის ... კანადის ... ატლანტის ოკეანეს ... ზღვის წყლის ... 6750 მ³/წმ, ... ონტარიოს ... მონრეალიდან ... კვებეკი ... 5,5 მ ... ჰიდროელექტროსადგურებია. ... მონრეალი, კვებეკი.

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲣᲠᲔ** (Gulf of Saint Lawrence), ნახევრად დახურული ზღვა ატლანტის ოკეანეში, ჩრდ. ამერიკის (კანადა) აღმ. ნაპირთან ... ნიუფაუნდლენდისა და კეიპ-ბრეტონის ... ფართ. 249 ათ. კმ² ... წმინდა ლავრენტის მდინარე ... 538 მ-მდე ... 16°C ... 0°C ... 32‰ ... (12—15‰) ... 2 მ-მდე ... ცურავენ აისბერგები ...

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲛᲐᲢᲧᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ,** ეკლესიურ-სამონასტრო, წმინდამატყლიანი ცხვრის მოშენება. ... სსრკ-ში წ. მ.-ის ... საძოვრები ... სახორცე-სამატყლე ... მერინოსი, ... წმინდამატყლიანი ... 40% ...

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ,** კაპიტალისტურ საზოგადოებაში ... სარეწარმოს ...

სოციალ. ქვეყნებში წ. მ. არის მოგების ნაწილი, რომელიც ... (იხ. აგრეთვე სტატიები *მოგება, წმინდა შემოსავალი*).

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲑᲘ,** ... ზეთით დაკავშირებული ... ნათესიაგან

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ,** მითოლოგიური ან ისტორიული პირები, რომლებიც ეკლესიამ აღიარა ... ქრისტიანობაში ... IV ს.-იდან ... მე-7 მსოფლიო საეკლ. კრება (787) ... დემეტრე II, ქეთევან დედოფალი და სხვ.), ... (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვ.) ... X ს.-იდან ... XVIII ს.-ში ...

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ,** იხ. *ნინო.*

**ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ,** შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფელ ... (შუა საუკუნეებში აქ ... იყო ... ტაძარი ... 12-მდე ... XX ს. ...

*ლიტ.: ... ქართული ხელოვნების ... ტ. 3 (...), თბ., 1979.*

**„ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ"** ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა. ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ", მარქსისა და ენგელსის პირველი ერთობლივი ნაწარმოები, დაიწერა 1844, გამოქვეყნდა 1845 მაინის ფრანკ...

სურსები" წარმოადგენს მრავალ. სახელმძღვანელოს საპროექტო და წყალსამეურნეო ორგანიზაციებისათვის ძირითად მასალათებლების გასაანგარიშებლად და ეკარება პიდროლოგიურებისა და ჰიდროქიმიის დაკავშირებათა მრავალფეროვნების მეტ ანალიზისა და განზოგადების, აგრეთვე სპეციალური და სამეცნიერო გამოკვლევების. ეს სერია მოიცავს 42 გამოშვებას.

**წყლის კაკალი** (Trapa), მცენარეთა გვარი წყლისკაკლისებრთა ოჯახისა. წყალში მოზარდი ერთწლოვანი ბალახებია. მათი შოლტისებრი მოჭრილი ღეროს ფესვზე მომაგრებულია ლენწისებრი ჩაყოფით და წვრილი ფესვებით. მოიცავს 30-მდე სახეობას, გავრცელებულია ევრაზიის და აფრ. ზომიერ და ტროპ. ზონების დამდგარსა და მდორე მტკნარ წყლებში. საქართველოში იზრდება 2 სახეობა მთელი კოლხ. დაბლობზე ჩაყოფი იქმება ნაყოფიც და მოსარშულიც. ეგზოტი მოხარშულ წაბლს ჰგავს. გამომშრალი ნაყოფის გულისაგან შეიძლება დამზადდეს პურეული, მისი ფქვილისა და ზორბალის ფქვილის ნარევით საკმაოდ კარგი პური ცხვება. სსრკ-ში ტარდება ცდები წ. კ-ის მოშენებისათვის. *ქ. ქარქელიძე*



წყლის კაკალი ა—ნაყოფი.

**წყლის კადასტრი**, სსრკ-ში იმ ოფიციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებენ წყლით სარგებლობისა და წყლის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სამხედრო, საზღვაო და ტექ. წყლის ყოფა-გაყიდვის საკითხებს ძირითადად სახელმწიფოს კანონმდებლობა განსაზღვრავს. ეს ურთიერთობანი წ. კ-ში ასახულია იმდენად, რამდენადაც იგი საჭიროა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვისათვის (იხ. წყალსარგებლობა). წ. კ. მოიცავს ნორმებს, რომელიც შეეხება სსრკ-ში წყლის სახელმწ. საკუთრების უფლებას, მოსახლეობისა და სახ. მეურნ. სხვადასხვა საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის წესებს, წყლის დაცვას გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან. წ. კ. შეიცავს აგრეთვე იმ ნორმებს, რომლიც განსაზღვრავენ სახელმწ. მმართველობის უფლებამოსილებას წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ორგანიზაციის საკითხებს (წყალდიდობა, წყლის ეროზია და ა. შ.) და წ. კ-ის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას.

წ. კ-ის უმნიშვნელოვანესი აქტებია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები (1970) და მათ ბაზაზე გამოცემული რესპ. წყლის კოდექსები, საქ. სსრ წყლის კოდექსი მიღებულია 1974. იგი შედგება 5 კარისაგან: 1. ზოგადი დებულებანი, 2. წყალსარგებლობა, 3. წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება, 4. წყლის გამოყენების სახელმწ. აღრიცხვა და დაგეგმვა, 5. პასუხისმგებლობა წ. კ-ის დარღვევისათვის.

**წყლის კულტურა**, იხ. *ჰიდროპონიკური მეთოდი*.

**წყლის მანანა** (Glyceria), მრავალ- ან ერთწლოვანი მცენარეების გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა 25—150(200) სმ სიმაღლის ბალახებია. ნაყოფიერი ყვავილები აქვთ იშვიათად ცრუწინ კორდს. 40-მდე სახეობაა, გავრცელებულია დედამიწის სუბტროპ. და ზომიერად თბილ ქვეყნებში, ნაწილობრივ ტროპიკების მთიან რეგიონში. სსრკ-ში გვხვდება 15 სახეობა (მათგან 7 ენდემია). საქართველოში — 5. შედარებით ფართოდ არის გავრცელებული G. arundinacea, G. fluitans, G. plicata. იზრდებიან ტენიან ადგილებში, მდინარისპირა ჭაობებისა და წყალსატევებში სან. ღირსებებში საკვები ბალახია, კარგია სასილოსედ გამოყენებისთვის. დაავადებული ნიადაგი მცენარე შხამიანია. *ქ. ქარქელიძე*



წყლის ისრფრთიანი



წყლის მრავალძარღვა (Alisma plantago-aquatica): ა—ყვავილი, ბ—ნაყოფი.



წყლის ჯირი (Lemna trisulca): ა—ყვავილობის მცენარე; ბ—ნაყოფი.

**წყლის მემინდვრია** (Arvicola terrestris), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 24 სმ, მასა 270 გ-მდე. გავრცელებულია ევროპაში, აზიისა და ნაწილობრივ წინა აზიაში, სსრკ-ში — ყველა. ბინადრობს ზღვის დონიდან ალპურ მდ. ლეწამებს და ბალახის ტბამდე. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. ბარგად ცურავს. ცხოვრობს სოროში, რომელსაც სანაპიროზე თხრის. იკვებება მცენარეებით, მოლუსკებით, მწერებით და ა. შ. ზიანს აყენებს მებოსტნეობას, მეტყევეობას, მებაღეობას. არის ტულარემიის ებიზოოტიების ბუნებრივი წყარო. ბეწვი დაბალი ხარისხისაა და სარეწაო ღირებულება არა აქვს. ქვესახეობებიდან საქართველოში გავრცელებულია სპარსული წ. მ. (A. t. persicus) და ოსური წ. მ. (A. t. ognevi). *რ. ბეგალიშვილი*

**წყლის მოხმარება**, მოსახლეობის, მრეწველობისა და სხვა დარგების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიწოდებული წყლის ხარჯვა. განასხვავებენ წ. მ-ის 2 ძირითად კატეგორიას: 1. სამეურნეო-სასმელსა და კომუნალურს (წ. მ. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნებისა და დასახლ. ადგილების კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად); 2. საწარმოოს ანუ ტექნიკურს (წ. მ. ნახშირის წარმოებაში, სამრეწველო-, ენერგეტ.-, ტრანსპ., ტექნიკ. მიზნებისა თვის და სხვ.) მოსახლეობისათვის საჭირო წ. მ-ის ოდენობის მაჩვენებელია წყლის კუთრი ხარჯი, ე. ი. წყლის მოცულობა, რომელსაც დღეში ხარჯავს 1 მცხოვრები ლიტრებში. დასახლ. ადგილებში ფაქტობრივი წყლის კუთრი ხარჯის განზომვა და ანალიზი საფუძვლად უდევს წ. მ-ის ნორმების დადგენას.

**წყლის მრავალძარღვა** (Alisma), მრავალწლოვანი მცენარეების გვარი წყლისმრავალძარღვასებრთა ოჯახისა. შეიცავს 10-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია სრულ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელსა და ავსტრალიაში, წყალსატევების წყალნარიან სანაპიროებზე, დაჭაობებულ მდელოებზე და ჭაობებში. სსრკ-ში 6 სახეობა იზრდება, საქართველოში — 2; მათგან ფართოდ არის გავრცელებული A. plantago-aquatica. ზაფხ. შუადღეში წ. მ-ს აქვს ხმელი ფესვების ფეხები ხმაურიდან წყალსატევის. მუხლისა და ე. წ. წყლის ქინის სამკურნალოდ, ფოთლის ნახარში — მარილმჟავე საშუალებად. ნედლი მცენარე შხამიანია (შეიცავს აქროლად ზეთს). დეკორატიულია. *ქ. ქარქელიძე*

**წყლის მცენარეულობა** (Aquiherbosa), მცენარეთა თანასაზოგადოება, რომელიც გაბატონებულია წყლის მცენარეები არსებობს. წ. მ-ის 2 ტიპი. პიდროფიტები — მცენარეები, რომელნიც მხოლოდ ძირით ნაწილობრივ წყალში ჩაძირული და ჰიდატოფიტები, რომელიც მთლიანად ან უმეტესი ნაწილითაა წყალში ჩაძირული, ასეთ მორფოლ., ანატომიური და ფიზიოლ. თვისებებით, ისინი შეგუებული არიან წყალში ცხოვრების ნორმ. და ასეთი გარემო იმპროპლურია მათი ზრდა-განვითარებისათვის. არსებობს წ. მ-ის 3 ტიპი: 1) ლემნური, რომელიც ქმნის წყლის ზედაპირზე თავისუფლად მოტივტივე მცენარეები; 2) ელოდეური, რომლის ფესვები შერწყმულია ფსკერზე მიმაგრებული, წყალში ჩაძირული მცენარეები; 3) ნიმფეური, რომლის გაბატონებული ფესკერზე მიმაგრებული მცენარეები, რომლის ფოთლები და გენერატიული ორგანოები წყლის ზედაპირზე ტივტივებს. საქართველოში შედარებით ფართოდაა გავრცელებული და ტიპოლოგიურად ნაირგვარია ნიმფეური ტიპი. ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად განუხრელად მცირდება წყლის მცენარეულობის სახეობრივი შემადგენლობა. საქართვ. დაბლობებზე და მთის ქვედა სარტყელში გავრცელებულია წ. მ-ის 80-მდე სახეობა. ხოლო 2000 მ-ზე მაღლა თითო-ოროლა სახეობა გვხვდება. *ქ. ქარქელიძე*

**წყლის ნაშთი**, იგივეა, რაც *პიდროთერმული ჯგუფი*.

**წყლის ორთქლი**, წყალი აირისებრ მდგომარეობაში; მიიღება ორთქლწარმოქმნის (აორთქლების) პროცესში, რისთვისაც აწყდებიან წყალს ორთქლის ქვაბებს და სხვა თბოგამცვლელ აპარატებში. წ. ო. მრეწველობის ე. წ. რეალური აირების, რომელიც მისი წნევისა და კუთრი მოცულობის ნამრავლი ერთი და იმავე ტემპ-რის პირობებში მუდმივი არ არის. წ. ო-ის მდგომარეობას ახასიათებენ წნევითა და ტემპ-რით (გადამეტხურებული ორთქლისათვის), წნევითა (ან ტემპ-რით) და სიმშრალის ხარისხით (ნაჯერი ორთქლისათვის). ატმ. წნევის დროს მშრალი ნაჯერი წ. ო-ის კუთრი მოცულობა დაახლ. 1600-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე წყლისა. კრიტიკულ მდგომარეობაში ორთქლისა და წყლის თვისებები ერთნაირია. წ. ო-ს, რომელიც თერმოდინ. წონასწორობაშია წყალთან, უწოდებენ მშრალ ნაჯერ ორთქლს, ხოლო ნაჯერ ორთქლს, რომელიც შეიცავს წყლის წვეთებს, — ტენიან ნაჯერ ორთქლს. მშრალი ნაჯერი ორთქლის მასის შეფარდებას ტენიანი ნაჯერი ორთქლის მასასთან უწოდებენ ორთქლშემცველობას ან ორთქლის სიმშრალის ხარისხს. წ. ო. ფართოდ გამოიყენება ორთქლის მანქანასა და ორთქლის ტურბინაში, თბოსამომარაგებისა და ვენტილაციის სისტემებში და ა. შ. მისი თვისებები აგრეთვე მრავალ ტექნოლ. პროცესში.

ლიტ.: Вукалович М. П., Ривкин С. Л., Александров А. А., Таблицы теплофизических свойств воды и водяного пара, М., 1969.

**წყლის ორთქლის დრეკადობა**, ატმოსფეროში, ჰაერში არსებული წყლის ორთქლის პარციალური წნევა. გამოისახება მმ ვწყ. სვ. (1 მბარი = $=10^{2}$ $ნ/მ^{2}$). წ. ო. დ. დამოკიდებულია მოცულობის ერთეულში წყლის ორთქლის რაოდენობაზე, იგი ჰაერის ტენიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია. წ. ო. დ. დედამიწის ზედაპირთან შეიძლება იყოს ნულთან ახლოს (ანტარქტიდაში, ზამთარში იაკუტიაში, ზოგჯერ უდაბნოში) და 30—35 მბარ-მდე (ეკვატორის მახლობლად). წ. ო. დ. სიმაღლის მიხედვით სწრაფად მცირდება და ტროპოსფეროს ზედა საზღვარზე თითქმის ნულამდე ეცემა.

**წყლის ჭერი**, ლემნა (Lemna), მცენარეთა გვარი წყლისჭერისებრთა ოჯახისა მეტისმეტად პატარა მრავალწლოვანი ბალახებია. მათი მომრგვალო ან მოგრძო ფოთლისებრი მწვანე სხეული წყლის ზედაპირზე ტივტივებს ან წყალშია მოთავსებული. ყვავილობს მეტად იშვიათად, ძირითადად მრავლდება ვეგეტატიურად. ცნობილია 10 სახეობა, რომელიც გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, იზრდება დგუბე წყლებსა და მდორე მტკნარ წყლებში. სსრკ-ში, კერძოდ საქართველოშიც, მხოლოდ 3 სახეობა გვხვდება ტბებისა და ტყის სატბორებში; ზოგჯერ წყლის ზედაპირზე ქმნის მთლიან საფარს. ცხოველთა საკვებია. *ქ. ქარქელიძე*

**წყლისჭერისებრნი** (Lemnaceae), ერთლებნიან მცენარეთა ოჯახი. წყლის ზედაპირზე თავისუფლად მცურავი ან წყალში მოქცეული პატარა ბალახებია. ყვავილოვან მცენარეთა შორის ყველაზე მეტად აქვთ რედუცირებული ვეგეტაციური და გენერატიული ორგანოები. ფოთლები ლანცეტის მსგავსი სხეული აქვთ. ცნობილია 3 გვარის 25 სახეობა, რომელიც იზრდებიან დამდგარსა და მდორე წყლებში. ვოლფიის (Wolffia) გვარი უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებში. წყლის ჭერის და სპიროდელას (Spirodela) გვარების სახეობათა უმეტესობა — თითქმის მთელ დედამიწაზე. სსრკ-ში სამივე გვარის 5 სახეობა გვხვდება, საქართველოში — 2 გვარის (სპიროდელა და წყლის ჭერი) 4 სახეობა. *ქ. ქარქელიძე*





კ. კოროვინი. ს. ი. მამონტოვის პორტრეტი. 1896 წ. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.






**ჭ**, ქართული ანბანის ოცდამეათე (ძველი ქართ. ანბანის ოცდამეცამეტე) ასო; მისი სახელია „ჭარი", გრაფიკულად სიმბოლო წინაენისმიერი აბრუპტივი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა ჴ. ნუსხურში ჴ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ხუთი ათასს (5000).

ცხრილში წარმოდგენილია თანმიმდევრობით მოცემული ასო „ჭ-ს" გრაფიკული მოხაზულობის დამახასიათებელი სახე ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახის — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა). ისინი ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

**ჭა**, ვერტიკალური შახტის ან ჭაბურღილის სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობა. ჭ. საშუალებით: წყალსადენი, შთამნთქმელი და სანიაღვრო. წყალსადენი ჭ-ის დანიშნულებაა მიწისქვეშა სასმელი წყლის შეგროვება და მისი გამოყენება წყალმომარაგებისა და მორწყვისათვის. კონსტრ. მიხედვით განასხვავებენ შახტურ და მილისებრ ჭ-ებს. შახტურს აწყობენ წყლის ასაღებად უდაწნეო მცირედებიტიანი, შედარებით მცირე სიღრმეზე განლაგებული წყლოვანი ფენებიდან. იყენებენ დაბების, მეცხოველეობის ფერმების, საძოვრებისა და მისთ. წყალმომარაგებისათვის და აწყობენ ისეთ ადგილებში, სადაც გრუნტის წყალი ვარგისია დასალევად სპეც. გაწმენდის გარეშე. სიღრმე — 30—40 მ-მდე. მილისებრი ჭ. ჭაბურღილია, რ-საც აკეთებენ წყლის ასაღებად სხვადასხვა სიღრმიდან, წყლოვანი ფენებიდან. მისი სიღრმე 600 მ-ს აღწევს, სსრკ-ში 100 მ-ს არ აღემატება. შ თ ა მ ნ თ ქ მ ე ლ ჭ-ს იყენებენ დაბალი ადგილების ამოსაშრობად (ვერტ. დრენაჟის ერთ-ერთი სახეობა). ს ა ნ ი ა ღ ვ რ ო ჭ. კამერაა, რ-იც გამოყოფილია ტიხრით (მის მიმღებ ნაწილში წყალი შედის მილსადენიდან ან სხვა წყაროდან).

**ჭაბაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის ძე (დ. 14. X. 1916, თბილისი), ქართველი საბჭ. ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1950). უფროსი მეცნ. თანამშრომელი (1960); საქ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის სწავლული მდივანი (1950—66); საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბის გამგე (1966-იდან). საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი (1982-იდან); ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის უფროსი სამეცნ. რედაქტორი (1971-იდან) და სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1982-იდან), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ერთტომეულის, 1986) რედაქტორი (მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა). დიდი სამამულო ომის (1941—45) მონაწილე. სკკპ წევრი 1967-იდან. დაამთავრა თსუ (1941). ჭ. ძირითადად მუშაობს ლექსიკოგრაფიაში, აგრეთვე ქართ. სალიტ. ენის ლექსიკის ნორმალიზაციის საკითხებზე. მონაწილეობს სხვადასხვა დარგის სამეცნ. ტერმინოლოგიის დამუშავებაში. შეადგინა უცხო სიტყვათა ლექსიკონი (I გამოც. — 1964, II — 1973). ჭ. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" (ტ. 1—8, 1950—64) შემუშავებაში (IV ტ-ის რედაქტორი არნ. ჩიქობავასთან ერთად), რისთვისაც სხვებთან ერთად საქ. სსრ სახელმწ. პრემია მიენიჭა (1971). დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

თ. კახაძე.

საქ. სსრ მოჭადრაკე-ქალები

დიდოსტატები

ნ. გაფრინდაშვილი (ქალებსა და კაცებს შორის), ნ. ალექსანდრია, მ. ჩიბურდანიძე (ქალთა და კაცთა შორის), ნ. იოსელიანი, ნ. გურიელი, ე. ახმილოვსკაია, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, თ. გიორგაძე, გ. ზაიჩიკი

სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები

ვ. გოგლიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, მ. ჩიბურდანიძე

სსრკ ჩემპიონები გოგონათა შორის

| | |
|---|---|
| მ. ტოგონიძე | 1966 |
| ი. კობაიძე | 1967 |
| მ. ჩიბურდანიძე | 1976 |
| თ. მესხი | 1979—80 |

სსრკ ჩემპიონები

| | |
|---|---|
| ნ. გაფრინდაშვილი | 1964, 1973, 1981, 1983, 1985 |
| ნ. ალექსანდრია | 1966, 1968, 1969 |
| მ. ჩიბურდანიძე | 1977 |
| ნ. იოსელიანი | 1981 (ნ. გაფრინდაშვილთან ერთად), 1982, 1986 |

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩების მონაწილეები

| | |
|---|---|
| ნ. გაფრინდაშვილი | 1962 |
| ნ. ალექსანდრია | 1975, 1981 |
| მ. ჩიბურდანიძე | 1978 |
| ე. ახმილოვსკაია | 1986 |

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელნი

| | |
|---|---|
| ნ. გაფრინდაშვილი | 1969, 1972 |
| ნ. ალექსანდრია | 1970 |

სტუდენტთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონები

| | |
|---|---|
| ბ. გურგენიძე | 1957, 1958 |
| თ. გიორგაძე | 1969 |

მსოფლიო ჩემპიონი 20 წლის ასაკამდე გოგონათა შორის

| | |
|---|---|
| ქ. არახამია | 1985 |

საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონები

| | |
|---|---|
| მ. ჩიბურდანიძე | 1978, 1980, 1982, 1984, 1986 |
| ნ. გაფრინდაშვილი | 1963, 1966, 1969, 1972, 1974, 1978, 1980, 1982, 1984, 1986 |
| ნ. ალექსანდრია | 1969, 1974, 1978, 1980, 1982, 1986 |
| ნ. იოსელიანი | 1980, 1982 |
| ე. ახმილოვსკაია | 1978, 1986 |

ჭადრაკის „ოსკარის" მფლობელნი

| | |
|---|---|
| ნ. გაფრინდაშვილი | 1983 |
| მ. ჩიბურდანიძე | 1984, 1985, 1986 |

თო და საჭადრაკო პრესაში. ჭ-ის თეორია შეისწავლის საჭადრაკო პარტიის დასაწყისს (დებიუტი), შუა თამაშის (მიტელშპილი) და დაბოლოებების (ენდშპილი) გათამაშების ტიპურ ხერხებსა და სქემებს.

ჭ. აღმოცენდა V ს. ინდოეთში, ე. წ. ჩატურანგის (ოთხთა თამაში კამათლით) სახით, რ-მაც შემდგომ მთელი რიგი ცვლილებები განიცადა. ევროპაში ჭ. არაბეთიდან, რუსეთში კი უშუალოდ აღმოსავლეთიდან შემოვიდა IX ს-ში. მას შემდეგ, რაც „როქი" შემოიღეს, ჭ-მა შეიძინა თანამედროვე ფორმა. ჭ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ესპ. რ. ლოპეზ დე სეგურამ (XVI ს.), იტალ. ჯ. გრეკომ (XVII ს.), ფრანგმა ფ. სტამამ, იტალიელებმა ე. დელ რიომ, ჯ. ლოლიმ და დ. პონციანიმ (ყველა XVIII ს.). XVIII ს. უდიდესი ოსტატი და თეორეტიკოსი იყო ფ. ა. ფილიდორი. XIX ს. გამოჩენილი მოჭადრაკეები იყვნენ ლ. ლაბურდონე (საფრანგეთი), ჰ. სტაუნტონი (ინგლისი), ა. ანდერსენი (გერმანია), პ. მორფი (აშშ). ამ ეპოქაში გაჩნდა თამაშის ახ. პოზიციური მეთოდები და 1886 დაიწყო ჭ-ში მსოფლიო პირველობის გათამაშება.

XIX ს. რუსეთში ცნობილი ოსტატები იყვნენ ა. პეტროვი, კ. იანიში, ი. შუმოვი, ს. ურუსოვი, მ. ჩიგორინი; რუს. მოჭადრაკეთა მიღწევები ყველაზე სრულად გამოვლინდა მ. ჩიგორინისა და ა. ალეხინის შემოქმედებაში. 1924 შეიქმნა სსრკ საჭადრაკო სექცია, რ-იც 1959 გადაკეთდა სსრკ საჭადრაკო ფედერაციად. 1956 მოსკოვში დაარსდა ცენტრ. საჭადრაკო კლუბი. 30-იან წლებში დაიწყო სსრკ საჭადრაკო სკოლის ჩამოყალიბება, რ-მაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჭ-ის განვითარებაზე (მისი ლიდერი 40—60-იან წლებში იყო მ. ბოტვინიკი). სსრკ საჭადრაკო სკოლის დამახასიათებელ თავისებურებებს შეადგენს ჭ-ისადმი მეცნ. მიდგომა, თეორიის ღრმად დამუშავება, შეჯიბრებისათვის ყოველმხრივი (თეორ., ფიზ., ფსიქოლ.) მომზადება. მას შემდეგ, რაც საბჭ. მოჭადრაკეები გამოვიდნენ საერთაშ. სარბიელზე, მათ მოიპოვეს მსოფლიოს თითქმის ყველა უმაღლესი მიღწევა და ტიტული.

ჭ-ის განვითარებას ხელმძღვანელობს საერთაშ. ფედერაცია „ფიდე" (FIDE), რ-იც რეგულარულად ატარებს ქალთა და კაცთა მსოფლიო პირად და გუნდურ პირველობებს, საჭადრაკო ოლიმპიადებს, სხვადასხვა ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობებს, საერთაშ. ტურნირებს, სტუდენტთა პირველობებს და მრავალი სხვა სახის შეჯიბრებას, ანიჭებს საერთაშ. ოსტატისა, დიდოსტატისა და არბიტრის წოდებას და სხვ. ფედერაცია უძღვება აგრეთვე ჭ-ის ცალკე დარგის — საჭადრაკო კომპოზიციის განვითარების საქმეს.

ჭ. მოხსენიებულია მრავალ ქართ. ლიტ. და ისტ. წყაროსა და ძეგლში. ჭ-ის უძველესი ფიგურები დათარიღებულია XII ს-ით. პირველი ქართ. მოჭადრაკე, რ-მაც გაიცნო საერთაშ. სარბიელზე, იყო ა. დადიანი. საქართველოში ჭ-ის განვითარებისათვის გადამწყვეტი პირობები შეიქმნა საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1926 თბილისში მოეწყო მასობრივი ტურნირი, რ-შიც 600 კაცი მონაწილეობდა. 1926 გამოვიდა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართ. ენაზე. 1928 ჩატარდა საქართვ. ვაჟთა, ხოლო 1935 ქალთა 1 ჩემპიონატი. 1986-მდე სულ ჩატარდა ვაჟთა 46 და ქალთა 42 ჩემპიონატი. 1930 ვ. გოგლიძე პირველი ქართველი ოსტატი გახდა. 1923 თბილისში გაიხსნა პირველი საჭადრაკო კლუბი. 1937 ჩატარდა სსრკ X ჩემპიონატი, რ-შიც მონაწილეობდნენ ვ. გოგლიძე და ა. ებრალიძე. ჭ-ის ქართველ მოყვარულებს დიდი სამსახური გაუწია ა. ებრალიძის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილმა მ. ეივეს, ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, ი. ავერბახის შრომებმა და თ. გიორგაძის „ჭადრაკის ანბანმა" (თბ., 1965, 1972, 1983). 1967 თბილისში გაიხსნა სსრკ-ში პირველი ბავშვთა საჭადრაკო სკოლა. საქართველოში ჭ-ის პოპულარიზაციაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია მსოფლიოს ხუთგზის (1962—78) ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის წარმატებებმა, რ-მაც მოიტანა ქალთა ჭადრაკის არნახული აღზევება და ჭ. ჩვენში ჭეშმარიტად სახ. თამაშად იქცა. ტრადიციული გახდა ძლიერი შემადგენლობის ქალთა საერთაშ. ტურნირების, აგრეთვე ვ. გოგლიძისა და ე. ქართველიშვილის მემორიალების ჩატარება. 1970 ვ. გოგლიძის მემორიალში გამარჯვების შემდეგ ბ. გურგენიძე გახდა პირველი ქართვ. დიდოსტატი ჭ-ში. 1973 თბილისში გაიხსნა ჭ-ის სასახლე. 1977-იდან საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტში არსებობს ჭ-ის სპეციალიზაციის განყ-ბა. ჭ-ის კლუბები გახსნილია ქუთაისში, ზუგდიდში, სამტრედიაში, ბათუმში, სოხუმში, წყალტუბოში და სხვ. ქართვ. მოჭადრაკე ქალების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1978 სსრკ ოლიმპიურ გუნდში 3 ქართვ. მოჭადრაკე ქალი იყო, ხოლო 1980, 1982 და 1986 იგი მთლიანად ჩვენი რესპ. წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. საქართვ. საჭადრაკო ორგანიზაცია აერთიანებს 10 დიდოსტატს, ჩვენი რესპ. 4 წარმომადგენელს მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის დამს. ოსტატის, 34 — სსრკ სპორტის ოსტატის, 6 — საერთაშ. ოსტატის, 8 — სსრკ დამს. მწვრთნელის, 6 — საერთაშ. კატეგორიის მსაჯის, 13 — საკავშ. კატეგორიისა და 68 — რესპ. კატეგორიის მსაჯის წოდება (1986).

საქართვ. მოჭადრაკეებმა ბოლო 20 წლის მანძილზე 40-ზე მეტ საერთაშ. ტურნირში დაიკავეს პირველი ადგილები. 1983 სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე საქ. სსრ გუნდმა (თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, ზ. აზმაიფარაშვილი, გ. ზაიჩიკი, ე. უბილავა, ზ. სტურუა, მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი) საპატიო II ადგილი დაიკავა. იგივე შემადგენლობის გუნდმა (თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, გ. ზაიჩიკი, ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. სტურუა, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი) გაიმარჯვა 1985 სსრკ თასის გათამაშებისას. ფართოდ არის გაშლილი ბავშვებს შორის მუშაობა ჭ-ში, რასაც გამოცდილი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. 1982 ჭ-ის სასახლესთან გაიხსნა ჭ-ის კულტ.-სახალხო უნ-ტი. 1971—76 გამოდიოდა ალმანახი „ჭადრაკი" (რედაქტ. გ. ნადარეიშვილი). 1984-იდან გამოდის საჭადრაკო გაზეთი „მერანი" (გაზ. „ლელოს" დამატება. მთავარი რედაქტორი, მ. ჩიბურდანიძე, რედაქტორი თ. გიორგაძე).

*მ. ჩიბურდანიძე. გ. აბაშიძე.*

**ჭავლი,** სითხის (ან აირის) ნაწილი, რ-იც შემოსაზღვრულია დ ე ნ ი ს მ ი ლ ი თ, ე. ი. მცირე ჩაკეტილი კონტურის ყველა წერტილზე გამავალი დენის წირებით წარმოქმნილი ზედაპირით.

**ჭავლური აპარატი,** სითხის ან აირის დასაჭირხნი ან შესაწოვი მოწყობილობა, რ-ის მოქმედება ემყარება ერთი სითხის (ან აირის) ენერგიის გადაცემას მეორე (შესაწოვი) სითხისათვის (აირისათვის) ამ სითხეთა ნაკადების შერევის პროცესში. ჭ. ა-ს არა აქვს მოძრავი ნაწილები და შედგება საქშენის, შემრევი კამერისა და დიფუზორისაგან. ჭ. ა-ის მქკ არ აღემატება 30%-ს. მიუხედავად ამისა, კონსტრუქციის სიმარტივისა და საიმედოობის გამო ფართოდ იყენებენ ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

**ჭავლური ელემენტი,** ჭავლური ტექნიკის ელემენტი, რ-შიც მიცემული ოპერაციების შესასრულებლად გამოყენებულია ჭავლური დინება. ჭ. ე. ჭავლური ტექნიკის ძირითადი ელემენტებია. ჭ. ე-ს იყენებენ ლოგიკური, შედარებისა და გაძლიერების ოპერაციების შესასრულებლად.

**ჭავლური ტექნიკა,** პნევმო- და ჰიდროავტომატიკის დარგი. ჭ. ტ-ის ხელსაწყოებში არ არის მოძრავი დეტალები. მათი მოქმედება ემყარება აირებისა და სითხეების დინების თვისებებს. ჭ. ტ-ის ელემენტები გამოირჩევა მაღალი საიმედოობითა და სწრაფქმედებით. ჭ. ტ-ის ხელსაწყოები შეიცავენ საკომუნიკაციო არხებს, ფუნქციურ ელემენტებს და ხელსაწყოებს, რ-ებიც მცირე სიმძლავრეს (0,01 ვტ და ნაკლები) მოიხმარენ. ჭ. ტ-ის მოწყობილობებს იყენებენ გემის მართვის სისტემებში, ოკეანოლოგიური კვლევის დროს, ნავთობსახსხმელი აგრეგატების მართვის სისტემებში და ა. შ.

**ჭავლური ტუმბო,** იხ. *ეჟექტორი* და *ინჟექტორი*.

**ჭავჭავაძე** ალექსანდრე გარსევანის ძე [1786, პეტერბურგი, — 6 (18). XI. 1846, თბილისი; დაკრძალულია კახეთში, შუამთის მონასტერში], ქართველი პოეტი, რუს. არმიის გენერალ-ლეიტენანტი. იმპ. რუს. საიმპერატორო კარზე ერეკლე II-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, გ. ჭავჭავაძის მიმართ კეთილგანწყობილების ნიშნად იგი ეკატერინე II-მ მონათლა. 1795—99 სწავლობდა პეტერბ. კერძო პანსიონში, თბილისში დაბრუნების შემდეგ — შინ, ფრანგი გუვერნიორის მეცადინეობით ბავშვობიდანვე ეუფლებოდა რუს., ფრანგ., გერმ., თურქ. და სპარს. ენებს. 1804 ჭაბუკი პოეტი მონაწილეობდა მთიულეთის ანტიცარისტულ აჯანყებაში, რ-ის ჩახშობის შემდეგ 1 წლით ტამბოვში გადაასახლეს. განთავისუფლების შემდეგ, 1807, პეტერბ. პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს. 1811-იდან კავკასიაში მოქმედი რუს. არმიის სარდლის მარკიზ პაულუჩის ადიუტანტი იყო. 1812 მონაწილეობდა კახეთის აჯანყების ჩაქრობაში, 1813—14 — ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1817 პოლკოვნიკი გახდა, 1826 — გენ.-მაიორი. 1827—28 მონაწილეობდა რუს.-ირან., შემდეგ — რუს.-ოსმ. ომში. 1828 დაინიშნა სომხ. ოლქის, 1829 — კახეთის სამხ.-სასაზღვრო დაცვის უფროსად.

1832 შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ ჭ-ს 4 წლით ტამბოვში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა მალე გაათავისუფლეს „წარსულში დამსახურებისათვის". 1838 ამიერკავკ. მთავარმმართველობის საბჭოს წევრად დანიშნეს, 1841 გენ.-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. 1842—43 ამიერკავკ. მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე, 1843 ხელმძღვანელობდა დაღ.-ლეკ. ლაშქრას.

ჭ-ის ოჯახი ქართ. საზ.-კულტ. ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო. მის სახლში, თბილისსა თუ წინანდალში, მოწინავე ქართვ. ინტელიგენციის გარდა თავს იყრიდნენ საქართველოში მყოფი რუსი თუ ევრ. მოღვაწენიც. მ. შ. იყვნენ ა. გრიბოედოვი (რ-მაც შემდგომში ცოლად შეირთო ჭ-ის უფროსი ქალიშვილი ნინო), დეკაბრისტი პოეტები და სხვ.

ჭ-მ სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება. „მისი ლექსები, თუმცა ბეჭდვით არ იყო მაშინ გამოქვეყნებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა" (ი. მეუნარგია). მისი სატრფიალო-სალაღობო ლექსების დიდმა პოპულარობამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჭ-ის შემოქმედების აღქმა-შეფასებაზე: XIX ს. ქართ. კრიტიკაში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით მას სახავდა ანაკრეონტელ თუ ეპიკურელ მგოსნად, რ-იც არად აგდებდა საზ.-ეროვნ. საჭიროებას.

ჭ-ის მსოფლმხედველობა და მსოფლაღქმა ორგანულად არის დაკავშირებუ-

(ფახულელანის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე ზ. დ. 230 მ, წალენჯიხიდან 30 კმ, ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 კმ. მ. ცხაკაიას სახ. ფახულანის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა ა. მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ფახულანში (2 კმ). საბავშვო ბაღი, მედპუნქტი.

**ჭველიერი,** სოფელი ლენტეხის რ-ნში (ჩოლურის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1080 მ, ლენტეხიდან 110 კმ. ჩოლურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი, საფელდშერო-სამეანო პუნქტი.

**ჭველეში,** სოფელი ლენტეხის რ-ნში (ჩოლურის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. შენაკ. ზ. დ. 1120 მ, ლენტეხიდან 110 კმ. ჩოლურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ჩოლურში (6 კმ). ბ-კა.

**ჭვიბერაზაუ,** უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 3264 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ალპ. და მაღალმთის-ნივალური ლანდშაფტი. აკავშირებს მდ-ების ნენსკრისა (ზემო სვანეთი) და მარუხის (ყარაჩაი-ჩერქ. ასსრ) აუზებს. *დ. უკლება.*

**ჭვიბერი,** ჭ ვ ი ბ ე რ - ყ ა რ ა ჩ ა ი, უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. კირჩხინწყლის (ყუბანის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 3265 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ალპ. ლანდშაფტი. აკავშირებს მდ-ების ნენსკრისა და ყუბანის აუზებს. *დ. უკლება.*

**ჭვიხრაულა,** იხ. ნენსკრა.

**ჭვინთა,** სოფელი ახალციხის რ-ნში (ელიაწმინდის სოფსაბჭო). მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე ზ. დ. 1500 მ, ახალციხიდან 10 კმ. სვირის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი). სოფელში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები — შუა საუკ. „ჭვინთის ციხე" და რ-ის მონასტერი, რ-შიც შედის შუა საუკ. ეკლესია (შემორჩენილია მოხატულობის ნაშთები) და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი.

**ჭვინთაური,** მთა ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქსნის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ქვემო აუზში. სიმაღლე 1240 მ. აგებულია თიხიან-ქვიშაქვიანი შუამიოცენური კონგლომერატებით. კალთები დანაწევრებულია, შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით. *დ. უკლება.*

**ჭვინტკა** [Carduelis (Acanthis) cannabina], ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, აზიის დას. ნაწილში, ჩრდ.-დას. აფრიკაში, მწვანე კონცხის კ-ებზე. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან როგორც მობუდარი ფრინველი. ცხოვრობს ტყეებისა და ჭალების ნაპირებზე, ბუჩქნარში, ბაღებში, სოფლის გარეუბნებში. ბუდეს იკეთებს ხეზე ან ბუჩქზე. იკვებება თესლით. საქართველოში გვხვდება ჩვეულებრივი ჭ. (Carduelis cannabina cannabina) და თურქესტანული ჭ. (C. c. bella).
*რ. ჟორდანია.*

**ჭვინტაკასებრნი** (Prunellidae), ფრინველთა ოჯახი ბეღურასნაირთა რიგისა. მოიცავს 2 გვარის (Prunella და Laiscopus) 12 სახეობას. გავრცელებული არიან ევროპასა და აზიაში. სსრკ-ში გვხვდება 8 სახეობა, საქართველოში — 2: ა ლ პ უ რ ი ჭ ვ ი ნ ტ ა კ ა (Laiscopus collaris) და ტ ყ ი ს ჭ ვ ი ნ ტ ა კ ა (Prunella modularis); პირველი ბინადრობს ქვა-ღორღიანსა და კლდეებში — ალპ. სარტყელში, მეორე — ხშირბუჩქნარიან ტყეებში. ბუდეს იკეთებენ მიწაზე. დებენ 4—6 კვერცხს, რ-თაც იჩეკავენ 2 კვირაში. იკვებებიან წვრილ-წვრილი უხერხემლოებით, კენკრით, თესლებით.
*რ. ჟორდანია.*



ჭვინტაკასებრნი. ტყის ჭვინტაკა.

**ჭვირნიშანი,** წ ყ ლ ი ს ნ ი შ ა ნ ი, ფ ი ლ ი გ რ ა ნ ი, გამჭვირვალე გამოსახულება (მონოგრამა ან ტექსტი ქაღალდზე), რომელიც ჩანს ქაღალდის სინათლეზე გაჭვრეტის დროს. კეთდება ქაღალდის წარმოების პროცესში ქაღალდის სველ ტილოზე ჭვირნიშნის ან მრგვალბადიანი მანქანის ცილინდრების მეშვეობით. ჭ. აღმოცენდა ევროპაში იმ პერიოდში, როდესაც ქაღალდის წარმოებამ საფაბრიკო-სახელოსნო მნიშვნელობა მიიღო. პირველად იგი ქაღალდის იტალ. ნაწარმზე გაჩნდა XIII ს. ბოლოს, რუსეთში — XVII ს. II ნახევარში. ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა ხელოსნის შრომის ანაზღაურება. ევრ. წარმოების ქაღალდი ჭვირნიშნიანი იყო XIX ს. ბოლომდე. ევროპულისაგან განსხვავებით, აღმოსავლური წარმოების ქაღალდს ჭ. არ აქვს.

ქართ. ტერმ. „ჭ." ივ. ჯავახიშვილმა შემოიღო. თუ ძველად ჭ-ს საფაბრიკო-სახელოსნო დანიშნულება ჰქონდა, დღეს სამეცნ. მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ჭ-ით არკვევენ ძვ. ქაღალდის სადაურობას და ათარიღებენ უთარიღო ძვ. დოკუმენტებსა თუ წიგნებს, ყალბისაგან ასხვავებენ ნამდვილ ფულს, ფასიან ქაღალდებს, საბუთებს, მარკებს და ა. შ. ზოგჯერ მისი დანიშნულება მხოლოდ ქაღალდის გალამაზებაა. არის ქართ. წარწერიანი ძეგლებში ჭ. XIV ს. დამოწმებულია, ქაღალდი ვენეციიდან შემოჰქონდათ. XV—XVI სს. მიჯნაზე აღმოსავლური წარმოების ქაღალდი საქართველოში გაქრა და ჭვირნიშნიანი ევრ. ქაღალდი გაბატონდა. ქართ. ხელნაწერების ჭ-ებს პირველმა ე. თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება.

ლიტ.: პ ა ტ ა რ ი ძ ე რ., ქართული ხელნაწერების ჭვირნიშანი „გვირგვინი", XVI—XVIII სს., კრ.: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, [ტ.] 2, თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, „კენტავრი" ხელნაწერთა ჭვირნიშნები, იქვე, [ტ.] 5, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები, კრ.: პალეოგრაფიული ძიებანი, [ტ.] 1, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, „TRE LUNE", იქვე, [ტ.] 2, თბ., 1969.
*რ. პატარიძე.*



ჭვირნიშნები ქართულ ხელნაწერებში XV ს.

**ჭვრეტა,** 1. ადამიანის მიერ სინამდვილის პასიური ხედვა. 2. ინტუიციის იგივეობრივი ცნება; ნიშნავს საგნის უშუალო და ცხად ხედვას. არამატერიალისტურ ფილოსოფიაში განასხვავებენ გრძნობადსა და ზეგრძნობად ჭ-ს. პირველს მარქსიზმი ცნობს და უკავშირებს შემეცნების გრძნობად საფეხურს (იხ. *შემეცნების თეორია*). მეორე ნიშნავს საგნის უშუალო და ცხად ხედვას თითქოს რაღაც განსაკუთრებული, ზეგრძნობადი უნარით, მაგ., რელიგიის მიხედვით ღვთის უშუალო და ნათელი ხედვა; ფენომენოლოგიური ჭ., რ-ითაც თითქოს შესაძლებელია საგნის არსების (ეიდოსის) უშუალო და ცხადი წვდომა (ე. ჰუსერლი). ამ ტიპის ჭ-ის შესაძლებლობას მარქსიზმი უარყოფს.
*გ. გრძელიშვილი.*

**ჭვრივისი,** სოფელი ქარელის რ-ნში (ბრეთის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 760 მ, ქარელიდან 28 კმ, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 კმ. ბრეთის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ატოცში (2,5 კმ). მედპუნქტი.

**ჭვრიტინიანი ანტენა,** ლითონის რადიოტალღასატარის, ხისტი კოაქსიალური ხაზის, მოცულობითი რეზონატორის ან ბრტყელი ლითონის ფურცლის (ეკრანის) სახის ანტენა, რ-ის ზედაპირზე გაკეთებულია ნაპრალები (ჭვრიტეები) რადიოტალღების გამოსასხივებლად ან მისაღებად. ჭ. ა-ს იყენებენ რადიოტალღების ზემაღალი სიხშირის დიაპაზონში, როგორც დამოუკიდებელ ანტენას ან ანტენური გისოსის გამომსხივებელ ელემენტად, აგრეთვე რთული ანტენის შემომსხივებლის სახით.

**ჭიაბერი** (გ. დაახლ. 1196), XII ს. II ნახევრის აღმ. საქართველოს დიდებული, გიორგი III-ის (1156—1184) უახლოესი ვასალი, მისი „გაზრდილი". დემნა უფლისწულისა და ორბელთა 1177 ამბოხების შემდეგ მეფემ ჭ. დააწინაურა და მეჯინიბეთუხუცესად (სამხ. მინისტრის—ამირსპასალარის მეორე მოადგილე, ამირახორის შემდეგ) დანიშნა ნაცვლად აჯანყების მონაწილე ქავთარ იჟავის ძისა. 1185 თამარმა მანდატურთუხუცესობა, ხოლო 1189, მეორე ხნით, ამირსპასალარობაც უბოძა ჭ-ს, 1191 კი ქ ერისთვინ უწყალობა. 1191 ამირსპასალარობა მიიღო ზაქარია მხარგრძელმა, ხოლო ჭ. მანდატურთუხუცესად დარჩა. ჭ. ბოლომდე გიორგი III-ისა და თამარის ერთგული რიგებში იყო: 1177 ებრძოდა გიორგი III-ის წინააღმდეგ ამბოხებულებს, თამარის მხარეზე იყო 1185 ყუთლუ-არსლანის გამოსვლისა და, შემდეგ, გიორგი რუსის ამბოხების დროსაც. ჭ. მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში, შემდეგ კი, როგორც ჩანს, მალე გარდაიცვალა („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს ცნობა ბასიანის ბრძოლაში მისი მონაწილეობის შესახებ მცდარია).

შემორჩენილია ჭ-ის წყალობის დაწერილი მღვიმის მონასტრისადმი, რ-იც მან, თამარ მეფის ნებართვით, მღვიმეს შესწირა ფინიუშში მეწისქვილენი ყმა-ვაჭრებით. ამ დოკუმენტის შემოგვრჩა თამარის ხელრთვა-დამტკიცება. ამავე დოკუმენტში არის ხელრთვა ერთი შოთასი (იგი ამტკიცებს ჭ-ის შეწირულობას), რ-იც, როგორც ჩანს, ჭ-ის შემდეგ ფლობდა ქონებას. მკვლევართა ნაწილი (თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. ცაიშვილი) ამ შოთას აიგივებენ ვეფხისტყაოსნის ავტორთან — შოთა რუსთაველთან. ამავე დოკუმენტის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველი იყო ჭ-ის შვილი (ს. კაკაბაძე, ს. ცაიშვილი).

ჭ-ის საგვარეულო კუთვნილება წყაროებში არ ჩანს, არც სხვა ისეთ პირს ვხვდებით ამ სახელით. ჭიაბერი შედგენილია ორი სახელისაგან, ქვენა: საქმიოდ გავრცელებული „ბერი", და ქართულ ონომასტიკონში უნიკალური „ჭია" (გვხვდება მხოლოდ XII—XIII სს. ბერძნული სახარების ქართ. მინაწერებში. შესაძლოა ჭია გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე წარმოდგა სწორედ ჩიაბერ) ს. კაკაბაძის აზრით, ჭ. თორელი იყო, პ. ინგოროყვა კი მას მანდატურად — ჰერეთის მთავარს — მაჩაბელს თუ მის ერისთავთ-ერისთავად მიიჩნევდა. არც ერთი ეს თვალსაზრისი წყაროებით არ დასტურდება. არ დასტურდება არც ის, რომ იგი იყო შოთა რუსთაველის მამა.

წყარო: ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე. [შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი], წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1965.

ლიტ.: შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, წგნ.: შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.
*ნ. შოშიაშვილი.*

**ჭიათურა,** ქალაქი დას. საქართველოში რესპ. დაქვემდებარების ქალაქი და ჭიათურის საქალაქო საბჭოს ცენტრი. მდებარეობს ჭიათურის პლატოსა და მდ. ყვირილის ვიწრო ხეობაში, გომი—ზესტაფონის საავტ. გზაზე. რკინიგზის სადგ. ზესტაფონ—საჩხერის სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 340—500 მ. თბილისიდან 220 კმ (რკინიგზით).

ჭ-ში საკმაოდ ნოტიო ზღვის სუბტროპ. ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,1°C, იანვ. 2,4°C, ივლ. 23,1°C. აბსოლ. მინ. —20°C.



ხეჩ. ბაღიში ქართული ხალიჩა. XX ს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის [illegible]



[illegible] XII ს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



**ხ**, ქართული ანბანის ოცდამეთერთმეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთოთხმეტე) ასო, მისი სახელია „ხანი“. გრაფიკული სიმბოლო უკანაენისმიერი ფშვინვიერი ნაპრალოვანი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴞ, ნუსხურში — ⴞ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ექვს ათასს (6000).

ს ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო „ხ-ს“ გრაფიკული მოხაზულობის დამახასიათებელი ისეთ ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახისა — ასომთავრულისა, ნუსხურისა და მხედრულისა) ისინი ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

**ხაბახლაანი**, სოფელი სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის ზნაურის რ-ნში (ძველადათის სოფსაბჭო). მდ. შუა ფრონის მარცხ. მხარეს ზ. დ. 760 მ, ზნაურიდან 7 კმ, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 კმ. ქვეყნის მეხილეობის საბჭ. მეურნეობაა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა დაბა ზნაურში.

**ხაბარელი** შოთა დავითის ძე (დ. 26. XII. 1958, ბლევისჯვარი, ქარელის რ-ნი), ქართველი საბჭ. სპორტსმენი (ძიუდო). სპორტის დამს. ოსტატი (1980). 1982 დაამთავრა საქართვ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტი. სსრკ (1982) და სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის (1983), ევრ. (ბუქარესტი; 1979, მილანი; 1985, ბრიუსელი) და XXII ოლიმპიური თამაშების (1980, მოსკოვი) ჩემპიონი, ევრ. ჩემპიონატების ვერცხლის (1979—80, 1982) და ბრინჯაოს (1981, 1983), მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს (1983, მოსკოვი) პრიზიორი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (ილ. იხ. გვ. 412)

გ. რატიშვილი.

**ხაბაროვსკი** (1893-მდე ხაბაროვკა), ქალაქი, რსფსრ ხაბაროვსკის მხარის ცენტრი. მდებარეობს მდ. ამურის მარჯვ. ნაპირზე. შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი სამდინ. ნავსადგური, რკინიგზის სადგური ტრანსციმბირის მაგისტრალზე, აეროპორტი. 576 ათ. მცხ. (1985). დაარსდა 1858 როგორც სამხ. საგუშაგო ხაბაროვკა (სახელი ეწოდა ე. ხაბაროვის პატივსაცემად). 1880-იდან ქალაქია. პრიმორიეს ოლქის ცენტრი. 1906 აქ შეიქმნა ს.-დ. ჯგუფი, 1907—რსდმპ ორგანიზაცია. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 6 (19) დეკემბერს. 1918 სექტ-ში ხ. დაიპყრეს ამერ.-იაპ. ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა. გაათავისუფლეს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარებმა 1922 წ. 14 თებერვალს. 1922 ნოემბერში ხ. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან ერთად შევიდა რსფსრ შემადგენლობაში. 1926-იდან არის შორეული აღმოსავლეთის, ხოლო 1938-იდან ხაბაროვსკის მხარის ცენტრი. ქალაქი დაჯილდოებულია ოქტ. რევ. ორდენით (1971).

ხ. დიდი ინდუსტრ. ცენტრია. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, სათბობის, ხის დამამუშ., მსუბუქი, კვების მრეწველობა. დიდი ქ-ნებია: ჩარხსაშენი, „ენერგომაში“, „დალდიზელი“ და სხვ.

ქალაქის თანამედროვე განაშენიანება მიმდინარეობს გენ. გეგმის (1970-იანი წწ.) მიხედვით. აღსანიშნავია: საბჭოების სახლი (1980, არქიტ. ი. გოლოსოვი, ბ. ულინიჩი), მუს. კომედიის თეატრის შენობა (1977, არქიტ. ე. რიაზანოვი, ა. ზაროვსკი, გ. შესტოპალოვი და სხვ.). ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის (ბრინჯაო, თუჯი, გრანიტი, 1925, მოქანდაკე მ. მანიზერი), შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის გმირების (სხივოვანი, ბრინჯაო, გრანიტი, 1956, მოქანდაკე ა. ფაიდიშ-



კრასნოვოდსკი, არქიტ. ო. პარშინი) და სხვ. ძეგლები.

ხ-ში არის ბევრი სამეცნ. და საპროექტო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი, 16 საშ. სპეც. სასწავლებელი. დრამ., მუს. კომედიის, მოზარდ მაყურებელთა თეატრები, ფილარმონია, მხარეთმცოდნეობის, სამხატვრო და კომკავშირული დიდების მუზეუმები. ტელეცენტრი. ქალაქის მიდამოებში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია.



შ. ხაბარელი

**ხაბაროვსკის მხარე,** შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1938 წ. 20 ოქტ. მდებარეობს საბჭ. შორეული აღმოსავლეთის საშხრ. ნაწილის ცენტრ. ნაწილში, წყნარ ოკეანესთან. საშხრ.-დას-ით ესაზღვრება ჩინეთი. აღმ-ით აკრავს ოხოტისა და იაპონიის ზღვები, თათრისა და ნეველსკოის სრუტეებით გამოყოფილია კ. სახალინს. ფართ. 824,6 ათ. კმ². მოსახლ. 1728 ათ. კაცი (1985), აქედან 80% ქალაქში ცხოვრობს. ხ. მ-ის შემადგენლობაში შედის ებრაელთა ავტ. ოლქი. მხარეში არის 9 ქალაქი და 43 დაბა. ცენტრი — ქ. ხაბაროვსკი. ხ. მ-ის სანაპირო ზოლი (ოხოტის ზღვის საშხრ.-დას. ნაწილის გარდა) სუსტად დანაწევრებული. სანაპირო ხაზის სიგრძე 2500 კმ აღწევს. ხ. მ-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი მთიანია. ჰავა მუსონურია, იცის მკაცრი და მცირეთოვლიანი ზამთარი და თბილი, ნოტიო ზაფხული. მდ-ების უმეტესობა ამურის აუზს განეკუთვნება — ბურეა, ბიჯანი, ბირა, ტუნგუსკა, გორინი, ამგუნი, უსური, ანიუი და სხვ. ბევრია ტბა. მხარე ტყის ზონაში მდებარეობს. ხ. მ. შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმთავრესი ინდუსტრ. რ-ნია. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, შავი მეტალურგია, ტყის, ხის დამამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ., ფერადი ლითონების მოპოვება, ნავთობგადამუშავება, მსუბუქი, კვების და თევზის მრეწველობა. სოფ. მეურნეობაში მისდევენ მემცენარეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, ნადირობას და მეთევზეობას. მოჰყავთ ხორბალი, სოია, კარტოფილი და ბოსტნეული. მესაქონლეობა ხორცისა და რძის მიმართულებისაა. ინტენსიურად ვითარდება მეფრინველეობა, მეირმეობა (ჩრდ. რ-ნებში). არის 13 მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა, აშენებენ წაულას, კურდღლისფერ მელას. ნადირობენ სიასამურზე, ციყვზე, წავზე და სხვ. განვითარებულია სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო და ავტოტრანსპორტი. ხ. მ-ის ტერიტორიაზე გადის ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალი. მხარე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1968).



ტ. ხაბაძე.

**ხაბაძე** ტარიელ სულეიმანის ძე (დ. 12 XI. 1923, ბათუმი), ქართველი საბჭ. მოცეკვავე და ქორეოგრაფი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1985). 1939 დაამთავრა ბათ. სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი. 1938—44 აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (1939-მდე აჭარის ეთნოგრ. გუნდი) სოლისტი, 1944-იდან სოლისტი და ქორეოგრაფი; 1974-იდან სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი. 1948 აჭარის ასსრ ფილარმონიასთან ჩამოაყალიბა „ვაჟკაცური ცეკვის ანსამბლი" (პირველი ქორეოგრაფიული ანსამბლი აჭარაში), ხოლო 1967 — ანსამბლი „სალაღობო". დადგა 100-ზე მეტი ცეკვა, მ. შ. „ქართული", „ფერხული", „ქალიშვილური ხორუმი", „ლაზური" და სხვ., ქორეოგრაფიული კომპოზიცია „აჭარული ცეკვის ალუბა" (ვეფხისტყაოსნის მიხედვით). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (მოსკოვი, 1957).

შ. ცუცქირიძე.

**ხაბელაშვილები,** სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (წყალსაყრის სოფსაბჭო), მდ. ნაღვარევის (აჭარისწყლის აუზი) მარჯვ. ნაპირზე ზ. დ. 800 მ, შუახევიდან 10 კმ. ა. წულუკიძის სახ. [illegible] კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა), საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარით), მედპუნქტი.

**ხაბიუ,** სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (აჭანდარის სოფსაბჭო), აფხ. [illegible] მთისწინეთში, მდ. ააფსთის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 350 მ, გუდაუთიდან 26 კმ. XIX პარტყრილობის სახ. აჭანდარის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). საშ. სკოლა სოფ. აჭანდარაში (7 კმ).

**ხაბუმი,** სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში, მდ. ხობის მარცხ. შენაკ., ჩხოროწყუ—წალენჯიხის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ხ., მთიდამხე, ჯუმითი). ზ. დ. 220 მ, ჩხოროწყუდან 5 კმ. ვ. ი. ლენინისა და მ. კალინინის სახ. კოლ-ბები (მეჩაიეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა; ამუშავებენ ტუნგს), ჩაის ფ-კა, 3 დაწყ. რვაწლ. და საშ. სკოლები, 3 საბავშვო ბაგა-ბაღი, 6 ბ-კა, კულტსახლი, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. გ. განყ-ბა.

**ხადა,** ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმ. საქართველოს მთიანეთში, მდ. თ. მთიულეთის არაგვის სათავეებთან (მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავსდება ახ-ას დუშეთის რ-ნის ტერიტორიაზე, მცირე ნაწილი — ყაზბეგის რ-ნის ტერიტორიაზე). ისტ. თემი. ისტორიულად ერთად ქმნიდა ეთნოგრაფიულ მთიულეთს. ადგილი განსაზღვრით სახელდ. „ხ." ნიშნავს მთას, მთიან ადგილს, ვარაუდით მისი ეს სახელწოდებაა წილკანი. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) მიხედვით ხ იყოფა, რაც ცხარა („ადგილი კომლიანი და 60 კომლიანი"). ხ-ის ხეობა დასახლებულია ნეოლითის ხანიდან. შუა საუკუნეებში ხ. უპირატესად ათავდის საგუ-




******** სარკინიგზო ბორანი

ცხრ. 2 მსოფლიოს ხალხები
(1 მლნ-ზე მეტი კაცი)

| | ათ. კაცი, 1982 | განსახლების მთავარი ქვეყნები, %-ობით |
|---|---|---|
| ჩინელები | 985000 | ჩინ. სრ — 97,4 |
| ჰინდუსტანელები | 198000 | ინდოეთი — 99,7 |
| აშშ-ის ამერიკელები | 161000 | აშშ — 99,4 |
| ბენგალელები | 152000 | ბანგლადეში — 59,5, ინდოეთი — 40,5 |
| რუსები | 141500 | სსრკ — 98,9 |
| ბრაზილიელები | 121000 | ბრაზილია — 99,7 |
| იაპონელები | 119500 | იაპონია — 98,6 |
| გერმანელები | 88000 | გფრ—68,9, გდრ —19,7, აშშ—5,5, სსრკ—2,3, დასავლეთი ბერლინი — 1,9 |
| პენჯაბელები | 79000 | პაკისტანი — 71,8, ინდოეთი — 27,5 |
| ბიჰარები | 76600 | ინდოეთი — 94,6, ნეპალი — 3,7 |
| მექსიკელები | 72600 | მექსიკა — 88,0, აშშ — 11,7 |
| იაველები | 71800 | ინდონეზია — 99,0 |
| იტალიელები | 65700 | იტალია — 85,2, აშშ— 6,8, არგენტინა—2,1, საფრანგეთი — 1,9 |
| კორეელები | 61000 | სამხრეთი კორეა—64,6, კორ. სდრ — 30,5, ჩინ. სრ — 2,9 |
| ტელუგუ | 60000 | ინდოეთი — 100,0 |
| მარათჰები | 56000 | ინდოეთი — 100,0 |
| ტამილები | 52800 | ინდოეთი — 92,0, შრი-ლანკა — 5,5, მალაიზია — 2,4 |
| ვიეტნამელები | 49700 | ვიეტნამი — 98,6 |
| ინგლისელები | 48800 | დიდი ბრიტანეთი—90,2 სამხრ. აფრ. რესპ. — 3,3, ავსტრალია — 1,6, კანადა — 1,3, აშშ — 1,3 |
| ფრანგები | 46200 | საფრანგეთი — 96,8, აშშ — 1,2 |
| უკრაინელები | 44700 | სსრკ — 96,2, კანადა — 1,3 |
| ეგვიპტის არაბები | 44600 | ეგვიპტე — 99,1 |
| თურქები | 43600 | თურქეთი — 94,4, გფრ — 2,8 |
| პოლონელები | 40800 | პოლონეთი — 87,5, აშშ —6,1, სსრკ — 2,8 |
| გუჯარათელები | 37000 | ინდოეთი — 96,8 |
| კოლუმბიელები | 29700 | კოლუმბია — 97,6, ვენესუელა — 1,4 |
| ესპანელები | 29100 | ესპანეთი — 91,8, საფრანგეთი — 1,9, არგენტინა — 1,5 |
| კანადა (კანარა) | 28500 | ინდოეთი — 100,0 |
| მალაიალი | 28000 | ინდოეთი — 100,0 |
| ბირმელები | 26500 | ბირმა — 99,8 |
| სიამელები | 26200 | ტაილანდი — 99,9 |
| ორია | 26000 | ინდოეთი — 100,0 |
| არგენტინელები | 23600 | არგენტინა — 98,7 |
| ავღანელები (პუშტუნები) | 22500 | პაკისტანი — 60,0, ავღანეთი — 39,6 |
| ვისაია | 22000 | ფილიპინები — 100,0 |
| ჰაუსა | 21000 | ნიგერია — 84,0, ნიგერი — 14,0 |
| რუმინელები | 20400 | რუმინეთი — 98,0 |
| სუნდები | 20000 | ინდონეზია — 100,0 |
| სპარსელები | 18500 | ირანი — 97,0 |
| იორუბა | 18000 | ნიგერია — 96,1, ბენინი — 2,2 |
| ალჟირის არაბები (ალჟირელები) | 17800 | ალჟირი — 93,8, საფრანგეთი — 5,3 |
| მაროკოს არაბები (მაროკოელები) | 16300 | მაროკო — 96,7, საფრანგეთი — 2,1 |
| ლაო | 16000 | ტაილანდი — 84,1, ლაოსი — 15,6 |
| რაჯასთანელები | 15700 | ინდოეთი — 98,1 |
| ფულბე | 15700 | ნიგერია — 58,0, გვინეა — 13,4, სენეგალი — 6,8, მალი — 5,9, კამერუნი — 4,9, ნიგერი — 3,6 |
| იბო | 15200 | ნიგერია — 99,7 |
| უზბეკები | 15000 | სსრკ — 90,3, ავღანეთი — 9,7 |
| უნგრელები | 14600 | უნგრეთი — 73,1, რუმინეთი — 11,7, აშშ — 4,1, ჩეხოსლოვაკია —4,1 |
| სინდჰები | 14500 | პაკისტანი — 84,8, ინდოეთი — 15,2 |
| ვენესუელელები | 13500 | ვენესუელა — 98,9 |
| ჯუანები | 13380 | ჩინ. სრ — 100,0 |
| ჰოლანდიელები | 12850 | ნიდერლანდი — 91,1, აშშ — 3,1, კანადა — 2,7 |
| ავსტრალიელი ინგლისელები | 12660 | ავსტრალია — 98,4 |
| აზერბაიჯანელები | 12400 | ირანი — 52,8, სსრკ — 47,2 |
| პორტუგალიელები | 12000 | პორტუგალია — 81,9, საფრანგეთი — 6,3, აშშ — 4,2, ბრაზილია — 2,9 |
| ამჰარა | 12000 | ეთიოპია — 100,0 |
| გალა | 11850 | ეთიოპია — 98,7 |
| ასამელები | 11700 | ინდოეთი — 98,3 |
| კანადელი ინგლისელები | 11500 | კანადა — 93,0, აშშ — 6,1 |
| ქურთები | 11500 | თურქეთი — 39,1, ირანი — 31,3, ერაყი — 22,6, სირია — 5,2 |
| ტაგალები | 11300 | ფილიპინები — 100,0 |
| სინჰალელები (ლანკელები) | 11200 | შრი-ლანკა — 100,0 |
| ბერძნები | 11200 | საბერძნეთი — 83,5, აშშ—4,5, სსრკ—3,1 |
| პერუელები | 11100 | პერუ — 99,1 |
| ჩილელები | 11000 | ჩილე — 96,0 |
| სუდანის არაბები (სუდანელები) | 11000 | სუდანი — 86,4, ჩადი — 12,7 |
| კეჩუა | 11000 | პერუ — 50,0, ეკვადორი — 26,4, ბოლივია — 20,0, არგენტინა — 3,2 |
| ერაყის არაბები (ერაყელები) | 10800 | ერაყი — 99,1 |
| კუბელები | 10600 | კუბა —90,6, აშშ —8,0 |
| ჩეხები | 10500 | ჩეხოსლოვაკია — 92,9, აშშ — 4,9 |
| ნეპალელები | 10000 | ნეპალი — 83,0, ინდოეთი — 17,0 |
| სერბები | 9900 | იუგოსლავია — 93,9, აშშ — 2,3 |
| ბელორუსები | 9700 | სსრკ — 97,8, პოლონეთი — 1,9 |
| ბანიარუანდა | 9620 | რუანდა — 50,7, ზაირი— 29,5, უგანდა— 18,8 |
| მალაგასიელები | 9250 | მადაგასკარი — 99,5 |
| მადურელები | 9200 | ინდონეზია — 100,0 |
| ინდონეზიის მალაიელები | 9000 | ინდონეზია — 94,4 |
| შვედები | 8950 | შვედეთი — 86,6, აშშ — 8,9, ფინეთი — 3,4 |
| ავსტრიელები | 8800 | ავსტრია — 78,4, აშშ— 13,6, იტალია — 3,4 |
| საზღვარგარეთის ევროპისა და ამერიკის ებრაელები | 8500 | აშშ — 69,7, საფრანგეთი — 7,6, დიდი ბრიტანეთი—4,8, კანადა — 3,6, არგენტინა — 3,5 |
| ბულგარელები | 8500 | ბულგარეთი — 92,9, სსრკ — 4,2 |
| კანადელი ფრანგები | 8500 | კანადა — 76,5, აშშ — 23,5 |
| აკანი | 8500 | განა — 77,1, კოტ-დ'ივუარი — 22,4 |
| მალაიზიის მალაიელები | 8500 | მალაიზია — 74,7, ტაილანდი—21,8, სინგაპური — 3,3 |
| საუდის არაბეთის არაბები | 8500 | საუდის არაბეთი—99,4 |
| სირიის არაბები (სირიელები) | 8400 | სირია — 99,4 |
| მაკუა | 8100 | მოზამბიკი — 82,7, მალავი — 14,2 |
| ყაზახები | 8100 | სსრკ — 87,7, ჩინ. სრ— 12,0 |
| კატალონიელები | 7800 | ესპანეთი — 92,3, საფრანგეთი —3,2, არგენტინა — 1,9 |
| ირლანდიელები | 7600 | ირლანდია—44,7, დიდი ბრიტანეთი — 30,3, აშშ — 21,1 |
| ბარუნდი | 7650 | ბურუნდი — 56,7, ზაირი — 21,5, ტანზანია—14,2, რუანდა — 3,7 |
| ქმერები | 7360 | კამპუჩია—80,2, ვიეტნამი — 10,2, ტაილანდი — 9,6 |
| ხუეი | 7270 | ჩინ. სრ — 99,8 |
| ფლამანდიელები | 7160 | ბელგია — 70,6, ნიდერლანდი — 23,8, საფრანგეთი — 3,5 |
| ტუნისის არაბები (ტუნისელები) | 6800 | ტუნისი — 96,9 |
| იემენის არაბთა რესპუბლიკის არაბები | 6600 | იემენის არაბთა რესპუბლიკა — 90,9, საუდის არაბეთი — 8,2 |
| ტაჯიკები | 6600 | ავღანეთი — 50,8, სსრკ — 48,5 |
| თათრები | 6500 | სსრკ — 99,2 |
| კონგოელები | 6400 | ზაირი — 71,3, ანგოლა — 14,7, კონგო— 13,3 |
| სომხები | 6400 | სსრკ — 68,8, აშშ — 10,2, საფრანგეთი— 3,9 |
| მალავი | 6330 | მალავი — 57,7, მოზამბიკი — 24,5, ზამბია — 10,3 |
| ზულუ | 6320 | სამხრ. აფრ. რესპ. — 96,5 |
| მაშონა | 6275 | ზიმბაბვე — 86,7, მოზამბიკი — 12,0 |
| უიღურები | 6170 | ჩინ. სრ—96,5, სსრკ— 3,5 |
| მოსი | 6050 | ბურკინა-ფასო — 64,5, განა — 33,6 |
| კოსა | 6020 | სამხრ. აფრ. რესპ. — 99,7 |
| სომალელები | 6000 | სომალი — 81,7, ეთიოპია—9,2, კენია — 6,3 |
| ეკვადორელები | 6000 | ეკვადორი — 97,8 |
| მინანგკაბაუ | 5900 | ინდონეზია — 100,0 |
| შოტლანდიელები | 5800 | დიდი ბრიტანეთი — 86,2, კანადა — 4,7, აშშ — 4,6, ავსტრალია — 3,8 |
| ილოკები | 5800 | ფილიპინები — 1000,0 |
| მიაო | 5720 | ჩინ. სრ — 88,0, ვიეტნამი — 7,3, ლაოსი — 2,6, ტაილანდი — 1,9 |
| დომინიკელები | 5700 | დომინიკელთა რესპუბლიკა — 94,7, აშშ — 4,4 |
| ჰაიტელები | 5650 | ჰაიტი — 92,0, დომინიკელთა რესპუბლიკა — 5,3, აშშ — 1,7 |
| პაჰარები | 5600 | ინდოეთი — 100,0 |
| ხორვატები | 5600 | იუგოსლავია — 88,4, გფრ — 3,9 |
| დანიელები | 5600 | დანია — 90,0, აშშ — 5,8 |
| იძუ | 5460 | ჩინ. სრ — 100,0 |
| ფინელები | 5280 | ფინეთი — 85,7, აშშ — 5,7, შვედეთი — 6,7 |
| სლოვაკები | 5200 | ჩეხოსლოვაკია — 86,6, აშშ — 9,6 |
| პუერტორიკოელები | 5150 | პუერტო-რიკო — 63,5, აშშ — 36,9 |
| ბალუბა | 5100 | ზაირი — 99,2 |

(გაგრძელება)

| | ათ. კაცი, 1982 | განსახლების ძირითადი ქვეყნები, %-ობით |
|---|---|---|
| სალვადორელები | 5000 | სალვადორი — 89,0 |
| სანტალები | 4900 | ინდოეთი — 98,6 |
| კიკუიუ | 4900 | კენია — 100,0 |
| ნორვეგიელები | 4760 | ნორვეგია — 84,2, აშშ — 12,6 |
| ალბანელები | 4700 | ალბანეთი — 66,7, იუგოსლავია — 34,5, იტალია — 2,7 |
| იბიბიო | 4540 | ნიგერია — 99,6 |
| ტსონგა | 4420 | მოზამბიკი — 67,9, სამხრ. აფრ. რესპ — 25,0, ზიმბაბვე —6,3 |
| შვეიცარიელი გერმანელები | 4280 | შვეიცარია — 93,5, აშშ — 4,7 |
| მანჯურიელები | 4230 | ჩინ. სრ — 100,0 |
| ვალონები | 4200 | ბელგია — 95,2, აშშ— 1,6 |
| პალესტინის არაბები (პალესტინელები) | 4200 | იორდანია —44,6, ისრაელი — 14,6, ღაზის ზონა — 11,9, ქუვეითი — 7,1, სირია — 7,1, ლიბანი—6,4 |
| გალისიელები | 4150 | ესპანეთი — 74,7, არგენტინა— 10,6, ბრაზილია — 5,3, ვენესუელა — 3,3 |
| ბუგები | 4150 | ინდონეზია — 99,3 |
| კანურები | 4060 | ნიგერია — 84,2, ნიგერი — 12,6 |
| ნიამვეზი | 4000 | ტანზანია — 100,0 |
| ტიბეტელები | 3900 | ჩინ. სრ — 99,2 |
| ქართველები | 3780 | სსრკ — 97,4 |
| მონგო | 3750 | ზაირი — 100,0 |
| მალინკე | 3700 | გვინეა — 37,0, მალი— 18,9, კოტ-დ'ივუარი— 15,1, სენეგალი — 13,8, გამბია — 8,0 |
| ჰონდურასელები | 3700 | ჰონდურასი — 97,3 |
| განდა | 3685 | უგანდა — 99,7 |
| ბატაკები | 3600 | ინდონეზია — 100,0 |
| თურქმენები | 3500 | სსრკ — 63,4, ირანი — 17,7, ავღანეთი — 9,4, ერაყი — 5,7 |
| ბიკოლები | 3500 | ფილიპინები — 100,0 |
| პარაგვაიელები | 3450 | პარაგვაი — 92,6, არგენტინა — 6,7 |
| ბასუტო | 3480 | სამხრ. აფრ. რესპ — 63,8, ლესოთო—36,9 |
| ჩინ. სრ-ის მონღოლები | 3410 | ჩინ. სრ — 100,0 |
| ისრაელის ებრაელები | 3400 | ისრაელი — 100,0 |
| ბეჩუანები | 3365 | სამხრ. აფრ. რესპ. — 76,8, ბოტსვანა — 20,7 |
| ლიტველები | 3300 | სსრკ — 87,9, აშშ—9,7 |
| მოლდაველები | 3100 | სსრკ — 100,0 |
| კარენები | 3100 | ბირმა — 93,5, ტაილანდი — 6,5 |
| ქაშმირელები | 3100 | ინდოეთი — 100,0 |
| ბელუჯები | 3100 | პაკისტანი — 64,5, ირანი — 29,0, ავღანეთი — 4,2 |
| ბალუხია | 3040 | კენია — 82,2, ტანზანია — 17,8 |
| იამაიკელები | 3000 | იამაიკა — 72,2, დიდი ბრიტანეთი — 13,3, აშშ — 6,7 |
| გონდები | 3000 | ინდოეთი — 100,0 |
| ბჰილები | 3000 | ინდოეთი — 100,0 |
| ლიბანის არაბები (ლიბანელები) | 3000 | ლიბანი — 72,3, აშშ— 16,6 |
| ბალიელები | 2900 | ინდონეზია — 100,0 |
| ბინი | 2850 | ნიგერია — 100,0 |
| ტუჯია | 2830 | ჩინ. სრ — 100,0 |
| აფრიკანერები | 2800 | სამხრ. აფრ. რესპ. — 94,6, ნამიბია — 2,5 |
| სამხრ. აფრ. რესპ. ფერადები | 2800 | სამხრ. აფრ. რესპ. — 96,4 |
| ტიგრაი | 2800 | ეთიოპია — 100,0 |
| ევე | 2800 | განა — 52,7, ტოგო — 46,4 |
| ლუო | 2760 | კენია — 94,2, ტანზანია — 5,8 |
| ურუგვაელები | 2700 | ურუგვაი — 96,9 |
| ნიკარაგუელები | 2700 | ნიკარაგუა — 98,1 |
| ბანდა | 2680 | ცენტრ. აფრ. რესპ — 62,3, ზაირი — 32,6, კამერუნი — 4,1 |
| ოვიმბუნდუ | 2650 | ანგოლა — 100,0 |
| ლიბიის არაბები (ლიბიელები) | 2650 | ლიბია — 98,1 |
| ბოლივიელები | 2600 | ბოლივია — 92,3 |
| ბამბარა | 2575 | მალი — 91,3, კოტ-დ'ივუარი — 7,2 |
| ახალი ზელანდიის ინგლისელები | 2570 | ახალი ზელანდია — 95,9, ავსტრალია— 3,1 |
| ბემბა | 2570 | ზამბია — 82,5, ზაირი — 15,6 |
| გვატემალელები | 2550 | გვატემალა — 96,0 |
| სამხრეთის ლუო | 2550 | უგანდა — 87,5, ზაირი — 12,5 |
| პედი | 2500 | სამხრ. აფრ. რესპ. — 96,8 |
| აზანდე | 2475 | ზაირი — 69,5, სუდანი — 21,2, ცენტრ. აფრ. რესპ. — 9,3 |
| ბანჯარები | 2450 | ინდონეზია — 95,1 |
| შანი | 2400 | ბირმა — 97,9, ტაილანდი — 2,1 |
| ვოლოფი | 2350 | სენეგალი — 94,9, გამბია — 3,6 |
| სენუფო | 2330 | კოტ-დ'ივუარი — 53,2, მალი— 37,8, ბურკინა-ფასო — 9,0 |
| აჩეხები | 2300 | ინდონეზია — 100,0 |
| კაბილები | 2300 | ალჟირი — 100,0 |
| გილანელები | 2250 | ირანი — 100,0 |
| შლიოხები | 2250 | მაროკო — 100,0 |
| ფანგი | 2230 | კამერუნი —78,6, ეკვატორული გვინეა — 12,3, გაბონი — 9,0 |
| ფონი | 2220 | ბენინი — 99,1 |
| დინკა | 2200 | სუდანი — 100,0 |
| სლოვენები | 2200 | იუგოსლავია — 84,5, იტალია — 4,5, ავსტრია — 2,3 |
| კოსტარიკელები | 2150 | კოსტა-რიკა — 97,7 |
| კისი (ტემნე) | 2150 | სიერა-ლეონე — 78,6, გვინეა — 19,3 |
| ტივი | 2150 | ნიგერია — 87,4, კამერუნი — 10,7 |
| „მუსლიმანები" (ბოსნიელები) | 2150 | იუგოსლავია — 86,4, თურქ — 8,4 |
| ბანიორო | 2130 | უგანდა — 97,7 |
| ბუი | 2120 | ჩინ. სრ — 100,0 |
| ყირგიზები | 2100 | სსრკ — 95,0, ჩინ. სრ — 4,8 |
| ლობი | 2100 | ბურკინა-ფასო — 48,1, მალი — 25,7, კოტ-დ'ივუარი — 21,4, განა — 4,3 |
| კალენჯინი | 2100 | კენია — 90,5, ტანზანია — 6,7 |
| კამბა | 2100 | კენია — 98,1 |
| ნუპე | 2030 | ნიგერია — 100,0 |
| სონგაი | 1950 | ნიგერი — 68,4, მალი — 22,1, ნიგერია — 5,9 |
| სუაჰილი | 1900 | ტანზანია — 86,8, ზაირი — 5,3, მოზამბიკი — 5,3 |
| პანამელები | 1870 | პანამა — 96,3 |
| ტურკანა (ტესო) | 1860 | უგანდა —78,0, კენია— 21,5 |
| იემენის სდრ-ის არაბები | 1860 | იემენის სდრ — 100,0 |
| დასავლეთ საჰარის არაბები (მავრები) | 1860 | მავრიტანია — 75,7, დასავლეთი საჰარა — 7,6, მალი —6,5, ნიგერი — 6,2 |
| დაი | 1850 | ჩინ. სრ — 75,8, ვიეტნამი — 18,9, ლაოსი — 3,2 |
| ნუბიელები | 1830 | სუდანი — 87,4, ეგვიპტე — 12,6 |
| სსრკ-ის ებრაელები | 1800 | სსრკ — 100,0 |
| ოვიმბუნდუ | 1800 | ანგოლა — 93,2, ზაირი — 3,9 |
| ტამაზიგტები | 1800 | მაროკო — 100,0 |
| ჩუვაშები | 1760 | სსრკ — 100,0 |
| ვაიაო | 1775 | მალავი — 46,5, ტანზანია— 27,0, მოზამბიკი — 26,5 |
| მორუ-მანგბეტუ | 1730 | ზაირი — 49,7, უგანდა — 43,4, სუდანი— 6,9 |
| ლურები | 1710 | ირანი — 99,4 |
| აიმარა | 1700 | ბოლივია — 70,6, პერუ — 29,4 |
| ბეტე | 1700 | კოტ-დ'ივუარი—100,0 |
| ბობანგი | 1700 | ზაირი—95,3, კონგო — 4,7 |
| მაკედონელები | 1650 | იუგოსლავია — 81,8, საბერძნეთი — 9,1 |
| ბამილეკე | 1650 | კამერუნი — 100,0 |
| იორდანიის არაბები (იორდანიელები) | 1650 | იორდანია — 93,9 |
| მუნდა | 1620 | ინდოეთი — 98,8 |
| მაკასარები | 1600 | ინდონეზია — 100,0 |
| ჰაზარები | 1600 | ავღანეთი —90,6, ირანი — 9,4 |
| ორაონები | 1570 | ინდოეთი — 99,4 |
| ლატვიელები | 1550 | სსრკ — 93,5 |
| ბურა | 1550 | ნიგერია — 88,4 კამერუნი—11,0 |
| ჩოკვე | 1520 | ანგოლა — 40,1 ზაირი — 39,5 ზამბია — 20,4 |
| პამპანგანები | 1500 | ფილიპინები — 100,0 |
| სასაკები | 1500 | ინდონეზია — 100,0 |
| იჯო | 1500 | ნიგერია — 98,7 |
| მაზანდარანელები | 1500 | ირანი — 100,0 |
| პანგასინანები | 1470 | ფილიპინები — 100,0 |
| გიშუ | 1460 | უგანდა — 100,0 |
| ტულუ | 1450 | ინდოეთი — 100,0 |
| ბაგირმი | 1430 | ჩადი —82,9, სუდანი — 9,8, ცენტრ. აფრ. რესპ. — 7,0 |
| ბაშკირები | 1430 | სსრკ — 100,0 |
| დუნი | 1425 | ჩინ სრ — 100,0 |
| ელზასელები | 1400 | საფრანგეთი — 100,0 |
| ხალხა-მონღოლები | 1400 | მონღ. სრ — 100,0 |
| ტორაჯები | 1400 | ინდონეზია — 100,0 |
| დუალა | 1350 | კამერუნი — 96,3, ნიგერია — 3,0 |
| ბოშები | 1300 | ჩეხოსლოვაკია — 20,0, რუმინეთი — 17,7 ბულგარეთი — 16,2, სსრკ — 16,2 |
| ვაჰეჰე | 1300 | ტანზანია — 100,0 |
| ბეჯა | 1300 | სუდანი — 94,6, ეთიოპია — 5,4 |
| ჩამბა | 1270 | ნიგერია — 49,6, კამერუნი — 26,0, ჩადი — 24,4 |
| კისიი | 1270 | კენია — 94,5 |
| მენდე | 1270 | სიერა-ლეონე — 99,3 |
| მაკონდე | 1220 | ტანზანია — 94,3, მოზამბიკი — 5,7 |
| აცტეკები | 1200 | მექსიკა — 100,0 |
| მორდველები | 1200 | სსრკ — 100,0 |



ხანდისი. ქრისტეს გამოსახულება ქვის სტელაზე. VI ს. II ნახევარი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი



ხანდისი. ქვის სტელა VI ს. II ნახევარი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი

ლეიკოზიტური გრანატებით, ფიქლებით, ქვიშაქვებითა და ახალგაზრდა ბაზალტებით. მწვერვალები მრგვალია. კალთები დასერილია ვიწრო და ღრმა ხეობებით. ხ-ში არის რკინის მადნის, ოქროს, სამშენებლო ქვების საბადოები, მინერ. წყაროები. შემოსილია მშრალი წიწვოვან-ფართოფოთლოვანი მარადმწვანე სტეპის მცენარეულობით, ჩრდ. კალთებზე ტყის ცალკეული მასივებია.

**ხანგამძლეობა,** ნაკეთობის (ტექ. მოწყობილობის) თვისება შეინარჩუნოს მუშაობის უნარი ზღვრულ მდგომარეობამდე, ე. ი. იმ მომენტამდე, როდესაც ნაკეთობის შემდგომი ექსპლუატაცია უნდა შეწყდეს პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობებიდან გადახრის, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა დარღვევისა და სხვათა გამო. ნაკეთობის (მაგ., ვარვარის ნათურები, კბილანები და სხვ.) ხ-ის ზღვრული მდგომარეობა, რ-იც არ ექვემდებარება რემონტს, ემთხვევა მის მტყუნებას, რემონტისადმი ვარგისი ნაკეთობის ზღვრული მდგომარეობა კი განისაზღვრება მისი შემდგომი ექსპლუატაციის არაეფექტურობით, რაც გამოწვეულია ნაკეთობის დაძველებით და ხშირი მტყუნებით, ან რემონტისათვის საჭირო ხარჯის გადიდებით. ნაკეთობის ხ-ს რაოდენობრივად ახასიათებს მოწყობილობის ტექ. რესურსი.

**ხანდაზმულობა** სამართალში, კანონით დადგენილი ვადა, რ-ის გასვლაც იწვევს სამართლებრივ შედეგებს. 1. სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებულია სასარჩელო ხ., რ-ის მიხედვითაც, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს აღარ შეუძლია დაიცვას თავისი უფლება სასამართლო წესით. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, ხ-ის საერთო ვადა არის 3 წელი (მოქალაქეებს შორის, აგრეთვე მოქალაქეებსა და სოციალ. ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებში) და 1 წელი (სოციალ. ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებში). ხ-ის შემცირებული, აქსესუარი ვადა დადგენილია პირგასამტეხლოს გადახდევინებისას, გაყიდული ნივთის ნაკლის აღმოჩენის სარჩელებში და ა. შ. (მ. 76). სასარჩელო ხ-ის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო, თავისი უფლების დარღვევა. სასარჩელო ხ-ის ვადის დინება შეჩერდება, თუ მის აღძვრას აბრკოლებს დაუძლეველი ძალა ან საომარი ორგანიზაციის დაქვემდებარებით კრედიტორის შემოწმების ვადის გადადება—მორატორიუმი და სხვ. ამ გარემოებების შეწყვეტის შემდეგ ხ-ის ვადა გრძელდება. სასარჩელო ხ. შეწყდება სარჩელის აღძვრით ან ერთ-ერთი მხარის ისეთი მოქმედებით, რ-იც მისი მოვალეობის აღიარებას ადასტურებს (ამ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც მოქალაქეა). შეწყვეტის შემდეგ სასარჩელო ხ-ის ვადა ხელახლა დაიწყება. სასარჩელო ხ. არ ვრცელდება პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნაზე (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), აგრეთვე სახელმწ. ორგანიზაციის მოთხოვნაზე სახელმწ. ქონების სხვისი უკანონო მფლობელობიდან დაბრუნების შესახებ და ა. შ. (მ. 87).

საბჭ. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეძენითი (ანუ მფლობელობითი) ხ-ის ინ-ტს. პირიქით, ზოგიერთი კაპიტალ. ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია და სხვ.) კანონმდებლობა იცნობს ამ ინ-ტს, რ-ის მიხედვითაც, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ და განსაზღვრული პირობების არსებობისას პირი იძენს სანივთო უფლებებს, მ. შ. საკუთრების უფლებასაც.

2. საბჭოთა სისხლის სამართალში კანონით დადგენილი ვადა, რ-ის გასვლის შემდეგ აღარ შეიძლება დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემა (პასუხისგებაში მიცემის ხ.) ან აღარ შეიძლება დამნაშავე პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულება (განაჩენის აღსრულების ხ.). ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელის სიმძიმის მიხედვით, საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდექსით პასუხისგებაში მიცემის ხ-ის (მ. 49) და განაჩენის აღსრულების ხ-ის (მ. 50) განსხვავებული ვადებია დაწესებული (მაგ., არ შეიძლება პირის მიცემა პასუხისგებაში, თუ უკვე გავიდა 3 წელი ისეთი დანაშაულის ჩადენის დღიდან, რ-ისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 2 წლისა ან სასჯელი, რ-იც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან). ხ. შეწყდება, თუ პირმა ჩაიდინა ახ. დანაშაული, რ-ისთვისაც კანონი აწესებს თავისუფლების აღკვეთას 2 წელზე მეტი ვადით (ამ მომენტიდან იწყება ხ-ის გამოთვლა თავიდან). ხ. შეჩერდება, თუ პირი დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს (ან თავი აარიდა სასჯელის მოხდას). უკანასკნელ შემთხვევაში ხ-ის დინება განახლდება ამ პირის დაკავებიდან ან ბრალის აღიარებით მისი გამოცხადების მომენტიდან. ამასთან, პირი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში ან არ შეიძლება მის მიმართ აღსრულდეს გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი, თუკი დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის დღიდან გავიდა 15 წელი და ხ. არ ყოფილა შეწყვეტილი ახ. დანაშაულის ჩადენით. საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ხ. შეეფარდოს სიკვდილმისჯილს ან იმას, ვისაც ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რ-ისთვისაც კანონით შეიძლება სიკვდილით დასჯა, გადაწყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო უარს იტყვის ხ-ის გამოყენებაზე, მაშინ იგი ვალდებულია სიკვდილით დასჯა შეცვალოს თავისუფლების აღკვეთით.

*თ. ლილუაშვილი, ო. გამყრელიძე.*

**ხანდაკი,** კახეთის რ-ნის სოფლების ზემო ხანდაკისა და ქვემო ჩანდაკის ძვ. სახელწოდება.

**ხანდიანი,** ქალაქი ჩრდ. ინდოეთში, ხებერის პროვინციაში. 920 ათ. მცხ. (1983). სატრანსპ. ცენტრი ქაბულ—ყვეტის რკინიგზაზე, საავტ. გზების კვანძი. მრეწველ. მანქანათმშენ. და საფეიქრო მრეწვ., ცემენტის ქ-ნა. ხ-ის რ-ნში იღებენ ქვანახშირსა და რკინის მადანს.

**ხანდისი,** სოფელი გორის რ-ნში (ატენის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 1520 მ, გორიდან 18 კმ. ატენის კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. პატარა ატენში (7 კმ).

ხ-ში აღმოჩენილია რელიეფებით შემკული VI ს. II ნახ. ქვის სტელა (გადმოტანილია საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში), რ-იც იდგა უხეშად დამუშავებული ქვით ნაგებ მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიაში. სტილისტიკური ნიშნებით ეკლესია სტელისავე თანადროული უნდა იყოს. ინტერიერში შემორჩენილია XIII ს. კანკელის ფრაგმენტები.

**ხანდო,** სოფელი ახალქალაქის რ-ნში, ახალქალაქის პლატოზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 1630 მ. ახალქალაქიდან 18 კმ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდარბაზით), საფელდშ.-სამეან. პ., აფთიაქი, კავშირგაბმ. გან-ბა.

**ხანდო,** სოფელი წალკის რ-ნში (აგარის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქციის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1740 მ, წალკიდან 37 კმ. რეზის მეცხოველეობის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი. სოფლის მახლობლად, მდ. ხანდოს მარცხ. ნაპირზე, მაღალ გორაკზე დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი— IX—X სს. დარბაზული ეკლესია. ირგვლივ ნასოფლარის ნაშთია. ეკლესია გეგმით ტრაპეციისმაგვარია, აღმ. კედელი შვერილით მოკლეა. გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით, რ-ის გასამაგრებლადაც ინტერიერში მოგვიანებით საყრდენი კედლებია ამოყვანილი. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს — ჩრდ., სამხრ. და დას. მხრიდან. ნაგებია ნატეხი ქვით. კარ-სარკმლები, პილასტრები და თაღები თლილი ქვისაა. ეკლესიას აღრე მინაშენები ჰქონია. ახლა უმნიშვნელო ფრაგმენტებიღაა დარჩენილი.

**ხანდური** (Pisum arvense), მინდვრის ბარდა, ერთწლოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა. აქვს ბლუგზედაპირიანი, ღეროიანი, ხვიარა ღერო, რ-ის სიმაღლე 1,5 მ აღწევს. აქვს გრძელი დატოტვილი ულვაში, იისფერი ყვავილი, 4—5 სმ სიგრძის ცილინდრული პარკი (3—7 თესლით). აღმოცენდება 0—6° ტემპ.-ზე. სას.-სამ. ცხოველებისათვის კვებითი საკვებია. საქართველოში უმთავრესად მთიან ზონაშია გავრცელებული (ჯავახეთში). იყენებენ მწვანე საკვებად, სასილოსედ, სენაჟად, თივად. მოკლე ვეგეტაციის მცენარეა და საუკეთესოა შუალედური წესით მოსაყვანად. მოსავლიანობა (ც/ჰა-ზე) მწვანე მასისა — 200—250, თივისა — 40—60, თესლისა — 10—15.

*გ. ღავთარაშვილი.*

**ხანზადიანი** სერო ნიკოლოზის ძე [დ. 20. XI (3. XII) 1915, ქ. გორისი, სომხეთ. სსრ], სომეხი საბჭ. მწერალი. სოციალ. შრომის გმირი (1985). პირველი რომანი „ჩვენი პოლკის ადამიანები" 1950 გამოაქვეყნა. ტეტრალოგიის რომანები „მიწა" (1—2 წიგნი, 1954—56), „ქაჯარანი" (1966), აგრეთვე ნოველების კრებულები და მხატვრული მემუარები „წიგნი წარსულის შესახებ" (1966), „სამი წელი და 291 დღე" (1972, სომხ. სსრ სახელმწ. პრემია, 1982). დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და 4 სხვა ორდენით.

*ა. ბარამიძე.*

**ხანთაძე** გიორგი ანდრიას ძე [12(25). I. 1912, ქუთაისი, — 16. VII. 1983, თბილისი], ქართველი საბჭ. მეცნიერი შიგაწვის ძრავების თეორიის დარგში, ტექ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1968), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1983). სკკპ წევრი 1944-იდან. 1934 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1937-იდან მუშაობდა იქვე (1959—69 იყო ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე). ხ-ის ძირითადი შრომები ეხება მაღალმთიან პირობებში ტრაქტორებისა და ავტომობილების ძრავების მუშაობისა და სამთო მიწათმოქმედების საკითხებს. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

**ხანთაძე** ზურაბ ანდრიას ძე [დ. 6 (18). V. 1914, ქუთაისი], ქართველი საბჭ. მეცნიერი სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის დარგში, ტექ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1945-იდან. 1939 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1946-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში. 1961—73 მუშაობდა საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ, 1973—84 — ამავე ინ-ტის დირექტორად, 1984-იდან განყ-ების გამგეა. ხ-ის სამეცნ. შრომები ძირითადად ეხება სამთო მიწათმოქმედების საკითხებს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: მექანიზაციის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, თბ., 1953; სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ნაწ. 1, თბ., 1968.

**ხან-თენგრი,** მწვერვალი თენგრითაღის ქედზე, ცენტრ. ტიან-შანში, ყირგ. სსრ-ში. სიმაღლე 6995 მ. აქვს წვეტიანი პირამიდის





[illegible]



ხატინი. „დაუმორჩილებელი ადამიანი". 1968—69 მოქანდაკე ს. სელიხანოვი, არქიტექტორები. ი. გრადოვი, ჟ. ზანკოვიჩი, ლ. ლევინი

წყლოთა კუთვნილ მიწებს. ხ-ს ძირითადად შეადგენდა ილხან. ფეოდალებისგან ჩამორთმეული მიწები. მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე და თავისუფალი იყო სახელმწ. გადასახადებისაგან. ხ-ს მფლობელი ილხანის პირადი საკუთრება იყო, გადასახადთა აკრეფის უფლება კი მეტწილად იჯარით გაიცემოდა. ხ. ნიშნავდა აგრეთვე ცალკეული პირების თავისი სამფლობელოთი ნებაყოფლობით შესვლას მონღოლი ილხანის მფარველობაში. ასეთი პირი გარკვეული პოლიტ. თავისუფლებით სარგებლობდა. მაგ. 1266 რიცხვით სამცხის მთავარი სარგის I ჯაყელი დავით VII ულუს წინაშე დააბეზღეს და მის გამო საფრთხე დაემუქრა, მან ილხან აბაღას სთხოვა მფარველობა. სარგისის სამფლობელო საქართველოს გამოეყო, ილხანის ხ. გახდა და შესაბამის უწყებას დაექვემდებარა. ხ-ს სისტემა ძირს უთხრიდა საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობას.

ლიტ.: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგნ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959. რ. კიკნაძე.

**ხასკოვო,** ქალაქი სამხრ. ბულგარეთში, ხასკოვოს ოლქის ადმ. ცენტრი. 87,6 ათ. მცხ. (1982). ქ. დიმიტროვგრადთან ერთად ქმნის ერთიან სამრეწვ. კვანძს. მანქანათმშ. (ქიმ. და კვების მრეწვ. მოწყობილობის წარმოება) და კვების მრეწველობა. ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი თამბაქოს ფ-კა „თრაკია".

**ხასკოვოს ოლქი,** ადმ.-ტერ. ერთეული სამხრ. ბულგარეთში, მდ. მარიცის აუზში. ფართ. 4 ათ. კმ². მოსახლ. 296,2 ათ. კაცი (1982). ადმ. ც-რი — ქ. ხასკოვო. მეურნ. ინდუსტრ.-აგრ. ხასიათისაა. იღებენ მურა ნახშირსა და ტყვია-თუთიის მადანს. საერთო-რესპ. მნიშვნელობისაა ქიმ., ელექტროენერგეტ., ცემენტის, მანქანათმშ., თამბაქოს, საფეიქრო (მ. შ. აბრეშუმის) მრეწველობა. არის მარცვლეული (ხორბალი, ქერი) და ტექ. (ბამბა, თამბაქო) კულტურების ნათესები, ვენახები, კაკლისა და თუთის ნარგავები; მოჰყავთ ბოსტნეული, ბაღჩეული.

**ხატან ბატორ მაქსარჟავი** (1877—3. IX. 1927, ულან-ბატორი), მონღოლეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. 1912 სარდლობდა ჯარს, რ-მაც გაათავისუფლა ქ. კობდო და ცას. მონღოლეთი მანჯურიიდან. ბატონობისაგან 1913—17 მეთაურობდა რამდენიმე ხაზს. ლაშქრობას გარე მონღ. სამხრ. და აღმ. საზღვრებისაკენ ჩინ. მილიტარისტებისაგან მისი თავდაცვის მიზნით. მონღ. სახ. რევ. (1921) დასაწყისში ხ. ბ. მ. სახ. მთავრობის მხარეს გადავიდა და მონღ. სახ.-რევ. პარტიაში (მსრპ) შევიდა. ხ. ბ. მ. მეთაურობდა მონღ. დიდ რაზმს, რ-მაც რ თ უნგერნის თეთრგვარდიელთა ნაწილებისაგან გაათავისუფლა ქ. ულიასუტაი (1921 წ 22 ივლ.) და მონღ. ჩრდ.-დას. ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1924-იდან სახ. მინისტრი. 1924—28 მსრპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1926-იდან მსრპ ცკ-ის წევრი. დაჯილდოებულია წითელი დროშის საბჭ. ორდენით (1922). ხ. ბ. მ. მონღ. ეროვნ. გმირია.

**ხატანგა,** მდინარე რსფსრ კრასნოიარსკის მხარის ტაიმირის (დოლგან-ნენეცთა) ავტონ. ოკრუგში, წარმოიქმნება მდ-ების კოტუისა და ხეტის შეერთებით. სიგრძე 227 კმ. აუზის ფართ. 364 ათ. კმ². ერთვის ლაპტევების ზღვის ხატანგის ყურეს. ქმნის ესტუარის, მიედინება ჩრდ. ციმბირის დაბლობზე. ქვემოთში ხეობის სიგანეა 5 კმ. კალაპოტში ბევრი კუნძულია. ხ-ის აუზში 112 ათ. ტბაა (ფართ. 11,6 ათ. კმ²). უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის მაისის ბოლოდან სექტ.-მდე. წყლის საშ. ხარჯი 3320 მ³/წმ, მაქს—18000 მ³/წმ. იყინება სექტ. ბოლოსა და ოქტ. I ნახევარში. ყინულისაგან თავისუფლდება ივნ. I ნახევარში. მდიდარია თევზით. სანაოსნოა. ხ-ის ნაპირზეა ნავსადგური ხატანგა.

**ხატი** (არაბ., —ხაზი; ნაწერი), ქრისტიანულ რელიგიაში იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულების ან წმინდანების ფერწერული ან რელიეფური გამოსახულება. მართლმადიდებელ და რომის კათოლ. ეკლესიაში ხ. ტაძრის ძირითად შემადგენელ ნაწილს და ღმერთთან ურთიერთობის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. კათოლ. ეკლესიაში ძირითადად სკულპტურული გამოსახულება ჭარბობს, მართლმადიდებელ ეკლესიაში—ხეზე შესრულებული ფერწერული ხ. ქრისტ. ეკლესიამ უძველესი დროიდან სცემდნენ თაყვანს წმინდა გამოსახულებებს; ქრისტიანობის დევნის პერიოდში რომის კატაკომბებში ხ-ს სიმბოლურად გამოსახავდნენ: მაგ., იესო ქრისტეს კრავის ან მწყემსის სახით; გამოსახავდნენ აგრეთვე თევზს, ლუზას, ირემს, რ-იც წყლის სვამს, ეს ნიშნავდა სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას, პავლე—ცოდვაში გამარჯვებას და ა. შ. ქრისტიანობის დევნის შეწყვეტის შემდეგ დაიწყო ხატწერის განვითარება, ხოლო IV ს-ში ხ. სიმბოლოდ დამკვიდრდა ეკლესიაში, მიუხედავად იმ დიდი რელიგ.-მოძრაობისა, რ-იც ისტორიაში ხატმებრძოლობის სახელით არის ცნობილი. ევსები კესარიელის (IV ს.) ცნობით, პირველი ხ., ე. წ. იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხ. შექმნილია იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დროს თქმულების თანახმად, ტილოზე (უბრუსზე), რ-იც ქრისტემ სახეზე მიიფარა, გამოსახულა მისი სახე. ანტონ მარტყოფელის მიერ საქართველოში ჩამოტანილი ასეთი ხელთუქმნელი ხ-ისა, „ანჩისხატის" სახელწოდებით ცნობილი, ანჩისხატის ეკლესიაში იყო დასვენებული, ამჟამად კი საქ. სსრ. ხელოვ. მუზეუმში ინახება. ქრისტ. ეკლესიაში ზოგიერთი ხ. სასწაულთმოქმედებითაა ცნობილი. ასეთებია ივერიის ღვთისმშობელი ანუ „პორტაიტისა", [illegible] ღვთისმშობელი, წილკნის, მანგლისის, სიონის, ყაზანის, იერუსალიმის ღვთისმშობელი, სუიდაის ღვთისმშობელი, ილორის წმ. გიორგის ხ. და სხვ. ხ. გვხვდება ლამაისტურ რელიგიაშიც.

**ხატიაშვილი** გივი ვლადიმერის ძე (დ. 3. I. 1927, თბილისი), ქართველი საბჭ. მევიოლინე. საქ. სსრ დამს. არტისტი (1965). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1983). 1961 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ლ. შიუკაშვილის კლასი). 1944—67 იყო საქ. სსრ. სახელმწ. კვარტეტის წევრი. კვარტეტთან ერთად გამოდიოდა სსრკ ქ-ებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1967-იდან ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლის დირექტორია, 1959-იდან — თბილ. კონსერვ. პედაგოგი (1986-იდან პროფესორი). გ. ტორაძე.

**ხატიაშვილი** შოთა მიხეილის ძე (24. X. 1920, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის რ-ნი,—19. VIII. 1985, თბილისი), ქართველი საბჭ. მეცნიერი კვების ტექნოლოგიის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). სკკპ წევრი 1945-იდან. 1947 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი და მუშაობა დაიწყო იქვე (1972-იდან იყო სოფ. მეურნ. პროდუქტების შენახვისა და დაკონსერვების კ-დრის გამგე, 1973-იდან — აგრეთვე დარგობრივი სამეცნ.-კვლ. ლაბორ. გამგე). ხ-ის სამეცნ. შრომები ძირითადად შეეხება სოფ. მეურნ. პროდუქტების ქიმ.-ტექნოლ. საკითხებს, ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და დაკონსერვების პროგრესულ მეთოდებს. ავტორია უმაღლესი სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელოსი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

**ხატიბ ალ-ბაღდადი** (1002, სოფ. ღარზიჯანი, ბაღდადის ახლოს, — 1071, ბაღდადი), არაბი ისტორიკოსი და ბიოგრაფი. იყო ხატიბად (მქადაგებელი) ბაღდადში, საიდანაც მიიღო მისი სახელი. ხ. ალ-ბ-ის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის აღსანიშნავია 14-ტომიანი „ბაღდადის ისტორია" („თარიხ ბაღდად"), რ-შიც გადმოცემულია 7830-მდე ბიოგრაფია იმ პირებისა, რ-ებიც ამ ქალაქთან იყვნენ დაკავშირებულნი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულების შესავალი ნაწილი, რ-იც შეიცავს მეტად საინტერესო ცნობებს ქ. ბაღდადის გეოგრ., ტოპოგრ. და ისტორიისათვის. ქ. სიხარულიძე.

**ხატინი,** არქიტექტურულ-სკულპტურული მემორიალური კომპლექსი ყოფ. სოფ. ხატინის ადგილას (მინსკის ოლქი, ბელორ. სსრ). გაიხსნა 1969 წ. 5 ივლ. ფაშისტების მიერ მიწის პირიდან აღგვილი ბელორ. სოფლების მცხოვრებთა ხსოვნის აღსანიშნავად. ლაკონიურ არქიტ. კომპოზიციაში ჩართულია სამი სკულპტურული ფორმები—„ხატინის ნაბათი", „სოფლების საფლავი", „ხატინის კვამლი", „სიცოცხლის მოედანი" მემორიალური ფილითა და მარადიული ცეცხლით, ქანდაკება „დაუმორჩილებელი ადამიანი" (არქიტექტორები ი. გრადოვი, ჟ. ზანკოვიჩი, ლ. ლევინი; მოქანდაკე ს. სელიხანოვი; ლენინური პრემია, 1970). ხ. 1941—45 დიდი სამამულო ომის ისტორიის ბელორ. სახელმწ. მუზეუმის ფილიალია.

**ხატის მიწები,** ხატის (ჯვრის) კუთვნილი მიწები, რ-ზედაც დღესასწაულისათვის საჭირო მოსავალი მოჰყავდათ. ხ. მ-ის ერთი ნაწილი, გადმოცემის თანახმად, ძველთაგანვე ხატის საკუთრებას შეადგენდა და მკვიდრი (ძველი) მიწები ერქვა. ხატს შეიძლებოდა დაერჩინათ ახლად მოხნული ან გადასახლებული გვარების მიწები, გადაცემული ლაშქრობათა დროს დაპყრობილი ადგილები; შეიძლებოდა აგრეთვე მისთვის ლეობას შეეწირა პირადი მიტაცებული მიწები ან საკუთარი მიწის ნაწილი და სხვ.

ხ. მ-ს აღმ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწოდებოდა ჯ ვ ა რ ი ს ბ ო რ ტ ვ ე (ხევსურეთი), ხ ა ტ ი ს ბ უ ს ხ ნ ი (ფშავი), ხ ა ტ ი ს ს ა მ კ ვ ი დ რ ო (მთიულეთი), ხ ა ტ ი ს ნ ე ი დ ა ნ ი (ქართლი). აქ განლაგებული იყო წმინდა ხეებით გარს შემორტყმული ხატის საკულტო და სამეურნეო ობიექტები. ხატის კ-ტი, მისი ტყე და სათიბები წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა.

ხ. მ-ს შორის საუკეთესო და ახლოს მდებარე ნაკვეთებზე ძირითადად ქერს თესავდნენ, რ-საგანაც ლუდს ადუღებდნენ. ხ. მ-ის დამუშავების წესი სხვადასხვა იყო. ხევსურეთში ამას აკეთებდა შულტა ან დასტური და მოსავლის $\frac{2}{3}$-ს ხატს სწირავდა; მთიულეთში მორიგეობით ამუშავებდნენ, დამმუშავებლის მოსავლის ნაწილი ხატისათვის უნდა შეეწირა და სალაღოც მიეცა. ქართლში ხ. მ-ს მეკვირიეებს მიწიან ოჯახს აძლევდნენ გარკვეული ვადით და ნატურალური იჯარით, შესაბამისად უფასდებოდაც. საძოვარი და სახნავი ხხ. მ. იჯარითაც ეძლეოდათ უცხო თემის წევრებს.

ლიტ.: Б а р д а в е л и д з е В. В., Земельные владения древнегрузинских святилищ, «Советская этнография», 1949, № 1.
მ. ერიაშვილი.

**ხატისოფლის ბრძოლა 1584,** ბრძოლა ქართლისა და ოსმალეთის ლაშქარს შორის სოფ. ხატისოფელთან (ახლანდ. დუშეთის რ-ნი). ოსმალთა წინააღმდეგ სიმონ I-ის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი. 1584 ოსმალთა სარდალი ფერჰად-ფაშა მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლისაკენ წამოვიდა და ხატისოფელთან დაბანაკდა (იხ. ფერჰად-ფაშას ლაშქრობანი საქართველოში). ქართველთა 4-ათასიანი ლაშქარი სიმონ I-ის მეთაურობით მდ. ხრამის [illegible] მოულოდნელად თავს დაესხა მტერს და მისი ბანაკი არია, მაგრამ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან (30 ათ. კაცი) ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა ბრძოლის ველს გასცლოდა.

დროიდან როგორც სტეპის, ისე მთის ტყისათვის დამახასიათებელი ცხოველები. ძუძუმწოვრებიდან არის მურა დათვი, მგელი, მელია, ტურა, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, დედოფალა, კურდღელი, ბუჩქნარა მღრღნელები: თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია, ტყის თაგვები, ზაზუნა, წყლის მემინდვრია, ძილგუდა. ფრინველებიდან გვხვდება: გარეული მტრედი, გვრიტი, შაშვი, მწყერი, ბეღურა, ჭკვიანი, კაჭკაჭი, ქორი, კირკიტა, ბუდურა და სხვ. მდ-ებში არის ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა, ჭერეხტა, თაღლითა, გველანა და სხვ.

ბ ო რ ი თ ა დ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ე ბ ი. რ-ნის ტერიტ. მოქცეულია შიდა-მთელოს, ზომიერად ნოტიო ჰავიანი მთა-ტყიანა და ზომიერად მშრალი სუბტროპ. ჯაგეკლიანი სტეპური ლანდშაფტის ტიპების შემდეგი სახეების ფარგლებში: 1. სუბალპ. მდელოები, მთის მდელოს კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგებით. 2. საშ. მთები, წიწვოვან-ფოთლოვანი (ფიჭვნარ-წიფლნარ-მუქწიწვოვანი) ტყით, ტყის ყომრალი და გაეწრებულ ყომრალ ნიადაგებზე. 3. საშ. მთები, წიფლის ტყით, ტყის ყომრალ ნიადაგებზე. 4. საშ. მთები, რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგებით. 5. დაბალი მთები, რცხილნარ-მუხნარით და ტყის ყავისფერი ნიადაგით. 6 ბორცვიანი მთისწინეთი, ჯაგეკლიანებით და ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერ ნიადაგზე. 7. ბორცვიან-ბექობებიანი მთისწინეთი, ბუჩქნარებით და სტეპებით, ტყის ყავისფერ და შავმიწისებურ ნიადაგებზე. 8. ტერასული დახრამული ვაკე, ჯაგეკლიან-სტეპური მცენარეულობით, ალუვიურ და ყავისფერ ნიადაგებზე

მოსახლეობა. ტერიტ. ძირითადი ნაწილი კარგადაა დასახლებული და ათვისებული მეურნეობრივად. სოფლების უმეტესობა შიდა ქართლის ვაკესა და ლიხის ქედის აღმ. ფერდობის მთისწინეთში მდებარეობს, მეორე ნაწილი — თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთის ვიწრო ხეობებში. ჭარბობს დიდი და საშ. სოფლები, განსახლების ზონა 600—1000 მ ფარგლებშია. ქალაქად ცხოვრობს რ-ნის მთელი მოსახლ. 55%-ზე მეტი. მოსახლ. უმრავლესობა ქართველები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე სომხები, ებრაელები, რუსები, ოსები და სხვ. საშ. სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 112 კაცი

სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგია მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მრეწვ. მთლიანი პროდუქცია 68 მლნ. მან. (1984) შეადგენს. ძირითადი საწარმოები, საწარმოები თავმოყრილია ქ. ხაშურში: მექან. და [illegible] სარემონტო ქ-ნები, საყოფაცხოვრებო-საგალანტერეო ფ-კა, მინის ქ-ნა (ამზადებს ბოთლებს ბორჯომის მინერ. წყლის ჩამოსხმის ქ-ნისათვის), საშენი მასალისა და კვების მრეწვ. საწარმოები (საკონსერვო ქ-ნა, პურის, რძისა და ხორცის კომბინატები და სხვ.). ხაშურში არის აგრეთვე რესპუბლიკის მომსახურე მსხვილი საწარმოები (სალოკომოტივო დეპო და სხვადასხვა სატრანსპ. ორგანიზაციები), რაისამრეწვ. კომბინატი (ამზადებს ფართო მოხმარების საგნებს); დაბა სურამში არის ღვინის ქ-ნა (აწვდის ღვინომასალას თბილ. შამპანური ღვინოების ქ-ნას), სოფ. გომში — საპარტიო ქ-ნა.

ს ო ფ. მ ე ურ ნ. ძირითადი დარგებია მარცვლეული მეურნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა. რ-ნში არის 17 კოლ-ბა, 6 საბჭ. მეურნ. (ალის მევენახეობის, ქლდეკის მეთესლეობის, ქვიშხეთის მებოსტნეობა-მეხილეობის, წაღვლის მეხილეობა-მევენახეობისა და ცხრამუხის მეხილეობა-მეცხოველეობის), 2 სამეურნეობათაშორისო საწარმო და 1 სოფ. მეურნ. პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. რ-ნის სას.-სამ. სავარგული შეადგენს 21,1 ათ. ჰა-ს, აქედან სახნავია 6,6 ათ. ჰა, სათიბ-საძოვარი 8,9 ათ. ჰა. მრავალწლ. ნარგავებს უჭირავს 5,8 ათ. ჰა. სარწყავია 3,6 ათ. ჰა მიწა. ნათეს ფართობში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საშემოდგომო ხორბლისა (მარცვლეული კულტურების ნათესების საერთო ფართობის 67%) და სიმინდის (28%) ნათესებს. მოჰყავთ აგრეთვე ჭვავი, ქერი, ლობიო; შაქრის ჭარხალს უჭირავს 0,7 ათ. ჰა (მოსავლიანობით 1 ადგილზეა რესპუბლიკაში — 1 ჰა-ზე 430 ც), ბოსტნეულ კულტურებს 6,0 ათ. ჰა, საკვებ კულტურებს 3,0 ათ. ჰა. მრავალწლ. ნარგავებიდან ძირითადია ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და სხვ. ბაღები (2,7 ათ. ჰა), ვაზს უკავია 1,3 ათ. ჰა. რ-ნის მეცხოველეობა ხორცი-სახორცე მიმართულებისაა მეურნ. ყველა კატეგორიაში პირუტყვის სულადობა იყო (1985, ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი 7,7 (აქედან ფური — 3,0), ღორი — 3,7. ხაშურში არის მეფრინველეობის ფ-კა.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. რ-ნის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკ. სარკინიგზო მაგისტრალი და ხაზები (თბილისი — სამტრედია და ხაშური — ბორჯომი — ახალციხე) და რესპ. მნიშვნელობის გზები (სურამი — ორჯონიკიძე — ქარელი და გომი — სანხერე). ადგილ. მნიშვნელობის გზების სიგრძე 220 კმ. ქ. ხაშური მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია, რკინიგზის ხაზებით დაკავშირებულია სურამთან და გელესთან.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. 1985 რ-ნში იყო 54 ზოგადსაგანმან. სკოლა [აქედან 24 საშ., 2 სადამოს (ცვლიანი), 1 სკოლა-ინტერნატი], 12,2 ათ. მოსწ., 1,0 ათ. მასწავლებელი, 15 საბავშვო ბაგა-ბაღი, 51 ბ-კა, 39 საკლუბო დაწესებულება. ქ. ხაშურში არის სამუსიკო და სპორტ. სკოლები, 2 პროფტექ. სასწავლებელი, სახ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამში — სამუსიკო სკოლა, პროფტექ. სასწავლებელი, ლესია უკრაინკას სახ. ბ-კა-მუზეუმი. გამოდის რ-ნული გაზ. „გამარჯვების გზა". იღებენ ტელეგადაცემებს.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება კურორტები სურამი, ქვიშხეთი. არის 8 საავადმყოფო (800 საწოლი), 15 ამბულ.-პოლიკლინიკა, 19 საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტი, 6 აფთიაქი, 143 ექიმი და 467 საშ. მედმუშაკი.

ხუროთმოძღვრული ძეგლებია: ნაბახტევის, წრომის, ხცისის, ურიხვის, წაღვლის ნინ გიორგის (შუა საუკ.) ეკლესიები, ცხრამუხის (შუა საუკ.) კოშკი, სურამის ციხე, ალის ციხე, სოფ. ბელოტის ციხის მახლობლად ციხის ნანგრევები (გვიანფეოდ. ხანა) და სხვ.

ი. უალუცა, გ. ჯაოშვილი.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი I—II, გვ. 464—465.

**ხაშუფსე**, მდინარე გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. წარმოიქმნება მდ-ების ქეთფსისა და სანდრიფშის შეერთებით. სათავე აქვს გაგრის კირქვულ მასივზე, 1700 მ სიმაღლეზე. სიგრძე 30 კმ. ერთვის შავ ზღვას. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და კარსტული წყლით. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 7,5 მ³/წმ. მდ. ხოფსეზე აგებულია ჰიდროჰესი.

გ. გონგლაშვილი.

**ხაშუფსე**, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, აფხ. მთისწინეთში, მდ. ხაშუფსის ხეობაში, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები ხ., ჯაჯა, ორმურხევი). ზ. დ. 80 მ, გაგრიდან 20 კმ, განთიადიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. სსრკ კონსტიტუციის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა), რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი. დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი.

**ხაშხაში** (Papaver somniferum), ერთწლოვანი ბალახოვანი დეკორატიული მცენარე ყაყაჩოს ოჯახისა. მისი სიმაღლე 80 — 150 სმ აღწევს. აქვს მთავარღერძიანი ფესვი, სუსტად დატოტვილი სწორმდგომი ღერო, ღეროსმომცველი ფოთოლი. ღერო და ფოთოლი დაფარულია ცვილისებრი ნაფიფქით. ყვავილი დიდია, მარტოული, 4 გვირგვინის ფურცელი აქვს, ჩვეულებრივ თეთრია ან იისფერი. ნაყოფი კოლოფია. უმეტესად უხსნადი. თესლი წვრილია, მომრგვალო ან კვერცხისებრი. 1000 ც-ის მასა 0,24—0,45 გ. მცენარის სავეგეტაციო პერიოდია 85—135 დღე. ხ-ს დიდი პრაქტ. გამოყენება აქვს. თესლი შეიცავს 40—50% ცხიმს. მისი ზეთი კარგი პროდუქტია, იყენებენ საკონდიტრო-საკონსერვო მრეწველობაში, აგრეთვე სადებავების დასამზადებლად. ხ-ს ზოგიერთი ჯიშისაგან ღებულობენ ოპიუმსა და ალკალოიდებს, რომლებიც მედიცინაში იყენებენ ძილის მომგვრელ, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. სსრკ-ში ხ მოჰყავთ უკრ., ყირგ. სსრ-ებში, თათრ. და ბაშკ. ასსრ-ებში, ყაზახეთში.

ლ. ანიაშვილი.



ხაშხაში: მცენარის ზედა ნაწილი (ზემოთ მარცხნივ) და სხვადასხვა ფორმის კოლოფები

**ხაჩატურიანი** არამ ილიას ძე [24. V(6. VI). 1903, თბილისი, — 1. V. 1978, მოსკოვი. დაკრძალულია ერევანში], სომეხი საბჭ. კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, მუსიკალურ-საზოგადო მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1954), სოციალ. შრომის გმირი (1973), სომხ. მეცნ. აკად. ნ. წ. (1963). საქ. სსრ სახ. არტისტი (1973), სკკპ წევრი 1943-იდან. თავდაპირველი მუსიკალური განათლება მიიღო გნესინების სახ. მუს. ტექნიკუმში (დაამთავრა 1929). 1934 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ნ. მიასკოვსკის საკომპოზიციო კლასი). დიდი წარმატება ხვდა მის პირველ სიმფონიას (1934). ფართო აღიარება მოუტანა მას საფორტეპიანო (1936) და განსაკუთრებით შესანიშნავმა სავიოლინო (1940) კონცერტებმა. დიდი სამამულო ომის წლებში ხ-მა შექმნა მე-2 სიმფონია (1943). ცნობილი ბალეტი „გაიანე" (1942, მისი პირველი რედაქცია „ბედნიერება" შეიქმნა 1939). ომის შემდგომ წლებში — კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1946), ბალეტი „სპარტაკი" (1954). 60-იან წლებში დაწერა კონცერტ-რაფსოდიები ვიოლინოს (1961), ჩელოსა (1963) და ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (1968). ხ-ს დაწერილი აქვს მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. ხ-ის შემოქმედება XX ს. მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. გამოირჩევა ფერთა სიუხვით, ელვარე კოლორიტით, ემოციურობით, სომხურ ხალხურ მუსიკასთან ერთად ხ-ის მუსიკაზე გავლენა იქონია აღმოსავლურმა ქართულმა ფოლკლორმა. 1950-იდან ასწავლიდა მოსკ. კონსერვატორიასა და გნესინების სახ. ინ-ტში (1951-იდან პროფესორი). 1957-იდან იყო სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, სსრკ V მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საზღვარგარეთის ხელოვნ. აკადემიების საპატიო წევრი, სსრკ მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი. ლენინური პრემია (1959), სსრკ სახელმწ. პრემიები (1941, 1943, 1946, 1950, 1971), სომხ. სსრ სახელმწ. პრემია (1965); დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: Хубов Г. Н., Арам Хачатурян, 2 изд., М., 1967.

გ. ტორაძე.



ა. ხაჩატურიანი

**ხაჩატურიანი** ტიგრან სერგოს ძე [დ. 23. IX (6. X). 1906, მოსკოვი], საბჭ. ეკონომისტი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1966, წ.-კორ. 1943), სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1926). რკინიგზის ტრანსპ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1945—49), სსრკ მეცნ. აკად. კომპლ. სატრანსპ. პრობლემების ინ-ტის დირექტორი (1954-59), ჟურნ. „ეკონომიკის საკითხები" მთავარი რედაქტორი (1966-იდან). სსრკ მეცნ. აკად. ეკონ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1967—71). სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალთა და ბუ-



ტ. ხაჩატურიანი

„ირმის ფანდური" („ოსური ლირა"), ხ-ის პოემების („ფატიმა", 1889; „მწყემსი", „ქრისტინა" 1889; „სასაფლაოზე" და სხვ.) ცხოვრებისეული მასალის საფუძველი თეოსებგნით არიან დაკავშირებული. მაგრამ მის მხატვრულ ნაწარმოებში ძირითადი სახეა ლირ. გმირი, თვით პოეტი — „მიმღერალის ადმინის" (ა. ფადეევი). რ-შიც ცრემლიანი ლექსები. ნაციონალური სამყარო, ხ-მა ოსურ ლიტ-რაში დაამკვიდრა რეალიზმის პრინციპები. სიტყვიერი რეალიზმის, ოსური პოეზიის ჩამოყალიბებული ლიტერატურა შექმნა. მისი შემოქმედების ძირითადი თემები ხალხის ბედი, რაც შეფარდებულია მისსავე შემოქმედების, შემოქმედების ლირიზმის და ფიზიკური და მორალური გარემოს, იდეოლოგიურ და ზნეობრივ იდეალებში.

ხ-ს ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეის ქომაგი იყო. დამეგობრებული იყო ა. ჭავჭავაძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, ა. წერეთელს და სხვ. რუსი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ლექსები, განსაკუთრებით მჭიდრო იყო დაკავშირებული ქართულ ხალხთან. პირადად იცნობდა ა. ყაზბეგს, ი. ჭავჭავაძეს, ი. ცერეთელს და სხვ. ქართ. მოღვაწეებს. ი. ჭავჭავაძის სოციალისტურ დატყვევება 1891 დაწერილი მისი ლექსები ხ-ის პოეზიის შედეგებია, რომელიც (1899 და 1902) იყო თბილისში. სწავლობდა ქართ. ენას. ოსური ქართ. ხალხმა. მისივე „ოსური ლირის" ერთ-ერთ ხელნაწერზე მისი ხელით მიწერილია ქართული „ცოცხალი სიმღერა".

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხ-ის ფერწერული ტილოები, არაერთხელ მოეწყო მათი გამოფენა საქართველოსა და სხვ. ქ-ებში. 1887 შექმნა საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს პორტრეტი, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა ქართ. პრესა.

ხ-ის თხზულებები თარგმნილია სსრკ ხალხთა და უცხოურ ენებზე. მისი თხზულებები რამდენჯერმე (ცალკე წიგნად 1939 და 1959) გამოიცა ქართ. ენაზე თბილისსა და ცხინვალში. არა ერთმა ქართ. პოეტმა (ი. აბაშიძე, ზ. გაფრინდაშვილი, ა. მირცხულავა, შ. გოგიჩაიშვილი, ს. შანშიაშვილი, ლ. ასათიანი, ჯ. ჩარკვიანი და სხვ.) თარგმნა ხ-ის ლექსები და ნაწარმოებები. ქართ. თეატრის ასპარეზზე და სახელმწიფო დადგმებში დაწერილია კ. ხეთაგუროვის სახ. პრემიები.

თხზ.: რჩეული, თბ., 1939; რჩეული, ცხინვალი, 1949; ლექსები და პოემები, თბ., 1959; Собр. соч., т. 1—5, М., 1959—61; Собр. соч., т. 1—3, М., 1974.

ლიტ.: ა ბ ა ე ვ ი ვ., ჩვენი ხალხის პოეტი, თბ., 1961; ჯ უ ს ო ი თ ი ნ., კოსტა ხეთაგუროვი, თბ., 1979; Абаев В. И., Что значит Коста для осетинского народа, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», 1960, в. 10; Джусойты Н., Коста Хетагуров. Очерк творчества, Сталинири, 1958; Дзуццаты Х.-М., Хетагуров. Кавказские реалии, Цхинвали, 1979; Коста Хетагуров. Сборник памяти великого осетинского поэта, под ред. А. А. Фадеева, М., 1941.
ვ. ჩ.

**ხეთაგუროვი** (1940-მდე ...), სოფელი საქართველოს სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის ცხინვალის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლიახვის (ამოსავლეთის) ტერასაზე, ცხინვალის ცენტრიდან ჩრდ.-აღმ. 3 კმ-ზე. ტაიტების ცენტრი (სოფლები: ...). ზ. დ. 900 მ. ცხინვალიდან 7 კმ. ხეთაგუროვის სახ. მეურნეობის ცენტრი. საშ. სკოლა, სკოლა-ინტერნატი, კლუბი, ბიბლიოთეკა, ამბულ. განყოფ. შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნ. სოფელია. აქ იყო წუწარის ლეთის მონასტრის ნანგრევები (იხ. სტ. წუწარი).

**ხეთისხალი** (Pleurotus ostreatus), ქუდიანი სოკო, ქუდის დიამეტრი 15 სმ ალწყის, მოიყვითო, მონაცრისფრო ან მურა, ზედაპირი, თეთრი, ფსევდოფერფლი, ფირფიტა ცენტრალური ფეხი მოკლე ან სრულიად არ გააჩნია; სუბსტრატზე მისაგრების ადგილას შებუსულია. იზრდება კრამიტისებურად დაწყობილი ჯგუფებად როგორც ცოცხალ, ისე მკვდარ ხეებზე და გამხმარ ხეებზე ცაცხვის, თელასა და წიფლის ღეროზე. ფოთლოვანი სოკოა. საჭმელი სოკოა, ცილებით კალციუმის, ნახშირწყლების და ვიტამინების საუკეთესო წყაროა. ბევრ ქვეყანაში ხელოვნურად აშენებენ. იზრდება ანაღ. ...

**ხეთები**, ძველი ხალხი ცენტრალურ ანატოლიაში (მცირე აზია). მოსახლეობდნენ ძვ. წ. III—II ათასწლ. მიჯნაზე. ლაპარაკობდნენ ხეთურ ენაზე (ნესიტურ ან ქანესიურ) ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიურ) ჯგუფს. ... ხეთების სახელმწიფოს ტერიტორია ძველი ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური) დამწერლობის ძეგლებით. ... სახელმწიფო წარმომავლობის ... ხ-ის სახელმწ. ... „ხათი", რ-იც იყოფოდა ...

**ხეთების სახელმწიფო**, ხ ა თ ი (Hatti), ერთ-ერთი ძველაღმოსავლური სახელმწიფო ძვ. წ. II ათასწლ. მცირე აზიაში (ანატოლია, აღსავლ. ოკუპირებული). ... ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისში ... ცენტრი მცირე აზიაში რამდენიმე დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო (ქანესი, ქუსარა, ხათი, ცალპა და სხვ.) არსებობდა, ამათგან ... ძვ. წ. 1750 ... ქალაქ-სახელმწიფოების დამორჩილება ... ხეთური ... ხეთური წერილობითი წყაროების თანახმად, ქუსარა იყო ... ხათუსას (ნესიტების) ... ცენტრი მცირე აზიაში. ... ლაბარნა I-ს. ხ-ს წარმომქნის ... (დაახლ. ძვ. წ. 1680) ... მცირე აზიაში ... ანატოლიაში სამხრ.-იდან მზარდობის ...



ხეთები, ძ. წ. ... ხ-ის ... XV—XII სს.

გზით თავდასხმებით შეწირული ... ხეთების ... ხ. ხ-ს ... „ძველი", „შუა" და „ახალი" სამეფოები. „ძ ვ ე ლ ი ს ა მ ე ფ ო ს" დროს (დაახლ. ძვ. წ. 1680 —1500) ... ხათუსილი I-ის ... ლაბარნა I-ის ... მურსილი I-ის ... (ძვ. წ. 1595 ...) ... „შ უ ა ს ა მ ე ფ ო ს" ხანაში (დაახლ. ძვ. წ. 1500—1450) ... ხათუსილი III-ის ... „ა ხ ა ლ ი ს ა მ ე ფ ო ს" დროს (ძვ. წ. 1450—1200) ხ. ხ. ... სუპილულიუმა I-ის ... ძვ. წ. 1312 ... ხ. ხ-ის ... IV-ის მეუღლე ... ძვ. წ. XIII ს. II ნა... ...



ხეთური „მზის ... რელიეფი ... ძვ. წ. VIII ს. ... ანკარა.

იერი, რ-ებიც თუმცა სინამდვილით არიან შთაგონებულნი, მაგრამ, როგორც შემოქმედის შინაგანი სამყაროს გამოხატულებანი, სინამდვილის ფოტოგრაფიულ რეპროდუქციას არ წარმოადგენენ, ვინაიდან ხელოვნება სამყ. აზროვნების სახეა. ფორმა, მხატვრული ნაწარმოების შექმნისას ხელოვანს ყოველთვის მხედველობაში ჰყავს სხვა ადამიანები, რ-ებმაც უნდა გაიცნობიერონ მისი ქმნილების შეგრძნება, ზოგჯერ სისაკუთარი შესრულებითაც (მუსიკა, თეატრი). აქედან გამომდინარე, ხ. ფ-ს აინტერესებს, თუ რა ფსიქოლ. კანონზომიერებებით ხასიათდება მხატვრული ნაწარმოების აღქმა, როგორ ყალიბდება და ვითარდება იგი და როგორ შეიძლება ამ პროცესის ოპტიმალურად მართვა, რა თავისებურებებით ხასიათდება მხატვრული აღქმა და მისი განვითარება ხელოვნ. სხვადასხვა დარგში, როგორ მოქმედებს ხელოვნება მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მისი მსოფლმხედველობის ქმნადობაზე, მისი ცოდნა-გამოცდილების გამდიდრებაზე და ა. შ.

ლიტ.: Бессознательное, [т.] 2, Тб., 1978, сс. 477—478; Выготский Л. С., Психология искусства, М., 1965; Узнадзе Д. Н., Формы поведения человека, შრ. წგ. - Психологические исследования, М., 1966, с. 326—365.

**ხელოვნების ხალხურობა,** მარქსისტული ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რ-იც გამოხატავს ხელოვნების დაკავშირებულობას ხალხთან. ხელოვნების ხალხურობა სამ ასპექტს მოიცავს: 1. ხელოვნების გამოსახვის საგანი უნდა იყოს ხალხი, მშრომელი ადამიანის ცხოვრება; 2. ხელოვნება ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებებს უნდა გამოხატავდეს; 3. ხელოვნება მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ხალხის ფართო მასებისათვის.

შ. კერძიაშვილი.

**ხელოვნური ბეწვი,** საფეიქრო ნაწარმი, ნატურალური ბეწვის იმიტაცია. მაღლიან ჰგავს იმ ბეწვს, რ-ის იმიტაციასაც წარმოადგენს. შედგება ფუძისა და ხაოიანი საფარისაგან. ხაოს მასალებად იყენებენ სხვადასხვა ბოჭკოს, კერძოდ (პოლიამიდისა და პოლიესტერის) ვისკოზურ ძაფს ან აცეტატურ ძაფს, ფუძის მასალად კი — ბამბის ნართს, ზოგჯერ სინთეზურ ძაფს. ქსოვა ბეწვს ვარცხნიან, კრეჭენ, ღებავენ, თერმულად ამუშავებენ, აპრესებენ და სხვ. უკუღმა პირიდან ფუძეს ამუშავებენ ლატექსებით და აპრეტებით. ხ. ბ-დან ამზადებენ ტანსაცმელს, ქუდებს, იყენებენ აგრეთვე გადასაკრავ და შესაფუთ მასალად.

**ხელოვნური ბოჭკო,** იხ. ბოჭკო ქიმიური.

**ხელოვნური გადარჩევა,** სამეურნეო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თვისებების მქონე ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების მიღება მათი შემდგომი გამრავლების მიზნით. ხ. გ. სელექციის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. ხ. გ-ის თეორია შექმნა ჩ. დარვინმა (1869). ხ. გ. კულტ. მცენარეთა და შინაურ ცხოველთა წარმოშობისა და მათი შემდგომი ევოლ. ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ხ. გ. ორგვარია: შეგნებული და სტიქიური. უკვე პირველყოფილი მესაქონლეები და მიწათმოქმედნი გასამრავლებლად შეუგნებლად გადაარჩევდნენ ცხოველთა და მცენარეთა საუკეთესო ინდივიდებს. თაობიდან თაობამდე საუკეთესო ინდივიდების შენარჩუნება უზრუნველყოფდა ჯიშების ამაღლებას. ჯიშისათვის საზიანო გადახრები ელიმინირდებოდა ამ ნიშნების მქონე ინდივიდების ელიმინაციით (განადგურებით). შეუგნებელი ხ. გ. თავისი მოქმედების მექანიზმით (უფრო მეტად შემჩნეული ფორმების შენარჩუნება) და საბოლოო შედეგით (ორგანიზმების შეგუება მათი გარემომცველი პირობების მთელ კომპლექსთან, ამ შემთხვევაში ადამიანის მოღვაწეობის ჩათვლით) ახლოს დგას ბუნებრივ გადარჩევასთან. მეთოდური ხ. გ. შეუგნებელისაგან განსხვავდება მიზანდასახულობით (გადარჩევა ხდება განსაზღვრული ნიშნის ან ნიშანთა კომპლექსის მიხედვით). მეთოდური ხ. გ. მასობრივი ან ინდივიდუალურია. მასობრივი გადარჩევისას წუნი ედება ყველა ინდივიდს, რ-იც არ შეესაბამება ჯიშის სტანდარტს. ამიტომ, მიუხედავად მუტაციური პროცესებისა, ორგანიზმთა ჯგუფი, საიდაც მიმდინარეობს ხ. გ., ინარჩუნებს მოცემულ საშუალო დონეს. მაგრამ გამოყოფილი თვისებების სრულყოფა, ჩვეულებრივ, დაყოვნებულად მიმდინარეობს. ინდივიდ. გადარჩევისას შესაჯვარებელი წყვილები ფასდება არა მარტო საკუთარი თვისებებით, არამედ შთამომავლობისათვის მათი გადაცემის უნარითაც. ამიტომაც, ხ. გ. საკუთრივ გადარჩევის გარდა მოიცავს მშობელთა წყვილების შერჩევასაც. მეცხოველეობაში ამას თან ახლავს მწარმოებლის შეფასება შთამომავლობის მიხედვით, რ-ის საშუალებითაც ხორციელდება მშობელთა თვისებების გენეტ. კონტროლი.

ამ მეთოდიკათა ეფექტურობა რეგულარულად ამოწმებს შთამომავლობაში სასურველი თვისებების დამაგრებას. ყველაზე ეფექტური მეთოდია ინბრიდინგი — ახლონათესაური წყვილების შეჯვარება, რაც უზრუნველყოფს გადარჩევისათვის სასურველი თვისებების განმსაზღვრელი გენების ჰომოზიგოტურობას. ამ დროს ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში გადადის სხვა რეცესიული ალელებიც, რაც არასასურველი ნიშნების ფენოტიპურად გამოვლენას იწვევს. გარდა ამისა, მაღალი ჰომოზიგოტურობა ამცირებს გენოტიპურ მრავალფეროვნებას და ჯიშთა გენეტ. მდგომარეობას წინიდან ნაზს უახლოვებს, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს გადარჩევის ეფექტურობას. ინბრიდინგის მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად იყენებენ აუტბრიდინგს — არანათესაურ შეჯვარებას.

ხ. გ. შემოქმედებითი პროცესია. რაც უფრო ძლიერად იცვლება ჯიში, რაც უფრო უკეთ აკმაყოფილებს იგი ადამიანის მოთხოვნებს, მით უარესია მისი შეგუებულობა გარემო პირობებთან. ზოოტექ. ღონისძიებებით შინაური ცხოველებისა და კულტ. მცენარეებისათვის ოპტიმალური ხელოვნური გარემო პირობების შექმნა ხელს უწყობს ფენოტიპში ჯიშის გენეტიკურად განპირობებული თვისებების ყველაზე სრულად გამოვლენას და ხ. გ-ის ეფექტურობის ამაღლებას.

საქართველოში ხ. გ-ს დიდი ხნის ისტორია აქვს. ხ. გ-ის შედეგად მიღებულია ცხოველთა (თუშური ცხვარი, მეგრული ძროხა და სხვ.) და მცენარეთა (ხორბლის, ქერის, სიმინდის, ლობიოს და სხვ.) მრავალი ჯიში.

ლიტ.: Дарвин Ч., Соч., т. 3—4, М.—Л., 1939—51; Менабде В. Л., Пшеницы Грузии, Тб., 1948; Шмальгаузен И. И., Проблемы дарвинизма, Л., 1969.

**ხელოვნური დათესვლა,** ცხოველის განაყოფიერების ხერხი, რ-იც გულისხმობს ხელოვნური საშუალებით მწარმოებლისაგან სპერმის მიღებას და მდედრის სასქესო ორგანოში შეყვანას. მისი ფუძემდებელია ი. ივანოვი. ხ. დ. მოიცავს 5 ეტაპს: მწარმოებლისაგან სპერმის მიღებას, სპერმის ხარისხის შეფასებას, განზავებას, შენახვასა და გამოყენებას. ტარდება სხვადასხვა გზით — როგორც ორგანიზმს გარეთ (თევზები), ისე ორგანიზმში (ძუძუმწოვრები). მისი მიზანია მაქსიმალურად გამოიყენონ შთამომავლობის ხარისხზე შემოწმებული საუკეთესო მწარმოებლები, გააუმჯობესონ ცხოველთა ჯიშობრივი შემადგენლობა და აამაღლონ პროდუქტიულობა. ამასთანავე, შთამომავლობის გამოუმჯობესებელი საუკეთესო მწარმოებლის სპერმას მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ, ღრმად ყინავენ და გრანულების ან პოლიეთილენის მილაკებში მოთავსებული დოზების სახით აძლევენ მომხმარებელს. ხ. დ. პროფილაქტ. ღონისძიებაა (სხვადასხვა გადამდები დაავადების თავიდან აცილების თვალსაზრისით). სსრკ-ში ხ. დ. ტარდება როგორც გეგმური სახელმწ. ღონისძიება, რ-საც ძირითადად ახორციელებენ სანაშენე მეურნეობისა და სასახ., ცხოველთა ხ. დ-ის სახელმწ. სადგურები.

ი. მაჭავარიანი.

**ხელოვნური ენები,** ხელოვნურად შემუშავებული ენები, რ-ებიც სრულიად ახალი მასალით და ახლებურად არის შექმნილი ან რ-ებშიც გამოყენებულია არსებული ენების ელემენტები და აგების პრინციპები. ხ. ე-ს წარმოადგენენ ე. წ. საერთაშ. ენები — დამხმარე ენები, რ-ებიც გამიზნულია საერთაშორისო საშუალებად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთათვის (მაგ., ესპერანტო და სხვ.); იყენებენ აგრეთვე ბუნებრივი ენის ცალკეული ფუნქციის შესასრულებლად ინფორმაციის დამუშავების სისტემებში, გამომთვლელ მანქანებში, მანქანური თარგმნის დროს და ა. შ. (იხ. აგრეთვე ალგორითმული ენები).

**ხელოვნური ინტელექტი,** მეცნიერული კვლევათა მიმართულება, რ-ის მიზანია ისეთი ხელოვნური სისტემების შექმნა, რ-ებიც ადამიანის მიერ რთული ამოცანების გადაწყვეტის პროცესის იმიტაციას ახდენენ. განსაკუთრებით განვითარდა ხელოვნური ინტელექტის ტექ. სისტემები, რ-ებსაც აგებენ გამოთვლითი ტექ. მოწყობილობის გამოყენებით. ასეთი სისტემები საშუალებას იძლევა იმიტირებულ იქნეს ადამიანის მიერ ინფორმაციის აღქმის, გადამუშავების, შენახვის პროცესები, აგრეთვე მიზანდასახული გადაწყვეტილებების გამომუშავება სხვადასხვა სიტუაციაში. ხელოვნური ინტელექტის დარგში გამოკვლევები წარმოებს ფილოს., ლინგვისტიკის, ფსიქოლ., სოციოლოგიის, მათ. და გამოთვლითი ტექნიკის მიჯნაზე.

ხელოვნური ინტელექტიანი სისტემების შექმნა დაკავშირებულია ადამიანის ქცევის ისეთი პროცესების შესწავლასთან, როგორიცაა ცნებების ფორმირება, გადაწყვეტილების მიღება, პროგნოზირება, ადაპტაცია და ა. შ. ამ პროცესების კვლევა მიზნად ისახავს მათ მოდელირებას, რათა შესაძლებელი გახდეს რეალიზაცია ხელოვნური ინტელექტიან სისტემაში.

ამჟამად ხ. ი-ის სფეროში დამუშავებულია თეორემების დამტკიცების ეფექტური სისტემები, ვიზუალური სცენების ავტომ. ანალიზისა და სივრცეში განლაგებული საგნების ერთობლიობიდან ცალკეული საგნის გამოყოფის სისტემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული გამომთვლელი მანქანა — ადამიანის (ემ — ადამიანის) დიალოგური სისტემები, რ-ებიც ადამიანის ემ-თან ბუნებრივ ენაზე ურთიერთობის საშუალებას იძლევიან. ბევრი გამოკვლევა ხ. ი-ის სფეროში ჯერჯერობით ექსპერ. მოდელურ ხასიათს ატარებს. ტრადიციულად ხ. ი-ის სფეროს მიაკუთვნებენ ორ მიმართულებას: ემ-ის საშუალებით სათამაშო ამოცანების ამოხსნას და მუს. და ლიტ. ნაწარმოებების შექმნას. განსაკუთრებით საინტერესოა ექსპერიმენტები ჭადრაკის სათამაშო პროგრამების შექმნის მიმართულებით.

ხ. ი-ის დარგში ჩატარებული თეორ. და ექსპერ. გამოკვლევები განსაკუთრებით იყენებენ რობოტოტექნიკაში, მასწავლი, აგრეთვე ავტომატიზებული მართვის სისტემების და სხვ. შექმნისას.

ლიტ.: Поспелов Д. А., Фантазия или наука: на пути к искусственному интеллекту, М., 1982; Уинстон П. Г., Искусственный интеллект, М., 1980.

ე. ჯ[illegible].

**ხელოვნური კვება,** ადამიანის ორგანიზმში საკვების ხელოვნური გზით შეყვანა ზონდით, ფისტულიდან, აგრეთვე პარენტერალურად — შინაგანურად, კანქვეშ. ხ. კ-ს მიმართავენ მაშინ, როდესაც ბუნებრივი გზით კვება შეუძლებელია (ცნობიერების დაკარგვის, ყლაპვის აქტთან დაკავშირებული კუნთების დამბლის, საყლა-





ა ხაშურის რაიონი
). 1. მდ. ... მტკვრის
ობა. 2. ... რიკოთის
ელექტრიფიცირებული. 3.
კოთის ... გვირაბი.
ხაშური. ... ქალაქის
...ური ... ...-
ლება სურამში. სა-
... ხედი. 6. სოფ.
... 7. სოფ.
...ში. 8, 9, ღება სუ-
მში. ლესია უკრა-
ის ძეგლი (მო-
ნებაკე ... ... აბაკი-
..., არქიტექტ. ა. ...-
...მეხიშვილი).
ქ. ხაშური. ლენი-
ს ქუჩა. 1. 10. ქ. ხა-
რი. ადმინისტრა-
ული შენობა. 11.
ხაშური. ... რკინიგზ-
ს სადგური. 12.
ხაშური. სამგ-
ო რკინიგზის. 13.
შურის სასაფეიქრო-
...ფაბ-
რიკა. ... 
... სა-
ქრო. ...
... 14. ქ.
შური. მექანიკური
ქარხანა. საკრები
მქრო. 15. ხაშუ-
ს მეფრინველეო-
ა ფაბრიკა.
















1



2



3




4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15

ხაშურის რაიონი (IT.). 1. ხაშურის მინის ქარხანა. 2. ხაშურის რაიონული საავადმყოფო. 3. ქ. ხაშური. [illegible] შენობის [illegible]. 4. ქ. ხაშური. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. 5. ქ. ხაშური. სასტუმრო „[illegible]“. 6. ქ. ხაშური. პროფტექნიკური სასწავლებელი. 7. დაბა სურამი. სანატორიუმი „სურამი“. 8. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 9. ქ. ხაშური. ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის კულტურის სახლი. 10. ქ. ხაშური. კინოთეატრი [illegible]. 11. ქ. ხაშური. [illegible]. 12. [illegible]. 13. [illegible] VII ს. 14. [illegible]. 15. [illegible]



სტ ხელვაჩაურის რაიონი (I). 1. სოფ. ჟრტ. ერთ-ერთი ქუჩა. 2. სოფ. ჩაქვის ჩაის ფაბრიკა. სარტყელური საამქრო. 3. მდ. ჭოროხის ხეობა. 4. მწვანე კონცხი. ბაგირგზა. 5. მწვანე კონცხი. სანაპირო. 6. მდ. აჭარისწყლის ხეობა. 7. მანდარინის კრეფა სოფ. ახალშენის კოლმეურნეობაში. 8. სოფ. ჭარნალის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში. 9. ფიჭვა მახინჯაური. სანაპირო. 10. სოფ. ჩაქვის მეცხოველეობის კომპლექსი.





















სტ. ხელვაჩაურის რაიონი (II). 1. სოფ. ერგეს ცენტრი. 2. სოფ. ციხისძირი. სოფლის საბჭოსა და კლუბის შენობა. 3. მწვანე კონცხი. სანატორიუმი „აჭარა". 4. სოფ. ახალსოფელი. კულტურის სახლი. 5. მწვანე კონცხი. რესტორანი „აფხაზეთი". 6. მდ. ჭოროხისა და მდ. აჭარისწყლის შესართავი. 7. ჩიქუნეთის ხიდი. გვიანფეოდალური შუა საუკუნეები. 8. გონიოს ციხე. ადრინინდელი შუა საუკუნეები. 9–10. ოქროს ნივთები გონიოს განძიდან. ახ. წ. I ს. აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. ბათუმი





2



3

სტ. მხატვრობის ნიმუშები. 1. პომპეის IV სტილისა და მითოლოგიური სცენებით მოხატული ვეტიუსების სახლის ოთახი. 63—79. პომპეი. ძვ. რომი. 2. ბორობუდურის ტაძრის მითოლოგიური ფიგურებით გაფორმებული პორტალი. დაახლ. 800. ინდონეზია. 3. გოთიკური ტაძრის ცენტრალური პორტალი. 1500. ამიენი. 4. ხარების ტაძარი. 1484—89. კრემლი. მოსკოვი. მხატვარ ფეოდოსის ნახატი. 1508. 5. ა. ვ ა ს ნ ე ც ო ვ ი. „კოსმოსი", კ. ციოლკოვსკის სახელობის კოსმონავტიკის ისტორიის მუზეუმი. მოზაიკა. კალუგა. 6. ი. ჟ ო ლ ი ტ ე. ა. ს ტ ე პ ა ნ ა ვ ი ჩ ი უ ს ი. საბავშვო კაფე „ნიკშტუკასის" მოხატულობა. ტემპერა. 1963. ვილნიუსი.



4



5



6



სურ. ხის ხუროთმოძღვრება. 1. მიძინების ეკლესია. 1674. სოფ. ვარზუგა. მურმანსკის ოლქი. 2. ამაღლების ეკლესია. 1669. სოფ. კუშერეკა. არხანგელსკის ოლქი. 3. სამების ტაძარი. 1773. ნოვომოსკოვსკი. დნეპროპეტროვსკის ოლქი. უკრ. სსრ. ოსტატი იაკიმ პოგრებნიაკი. 4. კარკასული ტაძარი. ახ. წ. პირველი საუკუნეები. ისე. იაპონია. 5. ბეღელი (პატაკა). ვაიკოთუპოთა. ახ. ზელანდია. 6. საცხოვრებელი სახლი. სუმატრა. 7. ნიკოლო-კარელიის მონასტრის გალავნის ჭიშკრის კოშკი. 1691—92. მუზეუმ-ნაკრძალი „კოლომენსკოე“. მოსკოვი. 8. სერგეევის სახლი. XIX ს. დასასრული. სოფ. ლელიკოზერო. კარელიის ასსრ. ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი „კიჟი“. 9. საცხოვრებელი სახლი. 1940. სოფ. ზემო ალვანი, ახმეტის რ-ნი. საქ. სსრ. 10. საცხოვრებელი სახლის აივნის სვეტის ფრაგმენტი. სოფ. ფონრაზენი (ლენინგორის რ-ნი).




სტ. ხობის რაიონი (I). 1. მდ. ხობისწყლის ხეობა. 2. სოფ. ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. 3. სოფ. ხეთის ერთ-ერთი კუთხე. 4. სოფ. საჯიჯაოს კოლმეურნეობის სიმინდის ყანა. 5. სოფ. საჯიჯაოს მსხვილფეხა საქონლის მეცხოველეობის ფერმა. 6. სოფ. ნოჯიხევის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაცია. 7. კოლხეთის საბჭოთა მეურნეობის ლიმონარიუმი. 8. სოფ. შუა ხორგის სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობის სათბური. ალოეს პლანტაცია. 9. ხობის № 1 ჩაის ფაბრიკა. დამხარისხებელი საამქრო.



1



2



3

4



5



6



7



8



9



სტ. ხონის რაიონი II. 1. ხონის რაიონული საკვებწარმოების გაერთიანების კომბინატი. მზა პროდუქციის საამქრო. 2. ხონი. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი. სამკერვალო საამქრო. 3. ქ. ხონი. ადმინისტრაციული შენობა. 4. ქ. ხონი. კულტურის სახლი. 5. სოფ. პირველი ხონჭის ა. მირცხულავას სახელობის საშუალო სკოლა. 6. ქ. ხონი. სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის სპორტული კომპლექსი „ომეგა". 7. ხონის კულტურულ-სპორტული კომპლექსი „მარ-თვე". 8. კოლხეთის დაბლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მუზეუმი. 9. ა. კობახიძის სახლ-მუზეუმი სოფ. ხანისკურში. 10. ხონის დენდრო-ნა. უცანა პლანზე დიდების მემორიალი. 11. ხონის მონასტრის ინტერიერი. XIII–XIV სს.

10



11



ლო წარმოების დარგები, ჩნდებიან ოსტატები, წარმოიქმნება ხელოვნებაც, ისახება ტექნიკისა და საერთოდ მეცნ. ბუნების ძალების დაპყრობისა და მთელი ამ მიღწევების ფიქსაციის საშუალებაა ფართო განვითარების პერსპექტივა.

ხ-ის დამახასიათებელი თავისებურებაა ნაკეთობის წარმოება მომხმარებლის შეკვეთით. ანტ., განსაკუთრებით კი ფეოდ. ქ-ებში ხ-მ მიიღო კორპორაციული ხასიათი (იხ. ამქრული წყობილება). ხ. ყალიბდებოდა სოფლადაც.

ხ-ის ტექნიკა ისეთივე რუტინული და ემპირიულია, როგორც საერთოდ კაპიტალისტურამდელი წარმოების წესების მთელი ტექნოლ. ბაზისი. მიუხედავად ამ შეზღუდულობისა, ხ-ის ზოგიერთ ცენტრში ოსტატი ქმნიდა რთულ ტექ. კონსტრუქციებს.

ოჯახური მრეწველობის ნაკეთობა, როგორც წესი, გამიზნულია თვით ოჯახის მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ამჟამად, იგი ნატურალური მეურნ. დამახასიათებელი დამატ. ფორმაა, ხოლო ხელოსნური წარმოება ძირითადად უკვე შეესაბამება წვრილ საქონლურ (სპეციალურ) წარმოებას — სულერთია ხელოსანი თავის სახელოსნოში ასრულებს შემკვეთის დავალებას შემკვეთისავე თუ საკუთარი ნედლი მასალით, აწარმოებს ბაზარზე გასაყიდად თუ მუშაობს სხვის (შემკვეთის) მეურნეობაში (მაგ., მჭედელი, მღებავი).

მიწათმოქმედებისა და ხ-ს შორის შრომის დანაწილების კვალობაზე პროცესში მომთმის პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობა იწარმოება პირდაპირი გაცვლისათვის და შესაბამისად ამისა, განცალკევებულ მწარმოებელთა შორის პროდუქტთა გაცვლა საზ. ცხოვრების აუცილებელ პირობად იქცევა, თუმცა ადრინდ. საფეხურებზე ქალაქელი ხელოსნებიც კი თავიანთ მოთხოვნილებას საკვებზე ძირითადად საკუთარი ბაღებისა და ყანების მოსავლით, შინაური ცხოველების პროდუქტებით იკმაყოფილებდნენ.

ოჯახური მრეწველობის (გლეხური სარეწაოების) დაშლისა და დიფერენციაციის, ხ-ისა და ვაჭრობის განვითარების პარალელურად ყალიბდება შინამრეწველობა. წვრილი მრეწვ. III ფორმა, რ-იც I და II ფორმების მსგავსად დამყარებულია ხელით შრომასა და მარტივი (ხელოსნური) იარაღ-ინსტრუმენტების გამოყენებაზე, მაგრამ უფრო და უფრო მეტად ჩაერთვის სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში და თავის ოჯახში ჩაკეტილი შინამრეწველი ვაჭარ-შუამავლის მეშვეობით უკავშირდება ახლომდებარე და შორეულ ბაზარს.

შინამრეწველობა თავის ევოლუციაში დაძლევს რთულ ტრადიციებს და თანდათანობით გადადის კაპიტალისტურ მანუფაქტურაში, ე. ი. ლენინის შედარებით მსხვილ სამრეწვ. ფორმის ამ შემთხვევაში ვაჭარ-შემსყიდველი იქცევა ვაჭარ-მრეწველად, მანუფაქტურისტად, ხოლო ვაჭრის კაპიტალი — სავაჭრო და სამრეწვ. კაპიტალად.

როგორც შინამრეწველობა და ხ., ავრეთვე ოჯახური მრეწველობა მრეწვ. ნატურალური მეურნ. დამახასიათებელი ფორმებია, მაგრამ მეტ-ნაკლები ცხოველმყოფელობით ისინი არსებობენ განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაშიც ინდუსტრ. ცენტრებისაგან დაშორებულ რ-ნებსა და მრეწვ. იმ დარგებში, რ-ებიც მანქანურ წარმოებას ჯერ კიდევ არ აუთვისებია.

ხელოსნურ წარმოებაში გამოყოფენ ოსტატებს, რ-თაც აქვთ სახელოსნო, საკუთარი წარმოების საშუალებები და ნედლი მასალა, ჰყავთ რამდენიმე ქარგალი (წარმოების საშუალებებს მოკლებული მუშა-სპეციალისტი) და შეგირდი, რ-იც სწავლების პერიოდის გავლის შემდეგ ჯერ ქარგალი ხდება, ხოლო შემდეგ, როდესაც საკუთარი წარმოების საშუალებების მეპატრონე გახდება — ოსტატი და ამქრის წევრიც.

კაპიტალ. წარმოების წესის განვითარების საფუძველზე ამქრული ხ-ის თანამიმდევრობით დაშლისას ქარგლები და შეგირდები მანუფაქტურებისა და ქ-ნების (ფაბრიკის) მუშები ხდებიან. მთელი ეს პროცესი ხასიათდება მეტ-ნაკლებად მწვავე ანტაგონიზმით, ხოლო მოგვიანებით — პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლებით.

ხ. საქართველოში. საქართველოს ძვ. დედაქალაქ მცხეთაში ხ. იმდენად იყო განვითარებული, რომ უკვე VI ს-ში ხ-ის ზოგიერთი დარგი კორპორაციულ ხასიათს ღებულობდა, ყალიბდებოდა ოსტატობისა და შეგირდობის ტრადიცია. შუა საუკ. ქ-ებსა და მონასტრებში არსებობდა წიგნის მკეთებელთა (გადამწერნი, ამკინძავები, მხატვრები) ხელობები, მათ საკუთარი გაერთიანებაც ჰქონდათ.

XVIII—XIX სს. თბილისში, როგორც საქართვ. და კავკ. პოლიტ. და ეკონ. ცენტრში, ფართოდ ვითარდება მრეწვ. მრავალი დარგის ხელოსნური წარმოება, რ-იც ამქრული გაერთიანებების სახით კლასიკურ ფორმას ღებულობს განსაკუთრებით XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში. ამ დროს აქ 150-ზე მეტი სხვადასხვა დარგის ხელოსნური წარმოება იყო. იყვნენ მრავალი დარგის ხელოსნები- კალატოზები, თერძები (მკერავები), დაბაღები, თოქმაჩები (მესპილენძეები), ბაყლები, მეწუღეები, მეჩუსტეები, მეთუნეები, მჭედლები, ეტლის ხელოსნები, ხარატები, მექურქეები, ვერცხლისა და ოქროს მჭედლები, მღებავები, ხარაზები, მესანთლეები, მეკვერები, მეკარამტეები, დალაქები, ხაბაზები (მეპურეები), ხუროები, მკალავები, მეთოფეები (მეჯახმახეები), ზარგლები, დურგლები, მესატევრეები, მესაათეები, მეკარეები, სირაჯები, მეთუნუქჩეები, ნალბანდები, მეფურნეები, მეთოფეები, მეფუნთუშები, სარაჯები, ჯაჯაკირჩები (იუველირები), მესახურავეები, მექუდეები (ასლთამწყობები), წაღის მკაზმავები, მელამფეები, მეჭურჭლეები, მეღვინეები, მეურმეები, მეწუღეები, მებაწრეები და სხვ. მ. შ. გამოირჩეოდნენ ქართველი ხელოსნები (ოსტატები), რ-თა ნაკეთობანი განთქმული იყო რუს. იმპერიაში.

ომების დროს თბილისელი ხელოსნებისგან დგებოდა „საქალაქო ლაშქარი". მაგ., 1855 თურქეთის აგრესიის მილიციონში, 4000 კაცისაგან შემდგარი ლაშქრის უფროსად დაინიშნა ქალაქის თავი ს. სარაჯიშვილი და „... ყველა ეს 4000 კაცი შეეკრიბა ამქრის ალმების გარშემო ქართული მუსიკითა და სრული საკუთარი ადგილობრივი შეიარაღებულობით," — იუწყებოდა გაზ. „კავკაზის" რეპორტიორი.

ხელოსნური წარმოება მეტ-ნაკლებ ზომით განვითარებული იყო საქართვ. სხვა ქ-ებშიც: ქუთაისში, ახალციხეში, გორში, თელავში, სიღნაღში, ბათუმში, ფოთში და სხვ. ძირითადად იყვნენ ბინადარი (თავის სახელოსნოში მომუშავე) და კარდაკარ მოსიარულე (გასვლელი) ხელოსნები. სოფლურ გასვლელ ხელოსნებს შორის აღსანიშნავი არიან დურგლები, მკალავები, დალაქები, მღებავები, მჭედლები და სხვ.

ცარიზმის ბიუროკრატია „მოწესრიგებისათვის" ერეოდა ხელოსნური წარმოებისა და მათი თავისუფალი კორპორაციების საქმიანობაში. რუს. მსხვილი კაპიტალ. მანქანური მრეწვ. მზარდი რაოდენობით დაწინაურებულ გუბერნიებში ხ. და საერთოდ წვრილი წარმოების ფორმები XX ს. დასაწყისიდან განიცდიან სწრაფი დაქვეითების პროცესს, თუმცა იმპერიის ჩამორჩენილ რ-ნებსა და განაპირა ქვეყნებში თვით საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე და კარგა ხანს შემდეგ განაგრძობს არსებობას განსაკუთრებით სოფლური, გლეხური ხ-ის სხვადასხვა დარგი.

საბჭ. ხელისუფლებამ ხელოსნებიც იხსნა გაღატაკებისა და ექსპლუატაციისაგან. ისინი გაერთიანა კოოპერაციასა და სარეწაო არტელებში და ჩააბა სოციალ. მშენებლობაში. მსხვილი სოციალ. მრეწვება მათ ყოველმხრივ ტექ. დახმარებას უწევდა, რის შედეგადაც ისინი თანდათანობით გადაიქცნენ მსხვილ მექანიზებულ საწარმოებად და საბოლოოდ შეუერთდნენ სახელმწ. სოციალ. მრეწველობას.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1—2, თბ., 1954—57; მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1976; ბ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., ხელოსნობა თბილისში, თბ., 1926; გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ფ., ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976; ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. 5, თბ., 1962; მ ე ს ხ ი ა შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 1—2, თბ., 1962—83; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ნაკვ. ტ. 1—3, თბ., 1976—86; Л е н и н В. И., Соч., 5 изд., т. 2, 3 (гл. 5—6); Б ю х е р К., Возникновение народного хозяйства, П., 1923; Г у г у ш в и л и П. В., Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., т. 1, Тб., 1957; Л е в и ц к и й Я., Города и городское ремесло в Англии в X—XII вв., М.—Л., 1960; Л ю б о м и р о в П. Г., Очерки по истории русской промышленности, М., 1947; Мелкая и кустарно-ремесленная промышленность СССР по данным Всесоюзной переписи 1929 г., в. 1—3, М.—Л., 1932—33; Промысловая кооперация, М., 1946; Ремесленники и ремесленное управление в России, П., 1916; Р ы б а к о в Б. А., Ремесло древней Руси, М., 1948; С в а н и д з е А. А., Ремесло и ремесленники средневековой Швеции, М., 1967; С е р г е е н к о М. Е., Ремесленники древнего Рима, М., 1968.

ა. ღუღუშვილი.

**ხეჩრა**, სოფელი მესტიის რ-ნში (ლახამულის სოფსაბჭო), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე ზ. დ. 1200 მ, მესტიიდან 51 კმ. ლახამულის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ლახამულაში (14 კმ).

**ხელსაწყოთმშენებლობა**, მანქანათმშენებლობის დარგი, რ-იც უშვებს ინფორმაციის საზომ, საანალიზო, დამუშავებისა და წარმოდგენის საშუალებებს, სარეგულირებლ მოწყობილობებს, მართვის ავტომატურ და ავტომატიზებულ სისტემებს; მეცნ. და ტექ. დარგი, რ-იც შეიმუშავებს ავტომატიზაციის საშუალებებსა და მართვის სისტემებს (იხ. წარმოების ავტომატიზაცია). რევოლუციამდელ რუსეთში იყო რამდენიმე წვრილი საწარმო, სადაც ამზადებდნენ თერმომეტრებს, ბარომეტრებს, წყალსაზომებს, სასწორებსა და სხვ. უმარტივეს ხელსაწყოებს. სსრკ-ში ხ-ის სამრეწვ. განვითარება დაიწყო I ხუთწლედში (1929—32), როდესაც შეიქმნა ხ-ის მრავალი სპეციალიზებული საკავშ. გაერთიანება. 1965 ჩამოყალიბდა ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებისა და მართვის სისტემების საკავშ. სამინისტრო. მის შემადგენლობაში შევიდა საწარმოების, სამეცნ.-კვლ. ინ-ტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, საპროექტო და სამონტაჟო ორგანიზაციების კომპლექსი, რ-იც უზრუნველყოფს როგორც ცალკეული მოწყობილობების, ისე ავტომატიზაციის სისტემების შემუშავებას, წარმოებას, მონტაჟსა და საექსპლუატაციოდ გადაცემას.

საქ. სსრ-ში ხ. მანქანათსაშენი მრეწვ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედარგია, მისი ბევრი საწარმო ძირითადად 60-იან წლებში შეიქმნა. 1960 ქვედარგის საწარმოებმა გამოუშვეს 1,8 მლნ. მან. ღირებულების ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და სათადარიგო ნაწილები, ხოლო 1984—38,2 მლნ მანეთისა. ხ-ის მსხვილი საწარმოები განლაგებულია თბილისში, გორსა და სხვ. ქ-ებში.

**ხელშეუხებელი მარაგი**, სურსათის, საბრძოლო მასალების, საწვავისა და სხვ. მატერიალური საშუალებების მარაგი, რ-იც დადგენილი რაოდენობით ინახება ჯარებში, საწყობებში, საბრძოლო და სხვ. მანქანებში, ქვედანაყოფებთან, ნაღმსატყორცნებთან, ტყვიამფრქვევებთან; აქვს აგრეთვე პირად შემადგენლობას და გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში.

**ხელფასი**, 1. კაპიტალიზმის დროს — სპეციფიკური საქონლის — სამუშაო ძალის — ღირებულებისა და ფასის გარდაქმნილი ფორმა. იგი, რ-საც მოჩვენებითი შრომის ანაზღაურების ფორმა აქვს, ნიღბავს კაპიტალ. ექსპლუატაციის ურთიერთობას. კაპიტალიზმის დროს ამ სპეციფ. საქონელს ყიდის საზოგ. მთავარი საწარმოო ძალა — მუშა, მშრომელი, რ-იც მოკლებულია წარმოების საშუალებებს, ხოლო ყიდულობს წარმოების საშუალებების მესაკუთრე — კაპიტალისტი. სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებათა ღირებულებით, რ-იც აუცილებელია მისი კვლავწარმოებისათვის. კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ კაპიტალისტის მიერ მუშისაგან ნაყიდი სამუშაო ძალის მოხმარების ღირებულება, ანუ შრომის პროცესში შექმნილი ღირებულება, აღემატება მასში გადახდილ ფასს, ე. ი. ხ-ს. ეს ნამეტი არის ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, კაპიტალისტის მიერ ხ-ის სახით მიქირაობაში გაშვებული ღირებულება არის კაპიტალი, რ-იც გამოხატავს ბურჟ. მიერ დაქირავებულ მუშათა ექსპლუატაციის ურთიერთობას.

2. სოციალიზმის დროს ხ. არის მუშაკებს შორის პირადი მოხმარების ფონდის განაწილების ძირითადი ფორმა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მათი მონაწილეობის წილის შესაბამისად. წარმოების საშუალებათა საზ. საკუთრება გამორიცხავს სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევისა და ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობას. აქ მას არც ღირებულება აქვს და არც სახმარი ღირებულება. ამიტომ ხ. შრომის მიხედვით განაწილების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. სოციალიზმის პირობებში ხ-ის კატეგორიის არსებობა შრომის მიხედვით განაწილების კანონთან ერთად განპირობებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობათა და ღირებულების კანონის მოქმედებით. ხ. გამოხატავს ექსპლუატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობას, ამასთან წარმოების განუხრელი განვითარებითა და შრომის მაღალი შედეგებით განაპირობებს ადამიანთა მატერ. დაინტერესების ზრდას. იგი გეგმაზომიერად რეგულირდება და თავისუფალია დისკრიმინაციისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა მანკიერებისაგან. თუ კაპიტალიზმის პირობებში ხ. საარსებო მინიმუმიდან დაცემის ტენდენციით ხასიათდება, სოციალიზმის დროს იგი თანამიმდევრულად იზრდება. ხ. აქ მომუშავეების საზოგადოებრივ ფონდებსა და სხვა შემოსავლებთან ერთად უზრუნველყოფს სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას.

ხ-ს სოციალიზმის დროსაც ორი ფორმა აქვს — დროითი და სანარდო, მაგრამ სოც.-ეკონ. ხასიათითა და დანიშნულებით ისინი ძირეულად განსხვავდებიან კაპიტალიზმის პირობებში არსებული შესაბამისი ფორმებისაგან. დროითი ხ. გულისხმობს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას ნამუშევარი სამუშაო დროის მიხედვით, ხოლო სანარდო ხ. — მათ მიერ დროის ერთეულში გამომუშავებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. დროითი ხ. ორგვარია: დროითი მარტივი და დროითი პრემიული. დროითი ხ. ინჟინერ-ტექ. მუშაკებსა და მოსამსახურეებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით ეძლევათ მათთვის დადგენილი განაკვეთების მიხედვით. მუშების შრომის ანაზღაურება კი სატარიფო განაკვეთების (იხ. სატარიფო სისტემა) საფუძველზე ხდება. ხ. გაიცემა გარკვეული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის (დაწესებულ ნორმატივებთან შედარებით პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ნედლეულის, მასალისა და სხვა საშუალებათა ეკონომია) ძირითად დროით საზღაურთან ერთად. პრემიებს ღებულობენ ზეგეგმიური ეკონ. ან მოგების ხარჯზე.

სანარდო ხელფასის სისტემებია: სანარდო პირდაპირი, სანარდო პროგრ., სანარდო პრემიული და აკორდული. სანარდო პირდაპირი სისტემის მიხედვით გამომუშავებული პროდუქცია ერთნაირი შეფასებით ანაზღაურდება ნორმის შესრულებისა და მისი გადაჭარბების დროს. სანარდო პროგრ. სისტემა, რ-იც გამოიყენება წარმოების მოცულობის გადიდების განსაკუთრებული სტიმულირების აუცილებლობის შემთხვევაში, გულისხმობს ნორმის გადამეტებით გამომუშავებული პროდუქციის თითოეული ერთეულის ანაზღაურებას გადიდებული, პროგრესულად მზარდი შეფასების მიხედვით. სანარდო პრემიული სისტემის პირობებში წარმოების მუშაკებს ნორმის შესრულებისას ეძლევათ ძირითადი სანარდო გასამრჯელო, ხოლო ნორმის გადაჭარბებისა და ხარისხობრივ მაჩვენებელთა გადაჭარბებისათვის — პრემიები. აკორდული სისტემა, რ-საც ძირითადად მშენებლობისა და სოფ. მეურნ. დარგებში იყენებენ, ნიშნავს წარმოების თითოეული მუშაკის ან მათი ჯგუფის შრომის ანაზღაურებას მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის განკუთვნილი წინასწარ დადგენილი ოდენობით.

სოციალ. წარმოების პრაქტიკაში გამოიყენება როგორც ინდივიდ., ისე კოლექტ. (ბრიგადული) სანარდო ხ. პირველს იყენებენ ისეთ სამუშაოებზე, სადაც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს თითოეული მუშაკის გამომუშავება და შრომის შესაბამისი საზღაური. წარმოების ისეთ უბნებზე კი, სადაც ერთ აგრეგატს, კონვეიერს, ნაკადურ ხაზსა და სხვა სპეციფ. საწარმოო პროცესს ერთდროულად რამდენიმე მუშაკი ემსახურება და თითოეული მათგანის მიერ შესრულებული შრომის შედეგის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, იყენებენ კოლექტ. სანარდო ხ-ს, რ-იც ბრიგადის წევრთა შორის ნაწილდება მათი თანრიგისა და ნამუშევარი დროის შესაბამისად. ეს უკანასკნელი წაახალისებს თითოეულ მუშაკს, რომ დაეუფლოს მონათესავე, ერთმანეთთან დაკავშირებულ ოპერაციებს, რათა საჭირო შემთხვევაში შეძლოს ამხანაგის შეცვლა; ავითარებს მათ დაინტერესებას ინდივიდუალური და კოლექტიური მთელი დავალების წარმატებით შესრულებით; ხელს უწყობს ბრიგადის წევრთა შორის ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განვითარება-განმტკიცებას.

თანამედროვე ეტაპზე უფრო და უფრო ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციისა და კოლექტ. სანარდო ანაზღაურების ისეთი პროგრ. ფორმა, როგორიცაა ბრიგადული იჯარა, ანუ შრომის უდანაკარგო სისტემით ანაზღაურება. იქმნება და ვითარდება ახ. ტიპის — ერთიანი განაწესით მომუშავე კომპლ. და გამსხვილებული ბრიგადები, რ-თა წევრებსაც შრომა წარმოების საბოლოო შედეგების მიხედვით აკორდულ-პრემიული ანგარიშსწორების პირობებით უნაზღაურდებათ. თანამედროვე პირობებში უდანაკარგო ბრიგადები უფრო მეტ როლს ასრულებენ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვის, მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის საქმეში. ასეთ ბრიგადებში სწრაფი ტემპით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება სამუშაო დროის დანაკარგები, მომჭირნედ იხარჯება მატერ. და შრომითი რესურსები.

ხ-ის გადიდების ძირითადი წყარო და საფუძველია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ხ. თუ ისეთივე ტემპით გაიზრდება, როგორითაც — შრომის ნაყოფიერება, მაშინ შეიზღუდება საზ. წარმოების შემდგომი გაფართოებისა და სრულყოფის, მეცნ.-ტექნ. პროგრესის დაჩქარების, არამატერ. წარმოების სფეროს განვითარების, მოხმარების საზ. ფონდების გადიდებისა და სხვ. ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობანი. ამიტომ ხ-თან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა ობიექტური აუცილებლობაა.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954; სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986; В о л о д и н В. С., Заработная плата в условиях современного капитализма, М., 1967; М о ш е н с к и й М. Г., Формы и системы заработной платы в промышленности капиталистических стран, М., 1961; Т и х о н о в Н. М., Необходимый продукт в условиях развитого социализма, Л., 1974; Ш к у р к о С. И., Формы и системы заработной платы в промышленности СССР, М., 1965.

დ. ცისკარიშვილი

**ხელფასის ბურჟუაზიული თეორიები**, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულება. ბურჟ. პოლიტეკონომია ხელფასს განიხილავს როგორც შრომის ფასს, შრომის მომსახურების ან შრომის პროდუქტის ფასს, ე. ი. შენიღბულია ხელფასის ნამდვილი ბუნება, მიჩქმალულია სამუშაო ძალის, როგორც საქონლის სპეციფ. ხასიათი.

ხ. ბ. თ-ის მოდიფიკაცია უკავშირდება კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას. თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს, განსაკუთრებით კაპიტალ. წარმოების ჩქარი დამკვიდრების პერიოდს, ახასიათებდა პროლეტარიატის ხელფასის დაბალი დონე, რ-მაც წარმოშვა „ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა მ ი ნ ი მ უ მ ი ს" თეორია და მისი ნაირსახეობა ხელფასის „რკინის კანონი". XIX ს. II ნახევარში „ხელფასის ფონდის" თეორიას ქადაგებდნენ თ. მალთუსი, ჯ. მილი, ი. ბენთამი, ჯ. რ. მაკკალოკი. მათი აზრით, მუშების „შრომის" შესასყიდად თავიდანვე კაპიტალიდან გამოყოფილი ნაწილი აკუმულირებულია კაპიტ. სახით, რ-საც „ხელფასის ფონდს" უწოდებდნენ. ამიტომ ხელფასის საშუალო ოდენობა დამოკიდებული იყო: 1. ამ ფონდის მოცულობაზე, 2. მუშათა რაოდენობაზე. აქედან აპოლოგეტური დასკვნა: ხელფასის დაბალ დონეს იწვევს მუშა მოსახლეობის სწრაფი გამრავლება და „ფონდის" უცვლელობა. „ფონდის" თეორია იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ მას თვით ბურჟ. ეკონომისტთა ყველა ჯგუფი არ იზიარებდა. ამ თეორიის უსაფუძვლობას ადასტურებს ცვალებადი „კაპიტალის აბსოლუტ. ზრდაც. საარსებო საშუალებათა მინიმუმი სამუშაო ძალის ღირებულების უდაბლესი ზღვარია. მაგრამ ეს არ ნიშნავს ხელფასის „რკინის კანონისა" და „ფონდის" თეორიის სისწორეს, როგორც თანამედროვე ამერ. ბურჟ. ეკონომისტს პ. სამუელსონსა და ინგლ. ლეიბორიზმის თეორეტიკოსს ჯ. სტრეიჩს მიაჩნიათ.

ხელფასის ნაყოფიერების თეორია XIX ს. I ნახევარში შეიმუშავეს ვულგარული პოლიტეკონომიის წარმომადგენლებმა: ამერ. ჰ. კერიმ და ფრანგმა ჟ. ბ. სეიმ. ეს „თეორია" ემყარება წარმოების სამი ფაქტორის ვულგარულ დოქტრინას, რ-ის თანახმად, შრომა, როგორც წარმოების ერთ-ერთი მუდმივი ფაქტორი, მის მფლობელ მუშას აძლევს „შრომის ფასს". ამერ. ბურჟ. ეკონომისტმა ჯ. ბ. კლარკმა მარჟინალიზმის პოზიციებიდან ცვლილება შეიტანა „ნაყოფიერების" თეორიაში, გადააკეთა იგი „ზღვრული ნაყოფიერების" მარჟინალისტურ თეორიად. ამ ვარიანტის თანახმად, თუ წარმოების სამი ფაქტორიდან (შრომა,

კაპიტალი, მიწა) ერთ-ერთი იზრდება, ხოლო დანარჩენი უცვლელი რჩება, მაშინ ნაყოფიერება მცირდება; თუ საწარმოში მუშათა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო წარმოების საშუალებები უცვლელი დარჩა, მაშინ ახლად დაქირავებული მუშების შრომის ნაყოფიერება შესაბამისად დაეცემა, ე. ი. უკანასკნელი დასაქმებული მუშა ჩაითვლება „ზღვრულ" (მარგინალურ) მუშად, მისი ნაყოფიერება კი ბოლო, განსაზღვრულ ზღვარად — „ზღვრულ ნაყოფიერებად". აქ ამჟღავნდება ამ კონცეფციის კავშირი „კლებადი ნაყოფიერების" ბურჟ. დოქტრინასთან. ბუნებრივია, ვერც „ნაყოფიერების" თეორიამ გაუძლო ისტ. გამოცდას. იგი შეასწორა კემბრიჯის სკოლის მამამთავარმა ა. მარშალმა, რომაც ხელფასის დონის ცვლილება დაუკავშირა შრომის ნაყოფიერების ზრდას, თუმცა ძალაში დატოვა ბურჟ. პოლიტეკონომიის მეთოდოლოგიის მთავარი პოსტულატი — ხელფასით „შრომის ფასის" განსაზღვრა.

ხელფასზე გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდა. მაგრამ დაქირავებული მუშის ხელფასის დონე განისაზღვრება სამუშაო ძალის, როგორც საქონლის ღირებულების, სიდიდით. შრომის ნაყოფიერების ზრდა ქმნის რეალური ხელფასის გადიდების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ძალის ღირებულება უფრო ნელა იზრდება ვიდრე შრომის ნაყოფიერება. სინამდვილეში მიიღწევა უმუშევრობის გადიდება შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე, ეკონ. კრიზისები, მილიტარიზაცია და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა ანტაგონისტური წინააღმდეგობანი.

ხელფასის სოციალური თეორია XX ს. დასაწყისში ჩამოაყალიბა „ლეგალურმა მარქსისტმა" მ. ი. ტუგან-ბარანოვსკიმ. მისი აზრით, ხელფასი მუშათა კლასის წილია საზ. პროდუქტში, ამიტომ ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: 1 შრომის ნაყოფიერებაზე, რომელიც განსაზღვრავს წმინდა საზ. პროდუქტის სიდიდეს და 2. მუშათა კლასის სოც. ძალაზე. ეს თეორია განსაკუთრებულად აცხადებს სოც. ფაქტორებს (ბურჟ. და პროლეტარიატის ძალთა თანაფარდობას და სხვ.). უგულებელყოფს ხელფასს, როგორც ეკონ. კატეგორიას, სამუშაო ძალის ღირებულებას და სხვ.

მუშათა კლასის, პროფ. კავშირების ბრძოლა გარკვეული ზომით გავლენას ახდენს ხელფასის სიდიდეზე, ამასთან დაკავშირებით ბურჟ. პოლიტეკონომია პროფკავშირებს თვლის მონოპოლიურ გაერთიანებად, მონოპ. მეწარმეც. ამ შეხედულების საფუძველზე აღმოცენდა „ორმხრივი მონოპოლიის" (პროფკავშირთა და მეწარმეთა) თეორია. მისი უახლესი კონცეფციაა „ორმხრივი შეთანხმება ხელფასის შესახებ". ორივე თეორიაში უგულებელყოფილია მთავარი — სამუშაო ძალა, როგორც საქონელი, და ხელფასი, როგორც საქონლის — სამუშაო ძალის ღირებულებისა და ფასის გარდაქმნილი ფორმა.

„სოციალურ თეორიას" კლასობრივი ბრძოლის ცენტრი გადააქვს წარმოების (საკუთრებით-წარმოებითი ურთიერთობებიდან) სფეროდან განაწილების სფეროში. იგი მიმართულია მუშათა კლასის რევ. ბრძოლის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შენარჩუნებას.

„რ ე გ უ ლ ი რ ე ბ ა დ ი" ხელფასის თეორიის ფუძემდებლად ითვლება ინგლ. ბურჟ. ეკონომისტი ჯ. მ. კეინზი, რ-იც უმუშევრობის „ლიკვიდაციისა" და „სრული დასაქმების" იდეებით გამოდიოდა და ფაქტობრივად მოითხოვდა რეალური ხელფასის შემცირებას. კეინზი და „კეინზიანელობა". ბურჟ. სახელმწიფოსაგან მოითხოვენ ხელფასის რეგულირებას, „შემოსავლების პოლიტიკის" გატარებას, რაც ნომინალური ხელფასის „გაყინვას" და რეალურის შემცირებას.

ხელფასის „გაყინვა — რეგულირების" კეინზურ-მონეტარისტული თეორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია „ხელფასისა და ფასის ინფლაციური სპირალის" (უმუშევრობა—ხელფასი—ფასი) კონცეფცია. რ-ის მიხედვით, ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლა თითქოს ფასების მატებას იწვევს. ამის გამო მუშები იძულებული არიან კვლავ მოითხოვონ ხელფასის გადიდება. ხელფასის მომატება კი ისევ გამოიწვევს ფასების გადიდებას. ასე უსასრულოდ (სპირალის მსგავსად) მეორდება ეს პროცესები, რასაც შედეგად მოჰყვება ინფლაცია. ამრიგად, რეალური ხელფასის შემცირების, ცხოვრების გაძვირებისა და ინფლაციის მიზეზად დასახელებულია არა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობა, არამედ თვით მუშათა კლასი, პროფკავშირები.

ხელფასის „რეგულირების" თეორიის უახლესი ვარიანტია ე. წ. „ფილიპსის კანონი" („ფილიპსის მრუდი"), რ-იც სათავეს იღებს შრომის „მოთხოვნა-მიწოდების" ვულგარული თეორიიდან. ინგლ. ბურჟ. ეკონომისტმა ა. ფილიპსმა 50-იანი წწ. ბოლოს ცვლილებები შეიტანა შრომის „მოთხოვნა-მიწოდების" კონცეფციაში, „აღმოაჩინა" ურთიერთდამოკიდებულება ხელფასის დონესა და ფასებს შორის. მისი მტკიცებით, ფასების დონე პირდაპირაა დაკავშირებული ხელფასის სიდიდესთან, ხოლო ეს უკანასკნელი უმუშევრობასთან უკუპროპორციულად არის დამოკიდებული. აქედან დასკვნა („ფილიპსის კანონი"): უმუშევრობის ზრდა იწვევს ინფლაციის შემცირებას. 1974—75 და 1979—82 წლებში ეკონ. კრიზისებმა უკუაგდო ხელფასისა და უმუშევრობის „რეგულირების" კონცეფციები. კაპიტალ. საწარმოში შემცირდა რეალური ხელფასი, უმუშევრობისა და ინფლაციის ერთდროული (სინქრონული) თანაარსებობა-ზრდა, რამაც თანამედროვე სოც.-ეკონ. ლიტ-რაში მიიღო სტაგფლაციის სახელწოდება.

ლიტ.: ჩ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე გ., ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 3, თბ., 1964; Критика антимарксистских теорий в курсе политической экономии, М., 1983; П р о н и н С. В., Критика буржуазных концепций распределения доходов, М., 1978. გ. ჩანუყვაძე.

**ხელფასის მინიმუმი**, არაკვალიფიციური (მარტივი შრომის) მუშაკის ხელფასის დონე. კაპიტალიზმის დროს ხ. მ. მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის ობიექტია; დგინდება კანონმდებლობის წესით, აგრეთვე მეწარმეებსა და პროფკავშირებს შორის შეთანხმების საფუძველზე. სოციალიზმის დროს აწესებს სახელმწიფო. სსრკ-ში ხ. მ. თვეში 70 მანეთია (1986).

**ხელფასის პრემიალური სისტემები**, იხ. *მატერიალური და მორალური სტიმულირება, პრემირება, ხელფასი.*

**ხელფასის „რკინის კანონი"**, ბურჟუაზიული თეორია, რ-ის მიხედვით, ხელფასი მერყეობს ფიზიკურად აუცილებელი საარსებო საშუალებების მინიმუმის ირგვლივ და მისი გადიდება აუცილებლად გამოიწვევს სამუშაო ძალის მიწოდების გადაჭარბებას მის (სამუშაო ძალის) მოთხოვნაზე. ხ. „რ. კ-ის" კონცეფცია დაამუშავა ა. რ. ჟ. ტიურგომ, დ. რიკარდომ, ტ. მალთუსმა. მის პროპაგანდას მუშათა მოძრაობაში ეწეოდნენ ოპორტუნისტები (ფ. ლასალი). ეს თეორია გააკრიტიკა კ. მარქსმა. ხ. „რ. კ-ის", როგორც წვრილბურჟ. სოციალიზმის თეორია, მიმართულია მეცნ. სოციალიზმის თეორიისა და მუშათა რევ. მოძრაობის წინააღმდეგ.

**ხელფასის სარაიონო (რაიონული) კოეფიციენტი**, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადგილმდებარეობის მიხედვით მომუშავეთა ხელფასის გაზრდის ნორმატიული მაჩვენებელი. ასეთი კოეფიციენტები ხელფასის ანაზღაურების სატარიფო სისტემის შემადგენელ ნაწილად ითვლება.

სსრკ-ში ხელფასების დიფერენციაციას ქვეყნის რ-ნების მიხედვით განაპირობებს: ა) ბუნებრივ-კლიმ. პირობები, რაც დიდ გავლენას ახდენს შრომის პროცესზე, ბ) ფასების ცვალებადობა მოხმარების საგნებზე და სხვ. მომუშავეთა რეალური ხელფასების მიახლოებითი გათანაბრების მიზნით იმ რ-ნებში, სადაც მუშაობის შედარებით მძიმე პირობებია და მოხმარების საგნებზე ფასები მაღალია, ხელფასები შედარებით მაღალი უნდა იყოს და პირიქით. ხ. ს. რ. კ. მერყეობს 1,0-იდან 2,0-მდე. მაგ., კავკასიისათვის, უკრაინისა და სხვა რ-ნებისათვის ასეთი კოეფიციენტი 1-ის ტოლია; შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის 1,2-იდან 1,3-ს შორის მერყეობს, უკიდურესი ჩრდილოეთ რ-ნებისათვის კი — 1,5-იდან 2,0-მდე. ანალოგიური დანამატები გაიცემა ევრ. ნაწილის ჩრდ. ზოგიერთი რ-ნის მუშა-მოსამსახურეთათვისაც.

ფ. მერკვილი.

**ხელფასის ფონდი** სოციალიზმის დროს, ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რ-იც ნაწილდება სოციალისტური საზ-ბის წევრებს შორის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით პირადი მოხმარებისათვის (იხ. *ხელფასი*). ზემდგომი ორგანოები თავიანთ საუწყებო საწარმოებს და ორგანიზაციებს უდგენენ კვარტალურ ხ. ფ-ს თვიური დაყოფით. სსრკ-ში საწარმოს ხ. ფ. დირექტიულად დამტკიცებული გეგმური მაჩვენებელია მასში შედის: ფულადი თანხა, რ-იც ეძლევა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშებსა და მოსამსახურეებს შესრულებული სამუშაოსათვის (შეთავსებელთა ჩათვლით); მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არამომუშავე დროის ანაზღაურების თანხა; ყოველწლიური და დამატებითი შვებულებების თანხა, აგრეთვე გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის თანხა სამუშაოდან წასვლის შემთხვევაში, მუშებისა და მოსამსახურეების უფასო ბინის, კომუნ. მომსახურებისა და ნატურალური მისაცემლების ღირებულება, აგრეთვე კომპენსაციის თანხა, როცა მათ ვერ აკმაყოფილებენ უფასო ბინით და კომუნ. მომსახურებით, სააგენტო და სხვა ჰონორარი, საკავშ. კომუნისტური შაბათობების დღეებში მუშაობისათვის დარიცხული ხელფასი, სტუდენტურ რაზმებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება; სხვა სახეობის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურება, რ-ებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით; ხ. ფ-ში შედის აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებზე ხ. ფ-იდან გაცემული ფულადი პრემიები და ნატურით გაცემული პრემიების ღირებულება. შტატგარეშე (არასიითი) მუშაკებზე მოქმედი წესით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხა. ხ. ფ-ში არ შედის მატერ. წახალისების ფონდიდან დარიცხული თანხა, კერძოდ. პრემიები, გაცემული გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისათვის, პირველ რიგში, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ხელშეკრულებათა მიხედვით მიწოდების გეგმის შესრულებისათვის (სოც. შეჯიბრის შედეგების გათვალისწინებით); ახ. ტექნიკის შექმნისათვის, ათვისებისა და დანერგვისათვის; მაღალი ხარისხის საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და დროულად გაგზავნისათვის; მეორეული გამოყენების მიზნით წარმოების ნარჩენების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის; საკავშ. და რესპ. სოც. შეჯიბრში გამარჯვებული საწარმოო კოლექტივების წახალისებისათვის; გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის; მუშაობაში სხვა წარმატებისათვის გაცემული პრემიები, წახალისებანი, ერთდროული დახმარებები და სხვ., რაც გათვალისწინებულია პრემიების მოქმედი დებულებით.

მატერ. წარმოების დარგებისათვის ცენტრალიზებული წესით ამტკიცებენ ხელფასის ნორმატივს ერთი მანეთის პროდუქ-

გობის თეორიისა და ნორმების დამუშავებაში — გ. ქარუმიძეს, ხ-ის მშენებლობაში მეტალის გამოყენებაში — კ. ზავრიევს, შ. თაკუბოვიჩს, მ. კანდელაკს, ბანივი ნაკეთობით ბლოკებზე დაყრდნობილ წინასწარ დაძაბული კოჭების დანერგვაში — ნ. სლოვინსკის, ხ-ების დინამიკაში — კ. სეხნიაშვილს, რკინაბეტონის ხ-ების გაანგარიშებაში — გ. კიზირიას და სხვ.

თბილისში მრავალი ორიგინ. კონსტრუქციის ხ-ია. საკავშ. არქიტ. საიუბილეო დათვალიერებაზე 1967 დაჯილდოებული იყო ნ. ბარათაშვილის სახ. ხ. (კონსტრუქტორი გ. ქარუმიძე, არქიტექტორები შ. ყავლაშვილი და ვ. ქურთიშვილი). ამ ხ-ზე დაყრდნობილია ასაწყობი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის მალის ნაშენები ჩამოკიდებული დიაფრაგმებით უჯრიანი წამწის სახით, რ-ის ქვედა და ზედა სარტყელის კონსოლებზე მოწყობილია ტროტუარები. ამგვარი ორ დონეზე განლაგებული ტროტუარები პირველად არის გამოყენებული სსრკ-ში. ორიგინალურია აგრეთვე სანაპირო ბურჯების შიგა სივრცის გამოყენება კაფესა და საკამიონო დარბაზის მოსაწყობად. აღსანიშნავია ჩელიუსკინელების სახ. ხ (კონსტრუქტორები კ. ზავრიევი, ა. პატალიძე და ნ. სლოვინსკი; არქიტ. ნ. სევეროვი). მისი თაღების სისქე მცირეა (მალის — 1/60). ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. ხ-ზე (კონსტრუქტორები გ. ბრეგვაძე და ი. კოშკაძე; არქიტ. ნ. ლომიძე) გამოყენებულია მუდმივი სიმაღლის ასაწყობი წინასწარ დაძაბული კოლოფისებრი კვეთის უწყვეტი კოჭები, ხოლო სვეტოვანი შუალედი ბურჯების რიგელი ჩამალულია მალის ნაშენში და შეთავსებულია მის კონსტრუქციასთან.



ხიდისთაური ატმები. ხიდისთაურის ვარდისფერი ნაყოფი და მისი ჭრილი.

ლიტ.: ვარშანიძე შ., გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში, ბათ., 1979; კაპანაძე-ლომთათიძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972; ზისიქი ი., თბილისის ხიდები, თბ., 1961; ქარუმიძე გ., ცაგარელი ზ., ხიდები, ნაწ. I—2, თბ., 1956—59; Евграфов Г. К., Богданов Н. Н., Проектирование мостов, М., 1966; Пунин А. Л., Архитектура отечественных мостов, Л., 1982.
ი. მიქვა.

**ხიდი**, სოფელი წყალტუბოს რ-ნში (მაისოჯის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის ნაპირებზე. ზ. დ. 280 მ. წყალტუბოდან 12 კმ, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 31 კმ. ვ. ი. ლენინის სახ. მაისოჯის კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, სამკურნალო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფლის ძვ. სახელია სუჯაჩახო. შემორჩენილია მდ. ცხენისწყალზე გადებული ე. წ. ბუმბუას ხიდის ბურჯი, გადმოცემით, თითქოს აგეგო რომაელ სარდალ პომპეუსს (ძვ. წ. I ს.).

**„ხიდი"** („Brücke"), ძირითადად გერმანელი მხატვარ-ექსპრესიონისტების გაერთიანება (იხ. *ექსპრესიონიზმი*). არსებობდა 1905—13 დრეზდენში. წამყვანი ოსტატები იყვნენ ე. ლ. კირხნერი, ე. ჰეკელი, კ. შმიდტ-როტლუფი, მ. პეხშტაინი (რამდენიმე ხნის მათ უახლოვდებოდა ე. ნოლდე). გამოდიოდნენ იმპრესიონიზმისა და „მოდერნის" სტილის წინააღმდეგ, ეყრდნობოდნენ ვ. ვან გოგისა და ე. მუნკის შემოქმედებას, აგრეთვე პრიმიტ. და შუა საუკ. ხელოვნებას. „ხ-ის" ოსტატები მხატვრული გამომსახველობის ახ. საშუალებებს ეძებდნენ საგნობრივი სამყაროს დეფორმაციაში ფერების გაუხეშებულ ჟღერ. და მკვეთრად მონახაზულ ფორმებში, ლოკალური ფერადოვანი ლაქების დისონანსურ შეხამებაში. მხატვრული სახეთა აგების ტრადიციული გამახვილებით ისინი უპირისპირდებოდნენ ბურჟ. საზ-ბის მორალურ-ეთიკურ ნორმებს, თუმცა მათი მსოფლმხედველობის სუბიექტურობა, მისტიციზმი ამ პროტესტს სტიქიურ და ანარქიულ ხასიათს ანიჭებდა.

**ხიდიკარი**, ხ ი დ ი ს - კ ა რ ი, ისტორიული თავდაცვითი პუნქტი დას. საქართველოში, რაჭაში (ამჟამად ამბროლაურის რ-ნის ტერიტორიაზე, სოფ. წესის ახლოს). აქ მდ. რიონზე, ბუნებრივ ვიწრობში გადებული იყო ხიდი (აქედანაა სახელწ. „ხიდიკარი"), რ-ის მისადგომები კოშკების სისტემით საგანგებოდ იყო გამაგრებული.

**ხიდი სამხედრო**, საბრძოლო მოქმედების მსვლელობაში ჯარების მოძრაობის, მანევრის, ევაკუაციისა და ტვირთზიდვის გზებზე წინაღობების (მდინარე, არხი, ხრამი, თხრილი და ა. შ.) გადასალახი დროებითი ნაგებობა, რ-საც აწყობენ ჯარების გადასაყვანად და სამხ. ტვირთის გადასაზიდად. კონსტრუქციების მიხედვით, განასხვავებენ მოტივტივეს, მაგარსაყრდენიანს (მ. შ. წყალქვეშა), კომბინირებულსა და დაკიდებულს, აგებენ სატაბელო საშუალებებით (სატანკო ხიდსაგები, პონტონის პარკი, ასაკრები ლითონისა და დაკიდებული ხიდები) და ადგილ. მასალებით (ხე-ტყე, ლითონი, რკინა-ბეტონი). სატანკო ხიდსაგები შედგება ხიდის კონსტრუქციისა და თვით ხიდსაგებისაგან, რ-იც გამოიყენება კონსტრუქციის ტრანსპორტირებისათვის და წინაღობაზე მის დასადგმელად. პონტონის პარკში შედის სახიდე ქირჭები და მოტივტივე ხიდების მოკლე ვადებში აგების უზრუნველმყოფი დამხმარე საშუალებები. მექანიზებული ხიდები შედგება რამდენიმე ხიდსაგებისა და სახიდე კონსტრუქციისაგან, რ-ებშიც შედის ხიდის მალები და შუალედი საყრდენები. ასაკრები ლითონის ხიდები არის ერთმალიანი და მრავალმალიანი. აგებენ სპეც. სამონტაჟო მოწყობილობით. დაკიდებული ხიდი გათვალისწინებულია მთაგორიანი პირობებისათვის.

წყალდაბალ და წყალმაღალ სამხედრო ხიდებს აგებენ ადგილ. მასალებით. ხისსაყრდენიანი წყალდაბალი ხიდი ცვლის სატაბელო მასალებით ნაშენებს. წყალქვეშა ხ. ს. ხისსაყრდენიანი ხიდების სახესხვაობაა. მისი სავალი ნაწილი ეწყობა 0,5—0,7 მ სიმაღლეზე წყლის ქვეშ, კარგად ნიღბავს ხიდს და აძლიერებს მის მდგრადობას ბირთვული აფეთქების დარტყმის ტალღისადმი. ხისსაყრდენიანი წყალმაღალი ხიდები გათვალისწინებულია წყალდიდობისა და ყინულსვლის პირობებისათვის. ხ. ს-ს უძველესი დროიდან იყენებდნენ. ძვ. წ. V ს-ში მოტივტივე ხიდები ააგეს სპარსელებმა ბოსფორის სრუტესა და მდ. დუნაიზე გადასასვლელად. იულიუს კეისარმა გერმანელებთან ომის დროს მდ. რაინზე ააგო 600 მ სიგრძის ხიმინჯებიანი ხიდი. რუსეთში ხ. ს. ცნობილია XIII ს-იდან. დიდი სამამულო ომის (1941—45) წლებში საბჭ. არმია შეიარაღებული იყო პონტონის პარკებით (НЛП და მძიმე НЖП), სპეც. პარკებით (СП—19), დასაშლელი ლითონის ხიდებით РММ—4 და სხვ. ომის შემდგომ წლებში საბჭ. შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა მაღალმანევრული სამხ. ხიდები და პონტონის პარკი.



ხიდი სამხედრო. წყალმაღალი ხიდი.

**ხიდისთავი**, სოფელი გორის რ-ნში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, მდ. ტანის ნაპირზე, სოფსაბჭოთ, რკინიგზის ბაქანი. ზ. დ. 680 მ, გორიდან 3 კმ. კოლ-ბა (მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა). შამპანური ღვინისა და აგურის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა, საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

**ხიდისთავი** (ყოფ. თ ც ხ ა ნ ა), სოფელი ჩოხატაურის რ-ნში, მდ. გუბაზეულის მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ხ., ახალშენი, ზენობანი, ნეწიეთი, წიფნაგვარა, ჭაჭიეთი). ზ. დ. 290 მ, ჩოხატაურიდან 7 კმ. საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 კმ. ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კულტსახლი, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**ხიდისთაური ატმები**, გ ო ხ უ ლ ი ა ტ მ ე ბ ი, ქართული ატმების ჯგუფი, რ-იც ხალხ. სელექციის გზით შეიქმნა მდ. ტანის ხეობის (გორის რ-ნი) სპეციფიკურ ეკოლოგიურ პირობებში. ხ. ა-ს განეკუთვნება ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ყვითელი და სხვ. მათთვის დამახასიათებელია ნაყოფის მიმზიდველი შესახედაობა, მაღალი საგემოვნო თვისებები, რბილობის მკვრივი კონსისტენცია, მკვეთრი არომატი. ამ თვისებების გამო ხ. ა. ფართოდაა გავრცელებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მომწიფების მიხედვით ხ. ა. იყოფა საშ. (ხიდისთაური ვარდისფერი) და საგვიანო (ხიდისთაური ყვითელი) პერიოდის სიმწიფის ჯიშებად. ხ. ა. საუკეთესო ნედლეულია სასუფრე და საკონსერვო პროდუქციისათვის.

მ. გარძელაშვილი.

**ხიდისყური**, სოფელი კასპის რ-ნში (ალავერდის სოფსაბჭო), მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 550 მ, კასპიდან 27 კმ. რკინიგზის ბაქანი. ქსნის მეფრინველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

**ხიდისყური**, სოფელი ხაშურის რ-ნში (გომის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ფრონიახევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 670 მ, ხაშურიდან 12 კმ, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 კმ. კოლ-ბა „ზედა ქართლი" (მებოსტნეობა, მეხილეობა). საშ. სკოლა სოფ. გომში.

**ხიდმაღალა**, სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (სუფსის სოფსაბჭო), გურიის დაბლობზე, მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 3 მ, ლანჩხუთიდან 20 კმ, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ. სპეციალიზებული საბჭ. მეურნ.-ლიმონარიუმი. საშ. სკოლა სოფ. სუფსაში (1 კმ). საბავშვო ბაღი, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, ფოსტა.

**ხიდური ამწე**, ამწე, რ-საც აქვს საყრდენი ან კიდული ხიდის სახის წამწის ან კოჭური ტიპის ლითონკონსტრუქცია. ხიდი გადაადგილდება ამწისქვეშა რელსებზე საამქროს მალის ან ღია სატვირთო მოედნის გასწვრივ. ხიდზე მალის გარდიგარდმო მოძრაობს ამწის ურიკა ტვირთსატაცი მოწყობილობებითურთ. ხ. ა-ის კონსტრ. სახესხვაობებია კონსოლური, ნახევრად ჯოჯგინა, ჯოჯგინა ამწეები და ხიდური გადამტვირთავი.

**ხიდური გადასასვლელი**, საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსი, რ-იც შეიცავს საკუთრივ ხიდს, მასთან მისასვლელ მიწაყრილებს მდინარის ჭალის ფარგლებში, სარეგულაციო ნაგებობებს (უწოდებენ ჯებირებს), ნაპირსამაგრებელ ნაგებობებს, რ-ებიც იცავენ წარეცხვისაგან მდინარის ნაპირებსა და მისასვლელ მიწაყრილებს და ა. შ.; ხ. გ-ს აგებენ მდინარის მთავარი კალაპოტის გადაკვეთის ადგილზე, წყლის ნაკადის მიმართულების მართობულ ტრასაზე.

**ხიდური სქემა**, ბ ო გ უ რ ი ს ქ ე მ ა, ელექტრული წრედის ელემენტთა (წინაღობის, გამმართველი დიოდის, ელექტრონათურის) შეერთების სქემა, რ-იც ხასიათდება სქემაში უშუალოდ დენის წყაროსთან დაუკავშირებელი ორი წერტილის შორის ხიდური შტოს არსებობით. ნახ-ზე ნაჩვენე-

ჭის უახლოესი თანამებრძოლი. ყაჩაღობისა და მკვლელობებზე თავდასხმებში მონაწილეობისათვის კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ სამჯერ გაიქცა და ბოლოს სამუდამო პატიმრობაში იყო ორენბურგის ციხეში. 1773 ოქტ.-ში ორენბურგის გუბერნატორმა ხ. გაგზავნა პუგაჩოვის რაზმში, რ-მაც ალყა შემოარტყა ორენბურგს. ხ-ს დავალებული ჰქონდა პუგაჩოვის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა და მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ პირიქით მოხდა — ხ. აჯანყებულებს მიემხრო, ჩამოაყალიბა გლეხთა რაზმები, სათავეში ჩაუდგა ზარბაზნების ჩამოსხმის საქმეს. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი ხელთ იგდეს, ორენბურგში გაგზავნეს და იქ ჩამოახრჩვეს.



ხმალა. ჰიბრიდული ხმალა

**ხლოთარ II** (Chlotar) (584-18. X. 629), 584-613 ნეისტრიის, 613-იდან ფრანკთა მთელი სამეფოს მეფე მეროვინგების დინასტიისა. ბრუნჰილდეზე გამარჯვების შემდეგ ფრანკთა სამეფო გააერთიანა. იძულებული გახდა ფეოდ. არისტოკრატიისათვის დაეთმო და 614 გამოეცა ედიქტი, რ-იც ადასტურებდა მისი წინამორბედების მიერ მსხვილი ფეოდალებისათვის ნაბოძებ მიწებს და სასამართლო-ადმ. პრივილეგიებს, დაედგინა გრაფების დანიშვნის წესი (გრაფად ინიშნებოდა მხოლოდ ადგილ. წარჩინებული მიწათმფლობელი) იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა ავსტრაზიის წარჩინებულთა სეპარატისტული მოთხოვნები და 623 ავსტრაზიის მეფედ დაესვა თავისი ვაჟი დაგობერტ I.

**ხლუპი** (Chlup) ოტოკარ (31. VIII. 1876, ბოსკოვიცე, მორავია, — 14. V. 1965, პრაღა), ჩეხი პედაგოგი, ჩეხოსლ. სრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1952), ჩეხოსლ. კომუნისტური პარტიის წევრი 1921-იდან. ბრნოს უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტის დაარსების შემდეგ მუშაობდა პედ. ფსიქოლოგიის დარგში. 30-იან წლებში იბრძოდა სკოლის დემოკრატიზაციისა და მარქსისტულ საფუძველზე პედ. განვითარებისათვის. ხ-ს ეკუთვნის ბურჟ. პრაგმატისტული, ბიჰევიორისტული და პედოცენტრული პედაგოგიკის კრიტიკა. 1945, ჩეხოსლ. ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა სოციალ. პედ. და ახ. სასკოლო სისტემის შექმნაში. მისი ინიციატივით ქვეყნის ყველა უნ-ტში შეიქმნა პედ. ფაკ-ტი. 1954 მის მიერ დაარსებული პედ. სამეცნ. კაბინეტი ი. ა. კომენსკის სახ. პედ. ინ-ტად გადაკეთდა, რ-საც 1960-მდე თვითონვე ხელმძღვანელობდა.



ი. ხმალაძე

**ხმა**, ფილოგენეზით შეძენილი ცხოველებისა და ადამიანის მიერ ხმის აპარატის საშუალებით გამოცემული სხვადასხვა სიმაღლის, სიძლიერისა და ტემბრის ბგერები. ხ. თან ახლავს ზედლევასა და ცხვირის დაცემინებას. ადამიანი ხმით გამოხატავს თავის შეგრძნებებს, გრძნობებსა და აზრებს, ყვირილის, სიცილის, ტირილის, მეტყველებისა და სიმღერის სახით.

არსებობს ხ-ის წარმოშობის 2 თეორია: მიოელასტიკური (გერმ. ი. მიულერი, 1835) და ნეირო-ქრონაქსიული (ფრანგი, რ. იუსონი, 1950). ი. მიულერის მიხედვით, ხ-ის გამოცემის წინ უსწრებს ხორხის მბგერი იოგების ურთიერთმიახლოება, ამასთან, მატულობს ინტრატრაქეალური წნევა, ჰაერის ნაკადი გაივლის საბგერ ნაპრალში და იწვევს იოგების ვიბრაციას, რასაც მოსდევს მათ ზემოთ მოთავსებული ჰაერის რხევა. ხ-ის სიმაღლე დამოკიდებულია მბგერი იოგების რხევის სიხშირეზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იოგების სიგრძეზე, სისქესა და დაჭიმვის ხარისხზე, ხოლო ხ-ის ძალა განისაზღვრება რხევათა ამპლიტუდით, რაც, აგრეთვე თავის მხრივ, განპირობებულია ამოსუნთქული ჰაერის წნევით. ხ-ის ტემბრს განსაზღვრავენ ობერტონები — ძირითად ტონთან შერწყმული დამატებითი ტონები. ხ სხვადასხვაა სქესის მიხედვით იცვლება ასაკისა და აგრეთვე ხორხის ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობის დროს. რ. იუსონის მიხედვით, მბგერი იოგები აქტიურად მონაწილეობენ ხ-ის წარმოშობაში. ისინი ხან იკუმშებიან, ხან დუნდებიან ჰაერის წნევისაგან დამოუკიდებლად. მათი მოძრაობა იგივე სიხშირით ხდება, რ-იც შეესაბამება გამოცემული ხ-ის ძირითადი ტონის სიხშირეს. ამ თეორიამ მხოლოდ ერთგვარი აღიარება ჰპოვა. დასაბუთება — ხორხის სათანადო კუნთის ბოჭკოები განლაგებული არიან არა მბგერი იოგის პარალელურად, არამედ გარკვეული კუთხით.

ა. ბაკურაძე.

ხ-ის ფუნქციის დარღვევას იწვევს მბგერი აპარატის ნებისმიერი ნაწილის, უმეტესად კი ხორხის (იხ. ლარინგიტი) პათოლ. ცვლილებები. მხოლოდ ხ-ის ფუნქციის დარღვევა დაკავშირებულია პროფესიულ (მომღერლები, პედაგოგები) ან ხ-ის ჭარბად გადაღლასთან. შეიძლება განვითარდეს აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის დაავადებების დროს. ხ-ის დარღვევა ელინდება სხვადასხვა ინტენსიობით — ხრინწიანობიდან ხ-ის დაკარგვამდე (იხ. აფონია).

**ხმა** ფ ო ნ ე ტ ი კ ა შ ი, ბგერის თვისება, რ-იც შეესაბამება დაძაბული სახმო სიმების პერიოდულ რხევებს მეტყველების დროს.

**ხმაბაძვა**, საგნებისა და ცოცხალი არსებებისათვის სახელის დარქმევა მათი მიერ გამოცემული ბგერების მიბაძვით (მაგ., ბაყაყი, ჭრიჭინა, წრუწუნა). სრული ხ. შეუძლებელია, ვინაიდან ენის დანაწევრებული ბგერები ზუსტად ვერ ასახავს საგნებისა და ცოცხალი არსებების (ფრინველების, ცხოველების) მიერ გამოცემულ დიფუზურ ბგერებს (იხ. აგრეთვე ონომატოპეა).

თ. შარაძენიძე.

**ხმაბაძვის თეორია**, თეორია, რ-ის მიხედვითაც ენა წარმოიშვა საგნების მიერ გამოცემული ხმების მიბაძვის შედეგად.

**ხმათა სვლა**, ხმათა მოძრაობა, განვითარება მრავალხმიან მუსიკალურ ნაწარმოებში დამოკიდებულია ხმათა ჰარმონიული შეხამებების გარკვეულ პრინციპებზე. თითოეული ხმა შეიძლება იყოს მელოდიურად დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ან ექვემდებარებოდეს ერთ ძირითად (ჩვეულებრივ ზედა) მელოდიურ ხმას როგორც თანხლება, აკომპანემენტი (აკორდების, ფიგურაციების და სხვ. სახით, იხ. ფაქტურა). ხ. ს. შეიძლება იყოს პირდაპირი (ხ. ს. ერთი მიმართულებით — ზემოთ ან ქვემოთ), პარალელური (პირდაპირი ხ. ს. თანაბარი ინტერვალით), ირიბი (როცა ერთი ხმა არ იცვლის სიმაღლეს) და საპირისპირო (ერთი ხმის მოძრაობა ზემოთ, მეორისა — ქვემოთ).

**„ხმა კავკასიისა"**, ქართული ყოველდღიური სამეურნეო და ლიტერატურული სახალხო გაზეთი. წვრილბურჟუაზიული მიმართულებისა. გამოდიოდა ხაშურში 1912—17 რედაქტორ-გამომცემელი — გ. ტყავაძე. გაზეთი ასახავდა საქართვ. ქალაქ და სოფლ. ცხოვრებას, ბეჭდავდა კორესპონდენციებს საქართვ. ქ-ებსა და დაბებში. იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები. თანამშრომლობდნენ ვაჟა-ფშაველა, ა. შანშიაშვილი, ს. ფაშალიშვილი და სხვ.

ს. ჭყონიშვილი.

**ხმალა**, ხ ა ნ ჯ ა ლ ა (Gladiolus), მრავალწლოვან ბოლქვ-ბოლქვიან მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა ოჯახისა. აქვს სწორმდგომი, დაუტოტავი (ზოგჯერ დატოტვილი) ღერო, მწვანე ან მოლურჯო-მომწვანო შეფერილობის ხაზურ-ხმლისებრი ფოთოლი. ყვავილი ზიგომორფულია და 6 არასწორ-ნაკვთებიანი ყვავილსაფარი აქვს; ყვავილები ლამაზად ყვავის და ფერად ნაირგვარია - თეთრი, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, იასამნისფერი, იისფერი. ყვავილედი ერთ-ან ორმხრივი თავთავია. ცნობილია ხ-ს 200-მდე სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია სამხრ. და ჩრდ. აფრიკაში, ევროპასა და აზიაში. სსრკ-ში ველურად იზრდება 9 სახეობა, საქართველოში 7, მათგან 1 საქართვ. ენდემია, 1—კავკასიისა. დეკორ. მებაღეობაში ფართოდაა გავრცელებული ჰიბრიდული ხ. (G. hybridus), რ-იც გამოირჩევა ყვავილობის ხანგრძლივობით, დიდი ზომის ყვავილედით (1 მ-მდე) და ყვავილით (14 სმ-მდე დიამეტრი), ნაირგვარი შეფერილობით. ხ-ს იყენებენ ბაღებში, პარკებსა და სკვერებში ყვავილნარების გასაფორმებლად, ყვავილწნულების გასაკეთებლად და სხვ. ხ. მრავლდება ბოლქვ-ბოლქვით და შვილეული ბოლქვებით. დეკორ. მეყვავილეობაში მიღებულია მისი მრავალი ჯიში და ფორმა. სსრკ-ში გამოიყვანეს ხ-ს 400-მდე ახ. სელექციური ჯიში მათ შორის ბევრი ჩაილის მეცნიერმუშაკმა ყ. შანიძემ გამოიყვანა ახ. ჯიშები „თბილისის გაზაფხული", „ვაჟა-ფშაველა", „მთიებიერი", „ჰიბრიდი №1" და სხვ., რ-თაც საყოველთაო აღიარება ჰპოვეს.

ლ. ასიეშვილი.

**ხმალაძე** ალექსანდრე გიორგის ძე [10 (23) VI. 1890, ქუთაისი, — 22. XII. 1972, თბილისი], ქართველი საბჭ. ჰიგიენისტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1941) სკკპ წევრი 1944-იდან. 1914 დაამთავრა პეტერბ. სამხ.-სამედ. აკადემია. I მსოფლიო ომის დროს სამხ. ექიმად მუშაობდა თას ფრონტზე. 1938—70 განაგებდა ექიმთა დახელოვნების თბილ. ინ-ტის ჰიგიენის კათედრას, ერთდროულად, 1940—47, იყო თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის სოც. ჰიგიენის კათედრის გამგე. 1938—52 და 1958—60 მუშაობდა საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ჰიგიენისა და სანიტარიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში და სხვ. შეისწავლიდა ჩაის წარმოების და ჭიათურის მაღაროების ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, სოფლის მოსახლ. წყალმომარაგების საკითხებს და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

გ. ქამაძე.

**ხმალაძე** გრიგოლ ნიკოლოზის ძე [11 (24). IV. 1904, სოფ. უფლისციხე, ახლანდ. კასპის რ-ნი, — 11. V. 1986, თბილისი], ქართველი საბჭ. პათოფიზიოლოგი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1941 დაამთავრა თსუ. 1950-იდან მუშაობდა ახლანდ. ექსპერიმენტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1957—80 იყო პათოლ. ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის განყოფ. გამგე). 1950—60 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში. ხ-ის შრომები შეეხება ახლოფიზიოლ. საკითხებს. საქ. სსრ ჯგუფის ხაზ-ის ჯანდაცვის ბაგრატიონის სახ. პრემია (1982) დაჯილდოებულია მედლებით.

გ. ჯაფარიძე.

**ხმალაძე** ილია გიორგის ძე (1911, ახალციხე, — 1941), საბჭ. კავშირის გმირი (21. III. 1940), პოლიტხელის თანაშემწე, სკკპ წევრი 1940-იდან. 1933 დაამთავრა თბილ. სამხედრო სასწავლებელი. 1935 სწავლობდა ქუთ. პარტიულ სკოლაში. 1935-იდან მუშაობდა თბილისში მტკვრის სამშენებლო მშენებლობაზე. 1937 გაიწვიეს წითელ არმიაში. სსრკ-ფინ. ომში (1939—40) გამოჩენილი მამაცობისათვის საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მონაწილეობდა საბჭ. სამამულო ომში (1941—45). ომის დაწყების პირველსავე წელს დაიღუპა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

შ. ნინიკაშვილი.

**ხმალთევზა**, იხ. შიმშერი.

**ხმალი**, წელზე შემოსაკრავი გრძელი მახვილი, ცალმხრივლესიანი.

**ხმალკბილა ვეფხვი**, იგივე, რაც მაქაიროდი.

**„ხმალში გატანება"**, იხ. სტ. ორდალიები.

**ხმამაღლამოლაპარაკე**, ელექტროაკუსტიკური ან მექანიკური მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა ლაპარაკის, მუსიკისა და სხვა ბგერების ხმამაღალი აღწარმოება. ხ. არის ელექტროდინამიკური, რუპორიანი, ელექტრომაგნიტური, პიეზო-

ელექტრული, კონდენსატორული და სხვ. რადიომაუწყებლობის მიმღებებში, ბგერათა გაძლიერების სისტემებში და მისთ. ძლიერად გავრცელებულია ელექტროდინამ. ხ (ნომინალური სიმძლავრე—0,1-იდან 100 ვა-მდე), რამდენიმე დიფუზორული რ-ებან შემდგარი ბგერითი სვეტები (საერთო ნომინალური სიმძლავრე 100 ვა-მდე) და ხმამაღლამოლაპარაკე აგრეგატები, რ-ებიც შედგება ელექტროდინამ. და რუპორიანი რ-ებან (საერთო ნომინალური სიმძლავრე — 100 ვა-მდე).

**ხმაური,** სხვადასხვა ფიზიკური ბუნების უწესრიგო რხევები, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დროითი და სპექტრული სტრუქტურის სირთულით. ყოფა-ცხოვრებაში ხ-ში გულისხმობენ სხვადასხვაგვარ არასასურველ აკუსტიკურ დაბრკოლებას ბგერის მესიერ აღქმისას, აგრეთვე ნებისმიერ ბგერას, რ-იც ხელს უშლის დასვენებას, მუშაობას. ხ არსებით როლს ასრულებს მეცნ. და ტექ. მრავალ დარგში: აკუსტიკაში, რადიოტექნიკაში, რადიოლოკაციაში, რადიოასტრონომიაში, ინფორმაციის თეორიაში, გამოთვლით ტექნიკაში, ოპტიკაში, მედიცინაში და სხვ. ხ. თავისი ფიზ. ბუნებით მიხედვით, განსხვავდება პერიოდული რხევებისაგან მოცემული პროცესისთვის დამახასიათებელი სიდიდეების მყისი მნიშვნელობის შემთხვევითი ცვლილებებით. ხ ხშირად შემთხვევითი და პერიოდული რხევების ნარევს წარმოადგენს. ხ-ის აბსოლუტურად იგივეობ სხვადასხვა ბათ. მიდღეს მათი დროითი, სპექტრული და სივრცითი სტრუქტურის შესაბამისად. ხ-ის რაოდენობრივი შეფასებისათვის სარგებლობენ გასაშუალოებული პარამეტრებით, რ-ებსაც განსაზღვრავენ სტატისტ. კანონების საფუძველზე, ხოლო ეს კანონები ითვალისწინებს ხ-ის სტრუქტურას წყაროში და იმ გარემოს თვისებებს, რ-შიც ხ. ვრცელდება.

განასხვავებენ სტატისტიკურად სტაციონარულ და არასტაციონარულ ხ-ს. სტაციონარული ხ. ხასიათდება საშ. პარამეტრების მუდმივობით. ასეთი ხ-ის მაგალითია თეთრი ხ. (აკუსტ. ხ., რ-შიც სხვადასხვა სიხშირის ბგერითი რხევები თანაბრადაა წარმოდგენილი). რეალური ხ., რ-იც წარმოიქმნება მრავალი ცალკეული დამოუკიდებელი წყაროს მოქმედების შედეგად (მაგ., ზღვის ხ.), კვაზისტაციონარულია. ხ., რ-ის პარამეტრები ნელა იცვლება (ხანგრძლივობა ნაკლებია პარამეტრების გასაშუალოების დროზე), არასტაციონარულია (მაგ., ტრანსპორტის ხმაური).

სმენის ორგანოებისა და მთლიანად ორგანიზმის მიერ აკუსტიკური ხ-ის აღქმის თავისებურებები დამოკიდებულია ხ-ის ინტენსიურობასა და მის სპექტრულ შედგენილობაზე. ხ-ის მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე სმენის ორგანოს სპეციფ. და სხვა ორგანოებისა და სისტემების არასპეციფ. დაზიანებით ვლინდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხ-ის ხასიათს, დონეს, სიხშირეს, ზემოქმედების ხანგრძლივობას და ხ-ისადმი ინდივიდ. მგრძნობელობას. ინტენს. და ხანგრძლივი ხ ცუდად მოქმედებს ცენტრ. ნერვულ სისტემაზე (იწვევს თავის ტვინის ქერქის უჯრედების გამოფიტვას), სისხლძარღვთა ტონუსზე (შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტონიული დაავადება), კუჭ-ნაწლავზე, ენდოკრინულ სისტემაზე. ხ. იწვევს ასთენიას, უძილობას, მეხსიერებისა და შრომისუნარიანობის დაქვეითებას, მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევას და სხვ. განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ხანგრძლივი ხ სმენის ორგანოზე, შეიძლება გამოიწვიოს სმენის პროგრ. დაქვეითება და სიყრუე. ხ-ის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ტარდება მრავალი ორგანიზაციული, ტექ. და სამედ. ღონისძიება: სპობენ ან ასუსტებენ ხ-ის გამომწვევ მიზეზებს მისი წარმოქმნის ადგილზევე; ამცირებენ აეროდინამ. ხ-ს; ინტენს. ხ-ის ზონებში მომუშავეებს აძლევენ ინდივიდ. ბგერასაიზოლაციო მოწყობილობებს, დიდი ყურადღება ექცევა ხმაურიან წარმოებაში მომუშავეთა შრომისა და დასვენების რეჟიმის მოწესრიგებას და სხვ.; ქალაქის ხ-ის შესამცირებლად ხმაურიანი ტრანსპორტი, მაგ., ტრამვაი, იცვლება ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით, იზღუდება ხმაურიანი სიგნალიზაცია, დიდი ყურადღება ექცევა ქუჩების რაციონალურ დაგეგმარებას, შენობების ბგერით იზოლაციას და სხვ.

ლიტ.: Б е л л А., Шум. Профессиональная вредность и общественное зло, пер. с англ., [М.], 1967.

**ხმაურისაგან დაცვა,** ღონისძიებათა კომპლექსი (ტექნიკური, არქიტექტურული, სამშენებლო-აკუსტიკური და სხვ.), რ-საც ახორციელებენ ხმაურისაგან დასაცავად და მის შესამცირებლად შენობებში, სათავსებში და დასახლ. ადგილების ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. იხ. აგრეთვე აკუსტიკური მასალა, სამშენებლო აკუსტიკა.

**ხმაურის გენერატორი,** შემთხვევითი არაპერიოდული რხევების გენერატორი, რ-ის დანიშნულებაა ხმაურიანი პროცესების იმიტაცია. ხ. გ-ს იყენებენ: 1. რ ა დ ი ო ე ლ ე ქ ტ რ ო ნ ი კ ა შ ი — ხმაურის კოეფიციენტისა და რადიომიმღებების მგრძნობიარობის, აპარატ. რეგულირებისა და ტელემართვის სისტემების დაბრკოლებამდგრადობის დასადგენად და სხვ.; 2. ა კ უ ს ტ ი კ ა შ ი — არტიკულაციის გასაზომად ერთი დროის ბგერათა შეხანცენებისათვის, სათავსების რევერბერაციის დროის გასაზომად, სხვადასხვა მასალის ბგერათა შთანთქმის კოეფიციენტის, მიკროფონებისა და ხმამაღლამოლაპარაკეების სიხშირული მახასიათებლების დასადგენად; 3. გ ა ზ ო მ ვ ი თ ტ ე ქ ნ ი კ ა შ ი — სიმძლავრის დაკალიბრებულ წყაროდ შემთხვევითი პროცესების პარამეტრების (აქტ. დაბრკოლებები, დედამიწაზე კოსმოსიდან მოსული ხმაური და სხვ.) გაზომვის დროს.

**ხმაურსაზომი,** ბგერათა ხმამაღლობის დონის საზომი ხელსაწყო. შედგენილი ნაწილებია: მიკროფონი, მაკორექტირებელი ფილტრები, ელექტრული რხევების მაძლიერებლები, კვადრატული დეტექტორი და ისრიანი ინდიკატორი.

**„ხმა ქართველ ქალისა",** ქართული ყოველკვირეული პოლიტიკურ-საზოგადოებრ. და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში 1917 წ. 5 აპრ-იდან 1918 წ. 1 დეკ-მდე სულ გამოვიდა 50 ნომერი. რედ. კ. მიქელაძე, გამომცემელი — ქუთ. ქალთა კლუბი. თანამშრომლობდნენ ე. გაბაშვილი, სოფო ჩხეიძე, დარია ახვლედიანი, დ. თომაშვილი (თურქეშიძე) და სხვ.

*ს. ხუციშვილი.*

**ხმელა ლიმონისა,** მ ა ლ ს ე კ ო (იტალ. malsecco <male — დაავადება, secco — სიმშრალე), ციტრუსოვანი კულტურების საშიში დაავადება, რ-საც იწვევს სოკო Deuterophoma tracheiphila. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. სსრკ-ში პირველად აღმოაჩინეს 1939 აჭარაში, სადაც დაავადება იტალიიდან შემოტანილ სარგავ მასალას შემოჰყვა. შემდეგ გავრცელდა დას. საქართვ. სხვა ადგილებშიც. სოკო მცენარეში იჭრება მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდან, ბაგეებიდან. ინფიცირების წყაროა ჩამოცვენილი ფოთოლი, დაავადებული და გამხმარი ხე, ცალკეული ტოტი, თესლი, სარგავი მასალა. დაავადების ნიშნებია ფოთლისა და ნაყოფის ნაადრევი ცვენა, ქერქის გაყვითლება, ჯერ ყლორტების, შემდეგ ტოტებისა და ბოლოს ხის ხმობა. ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი: სწორი აგროტექნიკა, ხეებზე ფუნგიციდების შესხურება, სარგავი და სანამყენე მასალის საკარანტინო კონტროლი; აგრეთვე მალსეკოგამძლე ჯიშების დანერგვა.

*ლ. ჯანჩაველი.*

**ხმელეთის კუები** (Testudinidae), ქვეწარმავლების ოჯახი ფარულკისრიან კუთა რიგისა. ბაკის სიგრძე 10 სმ—1 მ აღწევს. ჩვეულებრივ, მაღალი და ამობურცული ბაკანი აქვთ. ზურგის ფარი უმრავლესად შეერთებული მუცლის ფართან, ორივე დაფარულია მსხვილი და სქელი რქოვანი ფირფიტებით. თითები შეზრდილია. თავი მთლიანად იმალება ბაკანში. ოჯახის 8 (ზოგის აზრით 10) გვარი აერთიანებს 40-მდე სახეობას. გავრცელებული არიან აფრიკაში (უმრავლესობა), აზიაში, სამხრ. ევროპასა და ამერიკაში. საკმაოდ ხანგრძლივ ცხოველები არიან, ზოგიერთ 100 და უფრო მეტ წელს ცოცხლობენ. სსრკ-ში გავრცელებულია 2 სახეობა. აღმ. საქართველოში გვხვდება ხ მ ე ლ თ ა შ უ ა ზ ღ ვ ი ს კ უ (Testudo graeca). ბინადრობს ქსეროფიტულ ადგილებში. იკვებება მცენარეულობით. მრავლდება კვერცხით. ამჟამად მისი რაოდენობა ბევრ ადგილას შემცირებულია, შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში".

*თ. მუსხელიშვილი.*



ხმელეთის კუები: ხმელთაშუა ზღვის კუ.

**ხმელეთის ფაუნა,** ხმელეთზე მობინადრე ცხოველთა ერთობლიობა. ხ. ფ-ის შემადგენლობაში შედის თანამედროვე ცხოველთა სახეობის 80%. ისინი შესახლდნენ ხმელეთის ნაირგვარ საარსებო პირობებში. ტენიანობას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და გარემოს ჩინება. ჰაერში სინოტივის ნაკლებობამ გამოიწვია ხმელეთის ცხოველების სხეულის მფარავი საფარველის განვითარება, რაც აბრკოლებს აორთქლებას (უმეტესად ეს ეხება მწერებს, ქვეწარმავლებს, ფრინველებს, ძუძუმწოვრებს). ხმელეთის ცხოველები სუნთქავენ ფილტვებით ან ტრაქეებით, რ-ებიც სხეულში მოქცეული. დამახასიათებელია ინტენს. აირცვლა და აქტ. მოძრაობა: სირბილი, ხტომა, ფრენა. ხმელეთზე წარმოიშვნენ და განვითარდნენ მაღალი ორგანიზაციის მქონე ცხოველები, მწერები, ფრინველები, ძუძუმწოვრები.

*ა. ჯანაშვილი.*

**ხმელეთის ჰიდროლოგია,** ჰიდროლოგიის ნაწილი, რ-იც შეისწავლის ხმელეთის ზედაპირულ წყლებს (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ჭაობები, მყინვარები). ხ. ჰ-ის სისტემაში გამოყოფენ პოტამოლოგიას (სწავლება მდ-ებზე), ლიმნოლოგიას (ტბათმცოდნეობა), ჭაობთმცოდნეობა, გლაციოლოგია. ხ. ჰ-ის ძირითადი ამოცანებია ჩამონადენის ფორმირების კანონზომიერებების, წყლის ბალანსის, აუზებს შორის მიწისქვეშა წყალცვლის, მდინარეთა ნაკადების სტრუქტურის, კალაპოტური და სანაპირო პროცესების, თერმული, ყინულოვანი და სხვა ფიზ. მოვლენების, წყლის ქიმ. შედგენილობის შესწავლა, ჰიდროლ. რეჟიმის პროგნოზების დამუშავება, ჰიდრომეტრიული ხელსაწყოების კონსტრუირება და სხვ.

ხ. ჰ. აერთიანებს ჰიდრომეტრიას, ჰიდროლ. გაანგარიშებებსა და ჰიდროლ. პროგნოზებს, ჰიდროფიზიკას, ჰიდროქიმიასა და ჰიდროგრაფიას. მისი ახ. განხრაა მთიანი ქვეყნების ჰიდროლოგია, რ-იც შეისწავლის მდინარის ჩამონადენისა და წყლის ბალანსის კანონზომიერებებს ლანდშაფტის სიმაღლებრივი სარტყლურობის, აუზის ვერტ. განვრცობის, ორიენტაციისა და რელიეფის თავისებურებების ფონზე. ბოლო ხანებში ხ. ჰ-ის სისტემაში ჩამოყალიბდა აგრეთვე ჰიდროლოგია კარსტისა.

ხ. ჰ-ის კვლევის ძირითადი მეთოდია ჰიდროლ. რეჟიმის სტაციონარული შესწავლა წყალსაზომ საგუშაგოების საყრდენ ქსელის მიხედვით. მნიშვნელოვანია ცალკეული ობიექტებისა და ტერიტორიების საექსპედიციო გამოკვლევები, ლაბორ. საშუალებები.

ლიტ.: А п о л л о в Б. А., Учение о реках, М., 1963; В е л и к а н о в М. А., Гидрология суши, 4 изд., Л., 1948; В л а д и м и р о в Л. А., Водный баланс Большого Кавказа (без Азербайджанской и Дагестанской частей), Тб., 1970.

*ლ. ვლადიმიროვი, ვ. გიგინეიშვილი.*

**ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ-ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲢᲘᲞᲘ**, ანთროპოლოგიური ტიპების ჯგუფი, რ-თვისაც დამახასიათებელია ტალღისებური თმები, ძლიერად განვითარებული თმიანი საფარველი, მცირე ყვრიმალთაშუა სიგანე, სახის მკვეთრი პროფილი. პროფილი, ფართო, „ხუშისებრი" თვალები, ზომიერად გამოხატული ცხვირი, ცხვირის სწორი ზურგი და თხელი ტუჩები. ამ ანთროპოლ. ტიპის მოსახლეობა გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში, სამხრ. ევროპაში და კავკასიამდე აღწევს. *მ. აბდუშელიშვილი.*

**ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲐ**, ატლანტის ოკეანის ხმელთაშუა, კონტინენტთშორისი ზღვა. ხ. ზ-ში გამოჰყოფენ ალბორანის, ბალეარის, ლიგურიის, ტირენის, ადრიატიკის, იონიის, ეგეოსის ზღვებს; მის აუზს ეკუთვნის მარმარილოს, შავი და აზოვის ზღვები. ხ. ზ. შეჭრილია ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებს შორის. ხ. ზ-ის აუზის ზღვებს ეკვრის ესპ., საფრ., იტალ., მალტის, იუგოსლ., ალბ., საბერძნ., ბულგ., რუმინ., სსრკ-ის, თურქ., კვიპროსის, სირიის, ლიბანის, ისრაელის, ეგვ., ლიბიის, ტუნისის, ალჟირის, მაროკოს ნაპირები. ხ. ზ. გიბრალტარის სრუტით უკავშირდება ატლანტის ოკეანეს, დარდანელის სრუტით — მარმარილოს ზღვას, ბოსფორის სრუტით — შავ ზღვას, სუეცის არხით — წითელ ზღვას. ფართ. 2,5 მლნ. $კმ^2$. წყლის მოცულობა 3839 ათ. $კმ^3$. საშ. სიღრმე 1541 *მ*, მაქს — 5121 *მ*. ხ. ზ-ის მთიანი ნაპირები უმთავრესად აბრაზიულია, დაბალი ნაპირები — ლაგუნურ-ლიმანური და დელტური; ადრიატიკის ზღვის აღმ. სანაპირო დალმაციური ტიპისაა. მნიშვნელოვანი ყურეებია: ვალენსიის, ლიონის, გენუის, ტარანტოს, სიდრა (დიდი სირთი), გაბესი (მცირე სირთი). დიდი კ-ებია: ბალეარი, კორსიკა, სარდინია, სიცილია, კრეტა და კვიპროსი. ხ. ზ-ს ერთვის დიდი მდ-ები: ებრო, რონა, ტიბრი, პო, ნილოსი და სხვ. მათი საერთო ჩამონადენია დაახლ. 430 $კმ^3$.

ხ. ზ-ის ფსკერი დაყოფილია რამდენიმე ქვაბულად, რ-თა სიღრმე 2000—4000 *მ*-მდეა. გეომორფოლოგიურად ხ. ზ-ში სამი აუზი გამოიყოფა: დ ა ს ა ვ ლ ე თ ი — ალჟირ-პროვანსის აუზი, რ-ის მაქს. სიღრმე 2800 *მ* აღემატება და მოიცავს ალბორანის, ბალეარის, ლიგურიის ზღვის ღრმულებს და 3600 *მ*-ზე უფრო ღრმა ტირენის ზღვის ღრმულს; ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი — 5100 *მ*-ზე უფრო ღრმა ცენტრ. ქვაბული და ადრიატიკისა და იონიის ზღვების ღრმულები, ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი — ლევანტის აუზი, დაახლ. 4380 *მ* სიღრმისა, ლევანტის, ეგეოსისა და მარმარილოს ზღვის ღრმულები. ზოგიერთი ქვაბულის ფსკერი დაფარულია ნეოგენ-ანთროპოგენური დანალექი და ვულკ. ქანებით, რ-თა სისქე ალაგ-ალაგ 5—7 *კმ* აღწევს. ალჟირ-პროვანსის ქვაბულის გვიანდ. მიოცენურ ნალექებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევაპორიტის მარილშემცველი ფენა (სისქე 1,5—2 *კმ*), რ-იც წარმოქმნის მარილის ტექტონიკისათვის დამახასიათებელ სტრუქტურებს. ტირენის ქვაბულის კიდეებზე და ცენტრში გადაჭიმულია რამდენიმე რღვევის ხაზი, რ-ებთანაც დაკავშირებულია ჩამქრალი და მოქმედი ვულკანები; ზოგი მათგანი აჩენს დიდ წყალქვეშა მთებს (ლიპარის კ-ები და სხვ.). ხ. ზ-ის ქვაბულების წარმოქმნას უკავშირებენ კონტინენტური ქერქის გაჭიმვას. ზოგის აზრით კი, პირიქით, მის შეკუმშვასა და ჩაწევას, ზოგიც მას ტეთისის რელიქტად მიიჩნევს.

ჰავა ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა: თბილი და ნოტიო ზამთარი, ცხელი და მშრალი ზაფხული. ზამთარში ზღვაზე მყარდება დაბალი ატმ. წნევა, რაც განსაზღვრავს ცვალებად ამინდს, ხშირია შტორმი, მოდის უხვი ნალექი, ქრის ჩრდილოეთის ცივი ქარი. ზაფხულობით ხ. ზ-ზე გაბატონებულია აზორის ანტიციკლონი, ცა მოწმენდილია, ნალექები მცირეა, აფრიკიდან ქრის სამხრეთის ქარი სიროკო, რ-საც მოაქვს მტვრის ბურუსი. თებ. საშ. ტემპ-რაა 14—16°C (სამხრ.), 7—10°C (ჩრდ.), აგვ. 22—24°C (ჩრდ.), 25—30°C (სამხრ. ნაპირთან). ნალექები 400 ... წელიწადში. ხ. ზ-ში ზედაპირულ დინებას ატლანტის ოკეანიდან ყოველწლიურად შეაქვს 42,32 ათ. $კმ^3$ წყალი, ხოლო ქვედა დინებას გააქვს 40,60 ათ. $კმ^3$ ხ. ზ-ის წყალი. დარდანელის სრუტით, შესაბამისად, წელიწადში შედის 350 $კმ^3$ და გადის 180 $კმ^3$ წყალი. წყლის ცირკულაცია გამოწვეულია ქარის მოქმედებით. ძირითადი დინება მიუყვება აფრ. სანაპიროს გიბრალტარის სრუტიდან ლიბანის ნაპირებამდე, ხოლო მისგან მარცხნივ მდებარე ზღვის აუზებში წყლის ციკლონური ბრუნვის ცალკეული სისტემებია. დინების სიჩქარე ღია ზღვაში 0,5—1 *კმ/სთ*, ზოგიერთ სრუტეში 2—4 *კმ/სთ*. წყლის საშ. ტემპ-რა ზედაპირზე თებ-ში ჩრდ-იდან სამხრ-კენ მატულობს 8—12-იდან 17°C-მდე აღმ. და ცენტრ. ნაწილებში და 11-იდან 15°C-მდე დას. ნაწილში. აგვ-ში იცვლება 19-იდან 25°C-მდე, ეგეოსის აღმ. ნაწილში 27—30°C-მდე აღწევს. მარილიანობა იზრდება 36‰-დან (დას.) 39,5‰-მდე (აღმ.). ფსკერისპირა წყლის ტემპ-რისა და მარილიანობის მაჩვენებლით ხ. ზ. მსოფლიო ოკეანის ერთ-ერთი თბილი და მარილიანი ზღვაა (12,6—13,4°C და 38,4—38,7‰). შედარებითი გამჭვირვალობა 50—60 *მ*-მდე, ფერი — ლურჯი. მოქცევა უმთავრესად ნახევრადდღეღამურია, სიმაღლე 1 *მ*-ზე ნაკლები. ზოგან ქარისმიერი წყლის მოდენასთან ერთად 4 *მ*-მდე აღწევს.

ხ. ზ. გამოირჩევა ფიტო- და ზოოპლანქტონის რაოდენობის სიმცირით, რის გამოც იგი შედარებით ღარიბია თევზით. სახეობრივად მრავალფეროვანია წყალმცენარეები (პეროდინიუმები და სხვ.). ფაუნა სახეობრივად ნაირგვარია, მაგრამ ცალკეული სახეობები რაოდენობრივად მცირეა. გვხვდება დელფინი, თეთრმუცელა სელაპი, ზღვის კუ; ბინადრობს 550 სახეობის თევზი, აქედან დაახლ. 70 სახეობა ენდემურია. ბევრია მოლუსკი, უხერხემლო ცხოველი, მედუზა. ეგეოსის ზღვაში გვხვდება წითელი მარჯანი.

ხ. ზ-ის სანაპირო ზოლი მჭიდროდ არის დასახლებული. მოჰყავთ ციტრუსები, ბამბა და ზეთოვანი კულტურები. ხ. ზ. ევროპას აკავშირებს აზიასთან, ჩრდ. აფრიკასთან, ავსტრალიასა და ოკეანიასთან. მასზე გადის მნიშვნელოვანი საგარეო გზები, რ-ებიც სსრკ-ს საზღვარგარეთის ქვეყნებთან აკავშირებს, და დიდი კაბოტაჟის ხაზები შავ და სსრკ-ის სხვა ზღვების ნავსადგურებს შორის. ხ. ზ-ის როლი განსაკუთრებით დიდია ნავთობის ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდ. აფრიკიდან დას. ევროპაში გადაზიდვის საქმეში. ხ. ზ-ის ნავსადგურები მილსადენებით დაკავშირებულია დას. ევრ. ქვეყნებთან (ავსტრია, გფრ, საფრანგეთი, შვეიცარია). სუეცის არხით ევროპიდან აზიასა და ავსტრალიაში გააქვთ სხვადასხვა ნედლეული, ლითონის მადანი, ბოქსიტები. უმნიშვნელოვანესი ნავსადგურებია: ბარსელონა (ესპანეთი), მარსელი (საფრანგეთი), გენუა, ნეაპოლი, ვენეცია, ტრიესტი (იტალია), რიეკა (იუგოსლავია), პირეოსი და სალონიკი (საბერძნეთი), ბეირუთი (ლიბანი), ალექსანდრია, პორტ-საიდი (ეგვიპტე), ტრიპოლი (ლიბია), ალჟირი (ალჟირი).

ხ. ზ-ის სანაპიროზე და კ-ებზე შექმნილია სამრეწვ. საწარმოები, განვითარებულია ქიმ. და მეტალ. მრეწველობა, მოიპოვება ნავთობი და აირი.

ცნობილი კურორტებია საფრანგეთსა და იტალიაში ლაზურულ ნაპირზე, ესპანეთში ლევანტის სანაპიროზე და ბალეარის კ-ებზე, იუგოსლავიაში ადრიატიკის სანაპიროზე და სხვ.

**ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲔᲑᲘ**, ხმელეთში ღრმად შეჭრილი და ოკეანესთან ერთი ან რამდენიმე სრუტით დაკავშირებული ზღვები. განარჩევენ შ ი გ ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ უ რ (თუ ერთ კონტინენტშია შეჭრილი, მაგ., ბალტიის ზღვა) და კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ თ ა შ ო რ ი ს (თუ რამდენიმე კონტინენტშია შეჭრილი, მაგ., ხმელთაშუა ზღვა, წითელი ზღვა და სხვ.) ზღვებს. სხვა ზღვებთან შედარებით უფრო მეტად განცალკევებულია და თავისებური ჰიდროლ. რეჟიმი აქვთ, რ-ზეც შეგავლენას ახდენს გარემომცველი ხმელეთი.

**ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘ**, ბუნებრივი არე, რ-იც აერთიანებს ხმელთაშუა ზღვის აუზს თავის კუნძულებიანად და ევროპის, აზიისა და აფრიკის მიმდებარე ტერიტორიას, ფართო გაგებით მოიცავს წინა აზიის მთიანეთსაც. ფართ. დაახლ. 4 მლნ. $კმ^2$ (წინა აზიის მთიანეთებთან ერთად 5 მლნ. $კმ^2$-ზე მეტი). ხ. ზოგჯერ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან მდებარე ისტ. ოლქის აღსანიშნავადაც იხმარება.

ხ-ის ბუნებრივი პირობების თავისებურებას განსაზღვრავს სუბტროპ. ხმელთაშუა ზღვის ჰავა. დამახასიათებელია ლანდშაფტის მრავალფეროვნება. მდებარეობს ძირითადად ალპურ გეოსინკლინურ (ნაოჭა) სარტყელში და გამოირჩევა თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობებით, აქტ. სეისმურობით და ვულკანიზმით (ვულკანები ეტნა, ვეზუვი, სტრომბოლი). რელიეფი უმთავრესად მთაგორიანია, ჭარბობს ხაზობრივად გადაჭიმული ნაოჭა და ნაოჭა-ლოდი მთები, რ-ებსაც ყოფენ ხეობები და მთათაშორისი ვაკეები. ფართოდ არის გავრცელებული კირქვები (რელიეფის კარსტული ფორმებით), კრისტ. ქანები, ფიქლები, ფლიში და სხვ. მთლიანად სამხრ. ნაწილს ახასიათებს ბაქნური რელიეფი და ვაკე რელიეფი.

ჰავისა და ლანდშაფტების ხმელთაშუაზღვისპირულობაზე დიდ გავლენას ახდენს მის ჩრდილოეთით მდებარე მთები (პირენეები, ალპები, სტარა-პლანინა). იცის ცხელი, მშრალი, მზიანი ზაფხული, გრილი და წვიმიანი ზამთარი. იანვ. საშ. ტემპ-რა 0—2°C-იდან (ჩრდ.-აღმ-ით) 10—12°C-მდე (სამხრ-ით), ივლ. 19—20°C-იდან (ჩრდ-ით), 28—30°C-მდე (სამხრ-ით). წლის ყველა სეზონში რადიაციული ბალანსი დადებითია. ნალექები 300—3000 *მმ* წელიწადში. მდგრადი თოვლის საფარველი მხოლოდ მაღალ მთებზეა. იცის ადგილ. ქარები (ბორა, მისტრალი, სიროკო და სხვ.). დიდი მდ-ები ებრო, ტიბრი, პო, რონა და ნილოსი გამოყენებულია სარწყავად.

გავრცელებულია ყავისფერი და ტყის ყვითელმიწა მთის ნიადაგები. მცენარეული საფარი ძალზე შეცვლილია ადამიანის მიერ. ჭარბობს ბუჩქნარი და ბუჩქოვანი ბალახეულის (მაკვისი, გარიგა, ფრიგანა) ფორმაციები. ალაგ-ალაგ შემორჩენილია ქვისა და კორპის მუხის, ალეპოს ფიჭვის ტყის უბნები. მთაში კარგად არის გამოხატული სიმაღლებრივი სარტყლურობა. მრავალი ენდემი. მოჰყავთ ყურძენი, სიმინდი, თამბაქო, ბამბა, მეციტრუსეობა. ზეთისხილისა და ციტრუსების პლანტაციები. ხ. ეკუთვნის ხმელთაშუა ზღვის ზოოგეოგრ. ქვეოლქს. ბინადრობს მგელი, მელა, ტურა, წავი, მაჩვზღარბი, ... ბევრი ფრინველი. შექმნილია ბევრი ნაკრძალი და ეროვნ. პარკი.

**ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲡᲐ**, ანთროპოლოგიური ტიპების გარკვეული ჯგუფი, რ-ებიც შედიან ინდოხმელთაშუაზღვისპირულ ანუ სამხრეთევროპულ რასაში. გავრცელებულია პირენეის ნ.-კ-ის, სამხრ. საფრ., სამხრ. იტალ., ნაწილობრივ საბერძნ., ჩრდ. აფრ., სიცილიის, სარდინიის, კორსიკისა და ბალეარის კ-ების მოსახლეობაში. მისთვის დამახასიათებელია მუქი, ტალღისებური თმა, მუქი ფერის თვალები და კანი, მსხვილი ტუჩები, ვიწრო ქალა, ვიწრო და მაღალი სახე, ვიწრო და




ხვ. ხვლიკები 1. ნიჩაბკუდა გეკონი; 2. მადაგასკარის გეკონი; 3. ლურჯენა ავსტრალიური სცინკი; 4. ქვის ჯოჯო; 5. კუბის ანოლისი; 6. ბასილისკუსი; 7. ყურებიანი მრგვალთავა; 8. მფრინავი დრაკონი; 9. წამოსასხამიანი ხვლიკი; 10. მწვანე იგუანა; 11. გალაპაგოსის ზღვის ხვლიკი; 12. მოლოხი; 13. კასპიური ჯოჯო; 14. საშუალო ხვლიკი; 15. გომბეშოსებრი ხვლიკი; 16. ზოლიანი ხვლიკი; 17. ბოხმეჭა; 18. ბენგალიური ვარანი; 19. ზონარკუდა; 20. შხამკბილა; 21. ართვინის ხვლიკი (საქართველოს ენდემი); 22. მარდი ფსვენი; 23. გრძელფეხება სცინკი (შეტანილია „წითელ წიგნში"); 24. კავკასიური ჯოჯო.



სურ. ხოჭოები. 1. კარტოფილის ხოჭო ანუ კოლორადოს ხოჭო; 2. წითელფრთიანი ლუნაგორია; 3. ირემხოჭო; 4. ბანჯგვლიანი ბრინჯაოსანა; 5. ჭარხლის ფარისანა; 6. მუზეუმის ხოჭო; 7. ქვიშრობის ზოზინა; 8. მურყნის ფოთოლიჭამია; 9. ალვის ხის ფოთოლიჭამია; 10. ფეხწითელა რწყილი, მაწყ რწყილი; 11. ბოწვეული რინქიტი; 12. უსურიის გიგანტური ხარაბუზა; 13. ზაზის ცხვირიჭამია; 14. ნაძვის დიდი ქერქიჭამია; 15. ალაზნის ბზუალა 16. ჭიაწურბელა; 17. შავზოლიანი ბზუალა, 18. ბარდის მემარცვლია; 19. მწვანე ბრინჯაოსანა; 20. ნათესის ტკაცუნა; 21. შვიდწერტილა ჭიამაია; 22. ოთხლაქიანი ჭიამაია

სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1943, 1946 — ორჯერ, 1951). 1972 ხ-ს სახელი ეწოდა მსახიობის სახლს (თბილისი). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, 2 წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით. შ. ცეცხლაძე.



ა. ხორავა ოტელოს როლში (შექსპირის „ოტელო")

**ხორავა** ტარასი ტარასის ძე (10. VII. 1913, გუდაუთა, — 1. IX. 1976, სოხუმი), ქართველი საბჭ. მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1961). 1934—36 სწავლობდა სოხ. პედ. ინ-ტის ქიმ.-ბიოლ. ფაკ-ტზე. 1934-იდან იყო სოხ. ქართ. სახელმწ. დრამ. თეატრის მსახიობი. წარმატებით ასახიერებდა სახასიათო და „კომედიურ" როლებს, რ-თა შორის აღსანიშნავია: ლომკაცა, კაკუტა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", „ყვარყვარე თუთაბერი"), მალვოლიო (შექსპირის „მეთორმეტე ღამე"), კირკიტა (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები"), შმაგა (ა. ცაგარელის „უბედური დამნაშავენი"), ილიკო, ილარიონ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „საბრალდებო დასკვნა", ნ. დუმბაძის მიხედვით), ტარტიუფი (მ. გორკის „მეშჩანები"), სულეიმანი (ა. პაპიაშვილის „არშინ მალ-ალანი"), ბექირ (ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი"), მირზა (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები"), ყარამანი (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?"), აგამი (ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება") და სხვ. შ. ცეცხლაძე.



ტ. ხორავა

**ხორაზმი,** XIV ს. უზბეკი პოეტი. მისი ცხოვრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. კარგად ფლობდა ძვ. უზბ. და სპარსული ენებს, აგრეთვე ლიტ. ლექსიებისა (რვეულამდე არ მოუღწევია), რ-ებსაც დიდი შეფასება მისცა ქამალ ბოჯენდიმ, და პოემისა „სიყვარულის წიგნი" („მუჰაბათნამე", 1353), რ-ის ორიგინალიც დაკარგულია. ცნობილია პოემის 2 გადაწერილი ხელნაწერი. ერთი შესრულებულია უიღურული დამწერლობით (1432) და შედგება 10 ლექს-უსტარისაგან (ძვ. უზბ. ენაზე), მეორე — არაბ. დამწერლობით და შეიცავს 11 „უსტარს" (8 — ძვ. უზბ. ენაზე, 3 — სპარსულ ენაზე). ორივე ხელნაწერი ინახება ბრიტ. მუზეუმში. ა. ცაგარელიშვილი.

**ხორამაბადი,** ქალაქი დას. ირანში, ლურისტანის ოსტანში, თეირან—აჰვაზის საავტ. გზაზე 200 ათ. მცხ. (1983). სავაჭრო ცენტრი (მატყლი, მარცვლეული, ხმელი ხილი) სოფ. მეურნ. პროდუქციის გადამუშავება.

**ხორამშაჰრი,** ქალაქი სამხრ.-დას. ირანში, ხუზისტანის ოსტანში. დაახლ. 100 ათ. მცხ. (1983). ნავსადგური მდ. შატ-ელ-არაბზე. რკინიგზის სადგური. გემთსაშენი, ნავთობგადამამუშ., ტყავის მრეწველობა. გააქვთ ფინიკი, ბამბა, ტყავნედლეული.

**ხორანთა,** ქალაქი ისტორიული საქართველოში, მდ.-ების მცირე ალაზნისა და დიდი ალაზნის (იორისა და ალაზნის) შესართავთან ახლანდ. მისი ტერიტორია მოქცეულია მინგეჩაურის წყალსაცავში (აზერბ. სსრ ტერიტ.). ისტ. ტრადიციის მიხედვით დააარსა ქერქეთის ერისთავმა პეროსმა (იხ. ქართველთა ცხოვრება). ქალაქს თავდაპირველად პეროჯი ერქვა. XI ს-ში მოიხსენიებულია ხ-ს სახელწოდებით. დ. მუსხელიშვილი.

**ხორასანი,** ისტორიული ოლქი შუა აზიისა ახლო აღმოსავლეთში III ს.—XVIII სს. შუა წლებში მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდ.-აღმ. ნაწილს, მარის ოაზისს, თურქმ. სსრ სამხრეთის ოაზისებს, ავღ. ჩრდ. და ჩრდ.-დას. ნაწილებს. მთავარი ქალაქები იყო მეშჰედი, მარვი, ნიშაბური, ტუსი, ბალხი და სხვ. ცნობილია სასანიდთა დროიდან VII ს. შუა წლებში დაიპყრეს არაბებმა. შემდგომში ხ-ში თანმიმდევრულად ბატონობდნენ ტაჰირიდები, საფარიდები, სამანიდები, ღაზნევიდები, სელჩუკები, ხვარაზმშაჰები, ჰულაგუიანები და სხვ. VIII—XIII სს-ში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა იყო. IX ს-იდან დაწინაურებული აღ. სპარს. ენისა და ლიტ-რის აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი კერად ითვლებოდა. 1510—1736 სეფიანთა სახელმწ. შემადგენლობაში შედიოდა. სეფიანთა დაცემის შემდეგ ხ-ის ნაწილი (ჰერათის ოლქი და ბალხი) ავღანეთის, ხოლო ნაწილი — ირან. შემადგენლობაში შევიდა. მარვის ოლქი კი XIX ს. დასაწყისში თურქმენებმა დაიპყრეს. ხ-ის დას. ნაწილში, სოფ. ასადაბადში, შაჰ-აბას I-მა დაასახლა საქართველოდან (კახეთიდან) გადასახლებული ქართველები. პ. თოფურია.

**ხორაშინხთავი,** მთა ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ლაჯანურისა და ასკისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფზე, ამბროლაურის რ-ნში. სიმაღლე 2192 მ. აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, იშვიათად — კირქვებით. კალთები შემოსილია სუბალპ. მდელოს ბალახეულით. ნ. არჩვაძე.

**ხორბალი** (Triticum), მარცვლოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. გვარი იყოფა 2 ქვეგვარად და 6 სექციად, რ-ებშიც გაერთიანებულია 27 ველური მზარდი და კულტ. სახეობა. საქართველოში აღწერილია 14 ბუნებრივი სახეობა ეს რეგიონი ხ-ის ბევრი კულტ. სახეობის წარმოშობის პირველადი გენცენტრია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ენდემური (T. georgicum, T. carthlicum, T. timopheevi, T. macha, T. zhukovskyi) და სხვა სახეობათა (T. monococcum, T. dicoccum, T. polonicum, T. durum, T. turgidum, T. aestivum, T. compactum) მრავალფეროვნებით. ამ ზემოაღნიშნული დაქმანებით ენდემური სახეობების საფუძველზე მიღებულია 5 ახ. სახეობა (T. timonovum, T. fungicidum, T. militinae, T. kibarae, T. flaksbergeri) აღმოჩნდება, რომ გვარში შემავალ სახეობათა 65%-ზე მეტი საქართველოზე მოდის გარდა ამისა, საქართველოში აღწერილია ხ-ის 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიში. ამავე დროს საქართველო ცნობილია იმუნური ხ-ის სამშობლოდ.

ხ-ის გავრცელების არეალი მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს. ხ ერთწლოვანი მცენარეა, მაგრამ არსებობს მრავალწლოვანი ფორმებიც. გვხვდება საშემოდგომო, საგაზაფხულო და ნახევრად საშემოდგომო ფორმები. ხ-ის გვარში შემავალი სახეობებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია რბილი (T. aestivum) და მაგარი (T. durum) ხ. ხ-ს აქვს ფუნჯა ფესვი. ღეროს სიმაღლე 40—130 სმ აღწევს. მოწითალო ან იისფერია. ყვავილედი რთული თავთავია, რ-ის ღეროზე თავთუნები თითოეულ თავთუნში 3—5 (ზოგჯერ მეტი) ყვავილია. თავთავი სხვადასხვა ფორმისაა — თითისტარისებრი, კვადრატული, კომბლისებრი, პრიზმისებრი; ფერად — თეთრი, წითელი, შავი; ფხიანი ან უფხო. ხ თვითმტვერია მცენარეა. ყვავილობა აქვს დახურული, ზოგჯერ ღიაც. ნაყოფი შიშველი ან კილიანი მარცვალია, რ-იც შეიძლება იყოს ოვალური, ელიფსური, კვერცხისებრი, წაგრძელებული ან მომრგვალო ფორმის, ხოლო კონსისტენციით რქისებრი, ნახევრად რქისებრი, ფქვილისებრი. ხ-ის 1000 მარცვლის მასა არის 22—25, ზოგჯერ 60—75 გ. მარცვალი გაღივებას იწყებს 1—2°C ტემპ-რაზე, აღმოცენების ოპტიმალური ტემპ-რაა 12—15°C, ხოლო ზრდა-განვითარებისა 22—25°C. ხ. ტენის მოყვარული მცენარეა. მაღალი აგროტექ. პირობებში ინტენს. ტიპის ჯიშებიდან ღებულობენ 80—100 ც/ჰა მარცვლის მოსავალს.

ხ. ერთ-ერთი ძირითადი სასურსათო კულტურაა მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში ხ-ზე მოდის 27%-ზე მეტი. მარცვალი დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას (10-იდან 25%-მდე), ნახშირწყლებს (60—64%), ცხიმს (2%), ვიტამინებს, ფერმენტებს, მინერ. ნივთიერებებს და სხვ. ხ-ის შენახვა და გადაზიდვა ადვილია. გადამუშავების შედეგად ღებულობენ ფქვილს, ბურღულს და სხვა პროდუქტებს. მარცვლის ნარჩენი ძვირფასი საკვებია მეცხოველეობისათვის. სსრკ-ში დარაიონებულია ხ-ის 80-მდე საშემოდგომო, ხოლო 100-ზე მეტი საგაზაფხულო ჯიში. საქართველოში დარაიონებულია ხ-ის ჯიშები: „ბეზოსტაია 1", დოლის პური 38—4, დიკა, აისი, დიკა 9/14, ცერულესცენსი 19/23 და სხვ. უმთავრესად გავრცელებულია ხორბლის მთესველ რ-ნებში (წითელწყარო, სიღნაღი, ყვარელი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გორი, ქარელი, ხაშური, ახალციხე, კასპი, ახალქალაქი, თეთრიწყარო, მარნეული და სხვ.)

ლიტ.: ნ ა ს ყ ი დ ა შ ვ ი ლ ი პ., ს ა ხ ო კ ი ა მ., ჩ ე რ ნ ი შ ი ა., ხორბლის სელექცია საქართველოში, თბ., 1983; В а в и л о в Н. И., Мировые ресурсы сортов хлебных злаков, зерновых, бобовых, льна и их использование в селекции. Пшеница, М.—Л., 1964; Д е к а п р е л е в и ч Л. Л., Виды, разновидности и сорта пшеницы Грузии, «მეცნიერებათა აკ-ის შრომები», 1954, [ტ-] 5; Культурная флора СССР, [т.] 1 — Пшеница, Л., 1979; Пшеницы мира, Л., 1976. პ. ნასყიდაშვილი.

**ხორბალო,** სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ზემო ოკრიბის სოფსაბჭო), მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 560 მ. ამბროლაურიდან 5 კმ, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 34 კმ. ზემო ალაზნის მეცხვარეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. და ჯან. სკოლები სოფ. ზემო ალვანში (2 კმ).

**ხორბლის მავნებელი ბუზანკალა,** მარცვლოვანი კულტურების ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რ-საც იწვევენ ბუდაფუმულოვანი სოკოები. მცენარე ავადდება ყვავილობის ფაზაში. სოკოს სპორა ყვავილის ღინგზე ხვდება და ღივდება, შეიჭრება ქსოვილში და ჩანასახში მიცელიუმის სახით ზამთრობს. მეორე წელს, როდესაც დაავადებული თესლი ღივდება, მიცელიუმიც აქტიურდება, თავთავის ზრდის კონუსთან გადაინაცვლებს და მცენარესთან ერთად იზრდება, მთელ თავთავს კი შავ მტვრად აქცევს. ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი: თესლის თერმული დამუშავება (შედგება 2 ოპერაციისაგან: ჯერ თესლს ალბობენ წყალში 25—32°C ტემპ-რაზე 4 სთ განმავლობაში, შემდეგ იგი გადააქვთ 52—53°C ტემპ-რის მქონე წყალში და 7—8 წთ აჩერებენ, ხოლო შემდეგ აშრობენ). შ. ძაგნიძე.

**ხორეზმის ოლქი,** შედის უზბ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1938 წ. 15 იანვ. მდებარეობს რესპ. ჩრდ.-დას. ნაწილში, ამუდარიის ქვემო დინების მარცხენა ნაპირებში. ფართ. 6,3 ათ. კმ². მოსახლ. 891 ათ. კაცი (1985). აქედან ქალაქში ცხოვრობს 29%. ცენტრი — ქ. ურგენჩი. ხ. ო-ის ტერიტ. დაბლობი ვაკეა (სიმაღლე 100 მ-მდე). მდ. ამუდარიის ძვ. დელტის ნაწილი დასავლეთი და სამხრ.-დას-ით ეკვრის ყარაყუმის უდაბნო. მთავარი მდინარეა ამუდარია, რ-საც ფართოდ იყენებენ სარწყავად ბევრია პატარა მლაშე ტბა. ხ. ო. უზბ. სსრ მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი რ-ნია მრეწვ. დარგებიდან მთავარია ბამბის და კვების მრეწველობა ჩათვლით ფართობი მთლიანად სარწყავია. ფართ. 62,7% უკავია ბამბის ნათესებს. მოჰყავთ მარცვლეული, საკვები კულტურები, კარტოფილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, ხილი და სხვ. მეცხოველეობა სახორც-სარძეო მიმართულებისაა. მისდევენ მეაბრეშუმეობას განვითარებულია სარკინიგზო, საავტ. და საჰაერო ტრანსპორტი. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის (1963) და შრომის წითელი დროშის (1971) ორდენებით.

**ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა,** საბჭოთა რესპუბლიკა შუა

ცილებთან — კარნოზინით, ანსერინით, კარნიტინით, ადენოზინტრიფოსფატით (ატფ), ადენოზინდიფოსფატით (ადფ), ადენოზინმონოფოსფატით (ამფ), ინოზინმონოფოსფატით (იმფ), პურინის ფუძეებით, ამინომჟავებით, შარდოვანათი და სხვ. უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებები — გლიკოგენით, გლუკოზით, ჰექსოზოფოსფატით, რძემჟავათი, პიროყურძნმჟავათი და სხვ. ლიპიდების რაოდენობა დამოკიდებულია ცხოველის ნაკვებობაზე. ფოსფოლიპიდების რაოდენობა 0,5—0,8%-ს შეადგენს, საერთო ქოლესტერინისა — 60—70 მგ%, ეთერიფიცირებული ქოლესტერინისა — 3—9 მგ%-ს. ტრიგლიცერიდების რაოდენობა მეტად ცვალებადია. მცირე რაოდენობით გვხვდება ცხიმოვანი მჟავები, მონო- და დიგლიცერიდები. ფოსფოლიპიდები წარმოდგენილია ლეციტინებით, კეფალინებით, სერინფოსფატიდებით, სფინგომიელინებით, პლაზმალოგენებით. საკლავის კუნთის ლიპიდების ცხიმოვანი მჟავები ძირითადად უმაღლესი მჟავებია, რომთა ნახშირბადის ატომები წყვილ რიცხვს შეადგენს (ცხიმოვანი მჟავების საერთო შემცველობის 95—99%). ხ-ის შედგენილობაში შედის აგრეთვე მინერ. ნივთიერებები (P, Na, Mg, Ca, Fe, Zn) და მრავალი სხვა მიკროელემენტი (Cu, Sr, Ba, B, Si, Sn, Pb, F, I, Mn, Co, Ni და სხვ.)

ნაკლავში მიმდინარე ბიოქიმ. პროცესები. დაკვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ იწყება კუნთოვანი ქსოვილის გაშეშება (Rigor mortis) — კუნთები კარგავს ელასტიკურობას, ჭიმვადობას და მაგრდება, ხ. უგემოვნდება. მაგრამ შემდეგ ბიოქიმ. პროცესები, რომელიც ნაკლავის კუნთებში გრძელდება, განაპირობებს კუნთების დარბილებას, ხსნის გაშეშებას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხ-ის ხარისხს. დაკვლისთანავე კუნთებში იწყება გლიკოგენის გარდაქმნა რძემჟავად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხ-ის ხარისხის გაუმჯობესებაში. ხდება ნუკლეოტიდების დეფოსფორილირება და დეზამინირება. დაკვლიდან 24 სთ განმავლობაში მთავრდება ატფ-ს დაშლა, რის შედეგადაც გროვდება ფოსფორმჟავა, მოგვიანებით — ინოზინმონოფოსფატი. ბიოქიმ. პროცესების თანმხლები ხ-ის ცილების სათანადო ფიზ.-ქიმ. პროცესები განაპირობებენ მათი ჰიდრატაციის მნიშვნელოვან ცვლილებას. ყოველივე ამის გამო ხ. ნაზი და წვნიანი ხდება. მასში წარმოიქმნება საგემოვნო და სპეციფ. ნივთიერებები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კულინარიაში. როგორც ჩანს, ხ-ის გემო დამოკიდებულია წყალში ხსნად ექსტრაქტულ ნივთიერებებზე, მ. შ. ინოზინმჟავაზე, გლუტამინმჟავაზე და მრავალ სხვა, დაბალმოლეკულურ ნივთიერებაზე, ხოლო სპეციფ. „სხვადასხვა ცხოველისათვის დამახასიათებელი" ხ-ის გემო და არომატი — ლიპიდებზე ან მათ შენაერთებზე.



ხორცუჯანა (Atraphaxis caucasica).

მიკრობიოლოგიური პროცესები. ჯანმრთელი, დასვენებული ცხოველის ხ-ში მიკროორგანიზმები არ არის. ცხოველის დაკვლა კი ხელს უწყობს ნაწლავებიდან მათ შეჭრას კუნთოვან ქსოვილში. დაღლილი და ხანგრძლივად ნაშიმშილევი ცხოველის ხ. შეიძლება საკვებისმიერი ტოქსიკოინფექციების მიზეზი გახდეს. ხ-ის ხანგრძლივად გაციებისა და შენახვას ახლავს მიკროორგანიზმების ზრდა, რაც განაპირობებს ხ-ის გალორწოიანებასა და ლპობას. ლპობის ფერმენტების გავლენით იშლება ცილები და წარმოიქმნება ლპობის პროდუქტები (ამიაკი, გოგირდწყალბადი, ნახშირმჟავა, მერკაპტანი, სკატოლი, ინდოლი, კარბონული შენაერთები, ამინები, სპირტები და სხვ.), რაც განაპირობებს ხ-ის აყროლებას.

ხ ადამიანის კვებისათვის აუცილებელი ცილების ძირითადი წყაროა. ბულიონსა და შემწვარ ხ-ში დიდი რაოდენობითაა საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციის ძლიერი აგზნები აზოტოვანი ექსტრაქტული ნივთიერებები, მოხარშულში კი — მცირე რაოდენობით, რის გამოც ამ უკანასკნელს სამკურნალო კვების დროს იყენებენ. ხ-ის ცხიმის დნობის ტემპ-რა მაღალია (ძროხის ხ-ის ცხიმისა — 45—52°C, ცხვრისა — 46—56°C, ღორისა — 34—44°C). დნობის ტემპ-ზეა დამოკიდებული ხ-ის შეთვისებადობა (ძროხისა — 90%, ღორისა — 97—98%). ხ შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს ($B_1$ — 0,10—0,93 მგ%, $B_2$ — 0,15—0,26 მგ%, PP — 2,7—6,21 მგ%, $B_6$ — 0,3—0,61 მგ%, ქოლინი 80—113 მგ%) და სხვ.

ვეტ.-სანიტ. ექსპერტიზა მოიცავს ცხოველთა ვეტ. შემოწმებასა და დაუმუშავებელი ნაკლავისა და შიგნეულის გამოკვლევას. შეიძლება მხოლოდ კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველის დაკვლა ადამიანის საკვებად. ამასთანავე უნდა არსებობდეს ცნობა, რომ იმ მეურნეობაში, საიდანაც მოდის საქონელი, ინფექციური დაავადება გავრცელებული არ არის. დაკვლის შემდეგ ექსპერტიზას უტარებენ თითოეულ დაუმუშავებელ ნაკლავსა და მის შიგნეულს. ექსპერტიზა მოიცავს პათოლოგ.-ანატ., მიკრობიოლ. და ბიოქიმ. გამოკვლევას. იყენებენ აგრეთვე გამოკვლევის ორგანოლეპტიკურ და ფიზ.-ქიმ. მეთოდებს. 1970-იან წლების დასაწყისიდან იყენებენ ჰისტოლოგიურ ანალიზს (მიკროსტრუქტურული ცვლილებების გამოვლენა).

**ხორცის ნახევარფაბრიკატების ქარხანა,** საქ. სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს წარმოებითი გაერთიანება „თბილხორცის" საწარმო. დაარსდა თბილისში 1914. თავდაპირველად აქ მხოლოდ პირუტყვს ხოცავდნენ. 1924 ქ-ნას შეემატა მაცივარი და სხვა დამხმარე საამქროები. 1974 აშენდა სამზარეულო-კულინარიული საამქრო, რომელიც ამჟამად აწარმოებს ხორცის ნახევარფაბრიკატებს, პელმენს, მშრალ საკვებს, საკვებ და ტექ. ქონს. გამოშვებული პროდუქციით მარაგდება თბილისი და მისი მიმდებარე რ-ნები. სასაქონლო პროდუქციის მოცულობამ 1985 შეადგინა 62,4 მლნ. მან. *ნ. გაგაშვილი.*

**ხორცისმიერი მოწამვლა,** იხ. სალმონელოზები.

**ხორცის სპორიანები,** სარკოსპორიდიები, პარაზიტული უმარტივესების სპორიანების კლასისა (Sarcocystis გვარისა). მოიცავს რამდენიმე ათეულ სახეობას. პარაზიტობენ ძუძუმწოვრების (მაგ., S. tenella — ცხვრის, S. miescheriana — ღორის), ფრინველებისა (S. rileyi — იხვის, S. gallinarum — ქათმის) და ქვეწარმავლების კუნთებში, იშვიათად — შემაერთებელ ქსოვილში. ადამიანში იშვიათად გვხვდება S. lindemani, რომლის პათოგენური მნიშვნელობა ჯერ უცნობია. ხ. ს-ით ძლიერი დასნებოვნების შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს დამბლა, საკლავი ცხოველების ხორცის ხარისხი კნინდება.

**ხორცუჯანა** (Atraphaxis), მცენარეთა გვარი მატიტელასებრთა ოჯახისა. ბუჩქებია, ზოგიერთის ტოტები ეკლიანი. მარტივი ფოთლები აქვთ. ყვავილები მწვანე. გავრცელებულია ძირითადად წინა და შუა აზიაში. კავკასიაში ცნობილია ხ-ს 5 სახეობა, საქართველოში — 2. A. spinosa-ს ფოთოლი პატარაა, სქელი, მოცისფრო-მწვანე, A. caucasica-ს უფრო დიდი ზომისაა, მწვანე. მოთეთრო ან ვარდისფერი ყვავილები აქვს. გვხვდება აღმ. საქართველოში მშრალ და ქვიან ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე, ნხორაგ — მშრალ მეჩხერ ტყეში. დეკორატიულია, იყენებენ კლდოვანი ადგილების გასამწვანებლად. *მ. ივანიშვილი.*

**ხორძენე, ხ ო რ ზ ე ნ ე** (ანტ. წყაროებში — ო ტ ე ნ ე და კ ა მ ბ ი ს ე ნ ე), მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, მდ. ჭოროხის ხეობაში; შუა საუკუნეებში მხარეები ტაო და კოლა. წყაროებში პირველად მოხსენიებული აქვს სტრაბონს (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.), როგორც ძვ. წ. II ს. ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორია, ანექსირებული სომხეთის სამეფოს მიერ. I—II სს-ში ხ. კვლავ ქართლის შემადგენლობაში იყო. III—IV სს-ში ხ-ს ისევ სომხეთი დაეუფლა. ხ-ს ერთი ნაწილი (კოლა) ქართლს საბოლოოდ V ს-ში შეუერთდა, დანარჩენი (ტაო) — VIII ს-ში. *დ. მუსხელიშვილი.*

**ხორხეთის მღვიმე,** მღვიმე ბედენის ლავურ პლატოზე, სოფ. პატარა კლდეისის (თეთრი წყაროს რ-ნი) მიდამოებში, მდ. კლდეისისწყლის აუზში, 1450 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია დოლერიტულ ლავებში. მღვიმეს სადერეფნო ფსკერი აქვს. საერთო სიღრმე 14 მ. შემჩნეულია, რომ მღვიმეში ივლისშიც რჩება მცირე ყინულები. *ზ. ტატაშიძე.*

**ხორხელი,** სოფელი ახმეტის რ-ნში (თუშეთის სოფსაბჭო), მდ. ხოდაშნისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 580 მ, ახმეტიდან 14 კმ, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 კმ. ზემო ხოდაშნის მეღვინეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლ., კლუბი, სამედიცინო-სამეანო პუნქტი.

**ხორხი** (Larynx). ზ ე დ ა ხ ო რ ხ ი, ხმელეთის ხერხემლიანებისა და ადამიანის სასუნთქი სისტემის განყოფილება. ჩვეულებრივ მოიცავს ხმის აპარატს. ხ-ის ღრუ გაყოფილია წინა და უკანა ნაწილებად. წინა ნაწილი უკავშირდება ხახას, უკანა — სასულეს. ამფიბიების უმრავლესობას, ქვეწარმავლებს და ფრინველებს ხ-ში ციცხვისებრი და ბეჭდისებრი ხრტილები აქვთ. ძუძუმწოვრებს განუვითარდათ აგ. ხრტილები — ფარისებრი და ხორხსარქველი, ამასთან ერთად უმრავლესობას ხ-ში გაუჩნდა დამატებითი ხრტილები — რქოვანი და სოლისებრი. მრავალ ძუძუმწოვარს (ფეხმოკლენაირების გარდა) აქვს ხმოვანი იოგები, რომელიც გაჭიმულია ციცხვისებრ და ფარისებრ ხრტილებს შორის. გიბონებს და შიმპანზეებს ნამდვილი ხმოვანი იოგები აქვთ. ძუძუმწოვრებისაგან განსხვავებით, ფრინველებს ხ-ში არ გააჩნიათ ხმოვანი იოგები და მათ ფუნქციას ასრულებს ქვედა ხ-ის (syrinx) ხმოვანი აპკები. ხ-ის აგებულება დამოკიდებულია ცხოველის კვებისა და სუნთქვის თავისებურებაზე. *გ. პაპიძე.*

ადამიანის ხ., სასუნთქი აპარატის ხმის წარმომქმნელი ღრუ ორგანო; ხ. ხახის გაგრძელებაა, ატარებს ჰაერს სასულეში და ხელს უშლის საკვები ნაწილაკებისა და წყლის მოხვედრას სასუნთქ გზებში. მდებარეობს კისრის წინა მიდამოში, კისრის მე-4—მე-6 მალების დონეზე. ხ. შედგება 3 კენტი (ფარისებრი, ბეჭდისებრი, ხორხსარქველის) და წყვილი ციცხვისებრი ხრტილისაგან, რომლებიც სახსრებითა და იოგებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, აქვთ საგანგებო მუსკულატურა. ხ-ის ღრუ ამოფენილია ლორწოვანი გარსით; მასში გამოყოფენ შესავალს ანუ კარიბჭეს, შუა ანუ პარკუჭის და ქვემო ნაწილებს. ზემო და შუა ნაწილების საზღვარზე გაჭიმულია პარკუჭის ანუ ცრუ ხმოვანი იოგები, შუა და ქვემო ნაწილის საზღვარზე კი ნამდვილი ხმოვანი იოგები, რომლებიც წარმოადგენენ ფარისებრი ხრტილის შიგნითა კუთხესა და ციცხვისებრი ხრტილის ხმოვან მორჩს შორის გაჭიმულ, ე. წ. ელასტიკური კონუსის ზედა თავისუფალ კიდეს. მარჯვ. და მარცხ. ხმოვან იოგებს შორის რჩება სივრცე — ჯია. ხ. არტერიულ სისხლს ხ-ის ზემო და ქვემო არტერიებიდან ღებულობს.

დროს სათავეში ჩაუდგა ანტიერუფიტების წინააღმდეგ ბრძოლას, რ-იც მეფ.-ხალხის გამარჯვებით დასრულდა.

**ხუასინხუი** (ჩინეთის აღორძინების კავშირი), ბურჟუაზიულ-რევოლუციური ორგანიზაცია ჩინეთში. მნიშვნელობით მეორე ორგანიზაციის შემდეგ. შექმნეს ხუან სინმა და სხვებმა 1904 დასაწყისში ქ. ჩანშაში (ხუნანის პროვ.) ცინის მანჯურიული დინასტიის დამხობის მიზნით. აჯანყების მომზადებაში, რ-იც უნდა დაწყებულიყო ჩანშაში 1904 წ. 16 ნოემბ. ხ. მიიღო ვრცლობა გლეხთა ფარულ საზ-ებმა. აჯანყების მომზადების ამბავი გაიგო ხუნანის გუბერნატორმა, რ-ის ბრძანებით, 1904 წ. 28 ოქტ. ხ-ს წევრები დააპატიმრეს. ხუან სინი იაპონიაში გაიქცა. 1905 ხ-ს ბევრი წევრი ტუნმენხოიში შევიდა და ხ-მ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა.

**ხუარამ ცოტაიძე**, XII ს. II ნახ. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე; დიდგვაროვანი აზნაურის რაცხი ერისთავთერისთავის დიდი. თამარ მეფეს ს. ც. კრავაი ჯაყელთან ერთად მოციქულად მიუგზავნა აჯანყებულ ყუთლუ-არსლანს (იხ. ყუთლუ-არსლანის აჯანყება). მანდილოსანთა მისია წარმატებით დამთავრდა.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: მეტრეველი რ., მანდატურთუხუცესი და ლაშქრის სარდალი საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1966. *რ. მეტრეველი.*

**ხუბეი**, პროვინცია ჩინეთში, მდ. იანძის შუაწელში, დუნტინხუს ტბის ჩრდ.-ით. ფართ. 187 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 48,8 მლნ. კაცი (1984) ადმ. ც. — ქ. უხანი. ზედაპირი ვაკეა. ჰავა სუბტროპ., მუსონური. მდინარია ტბა

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ., უმთავრესად მიწათმოქმედება. მუშავდება პროვინციის თითქმის 30% ნათესი ფართობის ნახევარზე მეტი სარწყავია მთავარი მარცვლეული კულტურებია ბრინჯი (მარცვლეულის მოსავლის 70%), ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვი. ტექ. კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა, რამი, შიობამბა, არაქისი, რაფსი, ჩაი, თამბაქო, შაქრის ლერწამი განვითარებულია მებაღეობა, მეცხოველეობა, სატყეო მეურნეობა. თევზჭერა და თევზის მოშენება.

ილეწება რკინის მადანი, რის ბაზაზეც განვითარდა შავი მეტალურგია და ლითონდამუშავება. მრავალდარგოვანია მანქანათმშ. (მძიმე, ელექტროტექ., ენერგეტ. და სხვა მოწყობილობის, საფეიქრო და სას.-სამ. მანქანების, რკინიგზის ვაგონების, სამდ. გემების წარმოება). მრეწვ. ქიმიკ. ფარმაცია კვების და საფეიქრო (უმთავრესად ბამბეულის) მრეწველობა მნიშვნელოვანი ქ-ებია უხანი, ხუანში, იჩანი, შაში, სიანფანი, ჟუანჩუ, ეჩში. სანაოსნოა მდ. იანძი და მისი შენაკადები

**ხუბერიანი** კონსტანტინე მიხეილის ძე [დ. 28 III (10. IV). 1911, თბილისი], საბჭ მეცნიერი სამშენებლო მექანიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1969), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961) სკკპ წევრი (1939-იდან). დაამთავრა ამიერკავკ. საინჟინრო-სამელიორაციო ინ-ტი (1932). 1931-იდან მუშაობს ენერგეტ. და ჰიდროტექ. ნაგებობათა საქართვ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში 1969-იდან ამავე ინ-ტის ნაგებობათა თეორიის განყ-ის გამგეა. შექმნა ჰიდროტექ. ნაგებობათა და კონსტრუქციების გაანგარიშების ახ ეფექტური მეთოდები

თხზ. К расчету статически неопределимых форм, Тб., 1934; Общий смешанный вариационно-стержневой метод в применении к толстым симметричным оболочкам произвольной формы, Труды VI Всесоюзной конференции по теории оболочек и пластинок, М., 1966; Рациональные формы трубопроводов, резервуаров и напорных перекрытий, М., 1956.

**ხუბიაკა**, მთა კახეთის კავკასიონის მთაგორი ქედის თხემზე. მდ-ების ჩელთისა (ალაზნის მარცხ. შენაკადი) და სიხურის (ავარიის ყოისუს მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3104 მ. აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ჩრდ. და აღმ. კალთებზე ტყლიეფი მკაცრია, სამხრ. და დას-ზე — შედარებით ნაზი. ხ-ზე შემორჩენილია მყინვარული ფორმები. შემოსილია ალპ. მაღალმცენარეულობით. *დ. ჩანგაშვილი.*

**ხუბსუგოლი**, კოსოგოლი, ტბა მონღ. სრ-ის ჩრდ. ნაწილში. მდებარეობს ტექტონ. ქვაბულში 1645 მ სიმაღლეზე. ფართ. 2620 $კმ^2$, სიგრძე 134 კმ, სიგანე 35 კმ-მდე, სიღრმე 238 მ-მდე. ზ-იდან გამოდის მდ. ეგიინ-გოლი (სელენგის აუზი). იყინება დეკ.-იდან ივნ.-მდე. სანაოსნოა. წარმოადგენს წყლის გზის ნაწილს სსრკ-იდან (ირკუტსკის ოლქი) მონღ. სრ-მდე. ნავმისადგომებია ხატგალი (სამხრ-ით) და ხანხი (ჩრდ-ით). მდიდარია თევზით. ხ-ის რ-ნში არის ფოსფორიტების საბადო.

**ხუბუა** მაკარ ნიკოლოზის ძე (12. X. 1890, სოფ. უშაფათი, აბაშის, ცხაკაიას რ-ნი, — 29. VI. 1956, თბილისი), ქართველი ორიენტ., ქართ.-სპარს. ურთიერთობის მკვლევარი. 1925 დაამთავრა თსუ ლინგვისტური განხრით, 1931—32 მივლინებული იყო ლენინგრადში. გაიარა ასპირანტურის კურსი ორიენტ.ინ-ტში. იკვლევდა ჯერ თანამედროვე სპარს. ლიტ-რას, შემდეგ სპარს. პოეტური ენისა და სტილის საკითხებს. აგრეთვე ქართ.-სპარს. ენობრივ კონტაქტებსა და ისტ. ურთიერთობას. გამოქვეყნებული აქვს წერილები. „ქართულ-ირანული ურთიერთობიდან" (1940), „სპარსული ბეჭდის სარითმო ელემენტები" (1940). „პოეტური ენისა და სტილის საკითხი კლასიკურ სპარსულში" (1950), „სპარსული სიტყვები მეგრულში" (1952) და სხვ. პირველად თარგმნა და გამოაქვეყნა განმარტებული ტექსტი. მწერლის ჯამალზადეს ნოველები განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ირან. მეფეების საქართველოში დაცული ფირმანების და სხვა ისტ. დოკუმენტების შესწავლა-გამოქვეყნებაში, სადგამი მნიშვნელობისაა ხ-ს ნაშრომი „საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები" (1949). *ა. გვახარია.*

**ხუბულავა** ნინო ბესარიონის ასული (1917, სოფ. ეკი, აბაშის ზუგდიდის რ-ნი, — 26. V. 1985, თბილისი). პირველი ქართველი მფრინავი ქალი. სკკ ალკკ წევრი 1931-იდან. 1930 — 32 სწავლობდა თბილ. კომის. სახ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, შემდეგ იქვე მუშაობდა. 1932 ჩაირიცხა ბატაისკის მფრინავთა კურსებზე, 1934 დაამთავრა თბილ. აეროკლუბთან შექმნილი საფრენოსნო სკოლა ხ. საავიაციო საქმის პროპაგანდის მიზნით მამაკაც მფრინავთა ჯგუფთან ერთად აწყობდა გადაფრენებს საქართვ. რ-ნებსა და სოფლებში, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პროპაგანდას უწევდა საფრენოსნო საქმეს. რის შედეგად გაზეთის მკითხველთა შემოწირულებით აიგო თვითმფრინავები „ზესტაფონი", „სამეგრელო კოოპერაცია", „რაჭიისი" 1980 ცხაკაიაში, მე-7 საშუალო სკოლის ეზოში, დაიდგა ხ-ს ბიუსტი (ავტორები: რ. რუხაძე, გ. დერიძე და დ. თევდორაძე). *ტ. ჩიჩინაძე-კაშუელი.*

**ხუბულური** ვლადიმერ დავითის ძე (13. I. 1908, გორი, — 29. III 1982, თბილისი), ქართველი საბჭ გენერალ-მაიორი (1953). სკკპ წევრი 1942-იდან. დაამთავრა ქართ. გაერთ სამხ. სკოლა (1927), მ ფრუნზეს სახ სამხ. აკადემია (1939). მონაწილეობდა სსრკ-ფინ. ომში (1939—40), დას. უკრ. და დას. ბელორ. განთავისუფლებაში. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს თავი ისახელა ლენინგრ. ნისადგომებთან ბრძოლებში. 1943 მეთაურობდა ქართ. მსროლელ დივიზიას ამიერკავკ. ფრონტზე. 1946—68 სამეთაურო თანამდებობები ეკავა. 1968-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით. *ტ. ჩიჩინაძე-კაშუელი.*

**ხუბულური** თეიმურ ყარამანის ძე (დ. 24. V. 1956, სოფ. სკრა, გორის რ-ნი), ქართველი საბჭ. სპორტსმენი (ძიუდო). სპორტის დამს. ოსტატი (1978). 1977 დაამთავრა გორის პედ. ინ-ტი. მსოფლიოს ორგზის (1979, პარიზი; 1981, მაასტრიხტი). ევრ. საგზის (1976, კიევი; 1977, პარიზი; 1979, ბრიუსელი), სსრკ ორგზის (1979, 1982) ჩემპიონი; სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის (1979) აბსოლ. ჩემპიონი; XXII ოლიმპიური თამაშების (1980, მოსკოვი) და ევრ. ჩემპიონატების (1981, დებრეცენი) ვერცხლის პრიზიორი. დაჯილდოებულია მედლებით *გ. რატიშვილი.*

**ხუგაეთა**, სოფელი სამხრ. ოსეთის ავ ჯავის რ-ნში (წონის სოფსაბჭო), რაჭის ქედის სამხრ კალთაზე. ზ. დ. 1640 მ, ჯავიდან 30 კმ, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 40 კმ. წონის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. წონაში (2 კმ).

**ხუგაზთა**, სოფელი სამხრ. ოსეთის ავ ცხინვალის რ-ნში (ქსუისის სოფსაბჭო), მდ-ების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დას. კალთის ძირას. ზ. დ. 950 მ, ცხინვალიდან 12 კმ. ვ. ი ლენინის სახ. ქსუისის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ხელჩუაში (1 კმ). მ-კა.

**ხუდადოვის ტყე**, თბილისის ერთ-ერთი განაპირა რაიონი, ქალაქის ჩრდ-ით ყოფილ ნაძალადევის ტერიტორიაზე (ახ. ლენინის ლენინის სახ. რ-ნის ტერიტ.). სახელი ეწოდა ეკიმ ნ. ხუდადოვის გვარის მიხედვით, რ-მაც 1893 აქ ტყის მასივი გააშენა. 1905 დეკ.-ში, ბუნტ.-დემოკრ. რევოლუციის დროს, „ხ. ტ-ში" შეიკრიბნენ გაფიცულნი, მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო რეა გამოსვლა. 16 დეკ. გამართა ხალხმრავალი მიტინგი, 18 დეკ. მეფის ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ მანიფესტანტებს. „ხ. ტ-ში" რევოლუციის მსხვერპლთა სასაფლაოა; აგებულია მათი ხსოვნის ობელისკი.

ლიტ.: Полиевктов М., Натадзе Г., Старый Тифлис в известиях современников, [Тфл.], 1929. *თ. ბერიძე.*

**„ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა"**, სსრკ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა. შეიქმნა 1930 მოსკოვში „გოსიზდატის" ლიტ.-მხატვრული სექტორისა და გამომც. „ზემლია ი ფაბრიკა"-ს ბაზაზე. 1934-იდან ეწოდა „გოსლიტიზდატი", 1963-იდან — „ხ ლ" გამოსცემს კლასიკოსთა, საბჭოთა და საზღვარგარეთელ მწერალთა ნაწარმოებებს, წიგნებს ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის საკითხებზე მისი სერიული გამოცემებია: „ბიბლიოთეკა პოეზიისა", „ლიტერატურნიე მემუარი", „ბიბლიოთეკა სოვეტსკოი პოეზიი", „ბიბლიოთეკა ანტიჩნოი ლიტერატური", „ნაროდნაია ბიბლიოთეკა" და სხვ 1967—77 გამოვიდა „ბიბლიოთეკა ვსემირნოი ლიტერატური" (200 ტომი). გამოსცემს: „რომან-გაზეტას", ჟურნალებს: „მოსკვას", „ნევას", „ზვეზდას", „ვოპროსი ლიტერატურის". განყ-ბა აქვს ლენინგრადში. ყოველწლიურად უშვებს 400-მდე დასახელების წიგნსა და ბროშურას 50 მლნ-ზე მეტი საერთო ტირაჟით. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1980).

**ხუეი**, ხალხი ჩინ სრ-ში ლაპარაკობენ ჩინ ენის ჩრდილოეთის დიალექტებზე.


ვ. ხუბულური


თ. ხუბულური.



კადრი ფილმიდან „მე ოცი წლისა ვარ" (1965). რეჟისორი მ. ხუციევი

**ხუტორი,** სოფლის ერთეზოიანი (მიტოვებული — მრავალეზოიანი) დასახლება უკრაინაში, ყუბანსა და დონზე ზ. ერქვა დასახლებას სოფლისა და სტანიცის გარეთ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით — განცალკევებული გლეხთა (კულაკური) კარ-მიდამო, თავისი მეურნეობით ინდივიდ. მიწის ნაკვეთზე ხ-ის განვითარებას ხელს უწყობდა სტოლიპინის აგრარული რეფორმა, რომელიც თავის რიგზე ერთ-ერთი საშუალება.

**ხუტორ-ლეზგიანი,** სოფელი მარნეულის რ-ნში (ქართლისის სოფლ.საბჭო). მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 300 მ, მარნეულიდან 24 კმ. მეცხოველეობის საბჭ. მეურნ.-კომპლექსი. ქვის ლორფის კარიერი. დაწყ. სკოლა, ბ-კა, კინოდანადგარი.

**ხუჯანდ საიდაში** (ნამდ. — მოჭრილი, მოჭრილი), XIX ს. I ნახევრის მონღოლი პოეტ-იმპროვიზატორი. დაიბადა გობიმეფეების ხოშუნში (ტუშეეტ-ხანის აიმაკი, ახლანდ. აღმ. გობის აიმაკი). იყო ვანის (თავადის) კარის პოეტი. სახელი გაითქვა იმპროვიზაციებით. შექმნა ორიგინ. ჟანრი უგი („სიტყვა"). უგი ალეგორიული თხზულებაა — გარეული ან შინაური ცხოველების, ზოგჯერ უსულო საგნების ტირილი, ჩივილი საკუთარ ბედზე, უბედობაზე („სიტყვა, თქმული ქარიცხან დეცხილი ქარქველის მიერ", „სიტყვა, თქმული დედის მოწყვეტილი პატარა აქლემის მიერ"), უსამართლობაზე („სიტყვა, თქმული მოხუცებული ძაღლის მიერ"), მოხელეების უგულობასა და სისასტიკეზე („სიტყვა. თქმული კარვ. და ცუდ მოხელეებზე და მწერლებზე"). ხ. ს-ის „სიტყვებში" მხატვრულად აისახა ხალხის ცხოვრება, ფიქრები და გრძნობები.

**ხუშუ,** ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. — I ათასწლ. დასაწყ.) არქეოლოგიური კულტურა, რომელიც გავრცელებული იყო მდ. იანძის (ჩინეთი) ქვემო დინებაში. სამოსახლოები გამაგრებული იყო ტერასებად, რაც ბრინჯაოს თესვასთან იყო დაკავშირებული. იარაღი — ქვის გაპრიალებული ცულები, დანები, გუთ. ორნამენტიანი კერამ. აღმოჩენა მიუთითებს, რომ მოსახლეობას კავშირი ჰქონდა აღმ. აზიის სამხრეთულ კულტურებთან. ლითონის ნივთები მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი, მაგრამ წიდისა და ტიგელების აღმოჩენა ადგილ. ბრინჯაოს წარმოებაზე მეტყველებს.



გ. ხუციშვილი



კ. ი. ხუციშვილი.



კ. ი. ხუციშვილი. ტიპაჟი და კოსტიუმების ესკიზი კინოფილმისათვის „ლუ...ნის ქორწილი" მხატვრის კუთვნილება

**ხუშჰალ-ხან ხათაქი** (18. VI. 1613, სოფ. აქორა, ფეშავარის მახლობლად, — 1689 ან 1691, იქვე), ავღანელი პოეტი, ხათაქის ტომის ბელადი. XVI ს-ში შექმნილი ერთ-ერთი პირველი ავღ. სამთავროს — აქორის გამგებელი (1641-იდან). 1672—75 სათავეში ჩაუდგა ავღანი ტომების ბრძოლას მოგოლთა ბატონობის წინააღმდეგ. შეადგინა მიწის კადასტრი, რ-მაც განამტკიცა ფეოდ. საკუთრება მიწაზე. მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, წერდა პუშტუ და ფარსი ენებზე. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია პატრიოტიზმით და შეიცავს მოწოდებას ავღ. ტომების ერთიანობისა და დამპყრობთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ ხ.-ხ. ხ-ს ეკუთვნის 300-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. სახელი გაითქვა ლექსის, მინიატიურებით, ეგრძნით სრულყოფილი პეიზაჟური და სატრფიალო ლირიკით გამოიყენა არაბულ მეტრული სისტემა, რ-იც დატვირთა ავღ. ერეგნ. იდეებით, სახეებით, ავღ. კოლორიტით. ავღ. მხატვრული პროზის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხ.-ხ. ხ-ის თხზულებამ „წიგნი ჩალმაზე" (1666), რ-შიც ქება ეთიკურ, საზ-ბის მორალურ საფუძვლებს, მხატვრული ლიტ-რის ცხოვრებასთან კავშირს. ხალხმა ხ.-ხ. ხ-ს „ავღანური ლიტერატურის მამა" შეარქვა.

*მ. შინია.*

**ხუციევი** მარლენ მარტინის ძე (დ. 4 X 1925, თბილისი), საბჭ. რეჟისორი, სსრკ სახ. არტისტი (1986); პროფესორი. 1950 დაამთავრა საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (ი. სავჩენკოს სახელოსნო). ხ-მა ფ. მირონერთან ერთად გადაიღო სადიპლომო ფილმი „ქალაქთმშენებლები", შემდეგ კი — „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე" (1956, ბრიუსელის მეცალიო მოსკ. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე. 1957); სხვა ფილმები: „ორი თედორე" (1958), „მე ოცი წლისა ვარ" (1964, პრიზები ვენეციისა და რომის საერთაშ. კინოფესტივალებზე. 1965), „ივლისის წვიმა" (1966), „პოლისისტყველობა" (1983). გადაიღო აგრეთვე მხატვრული ტელეფილმები „მაისის თვე იყო" (1970, პრემია პრაღის ტელეფილმების VII საერთაშ. კინოფესტივალზე, 1970) და სხვ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

*ა. გვეტაძე*

**ხუციშვილი** არჩილ ნიკოლოზის ძე (დ. 18. IV 1931, თბილისი), ქართველი საბჭ. ინჟინერ-გამომგონებელი სსკპ წევრი 1959-იდან. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმ. ფაკ-ტი (1954). 1956-იდან მუშაობს სსრკ ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს თბილ. ანალიზური ხელსაწყოების სამეცნ.-საწარმოო გაერთიანებაში („ანალიზხელსაწყო"). 1974-იდან ამ გაერთიანების სამეცნ.-კვლ. განყ-ბის გამგეა. მისი ელექტრონული თეორიის შექმნისა და ელექტროდული თვისებების დარგში ჩატარებულ სამუშაოთა ციკლისათვის 1978 სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია.

**ხუციშვილი** გივი რაჟდენის ძე (11 I. 1921, თბილისი, — 6 VIII. 1979, იქვე), ქართველი საბჭ. ფიზიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1967). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1942). 1958-იდან იყო საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის თეორ. ფიზ. განყ-ბის ხელმძღვანელი, 1956-იდან — თსუ-ის პროფესორი. ხ. მყარ სხეულებში მაგნ.-რეზონანსული მოვლენების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი კლასიკური გამოკვლევები ეხება ბირთვული მაგნ. რეზონანსისა და მყარ სხეულებში ბირთვული სპინების დიფუზიის, პოლარიზაციისა და რელაქსაციის თეორიებს. 1955 ინგლ. ფიზიკოს ნ. ბლუმბერგთან დამოუკიდებლად წამოაყენა ფერომაგნ. ნივთიერებათა ბირთვების პოლარიზაციის მეთოდი, ახსნა ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის დისკრეტული გაჯერება. ხ-მა შექმნა კონდენსირებულ გარემოთა რადიოსპექტროსკოპიის თბილ. სკოლა, რ-იც ერთ-ერთი წამყვანია სსრკ-ში. თბილ. სახელმწ. უნ-ტის ჭ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1970). საქ. სსრ სახელმწ. პრემია (1977). იყო ფიზიკოსთა საერთაშ. საზ-ბა „ამპერის" კომიტეტის (1967) და მრავალი სამეცნ. საბჭოს წევრი.

თხზ.: Дискретное насыщение в радиочастотное дискретные насыщение, კრ.: Проблемы магнитного резонанса, М., 1978, с 206 (თანაავტ.: Т. И. Санадзе); Ориентированные ядра, «Успехи физических наук», 1954, т. 53, в. 3.

ლიტ.: Памяти Гиви Раждeновича Хуцишвили, «Успехи физических наук», 1980, т. 131, в. 1.

*ლ. ბუაჩიძე.*

**ხუციშვილი** კახი ილიკოს ძე (დ. 17. VII. 1928, სოფ. ართანა, თელავის რ-ნი), საქ. სსრ სახ. მხატვარი (1984). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1954). ამავე წლიდან მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში" დამდგმელ მხატვრად. გააფორმა 25-ზე მეტი კინოფილმი, მ. შ. „მაგდანას ლურჯა" (1955, კოსტიუმების მხატვარი), „ბაში-აჩუკი" (1956), „ჩვენი ეზო" (1956), „სხვისი შვილები" (1957), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (1962), სატელევიზიო ფილმები, მ. შ. „დათა თუთაშხია" (1977; სსრკ სახელმწ. პრემია, 1981) და სხვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია (1985).

*ქ. კიწურაშვილი.*

**ხუციშვილი** კონსტანტინე ილიას ძე (დ. 21 VIII. 1914, თბილისი, — 17. XI. 1980, იქვე), ქართველი საბჭ. ფერმწერი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1962). სწავლობდა თბილისში მ. თოიძის სახ. სამხატვრო სტუდიასა (1927—30) და სამხატვრო აკადემიაში (1930—34). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1940-იდან) ძირითადად მუშაობდა ნატურმორტის ჟანრში; ავტორია ისტ. თემატიკაზე შექმნილი ფერწერული ტილოებისა და პეიზაჟებისა; ნამუშევრები „ხიდები და ხილი" (1945, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), „ხობ-ბუბი" (1947, აღმ. ხალხთა ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი), „ვარდები" (1980, მხატვრის ოჯახის კუთვნილება, თბილისი), „შემოდგომა" (1941, საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი), „რკინიგზელთა გაფიცვა, 1900" (1940, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, გორი) და სხვ.



ა. დ. ხუციშვილი. „ვარდები". 1980. მხატვრის კუთვნილება, თბილისი.






**ჯ**, ქართული ანბანის ოცდამეთორმეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეთექვსმეტე) ასო, მისი სახელია „ჯანი". გრაფიკული სიმბოლო წინაენისმიერი მჟღერი შიშინა აფრიკატისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴟ, ნუსხურში — ⴟ, მხ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა რვა ათასს (8000).

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო ჯ-ს გრაფიკული მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახისა—ასომთავრულისა, ნუსხურისა და მხედრულისა) ისინი ამოკრებილია V–XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

**ჯაბადარი**, ალი-ყული ჯაბადარი, XVII ს. ქართველი მხატვარი. მოღვაწეობდა ირანში. შემორჩენილია მის მიერ შესრულებული 8 მინიატიურა—მეჯლის კარის ცხოვრებისა და ნადირობის სცენები (ერმიტაჟი, ლენინგრადი). ერთ მათგანზე აღნიშნულია შესრულების ადგილი — ყაზვინი და თარიღი 1674. მრავალფიგურიანი კომპოზიციები შესრულებულია ტიპიურ ირან. მინიატიურის ტრადიციების მიხედვით. შეიმჩნევა დას. ევრ. ხელოვნ. ტექნიკური მოტივებიც. მინიატიურებზე არის ქართ. წარწერები. შესრულების ხარისხით ჯ-ის მინიატიურები უტოლდება იმდროინდელ საუკეთესო ირან. მინიატიურების ნიმუშებს.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; Амиранашвили Ш. Я., История грузинского искусства, М., 1963.

**ჯაბადარი** ალექსანდრე გიორგის ძე [12 (24) VI 1851, საგარეჯო, —4 IV 1933, თბილისი], ქართველი საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი, მთარგმნელი. თბილ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემიაში (ამჟამად მოსკ. ტიმირიაზევის სახ. სას.-სამ. აკადემია). სტუდენტთა რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს აკადემიიდან. XIX ს. 90-იან წლებიდან თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. 1887 მისი თაოსნობით დაარსდა „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა", მანვე გახსნა წიგნსაცავი-სამკითხველო ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე მოაწყო სტამბა და ცინკოგრაფია. გამოსცა ქართვ. კლასიკოსთა თხზულებანი. იყო ჟურნ. „მოამბის" დროებითი რედაქტორი (№№ 5—9) და საგამომცემლო საზ-ბის თავ-რე (1894-95). გაზ. „ცნობის ფურცლისა" და მისი ყოველკვირეული „სურათებიანი დამატების" რედაქტორ-გამომცემელი (1901-06). მისი მოგონებები დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში" (1934, № 1–6).

დ. შუღლიაშვილი.

**ჯაბადარი** ალექსანდრე ვახტანგის ძე (დ. 17. VII. 1928, წულუკიძე), ქართველი საბჭ. ინჟინერ-მეტალურგი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1971). სკკპ წევრი 1963-იდან. 1958-იდან მუშაობს თბილ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხანაში, 1971-იდან ამ ქ-ნის მთავარი მეტალურგია. ტექნოლ. პროცესების კონტროლის ახ. მეთოდების შექმნისა და დანერგვისათვის 1976 ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართ. სსრ სახელმწ. პრემია.

**ჯაბადარი** გიორგი ალექსანდრეს ძე (2. VI. 1888, თბილისი, —16 VII 1938, ბერლინი), ქართველი რეჟისორი და პედაგოგი. დაიბადა საზ. მოღვაწის ა. ჯაბადარის ოჯახში. 1902 სწავლობდა ბელგიაში, შემდეგ კი პარიზში გაემგზავრა, სადაც დაამთავრა თეატრ. სტუდია, მუშაობდა ანტუანის ცნობილ თეატრში. 1918 საქართველოში დაბრუნდა. ამავე წელს თბილისში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართ.

ცრამ სტუდია-თეატრი (იხ. ჯაბადარის სტუდია). რ-საც 1920-მდე ხელმძღვანელობდა. 1920 საზღვარგარეთ გაემგზავრა. მუშაობდა პარიზის თეატრ „ოდეონში" და ეკრანებზე. ჯ-ს ეკუთვნის ნაშრომი „ქართული თეატრი" ძმასთან ერთად ფრანგულად თარგმნა ა. სუმბათაშვილის „ღალატი", შემდეგ კი გერმ. ენაზე შეუდგა ერთად თარგმნა იგივე პიესა და 1935 ბერლინის „სამხატვრო თეატრში" წარმოადგინა.

თხზ.: დიქცია მსახიობთა და ორატორთათვის, ტფ., 1918. ვ. ცუცქირიძე.

**ჯაბადარი** ივანე სპირიდონის ძე [16 (28). XII. 1852, საგარეჯო, — 25. IV (8 V). 1913, თბილისი], ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი. 1872—73 სწავლობდა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემიაში. 1874 გაემგზავრა საზღვარგარეთ (ციურიხი, პარიზი); გატაცებული იყო ბაკუნინის იდეებით. მალე რუსეთში დაბრუნდა და პროპაგანდას ეწეოდა მუშებში. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა ორგანიზაციისა" და მისი წესდების ავტორი. 1875 აპრ-ში დააპატიმრეს და ე. წ. „ორმოცდაათის პროცესის" მონაწილეებთან ერთად 5 წლით კატორღა მიუსაჯეს. 1887 შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა. 1889 პეტერბურგში ჟურნ. „ვესტნიკ ევროპი"-ში „ნ. დ-ს" ფსევდონიმით დაბეჭდა წერილი, რ-შიც ფილოსოფიურებული იყო საქართვ. მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ლიტ-რა და კულტურა. ქართვ. საზ-ბის მოწინავე ნაწილმა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვ. მეთაურობით გამოაშკარავა ჯ-ის ნიჰილიზმი და მისი წერილის სრული უვარგისობა.

ლიტ.: შ ე ლ ი ა ძ ე ზ., რევოლუციონერ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960. გ. ნარსია

**ჯაბადარის სტუდია,** ქართული დრამატული სტუდია-თეატრი თბილისში. დაარსდა 1918 ქართ. დრამ. საზ-ბის ინიციატივითა და ვ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით. ჯ. ს. მიზნად ისახავდა მაღალკვალიფიციურებულ მსახიობთა კადრების აღზრდას, სტუდია-თეატრის მთავარი რეჟისორი და სასცენო მეტყველების პედაგოგი იყო ვ. ჯაბადარი. პედაგოგებად მუშაობდნენ ვ. შალიკაშვილი, კ. მათიაშვილი, შ. ქორელი, ა. ფაღავა, ვ. გუნიაშვილი და სხვ. სტუდია-თეატრის პირველი სპექტაკლი იყო ე. ბრიეს „სარწმუნოება" (1918 წ. 18. XI). შემდეგ დადგნენ: ე. როსტანის „თეთრი ყვავილი", ჯ. ჯაკომეტის „ღიათ ფოთლები", ს. შანშიაშვილის „ბერუკა", გ. ჰაუპტმანის „ჰანელე" და სხვ. სტუდიაში სწავლობდნენ და მსახიობობდნენ ე. აბესაძე, ა. ვასაძე, შ. ჭიაურელი, შ. გეღევანი, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, დ. ანთაძე, ც. ამირეჯიბი და სხვ. 1920 სტუდიამ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული თეატრი ახალი ეპოქის მიჯნაზე, თბ., 1976. ვ. ცუცქირიძე.

**ჯაბაღლუური,** ქალაქი ცენტრ. ინდოეთში, მადჰია-პრადეშის შტატში, მდ. ნარბადის ნაპირზე. 756 ათ. მცხ. (1981). ლიდი სატრანსპ. კვანძი. ბამბეულის, ქიმ., რეზინის, ქაღალდის მრეწვ., ლითონდამუშავება. დაარსდა XIX ს. I ნახევარში როგორც ინგლ. სამხ. ბაზა.

**ჯაბართი,** ალ-ჯაბართი აბდ ალ-რაჰმან (1753 ან 1754—1826), ეგვიპტელი ისტორიკოსი. მთავარი თხზ. „წარსულის საკვირველი ისტორია თავგადასავლებსა და მოვლენათა ქრონიკებში" ეგვ. ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი არაბული წყაროა XVII ს. დასასრულიდან 1822-მდე. ჯ. თანაუგრძნობდა ეგ. ხალხის ბრძოლას თურქ-მამლუქთა და ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ; აკრიტიკებდა ეგვ. ფაშა მუჰამად ალის, რის გამოც ჯ-ის ქრონიკა 1879-მდე აკრძალული იყო.

თხზ.: ამაიბ ალ-ასარ ფი-თ-თარაჯიმ ვალ-ახბარ, ტ. 1—4, ბულაკი, 1879—1880; Удивительная история прошлого ..., т. 3, ч. 1, М., 1962; т. 4, М., 1963.

**ჯაბარლი** ჯაფარ [22. III (3 IV). 1899, სოფ. ხიზი, ბაქოს მახლობლად, — 31. XII. 1934, ბაქო], აზერბაიჯანელი საბჭ. მწერალი, თეატრალური მოღვაწე. სოციალ. რეალიზმის ფუძემდებელი აზერბ. დრამატურგიაში. აზერბ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1933) დაამთავრა აზერბ. უნ-ტი (1929). მისი პირველი სატირული ლექსები, მოთხრობები და დრამები (1915—17) მიმართულია სოც. უთანასწორობისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. კაპიტალ. ურთიერთობებს კრიტიკულად წარმოსახავს პიესები „აიდინი" და „ოქტაი ელ-ოღლუ" (დაიდგა 1922—23). ჯ-ს შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაა ქალის უუფლებობისა და ემანსიპაციის საკითხი (პოემა „ქალწულის კოშკი", 1923—24; პიესა „სევილი", დაიდგა 1928, ქართ. თარგმანი 1968). ფეოდალიზმის, ჩამორჩენილობის, კაპიტალიზმის კრიტიკამ მწერალი მიიყვანა კლასობრივი ბრძოლის შეგნებამდე, ახ. ცხოვრ. ძიებამდე. შემდეგში მისი შემოქმედების თემად იქცა თანამედროვეობა, სოციალ. მშენებლობის პრობლემები (პიესები: „1905 წელს", „ალმასი", ორივე დაიდგა 1931; „აშაბი", „შემოდგომები", ორივე დაიდგა 1932). ჯ. ლიტ.-კრიტ. და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა.

თხზ.: ლექსები, სცენები, წერ. ხოზრევი და აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1968.

ლიტ.: Азербайджан әдәбијјаты тарихи, 3, Бакы, 1960. გ. წავუელამშვილი.

**ჯაბახანა** (თურქ.-სპარს.), იარაღის საწყობი — არსენალი.

**ჯაბირ იბნ ჰაიანი,** ლათინიზებული სახელი — გ ე ბ ე რ ი (დაახლ. 721, ტუსი, სპარსეთი, — დაახლ. 815), არაბი სწავლული. იმ თხზულებებს შორის, რ-ებსაც მას მიაწერენ (გებერის ტრაქტატები), აღსანიშნავია „სამოცდაათი წიგნის" ბოლო თავები, რ-ებშიც იგი ამტკიცებს, რომ არაკეთილშობილი ლითონები შეიძლება გარდაიქმნას ოქროდ. ჯ. ი. ჰ. აღწერს სხვადასხვა ქიმ. პროცესს (გამოხდას, აქროლებას, გახსნას, კრისტალიზაციასა და სხვ.). აგრეთვე ზოგიერთ ქიმ. პრეპარატს (ამიაკს, შაბს, ტუტეს, ნიშადურსა და სხვ.).

ლიტ.: Фигуровский Н. А., Очерки общей истории химии. От древнейших времен до начала XIX в., М., 1969.

**ჯაბიტა,** სოფელი საქართ. თსეთის ავტ. ცხინვალის რ-ნში (ძაუს სოფსაბჭო), მდ. ჟღდი ლიახვისა და აღმოსავლეთის ფრონის წყალგამყოფზე ზ. დ. 960 მ, ცხინვალიდან 8 კმ. თამარაშენის მეურნეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ცხინვალში.

**ჯაბიტა,** სოფელი საქართ. თსეთის ავტ. ჯავის რ-ნში (ხვწის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1200 მ. ჯავიდან 7 კმ, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 კმ. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა, რვაწლ. სკოლა სოფ. ქვეშო ხეწეში (2 კმ). ბ-კა.

**ჯაბიძე** დავით ვასილის ძე (23. I. 1917, სოფ. ჩხარი, ახლანდ. თერჯოლის რ-ნი, — 16. XII. 1982, თბილისი), საბჭ. კავშირის გმირი (15. V. 1946), კაპიტანი, ქართველი საბჭ. ისტორიკოსი, პროფესორი (1962). სკკპ წევრი 1942-იდან. 1933—36 მუშაობდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. 1936 ჩაირიცხა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტზე, პარალელურად სწავლობდა თბილ. აეროკლუბში. 1938—40 სტალინგრადის საავიაციო სასწავლებელში. საბჭ.-ფინ. ომის (1939—40) მონაწილე. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს საჰაერო ესკადრილიის მეთაური სხვადასხვა ფრონტზე ჩაატარა 100-ზე მეტი საჰაერო ბრძოლა, პირადად ჩამოაგდო მტრის 27 თვითმფრინავი. ომის შემდეგ დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1955) ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, ზოგიერთი თარგმნილია რუს., ჩეხ. და გერმ. ენებზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ბოლშევიკების პარტიის პრაღის კონფერენცია, თბ., 1962; Защита и развитие В. И. Лениным программы большевистской партии по национальному вопросу в годы нового революционного подъема (1910—1914 гг.), Тб., 1962; Заря свободы над Закавказьем, Тб., 1981 (თანაავტ. С. В. Хармандарян).

ლიტ.: Кокошкин П. М., Герой Советского Союза Давид Джабидзе. Документальная повесть, Тб., 1981.

ი. მელაძე

**ჯაბნიძეები,** სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (უჩამბის სოფსაბჭო), მდ. ტბეთის (აჭარისწყლის აუზი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1160 მ, შუახევიდან 10 კმ. ჯ. ენგელსის სახ. ტბეთის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი). საფერშლო-საბებო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

**ჯაბუა** ვასილ ბესარიონის ძე (დ. 15. VI. 1912, სოფ. ნაჭანები, ახლანდ. მახარაძის რ-ნი), დაბა ურეკის სახელობის საბჭ. მეურნეობის დირექტორი. ჩაისა და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1947 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, ოქტ. რევ. ორდენით, „საპატიო ნიშნის" 2 ორდენითა და მედლებით.

**ჯაგა,** ჯ ა ჯ ა გ ა, ჩ ი გ ა, ხალხი ტანზანიაში. ცხოვრობენ კილიმანჯაროს მთის კალთებზე. ენა — კიჩაგა, შედის ბანტუ ენათა ოჯახის აღმოსავლურ ჯგუფში. უმრავლესობა ინარჩუნებს ძვ. ტრად. რწმენებს. ნაწილი ქრისტიანია. ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება. მუშაობენ ყავის პლანტაციებში.

**ჯაგარაანთკარი,** სოფელი ქარელის რ-ნში (აბისის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთის ძირას ზ. დ. 806 მ, ქარელიდან 12 კმ. ახალსოფლის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ახალსოფელში (3 კმ).

**ჯაგარი,** 1. უხეშბეწვიანი ცხოველების კუდისა და კისრის მსხვილი, თმისმაგვარი, საყარყუმე ან კაუჩუკისგან გამოსაზარდე-ბა იყენებენ საჯაგრედ, ავეჯის სავსე-ბად, თავდასაცავად და საკვების მასალად, პოლიქეტებში ჯ. შელის მარტივი კილუერების — პარაპოდიუმების შენაგრილობაში ფუნქციონირებს. ჯ. ქიტინოვანი კუტიკულის თმისმაგვარი ან ფრთისებრი გამონაზარდია; წარმოიქმნება ჯრმნოსმ (ძირითადად შერჩევის) ორგანოს, ზოგჯერ სხეულს (განსაკუთრებით ფრთებს) ფარავს დასაცავებადაგან. 2 მიწაური და გარეული ღორების თმის საფარველი.

**ჯაგარკუდიანები** (Thysanura), უფრთო მწერების რიგი. მათი სხეულის სიგრძე 10—20 მმ აღწევს. თითისტარისებრია, დაფარულია მბრწყინავი, თხელი ქერცლით. ულვაშები ძაფისებრია. ფასეტური თვალებს შორის 2—3 მარტივი თვალი აქვთ. პირის აპარატი მღრღნელი ტიპისაა. მუცელი 11 ნაწევრისაგან შედგება და 3 გრძელი ჯაგრისებრი დანამატით (2 ცერკი, 1 კუდის ძაფი) ბოლოვდება. ჯ. ცხოვრობენ ქვების ქვეშ, კლდეების ნაპრალებში, ტყის სიფენსა და ჭიანჭველების ბუდეებში, სახლებში.

ჯ. ლეჟავა.

**ჯაგირი** (სპარს. საცხოვრებელი — ადგილის მფლობელი), ფეოდალური მიწათმფლობელობის გავრცელებული ფორმა მოგოლთა ინდოეთში XVI—XVIII სს-ში. ეძლეოდათ წყალობის სახით, გარკვეული დროით და არა მემკვიდრეობით. ჯ-ის მფლობელები — ჯაგირდარები ვალდებული იყვნენ თავიანთ ხარჯზე შეენახათ დიდი მოცულობის ცხენოსანი არმიის რაზმი, რის რაოდენობაც დამოკიდებული იყო



ი. ჯაბადარი



ვ. ჯაბადარი



ჯ. ჯაბარლი



დ. ჯაბიძე

ჯ-ის მოყვარულებსა და მისგან მიღებულ შემოსავალზე. ჯაგირდარი ფეოდალის პირველი დამახასიათებელი ნიშანი ჩამოუყალიბებლობა სათავეში თავის რაზმს, მოქმედებდნენ იგი სურსათითა და აღკაზმულობით და გამგზავრებულიყო სალაშქროდ. ამ სამსახურისათვის უფლება ეძლეოდა ნაწყალობებ სამფლობელოში გლეხებისაგან ააკრიფა რენტა-გადასახადი. ჯ-ის უმრავლესობა მოიცავდა რამდენიმე ოლქს, რ-შიც შედიოდა ასობით სოფელი და ათეულათასობით მცხოვრები. ჯ-ის საშ. ზომა იყო დაახლ. 100 ათ. კა-მდე. დიდ მოგოლებს ხშირად გადაჰყავდათ ჯაგირდარები ერთი სამფლობელოდან მეორეში, რათა აღეკვეთათ მათი სეპარატისტული მისწრაფებანი. XVII ს-ში გაჩნდა ჯ-ის მემკვიდრეობით სამფლობელოდ გადაქცევის ტენდენცია, რაც XVIII ს-ში განხორციელდა კიდეც.



ჯადვარი კავკასიური ჯადვარი.

**ჯაგრცხილა** (Carpinus orientalis), ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან დაბალი ხე არყისებრთა ოჯახისა სიმაღლე ოჩვეულებრივ 10 მ აღწევს. ღეროები ღია ნაცრისფერი ქერქით აქვს დაღარული, ხშირად დაბორცვილია გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრ. ევროპაში, მცირე აზიაში, ირანსა და სსრკ-ში (ყირიმი, კავკასია). საქართველოში ჯ. იზრდება ყველა რ-ნში, დაბლობიდან მოყოლებული ზ. დ. 1200 მ-მდე. შერეულ ან ქვეტყის სახით, მეტწილად მუხნარსა და წიფლნარ-რცხილნარში. ქმნის დამოუკიდებელ ფიტოცენოზსაც (ჯაგრცხილნარი). სინათლისმოყვარული და გვალვაგამძლეა, ცოცხლობს 180 (იშვიათად 200) წლამდე. მრავლდება თესლით და ამონაყრით, გაჩეხვისას იძლევა ხშირ ძირკვის ამონაყარს. იყენებენ მშრალი ფერდობების გასამწვანებლად. *რ. ქვაჩაკიძე.*

**ჯაგრცხილნარი,** ჯაგრცხილის ბუჩქნარი ან (იშვიათად) ტყე. საქართველოში ჯ-ის ფიტოცენოზები უმეტესად მეორეული წარმოშობისაა — განვითარებულია დაბლობის, ვაკისა და მთის ქვედა სარტყლის ტყეების (მეტწილად მუხნარებისა და წიფლნარ-რცხილნარების) ანთროპოგენური დეგრადაციის შედეგად. მეორეული ჯ. განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული აღმ. საქართვ. მთის ქვედა სარტყელში. ჯ. უმეტესად მონოდომინანტური შემადგენლობისაა, ხშირი, 2—5 მ სიმაღლისა გუმბათისებრად ახალგაზრდა ჯ. მდიდარია ტყის ელემენტებით, რ-ებიც ფიტოცენოზის შემდგომ სტადიებზე (განსაკუთრებით სამხრ. ექსპოზიციის მშრალ ფერდობებზე) თანდათან ქრებიან. მცდელობენ ველის ელემენტებით და ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი ხდება. ძლიერი ანთროპოგენური ზემოქმედებით (ჩეხვა საძოვრად, შინაური პირუტყვის გადაჭარბებული ძოვება) თანდათან იცვლება ველის პირველწარმოშობის მცენარეულობით (ძეძვიანი, უროიანი და სხვ.). ჯ. მთის კალთებზე ნიადაგდაცვით და წყალშემნახველ ფუნქციებს ასრულებს. *რ. ქვაჩაკიძე.*



ჯადვარისებრნი: ჯადვარისებრთა ყვავილის აგებულება: 1 — კატლეიას ყვავილი; 2 — ჯადვარის ყვავილი; 2ა — პოლინიუმი, 3 — ციპრიპედიუმის ყვავილი; 3ა — გინოსტემიუმი.

**ჯადვარი,** ო რ ქ ი დ ე ა (Orchis), მცენარეთა გვარი ჯადვარისებრთა ოჯახისა მრავალწლოვანი ბალახებია. თავთავისებრ ყვავილედში თავმოყრილი აქვთ ვარდისფერი, ლილისფერი, სოსანი, მეწამული ან (იშვიათად) მოყვითალო ყვავილები. ცნობილია 115-მდე სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში. სსრკ-ში 40-მდე სახეობაა, მათგან 20 საქართველოში იზრდება ტყის შუა სარტყლიდან სუბალპ. სარტყლამდე ტყეებში, ტყის პირებზე და ბუჩქნარში, მდელოზე, ტენიან და დაჭაობებულ ადგილებზე ქ ა რ თ უ ლ ი ჯ. (O. iberica) ვარდისფერყვავილიანია, კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ჯ. (O. caucasica) — წუმპე მეწამული. O. flavescens — მოყვითალო ზოგი სახეობის ფესვმსხვილ გამომშრალ ტუბერს—სალებას, მედიცინაში იყენებენ. დეკორ. მცენარეებია. *მ. ივანიშვილი.*

**ჯადვარისებრნი** (Orchidaceae), ერთლებნიან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა ოჯახი. აქვთ ფესურა ან ტუბერი. ფოთლები მთლიანია, ხაზოვანი ან ლანცეტა; საპროფიტული სახეობებისა კი რედუცირებულია უფერულ ქერქლებად. ყვავილები ზიგომორფულია, მარტოული ან თავთავისებრ, მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი, სურნელოვანი, კაშკაშა ფერისა. ენტომოფილური ჯ. ტროპიკებში გავრცელებული. ზოგი ლოროდები გამრავლებულია და ქმნის ე. წ. ფსევდობულბებს ან ტუბეროიდებს, რ-ებშიც გროვდება წყალი და საკვები ნივთიერებები. სამაგრი ფესვებით ისინი ჰაერიდან შთანთქავენ ტენს. ცნობილია ჯ-თა ოჯახის 750-მდე გვარის 25 ათ-მდე სახეობა (სხვა მონაცემებით 800-მდე გვარის 35 ათ. სახეობა). ჯ. გვხვდება ყველგან, პოლარული ოლქებისა და უდაბნოს გარდა. ბევრია ტროპიკებში. სსრკ-ში ჯ-თა 120-ზე მეტი სახეობაა, კავკასიაში — 87, საქართველოში — 46. *მ. ივანიშვილი.*

**ჯადიდიზმი** (არაბ. უსულ ჯადიდ — ახალი მეთოდი), ბურჟ.-ლიბერალური, ნაციონალისტური მიმდინარეობა; ჩაისახა ყირიმისა და ვოლგისპირეთის თათართა ბურჟ. წრეებში, აზერბაიჯანში, გავრცელდა შუა აზიაში (XIX ს. დასასრ.—XX ს. დამდეგი). თავდაპირველად მეყვარეობის ხასიათი ჰქონდა. 1905-იდან აშკარად პოლიტ. სახე მიიღო, პროგრამა: ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად — რეფორმები, პანთურქიზმი. 1917 თებ. რევ. შემდეგ ჩამოყალიბდა პარტიები შურაი ისლამი, ახალგაზრდა მუხარელები, ახალგაზრდა ხიველები. ოქტ. რევ. შემდეგ შუა აზიაში კონტრრევ. მოძრაობის ორგანიზატორებს დასაყრდენი იყო.

**ჯადოქრობა,** ზებუნებრივი ძალით ზიანის მიყენების ან მიყენებული ზიანისაგან დაზიანებულის განთავისუფლების უნარი, რ-იც, ხალხური წარმოდგენით, აქვს ჯადოქარს. ჯ-ის რწმენა უძველესი მაგიური წარმოდგენებიდან მომდინარეობს. იგი მოქმედებდა მსოფლიოს ყველა რელიგიაში (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი და ა. შ.) და გამოიხატებოდა სიტყვიერი ფორმით, განსაკუთრებული ჟესტიკულაციით და სხვადასხვა საგანზე ცეცხლით, წყლით, ბილით და ა. შ. ზემოქმედებით. შუა საუკუნეებში ქრისტ. ეკლესია ჯ-ს ეშმაკისეულად მიიჩნევდა და სასტიკად სდევდა ჯ-ში შემჩნეულ პირებს. რადგან სწამდა, რომ ჯადოქრის თავისი ძალის სანაცვლოდ, რ-საც იგი ეშმაკისაგან მიიღებდა, თავისი სული უნდა გაეყიდა. ჯ-ს მიზანმიმართულ ავადმყოფობისას, განსაკუთრებით ნერვული აშლილობის დროს შეელოცებოდნენ ერთად. *ი. სურგულაძე.*

**ჯავა,** დაბა (1961-იდან) სამხრ. ოსეთის ა. ო.-ში, ჯავის რ-ნის ადმ. და სამეურნეო სამეთის ცენტრი (შედის ჯ., სოფლები: ბუზალა, ურსარსი). მდებარეობს ჯავის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის მარცხ ნაპირას. ზ. დ. 1126 მ, ცხინვალიდან 20 კმ, თბილისიდან 130 კმ. ჯ-ში არის მეჯინიბეობის საბჭ. მეურნეობა, მინერ. წყლის „ძაუ" ჩამომსხმელი ქ-ნა. საშ., სამუსიკო სკოლები, სკოლა-ინტერნატი, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსახლი (კინოდარბაზით), ბიბ., საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი.

ჯ. რეკრ. მნიშვნელობის ბალნეოლ.-კლიმ. კურორტია. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —3,6°C) და ხანგრძლივი გრილი ზაფხული (ივლ. საშ ტემპ-რა 16,1°C), აბსოლ. მინ. ტემპ-რა — 30°C, აბსოლ. მაქს. 35°C. ნალექები 1040 მმ წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია მინერ. წყალი „ძაუ", რ-საც იყენებენ სასმელად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა მკურნალობისათვის. სეზონი — აპრ-იდან ნოემბრამდე. სანატორიუმი „ძაუ" (200 საწოლი). *გ. უშვერიძე.*

**ჯავადი** ამედ (ნამდ. სახელი ჯავად მამადალი-ოღლუ ა ხ უ ნ დ ზ ა დ ე) (1892, სოფ. სეიდალი, შამქორის რ-ნი, — 1937), აზერბაიჯანელი საბჭ. პოეტი. დაიბადა გლეხის ოჯახში. ლექსებს აქვეყნებდა 1913-იდან. უმღეროდა სამშობლოს, ხალხთა მეგობრობას, ერთმანეთს ცხოვრობდა საქართველოში. მეგობრობდა ქართველ პოეტებს. ი. აბაშიძისა და ს. ჩიქოვანის შემოქმედებას. ენაზე თარგმნა ვეფხისტყაოსანი (დაიბეჭდა დ. ალიევას რედაქციით, 1978, ბაქო). თარგმნიდა აგრეთვე შექსპირისა და პუშკინის ნაწარმოებებს. *გ. მაჟულაშვილი.*

**ჯავანშირი** (გ. 670), კავკასიის ალბანეთის მთავარი (638—670) მიჰრანიდების დინასტიისა. მის დროს დაიწყო ალბანეთის (კავკასიის) დაპყრობა არაბების მიერ. არაბებთან ჩანგრძლივი ომების შემდეგ, 667, თავი ცნო ხალიფის ვასალად. მოკლეს შეთქმულებმა ფეოდალებმა.

**ჯავარა** დაუდა კაირაბა (დ. 1924, ბარაჯალი), გამბიის სახელმწიფო მოღვაწე. 1953 დაამთავრა ვეტერინარული კოლეჯი გლაზგოს უნ-ტში (დიდი ბრიტანეთი). 1958—60 გამბიის მთავარი ვეტერინარი იყო. 1959 დაარს. სახ. პროგრ. პარტია დაავარსა და მისი ლიდერი გახდა. 1960—61 განათლებისა და სოც. კეთილდღეობის მინისტრი, 1962—63 მთავარი მინისტრი, გამბიისათვის სრული შინაგანი ავტონ. მინიჭების შემდეგ (1963 ოქტ.), პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. 1965 თებ-იდან დამოუკიდებელი გამბიის პრემიერ-მინისტრი (1968—67 ერთდროულად საგარეო საქმეთა მინისტრი). 1970-იდან პრეზიდენტი (1970 კონსტიტუციით სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური).

**ჯავახეთის ქედი,** იხ. *დიდი ქვიტ.*

**ჯავახიძე** გივი რომანოზის ძე (დ. 29. VII. 1932, ქუთაისი), ქართველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1963-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). 1956-იდან მუშაობს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში", 1977-იდან მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, 1980-იდან მთავარი რედაქტორია. ლექსებს აქვეყნებს 1952-იდან. ლექსების პირველი კრებ. „საყვარელი ქარები" 1959 გამოსცა. ძირითადი პოეტური კრებულები: „ნაწვიმარი ქუჩები", 1963; „თეთრი მზე", 1968; „სამრეკლო", 1970; „მემუარი", 1974; „ანაბეჭდი", 1975, „მარტი, აპრილი, მაისი", 1977; „წუთების საშვეთიდან", 1978; „შედარება", 1980; „პორტრეტული", 1982; „და ასე შემდეგ", 1983. ჯ-ის პოეზიაში შეინიშნება მძლავრი ინტონაციური ნაკადი, გრიტიკული წარმოსახვა. თარგმნა „მაიაკოვსკის პოემები, ცალკე წიგნად გამოსცა კრებ. „ლირიკული მოზაიკა" (1981), რ-შიც შევიდა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა პოეზიის ნიმუშების თარგმანები. ჯ-ის ლექსები თარგმნილია რუს., უკრ., სომხ., ესტ., მოლდ., ბოლგ., უნგრ., რუმ. და სხვ. ენებზე. *რ. კვერენჩხილაძე.*



გ. ჯავახიძე.

**ჯავახეთი,** მხარე სამხრ. საქართველოში, ზემო ქართლში (ძირითადად მოიცავს ახლანდ ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რ-ნების ტერიტორიას), ისტორიულად საზღვრავდა დასავ. მდ. მტკვარი (მტკვარის მარცხ. შენაკადი ხევები მდელოებიდან ასპინძამდე ასევე ჯ-ში შედიოდა), ჩრდ-ით, სამხრ-ით და აღმ-ით შავშეთის, სამცხარისა და ნიალისყურის მთები. წყაროებში ჯ. (ზაბახა) პირველად ძვ. წ. 785 იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე; იმხანად იგი მოიცავდა ჩილდირის ტბის ქვას მხარეს (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). უძველესი დროიდანვე ჯ. ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო

რაფია და ანთროპოლოგია, გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1937), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), პროფესორი (1920), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1941), სსრკ გეოგრ. საზ-ბის საპატიო წევრი (1956), საქ. სსრ გეოგრ. საზ-ბის პრეზიდენტის მოადგილე (1924—40), პრეზიდენტი (1940—70), საპატიო პრეზიდენტი (1970-იდან). სკკპ წევრი 1940-იდან. 1900 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1899—1917 მუშაობდა აწინდ. უნ-ტსა და მოსკ. სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. კითხულობდა ლექციებს საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტსა (1918—21), თბილ. სახელმწ. უნ-ტში (1920 — 73), ბათ. (1936 — 38), გორის (1943 — 49), ქუთ. (1933 — 36), ბაქოს (1934—36) პედ. ინ-ტებში. იყო საქართვ. ცენტრ. პედ. მუზეუმის (1918 — 22), საქართვ. კარტოგრაფიული ინ-ტის (1926—32), თბილ. სახელმწ. უნ-ტთან არსებული გეოგრ. ინ-ტის (1933—38), ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის (1945 — 62) დირექტორი.


ა. ნ. ჯავახიშვილი

ჯ. საბჭ. საქართველოში გეოგრ. მეცნ. და განათლების ფუძემდებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შრომები, რომლებიც ეძღვნება საქართვ. და კავკ. მრავალფეროვანი ბუნების გეოგრ. შესწავლას. აშუქებენ გეოგრ. მეცნ. თეორ. საკითხებს, გეოგრ. მეცნ. სტრუქტურა, მისი დამოკიდებულება მომიჯნავე მეცნიერებებთან, გეოგრ. შემადგენელი დარგების ამოცანები და მიზნები, ლანდშაფტთმცოდნეობის, აგრეთვე სამხ. გეოგრ. საგანი და ამოცანები, გეოგრ. მეცნ. და განათლების ისტორია საქართველოში და სხვ. დიდია მისი დამსახურება საქართველოსა და კავკ. გეოგრ. რუკების შედგენაში.

ჯ. ქართ. მეცნ. ანთროპოლ. ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა, მისი გამოკვლევები ძირითადად ეხება ეთნ. ანთროპოლოგიას. მან პირველმა საქართვ. სრული ანთროპოლ. პროგრამის მიხედვით შეისწავლა საქართვ. თითქმის ყველა ძირითადი ეთნ. ჯგუფი (ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, რაჭისა და სამეგრელოს რეგიონები), დაადგინა საქართვ. მოსახლეობის ანთროპოლ. თავისებურებები და განსაზღვრა მისი ადგილი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში. შეისწავლა ქართველი ებრაელების ანთროპოლ. თავისებურებანი, სპეც. გამოკვლევა მიუძღვნა საქართვ. მოსახლეობაში დოლიქოკეფალიის პრობლემას.


ი. ა. ჯავახიშვილი

ჯ. არის თსუ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი ინიციატივით დაარსდა საქართვ. კარტოგრაფიული ინ-ტი (1926; არსებობდა 1933-მდე), გეოგრ. ინ-ტი (1933), საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტი (1945), საქ. სსრ გეოგრ. საზ-ბა (1924). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. საქ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971).

თხზ.: საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1 — გეომორფოლოგია (რელიეფი), ტფ., 1926; საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია (სახელმძღვანელო VII კლასისათვის), გამოც. 33-ე, თბ., 1983 (თანაავტ. მ. ყაურიშვილი, შ. ყიფიანი); Антропология Грузии, т. 1—2, М., 1908—14; Геоморфологические районы Грузинской ССР. Типы рельефа и районы их распространения, М.—Л., 1947; К структуре географической науки, «თსუ შრომები», 1966, ტ. 68.

ლიტ.: ალექსანდრე ჯავახიშვილი (1876—1973). ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1984.

შ. ყიფიანი.

**ჯავახიშვილი** გამრეკელ, XIV ს. I ნახ. ქართლის წარჩინებული ფეოდალი, თეძმის ხეობაში დამკვიდრებული თორელების საგვარეულოდან წარმომდგარი ჯავახიშვილების გვარის პირველი წარმომადგენელი — შალვა ჯავახ თორელისა და პავლეს ძმა ივანე, და — ბობა, შვილი — სარგისი. ჟამთააღმწერლის ცნობით, XIV ს. დასაწყისში, ყაზან-ყაენის სიკვდილის შემდეგ, მეფე ვახტანგ III-თან (1298—1308) ერთად მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობაში გილანელების წინააღმდეგ. 1345 გიორგი V ბრწყინვალემ ურდოში ლაშქრობის დროს ერთგული სამსახურისთვის ჯ-ს ქვა-მიწული უწყალობა.

წყარო: გიორგი ბრწყინვალის 1339 წ. წყალობის წიგნი, წგნ.: საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტ. 2, ტფ., 1909; ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი 1345 წ., წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1966.

ლიტ.: შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ.: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.

ნ. შოშიაშვილი.

**ჯავახიშვილი** გიორგი ალექსანდრეს ძე (9. XI. 1877, სიღნაღი, — 9. V. 1956, თბილისი), ქართველი საბჭ. ანთროპოლოგი, პროფესორი, მეცნ. დამს. მოღვაწე (1944); 1903 დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნ-ტი. 1903—05 მუშაობდა ბერლინის უნ-ტში. 1905-იდან — პეტერბ. აკად. ზოოლ. და ანთროპოლ. მუზეუმებში. 1911 თბილ. ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი იყო. 1921 აირჩიეს თბილ. უნ-ტის გეოგრ. და ანთროპოლ. კათედრის დოცენტად, ხოლო 1921—35 — ზოოლ. კათედრის გამგედ. 1926 დააარსა ბათ. (ციხისძირში) ბიოლ. სადგური, რ-ის გამგეც თვითონ იყო. 1929 თბილ. უნ-ტის ზოოლ. კათედრასთან ჩამოაყალიბა პრიმატოლოგ. ლაბორატორია. ჯ-ის ძირითადი შრომები ეხება ანთროპოლ., ზოოლ. და პალეონტოლ. საკითხებს. შეიმუშავა კრანიოლოგიის ახ. კონსტრუქციული მეთოდი. ავტორია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოებისა.

თხზ.: Материалы для изучения антропологического состава населения СССР, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1941, ტ. 11А; Некоторые человеческие расы в отношении сагиттального разреза черепа, «Известия Академии наук», 1910; Сагиттальный разрез черепа антропоморфных обезьян и человека, იქვე, 1908.

ა. ჯანაშვილი

**ჯავახიშვილი** დავით გიორგის ძე (დ. 18 I. 1935, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი. დაამთავრა თსუ-ის გეოგრ. ფაკ-ტი (1957). 1977-იდან ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის" უფროსი გეოლოგია. პირველი მოთხრ. „ბაიდა" და პირველი პროზაული კრებ. „ფიქრები ზღვის პირას" 1961 გამოაქვეყნა. ცნობილია კრებულები „კვირილი ომების კონცხი" (1967), „მოთხრობები" (1970), „ჩვენი ნადავლი" (1972), საბავშვო წიგნები „ყინულის ბიჭუნა" (1971), „მამია სეფა" (1973) და სხვ. ჯ-ის ცალკეული მოთხრობები თარგმნილია რუს., ფრანგ., გერმ., ლიტ. ენებზე

**ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე [25 IX (6 X) 1892, სოფ. ძეგვური, ახლანდ. გორის რ-ნი,— 2 XI 1971, თბილისი], ქართველი საბჭ. კურორტოლოგი, საქართველოში საკურორტო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პროფესორი (1953), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). 1909 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი 1926—38 მუშაობდა თბილისში, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფიზიოთერაპიის განყ-ბისა და სტაციონარის გამგედ, 1938—67 — ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, ერთდროულად, 1934—38, განაგებდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრას თბილ. სამედ. ინ-ტის პედიატრიის ფაკ-ტზე, 1938—59 კი იმავე კათედრას თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. ჯ. შეისწავლიდა საქართვ. მინერ. წყლებისა და სამკურნ. ტალახის (განსაკუთრებით კურ. ახტალის) თერაპიული მოქმედების საკითხებს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: ახტალა, თბ., 1939; კურორტი წყალტუბო, თბ., 1934; კურორტოლოგია (სახელმძღვანელო), თბ., 1949.

გ. უშვერიძე.

**ჯავახიშვილი** ივანე ალექსანდრეს ძე [11 (23). IV. 1876, თბილისი, — 18. XI 1940, იქვე], ქართველი საბჭ. ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). 1895 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1899 პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლური ენათა ფაკ-ტის სომხ.-ქართ.-სპარს. განყ-ბა და იმავე წელს დატოვეს უნ-ტში საპროფესორო მოსამზადებლად. 1902 იანვრიდან პეტერბ. უნ-ტის პრივატ-დოცენტია სომხ.-ქართ. ფილოლოგიის კათედრაზე. 1907 წ. 19 მაისს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება". 1907 ჯ-მა ჩამოაყალიბა პეტერბურგის (პეტროგრადის) უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე. ამავე წლიდან იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი. ჯ-ის მეთაურობითა და ქართვ. მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა ქართული უნ-ტი (იხ. სტ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). 1918—19 იგი იყო ქართ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის დეკანი, 1919—26 — უნ-ტის რექტორი, 1921—30 — საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის თავ-რე, 1931-იდან — საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი, 1936-იდან — საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ისტ. განყ-ბის გამგე და კავკასიისმცოდნეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937-იდან რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი.

ჯ-მა დიდი კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში, არ დარჩენილა ისტ.-ფილ. მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელშიც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებინა. როგორც მეცნიერმა, ჯ-მა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მიიქცია ყურადღება ნაშრომისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში" პეტერბ. უნ-ტის სამეცნ. საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა (1898). ქართული ხელნაწერების შესწავლა-აღწერის მიზნით ჯ-მა ნ. მართან ერთად იმოგზაურა სინის მთაზე (1902) და არაერთი ძველი ლიტერ. ძეგლი გამოაქვეყნა.

ჯ-მა პირველმა შეაფასა სწორად ქართული ისტ. წყაროები, დიდი მეცნ.-კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ნათელჰყო, თუ რა იყო მისაღები და რა უარსაყოფი. მან დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრება" ნაწყვეტად ოფიციალური კრებულია და მისი ავტორები ცენტრ. სამეფო ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავენ. აუცილებლად მიიჩნია საქართველოს ისტორიის შესწავლა სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. ჯ-მა აღმოაჩინა და შეისწავლა მანამდე უცნობი წყაროები („ქართლის ცხოვრების" უძველესი—ანასეული და მარიამისეული ნუსხები და სხვ.). ჯ-მა შექმნა ქართ. წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა" ოთხ წიგნად: 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), გამოცემა 1916, 1921, 1945, 1977, 2. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია (1925); 3. ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (1926, 1949), 4. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (1925). ძვ. ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლისას ჯ-მა წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით არაერთი სახელმძღვანელო მეთოდოლ. დებულება წამოაყენა, მიუთითა, რომ სამოქალაქო ისტ. სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრების შესახებ არსებული







[illegible] 1934 [illegible] [illegible] 1951 [illegible] [illegible]

ჯავშნოსნისებრებსა და პანგოლინებს.

**ჯავშნიანები** (Loricata, Polyplacophora), ქიტონები, უხერხემლო ცხოველების კლასი მოლუსკების ტიპისა. ზღვის ფსკერის ცხოველები არიან. აქვთ მოგრძო-ოვალური ან ჭიისებრი სხეული, რ-ის სიგრძე 0,5—33 სმ. მასა ზოგჯერ რამდენიმე კგ აღწევს. შედგება თავის, ტანისა და ფეხისაგან. ფეხით სუბსტრატზეა მიმაგრებული. ზურგის მხარე ნიჟარაა, რ-საც შეადგენს ერთმანეთზე კრამიტისებრად განლაგებული 8 ფარი. მანტიის ღრუში ლაყუჩებია განლაგებული, აქვე იხსნება ანალური ხვრელი, წყვილი თირკმლისა და სასქესო ჯირკვლის სადინრები. საჭმლის მომნელებელი სისტემა შედგება პირის, ხახის, კუჭის, ნაწლავისა და 2, ე. წ. საშარდე ჯირკვლებისაგან. გული სამსაკნიანია. ნერვულ სისტემას შეადგენს 4 ნერვული ძეწკვი და ხახისირგვლივი ნერვული რკალი. ჯ-ის უმრავლესობა ცალსქესიანია. ახასიათებთ გარეგანი განაყოფიერება, მეტამორფოზით განვითარება. ცნობილია ჯ-ის 1000-მდე სახეობა. გვხვდება ოკეანის ყველა ზღვაში. სსრკ-ში 40-მდე სახეობაა გავრცელებული. ზოგ სახეობას საკვებად იყენებენ. *გ. ლეჟავა.*

**ჯავშნიანი თევზები,** ქრებადი ჯგუფი, რ-შიც ადრე აერთიანებდნენ ამოწყდარ უყბოებს — ოსტრაკოდერმებს და ამოწყდარ თევზებს — პლაკოდერმებს.

**ჯავშნიანი რელიეფი,** ზეგნები, პლატოები, მაგიდა მთები, რ-თა ზედაპირი წარმოადგენს მყარი ქანების „ჯავშნიან" შრეს. „ჯავშანი" იცავს მის ქვეშ მოქცეულ ნაკლებად მყარ ქანებს გამოფიტვისა და დენუდაციის სხვა ფაქტორების ზემოქმედებისაგან. ხშირ შემთხვევაში ჯ. რ. ინვერსიულია (იხ. რელიეფის ინვერსია).

**ჯავშნიანი ტკიპები** (Oribatei), ობობასნაირთა ქვერიგი Acariformes-ის რიგისა. მათი ჯავშანი დახშული სკლეროტიზებული კაფსულაა, რ-საც აქვს ხუფიანი ხვრელები (სასქესო, ანალური და პირის ორგანოებისა). სქესმოუმწიფებელ ფაზას (მატლი, ნიმფა) რბილი საფარველი აქვთ, სუნთქავენ კანით, ბინადრობენ ნიადაგის ზედა ფენებში. სქესმწიფე ჯ. ტ. დაფარული არიან ჯავშნით, სუნთქავენ ტრაქეებით, ბინადრობენ ნიადაგის ზედაპირზე. ახასიათებთ ვერტ. მიგრაცია ტენისა და ტემპ-რის ცვლილების დროს. ჯ. ტ. სას.-სამ. ცხოველების პარაზიტი ჭიების გამომწვევი თასმისებური ჭიების (ოჯახი Anoplocephalidae) შუალედური მასპინძლებია.

**ჯავშნიანი შოლტიანები** (Dinoflagellata, ან Peridinea), უმარტივესთა რიგი შოლტიანების კლასისა. ბოტანიკოსები ჯ. შ-ს აკუთვნებენ პიროფიტულ წყალმცენარეებს. ჯ. შ. ფართოდ არიან გავრცელებული ზღვებში, მტკნარ წყლებში, გვხვდებიან ჭაობებსა და თოვლზე. ჯ. შ-ის ზოგი სახეობა იწვევს წყლის ყვავილობას, ზოგი — ზღვის ნათებას, ზოგი ფერს აძლევს სანაპიროს ქვიშას. ჯ. შ-ის ძირითადი ქვერიგებია Gymnodiniinea, Dinophysinea, Peridiniinea, Blastodiniinea.

**ჯავშნოსანი,** მძლავრი არტილერიით შეიარაღებული, დაჯავშნული წყალზედა ხომალდი, რ-იც ძირითადად საზღვაო ბრძოლისათვის იყო განკუთვნილი (XIX ს. II ნახევარი — XX ს. I ნახევარი). ხომალდის დაჯავშნა პირველად ფრანგებმა და ესპანელებმა შეიტანეს გიბრალტარის ალყის დროს (1782). XIX ს. II ნახ. — XX ს. დასაწ. ჯ-ებით ბევრი სახ. ქვეყნის ფლოტი იყო შეიარაღებული. რუსეთში პირველი ტიპი ჯ. „პეტრე პირველი" წყალში 1872 ჩაუშვეს. რუს. ფლოტში განასხვავებდნენ საესკადრო (ღია ზღვაში ბრძოლისათვის) და სანაპირო (სანაპირო რ-ნებში მოქმედებისათვის) ჯ-ებს. ერთ-ერთი უდიდესი საესკადრო ჯ. „ანდრეი პერვოზვანნი" აშენებში 1906 ჩაეშვა.



საესკადრო ჯავშნოსანი „ანდრეი პერვოზვანნი".



ჯავშნოსანი „პეტრე პირველი"

სანაპირო დაცვის ჯ-ების კლასს ეკუთვნოდა „ადმირალ სენიავინი" (1896) რუს.-იაპ. ომის (1904—05) შემდეგ საესკადრო ჯ-ების ნაცვლად დაიწყეს უფრო სრულყოფილი — სახაზო ხომალდების მშენებლობა.

**ჯავშნოსნისებრნი** (Dasypodidae), ძუძუმწოვრების ოჯახი ამერიკული არასრულკბილიანების რიგისა. მათი სხეული (სიგრძე 12—100 სმ) ზემოდან და გვერდებიდან დაფარულია სქელი ჯავშნით, რ-იც შედგება რქოვანი ფარებისაგან. აქვთ მოკლე ფეხები, დიდი ბრჭყალები, გრძელი, ჭიისებრი წებოვანი ენა, 8—100 კბილი. გავრცელებული არიან სამხრ. და ცენტრ. ამერიკაში, მხოლოდ 1 სახეობა (ცხრასარტყლიანი ჯავშნოსანი) გვხვდება ჩრდ. ამერ. სამხრეთ. ოჯახში 2 ქვეოჯახი, 9 გვარი და 20 სახეობაა. აქტიური არიან ღამით. იკვებებიან წვრილი ხერხემლიანებით, მწერებით და მათი მატლებით, მოლუსკებით და სხვ. შობენ 2—4 ნაშიერს. ჯ-ზე ნადირობენ, იყენებენ ხორცს, ჯავშანს და სხვ.

**ჯაზი** (ინგლ. jazz), პროფესიული სამუსიკო ხელოვნების სახე. ჩამოყალიბდა XIX—XX სს მიჯნაზე ევრ. და აფრ. მუს. კულტურათა ელემენტების სინთეზის შედეგად, რ-იც განახორციელეს ამერიკელმა ზანგებმა. სიტყვა „ჯ." თავდაპირველად იხმარეს XX ს 20-იან წლებში სამხრ. შტატებში იმ მუსიკის აღსანიშნავად, რ-საც ნიუ-ორლეანის პატარ-პატარა ანსამბლები (საყვირის, კლარნეტის, ტრომბონის, ბანჯოს, ტუბისა ან კონტრაბასის, დასარტყამ საკრავებისა და ფორტეპიანოს შემადგენლობით) კოლექტ. იმპროვიზაციის პროცესში ქმნიდნენ ბლუზების, რეგტაიმებისა და ცეკვ. პოპულარული სიმღერებისა და ცეკვების თემებზე. ჯ-ის ფუძემდებლები არიან შავკანიანი მუსიკოსები — მომღერალი და საყვირზე დამკვრელი ლ. არმსტრონგი, ინსტრუმენტალისტები — კინგ ოლივერი, ჯ. დოდსი, კ. ორი, ჯ. რ. მორტონი და სხვ. მათ შემდეგ შეიქმნა თეთრკანიან მუსიკოსთა ანსამბლები, ე. წ. დიქსილენდები. 20-იან წლებში ჯ. ფართოდ გავრცელდა აშშ-ში (ჯაზის ცენტრმა ჩიკაგოში გადაინაცვლა), შემდეგ კი ევროპაში. 30-იან წლებში აღმოცენდა ახ. სტილი—სვინგი, რ-თვისაც დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი ორკესტრები (15—17 მუსიკოსი), კოლექტ. იმპროვიზაციის სოლო ეპიზოდები, სოლო იმპროვიზაციისა და კომპოზიტორის როლის გაზრდა. სვინგის სტილის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან დიუკ ელინგტონი, ფ. ჰენდერსონი, უფრო გვიან — ბ. გუდმენი, გ. მილერი და სხვ. ამავე პერიოდში ტ. უილსონმა, ლ. ჰემპტონმა, კ. ჰოკინზმა და ლ. იანგმა განავითარეს ვოკალური ჯ-ის ჟანრი. 40-იან წლების დასაწყისში ჩ. პარკერმა, დ. გილესპიმ, ტ. მანკმა, კ. კლარკმა და მ. როუჩმა რადიკალურად შეცვალეს ჯ-ის კონცეფცია, უარი თქვეს სვინგის საცეკვაო ხასიათზე, მელოდიურ სიმეტრიულობაზე და შექმნეს ახ. სტილი — „ბიბოპი", რ-სთვისაც დამახასიათებელია დისჰარმონიულობა-აშლილი ხმოვანება, სწრაფ მელოდიასთან ნაკლებად დაკავშირებული რთული იმპროვიზაციები. თანამედროვე ჯ. ვითარდება ე. წ. კომერციულ-გასართობი და მხატვრულ-შემოქმედებითი მიმდინარეობების ბრძოლაში.

50-იან წლებში ჯაზის, ბლუზისა და „თეთრი ამერიკელების" სოფლური ფოლკლორის ცალკეული ელემენტების სინთეზმა, ე. წ. „როკ-ნ-როლმა" (ინგლ. rock' n' roll — იქანავე და იბრუნე), ხოლო შემდეგ „ბიგ-ბიტმა" (ინგლ. big beat — დიდი დარტყმა) წარმოშვა ე. წ. პოპ-მუსიკის მიმდინარეობა (საუკეთესო ანსამბლები — „ბითლზი" და „ჩიკაგო"). აშშ-ის ფარგლებს გარეთ ჯ-ის გავრცელება დაიწყო 20-იანი წლებიდან. პირველი ჯაზური ანსამბლები სსრკ-ში ამავე ხანებში შეიქმნა (ვ. პარნახი, ა. ცფასმანი). 1929 ჩამოყალიბდა სახელგან. საესტრადო ორკესტრი ლ. უტიოსოვის ხელმძღვანელობით, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭ. ჯაზური სტილის ფორმირებაში. 30—40-იან წლებში პოპულარობით სარგებლობდნენ საესტრადო ორკესტრები, რ-ებსაც ხელმძღვანელობდნენ ა. ვარლამოვი, ე. როზნერი, ო. ლუნდსტრემი. საბჭ. ჯაზის სხვადასხვა მიმართულებას ავითარებენ მცირე შემადგენლობის ანსამბლები (50-იანი წლების დასასრულიდან). ფართო აღიარება მოიპოვეს სსრკ რადიომაუწყებლობის ორკესტრებმა, ცალკეულმა შემსრულებლებმა (რ. პაულსი და სხვ.)

ჯ-ის მუსიკამ საგრძნობი გავლენა მოახდინა XX ს. მუს. ხელოვნების განვითარებაზე, რამაც თავი იჩინა დებიუსის, რაველის, გერშვინის (განსაკუთრებით), სტრავინსკის, მიოს, ჰაილის, ბერნსტაინის, აგრეთვე საბჭ. კომპოზიტორების — დუნაევსკის, ეშპაის, ყარაევის, შჩედრინის, კაპლაევისა და სხვ ცალკეულ ნაწარმოებებში.

საქართველოში პირველი ჯაზური (საესტრადო) ორკესტრი შეიქმნა 1941 რ. გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით. შემდგომში საესტრადო ორკესტრებს ხელმძღვანელობდნენ დ. თორაძე, ჯ. ბაგრატიონი, გ. ცაბისკირია, პ. ნალბანდიშვილი, კ. პევზნერი. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით აღიარება მოიპოვა საესტრადო ორკესტრმა „რეროს" (60-იანი წლებიდან). 40—50-იან წლებში წარმატებით გამოდიოდა საქ. პოლიტექ. ინ-ტის ჯაზორკესტრი (ხელმძღ. ი. ტუღუში). 60—80-იან წლებში ცნობილი ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლებია „ორერა", „დიელო", „ივერია", „75" და სხვ. ქართ. ჯაზურ-საესტრადო მუს. განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კომპოზიტორებმა: დ. თორაძემ, გ. ცაბაძემ, გ. ყანჩელმა, ო. თევდორაძემ, შ. მილორავამ, ე. აზარაშვილმა და სხვ.

ლიტ.: Мысовский В., Фейертаг В., Джаз (Краткий очерк), Л., 1960.

**ჯაზმურიანი,** დაზმული ქვაბული ირანის მთიანეთის სამხრ. ნაწილში, ირანში. სიგრძე დაახლ. 300 კმ, სიგანე 140 კმ-მდე, სიმაღლე დაახლ. 360 მ. წარმოადგენს ბრტყელ დაჭაობებულ ვაკეს, რ-ზეც მთის რამდენიმე ქედის გრძელი მასივებია. გაზაფხულზე მდ-ების ადიდების შედეგად წყლით იფარება და აჩენს წყალსატევს (20—30 სმ სიღრმის), ზამთარში შრება.

**ჯაია** (Djaja: 1963-მდე კარსტენსი, 1969-მდე სუკარნო), ჩრდილოა-





ჯავშნიანები: 1—Placiphorella stimpsoni. 2—Cryptochiton stelleri. 3—Tonicella marmorea



ჯავშნიანი ტკიპა Scheloribates laevigatus თასმისებური ჭიის (Moniezia expansa) ჩანასახით (ცისტიცერკოიდით) სხეულში





ჯავშნიანი შოლტიანები: ა—Gyrodinium pavillardi, ბ—Ceratium hirundinella



ჯავშნოსნისებრნი: ცხრასარტყლიანი ჯავშნოსანი

cation de la carte Géologique détaillée de la France, P., 1922

ლიტ.: ძ ო წ ე ნ ი ძ ე ს., ალექსანდრე ჯანელიძე, თბ., 1961; ალექსანდრე ჯანელიძე (1888—1970). ბიობიბლიოგრაფია, შედგ. ჩ. ძველაძე, თბ., 1976. გ. შენგელაია.

**ჯანელიძე** დიმიტრი სევასტის ძე [დ. 26. IV (9. V). 1906, ქუთაისი], ქართველი საბჭ. თეატრმცოდნე, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, პედაგოგი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966), მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1965), პროფესორი (1966), სსრკ მწერალთა კავშირის წევრი 1948-იდან. სწავლობდა თსუ-სა და მოსკ. უმაღლეს ლიტ. კურსებზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამეცნ.-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. 1933-იდან მისი მოღვაწეობის ეწყვა თსუ-სა და თბილ. დრამ. სტუდიებში. 1940-იდან კი შ. რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში, 1962-იდან ამავე ინ-ტის თეატრისა და კინოს ისტ. კათედრის გამგეა, 1970-იდან არის თეატრისა და კინოს ისტ. და თეორიის სამეცნ.-კვლ. სექტორის ხელმძღვანელი. ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის თეატრის სამეცნ. სექციის თავჯდ. იყო საბჭ. ენციკლოპედიის კონსულტანტი ქართული თეატრის დარგში. ჯ-ის მნიშვნელოვანი შრომებია: „პირველი საბჭოთა სპექტაკლი" (1936), „ქართული თეატრის ხალხური სანყისები" (1948, 1983), „ქართული თეატრის ისტორია" (ტ. II, 1965), „რუსთაველი და სახიობა" (1967); „ვალერიან გუნია" (1963), „სახიობა" (ტ. 1—3, 1957, 1972, 1980), „ალექსანდრე მრევლიშვილი" (1987), „ქართული თეატრი უძველეს დროიდან XIX ს. მეორე ნახევრამდე" (1969, რუს. ენაზე) და სხვ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1985). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით. შ. ცაგარეიშვილი.

**ჯანელიძე** იუსტინე ივლიანეს ძე [20. VII (1. VIII). 1883, სოფ. სამტრედია, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 14. I. 1950, ლენინგრადი], ქართველი საბჭ. ქირურგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), რსფსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1936), სამედ. სამსახურის გენ.-ლ., სოციალ. შრომის გმირი (1948). 1905 სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ხარკოვის უნ-ტიდან გარიცხეს; სწავლა განაგრძო შვეიცარიაში. 1911 მიიღო მოსკ. უნ-ტის დიპლომი. 1921-იდან პეტროგრ. სამედ. ინ-ტის (ახლანდ. ლენინგრ. I სამედ. ინ-ტი) პროფესორი, 1939-იდან კი საბჭ. საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი იყო. მისი ძირითადი შრომები ეხება გულისა და სისხლძარღვების ქირურგ., ტრავმატოლოგიის, გადაუდებელი და სამხ.-საველე ქირურგ. პრობლემებს. 1913 ჯ-მ პირველად მსოფლიოში წარმატებით გაკერა ასწვრივი აორტის ჭრილობა. 1947 აირჩიეს ქირურგთა საკავშ. საზ-ბის გამგეობის თავმჯდ. 1949 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—5, М., 1953—59.

ლიტ.: მ ა ხ ა ზ ი ა ვ ე რ ი შ ვ ი ლ ი ე., იუსტინე ჯანელიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1964; Л о г и н о в а Е. А., Ю. Ю. Джанелидзе — хирург-организатор (1883—1950), «Советское здравоохранение», 1959, № 4. ლ. აკაკიაძე.

**ჯანელიძე** ლევან გიორგის ძე [18. VI (1. VII). 1911, ზესტაფონი, — 6. I. 1981, თბილისი], ქართველი საბჭ. არქიტექტორი, საქ. სსრ დამს. არქიტექტორი (1965). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1947). ნამუშევრები რუსთავში — ხიდი მტ. მტკვარზე (1947, გ. ჩახავასთან ერთად), წყალტუბოში — სანატორიუმი „იმერეთი" (1968, ვ. ალექსი-მესხიშვილთან ერთად, თ. ჯანაშვილის მონაწილეობით), თბილისში — მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველის მოედნის" მიწისქვეშა ბაქანი (1966). ა. კინწურაშვილი.

**ჯანელიძე** ჯანო (ვლადიმერ) დიანოზის ძე (დ. 1. I. 1933, სოფ. შარაბი, აბაშის რ-ნი), ქართველი საბჭ. მხატვ., საქ. სსრ დამს. არტისტი (1968). სკკპ წევრი 1965-იდან. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1951. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები „სიყვარული ქვეყნის სანგრებში" (1966), „თიბათვე" (1968), „ოქროსფერი ქაფურნილები" (1970), „არდაგიწყება" (1972), „იდუმალება" (1974), „კამარა" (1976), „სიზმრის სარკმელი" (1981), „რწეული" (1983), „ქვლიანი გვირგვინები" (1985) და სხვ. რ. ჟღენტიშვილი.

**ჯანითუბანი,** მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3991 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

**ჯანითუბანი,** უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე 3483 მ. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. აკავშირებს ლენტეხისა და ადილსუს მყინვარების გაღლიანს. მდ.-ების მესტიაჭალისა (ენგურის აუზი) და ადილსუს (ბაქსანის აუზი) სათავეებს.

**ჯანიბეკიანი** (ნამდვ. გვარი ტ ე რ-ხ ა ჩ ა ტ რ ი ა ნ ი) გურგენ ჯანიბეკის ძე [6 (18). V. 1897, ერევანი, — 27. IX. 1978, იქვე]. სომეხი საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1967) სკკპ წევრი 1944-იდან. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1918 ერევანში. მუშაობდა ლენინაკანისა და თბილ. სომხ. თეატრებში. 1924-იდან გ. სუნდუკიანის სახ. სომხ. თეატრის მსახიობია (ერევანი). საუკეთესო როლებია: სეიჩანი (შირვანზადეს „ნამუსი"), ფიგარო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება"), ოტელო (შექსპირის „ოტელო"), პროტასოვი (ლ. ტოლსტოის „ცოცხალი გვამი"), ბაყვი (ნუნიევის „ალუბლის ბაღი"), ბარულამ პაპლოგვენი (დემირჩიანის „ნაპოლეონ კორკოტიანი") და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

**ჯანიბეკოვი** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (დ. 1942, ქალაქ ისქანდარი, ბოსთანლიქის რ-ნი, ტაშკენტის ოლქი), საბჭ. კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (16. III. 1978. 30. III. 1981), მონღ. სრ-ის გმირი (1981), ავიაციის გენერალ-მაიორი (1985). სკკპ წევრი 1970-იდან. 1965 დაამთავრა ეისკის მფრინავთა უმაღლესი სამხ.-საავიაციო სასწავლებელი (ამჟამად ვ. კომაროვის სახელობისა). მუშაობდა სამხ.-საჰაერო ძალებში. 1970-იდან კოსმონავტთა რაზმშია. პირველად კოსმოსში იფრინა 1978 წ. 10—16 იანვ. ო. მაკაროვთან ერთად ხომალდ „სოიუზ-27-ით" (განახორციელა შეპირაპირება პილოტირებულ „სალიუტ-6" — „სოიუზ-26"-ის კომპლექსთან), მეორედ — 1981 წ. 22—30 მარტს მონღ. სრ-ის მკვლევარ კოსმონავტ ჟ. გურრაგჩასთან ერთად „სოიუზ-39-ით" (შეპირაპირება პილოტირებულ „სალიუტ-6"—„სოიუზ ტ-4-ის" კომპლექსთან), მესამედ — 1982 წ. 24 ივნ. — 2 ივლ. ა. ივანჩენკოვისა და ფრანგ მკვლევარ კოსმონავტ ჟ.-ლ. კრეტიენთან ერთად „სოიუზ ტ-6-ით" (შეპირაპირება პილოტირებულ „სალიუტ-7"—„სოიუზ ტ-5-ის" კომპლექსთან), მეოთხედ — 1984 წ. 17—29 ივლ. ს. სავიცკაიასა და ი. ვოლკოვთან ერთად „სოიუზ ტ-12-ით" (შეპირაპირება პილოტირებულ ორბიტულ კომპლექსთან „სალიუტ-7"—„სოიუზ ტ-11". ამ ფრენის დროს სავიცკაიასთან ერთად ღია კოსმოსში დაჰყო 3 სთ. 35 წთ), მეხუთედ — 1985 წ. 6 ივნ. — 26 სექტ. ვ. სავინიხთან ერთად „სოიუზ ტ-13-ით" (შეპირაპირება სადგურ „სალიუტ-7-თან"). დაჯილდოებულია ხუთი ლენინის ორდენით.

**ჯანიშინი** (სპარს. ჯანეშინ — მოადგილე, ნაცვალი), შაჰის მიერ ირანში გაწეული ქართლის მეფის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დატოვებული პირი. ირანის სეფიანი შაჰები ქართლის მეფეს ერთდროულად ირანის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და იქვე ტოვებდნენ შეკავლეობის შესასრულებლად, მის სამეფო საქმეებს კი მისივე მემკვიდრე — ჯ. ასრულებდა. წყაროებში მას ნაიბი ან გამგეც ეწოდება. მაგ., 1703 შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ქართლის მეფობა გიორგი XI-ს დაუმტკიცა და ირან. სპასალართა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძა, ქართლში კი მის ჯ-ად მისივე ძმისწული ვახტანგ VI დანიშნა. ჯ. სახელმწიფოს სრულუფლებიანი გამგებელი იყო.

წყარო: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: თ ი ნ დ ე ლ ი., ლაშის ლეგენდა: შეპ. ქართველ სახელმწიფოს ისტორიის, თბ., 1959. რ. კიკნაძე.

**ჯანქოი,** ქალაქი (1926-იდან) უკრ. სსრ ყირიმის ოლქში. საოლქო ცენტრი. რკინიგზის კვანძი. მანქანათსაშ., სარემონტო-მექან. რკინიგზის საწარმოები. ხორცკომბინატი, რძის ქარხანა, საბეჭდისა და საკონსერვო საწარმოები.

**ჯანმრთელობის დაცვა,** ჯ ა ნ დ ა ც ვ ა, სახელმწიფო, სოციალურ-ეკონომიკურ, სამედიცინო და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რ-საც საზ-ბა იყენებს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესებისათვის. ჯ. დ-ის ხასიათს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საზ-ბის სოც. წყობა. ამიტომ ჯ. დ-ის პრინციპები და ხასიათი კაპიტ. და სოციალ. საზ-ბებში სხვადასხვაა, თუმცა ჯ. დ-ის მიზანი ერთია — ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადებების შესწავლა, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება. ჯ. დ-ის ფორმები, ინდივიდ. და კომპლექსური პროფილაქტ. ღონისძიებანი, ბიოსფეროზე მეთვალყურეობისა და კონტროლის ხერხები, დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები ინტერნაციონალურია, მაგრამ ყოველი ქვეყნის ჯ. დ-ისთვის დამახასიათებელია ეროვნ. თავისებურებები და ტრადიციები.

სოციალ. ჯ. დ-ის ძირითადი პრინციპებია მისი მეცნ. ხასიათი, უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი კვალიფიციური სამედ. დახმარება, ჯ. დ-ის პროფილაქტ. მიმართულება და ჯ. დ-ში საზოგადოებრიობის მონაწილეობა. სსრკ-ში ჯ. დ-ის პრინციპებს განსაზღვრავს სკკპ და საბჭ. სახელმწიფოს პოლიტიკა.

საბჭ. სახელმწიფო განუხრელად ზრუნავს მშრომელთა ჯანმრთელობაზე და წლითიწლობით ზრდის ჯ. დ-ზე გაღებულ ხარჯებს (ფიზკულტურისა და სპორტის ჩათვლით). მაგ., 1950 ჯ. დ-ზე დაიხარჯება 2,1 მლრდ. მან., 1960—4,8 მლრდ. მან., 1970 — 9,9 მლრდ მან., 1984 — 17,2 მლრდ. მან. ჯ. დ-ის განვითარების გეგმა სსრკ სახ. მეურნეობის განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილია. ჯ. დ-ის პროფილაქტ. მიმართულება ხორციელდება, როგორც სოც. და სამედ. ღონისძიებათა სახელმწ. სისტემა. ამ ღონისძიებათა მიზანია დაავადებების პროფილაქტიკა, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და აქტ. ხანგრძლივ სიცოცხლეზე ზრუნვა. სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარიულ-ჰიგიენურ მეურნეობას (იხ. სტატიები ჰიგიენა, სანიტარია) თეორ. და პრაქტ. მედიცინის განვითარების საკითხებს ამუშავებს სსრკ მედ. მეცნ. აკადემია, მისი საპრობლემო კომისიები და ჯანდაცვის სამინისტროს სამედ.-სამეცნ. საბჭოები.

საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში ჯ. დ-ის პრინციპები ძირითადად აგებულია


დ. ჯანელიძე


ი. ჯანელიძე


გ. ჯანიბეკიანი


ვ. ჯანიბეკოვი

რი გადაცემისაგან განსხვავებით, ჯ. გ-ში გამორიცხულია სრიალი, გადაცემის ფარდობა კი შედარებით მუდმივია, დამაკმაყოფილებლად მუშაობს როგორც მაღალი, ისე დაბალი სიჩქარისა და ტემპ-რის დროს. აქვს ნაკლიც: სვლის უთანაბრობა, გაზრდილი ვიბროაქტიურობა, ხმაური და სხვ. ჯ. გ-ს იყენებენ ველოსიპედებში, მოტოციკლებში, ლითონსაჭრელ ჩარხებში, სამშენებლო-საგზაო მანქანებში და სხვ. *კ. ნუცუბიძე.*

**ჯაჭვური რეაქციები,** ქიმიური და ბირთვული რეაქციები, რ-ებშიც წარმოქმნილი შუალედური აქტიური ნაწილაკი (გაუწყვილებელი ელექტრონის მქონე ატომი, თავისუფალი რადიკალი, იონი—ქიმ., ნეიტრონი—ბირთვულ პროცესებში) იწვევს რეაქციის პროდუქტებში საწყისი ნივთიერების გარდაქმნათა ჯაჭვს (ბირთვული პროცესების შესახებ იხ. *ბირთვული ჯაჭვური რეაქცია*). ტიპური ჯ. რ-ია თერმული კრეკინგი, პიროლიზი, ჰალოგენირება, ჟანგვა, პოლიმერიზაცია. ჯ. რ. რთული რეაქციებია. რ-ებიც მრავალი ელემენტარული სტადიისაგან შედგება. განასხვავებენ არაგანშტოებულ (მარტივ) და განშტოებულ ჯ. რ-ს.

ა რ ა გ ა ნ შ ტ ო ე ბ უ ლ ი ჯ. რ-ის მაგალითია ფოტოქიმ. რეაქცია წყალბადისა და ქლორის შორის. ამ რეაქციის დროს ქლორის მოლეკულა სინათლის კვანტის შთანთქმისას იშლება ორ ატომად. თითოეული ქლორის ატომი იწვევს ქიმ. გარდაქმნათა ჯაჭვს, სადაც ქლორისა და წყალბადის ატომები ასრულებენ აქტ. ნაწილაკის როლს. ჯაჭვის სიგრძე შეიძლება ათეულ და ასეულ ათასობით ელემენტარულ აქტს შეადგენდეს. ჯაჭვი წყდება იმ შემთხვევაში, როცა ატომები რეკომბინაციას განიცდიან (იხ. *რეკომბინაცია*). არაგანშტოებული ჯ. რ-ის თანამედროვე თეორია დაამუშავეს გერმ. მეცნიერებმა მ. ბოდენშტაინმა და ვ. ნერნსტმა.

გ ა ნ შ ტ ო ე ბ უ ლ ი ჯ. რ. ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით. სარეაქციო სისტემის რომელიმე პარამეტრის მცირე ცვლილებაც კი რეაქციის სიჩქარის ძლიერ ზრდას (თვითაალების ტიპის თვითაჩქარებულ პროცესს) იწვევს ან ხდება პრაქტიკულად დაბალი ტემპ-რის დროს. ასეთი განშტოებული რეაქციების თეორია შექმნეს *ნ. სემიონოვმა* და *ს. ჰინშელვუდმა*. განშტოებული ჯ. რ-ის მაგალითია წყალბადის ჟანგვა, რ-იც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:

$H + O_2 \rightarrow OH + O$ — განშტოება

$OH + H_2 \rightarrow H_2O + H$
$O + H_2 \rightarrow OH + H$
$OH + H_2 \rightarrow H_2O + H$ } — გაგრძელება

ანუ: $H + 3H_2 + O_2 = 2H_2O + 3H$.

1939 წ. *კონდრატიევმა* თანამშრომლებთან ერთად შეისწავლა წყალბადისა და ჟანგბადის ნარევის აალების რეაქცია, ხოლო შემდეგ ნ. *ემანუელმა*—გოგირდწყალბად-ჟანგბადის აალება. მათ დაადგინეს, რომ ალში აქტ. ცენტრების კონცენტრაცია რამდენადმე აღემატება მათ თერმოდინ. წონასწორულ სიდიდეებს. განშტოებული ჯ. რ-ია არა მარტო ქიმ. და ბირთვული რეაქციები, არამედ სხვა რეაქციებიც. მაგ., დადგენილია, რომ განშტოებული ჯაჭვური პროცესია აგრეთვე ლაზერების კოჰერენტული გამოსხივება.

არსებობს ნელი განშტოებული გადაგვარებული ჯ. რ-ც, რ-თაც გ ა დ ა გ ვ ა რ ე ბ უ ლ - გ ა ნ შ ტ ო ე ბ უ ლ ს უწოდებენ. ამ პროცესში აქტ. ნაწილაკებია არა ატომები და თავისუფალი რადიკალები, არამედ შუალედური მოლეკულური პროდუქტები. აქტ. ნაწილაკები ჯ. რ-ში შეიძლება იყოს აგზნებული მოლეკულებიც. ასეთი ტიპის განშტოებას ენერგეტიკულს უწოდებენ.

ლიტ.: Семенов Н. Н., Развитие теории цепных реакций и теплового воспламенения, М., 1969

**ჯაჭვური სქემა,** *ელექტრული წრედი*, რ-იც შედგება მიმდევრობით და პარალელურად ჩართული ელემენტებისაგან (რეზისტორები, საინდუქციო კოჭები, ელექტრული კონდენსატორები). ჯ. ს. შეიძლება იყოს კასკადურად შეერთებული სიმეტრიული T და П-ებრი ოთხპოლუსების სახისა. თუ ყველა ოთხპოლუსა ერთნაირია, ჯ. ს. ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ა, ხოლო თუ სხვადასხვაა,— ა რ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი. ჯ. ს-ს იყენებენ ელექტრულ ფილტრად. მისი მეშვეობით ანგარიშობენ ძაბვის გაწონასწორებას იზოლატორების გირლანდებში და სხვ. რეაქტიული ელემენტებისაგან (საინდუქციო კოჭა, კონდენსატორი) შედგენილ ჯ. ს-ს იყენებენ ხელოვნური დაყოვნების ხაზის სახით.

**ჯაჭვწილადი,** უ წ ყ ვ ე ტ ი წ ი ლ ა დ ი. რიცხვებისა და ფუნქციების წარმოდგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. გამოისახება შემდეგნაირად:

$$a_0 + \cfrac{1}{a_1 + \cfrac{1}{a_2 + \cdots + \cfrac{1}{a_n + \cdots}}} \qquad (1)$$

სადაც $a_0$ არის ნებისმიერი მთელი რიცხვი, ხოლო $a_1, a_2, \ldots, a_n, \ldots$ ნატურალური რიცხვებია, რ-თაც მოცემული ჯ-ის ა რ ა ს რ უ ლ ნ ა შ თ ე ბ ს ან ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ს უწოდებენ. $\alpha$ რიცხვის ჯ-ად წარმოდგენისათვის საჭიროა ეს რიცხვი ჩავწეროთ შემდეგი სახით: $\alpha = a_0 + \frac{1}{\alpha_1}$, სადაც $a_0$ არის მთელი რიცხვი და $0 < 1/\alpha_1 < 1$. შემდეგ ამავე სახით ჩავწეროთ $\alpha_1$ რიცხვი და ა. შ.

ელემენტთა რიცხვი შეიძლება იყოს სასრული ან უსასრულო. ამასთან დაკავშირებით ჯ-ს ეწოდება სასრული ან უსასრულო. (1) ჯ-ს ხშირად სიმბოლურად გამოსახავენ ასე: $[a_0; a_1, a_2, \ldots, a_n, \ldots]$ (უსასრულო ჯ.) (2), ან ასე: $[a_0; a_1, a_2, \ldots, a_n]$ (სასრული ჯ.) (3). სასრული ჯ. ყოველთვის რაციონალური რიცხვია და, პირიქით, ყოველი რაციონალური რიცხვი შეიძლება წარმოვადგინოთ სასრული (3) ჯ-ის სახით. ასეთი წარმოდგენა ერთადერთია, თუ მოვითხოვთ, რომ $a_n \neq 1$. $[a_0; a_1, \ldots, a_k]$ $(k \leq n)$ სახის ჯ-ს, რ-იც ჩაწერილია $p_k/q_k$ უკვეცი წილადის სახით, ეწოდება მოცემული (2) ჯ-ის $k$ რიგის მ ა ხ ლ ო ვ ა დ ი წ ი ლ ა დ ი. მახლოვადი წილადების მრიცხველები და მნიშვნელები ერთმანეთთან დაკავშირებულია რეკურენტული ფორმულებით:

$p_{k+1} = a_{k+1}p_k + p_{k-1}, \quad q_{k+1} = a_{k+1}q_k + q_{k-1},$

რ-ებიც წარმოადგენენ ჯ-ების თეორიის საფუძველს. ამ ფორმულებიდან უშუალოდ გამომდინარეობს მნიშვნელოვანი თანაფარდობა: $p_k q_{k+1} - q_k p_{k+1} = \pm 1$.

ყოველი უსასრულო ჯ-თვის არსებობს ზღვარი: $\lim_{k \to \infty} \frac{p_k}{q_k} = \alpha$, რ-საც ეწოდება მოცემული ჯ-ის მნიშვნელობა. ყოველი ირაციონალური რიცხვი წარმოადგენს ერთადერთი უსასრულო ჯ-ის მნიშვნელობას.

ჯ-ის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ის, რომ მახლოვადი წილადები $\alpha$ რიცხვის საუკეთესო მიახლოებებია, ე. ი. ნებისმიერი სხვა წილადისათვის $m/n$, რ-ის მნიშვნელი არ აღემატება $q_k$-ს, სრულდება უტოლობა: $|n\alpha - m| > |q_k\alpha - p_k|$; ამასთან, $|q_k\alpha - p_k| < 1/q_{k+1}$.

ჯ-ებს იყენებენ ირაციონალური რიცხვების რაციონალური რიცხვებით მიახლოებისათვის. 1766 ი. *ლამბერტმა* ჯ-ების გამოყენებით დაამტკიცა $e$ და $\pi$ რიცხვთა ირაციონალურობა, ხოლო ჟ. *ლიუვილმა* გამოიკვლია, რომ ნებისმიერი ალგებრული $n$ ხარისხის $\alpha$ რიცხვისათვის შეიძლება ვიპოვოთ ისეთი მუდმივი $\lambda$, რომ ნებისმიერი $x/y$ წილადისათვის შესრულდეს უტოლობა: $|\alpha - x/y| > \lambda/y^n$.

ჯ. გვხვდება ჯერ კიდევ XVI ს-ში იტალ. მათემატიკოსის რ. ბომბელის ნაშრომებში. ჯ-ის თეორიის განვითარება დაკავშირებულია *ქ. ჰიუგენსის*, *ლ. ეილერისა* და სხვ. სახელებთან.

**ჯაჭვწირი,** იხ. სტ. *წირი*.

**ჯაჯური,** ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. განეკუთვნება შუა საუკ. ბაზილიკაა. მდებარეობს ქ. ორჯონიკიძის მახლობლად. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობა.

**ჯაბუა** კირილე კოტეს ძე [17. II (2. III). 1902, სოფ. ჯოლევი, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი,— 18. VIII. 1969, თბილისი], საბჭ. გენერალ-მაიორი (1942). სკკპ წევრი 1930-იდან. 1924 გაიწვიეს საბჭ. არმიის რიგებში 1926 დაამთავრა ქართ. გაერთ. სამხ. სკოლა. 1931-იდან მსახურობდა შორეულ აღმ-ში ხასანის ტბისა და ხალხინ-გოლის ბრძოლების მონაწილე 1939 დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია, მონაწილეობდა სსრკ-ფინ. ომში (1939—40) დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს მონაწილეობდა სტალინგრადის, კურსკის, კორსუნ-შევჩენკოს, იასი-კიშინიოვის ბრძოლებში, აგრეთვე ბუდაპეშტისა და ვენის განთავისუფლებაში. იყო მსროლელი კორპუსის, მსროლელი დივიზიის მეთაური. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 13 სხვა ორდენითა და მედლებით. *გ. ნარსია.*

**ჯაზის ტბა** (დიდი და პატარა), ტბები მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ადიგენის რ-ში, მდ. მტკვრისწყლის სათავეში, ზ. დ. 2665 *მ* (დიდი), 2630 *მ* (პატარა). შესაბამისად, სარკის ფართ. 0,01 და 0,007 *კმ*², აუზის ფართ. 0,89 და 0,58 *კმ*², უდიდესი სიღრმე 5 და 3,2 *მ*, წყლის მოცულობა 30 ათ. და 18 ათ. *მ*³. ტბებს უკავია კარული ქვაბულების ძირი. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალი მტკნარი, სუფთა და გამჭვირვალეა, გაუდინარია. *ი. აფხაზავა*

**ჯაჰანგირი** (სპარს., სიტყვასიტყვით — ქვეყნის დამპყრობი; სატახტო სახელი) (1569—1627), დიდ მოგოლთა სახელმწიფოს გამგებელი 1605—27, აქბარის შვილი. მის დროს დასუსტდა ცენტრ. ხელისუფლება, გაძლიერდა ფეოდალების — ჯაგირდარების ძალაუფლება, გზა გაეხსნა კორუფციას. 1613 ინგლ. ოსტინდოეთის კომპანიამ ჯ-გან მიიღო პირველი ფირმანი სურატში პირველი სავაჭრო ფაქტორიის დაარსების შესახებ. 1622 სპარსელებმა მოგოლებს წაართვეს საქარავნო ვაჭრობის „გასაღები" — ქ. ყანდაარი. ჯ. ნაკლებად იყო დაინტერესებული სახელმწ. საქმიანობით, დიდი პოლიტ. გავლენა ჰქონდა მის ცოლს — ნურ ჯაჰანს. ჯ-მა დაწერა მოგონება „თუზუქ-ი ჯაჰანგირი".

**ალ-ჯაჰიზი** აბუ უსმან ამრ იბნ ბაჰრ (დაახლ. 775, ბასრა,— 868, იქვე), არაბი მწერალი. მოღვაწეობდა ბაღდადში აბასიანთა კარზე. იყო ადაბის [განათლებული ადამიანისათვის (ადიბი) სავალდებულო საერო მეცნიერებათა სფერო] ლიტ-რის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და მუთაზილიტობის (რაციონალისტური მიმდინარეობა ისლამში) მიმდევარი. ეკუთვნის 170-მდე წიგნი, ტრაქტატი და ანთოლოგია მეცნ. სხვადასხვა დარგში. აღსანიშნავია მისი წიგნი „ცხოველებზე", იუმორისტულ მოთხრობათა კრებ. „წიგნი ძუნწებზე" (ქართ. თარგმ. 1968, წგნ-ში „არმაღანი"), სატირული ეპისტოლე „კვადრატულისა და სფერულის შესახებ", ისტ.-პოლიტ. ტრაქტატები „წიგნი არაბებისა და სპარსელებზე" და სხვ. ალ-ჯ-ის ნაწარმოებები ერთგვარი ენციკლოპედიაა



ჯაჭვური გადაცემა: ა—ორრიგა ჯაჭვური გადაცემა; ბ—სამრიგა ჯაჭვური გადაცემა



კ. ჯაბუა

მისურის პლატოზე მიედინება განედურ ხეობაში. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები — ზაფხულში. იყენებენ სარწყავად.

**ჯეიმზტაუნი** (Jamestown), ქალაქი, წმ. ელენეს კუნძულის (დიდი ბრიტ. სამფლობელო) ადმ. ცენტრი. 1,9 ათ. მცხ. (1980). ნავსადგური ჯეიმზის უბეში. გააქვთ ქერქი, ბაგირი. წყლით ამარაგებენ გამვლელ გემებს.

**ჯეიმსონი** (Jameson) ლინდერ სტარ [9 II. 1853, ედინბურგი, — 26 XI. 1917, ლონდონი], ინგლისელი კოლონიზატორი სამხრ. აფრიკაში, ექიმი „ბრიტანეთის სამხრეთ-აფრიკის კომპანიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ს. როდზთან ერთად). ინგლ. მთავრობასთან შეთანხმებით 1895 დეკ. ს. როდზის ინიციატივით ინგლ. შეიარაღებული რაზმი, რ-საც ჯ. მეთაურობდა, ბურების სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (ტრანსვაალში) შეიჭრა ბურების მთავრობის დამხობისა და ტრანსვაალის დიდი ბრიტ. კოლონიად გამოცხადების მიზნით. ჯ-ის რაზმი ბურებმა დაამარცხეს. სამხრ. აფრიკაში აგრესიული პოლიტიკის დაფარვის მიზნით ინგლ. მთავრობამ ჯ. სასამართლოს გადასცა და 15 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მალე გაათავისუფლეს. 1899—1902 ჯ. მონაწილეობდა დიდი ბრიტ. ომში ბურების რესპ. დასაპყრობად. 1904—08 კაპის კოლონიის პრემიერ-მინისტრი იყო. 1910—12 მეთაურობდა ბრიტ. იუნიონისტების პარტიას სამხრ. აფრ. კავშირში.

**ჯეირანი**, წყვილჩლიქოსანი ცხოველი, იგივეა, რაც ქურციკი.

**ჯეიჰანი** (Ceyhan), მდინარე თურქეთში, მცირე აზიის ნ-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში. სიგრძე 474 კმ, აუზის ფართი 21,2 ათ. კმ². სათავე აქვს [illegible] ტავრის დას. ფერდობებზე; ქვემოწელში მიედინება ჩუკუროვის დაბლობზე. ჩადის ხმელთაშუა ზღვის ისკენდერუნის ყურეში. წყალდიდობა ზამთარსა და გაზაფხულზე. წყლის საშ. ხარჯი დაახლ. 230 მ³/წმ.

**ჯეიჰანი** (Ceyhan), ქალაქი სამხრ. თურქეთში, ადანის ვილაიეთში, მდ. ჯეიჰანის ნაპირზე. 57,1 ათ. მცხ. (1980). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის (მარცვლეული, ბოსტნეული, ციტრუსი, ბამბა) ცენტრი. საფეიქრო და კვების მრეწვ. საწარმოები.

**ჯელადა** (Theropithecus gelada), მაიმუნი მაიმუნისებრთა ოჯახისა. მამლის სხეულის სიგრძე 70—74 სმ, მასა 20 კგ. დედალი მომცროა. მამალს აქვს მუქი ფერის მანტია, რ-იც ფარავს სხეულის წინა ნაწილს. დუნჩის ბეწვი ნაცრისფერია. ყელსა და მკერდზე აქვს კანის შიშველი უბანი სამკუთხა კარმინისფერი ლაქებით. გავრცელებულია ეთიოპ. მთებში, სადაც ზღ. დ. 2000 მ-იდან აქტიურია დღისით. ტერიტორიული [illegible]. ხეებზე თითქმის არ დაცოცავს. ზამთრობით, როცა მთაში ტემპ-რა 0°C-მდე ეცემა, ჯ. ქვემოთ ეშვება. იკვებება ბალახით, მარცვლით, მწერებით. დიდ ზიანს აყენებს პლანტაციებს.

**ჯელალიები** (თურქ., მხ. რ. celâli), აჯანყების მონაწილენი ოსმალეთის იმპერიაში (მცირე აზიასა და ანატოლიაში) XVI—XVII სს-ში. სახელი ეწოდათ თოქათში 1519 აჯანყების მეთაურის ჯელალის მიხედვით. ჯ-ის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ გლეხები. მონაწილეობდნენ აგრეთვე წვრილი ფეოდალები, ფეოდ. ლაშქრის მეომრები, რ-ებიც იბრძოდნენ სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ და დაკარგული სამფლობელოების დასაბრუნებლად. ერთ-ერთი უდიდესი იყო ჯ-ის 1595—1603 აჯანყება.

**ჯელამი**, მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში, მდ. ჩინაბის (ინდის აუზი) შენაკადი. სიგრძე 810 კმ (სხვა მონაცემებით 720 კმ), აუზის ფართ. 65,3 ათ. კმ². სათავე აქვს პირ-პანჯალის (ცენტრ. ჰიმალაი) კალთებზე. შუწელში კვეთს ქაშმირის ველს, გადის ვულარის ტბას, შემდეგ კვეთს ჰიმალაის წინამთების ქედს და გადის ინდო-განგის ვაკეზე. ზემო და ქვემო მონაკვეთები სანაოსნოა. წყლის საშ. ხარჯი 895 მ³/წმ, ზაფხულის მოხონების დროს — 20 ათ. მ³/წმ-ზე მეტი. იყენებენ სარწყავად. ჯ-ის ნაპირებზეა ქ-ები: სრინაგარი, ჯელამი, ბარა, ხუშაბი.

**ჯელამი**, ქალაქი პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში, მდ. ჯელამის (ინდის აუზი) ნაპირზე. 106 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. რკინიგზის სახელოსნოები. ხე-ტყის დასაცურებელი პუნქტი. სამრ. განვითარებულია კვების, თუნის საწარმოები.

**ჯელიკო** (Jellicoe) ჯონ რაშვორთი (5. XII 1859, საუთჰემპტონი, — 20. XI. 1935, ლონდონი), გრაფი, ინგლისელი ფლოტის ადმირალი (1919). მონაწილეობდა ეგვ. (1882) და ჩინ. (1900) წინააღმდეგ კოლონიურ ომებში. 1913-იდან მე-2 საზღვ. ლორდი. I მსოფლიო ომში (1914—18) იყო გრანდ-ფლიტის (დიდი ფლოტის) მთავარსარდალი (1914—16) და ხელმძღვანელობდა მას იუტლანდიის ბრძოლაში (1916). 1916—17 — I-ლი საზღვ. ლორდი. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო აქტ. ბრძოლა გერმ. წყალქვეშა ნავებთან. 1925-იდან თადარიგში გავიდა.

**ჯემალ ად-დინ ალ-აფღანი** მუჰამედ სეიდ (1838 ან 1839, სოფ. ასადაბადი, ქაბულის ახლოს, — 9. III 1897, სტამბოლი), მუსლიმანი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, რ-ის იდეები საფუძვლად დაედო პანისლამიზმს. მისივე უშუალო [illegible] რელიგ. განათლება ქაბულში მიიღო. კარიერა დაიწყო (1857) ავღ. ამირა დოსთ მუჰამედ ხანის კარზე. 1868 გადავიდა ინდოეთში, 1869—71 ცხოვრობდა სტამბოლში, 1871—79 — კაიროში. აქ იგი გამოდიოდა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. ინგლისელების მოთხოვნით ეგვიპტიდან ინდოეთში გადაასახლეს. 1883—86 ცხოვრობდა დას. ევროპაში. 1884 პარიზში მუჰამედ აბდუსთან ერთად გამოსცემდა გაზ. „ალ-ურვა ალ-ვუსკა" („საიმედო დასაყრდენი"). 1892-იდან ცხოვრობდა სტამბოლში როგორც სულთან აბდულჰამიდ II-ის სტუმარი, იქვე გარდაიცვალა. 1944 ბოლოს მისი ნეშტი ავღანეთში გადაასვენეს. მთავარ თხზულებაში „მატერიალისტების უარყოფა" ჯ. ცდილობდა მატერიალიზმის ზოგიერთი დებულების უარყოფას. მოუწოდებდა მუსლიმანებს გაერთიანებულიყვნენ უმაღლესი სის მეთაურის — ხალიფის ძალაუფლების ქვეშ.

**ჯემალ-ფაშა** (Cemal Paşa) აჰმედ (1872, სტამბოლი, — 10. ან 21. VII. 1922, თბილისი), თურქი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. შედიოდა (თალაათ-ფაშასა და ენვერ-ფაშასთან ერთად) არაოფიციალურ „ტრიუმვირატში", რ-ის ხელში იყო მთელი ძალაუფლება ოსმალეთში I მსოფლიო ომამდე და ომის დროს (1914—18). მუდროსის ზავის (1918) შემდეგ გაიქცა გერმანიაში, იქიდან — შვეიცარიაში; 1920—22 სამხ. მრჩეველი იყო ავღანეთში. ოსმალეთში დაბრუნების გზაზე მოკლეს.

**ჯემდეთ-ნასრი**, ენეოლითური ხანის (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოს) მიწათმოქმედთა დასახლება ბაბილონის (ერაყი) ჩრდ.-აღმ-ით 25 კმ-ზე. შეისწავლეს 1925—27 (ინგლ. არქეოლოგი ე. მაკეი). შედგება 3 ბორცვისაგან, აქედან მხოლოდ ერთი შეიცავს კულტურას, რ-ის სახელი ჯ.-ნ. ეწოდა წინადინასტიური შუმერის ერთ-ერთ ისტ. პერიოდს (მას წინ უსწრებს ელ-ობეიდისა და ურუქის კულტურები). ჯ.-ნ-ში გამოვლენილია მრავალოთახიანი საცხოვრ. სახლები, სასახლის (ან ტაძრის) ნანგრევები, რ-შიც ნაპოვნია პიქტოგრაფიულნიშნებიანი თიხის ფირფიტები. ჯ. ნ-თვის დამახასიათებელია სხვადასხვა ორნამენტით შემკული მონოქრომული და პოლიქრომული თიხის ჭურჭელი. ნაპოვნია შრომის იარაღი: თიხის ნამგლები, ქვის თოხები, ობსიდიანის დანები, აგრეთვე სპილენძის ნაკეთობანი, ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებიანი ცილინდრული საბეჭდავები (ძვ. წ. IV ათ.-ის ბოლოსი).

ლიტ.: Чайлд Г., Древнейший Восток в свете новых раскопок, пер. с англ., М., 1956.

**ჯემელი-კარერი** (Gemelli-Careri) კარლო (დ. 1651), ნეაპოლელი (იტალია) მოგზაური, განათლებით იურისტი. იმოგზაურა დას. ევროპის ქვეყნებში, საიდანაც 1689 დაბრუნდა სამშობლოში. 1693—98 იმოგზაურა აღმ-ში; გაიარა — მალტა, ალექსანდრია, კაიროსი, პალესტინა, სმირნა, ადრიანოპოლი, კონსტანტინოპოლი, სომხეთი, საქართველო, სპარსეთი და ჩინეთი. მასზე ცოტა ადრე თითქმის ამავე მარშრუტით იმოგზაურა [illegible] ამ ორი მოგზაურის აღწერილობა ავსებს ერთმანეთს. კარერის აღწერილი აქვს [illegible], ხოლო ჯ.-კ-ს [illegible].

ლიტ.: Полиевктов А. М., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.
ც. [illegible].

**ჯემი** (ინგლ. jam), შაქრის სიროფში მოხარშული ხილი ან კენკრა. მურაბისაგან განსხვავებით, რომ არ ინარჩუნებს ნაყოფის ფორმას, ჯ-ის დამზადება შეიძლება როგორც მთელი, ისე დაჭრილი ნაყოფისაგან. ნედლეული და დამზადების ხერხი ისეთივეა, როგორც მურაბის წარმოებისას. ამზადებენ პასტერიზებულ და არაპასტერიზებულ ჯ-ს. ოთახის ტემპ-რის პირობებში დიდხანს ინახება.

**„ჯემინი"** (Gemini), დედამიწისმიერ ორბიტული ფრენისთვის განკუთვნილი ამერიკული ორადგილიანი კოსმოსური ხომალდების სერიის, აგრეთვე მათი დამზადებისა და გაშვების პროგრამის სახელწოდება. ჯ-ის მასაა 3,2-იდან 3,8 ტ-მდე. „ჯ." შედგება ჰერმეტული კაფსულისაგან, რ-ის დიამეტრია 2,2 მ, ხოლო სიგრძე 5,7 მ (თავსდება 2 კოსმონავტი) და არაჰერმეტული ნაკვეთურისაგან (რ-შიც არის მოწყობილობა და საწვავის მარაგი). კაფსულის შეუძლია მანევრირება სხვა კოსმ. აპარატებთან მიახლოებისათვის. სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა 14 დღეღამისათვისაა გაანგარიშებული, ხომალდი ეშვება მხოლოდ წყალზე. პირველი ფრენა „ჯ.-3-ით" განხორციელდა 1965. შემდეგ გაუშვეს ამ სერიის კიდევ 9 ხომალდი (იხ. ცხრილი), რ-თა ფრენის დროს განხორციელდა კოსმონავტთა გამოსვლა ხომალდებიდან, ხომალდთა ურთიერთდაახლოება, დაახლოება სხვა [illegible] და სხვ.

**ჯენგელიელები** (სპარს. ჯანგალ—ტყე), პარტიზანული ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მონაწილენი გილანში (ირანი). მოძრაობა დაიწყო 1912. ჯ-ის რაზმებში მონაწილეობდნენ გლეხები, მოჯამაგირე—ქურთები, რ-ებიც მუშაობდნენ გილანის [illegible], ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია. I მსოფლიო ომის დროს (1914—18) ჯ-ს სათავეში ედგა პანისლამური (იხ. პანისლამიზმი) ბურჟ.-ნაციონალისტური ორგანიზაცია „ისლამის ერთობა", რ-იც ისლამის დროშ-


ჯელადა


ჯემდეთ-ნასრი. თიხის ჭურჭელი. აშმოლის მუზეუმი

| ხომალდის სახელწოდება | გაშვების თარიღი | კოსმონავტები |
|---|---|---|
| „ჯ. - 3" | 23. III. 1965 | ვ. გრისომი, ჯ. იანგი |
| „ჯ. - 4" | 3. VI. 1965 | ჯ. მაკდივიტი, ე. უაიტი |
| „ჯ. - 5" | 21. VIII. 1965 | გ. კუპერი, ჩ. კონრადი |
| „ჯ. - 6" | 15. XII. 1965 | უ. შირა, ტ. სტაფორდი |
| „ჯ. - 7" | 4. XII. 1965 | ფ. ბორმანი, ჯ. ლოველი |
| „ჯ. - 8" | 16. III. 1966 | ნ. არმსტრონგი, დ. სკოტი |
| „ჯ. - 9" | 3. VI. 1966 | ტ. სტაფორდი, ი. სერნანი |
| „ჯ. - 10" | 18. VII. 1966 | ჯ. იანგი, მ. კოლინზი |
| „ჯ. - 11" | 12. IX. 1966 | ჩ. კონრადი, რ. გორდონი |
| „ჯ. - 12" | 11. XI. 1966 | ჯ. ლოველი, ე. ოლდრინი |

ლოში შავი, სიგრძე 9—10 მმ. ზამთრობს იმაგოს ფაზაში, გაზაფხულზე დებს კვერცხებს. მცენარეებს აზიანებს წვენის წოვით. დაზიანებულ ადგილებში ჩნდება თეთრი ლაქები. საქართველოში 2—3 თაობას იძლევა. ბრძოლის ღონისძიებები: ჯვაროსანთა სარეველების მოსპობა, 80%-იანი ქლოროფოსის 0,2%-იანი ხსნარის შესხურება და 0,2%-იანი ფოსფამიდის გამოყენება მოსავლის აღებამდე 30 დღით ადრე. დ. ჩუხრუკიძე.

**ჯვაროსნები** (Cruciferae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახები, იშვიათად ნახევრად ბუჩქები და ბუჩქებია. მორიგეობით განლაგებული ფოთლები აქვთ; ჯამი და ფურცლები ხშირად ქმნის ჯვარისებრ ... ნაყოფი ჭოტი ან ჭოტაკაა, ... ან ფარისებრი. ჯ. იშვიათად გაუხსნელი ან დანაწევრებულია. ზოგჯერ ნაყოფი ბეწვებით შებუსულია ან სრულიად შიშველი მცენარეებია (შებუსვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის სისტემატიკისთვის). ოჯახი 380-მდე გვარის 3200-მდე სახეობას აერთიანებს. ჯ. მეტწილად ჩრდ. ნახევარსფეროში არიან გავრცელებულნი. მნიშვნელოვანი ჯგუფები გვხვდება ასევე თანამედროვე და უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონშიც. საქართველოში 64 გვარის 180-მდე სახეობა იზრდება. ჯ. შ. ბევრი ლოკალური ენდემია. ოჯახში მრავალი ბოსტნეული (კომბოსტო, ბოლოკი, თალგამი და სხვ.), ზეთოვანი (რაფსი, მდოგვი, წიწმატა-ძეძვი და სხვ.), სანელებელი (მდოგვი, პირშუშხა), თაფლოვანი, საღებავი და სხვ. მცენარეა. ბევრია სარეველაც (მინდვრის მდოგვი, ცინცხალა, ბოლოკურა, ბოლოკა, შალგი და სხვ.). ლ. ხინთიბიძე.

**ჯვაროსნული ლაშქრობები,** დას. ევროპის ფეოდალების დაპყრობითი ომები ახლო აღმოსავლეთში 1096—1270. მიმდინარეობდა პალესტინის ქრისტიანული „წმინდა ადგილების" მუსლიმანებისაგან გათავისუფლების ლოზუნგით. ლაშქრობის მონაწილეებს სიმბოლურად ტანსაცმელზე მიკერებული ჰქონდათ ჯვარი (აქედან — „ჯვაროსნები"). ჯ. ლ. გამოიწვია X—XI სს. დას. ევროპაში შექმნილმა სოც.-ეკონ. ვითარებამ. ქალაქების წარმოშობამ და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფეოდალთა მადა. მიწისწყურვილი და გაუსაძლისი იყო გლეხთა მასების მდგომარეობა დას. ევროპელ ფეოდალებს განსაკუთრებით იზიდავდა ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები. ჯ. ლ-ის დაწყების საბაბი გახდა XI ს. II ნახევარში სელჩუკების მიერ მცირე აზიაში ბიზანტ. სამფლობელოებისა და ქრისტიანების „წმინდა ქალაქის" იერუსალიმის დაპყრობა. ბიზანტიამ დახმარებისათვის დას. ქვეყნებსა და რომის პაპს მიმართა. ჯ. ლ-ის იდეური სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახდა რომის პაპი. დაპყრობით ომებს კათოლ. ეკლესიამ რელიგიური ხასიათი მისცა და „ქრისტეს საფლავის ურჯულოთაგან" განთავისუფლების პროპაგანდა გაშალა. 1096—1270 მოეწყო 8 ჯ. ლ.; მსხვილ ფეოდალებთან და რაინდებთან ერთად ფეოდ. ჩაგვრისა და სიღატაკისაგან თავდახსნის მიზნით ლაშქრობებში მონაწილეობდა ღარიბი გლეხობა. ჯ. ლ-ის მთავარი დამკვეთი იყო იტალ. ქ-ები: ვენეცია, გენუა და პიზა. I ჯ. ლ-ის (1096—1099) მოწყობის შესახებ კლერმონის (საფრანგეთი) საეკლ. კრებაზე (1095) ხალხს მოწოდებით მიმართა რომის პაპმა ურბან II-მ. 1096 გაზაფხულზე აღმოსავლეთისაკენ პირველად ღარიბი გლეხობა გაემართა. სელჩუკებმა ადვილად დაამარცხეს ცუდად შეიარაღებული ჯვაროსნები, მათი დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი კი მონებად გაყიდეს. იმედგაცრუებული გლეხობა შემდგომში თანდათან ჩამოსცილდა ლაშქრობებს. I ჯ. ლ-ში წარმატება მოიპოვეს

ჯვაროსნული ლაშქრობა 1096–1099 წწ.







[illegible] 1506 [illegible]

ანდეგმაკმა მათ ხელთ იგდეს ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროს მნიშვნელოვანი ადგილი, ქ. დაიპყრეს იერუსალიმი (1099) და დააარსეს თავიანთი სახელმწიფოები, მ. შ. იერუსალიმის სამეფო. II ჯ. ლ-ის (1147—1149) საბაბი გახდა სელჩუკების მიერ ედესის აღება (1144). ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ საფრანგეთის მეფე ლუი VII, გერმ. იმპერატორი კონრად III. ბიზანტიის და ჯვაროსნების შორის წინააღმდეგობების გამწვავების გამო II ჯ. ლ. სრული კრახით დამთავრდა. წარუმატებელი იყო აგრეთვე III ჯ. ლ-ც (1189—1192), რ-იც აღძრა ეგვ. სულთან სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობამ (1187). ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ გერმ. იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, საფრ. მეფე ფილიპე II ავგუსტი და ინგლ. მეფე რიჩარდ I ლომგული. ... III ჯ. ლ-ის დამარცხება განაპირობა ... აღმ.-ში მყოფ. სამთავროების აგრესიულობამ და ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანმა გართულებამ. IV ჯ. ლ. (1199—1204) მოეწყო რომის პაპის ინოკენტი III-ის ინიციატივით. ლაშქრობა უნდა მიმართულიყო მაჰმადიანური ცენტრის — ეგვიპტის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ბიზანტ. იმპერიის დაპყრობითა და ლათინთა იმპერიის დაარსებით დამთავრდა. IV ჯ. ლ-მა ნათლად გამოავლინა ლაშქრობების მძარცველური ხასიათი. კათოლ. ეკლესიის მიერ გაღვივებული რელიგ. ფანატიზმის შედეგი იყო ბავშვთა ჯ. ლ. დას. ევროპაში ხმა გავრცელდა, თითქოს მხოლოდ უცოდველ ბავშვებს შეეძლოთ იერუსალიმის გათავისუფლება „ურჯულოთაგან". ათიათასობით ბავშვი წამოვიდნენ საფრანგეთიდან და გერმანიიდან სალაშქროდ, რ-თა დიდი ნაწილი ქარიშხლის დროს დაიღუპა ხმელთაშუა ზღვაში, ნაწილი კი მონებად გაყიდეს ხომალდთა მფლობელებმა. შემდგომ ჯ. ლ-ს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. V ჯ. ლ-ის (1217—21) დროს ჯვაროსნებმა მიაღწიეს ეგვიპტეს, აიღეს დამიეტა, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. VI ჯ. ლ-ს (1228—29) მეთაურობდა გერმ. იმპ. ფრიდრიხ II. მან ისარგებლა ეგვიპტისა და დამასკოს შორის ომით და სულთანს უბრძოლველად წაართვა იერუსალიმი, რ-იც მუსლიმანებმა 1244 კვლავ დაიბრუნეს. VII (1248—54) და VIII (1270) ჯ. ლ. მიმართული იყო ჩრდ. აფრიკაში ეგვიპტისა და ტუნისის წინააღმდეგ. ორივე ლაშქრობა, რ-საც საფრ. მეფე ლუი IX წმინდა მეთაურობდა, მარცხით დამთავრდა. ჯ. ლ-მა იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი და დიდი მატერ. ზარალი მიაყენა ევროპას. ჯვაროსნებმა დაარბიეს და გაძარცვეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. მიუხედავად ამისა, ჯ. ლ-მა გავლენა მოახდინეს დას. ევროპის შემდგომ სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარებაზე. ევროპამ ხელთ იგდო ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო გზები, რამაც ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაფართოებას.

ლიტ.: Заборов М. А., Введение в историографию крестовых походов (Латинская хронография XI—XIII вв.), М., 1966; მისივე, Историография крестовых походов (XV—XIX вв.), М., 1971; მისივე, Крестовые походы, М., 1956; მისივე, Папство и крестовые походы, М., 1960; Успенский Ф. И., История крестовых походов, СПб., 1901; სრული ბიბლიოგრ. იხ. Mayer H. E., Bibliographie zur Geschichte der Kreuzzüge, Hannover, 1960.
კ. ლილუაშვილი

ჯვაროსნული ლაშქრობები



სარკე" აღწერა ე. წ. პოლინერის მეთოდი და განტოლებათა შედგენის წესები, დაამუშავა უმაღლესი ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა ჩაწერის სისტემა და ამოხსნა ზოგიერთი ამოცანა, რომელიც ამ განტოლებებზე დაიყვანება.

**ჯუჩი** (გ. დაახლ. 1227), მონღოლთა სარდალი, ჩინგიზ-ყაენის უფროსი ვაჟი. მონაწილეობდა ჩინ (1211—16), შუა აზიის (1219—21), დაშთ-ყიფჩაყის ლაშქრობაში. ჩინგიზ-ყაენის მიერ დაპყრობილი მიწების განაწილებისას (1224) საუფლისწულოდ ერგო მამული ირტიშიდან ურალამდე და შემდეგ — დასავლ.

**ჯუძიანკოუ**, კანტონის ყურე, ყურე სამხრ. ჩინეთის ზღვაში, ჩინეთის სამხრ. ნაპირთან. სიგრძე 63 კმ, სიგანე შესასვლელთან 31 კმ, სიღრმე 26 მ-მდე. ერთვის მდ. ჯუძიანი. ბევრია პატარა კუნძული და მეჩეჩი. მოქცევა შერეულია, სიმაღლე 2,5 მ-მდე. ყურის სანაპიროზე ნავსადგური გუანჭოუ (კანტონი).

**ჯუჯა**, ლილიპუტი, ჭონდრის კაცი, იხ. სტატიები ქონდროდისტროფია, ადამიანის სიმაღლე.

**ჯუჯა მამლები**, მამალი ცხოველები, რ-ებიც მკვეთრად განსხვავდებიან ამავე სახეობის დედლებისაგან მცირე ზომით და, ჩვეულებრივ, გამარტივებული ორგანიზაციით. ჯ. მ. სქესობრივი დიმორფიზმის უკიდურესი გამოვლინებაა. აღწერილია მრავალი უხერხემლო ცხოველის მთელ რიგ სახეობებში. ზოგი ჯ. მ. გამოირჩევა მხოლოდ მნიშვნელოვნად შემცირებული ზომით, ზოგი—გამარტივებული ორგანიზაციით. ბრტყელი მატლები, რ-თა სიგრძე 1—3 მმ-ია, ბინადრობენ 7 სმ-მდე სიგრძის დედლის სხეულში. ულვაშფეხიანი კიბოების ჯ. მ-ს, რომლებიც სახლობენ დედლის სხეულზე, რედუცირებული აქვთ ჩონჩხი, კიდურები და შინაგანი ორგანოები, სათესლეების გარდა. ზოგი ცხოველის ჯ. მ-ს რედუცირებული აქვთ ნაწლავი და გამომყოფი სისტემა და გამრავლების შემდეგ კვდებიან. ცალსქესიანობიდან ჰერმაფროდიტიზმზე გადასვლამ განაპირობა მამლების მისუსტება, მაგრამ ულვაშფეხიანი კიბოების ზოგ სახეობაში (მაგ., Scalpellum vulgare), რ-ებშიც ჰერმაფროდიტიზმზე გადასვლის პროცესი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, გვხვდება ე. წ. დამატებითი მამლები. მამლების რედუქციის უკიდურესი ფორმა აღნიშნულია მუცელფეხიან მოლუსკებში — ჰოლოთურიების პარაზიტებში. მაგ., Entocolax ludwigii-ს ჯ. მ-ს (0,5 მმ დიამეტრი) დაკარგული აქვთ ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები და თავისი აღნაგობითა და დედლის სხეულში მდებარეობით სათესლეს წააგავს.

**ჯუჯაკაკალი**, იხ. *კოწკალიები*.

**ჯუჯა ხალხი**, იხ. *პიგმეები*.

**ჯუჯიძასებრნი** (Histeridae), ხოჭოების ოჯახი. მათი სხეულის სიგრძე 0,5-იდან 20 მმ აღწევს, დაფარულია მკვრივი საფარველით. ოჯახში 3500 სახეობაა, ს. ს. რ. კ-ში — 280, საქართველოში — 60-მდე. მტაცებლები არიან, იკვებებიან სხვა მწერების მატლებით. მთელი რიგი სახეობები სასარგებლოა — ანადგურებენ ბუზებისა და რწყილების მატლებს, ქერქიჭამიებს.

**ჯუჯოუ**, ქალაქი ჩინეთში, ხუნანის პროვინციაში, მდ. სიანძიანის (ერთვის დუნტინხუს ტბას) ნაპირზე. 600 ათ-ზე მეტი მცხ. (1981). ნახშირმამდიდრებელი, თუთიისა და სპილენძის სადნობი ქ-ნები. საშ. რეწვ. და სატრანსპ. მოწყობილობის, ქიმ. სასუქების წარმოება.

**ჯჰანგმაგჰიანა**, ქალაქი პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში, მდ. ჩენაბის მახლობლად. 195 ათ. მცხ. (1981). სატრანსპ. კვანძი. ტანსაცმლის, ტყავის, თუნის, ლითონის ნაკეთობათა წარმოება. საპნის, კვების მრეწველობა. საფეიქრო სახელოსნოები.

**ჯჰანსი**, ქალაქი ჩრდ. ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატში, ჩამბალის ხეობაში. 281 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო, საავტო- და საჰაერო მიმოსვლის კვანძი. სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. რკინიგზის სახელოსნოები, შინასარეწვები.



ს. ჯუღელი

# ჰ

| ასომთავრული (ეპიგრაფიკის) | ასომთავრული (წიგნის) | ნუსხური | მხედრული | საუკუნეები |
|---|---|---|---|---|
| Ⴠ | | | | V |
| | Ⴠ Ⴠ Ⴠ Ⴠ | | | VI–VII |
| | | | | VIII |
| Ⴠ Ⴠ Ⴠ | | ⴠ ⴠ ⴠ ⴠ ⴠ | | IX |
| | | | | X |
| | Ⴠ Ⴠ Ⴠ Ⴠ Ⴠ | | ჰ ჰ ჰ | XI |
| | | ⴠ ⴠ ⴠ ⴠ ⴠ | | XII |
| Ⴠ Ⴠ | Ⴠ Ⴠ Ⴠ | | | XIII |
| | | | | XIV |
| | | | ჰ | XV |
| | | ⴠ ⴠ ⴠ ⴠ ⴠ ⴠ | ჰ ჰ | XVI |
| | | | ჰ ჰ | XVII |
| | | | ჰ | XVIII |

**ჰ,** ქართული ანბანის ოცდამეცამეტე (ძვ. ქართ. ანბანის ოცდამეჩვიდმეტე) ასო. მისი სახელია „ჰაე“ გრაფა სამპირლარინგალური ფშვინვიერი ნაპრალოვანი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴠ, ნუსხურში — ⴠ. ძვ. ქართ. საციფრო ლავში აღნიშნავდა ცხრა ათასს (9000).

ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია ასო „ჰაე“-ს გრაფე მოხაზულობის დამახასიათებელი ოთხ ნიმუშში (ქართული დამწერლობის სამივე სახისა — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა) ისინი ამოკრებილია V — XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

**ჰააგა** ('s-Gravenhage, სიტყვასიტყვით — გრაფის მეურნეობა; ოფიციალ. Den Haag), ქალაქი ნიდერლანდებში, სამეფო კარისა და მთავრობის რეზიდენცია. სამხრ. ჰოლანდიის პროვ. ადმ. ცენტრი. 677 ათ. მცხ. (აგლომერაციასთან, 1985). წყაროებში პირველად იხსენიება 1097. XVI ს. დამლევიდან გაერთიანებული შტატების სხდომების ადგილია. XIX ს. დამდეგს მიიღო ქალაქის სტატუსი. XVII ს. II ნახევრიდან აქ ჩატარდა მრავალი საერთაშ. კონფერენცია — I ინტერნაც. კონგრესი (1872), ჰააგის კონფერენცია 1922, ჰააგის კონფერენცია რეპარაციების საკითხში 1929—30 და სხვ. 1940-იდან 1945 მაისამდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. საერთაშ. სასამართლოს ადგილსამყოფელი. ჰ. დიდი სატრანსპ. კვანძია, არხებით, საავტ. გზებითა და რკინიგზით უკავშირდება ამსტერდამს, როტერდამს და სხვა ქ-ებს. მასთან ფაქტობრივად შეერთებულია ზღვისპირა კურორტი და თევზსაჭერი ნავსადგური სხევენინგენი (ჩრდ. ზღვა). ჰ. ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონ. ცენტრია. ქალაქში თავმოყრილია კვების, მსუბუქი მრეწვ., რადიო- და ტელეაპარატურის, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, სატელეფონო და სატელეგრაფო აპარატურის დიდი საწარმოები, გარეუბანში — საავიაციო ქ-ნები. ამზადებენ ხის, მინისა და სხვა ნაკეთობებს. ჰ-ში განლაგებულია სავაჭრო და სამრეწვ. ფირმების გამგეობები, მომსახურების სფეროს მრავალი დაწესებულება. სამეცნ. საზ-ებები, სახელმწ. არქივი და ბ-კა, სახვ. ხელოვნ. სამეფო აკადემია, მუზეუმები.

ქალაქის ქუჩების სწორკუთხა ქსელი მოდერნიზებული და გაფართოებულია თავისუფლად დაგეგმარებული ახ. რ-ნებით (1908—09, არქიტ. ჰ. პ. ბერლაგე, 1935, არქიტ. ვ. დიუდოკი). ხუროთმოძღვრული ძეგლებია: ვეივერის ტბის ნაპირზე მდებარე ე. წ. შიგა ეზოს არქიტ. ანსამბლი (XIII—XVIII სს., რაინდების გოთიკური დარბაზი, დაახლ. 1280, რეკონსტრუირებული ძვ. რატუშა, 1564—65; და სხვ.), მშვიდობის სასახლე (1913), ამერ. საელჩო (1959, არქიტ. მ. ბროიერი და ა. ელზასი) და სხვ. (ილ. იხ. გვ. 593).

**ჰააგის კონვენციები,** 1. საერთაშორისო კონვენციები ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ, რ-ებიც მიიღეს ჰააგის პირველ და მეორე სამშვიდობო კონფერენციებზე 1899 (მოწვეული იყო რუს. ინიციატივით) და 1907. ჰააგის პირველ კონფერენციაში (მონაწილეობდა 27 სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვ.) მიიღო 3 კონვენცია (საერთაშ. შეტაკებათა მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ, საზღვაო ომის მიმართ ჟენევის 1864 წ. 10 აგვ. კონვენციის საწყისების გამოყენების შესახებ) და 3 დეკლარაცია, რ-ებიც კრძალავდნენ ჰაერში მფრინავი ობიექტებიდან ყუმბარების და სხვა ფეთქებადი ნივთიერებების ჩამოყრას, მხუთავი და სხვა მავნე აირების გამოყენება

არყებად თვლიდნენ. მიზეზი, თუ რატომ მთავრდებოდა ჰ-ის გათხევადების ცდები მარცხით, მხოლოდ მას შემდეგ იქნა ახსნილი, რაც დ. მენდელეევმა დაადგინა (1860) კრიტიკული ტემპ-რისა და წნევის ცნება. 1877 ლ. კალიეტემ (პარიზი) და რ. პიქტემ (ჟენევა) მაღალი წნევის ქვეშ ჰ-ის გაცივებით კრიტიკულ ტემპ-რაზე დაბლა (დაახლ. — 141°C) ჰ. გარდაქმნეს სითხედ. 1895 გერმ. ინჟინერმა კ. ლინდემ შექმნა კონსტრუქცია და ააგო ჰ-ის გასათხევადებელი პირველი სამრეწვ. დანადგარი.

ფიზიკური თვისებები. ჰ-ის წნევა 0°C-ზე და ზღვის დონეზე შეადგენს 101325 ნ/მ² (1,01325 ბარ, 1 ატმ, 760 მმ ვწყ. სვ.). ამ პირობებში 1 ლ ჰ-ის მასა უდრის 1,2928 გ. პრაქტ. მიზნების უმეტესობისათვის ჰ. შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც იდეალური აირი, კერძოდ, ჰ-ის შემადგენლობაში შემავალი თითოეული აირის პარციალური წნევა არ არის დამოკიდებული მასში სხვა კომპონენტების შემცველობაზე (იხ. დალტონის კანონები). ჰ-ის კრიტიკული ტემპ-რაა —140,7°C, კრიტიკული წნევა—3,7 მეგნ/მ² (37 ატმ). ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰ-ში 0°C-ზე — დაახლ. 331 მ/წმ.

თხევადი ჰ. — მოცისფრო სითხე, სიმკვრივე 960 კგ/მ³ (—192°C-ისა და ნორმალური წნევის დროს). ნორმალური წნევის დროს სავსებით აორთქლებადი თხევადი ჰ-ის ტემპ-რა დაახლ. — 190°C-აა. მისი შედგენილობა არ არის მუდმივი, რადგან აზოტი და არგონი ჟანგბადზე სწრაფად აქროლდება. თხევადი ჰ-ის ფრაქციულ აორთქლებას იყენებენ სუფთა აზოტისა და ჟანგბადის, არგონისა და სხვა ინერტული აირების მისაღებად. თხევად ჰ-ს ინახავენ და ზიდავენ დიუარის ჭურჭლით ან სპეც. კონსტრუქციის რეზერვუარებით. შეკუმშულ ჰ-ს ინახავენ ფოლადის ბალონებში 15 მეგნ/მ² (150 ატმ) წნევის ქვეშ. ბალონის შეფერილობა შავია თეთრი წარწერით „შეკუმშული ჰაერი".

ჰ-ის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა. ატმ. ჰ-ში ჟანგბადისა და აზოტის შემცველობის მერყეობა უმნიშვნელოა და არსებით გავლენას არ ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ადამიანის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის მნიშვნელობა აქვს ჰ-ის პროცენტულ შედგენილობას, კერძოდ, ჟანგბადის პარციალურ წნევას, რაც ზღვის დონეზე შეადგენს 160 მმ. ვწყ. სვ. მისი 140 მმ-მდე შემცირებისას ჩნდება ჟანგბადის უკმარისობის პირველი ნიშნები, რომლებიც ჯანმრთელ ადამიანებში მალე ქრება ხოლმე. პარციალური წნევის 110 მმ-მდე დაქვეითებისას ვითარდება ჰიპოქსიის ნიშნები, ხოლო 50—60 მმ-მდე დაქვეითება სახიფათოა სიცოცხლისათვის. ჟანგბადის პარციალური წნევის მომატება არ ახდენს ადამიანის ორგანიზმზე უარყოფით გავლენას. ჟანგბადის ნორმალური პარციალური წნევის დროს აზოტი ინერტულია. მისი პარციალური წნევის 8—10 ატმ მომატება იწვევს ნარკოზულ (იხ. ნარკოზი) მდგომარეობას, ხოლო ჰ-ში აზოტის პროცენტული შემცველობის მომატება (93%-მდე და მეტი) ჟანგბადის პარციალური წნევის დაწევის გამო—ჰიპოქსემიას, ზოგჯერ კი სიკვდილსაც. ატმ. ჰ-ში სუნთქვის ცენტრის აღმგზნების — ნახშირორჟანგის შემცველობა ნორმალურად 0,03—0,04% (მოცულობით) შეადგენს. მისი კონცენტრაციის აწევისა და ამის შედეგად ჟანგბადის პარციალური წნევის დაქვეითების დროს შეიძლება განვითარდეს ასფიქსია, ხოლო ჰ-ში $CO_2$-ის 14—15%-მდე აწევამ სუნთქვის ცენტრის დამბლის შედეგად შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს. ჰ-ში $CO_2$ კონცენტრაციის ზრდა საშიშია. შენობაში ძირითადად ხდება ადამიანის სუნთქვისა და ცხოველმოქმედების შედეგად (მოზრდილი ადამიანი 18—20°C ტემპ-რისას საათში გამოყოფს დაახლ. 20 ლ $CO_2$). საცხოვრ. შენობაში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 0,1% არ უნდა აღემატებოდეს.

ატმ. ჰ-ში ბუნებრივად გვხვდება სხვადასხვა მიკროორგანიზმები, მაგრამ პათოგენური მიკროორგანიზმები გვხვდება ძალიან იშვიათად, ამიტომ ინფექციური დაავადებები ატმ. ჰ-ით ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგ., ბაქტერიული იარაღის ხმარებისას). ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰ-ის ტემპ-რას, ტენიანობას (ოპტ. ტენიანობა უდრის 40—60%) და მოძრაობის სიჩქარეს.

მრეწვ., ენერგეტ., ტრანსპ., ქიმ. და მეტალ. განვითარება ხელს უწყობს ჰ-ის მავნე აირებით გაბინძურებას, რაც ზრდის მოსახლეობის ავადობის, ზოგჯერ კი სიკვდილიანობის მაჩვენებლებს; ზოგიერთი სახის გაბინძურება იწვევს პროფესიულ დაავადებებს. დედამიწაზე საშიშია ჰ-ის რადიოაქტიური გაბინძურება, რაც ჰ-ის მასების მუდმივი მოძრაობის გამო გლობალურ ხასიათს ატარებს. იხ. ჰიგიენა კომუნალური.

ლიტ.: Некрасов Б. В., Основы общей химии, 3 изд., [т.] 1, М., 1973; Новиков Г. В., Дударев А. Я., Санитарная охрана окружающей среды современного города, Л., 1978; Хргиан А. Х., Физика атмосферы (в 2-х томах), 2 изд., Л., 1978.

**ჰაერის ქიმიური შედგენილობა**

| კომპონენტი | % (მოცულობის მიხედვით) | % (მასის მიხედვით) |
|---|---|---|
| აზოტი | 78,09 | 75,50 |
| ჟანგბადი | 20,95 | 23,10 |
| არგონი | 0,93 | 1,29 |
| ნახშირორჟანგი | 0,03 | 0,046 |
| ნეონი | $1,8\cdot10^{-3}$ | $1,3\cdot10^{-3}$ |
| ჰელიუმი | $4,6\cdot10^{-4}$ | $7,2\cdot10^{-5}$ |
| კრიპტონი | $1,1\cdot10^{-4}$ | $2,9\cdot10^{-4}$ |
| აზოტის ქვეჟანგი | $5\cdot10^{-5}$ | $7,6\cdot10^{-5}$ |
| წყალბადი | $5\cdot10^{-5}$ | $7,6\cdot10^{-6}$ |
| ქსენონი | $8\cdot10^{-6}$ | $3,6\cdot10^{-5}$ |
| ოზონი | $2\cdot10^{-6}$ | $3,3\cdot10^{-6}$ |
| რადონი | $6\cdot10^{-18}$ | $6\cdot10^{-17}$ |

**ჰაერით გათბობა,** შენობის სათავსების ცხელი ჰაერით გათბობის სისტემა. განასხვავებენ რეცირკულაციურ და ვენტილაციასთან შეთავსებულ ჰ. გ-ს. რეცირკულაციური ჰ. გ-ის დროს ჰაერგამახურებელს ჰაერი აწვდიან გასათბობი სათავსიდან, ვენტილაციასთან შეთავსებული გათბობისას კი — ნაწილობრივ გასათბობი სათავსიდან და ნაწილობრივ გარედან. ამასთან, რეცირკულირებული და გარე ჰაერის რაოდენობათა თანაფარდობა შეიძლება იცვლებოდეს ფართო დიაპაზონში. არის აგრეთვე ვენტილაციასთან შეთავსებული ისეთი ჰ. გ-ის სისტემა, რომელიც მუშაობს მხოლოდ გარედან მიწოდებული ჰაერით (რეცირკულაციის გარეშე). ჰ. გ-ის სისტემაში ჰაერის გადაადგილება შეიძლება ხორციელდებოდეს ბუნებრივად (ტემპ-რათა სხვაობისა და ჰაერის სიმკვრივის ხარჯზე) ან იძულებით (ვენტილატორის საშუალებით). ჰ. გ-ის სისტემა ცენტრ. გათბობის სხვა სისტემებთან (მაგ., წყლით გათბობის, ორთქლით გათბობის სისტემები) შედარებით უფრო ეკონომიურია, რადგან იგი არ საჭიროებს გასათბობ ხელსაწყოებსა და მილებს. ვენტილაციასთან ჰ. გ-ის შეთავსება სათავსში ჰაერის ცვლისა და კონდიცირების საშუალებას იძლევა. ჰ. გ. ხორციელდება ადგილ. და ცენტრ. გასათბობი აგრეგატებით.

ლიტ.: ფარჩია გ., გათბობა და ვენტილაცია, ნაწ. 1—2, თბ., 1967—70.

გ. ჩიხლაძე.

**ჰაერის დაყოფა,** ჰაერის დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად. იყენებენ ჰ. დ-ის სხვადასხვა მეთოდს. ჰ. დ. ერთ-ერთი ძირითადია ღრმა გაცივების მეთოდი: კომპრესორით შეკუმშული ჰაერი გადის თბოგადამცვლელს, შემდეგ მოხვდება მანქანა-დეტანდერში და გაფართოვდება, რის შედეგად გაცივდება და გათხევადდება. მისი შემდგომი დაყოფა ემყარება შემადგენელი კომპონენტების (იხ. ცხრ.) დუღილის ტემპ-რათა სხვაობას.

**ჰაერის რეგენერაცია** ბიოლოგიური, კოსმოსური საფრენი აპარატის ჰერმეტულ კაბინაში ოპტიმალური ატმოსფეროს უწყვეტი აღდგენა ავტოტროფული ორგანიზმების (წყალმცენარეები, ქემოსინთეზის ბაქტერიები) სასიცოცხლო ფუნქციონირების შედეგად. ეს ორგანიზმები ეკიპაჟის წევრების მიერ ამოსუნთქული ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლისაგან გამოიმუშავებენ ჟანგბადს, რომლითაც მარაგდება საფრენი აპარატის ეკიპაჟი და ბიოკომპლექსის სხვა ორგანიზმები.

**ჰაერის ტენიანობა,** წყლის ორთქლის შემცველობა ჰაერში. წარმოადგენს ამინდისა და კლიმატის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ჰ. ტ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ტექნოლ. პროცესისათვის, რიგი დაავადების მკურნალობისა, ხელოვნების ნაწარმოებებისა და წიგნების შენახვისათვის და სხვ.

ჰ. ტ-ის მახასიათებლებია: *e* — წყლის ორთქლის დრეკადობა (ანუ პარციალური წნევა), რომელიც გამოისახება ნ/მ²-ით (მმ ვწყ. სვ. ან მბარ-ით); *a* — აბსოლ. ტენიანობა — წყლის ორთქლის რაოდენობა ჰაერში (გ/მ³); *q* — კუთრი ტენიანობა — წყლის ორთქლის რაოდენობა ტენიან ჰაერში (გ/კგ); *w* — ნარევის ფარდობა — წყლის ორთქლის რაოდენობა (გ) 1 კგ მშრალ ჰაერში; *r* — ფარდობითი ტენიანობა — ჰაერში არსებული წყლის ორთქლის *e* დრეკადობის ფარდობა წყლის ორთქლის *E* მაქს. (გაჯერების) დრეკადობასთან იმავე ტემპ-რის დროს, გამოისახება %-ით, *d* — ტენიანობის დეფიციტი — სხვაობა წყლის ორთქლის მაქს. დრეკადობასა და ჰაერში ფაქტობრივად არსებული წყლის ორთქლის დრეკადობას შორის მოცემული ტემპ-რისა და წნევის პირობებში; τ — ნამის წერტილი — ტემპ-რა, რომლის დროსაც ჰაერში არსებული წყლის ორთქლი იზობარული გაცივებისას მიაღწევს ნაჯერ მდგომარეობას.

ჰაერის მაღალ ტემპ-რას ადამიანი უფრო ადვილად იტანს, როცა ჰ. ტ. დაბალია. საშ. კლიმ. პირობებში კომფორტულად ითვლება ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 40—60%.

**ჰაერის ფარდა,** ჰაერის მიმართული ნაკადი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს შენობაში გარედან ცივი (ან ტექნოლ. დანადგარებიდან ცხელი გაჭუჭყიანებული) ჰაერის შემოსვლას. ჰ. ფ. წარმოიქმნება გრძივჭრილებიანი ჰაერსატარით, რომელშიც ვენტილატორით 8—20 მ/წმ სიჩქარით ჭირხნიან ჰაერს (იხ. ნახ.).




ჰაერის ფარდა. კარისპირა ორმხრივი ჰაერის ფარდის სქემა: 1—ჰაერსატარი; 2—ჰაერის გამოსაშვები ჭრილები; 3 — ვენტილატორი; 4—ჰაერგამახურებელი

**ჰაერრეაქტიული ძრავა** (ჰრძ), რეაქტიული ძრავა, რომელიც საწვავის დაწვისათვის იყენებს ჰაერის ატმოსფერულ ჟანგბადს. ჰრძ პირდაპირი რეაქციის ძრავაა. იგი აერთიანებს ძრავასა და მამოძრავის ფუნქციებს. წვის კამერაში მოხვედრილი ჰაერის წინასწარი კუმშვის ხერხის მიხედვით ჰრძ არის კომპრესორული და უკომპრესორო (ჰაერი იკუმშება ჰაერის ნაკადის ჩქაროსნული დაწნევის გამო). ჰრძ-ს მიეკუთვნება პირდაპირი დინების ჰრძ, მფეთქავი ჰრძ და ტურბორეაქტიული ძრავა.

**ჰაერსაბერი მანქანა,** ჰაერის ან სხვა აირის შესაკუმშავი და მისაწოდებელი მანქანა. შეკუმშვის ხარისხის მიხედვით ჰ. მ. შეიძლება იყოს ვენტილატორი, საჰბერი (შეკუმშვის დროს ჰაერის ხელოვნური გაცივების გარეშე) და კომპრესორი (ჰაერი ხელოვნურად ცივდება). შავ მეტალურგიაში ჰ. მ-ს ჰაერსაბერს უწოდებენ.

**ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა,** მტრის საჰაერო თავდასხმისაგან სამრეწველო რაიონების, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების, მოსახლეობის, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებისა და სხვა მნიშვნე-



ჰავანა. პლასა დე არმასის მოედანი

ტოსარქიტექტო ქ-ნა. თევზის სარეწი ნავსადგური სანაპირო ნაგებობათა კომპლექსით ერთად. დედაქალაქის გარშემო შეიქმნა საგარეუბნო მეურნ. და სასოფლო-სამეურნეო კულტურების პლანტაციათა ზონები.

ქალაქის ძვ. ნაწილი მდებარეობს ჰავანის უბის დას-ით. შემონახულია XVI—XVIII სს. სიმაგრეები (ელ მორო, 1589—1630), XVIII ს. მოდენებულ ანსამბლები. XIX ს-ში ჰ გაფართოვდა სამხრ. და დას. მიმართულებით. აშენდა მდიდრული საცხოვრებელი სახლები და ვილები. XX ს-ში იქმნება დიდი მწვანე ზონები (ბულვარები, მაგისტრალები). ქალაქის ზღვისკენ მიმართული „ფასადი" შექმნილია ვედადოს რ-ნის 10—30-სართულიანი სახლებით. ნაგებობათაგან აღსანიშნავია ეროვნ. კაპიტოლიუმი (1926—29, არქიტ. რ. ოტერო), სასტუმროები „ჰავანა ლიბრე", „ჰავანა რივიერა" (ორივე — 1958—59). 1959 რევ. შემდეგ განაშენიანდა ახ. საცხოვრ. რ-ნები, საუნივერსიტეტო ქალაქი (1960-იდან), მრავალი ადმ. და სხვ. შენობა. შეიქმნა მემორიალური პარკი-ძეგლი (1967, არქიტ. ს. ლომინჩევი და სხვ.). უბის ქვეშ გაყვანილია გვირაბი, რ-იც აერთებს ქალაქის ცენტრს ახ. რ-ნებთან.

ჰ-ში არის ჰავანის უნივერსიტეტი, მეცნ. აკადემია (დაარსდა 1962), ბ-კები (უდიდესია ეროვნ. ხოსე მარტის სახელობისა), ეროვნ. მუზეუმი (ევრ. და კუბის ხელოვნება), ლ. მონტანეს ანთროპოლ. მუზეუმი (ამერ., აზიის და აფრ. ხალხთა კულტურა), რევ. მუზეუმი; თეატრები და სხვ.

**ჰავანის დეკლარაციები,** 1960 ჰავანის დეკლარაცია ანუ პირველი ჰავანის დეკლარაცია მიიღეს 1960 წ. 2 სექტ. ჰავანაში კუბელი ხალხის I გენ. ეროვნ. ასამბლეაზე. ჰ. დ. გმობდა ამერ. იმპერიალიზმის ჩარევას ლათ. ამერიკის ხალხთა საქმეებში, წარმოადგენდა რევ. კუბის პასუხს „სან-ხოსეს დეკლარაციაზე", რ-იც მიიღეს ამერ. სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-7 საკონსულტაციო თათბირზე 1960 აგვ-ში კოსტა-რიკაში. დეკლარაცია ამხილებდა აშშ-ის აგრესიას კუბის რევ. წინააღმდეგ.

1962 ჰავანის დეკლარაცია ანუ მეორე ჰავანის დეკლარაცია, 1962 წ. 4 თებ. მიიღეს ჰავანაში კუბელი ხალხის II გენ. ასამბლეაზე. ეს იყო პასუხი ამერ. სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-8 საკონსულტაციო თათბირზე (1962 იანვ., პუნტა-დელ-ესტე, ურუგვაი), რ-ის გადაწყვეტილებით, კუბა გარიცხეს ამ ორგანიზაციიდან. ჰ. დ. ამხილა აშშ-ის იმპერიალ. წრეებისა და ლათ. ამერ. ქვეყნების ოლიგარქიული მთავრობების შეთქმულება კუბის რევ. წინააღმდეგ.



ჰავრის რატუშის შენობა. რეკონსტრუქცია დაიწყო 1947. არქიტექტორი ო. პერე.

**ჰავანის უნივერსიტეტი,** დაარსდა 1728 როგორც სამეფო კათოლ. უნ-ტი. რამდენჯერმე გადაკეთდა, უკანასკნელად — 1960, კუბაში სახ. რევ. გამარჯვების (1959) შემდეგ. 1984 უნ-ტში იყო ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ტექნოლ., აგრონ., სამედ., ეკონ. ფაკულტეტი, ხ. ა. მელიას სახ. მუშურ-გლეხური ფაკ-ტი, პედ. ინ-ტი; უნ-ტთან მუშაობდა რამდენიმე კვლ. დაწესებულება (ზოოლ., აგრონ. მეცნიერებათა ინ-ტები, სამეცნ. აღმოჩენათა ეროვნ. ცენტრი, ეკონ. ცენტრი). სწავლობდა 53 ათ-მდე სტუდენტი. მუშაობდა 3 ათ-ზე მეტი მასწავლებელი. უნ-ტი უშვებდა ბიულეტენს, პერიოდულ გამოცემას „ჰავანის უნივერსიტეტი" და სხვადასხვა თემატურ პუბლიკაციას.

**ჰავლიჩეკ-ბოროვსკი** (Havlíček-Borovský), ჰავლიჩეკ (ფსევდ. ჰაველ ბოროვსკი) კარელ (31 X. 1821, ბოროვი, ახლანდ. ქ. ჰავლიჩკუვ-ბროდის მახლობლად, — 29. VII 1856, პრაღა), ჩეხი პოეტი, პუბლიცისტი. [illegible] სატირული ნაწარმოებები „ტიროლური ელეგიები" (1852, გამოქვეყნდა 1861), „წმინდა ვლადიმერის ნათლობა" (1848—54, გამოქვეყნდა 1876), „მეფე ლავრა" (1854, გამოქვეყნდა 1870). ჰ-ის შემოქმედებამ ხელი შეუწყო ჩეხ. ლიტ-რაში რეალიზმის, სამოქალაქო და სატირული პოეზიის განვითარებას. გაახალხურა ჩეხ. სალიტ. ენა.

**ჰავრი** (ფრანგ. Le Havre, სიტყვასიტყვ. — ნავსადგური), ქალაქი საფრანგეთში, ნორმანდიაში, ზღვისპირა (ქვემო) სენის დეპარტამენტში, მდ. სენის შესართავში. 218 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 260 ათ. (1975). ჰ. ქვეყნის უდიდესი ნავსადგური, „პარიზის საზღვაო კარიბჭე". მისი მეშვეობით გადის საფრ. საგარეო-სავაჭრო ტვირთის უმეტესი ნაწილი. ტვირთბრუნვა 48,2 მლნ. ტ (1985). ჰ-სა და მის გარეუბნებში განვითარებულია გემთმშენებლობა და მანქანათმშ., სხვა დარგები, ფერადი მეტალურგია, ელექტროტექ., კვების, ბამბეულის, ხის დამუშ., ცემენტის, ნავთობგადამამუშ. და ნავთობქიმ. მრეწველობა. არის ოკეანოგრაფიული ინ-ტი. მუზეუმები.

ჰ. გაშენდა XVI ს-ში მეთევზეთა დაბის ადგილზე. II მსოფლიო ომის დროს, 1944 ძლიერ დანგრეული ქალაქის ზღვისპირა რ-ნი რეკონსტრუირებულია 1947—56 ო. პერეს პროექტით. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემონახულია ნოტრ-დამის ეკლესია (დაიწყო 1574, არქიტ. ნ. დუშემენი; ფასადი — XVII ს. დასაწყ.), გრავილ-სენტ-ონორინის სააბატო (ეკლესია — XI — XIV სს.; შუა საუკ. ქანდაკებების და არქეოლ. მუზეუმი).

**ჰაზენკლევერი** (Hasenclever) ვალტერ (8. VII. 1890, აახენი, — 15. VIII. 1949, ლე-მილი, საფრანგეთი), გერმანელი პოეტი, დრამატურგი, ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი. აღსანიშნავია მისი ლექსების კრებ. „ყრმა" (1913), დრამები „ვაჟიშვილი" (1914), „ანტიგონე" (1917), „მხსნელი" (1919), „შეკვლელობა" (1926). ჰ-ის კომედია „საქმის კაცი" (1926) დაიდგა რუსთაველის თეატრში 1927. მასვე ეკუთვნის ფარსები, კინოსცენარი, ანტიფაშისტური ტრაგიკომედია „მიუნხაუზენი" (1933, გამოქვეყნდა 1947, დაიდგა 1948) და სხვ.

**ჰაზირა** (ნამდ. სახელი და გვარი აბრამ აბრამოვი) (1845, შულავერი, — 12 I 1922, თბილისი), თბილისელი მგოსანი, დარის დაკვრის ოსტატი, აშუღი საიათნოვას ცნობილი მიმდევარი. ჰ-ს პოეზიისათვის დამახასიათებელია პატრ. და სოც. თემატიკა. როგორც ამქრის უსტაბაშს, ჰ-ს არაერთი შეგირდი დაულოცავს ოსტატად. ისინი დადიოდნენ საქართველოს სოფლებში და ავრცელებდნენ თავისი მასწავლებლის სიმღერებს, რ-თაგან აღსანიშნავია „ალზედუ, თამარ დედოფალო, შენთვის ტახტის საქართველო", „საწუთრო არის გათენდება, ალზედუ, მეშაყ, მენი" და სხვ. ქართულ თეატრში წარმოდგენის აქტებს შორის ჰ-ს „დარდი" უკრავდა და მღეროდა პიესის შესაბამის ლექსებს, რითაც ამდიდრებდა წარმოდგენის ემოციურ ზემოქმედებას. გ. ჩხიკვაძე

**ჰაზრი** ნაბი (ნამდ. სახელი და გვარი ნაბი ალექსეროღლუ ზაბაევი) (დ. 10 XII. 1924, სოფ. ხურდალანი), აზერბაიჯანელი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1956-იდან. დაამთავრა მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი. ლექსებს აქვეყნებს 1944-იდან. პირველი კრებული „ოცნებათა ყვავილები" გამოსცა 1950. წერს პოემებს („სუმგაითის დღიური" და სხვ.) უმღერის სამშობლოს, სიყვარულს, მეგობრობას (ლექსი „ქართველ ძმებს"). ცნობილია კრებ. „სამშობლო და უცხო მხარე" (1968), „მეხა კლდეზე" (1969), „დროის კალეიდოსკოპი" და სხვ. თარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, შ. პეტეფის, პ. თუმანიანის, დ. გურამიშვილის ლექსები. სსრკ სახელმწ. პრემია (1978). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ჟ. ტომარაძე

**ჰათეფი** აბდულაჰ (1453, ხარჯირდი, — 1520, ჰერათი), სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის წარმომადგენელი. ცნობილი პოეტისა და ფილოსოფოსის აბდ ალ-რაჰმან ჯამის დისწული და მოწაფე იყო. მისი რჩევით შეადგინა 5 პოემის კრებული („ხამსე"): „ლეილი და მაჯნუნი", „შირინი და ხოსროვი", „შვიდი სასახლე", „თემურნამე" („წიგნი თემურლენგის შესახებ") და „შაჰნამე" („დიდების წიგნი"). ნიზამის მიბაძვით დაწერილ ამ კრებულში ჰ-მ გამოავლინა დამოუკიდებელი პოეტური ოსტატობა. მასვე ეკუთვნის ლირ. ლექსების „დივანი". ჰ-ს შემოქმედება საინტერესოა აღორძინების ეპოქის ქართ. მწერლობის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად. ა. გვახარია

**ჰათიმ ალ-ტაი** ან ჰათემ ტაი (გ. დაახლ. 607), ისლამამდელი არაბი პოეტი ტაის ტომისა. სახელი გაითქვა გულუხვობით და ხელგაშლილობით, რაც მისი ლექსების მთავარი თემაც არის. მასზე შეიქმნა უამრავი ლეგენდა, რ-ებიც შესულია როგორც არაბ., ისე სხვა მუსლ. ხალხთა ზეპირსიტყვიერებისა და არაკების კრებულებში. ნ. ფუტკარაძე

**ჰაიასტანი,** სომხეთის ქვეყანა, სომხეთი. წარმოდგება საერთო სახელისაგან „ჰაი". სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში ამ ტომის წამყვანი როლის გამო მისი სახელი მთელ ხალხზე გავრცელდა და სომხეთის თვითსახელწოდებად იქცა. გ. მაისურაძე

**ჰაიდამაკები,** მარჯვენა ნაპირის უკრაინის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი XVIII ს-ში. შეიქმნა კიევისა და დას. პოდოლიეში და შემდეგ გავრცელდა უკრ. სხვა რ-ნებში. ჰ-ის რაზმები შედგებოდა გლეხებისაგან, უღარიბესი ზაპოროჟელი კაზაკების, მოჯამაგირეებისა და ხელოსნებისაგან. უკრაინელების გარდა მათში შედიოდნენ ბელორუსები, პოლონელები, მოლდაველები, რუსები. დონის კაზაკები ჰ-ს მხარს უჭერდნენ. მარცხ. ნაპირის უკრ. გლეხები და კაზაკები, რ-ებიც რუს. შემადგენლობაში იყვნენ. ამის გამო ცარიზმი აქტიურად ებრძოდა ჰ-ის გამოსვლებს. 1734, 1750, 1768 ჰ-ის მოძრაობა გადაიზარდა მძლავრ სახ. აჯანყებებად. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1768 აჯანყება („კოლიივშჩინა"). სამოქალაქო ომის (1918—20) დროს უკრ. ბურჟ. ნაციონალისტები, სახელწოდების პოპულარობის გამო, თავის თავს ჰ-ს უწოდებდნენ.

**ჰაიდარაბადი,** 1724—1948 ერთ-ერთი დიდი სამთავრო ინდოეთში, 1950—56 შტატი. აღმოცენდა დიდი მოგოლების

გააქტარა ჰ. V (8. I. 1081—23. V. 1125, უტრეხტი), მეფე 1106-იდან, იმპერატორი 1111-იდან, ჰ. IV-ის ძე. მამის სიცოცხლეშივე დაუკავშირდა მის მოწინააღმდეგეებს — პაპს და გერმ. მთავრებს. შემდეგ განაგრძო ბრძოლა ინვესტიტურისათვის, რ-იც საბოლოოდ კომპრომისული ვორმსის კონკორდატით დასრულდა (1122). ჰ. VI (1165, ნიმვეგენი, — 28. IX 1197, მესინა), მეფე 1190-იდან, იმპერატორი 1191-იდან. შტაუფენების დინასტიის წარმომადგენელი, ფრიდრიხ I ბარბაროსას ძე. იქორწინა სიცილიის მეფის ასულ კონსტანცაზე. მაგრამ მხოლოდ ბრძოლებით შეძლო (1190—92 და 1194—95) ცოლის სამემკვიდრეოს — ნორმანული სიცილიის დაპყრობა. ჰ. VII (დაახლ. 1275, ვალანსიენი, — 24. VIII 1313, ბუონკონვენტო), მეფე 1308-იდან, იმპერატორი 1312-იდან. ლუქსემბურგთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი. 1310 თავის შვილს იოჰანს მოუპოვა ჩეხეთის სამეფო ტახტი. უშედეგოდ დამთავრდა მისი ექსპედიცია იტალიაში (1310—13). ნ. გოთშვილი.

**ჰაინრიხ ლომი** (Heinrich der Löwe) (1129 — 6. VIII. 1195, ბრაუნშვაიგი), საქსონიის (1142—80) და ბავარიის (1156—80) ჰერცოგი ველფების საგვარეულოდან. ალბრეხტ დათვთან ერთად სათავეში ჩაუდგა წარუმატებელ ჯვაროსნულ ლაშქრობას სლავების წინააღმდეგ 1147. 1160 დაიპყრო ბოდრიჩების თითქმის მთელი მიწები და ელბის აღმ-ით მდებარე უზარმაზარი ტერიტ. მეკლენბურგი გახდა. გაანადგურა და აღმ-ით დაარბია სლავები. მათ მიწებზე კი გერმ. კოლონისტები დაასახლა. მწვავე კონფლიქტი მოუვიდა ფრიდრიხ I ბარბაროსასთან, რ-მაც ისარგებლა იმით, რომ ჰ. ლ-მა უარი თქვა იტალ. ლაშქრობაში მონაწილეობაზე, 1180 სასამართლო მიუსაჯა და სამფლობელოების დიდი ნაწილი ჩამოართვა.

**ჰაინრიხ ფონ ველდეკე** (Heinrich von Veldeke), XII ს. — XIII ს. დასაწყ. გერმანელი მწერალი. მინეზინგერია სარაინდო ანუ საკარო ეპოსის ფუძემდებელი; მასვე ეკუთვნის სარაინდო-ქრისტ. ლეგენდა „სერვაციუსი" (დაახლ. 1170). მთავარი თხზ. სარაინდო რომანი „ენეიდა", რ-ის წყარო უნდა იყოს ფრანგ. „ენეასის რომანი", ანტ. სიუჟეტის პირველი სარაინდო-საკარო დამუშავებაა გერმ. ლიტ-რაში.

**ჰაისამი**, იხ. იბნ ალ-ჰაისამი.

**ჰაიტი**, ა ი ტ ი (Haiti, კარიბულ ინდიელთა ენაზე — მთაგორიანი), კუნძული დიდი ანტილის კ-ების ჯგუფში, ვესტინდოეთში. ფართ. 77 ათ. კმ². კუბისაგან გამოყოფილია ქარიანი სრუტით, პუერტო-რიკოსაგან — მონას სრუტით. ნაპირები ძალზე შეჭრილ-შემოჭრილია, რიასული ტიპისა. აგებულია მეზოკაინოზოური ვულკ. და დანალექი ქანებით. რელიეფი დანაწევრებულია. არის ნაოჭა-ლოდა ქედები და ტექტონ. ქვაბულები. მაქს. სიმაღლე 3175 მ (მთა დუარტე, ვესტინდოეთის უმაღლესი წვერტილი). ცენტრ. ნაწილში არის გაუდინარი ტბები. ხშირია მიწისძვრა. ჰავა ტროპ., პასატურია. ბარში საშ. თვიური ტემპ-რა 23-იდან 29°C-მდეა, ნალექები 500-იდან 2000 მმ-მდე წელიწადში. შემოდგომით იცის ქარიშხალი. არის მარადმწვანე ტროპ., წიწვოვანი, ხეშეშფოთლიანი, ფოთოლმცვივანი ტყეები და ბუჩქნარი. გაშენებულია ტროპ. კულტურების პლანტაციები და ბაღები. ჰ-ზე მდებარეობს სახელმწიფოები ჰაიტი და დომინიკელთა რესპუბლიკა. ჰ. აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა 1492 და ესპანიოლა უწოდა.



ჰაიტის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი




**ჰაიტი** (Haiti), ჰ ა ი ტ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (République d'Haïti), სახელმწიფო ვესტინდოეთში. უჭირავს კ. ჰაიტის დას. ნაწილი და ახლომდებარე კ-ები გონავი, ტორტუგა, ვაში და სხვ. ჩრდ-ით — ატლანტის ოკ., სამხრ-ით — კარიბის ზღვა. ფართ. 27,8 ათ. კმ². მოსახლ. 5,3 მლნ კაცი (1983). დედაქალაქი — პორტ-ო-პრენსი. ოფიც. ენა — ფრანგული. ეროვნ. დღესასწაულია 1 იანვ. — დამოუკიდებლობის დღე (1804). ფულის ერთეულია გურდი. 5 გურდი = 1 აშშ-ის დოლარს (1986). ადმინისტრაციულად ჰ. იყოფა 9 დეპარტამენტად.

ჰ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1964 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნ. კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), რ-საც ირჩევს მოსახლ. 6 წლის ვადით. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, მასვე ეკუთვნის აღმასრ. ხელისუფლება.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა. იხ. ფერადი ჩანართი სურათებთან სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.

**ბუნება.** ჰ-ს რელიეფი მთიანია, დანაწევრებული. ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ გადაჭიმულია ქედები: ჩრდილოეთისა (კორდილიერა-სეპტენტრიონალის დას. შტოქედი), მონტან-ნუარი, მატიო, ოტი, სელი (მწვ. ლა-სელი, 2680 მ — ჰ-ს უმაღლესი წვერტილი), რ-თა შორის ცენტრ. პლატო და ღრმა დეპრესიებია. მოიპოვება ალუმინის, მანგანუმის, თუჯის მადანი, ბოქსიტი, მარმარილო. ჰავა ტროპ., პასატურია. საშ. თვიური ტემპ-რები 22—28°C. ნალექები ქარპირა კალთებზე — დაახლ. 2000 მმ წელიწადში, ქარზურგა კალთებსა და დეპრესიებში — 500—800 მმ.

მთებიდან ჩამოედინება მრავალი ნაკადი. უდიდესი მდინარეა არტიბონიტი. ნიადაგი უმთავრესად ყავისფერ-წითელი და მთის ყავისფერ-წითელი ფერალიტურია. ჭარბობს ფოთოლმცვივანი (მშრალ ზამთარში) ტროპ. ტყე, სამხრ-ით — მარადმწვანე ტყე ძვირფასი ჯიშის ხეებით, არტიბონიტის ხეობაში ეკლიანი ბუჩქნარი და კაქტუსები.

**მოსახლეობა.** ჰ-ის მოსახლ. 99%-ზე მეტი ჰაიტელია, XVI—XVIII სს-ში აფრიკიდან შემოყვანილ მონათა შთამომავლები. რასობრივად 90% ზანგია, დანარჩენი ძირითადად — მულატი, მცირე რაოდენობით — თეთრკანიანი. ლაპარაკობენ ჰაიტურ-კრეოლულ ენაზე, რ-იც შეიქმნა ფრანგ. ბაზაზე აფრ. ენების, ინდიელთა ენების, ინგლ. და ესპ. მინარევებით. ოფიც. რელიგია — კათოლიციზმი, ინარჩუნებენ აგრეთვე აფრ. რწმენათა გადმონაშთებს.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 70% დასაქმებულია (1983) სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე 190 კაცი 1 კმ²-ზე (1983). სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია სანაპირო ზოლში და მთათაშუა პლატოებზე. მნიშვნელოვანი ქ-ებია პორტ-ო-პრენსი (719 ათ. მცხ., 1983), კაპ-აიტიენი, გონაივი, ლეკაი.

**ისტორიული ნარკვევი.** XV ს. ბოლომდე კ. ჰაიტი ინდიელი ტომებით იყო დასახლებული, ძირითადად არავაკებით. მოსახლ. დაახლ. 1 მლნ კაცი იყო. 1492 წ. 6 დეკ. კუნძული აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა და ესპანიოლა დაარქვა. XVI ს. დასაწყისში კოლონიზატორებმა დაიწყეს აფრიკიდან ზანგი მონების შემოყვანა. XVI ს. ბოლოს XVII ს. დასაწყისში ესპანიოლასათვის ბრძოლა გაჩაღდა ესპანეთს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის. XVII ს. ბოლოს კუნძულის დას. ნაწილი საფრანგეთმა დაისაკუთრა და სან-დომინგო უწოდა, ხოლო აღმ. ნაწილი სანტო-დომინგოს სახელწოდებით ესპანეთს დარჩა. გაბატონდნენ თეთრი პლანტატორ-მონათმფლობელები, მძიმე სავაჭრო ბეგარეობა და თვითნებობა. მულატები და ზანგები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტ. უფლებას. 1790 მულატები აჯანყდნენ და პოლიტ. გათანაბრება მოითხოვეს თეთრ მოსახლეობასთან. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1791 ზანგი მონებიც ჩაებნენ. ფრანგებმა ზანგების ბელადი ბუკმანი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ბრძოლა გაგრძელდა ფ. დ. ტუსენ-ლუვერტიურის მეთაურობით. 1793 საფრანგეთმა ომი დაიწყო ესპ. და ინგლ. წინააღმდეგ. ინგლ. ჯარები სან-დომინგოში შეიჭრნენ. საფრ. სამთავრობო წარმომადგენლებმა ევროპაში, ხოლო ტუსენ-ლუვერტიურის ჯარებმა — კუნძულზე, ინგლისი აიძულა 1795 ხელი მოეწერა ბაზელის ხელშეკრულებაზე. რ-ის ძალითაც კუნძულის აღმ. ნაწილი საფრანგეთის გახდა. 1800 მთელი კუნძული ტუსენ-ლუვერტიურმა დაიმორჩილა, ხოლო 1801 მონობა გააუქმა. იმავე წელს მოწვეულმა ასამბლეამ ტუსენ-ლუვერტიური სამუდამო მმართველად გამოაცხადა. კონსტ. თანახმად, კუნძული მხოლოდ ფორმალურად იყო საფრ. კოლონია. 1802 ნაპოლეონმა კუნძულზე საექსპედიციო კორპუსი გააგზავნა, რ-მაც ტუსენ-ლუვერტიური დაატყვევა და საფრანგეთს გაგზავნა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ზანგი გენერალი ჟან ჟაკ დესალინი. 1804 წ. 1 იანვ. დესალინმა გამოაცხადა კუნძულის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და აღადგინა მისი ძვ. ინდიური სახელწ. — ჰაიტი. იმავე წელს დესალინმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, გამოსცა კონსტიტუცია, რ-მაც დაადასტურა მონობის გაუქმება. აკრძალა უცხ. თეთრ მოსახლეობას ჰ-ზე უძრავი ქონების შეძენა. დესალინის პოლიტიკით უკმაყოფილო მსხვილმა მიწათმფლობელებმა 1806 იგი მოკლეს. შიდა ბრძოლისა და განხეთქილების შედეგად 1807 ჰ. ორ ნაწილად გაიყო: „ჰ-ის სახელმწიფო", რ-საც ა. კრისტოფი (დესალინის თანამებრძოლი) მეთაურობდა, და „ჰ-ის რესპუბლიკა", რ-საც მულატები მართავდნენ ა. პეტიონის მეთაურობით. 1811 კრისტოფმა თავი მეფედ გამოაცხადა და ნამდვილი ტერორი დაამყარა. პეტიონის მემკვიდრემ ჟან პ. ბუაიემ 1821 ქვეყანა გააერთიანა და ჰ-ს რესპუბლიკა შექმნა. 1825 საფრანგეთმა ცნო ჰ-ს დამოუკიდებლობა. 1844 კუნძულის აღმ. ნაწილში (ყოფილი ესპ. ტერიტ.) შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო — დომინიკელთა რესპუბლიკა.

1929—33 ჰ-ზე შეიქმნა რამდენიმე არალეგალური პროფ. ორგანიზაცია, აგრეთვე კომუნისტური ჯგუფები, ხოლო 1934 — კომპარტია, რ-იც რამდენიმე თვის შემდეგ აიკრძალა. 1941 დეკ-ში ჰ-მ ომი გამოუცხადა იაპონიას, გერმანიას და იტალიას. 40-იანი წწ. შუა ხანებში ჩამოყალიბდა სახ.-სოციალ. პარტია (სსპ), რ-იც მშრომელთა ინტერესებს გამოხატავდა. 1946 იანვ-ში სახელმწ. გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდო სამმა ხუნტამ. პრეზიდენტად გამოაცხადეს დ. ესტიმე (1946—50). 1948 კომპარტია და სსპ დაიშალა. 1954 წვრილი ბურჟ. და ინტელიგენციის რადიკალური წრეები გაერთიანდნენ სახ.-დემოკრ. პარტიად (მეთაურებით მაი ერუენ. განთავისუფლების სახ. პარტია ეწოდა) 1957 შეიქმნა ჰ-ს პროფკავშირთა მთავარი გაერთიანება (ჰპგ). ქვეყანაში მძაფრი პოლიტ. ბრძოლა გაჩაღდა. 1957 პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა ფ.





2







ხულოს რაიონი (I) 1. ... ბეშუმი, ერთ-ერთი ქუჩა. 2. სოფ. დიდაჭარის ხედი. 3. მდ. ... ხეობა. 4. მდ. სხალთის ხეობა. 5. სოფ. ... 6. სოფ. სხალთის ტ. ... 7. ... 8. სოფ. ... 9. მთიანი აჭარის საძოვრები.









9











სურ. ხულოს რაიონი (II) 1. სხალთის ეკლესია. XIII ს. 2. ჭვანის თაღოვანი ხიდი. შუა საუკუნეები 3. სოფ. ოქროშიძეები. 4. სოფ. ღორჯომის საავადმყოფო. 5. ხულოს კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლი. 6. სოფ. ხიხაძირის საშუალო სკოლა. 7. სოფ. დიდაჭარა. სავაჭრო რიგები.









სფ. [illegible]. [illegible] ციხე. საერთო ხედი. ფოტო ს. [illegible]



სფ. [illegible]. [illegible]ჯის ციხე. საერთო ხედი. ფოტო [illegible].


1
2
3
4
5
6
7
8
9

[illegible]



















სტ. ჯავის რაიონი (I). 1. მდ. ლიახვის ხეობა. 2. მდ. ჯაშნისის ხეობა. 3. მდ. ფაწის ხეობა. 4. მდ. ზოგარის ხეობა. 5. მდ. სარიგდულის ხეობა. 6. მდ. ჯეჯორის ხეობა. 7. ერწოს ტბა. 8. სოფ. სტორმაჭაულის საერთო ხედი. 9. სოფ. ყოშალეთი. 10. სოფ. ჩასავალი. 11. სოფ. ქვემო ხეთი. 12. სოფ. ნაურების მეცხოველეობის ფერმა.















სტ. ჯავის რაიონი (II). 1. სოფ. სტირფაზის მეცხოველეობის ფერმა. 2. ჯავის ხეხილის ბაღი. 3. დაბა ქვაისის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა. 4 – 8 და 10 – 14 დ. ჯავა. 4. „ძაუ" ჩამომსხმელი ქარხანა. 5. ტურბაზა. 6. ლენინის ქუჩა. 7. სკოლა-ინტერნატი. 8. საშუალო სკოლა. 9. სოფ. ქვემო ხეწრის რვაწლიანი სკოლა. 10. რაიონული საავადმყოფო. 11. საბავშვო ბაღი. 12. სანატორიუმი „ძაუ". 13. რაიონული კულტურის სახლი. 14. ადმინისტრაციული შენობა.















ჯვრის მონასტერი მცხეთაში. 1. აღმოსავლეთის ხედი 586/87 – 604 2. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფზე გამოსახულია ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ ერისმთავარი. 3. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი. გამოსახულნი არიან სტეფანოზის მემკვიდრე ადარნასე, მის ზემოთ — ფრთებგაშლილი ანგელოზი, წინ — მუხლმოდრეკილი ბავშვი—ადარნასეს ძე.



ჟ. ჰუდონი. 1. კავალერისტ ქ. ვ. გლუკის პორტრეტი. ფრაგმენტი. თაბაშირი. 1775. თიურინგიის მხარის ბიბლიოთეკა. ვაიმარი. 2. ლ. ბრონიარის პორტრეტი. ფრაგმენტი. მარმარილო. 1777. კერძო კოლექცია. აშშ. 3. ბ. ფრანკლინის პორტრეტი. ტერაკოტა. 1778. ლუვრი. პარიზი. 4. ნაპოლეონ I-ის პორტრეტი. ტერაკოტა. 1806. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. დიჟონი. 5. ჟ. ჟ. რუსოს პორტრეტი. მარმარილო. 1778. 6. ვოლტერის ქანდაკება. მარმარილო. 1781. ერმიტაჟი. ლენინგრადი. 7. ო. გ. მირაბოს პორტრეტი. მარმარილო. ავტორისეული გამეორება. 1800. ვერსალის და ტრიანონების ეროვნული მუზეუმი. 8. მეუღლის პორტრეტი. 1787. ფრაგმენტი. თაბაშირი. ლუვრი. პარიზი.

1933, ტუსულა, ჰელსინკის ახლოს), ფინელი ფერმწერი. სწავლობდა ჰელსინგფორსში მხატვართა წამახალისებელი საზ-ბის სკოლაში (1886—90), პარიზში ჟულიანის აკადემიაში (1891—92) და ა. გოლენთან (1894). განიცადა სიმბოლიზმის გავლენა. ასახავდა გლეხთა ცხოვრებას. მისი კომპოზიციები ნათელი და ცხადია, სახეები — ლაკონური, კოლორიტი — მდიდარი („მომკელი", 1891; „სამუშაოდან დაბრუნება", 1906, ორივე — ათენეუმი, ჰელსინკი).



ფ. ჰალსი. ავტოპორტრეტი. 1650-იანი წლები. ლუვრი. პარიზი.

**ჰალოფიტები** (ჰალო... და ბერძნ. phyton — მცენარე), მლაშე დამლაშებულ ნიადაგზე მცხოვრები მცენარეები. განარჩევენ ჰ-ის 3 ჯგუფს: ე ვ ჰ ა ლ ო ფ ი ტ ე ბ ი, ანუ ნამდვილი ჰ., რ-ებიც დიდი რაოდენობით შთანთქავენ და აგროვებენ მარილებს; მათი უჯრედების ციტოპლაზმა მდგრადია მარილთა მაღალი კონცენტრაციისადმი. ასეთებია ხურხუმა, ქალია, ყარღანი, ჩარანი, ხვართქარა, არხაჯის ბალახი და სხვ. კ რ ი ნ ო ჰ ა ლ ო ფ ი ტ ე ბ ი — მცენარეები, რ-ებიც ჭარბ მარილს გამოსაყოფი ჯირკვლების საშუალებით გარეთ გამოყოფენ. მათ მიეკუთვნება იალღუნის სახეობები, შორაქნი (მლაშე ცოცხი) და სხვ. გ ლ ი კ ო ჰ ა ლ ო ფ ი ტ ე ბ ი — მცენარეები, რ-თა ფესვთა სისტემა ძნელად ატარებს მარილებს; ამიტომ მათ ქსოვილებში ჭარბი მარილები არ გროვდება. ასეთებია აბზინდას სახეობები, რ-ებიც ფართოდ არიან გავრცელებული სსრკ-ის, მ. შ. საქართველოს, დამლაშებულ ნახევრად უდაბნოებში. *ჯ. ჩიკვაიძე.*

**ჰალსი** (Hals) ფრანს (1581 და 1585 შორის, ანტვერპენი, — 26. VIII. 1666, ჰარლემი), ჰოლანდიელი ფერმწერი. ფლამანდიელი ფეიქრის შვილი. ცხოვრობდა ჰარლემში 1616 მოინახულა ანტვერპენი. სწავლობდა კ. ვან მანდერთან (1600—03), 1610-იდან იხატავდა. ჰ-ის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია დემოკრატიზმი, ხალხ. ტიპებისადმი ცხოველი ინტერესი, ასახა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჰოლანდ. ხალხის სულიერი სიმტკიცე, ჰოლანდ. ხელოვნება გაამდიდრა ადამიანთა გრძნობების გამოსახვისა და მოდელის შინაგანი სამყაროს ნიშნების საშუალებით; იყენებდა თავისუფალ, ტემპერამენტულ მონასმებს. ადრინდ. პერიოდის ნამუშევრებში („წმ. გიორგის მსროლელთა ასეულის ოფიცერთა ბანკეტი", 1616, ფ. ჰალსის მუზეუმი, ჰარლემი) ნიშანდობლივია თბილი ტონებისაკენ სწრაფვა, ძალუმ. მკვეთრ მონასმების საშუალებით ფორმათა გულდასმით მოდელირება. 1620-იან წლებში პორტრეტებთან ერთად ხატავდა ჟანრულ სცენებსა და ცალკეულ რელიგ. კომპოზიციებს („ლუტნის მაკვრელი"; „მათე მახარებელი", დაახლ. 1623—25, დას. ევრ. და აღმოსავლეთის ხელოვნ. მუზეუმი, ოდესა). 1620—30-იანი წწ. პორტრეტებში ჰ-მა შექმნა ჰოლანდ. ტიპების საინტერესო გალერეა, გააფართოვა მოდელების სოც. წრე, მეურვეობისა წარმომადგენლებიდან („ი. ვან ჰეიტჰეიზენი", დაახლ. 1626—36, სახელმწ. მუზეუმი ვადუცი) დაბალ სოციალურ ელემენტებამდე, რ-ებიც წარმოსახა როგორც ხალხის ცხოვრების ნაწილის მატარებლები („ბოშა ქალი", ლუვრი, პარიზი; „მულატი", სახვითი ხელოვნ. მუზეუმი, ლაიფციგი, ორივე — დაახლ. 1630). ამავე პერიოდში მხატვარმა ჯგუფური პორტრეტის რადიკალური რეფორმა მოახდინა, უარყო კომპოზიციათა პირობითობა და ნაწარმოებებში შეიტანა ცხოვრებისეული სიტუაციები („წმ. ადრიანის მსროლელთა ასეულის ოფიცერთა ბანკეტი", დაახლ. 1623—27, ფ. ჰალსის მუზეუმი, ჰარლემი, და სხვ.). 1640-იანი წწ. პორტრეტებში ღრმავდება ფსიქოლ. დახასიათება („წმ. ელისაბედის ჰოსპიტლის რეგენტები", 1641, იქვე; ახალგაზრდა კაცის პორტრეტი, დაახლ. 1642—50, ერმიტაჟი, ლენინგრადი; და სხვ.). ამ ნამუშევრების კოლორიტი უკვე მოვერცხლისფრო-რუხი ტონალობისაა. ჰ-ის გვიანდ. ნამუშევრები შესრულებულია ძალზე თავისუფალი მანერით და გამჭვირვალე ტილოს ძუნწი ფერადოვანი გამით, აგებულია შავ-თეთრი ფერების კონტრასტებზე („შავტანსაცმლიანი კაცი", დაახლ. 1650—52, ერმიტაჟი, ლენინგრადი და სხვ.); ზოგიერთ მათგანში იგრძნობა ღრმა პესიმიზმი („მოხუცებულთა თავშესაფრის რეგენტები", 1664, ფ. ჰალსის მუზეუმი, ჰარლემი). ჰ. გარდაიცვალა სიღარიბეში, დავრდომილთა სახლში. ჰ. ევროპული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია; მის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰოლანდ. ფერწერის შემდგომი განვითარებისათვის. მისი გავლენა განიცადეს ა. ბრაუერმა, ძმებმა ა. და ი. ოსტადეებმა, ი. სტენმა და სხვ.

ლიტ.: Лазарев В. Н., Франс Гальс, მის წგნ.: Старые европейские мастера, М., 1974; Сазенко М. С., Франс Хальс, М., 1965.

ილუსტრაცია იხ. ჩანართი, გვ. 640.

**ჰალსი** (ჰოლანდ. hals), 1. გემის კურსი ქარის მიმართ (მაგ., გემი მიდის მარცხენა ჰ-ით, როცა ქარი უბერავს მარცხენა ბორტის მხრიდან). 2. იალქნიანი გემის გზის მონაკვეთი მოხვევიდან მოხვევამდე. 3. გემსართავი, რ-იც ანძაზე ამაგრებს ირიბი აფრის წინა ქვედა კუთხეს.

**ჰალუცინაცია** (ლათ. hallucinatio — ბოდვა, მოჩვენებები), აღქმა, რ-იც ჩნდება რეალური ობიექტის გარეშე ფსიქიკური ან ზოგიერთი ინფექციური დაავადების, ინტოქსიკაციის, თავის ტვინის ტრავმის, მძიმე სულიერი განცდისა და სხვათა დროს. ავადმყოფისათვის ჰ. აღქმის წყაროა და არა წარმოსახვა. ჰ. შეიძლება იყოს ს მ ე ნ ი თ ი (ავადმყოფს ესმის ხმები, ძახილი, ხმაური); მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ ი (ხედავს ადამიანებს, ცხოველებს, მხეცებს, მწერებს, სურათებს); ყ ნ ო ს ვ ი თ ი (ეჩვენება სხვადასხვა სუნი — ნავთის, სუნამოსი და სხვ.); შ ე ხ ე ბ ი თ ი (გრძნობს კანზე მწერების ცოცვას, ქროლვას და სხვ.), ე. წ. ზ ო გ ა დ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს ა (შეიგრძნობს თითქოს მის მუცელში ან გულმკერდში რაღაც ან ვიღაც მოძრაობს); ე. წ. ე ქ ს ტ რ ა კ ა მ პ ი ნ უ რ ი (ავადმყოფი თავის მხედველობის არეს მიღმა „ხედავს" ადამიანებს, რ-ებიც სდევნიან და სხვ.). ზოგიერთი ჰ. მკაფიო, ემოციური, ხატოვანი და იმდენად დამაჯერებელია, რომ არ განირჩევა რეალური აღქმისაგან, ასეთ ჰ-ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ჰ. ეწოდება. სხვა ჰ-ს ავადმყოფი შინაგანი სმენით ან ხედვით აღიქვამს და ასეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მისი მოჩვენებები და „ხმამაღალი" ფიქრები, რომელიღაც გარეშე ძალის ზემოქმედებით არის შექმნილი; ეს ფ ს ე ვ დ ო ჰ ა ლ უ ც ი ნ ა ც ი ე ბ ი ა, რ-ებიც XIX ს. ბოლოს აღწერა რუსმა ფსიქიატრმა ვ. კანდინსკიმ. იმპერატიული, ბრძანებითი ჰ-ის ზეგავლენით ავადმყოფმა შეიძლება ჩაიდინოს სხვისი და საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ქმედება. ჰ. მრავალი ფსიქ. დაავადების მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ნიშანია; მისი პათოფიზიოლ. არსი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გარკვეული. მკურნალობენ ჰ-ის გამომწვევ ძირითად დაავადებას.

**ჰალფვინდი** (ჰოლანდ. halfwind, სიტყვასიტყვით — ნახევარქარი), აფრიანი გემის კურსი, რ-ის დროსაც მისი გრძივი ღერძი ქარის მიმართულების პერპენდიკულარულია.

**ჰალშტატის კულტურა**, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურა. სახელი ეწოდა ქ. ჰალშტატის (Hallstatt, ავსტრია) მახლობლად გათხრილი სამაროვნის მიხედვით. ფართო გაგებით, ჰ. კ. გავრცელებული იყო შუა დუნაისპირეთიდან პირენეის ნ.-კ-მდე და ადრიატიკის ზღვიდან ოდერისა და ელბის აუზამდე. პ. რაინეკემ ჰალშტატის ეპოქა 4 პერიოდად დაყო (A, B, C, D). ცენტრ. ევროპაში A ჰალშტატი (დაახლ. ძვ. წ. XII—XI სს.) და B ჰალშტატი (დაახლ. ძვ. წ. X—VIII სს.) გვიანდ. ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ადრინდ. რკინის ხანა C ჰალშტატში (დაახლ. ძვ. წ. VIII ს. ბოლო — VII ს.) იწყება. მისი სრული განვითარების არეალია ბოჰემია, ზემო ავსტრია და ბავარია. ბრინჯაოს იყენებდნენ იარაღის, ჭურჭლის და დეკორ. ნაკეთობათა დასამზადებლად დას. ბურგუნდიაში. შვეიცარიასა და რაინისპირეთში კულტურა განვითარდა D ჰალშტატის პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. VI ს.). ამ დროიდან ძვ. წ. V ს-მდე ჰ. კ-ის ელემენტები აღმოჩენილია საფრანგეთიდან მოყოლებული იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიამდე. რკინის იარაღის გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდა მიწათმოქმედება, გავრცელდა გუთანი. გათხარეს მყარად დაგეგმარებული ნამოსახლარები, სადაც გამოვლინდა მიწურები და ნახევრად მიწური საცხოვრ. სახლები, ხიმინჯებიანი ნაგებობანი. ცნობილია როგორც კრემაციული (მიცვალებულთა დაწვით, უმეტესად მამაკაცებისა), ისე ინჰუმაციური (მათში იარაღი არ არის) სამარხები. გვიან ეტაპზე მიცვალებულებს ხშირად ოთხთვლიან ეტლებზე დაასვენებდნენ და ყორღანული ყრილის ქვეშ კრძალავდნენ. ჰ. კ-თვის დამახასიათებელი ნივთებია ბრინჯაოსა და რკინის მახვილები, სატევრები, კონუსური მუზარადები, ტანსაცმელზე დასაკერებელი ფირფიტები, მცირე რაოდენობით ზოგჯერ იარაღი, ძირითადად ბრინჯაოს სამკაული (იშვიათად ოქროსი, მინის, ქარვისა და სპილოს ძვლის), ბრინჯაოსა და ცხენი. ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი, რ-თა ნაწილი მოხატულია. გეომ-ის წრე, ნაწილში და ბოსნიაში ნაპოვნია მონუმ. ხელოვნ. ნიმუშები — საფლავის რამდენიმე სტელა, არქიტ. ფრაგმენტები და სხვ.; აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოსა და თიხის მცირე ზომის ქანდაკებები (ადამიანების, ცხენების, ხარების და ა. შ.). ჰ. კ-ის დროს ამუშავებდნენ მარილისა და სპილენძის საბადოებს. ჰქონდათ რკინის სადნობი სახელოსნოები და სამჭედლოები. ჰ. კ. თანდათან შეცვალა ლატენის კულტურამ.



ჰალშტატის კულტურა: 1, 2 — ბრინჯაოს ფიბულები; 3 — რკინის ცული; 4 — ბრინჯაოს კასრი, 5 — ბრინჯაოს ქვაბი; 6 — მოხატული თიხის ჭურჭელი

ლიტ.: Монгайт А. Л., Археология Западной Европы. Бронзовый и железный века, М., 1974. *მ. მენაბდე.*

**ჰამა**, ქალაქი სირიაში, მდ. ორონტესის შუა წელზე. ბიბლიური ჰ ა მ ა თ ი. დასახლებული იყო ადრინდ. ნეოლითის ხანიდან. გაითხარეს 1938—39 (ჰ. ინგჰოლტი). თითოეული კოლექ. ფენა რამდენიმე ფაზას შეიცავდა. უძველესი ფენისათვის (ძვ. წ. 5500—5000) დამახასიათებელია მუქპრიალა თიხის ჭურჭელი, სირიულ-კილიკიური ჩვეული ორნამენტი. მომდევნო ფენა (ძვ. წ. 5000—4500 და 4000—3500) ხასიათდება ჰალაფის სტილის მოხატული კერამიკით. შემდეგ გვხვდება ობეიდის სტილისაც. საგარაუდოა, რომ ძვ. წ. V ათასწლ. შუა წლებიდან ამ ოლქში ჰალაფის კულტურა დაეცა და ნახევრად მომთაბარე მოსახლ. გაჩნდა ძვ. წ. 3600—3500-იდან სამხრ.-აღმ.-იდან გავრცელდა ობეიდის კულტურა (ე. მელაარტი). ძვ. წ. 3300—2800 ფენაში გვხვდება პირაკეცილი ჯამები და სპილენძის ლანისპირები, მცირე ზომის ფიგურები, ე. წ. „სათვალიანი კერპები", ვიწროყელ-ნახვრეტიანი დოქები, ცილინდრული საბეჭდავები და მათი ანაბეჭდები კერამიკაზე. ძვ. წ. III ათასწლ. შუა წლებში ჰ-ში (საერთოდ ჩრდ. სირიაში) და შემდეგ პალესტინაში ხმარობდნენ წითელ და შავ. გაპრიალებულ, ხირბეთ-ქერაქის კულტურის ტიპის ხელით ნაძერწ ჭურჭელს, რ-იც ალბ. ანატოლიიდან ან

ამიერკავკასიიდან (ზოგი მეცნიერის აზრით, საქართველოდან) მოსულ ხალხს და ამ სამოსახლოებს უკავშირდება. ისევ დაიწყეს ჩარხზე ჭურჭლის დამზადება. შემოვიდა მოკუნტულების დაკრძალვა ცისტებში, გაჩნდა თელიანი ურემი, ზედაპირშეთითხვნილი თიხის ჭურჭელი, ხოლო ამ პერიოდის დასასრულს — თეთრად მოხატული შავი კერამიკა. ჰ-ში აღმოჩენილია ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ. ლითონის ნაკეთობანი. ჰ. არის უკიდურესი სამხრ. პუნქტი, სადაც ხეთური იეროგლიფური წარწერებია აღმოჩენილი. ასურულ ეპოქაში ჰ. სირიული პატარა სამეფოს მთავარი ქალაქი იყო, რ-საც ანტიოქე IV ეპიფანემ (ძვ. წ. 175—64) ეპიფანეა დაარქვა. 639 ჰ. წილად ხვდა სირდალ უმარს. შემდგომ ხანებში ჰ-ში სხვადასხვა მმართველობა იყო 1516 ოსმალებმა აიღეს.

ლიტ.: Мелларт Дж., Древнейшие цивилизации Ближнего Востока, пер. с англ., М., 1982; Чайлд Г., Древнейший Восток в свете новых раскопок, пер. с англ., М., 1956. ქ. ტოტიაძე.

**ჰამა**, ქალაქი დას. სირიაში, ჰამის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 207 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის სადგური ხას-ჰამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი, საფეიქრო, კვების, ტყავ-ფეხსაცმლის, მეტალ., ცემენტის მრეწველობა.

**ჰამაგუჩი** ოსაჩი (1. IV. 1870, კოჩის პრეფექტურა, — 26. VIII 1931, ტოკიო), იაპონიის პოლიტიკური მოღვაწე. 1924—26 ფინანსთა მინისტრი, 1927 შინაგან საქმეთა მინისტრი. მინსეიტოს პარტიის შექმნის შემდეგ (1927) მის თავ-რედ აირჩიეს. 1929—30 და 1931 პრემიერ-მინისტრი. ჰ-ის კაბინეტი მსოფლიო ეკონ. კრიზისის დროს (1929—33) მხარს უჭერდა მონოპოლიებს, იერიში მიიტანა მშრომელთა უფლებებზე და აფართოებდა სამხ. წარმოებას. „მონურჯულობის რადიკალიზაციის" გზით 1930 ნოემბ. ტერორისტმა მძიმედ დაჭრა.

**ჰამადა** (არაბ.), ქვიანი უდაბნოების სახელწოდება საჰარაში. გვხვდება მკვრივი ქანებით აგებულ პლატოებზე. ტერმ. „ჰ." იხმარება აგრეთვე ზოგადად ქვიანი უდაბნოს აღსანიშნავად.

**ჰამადანი**, ქალაქი დას. ირანში. 166 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზების კვანძი. ქვეყნის დას. ნაწილის მთავარი სავაჭრო ცენტრი საფეიქრო, კვების, ხის დამუშ. საწარმოები. ხალიჩების წარმოება.

ჰ. (ძვ. ეკბატანა) იხსენიება ძვ. წ. XI ს-იდან. ძვ. წ. VII—VI სს-ში მიდიის დედაქალაქი იყო, ძვ. წ. 550/549 შემდეგ — აქემენიდთა საზაფხულო რეზიდენცია. სელევკიდების, პართელებისა და სასანიანების დროს წარმოადგენდა მნიშვნელოვან ცენტრს მესოპოტამიიდან აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მიმავალ სავაჭრო გზაზე. VII ს-ში დაიპყრეს არაბებმა, XI ს-ში — თურქებმა. 1118—94 სელჩუკების დიდი სასულთნოს დედაქალაქი იყო დას. ირანში. 1220 დაანგრიეს მონღოლებმა. XVI—XVIII სს-ში ემორჩილებოდა სეფიანთა ძალაუფლებას. ხუროთმოძღვრული ძეგლები: გომბად-ალავიანის (XII ს., 1309—16; აგურის წყობით გამოყვანილი მორთულობა, კვეთილი ტერაკოტა, სტუკი), იბნ სინას (1952, არქიტ. ჰ. სეიჰუნი) მავზოლეუმები, ქამალ ალ-მულქის აკლდამა (1960-იანი წწ., ჰ. სეიჰუნი).

**ჰამადრილი** (Papio hamadryas), ძუძუმწოვარი ცხოველი პრიმატების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 80 სმ, კუდისა 60 სმ, მასა 20—30 კგ აღწევს. დედალი მამალზე მომცროა. ჰ-ს აქვს წაგრძელებული დინგი, კარგად განვითარებული წითელი ჯდომის სავარძლის კორძები. გავრცელებულია აღმ. ეთიოპიაში, აღმ. სუდანში, ჩრდ. სომალიში, არაბ. ნ-კ-ზე. ცხოვრობს სავანებში, კლდიან ადგილებში. ჯოგებად მცხოვრები ცხოველია. მაკეობა გრძელდება 170 დღე-ღ. უმეტესად შობს 1 ნაშიერს. ცოცხლობს 30 წლამდე. აკლიმატიზებულია სოხ. მიდამოებში. ა. ჯანაშვილი.

**ჰამამაცუ**, ქალაქი და თევზსაჭერი ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, სიძუოკის პრეფექტურაში. 495 ათ. მცხ. (1982). მანქანათმშ. (მ. შ. მოტოციკლეტების წარმოება), ქიმ., ბამბეულის, ხის დამუშ. მრეწვ., მუს. ინსტრუმენტების წარმოება.

**ჰამანი** (Hamann) რიხარდ (29 V. 1879, ზეჰაუზენი, საქსონია, — 9. I. 1961, იმენშტადტი, შვაბია), გერმანელი (გდრ) ხელოვნების ისტორიკოსი. გდრ-ის მეცნ. აკად. წევრი (1949). ჰ-ის მეცნ. და ორგანიზატორული მოღვაწეობა ფართო მასშტაბის იყო (თავიდან იდგა იდეალ. თვალსაზრისზე, შემდეგ მეთოდოლოგიურად მარქსიზმს დაუახლოვდა). ჰ-ის მეცნ. მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია მოვლენათა ზუსტი ანალიზი ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით. გდრ-ის ეროვნ. პრემიის ლაურეატი (1949).

თხზ.: Импрессионизм в искусстве и жизни, М., 1935; Рембрандт Гравюры, [М.], 1924.

**ჰამარშელდი** (Hammarskjöld) დაგ ალმარ (29 VI. 1905, იენშეპინგი, — 18. IX. 1961, ნდოლა, ზამბია), შვედეთის სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, შვეციის აკად. წევრი (1954-იდან). 1936—45 ფინანსთა სამინისტროს სტატს-მდივანი, 1941—48 ეროვნ. ბანკის გამგეობის თავ-რე 1949—51 საგარეო საქმეთა სამინისტროს გენ. მდივანი. 1951—53 უპორტფელო მინისტრი. 1948—49 ევრ. ეკონ. თანამშრომლობის ორგ. ვიცე-თავ-რე 1953 აპრილიდან გაეროს გენ. მდივანი. დაიღუპა საავიაციო კატასტროფაში.

**ალ-ჰამასა** ან ქითაბ ალ-ჰამასა (წიგნი სიმამაცისა), ამ სახელით არის ცნობილი არაბული პოეზიის ორი ანთოლოგია. ერთი შეადგინა გამოჩენილმა არაბმა პოეტმა *აბუ თამამმა*. მეორე — მისმა უმცროსმა თანამედროვემ და მოწაფემ პოეტმა *ალ-ბუჰთურიმ*. პირველში შეკრებილია ისლამამდელი, ომაიანებისა და აბასიანების პერიოდის დაახლ. 570 პოეტის, მეორეში — 600-მდე პოეტის ნაწარმოებები. ამ ანთოლოგიებში შესული ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი შემონახულია მხოლოდ ჰ-ების წყალობით. ნ. ფურცელაძე.

**ჰამაშ-თითოლეში**, სოფელი მესტიის რ-ნში (ლახამულის სოფსაბჭო), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1080 მ. მესტიიდან 39,8 კმ. ლახამულის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ლახამულაში (1 კმ).

**ჰამბურგი** (Hamburg, Hansestadt Hamburg), გფრ-ის უდიდესი ქალაქი და ნავსადგური, საგარეო ვაჭრობის, მრეწვ., საბანკო და სადაზღვევო საქმის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. გაშენებულია მდ. ელბის ორივე ნაპირას, შესართავიდან (ჩრდილოეთის ზღვა) 110 კმ-ზე. ადმინისტრაციულად ჰ. ქმნის მხარეს. ფართ. 747 $კმ^2$, მოსახლ. 1,6 მლნ. კაცი (1984).

დააარსა კარლოს დიდმა 811 როგორც ციხესიმაგრე. 831-იდან საეპისკოპოსოს, ხოლო 834—845 საარქიეპისკოპოსოს ცენტრი იყო. XII—XIII სს-ში თვითმმართველობა მოიპოვა, იყო ჰანზის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი. 1510 მიიღო თავისუფალი საიმპერიო ქალაქის უფლება. 1529 ჩატარდა რეფორმაცია. XVI ს-იდან ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. 1815 როგორც თავისუფალი ქალაქი გერმ. კავშირში შევიდა. 1871, გერმ. გაერთიანების შემდეგ, გერმ. „საზღვაო კარს" წარმოადგენდა. 1867 ჰ-ში გამოიცა პირველად კ. მარქსის შრომა „კაპიტალი", აქ დაიბადა ე. ტელმანი. ჰ-ის პროლეტარიატმა დიდი როლი ითამაშა გერმ. 1918 ნოემბ. რევოლუციაში. აქ მოხდა *ჰამბურგის აჯანყება 1923*. ფაშისტური გერმ. განადგურების (1945) შემდეგ ინგლ. საოკუპაციო ზონაში მოხვდა 1949-იდან გფრ-ის შემადგენლობაშია.

ჰ. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ქვეყნის მთავარი საზღვ. ნავსადგურია (ტვირთბრუნვა 51,4 მლნ ტ. 1984) მასზე მოდის გფრ-ის საგარეო ვაჭრობის მთელი ტონაჟის 2/3. ჰ-ში თავმოყრილია უდიდესი სანაოსნო კომპანიების გამგეობები, იგი სარკინიგზო, საავტ. და საჰაერო მიმოსვლის კვანძია. განვითარებულია მანქანათმშ. (გემების მშენებლობა და რემონტი, ელექტროტექ. მოწყობილობის წარმოება, აპარატმშენებლობა), ნავთობგადამამუშ., სპილენძსადნობი, რეზინ-აზბესტის, ტყავის, კვების, ქიმ., ავეჯის, საფეიქრო მრეწველობა. მაღალ დონეზეა საგაზეთო-საგამომცემლო საქმე. ჰ-ზე მოდის გფრ-ის ყოველდღიური გაზეთების ტირაჟის 40%-ზე მეტი. ჰ. კინოწარმოების ცენტრია. ქალაქში არის ყავის, შაქრის, კაუჩუკის საბაჟო ბირჟები. ჰ-ის საფონდო ბირჟა ერთ-ერთი უძველესია ევროპაში (დაარსდა 1558). ჰ. გაშენებულია მდ. ელბის ნაპირებსა და კუნძულებზე. ქალაქის ნაწილები შეერთებულია ხიდებით, ბორნებით, ფეხით სავალი — საავტ. გვირაბებით (სიგრძე 450 მ). მდ. ალსტერისა და ელბის შესართავში საქმიანი ცენტრია, რ-იც შედგება ალტშტადტისა (ძვ. ქალაქი) და ნოიშტადტისაგან (ახ. ქალაქი) ჰ-ის სავაჭრო-სამრეწვ. ნაწილია ელბერშტადტი, რ-იც მოიცავს ნავსადგურის ტერიტორიასა და მიმდებარე კვარტალებს. 1943—45 დაბომბვების შედეგად სანახევროდ დანგრეულმა ქალაქმა სახე იცვალა: გაიყვანეს ახ. მაგისტრალები, აიგო ახ. საცხოვრ. რ-ნები და საქმიანი ცენტრები. შემონახულია ხუროთმოძღვრული ძეგლები კათარინენკირხე (XIV ს. დასასრ. — XV ს. დასაწყ.), იაკობიკირხე (XIV ს. დასასრ.), მიხაელისკირხე (1750—62, „დიდი მიხელის" კოშკით, სიმაღლე 132 მ) ეკლესიები. XX ს. შენობები: ოპერის თეატრი (1954—55, არქიტექტორები გ. ვებერი, ვ. ლუქსი და სხვ.)

ჰ. მნიშვნელოვანი სამეცნ. და კულტ. ცენტრია ქალაქში არის უნ-ტი (1919), ინ-ტები, ოპერის თეატრი (დაარსდა 1678), მუზეუმები, ზოოპარკი.

**ჰამბურგის აჯანყება 1923**, ჰამბურგის პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლა 23—25 ოქტომბერს. 1923 სექტ. გერმ. კომპარტია (გკპ) და კომინტერნის აღმასკომი, ითვალისწინებდნენ რა ქვეყანაში რევ. კრიზისის გამწვავებას, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გერმანიაში 4—6 კვირის შემდეგ უნდა მომხდარიყო შეიარაღებული აჯანყება. კომუნისტების შესვლამ თიურინგიისა და საქსონიის მთავრობებში ხელს შეუწყობდა სრულიად გერმ. მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნისათვის ბრძოლას. გკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით ჰამბურგის პროლეტარიატს ნიშანი უნდა მიეცა საყოველთაო გაფიცვისა და საერთო გერმანული შეიარაღებული აჯანყებისათ-



ჰამბურგი. ქალაქის ცენტრი. შიგა ტბა ბინენალსტერი.

რების წინააღმდეგ სახ. აჯანყებებს. 1785 ვიგების პარტიის მოთხოვნით თადარიგში გავიდა. 1788 პარლამენტის სასამართლოს გადასცეს სისასტიკის, უკანონობისა და კორუფციის გამო, სასამართლო პროცესი რამდენიმე წელს გაგრძელდა. 1795, მიუხედავად საწინააღმდეგო ფაქტების არსებობისა, ჰ. გაამართლეს.

**ჰასტინგსი** (Hastings), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, აღმ. სასექსის საგრაფოში, პა-დე-კალეს სრუტის ნაპირზე. 76 ათ. მცხ. (1980). დიდი კურორტი. ყოველწლიური საერთაშ. საჭადრაკო ტურნირების ადგილი.

1066 წ. 14 ოქტ. ჰ-ის რ-ნში ნორმანდიის ჰერცოგის უილიამის ჯარმა დაამარცხა მეფე ჰაროლდის ანგლოსაქსების ჯარი. ამ გამარჯვების შემდეგ დეკ-ში უილიამ I დაპყრობილი ინგლ. მეფედ აკურთხეს.


ე. ჰეკელი.

**ჰაიფეცი** (Heifetz) იაშა (იოსებ) რობერტის ძე [დ. 20 I (2 II) 1901, ვილნიუსი], ამერიკელი მევიოლინე. ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა ვილნიუსში ი. მალკინთან (1905—09). 6 წლისამ საჯაროდ შეასრულა ფ. მენდელსონის კონცერტი ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად. 1910 სწავლობდა პეტერბურგში ლ. აუერთან. 1911 აქვე გამართა კონცერტი. 1912 როგორც ვუნდერკინდი გამოდიოდა ბერლინში. 1917-იდან ცხოვრობს აშშ-ში. კონცერტებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (სსრკ-ში იყო 1934). ჰ. XX ს. ერთ-ერთი უდიდესი მევიოლინეა. მისი შესრულებისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ჟღერადობა, ვირტუოზული ტექნიკა, მხატვრული ინტერპრეტაციის ყველა ელემენტის ჰარმონიული გაწონასწორებულობა. 1959-იდან სამხრ. კალიფორნიის (ლოს-ანჯელესი) უნ-ტის პროფესორი. ჰ. მრავალი ტრანსკრიფციის ავტორია.

ლიტ.: Раабен Л., Жизнь замечательных скрипачей, [М.—Л., 1967].


ი. ჰელდერლინი.

**ჰეკატეოს მილეტელი** (Hekataios ho Milēsios) (დაახლ. ძვ. წ. 549/546 — დაახლ. ძვ. წ. 480), ძვ. ბერძენი ლოგოგრაფოსი. მილეტის წარჩინებულთა ოჯახიდან იყო. ბევრს მოგზაურობდა და პირველი დაინტერესდა სხვა ქვეყნების ისტორიით, რის გამოც მას პირველ ისტორიოგრაფად მიიჩნევენ. ავტორია 2 თხზულებისა. ერთია „დედამიწის ირგვლივ" — („periodos, gēs", ერთ-ერთი პირველი გეოგრ. ნაწარმოები), რაც შედგებოდა 2 წიგნისაგან და შეიცავდა ევრ., აზიის და ლიბიის აღწერილობას. მე-2 თხზულებაში „გენეალოგია" („genealogia") მოცემულია ძვ. მითებისა და ლეგენდების კრიტიკა, თუმცა ეს კრიტ. მიდგომა პრაგმატულ ხასიათს ატარებდა. ჰ. მ-მა პირველმა შეადგინა მსოფლიოს დასახლ. ნაწილის კარტოგრაფიული გამოსახულება. ეს რუკა ამჟამინდელი არ არის, მაგრამ ჰეროდოტეს და სხვა ავტორთა აღწერილობით შესაძლებელი ხდება მის შესახებ წარმოდგენის შექმნა. ჰ. მ-ის თხზულებიდან მხოლოდ 380 ნაწყვეტმა მოაღწია. წერდა იონიურ დიალექტზე, სადა ენით.

ტექსტ.: Müller C., Fragmenta historicorum graecorum, v. 1—2, P., 1846—48.

ლიტ.: Томсон Дж., История древней географии, пер. с англ., М., 1953.


კ. ა. ჰელვეციუსი.

**ჰეკელი** (Haeckel) ერნსტ (16. II. 1834, პოტსდამი, — 9. VIII. 1919, იენა), გერმანელი ბიოლოგი, იენის უნ-ტის ზოოლ. კათედრის პროფესორი (1862—1909). ჰ-ის შრომებიდან აღსანიშნავია „ორგანიზმის ზოგადი მორფოლოგია" (ტ. 1—2, 1866), „გასტრეას თეორია" (1874—77), „ანთროპოგენია ანუ ადამიანის განვითარების ისტორია" (1874), „სისტემატიკური ფილოგენია" (1894—96), „სიცოცხლის საოცრებანი" (1904) და სხვ. სახეობათა წარმოშობის შესახებ ჩ. დარვინის თეორიის საფუძველზე ჰ-მა გამოავლინა მოქლდევება ცოცხალი ბუნების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. იგი ცდილობდა სხვადასხვა ჯგუფის ცოცხალ არსებათა შორის გენეალოგიური ურთიერთობის გამოკვლევას (ფილოგენეზი) და ამ ურთიერთობათა „საგვარტომო ხის" სახით წარმოდგენას. ემბრიოლოგიური (განსაკუთრებით ა. კოვალევსკის) გამოკვლევებზე დაყრდნობით ჰ-მა ჩამოაყალიბა გასტრეას თეორია, რ-ის თანახმადაც მრავალუჯრედიანი ცხოველის წინაპარია ჰიპოთეზური ორგანიზმი — გასტრეა. ჰ-ის მიხედვით, ფილოგენეზის შეცნობის გასაღებს წარმოადგენს ინდივიდების განვითარების — ონტოგენეზის შესწავლა. ონტოგენეზისა და ფილოგენეზის შორის ჯერ კიდევ დარვინის მიერ აღნიშნული კავშირი ჰ-მა განავითარა და ბიოგენეტიკური კანონი უწოდა (1866). ევოლ. მამოძრავებელი ძალების განხილვისას ჰ. იცავდა არათანაბარმემკვიდრეობას და ცდილობდა ჩ. დარვინისა და ჟ. ლამარკის პრინციპების ერთ მოძღვრებად შეერთებას.

ა. პაპავა.


ჰელიკოპრიონი. ჰელიკოპრიონის სპირალური ორგანო.

**ჰეკერტი** (Heckert) ფრიც (28. III. 1884, ხემნიცი, — 7. IV. 1936, მოსკოვი), გერმანიის მუშათა და საერთაშორისო მოძრაობის მოღვაწე. 1902-იდან გერმ. ს.-დ. პარტიის წევრი. „სპარტაკის კავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი გერმ. 1918 ნოემბ. რევ. დროს ქ. ხემნიცის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს ხელმძღვანელი. იყო გერმ. კომპარტიის ცკ-ის წევრი 1919-იდან. 1928—36 კომკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. პროფინტერნის აღმ. ბიუროს წევრი (1920-იდან). დაკრძალულია წითელ მოედანზე.

**ჰეკლა** (ისლ. Hekla, სიტყვასიტყვით — თავსაბურავი; მწვერვალი ხშირად ნისლშია გახვეული), მოქმედი ვულკანი ისლანდიის სამხრ. ნაწილში, ქ. რეიკიავიკის აღმ-ით 110 კმ. სიმაღლე 1491 მ, სტრატოვულკანი. წარმოქმნილია ხაზობრივი ნაპრალიდან მრავალჯერ ამოფრქვევის შედეგად. ჰ-ის ბოლო ამოფრქვევა მოხდა 1947—48, რ-ის შედეგად ცეცხლის მიმართულებით დაიშვა ბაზალტური ლავის ნაკადი. მწვერვალი ამაღლდა 1447-იდან 1502 მ-მდე. შემდეგ დადაბლდა კრატერის კიდეების ჩანგრევის გამო. პირველი ამოფრქვევა ფიქსირებულია 1104. ყველაზე დამანგრეველი იყო 1766 ამოფრქვევა, ახლდა ადამიანთა მსხვერპლი.

**ჰელდერი,** დენ-ჰელდერი (Helder, Den Helder), ქალაქი და ნავსადგური ნიდერლანდში, ჩრდ. ჰოლანდიის პროვინციაში, ვადენზეედან ჩრდ. ზღვაში გასასვლელთან. 64 ათ. მცხ. (1984). გემთსაშენი ინდუსტრია. სამხ.-საზღვ. ბაზა.

**ჰელდერის უტოლობა** სასრული ჯამებისათვის: $|a_1b_1+\ldots+a_nb_n| \leqslant (|a_1|^p+\ldots+|a_n|^p)^{1/p}(|b_1|^q+\ldots+|b_n|^q)^{1/q}$, ინტეგრალებისათვის: $\left|\int g(x)\,h(x)\,dx\right| \leqslant [\int|g(x)|^p dx]^{1/p}[\int|h(x)|^q dx]^{1/q}$, სადაც $p>1$ და $1/p+1/q=1$.

ჰ. უ. დაამტკიცა გერმ. მათემატიკოსმა ო. ლ. ჰელდერმა (O. L. Hölder, 1889). ჰ. უ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უტოლობაა მათ. ანალიზში. როცა $p=q=2$, ჰ. უ. სასრული ჯამებისათვის ემთხვევა კოშის უტოლობას, ხოლო ინტეგრალებისათვის — ბუნიაკოვსკის უტოლობას (იხ. უტოლობები).

**ჰელდერლინი** (Hölderlin) იოჰან კრისტიან ფრიდრიხ (20. III 1770, ლაუფენი, — 7. VI. 1843, ტიუბინგენი), გერმანელი პოეტი. მიიღო თეოლ. განათლება. წერა დაიწყო 1784. მის პირველ ლექსებს ფ. კლოპშტოკისა და ფ. შილერის გავლენა ეტყობა. „ტიუბინგენურ ჰიმნებში" განადიდებს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს — თავისუფლებას, სილამაზეს, სიყვარულს, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ, იდეალურ ურთიერთმიმართებას, რასაც იგი ძვ. ელადაში პოვებს; საგულისხმოა, რომ ანტ. საბერძნეთის მხატვრ.-ინტელექტუალური სამყარო აისახა არა მხოლოდ მის თემატიკაში, არამედ ვერსიფიკაციასა და პოეტურ სიმბოლიკაშიც. ჰ-ის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი ითამაშა XVIII ს. მოწინავე იდეებმა. სწავლის დამთავრების შემდეგ მან უარი თქვა მღვდლად კურთხევაზე და შილერის რჩევით შინამასწავლებლად დადგა. 1794 იენაში დასახლდა, სადაც ფიხტეს ლექციებს ისმენდა. ამ დროს მუშაობდა რომანზე „ჰიპერიონი ანუ განდეგილი საბერძნეთში", რ-ის „თალიას ფრაგმენტად" ცნობილი ვარიანტი დაბეჭდა შილერმა თავის ჟურნ. „თალიაში" (1795). 1796—98 შინამასწავლებელი იყო ბანკირ გონტარის სახლში, ფრანკფურტში და იდეალური სიყვარულით გაუმიჯნურდა გონტარის მეუღლეს, რ-იც დიოტიმას სახით წარმოსახა „ჰიპერიონში" და ლირ. ლექსებში „დიოტიმა", „მენონის გოდება დიოტიმას გამო" და სხვ.

„ჰიპერიონი" (ტ. 1—2, 1797—99) ცენტრ. ადგილი უჭირავს ჰ-ის შემოქმედებაში; მწერალი 7 წელი წერდა რომანს, დასრულებულია მისი 6 რედაქცია, მ. შ. ერთი ლექსად; დაწერილია რიტმული პროზით; მისი ეპისტოლური ფორმა და ზოგიერთი დეტალი გოეთეს „ვერთერს" მოგვაგონებს; ჰ-ის თითქმის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს პანთეისტური ნატურფილოსოფია. „ჰიპერიონში" წამოჭრილი პრობლემატიკის შემდგომი დამუშავების ცდა იყო დაუმთავრებელი დრამა „ემპედოკლეს სიკვდილი". შემდგომ ჰ. უპირატესობას აძლევდა ურითმო ლექსს, შექმნა მრავალი ელეგია, ოდა, ჰიმნი, რ-ებშიც რაფინირებული ჰუმანიზმი ასევე რაფინირებული პოეტური ექსპრესიითაა გადმოცემული („არქიპელაგი", „ადამიანი", „ნეკარი", „ჰაიდელბერგი", „მუზები", „დუნაი", „სიცოცხლის ნახევარი"). 1802 ბორდოდან, სადაც კვლავ შინამასწავლებლად იყო, სულით ავადმყოფი დაბრუნდა. 1806 ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. 1807-იდან სიკვდილამდე ვინმე ტიუბინგენელი დურგალი უვლიდა თავის ოჯახში.

ჰ-ის შემოქმედებამ, რ-საც კლასიციზმის ნიადაგში ჰქონდა ფესვები გადგმული და რომანტიზმით იყო შეფერილი, დიდი გავლენა მოახდინა XX ს. გერმანულენოვან პოეზიაზე.

თხზ.: ჰიპერიონი ანუ განდეგილი საბერძნეთში (თარგმ. და კომენტ. ა. ჯორჯაძისა, წინასიტყვ. ნ. კაკაბაძის), თბ., 1962.

ქ. ჯორჯაძე.

**„ჰელესა"**, „იალესა", „ჰეიამოლი", „ელესა" — ქართული ხალხური შრომის პოეზიის სახეობა, ლექს-სიმღერა, წარმოშობით ძ. ლაზ. მეზღვაურთა სიმღერაა (ლექსი ლაზურად გოდრის მაგვარ წნულს ჰქვია, რ-საც თევზის საჭერად იყენებდნენ). სიმღერა გავრცელებული ყოფილა შავი ზღვის აუზის მოსახლეობაში (ლაზურ, ქართ., თურქ., ბერძნ., ბოლგ. ენებზე). მღეროდნენ ზღვიდან ღუზის ამოღების, ბადის ამოკრეფის ან ნავიდან ტვირთის გადატანის დროს. გ. ყაზბეგმა ჰ. პირველად მოუსმინა 1819, თავის „მგზავრობაში..." ასე აღწერს მის შესრულებას: „და იმდასაც გამოჩნდება ღუზა, მაშინ პირველი იძახებს სამჯერ „ჰელესა", სხვანი „ჰელესა" და ამოიღებენ ღუზათა" ამჟამად ჰ-ს ლაზეთში კვლავ თევზაობას უკავშირებენ. აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში ჰ-ს მღეროდნენ მძიმე ტვირთის (სახლის გადაადგილება, ტყიდან დიდი მორების გამოტანა) გადაზიდვის. ზოგჯერ ქორწილის დროსაც. ლაზური ჰ. მონოდიური (ერთხმიანი გუნდური) სიმღერაა, აჭარული და გურული ვერსია სამ- და ოთხხმიანი, იმერული და მეგრული — სამხმიანი.

ლიტ.: თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, [ტ.] 1, თბ., 1976.

გ. ჩხიკვაძე. ა. ცანავა.

**ჰელესპონტი** (ბერძნ. Hellespontos — ჰელეს ზღვა), დარდანელის სრუტის სახელწოდება ანტიკურ ხანაში, ძვ. ბერძნ. მი-

იწვევს ორგანიზმის მძიმე მოშლილობას, რაც ვლინდება ნაწლავების, ნერვული სისტემის, სისხლმბადი ორგანოებისა და ენდოკრინული ჯირკვლების დაზიანებით. მკურნალობას ატარებენ ფენოთიაზინით, საძირის შეცვლით, სრულფასოვანი კვებით და სხვ.

**ჰემოპოეზი**, სისხლში ერითროციტების ნორმალური რაოდენობით აღდგენის პროცესი. იხ. *სისხლწარმოქმნა*.

**ჰემოპროტეიდები**, რთული ცილები, რომლებიც შეიცავენ შეღებილ პროსთეტულ ჯგუფს — *ჰემს*. ცალკეულიან *ქრომოპროტეიდებს*. *ჰემოგლობინისა* და *მიოგლობინის* გარდა, შეიცავენ სუნთქვის ფერმენტებს — *ციტოქრომებს* და ქსოვილების ჟანგვით ფერმენტებს — *პეროქსიდაზას*, *კატალაზასა* და ლეგჰემოგლობინს (ლეგჰემოგლობინს) — პიგმენტს, რ-იც აღმოჩენილია პარკოსანი მცენარეების კოჟრებში.

**ჰემორაგია**, იგივეა, რაც *სისხლდენა*.

**ჰემოსორბცია** (*ჰემო*... და ლათ. sorbere — შთანთქმა), ორგანიზმის დეტოქსიკაციის მეთოდი, რ-იც დაფუძნებულია სისხლიდან სპეც. სორბენტებით (შთამნთქმელებით) შხამიანი ნივთიერებების (ტოქსინების) შთანთქმაზე. ჰ. სორბენტის შემცველ სვეტში ეგრეთ სისხლის გავლის გზით ხორციელდება. ლიმფიდან, პლაზმიდან, ზურგის ტვინის სითხიდან ტოქსინების შთანთქმას (*აბსორბცია*) შესაბამისად ლიმფოსორბცია, პლაზმოსორბცია, ლიქვოროსორბცია ეწოდება. ჰ-ს იყენებენ ენდოგენური და ეგზოგენური ტოქსინებით მოწამვლის კომპლექსურ თერაპიაში, ღვიძლისა და თირკმლების უკმარისობის, ფსორიაზის, ბრონქული ასთმის, ცხიმოვანი ცვლის მოშლის შემთხვევებში, აგრეთვე ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ალკოჰოლის აბსტინენციური მოვლენების მოსახსნელად. ჰ. იძლევა სწრაფ და მყარ ეფექტს, ქრონ. დაავადებების დროს — ხანგრძლივ რემისიას.

ლიტ.: Лопухин Ю. М., Молоденков М. Н., Гемосорбция, М., 1978. *გ. ლოლაშვილი*.

**ჰემოსპორიდიები** (Haemosporidia), უმარტივესების ქვერიგი სპოროზოების კლასისა. პარაზიტობენ ერითროციტებში, სადაც მრავლდებიან უსქესოდ, მრავალჯერადი დაყოფით (შიზოგონია). სქესობრივად მრავლდებიან მწერებში, რ-ებსაც დაავადება გადააქვთ. ადამიანში პარაზიტობს Plasmodium-ის გვარის 4 სახეობა. Pl. malariae, Pl. vivax, Pl. falciparum, Pl. ovale

**ჰემოტრანსფუზია**, იგივეა, რაც *სისხლის გადასხმა*.

**ჰემოტრანსფუზიოლოგია** (*ჰემო*... და ლათ. transfusio — გადასხმა), *ჰემატოლოგიის* ნაწილი, რ-იც შეისწავლის სისხლის გადასხმას და მის კომპონენტებს, სისხლის პრეპარატებისა და სისხლშემცვლელების მომზადებისა და სამკურნალო პრაქტიკაში გამოყენების საკითხებს. სამკურნალოდ სისხლის გადასხმას (ცხოველიდან ადამიანისათვის) უძველესი დროიდან იყენებდნენ, მაგრამ თითქმის ყოველთვის ეს ცდები ავადმყოფის სიკვდილით მთავრდებოდა და ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში სისხლის გადასხმა აიკრძალა. რუსეთში სისხლის გადასხმის თაობაზე პირველი ფუნდამენტური ნაშრომი 1848 გამოაქვეყნა ა. ფილომაფიტსკიმ. 1901 ავსტრიელმა მეცნიერმა კ. ლანდშტაინერმა დაადგინა სისხლის ჯგუფობრიობა, რამაც განაპირობა კლინიკაში სისხლის გადასხმის წარმატებით გამოყენება. საბჭ. რუსეთში სისხლის გადასხმას სისხლის ჯგუფების გათვალისწინებით პირველად მიმართა ვ. შამოვმა 1919. ამერ. მეცნიერის ა. ვინერის მიერ რეზუს-ფაქტორის აღმოჩენის შემდეგ სისხლის გადასხმა კიდევ უფრო უსაფრთხო გახდა. 1926 ა. ბოგდანოვმა მოსკოვში დააარსა მსოფლიოში პირველი სისხლის გადასხმის ინ-ტი. ჰ-ის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — სისხლისა და მისი კომპონენტების კონსერვაციის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფ. ვინოგრად-ფინკელმა, ვ. აგრანენკომ, გადასასხმელი სისხლისა და მისი კომპონენტების მოქმედების მექანიზმი შეისწავლეს ა. ბოგომოლეცმა და სხვ.

საქართველოში სისხლი პირველად წარმატებით გადაუსხეს აკადემიკოს 1924 გ. მუხაძის კლინიკაში 1932 გ. მუხაძემ თბილისში დააარსა პირველი სისხლის გადასხმის სადგური, რ-იც 1936 სისხლის გადასხმის ინ-ტად გადაკეთდა (ამჟამად *ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*). საქართველოში ჰ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ი. ჟვანიამ, ა. აბესაძემ, გ. ზედგინიძემ და სხვ. ამჟამად მთლიანი სისხლის გადასხმას იშვიათად მიმართავენ ძირითადად ხდება სისხლის ცალკეული კომპონენტების (პლაზმა, ერითროციტული, თრომბოციტული და ლეიკოციტური მასა) და პრეპარატების მიზნობრივი გადასხმა, რაც ბევრად უფრო ეფექტურია. *ი. ზედგინიძე, ა. აბესაძე*.

**ჰემოფილია** (*ჰემო*... და ... *ფილია*), მემკვიდრეობითი დაავადება, რ-საც საფუძვლად უდევს სისხლის შედედების პროცესის დარღვევა. იწვევს VIII (ანტიჰემოფილიური გლობულინი) და IX (კრისტმასა) ფაქტორების დეფიციტი. ავადდებიან მხოლოდ ვაჟები. დაავადება ავადმყოფი მამისაგან ჯანმრთელი ქალიშვილის საშუალებით გადაეცემა მის ვაჟიშვილებს.

დაავადება ვლინდება ჩვილების პირველსავე წელს ჰ-ის ძირითადი კლინიკური ნიშანია სისხლის დენა, რაც კანის ჩაჭრის, კბილის ამოღების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო იწყება. უმნიშვნელო ტრავმას შეიძლება მოჰყვეს სისხლჩაქცევა კანქვეშ, კუნთებში, იდაყვის, მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრებში. ხშირია სისხლდენა ცხვირიდან, კუჭ-ნაწლავიდან, თირკმლებიდან. სისხლის ნაცხში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება. ჰ-ის ძირითადი სადიაგნოსტიკო ნიშანია სისხლის შედედების დროის გახანგრძლივება რამდენიმე საათამდე, პლაზმის რეკალციფიკაციის დროის მომატება და შრატში პროთრომბინის მოხმარების დაქვეითება. დაავადების მიმდინარეობაში გამწვავების პერიოდს ცვლის რემისიის პერიოდი, რ-იც შეიძლება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე წლამდე გაგრძელდეს. ბავშვთა ასაკში ჰ. საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს, ასაკის მატებასთან ერთად ავადმყოფობა მსუბუქდება. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ეფექტური საშუალებაა ახლადკონსერვებული სისხლის გადასხმა; ამჟამად ფართოდ იყენებენ ანტიჰემოფილიურ პლაზმას, კრიოპრეციპიტატს, ანტიჰემოფილიურ გლობულინს, ამინოკაპრონმჟავას, პრედნიზოლონს; სისხლის დენის პროფილაქტ. მიზნით საჭიროა ბავშვების დაცვა ტრავმული დაზიანებისა და შეუფერებელი ფიზ. დატვირთვისაგან

ჰ-ის დროს რაიმე ქირურგ. ოპერაცია დასაშვებია მხოლოდ აბსოლ. სასიცოცხლო ჩვენებების შემთხვევაში. *ც. მიკალაძე*.

**ჰემოციანინი** (*ჰემო*... და ბერძ. kyanos — ლურჯი), მოლუსკების, ფეხსახსრიანების და ზოგი ობობასნაირის ჰემოლიმფის სუნთქვის პიგმენტი, რ-იც ორგანიზმში ტრანსპორტირდება სისხლით. ჰ. ცილაა, რ-ის მოლ. მასაა 350000—6500000 $O_2$-ს იერთებს სპილენძის მეშვეობით. დაჟანგული ჰ. ლურჯია, აღდგენილი — უფერო.

**ჰემოციტობლასტი** (*ჰემო*... , ბერძ. kytos — საკანი, აქ — უჯრედი და blastos — ნაზარდი, ჩანასახი), ხერხემლიანი ცხოველის და ადამიანის სისხლმბადი უჯრედების ერთ-ერთი ფორმა. სისხლის სხვადასხვა ელემენტის ერთი ტიპის უჯრედიბისაგან წარმოქმნის თეორიის თანახმად, ჰ-გან წარმოიქმნება როგორც ერითროციტები, ისე ლეიკოციტები და მეგაკარიოციტები. ზრდასრული ორგანიზმების ჰ-ები თავმოყრილია სისხლმბად ორგანოებში: ადამიანის ჰ-ები — ძვლის ტვინსა და სისხლწარმომქმნელ ლიმფოიდურ ორგანოებში. ჰ. მრავლდება *მიტოზით*.

**ჰემპდენი** (Hampden) ჯონ (1594, ლონდონი, — 24. VI. 1643, ჩალგროუვ-ფილდი, ოქსფორდშირი), ინგლისის XVII ს. რევოლუციის მოღვაწე. 1621 აირჩიეს პარლამენტის თემთა პალატის წევრად და პარლამენტის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ჰ. იყო პარლამენტის ერთი იმ 5 ლიდერთაგანი, რ-ებიც 1642 ჩარლზ I-ის ბრძანებით უნდა დაეპატიმრებინათ სახელმწიფოს ღალატისათვის. მაგრამ ხალხის გამოსვლების შედეგად ეს ბრძანება არ შესრულდა სამოქალაქო ომის დასაწყისში ჰ. ინდეპენდენტებს მიემხრო მონაწილეობდა პარლამენტის არმიის შექმნაში. 1643 წ. 18 ივნ. სასიკვდილოდ დაიჭრა.


გ. ფ. ჰენდელი.

**ჰენგელო** (Hengelo), ქალაქი ნიდერლანდებში, ოვერეისელის პროვინციაში. 77 ათ. მცხ. (1984) სარკინიგზო კვანძი, ნავსადგური ტვენტე-კანალზე, რ-იც ჰ-ს აკავშირებს მდ. რაინთან საფეიქრო და სამკერვალო მრეწვ. ცენტრი. მანქანათმშ. (განსაკუთრებით ელექტროტექ.), ქიმ. მრეწველობა

**ჰენგ სამრინი** (დ. 1932, პროვ. პრეივენგი, კამპუჩია), კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი და სახელმწ. საბჭოს თავ-რე (1981-იდან). კამპუჩიის სახ.-რევ. საბჭოს თავ-რე (1979 — 81), კამპუჩიის ეროვნ. ხსნის ერთიანი ფრონტის ცკ-ის თავ-რე (1978—81).

**ჰენდელი** (Händel) გეორგ ფრიდრიხ (23. II. 1685, ჰალე, — 14. IV. 1759, ლონდონი), გერმანელი კომპოზიტორი. მისი პირველი მასწავლებელი იყო ფ. ცახაუ. 17 წლის ჰ. ორგანისტი გახდა ჰალეში. 1703-იდან ჰამბურგში იყო, სადაც დაიდგა მისი პირველი ოპერები „ალმირა" და „ნერონი". 1706-იდან ცხოვრობდა იტალიაში, აქ შექმნა ოპერები „როდრიგო" (1707), „აგრიპინა" (1709) და სხვ. იტალიაში ჰ-მა გამოჩენილი კლავესინისტის სახელი მოიპოვა. 1710—16 ჰ. პერიოდულად მოღვაწეობდა ჰანოვერსა და ლონდონში. დიდი წარმატება ხვდა ლონდონში მის ოპერას „რინალდო" (1711). 1720 სათავეში ჩაუდგა ლონდონის საოპერო თეატრს, შექმნა ოპერები „რადამისტი" (1720), „იულიუს კეისარი" (1724), „როდელინდა" (1725) და სხვ. დიდი დარტყმა მიაყენა ჰ-ის მოღვაწეობას ლონდონში 1728 დადგმულმა „ღატაკთა ოპერამ" (ტექსტი ჯ. გეისა, მუსიკა ჯ. პეპუშისა), რ-იც დასცინოდა არისტოკრატიას და წარმოადგენდა პაროდიას იტალ. (აგრეთვე ჰ-ის) ოპერაზე. ჰ-ის თეატრი დაიხურა, თვითონ კომპოზიტორი 1737 მძიმედ დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დაუბრუნდა შემოქმედებით მოღვაწეობას მიმართა ინგლისში პოპულარულ ბიბლ. თემატიკას. მის მთავარ ჟანრად იქცა მონუმ. ორატორია („ისრაელი ეგვიპტეში", 1739; „მესია", 1742, „სამსონი", 1743) 1745—46, სტიუარტების დინასტიის რესტავრაციის წინააღმდეგ ინგლისელების ბრძოლის პერიოდში, ჰ-ის პატრიოტულმა შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა (ორატორიები „იუდა მაკაბელი", „შემთხვევის გამო"). ჰ. დიდი წარმატებით გამოდიოდა როგორც ორგანისტი ბოლო წლებში დაბრმავდა გარდაიცვალა დიდების მწვერვალზე მყოფი

მთავარი ადგილი ჰ-ის შემოქმედებაში უჭირავს ოპერებსა (40-ზე მეტი) და ორატორიებს (30-ზე მეტი), რ-ებშიც გამოიხატა მისი სწრაფვა დრამატიზმისა და მონუმენტურობისკენ ჰ. ცდილობდა მო-

(20°C). წყალში არ იხსნება, კარგად ეთერსა და სხვა ორგ. გამხსნელებში. ღებულობენ ნავთობის მსუბუქი ფრაქციებისაგან და სხვ. ჰ-ს იყენებენ ბენზინის ოქტანური რიცხვის განსაზღვრისას, გამხსნელად და სხვ.

**ჰეპტარქია** (ბერძნ. hepta — შვიდი და archē — ძალაუფლება, სამეფო). შვიდი სამეფო, XVI ს. ინგლისელი ისტორიკოსების მიერ შემოღებული ტერმინი, რ-თაც აღნიშნავენ ინგლისის ისტორიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდს (გრძელდებოდა VI ს. ბოლოდან და VII ს. დასაწყისიდან IX ს-მდე). „7 სამეფოში" იგულისხმებოდა ანგლოსაქსური უესექსის, სასექსის, ესექსის, მერსიის, ნორთუმბრიის, აღმ. ინგლისისა და კენტის სამეფოები. სინამდვილეში სამეფოთა რაოდენობა იცვლებოდა.

**ჰეპტატონიკა** (ბერძნ. hepta — შვიდი და tonos — ტონი), შვიდი სხვადასხვა სიმაღლის ბგერისაგან შემდგარი ბგერითი სისტემა. შეიცავს მჟღ. ბგერათრიგის ყველა საფეხურს ოქტავის ფარგლებში (ბუნებრივი ან ალტერირებული სახით). მუს. პრაქტიკაში თანხვდება დიატონიკას.

**ჰეპტოდი** [ბერძნ. hepta — შვიდი და (ელექტრ)ოდი], ელექტრონული მილაკი, რ-საც აქვს 7 ელექტროდი: კათოდი, ანოდი და 5 ბადე (2 მმართველი, 2 მაეკრანებელი და ერთი დამცავი ანუ ანტიდინატრონული ბადე). ჰ-ს იყენებენ ელექტრონულ მოწყობილობებში მაღალი სიხშირის ელექტრული რხევების შერევისა და გარდაქმნისათვის, მაგ., სუპერჰეტეროდინულ რადიომიმღებებში.

**ჰერა** (Hera) ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში კრონოსისა და რეას უფროსი ასული, ზევსის და და ცოლი; უზენაესი ქალღმერთი, ქორწინებისა და მშობიარობის მფარველი, არესის, ჰეფესტოსის, ჰებეს და ილითიას დედა. ჰომეროსთან ეჭვიანი, შურიანი, ბუზღუნა და მრისხანეა. დაუნდობლად სდევნის ზევსის რჩეულებს და შვილებს, განსაკუთრებით მტრობს ჰერაკლეს, რისთვისაც იგი ზევსმა დასაჯა კიდეც: შებოჭა ოქროს ჯაჭვებით და ფეხზე მძიმე გრდემლი დაჰკიდა. ჰ-ს სამშველად მისული ღმერთები განრისხებულმა ზევსმა მიწაზე დაანარცხა. ჰ-ს თაყვანს სცემდნენ მიკენში, კორინთოში, სპარტაში, განსაკუთრებით არგოსში, სადაც მისი მთავარი ტაძარი იდგა. ამ ტაძარში იყო აღმართული პოლიკლეტესეული ჰ-ს განთქმული, გიგანტური, ოქროსა და სპილოს ძვლის ქანდაკება. ტახტზე იჯდა გვირგვინოსანი ჰ., ცალ ხელში ბროწეული ეჭირა, მეორეში — გუგულის გამოსახულებიანი კვერთხი. ჰ-ს ატრიბუტებია ბროწეული (ქორწინებისა და სიყვარულის სიმბოლო), ფარშევანგი, ყვავი და გუგული — გაზაფხულის მაცნე (ზევსისა და ჰ-ს ქორწინების დრო). რომაულ მითოლოგიაში ჰ-ს შეესატყვისება იუნონა.

ა. გელოვანი.



ჰერა. მარმარილოს თავი. ლუდოვიზი. რომი.



ჰერათის სამინიატურო სკოლა. [illegible] ბეჰზადი. შაიბან-ხანის პორტრეტი. დაახლ. 1507. კერძო კოლექცია. აშშ.

**ჰერათი**, ქალაქი ჩრდ.-დას. ავღანეთში, [illegible] ოაზისში, რ-საც რწყავს მდ. ჰარი-რუდი. ჰერათის პროვ. ადმ. ცენტრი. 150,5 ათ. მცხ. (1982). საავტ. გზების კვანძი. ავღანეთის დას. აღმ. ეკონ. ცენტრი. ბამბასაწმენდი, საფეიქრო, ტყავის მრეწვ. მცირე საწარმოები. შინამრეწველობა. ვაჭრობენ სოფ. მეურნ. პროდუქტებით.

ჰ-ს დაარსებას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერენ (ბერძნ. წყაროებში ეწოდება ალექსანდრია-არიანა; ახლანდ. სახელწ. მიიღო სასანიანთა დროს). ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ჰ. შედიოდა შუა აღმოსავლეთის ძვ. და შუა საუკ. სახელმწიფოების შემადგენლობაში. სამანიდების დროს იყო ხორასნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი. 1221 მონღოლებმა აიღეს და შემდეგ დაანგრიეს. 1236 აღადგინეს. XIII—XIV სს-ში იყო ქართების სახელმწიფოს დედაქალაქი. ამ პერიოდში ჰ-ზე გადიოდა სავაჭრო გზები შუა აზიიდან ინდოეთისა და ჩინეთში. XV ს-ში, თემურიდთა დროს, განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. XVI ს-ში დაიპყრეს სეფიანებმა. 1732 დაიპყრო ნადირ-შაჰმა, 1747 შევიდა დურანის სახელმწიფოს შემადგენლობაში. XIX ს. დასაწყისში ჰერათის სამთავროს (შეიქმნა 1716) ცენტრი გახდა. 1863 საბოლოოდ შეუერთდა ავღანეთს.

ჰ-ში შემონახულია: ციტადელი (XV ს.), საკრებულო მეჩეთი (1201 — XIV ს., აღდგენილია მიწისძვრის შემდეგ 1498—1500, რესტავრირებულია 1936—44); გოჰარშადის მავზოლეუმი და მინარეთები, რ-ებიც შედის მუსალის დიდებულ ანსამბლში (ჰ-ის ჩრდ.-დას-ით). ჰ. შუა საუკ. მინიატურისა (იხ. ჰერათის სამინიატურო სკოლა) და დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. მნიშვნელოვანი ცენტრია.

**ჰერათის სამინიატურო სკოლა**, შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი სამინიატურო სკოლა (უმთავრესად ხელნაწერი წიგნის ილუსტრაციები), არსებობდა XV ს-ში. ჰერათში მისი პირველი პერიოდი დაკავშირებულია 1410-იან წლებში სასახლის კარის ხელნაწერთა სახელოსნოს დაარსებასთან (ქითაბხანა), დასასრული კი — შაიბან-ხანის მიერ ჰერათის დაპყრობასთან (1507). ფეოდ. ჰერათის საქალაქო ცხოვრებისა და კულტურის განვითარებამ მინიატურის ხელოვნ. აყვავების აუცილებელი წინაპირობა შექმნა. ჰ. ს. ს-თვის დამახასიათებელია მკვრივი ფერწერულობა შეფერილობით მოდელირების გარეშე, ინტენს. ლოკალური ტონების ისეთი შერჩევა, რ-იც გამორიცხავს სიჭრელეს. ამ სკოლის პირველი ეტაპი დაკავშირებულია შირაზის (XIV—XV სს.), აგრეთვე, როგორც ფიქრობენ, ბაღდადისა და თავრიზის სამინიატურო სკოლებთან (იხ. თავრიზის სამინიატურო სკოლა). მისთვის დამახასიათებელია ტექსტის ზუსტი ილუსტრირება, შედარებით მარტივი პეიზაჟი გადმოცემულია რამდენიმე პლანით, მოქმედ პირთა რაოდენობა მცირეა, ნიშანდობლივია რამდენიმე სტატიკური, დიდი ზომის ფიგურები და სიმეტრიული კომპოზიციები (საადის „გულისთანი", 1427, ჩესტერ ბიტის ბ-კა, დუბლინი; ნიზამის „ხამსე" 1431, ერმიტაჟი, ლენინგრადი). გამონაკლისია „შაჰნამეს" სახელგანთქმული ილუსტრაციები (1430, გოლესთანის სასახლის ბ-კა, თეირანი), რ-იც გამოირჩევა დიდი ზომით, მანუსკრიპტთა უმრავლესობის კამერული სტილის უარყოფით. მისი მინიატურების პერსონაჟთა რაოდენობა, რთული არქიტ. ფონი, რაკურსების გამოყენება და ფერების რეალიზმი წინ უსწრებს ჰ. ს. ს-ის გაფურჩქვნას (XV ს. დასასრ.), რ-იც დაკავშირებულია მინიატურისტ ბეჰზადის ნოვატორულ შემოქმედებასთან. ბეჰზადმა მინიატურას მიანიჭა დახვეწილი დეკორატიულობა, გააფართოვა მისი სახეებისა და ჟანრების წრე, ილუსტრაციებთან ერთად შექმნა დაზგური ფურცლები, რ-ებიც არ უკავშირდებიან წიგნს, და პორტრეტები. თავის მასწავლებელ მირაქ ნაყაშთან და მოწაფე ყასიმ ალისთან ერთად შექმნა ნიზამის „ხამსეს" (1494—95, ბრიტ. მუზეუმი, ლონდონი) მინიატურები. XV ს. უკანასკნელი მეოთხედის მხატვრებს იზიდავს მახვილი, დრამ. სიუჟეტები, მრავალპლანიანი, რთული სივრცული კომპოზიციები. ჰ. ს. ს-მ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადამიანის გამოსახულებას, მის ემოციურობას. ჰ. ს. ს-ის გავლენა იგრძნობა თავრიზის სკოლისა და მოგოლური სკოლის მხატვრების ნაწარმოებებში.



ჰერათის სამინიატურო სკოლა. ნიზამის „ხამსეს" ხელნაწერის მინიატურა. 1431. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

**ჰერაკლე**, ჰერკულესი (Hēraklēs, ლათ. Hercules), ძვ. ბერძნული მითოლოგიის უდიდესი გმირი, ფიზიკური ძლიერების, თავგანწირულობისა და სულიერი სიმტკიცის განსახიერება. ადამიანთა შემწე და ბოროტების დამთრგუნველი, რ-მაც იმსახურა უკვდავება გზა ოლიმპისკენ გაიკვლია (გვიანდ. თქმულება გზაჯვარედინზე ორ ქალთან შეხვედრისა). ზევსისა და მოკვდავი ქალის — ალკმენეს — ტირინთის მეფის ამფიტრიონის ცოლის ვაჟი. მისი მასწავლებელი ყოფილა ბრძენი კენტავრი ქირონი. ჰ-ს ზღაპრული და საოცარი საქმენი ჩვილობიდანვე დაუწყია: აკვანშივე მოუგუდავს ჰერასაგან მიგზავნილი ორი გველი, რ-ებსაც ჰ. და მისი ტყუპისცალი იფიკლე უნდა დაეღუპათ; ჭაბუკობაში მოუკლავს კითერონის ლომი, რ-ის ტყავი მერე მთელი სიცოცხლე უტარებია. ეჭვიანი ჰერას წყალობით ჰ. იძულებული ყოფილა მიკენის მეფის ევრისთევსის მსახური გამხდარიყო და მისი მტრული დავალებით (შდრ. ზღაპრის მოტივი — სახიფათო დავალება) 12 გმირობა ჩაედინა, რ-თა უმრავლესობა დაკავშირებულია ქვეყნად ქაოსის ნაშთების მოსპობასთან (ნემეის ლომის მოკვლა; ჰიდრას მოკვლა; ერიმანთოსის ტახის დაჭერა; სტიმფალოსის სპილენძისფრთიანი და ნისკარტიანი ფრინველების დახოცვა; კრეტის ხარის შეპყრობა, დიომედეს კაციჭამია ცხენების დაჭერა). ზოგი გმირობა დაკავშირებულია კაცთაგან მიუწვდომელ მიწებთან (არტემიდას ოქროსრქიანი ირმის შეპყრობა; ამაზონთა დედოფლის ჰიპოლიტეს სარტყლის ხელში ჩაგდება; ჰესპერიდების ოქროს ვაშლების მოპოვება; სამსხეულიანი ბუმბერაზის — გერიონის ძროხების ჩამორეკვა; ცერბერის ამოყვანა ჰადესიდან). ხოლო საყოველთაოდ ცნობილი — ავგიას თავლების გაწმენდა წარმოადგენს ტერიტორიული ღვაწლის ტრანსფორმაციას ყოფაცხოვრებით სფეროში. ჰ. პრომეთეს განმათავისუფლებელიცაა. მითების სხვა ვერსიით, ჰ. ამ გმირობებს იხდის მძევლობაში უნებლიედ ჩადენილი სასჯელის (დახოცა თავისი ცოლ-შვილი) გამოსასყიდად. 12 გმირობის შემდეგ განთავისუფლებული ჰ. კვლავ ჩადენს უნებლიე ცოდვას — მეგობარი იფიტე შემოაკვდება, რის გამოც იძულებულია კვლავ ემსახუროს 3 წელი ამჯერად ლიდიის დედოფალს ომფალეს. ამ უკანასკნელთან იგი განცხრომას ეძლევა, ცხოვრობს ფუფუნებაში, ქალის რთვას კი იწყებს, თუმცა არც თავისი ეპიკური ცხოვრება ავიწყდება (შეიპყრო მზაკვარი და ქურდი ქერკოპები (კერკოპები)), გაილაშქრა ილიონის წინააღმდეგ, დაამარცხა ანტეოსი, დაჭრა ღმერთები ჰადესი და არესი, დაეხმარა ღმერთებს გიგანტების დამარცხებაში, მოკლა კენტავრი ნესი, ცოლად შეირთო ეტოლიის მეფის ასული დეიანირა; ამ უკანასკნელს მისთვის გაუგზავნია ნესის მოწამლულ სისხლში ამოვლებული მოსას-

სხვ. მამჭიდროებელ და ვაკუუმურ მასალას და ა. შ.

**ჰერმეტიზმი** (იტალ. poesia ermetica — ჰერმეტული პოეზია, აგრეთვე poesia pura — წმინდა პოეზია და lirica pura — წმინდა ლირიკა), XX ს. 20—30-იანი წწ. მიმდინარეობა იტალიურ პოეზიაში. მისი წარმომადგენლები იყვნენ ჯ. უნგარეტი, ე. მონტალე, ს. კვაზიმოდო, უ. საბა და სხვ. სახელწოდება, რომც საბოლოოდ დამკვიდრდა ფ. ფლორას წიგნის „ჰერმეტული პოეზიის" („La poesia ermetica", 1936) გამოსვლის შემდეგ, გულისხმობს ჩაკეტილობას, სინამდვილისაგან მოწყვეტას, სუბიექტურ განცდათა სამყაროში განრიდებას. ჰ-მა განიცადა ფრანგ. სიმბოლიზმის გავლენა, მაგრამ მჭიდროდ უკავშირდება ეროვნ. კულტ. ტრადიციებს, განსაკუთრებით ჯ. ლეოპარდის პოეზიას, და გამოირჩევა ღრმა პატრიოტიზმით. ჰ-ის წარმომადგენლები წინ აღუდგნენ მუსოლინის დიქტატურას, მის თეორ. „მასობრივ" ფსევდოკულტურას, ფსევდორეალიზმს, „ოპტიმიზმს" და ხელოვნ. ფარისევლურ პოლიტიზირებას. პოლიტ. მითებს ისინი დაუპირისპირდნენ თავიანთი წმინდა ხელოვნებით, დაშიფრული პოეზიით, ჩაუღრმავდნენ ბგერას, სიტყვას, ფრაზას, სახეს. ლექსს უბრუნებდნენ მისივე მითოლოგიას, აღსარების ფორმას. ჰ-ის პოეზია ერთიანად გამსჭვალულია ადამიანის მარტოობის განცდის მძაფრი გრძნობით. მათ დაიკავეს ფაშიზმის მორალური მსაჯულის პოზიცია, რისთვისაც იწოდებოდნენ „შინაგან ემიგრანტებად".

მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო ე. წ. დეჰერმეტიზაცია. ჯ. უნგარეტის გამოკლებით, ჰ-ის წარმომადგენლებმა კვლავ ისწავლეს ნათლად ლაპარაკი.

*შ. ტოგონიძე.*

**ჰერმლინი** (Hermlin) შტეფან (ნამდვ. სახ. და გვარი რუდოლფ ლ ე დ ე რ ი, Leder) (დ. 13. IV. 1915, ქემნიცი, ახლანდ. კარლ-მარქს-შტადტი), გერმანელი მწერალი (გდრ). გდრ-ის ხელოვნ. აკად. წევრი (1950). ფაშისტური რეჟიმის წლებში საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა. წერდა კლასიკური ფორმის პათეტიკურად ამაღლებულ, ისტ., პოლიტ., ფილოს. და ესთეტ. რემინისცენციებით დატვირთულ, დახვეწილი მეტაფორებით მდიდარ ლექსებს, პროზაულ ნაწარმოებებს, ნარკვევებს, წერილებს, თარგმნიდა. გდრ-ის ეროვნ. პრემია (1950, 1954). ჰ. ჰაინეს სახ. პრემია (1948, 1972).

**ჰერმონასა**, VI ს. ბერძნულ-სინდური ქალაქი ტამანის ნ-კ-ზე. შედიოდა ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში. მდებარეობდა ახლანდ. სტანიცა ტამანის ადგილას. მნიშვნელობითა და სიმდიდრით ჰ. მეორე ქალაქი იყო ბოსფორის აღმ. სანაპიროზე სინდიკ. არქეოლ. გათხრები მიმდინარეობს 1950-იანი წლებიდან (ხელმძღ. ი. ზეესტი). ნაქალაქარზე აღმოჩენილია გიგანტების გამოსახულებიანი მარმარილოს ფრიზის ფრაგმენტები, რ-ებიც აფროდიტეს ტაძარს განეკუთვნება. გამოვლინდა ძვ. წ. IV ს. ოქროს ბოსფორული მონეტების განძი. აღსანიშნავია ძვ. წ. IV ს. მარმარილოს სარკოფაგი, რ-იც ბერძ. ტაძრის ფორმას იმეორებს. პირველ საუკუნეებში ჰ-ს მეშვეობით დამყარდა სავაჭრო ურთიერთობა ბოსფორსა და ალანთა ტომებს შორის. X ს-ში ჰ-ს ტერიტორიაზე დაარსდა ძვ. რუს. ქ. ტმუტარაკანი.

ლიტ.: Гайдукевич В. Ф., Боспорское царство, М.—Л., 1949 (ბიბლიოგრ.).

**ჰერმოპოლისი** (ბერძნ. Hermopolis). 1. ჰ. დ ი დ ი (Hermopolis Magothē) ძველი ქალაქი ეგვიპტეში (ძვ. ეგვ. ხმუნუ, კოპტური შმუნ, ახლანდ. აშმუნეინი), მდებარეობდა კაიროს სამხრ-ით 300 კმ-ზე, მდ. ნილოსის ნ-ზე. არსებობდა ძვ. წ. IV ათასწლეულიდან. ღვთაების თოთის საკულტო ქალაქი იყო. პტოლემეების, რომაელების მმართველობის დროს აყვავდა. ბიზანტ. ხანაში საეპისკოპოსო ქალაქი იყო. სახელი განითქვა ტაძრებით, ნეკროპოლისით. 2. ჰ. მ ც ი რ ე (Hermopolis Mikra), ძვ. ქალაქი ეგვიპტეში, მდებარეობდა ქ. ალექსანდრიის სამხრ-ით. ახლანდ. დამანჰური.

**ჰერნე** (Herne), ქალაქი გფრ-ში, ჩრდ. რაინ-ვესტფალიის მხარეში, რურში. ნავსადგური რაინ—ჰერნეს არხზე. 178 ათ. მცხ. (1983). ქვანახშირის, ქიმ., მანქანათსაშ. (ელექტროტექ. და სხვ.), მინის, სამკერვალო მრეწველობა.

**ჰეროდე I დ ი დ ი** (ბერძნ. Hērodēs) (დაახლ. ძვ. წ. 73—ძვ. წ. 4), იუდეველთა მეფე ძვ. წ. 40-იდან (ფაქტობრივად 37-იდან), წარმოშობით ედომელი. 47-იდან გალილეის მმართველი იყო. 40 რომის სენატმა მეფედ გამოაცხადა, მაგრამ მხოლოდ 37 შეძლო (5-თვიანი ალყის შემდეგ) რომაელთა დახმარებით იერუსალიმის აღება. ატარებდა ქვეყნის ელინიზაციის პოლიტიკას. მარჯვე და სასტიკი განმგებელი იყო. დაუნდობლად უსწორდებოდა თავის პოლიტ. მოწინააღმდეგეებს, არ ინდობდა შვილებსა და ნათესავებს. ჰ. I-მა ხელახლა ააშენა ქ-ები კესარია და სამარია და შეუდგა იერუსალიმის ტაძრის აღდგენას, რაც თავის სიცოცხლეში ვერ დაამთავრა. ცოლად ჰყავდა მაკაბელთა წარმომადგენელი მარიამი. მათეს სახარების თანახმად (2,1), ჰ. I-ს დროს იშვა ქრისტე ბეთლემში; აქვეა (2,16) მოთხრობილი ჰ-ს მიერ ბეთლემსა და მის შემოგარენში შობილი ყრმების გაჟლეტის ამბავი.

*ზ. კიკნაძე.*

**ჰეროდიანე** (Hērodianus, Hērodianos) (დაახლ. 170 — დაახლ. 240), რომაელი ისტორიკოსი, წარმოშობით ბერძენი. მისი ცხოვრების შესახებ მწირი ცნობებია შემონახული. ფიქრობენ, რომ იგი, მარკუს ავრელიუსის კარზე მსახურობდა და იმპერატორის ლეგატი იყო სირიაში. მისი ისტ. თხზულება „ისტორიის რვა წიგნი მარკუსის სიკვდილის შემდეგ" მოიცავს პერიოდს მარკუს ავრელიუსის სიკვდილიდან (იმპ. კომოდუსის მმართველობიდან) გორდიანე III-მდე (ე. ი. 180-იდან 238-მდე). ჰ-ის შრომა არ გამოირჩევა სიზუსტით, მაგრამ ბევრ ისეთ საინტერესო ცნობას გვაწვდის მაშინდელი რომის ისტორიიდან, რაც სხვა ავტორებთან არ გვხვდება. წერის მანერით ბაძავს ძვ. ავტორებს, განსაკუთრებით თუკიდიდეს.

თხზ.: Herodiani ab excessu divi Marci libri octo, ed. K. Stavenhagen, Lpz., 1922; რუს. თარგმანი — История в восьми книгах о Римской империи по кончине Марка Аврелия до избрания младшего Гордиана, пер. с греч. В. Оболенского, М., 1829.

**ჰეროდოტე** (Herodotos) (დაახლ. ძვ. წ. 486, ჰალიკარნასი—დაახლ. ძვ. წ. 424, თურიი, იტალია), ძვ. ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად" წოდებული. წარჩინებულთა წრიდან იყო. ცხოვრობდა მშობლიურ ქალაქში, კ. სამოსზე, ათენში; ბევრი უმოგზაურია (ძირითადად შემეცნ. მიზნით) მცირე აზიის სანაპიროებზე, საბერძნეთში, მაკედონიასა და სიცილიაში, ეგვიპტეში, ფინიკიასა და მესოპოტამიაში, არაბეთში, სკვითიასა და კოლხეთში. ჰ. ავტორია ბერძ.-სპარს. ომების ისტორიისა, რ-საც ხელნაწერებში სათაური არა აქვს, თანამედროვე გამოცემებში კი „ისტორია" ან „მუზები" ეწოდება და 9 წიგნად არის დაყოფილი. ნაშრომის ძირითადი თემა — ბერძ.-სპარს. ომების ისტორია — გადაზრდილია მსოფლიო ისტორიაში. თხზულება იწყება აღმოსავლეთის და დასავლეთის შორის კონფლიქტის მიზეზის გარკვევით და მთავრდება სესტოსის აღების (478) ამბით. თხზულების სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა აზრი, რომ ჰ-ს გეგმით თხზულების ისტორია მილეთიანად (449-მდე) უნდა ყოფილიყო გადმოცემული. ნაწარმოები სალაპარაკო, სადა, ამასთანავე დიდად მხატვრული ენითაა დაწერილი. იონიური დიალექტი უხვად არის გაზავებული ატიკურისა და ეპოსის ენობრივი მონაცემებით. ძირითადი ისტ. ამბავი შეიცავს ბევრ წიაღსვლას, ზოგი მათგანი ისტ. ხასიათისაა, ზოგი ბელეტრისტულია (ავტორის მიერ შეთხზული ან ფოლკლორიდან მოტანილი). ამ ჩანართების მიხედვით ჰ. ევრ. ნოველისტიკის მამამთავრად გვევლინება. ჰ. ანტიკურობისათვის დამახასიათებელ პოლითეიზმს აღიარებს. მსოფლიო წესრიგი მას წარმოუდგენია სამართლიანობის (nemesis) სახით, რ-იც ყველას და ყველაფერს აწონასწორებს წინასწარ დადგენილ საზღვრებში, ამრიგად, სამყაროში ზნეობრივი წესრიგის დამამყარებლად მას ღვთაება (tò Theion) წარმოუდგენია. ჰ-ს ბედისწერის, მოირების, მისნობის, სიზმრების სჯერა, მაგრამ რაციონალიზმის ელემენტებიც საკმაოდ არის წარმოდგენილი მის მსოფლმხედველობაში. ჰ-ს თხზულება ლოგოგრაფოსების ნაწარმოებებზე გაცილებით მაღლა დგას ჭეშმარიტების გარკვევისა და მიზეზების განმარტების თვალსაზრისით. იგი უარყოფითად აფასებს ტირანიას და თანაუგრძნობს დემოკრატიას, კერძოდ, ათენის დემოკრ. რეჟიმს. ყველაფერი ელინური გულწრფელად უყვარს, მაგრამ არაელინურის (ბარბაროსულის) მიმართ ისეთი ობიექტური დამოკიდებულება აქვს, რომ მას „ბარბაროსთმოყვარულს" (philobarbaros) უწოდებდნენ. წყაროებად გამოყენებული აქვს ზეპირი (პირადად ნანახი, სხვათაგან მოსმენილი) და წერილობითი (წარწერები, საბუთები, ბერძ. პოეტების შემოქმედება, ისტ.-გეოგრ. ნაშრომები) წყაროები.

ჰ-ს „ისტორია" ძირითადად სანდო წყაროს წარმოადგენს ბევრი ქვეყნის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართვ. ტომების, საქართვ. ძვ. ისტორიისათვის. იხსენიებს კავკასიონის ქედს; მდ-ებს (ფასისი, არაქსი, ჰალისი); ეუქსინის პონტოსა და კასპიის ზღვას; კოლხიდას ძვ. სახელით (აია) მოიხსენიებს (I, 2; VII, 197). დაინტერესებულია ეთნოგენეზის საკითხით, მისი აზრით, მიდიელებს კოლხი მეფის მიხედვით ეწოდათ სახელი (VII, 62); შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან, რის საბუთადაც მათ ენას, ცხოვრების წესს, სელის დამუშავების ხერხებს (II, 103—105) იმოწმებს (ძვ. ბერძ. მწერლობაში ამ თეორიამ შემდეგ დიდად მოიკიდა ფეხი). მოცემულია ცალკეულ ტომთა (კოლხების, საპირების, მაკრონების) ლოკალიზაცია (I, 104, II, 104, V, 37, 40). არის ცნობები ქართვ. ტომთა სხვა ხალხებთან ურთიერთობის შესახებ. მაგ.: ტროას ომში ერთ ბანაკში არიან ტროელები და კოლხები ბერძნების წინააღმდეგ (1,2—3); მიდიელ-აზიელ, არაქართვ. ტომებთან ერთად ხალიბებიც არიან კროისოსის მორჩილებაში (I, 28); აქემენიდთა სახელმწიფოს XVIII—XIX სატრაპიებში სხვა ტომებთან ერთად ქართვ. ტომებიც (მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები) არიან მოხსენიებული. აღწერილია აგრეთვე სპარსთა მეფის ქსერქსეს ჯარში მყოფი ქართვ. ტომების (ხალიბების, მოსხების, ტიბარენების, მოსინიკების, მაკრონების, მარების, კოლხების, სასპერების) შეიარაღება (VII. 76, 78, 79). ჰ. ეთნ. ცნობებსაც გვაწვდის: კავკასიის მთიელები მრავალფეროვნად ქსოვენ ლეიბებს, ხალიჩებს, მცენარეულ საღებავებს ამზადებენ (I, 203), ხოლო კოლხ. სელი საყოველთაოდ არის აღიარებული (II, 105). მაკრონები და კოლხები იცავენ წინადაცვეთის წესს (II, 104).

გამოც.: ჰეროდოტე. ისტორია, ბერძნ. თარგმნა, წინასიტყვ. და სამეცნიერო დართო



ჰეროდოტე. ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი ძვ. წ. IV ს. მეტროპოლიტენ-მუზეუმი. ნიუ-იორკი.

ო. ყაუხჩიშვილისა, ტ. 1–2, თბ., 1975–76; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ო., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960; Herodoti historiae recensuit Legrand E., lib. I–II, (ბერძ.-ფრანგ.) P., 1932–54.

ო. ყაუხჩიშვილი.

**ჰეროინი,** მორფინის წარმოებული (დიაცეტილმორფინი), აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, თრგუნავს ცენტრ. ნერვულ სისტემას. მისი ხშირი ხმარებისას ვითარდება ე. წ. ჰეროინიზმი (იხ. ნარკომანია). ჰ. ნარკოტიკია; სამედ. პრაქტიკაში არ იხმარება.

**ჰეროლდი** (გერმ. Herold, გვიანდ. ლათ. heraldus), შუა საუკუნეების ევროპაში მაცნე. მეფეთა და დიდ ფეოდალთა კარზე — განმკარგველი „წესისა და რაინდის დარბაზისა". ჰ-ს ევალებოდა აგრეთვე გერბებისა და საგვარეულო ნუსხების შედგენა.

**ჰერონ** ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი (Heronus Alexandrinus), ძვ. ბერძენი მეცნიერი მოღვაწეობდა ალექსანდრიაში (I ს.). მის შრომებში სისტემატურად აისახა ანტ. მსოფლიოს ძირითადი მიღწევები გამოყენებით მექანიკაში. „პნევმატიკაში" ჰ-მა აღწერა სხვადასხვა მექანიზმი, რ-ებიც მოძრაობაში მოჰყავდათ გახურებული ან შეკუმშული ჰაერით, ან ორთქლით, მ. შ. სფერო, რ-იც ორთქლის მოქმედებით ფართოვდებოდა, კარის გასაღები ავტომატი, სახანძრო ტუმბო, სხვადასხვა სიფონი, წყლის ორგანი, მარიონეტების მექან. თეატრი და სხვ.

„მექანიკაში" ჰ-მა აღწერა ბერკეტი, ჯალამბარი, სოლი, ხრახნი და მოწყობილი. ჰ-თვის ცნობილი იყო ძალთა პარალელოგრამიც. მან ისარგებლა კბილანური გადაცემით და აავო გზის სიგრძის გასაზომი ხელსაწყო, რ-ის მოქმედების პრინციპი თანამედროვე ტაქსომეტრის ანალოგიურია. ცნობილია ჰ-ის ნაკურთხი წყლის გასაყიდი ავტომატი, რ-იც თანამედროვე სითხის გასაცემი ავტომატების პირველსახეა. ჰ-ის მექანიზმები და ავტომატები ფართოდ ვერ გავრცელდა. იყენებდნენ მხოლოდ სათამაშოებში, გამონაკლისი იყო ჰიდრავლ. მანქანა, რ-ის დახმარებითაც გაუმჯობესდა ანტ. წყალსადენი.

ჰ-ის მათ. შრომები ანტ. გამოყენებითი მათ. ენციკლოპედიაა. ცნობილია ჰერონის ფორმულა, რ-ითაც სამკუთხედის ფართობს მისი სამი გვერდის მიხედვით და სხვ.

ლიტ.: Дильс Г., Античная техника, пер. с нем., М.–Л., 1934.

**ჰეროდა,** ჰეროდე [Hero(n)das] (ძვ. წ. III ს.), ელინისტური ხანის ბერძენი დრამატურგი, პოეტ-მიმოგრაფოსი. წერდა ქოლიამბებით ანუ „კოჭლი იამბებით" გამართულ პატარა-პატარა საყოფაცხოვრებო სცენებს — მიმიამბებს ანუ მიმებს. ჩვენამდე მოღწეულია მისი 8 მიმი („მაჭანკალი", „მეროსკიპე", „მასწავლებელი", „ღმერთებს ასკლეპიოსის ტაძარში", „ეჭვიანი", „მეგობრები", „მეწაღე", „სიზმარი"), რ-ებიც აღმოაჩინეს 1889 ეგვიპტეში II ს. პაპირუსზე.

**ჰერონის ფორმულა,** ფორმულა, რ-იც სამკუთხედის ფართობს გამოსახავს მისი სამი გვერდის საშუალებით. სახელდობრ, თუ $a$, $b$ და $c$ სამკუთხედის გვერდების სიგრძეებია, ხოლო $S$ — მისი ფართობი, მაშინ $S=\sqrt{p(p-a)(p-b)(p-c)}$, სადაც $p$-თი აღნიშნულია სამკუთხედის ნახევარპერიმეტრი, ე. ი. $p=(a+b+c)/2$. ჰ. ფ. უწოდეს ჰერონის პატივსაცემად.

**ჰეროსი,** იხ. ქართველთა ეთნარქები.

**ჰეროსტრატე** (Herostratos), ქ. ეფესის მცხოვრები ბერძენი, რ-მაც განდიდების მიზნით ძვ. წ. 356 დაწვა ეფესის არტემიდეს ტაძარი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი. გადმოცემით, იმ ღამეს დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი. ჰ. წამებით მოკლეს, მაგრამ იონიის ქ-ების გადაწყვეტილება, რომ ჰ-ს სახელი სამუდამო დავიწყებას მისცემოდა, ვერ შესრულდა. ძვ. ბერძენმა ისტორიკოსმა თეოპომპოსმა ჰ-ს სახელი შემოუნახა შემდეგ თაობებს. გამოთქმა „ჰეროსტრატეს კომპლექსი" ნიშნავს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის ანტისაზ. ქმედებას.

**ჰეროფილე** (Herophilos) (დ. დაახლ. ძვ. წ. 300), ძვ. საბერძნეთის ექიმი, ალექსანდრიის სამედ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირველმა დაიწყო ადამიანის გვამის გაკვეთა სხეულის აგებულების შესასწავლად. აღწერა თავის ტვინის ნაწილები და გარსები, ზოგიერთი შინაგანი ორგანო, დაადგინა განსხვავება ნერვებსა და იოგებს შორის, აგრეთვე კავშირი ნერვებსა და თავისა და ზურგის ტვინს შორის. აღწერა თვალის ნაწილები, საფუძველი ჩაუყარა პულსის შესწავლას, მიხვდა, რომ მაჯისცემასა და გულის მოქმედებას შორის არსებობს კავშირი და სხვ. ჰ-ს მიაჩნდა, რომ არსებობს 4 ძალა — მკვებავი, გამთბობი, შემგრძნები და მოაზროვნე, რ-ებიც მისი აზრით, ლოკალიზებულია ღვიძლში, ნაწლავებში, გულსა და ტვინში. ჰ-ს მიერ შემოღებული ზოგიერთი ტერმინი დღესაც იხმარება. ჩვენამდე მოაღწია ჰ-ს შრომების ფრაგმენტებმა.

ე. აბაშიძე.

**ჰერპესი** (ბერძნ. herpēs — ლიქენი < herpō — მივცოცავ), კანისეული დაავადების ჯგუფი, ახასიათებს გამონაყარი (შეჯგუფებული ბუშტუკები); ვლინდება სალტისებრი ლიქენისა და ჰერპესული ინფექციის სახით.

**ჰერპესული ინფექცია,** ინფექციური დაავადება, რ-საც ახასიათებს კანის, ლორწოვანი გარსების, თვალის, ცენტრ. ნერვული სისტემისა და სხვათა დაზიანება; იწვევს ვირუსი. უფრო ხშირად ზიანდება კანი ლორწოვან გარსებთან შეხების ადგილებში (ტუჩები, ქუთუთოები, სასქესო ორგანოები და სხვ.) დაავადება იწყება დაზიანებული ადგილის მწვავე ტკივილით. შემდეგ ჩნდება გამონაყარი—წითელი ლაქები, რ-ებიც მალე ბუშტუკების ჯგუფად იქცევა; ბუშტუკები სკდება და ქერქით იფარება. განმეორებითი გამოყრისას ბუშტუკები ერთსა და იმავე ადგილებში ჩნდება ხოლმე. ჰ. ი-ის დროს შესაძლებელია შემცივნება, ტემპ-რის მომატება, კუნთების ტკივილი და სხვ. დაავადება, ჩვეულებრივ, 7–12 დღის შემდეგ გამოჯანმრთელებით მთავრდება. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ანტივირუსული, ყვავილის განმეორებითი აცრა, ვიტამინოთერაპია. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ორგანიზმის გაკაჟება, გაციებისგან არიდება და სხვ.

**ჰერპეტოლოგია** (ბერძნ. herpeton — ქვეწარმავალი და ...ლოგია), ზოოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ქვეწარმავლებსა და ამფიბიებს. ადრე ჰ. შეისწავლიდა მხოლოდ ქვეწარმავლებს, ამფიბიების შემსწავლელ დარგს კი ბ ა ტ რ ა ქ ო ლ ო გ ი ა ერქვა.

**ჰერსტმონსო** (Herstmonceaux), დასახლებული პუნქტი დიდ ბრიტანეთში, ისტ-სასექსის საგრაფოში, ლონდონიდან 70 კმ. სამხრ-ით. სადაც XX ს. 50-იან წლებში გადაიტანეს გრინვიჩის ასტრონომიული ობსერვატორია, რ-იც მანამდე მდებარეობდა ლონდონში, გრინვიჩის პარკში, არახელსაყრელი გახდა ასტრონ. დაკვირვებებისათვის ქალაქის ზრდის გამო.

**ჰერტვიგი** (Hertwig) ოსკარ (21. IV. 1849, ფრიდბერგი, — 25. X. 1922, ბერლინი), გერმანელი ბიოლოგი. ბერლინის უნ-ტის ანატ. ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1888–1921). ჰ-ის ძირითადი შრომები ეხება უხერხემლოების მორფოლოგიას, ციტოლოგიასა და ემბრიოლოგიას. გამოიკვლია სასქესო უჯრედების განვითარება და განაყოფიერების მოვლენა. თავის ძმასთან რიხარდთან ერთად შეისწავლა შუა ჩანასახოვანი ფურცლის წარმოქმნა და წამოაყენა სხეულის მეორეული ღრუს — ცელომის წარმოქმნის თეორია. ჰ. ემბრიოლოგიაში ექსპერ. მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი პიონერია.

**ჰერტვიგი** (Hertwig) რიხარდ (23. IX. 1850, ფრიდბერგი, — 3. X. 1937, მიუნხენი), გერმანელი ბიოლოგი. მიუნხენის უნ-ტის პროფესორი (1885–1924). ჰ-მა უმარტივესების გაყოფის შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბა ბირთვისა და პროტოპლაზმის მოცულობათა თანაფარდობის კანონი (1903). ჰ-ის აზრით, ბირთვულ-პროტოპლაზმური თანაფარდობის დარღვევა იწვევს უჯრედის გაყოფას. ჰ-ს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, რ-ებიც ეხება სხივართების, მწერებისა და ინფუზორიების შესწავლას.

**ჰერტოგენბოსი** ('sHertogenbosch), ქალაქი ნიდერლანდში, მდ-ების აასა და დომელის შესართავთან. ჩრდ. ბრაბანტის პროვ. ადმ. ცენტრი. 89 ათ. მცხ. (1984). ნავსადგური ზეიდ-ვილემსვარტის არხზე. სარკინიგზო კვანძი. მანქანათსაშენ (განსაკუთრებით ელექტროტექ.), საფეიქრო, ქიმ., სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ., სიგარების წარმოება.

**ჰერული ენა,** იხ. ალბანური ენა (კავკასიის).

**ჰერშელი** (Herschel) უილიამ (ფრიდრიხ ვილჰელმ) (15. XI. 1738, ჰანოვერი, — 25. VIII. 1822, სლაუ, ლონდონის ახლოს), ინგლისელი ასტრონომი და ოპტიკოსი. ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1781). პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1789). იუნოში შეისწავლა უცხო ენები და მუსიკა. 1757 გადასახლდა ინგლისში, სადაც ცნობილი მუსიკოსი გახდა და დამოუკიდებლად შეისწავლა ასტრონომია, დაამზადა ასობით სარკე ტელესკოპებისათვის. 1786–89 აგო — უდიდესი რეფლექტორი (სარკის დიამეტრი — 122 სმ). ასტრონ. დაკვირვებები დაიწყო 1773. აღმოაჩინა პლანეტა ურანი (1781), მისი ორი თანამგზავრი (1787), მათი უკუმოძრაობა (1797), სატურნის ორი თანამგზავრი (1789) გაზომა სატურნისა და მისი რგოლების ბრუნვის პერიოდი (1790), აღმოაჩინა მზის მოძრაობა სივრცეში და სხვ. 70-იან წლებში დაიწყო ვარსკვლავთა დათვლა ცის შერჩეულ არეებში, რის შედეგადაც შეადგინა გალაქტიკის ზომები და დაასკვნა სივრცეში მისი იზოლირებულობა. შეისწავლა ვარსკვლავთა გროვები, საფუძველი ჩაუყარა ვარსკვლავთა სტატისტიკას. აღმოაჩინა ფიზიკურად ორმაგი ვარსკვლავები (1803, შეადგინა 3 კატალოგი), 2500-ზე მეტი ახ. ნისლეული და ვარსკვლავთა გროვა, 162 ჯერადი ნისლეული. შეისწავლა მათი განაწილება სივრცეში და შეამჩნია ცალკეული დაგროვებანი. მაგ., დაგროვება ბერენიკეს თმებში, რ-იც 1953 ვოკულერის მიერ აღმოჩენილი ზეგალაქტიკის ეკვატორული ნაწილია. წამოაყენა და 1802–1811 განავითარა დიფუზური მატერიის შეკუმშვით ვარსკვლავებისა და მათი სისტემების წარმოშობის კოსმოგონიური ჰიპოთეზა. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მზისა და ვარსკვლავთა სპექტრების კვლევა.

ტელესკოპთა აგებაში ჰ-ს ეხმარებოდნენ უმცროსი ძმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ ე რ ჰ. (მექანიკოსი) და შვილი ჯ. ჰერშელი, დაკვირვებებში კი — უმცროსი და ასტრონომი კ ე რ ო ლ ა ი ნ ჰ. (1750–1848).

თხზ.: The scientific papers, v. 1–2, L., 1912.

ლიტ.: Еремеева А. И., Вселенная Гершеля, М., 1966; [illegible], Выдающиеся астрономы мира, М., 1966.

**ჰერშელი** (Herschel) ჯონ ფრედერიკ უილიამ (7. III. 1792, სლაუ, — 11. V. 1871, კოლინგვუდი, კენტის საგრაფო), ინგლისელი ასტრონომი, უ. ჰერშელის შვილი, ლონდონის სამეფო ასტრონ. საზ-ბის პრეზიდენტი. დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1813). ასტრო–

**ჰიადები** (ბერძ. Hyades), ღია ვარსკვლავთა გროვა კუროს თანავარსკვლავედში. შეიცავს ≈100 გრავიტაციულად დაკავშირებულ ვარსკვლავს. დიამეტრი ≈ ≈4 პს. მზიდან ჰ-მდე მანძილი იცვლება დროის მიხედვით; უმცირესი იყო 80 000 წ წინათ (≈ 20 პს). ამჟამად ≈ 41პს

**ჰიალინოზი** (ბერძ. hyalinos — გამჭვირვალე, მინისებრი < hyalos — მინა), ცილოვანი დისტროფიის სახე, რ-ის დროსაც ორგანიზმის ამა თუ იმ ქსოვილში უჯრედებს გარეთ ჩნდება ნახევრად გამჭვირვალე მკვრივი ცილოვანი მასა, რ-იც ჰიალინური ხრტილის ძირითად ნივთიერებას წააგავს

**ჰიალურონმჟავა**, მჟავე მუკოპოლისაქარიდი. შედგება α-გლუკურონილ-N-აცეტილგლუკოზამინის ერთეულებისაგან. მოლ. მასა 200000–500000 და მეტიც. ფართოდაა გავრცელებული ცხოველებსა და ადამიანის ქსოვილებში. ჰ-ს ხსნარები ბლანტია და შეუძლიათ დააქვეითონ ქსოვილების განვლადობა, რითაც ხელს უშლიან უჯრედებში დამაზიანებელი მიკრობების შეჭრას. ჰ-ს ცვლა ორგანიზმში სწრაფად მიმდინარეობს.

**ჰიატუსი** (hiatus) ლინგვ. 1. ხმოვანთშეყრილობა; 2. სამეტყველო აპარატის განწყობა ხმოვნიდან ხმოვანზე გადასვლისას. გაირჩევა სიტყვისშიგნითა ჰ. ანუ შინაგანი ჰ. (მაგ., საათური, თაღოვანი...) და სიტყვათა საზღვარზე შექმნილი ჰ. ანუ გარეგანი ჰ. (მაგ., რა ამბავია, არა იმედოვნდ...). შ. ჯაფარიძე.

**ჰიბეში** (Hybeš) იოსეფ (29. I. 1850, ხოფ. დამბიცე, ჩეხია, — 19. VII. 1921), ჩეხოსლ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. ჩეხოსლ. კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1867 გადასახლდა ვენაში. 1876 აირჩიეს ავსტრიის ს.-დ. პარტიის ცკ-ის წევრად, 1878 — ჩეხოსლ. ს.-დ. პარტიის საკონტროლო კომისიის წევრად. 1887-იდან ბრნოში სოციალ. გაზეთის „როვნოსტის" („Rovnost") რედაქტორი. ჰაინფელდის ყრილობის (1888) ერთ-ერთი თავ-რე, II ინტერნაციონალის დამფუძნებელი კონგრესის (1889) დელეგატი. მონაწილეობდა II ინტერნაციონალის II (1891), III (1893), IV (1896) კონგრესების მუშაობაში. 1919 ჩეხოსლ. დროებითი ეროვნ. კრების წევრი; 1920 პარლ. სენატორი, ჩამოაყალიბა და სათავეში ედგა მარქსისტულ მემარცხენე კლუბს სენატში ს.-დ. პარტიის (მემარცხენე) XIII ყრილობის (1920) თავ-რე, რ-მაც გადაწყვიტა კომინტერნში შესვლა.

**ჰიბრიდები ვაზისა**, შეჯვარების შედეგად მიღებული ახ. მემკვიდრეული თვისებების მქონე ვაზის ჯიში. ჰ.ვ. 2 სახისაა: შიგასახეობრივი და სახეობათაშორისი. შიგასახეობრივ ჰიბრიდებს ღებულობენ კულტ. ვაზის საუკეთესო თვისებების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. საქართველოში მიღებულია და წარმოებაში ინერგება სახეობრ. ჰ.ვ.: ქართ. საადრეო, საბადლო თეთრი, თბილისური, მუსკატისებრი რქაწითელი, ბუხტაველისშვილის თეთრი, ქართ. მუსკატი და სხვ. სახეობათაშორის ჰიბრიდებს ღებულობენ კულტ. ვაზის ნაყოფის საუკეთესო თვისებებისა და ამერ. და აზიური ვაზების ისეთი თვისებების შერწყმის მიზნით, როგორიცაა ყინვის, გვალვის, ფილოქსერის, სოკოს მიმართ გამძლეობა და სხვ. ამ გზით მიღებული ჰიბრიდების ნაყოფს კულტ. ვაზის ნაყოფთან შედარებით უფრო დაბალი ღირსება აქვს.

ლიტ.: რამიშვილი მ., ამპელოგრაფია, თბ., 1970; ტაბიძე დ., ვაზის ახალი ჯიშები საქართველოში, თბ., 1964; Пелях М., Справочник виноградаря, М., 1971
ნ. ცერცვაძე.

**ჰიბრიდი** (ლათ. hibrida, hybrida — ნაჯვარი), გენეტიკურად განსხვავებული 2 ინდივიდის შეჯვარებით მიღებული სქესობრივი თაობა. შესაჯვარებელ ინდივიდებს მშობელ ორგანიზმებს უწოდებენ და აღნიშნავენ ლათ. P ასოთი (...); დედისეული ფორმა ანუ მდედრი ინდივიდი აღინიშნება ♀ ნიშნით, მამისეული ფორმა ანუ მამრობითი ინდივიდი—♂ ნიშნით. შეჯვარებას აღნიშნავენ × ნიშნით, ჰიბრიდულ თაობას კი—F ასოთი (ლათ.). ასოსთან ინდექსი თაობას გამოხატავს. მაგ., პირველი თაობა $F_1$, მეორე თაობა $F_2$, და ა. შ. განასხვავებენ სპონტანურ და ხელოვნურ, შიდასახეობრივ და სახეობათაშორის ჰ-ს. ჯვარედინდამტვერია მცენარეთა სელექციაში გამოყოფენ ჯიშთაშორის (აჯვარებენ ორ განსხვავებულ ჯიშს), ჯიშხაზურ (ჯიში ჯვარდება ხაზს), ხაზთაშორის (აჯვარებენ განსხვავებულ ხაზებს) ჰ-ს. ა. შათირიშვილი.

**ჰიბრიდიზაცია**, მემკვიდრეულად განსხვავებული ინდივიდების შეჯვარება. ბუნებრივ ჰ-ს ადამიანი უძველესი დროიდან აკვირდებოდა. ჰიბრიდების ხელოვნურად მიღების შესაძლებლობა პირველადივარაუდა გერმ. მეცნ. რ. კამერარიუსმა (1694), ექსპერიმენტულად მიიღო ინგლ. მებაღემ ტ. ფერჩაილდმა (1717) მიხაკის ორი განსხვავებული სახეობის შეჯვარებით. მცენარეთა სქესისა და ჰ-ის შესახებ მოძღვრების ფუძემდებელია ი. კელრეიტერი (1760), რ-მაც თამბაქოს ორი განსხვავებული სახეობის შეჯვარებით მიიღო ჰიბრიდი. გ. მენდელმა ბარდაზე ჩატარებული ცდებით საფუძველი ჩაუყარა გენეტიკას. ჰ-ის არსი ისაა, რომ ერთმანეთს ერწყმის გენოტ. განსხვავებული გამეტები, ხდება მათი ბირთვების შერწყმა და გენომების გაერთიანება; ასეთი ზიგოტიდან ვითარდება ორივე მშობლის გენეტიკური მასალის მქონე ჰიბრიდი. ამდენად, ე. წ. ვეგეტატიური ჰიბრიდების მიღება, რასაც ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა (მაგ., ტ. ლისენკო და სხვ.), შეუძლებელია. განასხვავებენ პირდაპირ და შებრუნებულ (რეციპროკულ) შეჯვარებას (მაგ.: ♀A × ♂B და ♀B × ♂A). რომლებსაც ჰიბრიდს უჯვარებენ ერთ-ერთ მშობელ ფორმას, აღმავალი შეჯვარება (ე. წ. ბეკროსი) ჰქვია; ჰიბრიდის აღმავალ შეჯვარებას რეცესიული ნიშნის მქონე მშობელ ფორმასთან კი ანალიზური შეჯვარებას უწოდებენ, რითაც ადგენენ საკვლევი ინდივიდის ჰეტეროზიგოტურობას, გენთა შეჭიდულობას, კროსინგოვერის სიხშირეს. განმეორებით ერთ-ერთ მშობელ ფორმასთან შეჯვარებას შთანთქმითი (გამაჯვარებელი) ეწოდება. ამ შემთხვევაში, როდესაც A გენოტიპში ხდება B გენოტიპის ნიშნების შეტანა ან ერთი ჯიშის გენების მეორის ციტოპლაზმაში გადატანა ჰ. და მასთან ერთად მუტაგენეზი, ევოლ. ძირითადი ფაქტორის — მემკვიდრეული ცვალებადობის მნიშვნელოვანი წყაროა. იხ. სტ. გენეტიკა, გამრავლება, სქესი. ა. შათირიშვილი.

სოფლის მეურნეობაში ჰ. ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ახ. მცენარეული და ცხოველური ფორმების წარმოსაქმნელად. ამ მეთოდით შექმნილია კულტ. სას.-სამ. მცენარეთა და ცხოველთა თანამედროვე ჯიშების უმეტესობა. მემცენარეობაში ჰ-ის მეთოდს იყენებენ ისეთი ახ. ფორმების მისაღებად, რ-ებსაც ახასიათებთ მაღალი მოსავლიანობა, დაავადებებისა და პარაზიტებისადმი მედეგობა, გვალვა- და ყინვაგამძლეობა. მაგ., ე. და გ. პუსტოვოიტებმა შექმნეს მზესუმზირის სახეობათაშორისი ჰიბრიდი, რ-ის თესლი შეიცავს 56%-მდე ზეთს და მცენარე გამოირჩევა ჯგუფური იმუნიტეტით. პ. ლუკიანენკომ შექმნა ხორბლის ახ. ჯიში — ბეზოსტაია 1, რ-იც უხვმოსავლიანია და საუკეთესო სელექციური ნიშან-თვისებები აქვს. თამბაქოს ველურ ფორმებთან კულტ. ჯიშების შეჯვარებით მ. ტერენტიევამ მიიღო ახ. ჯიში, რ-საც კომპლ. იმუნიტეტი აქვს ამ




ჰიალურონმჟავა

კულტურისათვის დამახასიათებელი დაავადებებისა და პარაზიტებისადმი. ბ. მოშკოვმა ერთმანეთს შეაჯვარა ბოლოკი და კომბოსტო, მიიღო ჰიბრიდი, რ-ის მიწისზედა ნაწილს იყენებენ როგორც სალათას, ხოლო მიწისქვეშას — როგორც ბოლოკს მნიშვნელოვანი პროდ. სამეურნეო შედეგებია მოპოვებული ხორბლის, ჭვავის, ქერის, კარტოფილის და სხვა სას.-სამ. კულტურების ჰ-ით მათივე ველურ ფორმებთან

მეცხოველეობაში ფართოდ იყენებენ გენეტიკურად კომბინაციური შეთავსებადობის უნარის მქონე ჯიშთაშორის ჰ-ს. ამ დროს მიღებულ თაობას ნაჯვარს უწოდებენ. ასეთი ჰიბრიდებისათვის დამახასიათებელია მასიურობა, დიდი სადღეღამისო წონამატი, საკვების უკეთესი ანაზღაურება, კარგი აღწარმოება და სიცოცხლისუნარიანობა, მაღალი პროდუქტიულობა. ცხოველთა კონსტიტუციური და ექსტერიერული ნიშნების გასაუმჯობესებლად ანდა ახ. ჯიშების გამოსაყვანად ხშირად მიმართავენ შორეულ ჰ-ს. პრაქტიკული მეცხოველეობა უძველესი დროიდან მისდევს ისეთი ჰიბრიდების მოშენებას, რ-ებიც მიიღება ცხენისა და ვირის (ჯორი), ცხენისა და ზებრის (ზებროიდი), ერთკუზიანი და ორკუზიანი აქლემების (ნარი), იაკისა და ზებუს ძროხასთან ჰ-ით. მიღებულია საინტერესო ჰიბრიდები გაიალთან, დომბასთან და ბიზონთან ძროხის შეჯვარებით. აგრეთვე, დომბისა და ბიზონის (დომბაბიზონი), ბიზონის იაკთან, ზებუსთან, გაიალთან შეჯვარებით და სხვ. ცხოველთა შინაური და გარეული ფორმების ჰ-ით შექმნილია ცხვრის (არხარმერინოსი) და ღორის (ყაზ. ჰიბრიდული) ახ. ჯიშები. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ევრ. ჯიშის ძროხასთან ზებუს შეჯვარებით მიღებულია სახორცე და სარძევე მიმართულების მაღალპროდუქტიული ჯიშები. მეფრინველეობის სამრეწველო მეურნეობებში წარმატებით ინერგება თავისის ჯიშთაშორისი და სახეობათაშორისი ჰიბრიდები.

საქართველოში ჰ-ის მეთოდით შექმნილია ვაზის, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ალუჩის, ტყემლისა და სხვა მცენარეთა ახ. ჯიშები. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპ. კულტურების უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად. ჯიშთაშორისი შეჯვარების ბაზაზე წარმატებით მუშაობენ მეცხოველეობაშიც, კერძოდ, კროსბრედული ტიპის ცხვრის ახ. ჯიშური ჯგუფის მისაღებად, აგრეთვე ქართ. და ევრ. წარმოშობის ძროხის ჯიშებთან ზებუს ჰ-ით — პიროპლაზმოზისა და სხვა დაავადებებისადმი ბუნებრივი იმუნიტეტის მქონე და სიცხეგამძლე ნაჯვარის შესაქმნელად და სხვ. ჯ. რატიანი.

**ჰიბრიდული გამომთვლელი სისტემა**, ანალოგურ-ციფრული გამომთვლელი მანქანა, კომბინირებული გამომთვლელი მანქანა, მართვის საერთო სისტემის მქონე რამდენიმე ელექტრონული გამომთვლელი მანქანის კომბინირებული კომპლექსი, რ-შიც სიდიდეები წარმოდგენილია ანალოგური და ციფრული სახით. ჰ. გ. ს-ში, გარდა ანალოგური და ციფრული გამომთვლელი მანქანებისა (აგმ და ცგმ), შედის აგრეთვე სიდიდეთა წარმოდგენის (მიცემის) გარდამქმნელი, შიგასისტემური კავშირისა და პერიფერიული მოწყობილობები (იხ. ნახ.). ჰ. გ. ს-ს იყენებენ მაშინ, როდესაც ცალკე აღებუ-

ლი ავმ და ცგმ არ არის საკმარისი ისეთი ამოცანების ამოსახსნელად, რ-ებიც დაკავშირებულია მრავალი ობიექტის მართვასთან, მართვის სისტემების ოპტიმიზაციასა და მოდელირებასთან, კომპლ. ტრენაჟორების შექმნასთან და სხვ. განასხვავებენ ა ნ ა ლ ო გ უ რ - ო რ ი ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ, ც ი ფ რ უ ლ - ო რ ი ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ს ა და ბ ა ლ ა ნ ს ი რ ე ბ უ ლ ჰ.გ.ს-ებს.

**ჰიბრიდული თესლი**, იმ მცენარეთა შეჯვარებით მიღებული თესლი, რ-ებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა ფორმას, ჯიშს, ხაზს, სახეობასა და გვარს. ხშირად ჰ.თ. უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე არაჰიბრიდული, რაც ჰეტეროზისის მოვლენასთანაა დაკავშირებული. სსრკ სოფ. მეურნეობაში ჰ.თ-ს ფართოდ იყენებენ ისეთი კულტურების მოსაყვანად, როგორიცაა სიმინდი, შაქრის ჭარხალი, სორგო, ბოსტნეული კულტურები და სხვ. ფართო მუშაობა ტარდება ხორბლის ჰ.თ-ის მისაღებად. სათესლედ იყენებენ პირველი თაობის ჰ.თ-ს, მეორე და მომდევნო თაობებში მათი მოსავლიანობა საგრძნობლად ეცემა. სიმინდის ჰ.თ-ის მისაღებად შექმნილია სპეციალიზებული მეურნეობები. მამრობითი ციტოპლაზმური სტერილობის გამოყენების საშუალებით შესაძლებელია სიმინდის ჰ.თ-ის მიღება მდედრობით ფორმებზე მამრობითი ყვავილედის ქოჩრის ხელით წაცლის გარეშე.

ა. ნასყიდაშვილი

**ჰიბრიდული ინტეგრალური სქემა**, ჰ ი ბ რ ი დ უ ლ ი მ ი კ რ ო ს ქ ე მ ა, ინტეგრალური სქემა, რ-შიც ფუძეშრესთან მჭიდროდ დაკავშირებულ აპკურ ელემენტებთან ერთად გამოყენებულია საკიდი მიკრომინიატურული ელემენტები (ტრანზისტორები, ნახევარგამტარიანი დიოდები, ინდუქციურობის კოჭები და სხვა). ჰ.ი.ს-ს ჩვეულებრივ ათავსებენ ჰერმეტულ კორპუსში; იყენებენ რადიოელექტრონულ აპარატურასა და ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებში.

**ჰიბრიდული რაკეტული ძრავა**, მყარი და თხევადი კომპონენტების შემცველი საწვავით მომუშავე რაკეტული ძრავა. მყარ კომპონენტებს ათავსებენ წვის კამერაში, რ-საც აწვდიან თხევად კომპონენტს. ჰ.რ.ძ. პირველად დაამუშავეს რეაქტიული მოძრაობის შემსწავლელ ჯგუფში.

**ჰიგიენა** (ბერძ. hygieinos — ჯანმრთელი), მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, პროფილაქტიკური მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის გარემოს მრავალრიცხოვანი ფაქტორის (ფიზ., ქიმ., ბიოლ., სოც. და სხვ.) გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ჰ. კომპლ. მეცნიერებაა, დაკავშირებულია მედ. ყველა დარგთან, აგრეთვე ბიოლოგიასთან, ფიზიკასთან, ქიმიასთან, სოც.-ეკონ. მეცნიერებებთან და სხვ. ჰ-ის პრაქტ.-გამოყენებითი ნაწილია სანიტარია. ჰ-ის ამოცანებში შედის ადამიანის შრომისა და დასვენების პირობების, დასახლ. ადგილების გაჯანსაღების სანიტ. ღონისძიებების დასაბუთება, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვა, სანიტ. კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა, საკვები პროდუქტების ხარისხის სანიტ. ექსპერტიზა; ჰ-ის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დასახლ. ადგილების და საწარმოთა, ჰაერის, წყლის, საკვები პროდუქტების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერი მასალის ჰიგიენური ნორმატივების შემუშავება, რათა შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, დაავადებების თავიდან აცილებისათვის, შრომისუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ჰ. ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. სანიტ. წესების ელემენტები მოხსენიებულია ძვ. მონათმფლობელური სახელმწიფოების ისტ. დოკუმენტებში, ძვ. საუკუნეების მთელ რიგ ქვეყნებში (ინდოეთი, რომი, ეგვიპტე, საბერძნეთი). ძვ. რუსეთში, საქართველოში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი სანიტ. ნაგებობები — კანალიზაცია, წყალსადენი, აბანოები და სხვ.

XVI—XVII სს. გაჩნდა სამკურნ. წიგნები, რ-ებიც შეიცავდნენ რჩევებს პირადი ჰიგიენის საკითხებზე. 1700 გამოვიდა იტალ. მეცნიერის ბ. რამაცინის ტრაქტატი ხელოსნების დაავადებებზე — პირველი მეცნ. ნაშრომი შრომის ჰიგიენაზე. XVIII—XIX სს. რუსეთში ჰ-ის პრობლემები აისახა მ. ლომონოსოვის, ს. ზიბელინის, დ. სამოილოვიჩის, მ. მუდროვის შრომებში. XIX ს. შუა წლებიდან ჰ-ის ექსპერიმენტული მიმართულება თანდათანობით ვითარდება. მიმართულებაში გადაიზარდა რუსეთში ამ საქმის ფუძემდებლები იყვნენ ა. დობროსლავინი, ფ. ერისმანი და სხვ. 1871 რუს. ბუნებისმეტყველთა და ექიმთა III ყრილობაზე პირველად დაისვა საკითხი ქვეყნის სანიტ. მდგომარეობის შესწავლის შესახებ. იმავე წელს ა. დობროსლავინი სათავეში ჩაუდგა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემიასთან შექმნილ ჰ-ის კათედრას. 1882 ფ. ერისმანმა მოსკოვში დააარსა ჰ-ის კათედრა. შემდეგ ჰ-ის კათედრები შეიქმნა რუს. მთელ რიგ უნ-ტებში. ჰ-ის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ა. სისინს, ს. კაპლუნს, ვ. ლევიცკის, თ. კროტკოვს, ა. ლეტავეტს, ლ. ხოციანოვს, ა. მარზეევს, ე. რიაზანოვს და სხვ.

სსრკ-ში ჰ-ის ფართო განვითარება დაიწყო საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1918 შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატი, რ-საც სათავეში ჩაუდგა ნ. სემაშკო; მან ჯანდაცვის ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი მშრომელი მოსახლ. ყოფაცხოვრებისა და შრომის ჰიგიენური პირობების მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. 1919 რკპ(ბ) VIII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სანიტ.-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებას, დასახლ. ადგილების გაჯანსაღებას, სანიტ. კანონმდებლობის შექმნას და სხვ. თანდათანობით გაიშალა სანიტ.-ჰიგიენური პროფილის სამეცნ.-კვლ. ინ-ტების ქსელი. ჰ-ის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰიგიენისტთა საზ-ბას.

სსრკ-ში ჰ-ის საკითხები შუქდება ჟურნალებში: „Гигиена и санитария" (1936-იდან), „Гигиена труда и профессиональные заболевания" (1957-იდან), „Вопросы питания" (1932-იდან), „Советское здравоохранение" (1942-იდან) და სხვ.

საქართველოში ჰ-ის ფუძემდებელია ს. ამირეჯიბი, 1926 მისი თაოსნობით დაარსდა სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ხოლო 1927 ნ. შავდიაშვილის თაოსნობით — შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი.

იხ. აგრეთვე სტატიები *ჰიგიენა ბავშვთა და მოზარდთა, ჰიგიენა კვების, ჰიგიენა კომუნალური, ჰიგიენა რადიაციული, ჰიგიენა საავიაციო, ჰიგიენა სამხედრო, ჰიგიენა სოციალური, ჰიგიენა შრომის.*

ლიტ.: კ ა ც ი ტ ა ძ ე ვ., ჰიგიენა, ნაწ. 1—2, თბ., 1980—85.

გ. კვანჭახაძე.

**ჰიგიენა ბავშვთა და მოზარდთა**, ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის ბავშვის ზრდისა და განვითარების პროცესში მის ორგანიზმზე გარემოს (ბუნებრივი, სოც., სასკოლო, საოჯახო და სხვ.) სხვადასხვა ფაქტორის გავლენას, ამის საფუძველზე შეიმუშავებს ჰიგიენურ ნორმებსა და მოთხოვნებს, რ-ებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცებისაკენ, მათი ფუნქციური შესაძლებლობათა ჰარმონიულად განვითარებისა და სრულყოფისაკენ. ჰ. ბ. და მ. განეკუთვნება პროფილაქტ. მედ. დარგს და არის კომპლ. მეცნიერება. ჰ. ბ. და მ. ეყრდნობა დიალექტ. მატერიალიზმის პრინციპებს, ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმს განიხილავს სოც. გარემოსთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, ითვალისწინებს ბავშვთა და მოზარდთა ანატ.-ფიზიოლ. თავისებურებებს, პირველ რიგში — მათ განვითარებას ცენტრ. ნერვული სისტემის. ჰ. ბ. და მ. შედგება 6 ძირითადი განყ-ბისაგან: ბავშვთა და მოზარდთა ფიზ. განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა; საგანმან.-აღმზრდელობითი, შრომითი და პროფ. სწავლების ჰიგიენის საფუძვლები; ფიზ. აღზრდის ჰიგიენის საფუძვლები; ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების დაგეგმვისა და მშენებლობის ჰიგიენის პრინციპები; ბავშვთა და მოზარდთა კვების ჰიგიენის საფუძვლები. კვლევის მეთოდებია: ბუნებრივი ჰიგიენის ექსპერიმენტის მეთოდი, რ-იც ტარდება ბავშვთა დაწესებულებების პირობებში; სანიტ.-სტატისტ. მეთოდი, რ-იც ძირითადად გამოიყენება ბავშვთა მოსახლეობის სანიტ. მდგომარეობის დასახასიათებლად; ლაბორ. ექსპერიმენტის მეთოდი, რ-იც საშუალებას იძლევა ხელოვნური ექსპერიმენტით მიღებული მონაცემების დაზუსტებისა და შესაფასებლად. ჰ. ბ. და მ. დაკავშირებულია ასაკობრივ ანატომია-ფიზიოლოგიასთან, ჰიგიენასთან, ჯანდაცვასთან, პედიატრიასთან, მიკრობიოლოგიასთან, პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, ფიზკულტურასთან, არქიტექტურასთან, მშენებლობისა და სანიტ. ტექნიკასთან და სხვ.

მოზარდი თაობის ზრდისა და განვითარების ჰიგ. ნორმებს ყურადღებას აქცევდნენ ძვ. აღმოსავლეთისა და ანტ. სამყაროში, ახ. დროის ევრ. ქვეყნებში. ჰ. ბ. და მ. განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ა. დობროსლავინს, ფ. ერისმანს, ნ. პიროგოვს, ა. ვირენიუსს, ვ. გორინევსკის, დ. ბეკარიუკოვს, პ. ლესგაფტს და სხვ. საქართველოში ამ დარგში გარკვეული წვლილი შეიტანეს მოწინავე ქართ. ექიმებმა: პ. ჩიკვაიშვილმა, გ. გოგიტიძემ, ვ. ელიოზიშვილმა, მ. ზაქრაძე-დემურიშვილმა, დ. გედევანიშვილმა და სხვ. ამ საკითხში დიდია ი. გოგებაშვილის დამსახურებაც.

დღიდან საბჭ. ხელისუფლების დამყარებისა დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმეს. ვ. ი. ლენინის მითითებით ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მძიმე წლებში გამოქვეყნდა 2 დეკრეტი ბავშვთა კვების გაუმჯობესების შესახებ. 1918 განათლების სახ. კომისარიატში შეიქმნა სასკოლო ჰიგ. განყ-ბა. ჰ. ბ. და მ. როგორც სამეცნ. და სასწავლო დისციპლინა სწრაფად ნაყოფიერად ვითარდებოდა, რამაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭ. მეცნიერებს: ნ. სემაშკოს, ა. მოლჩანოვს, ა. ივანოვსკის, ს. სიდელნიკოვს, დ. სხვ., საქართველოში — ვ. ბაქრაძეს, ა. ბალანჩივაძეს, ა. ყაჩელს, ნ. აბდუშელიშვილსა და სხვ.

სისტემატურად ტარდება საერთაშ. ყრილობები. ჰ. ბ. და მ. საკითხებს აშუქებს




ჰიბრიდული გამომთვლელი სისტემის უნივერსალური ჰიბრიდული გამომთვლელი სისტემის სტრუქტურული სქემა. მთლიანი ხაზებით აღნიშნულია საინფორმაციო, ხოლო წყვეტილი ხაზებით — მმართველი არხები.



[illegible]



[illegible]

საკავშ. ჟურნ. „გიგიენა ი სანიტარია", ცალკეულ საკითხებზე სტატიები იბეჭდება საკავშ. და რესპ. ჟურნალებში („პედიატრია", „სოვეტსკაია პედიატრია", „სოვეტსკაია მედიცინა", „საბჭოთა მედიცინა", „სკოლა და ცხოვრება" და სხვ.), აგრეთვე შესაბამის სამეცნ.-კვლ. სამედ. და პედ. ინ-ტების შრომათა კრებულებში.

*ზ. კოვზირიძე.*

**ჰიგიენა კვებისა,** ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის სრულფასოვანი საკვებისა და ჯანმრთელი ადამიანის რაციონალური კვების საკითხებს. განვითარების პროცესში ამ დარგს გამოეყო დიეტოლოგია და ჩვილ ბავშვთა კვება. ჰ. კ. შეისწავლის ადამიანის კვებას მისი სქესის, ასაკის, პროფესიის, ფიზ. დატვირთვის, კლიმ. პირობების, ეროვნ. თავისებურებების გათვალისწინებით. იგი შეიმუშავებს ბალანსირებული კვების პრინციპებს, რათა საშუალებითაც ხორციელდება ორგანიზმის უზრუნველყოფა საკვებით და ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებებით (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერ. ნივთიერებები, ვიტამინები). მისი პრაქტ. ამოცანაა შეიმუშაოს შრომითი კოლექტივების რაციონალური კვების ნორმები, დაადგინოს საზ. კვების საწარმოებსა და კვების მრეწველობაში ეფექტური სანიტ. კონტროლი პროდუქტებზე, შეიმუშაოს საკვებით მოწამვლის, კვებითი ტოქსიკოინფექციების, ინტოქსიკაციების საწინააღმდეგო პროფილაქტ. ღონისძიებანი და სხვ.

1930 წ. ნ. ციციშვილის თაოსნობით შეიქმნა სსრკ სამედ. აკად. კვების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-ის პირველი დირექტორი იყო ბ. ზბარსკი. ამ დარგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მ. შატერნიკოვს, ო. მოლჩანოვას და სხვ.; მეცნ. გამოკვლევები ტარდება სსრკ მედ. მეცნ. აკად. კვების ინ-ტში, აგრეთვე რესპუბლიკების ინ-ტების ლაბორატორიებსა და კათედრებში, პოლტავის, ირკუტ., საკავშირო, საკონდიტრო მრეწვ. დარგობრივ ინ-ტებში და სხვ. კვების ჰიგიენის საკითხებს აშუქებს ჟურნ. „Вопросы питания" (1932-იდან), „Гигиена и санитария" (1936-იდან) და სხვ.

საქართველოში დიდი მუშაობაა ჩატარებული ადგ. საკვები პროდუქტების ბიოლ. ღირებულების, მათში ვიტამინების და მიკროელემენტების შემცველობისა და ამჟამინდ. კვების სხვა საკითხების შესასწავლად (გ. კაციტაძე, მ. ზურაბაშვილი, ა. აბდუშელიშვილი და სხვ.).

*მ. ზურაბაშვილი.*

**ჰიგიენა კომუნალური,** დასახლებული ადგილების ჰიგიენა, ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის გარემოს ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე დასახლ. ადგილების პირობებში და შეიმუშავებს ჰიგიენურ ნორმატივებსა და სანიტ. ღონისძიებებს მოსახლეობის ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. გარემოს ფაქტორების და ადამიანის ორგანიზმზე მათი ზემოქმედების შესწავლისათვის ჰ. კ. იყენებს კვლევის ფიზ., ქიმ., ბიოლ., ეპიდემიოლოგიურ, სანიტ.-სტატისტ., სანიტ.-ტოქსიკოლოგიურ, კლინიკურ მეთოდებს და ექსპერიმენტს როგორც ნატურალურ დაკვირვებას, ისე ლაბორატ. ექსპერ. მეთოდებს.

ინდუსტრ., მეცნ.-ტექნ., განსაკუთრებით ქიმ. მრეწველობის განვითარებამ და მასთან დაკავშირებულმა გარემოს ანთროპოგენულმა ზრდამ განაპირობა დასახლ. ადგილების გარემოს ქიმ. ფაქტორების მოქმედებისა და ჰიგიენური მნიშვნელობის შესწავლის აუცილებლობა. ორგანიზმზე ქიმ., ფიზ. და ბიოლ. ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ჰიგიენისტებმა შეიმუშავეს ჰიგიენური ნორმატივები, რ-ებიც სსრკ-ში კანონით 3 ოფიციალურად ცნო. საჭიროა ცალკეული ქიმ. ნივთიერებებისა და მათი კომპლ. მოქმედების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გამოკვლევა და დასაბუთება.

თანამედროვე ჰ. კ-ის დარგებია: დასახლ. ადგილების ჰაერის ჰიგიენა და სანიტ. დაცვა; წყლისა და წყალმომარაგების ჰიგიენა, ნიადაგის ჰიგიენა და დასახლ. ადგილების სანიტ. დასუფთავება, წყალსატევების სანიტ. დაცვა და ჩამდინარე წყლების გაუვნებლობა, საცხოვრ. და საზ. ნაგებობების ჰიგიენა, დასახლ. ადგილების დაგეგმარების ჰიგიენა და მათი საერთო სანიტ. კეთილმოწყობა.

საქართველოში შესწავლილია ატმ. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გაბინძურების, დასახლ. ადგილების დაგეგმარების, მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დადგენისა და სხვ. საკითხები (ლ. წერეთელი, ი. შენგელია, ო. შალამბერიძე, შ. ხარიძე).

*ი. შენგელია.*

**ჰიგიენა რადიაციული,** ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის მაიონიზებელი რადიაციის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და შეიმუშავებს რადიაციული დაცვის ღონისძიებებს. როგორც სამეცნ. დისციპლინა, ჩამოყალიბდა სსრკ-სა და აშშ-ში ერთდროულად, მას შემდეგ, რაც დაიწყო (აშშ, 1946) ატომური იარაღის მასობრივი გამოცდა. 1946 სსრკ შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა ინ-ტში ა. ლეტავეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჰ. რ-ის შემსწავლელი ბიოფიზ. განყ-ბა, სადაც 1951 მოეწყო ჰ. რ-ის პირველი ლაბორატორია, ხოლო 1967 ექიმთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტში თ. კოლტუნოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჰ. რ-ის პირველი კათედრა. ჰ. რ. ამუშავებს იმ დაწესებულებათა ან საწარმოთა შენობების, დანადგარებისა და ტერიტორიის დოზიმეტრიის საკითხებს, რ-ებსაც აქვთ მაიონიზებელი რადიაციის წყაროები, აგრეთვე იმ მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდ. დოზიმეტრული კონტროლის საკითხებს, რ-ებიც მუშაობისას იყენებენ რადიოიზოტოპებს, რენტგენის აპარატებსა და გამა-დანადგარებს; ჰ. რ. ამუშავებს აგრეთვე შრომის ჰიგიენისა და რადიაციული უშიშროების პრობლემებს ატომურ საწარმოებში, ატომურ ელექტროსადგურებში, სამთამადნო მრეწველობაში, ურანისა და თორიუმის მოპოვების, მადნის დამუშავებისა და მადნის კონცენტრატების გადამუშავებისას, შავი და ფერადი მეტალ. საწარმოებში, მანქანათმშ. და ქიმ. მრეწველობაში და მაიონიზებელი რადიაციის წყაროების გამოყენების ყველა შემთხვევაში. ამუშავებს და ნერგავს მედპერსონალისა და პაციენტების რადიაციული დაცვის მეთოდებს, რადიაციული ავარიის შემთხვევებში სახავს რადიაციის საწინააღმდეგო ღონისძიებებს და სხვ.

ჰ. რ. შეისწავლის გარემოს რადიაციული გაბინძურების პროცესებს, მათ გავლენას მოსახლ. ჯანმრთელობაზე, მეტეოროლოგიურ ცვლილებებზე; მეცნიერულად ასაბუთებს რადიოაქტიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (ჰაერში, წყალში, საკვებ პროდუქტებში); სანიტ. ზედამხედველობას უწევს რადიოაქტიურ ნივთიერებათა ნარჩენების მოცილებას. სსრკ-ში არსებობს სანიტ. კანონმდებლობა, რ-იც განსაზღვრავს მაიონიზებელი რადიაციის წყაროებზე მომუშავე დაწესებულებებისა და საწარმოების ადგილის შერჩევის, დაგეგმარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ჰიგიენურ მოთხოვნებს. სახ. მეურნეობაში მაიონიზებელი რადიაციისა და რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენებაზე ჰიგიენურ კონტროლს ახორციელებენ სანიტ.-ეპიდემიოლოგიური სადგურების რადიოლოგიური ჯგუფები, რ-ებიც სისტემატურად ადევნებენ თვალყურს სსრკ ტერიტორიაზე რადიაციული მდგომარეობის გლობალურ ცვლილებას.

**ჰიგიენა საავიაციო,** ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის განვითარებასთან დაკავშირებულ ჰიგიენის პრობლემებს. დამოუკიდებელი დარგის სახით ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 1938 შეიქმნა ი. პავლოვის სახ. საავიაციო მედიცინის ინ-ტი. ჰ. ს-ს ძირითად ამოცანას შეადგენს საფრენ. საინჟინრო-ტექ. შემადგენლობასა და მგზავრებზე გარემო ფაქტორების გავლენის შესწავლა; პერსონალის მუშაობის პირობების თავისებურებების შესწავლა, რათა შეიმუშაონ შრომის, დასვენებისა და კვების რაციონალური რეჟიმი; ჰიგიენური ღონისძიებათა დასახვა მათთვის, ვინც რადიოლოკაციურ დანადგარებზე მუშაობისას კონტაქტშია საწვავ-წასაცხებ, აგრესიულ სითხეებთან და მასალებთან. ჰ. ს-ს ამოცანას შეადგენს აგრეთვე სხვადასხვა სახის (ხანგრძლივი, მაღლივი, ღამის, რთულ მეტეოროლ. პირობებში და სხვ.) ფრენის ჰიგიენური უზრუნველყოფა; ზებგერითი სიჩქარის პირობებში და სტრატოსფეროში ფრენისას ადამიანის დაცვა ჰიპოქსიისაგან, ბაროტრავმული წნევის ცვალებადობისაგან და სხვ. ჰ. ს-ს განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი კოსმ. ფრენის ჰიგიენური პრობლემების დამუშავებას, რაც გულისხმობს ადამიანის დაცვას კოსმოსის მავნე ფაქტორების გავლენისაგან, კოსმონავტის კაბინაში ისეთი პირობების შექმნას, რ-ებიც უზრუნველყოფენ კოსმონავტის სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას და სხვ.

**ჰიგიენა სამხედრო,** ჰიგიენის სპეციალური დარგი, რ-ის ამოცანაა სამხ. პირების ჯანმრთელობაზე გარემოს სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შესწავლა; ჯარის ბრძოლისუნარიანობაზე ამ ფაქტორების მავნე მოქმედების საწინააღმდეგო ღონისძიებების ძიება; ჯარის სანიტ. უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დამუშავება; საომარ პირობებში მის ამოცანებში შედის ჯარის ნაწილების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება, რისთვისაც დაწესებულია სანიტ. მეთვალყურეობა გზაზე და დასახლ. პუნქტებში განლაგებისას, აგრეთვე პირადი და კოლექტ. ჰიგიენის მოთხოვნების დაცვა, ყოველდღიური სამედ. კონტროლი ჯარისკაცებისა და ოფიცრების კვების ხარისხზე, მათ მომარაგებაზე საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი სასმელი წყლით, საკვებით და სხვ.

**ჰიგიენა სასკოლო,** იხ. *ჰიგიენა ბავშვთა და მოზარდთა.*

**ჰიგიენა სოციალური** სსრკ-ში, ჰიგიენა სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაცია, კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რ-იც შეისწავლის მედიცინის სოც. პრობლემებს, მოსახლეობისა და მისი ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოც.-ეკონ. ფაქტორების გავლენას საზ. ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟების ღონისძიებებს. სსრკ-ში მას საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ბუნებისა და საზ-ბის განვითარებაზე, სოც. და ბიოლ. კანონზომიერებათა ურთიერთგავლენაზე. ჰ. ს. მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტ. ეკონომიასთან, სოციოლოგიასთან, დემოგრაფიასთან, მართვის ზოგად თეორიასთან, ფილოსოფიასთან და სხვ. კვლევის ძირითად მეთოდად იგი იყენებს სტატისტიკას, ამავე დროს სარგებლობს ექსპერტული შეფასების, ექსპერიმენტისა და მოდელირების, ისტ. და სხვა მეთოდებით.

ჰ. ს. ჩამოყალიბდა XVIII—XIX სს-ში. თავისი განვითარების ეტაპებზე იგი სხვადასხვა კლასის ინტერესებს და იდეოლოგიას გამოხატავდა. კაპიტალიზმის განვითარებამ აიძულა ბურჟუაზია განეხორციელებინა ზოგიერთი სანიტ. ღონისძიება.

ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და ზოგიერთ სხვა კაპიტალ. ქვეყანაში დაგროვდა მასალა მშრომელთა ჯანმრთელობაზე შრომისა და ყოფის პირობების გავლენის შესახებ; დაიწყო ამ მასალის სტატისტ. დამუშავება. იყო ცდა საზ-ბის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დასაბუთებისა, შემოღებულ იქნა ტერმინი „სოციალური ჰიგიენა". რუსეთში მის განვითარებას საფუძველი ჩაუყარეს თ. ერისმანმა, ე. ოსიპოვმა, ნ. ტეზიაკოვმა და სხვ. სსრკ-ში ჰ. ს-ის პირველი კათედრები შეიქმნა მოსკ. I (ნ. სემაშკო, 1922) და II (ზ. სოლოვიოვი, 1923) სამედ. ინ-ტებში, შემდეგ კი ყველა სამედ. სასწავლებელში. 1946 მოსკოვში გაიხსნა სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს სოც. ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის ნ. სემაშკოს სახ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ჰ. ს-ის პრობლემებს ამუშავებს ჯანდაცვის საერთაშ. ორგანიზაცია (1948-იდან), ცხოვრების პირობებისა და ჯანმრთელობის შემსწავლელი საერთაშ. ასოციაცია (1951-იდან), სოც. მედიცინის ევრ. ასოციაცია (1955-იდან). ჰ. ს-ის პრობლემები ქვეყნდება პერიოდულად ჟურნალში „Советское здравоохранение" (1942-იდან).

საქართველოში ჰ. ს-ის კათედრა შეიქმნა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტზე 1926 (ი. ელიაშვილი), შემდეგ ექიმთა დახელოვნების თბილისის ინ-ტში 1966 (ი. ნიქობაძე). ი. ქარჩიშვილი.



ჰიგრომეტრი. აფსკიანი ჰიგრომეტრი: 1—მგრძნობი (აფსკი), 2—ისარი, 3—სკალა

**ჰიგიენა შრომისა,** პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი ჰ ი გ ი ე ნ ა, ჰიგიენის დარგი, რ-იც შეისწავლის შრომითი პროცესებისა და საწარმოო ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და შეიმუშავებს სანიტ.-ჰიგიენურ და სამკურნ.-პროფილაქტ. ღონისძიებებს მაქსიმალურად ხელსაყრელი შრომის პირობების შესაქმნელად და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად. ჰ. შ. შეისწავლის საწარმოო პროცესებს, მათ თავისებურებებს და გავლენას ადამიანის ორგანიზმზე; შრომის სანიტ. პირობებს (მიკროკლიმატი, სამრეწვ. შხამები, მტვერი, გამოსხივება, ხმაური, ვიბრაცია და სხვ.); მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ავადობას (საერთოსა და პროფესიულს); სანიტ.-ტექ. და სანიტ.-საყოფაცხოვრებო მოწყობილობების, ინდივიდ. დაცვის საშუალებებისა და დანადგარების (ვენტილაცია, გათბობა, განათება) მდგომარეობას და ჰიგიენურ ეფექტურობას. საწარმოო გარემო ფაქტორებისა და ორგანიზმზე მათი გავლენის თავისებურებების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია ჰიგიენური მოთხოვნები საწარმოო პროცესებისა და მოწყობილობის რაციონალიზაციის საკითხებზე; პირადი ჰიგიენის, შრომისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის ჰიგიენური ნორმები და წესები. შრომის პირობების გაჯანსაღებისა და სამრეწვ. წარმოების მოწყობის რაციონალური ორგანიზაციის საკითხები და სხვ.

ჰ. შ. თავის განვითარების პროცესში დაკავშირებული იყო ცალკეულ საზ.-ეკონ. ფორმაციასთან. მისი ელემენტები ყალიბდებოდა ძველთაგანვე, ჯერ კიდევ ანტ. პერიოდში, პრაქტიკული მოღვაწეობის ხანიდან. ჰ. შ. ზოგად და სოც. ჰიგიენას გამოეყო მხოლოდ საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სსრკ-ში პირველად შეიქმნა აკ. ტიპის კომპლ. სამეცნ.-კვლ. დაწესებულებანი, მაგ., შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინ-ტი, შრომის დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, შესაბამისი განყ-ბები ჰიგიენური პროფილის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში, პროფდაავადებათა კათედრები და სხვ. სსრკ-ში ჰ. შ-ის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშეს ზ. სმელიანსკიმ, ნ. ვიგდორჩიკმა და სხვ.

საქართველოში ჰ. შ-ს და პროფ. პათოლოგიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ჩაეყარა საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ. ამ საქმის პირველი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ნ. ყიფშიძე, რ-ის სახელს ატარებს 1927 მის მიერვე დაარსებული შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ ინ-ტის ბაზაზე 1944 ჩამოყალიბდა თბილ. სამედ. ინ-ტის შრომის ჰიგიენის კათედრა, რ-ის პირველი გამგე იყო შ. კონწუხაშვილი. 1974 შეიქმნა სანიტ.-ჰიგიენური, სამკურნ. და პედიატრიული ფაკ-ტების შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა კათედრა, რ-იც ხელმძღვანელობს პედ. და სამეცნ.-კვლ. მუშაობას პროფ. ჰიგიენის აქტუალურ საკითხებზე. მ. გურამიშვილი.

**ჰიგრო...** (ბერძ. hygros — ტენიანი), რთული სიტყვის ნაწილი; აღნიშნავს დამოკიდებულებას ტენთან, მაგ., ჰიგრომეტრი.

**ჰიგრომეტრი** (ჰიგრო... და ...მეტრი), ჰაერის აბსოლუტური ან ფარდობითი ტენიანობის განმსაზღვრელი ხელსაწყო. ჰ. არის კონდენსაციური, ელექტროლიტური, წონითი, აფსკიანი და სხვ., აგრეთვე ფსიქრომეტრები. ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებში იყენებენ ჰ-ს, რ-ის მგრძნობიარე ელემენტია ადამიანის თმა ან ორგანული (ცხოველური) აფსკი (იხ. ნახ.). ჰაერში წყლის ორთქლის რაოდენობის მიხედვით იცვლება თმის სიგრძე, ხოლო აფსკი იჭიმება ან იკუმშება. ჰაერის ტენიანობის უწყვეტი ავტომ. ჩაწერისათვის იყენებენ თვითჩამწერ ინსტრუმენტს — ჰიგროგრაფს.

**ჰიგროსკოპიულობა** (ჰიგრო... და ბერძნ. skopeō — ვაკვირდები), სხეულის თვისება შთანთქას ჰაერიდან ტენი. ჰ. ახასიათებს კაპილარულ-ფოროვანი სტრუქტურის მქონე ჰიდროფილურ მასალებს; წყალში კარგად ხსნად ნივთიერებებს; განსაკუთრებით კი ქიმ. ნაერთებს, რ-ებიც წყალთან წარმოქმნიან კრისტალოჰიდრატებს. ზოგიერთ ჰიგროსკოპიულ ნივთიერებას (მაგ., კონცენტრირებულ გოგირდმჟავას) იყენებენ ჰაერის გასაშრობად.

**ჰიგროფილები** (ჰიგრო... და ბერძნ. phileō — მიყვარს), ხმელეთის ორგანიზმები, რ-ებიც შეგუებული არიან ჭარბტენიან ადგილებს. ბინადრობენ ჭაობებში, ტენიან ტყეებში, მდინარისპირა ჭალებში, ტბებისა და სხვა წყალსატევების ნაპირებზე, აგრეთვე ნიადაგში (ჭიაყელები და სხვ.), ღრმა მღვიმეებში (მწერები, მრავალფეხიანები და სხვ.).

**ჰიგროფიტები** (ჰიგრო... და ბერძნ. phyton — მცენარე), ჭარბტენიანი ადგილების მცენარეები. ჰ-თვის დამახასიათებელია უმეტესად ნაზი ფართო ფოთლები, თხელი კუტიკულა, გრძელი ღეროები; მექან. ქსოვილები ღეროში განუვითარებელია, ფესვთა სისტემა სუსტია. ტიპური ჰ-ია ტენიანი ტყეების ბალახოვანი მცენარეები და ეპიფიტები. ჰ. გვხვდება ჩვენშიც, ასეთია მაგ., გვიმრა (Hymenophyllum tunbridgense), რ-იც იზრდება აჭარის ტყეებში, ნესტიან, ხავსიან კლდეებზე.

**ჰიგროფობები** (ჰიგრო... და ბერძნ. phobos — შიში), ხმელეთის ორგანიზმები, რ-ებიც ერიდებიან ჭარბტენიან ადგილებს მაგ., ტენიან მდელოზე მცხოვრები ჭიანჭველა-მცოცავი უფრო ხშირად სახლდება კოლბოხებზე; თუმცა ისიც ჭიანჭველა არეალის მშრალ ნაწილში (ველზე) ტენიან ადგილებს ეტანება.

**ჰიგუჩი** იჩიო (ნამდვ. სახელი ნ ა ც უ) (1872, ტოკიო, — 1896, იქვე), იაპონელი მწერალი ქალი. დაიბადა პოლიციის წვრილი მოხელის ოჯახში, მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს მძიმე შრომით არჩენდა. კერძო სკოლაში შეისწავლა კლასიკური იაპ. პოეზია. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1892-იდან. შექმნა კლასიკური ნოველა თანამედროვეებზე. მის თხზულებებში რეალისტურადაა აღწერილი უბრალო ხალხის ცხოვრება (ნოველები „ცხოვრება მიყრუებულ ადგილას", 1892; „მეცამეტე ღამე", „მღვრიე ნაკადი", ორივე 1895).

**ჰიდალგო**, მცირე პლანეტა № 944; ორბიტის დახრა ეკლიპტიკისადმი 42,5°, ექსცენტრისიტეტი 0,66; დღემდე ცნობილ მცირე ციურ სხეულთა შორის აქვს ყველაზე დიდი ნახევარღერძი — 5,8 ა. ე. აღმოაჩინა ვ. ბაადემ 1920.

**ჰიდათოდები** (ბერძნ. hydōr, ნათ. ბრ. hydatos — წყალი და hodos — გზა), წ ყ ლ ი ს ბ ა გ ე ე ბ ი, სამარქვი, რ-ის საშუალებითაც მცენარე წყალს წვეთწვეთად (გუტაცია) გამოყოფს. განლაგებულია ფოთლის წვერზე ან ფოთლის კბილების ბოლოში. უფრო ხშირად გვხვდება დაქვეითებული ტრანსპირაციის მქონე მცენარეებში, რ-ებიც იზრდებიან ჭარბტენიან ნიადაგზე. ჰ. უმეტესად სახეცვლილი ბაგეებია, რ-თა მკეტავი უჯრედები მუდამ ღიაა. ზოგიერთი ჰ. წარმოადგენს ჯირკვალს, რ-იც ტენს აქტიურად გამოყოფს.

**ჰიდატოფიტები** (ბერძნ. hydōr, ნათ. ბრ. hydatos — წყალი და phyton — მცენარე), წყლის მცენარეები, რ-ებიც მთლიანად ან სხეულის უმეტესი ნაწილით ჩაძირულია წყალში (ჰიდროფიტებისაგან განსხვავებით, რ-თაც წყლით მხოლოდ ქვედა ნაწილი აქვთ დაფარული). ზოგი ჰ. ფესვებით არ არის მიმაგრებული გრუნტთან (მაგ., ლემნა, ელოდეა), ზოგი მიმაგრებულია (მაგ., დუმფარა). განვითარების მიხედვით განასხვავებენ ნ ა მ დ ვ ი ლ ჰ-ს, ჩ ა ძ ი რ უ ლ ა გ რ ო ჰ ი დ ა ტ ო ფ ი ტ ე ბ ს, მ ც უ რ ა ვ ა გ რ ო ჰ ი დ ა ტ ო ფ ი ტ ე ბ ს. იხ. აგრეთვე წყლის მცენარეულობა.


ა. ჰიდოიათოვი

**ჰიდოიათოვი** აბრარ (14 VIII. 1900, ტაშკენტი, — 3 X 1958, იქვე), უზბეკი საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1945). სკკპ წევრი 1922-იდან. 1918-იდან მუშაობდა დასში, რ-საც მ. უიღური ხელმძღვანელობდა (1919-იდან კ. მარქსის სახ. დასი), 1924—27 სწავლობდა მოსკ. უზბ. სტუდიაში. 1927-იდან იყო უზბ. დასის წამყვანი მსახიობი (ამჟამად ჰამზას სახ. თეატრი). როლები: ალიშერი (უიღურისა და სულთანოვის „ალიშერ ნავოი"), არსლანი (იაშენის „ორი კომუნისტი"), გოროდნიჩი (გოგოლის „რევიზორი"), შვანდია (ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია"), გაი (პოგოდინის „ჩემი მეგობარი"), ჰამლეტი, ოტელო (შექსპირის „ჰამლეტი", „ოტელო") და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1949). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

**ჰიდრა** (ლათ. Hydra), ცის სამხრ. ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი; მისი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის, ალფარდის, ვიზუალური ვარსკვლავიერი სიდიდეა 2,0. დაკვირვებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია თებ.-მარტში. მთლიანად ჩანს სსრკ სამხრ. რ-ნებიდან, მ. შ. საქართველოდანაც, ნაწილობრივ — დანარჩენი რ-ნებიდან.

**ჰიდრადენიტი** (ბერძნ. hidrōs — ოფლი და adēn — ჯირკვალი); საოფლე ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება; იწვევს სტაფილოკოკი. ჩვეულებრივ ჩნდება იღლიის ქვეშ, ძუძუს თავის, უკანა ტანის ირგვლივ. წინასწარგანმწყობი მიზეზებია ორგანიზმის დაუძლურება, ოფლიანობა, უსუფთაობა და სხვ. ჰ. იწყება საოფლე ჯირკვლის ანთებით, რასაც დაერთვის კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედისის ანთება, კანის სიღრმეში ჩნდება ერთი ან რამდენიმე მკვრივი მტკივნეული კვანძი, რ-თა ზემოთ კანი შეწითლებულია. შემდეგ კვანძები რბილდება, იხსნება და წარმოიქმნება ჩირქოვანი ფისტულები. ჩირქი ხვდება მეზობელ ჯირკვლებში და იქაც იგივე პროცესი ვითარდება. ჰ. ხანგრძლივად მიმდინარე-

ობს, ხშირია რეციდივები. უმეტესად ქალები ავადდებიან. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ანტიბიოტიკები, ფიზიოთერაპია; სპეციფ. ვაქცინაცია და არასპეციფ. იმუნოთერაპია; ზოგჯერ — ქირურგ. ოპერაცია.

**ჰიდრავლიკა** (ბერძნ. hydraulikos — წყლისა < hydōr — წყალი და aulos — მილი), მეცნიერება სითხეების მოძრაობისა და წონასწორობის კანონების, აგრეთვე ამ კანონთა საინჟინრო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. ჰიდრომექანიკისაგან განსხვავებით, ჰ. აყალიბებს სითხის მოძრაობის პარამეტრების მიახლოებით დამოკიდებულებებს, რისთვისაც ფართოდ იმარჯვებს ექსპერ. გამოკვლევებს ლაბორატორიებსა და ნატურის პირობებში. ჰ. სწავლობს ძირითადად წვეთოვან სითხეებს, მაგრამ მისი კანონები მისაღებია აირებისათვისაც, თუ მათი წნევა და სიმკვრივე თითქმის მუდმივია. ჰ-ის შემადგენელი ნაწილებია ჰ-ის თ ე ო რ ი უ ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი, რ-ებიც შეიცავს დებულებებს სითხის მოძრაობისა და წონასწორობის შესახებ, და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ჰ., რ-იც იყენებს ამ დებულებებს საინჟინრო პრაქტიკის ამოცანათა გადასაწყვეტად. პრაქტ. ჰ-ის ძირითადი ნაწილებია: დინება მილებში (მილსადენების ჰ.), დინება არხებსა და მდინარეებში (ღია კალაპოტების ჰ.), სითხის გამოდინება ნახვრეტებიდან და წყალგადასაშვებიდან, სითხის მოძრაობა ფოროვან გარემოში (ფილტრაცია). ამ საკითხების შესწავლისას იხილავენ სითხის როგორც დამყარებულ, ისე დაუმყარებელ მოძრაობას. ჰ-ის იმ ნაწილს, რ-იც სწავლობს სითხის წონასწორობას, ჰიდროსტატიკა ეწოდება. ჰ. სწავლობს აგრეთვე ნატანის მოძრაობას ღია კალაპოტებში, ჰაერის მოძრაობას მილსადენებში, ჰიდრავ. გაზომვათა მეთოდებს, ჰიდრავ. მოდელირებას და სხვ. ჰ-ის იმ საკითხებს, რ-ებიც არსებითია ჰიდროტექ. ნაგებობათა გაანგარიშებისათვის (მაგ., ღია კალაპოტსა და მილებში წყლის დამყარებული და დაუმყარებელი მოძრაობა, დინება ცვალებადი ხარჯით, ფილტრაცია ნაგებობებსა და მათ გარშემო გრუნტში და ა. შ.), აერთიანებენ საინჟინრო ანუ ნაგებობათა ჰ-ის სახელწოდებით.

ჰ. ჩაისახა ანტ. ხანაში, როცა ჯერ კიდევ არქიმედემ ჩამოაყალიბა ჰიდროსტატიკის ზოგიერთი პრინციპი, მაგრამ როგორც მეცნიერების დარგი, ჰ. ყალიბდება XV ს. შუა წლებში, როცა ლეონარდო და ვინჩიმ საფუძველი ჩაუყარა ჰ-ის კვლევის ექსპერ. მეთოდებს. XVI–XVIII სს. ს. სტევინმა, გ. გალილეიმ, ბ. პასკალმა, ე. ტორიჩელიმ, ი. ნიუტონმა დაამუშავეს ჰ-ის მეცნ. საფუძვლები, ხოლო XVIII ს. დ. ბერნულიმ და ლ. ეილერმა შეიმუშავეს იდეალური სითხის წონასწორობისა და მოძრაობის ზოგადი განტოლებები. XIX ს. მიწურულში დაიწყო დამუშავება სითხის ტურბულენტური მოძრაობის ნახევრად ემპირიული თეორიისა (ო. რეინოლდსი, ლ. პრანდტლი, თ. კარმანი), რ-საც ფართოდ იყენებენ თანამედროვე პირობებში. ამავე პერიოდში ნ. ჟუკოვსკიმ ჩაატარა მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჰიდრავლ. დარტყმისა და გრუნტის წყლის მოძრაობის საკითხებზე. ჰიდროტექ. და საერთოდ ტექ. სწრაფი განვითარების შედეგად XX ს-ში ინტენსიურად ვითარდება ჰ-ის თეორ. და ექსპერ. მეთოდები (ი. ნიკურაძე და სხვ.). ჰ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით საბჭ. მეცნიერებს (ნ. პავლოვსკი, ლ. ლეიბენზონი, მ. ველიკანოვი და სხვ.). ჰ-ის თეორიული ნაწილის განვითარება და ჰიდრომექან. საკითხების დამუშავებაში ექსპერ. მეთოდების როლის ზრდა მეცნიერების ამ ორ დარგს თანდათანობით უახლოვებს ერთმანეთს.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა ნ., ჰიდრავლიკა (ზოგადი კურსი), ნაწ. 1, თბ., 1972; ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ნ., ჰიდრავლიკის საფუძვლები, თბ., 1981; Ч у г а е в Р. Р., Гидравлика (Техническая механика жидкости), Л., 1982.

**ჰიდრავლიკური აკუმულატორი**, წნევის ქვეშ მყოფი მუშა სითხის ენერგიის აკუმულაციისათვის განკუთვნილი მოწყობილობა. იყენებენ წნევისა და სითხის (ან აირის) ხარჯვის გასათანაბრებლად ცვალებადი დატვირთვის დანადგარებში. განასხვავებენ ტვირთიან, ზამბარიან, ღრუ-კომპრესიან და პნევმატიკური მოქმედების დგუშიან, მემბრანიან და ბალონიან ჰ. ა-ებს. მაგ., ტვირთიანი ჰ. ა-ის რეზერვუარში წნევა მუდმივია იმის გამო, რომ დგუშზე გარედან ზემოქმედებს მუდმივი ტვირთი, ბალონიან ჰ. ა-ში კი იგი შენარჩუნებულია შეკუმშული აირით (ჰაერი, აზოტი და სხვ.) ხარჯზე.



ჰიდრავლიკური აკუმულატორი: ა—ტვირთიანი; ბ—ბალონიანი; 1—რეზერვუარი, 2—დგუში; 3—ტვირთი; 4—შეკუმშული ჰაერის ბალონები

**ჰიდრავლიკური ბოძი**, მაღაროს სამაგრის სახეობა, იყენებენ საწმენდ გვირაბებში მუდმივი წინაღობის სამაგრად; შედგება ლითონის ცილინდრული მილისაგან, რ-საც აქვს ტელესკოპური გამოსაწევი ნაწილი (ყუნთა). მუშა სითხედ იყენებენ მიწერ ზეთს ან წყალზეთიან ემულსიას ინჟექ. ბოძის დაყენების შემდეგ ბოძში ჩადგმული ხელის ტუმბოთი ხორციელდება წინასწარი განზიდვა ჭერის სახურავსა და საგებ გვერდებს შორის. მექანიზებულ კომპლექსებში ჰ. ბ. სითხეს ღებულობს მოსამსახურებელ გვირაბში მოთავსებული სატუმბო სადგურიდან. ჰ. ბ-ის ტიპსა და ზომას განსაზღვრავენ დასამუშ. ფენის სისქის მიხედვით.

ი. მელიქიძე.

**ჰიდრავლიკური ბურღვა**, ჰ ი დ რ ო დ ა რ ტ ყ მ ი თ ი ბ უ რ ღ ვ ა, ჭაბურღილის გაყვანის ხერხი—სანგრევში ქანის მონგრევა დარტყმითი მოქმედების ჩაყურსული ჰიდრავ. მანქანით. ჰიდროდარტყმითი მანქანა მუშაობს საბურღ მილებში ტუმბოთი დაჭირხნილი გამრეცხი სითხის ნაკადის ენერგიით. ამ სითხით ჭაბურღილიდან ამოაქვს სანგრევში დამსხვრეული ქანი, რ-საც აჩვენებენ სალი შენადნობებით არმირებული ბურღის გვირგვინებით ან სადარავი საჭრებით. ჰ. ბ-ს იყენებენ საშუალო სიმაგრისა და მაგარ ქანებში ჭაბურღილების გაყვანისას.

**ჰიდრავლიკური გადაცემა**, მოწყობილობა, რ-შიც მექანიკური ენერგია და მოძრაობა მოცემული მომენტებით (მბრუნავი მომენტებით) და სიჩქარეებით (ბრუნვის სიხშირეებით) გადაიცემა და გარდაიქმნება სითხის საშუალებით. ჰ. გ. არის მექან. ენერგიის გარდამქმნელი ან გადამცემი (ჰიდროსტატიკური გადაცემის მექანიზმები) და მოძრაობის გარდამქმნელი (მართვის ავტომატიზაციისათვის). კბილა გადაცემასთან ერთად ჰ. გ-ს ეწოდება ჰიდრომექანიკური. იგი დიდ ძალებს გადასცემს. ჰ. გ. მოქნილი, ცვლადი, მყუდრო და ადვილად სარეგულირებელია; აქვს თვითშეზღუდვის უნარი. მისი მექანიზმები დაცულია გადატვირთვისაგან. იყენებენ თვითმავლებში, ავტომობილებში, ჩარხებში, კომბაინებში და სხვ.

ჟ. ნოდიაძე.

**ჰიდრავლიკური დანაკარგები**, დ ა წ ნ ე ვ ი ს დ ა ნ ა კ ა რ გ ე ბ ი, დაწნევის ვარდნა (ენერგიის შემცირება) მოძრავი სითხის ნაკადში, რასაც იწვევს ნაკადის მექანიკური ენერგიის ნაწილის ხარჯვა ჰიდრავლიკური წინაღობის გადალახვისას.

**ჰიდრავლიკური დარტყმა**, მილსადენში წნევის მკვეთრი გადიდება მასში მოძრავი სითხის სიჩქარის სწრაფად შეცვლისას (მაგ., მილსადენის სწრაფი გადაკეტვისას). ჰ. დ-ის შედეგად შეიძლება გასკდეს მილსადენი. მისგან დასაცავად მილსადენზე იყენებენ საჰაერო ხუფებს, მათანაბრებელ რეზერვუარებს, ვენტილებს და სხვ.

**ჰიდრავლიკური დროსელი**, სითხის მოძრაობის გზაზე დასაყენებელი მოწყობილობა, რ-იც ზღუდავს სითხის ხარჯს ან ცვლის არხში წნევას. ჰ. დ. შეიძლება იყოს მუდმივი (არარეგულირებადი) და ცვლადი (რეგულირებადი). მ უ დ მ ი ვ ი ჰ. დ-ია კაპილარები, მილისები, საჟიკლერები, ხოლო ც ვ ლ ა დ ი — ჩკეთარების წყვილები, სარქველ-საფარის ტიპის დროსელები, ხრახნიანი დროსელები. მუშა არხში სითხის ნაკადის რეჟიმის მიხედვით (ლამინარული ან ტურბულენტური) ჰ. დ. შეიძლება იყოს წრფივი, როცა წნევის ვარდნილი სითხის ხარჯის პროპორციულია, და კვადრატული, როცა წნევის ვარდნილი გამდინარე სითხის ხარჯის კვადრატის პროპორციულია. ჰ. დ-ს იყენებენ მანქანებში — მუშა სითხის ხარჯის შესაცვლელად (მუშა ორგანოების სიჩქარის რეგულირების მიზნით); ჰიდროსისტემებში — მუშა სითხის საჭირო წნევის ვარდნილის შესაქმნელად და სხვ.

**ჰიდრავლიკური ინსტრუმენტი**, ჰიდრავლიკურამძრავიანი ხელის მანქანა, რ-საც იყენებენ კუთხვილიანი შეერთებების შემოსაჭერად, დეტალების ჩასაწნეხ-ამოსაწნეხად და სხვ. შეიძლება ჰქონდეს დგუშიანი, როტაციული, ხრახნული და სხვა სახის ძრავა. გავრცელებულია წინსვლით მოძრავი დგუშიანი ძრავის მქონე ჰ. ი., მაგ., ჰიდრავ. ქანჩსახრახნი. იმავე გაბარიტების ანალოგიურ პნევმ. ან ელექტრულ ინსტრუმენტთან შედარებით ჰ. ი-ის უპირატესობაა ის, რომ მისი გამოყენებისას შესაძლებელია მნიშვნელოვნად დიდი ძალების (მომენტების) მიღება.

**ჰიდრავლიკური კლასიფიკატორი**, იხ. სტ. კლასიფიკატორი.

**ჰიდრავლიკური მანიპულატორი**, ჰიდრავლიკური შემსრულებელი მექანიზმის მმართველი ორგანოების გადასაადგილებელი მოწყობილობა, რ-იც ამავე დროს მმართველ ზემოქმედებასაც აძლიერებს. ჰ. მ. ორგვარია: დროსელიანი და ჭავლური მართვისა. უფრო გავრცელებულია დროსელიანი მართვის ჰ. მ., რ-ის სამუშაო კამერებში წნევას სარქვის საშუალებით არეგულირებენ, რისთვისაც მკვეთარს გადაანაცვლებენ და სითხეს წნევით მიმართავენ მმართველ ორგანოში (სერვომოტორი და სხვ.). ჰ. მ-ის გაძლიერების კოეფიციენტი სიმძლავრის მიხედვით ხშირად 100 000 აღემატება. თანამედროვე ჰ. მ-ის ლითონტევადობა უფრო მცირეა (1 კვტ გამოსავალ სიმძლავრეზე არა უმეტეს 60 გ), ვიდრე სიმძლავრის სხვა სახის მაძლიერებლებისა (მაგ., ელექტრომანქანურისა). ჰ. მ-ს იყენებენ თვითმფრინავებში საჭეების სამართავად.

**ჰიდრავლიკური მუხრუჭი**, 1. მუხრუჭი, რ-შიც სამუხრუჭო მექანიზმს ძალა ჰიდრავლიკური ამძრავით გადაეცემა. იყენებენ თვითმფრინავებში, ავტომობილებში და სხვ. 2. ძრავათა გამოსაცდელი მოწყობილობა. ძრავათა შესრულებულ მუშაობას ჰ. მ. ხარჯავს წინააღმდეგობათა გადასალახავად და გარდაქმნის სითბოდ, რ-იც მასში გამავალ წყალს მიაქვს.

**ჰიდრავლიკური ნახტომი**, ღია კალაპოტში წყლის დინების მკვეთრი, ნახტომისებური აწევა ნაკადის ე. წ. მღელვარე მოძრაობიდან წყნარ დინებაში გადასვლისას. ჰ. ნ-ს თან სდევს ზედაპირული „ვალცის" წარმოქმნა, რ-შიც ჰაერით ძლიერ გაჯერებული სითხე ბრუნავს. ჰ. ნ. ჩვეულებრივ წარმოიქმნება ნაკადის ჰიდროტექ. ნაგებობებში გატარებისას (წყალგადასაშვები კაშხალის შემდეგ, ფარის ქვეშ გამოდინების დროს და ა. შ.). ჰ. ნ-ის ზონაში შეიძლება კალაპოტი წაირეცხოს.

**ჰიდრავლიკური რადიუსი**, სითხის ნაკადის ცოცხალი კვეთის ჰიდრავლიკური მახასიათებელი, რ-იც გამოისახება ამ კვეთის ფართობის შეფარდებით მის ე. წ. დასველებულ პერიმეტრთან (ე. ი. პერი-




ჰიდროდინამიკური წინაღობა. ნახ. 1. ჰიდროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის დამოკიდებულება რეინოლდსის რიცხვზე

რების მიმართულებაზე — ხახუნის ჰ. წ-ს. იმ სხეულებს, რ-თათვისაც წნევის ძალებით გამოწვეული წინაღობა მცირეა ხახუნის ძალებით გამოწვეულ წინაღობასთან შედარებით, კარგად გარსშემოდენილს უწოდებენ. ცუდად გარსშემოდენილი სხეულების ჰ. წ. თითქმის წნევის ძალებით გამოწვეული წინაღობით განისაზღვრება. თუ სხეული ორი გარემოს გამყოფი ზედაპირის მახლობლად მოძრაობს, მაშინ ასეთ ზედაპირებთან წარმოიშობა ტალღები, რ-ებიც ტალღურ წინაღობას იწვევენ.

ჰ. წ. ($X$), რ-საც განიცდის სითხეში მოძრავი სხეული, გამოითვლება ფორმულით:

$$X = c_x \rho \frac{v^2}{2} S,$$

სადაც $\rho$ არის სითხის სიმკვრივე, $v$ — სიჩქარე, $S$ — სხეულის მახასიათებელი ფართობი. უგანზომილებო $c_x$ კოეფიციენტი დამოკიდებულია სხეულის ფორმაზე, მის მდებარეობაზე მოძრაობის მიმართულებისადმი და მსგავსების კრიტერიუმებზე.

მილებსა და არხებში სითხის მოძრაობისას არჩევენ ორი სახის ჰ. წ-ს: ხახუნის წინაღობას და ადგილ. ჰიდრავლ. წინაღობას. ხახუნის წინაღობა ნაკადის მონაკვეთის სიგრძის პირდაპირპროპორციულია. ჰიდრავლ. კი დაკავშირებულია ადგილ. წინაღობებით გამოწვეულ ნაკადის სტრუქტურის ცვლილებასთან (ნაკადის მოწყვეტა, გრიგალის წარმოშობა).

სტაციონარული მოძრაობის შემთხვევაში ჰ. წ. $\Delta p$ მილის ერთეულ სიგრძეზე განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta p = \lambda \frac{l}{d} \frac{\rho v^2_{საშ}}{2},$$

სადაც $l$ არის მილის განსახილველი მონაკვეთის სიგრძე, $v_{საშ}$ — საშ. სიჩქარე, $d$ — მილის დიამეტრი, $\lambda$ — წინაღობის უგანზომილებო კოეფიციენტი, ადგილ. წინაღობა კი გამოისახება ფორმულით: $\Delta p = \frac{\xi v^2_{საშ}}{2}$, სადაც $\xi$ ადგილ. წინაღობის კოეფიციენტია. იგი დამოკიდებულია რეინოლდსის რიცხვზე ($Re$). გლუვ მილებში ლამინარული დინებისას ჰიდრავლიკაში კოეფიციენტი $\lambda = 64/Re$. ასეთივე მილებში ტურბულენტური მოძრაობისას სარგებლობენ ემპირიული და ნახევრად ემპირიული ფორმულებით. მათგან მნიშვნელოვანია ბლაზიუსის ფორმულა $\lambda = 0{,}3164/Re^{0{,}25}$ (რ-იც მართებულია, როცა $Re \leq 10^5$) და ნიკურაძის ფორმულა $\lambda = 0{,}0032 + 0{,}221/Re^{0{,}237}$ (რ-იც კარგად ეთანხმება ექსპერ. მონაცემებს, შესაბამისი წირები იხ. ნახ. 1-ზე).

მილებში, რ-თა ზედაპირი ხორკლიანია, ჰ. წ. დამოკიდებულია როგორც რეინოლდსის რიცხვზე, ისე ფარდობითს $r/k$ ხორკლიანობაზე (სადაც $k$ არის ხორკლის ბორცვის საშ. სიმაღლე, $r$ — მილის რადიუსი). დიდი $Re$-თვის $\lambda$ დამოკიდებულია მხოლოდ ფარდობითს ხორკლიანობაზე. მარცვლოვანი ხორკლიანობის დროს ჰ. წ-ის გამოსათვლელად სარგებლობენ პრანდტლ—ნიკურაძის ფორმულით: $\lambda = 1/[2\lg_{10}\left(\frac{r}{k}\right) + 1{,}74]^2$. დღესაც უნიკალურად ითვლება ტურბულენტური დინებისას ჰ. წ-ის გასაანგარიშებლად გლუვ და ხორკლიან მილებში XX ს-ის 30-იან წწ. ი. ნიკურაძის მიერ (გერმანია, გეტინგენი) დიდი სიზუსტით ჩატარებული ცდები (ამ ცდების შედეგები იხ. ნახ. 2-ზე).

ლიტ.: Альтшуль А. Д., Гидравлические сопротивления, 2 изд., М., 1982; Nikuradze J., Strömungsgesetze in rauhen Rohren, «Forschung auf dem Gebiete des Ingenieurwesens», Ausgabe B», 1933, S. 361.

გ. შარიქაძე.

**ჰიდროელევატორი**, იხ. სტ. *ელევატორი*.

**ჰიდროელექტროსადგურების კასკადი**, ჰიდროელექტროსადგურების ჯგუფი, რ-ებიც თანმიმდევრულადაა განლაგებული მდინარის დინების მიმართულებით და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო წყალსამეურნეო რეჟიმით. განასხვავებენ კაშხალისა და სადერივაციო ჰ. კ-ებს. ჰ. კ-ის აგება საშუალებას იძლევა სრულად გამოიყენონ მდინარეების ენერგეტ. რესურსები, ამაღლდეს მდინარის ჩამონადენის რეგულირების ხარისხი და სხვ.

სსრკ-ში გამოკვეთილი მსხვილი ჰ. კ-ებია *ვოლგის კასკადი* (8 ჰესი), *ანგარის კასკადი* (6 ჰესი), *კამის კასკადი* (3 ჰესი), *დნეპრის კასკადი* (6 ჰესი).

**ჰიდროელექტროსადგური**, ჰიდროელექტრული სადგური (ჰესი), ნაგებობათა და მოწყობილობათა კომპლექსი, რ-თა მეშვეობით წყლის ნაკადის ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად. ჰესი შედგება *ჰიდროტექნიკური ნაგებობებისაგან* (რ-თაც უზრუნველყოფს წყლის ნაკადის საჭირო კონცენტრაციისა და დაწნევის უზრუნველყოფა), წყლის ნაკადის ენერგიის ბრუნვის მექან. ენერგიად გარდამქმნელი დანადგარებისაგან (იხ. *ჰიდრავლიკური ტურბინა*). ამ უკანასკნელთა მეშვეობით მექან. ენერგია შემდგომ ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება (იხ. *ჰიდროგენერატორი*). ჰესის დაწნევა წარმოიქმნება მდინარის დაგუბებით და კაშხალის მეშვეობით მდინარის ვარდნის კონცენტრაციით ამ უბანზე (იხ. ნახ. 1) ან დერივაციით (ნახ. 2), ანდა კაშხალისა და დერივაციის ერთობლიობით (ნახ. 3).

მთავარი ენერგეტ. დანადგარები მოთავსებულია ჰესის შენობაში. ელექტროსადგურების სამანქანო დარბაზში — ჰიდროაგრეგატები (*ჰიდრავლიკური ტურბინები და გენერატორები*), დამხმარე მოწყობილობა, ავტომატური მართვისა და საკონტროლო მოწყობილობა; მართვის ცენტრალურ პოსტზე — ოპერატორ-დისპეჩერის ან ავტოოპერატორის პულტი. ამამაღლებელი სატრანსფორმატორო ქვესადგური თავსდება ჰესის შენობაში ან მის გარეთ. მანაწილებელი მოწყობილობა უმთავრესად განლაგებულია ღია მოედანზე. დაწნევის სიდიდის მიხედვით ჰესები პირობით შეიძლება იყოს მაღალდაწნევის (60 მ-ზე მეტი), საშუალო დაწნევის (25-იდან 60 მ-მდე) და დაბალდაწნევის (3-იდან 25 მ-მდე). ბარის ადგილებში მდინარის ვარდნა იშვიათად აღწევს 100 მ-ს, მთაში კაშხალის საშუალებით შეიძლება შეიქმნას დაწნევა 300 მ და მეტი, ხოლო დერივაციით — 1500 მ-მდე. მაღალი დაწნევის ჰესში იყენებენ ლითონის ჩამჩიან და სპირალურკამერებიან ან რადიალურ-ღერძულ ტურბინებს, საშუალო დაწნევის ჰესში — რკინაბეტონისა და ლითონის სპირალურკამერებიან საბრუნფრთებიან და რადიალურ-ღერძულ ტურბინებს, დაბალი დაწნევის ჰესში — რკინაბეტონის სპირალურკამერებიან საბრუნფრთებიან ტურბინებს, ზოგჯერ ჰორიზ. ტურბინებს კაფსულებში ან ღია კამერებში.




ჰიდროდინამიკური წინაღობა. ნახ. 2. ჰიდროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის დამოკიდებულება რეინოლდსის რიცხვზე ხორკლიანი მილებისათვის (ნიკურაძის ცდების მიხედვით). ტურბულენტური დინება ხელოვნური ხორკლიანობის (სიმქისის) მქონე მილებში შეისწავლა ი. ნიკურაძემ, რომელმაც ამ მიზნით გამოიყენა ერთგვაროვანი ქვიშის მარცვლები. მილის ხორკლიანობა ტურბულენტურ დინებაზე მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა „ხორკლიანობის ბორცვები" სიმაღლით აღემატება ლამინარული ლენტის სისქეს. ტურბულენტური დინების დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ რეინოლდსის რიცხვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობებისას წინაღობის კოეფიციენტი არაა დამოკიდებული რეინოლდსის რიცხვზე და განისაზღვრება მხოლოდ მილის კედლის ბორცვების ფარდობითი სიმაღლით (ნახაზზე k არის ხორკლიანობის სიმაღლე, $v_{საშ}d/\nu$ — Re)

წყლის რესურსებისა და ჰესის დაწნევის კონცენტრაციის გამოყენების მიხედვით ჰესი შეიძლება იყოს კალაპოტისა, კაშხალთან მიმდებარე, სადერივაციო (სადაწნეო და უდაწნეო), შერეული, ჰიდროაკუმულირებადი და ზღვის მიმოქცევისა. კალაპოტისა და კაშხალთან მიმდებარე ჰესებში წყლის დაწნევას წარმოქმნის მდინარის გადამღობი კაშხალი, რაც წყლის დონეს აწევს ზედა ბიეფში. ასეთი ჰესები დამახასიათებელია რუსეთის ვაკეების მდ-ებისათვის (მაგ., ვოლგის კასკადის ჰესები). სადერივაციო ჰესში მდინარის გრძივი კონცენტრაცია ხდება მდინარის (ან მისი ნაწილის) გადაგდებით და ჰესთან მიყვანით სხვა წყალსატარით (მაგ., არხით, გვირაბით) ისეთი ქანობით, რომ შეიქმნას იმაზე გაცილებით მეტი დაწნევა, რაც აქვს მდინარეს ბუნებრივ კალაპოტში. დერივაცია ჰესის შენობამდე მიმართ შეიძლება იყოს მიმყვანი და გამომყვანი. ზოგჯერ დერივაციის საშუალებით ერთი მდინარის ჩამონადენს გადააგდებენ მეორეში, რასაც კალაპოტის უფრო დაბალი ნიშნულები აქვს. ამის მაგალითია ენგურჰესი, სადაც მდ. ენგურის ჩამონადენი გვირაბით გადაგდებულია მდ. ერისწყალში. ფართოდ გავრცელდა კ-ზე შეთავსებული ჰესები, რომის სადგურის შენობა ერთდროულად ასრულებს წყლის გადამგდები ნაგებობების დანიშნულებასაც. ჰესებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰიდროაკუმულირებელ ელექტროსადგურებს და ზღვის მიმოქცევის სადგურებს. ჰიდროაკუმულირებელ ელექტროსადგურებს იყენებენ პიკური სიმძლავრის დასაფარავად მსხვილ ენერგეტ. სისტემებში. მაგ., ასეთი ელექტროსადგურია 1620 მეგავტ სიმძლავრის კორნუოლის ჰესი (აშშ).

ზღვის მიმოქცევის ელექტროსადგურები მათი თავისებურების გამო, რაც დაკავშირებულია მიმოქცევის პერიოდულობასთან, შეიძლება გამოყენებული იყოს ენერგოსისტემებში მხოლოდ სხვა მარეგულირებელ ელექტროსადგურებთან ერთად. პირველი ასეთი 240 მეგავტ სიმძლავრის ელექტროსადგური აიგო საფრანგეთში (1967), სსრკ-ში პირველი საცდელი სადგურის სიმძლავრეა 0,4 მეგავტ, აგებულია კოლის ნახევარკუნძულზე (1968). წყლის გამოყენებისა და ჰესის მუშაობის პირობების მიხედვით განასხვავებენ წყლის ჩამონადენის რეგულირების გარეშე მომუშავე და დღეღამური, კვირეული, სეზონური (წლიური) და მრავალწლიური რეგულირების ჰესებს. ჰესების კასკადები, როგორც წესი, მუშაობენ კონდენსაციურ, ატომურ და სხვა ტიპის ელექტროსადგურებთან ერთად.

ლიტ.: Гидроэлектрические станции, под ред. Ф. Ф. Губина, М., 1972; Гидроэнергетические установки, под ред. Д. С. Щавелева, 2 изд., Л., 1981; Чоговадзе Г. И., Гидроэлектростанции Грузии, М., 1971.
გ. მაჩრაძე.

**ჰიდროენერგეტიკა,** ენერგეტიკის დარგი, რაც დაკავშირებულია წყლის რესურსების პოტენციური ენერგიის გამოყენებასთან. წყლის ენერგიას ადამიანი უძველესი დროიდან იყენებს. თავდაპირველად წყლის თვლების საშუალებით ამოძრავებდნენ წისქვილის დოლაბებს და სხვა დანადგარებს. წყლის თვლის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდებოდა ჰიდრავ. დანადგარების სიმძლავრე. ორთქლის მანქანის გამოგონებამდე წყლის ენერგია იყო ძირითადი მამოძრავებელი ძალა ქ-ნებსა და მანუფაქტურებში. არქეოლ. გათხრები ადასტურებს, რომ სსრკ ტერიტორიაზე (საქართველო, სომხეთი, შუა აზია) უძველესი დროიდანვე იყენებდნენ წყლის ენერგიას. რუსეთში XVIII ს. მიწურულში 3000-მდე მანუფაქტურა იყო აღჭურვილი ჰიდრავ. დანადგარებით. ორთქლის მანქანის გამოგონების შემდეგ მკვეთრად შემცირდა ქ-ნებსა და მანუფაქტურებში ჰიდრავ. მანქანების გამოყენება.

XIX ს. I ნახევარში გაჩნდა ჰიდრავლიკური ტურბინა, ხოლო ელექტრომანქანების შექმნისა და ელექტრული ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის საშუალებათა დამუშავების შემდეგ სწრაფად განვითარდა ჰ., რომელიც ელექტროენერგეტ. მიმართულებას: დაიწყო წყლის ენერგიის ათვისება და მისი გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად ჰიდროელექტროსადგურებში (ჰესებში). მეფის რუსეთი ბოლოს ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს ჰ-ის განვითარებაში; 1913 ჰესების საერთო სიმძლავრე შეადგენდა 16 მეგავტ, სხვა ქვეყნებში ჰესების საერთო სიმძლავრე კი — 12 000 მეგავტ-ს აღემატებოდა.

დიდი ოქტ. სოციალ. რევ. შემდეგ სსრკ-ში დაიწყო ჰ-ის ინტენს. განვითარება. 1920 ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა რუს. ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია („გოელრო"). რ-ის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად, 10—15 წლის განმავლობაში უნდა აშენებულიყო 30 სარაიონო ელექტროსადგური, მ. შ. 10 ჰესი, რითაც საერთო სიმძლავრე 640 მეგავტ იქნებოდა. ეს გეგმა 1935 გადაჭარბებით შესრულდა.

ჰიდროენერგეტ. რესურსების დადებითი მხარეა მათი მუდმივი განახლება და მაღალი კონცენტრაცია. ჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია საშუალოდ თითქმის 4-ჯერ იაფია თბურ ელექტროსადგურებში გამომუშავებულ ელექტროენერგიის ღირებულებაზე. აქვს ნაკლიც — ახასიათებს სეზონური და მრავალწლიანი უთანაბრობა, რაც მოითხოვს მდ-ების ჩამონადენის რეგულირებას წყალსაცავების საშუალებით.

წყლის რესურსების მთლიან თეორ. ენერგიას ეწოდება საერთო ჰიდროენერგეტ. პოტენციალი, ხოლო საერთო პოტენციალის იმ ნაწილს, რ-ის გამოყენება შესაძლებელია თანამედროვე ჰესების საშუალებით, — ტექ. ჰიდროენერგეტ. პოტენციალი. ჰიდროენერგიის მარაგის მხრივ სსრკ-ს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მისი საერთო ჰიდროენერგეტ. პოტენციალი შეადგენს წელიწადში 3942 მლრდ. კვტ·სთ (მსოფლიოს მარაგის 11,2%), ხოლო ტექ. პოტენციალი — 2106 მლრდ. კვტ·სთ. საერთო პოტენციალის 17,6% მოდის სსრკ ევრ. ნაწილსა და ამიერკავკასიაზე.

საქართველოს მოწინავე ადგილი უკავია 1 $კმ^2$-ზე მოსული საერთო პოტენციალის მიხედვ., ხოლო საერთო პოტენციალი 135,8 მლრდ. კვტ·სთ-ს შეადგენს წელიწადში აქედან 70,8% მოდის დას. საქართველოზე. 1978 მსოფლიოში ჰესების დადგმული სიმძლავრე ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრის 22% შეადგენდა, ხოლო სსრკ-ში — 18%-ს.

ჰიდროენერგეტ. რესურსების გამოყენება უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება წყლის რესურსების კომპლ. გამოყენებას, როცა ერთი და იგივე ჰიდროტექ. ნაგებობა ემსახურება წყლის მიღებისა და განაწილების სხვადასხვა მიზნისათვის (ენერგეტიკა, ირიგაცია, წყალმომარაგება, წყლის ტრანსპორტი, წყალდიდობასთან ბრძოლა და სხვ.). ჰესი მობილური დანადგარია თბოელექტროსადგურებისაგან განსხვავებით, ადვილია მისი სიმძლავრის სწრაფი შეცვლა ზედმეტი ხარჯის გარეშე. ამიტომ მიზანშეწონილია ჰიდროენერგიის გამოყენება პიკური დატვირთვის დასაფარავად, ავარიულ რეზერვად, ენერგოსისტემაში სიხშირის სარეგულირებლად და სხვ. ჰიდროენერგიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ სათბობი, რასაც თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

სსრკ-ში აგებულია მსოფლიოში უდიდესი ჰესები: კრასნოიარსკისა და საიან-შუშენსკოესი მდ. ენისეიზე, ბრატსკისა და უსტ-ილიმსკისა მდ. ანგარაზე, ნურეკისა მდ. ვახშზე და სხვ.

ლიტ.: Гидроэнергетика, под ред. В. И. Обрезкова, М., 1981; Энергетические ресурсы СССР. [т. 2] — Гидроэнергетические ресурсы, М., 1967; Природные ресурсы Грузинской ССР, т. 4 — Гидроэнергетические ресурсы, М., 1962.
გ. მაჩრაძე.

**ჰიდროვიბრატორი** (ჰიდრო... და ვიბრატორი), წყლით გაჯერებული შეუკვრელი გრუნტის გასამკვრივებელი სიღრმული ვიბრატორი, რ-იც ვიბრაციით ზემოქმედებს გრუნტზე. აყენებენ მისაბმელ ან თვითმავალ ამწეზე. ჰ-ის რხევათა სიხშირე 1500—3000 რხევა 1 წთ-ში, მასა — 2500 კგ.

**ჰიდროთერაპია,** იგივეა, რაც წყლით მკურნალობა.

**ჰიდროთერმული საბადო** (ჰიდრო და ბერძ. thermē — სითბო, სიმხურვალე), სასარგებლო წიაღისეულის საბადო, რ-იც წარმოიქმნა დედამიწის წიაღში მოძრავი ცხელი წყალხსნარებიდან (ჰ ი დ რ ო თ ე რ მ უ ლ ი ხ ს ნ ა რ ე ბ ი, ჰ ი დ რ ო თ ე რ მ ე ბ ი) მინერ. ნივთიერების გამოყოფის შედეგად. წარმოშობის მიხედვით განარჩევენ ჰიდროთერმული ხსნარების წყლის 4 სახეობას: მაგმურს, რ-იც გამოიყოფა მაგმური მდნარის გაციებისა და მაგმური ქანის წარმოშობის დროს; მეტამორფულს, რ-იც გამოიყოფა დედამიწის ქერქის ღრმა ზონებში წყლიანი მინერალების გადაკრისტალების დროს; ზღვიურ დანალექ ქანებში განამარხებულს, რ-იც იწყებს მოძრაობას დედამიწის ქერქში მიმდინარე ტექტონ. პროცესების ან დედამიწის სითბოს გავლენით და მეტეორულს, რ-იც წყალგამტარ ფენებში ფილტრაციით ჩაედინება დედამიწის წიაღში. ჰიდროთერმებში გახსნილი მინერ. ნივთიერების წყაროა მაგმა, საიდანაც გამოიყო ხსნარი ან ის ქანები, რ-ებშიც ეს ხსნარი მოძრაობს. ჰ. ს-ების წარმოქმნის სიღრმე აღწევს 10 კმ.

ლიტ.: Смирнов В. И., Геология полезных ископаемых, 4 изд., М., 1982.

**ჰიდროთვითმფრინავი,** თვითმფრინავი, რ-საც შეუძლია წყლის ზედაპირიდან აფრენა და მასზე დაჯდომა. ჰ-ს აგებენ 2 კონსტრუქციული სქემით. მფრინავი ნავის სახით, რ-ის კორპუსში თავსდება ეკიპაჟი და მგზავრები და დაყენებულია აუცილებელი სანაოსნო-საპილოტე მოწყობილობა, და ჩვეულებრივი სახმელეთო თვითმფრინავის სახით, რ-საც აქვს თვლიანი შასი და ტივტივები (თვითმფრინავ-ამფიბია), შეუძლია ბაზირება როგორც აკვატორიაზე, ისე სახმელეთო აეროდრომზე.

რუსეთში პირველი ტივტივებიანი ტიპის ჰ. შექმნა ი. გაკელმა 1911. მფრინავი ნავის შექმნის (1911) პრიორიტეტი ეკუთვნის ო. კოსტოვიჩს. ოქტ. სოციალ. რევ-



ჰიდროელექტროსადგური. ნახ. 2. მიმყვანი დერივაციით მდინარის დაწნევის კონცენტრაციის სქემა: ზბ — ზედა ბიეფი; ქბ — ქვედა ბიეფი; $H_გ$ — დაწნევა ბრუტო.



ჰიდროელექტროსადგური. ნახ. 3. კაშხლითა და დერივაციით მდინარის დაწნევის კონცენტრაციის სქემა: ზბ — ზედა ბიეფი, ქბ — ქვედა ბიეფი; $H_გ$ — დაწნევა ბრუტო.

მსოფლიოს ზოგიერთი უმძლავრესი ჰესი

| ჰესის დასახელება და ექსპლუატაციის დაწყების წელი | სიმძლავრე, მეგავტ |
|---|---|
| კრასნოიარსკის, სსრკ, 1967 | 6000 |
| ბრატსკის, სსრკ, 1961 | 4600 |
| ვოლგის, სსკპ XXII ყრილობის სახ., სსრკ, 1960 | 2560 |
| საიან-შუშენსკოეს, სსრკ, 1987 | 6400 |
| ვოლგის, ვ. ი. ლენინის სახ., სსრკ, 1955 | 2300 |
| ჯონ-დეი, აშშ, 1968 | 2160 |
| ასუანის, ეგვ., 1967 | 2100 |
| ჩერჩილ-ფოლსი, კანადა | 4500 |
| უსტ-ილიმსკის, სსრკ, 1980 | 4320 |
| ილია-სოლტეირა, ბრაზილია | 3200 |
| ნურეკის, სსრკ, 1978 | 2700 |
| რკინის კარიბჭე, რუმინეთი—იუგოსლავია | 2100 |
| ტარბელა, პაკისტანი | 3000 |



ჰიდროელექტროსადგური. ნახ. 1. კაშხლის საშუალებით მდინარის დაწნევის კონცენტრაციის სქემა: ზბ — ზედა ბიეფი, ქბ — ქვედა ბიეფი, $H_გ$ — დაწნევა ბრუტო.

შემდეგ ჰ-ის შესაქმნელად მუშაობდნენ ავიაკონსტრუქტორები: დ. გრიგოროვიჩი, ა. ტუპოლევი (ტუ-1, ტბ-1 და ს-ნ), გ. ბერიევი (მბრ-2, ბე-1, ბე-2, ბე-4, ბე-6, ბე-10, ბე-12), ი. ჩეტვერიკოვი (ჩე-2), გ. შავროვი (შ-2) და სხვ.

**ჰიდროიდები** (Hydrozoa), წყლის უხერხემლო ცხოველთა კლასი ნაწლავღრუიანთა ტიპისა. უმეტესობისათვის დამახასიათებელია თაობათა მორიგეობა: უსქესო პოლიპებს მონაცვლეობს სქესიანი თაობა — მედუზები. უმეტესობის უსქესო თაობა წარმოქმნის კოლონიებს, რ-ებშიც მრავალი ინდივიდია გაერთიანებული. კოლონ. ფორმებში კვირტიდან განვითარებული ახ. ინდივიდი საერთო ღეროს არ სცილდება. კოლონია ფუძით მიმაგრებულია მყარ სუბსტრატზე. ცალკეულ ინდივიდებს გრძელი საცეცებით გარშემორტყმული პირის ხვრელი აქვთ. ზოგის გარსში გროვდება კირი. ზოგის კვირტიდან ვითარდება განცალკევებულსქესიანი მედუზები, რ-ებიც სცილდებიან კოლონიას და თავისუფლად ცხოვრობენ. განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ვითარდება ნაწლავღრუიანთა ლარვა—პლანულა.

ჰ. იკვებებიან ცხოველური საკვებით (პლანქტონისეული კიბოსნაირები, თევზის ლიფსიტები და სხვ.). ზოგს შეუძლია ადამიანის მწვავედ დასუსხვა. კლასში 7 რიგია, რ-ებიც აერთიანებენ 2800-ზე მეტ სახეობას. სსრკ-ში 300-ზე მეტი სახეობაა. ჰ-ის უმეტესობა გავრცელებულია ზღვებში, უმეტესად ლითორალურ ზონაში. ზოგი მტკნარ წყალშიც გვხვდება.
ტ. ელიაშვილი.



ჰიდროთვითმფრინავები. საბჭოთა ჰიდროთვითმფრინავები: 1—საზღვაო მზვერავი მბრ-2, 2—წყალხმელეთა ფრთიანი ჰიდროთვითმფრინავი ბე-8; 3—სატრანსპორტო მფრინავი ნავი ბე-6, 4—რეაქტიული ჰიდროთვითმფრინავი ბე-10.

**ჰიდროიზოლაცია** (ჰიდრო... და იზოლაცია), სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა წყლის შეღწევისაგან (ანტიფილტრაციული ჰ.) ან ნაგებობათა მასალის დაცვა გამჟღენარე და ფილტრაციული წყლების, აგრეთვე სხვა აგრესიული სითხეების მავნე ზემოქმედებისაგან (ანტიკოროზიული ჰ.). ნაგებობათა ჰ-ის სამუშაოებს ჰიდროიზოლაციური სამუშაოები ეწოდება. ჰ. უზრუნველყოფს ნაგებობებისა და ტექნოლ. მოწყობილობის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებს, ზრდის მათ საიმედოობასა და ხანგამძლეობას.

ანტიფილტრაციულ ჰ-ს იყენებენ მიწისქვეშა და წყალქვეშა ნაგებობებში (სარდაფები, სატრანსპ. გვირაბები, კესონები და სხვ.) — წყლის შეღწევისაგან დასაცავად, ჰიდროტექ. ნაგებობებში (კაშხალი, წყალსატარი, აუზი და სხვ.) — წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად და სხვ.

ანტიკოროზიული ჰ-ის დანიშნულებაა ნაგებობათა მასალის დაცვა ქიმიურად აგრესიული სითხეებისა და წყლის ზემოქმედებისაგან (მინერალიზებული გრუნტის წყლები, ზღვის წყალი, ჩამდინარე წყალი), ატმოსფერული აგრესიული ზემოქმედებისა (ლითონის კონსტრუქციები) და მოხეტიალე დენებით გამოწვეული ელექტროკოროზიისაგან (მილსადენები, ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენები და სხვა მიწისქვეშა ლითონის კონსტრუქციები).

გამოყენებული მასალის მიხედვით ჰ. შეიძლება იყოს ასფალტის, მინერალური, პოლიმერული და ლითონისა (იხ. ჰიდროიზოლაციური მასალა). ჰ. სრულდება შეღებვის, შელესვის, დაწებების, ჩამოსხმის, გაჟღენთვის, ინექციის, ამოვსებისა



ჰიდროიზოლაცია. მიწისქვეშა ნაგებობათა ჰიდროიზოლაციის კონსტრუქცია: ა—წყლის ცალმხრივი დაწნევის დროს (შენობის სარდაფი); ბ—წყლის ორმხრივი დაწნევის დროს (მიწისქვეშა არხი); 1—მზიდი კონსტრუქცია; 2—ზედაპირული ჰიდროიზოლაცია, 3—ბეტონის ფენა; 4—დეფორმაციული ნაკერის შემჭიდროება; 5—წყლის დაწნევის ფრონტი; 6—წყლის ჰორიზონტი

და დამონტაჟების ხერხით. დანიშნულებისა და კონსტრ. თავისებურებათა მიხედვით, ჰ. არის ზედაპირული, სიღრმეული, ნაკერებისა და შეუღლებათა შემამჭიდროებელი, კომპლ. დანიშნულების (თბო- და ჰიდროიზოლაცია, პლასტიკური კომპენსატორები) და სხვ. ჰ-ის ტიპის შერჩევისას თანაბარი საიმედოობისა და ღირებულების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმას, რ-იც უზრუნველყოფს სამუშაოთა წარმოების კომპლ. მექანიზაციას და გამორიცხავს მათი წარმოების სეზონურობას.

ლიტ.: Бовин Г. П., Возведение гидроизоляционных сооружений из бетона и железобетона, М., 1969; Нечаев Г. А., Гидроизоляционные работы в энергетике, Л., 1974.
ე. მატბუხაშვილი.

**ჰიდროიზოლაციური მასალა**, დამცავი მასალა, რ-ის დანიშნულებაა სამშენებლო კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა წყლისა და ქიმიურად აგრესიული სითხეების (მჟავა, ტუტე და სხვ.) მავნე ზემოქმედებისაგან. დანიშნულების მიხედვით ჰ. მ. არის ანტიფილტრაციული, ანტიკოროზიული და მაჰერმეტიზებელი. მასალის სახეობის მიხედვით — ასფალტის, მინერალური, პოლიმერული და ლითონისა. ასფალტის ჰ. მ-ს იყენებენ ნავთობის ბიტუმების სახით (ასფალტის მასტიკები, ხსნარები, ბეტონები) ნაგებობათა ზედაპირების შესაღებად და შესალესად. მინერალურ ჰ. მ-ს ამზადებენ ცემენტის, თიხისა და სხვა მინერალური შემკვრელების ფუძეზე, იყენებენ შესაღებად (ცემენტის და სილიკატურ საღებავს) და შესალესი სამუშაოებისათვის. პოლიმერულ ჰ. მ-ს (პოლივინილის, ეპოქსიდის საღებავები, პოლიეთილენქლოროპრენის აფსკები და სხვ.) იყენებენ შესაღებად, შესალესი და შესაწებებელი სამუშაოებისათვის, ხოლო ლითონის ჰ. მ-ს თითბრის, სპილენძის, ტყვიის, უჟანგავი ფოლადისა და სხვათა ფურცლების სახით ზედაპირული ჰიდროიზოლაციისა და დეფორმაციული ნაკერების შესამჭიდროებლად (რეზერვუარებში, კაშხლებში და სხვ.)

**ჰიდროკარბონატები**, ბიკარბონატები, ნახშირმჟავას $H_2CO_3$ მჟავა მარილები. მაგ., ნატრიუმჰიდროკარბონატი (იხ. სოდა), კალიუმჰიდროკარბონატი $KHCO_3$, კალციუმჰიდროკარბონატი $Ca(HCO_3)_2$ და სხვ.

**ჰიდროკვანძი**, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კვანძი, იმ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ჯგუფი, რ-ებიც გაერთიანებულია განლაგებისა და მუშაობის საერთო პირობების მიხედვით. დანიშნულების მიხედვით ჰ. შეიძლება იყოს ენერგეტიკული, ირიგაციული, წყლის ტრანსპორტისა და სხვ. უმეტეს შემთხვევაში ჰ. კომპლექსური დანიშნულებისაა — ერთდროულად ემსახურება რამდენიმე მიზანს.

ჰ. არის დაბალდაწნევიანი, როცა ზედა და ქვედა ბიეფების დონეთა სხვაობა (დაწნევა) 10 მ-მდეა, საშუალოდაწნევიანი (დაწნევა 10—40 მ) და მაღალდაწნევიანი (დაწნევა 40 მ-ს აღემატება); საშუალო და მაღალდაწნევიანი ჰ-ებით ქმნიან წყალსაცავებს, რ-თაც მეტწილად არეგულირებენ დღეღამურ, სეზონურ, მრავალწლიურ ჩამონადენს.

ჰ-ის შემადგენლობაში შემავალი ნაგებობები იყოფა ძირითად და დამხმარე ნაგებობებად: ძირითადი ნაგებობები უზრუნველყოფენ ჰ-ის ნორმალურ მუშაობას და, თავის მხრივ, შედგებიან საერთო ნაგებობებისაგან (კაშხალები, წყალსაგდებები, სარეგულაციო, ყინულის, თევზის, ნატანის გამტარი ნაგებობები), რ-ებიც უზრუნველყოფენ საჭირო დაწნევას, წყალსაცავის ტევადობას, მდინარის შეცვლილი ჰიდროლოგიური რეჟიმის შესაბამის ჰიდრავლ. პირობებს, და სპეც. ნაგებობებისაგან (ჰესი, გემთსავალი რაბები, თევზსავალ-გამტარები, ხეტყის გამტარები და სხვ.), რ-ებიც უზრუნველყოფენ ჰ-ის მთავარ ფუნქციას.

დამხმარე ნაგებობებია: საცხოვრ., ადმ.-სამეურნეო და კულტ.-საყოფაცხოვრებო შენობები, წყალსადენისა და კანალიზაციის ნაგებობები, გზები და დროებითი ნაგებობები (ზღუდარები, სამშენებლო მასალის საწყობები, ბეტონისა და არმატურის ქ-ნები, სახელოსნოები და სხვ.), რ-ებიც ძირითადად ფუნქციონირებენ ჰ-ის მშენებლობის პერიოდში. ჰ-ის ან ნაგებობათა განლაგების ადგილს, რ-ებიც საჭირო ფრონტს ქმნიან, უწოდებენ ნაგებობათა განსწორს. ჰ-ის ნაგებობათა ურთიერთგანლაგებას გაერთმთლიანება ეწოდება და იგი რთული საინჟინრო ამოცანას წარმოადგენს. წყალსამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის გარდა, ჰ. უნდა აკმაყოფილებდეს ესთეტ. მოთხოვნებს.

ლიტ.: იხ. სტ-იან ჰიდროტექნიკური ნაგებობანი.
გ. მაზრაძე.

**ჰიდროლაზები**, ფერმენტების კლასი, რ-იც წარმოადგენს შიდამოლეკულური კავშირების ჰიდროლიზური (წყლის თანაობით) დაშლის (ჰიდროლიზის) კატალიზატორს. ჰ. მონაწილეობენ ცილების, ნუკლეინის მჟავების, ნახშირწყლების, ლიპიდებისა და სხვა ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნივთიერებების ცვლის პროცესში. თავისი ბუნებით ჰ. მარტივი ცილებია. მათი კატალიზური აქტივობის გამოსავლენად აუცილებელია სულფჰიდრილური (SH) ჯგუფის არსებობა. მთელი რიგი ჰ. (ურეაზა, პეფსინი, ტრიფსინი, ქიმოტრიფსინი და სხვ.) მიღებულია კრისტალების სახით.

**ჰიდროლიზი** (ჰიდრო... და ...ლიზი), იონური მიმოცვლის რეაქცია სხვადასხვა ნივთიერებისა და წყალს შორის. მარილების ჰ-ის პროცესში რეაქციათა წონასწორობა ემორჩილება მოქმედ მასათა კანონს. თუ ჰ-ის შედეგად წარმოიქმნება უხსნადი ან ადვილად აქროლადი ნაერთი, ჰ. მიმდინარეობს საწყისი მარილის თითქმის სრულ დაშლამდე. სხვა შემთხვევაში კი მარილების ჰ. მით უფრო სრულად მიმდინარეობს, რაც უფრო სუსტია მარილების შესაბამისი მჟავა ან ფუძე.

ორგანულ ნივთიერებათა ჰ., ორგ. ნივთიერებათა გახლეჩა წყლის მოქმედებით, რის შედეგადაც ორი ან მეტი ნივთიერება მიიღება. ასეთი ჰ. მიმდინარეობს უმეტესად მჟავების (მჟავე ჰ.) ან ფუძეების (ფუძე ჰ.) თანაობისას. ჰ-ის საშუალებით იღებენ მრავალ ორგ. ნაერთს.

**ჰიდროლიმფა** (ჰიდრო... და ლიმფა), სითხე, რ-იც მიმოიქცევა ზოგი ნაწლავღრუიანი ცხოველის გასტროვასკულური სისტემის არხებში. ჰ. უჯრედებსა და ქსოვილებს აწვდის საკვებ ნივთიერებებს, იქიდან კი გამოაქვს მათი ცვლის პროდუქტები. ჰ-ის შემადგენლობა ცვალებადია.

**ჰიდროლოგია** (ჰიდრო... და ...ლოგია), მეცნიერება ჰიდროსფეროს შესახებ, რ-იც შეისწავლის ბუნებრივი წყლების დინამიკას და გეოგრაფიულ გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულებას. ჰ. მიეკუთვნება გეოგრ. მეცნიერებათა ციკლს, მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოფიზ., გეოლ., ბიოლ., ტექ. და ჰიდრავლიკის შესაბამის დარგებთან (ჰიდროფიზიკა, ჰიდროქიმია, ჰიდროგეოლოგია, ჰიდრობიოლოგია, ჰიდროტექნიკა და სხვ.). საკვლევი ობიექტების ხასიათის მიხედვით ჰ. იყოფა ოკეანოლოგიად (ზღვის ჰ.), ხმელეთის ჰიდროლოგიად (საკუთრივ ჰ. ან უფრო ზუსტად ხმელეთის ზედაპირული წყლების ჰ.) და ჰიდროგეოლოგიად (მიწისქვეშა წყლის ჰ.)

ჰ-ის თეორიული ამოცანებია. ბუნებაში წყლის ბრუნვის პროცესისა და მასზე ადამიანის ზეგავლენის შესწავლა, ჰიდროლოგიური ელემენტების (წყლის დონე, ჩამონადენი, ტემპ-რა, ქიმ. შედგენილობა და სხვ.) ანალიზი დროსა და სივრცეში ცალკეული ტერიტორიებისა და მთლიანად დედამიწისათვის; ამ ელემენტების ცვალებადობის კანონზომიერებათა გამოვლინება. ჰ-ის ძირითადი პრაქტ. ამოცანებია. წყლის რესურსების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, მათი მომავლის პროგნოზირება, რაციონალური გამოყენების ვარიანტების განსაზღვრა და დაცვის ღონისძიებების დამუშავება.

ჰ., როგორც ცოდნის მეცნ. სისტემა, ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში. ჰ-ის, როგორც მეცნ. დარგის, პირველი განსაზღვრა ეკუთვნის ვ. გლუშკოვს (1915). თანამედროვე ჰ. ფართოდ იყენებს გეოგრ., გეოფიზ. და სხვა მეცნ. მეთოდებს, სულ უფრო იზრდება მათ. მეთოდების როლი. საქართველოში განვითარდა და აღიარება მოიპოვა მთიანი ქვეყნებისა და კარსტის ჰ-მ, რაც განაპირობა ამ რეგიონების ბუნებრ. სპეციფიკამ.

ლიტ.: Гигинейшвили Г. Н., Предмет, структура и задачи гидрологии карста, «Известия АН СССР. Серия географическая», 1978, № 6; Глушков В. Г., Вопросы теории и методы гидрологических исследований, М., 1961; Давыдов Л. К., Дмитриева А. А., Конкина Н. Г., Общая гидрология, 2 изд., Л., 1973.

ლ. ვლადიმიროვი,
გ. გიგინეიშვილი.

**ჰიდროლოგია კარსტისა**, ხმელეთის ჰიდროლოგიის ნაწილი, რ-იც შეისწავლის კარსტული წყლების ჩამოყალიბებას და დინამიკას, კარსტის გავლენას მდინარის ჩამონადენზე, რეჟიმსა და წყლის ბალანსზე. კარსტის ჰ. შეიქმნა და განვითარდა ჰიდროლ., ჰიდროგეოლოგიისა და კარსტმცოდნეობის მიჯნაზე. კარსტის ჰ-ის ძირითადი პრობლემებია: ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ურთიერთქმედება კარსტულ მხარეში, კარსტული წყლების რეჟიმი, კარსტის ჰიდროლ. როლი და კარსტული წარმოების წყლის ბალანსი, კარსტული წყლების რესურსები, მათი გამოყენება და დაცვა.

ლიტ.: Гигинейшвили Г. Н., Предмет, структура и задачи гидрологии карста, «Известия АН СССР. Сер. географическая», 1978, № 6, Кикнадзе Т. З., Карстовые воды Большого Кавказа и основные проблемы гидрологии карста, Тб., 1979.

გ. გიგინეიშვილი.

**ჰიდროლოგიური რუკა**, რუკა, რ-იც ასახავს წყლის განაწილებას ხმელეთის ზედაპირზე. წყლის ობიექტების რეჟიმი და საწყალობა გვაძლევს შეფასების ხმელეთის ცალკეული ნაწილების წყლის რესურსები. ჰ. რ-ებს მიეკუთვნება: მდ-თა ქსელისა და მისი სიხშირის, ტბიანობის, ჩამონადენისა და მისი რეჟიმის, მდ-თა საზრდოობის წყაროების, წყლის რეჟიმის, წყლის სიმღვრივის, წყლის ობიექტების მინერალიზაციისა და ქიმ. შედგენილობის, წყლის ბალანსის ელემენტების, ხმელეთისა და წყლის ზედაპირიდან აორთქლების, ჩამონადენის კოეფიციენტის, ჰიდროლ. დარაიონების, წყლის რესურსების თანამედროვე და პერსპექტიული გამოყენების რუკები. არსებობს აგრეთვე სპეც. დანიშნულების რუკები (წყალდიდობის, მდ-თა დაშრობის, გაყინვისა და სხვ.). ჰ. რ-ებს შორის ძირითადია ჩამონადენის (მაქს., საშ., მინ.) რუკები. წყლის რესურსების ტერიტ. შეფასებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშ. მრავალწლიური ჩამონადენის (ნორმის) განაწილების რუკა. ცალკეული მდინარის ჩამონადენი (წყლიანობა) რუკაზე აღინიშნება მასშტაბში გამოხატული ზოლით, რ-ის სიგანე მეტყველებს ჩამონადენის იდენტობაზე მდინარის სხვადასხვა კვეთში. ჩამონადენის ტერიტ. განაწილებას კარგად გამოხატავს ჩამონადენის მოდულის (ლ/წმ კმ²) და ჩამონადენის ფენის (მმ წელიწადში, თვეში, სეზონში) რუკები ტერიტ. სპეც. ჰიდრომეტეოროლ. შესწავლის პირობებში ჰ. რ. წარმოადგენს ყველაზე უფრო სარწმუნო წყაროს მისი წყლის რესურსების შესახებ. „საქართველოს სსრ ატლასში" (მოსკ.—თბ., 1964) შეტანილია ჰ. რ-ების სერია, რ-ის ავტორები არიან ი. ანჯაფარიძე, მ. გიგოშვილი, ლ. ვლადიმიროვი, გ. ხმალაძე.

გ. გიგინეიშვილი.

**ჰიდროლოგიური საგუშაგო**, 1. სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის დაწესებულება, სადაც აწარმოებენ დაკვირვებას და შეისწავლიან წყლის ობიექტების ტერიტ. ჰიდროლ. რეჟიმს (მდ-ებზე — წყლის დონეს, წყლის ხარჯს, წყლის ტემპ-რას, დინების სიჩქარეს, სიმღვრივეს, ყინულის რეჟიმსა და სხვ.). ჰ. ს-ს აქვს სათანადო მოწყობილობანი და ხელსაწყოებით აღჭურვილი დაკვირვების პუნქტები (საგუშაგოები). 2. ზღვის (ტბის) ამა თუ იმ წერტილში (ცნობილი კოორდინატებით) მდებარე პუნქტი, სადაც გემიდან ტარდება ჰიდროლ. დაკვირვებათა სერია.

**ჰიდროლოგიური წელი**, ჰიდროლოგიური პროცესების განვითარების წლიური ციკლი. ამ ციკლის საწყისად ზომიერი ჰავის პირობებში (მაგ., სსრკ-ში) მიჩნეულია შემოდგომა (1 ოქტ. ან 1 ნოემბერი) — პერიოდი, როდესაც მდ-ების აუზებში დაგროვილი ტენის მარაგი ილევა ან უმნიშვნელოდ მცირდება. ჰ. წ. შემოღებულია მდინარის ჩამონადენისა და ატმ. ნალექების შორის უკეთესი შესაბამისობის მისაღწევად, რადგანაც კალენდარული წლის ბოლოს თოვლის სახით მოსული ნალექები ჩამონადენს ქმნიან არა იმავე წელს, არამედ მომდევნო წლის გაზაფხულზე. ჰიდროლ. მასალის სტანდარტული დამუშავება და პუბლიკაცია სსრკ-ში კალენდარული წლების მიხედვით ხდება.

**ჰიდროლოკატორი** (ჰიდრო... და ლოკატორი), ჰიდროლოკაციური სადგური, ბგერითი სიგნალებით წყალქვეშა ობიექტების (წყალქვეშა ნავის, ჩაძირული გემის, თევზების გუნდის და სხვ.) მდებარეობის აღმომჩენი მოწყობილობა. ობიექტამდე მანძილს განსაზღვრავენ იმ დროის მიხედვით, რ-იც საჭიროა გამოსხივებული ბგერითი იმპულსის ობიექტამდე მისასვლელად და მისგან არეკლილის მიღებამდე უკან (ბგერითი რხევების მიმღებამდე — ჰიდროფონამდე) დასაბრუნებლად.



ჰიდროლოკატორი. ჰიდროლოკატორის მოქმედების პრინციპული სქემა: 1—გამომსხივებელი; 2—მიმღები, 3—ობიექტი

**ჰიდროლოკაცია** (ჰიდრო... და ლათ. locatio — განლაგება), წყალქვეშა ობიექტების მდებარეობის განსაზღვრა ბგერითი სიგნალების საშუალებით. ბგერით სიგნალებს გამოასხივებს თვით ობიექტი (პასიური ლოკაცია) ან წარმოიქმნება ხელოვნურად შექმნილი ბგერითი სიგნალების ობიექტიდან არეკვლის შედეგად (აქტიური ლოკაცია). ჰ-ს ფართოდ იყენებენ ნაოსნობაში უპირატესად წყალქვეშა დაბრკოლებათა აღმოსაჩენად, თევზჭერის დროს, ოკეანოლოგიაში ჩაძირული გემების აღმოსაჩენად და ა. შ., აგრეთვე სამხ. საქმეში წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა ხომალდების აღმოსაჩენად, ობიექტის კოორდინატების დასადგენად ტორპედული და რაკეტული იარაღის გამოყენების დროს.

პასიური ლოკაციის (ხმაურპელენგაციის) დროს ხმაურპელენგატორის მეშვეობით ადგენენ მიმართულებას ხმოვანი სიგნალების გამომსხივებელ ობიექტამდე (ობიექტის პელენგი). ამ მიზნით მახვილად მიმართულ აკუსტიკურ ანტენას იმ კუთხით მოაბრუნებენ, სანამ მიღებულ სიგნალს ექნება მაქს. ინტენსივობა, ან დროის ზომავენ სივრცეში განლაგებული ორი ანტენის მიერ მიღებულ სიგნალებს შორის ფაზათა სხვაობას (ფაზური მეთოდი) ან ანტენების მიერ სიგნალების მიღების დროთა სხვაობას (კორელაციური მეთოდი). შესაძლებელია აგრეთვე ამ მეთოდების კომბინირებული გამოყენება. ჰ-ის პასიურ სისტემებს იყენებენ უმთავრესად წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა ხომალდებზე, აგრეთვე ზღვაში სპეციალურად ჩაძირულ ან მოტივტივე კონტეინერებზე, რ-ებიც წყალქვეშა კაბელებით შეერთებულია სანაპირო დამკვირვებელ პუნქტებთან, სადაც ხდება მიღებული სიგნალების დამუშავება და ხმაურიანი ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

აქტიური ჰ-ის სისტემები დამყარებულია ბგერითი ექოს მოვლენაზე და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოგზავნილი სიგნალის დროის მოდულაციის მეთოდებითა და სივრცის მიმოხილვის ხერხებით. ობიექტის სიშორის დასადგენად სარგებლობენ სიგნალის იმპულსური, სიხშირული და ხმაურის მოდულაციით.

**ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური** (ჰაეს), ჰიდროელექტროსადგური, რ-ის მოქმედების პრინციპი (აკუმულირება) ემყარება სხვა ელექტროსადგურებიდან მიღებული ელექტრული ენერგიის გარდაქმნას წყლის პოტენციურ ენერგიად, უკუგარდაქმნის დროს დაგროვილი ენერგია გაიცემა ენერგოსისტემაში უმთავრესად პიკური დატვირთვის დასაფარავად ჰაეს-ის ჰიდროტექ. ნაგებობა (ნახ.) შედგება სხვადასხვა დონეზე განლაგებული 2 აუზისა და შემაერთებელი მილსადენისაგან მილსადენის ქვედა ბოლოში ჰაეს-ის შენობაში დაყენებული ჰიდროაგრეგატები შეიძლება იყოს სამმანქანიანი — ერთი ლილვით დაკავშირებული შექცევადი ელექტრული მანქანა (ძრავა-გენერატორი), ჰიდრავლ. ტურბინა და ტუმბო ან ორმანქანიანი — შექცევადი ელექტრომანქანა და შექცევადი ჰიდრომანქანა, რ-მაც ბრუნვის მიმართულების მიხედვით შეიძლება იმუშაოს როგორც ტუმბომ ან როგორც ტურბინამ. ენერგოსისტემის დატვირთვის შემცირებისას (უმთავრესად ღამე) ჰაეს ტუმბოების საშუალებით იღებს წყალს ქვედა აუზიდან და გადატუმბავს ზედა მააკუმულირებელ აუზში. პიკური დატვირთვის პერიოდში წყალი ზედა აუზიდან მილსადენით მიეწოდება გენერატორების რეჟიმით მომუშავე ჰაეს-ის აგრეგატებს. აკუმულირებული ენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია აუზების ტევადობასა და ჰაეს-ის დაწნევაზე.



ჰიდრომედუზა Hydromedusa tectifera

**ჰიდრომედუზა** (Hydromedusa), 1. ქვეწარმავლების გვარი გველკისერა კუსებრთა ოჯახისა. აქვთ ზურგის ფარზე გრძელი კისერი, წინა ფეხზე 4 ბრჭყალი. ფარის სიგრძე 30 სმ არ აღემატება. გვარში 2 სახეობაა, გავრცელებულია სამხრ. ამერ. მტკნარ წყალსატევებში. იკვებება წვრილი თევზებით. 2. ჰიდროიდულთა კლასის ზოგი ნაწლავღრუიანის მედუზისებური ინდივიდები.

**ჰიდრომეტალურგია** (ჰიდრო... და მეტალურგია), მადნებიდან, კონცენტრატებიდან და სხვადასხვა წარმოების ნარჩენებიდან ქიმ. რეაგენტების წყალხსნარებით ლითონების ამოღება და მათი გამოყოფა ამ ხსნარებიდან. ჰიდრომეტალ. პროცესებით მადნებიდან ლითონების ამოღების შესაძლებლობაზე მიუთითებდა



ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის (ჰაეს) სქემა. ა—ვერტიკალური ჭრილი; ბ—გეგმა; 1—ზედა მააკუმულირებელი აუზი; 2—წყალმიმღები; 3—სადაწნეო წყალსატარი; 4—ელექტროსადგურის შენობა, 5—ქვედა წყალსაცავი; 6—კაშხალი წყალსაგდებითურთ; 7—წყლის ნორმალური დონე; 8—ამოშრობის დონე



ჰიდროსტატი სამუშაო კამერა რკ-680 (სსრკ).




ჰიდროსტატიკური აწონა. მასობრივი გაზომვების დროს უპირატესად იყენებენ ნაკლებად ზუსტ, მაგრამ უფრო მეტად სწრაფმოქმედ საკეცილურ ჰიდროსტატიკურ სასწორს, მაგალითად, მორის სასწორს (მისი კონსტრუქცია შეიმუშავა გერმანელმა ქიმიკოსმა კ. ფ. მორმა 1849) ნახაზზე გამოსახულია ჰიდროსტატიკური სასწორი „ვგ-1" (მორი-ვესტფალის სასწორი): 1—არატოლმხრივი მხრეული; 2—სკალა საწონისათვის განკვეთილი ჭრილებით; 3—უძრავი საპირწონე; 4—წონასწორობის მაჩვენებლის სკალა; 5—მინის ტივტივა; 6—საწონ-რაიდერები (მხრეულის საწონები); 7—სითხიანი ჭურჭელი; 8—თერმომეტრი; 9—ორმაგი ფინჯანი მყარ სხეულთა მოსათავსებლად (ზედა ა—მთლიანი, ქვედა ბ—ნახვრეტებიანი, მას წყალში უშვებენ)

ბის სიღრმეკ 300 მ. უფრო დიდ სიღრმეზე სამუშაოების ჩასატარებლად ბათისკაფს იყენებენ.

**ჰიდროსტატიკა** (*ჰიდრო... და სტატიკა*), *ჰიდრომექანიკის* ქვედარგი, რ-იც შეისწავლის სითხის წონასწორობას და უძრავი სითხის მოქმედებას მასში ჩაძირულ სხეულზე. იდეალურსა და რეალურ სითხეებს შორის განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ მათი მოძრაობისას, ამიტომ ჰ-ის შედეგები ერთნაირად მართებულია როგორც იდეალური, ისე ბლანტი სითხისა და აირისათვის. ჰ. განიხილავს იმ ამოცანებსაც, რ-ებშიც შეისწავლება წყლისა და ჰაერის წონასწორობის პირობები ოკეანეებში, ზღვებსა და ატმოსფეროში და ა. შ. ჰ-ის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სითხეში წნევის განაწილების დადგენა, რაც საშუალებას გვაძლევს ჰ-ის კანონებზე დაყრდნობით გავიანგარიშოთ უძრავ სითხეში ჩაძირულ სხეულზე ამ სითხის მხრიდან მოქმედი ძალები (მაგ., ჭურჭლის ფსკერსა და კედლებზე, კაშხალის კედლებზე, გემზე, წყალქვეშა ნავსა და აეროსტატზე მოქმედი ძალები). სითხის წონასწორობის განტოლებაა: $\rho F = \mathrm{grad}\, p$, სადაც $\rho$ არის სითხის სიმკვრივე, $F$ მასური ძალა, $p$ — წნევა. სითხე გარე მასური ძალის გავლენით მოქმედი წონასწორობაში რომ იყოს, აუცილებელია ეს ძალა აკმაყოფილებდეს პირობას: $(F\ \mathrm{rot}\ F) = 0$. თავისუფალი უწონო სითხის შემთხვევაში მართებულია *პასკალის კანონი*. თუ უძრავ წონად სითხეს აქვს თავისუფალი ზედაპირი, რ-ის ყოველ წერტილში გარე წნევა $p_0$ მუდმივია, მაშინ სითხის წნევა $h$ სიღრმეზე $p=p_0+\rho g h$, სადაც $g$ არის სიმძიმის ძალის აჩქარება.

ჰ-ის ერთ-ერთი ძირითადი კანონია *არქიმედეს კანონი*. ჰ. საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ჰიდროტექ. ნაგებობათა და გემების სიმტკიცე, გამოვარკვიოთ მცურავი სხეულის მდგრადობის აუცილებელი პირობები და სხვ.

ლიტ.: ლოიციანსკი ლ., ჰიდროაერომექანიკა, თბ., 1966; ჭილაშვილი ვ., თეორიული ფიზიკა, ტ. 2 — ჰიდრომექანიკა, თბ., 1979; Кочин Н. Е., Кибель И. А., Розе Н. В., Теоретическая гидромеханика, 6 изд., ч. 1, М., 1963.

**ჰიდროსტატიკური აწონა,** სითხისა და მყარი სხეულის სიმკვრივის გაზომვის მეთოდი, რ-იც *არქიმედეს კანონს* ემყარება. მყარი სხეულის სიმკვრივეს ადგენენ მისი ორჯერადი აწონით: წონიან ჯერ ჰაერში, შემდეგ კი — სითხეში, რ-ის სიმკვრივე ცნობილია (ჩვეულებრივ, გამოხდილ წყალში). პირველი აწონის დროს ადგენენ სხეულის მასას, ხოლო ორივე აწონის სხვაობის მიხედვით — სხეულის მოცულობას. სითხის სიმკვრივის გაზომვის დროს მასში წონიან რომელიმე ისეთ სხეულს (ჩვეულებრივ, მინის ტივტივას), რ-ის მასა და მოცულობა ცნობილია. ჰ. ა. საჭირო სიზუსტის მიხედვით ხორციელდება ტექ., ანალიზურ ან სანიმუშო სასწორზე (იხ. სურ.).

**ჰიდროსულფატები,** ბისულფატები, *გოგირდმჟავას* $H_2SO_4$ მჟავა მარილები, მაგ., კალიუმჰიდროსულფატი $KHSO_4$, ნატრიუმჰიდროსულფატი $NaHSO_4$ და სხვ.

**ჰიდროსულფიდები,** *გოგირდწყალბადის* $H_2S$ მჟავა მარილები მაგ., კალიუმჰიდროსულფიდი $KHS$, ნატრიუმჰიდროსულფიდი $NaHS$ და სხვ.

**ჰიდროსულფიტები,** ბისულფიტები, *გოგირდოვანმჟავას* $H_2SO_3$ მჟავა მარილები. მაგ., კალიუმჰიდროსულფიტი $KHSO_3$, ნატრიუმჰიდროსულფიტი $NaHSO_3$, კალციუმჰიდროსულფიტი $Ca(HSO_3)_2$ და სხვ.

**ჰიდროსფერო** (*ჰიდრო... და სფერო*), დედამიწის წყლის გარსი, რ-იც წყვეტილად არის განლაგებული ატმოსფეროსა და დედამიწის ქერქს შორის; წარმოადგენს ოკეანეების, ზღვებისა და ხმელეთის ზედაპირული წყლების ერთობლიობას. ფართო გაგებით, მოიცავს აგრეთვე მიწისქვეშა წყლებს, არქტიკისა და ანტარქტიკის ყინულსა და თოვლს, აგრეთვე ატმოსფეროში და ცოცხალ ორგანიზმებში მყოფ წყალს. ჰ-ს საშ. ქიმ. შედგენილობა უახლოვდება ზღვის წყლის საშ. ქიმ. შედგენილობას. ჰ-ს წყალი მუდმივად ურთიერთქმედებს ატმოსფეროსთან, დედამიწის ქერქთან და ბიოსფეროსთან.

**ჰიდროტაქსისი** (*ჰიდრო...* და ბერძ. taxis — განლაგება, წესრიგი), თავისუფლად მოძრავი ერთუჯრედიანი და კოლონიური მცენარეების, აგრეთვე ზოგიერთი უხერხემლო ცხოველის გადაადგილება ნაკლებად ტენიანი ადგილიდან შედარებით ტენიანისაკენ (დადებითი ჰ.) ანდა ტენიანი ადგილიდან — უფრო მშრალისაკენ (უარყოფითი ჰ.).

**ჰიდროტექნიკა** (*ჰიდრო... და ტექნიკა*), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რ-იც შეისწავლის წყლის რესურსებს, მათ სამეურნეო გამოყენებას, დაცვასა და წყლის მავნე მოქმედებასთან ბრძოლის მეთოდებს საინჟინრო ნაგებობების (იხ. *ჰიდროტექნიკური ნაგებობები*) საშუალებით. ჰ-ის ძირითადი მიმართულებებია: წყლის ენერგიის გამოყენება (იხ. *ჰიდროენერგეტიკა*), ნაოსნობისა და ხე-ტყის დაცურების უზრუნველყოფა, სას.-სამ. სავარგულების მორწყვა, გაწყლოვანება და დაშრობა, კომუნალური და სამრეწველო წყალმომარაგება, დასახლებული პუნქტებისა და სამეურნეო ობიექტების დაცვა წყლის სტიქიის მავნე ზემოქმედებისაგან, თევზის მეურნეობისათვის საჭირო პირობების შექმნა და სხვ.; ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან წყლის რესურსების გამოყენება უპირატესად კომპლექსურია (მაგ., ვოლგა-დონის ჰიდროკომპლექსი, ჟინვალის ჰიდროკვანძი და სხვ.). ჰ. გამოყენებითი მეცნიერებაა და ეყრდნობა მეცნიერების სხვა დარგებს — ჰიდროლოგიას, ჰიდრომექანიკას, ჰიდრავლიკას, საინჟინრო გეოლოგიას, ჰიდროგეოლოგიას, გრუნტების მექანიკას, სამშენებლო მექანიკას, დრეკადობის თეორიას და სხვ. ჰ-ის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: კალაპოტსა და ჰიდროტექ. ნაგებობებზე წყლის ნაკადის ზემოქმედების შესწავლა, ჰიდროტექ. ნაგებობათა მდგრადობისა და საიმედოობის განსაზღვრა, მდინარეთა ჩამონადენის რეგულირება, ნაგებობებსა და მათ ფუძეებში წყლის ფილტრაციის კვლევა და სხვ. ჰ-ის თეორ. პრობლემების შესწავლის საფუძველზე მუშავდება ჰიდროტექ. ნაგებობათა გაანგარიშებისა და კონსტრუირების მეთოდები, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხერხები თეორ. კვლევებთან ერთად ჰ-ის მრავალი საკითხი წყდება ექსპერ. გზით, ლაბორ. მოდელირებისა და ნატურული კვლევის მეშვეობით.

ჰ. მეცნიერებისა და ტექ. ერთ-ერთი უძველესი დარგია. ჯერ კიდევ 6400 წლის წინ ეგვიპტეში აშენებდნენ სარწყავ არხებსა და ჯებირებს მდ. ნილოსზე, ბაბილონში ძვ. წ. 4—3 ათასწლეულში ქ-ებში არსებობდა წყალსადენები და არტეზიული ჭები ცნობილია ჰიდროტექ. ნაგებობები ძვ. ხვარაზმში (ძვ. წ. VIII—VI სს.), ანტ. ხანის საქართველოსა და სომხეთში აგებდნენ სარწყავ არხებს. უფრო გვიანდ. პერიოდში მეფე ვახტანგ გორგასალს (V ს.) მიაწერენ რუსთავის მიდამოებში სარწყავი არხის მოწყობას, რ-იც ცნობილია „მეფის არხის" სახელწოდებით. XII ს-ში აიგო 120 კმ სიგრძის ალაზნის მაგისტრ. არხი.

რუსეთში ჰ-მ აღმავლობა განიცადა XVII—XVIII სს-ში. ამ პერიოდში აგებული იყო 200 მეტი კაშხალი და ჰიდროდანადგარი ურალზე, ალთაის მხარეში და სხვ., გაყვანილი იყო სანაოსნო არხები, რ-ებიც აკავშირებდნენ ვოლგის აუზს ბალტიის ზღვასთან. ჰ. სწრაფად განვითარდა დიდი ოქტ. სოციალ. რევ. შემდეგ, „გოელრო"-ს გეგმის შესაბამისად. XX ს. 20-იან წლებში აშენდა პირველი მსხვილი ჰიდროსადგურები, მ. შ. ზემო ავჭალის ჰესი, ჩატარდა ფართო კვლევითი სამუშაოები კალაპოტებისა და ნაგებობათა ჰიდრავლიკის, ნატანის გადაადგილების თეორიისა და კალაპოტების ეროზიის, ჰიდროტექ. ნაგებობებში ფილტრაციის, ჰიდროტექ. და მელიორაციული ნაგებობების გაანგარიშების საკითხებში (ნ. პავლოვსკი, მ. ჩერტოუსოვი, ა. ახუტინი, მ. ველიკანოვი, ე. ზამარინი, ნ. გერსევანოვი, ბ. გალიორკინი, ს. აგროსკინი და სხვ.). საბჭოთა ჰ-ის სკოლამ მოიპოვა მსოფლიო აღიარება.

საქართველოში ჰ-ის საკითხების დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ბ. ჭიჭინაძეს, ა. ჩიქოვანს, პ. მამრაძეს, გ. ჯაფიას, ე. ჯიქიას, მ. მოსტკოვს, ბ. შენგელიას, გ. ჯიშმულიშვილს, ა. ჯაფარიშვილს, ა. ლოსაბერიძეს, ნ. დანელიას, გ. არსენიშვილს, თ. გაგელიას და სხვ. საქართველოში აგებულია უნიკალური ჰიდროკომპლექსები (მდ. ენგურზე, რიონზე, ხრამზე; სამგორისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემები და სხვ.). განუხრელად იზრდება სსრკ-ში წყლის რესურსების გამოყენების მასშტაბები. მიმდინარეობს ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიის მდინარეთა ათვისება, წარმოებს დიდი სამელიორაციო მშენებლობა.

საქ. სსრ-ში ჰ-ის პრობლემებზე მუშაობენ საქართვ. ენერგეტიკისა და ჰიდროტექ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, საქართვ. ჰიდროტექ. და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი და სხვ.

ლიტ.: Берг В. А., Основы гидротехники, Л., 1965.

ფ. შატბერაშვილი.

**ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** სსრკ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსი, დაარსდა 1929 თბილისში. კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა მიწების საინჟინრო მელიორაციისა და წყალთასამეურნეო მშენებლობის პრობლემატიკა. მ. შ. მლაშობი ნიადაგების გაუმარილების ტექნოლოგია, კოლხეთის დაჭაობებული ნიადაგების დაშრობა-ათვისება, წყლისმიერი ეროზიის, წყალდიდობებისა და ღვარცოფების პროგნოზირება და მათთან ბრძოლის ხერხები, მდინარეთა კალაპოტების მდგრადობის საკითხები და სხვ. ინ-ტში 4 განყ-ბა და 20 სექტორია; აქვს საველე სტაციონარები ალაზანზე, სამგორში, ქართლში, კოლხეთში, არაგვის აუზში. ინ-ტში არის ასპირანტურა. რეგულარულად გამოსცემს სამეცნ. შრომების კრებულს.

ფ. შატბერაშვილი.

**ჰიდროტექნიკის ინსტიტუტი** საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ბ. ვედენეევის სახელობისა (ვსკჰი), დაარსდა 1921 ლენინგრადში მელიორაციის პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად, ხოლო 1931-იდან — ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექ. ნაგებობათა საკითხების დარგში. 1946 ინ-ტს მიენიჭა სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოს ბ. ვედენეევის სახელი. ინ-ტს აქვს ფილიალი კრასნოიარსკში და განყოფილება დნეპროძერჟინსკში, ივანგოროდში და ნორილსკში. ინ-ტი ამუშავებს ჰიდროტექ. ნაგებობების ახ. კონსტრუქციებს და აუმჯობესებს არსებულს, ქმნის და სრულყოფს კვლევისა და გაანგარიშების მეთოდებს, ახ. ეფექტურ სამშენებლო მასალებს და სხვ. ახორციელებს სამეცნ.-კვლ. სამუშაოების კოორდინაციას სსრკ-ში ჰიდროტექ. მშენებლობის დარგში. აქვს ასპირანტუ-

რა; გამოსცემს სამეცნ. ჟურნ. „იზვესტია“ (1981-იდან).

**ჰიდროტექნიკური ბეტონი**, მძიმე ბეტონის სახეობა, რ-საც იყენებენ მუდმივად ან პერიოდულად წყალში მყოფი ნაგებობების ან მათი ნაწილების ასაგებად. ჰ. ბ-ს ახასიათებს წყლის აგრესიული მოქმედებისადმი მედეგობა, წყალშეუღწევობა, ყინვამედეგობა, გამყარების დროს მცირე რაოდენობით სითბოს გამოყოფა და სხვ. ჰ. ბ-ის დასამზადებლად იყენებენ პორტლანდცემენტს და მის სახესხვაობებს.

**ჰიდროტექნიკური გვირაბი**, მიწისქვეშა წყალსატარი, რ-იც განკუთვნილია წყლის დაწნეხული ან უდაწნეო მოძრაობისათვის. ჰ. გ. გაჰყავთ იმ შემთხვევაში, თუ გრუნტის ღია წესით დამუშავება ეკონომიურად არ არის ხელსაყრელი ან მაშინ, როცა წყალსატარის ტრასა გადის ციცაბო მეწყრიან ფერდობებზე, ან მჭიდროდ განაშენიანებულ ტერიტორიაზე. წყალსამეურნეო დანიშნულების მიხედვით ჰ. გ. შეიძლება იყოს ენერგეტიკული, ირიგაციული, გემთსავალი, ხე-ტყის დასაცურებელი, წყალსადენის, წყალსაცდენის, სამშენებლო (ჰესის მშენებლობის დროს წყლის დროებით გადასაგდებად) და კომბინირებული. ჰ. გ-ის განივი კვეთის ფორმა და ზომა დამოკიდებულია ადგილ. საინჟ.-გეოლ. პირობებსა და გამტარებელი წყლის რაოდენობაზე. მეტად გავრცელებულია ოვალური, მართკუთხა, ნალისებრი და წრიული განივი კვეთის ჰ. გ-ები.

**ჰიდროტექნიკური ნაგებობები**, საინჟინრო ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაა წყლის ბუნებრივი რესურსების (მდ-ების, ტბების, ზღვების, გრუნტის წყლების) გამოყენება ან გარემოს დაცვა წყლის უარყოფითი მოქმედებისაგან (ნაპირების წარეცხვა, წყალდიდობა და სხვ.). ჰ. ნ-ის საშუალებით შეიძლება წყალდენებისა და წყალსატევების რეჟიმის რეგულირება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად (წყლის დონისა და ხარჯის, ნატანის რეჟიმის რეგულირება, წყლის დინების მიმართულების შეცვლა და სხვ.). განლაგების მიხედვით ჰ. ნ. შეიძლება იყოს მდინარის, ზღვის, ტბის, ტბორის, შიგა სანაოსნო და მიწისქვეშა. არის აგრეთვე საერთო დანიშნულების ჰ. ნ., რ-საც იყენებენ წყლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, და სპეციალური — წყლის მეურნეობის ერთი დარგისათვის (მაგ., წყლის ტრანსპ.). საერთო დანიშნულების ჰ. ნ-ია: წ ყ ა ლ ს ა დ ა წ ნ ე ო (კაშხალები, ჯებირები), წ ყ ა ლ გ ა მ ყ ვ ა ნ ი (არხები, გვირაბები, ღარები, მილსადენები), წ ყ ა ლ ს ა ღ ე ბ ი (წყალდენებიდან და წყალსატევებიდან წყლის მისაღებად), წ ყ ა ლ ს ა გ დ ე ბ ი (წყალგადასაშვებები, სიღრმითი და სიფონური წყალსაგდებები). ს ა რ ე გ უ ლ ა ც ი ო (ნაპირების გასამაგრებელი ან წყლის ნაკადისა და მდინარის კალაპოტის, აგრეთვე ტალღებისა და დინების ნაპირებზე ზემოქმედების სარეგულირებელი და სხვ.). ს პ ე ც ი ა ლ უ რ ჰ. ნ-ს მიეკუთვნება ჰიდროენერგეტ. ნაგებობები (ჰესის შენობები, სადაწნეო აუზები, მათანაბრებელი რეზერვუარები). წყლის ტრანსპორტის (რაბები, გემთამწევები, ტალღამტეხები და ა. შ.), თევზსამეურნეო (თევზის ამწევები). წყალმომარაგებისა და კანალიზაციის (წყალმიმღები, სადაწნეო რეზერვუარები და კოშკები, კოლექტორები, გამწმენდი ნაგებობები), წყალდიდობის, ღვარცოფებისა და ნიაღვრის ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობები და ა. შ.

ლიტ.: მ ო წ ო ნ ე ლ ი ძ ე ნ., ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ნაწ. 1—2, თბ., 1977—82; Гидротехнические сооружения, под ред. М. М. Гришина и др., ч. 1—2, М., 1979.

გ. მამრაძე.

**ჰიდროტექნიკური საკეტი**, ჰიდროტექნიკური ნაგებობის (წყალგადასაშვები კაშხალის, რაბის, მილსადენისა და სხვ.) წყალსატარი ხვრელის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაკეტვისათვის განკუთვნილი მოძრავი კონსტრუქცია. ჰ. ს-ის დანიშნულებაა წყლის დონისა და ხარჯის რეგულირება. მცურავი საგნების (გემები, ხე-ტყე, ყინული და სხვ.) გატარება. საკეტები იხსნება და იკეტება სტაციონარული ან მოძრავი მექანიზმების დახმარებით (ჯალამბრებით, ამწევებით და სხვ.). ჰ. ს. ნაგებობაში განლაგების მიხედვით შეიძლება იყოს ზედაპირული (წყალგადასაშვების თხემზე) და სიღრმული (ზედა ბიეფის დონეზე დაბლა), დანიშნულების მიხედვით — ძირითადი (მუშა), რემონტისათვის განკუთვნილი, ავარიული, სამშენებლო; კონსტრუქციის მიხედვით — ბრტყელი, სეგმენტური, სექტორული, ვალციანი და ა. შ.

**ჰიდროტროპიზმი** (ჰიდრო... და ტროპიზმი), მცენარის მზარდი ორგანოების, განსაკუთრებით ფესვების გადახრა ნაკლებად მშრალი გარემოდან უფრო ტენიანისაკენ. ბევრი თბის სოკოსათვის დამახასიათებელია უარყოფითი ჰ. — მათი სპორანგიუმმტარები ტენიანი სუბსტრატიდან მშრალისაკენ იზრდებიან.

**ჰიდროფიზიკა** (ჰიდრო... და ფიზიკა), გეოფიზიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ჰიდროსფეროში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს. ჰ-ის კვლევის ზოგად საკითხებს განეკუთვნება: წყლის სამივე აგრეგატული მდგომარეობის (თხევადი, მყარი, აირადი) მოლეკულური აგებულება. წყლის, თოვლის, ყინულის თბური (თბოგამტარობა, თბოტევადობა), რადიაციული, ელექტრული, რადიოაქტიური, აკუსტიკური, მექან. (დრეკადობა, სიბლანტე და სხვ.) თვისებები; წყალსატევებში მიმდინარე დინამ. (დინებები, ტალღები, მოქცევები და მიქცევები) და თერმული (წყალსატევების გათბობა და გაცივება, აორთქლება და კონდენსაცია, ყინულისა და თოვლის წარმოქმნა და დნობა) პროცესები; წყალში, თოვლსა და ყინულში სინათლის გავრცელება, შთანთქმა და გაბნევა.

ჰ-ში გამოყოფენ ზღვის ფიზიკას და ხ მ ე ლ ე თ ი ს წ ყ ლ ე ბ ი ს ფ ი ზ ი კ ა ს. ეს უკანასკნელი იკვლევს მდ-ებს, ტბებს, წყალსაცავებს და კონტინენტის სხვა წყლიან ობიექტებს ჰიდროლოგიის ამოცანებთან დაკავშირებით. აგრეთვე მდინარეთა აუზებში ტენის მარაგის ცვლილების თერმულ და დინამ. პროცესებს. ხმელეთის წყლების ფიზიკის ცალკე დარგად გამოყოფენ კ ა ლ ა პ ო ტ უ რ ი ნ ა კ ა დ ი ს დ ი ნ ა მ ი კ ა ს, რ-იც შეისწავლის წყლის ტურბულენტურ მოძრაობას, ტურბულენტური ნაკადებით მყარი მასალის გადატანას, ნაკადისა და კალაპოტის ურთიერთქმედებას.

ლიტ.: Ш у л е й к и н В. В., Физика моря, 4 изд., М., 1968.

**ჰიდროფილია** (ჰიდრო... და ...ფილია), წყლის ზოგიერთი მცენარის ყვავილის დამტვერვა წყლის დახმარებით. ასე იმტვერება, მაგ., რქაფოთოლა, ზღვის ბალახი (ზოსტერა) და სხვ. ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმ. „ჰიდროგამია“.

**ჰიდროფილურობა**, ნივთიერების თვისება ინტენსიურად იმოქმედოს წყალთან, რაც განპირობებულია მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებით. ჰ. იზომება წყლის მოლეკულებისა და სხეულის ზედაპირს შორის ბმის ენერგიით. ამ ენერგიის უხსნარი სხეულებისათვის გასაზღვრავენ დასველების სითბოს მიხედვით (იხ. ზედაპირული მოვლენები). ჰიდროფილური ნივთიერებებია ჟელატინი, სახამებელი, თიხები და სხვ. ჰ. ლიოფილურობის კერძო შემთხვევაა.

**ჰიდროფიტები** (ჰიდრო... და ბერძნ. phyton — მცენარე), წყლის მცენარეები, რ-ებიც წყალში ჩაძირული არიან მხოლოდ ქვედა ნაწილით. ჰ. იზრდებიან მდ-ების, ტბებისა და გუბურების ნაპირას, აგრეთვე ჭაობებში და დაჭაობებულ მდელოებზე (ე. წ. ჰელოფიტები). ჰიდატოფიტებისაგან განსხვავებით ჰ-ს აქვთ კარგად განვითარებული მექან. ქსოვილები და წყალგამტარი სისტემა. ჰ-ის ქსოვილებში ბევრია უჯრედშორისები და საჰაერო ღრუები, მათი საშუალებით მცენარის წყალში ჩაძირულ ნაწილს მიეწოდება ჰაერი. ჰ-ია, მაგ., თეთრი დუმფარა, ყვითელი დუმფარა, წყლის ვაზი, წყლის კაკალი და სხვ. კულტ. მცენარეთაგან ჰ-ს მიეკუთვნება ბრინჯი.

**ჰიდროფობურობა**, ნივთიერების თვისება სუსტად იმოქმედოს წყალთან ნებისმიერ სხეულსა და წყლის მოლეკულებს შორის ყოველთვის მოქმედებს მეტ-ნაკლები სიდიდის მოლეკულათშორისი მიზიდულობის ძალები. ჰიდროფობური ნივთიერებებია პარაფინები, ცხიმები, ცვილი, ზოგიერთი პლასტმასა, გრაფიტი, გოგირდი და სხვ. ჰ. ლიოფობურობის კერძო შემთხვევაა.

**ჰიდროფონი** (ჰიდრო... და ...ფონი), წყალში ბგერითი და ულტრაბგერითი რხევების მიმღები და მათი ელექტრულ რხევებად გარდამქმნელი მოწყობილობა. იყენებენ ჰიდროაკუსტიკურ მოწყობილობებში (ჰიდროლოკატორში, ხმაურპელენგატორში, აკუსტიკური ნაღმის ამფეთქში და ა. შ.).

**ჰიდროქარსები** (ჰიდრო... და ქარსები), სილიკატების კლასის ქარსების მსგავსი მინერალების ჯგუფი; წარმოადგენს ფენობრივი აგებულების ალუმოსილიკატებს, რ-ებიც ქარსებთან შედარებით შეიცავს მეტ წყალს და, შესაძლებელია, ოქსონიუმსაც ($H_3O^{+}$). ჩვეულებრივ, ჰ. წარმოადგენს ქარსების კაოლინად, მონტმორილონიტად, ვერმიკულიტად და ქლორიტად ბუნებრივი სტადიური გარდაქმნის შუალედ პროდუქტს. გავრცელებულია ჰ-ია: ჰიდრომუსკოვიტი, რექტორიტი, გლაუკონიტი, ჰიდრობიოტიტი. ჰ. წარმოიქმნება ენდოგენური (მადნეულ ძარღვთა შემცველი ქანების ჰიდროთერმული შეცვლა) და ეგზოგენური (გამოფიტვა და სხვ.) პროცესების დროს.

**ჰიდროქიმია** (ჰიდრო... და ქიმია), მეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ბუნებრივი წყლების შედგენილობას, მისი ცვალებადობის კანონზომიერებებს. ჰ. გეოქიმიის, ჰიდროლოგიისა და ანალიზური ქიმიის მოსაზღვრე დარგია. თანამედროვე ჰ-ის ძირ. ამოცანებია: მოპოვება ბუნებრივი წყლების ქიმ. შედგენილობის ჩამოყალიბების შესახებ; მოძიება ბუნებრივი წყლების ცალკეული სახეობების ქიმ. შედგენილობისა და ჰიდროქიმ. რეჟიმის შესახებ (მოიცავს ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ი წ ყ ლ ე ბ ი ს ქ ი მ ი ა ს, ზ ღ ვ ი ს ქ ი მ ი ა ს და მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა წ ყ ლ ე ბ ი ს ქ ი მ ი ა ს); ჰიდროქიმ. კვლევათა მეთოდიკა. წყლის ხარისხის განმსაზღვრელი ჰიდროქიმ. მონაცემების ცოდნა აუცილებელია პრაქტ. საქმიანობის ისეთი დარგებისათვის, როგორიცაა წყალმომარაგება, რწყვა, თევზის მეურნეობა. ჰიდროქიმ. მონაცემებს იყენებენ აგრეთვე სამშენ. მასალების (ბეტონი, ლითონი) კოროზიის შეფასების, მინერ. წყლების დახასიათების, ზოგიერთი სასარგებლო წიაღისეულის ძებნისათვის და სხვ. წყლის ქიმ. შედგენილობის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბინძური წყლებთან ბრძოლის საქმეში.

**ჰიდროქინონი**, პ-დ ი ო ქ ს ი ბ ე ნ ზ ო ლ ი, $C_6H_4(OH)_2$, უფერული კრისტალები, $t_{ლღ}$ 170,3°C, $t_{დუღ}$ 285°C (730 მმ ვწყ. სვ.), სიმკვრივე 1358 კგ/მ³, ხდიან ვაკუუმში, კარგად იხსნება სპირტში, ეთერში; ცუდად — ბენზოლში. ჰ.



ჰიდროქინონი.

აშზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, ც. ქანქიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980; ჭ ა ღ ა რ ა ი ა ბ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს., თბ., 1977; W e l l e s z E., A history of Byzantine music and hymnography, Oxf., 1971. ლ. ჯღამაია.

**ჰინაიანა** [სანსკრ., სიტყვასიტყვით — მცირე ეტლი ანდა მცირე (ვიწრო) გზა], ბუდიზმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მაჰაიანასთან ერთად. შეიქმნა ჩვენი ერის დასაწყისში. ძირითადად დამკვიდრებული და გავრცელებულია სამხრ. ქვეყნებში (შრი-ლანკა, ლაოსი, ტაილანდი და სხვ.). ამიტომ სამხრ. ბუდიზმის სახელი მიიღო. ჰ-ს ძირითადი ტექსტებია „ტრიპიტაკა“, „აბჰიდჰარმაკოშა“, „ვისუდჰიმაგა“ და სხვ.

**ჰინგანი,** ქალაქი და ნავსადგური კორ. სდრ-ში, ჰამგიონ-ნამდოს პროვინციაში, იაპ. ზღვის აღმ. კორ. ყურის სანაპიროზე. დაახლ. 260 ათ. მცხ. ადმინისტრაციულად შედის ქ. ჰამჰინის შემადგენლობაში. ქიმ. სასუქებისა და საშენ მასალათა წარმოება, ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა. თევზჭერა.

**ჰინდემითი** (Hindemith) პაულ (16. XI. 1895, ჰანაუ, — 28. XII. 1963, მაინის ფრანკფურტი), გერმანელი კომპოზიტორი, მუსიკის თეორეტიკოსი, დირიჟორი, მევიოლინე და ალტისტი. 1927—37 — ბერლინის უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი. 1921—29 ცნობილი სიმებიანი კვარტეტის „ლ. ამარ—პ. ჰინდემითის“ წევრი, პ-მა დატოვა ფაშისტური გერმანია და ცხოვრობდა უცხოეთში. 20-იან წლებში ჰ. მუს. მოდერნიზმის ერთ-ერთი ლიდერად იქცა. საოპერო შემოქმედებაში მჭიდროდ დაუკავშირდა ექსპრესიონიზმს (ოპერა — „მკვლელი, ქალების იმედი“, ო. კოკოშკას მიხედვით, 1919 და სხვ.), გროტესკთან შეხამებულ ურბანიზმს („ახალი ამბები“, 1929). საკრავიერ მუსიკაში იყენებდა კონსტრუქტივისტურ პრინციპებს (ტიპიურია მისი კამერული ნაწარმოებების ლინეარული პოლიფონიური ტექნიკა). ჰ. სათავეში ჩაუდგა ნეოკლასიკურ მიმდინარეობას გერმ. მუსიკაში. იგი ილაშქრებდა ტონალური რღვევის ტენდენციების წინააღმდეგ. აღელვებდა მხატვრისა და საზ-ბის ურთიერთობის პრობლემები, რაც ასახა თავის ნაწარმოებებში — ოპერა „კარდილიაკი“ (ჰოფმანის მიხედვით, 1927), ოპერა და სიმფონია მატისზე „მატისი—მხატვარი“ (1934), ოპერა და სიმფონია „სამყაროს ჰარმონია“ (1957) და სხვ. ჰ-ს ეკუთვნის აგრეთვე ბალეტები „დემონი“ (1923), „მოჩვენება“ (1938), „ოთხი ტემპერამენტი“ (1940) და სხვ.; კონცერტები საკრავისა და ორკესტრისათვის, ხმისა და საკრავებისათვის, ორატორიები, თეატრისა და კინოს მუსიკა. აქვს თეორ. ხასიათის ნაშრომებიც. ბახის სახ. (გფრ, 1961) და სიბელიუსის სახ. (შვეიცარია, 1955) პრემიების ლაურეატი.

**ჰინდენბურგი** (Hindenburg, von Beneckendorff und von Hindenburg) პაულ ფონ (2. X. 1847, პოზნანი, — 2. VIII. 1934, ნოიდეკი), გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. გენ.-ფელდმარშალი (1914). ავსტრია-პრუსიისა (1866) და საფრ.-პრუსიის (1870—71) ომების მონაწილე. I მსოფლიო ომში (1914—1918) სარდლობდა გერმ. მე-8 არმიას, 1914 ნოემბრიდან — მთელი აღმ. ფრონტის ჯარებს. 1916 აგვისტოდან — გენშტაბის უფროსი, ფაქტობრივად მთავარსარდალი. გერმანიაში 1918 ნოემბ. რევ. დროს სასტიკად ჩაახშო მუშების რევ. გამოსვლები. 1925 ვაიმარის რესპ. პრეზიდენტად აირჩიეს. მხარს უჭერდა სამხ. მონარქისტულ და ფაშისტურ ორგანიზაციებს. ჰ. ხელს უწყობდა გერმ. სამხ. ძლიერების აღდგენას. 1932 მეორეჯერ ს.-დ. ლიდერების მხარდაჭერით ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად. 1933 ხელისუფლება ფაშისტებს გადასცა და მთავრობის შექმნა ჰიტლერს დაავალა.

ლიტ.: Р о з а н о в Г. Л., Очерк новейшей истории Германии, М., 1959.

**ჰინდი ენა,** ინდოეთის სახელმწიფო ენა; განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ახალ ინდურ ენათა ჯგუფს. გავრცელებულია ინდ. რესპ. უტარ-პრადეშის, მადჰია-პრადეშის, ჰარიანის შტატებსა და დელის მოკავშირე ტერიტორიაზე, აგრეთვე ნაწილობრივ ბიჰარისა და რაჯასტანის შტატებში. ჰ. ე-ზე ლაპარაკობს 183 მლნ-ზე მეტი კაცი (1971, შეფასება). არსებობს ლიტ. ჰ. ე. და მისი მონათესავე 2 დიალექტი: დას. ჰინდი (ქარი ბოლი, ბანგარუ, ჯატუ ან ჰარიანი, ბრაჯ ბჰაშა ან ანტარბედი, კანაუჯი, ბუნდელი ან ბუნდელხანდი) და აღმ. ჰინდი (ავადჰი, კოსალი ან ბაისვარი, ბაგჰელი, ბაგჰელკჰანდი ან რივაი, ჩჰატისგარჰი, ლარია ან ქალტაჰი). ლიტ. ჰ. ე-ში შედის აგრეთვე ბიჰარის, რაჯასტანისა და პაჰარის ჯგუფების დიალექტები. ჰ. ე. იყენებს დევანაგარის დამწერლობას.

ლიტ.: З о г р а ф Г. А., Индоарийские языки, წგნ.: Языки Азии и Африки, т. 1, М., 1976; К а т е н и н а Т. Е., Язык хинди, М., 1960. მ. მიდებაძე.

**ჰინდური ლიტერატურა,** ინდოეთის ერთ-ერთი ლიტერატურა. ვითარდება ჰინდი ენასა და მის დიალექტებზე. წარმოიშვა ორთოდოქსული ბრაჰმანიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბუდისტურ, ჯაინისტურ და შივაისტურ სექტებში, რათა წარმომადგენლებიც ხალხს სალაპარაკო ენაზე უქადაგებდნენ (IX—XI სს.). პოეტი-მქადაგებლები რელიგ.-ფილოს. იდეებს გადმოსცემდნენ ლექსებითა და ტრაქტატებით, რ-ებმაც ფრაგმენტების სახით მოაღწია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გორაქნათის (დაახლ. X ს.) შემოქმედება.

X ს-ში ჩრდ. ინდოეთში მაჰმადიანთა შემოსევამ განაპირობა ეპიკური საგმირო პოეზიის განვითარება. ამ ჟანრის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება ჩანდ ბარდაის „პრითვირაჯ რასო“ (დაახლ. XII ს.). ჰ. ლ-ის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა რელიგ.-რეფორმისტულმა მოძრაობამ — ბჰაქტიმ, რომელიც მიმართული იყო კასტური და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. ამ პერიოდისათვის (XII—XIV სს.) დამახასიათებელია ინდუისტური და მაჰმადიანური რელიგ.-ფილოს. იდეათა სინთეზი (პოეტი კაბირი). ამავე პერიოდში გავრცელდა ინდოეთში ბჰაქტის იდეებთან ახლოს მდგომი სუფიზმი. ჰინდური სუფიური პოეზიის ძირითადი თემაა მისტ. სიყვარული. სუფი პოეტის მ. მ. ჯაიასის პოემა „პადმავატი“ (დაახლ. 1540) ინდუისტური და მაჰმადიანური ტრადიციების შერწყმის ნიმუშია. ბჰაქტის ლიტ-რაში განსაკუთრებით პოპულარული იყო თემა ვიშნუ ღმერთის განსახიერებისა ბიწიერ მწყემს კრიშნად და მეფე რამად [XV—XVI სს. პოეტები სურდასი, მირა ბაი (1433—1547), ტულსიდასი].

ინგლ. კოლონ. პოლიტიკამ თითქმის საუკუნენახევრით შეაფერხა ჰ. ლ-ის განვითარება. პოეზიამ ერთფეროვანი ხასიათი მიიღო. მხოლოდ ერთეულებმა შეუნარჩუნეს პოეზიას გმირული სული (ბჰუშანი, 1613—1715).

XIX ს. დასაწყისიდან კაპიტალიზმის განვითარებამ ჰ ლ-ის აღორძინების პირობები შექმნა. ჩაისახა განმანათლებლობა, რაც დაკავშირებული იყო ეროვნ.-განმათ. ბრძოლასთან და რელიგ. იდეოლოგიასთან. განმან. ჰ. ლ-ის ფუძემდებელია ბჰარატენდუ (1850—1885) — რეალისტური ლექსების, დრამ. და პუბლიც. თხზულებების ავტორი. ჰინდური პროზის ფუძემდებელია ლალუ ჯი ლალი. პირველი რომანის („გამომცდელი“, 1882) ავტორია ლ. შრინივასდასი. განვითარდა მოთხრობის ჟანრი (პრემჩანდი, ჯ. პრასადი, 1889—1937). ამ პერიოდის ჰ ლ-ზე გარკვეული გავლენა მოახდინა ევრ., ძირითადად ინგლ., კულტურამ. ინგლ. კოლონიზატორების წინააღმდეგ 1857—59 სახ. აჯანყებამ დიდი გამოძახილი პოვა ინდ. ლიტ-რასა და ფოლკლორში. შეიქმნა ნაწარმოებები, რ-ებიც ხალხს ერთიანობისა და კოლონიზატორებთან ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

XX ს. დასაწყისიდან გაბატონდა რომანტიზმი („ჩაიავადი“) თავისი მკვეთრად გამოხატული ეროვნ. კოლორიტით (პრასადი, ნირალა, ს. პანტი, მაჰადევი ვარმა, დ. 1907). 30-იან წლებში ყველა ჟანრში იგრძნობოდა აქტუალური საზ. თემატიკისაკენ ლტოლვა, რასაც ხელი შეუწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გაცხოველებამ, მარქსიზმის გავრცელებამ, პროგრ. საზოგადოებრიობამ (განსაკუთრებით საბჭოთა) ლიტ-რამ. ინდ. პროგრ. მწერალთა ასოციაციამ (შეიქმნა 1936) დასაბამი მისცა ახ. მიმდინარეობას — „პრაგატივადს“ („პროგრესიზმი“). განვითარდა კრიტ. რეალიზმი, რ-ის ფუძემდებელია პრემჩანდი. 40-იან წწ. დასავლეთის დასავლური თეორიების გავლენით ჩამოყალიბდა ინდ. მოდერნიზმი (ექსპერიმენტული აგიეა). მოდერნისტულმა კონცეფციებმა გავლენა მოახდინა 60—70 წწ. ჰინდურ პოეზიასა და პროზაზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1976 ინდოეთის პროგრ. მწერალთა ფედერაციის შექმნას. თანამედროვე ეტაპზე ვითარდება რეალისტური ლიტ-რის ტრადიციები (იაშპალი, 1903—76; უ. აშკი, ს. პანტი, მ. გუპტა, დ. 1906; მარკანდეი, დ. 1931; კამლეშვარი, დ. 1932) და სხვ.

ლიტ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964; Ч е л ы ш е в Е. П., Литература хинди, М., 1968. გ. ნამეურიშვილი.

**ჰინდუსტანელები,** ჰინდუსტანის ძირითადი მოსახლეობა. ჰ-ს შეადგენენ წარმოშობით, ენით, კულტურითა და ყოფით მონათესავე ლოკალური ჯგუფები, რ-თაც აერთიანებთ ლიტ. ენა — ჰინდი, თუმცა თვითონ ჯგუფები ამ ენის მრავალრიცხოვან დიალექტზე ლაპარაკობენ. თანდათან ყალიბდებიან ერთ ერს. ერთობად. საერთო რაოდ. დაახლ. 198 მლნ. კაცი (1982, შეფასება). რელიგია — ინდუიზმი. იყოფიან კასტებად, განსაკუთრებით სოფლებში. ჰ-ის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მუშაობენ სამრეწვ. საწარმოებშიც. განვითარებულია ხელით ქსოვა, მეთუნეობა.

**ჰინდუსტანი,** 1. ძველი სახელი — ინდოეთის მთლიანად (მონღოლებიდან—ინდოსტანი); ჩრდ. ინდოეთი 2. ვიწრო გაგებით — ჰინდუსტანელებით დასახლებული მხარე, რ-იც მოიცავს მდ. განგის ველს დელის რ-ნიდან ვარანასის (ბენარესი) რ-ნამდე.

**ჰინდუყუში** (<სპარს. ჰინდუ ქუჰ—ინდოეთის მთა), მთათა სისტემა ავღანეთში, პაკისტანსა და ინდოეთში. გადაჭიმულია დაახლ. 800 კმ-ზე. სიგანე 50—350 კმ. მაქს. სიმაღლე 7690 მ (მთა თირიჩმირი, პაკისტანი). მთავარი ქედებია: ბაბა, ფაგმანი და საკუთრივ ჰ. ოროგრაფიულად იყოფა დას., ცენტრ. და აღმ. ჰ-დ, რ-თა საზღვარია სურხაბისა და ქოქჩის ხეობები. დას. ჰ-ის სიმაღლეა 3500—4000 მ. ცენტრ. ჰ-ის ქედები (სიმაღლე 6059 მ-მდე) აღმართულია ქაბულის აღმ. და ჩრდ.-აღმ-ით. მათი სამხრ. შტოქედები და ჰინდურაჯის ქედი ქმნიან ნურისტანის მთიან მხარეს. აღმ. ჰ-ის დას. ნაწილში სიმაღლე 6000 მ აღემატება, არის თანამედროვე მძლავრი გამყინვარება. აღმ. ნაწილში მაღალი მთის ვაკიანი ზეგნებია, სადაც აღმართულია 4000 მ-მდე სიმაღლის მთები. ყველაზე დაბალი უღელტეხილია ხაოვაკი (3777 მ). თოვლის მიჯნა გადის დაახლ. 5000 მ სიმაღლეზე. ჰ. აგებ. გეოსინკლინურ სარტყელში მოქცეული დანაწევრებული პალეოზ.-ანტიკლინორიუმია. აგებულია კამბრიულისწინა გნაისებ-

ჰ. გახდა მეცნ. ძიებისა და ფაქტების ახსნის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ამის გამო „მეცნიერების განვითარების ფორმა, რამდენადაც იგი აზროვნებს, არის ჰ ი პ ო თ ე ზ ა" (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 260). თანამედროვე მეცნიერებაში ჰ. გაგებულია როგორც ვარაუდი, რის მიზანია ახსნას გარკვეული ტიპის უკვე ცნობილი მოვლენები და იწინასწარმეტყველოს ახ. უცნობი ფაქტები. ჰ. ალბათურია; მისი ჭეშმარიტება-მცდარობა უნდა დადგინდეს ემპირიული შემოწმებით. მომავალმა დაკვირვებამ იგი შეიძლება დაადასტუროს ან არ დაადასტუროს. პირველ შემთხვევაში ჰ. გადაიქცევა მეცნ. თეორიად, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი უარიყოფა ან (უკიდურეს შემთხვევაში) ნაწილობრივ შეიცვლება. ჰ-ის წამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ცდები ავლენენ ფაქტებს, რ-თა ახსნა არსებული თეორიების საფუძველზე შეუძლებელია. მიიღება დაშვება, რ-იც შესაძლებლობას იძლევა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად აიხსნას ეს ფაქტები. ამ მიზნით წამოყენებულ იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე ჰ.; მათგან უპირატესობა მიეცემა იმას, რ-იც ობიექტური კანონზომიერების ასახვის საფუძველზე უფრო ეფექტურად და მარტივად ახსნის ახ. ფაქტებს. მეცნიერების განვითარება ჰ-ის მუდმივი შემოწმების, გადასინჯვისა და შეცვლის პროცესია. მეცნ. ჰ. უნდა იყოს ემპირიულად შემოწმებადი, საკმარისად ზოგადი, ამასთან ერთად საშუალოდ იწინასწარმეტყველოს რაც შეიძლება მეტი ახ. ფაქტი; ლოგიკური წინააღმდეგობისაგან თავისუფალი მეცნ. ჰ-გან უნდა განვასხვავოთ საწყისი ჰ., რ-იც მიიღება მოსალოდ პირობით, როგორც დამხმარე საშუალება მოცემული ფაქტის ახსნის პროცესში. *გ. ქოქოლაშვილი.*



ჰიპოიდური გადაცემა

**ჰიპოთეზა** ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი, იხ. სტ. ნორმა სამართლებრივი.

**ჰიპოთეზათა სტატისტიკური შემოწმება,** შემთხვევით სიდიდეებზე ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე ამ სიდიდის განაწილების შესახებ გამოთქმულ ჰიპოთეზათა მისაღებად ან უარსაყოფად სპეციალური პროცედურების ერთობლიობა მათემატიკურ სტატისტიკაში. რომელიმე $H_0$ ჰიპოთეზის შემოწმება ყოველთვის გულისხმობს რომელიმე $H$ ალტერნატივას. $H_0$-ის მიღება ნიშნავს $H$-ის უარყოფას. $H_0$-ის შესამოწმებელ ტესტს (ანუ კრიტერიუმს) განსაზღვრავს შემთხვევით სიდიდეზე $n$ განმეორებითი დაკვირვების შედეგად მიღებული $x=(x_1,\dots,x_n)$ შედეგის $R^n$ სივრცეებიდან (აქ $x_1,x_2,\dots,x_n$ ნამდვილი რიცხვებია) გამოყოფილი გარკვეული $K$ ქვესიმრავლე. $H_0$ მიღებულად ითვლება, თუ დაკვირვების $x$ შედეგი $K$-ს გარეთაა. ტესტის თვისებები მისი ხშირად გამოყენებისას ხასიათდება ტესტის $\alpha$ დონით და $\beta$ სიმძლავრით. $\alpha$ არის ალბათობა იმისა, რომ ტესტის გამოყენებით $H_0$ უარიყოფა იმ დროს, როცა იგი მართებულია, ხოლო $\beta$—ალბათობა იმისა, რომ $H_0$ უარიყოფა, როცა მართებულია $H$ ალტერნატივა. ხშირდება მოცემული დონისათვის რომელიმე აზრით ოპტიმალური სიმძლავრიანი ტესტების აგება. მაგ., ცნობილი $\sigma^2$ დისპერსიის მქონე ნორმალური განაწილების $a$ მათემატიკური ლოდინის შესახებ $a=m$ ჰიპოთეზის ($H_0$) შემოწმებისას $a\neq m$ ალტერნატივით ($H$) მოცემული $\alpha$ დონის უმძლავრეს ტესტს შეესაბამება უარყოფის არე $K$, შედგენილი ისეთი $x=(x_1,\dots,x_n)$ ვექტორებისაგან, რომელთათვისაც $|\bar{x}-m|\sqrt{n}>k\sigma$. აქ $\bar{x}=(x_1+\dots+x_n)/n$, ხოლო $k$ განისაზღვრება $\alpha=\sqrt{2/\pi}\int_k^\infty e^{-u^2/2}du$ ტოლობით.

*ტ. შერვაშიძე. რ. ჩიტაშვილი.*


ჰიპოკრატე

**ჰიპოთეზური დედუქცია** (რომელიმე სამეცნიერო თეორიაში), ისეთი დედუქცია, როცა მტკიცებისათვის ჭეშმარიტად მიჩნეული წინადადებების გარდა წანამძღვრებად გამოყენებულია სხვა დებულებებიც (ჰიპოთეზები). ჰ. დ-ით მიღებული წინადადება ჭეშმარიტია მოცემულ თეორიაში, თუ კი ჭეშმარიტია გამოყენებული ჰიპოთეზები. იხ. აგრეთვე *გამოყვანადობა, დედუქციური თეორიები.*

**ჰიპოთერმია** (ჰიპო... და ბერძ. thermē — სითბო), გ ა ც ი ე ბ ა, ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველების სხეულის ტემპ-რის დაქვეითება, რაც ხდება იმის გამო, რომ სითბოს გაცემა აღემატება მის წარმოქმნას ორგანიზმში. გარემოს დაბალი ტემპ-რის დროს ადამიანსა და ცხოველებს ჰ-გან იცავს სითბორეგულაცია (ცხიმის ფენა, ბეწვი, ბუმბული, ტანსაცმელი). სითბორეგულაციის უკმარისობის შემთხვევაში წარმოიქმნება ფიზიოლ. რეაქციები სითბოს გაცემის შესამცირებლად: კანიდან შინაგანი ორგანოებისაკენ სისხლის უკუდინების შედეგად მცირდება კანით სითბოს გაცემა, მოძრაობის, შეშინების, კუნთების თრთოლვის შედეგად მკვეთრად მატულობს ნივთიერებათა ცვლა და სითბოს წარმოქმნა კუნთებში. სიცივეში ადამიანის ჰ-უკმარისობა მხოლოდ ამ მექანიზმების გამოფიტვის, დაღლის გამო, ლოთობის ან სრული უმოძრაობის შედეგად, სამაგიეროდ ადვილად აღმოცენდება თერმორეგულაციის დარღვევის (სიმთვრალე, შოკი, ნარკოზული ძილი, სისხლის დაკარგვა და სხვ.) შემთხვევაში. ცივ წყალში სითბოს გაცემა ძლიერ იზრდება. წყლის 0—4°C ტემპ-რის დროს ადამიანი ჰ-ით კვდება 40—60 წუთში. ფიზიოლ. ჰ., როგორც შეგუებითი რეაქცია, ავლინდება ზოგ ცხოველს ზამთრის ძილის დროს. გაციებული ქსოვილები (ტვინის, გულის და სხვ.), რ-ებშიც მკვეთრად არის შემცირებული ნივთიერებათა ცვლა, უკეთ ადვილად იტანენ ჟანგბადის უკმარისობას და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტას.

ჰ. ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი — თბილსისხლიანი ორგანიზმის საერთო გაციება, რასაც აღწევენ თერმორეგულაციის ცენტრ. მექანიზმების შეკავებით. საჭირო მიზნით ადამიანის ორგანიზმზე სიცივის ზემოქმედების პირველი გამოკვლევები დაკავშირებულია ინგლ. ქირურგის ჯ. კარის (1798) სახელთან. ჰ-ის ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში დაიწყო მას შემდეგ, რაც 1950 კანადელმა მეცნიერმა უ. ბიგელოუმ ცხოველებზე ექსპერიმენტებით დაამტკიცა გულისა და სისხლის მიმოქცევის 10—15 წთ გამოთიშვის შესაძლებლობა 26—28°C ტემპ-რის პირობებში. 1952 ამერ. ქირურგმა ჯ. ლიუისმა და მ. ტაუფიკმა გააკეთეს მსოფლიოში პირველი ოპერაცია ღია „მშრალ" გულზე (ე. ი. გამოთიშეს გული სისხლის მიმოქცევიდან) ზომიერი ჰ-ის პირობებში, რამდენიმე წლის შემდეგ კი ოპერაციები ჰ-ის დროს დამკვიდრდა ყოველდღიურ პრაქტიკაში. ჰ-ის ძირითადი ეფექტი შეპირობებულია იმით, რომ სიცივის ზემოქმედებით ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის პროცესების ინტენსივობა, რაც ამცირებს ორგანოებისა და ქსოვილების მოთხოვნილებას ჟანგბადზე. თერმორეგულაციის მექანიზმების ბლოკადის დროს ორგანიზმი ნაკლებ ჟანგბადს ხარჯავს. დადგენილია, რომ 26°—27°C ტემპ-რის პირობებში ჟანგბადის საერთო მოხმარება ქვეითდება 40%-ით, გულის კუნთის მიერ ჟანგბადის მოხმარება მცირდება 50%-ით, ტვინისა კი 33%-ით. გულზე ოპერაციების დროს ყველაზე მიზანშეწონილია ჰ. 29—30°C ტემპ-რაზე, რადგან უფრო დაბალ ტემპ-რაზე ორგანიზმის გაციებას შეიძლება მოჰყვეს გულის მუშაობის დარღვევა (გულის ფიბრილაცია); ამ ტემპ-რაზე გულის გამოთიშვა დასაშვებია მხოლოდ 10 წთ-მდე. ჰიპოქსიის გართულებისას, თავის ტვინის მძიმე ტრავმის, გამოხატული ჰიპერთერმიისა და სხვათა დროს საჭიროა. მიზნით ჰ-ის გამოყენება შეიძლება მრავალი დღის მანძილზე ჰ-ის საშუალებით. ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული მისი დროული გამოყენებაზე.

**ჰიპოთირეოზი** [ჰიპო... და ლათ. (glandula) thyreoidea — ფარისებრი ჯირკვალი], ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება; ჰ. *მიქსედემის* არამკვეთრად გამოხატული ფორმაა. ძირითადი ნიშნებია ადვილად დაღლა, ფიზ. და ფსიქ. მოდუნება, მძინარობა, მეხსიერების დაქვეითება, შენელებული მოძრაობა, სახისა და ქუთუთოების შეშუპება, თმის ცვენა, გაბერვა, ძირითადი ცვლის მოშლა და სხვ. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: *ჰორმონოთერაპია.*

**ჰიპოიდური გადაცემა,** ხრახნული კბილა გადაცემის განსაკუთრებული სახეობა, რ-შიც ღერძები ჯვარედინად არის განლაგებული. ჰ. გ-ში მცირე კონუსური კბილანის ღერძი წანაცვლებულია დიდი კბილა თვლის ღერძის მიმართ. თუ გადაცემის რიცხვი $i=1\div2{,}5$, წანაცვლება $E\leq(0{,}33-0{,}25)D$, სადაც $D$ დიდი თვლის დიამეტრია (ნახ.); თუ $i>2{,}5$, წანაცვლება $E\leq0{,}20D$. ჩვეულებრივ $i$ არ აღემატება 10, ზოგჯერ კი 30 და მეტს აღწევს. ღერძების გადაჯვარედინების კუთხე ჩვეულებრივ 90°-ია. ჰ. გ. შეიძლება იყოს ირიბი ან მრუდხაზოვანი კბილების მქონე. კბილების კონტაქტი ხაზოვანია, ამიტომ ჰ. გ. იტანს დიდ დატვირთვას, მუშაობს მდოვრედ და უხმაუროდ. სხვა კონუსურ გადაცემებთან შედარებით უფრო ხისტია და სხვ. ჰ. გ-ის ნაკლია კბილების სრიალი, რამაც შეიძლება მათი ჩაჭიდვა გამოიწვიოს. ამის საწინააღმდეგოდ იყენებენ სპეც. საზეთს და კბილებს თერმულად ამუშავებენ. ჰ. გ-ს იყენებენ წამყვანი თვლების ამძრავებში, სატვირთო მანქანებში, პრეციზიულ ჩარხებში და სხვ. *გ. ჩუბინიძე.*

**ჰიპოიოდიტები,** *ჰიპოიოდოვანმჟავას* HIO მარილები. მაგ., ნატრიუმჰიპოიოდიტი NaIO, კალიუმჰიპოიოდიტი KIO და სხვ.

**ჰიპოკოტილი** (internodium hypocotyle), მცენარის ღეროს ყველაზე ქვედა მონაკვეთი — ღეროს ფესვში გადასვლის ადგილიდან (ფესვის ყელიდან) პირველ ჩანასახოვან ფოთლებამდე (ლებნებამდე); იგივეა, რაც *ლებნისქვეშა მუხლი.*

**ჰიპოკრატე** (Hippokratēs). [დაახლ. ძვ. წ. 460, კ. კოსი, — ძვ. წ. 377 (სხვა მონაცემებით ძვ. წ. 356), ლარისა, თესალია], ძვ. საბერძნეთის ექიმი, ანტიკური მედიცინის რეფორმატორი. ჰ-ს პირველ მასწავლებლად მიჩნეულია მამამისი — ჰერაკლიდე, დედა — ფენარეტე, ბებიაქალი იყო. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ჰ. საცხოვრებლად ათენში გადავიდა და სწავლა გააგრძელა. სწავლის დასრულების შემდეგ ეწეოდა მოხეტიალე ექიმის — პერიოდევტის საქმიანობას, ბევრი იმოგზაურა საბერძნეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, იყო სკვითებთან, კარგად გაეცნო მცირე აზიისა და ეგვ. მედიცინას. ავადმყოფის გამოკვლევისას იყენებდა ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დათვალიერება, ხელით გასინჯვა, დაკაკუნება, გულმკერდისა და მუცლის ღრუს მოსმენა და სხვ. ყურადღებას აქცევდა გამონაყოფებს, მათ სუნს, ფერს, შარდის ნალექს; საფუძველი დაუდო ავადმყოფობის მიმდინარეობის აღწერას (ავადმყოფობის ისტორია); შექმნა მოძღვრება პროგნოსტიკაზე, რაც ითვალისწინებდა ავადმყოფის წარსულისა და აწმყო მდგომარეობის დეტალურ შესწავლას; საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ეთიკასა და დეონტოლოგიას; როგორც დასტაქარმა შეიმუშავა ნახვევის დადების წესები, მოტეხილობის, ღრძობის, ფისტულების მკურ-

რნალობის მეთოდები და სხვ. ჰ-ს და მისი მიმდევრების შრომებში (ე. წ. კრებული) საოცარი სიზუსტით არის აღწერილი სხვადასხვა დაავადების სიმპტომატიკა, მკურნალობის წესები, მსჯელობაა ეპიდემიების, ეპილეფსიის, ცხელების შესახებ და სხვ. ჰ. ასწავლიდა, რომ ექიმმა უნდა უმკურნალოს ავადმყოფს და არა ავადმყოფობას, გაითვალისწინოს მისი ინდივიდ. თავისებურებანი და გარე ფაქტორების გავლენა. მიზეზობრივ ფაქტორებად მიიჩნევდა მემკვიდრეობითობას, ადამიანის ფიზ. (კონსტიტუცია) და სულიერი (ტემპერამენტი) თვისებების ერთობლიობას. გამოყო ადამიანის 4 ტიპი: სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატიკური და მელანქოლიკური. ჰ. მიიჩნევდა, რომ ეს ტიპები გარკვეული დაავადებებისადმი არიან განწყობილი. დაამუშავა ეტიოლოგიის საკითხები; მედიცინა გაათავისუფლა ქურუმებისა და მონასტრების გავლენისაგან და განსაზღვრა მისი განვითარების დამოუკიდებელი გზა. ჰ-მ ჩამოაყალიბა მკურნალობის ძირითადი პრინციპები (არ დააზიანო, სიფრთხილე გამოიჩინე წამლის გამოყენებისას და სხვ.). ლეგენდად შემორჩენილი „ჰიპოკრატეს ფიცი", როგორც საექიმო პროფესიის მორალური კოდექსი. ჰ-ს „მედიცინის მამას" უწოდებენ. გ. აბაშიძე.

**ჰიპოკრატეს მთვარეები,** სამი ფიგურა, რ-თაგან თითოეული შემოსაზღვრულია ორი წრეწირის რკალით და თითოეული მათგანისათვის შესაძლებელია ფარგლისა და სახაზავის საშუალებით ტოლდიდი სწორხაზოვანი ფიგურების აგება (ნახ. 1). ზოგჯერ ჰ. მ-ს უწოდებენ მეორე ნახაზზე გამოსახულ a და b მთვარეებს. ჰ. მ. აღმოაჩინა ბერძენმა გეომეტრმა ჰიპოკრატე ქიოსელმა (ძვ. წ. V ს. II ნახ.).

**ჰიპონასტია** (ჰიპო.. და ბერძნ. nastos — გამსხვილებული), ფოთლის, ყვავილის ფურცლის, ფოთლის და მცენარის სხვა ორგანოს ქვედა მხარის უფრო სწრაფი ზრდა ზედა მხარესთან შედარებით, რის შედეგადაც ორგანო იღუნება ზევით. ჰ. შეიძლება გამოწვეული იყოს ორგანოს ასაკით (მაგ., ყვავილის ნორჩი კოკრები დახურული რჩება ჰ-ის წყალობით, რაც უფრო გვიან ეპინასტიით იცვლება და ყვავილი იშლება). აგრეთვე გარემოს პირობების ცვლილებით (მაგ., მოღრუბლულ, ნესტიან და ცივ ამინდში ზოგჯერ მიმდინარეობს ყვავილსაფრის ჰ. და ყვავილი იხურება).

**ჰიპონაქტი** (Hippōnax) (ძვ. წ. VI ს.), ბერძენი პოეტი, ლირიკოსი, იამბოგრაფი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეფესოში. ჰ-მ იამბოგრაფიას მისცა რეალისტური მიმართულება. დაამკვიდრა ახ. საზომი, ე. წ. ქოლიამბი ანუ „კოჭლი იამბი", შემოიღო პაროდიის ჟანრი. ჩვენამდე მოღწეულია მისი იამბური ლექსების ფრაგმენტები.

**ჰიპოპოტამი** (ბერძნ. hippopotamos — მდინარის ცხენი), წყვილჩლიქოსანი ცხოველი; იგივეა, რაც ბეჰემოთი.

**ჰიპოსტაზირება** (ბერძნ. hypostasis — არსება, სუბსტანცია), შემეცნების პროცესში საგნის ცალკეული თვისებებისათვის, მიმართებებისათვის დამოუკიდებელი არსებობის მინიჭება. იგი დამახასიათებელია იდეალისტური ფილოსოფიისათვის, კერძოდ რეალიზმისათვის, რ-იც ზოგადს წყვეტს ერთეულისაგან და დამოუკიდებელ სუბსტანციად აღიარებს.

**ჰიპოტაქსი** [ბერძნ. hypotaxis < ჰიპო... და ბერძნ. taxis — წყობა], ქ ვ ე წ ყ ო ბ ა, მარტივი წინადადებების რთულ წინადადებად შეკავშირების სახე. უპირისპირდება პარატაქსს ანუ თანწყობას. რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან, რ-ებიც დაკავშირებულია მაქვემდებარებელი კავშირებით (რომ, რათა, თუ, რადგან ..), მიმართებითი ნაცვალსახელებით (ვინც, რაც, რომელიც ), მიმართებითი ზმნიზედებით (სადაც, როდესაც, როგორც ), ან უკავშიროდ. ამ სიტყვებს შეიცავს დამოკიდებული წინადადება. მთავარში კი გვხვდება ნაცვალსახელოვანი შესაბამისობის მისამართი სიტყვა — ე. წ. კორელატი (ის, ისეთი, იმ, იქ, მაშინ ), რ-საც მიემართება ან ფუნქციურად განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება. მაგ., „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია" (შოთა რუსთაველი), „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა" (ი. ჭავჭავაძე); „როგორც გიჭირდესო, ისე გილხინდესო" (ანდაზა).

ლიტ.: ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ფ., რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, 1 — ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1962 [ავტ. — 1964]; რ ო გ ა ვ ა გ., ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები, 1948, ტ. 8; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969. შ. აფრიდონიძე.

**ჰიპოტენუზა** (ბერძნ. hypoteinusa) მართკუთხა სამკუთხედის გვერდი (ნახაზზე AB გვერდი), რ-იც მდებარეობს მართი კუთხის პირდაპირ. ჰ. მართკუთხა სამკუთხედის უდიდესი გვერდია.

**ჰიპოტონია,** ჰ ი პ ო ტ ე ნ ზ ი ა [ჰიპო.. და ბერძნ. tonos (ლათ. tensio) — დაძაბულობა], ქსოვილის, ორგანოს ან სისტემის ტონუსის დაქვეითება. ტერმ. „ჰ." უპირატესად იხმარება სისხლის წნევის დაწევის (105/65 მმ ვწყ. სვ. დაბლა მამაკაცებში, 95/60 მმ ვწყ. სვ. დაბლა — ქალებში) აღსანიშნავად. გამოყოფენ ჰ-ის რამდენიმე ფორმას. ჰ-ის ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ანუ ა დ ა პ ტ ა ც ი უ რ ი ფორმა აქვს ბევრ ადამიანს (სპორტსმენები, სამხრ. რ-ნების მცხოვრებნი და სხვ.); იგი რაიმე ავადმყოფურ სიმპტომს არ იწვევს და სპეც. მკურნალობას არ საჭიროებს; ს ი მ პ ტ ო მ უ რ ი ჰ. ბევრი დაავადების (ინფექციური, გულის და სხვ.) ერთ-ერთი ნიშანია. ამ დროს მკურნალობენ ძირითად დაავადებას; პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ანუ ნ ე ი რ ო ც ი რ კ უ ლ ა რ უ ლ ი ჰ. ვითარდება როგორც დამოუკიდებელი პათოლ. პროცესი სისხლძარღვოვანი ტონუსის მარეგულირებელი ნეიროენდოკრინულ აპარატზე მავნე ზემოქმედების (უარყოფითი ემოციები, გონებრივი გადაღლა, თავის ქალას ტრავმა, ალკოჰოლის მიღება) შედეგად; ჰ-ის ეს ფორმა შეიძლება განვითარდეს უეცრად და გამოვლინდეს კოლაფსით, გულის წასვლით, შოკით. ქრონიკულად მიმდინარე ჰ-ს ახასიათებს თავის ტკივილი, თავბრუ, ცუდი ძილი, ტაქიკარდია, სხეულის მდებარეობის შეცვლისას ადაპტაციის დაქვეითება და სხვ. პროცესის პროგრესირების დროს ვითარდება ჰიპერტონიული დაავადება. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა. შრომის, დასვენებისა და კვების რეჟიმის მოწესრიგება, სამკურნ. ფიზკულტურა, ფიზიოთერაპია, მედიკამენტური და სანატორიულ-კურორტული მკურნალობა.

**ჰიპოტონიური ხსნარები** ბ ი ო ლ ო გ ი ა შ ი, ხსნარები, რ-თა ოსმოსური წნევა მცენარეულ ან ცხოველურ უჯრედში არსებულ ოსმოსურ წნევაზე დაბალია. ჰ. ხ-ში მოთავსებისას ცოცხალი უჯრედი ჯირჯვდება, იბერება და შეიძლება გასკდეს; ეს განპირობებულია ოსმოსურ წნევათა სხვაობით და უჯრედგარე წყლის უჯრედში შესვლით. რაც უფრო ნაკლებია ხსნარის კონცენტრაცია, მით უფრო დაბალია მისი ოსმოსური წნევა და მეტია უჯრედზე დამშლელი გავლენა. სხვადასხვა კონცენტრაციის ჰ. ხ-ში მოთავსებული ერითროციტების ცვლილების მიხედვით იკვლევენ მათ ოსმოსურ რეზისტენტობას. სისხლძარღვებში ჰ. ხ-ის შეყვანამ შესაძლებელია ჰემოლიზი გამოიწვიოს. ა. ამყაძე

**ჰიპოფიზი** (ბერძნ. hypophysis — მორჩი), თავის ტ ვ ი ნ ი ს ქ ვ ე დ ა დ ა ნ ა მ ა ტ ი (hypophysis cerebri, glandula pituitaria), შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რ-იც მდებარეობს ჰიპოთალამუსის ქვეშ, თურქულ კეხში. ჰ. მომრგვალო-ოვალური ფორმის სხეულია, რ-ის სიგრძე 8—10 მმ, სიგანე 12—15 მმ, მასა საშ. 0,35—0,65 გ. შედგება წარმოშობით და ფუნქციით მკვეთრად განსხვავებული 2 წილისაგან. წინა წილი (ადენოჰიპოფიზი) წარმოიქმნება ჩანასახოვანი პირის ღრუს ხახის ნაკეცისაგან. განვითარების ადრეულ საფეხურზე ჰ. გარეგანი სეკრეციის ჯირკვლის როლს ასრულებს. ორგანიზმის მომწიფებასთან ერთად სადინარი იხურება და ჰ-ის წინა წილი წმინდა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლად ყალიბდება. უკანა წილი (ნეიროჰიპოფიზი) უფრო გვიან ჩნდება და ტვინის მესამე პარკუჭის კედლის გამონაზარდს წარმოადგენს, ანატომიურად ჰიპოთალამუსთანაა დაკავშირებული.

ჰ-ის წინა წილი გამოიმუშავებს სომატოტროპულ ანუ ზრდის ჰორმონს, თირეოტროპულ ჰორმონს (ფარისებრი ჯირკვლის მიერ ჰორმონების გამოყოფის სტიმულატორი), გონადოტროპულ ჰორმონებს — ფოლიკულმასტიმულირებელ ჰორმონს, მალუტეინიზირებელ ჰორმონს და ლაქტოგენურ ჰორმონს (სასქესო ჯირკვლების შიდასეკრეტორული ფუნქციის სტიმულატორები). ჰ-ის წინა წილი გამოყოფს აგრეთვე ადრენოკორტიკოტროპულ ჰორმონს (აკტჰ), რ-იც თირკმელზედა ჯირკვლის ქერქული წილის ჰორმონების (კორტიკოიდების) გამოყოფას არეგულირებს.

ჰ-ის უკანა წილი მონაწილეობს ნეიროსეკრეციაში — ჰიპოთალამუსის მიერ განსაკუთრებული ჰორმონების — ვაზოპრესინისა და ოქსიტოცინის გამომუშავებაში, რ-ებიც ჰიპოთალამუსის ნეირონებში წარმოიქმნებიან არააქტიური სახით, გადადიან ჰ-ში და განსაკუთრებული ნივთიერებების, ე. წ. რილიზინგ-ფაქტორების მეშვეობით გადადიან სისხლში. ვაზოპრესინი ანუ ანტიდიურეზული ჰორმონი თირკმლის დისტალური მილაკების მიერ წყლის უკუშეწოვას არეგულირებს, გარდა ამისა, მასტიმულირებელ გავლენას ახდენს გლუვ კუნთებზე. ჰორმონი ოქსიტოცინი ძლიერ მასტიმულირებელ გავლენას ახდენს საშვილოსნოს კედლის კუნთების უჯრედებზე, ამიტომ მისი გამოყოფა სისხლში ძლიერდება ორსულობის ბოლო პერიოდში და მშობიარობის დროს. ჰ-ის უკანა წილის ჰორმონებს ამჟამად სხვა ფუნქციებსაც მიაწერენ. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ვაზოპრესინი და განსაკუთრებით ოქსიტოცინი ნერვული მედიატორების ან მოდულატორების წარმოადგენენ.

ნაკლებად არის შესწავლილი (განსაკუთრებით ადამიანში) ჰ-ის შუა წილი, რ-შიც გამომუშავდება მელანოფორული ჰორმონი, რ-იც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვალის სიბნელისადმი ადაპტაციაში.

ჰ-ის ყველა ჰორმონი ქიმიურად ცილა ან პეპტიდია. ზოგადად ჰ-ის ჰორმონები ორგანიზმის სხვა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების რეგულატორებს წარმოადგენენ. ეს რეგულაცია ორმხრივი უკუკავშირებით ხორციელდება. მაგ., სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების დაკლებისთანავე იწყება თირეოტროპული ჰორმონის უხვი გამოყოფა, რაც იწვევს ფარისებრი ჯირკვლის გაძლიერებულ სეკრეციას და, პირიქით, უკანასკნელის გაძლიერებული სეკრეცია აკავებს ჰ-ის მიერ თირეოტროპული ჰორმონის გამომუშავებას. ა. ქორქელი

ჰ. ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა, თხილის ფორმის, ზემოდან ქვემოთ შებრტყელებული ორგანო, მდებარეობს თურქული კეხის საგანგებო ფოსოში და ზემოდან დაფარულია ტვინის მაგარი გარსის წარმონაქმნით — თურქული კეხის შუასაძგიდით, რ-იც

ჰიპოკრატეს მთვარეები.




ნახ. 1




ნახ. 2

ერთ-ერთი ჰიპოკრატეს მთვარის ასაგებად (ნახ. 1) ნახევარწრეში ჩახაზავენ ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედს ABC და მის ჰიპოტენუზაზე ააგებენ კათეტებით მოკვეთილი სეგმენტების მსგავს სეგმენტს. მიღებული ჰიპოკრატეს მთვარის ფართობი ტოლია ABC ტოლფერდა სამკუთხედის ფართობისა. ჰიპოკრატეს ცნობილი ორი მთვარის აგება უფრო რთულია. მეორე ნახაზზე გამოსახულია a და b ჰიპოკრატეს მთვარეები, რომლებიც შემოსაზღვრულია ABC მართკუთხა სამკუთხედის კათეტებზე, როგორც დიამეტრებზე, აგებული ნახევარწრეებით და ამავე სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე აგებული ნახევარწრის ნაწილებით. ორივე მთვარის ფართობთა ჯამი სამკუთხედის ფართობის ტოლია.

ჰიპოკრატეს მთვარეები ბევრ მათემატიკოსს იზიდავდა. სწორხაზოვანი ფიგურების ტოლდიდი ჰიპოკრატის მთვარეები 1840 გერმანელმა მათემატიკოსმა ტ. კლაუზენმა იპოვა კიდევ ორი მთვარე (XX ს-ში დამტკიცდა რომ სხვა კვადრირებადი მთვარეები არ არსებობს).




ჰიპოტენუზა.



ჰიპოციკლოიდი. ჰიპოციკლოიდის განტოლება პარამეტრული სახით:

$$x=(A-a)\cos\varphi+a\cos[(A-a)\varphi/a],$$
$$y=(A-a)\sin\varphi-a\sin[(A-a)\varphi/a],$$

სადაც A არის უძრავი წრეწირის რადიუსი, a — მოძრავი წრეწირისა. წირის სახე, ისევე როგორც ეპიციკლოიდისათვის, დამოკიდებულია A/a=n შეფარდებაზე: როცა n მთელია, წირი შედგება n შტოსაგან. როცა n=2, წირი გადაგვარდება (მიიღება უძრავი წრეწირის დიამეტრი). როცა n=4, მიიღება ასტროიდი (ნახაზზე მოცემულია ის შემთხვევა, როცა n=3, $A_1$, $A_2$, $A_3$ უკუქცევის წერტილებია, $B_1, B_2, B_3$ — წვეროები)

გაჭიმულია სოლისებრი ძვლის წინა და უკანა ფანჯრებს შორის. მის ცენტრში არის მცირე ხვრელი. ჰ-ის საშუალებითაც ერთვის თავის ტვინის რუხი ბორცვის ძაბრის წვერილი და ნაწი, ნერვული ქსოვილისაგან შემდგარი ფეხით. ორგანოს მასა 0,5 გ შეადგენს. ჰ-ის წინა წილი — ადენოჰიპოფიზი ვითარდება ემბრიონული განვითარების მე-4 კვირას პირის ღრუს ექტოდერმული ჩაღრმავების (რატკეს ჯიბე) მხვარავი ეპითელიუმიდან, შუამდებარე წილი წარმოიქმნება იქ, სადაც რატკეს ჯიბის შიგნითა ფურცელი მჭიდროდ ეხვარებს კონტაქტს ნეიროჰიპოფიზთან. წინა და შუამდებარე წილებს შორის რჩება ნაპრალი, ე. წ. ნარჩენი ღრუ (რატკეს ჯიბის პირვანდელი ღრუს ნაშთი). ადენოჰიპოფიზში ადრე იწყებს ენდოკრინული ჯირკვლისათვის დამახასიათებელ თვისებებს. სეკრეტორული უჯრედების ირგვლივ ვითარდება სისხლძარღვები. მოზრდილი ადამიანის ჰ-ის წინა წილი ფერად მოწითალო-რუხია, უკანა წილს, პიგმენტის დაგროვების გამო, ბაცი მომწვანო-მოყვითალო ფერი დაჰკრავს; იგი, ნერვული ქსოვილისაგან შედგება და უფრო რბილია. შუამდებარე წილი მოიცავს კოლოიდური შიგთავსის მქონე ცისტებს. ჰ-ის წინა წილის ფუნქციის გაძლიერება — ჰიპერფუნქცია, თუ იგი ბავშვობის ასაკში დაიწყო, იწვევს გიგანტიზმს და ნაადრევ სქესობრივ განვითარებას. ზრდის დასრულების შემდეგ ჰ-ის ჰიპერფუნქციის შედეგად ვითარდება აკრომეგალია. ფუნქციის დაქვეითება — ჰიპოფუნქცია, თუ ის ბავშვობის პერიოდში დაიწყო, იწვევს ნანიზმს — ჰიპოფიზურ ჯუჯობას. ჰ-ის უკანა წილის ჰორმონის — ვაზოპრესინის ნაკლებობის დროს თირკმლები კარგავს შარდის კონცენტრაციის უნარს და ვითარდება უშაქრო დიაბეტი (იხ. დიაბეტი უშაქრო).

ვ. აბაშიძე.

**ჰიპოფოსფატები**, პიროფოსფორმჟავას $H_4P_2O_6$ მარილები. მაგ., ნატრიუმჰიპოფოსფატი $Na_4P_2O_6$ კალიუმჰიპოფოსფატი $K_4P_2O_6$ და სხვ.

**ჰიპოფოსფიტები**, ჰიპოფოსფოროვანმჟავას $H_3PO_2$ მარილები. მაგ., კალციუმჰიპოფოსფიტი $Ca(H_2PO_2)_2$, ნატრიუმჰიპოფოსფიტი $NaH_2PO_2$ და სხვ.

**ჰიპოფუნქცია** (ჰიპო... და ფუნქცია), ორგანოს, ქსოვილის, სისტემის ფუნქციის შესუსტება, რასაც თან სდევს ორგანიზმის ცხოველქმედების დარღვევა (მაგ., ფარისებრი ჯირკვლის ჰ-მ, თიროქსინის მცირე რაოდენობით გამოყოფამ, შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის შესუსტება და მიქსედემა). შდრ. ჰიპერფუნქცია.

**ჰიპოქლორიტები**, ქლორქვეჟანგმჟავას HClO მარილები. მაგ., კალიუმჰიპოქლორიტი KClO, კალციუმჰიპოქლორიტი $Ca(ClO)_2$ ნატრიუმჰიპოქლორიტი NaClO და სხვ.

**ჰიპოქსემია** (ჰიპო..., ლათ. oxygenium — ჟანგბადი და ბერძ. haima — სისხლი), სისხლში ჟანგბადის შემცველობის დაქვეითება. ჰ-ის მიზეზი შეიძლება იყოს სისხლის მიმოქცევის მოშლა, ჟანგბადზე ქსოვილთა მოთხოვნილების მომატება (ძლიერი კუნთოვანი დატვირთვისას), ფილტვების დაავადების დროს აირთა ცვლის შეფერხება, სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის დაქვეითება (მაგ., ანემიის დროს), შესუნთქულ ჰაერში ჟანგბადის პარციალური წნევის დაქვეითება (სიმაღლის ავადმყოფობა) და სხვ. ჰ-ის შედეგად ვითარდება ჰიპოქსია.

**ჰიპოქსია** (ჰიპო... და ლათ. oxigenium — ჟანგბადი), ჟ ა ნ გ ბ ა დ ი ს შ ი მ შ ი ლ ი, ჟ ა ნ გ ბ ა დ ი ს უ კ მ ა რ ი ს ო ბ ა, ჟანგბადის შემცველობის დაქვეითება ქსოვილებში. პათოლ. მდგომარეობა, რ-იც ვითარდება ჰ-ის დროს. განპირობებულია იმით, რომ ქსოვილების მოთხოვნილება ჟანგბადზე აღემატება ქსოვილებისათვის ჟანგბადის მიწოდებას (სისხლში მისი შემცველობის დაქვეითების — ჰიპოქსემიის დროს) ან ქსოვილთა მიერ ჟანგბადის მოხმარების შესაძლებლობას. ამის შედეგად სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებში ვითარდება შეუქცევადი ცვლილებები. ჰ-დმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ცენტრ. ნერვული სისტემა, გულის კუნთი, თირკმლისა და ღვიძლის ქსოვილი. განარჩევენ ჰ-ის შემდეგ ფორმებს: ჰ ი პ ო ქ ს ი უ რ ი ჰ., განპირობებულია ჩასუნთქულ ჰაერში ჟანგბადის შემცველობის დაქვეითებით, მაგ., დიდ სიმაღლეზე ასვლისას (იხ. სიმაღლის ავადმყოფობა); ჰ ე მ ი უ რ ი ჰ-ს იწვევს სისხლში იმ ჰემოგლობინის ნაკლებობა, რ-საც შეუძლია ჟანგბადის მიერთება; ვითარდება სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის, ნახშირჟანგით მოწამვლის, რადიაციული ზემოქმედებისა და სხვათა დროს. ც ი რ კ უ ლ ა ტ ო რ უ ლ ი ჰ. სისხლის მიმოქცევის დარღვევაა, რ-საც მოჰყვება ქსოვილებში დროის ერთეულში მიღებული სისხლის რაოდენობის შემცირება; ქ ს ო ვ ი ლ ო ვ ა ნ ი ჰ-ის დროს იცვლება სასუნთქი ფერმენტების აქტივობა, რის გამოც ქსოვილები ვეღარ ითვისებენ ჟანგბადს, რ-საც შეიცავს მათი მკვებავი სისხლი.

ჰ-ის განვითარების სისწრაფის მიხედვით ჰ. შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული. მ წ ვ ა ვ ე ჰ-ის დროს უცებ მკვეთრად ირღვევა ცენტრ. ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების ფუნქცია, ქრონიკული ჰ-ის დროს — გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, სისხლის სისტემის ფუნქცია. ჰ-სადმი გამძლეობის ამაღლება შეიძლება ვარჯიშით ბაროკამერაში ან მაღალმთიანი ჰავის პირობებში. ამ დროს ორგანიზმში გამომუშავდება შემგუებლობითი მექანიზმები (სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის რეფლექსური გაძლიერება, ერითროციტების რაოდენობისა და ერითროციტებში ჰემოგლობინის შემცველობის მომატება), რითაც ჟანგბადის უკმარისობის პირობებში ადვილდება გუნება-განწყობა, ზრდიან შრომისუნარიანობას. მწვავე ჰ-დმი ორგანიზმის გამძლეობის გაზრდასთან ერთად იგი უფრო გამძლე ხდება მაიონიზებელი რადიაციის, სიოპური ზემოქმედების, დიდი ფიზ. დატვირთვისა და სხვათა მიმართ.

**ჰიპოცენტრი** (ჰიპო... და ცენტრი), მიწისძვრის კერის ცენტრალური წერტილი. იმის გამო, რომ მიწისქვეშა ბიძგის წყარო მეტ-ნაკლებად განვრცობილია ტექტონ. რღვევის გასწვრივ, ჰ-ად იმ წერტილს მიიჩნევენ, სადაც რღვევის განვითარება იწყება. ჰ-ის მდებარეობის სიღრმე 700 კმ აღწევს. დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში (20 კმ სიღრმემდე) ჰ. ვლინდება ქანების მყიფე დეფორმაციის შედეგად; უფრო ღრმად — უპირატესად პლასტ. დეფორმაციის ფორმით.

**ჰიპოციკლოიდი** (ჰიპო... და ბერძ. kykloeidēs — წრისებრი), წირი, აღწერილი უძრავი წრეწირის გარშემო შიგა მხებეში მყოფი უსრიალოდ მგორავი წრეწირის ნებისმიერი წერტილით (იხ. ნახ.).

**ჰიპპურმჟავა**, $C_6H_5CONHCH_2COOH$, ბენზოლმჟავას ნაშთებისა და გლიცინის ნაერთი. უფერო კრისტალებია. $t_{დნ}$ 187,5°C. ცხოველების უმრავლესობასა და ადამიანს წარმოიქმნება უმთავრესად ღვიძლში. გამოიყოფა შარდთან ერთად. ორგანიზმში ჰ-ს სინთეზის ბიოლ. მნიშვნელობაა ბენზოის ბენზოლმჟავას, რ-იც წარმოიქმნება მცენარეული ქსოვილის არომატული ნაერთების დაშლის შედეგად. პრაქტიკაში ჰ-ს სინთეზის უნარით აფასებენ, თუ რამდენად შეუძლია ღვიძლს შხამების გაუვნებლება.

**ჰირაკოთერიუმი** (Hyracotherium), ცხენისებრთა ოჯახის ამომწყდარი გვარი. გავრცელებული იყო ჩრდ. ამერ. და ევრ. ეოცენში (არსებობს ცნობა ჰ-ის ნაშთების ცენტრ. აზიაში პოვნის შესახებ). ოჯახის უძველესი წარმომადგენელი, რ-საც ცხენის შორეულ წინაპრად მიიჩნევენ. პატარა, მოკლედერეზიანი ცხოველი იყო. წინა კიდურებზე ჰქონდა ოთხი თითი, უკანაზე — სამი; ნებისა და წინა ტერფის ძვლები უკვე რამდენადმე დაგრძელებული იყო. ბინადრობდა დაჭაობებულ ტყეში.

ლ. გაბუნია.

**ჰირაძისიბი**, იხ. დაზანები.

**ჰირატსუკა**, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, კანაგავას პრეფექტურაში. 219 ათ. მცხ. (1982). ქიმ., ელექტრომანქანათსაშ., ცემენტის, კვების მრეწველობა.

**ჰიროსაკი**, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ. ნაწილში, აომორის პრეფექტურაში. 176 ათ. მცხ. (1982). სატრანსპ. კვანძი. ტყის მრეწვ. ცენტრი (ხის დამუშავება, სატყეო-ქიმ. მრეწველობა). კვების მრეწვ. საწარმოები. გალაქული ნაკეთობების შინამრეწველური წარმოება. უნ-ტი.

**ჰიროსიგე** ანდო (ფსევდ. უ ტ ა გ ა ვ ა ჰ ი რ ო ს ი გ ე) [1797, ედო (ტოკიო), — 12. X. 1858, იქვე], იაპონელი გრაფიკოსი, უკიიო-ეს სკოლის წარმომადგენელი. ბევრს მოგზაურობდა თავის ქვეყანაში. შექმნა ფერადი პეიზაჟების (გრავიურა ხეზე) სერიები („ტოკაიდოგზის 60-ზე მეტი ხედი“, 1833—36; „ფუძის მთის 36 ხედი“, 1854—58; „ედოს 100 ხედი“, 1856—58 და სხვ.). ჰ-ს ხელოვნებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის პერიოდის ევრ. პეიზაჟის განვითარებაზე.

**ჰიროსიმა**, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში, მდ. ოტას დელტაში. ჰიროსიმის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 898 ათ. მცხ. (1983). ტრანსპორტის ეკონ. რ-ნის დიდი სამრეწვ. ცენტრი. მანქანათმშ. (მ. შ. გემთმშენებლობა და გემების რემონტი), ჩარხ-საიარაღო, ავტომობილ საფეიქრო, რეზინტექ., ხის დასამუშ., ქაღალდის, კვების მრეწველობა. უნ-ტი.

ქალაქი აღმოცენდა ფეოდალი მთავრის მორის ციხე-დარბაზის (აშენდა 1591) გარშემო. 1945 წ. 6 აგვ. აშშ-მა ყოველგვარი სამხ. აუცილებლობის გარეშე პირველი ატომური ბომბი ჩამოაგდო ქალაქზე. ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა, დაიღუპა და დაიჭრა 140 ათ-ზე მეტი კაცი. 1959-იდან ჰ-ში მრავალგზის ჩატარდა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ მებრძოლთა საერთაშ. კონფერენცია. მშვიდობის მემორიალური ცენტრი (1949—56, არქიტ. კ. ტანგე).

**ჰიროსიმა**, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში, იაპ. შიგა ზღვის სანაპიროზე. ფართ. 8,4 ათ. კმ². მოსახლ. 2,8 მლნ. კაცი (1982). ადმ. ც. — ქ. ჰიროსიმა. ჭარბობს ბორცვები და დაბალმთიანეთები (სიმაღლე 1339 მ-მდე). ჰავა სუბტროპ., მუსონური. მთავარი მდინარეა ოტა. ტერიტ. დიდი ნაწილი შემოსილია ტყით. ეკონომიკა ინდუსტ.-აგრ. ხასიათისაა. განვითარებულია სატრანსპ. მანქანათმშ. (გემთ- და ავტომშენებლობა), საერთო მანქანათმშ., შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმ., კვების, ცემენტის, საფეიქრო, რეზინის მრეწველობა. იღებენ სპილენძს, პირიტს, ვოლფრამს. სანაპიროზე მარილის საწარმოებაა. არის საწყლო მეურნეობა. მთავარი სას.-სამ. კულტურაა ბრინჯი. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბატატი. მისდევენ მეაბრეშუმეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეფრინველეობას, თევზჭერას. მთავარი ნავსადგურებია კურე და ჰიროსიმა.

**ჰიროჰიტო** (Hirohito) (დ. 29. IV. 1901, ტოკიო), იაპონიის იმპერატორი. 1921-იდან მამამისის, იმპ. იოსიჰიტოს ავადმყოფობის გამო პრინც-რეგენტი იყო. იოსიჰიტოს გარდაცვალების შემდეგ, 1926 დეკ. ტახტზე ავიდა

**ჰირსუტიზმი** (ლათ. hirsutus — თმიანი), მამაკაცის ტიპის თმიანობა ქალებში, ვირილიზმის ერთ-ერთი გამოვლენა. ჰ. უმეტესად თირკმელზედა ჯირკვლების ქერქისა და სასქესო ჯირკვლების დაზიანებით გამოწვეული დაავადებების ნიშანია. ჰ-ის მსგავსი სინდრომი აღინიშნება კლიმაქსის წინა წლის სიმსივნის შემთხვევებშიც. ჰ. ვლინდება თმის ამოსვლით სახეზე (ზედა ტუჩი, ღაწვები), მკერდზე, მუცელზე, ხელებსა და ფეხებზე. ჰ-ის დროს შეიძლება განვითარდეს ჭარბი სიმსუქნე (ჰ-ის „მუქსანი" ტიპი) ან მკვეთრად გამოხატული მამაკაცური აღნაგობა; ქალიშვილების მუსკულატურა და ჩონჩხი მამაკაცისას წააგავს (ჰ-ის „ვირილიზმის" ტიპი), სხეულზე (განსაკუთრებით სახესა და ფეხებზე) ჩნდება წითელი ლაქები. გოგონებში ჰ-ს დაერთვის გარეთა სასქესო ორგანოების და მამაკაცებისათვის დამახასიათებელი მეორეული სასქესო ნიშნების ნაადრევი განვითარება, შინაგანი სასქესო ორგანოების განუვითარებლობა, მენსტრუაციის უქონლობა, თმის გაცვენა, ფსიქიკისა და ინტელექტის ჩამორჩენა, სექსობრივი ლტოლვის უქონლობა.

მკურნალობა ქირურგ. ოპერაცია; რენტგენოთერაპია.

**ჰირტი** (Hirt) ჰერმან (19. XII. 1865, მაგდებურგი, — 12. IX. 1936, გისენი), გერმანელი ენათმეცნიერი. სწავლობდა ლაიფციგისა და ფრაიბურგის უნ-ტებში, კ. ბრუგმანის, ა. ლესკინისა და ნეოგრამატიზმის სხვა მომხრეთა მოწაფე. ლაიფციგისა (1896-იდან) და გისენის (1912—36) უნ-ტების პროფესორი. მისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ინდოევროპეისტიკას — გამოიკვლია ინდოევრ. მახვილი, აბლაუტი. ავტორია „ინდოგერმანული გრამატიკისა" (ტ. 1—7, 1921—37). ჰ-ის შრომებში ზოგი საკითხი სადავოა (მაგ., მისი აბლაუტის თეორია და სხვ.).

თხზ.: Die Indogermanen, Bd. 1—2, Strassburg, 1905—07.

**ჰირტლი** (Hyrtl) იოზეფ (1811—1894), ავსტრიელი ანატომი, პრეპარირებისა და სისხლძარღვთა ინიექციების უბადლო ოსტატი. 1837—45 იყო ანატომიის, ტოპოგრ. და შედარებითი ანატ. პროფესორი პრაღაში, 1845—74 — ვენაში. 1847 აირჩიეს ვენის აკად. წევრად. ევრ. მრავალი უნ-ტის საპატიო დოქტორი. განსაკუთრებით პოპულარულია მისი ანატ. სახელმძღვანელო, რ-იც 1846—89 წლებში 20-ჯერ გამოიცა გერმანულად, თარგმნილია სხვა ენებზეც (მ. შ. რუსულად). მისი „ტოპოგრაფიული ანატომიის სახელმძღვანელო" 1847—84 გამოიცა 8-ჯერ (1860—61 — რუს. ენაზე). იკვლევდა ანატ. ტერმინოლოგიის ისტ. საკითხებს. მრავალი მოწაფე და მიმდევარი ჰყავდა სხვა ქვეყნებში (რუსეთში — ვ. გრუბერი). აღწერა ანასტომოზი ენისქვეშა ნერვებს შორის, სფენოიდური სწორი ნაწილავის ამპულის ზემო ნაწილში, დაფის ზედა ჯიბე და სხვ.

ე. ამაშიძე.

**ჰირუდინი** (ლათ. hirudo — წურბელა), ნივთიერება, რ-იც აფერხებს სისხლის შედედებას. გამოყოფს სამედიცინო წურბელის სანერწყვე ჯირკვლები. ჰ. თრომბინთან ქმნის ნაერთს, რითაც ხელს უშლის ფიბრინის წარმოქმნას. ჰ. პოლიპეპტიდია; მოლ. მასა დაახლ. 20000.

**ჰისარ-ალაი**, მთათა სისტემა პამირ-ალაის მთიან მხარეში, ყირგ., ტაჯ. და უზბ. სსრ-ების ტერიტორიაზე; სიგრძე დაახლ. 900 კმ, სიგანე 80—150 კმ. ჩრდილოეთ ესაზღვრება ფერღანის ველი და ყიზილ-ყუმის უდაბნოს აღმ. ნაწილი, სამხრეთ — ყარშის სტეპი, ტაჯ. დეპრესია და ალაის ველი. დას. და შუა ნაწილში აღმართულია თურქესტანის ქედი, ზარავშანის ქედი, ჰისარის ქედი და მათი შტოქედები, აღმ. ნაწილში — ალაის ქედი. ქედები მეტად ასიმეტრიულია: სამხრ. კალთები ციცაბოა, ჩრდ. — დამრეცი. ალაისა და თურქესტანის ჩრდ. მთისწინა ქედებზე შემორჩენილია ნეოგენ-პლეისტოცენში ტექტონ. მოძრაობების შედეგად დეფორმირებული მოსწორებული ზედაპირები. ამავე ქედების ჩრდ. კალთებს ემჩნევა ინტენსიურად დანაწევრებული ლიოსური მთისწინეთი („ადირები"). თხემები და მწვერვალები დაფარულია მყინვარებით (მათ შორის უდიდესია ზარავშანის მყინვარი, სიგრძე — 25 კმ, ფართ. — 41 კმ²).

ჰ.-ა-ს მთათა სისტემა წარმოიქმნა ჰერცინული დანაოჭების შედეგად. აგებულია დანალექი და მეტამორფული ქანებით, რ-შიც ჩართულია გრანიტები და დიორიტები. ინტრუზიებთან დაკავშირებულია ვოლფრამის, მოლიბდენის, დარიშხანის, ოქროს, ვერცხლისწყლის, სტიბიუმის საბადოები. საკმაო რაოდენობით არის ქვანახშირიც.

ჰ.-ა-ში მკაფიოდ არის გამოხატული ჰავის ვერტ. სარტყლურობა. ქვაბულებსა და ხეობებში ივლ. საშ. ტემპ-რაა 24,3—28,2°C, ყველაზე ცივი თვისა −3,0°C, 1,4°C. 3600 მ სიმაღლეზე შესაბამისი ტემპ-რა 11°C და −13,2°C. სამხრ. და დას. ქარპირა კალთებზე ნალექები 1000—2000 მმ-მდეა წელიწადში, ქარზურგა კალთებზე და ქვაბულებში ზოგან 200 მმ-ზე ნაკლები. მთავარი არტერიაა მდ. ზარავშანი, რ-იც თოვლისა და მყინვარის წყლით იკვებება; ბევრია ტბა (ისკანდერქული, მარგუზორი და სხვ.). მთისწინეთში ეფემერული ნახევარუდაბნოებია, რ-თაც ზემოთ ნაირბალახოვანი და ბუჩქნარიანი სტეპები. სტეპის ზონა ცვლის, საშუალმთიანეთში მეჩხერი ტყე, სტეპი და მდელოებია, უფრო ზემოთ — მაღალმთის მდელოები. ქედების თხემზე ტიპობრივი ნივალური ზონაა.

**ჰისარი**, ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ბინადარი მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა დასახლება დამღანთან, ჩრდ.-აღმ. ირანში. გათხარეს 1931—33 (აშშ, ე. შმიდტი). დაადგინეს 3 ძირით. ფენა და ქვეფენები, რ-ებსაც ძვ. წ. V—III ათასწლეულებით ათარიღებდნენ. შემდგომში დათარიღება დაზუსტდა: ჰ. I A — ძვ. წ. 3700—3500; I B — 3500 — 3200, I C — 3200—2800; ჰ. II A 2800—2700; II B 2700—2400, ჰ. III A — 2400 — 2200; III B — 2200—2000; III C—2000 — 1900/1800. უძველესი ფენისათვის დამახასიათებელია ცეცხლ. სახეებით შემკული ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი (ჰ. I A). მოსახლე ცხოვრობდა ბზენარევი ალიზის სახლებში. ნაკეთსახლარზე გამოვლენილია სამარხები. მომდევნო ფენებში (ჰ. I B—II A) აღმოჩენილია მორგვზე ნაძერწი ჭურჭელი, რ-იც ზოომორფული, ანთროპომორფული და მცენარეული სახეებით არის შემკული. ვითარდებოდა მეტალურგია. ამ ხანის ჰ-ის კულტურა დაკავშირებულია ცენტრ. ირანისა (სიალქი III) და სამხრ. თურქმ. (ნამაზგა-თეფე III) ამავე დროის კულტურებთან. ძვ. წ. III ათასწლ. I ნახევარში გაჩნდა ნაცრისფერი პრიალა ჭურჭელი, რ-მაც თანდათან განდევნა მოხატული (ჰ. II B) კერამიკა. ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. — II ათასწლ. დასაწყისში ჰ-ის კულტურამ აყვავებას მიაღწია (ჰ. III). ამ დროის ის ახლოს დგას ნამაზგა-თეფე V და VI-თან და შორეულ მსგავსებას ავლენს მაიკოპის კულტურასთან. ამ ხანის საყურადღებო შენობა (წარჩინებული ოჯახის რეზიდენცია) და მდიდრული სამარხები მიუთითებს პატრიარქალურ-გვაროვნ. არისტოკრატიის წარმოშობაზე.

ლიტ.: Массон В. М., Средняя Азия и Древний Восток, М.—Л., 1964; Ehrich R. W., Chronologies..., Chi.—L., 1971; Schmidt E. F., Excavations at Tepe Hissar, Phil., 1937.

ე. გოგაძე.

**ჰისარის ქედი**, ქედი შუა აზიაში, უზბ. და ტაჯ. სსრ-ების ტერიტორიაზე, პამირ-ალაის მთათა სისტემის დას. ნაწილში მდ-ების ამუდარიისა და ზარავშანის წყალგამყოფი. სიგრძე დაახლ. 200 კმ (სამხრ.-დას. შტოქედების გათვალისწინებით) სიმაღლე 4643 მ-მდე. აგებულია უმთავრესად კრისტ. ქანებით, ქვიშაქვებითა და ფიქლებით, რ-ებიც გაკვეთილია გრანიტული ინტრუზიებით ცენტრ. ნაწილში. 2167 მ სიმაღლეზე მდებარეობს ისკანდერქულის ტბა. კალთები შემოსილია მაღალბალახოვანი სტეპით, ზემოთ კორდიან-მარცვლოვანი მცენარეულობა და ბუჩქნარია, უფრო მაღლა — სუბალპ. და ალპ. მდელოები.

**ჰისარის ხეობა**, მთათაშუა ღრმული ტაჯ. სსრ დას. ნაწილში. ჰისარის ქედის სამხრ. კიდესა და ბაბათაღის, ყარათაუსა და სხვა მთების ჩრდ. კიდეებს შორის. სიგრძე სურხანდარიის ხეობის ზედა მონაკვეთთან ერთად დაახლ. 115 კმ, საკუთრივ ჰ. ხ-ისა — 70 კმ-მდე; სიგანე შუა ნაწილში — 20 კმ-მდე. სიმაღლე 700-იდან 1000 მ-მდე. ხეობას რწყავს მდ. ქაფირნიგანი და მისი შენაკადები, აგრეთვე დიდი ჰისარის არხი. ჰავა კონტინენტურია. ივლ. საშ. ტემპ-რა 29°C, იანვ. —0,7°C. ნალექები 520 მმ-მდე წელიწადში. ჰ. ხ-ის მოვაკებულ ძირზე ბამბის, ხორბლის, შირბახტის ნათესები და ბაღ-ვენახებია; დასავლეთში — ვერხვის პლანტაციები. ფერდობებზე 1200—2000 მ სიმაღლემდე სუბტროპ. სტეპი, ბუჩქნარი და ფართოფოთლოვანი ტყეებია. უფრო მაღლა — სუბალპ. და ალპ. მდელოები. ჰ. ხ-ში მდებარეობს ტაჯ. სსრ დედაქალაქი დუშანბე.

**ჰისარლიქი**, იხ. ტროა.

**ჰისარული ცხვარი**, უხეშმატყლიანი დუმიანი ცხვრის ჯიში ხორცის-საქონის მიმართულებისა. გამოყვანილია ტაჯიკეთში ხალხ. სელექციის გზით. ერკემლის სიმაღლე მინდაოში 80—85 სმ, ნერბისა 75—80 სმ. ერკემლის ცოცხალი მასა 130—140 კგ, უდიდესი 190 კგ-მდე, ნერბისა 80—90 კგ, უდიდესი 150 კგ-მდე. ჰ. ც. მაგარი კონსტიტუციისაა, უმეტესად ქოლოკია. აქვს დიდი დუმა (18—20 კგ), სადაც გროვდება ცხიმი. ფერად მურაა. ნაკლავის გამოსავალი 58—60%. მატყლი უხეშია, იყენებენ ქეჩა-რაბადისა და უხეში ქსოვილის მისაღებად. ერკემლის ნაპარსი 1,3—1,6 კგ, ნერბისა 1,0—1,4 კგ. მოშენებულია ტაჯიკეთში და მის მომიჯნავე უზბ. სსრ რ-ნებში.

**ჰისტამინი**, β-იმიდაზოლილ-4(5)-ეთილამინი, ბიოგენური ამინი, რ-იც იქმნება ჰისტიდინის დეკარბოქსილირებით. აქვს ძლიერი ბიოლ. მოქმედება. იწვევს კაპილარების გაფართოებას და განვლადობის მატებას, აქტიურებს გლუვ კუნთებს, ავიწროებს მსხვილ სისხლძარღვებს, ზრდის მარილმჟავას სეკრეციას კუჭში და ა. შ. არააქტიური, შებოჭილი სახით დიდი რაოდენობით გვხვდება ცხოველებისა და ადამიანის სხვადასხვა ორგანოში — ფილტვებში, ღვიძლში, კანში. ჰ-ის გამოთავისუფლება, რაც ალერგიული რეაქციების დროს ხდება, იწვევს კანის გაწითლებას, ქავილს, წვას, წყლულების წარმოქმნას. ჰ. იშლება ფერმენტ ჰისტამინაზით.

**ჰისტერეზისი** (ბერძნ. hysterēsis — ჩამორჩენა, დაგვიანება), მოვლენა, რ-ის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სხეულის მდგომარეობის მახასიათებელი ფიზიკური სიდიდე (მაგ., დამაგნიტებულობა) არაცალსახადაა დამოკიდებული იმ ფიზ. სიდიდეებზე, რ-ებიც ახასიათებენ გარე პირობებს (მაგ., მაგნ. ველს). ჰ. შეინიშნება მაშინ, როდესაც სხეულის მდგომარეობა დროის მოცემულ მომენტში განისაზღვრება არა მარტო დროის იმავე მომენტში გარე პირობებით, არამედ გარე პირობებით დროის წინა მომენტებშიც. სიდიდეთა არაცალსახა დამოკიდებულება შეინიშნება ნებისმიერ პროცესში, ვინაიდან სხეულის მდგომა-




სურ. 1. მაგნიტური ჰისტერეზისის მარყუჟი ფერომაგნიტიკისთვის, H — მაგნიტური ველის დაძაბულობა; M — ნიმუშის მაგნიტური მომენტი; $H_c$ — კოერციტიული ველი; $M_s$ — ნაჯერი მაგნიტური მომენტი; $M_r$ — ნარჩენი მაგნიტური მომენტი. ჩვეულებრივ ნაჩვენებია ჰისტერეზისის შესაბამისი მარყუჟის სქემატური სურათი და მოცემულია ნიმუშის დომენური სტრუქტურა მარყუჟის ზოგიერთი წერტილისათვის. საკმარისად ძლიერ მაგნიტურ ველში ნიმუში მაგნიტდება გაჯერებამდე (ველის შემდგომი ზრდა M-ს პრაქტიკულად არ ცვლის; A წერტილი). ამ დროს ნიმუში შედგება ველის გასწვრივ მიმართული ერთი დომენისაგან. გარე მაგნიტური ველის დაძაბულობის შემცირებისას ნიმუშის მაგნიტური მომენტი იცვლება მრუდის I ნაწილის შესაბამისად, უპირატესად ველის საწინააღმდეგო დამაგნიტებულობის მქონე დომენების წარმოქმნისა და ზრდის ხარჯზე. დომენების ზრდას განაპირობებს მათი კედლების (საზღვრების) მოძრაობა. დომენების კედლების მოძრაობა შეფერხებულია ნიმუშში სხვადასხვა ტიპის დეფექტების არსებობით, რ-ებიც აფიქსირებენ კედლებს ხარისხოვან მდებარეობაში; დომენის კედლის ასამოძრავებლად საჭიროა საკმაოდ ძლიერი მაგნ. ველი. ამიტომ H-ის შემცირებისას ნულამდე ნიმუში რჩება ე. წ. ნარჩენი $M_r$ მაგნიტური მომენტი (B წერტილი). ნიმუშის მთლიანად განმაგნიტება საწინააღმდეგო მიმართულების საკმაოდ ძლიერ ველში, რ-საც კოერციტიული ველს (კოერციტიული ძალას) $H_c$ უწოდებენ (C წერტილი). საწინააღმდეგო მიმართულებით მაგნ. ველის შემდგომი ზრდისას ნიმუში კვლავ მაგნიტდება გაჯერებამდე (D წერტილი). ნიმუშის გადამაგნიტება D-დან A წერტილამდე მიმდინარეობს II მრუდის შესაბამისად. ასე რომ, ველის ციკლური ცვლილებისას წირი, რ-იც დამაგნიტების ცვლილებას აღწერს, წარმოქმნის მაგნიტური ჰ-ის მარყუჟს. თუ

(გაგრძელება იხ. გვ. 672)







ჰოაცინი



ჯ. ჰიქსი.



ჰობოი



ფ. ჰოდლერი. ავტოპორტრეტი. 1914. ალბრაიტ-ნოქსის სამხატვრო მუზეუმი. შაფჰაუზენი (შვეიცარია)

ნენტების, ქედების) მითაქსებულია ატლასებში ა მ-ს ზღვის ფსკერის რელიეფის რუკების შესადგენადაც იყენებენ (იხ. ბათიმეტრიული რუკა)

ლიტ.: Лозанова В. М., Развитие гипсометрического метода изображения рельефа на отечественных мелкомасштабных картах, «Труды Центрального н.-и. ин-та геодезии, аэросъемки и картографии», 1951, в. 84.

**ჰიფსომეტრიული რუკა,** რუკა, რ-იც ჰორიზონტალებისა და გარკვეული სკალის შესაბამისად შეფერადებული სიმაღლეებრივი საფეხურების საშუალებით გვაძლევს რელიეფის ზუსტ გეომეტრიულ გამოსახულებას.

**ჰიქსი** (Hicks), ჯონ რიჩარდ (დ. 8. IV 1904, უორიკი), ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პროფესორი. სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ლონდონის ეკონ. სკოლაში (1926—35), კემბრიჯის (1935—38), მანჩესტერისა (1938—46) და ოქსფორდის (1952—65) უნ-ტებში. ჰ-მა განავითარა ბურჟ. პოლიტ. ეკონ. მათ. სკოლის წინამორბედის ზღვრული თეორიის იდეები ეკონ. ანალიზის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ღირებულების, კაპიტალისა და სარგებლიანობის თეორია ეკონ. ზრდისა და ეკონ. დინამიკის პრობლემების ანალიზის დროს იგი იცავდა ნეოკლასიკური სინთეზის თეორიას, ხოლო ეკონ. ციკლის ანალიზისას — ჯ. კეინზის, ჯ. კლარკისა და სხვ. აპოლოგეტურ დოგმებს. ჰ-ს ეკუთვნის გამოკვლევები ხელფასის თეორიასა და სავაჭრო ციკლის საკითხებში, მანვე „შეასწორა" მოთხოვნის თეორიაც. არის ნობელის პრემიის ლაურეატი (1972).

თხზ.: The theory of wages, L., 1932; Capital and time: a neo-Austrian theory, Oxf., 1973.

ლიტ.: ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4, თბ., 1969; Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, пер. с англ., М., 1968.

ა. მილაგაძე

**ჰიქსოსები** (Hyksos), აზიელი ტომები, რ-ებიც დაახლ. ძვ. წ. 1720 წინა აზიიდან შეიჭრნენ ეგვიპტეში, დაიპყრეს ნილოსის დელტაში (თითქმის 140 წელი იბატონეს) და დააარსეს თავიანთი დედაქალაქი ავარისი. სახელი ჰ. ეგვიპტურია, მანეთონთან იგი „მწყემსთა მეფეებს" აღნიშნავს, ხოლო უფრო ადრე „უცხო ქვეყნების მმართველებს" აღნიშნავდა. ჰ-ის ნამდვილი ეთნ. სახელწოდება უცნობია. მათი სახელების უმრავლესობა არიულ-ხურიტული წარმოშობისაა. სემიტური საკმაოდ ბევრია. ჰ-ის მეფეები სწრაფად „გაეგვიპტელდნენ" და მიიღეს ფარაონის ტიტულები. XV—XVI დინასტიებს უკვე ჰიქსოსური წარმოშობის დინასტიებად მიიჩნევდნენ. ჰ-მა ვერ შეძლეს მთელი ეგვ. დამორჩილება — თებესა და მეზობელ ოლქებში ეგვ. მეფეები ისხდნენ. ჰ-გან გადაიღეს ეგვიპტელებმა ცხენი და ბორბლიანი ტრანსპორტი.

ჰ-მა გაამარტივეს ეგვ. დამწერლობა და შექმნეს ანბანური. თებეს მმართველები (XVII დინასტია, ძვ. წ. 1650—1580) სათავეში ჩაუდგნენ ჰ-ის წინააღმდეგ ბრძოლას. იაჰმეს I-მა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აიღო ავარისი და საბოლოოდ განდევნა ჰ. ეგვიპტიდან. ჰ-ის მთავარი ღვთაება იყო სეთი.

ლიტ.: Mayani Z., Les Hyksos et le monde de la Bible, P., 1956.

**ჰიშამი** (გ. 743), ხალიფა (724-იდან) ომაიანთა დინასტიისა. ჰ-ის დროს ომაიანთა სახალიფოში აღადგინეს მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრა, რ-იც არსებობდა უმარ II-მდე (ხალიფა 717—720). გადასახადების შემოსავლის ზრდამ ჰ-ს საშუალება მისცა დროებით აღედგინა სახალიფოს ეკონ. ძლიერება, რასაც ხელი შეუწყო ახალი ხელოვნური რწყვის სისტემის გაფართოებამ.

**ჰიჯაზი,** პროვინცია საუდის არაბეთში. ფართ. დაახლ. 390 ათ. კმ² მოსახლ. დაახლ. 2 მლნ. კაცი. ადმ. და მთავარი ეკონ. ცენტრი — ქ. ჯიდა მოსახლ. მთავარი საქმიანობაა მომთაბარე მესაქონლეობა, ოაზისებსა და უადებში — მარცვლეულის მოყვანა, ფინიკის პალმის, ნესვის გაშენება, სანაპიროზე — თევზჭერა და მარგალიტის მოპოვება. არის ნავთობსადენი, ცემენტის, მეტალ., სოფ. მეურნ. პროდუქციის გადამამუშ. საწარმოები. შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება. VII ს. დასაწყისში ჰ-ში (ქ. მექაში) ახ. რელიგიის — ისლამის ჩამოყალიბება დაიწყო. მაჰმადმა 3 შედიოდა სახალიფოში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ — ფატიმიდების, აიუბიდების, მამლუქების სახელმწიფოების შემადგენლობაში. 1517 შევიდა ოსმალეთის იმპერიაში. 1916, ოსმ. ბატონობის წინააღმდეგ ჰუსეინ იბნ ალის აჯანყების შედეგად, შეიქმნა ჰ-ის დამოუკიდებელი სამეფო. 1925 ნეჯდის გამგებელმა იბნ საუდმა დაიპყრო და „ჰიჯაზის, ნეჯდისა და შემოერთებული ოლქების" სახელმწიფოს (1932-იდან საუდის არაბეთი) შეუერთა.

**ჰიჯრა** (არაბ. — გადასახლება, გადასვლა, ემიგრაცია). 1. მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, მაჰმადისა და მისი მიმდევრების (მუჰაჯირების) გადასახლება მექიდან მედინაში 622 სექტ.; 2. მუსლ. ქვეყნებში გავრცელებული კალენდრის სახელწოდება. ხალიფა უმარ I-ის დროს (634—644) ჰ. გამოცხადდა მუსლ. წელთაღრიცხვის დასაწყისად (მუსლ. ერა) ცნობილია მთვარისა და მზის ჰ-ის კალენდრები. მთვარის კალენდარი გავრცელებულია ახლო და შუა აღმოსავლეთის უმეტეს მუსლ. ქვეყნებში, მზისა — ირანში, ავღანეთში, თურქეთში ჰ-ის მთვარის კალენდრის პირველი დღეა 622 წ 16 ივლისი. მზის კალენდრისა 20—21 მარტი (გაზაფხულის ბუნიობის დრო). მუსლ. მთვარის წელიწადში 354 დღეა, თვეში — 29—30 დღე. ჰ-ის კალენდრის დღეები 11—12-ით ნაკლებია საყოველთაოდ გავრცელებული გრიგორიანული კალენდრის დღეებზე და ამიტომ ყოველ 33 წელიწადში ვლინდება ერთი წლის განსხვავება. ჰ-ის წლების გადაყვანა გრიგორიანულზე და პირიქით შეიძლება სპეც. ფორმულების ანდა ტაბულების საშუალებით

ლიტ.: Цыбульский В. В., Современные календари стран Ближнего и Среднего Востока. Синхронистические таблицы и пояснения, М., 1964. გ. სიხარულიძე.

**„ჰინჩაკი",** სომხეთის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია. დაარსდა 1887 ჟენევაში. თავდაპირველად „სომხეთის რევოლუციური პარტია" ერქვა. სახელი ეწოდა მათი ბეჭდვითი ორგანოს — „ჰინჩაკის" („ზარი") მიხედვით. „ჰ-ის" პროგრამა მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების მეშვეობით სომეხი ხალხის განთავისუფლებას თურქ. უღლისაგან. სომხ. მიწების გაერთიანებას და დამოუკიდებელი ერთიან სახელმწიფოს შექმნას უახლოესი მიზანი იყო თურქეთისაგან სომხ. განთავისუფლება XIX ს. დასასრ. ხშირად აწყობდა აჯანყებებს, რის გამოც დაიწყო სომეხთა მასობრივი განადგურება. „ჰ-ის" სოც. ბაზა ძირითადად წვრილბურჟუაზიული იყო, თუმცა მასში იყვნენ მუშების, ინტელიგენციის, აგრეთვე ბურჟ. წარმომადგენლებიც. 1917 ოქტ. რევ. პერიოდში „ჰ." გამოდიოდა საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი ერთგვარი ორგანიზაციები საზღვარგარეთ მხარს უჭერენ სსრკ-თან მეგობრობის პოლიტიკას და პროპაგანდას უწევენ საბჭ. სომხ. წარმატებებს

**ჰოაცინი** (Opisthocomus hoatzin), ქათმისნაირთა რიგის, ჰოაცინისებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი ტანად დიდი ფრინველია (მისი სხეულის სიგრძე 60 სმ, მასა 800 გ აღწევს). ბინადრობს მდ. ამაზონის აუზის ნოტიო ტყეებში. დებს 2—4 კვერცხს. ახალგამოჩეკილი მართვე შიშველია, ფრთის 1-ელ და მე-2 თითზე აქვს ბრჭყალები, რ-ებიც ეხმარება ტოტებზე ცოცვაში და ზრდასრულობაში უქრება. იკვებება მცენარეული საკვებით. ბუდობს მცირე ჯგუფებად (10—40 ფრთა) რ. ჟორდანია.

**ჰობემა** (Hobbema) მეინდერტ (მონათლა 31 X 1638, ამსტერდამი, — 7. XII 1709, იქვე). ჰოლანდიელი ფერმწერი, პეიზაჟისტი, ი. რეისდალის ტრადიციების გამგრძელებელი, შესაძლოა მისი მოწაფეც იყო. 1669-იდან მუშაობდა აქციზის მოხელედ. თანდათან ჩამოსცილდა ხელოვნებას ძირითადად ხატავდა ტყის ხედებს. ჰ-ს პეიზაჟებისათვის („ხეივანი მიდელჰარნისში", 1689, ეროვნ. გალერეა, ლონდონი) დამახასიათებელია დინამ. კომპოზიციები, მდიდარი კოლორიტი

**ჰობსი** (Hobbes) ტომას (5 IV 1588, მალმსბერი, — 4. XII 1679, ჰარდუიკი), ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი, „ბეკონისეული მატერიალიზმის სისტემატიკოსი" (მარქსი). ათეისტი. დაამთავრა ოქსფორდის უნ-ტი (1608). შემდეგ იყო ინგლ. არისტოკრატის უ. კავენდიშის ოჯახის მასწავლებელი. რამდ. ჯერის მასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში ინგლისურად თარგმნა თუკიდიდესი და ჰომეროსის შრომები. ჰ-ის მთავარი ნაშრომია „ფილოსოფიის ელემენტები", რ-იც შედგება 3 ნაწილისაგან. „სხეულის შესახებ" (1655), „ადამიანის შესახებ" (1658) და „მოქალაქის შესახებ" (1642). შესავალში ცდება ნომინალისტურ ლოგიკას, როგორც კვლევის მეთოდოლოგიას ჰ მათ. რაციონალიზმის საფუძველზე ცდილობდა სისტემის აგებას ჰ-ის აზრით, ფილოსოფია არის რაციონალური შემეცნება უკვე ცნობილი მიზეზების საფუძველზე ან, პირიქით, უცნობი მიზეზებისა უკვე ცნობილი შედეგების მეშვეობით. შემეცნების საგანია ჩვენი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი, სივრცეში განფენილი სხეული, რ-იც შეიძლება აიგოს ცნებებში და, მაშასადამე, შეიმეცნებულ იქნეს. სხეული დროსა და სივრცეში მოძრაობს. მის მოძრაობას მხოლოდ სხვა სხეული იწვევს ღმერთის არსებობის საფუძველი მოძრაობაა ყოველივე აუცილებელია; თავისუფლება მხოლოდ წინააღმდეგობის გადალახვით გამოწვეული გრძნობის სახელია; შემეცნება საგანთა ნიშნების მიმატება-გამოკლებაა; ამ ნიშნების ანუ სახელების დადგენა შეთანხმებით ხდება; ისინი სხეულებით რომ განისაზღვრებოდნენ, მაშინ მხოლოდ ერთი ენა იქნებოდა. სახელები ჩვენში შეგრძნებების საფუძველზე გამოწვეულ ვითარებათა ნიშნებია; ნიშანს ორი ფუნქცია აქვს: ასოციაციური და კომუნიკაციური; კომუნიკაციური მნიშვნელობა სახელს მხოლოდ წინადადებაში შეიძლება ჰქონდეს; ცნებები „სახელთა სახელებია"; ჭეშმარიტება მხოლოდ მსჯელობაში არსებობს

ჰ თავის მთავარ დამსახურებად თვლიდა მეცნიერების შექმნას სახ-ბის შესახებ. მან სწორის მფლობელობად მიიჩნია ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, ხოლო ბუნების ტრიუმფად — იმის გაცნობიერება, რომ ეს ყველასთვის დამღუპველია და რომ აუცილებელია განუსაზღვრელი თავისუფლების შეზღუდვა და ხელშეკრულებით სახელმწიფოს შექმნა. ჰ-ის აზრით, პიროვნება სავსებით უნდა ემორჩილებოდეს ხელისუფლებას, მაგრამ თუ ხელისუფლება ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, გამართლებულია ხელშეკრულების დარღვევა, ე. ი. რევოლუცია („ლევიათანი", 1651). რაც უდიდესი უბედურებაა მმართველობის საუკეთესო ფორმად ჰ. მონარქიას მიიჩნევს მისი მოძღვრება განავითარა ჯ. ლოკმა.

თხზ.: The English works, ed. by W. Mole-

(გაგრძელება)

ჩაგალითად, ორმაგი ქანქარა (ნახ. ა) მასში ბმული (ძაფები) ზღუდავს მიოკლდ $M_1$ და $M_2$ ტვირთების მდებარეობებს ან გადაადგილებებს და არა მათს სიჩქარეებს, რომლებიც მოძრაობისას შეიძლება ნებისმიერი მნიშვნელობა მიიღონ. ამას, რომელიც ზღუდავს სისტემის წერტილების და სხეულების სიჩქარეებს, ე. ი. ბმულის ამ სიჩქარეებს შორის განსაზღვრულ თანაფარდობებს, უწოდებენ კინემატიკურს მაგრამ, თუ შესაძლებელია ამ თანაფარდობათა დაყვანა გეომეტრიულზე, ე. ი. სისტემის წერტილებისა და სხეულების გადაადგილებებს (ან კოორდინატებს) შორის თანაფარდობებზე, მაშინ ასეთი ბმა აგრეთვე ჰოლონომურია მაგალითად, წრფივი რელსის გასწვრივ (ნახ ბ) R-რადიუსიანი თვლის სრიალის გარეშე გორვისას თვლის ცენტრის v სიჩქარე და თვლის ω კუთხური სიჩქარე დაკავშირებულია თანაფარდობით $v = \omega R$, მაგრამ მისი დაყვანა შეიძლება ცენტრის $s = \lambda\varphi$, გადაადგილებასა და თვლის ბრუნვის φ კუთხეს შორის გეომეტრიულ თანაფარდობაზე $s = \varphi R$. შესაბამისად, ეს ბმა ჰოლონომურია კინემატიკურ ბმას, რომელიც გეომეტრიულზე არ დაიყვანება, უწოდებენ არაჰოლონომიურს, ხოლო ასეთ ბმების მქონე მექანიკურ სისტემას — არაჰოლონომიურ სისტემას. მექანიკური სისტემების დაყოფა ჰოლონომიურ და არაჰოლონომიურ სისტემებად არსებითია, რადგან ჰოლონომიური სისტემებისათვის გამოყენებული მექანიკის მეთოდები და ზოგიერთი პრინციპები, რომლებიც არაჰოლონომიური სისტემებისათვის არაა მართებული ჰოლონომიური სისტემებისათვის იყენებენ აგრეთვე მექანიკის იმ თეორემებსა და პრინციპებს, რომლებიც მართებულია არაჰოლონომიური სისტემებისათვის.

პოეზიის ძალა ტრაგიულისა და ნაივ-ტიურლის საოცარ ურთიერთშეთანხმება-შია.

ქართ. ლიტ-რაში ჰ-ს დიდი ხანია ღირსეული ადგილი აქვს დამკვიდრებული. ძვ. ქართ. ლიტ-რაში იგი არაერთგზისაა მოხსენიებული როგორც ჩინებული პოეტი, შემონახულია მისი თარგმანის გარკვეული ცდებიც, მაგრამ ძნელია დაბეჯითებით მისი სრული ძვ. ქართ. თარგმანის არსებობის მტკიცება. დღეს ქართ. ენაზე გვაქვს ჰ-ის თარგმანის რამდენიმე ნიმუში.

თხზ.: Homeri opera, t. 1—2: Iliadis libr I—XII, XIII—XXIV, ed. D. B. Monro, Th. W. Allen, 3 ed., Oxf., 1920; Homeri opera, t. 3—4: Odysseae libr I—XII, XIII—XXIV, ed. Th. W. Allen, 2 ed., Oxf., 1917; Homeri opera, t. 5: Hymnos, Cyclum Fragmenta, Margiten, Batrachomyomachiam, Vitas Continens, ed. Th. W. Allen, Oxf., 1946; ილიადა, თბ., 1979; ოდისეა, თბ., 1976; 1979; ჰომეროსის ჰიმნები, თბ., 1982.

ლიტ.: გორდეზიანი რ., „ილიადა" და ეგეოსური მიკასწლეთის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970; ურუშაძე ა., ბერძნულ-რომაული და ქართული მწერლების საკითხები, თბ., 1980; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; წერეთელი გრ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1927; Гордезиани Р., Проблемы гомеровского эпоса, Тб., 1978. *რ. გორდეზიანი.*

**ჰომილეტიკა** (ბერძნ. homileō — ვსაუბრობ), რიტორიკის ნაწილი; სასულიერო მჭერმეტყველების დარგი. ჰ-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართ. მჭევრმეტყველების ისტორიისათვის, ის განსაზღვრავდა საეკლ. ქადაგებათა შედგენის წესებს, ეყრდნობა ქრისტ. მორალისა და ზნეობის საკითხებს. ქართ. ენაზე არსებობს როგორც თარგმნილი, ისე ორიგინ. ქადაგებათა კრებულები. როგორც ცნობილია მრავალთავების სახელწოდებითაც X ს-მდე ქართულად ნათარგმნი უნდა იყოს მისი ლიი ჰ-ის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კრებული, მ. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სინური მრავალთავი" (864) — უძველესი თარიღიანი ქართ. ხელნაწერი. X ს-მდე ჰომილეტიკური თხზულებანი მარტივი, სადა ენით ითარგმნებოდა: XI ს. II ნახევრიდან, მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის (იხ. *მეტაფრასი*) კვალდაკვალ, განვითარდა მეტაფრასული ჰ-ც (ეფრემ მცირე, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, არსენი იყალთოელი, იოანე მინჩხი, ეფრემ მცირე). ორიგინ. ქართ. ჰ-ის აღმოცენება საკარაუდებელია VIII—IX სს-იდან. მისი უსანიმუშო წარმომადგენელია იოანე ბოლნელი XVII—XVIII სს-ში ორიგინ. ჰ. კვლავ აღორძინდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის, ს.-ს. ორბელიანის, ტიმოთე გაბაშვილის, ანტონ ცაგარელი-ჭყონდიდელისა და სხვ.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ს. ცაიშვილი.*

**ჰომილია** (ბერძნ. homilia — საუბრობა), სასულიერო პირთა მიერ წარმოთქმული მოძღვრება-ქადაგებანი, რ-თაც წერდა თვით ავტორი ან წარმოთქმის დროს იწერდა მათ მსმენელი სტენოგრაფი. ეფრემ მცირის (XI ს.) განმარტებით ჰ. „არს ზეპირად პირისპირ თქმულ". ჰ-ები დიდი საფუძველია ჰომილეტიკის ჩამოყალიბებას. *ს. ცაიშვილი.*

**ჰომინიდები** (ლათ. hominidae<homo, ნათ. ბრ. hominis — ადამიანი), ძუძუმწოვრების ოჯახი პრიმატების რიგისა. მასში ერთიანდება თანამედროვე და ნამარხი (არქანთროპები, პალეოანთროპები) ადამიანები. ზოგიერთ ჰ-ს აკუთვნებენ ავსტრალოპითეკებს და სხვა ნამარხ უმაღლეს პრიმატებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჰ-ის ოჯახი წარმოიშვა მეზოზოური პერიოდის დასასრულიდან (დაახლ. 4 მლნ. წლის წინათ), სხვა მოსაზრების მიხედვით — მეოთხეული პერიოდიდან (ე. ი. დაახლ. 1 მლნ. წლის წინათ).

**ჰომო...** (ბერძნ. homos — ტოლი, ერთნაირი, საერთო), რთული სიტყვის ნაწილი; აღნიშნავს თანაბარს, ერთნაირს, ურთიერთს, საერთოს მაგ., ჰომოგამია, ჰომოალელიზმი, ჰომოლოგია და სხვ. ჰეტერო...-ს საწინააღმდეგო.

**ჰომოგამეტურობა** (ჰომო... და გამეტა), ცალსქესიანი ცხოველებისა და ორსახლიანი მცენარეების (მდედრი ან მამრი) სქესი, რ-შიც სასქესო ქრომოსომების მიხედვით გენეტიკურად მსგავსი გამეტები წარმოიქმნება. ჰომოგამეტური სქესის ინდივიდებს ერთნაირი სასქესო ქრომოსომები აქვთ. ამდენად, მეიოზში მათი განრიდებისას გამეტები ერთნაირია. ჰ. ახასიათებს ყველა ძუძუმწოვარს, მ. შ. ადამიანს, ზოგიერთი ქვეწარმავალს, ამფიბიებს და თევზებს, უხერხემლო ცხოველებისა და ორსახლიანი მცენარეების უმეტესი ნაწილის მდედრობით სქესს. გამონაკლისია ფრინველები, ზოგიერთი ქვეწარმავალი, ამფიბია და თევზები, რ-შიც ჰ. მხოლოდ მამრობითი სქესისათვის არის დამახასიათებელი (იხ. *ჰეტეროგამეტურობა*). *ა. შათირიშვილი.*

**ჰომოგამია** (ჰომო... და ბერძნ. gamos — ქორწინება), 1 დიხოგამია და სამტვრის ერთდროული მომწიფება ორსქესიან ყვავილში, რაც ხელს უწყობს თვითდამტვერვას (შდრ. *დიქოგამია*). 2 მოშველებული ვენეტ. ტერმინი, რ-იც გულისხმობს შესაბამისი წყვილების შერჩევას შესაჯვარებლად. 3 მდედრობითი და მამრობითი ინდივიდების მიერ შთამომავლობისათვის გენების ერთნაირი კომბინაციების გადაცემა (შდრ. *ჰეტეროგამია*).

**ჰომოგენიზატორი** (<ბერძნ. homogenēs — ერთგვაროვანი) კვების მრეწველობაში, მაღალი წნევის ტუმბო, რ-საც იყენებენ დისპერსიული ემულსიების მისაღებად სითხეში დიდი სიჩქარით ატარებენ ე. წ. მაჰომოგენიზებელი თავების კაპილარულ ხვრელებში ან 2—7 *მკმ* ზომის ჭვრიტეებში, ამ დროს ცხიმის ნაწილაკები დანაწილდება (0,1—1 *მკმ*-მდე). ჰ-ს იყენებენ სტერილური რძის, რძის კონსერვების, ნაყინის, ნაღებისა და სხვ. წარმოებაში, აგრეთვე ქიმ. და მიკრო. კვლევის დროს.

**ჰომოგენიზაცია** მეტალურგიაში, შენადნობებში ერთგვაროვანი (ჰომოგენური) სტრუქტურის შექმნა იმ კონცენტრაციული მიკროარაერთგვაროვნებების ლიკვიდაციით, რ-ებიც შენადნობებში წარმოიქმნება, მაგ., ნადნობის ურთიერთი კრისტალიზაციისას ჰ-თვის შენადნობებს ახურებენ თერმულად (დიფუზიური ან მაჰომოგენიზებელი მოწვა). ჰ-ის შედეგად უმჯობესდება შენადნობის პლასტიკურობა, მექან. თვისებები, მცირდება ანიზოტროპულობა.

**ჰომოგენური სისტემა** (<ბერძნ. homogenēs — ერთგვაროვანი), ფიზიკური სისტემა, რ-იც არ შეიცავს შედგენილობის ან თვისებების მიხედვით განსხვავებულ და ერთმანეთისაგან გამყოფი ზედაპირებით გამოყოფილ ნაწილებს. განასხვავებენ ერთგვაროვან [ჰ. ს-ის ყველა ფიზ. მახასიათებელი (პარამეტრი) ერთნაირია მის ყველა ნაწილში] და არაერთგვაროვან (ეს პარამეტრები უწყვეტად იცვლება წერტილიდან წერტილამდე) ჰ. ს-ს. არაერთგვაროვან ჰ. ს-ში, განსხვავებით ჰეტეროგენული სისტემისაგან, არ არსებობს ისეთი გამყოფი ზედაპირები შემოსაზღვრული არეები, სადაც პარამეტრები ნახტომისებურად იცვლება (სისტემა ერთფაზიანია) მიკროარაერთგვაროვნებანი (სიმკვრივისა, შედგენილობისა და სხვ., ფლუქტუაციური) არ არღვევენ ჰ. ს-ის ზოგად ერთგვაროვნებას, თუ ისინი იმდენად მცირეა, რომ მათი მიჩნევა გამოუყენებელია ტემპ-რის, შედგენილობისა და სხვ. ცნებები. ერთგვაროვანი ჰ. ს-ა ირული ნარევი, მყარი ან თხევადი ხსნარები; არაერთგვაროვანი ჰ. ს., მაგ., აირი გრავიტაციულ ველში (მისი სიმკვრივე სიმაღლის მიხედვით უწყვეტად იცვლება).

**ჰომოზიგოტა** (ჰომო... და ზიგოტა), უჯრედი ან ორგანიზმი, რ-ის ჰომოლოგიური ქრომოსომები გენის ერთნაირ ფორმას (იხ. *ალელი*) შეიცავენ. ვინაიდან ჰ-ს ერთნაირი ალელები აქვს (AA ან aa) მათში ერთი სახის გამეტები წარმოიქმნება (A ან a). ჰ-ის ერთმანეთთან შეჯვარებით ყოველთვის ერთგვაროვანი ფენოტიპი წარმოიქმნება. იხ. *ჰეტეროზიგოტა*. *ა. შათირიშვილი.*

**ჰომოზიგოტურობა**, ორგანიზმის მემკვიდრეული აპარატის ისეთი მდგომარეობა, რომლისაც ჰომოლოგიური ქრომოსომები გენის ერთსა და იმავე ფორმას (იხ. *ალელი*) შეიცავენ. ტერმ. „ჰ." შემოიღო ინგლ. მეცნ. უ. ბეტსონმა 1902. ჰ. (AA ან aa) მიიღება ერთნაირი (A ან a) ალელის მქონე გამეტების შერწყმით. ჰ. ორგანიზმის სტრუქტურასა და ფუნქციაში (იხ. *ფენოტიპი*) განაპირობებს რეცესიული გენების გამოვლენას, რ-ია მოქმედება ჰეტეროზიგოტულობისას თრგუნება დომინანტური ალელების ზემოქმედებით. ჰ-ს ჰიბრიდოლოგიური ანალიზის სქემით. ე. წ. საანალიზო შეჯვარებით (სავარაუდო ინდივიდს უჯვარებენ რეცესიულ ფორმას) ადგენენ. უკიდურესი ჰ. ვლინდება აგამიურ (მხოლოდ უსქესოდ მრავლდებიან) ფორმებში, თვითმტვერია მცენარეებსა და თვითდამთესლავ ჰერმაფროდიტულ ცხოველებში. ჰ. მცირე პოპულაციებში განაპირობებს გენია დრეიფს (იხ. *ფაქტორები ეოლუციისა*). *ა. შათირიშვილი.*

**ჰომოთალიზმი** (ჰომო... და ბერძნ. thallos — ტოტი, ამონაყარი), ზოგიერთი წყალმცენარისა და სოკოს ორსქესიანობა მაგ., სოკოებში ზიგოტა წარმოიშობა ერთნაირი მიცელიუმების (ზოგჯერ ერთი სპორიდან წარმოშობილის) შეხებისას.

**ჰომოთეტია** (ჰომო... და ბერძნ. thetos — განლაგებული) (მათ.), გარდაქმნა, რ-ის დროსაც სიბრტყის ან სივრცის ნებისმიერ M წერტილს ეთანადება OM-ზე (O არის ფიქსირებული წერტილი, ე. წ. ჰ-ის ცენტრი, ნახ. 1) მდებარე M' წერტილი. ამასთან, OM':OM=λ მუდმივია O წერტილისაგან განსხვავებული M წერტილისათვის (ფარდობა OM':OM' მიიღებულია დადებითად, თუ M და M' წერტილები O წერტილიდან ერთ მხარესაა, და უარყოფითად — საწინააღმდეგო შემთხვევაში). λ რიცხვს ეწოდება ჰ-ის კოეფიციენტი; როცა λ<0, ჰ-ს შებრუნებულს უწოდებენ; თუ λ=−1, მაშინ ჰ. O წერტილის მიმართ სიმეტრიად გარდაიქმნება. ჰ-ის დროს წრფე გადადის წრფეში, შენარჩუნებულია წრფეთა და სიბრტყეთა პარალელურობა, უცვლელია კუთხეები (ნაზრდანი და ორწახნაგა); ყოველი ფიგურა გარდაიქმნება თავის მსგავს ფიგურად (ნახ. 2); შებრუნებულია შებრუნებული დებულებაც. ჰ. შეიძლება განისაზღვროს როგორც აფინური გარდაქმნა, რ-ის დროსაც ყველა წრფე, რ-ებიც აერთიანებენ შესაბამის წერტილებს, გადის ერთ წერტილზე (ჰ-ის ცენტრი). ჰ-ს იყენებენ გამოსახულებათა გასადიდებლად (პროექციული აპარატი) და სხვ.

**ჰომოიოთერმული ცხოველები** (ბერძნ. homoios — მსგავსი, ერთნაირი და thermē — სითბო), ცხოველები, რ-თაც აქვთ მუდმივი, მდგრადი, გარემოს ტემპ-რისაგან თითქმის დამოუკიდებელი ტემპ-რა ჰ. ც-ს განეკუთვნებიან ფრინველები და ძუძუმწოვრები ჰ. ც-ს აქვთ თერმორეგულაციის უნარი.

**ჰომოლოგია** (ბერძნ. homologia — შესატყვისობა) (ბიოლ.), იმ ორგანოთა მსგავსება, რ-თაც აგებულების ერთი გეგმა აქვთ და მსგავსი ჩანასახებისაგან ვითარდებიან. ზოგჯერ ასეთი ჰომოლოგიური

ორგანოები გარეგნულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. ს რ უ ლ ი ჰ-ის შემთხვევაში შესადარებელი ორგანო იმეორებს მთელს თავის (თუნდაც გარდაქმნილ) ნაწილის ტიპურ შენებას, ხოლო ა რ ა ს რ უ ლ ი ჰ-ის დროს ორგანოს ცალკეული ნაწილები ქრება. პროცესში შეიძლება გაქრეს (დეფექტური ჰ.) ან ახ. ნაწილები გაჩნდეს (აუგმენტატიური ჰ.) ორგანიზმის ზოგი ნაწილის დაკარგვისა და სხვების ახალწარმოქმნის კომბინაციას იმიტატიურ ჰ-ს უწოდებენ (გერმ. ზოოლოგი მ. ფიურბრინგერი). ჰ-ის მორფოლ. კრიტერიუმია ორგანოების ერთნაირი მდებარეობა და აგებულება, აგრეთვე მ შ. გარდამავალი ფორმების არსებობა. ონტოგენეზური კრიტერიუმია ორგანოთა განვითარება მსგავსი ნასახებისაგან. ჰ-ის კერძო შემთხვევებია ჰომოდინამია, ჰომონიმია, ჰომოტიპია.

**ჰომოლოგია** (მათ.), 1. გ ე გ მ ი ლ უ რ  გ ე ო მ ე ტ რ ი ა შ ი გეგმილური სიბრტყის ურთიერთცალსახა ასახვა თავის თავზე, რ-ის დროსაც ინახება წერტილთა წრფეზე განლაგება და უძრავი რჩება რომელიმე წრფის (ჰ-ის ღერძის) ყველა წერტილი; 2. ტოპოლოგიის ცნება, რ-იც უმარტივეს შემთხვევაში გამოხატავს ზედაპირზე მდებარე ჩაკეტილი წირის თვისებას, იყოს ამ ზედაპირის რომელიმე ნაწილის საზღვარი. მაგ., μ წირი ტორის ზედაპირზე შემოსაზღვრავს ამ ზედაპირის x ნაწილს (ნახ.); მას ეწოდება ნულის ჰომოლოგიური. λ წირი კი არ არის ნულის ჰომოლოგიური, ვინაიდან არ შემოსაზღვრავს ზედაპირის არც ერთ ნაწილს (წირის გასწვრივ ზედაპირის გაჭრა არ იწვევს ტორიდან რომელიმე ნაწილის ამოვარდნას).

**ჰომოლოგიური ორგანოები**, ცხოველებისა და მცენარეების ორგანოები, რ-ებსაც აგებულების საერთო გეგმა აქვთ, ერთიანი წარმოშობა ახასიათებთ და ანალოგიურ (მაგ., ტიტას ბოლქვი და კარტოფილის გორგლი სახეცვლილი ყლორტებია) ან განსხვავებულ (მაგ., ფრინველის ფრთა და ადამიანის ხელი) ფუნქციებს ასრულებენ ერთი და იმავე ორგანიზმის ჰ. ო-ს მსგავსი ორგანოები ეწოდება. ისინი განლაგებული არიან სხეულის გრძივ ღერძზე სიმეტრიულად (მაგ., ხერხემლიანთა წინა და უკანა კიდურები, ფეხსახსრიანთა კიდურები და პირის დანამატები) ან რაიმე გარკვეული წესის გარეშე (ქერცლები, ბუმბული, თმა, ფოთლები). შდრ. ანალოგიური ორგანოები.

**ჰომოლოგიური რიგები**, მსგავსად აგებული ორგანული ნაერთების (ერთი ტიპის სტრუქტურის მქონე) ჯგუფები, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთი ან რამდენიმე მეთილენის ჯგუფით —$CH_2$—. —$CH_2$— ჯგუფს ჰ ო მ ო ლ ო გ ი უ რ  ს ხ ვ ა ო ბ ა ს უწოდებენ. ცნობილია ნაჯერი ნახშირწყალბადების, უჯერი ნახშირწყალბადების, ერთატომიანი ნაჯერი სპირტების ჰ. რ. პირველი ფორმულირება ჰ. რ-ის შესახებ ეკუთვნის შ. ჟერარს 1844—46.

**ჰომოლოგიური ჯაჭვი**, ტოპოლოგიური ცნება, უმარტივეს შემთხვევაში შეესაბამება მოცემულ ზედაპირზე ჩაკეტილი წირის თვისებას — იყოს ზედაპირის გარკვეული ნაწილის საზღვარი (იხ. აგრეთვე ჰომოლოგია). ყოველი არაუარყოფითი მთელი $n$ რიცხვისათვის $X$ სივრცის (ზედაპირის) ჰომოლოგიის ჯგუფი $H_n(X)$ განისაზღვრება როგორც $n$ ციკლთა ჯგუფის ფაქტორჯგუფი $n$-საზღვართა ჯგუფის მიმართ. ამასთან, ორ ციკლს, რ-თა სხვაობა $n$-საზღვარია, უწოდებენ ჰ ო მ ო ლ ო გ ი უ რ ს. იხ. აგრეთვე სტატია ტოპოლოგია.

**ჰომომორფიზმი** (ჰომო... და ბერძნ. morphē — ფორმა, სახე), მათემატიკისა და ლოგიკის ცნება, რ-იც თავდაპირველად წარმოიქმნა ალგებრაში, მაგრამ შემდგომ ფართო გამოყენება ჰპოვა მათემატიკის სხვა დარგებშიც.

ცნება „ჰ." შეეხება ისეთ ობიექტთა სისტემას, რ-ებშიც მოცემულია გარკვეული ოპერაციები (ან მიმართებანი). მაგ., $G$ ჯგუფის ჰ. ან ჰ ო მ ო მ ო რ ფ უ ლ ი  ა ს ა ხ ვ ა $H$ ჯგუფზე არის $G$ ჯგუფის ისეთი ასახვა $H$ ჯგუფზე, რ-ის დროსაც ყოველ $g \in G$ ელემენტს ეთანადება გარკვეული $h(g)$ ელემენტი ($g$-ს სახე) ისეთი, რომ ყოველი ელემენტი $H$-იდან არის $G$-ს რომელიმე ელემენტის სახე და $G$-ს ორი ელემენტის ნამრავლს (ჯამს) შეესაბამება მათი სახეთა ნამრავლი (ჯამი). მაგ., თუ ყოველ მთელ რიცხვს შევუსაბამებთ მის ნაშთს მოცემულ ნატურალურ $m$ რიცხვზე გაყოფისას, მივიღებთ მთელ რიცხვთა ჯგუფის (შეკრების მიმართ) ჰომომორფულ ასახვას ნაშთთა ჯგუფზე მოდულით $m$. უკანასკნელი შედგება $m$ ელემენტისაგან, რ-ებიც წარმოდგენილია ნაშთებით $0, 1, \ldots, m-1$. ამასთან, ორი ელემენტის ჯამი განისაზღვრება ან როგორც ორი ნაშთის ჯამი, ან როგორც იგივე ჯამი, შემცირებული $m$-ით.

**ჰომოსექსუალიზმი** (ჰომო... და ლათ. sexus — სქესი), სქესობრივი გაუკუღმართება, საკუთარი სქესის წარმომადგენლისადმი არაბუნებრივი ლტოლვა. გვხვდება ორივე სქესის პირებში. სსრკ-ის, სოციალისტური ქვეყნებისა და ზოგიერთი კაპიტალ. ქვეყნის კანონმდებლობა ჰ-თვის (მამათმავლობა, პედერასტია) ითვალისწინებს სასჯელს.

**ჰომოსტილია** (ჰომო.. და ბერძნ. stylos — სვეტი), ტ ო ლ ს ვ ე ტ ი ა ნ ო ბ ა, ბუტკოს სვეტისა და სამტვრე ძაფების თანაბარი სიგრძე ამა თუ იმ სახეობის ყველა ინდივიდში. შდრ. ჰეტეროსტილია.

**ჰომოფონია** (ჰომო. და ბერძნ. phōnē — ბგერა), მრავალხმიანობის ნაირსახეობა, რ-მიც პოლიფონიისაგან განსხვავდება, ერთ-ერთი (უმთავრესად ზედა) ხმას წამყვანი მნიშვნელობა აქვს, დანარჩენი ხმები კი ქვემდებარეა და თან ახლავს მას. ჰ ჩამოყალიბდა და გავრცელდა აღორძინების ეპოქაში მუსიკის ახ. ჟანრებში — ოპერაში, ორატორიაში, კანტატაში, საკრავიერ მუსიკაში. ჰ-ის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ 2 პერიოდს: გენერალ-ბასისა (1600—1750; ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ უდიდესი პოლიფონისტები ი. ბახი და გ. ჰენდელი) და ვენის კლასიკური სკოლის და მისი გამგრძელებლების (1760—1900) მოღვაწეობის პერიოდს. ჰ-ის განვითარებას მოჰყვა კლასიკური ჰარმონიის პრინციპების ჩამოყალიბება.

**ჰომრული**, ჰ ო უ მ რ უ ლ ი (ინგლ. Home Rule, სიტყვასიტყვით — თვითმმართველობა, ავტონომია), მოძრაობა ირლანდიის ავტონომიისათვის (XIX ს. 70-იანი წწ. და XX ს. დასაწყისი). ჰ-ის პროგრამა ითვალისწინებდა ირლ. პარლამენტისა და მმართველობის ეროვნ. ორგანოების შექმნას და ირლანდიაზე ბრიტ. უზენაესი ხელისუფლების შენარჩუნებას. ეს პროგრამა წამოაყენა ირლ. ლიბერალმა ი. ბატმა 1869. მანვე 1870 დააარსა ირლ. თვითმმართველობის ასოციაცია, რ-იც 1873 გარდაიქმნა ჰ-ის ლიგად. 1874 ინგლ. პარლამენტის არჩევნებში ჰომრულელებმა 60 დეპუტატი გაიყვანეს. მიზნის მისაღწევად ჰომრულელები თავიანთი ლიდერის ჩ. ს. პარნელის მეთაურობით პარლამენტში იყენებდნენ ობსტრუქციის ტაქტიკას. ცდილობდნენ უზრუნველეყოთ მასების მხარდაჭერა, რისთვისაც მათ ხელი შეუწყვეს 1879 გლეხთა მასობრივი საადგილმამულო ლიგის შექმნას. ირლ. ჰომრულის გაძლიერებამ აიძულა ლიბერალები შეეტანათ პარლამენტში ბილი ჰ-ის შესახებ 1886 და 1893 წლებში, მაგრამ კონსერვატორებმა (ლიბერალთა ნაწილთან ერთად) რამდენჯერმე ჩაშალეს ბილის მიღება. 1890 კი თვით ჰ-ის პარტიაში მოხდა განხეთქილება. იმპერიალიზმის ეპოქის დასაწყისიდან ირლ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობა გასცდა ჰ-ის ფარგლებს. ბრძოლა გადაიზარდა ირლ. აჯანყებაში (1916). ეროვნ. მოძრაობაში უპირატესობა მოიპოვა შინფეინერების პარტიამ, რ-იც სათავეში ჩაუდგა ბრძოლას რესპუბლიკისათვის 1921 წ 6 დეკ. ინგლ. მთავრობამ შინფეინერებთან დადო ხელშეკრულება, რ-ითაც დაადასტურა (სამხრეთის 26 საგრაფოს ტერიტორიაზე) ირლ. თავისუფალი სახელმწიფოს (ეირეს) შექმნა.

**ჰომსი**, ქალაქი დას. სირიაში, ელ-ასის ხეობაში ჰომსის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი 366 ათ. მცხ. (1981). სარკინიგზო და საავტ. გზების, ნავთობ- და პროდუქტსადენების კვანძი. ნავთობგადასამუშ., ქიმ., ცემენტის, საფეიქრო, კვების მრეწველობა. ვაჭრობენ ხილით. მარცვლეულით, მეცხოველეობის პროდუქტებით.

**ჰომუნკულუსი** (ლათ. homunculus — კაცუნა), ადამიანის მსგავსი არსება, რ-იც შუა საუკუნეების ალქიმიკოსთა აზრით, შეიძლება ხელოვნურად მიეღოთ. XVII ს-ში ფიქრობდნენ, რომ ჰ მთლიანად ჩასახულია სპერმატოზოიდში და დედის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ვითარდება ადამიანად. იხ. ანიმალკულისტები. პრეფორმიზმი.

**ჰონგაი** (Hon Gai), ქალაქი ჩრდ. ვიეტნამში, კუანგნინის პროვ. ადმ. ცენტრი დაახლ. 120 ათ. მცხ. გაშენებულია პალონგის უბის (სამხრ. ჩინ. ზღვის ბაკბოს ყურე) სანაპიროზე. ნავსადგური. რკინიგზის ხაზით უკავშირდება ნავსადგურებს კამფასა და კოანგს, საავტ. გზით — ჰაიფონს. ქვეყნის უდიდესი ქვანახშირის აუზის ცენტრი.

**ჰონ ბიონ ნე** (1780, იონგამის მაზრა, ფენიანის პროვ., — პაქილი, 1812), გლეხთა აჯანყების ორგანიზატორი ლის დინასტიის წინააღმდეგ 1811 დეკ.—1812 აპრ. კორეის ჩრდ.-დას-ში. ფეოდ. ექსპლუატაციის გამო გლეხთა და მემამულეთა უკმაყოფილების ზრდის პირობებში 1811 ფენიანის პროვინციაში ჩამოყალიბდა აჯანყებულთა არმია; აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები, დაიკავეს მთელი რიგი ქ-ები. დაიღუპა ჩონჯუს სიმაგრისათვის ბრძოლაში.

**ჰონგჰა** (ჩინურად — ლ ი შ კ ხ ე, ი უ ა ნ ძ ი ა ნ ი, ვიეტნამში — ჰ., ს ო ნ გ კ ო ი), წ ი თ ე ლ ი  მ დ ი ნ ა რ ე, მდინარე ჩრდ. ვიეტნამსა და სამხრ. ჩინეთში, სიგრძე 1183 კმ, აუზის ფართ. დაახლ. 158 ათ. კმ$^2$. სათავე აქვს იუნანის მთიანეთში ერთვის სამხრ. ჩინეთის ზღვის ბაკბოს ყურეს და ქმნის დელტას. საზრდოობს წვიმის წყლით. წყალუხვია ზაფხულის მუსონის დროს. წყლის საშ. ხარჯი 3800 მ$^3$/წმ, მაქს. — 35 ათ. მ$^3$/წმ. წყალმოვარდნის დროს წყლის დონე 10—12 მ-ით მაღლა იწევს. დელტაში ჰ-ისა და მისი ტოტების კალაპოტები ჯებირებით არის დაცული. ჰ-ს ყოველწლიურად მოაქვს 130 მლნ. ტ-მდე შეტივტივებული ნატანი, რ-იც წყალს წითელ ფერს აძლევს. იყენებენ სარწყავად. სანაოსნოა ქვემოწელში. საზღვაო გემები ადის ქ. ჰანოიმდე. ჰ-ის ნაპირზეა ქ-ები: ხეკოუ (ჩინეთი), ლაოკაი, იენბაი, ჰანოი (ვიეტნამში). დელტაში — საზღვაო ნავსადგური ჰაიფონი.

**ჰონ და იონი** (მეტსახელი — ტ ო კ ე ი, ფსევდ. — ტ ა მ ჰ ო ნ ი) (1731, სეული, —1783, მოქჩონი, ჩხუნჩხონის პროვ.), კორეელი სწავლული, სირჰაკის მიმდინარეობის წარმომადგენელი. მიიღო კონფუცური აღზრდა. თავის თხზულებებში აშუქებდა უმნიშვნელოვანეს მათ. და საბუნებისმეტყველო პრობლემებს, მისი ფილოს. შეხედულებები მატერიალისტურს

ჰომოთეტია



ნახ. 1



ნახ. 2



ჰომოლოგია

უახლოვდებოდა. აკრიტიკებდა არსებულ წყობილებას. მხარს უჭერდა მიწის თანაბარ განაწილებას, მიიჩნევდა გადასახადებისაგან ხალხის განთავისუფლებას, წოდებრივი განსხვავების ლიკვიდაციასა და ყველასათვის აუცილებელი შრომისა და განათლების შემოღებას.

**ჰონდურასელები,** ჰონდურასის რესპ. ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 4,7 მლნ. კაცი (1982, შეფასება). ლაპარაკობენ ესპ. ენაზე. რელიგიით — კათოლიკობა. დასაქმებული არიან სოფ. მეურნეობაში. ამერ. აღმოჩენამდე ჰონდურასის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ინდიელი ტომები. ლენკა, ხიკაკე, პაია და სხვ. XVI ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო ესპანელთა შეჭრა ჰონდურასში (გვატემალიდან) და მათი ნაწილობრივი შერევა ინდიელებთან (ძირითადად ლენკა). XVI ს. დასარ. ქვეყნის ესპანურენოვანი მოსახლ. გაერთიანდა გვატემალიდან გადმოსახლებულ ესპ.-ინდიელი წარმოშობის მოსახლ. ხარჯზე. ისინი ძირითადად ქვეყნის სამხრ.-დას-ში დამკვიდრდნენ და შეადგინეს თანამედროვე ჰ-ის ბირთვი. უფრო ვრცლად ჰ-ის ისტ., ეკონ. და კულტ. შესახებ იხ. სტ. ჰონდურასი.



ჰონდურასის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი

**ჰონდურასი** (Honduras), ჰონდურასის რესპუბლიკა (República de Honduras), სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში. ჩრდ.-ით აკრავს კარიბის ზღვა, სამხრ.-ით — წყნარი ოკ. ფონსეკის ყურე. ფართ. 112,1 ათ. კმ². მოსახლ. 4,2 მლნ. კაცი (1984). დედაქალაქი — ტეგუსიგალპა. ოფიც. ენა — ესპანური. ეროვნ. დღესასწაულია 15 სექტ. — დამოუკიდებლობის დღე (1821). ოფიც. კალენდარი — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ლემპირა. 1 ლემპირა=0,5 აშშ-ის დოლარს (1986). ადმინისტრაციულად ჰ. იყოფა 18 დეპარტამენტად.

ჰ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1965 კონსტიტუცია (1982 შესწორებებით). საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნ. ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი), რ-საც ირჩევს მოსახლ. 6 წლის ვადით. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. მასვე ეკუთვნის აღმასრ. ხელისუფლება.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიასთან სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.

**ბუნება.** ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს მთიანეთს (სიმაღლე 2865 მ-მდე), რ-იც დასერილია ულუის, აგუანის, პატუკასა და სხვა მდ-თა ხეობებით. ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში ვრცელი დაჭაობებული დაბლობია (მოსკიტოსის ნაპირი). ვიწრო დაბლობებია ჩრდ. და სამხრ. სანაპიროზე. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ვერცხლის, ოქროს, ფერადი ლითონების და რკინის მადანი, სტიბიუმი, ბოქსიტი. ჰავა ტროპ., პასატური. საშ. თვიური ტემპ-რები ბარში 22-იდან 26°C-მდეა, მთაში 10-იდან 24°C-მდე. ნალექები 3000—5000 მმ წელიწადში. 600—700 მ სიმაღლემდე მთის ლატერიტულ ნიადაგებზე მარადმწვანე ნოტიო ტროპ. ტყეებია, მაღლა — მარადმწვანე და შერეული ტყეები, ხეობებში — ქსეროფიტული ბუჩქნარი. ჰ-ის ცხოველთა სამყარო განეკუთვნება ნეოტროპ. ზოოგეოგრ. ოლქის ცენტრ. ამერ. პროვინციას.

**მოსახლეობა.** ჰ-ის მოსახლეობა 86% მეტისია. 10% — ინდიელი მოსახლ. უმეტესობა ლაპარაკობს ინგლ. ენის ადგილობრ. დიალექტზე, მეტისები და ინდიელთა ნაწილი — ესპანურზე. რელიგიით — კათოლიკობა.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 50%-ზე მეტი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1984). მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 37 კაცი 1 კმ²-ზე (1984). დიდი ნაწილი კონცენტრირებულია მთიანეთის დას. ნაწილის ხეობებში, ცენტრ. ქვაბულსა და კარიბისპირა დაბლობის ჩრდ. ნაწილში. მთავარი ქ-ებია: ტეგუსიგალპა (500 ათ-ზე მეტი მცხ., 1984), სან-პედრო-სულა, ლა-სეიბა.

**ისტორიული ნარკვევი.** 1502 ქ. კოლუმბმა აღმოაჩინა ჰ-ის სანაპირო. ესპანელებმა მას ჰ. უწოდეს (ესპ. Hondura — სიღრმე, სანაპიროსთან არსებული დიდი სიღრმეების გამო). ჰ-ის მკვიდრი მოსახლ.—ინდიელი ტომების ერთი ნაწილი (ტოაკა, პატუკა, პაია, ხიკაკე) პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა, ხოლო მეორე ნაწილმა — მაიას ტომებმა — ამერ. ერთ-ერთი მაღალი ადრეკლასობრივი ცივილიზაცია შექმნა. 1524-იდან ესპანელებმა დაიწყეს ჰ-ის ტერიტ. დაპყრობა. XVI ს. შუა ხანებიდან ჰ. გვატემალის გენერალკაპიტნოში შედიოდა. ქვეყნის მთავარი შემოსავლის წყაროს ვერცხლის საბადოები წარმოადგენდა. ესპ. კოლონიზატორებმა დაიწყეს ზანგი მონების შეყვანა აფრიკიდან. ჰ. მონაწილეობდა ამერ. ესპ. კოლონიების განმათ. მოძრაობაში. 1821 წ 15 სექტ. ჰ-მა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამავე პერიოდში დაიწყო პოლიტ. პარტიების — კონსერვატორთა (მსხვილი მიწათმფლობელები) და ლიბერალთა (ბურჟუაზია) — ჩამოყალიბება, რ-თა შორის მწვავე პოლიტ. ბრძოლა გაჩაღდა. კონსერვატორების მცდელობით 1821 ჰ. მექსიკას შეუერთდა. 1823 ჰ. ცენტრ. ამერ. შეერთებული პროვინციების ფედერაციაში შევიდა. საშინაო პოლიტ. ბრძოლის შედეგად ფედერაცია დაიშალა. 1838 გამოცხადდა ჰ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ხოლო 1839 იანვ-ში მიიღეს ჰ-ის რესპ. პირველი კონსტიტუცია.

1927 ჩამოყალიბდა პირველი კომუნისტური ჯგუფები. შეიქმნა პირველი პროფკავშირები. ამერ. იმპერიალიზმის დახმარებით ჰ-ში დამყარდა ტ. კარიას ანდინოს (პრეზიდენტი იყო 1933—49) დიქტატურა. მის დროს აიკრძალა ყველა დემოკრ. ორგანიზაციის საქმიანობა. II მსოფლიო ომში ჰ. არ მონაწილეობდა, თუმცა 1941 დეკ.-ში გერმანიასა და იტალიას ომი გამოუცხადა. 1961 რ. ვილიედა მორალესის მთავრობის დროს ჰ-მა ურთიერთობა გაწყვიტა კუბასთან. 1963 სამხ. ხუნტამ ო. ლოპეს არელიანოს მეთაურობით სახელმწ. გადატრიალება მოახდინა. 1969 ივლ-ში ჰ-სა და სალვადორს შორის შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა. ხალხის მასების საპროტესტო მოძრაობით შეშინებული მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ კომპრომისზე წასულიყვნენ 1971 იანვ-ში ლიბერ. და ეროვნ. (კონსერვატიული) პარტიებმა ხელშეკრულება დადეს, რის მიხედვითაც ქვეყანაში შენარჩუნებული იქნა ორპარტიული სისტემა. ქვეყნის ეკონ. მდგომარეობის გაუარესებამ გაამწვავა სოც. დაძაბულობა. ჰ. კვლავ აგრძელებდა მილიტარიზაციის კურსს და საბოლოოდ აშშ-ის სამხ. ბაზად გადაიქცა. ქვეყნის დემოკრ. ძალები კვლავ იბრძვიან მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ქვეყანაში 1980-იდან მოქმედებს ეროვნ. პატრიოტული ფრონტი — ოპოზიციური პოლიტ. და სამ. ორგანიზაციების კოალიცია. განსაკუთრებით დაძაბულია მდგომარეობა ჰონდურას—ნიკარაგუის საზღვარზე. ჰ-ის ტერიტორიიდან ხორციელდება შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმები ნიკარაგუაზე. 1985-ში ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს ხოსე სიმონ ასკონა ოიო (ჰ-ის ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი).

**ეკონომიკა.** ჰ. ლათ. ამერ. ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრ. ქვეყანაა. მეურნ. მთავარ დარგებს აკონტროლებს აშშ-ის კაპიტალი. მთლიანი შიდა პროდუქტის 30,9%-ს იძლევა (1984) სოფ. მეურნ. (ტყეკაფისა და ხე-ტყის დამზადების ჩათვლით), 21,3%-ს — მრეწვ. და მშენებლობა (აქედან 15%-ს — სამთომოპოვებითი მრეწვ.), 6,8%-ს — ტრანსპ. და კავშირგაბმ., დანარჩენს — სხვა დარგები.

მიწის დიდი ფართობი და საექსპორტო კულტურების (ბანანი, ყავა) წარმოება თავმოყრილია უცხ. კომპანიებისა და ადგილ. ლატიფუნდისტების ხელში. კარიბის ზღვის სანაპიროზე არის ბანანის (1250 ათ. ტ, 1984) პლანტაციები. მოჰყავთ (ათ ტ. 1984): ყავა — 73, სიმინდი — 562, სორგო — 56, ბრინჯი — 53, ლობიო — 32, შაქრის ლერწამი — 3000. 1984 ჰ-ში იყო (ათ სული). მსხვ. რქ. საქონელი — 2434, ღორი — 400. ამზადებენ ხე-ტყეს.

იღებენ ვერცხლის, ოქროს, თუთიის, ტყვიის მადანს. 1984 ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენდა 240 ათ. კვტ, ელექტროენერგიის გამომუშავებამ — 1044 მლნ კვტ. სთ. არის კვების (მ. შ. თამბაქოს), საფეიქრო და სამკერვალო მრეწვ. საწარმოები, ნავთობგადამამუშ. და მეტალურგ. ქ-ნები, ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი.

რკინიგზის სიგრძე დაახლ. 1 ათ. კმ, საავტ. გზებისა — 15 ათ. კმ, აქედან 1,8 ათ. კმ მოასფალტებულია (1984). 1982 ავტოპარკში იყო 100 ათ-ზე მეტი ავტომობილი. მთავარი ნავსადგურებია: პუერტო-კორ-



ტექსი, ლა-სეიბა, ტელა, ამაპალა. საერთაშ. აეროპორტებია ტეგუსიგალპასა და სან-პედრო-სულაში.

1984 ექსპორტმა შეადგინა 766 მლნ. დოლ., იმპორტმა — 844 მლნ. გააქვთ ბანანი, ყავა, ფერადი ლითონები, ხე-ტყე, ხორცი. შემოაქვთ სამრეწვ. მოწყობილობა, ფართო მოხმარების საქონელი, სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ (ტვირთბრუნვის დაახლ. 50%), ცენტრ. ამერ. საერთო ბაზრის ქვეყნები, ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, იაპონია, ტრინიდადი და ტობაგო.

**განათლება.** 1984 ჰ-ში იყო სკოლამდელი დაწესებულებები (ძირითადად კერძო) 3—6 წლის ასაკის ბავშვებისათვის (4 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი); სავალდებულო დაწყ. სწავლება ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა. სკოლა არის სახელმწ. და კერძო (ძირითადად კათოლ.). ქალაქად სახელმწ. დაწყ. სკოლა 6-წლიანია, სოფლად — 3-წლიანი; საშ. 5-წლიანი სკოლა (ლიცეუმი) ორსაფეხურიანია (3+2); პირველი ციკლი ზოგადსაგანმანათლებლოა, მეორე იყოფა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო განხრებად (1984 სახელმწ. დაწყ. სკოლაში სწავლობდა 400 ათ-მდე, საშ. სკოლაში — 35 ათ-მდე მოსწავლე). პროფტექმომზადება ხორციელდება 3- და 5-წლიან სას.-სამ., ტექ. და საკომერციო სკოლებში (1984 სწავლობდა დაახლ. 2,5 ათ. მოსწ.). დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებენ ნორმალური სკოლები და პედ. კოლეჯები (1984 სწავლობდა 3,6 ათ-ზე მეტი მოსწ.). ტეგუსიგალპაში არის ეროვნ. უნ-ტი (6 ათ-ზე მეტი სტუდენტი), ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1880; 60 ათ-ზე მეტი ტომი) და ეროვნ. მუზეუმი.

ჰ-ში გამოდის რამდენიმე პერიოდული გამოცემა. ეროვნ. საინფორმაციო სააგენტო არა აქვს. რადიომაუწყებლობასა და ტელეხედვას ხელმძღვანელობს კავშირგაბმ. გენ. სამმართველო. ჰ-ის სატელევიზიო კომპანია კერძოა.

**ლიტერატურა.** ჰ-ის ხალხის ლიტ-რა ვითარდება ესპ. ენაზე. ქვეყნის ძირეული მოსახლე — ინდიელების შემოქმედება არ შემორჩენილა; კოლონ. პერიოდშიც თითქმის არაფერი შექმნილა. ჰ-ის ლიტ-რის სათავეები ჩანს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1821) შემდეგ და კარგა ხანს პროზ. და მიმბაძველურ ხასიათს ატარებდა. პირველი სტამბა დააარსა მღვდელმა ხ. ტ. რეიესმა (1797—1855), რ-იც წერდა რელიგ. და პატრ. შინაარსისა და კლასიცისტური ფორმის ლექსებს. XIX ს. პოეტები უმთავრესად ესპ. პოეზიის ნიმუშებს ბაძავდნენ. პირველი რომანი „ანჯელინა" (1898) ეკუთვნის კ. გუტიერესს (1861—99). XX ს. დასაწყისში გავრცელდა მოდერნიზმი, რ-იც ეროვნ. თვითმყოფადობის გამოვლინებასაც ითავსებდა და სიმბოლიზმის გავლენასაც. თანამედროვე ლიტ-რაში გამოხ. ნდა ხალხის ცხოვრების ძირეული პრობლემები. პროზ. ლიტ-რის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან რ. ამაია ამადორი (1916—1966), რ-ის რომანი „მწვანე საპყრობილე" (1950) გასცდა ეროვნ. საზღვრებს, ა. მეხია ნიეტო (დ. 1900), ჯ. პარედესი (დ. 1912) და სხვ.

**ხელოვნება.** ახ. წ. I ათასწლ. ჰ-ის ტერიტორიაზე ვითარდება მაიას კულტურა. ინდიელთა ხელოვნ. ტრადიციული ნიმუშები შემორჩა პიპილისა და ლენკას ტომების შელეწილ ნიღბებსა და განსაკუთრებით ხუმის ტომის პოლიქრომულ ჭურჭელს. XVI ს-იდან ქ-ები რეგულარული გეგმით შენდება (კომაიაგუა, ტეგუსიგალპა). XVII—XVIII სს-ში აშენებენ ეკლესია-ბაზილიკებს. XIX—XX სს. არქიტექტურაში გავრცელებულია როგორც კოლონ. პერიოდის, ისე ევრ. და აშშ-ის ეკლექტიკური და ნეოკლასიკური არქიტ. ნიმუშები XX ს. შუა ხანებში. მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ქ-ების ცალკეული ნაგებობები და ანსამბლები არ გამოირჩევა.

XIX ს. დ. ნახ. — XX ს. დასაწყისში გამოირჩევიან ფერმწერის ინდიელ. ოსტატები (პ. ს. ლიერა, კ. სუმაია ვილიერა). გამოირჩევა ფერმწერ-რეალისტის ა. კანალესის ნამუშევრები.

ლიტ.: Крестьянинов В., Гондурас — плацдарм агрессии, «Международная жизнь», 1984, № 3, с. 92—98; Кузьмищев А. В., Гондурас в упряжке Вашингтона, «Латинская Америка», 1984, № 2, с. 48—54; Томас А. Б., История Латинской Америки, пер. с англ., М., 1960.

**ჰონდურასი ბრიტანეთისა** (British Honduras), სახელმწიფო ბელიზის სახელწ. 1973 წ. 1 ივნისამდე.

**ჰონდურასის კომუნისტური პარტია** (ჰკპ; Partido Comunista de Honduras). შეიქმნა 1927 ქვეყანაში არსებული მარქსისტული ჯგუფების საფუძველზე. იარსება მხოლოდ 1932-მდე. ხელახლა შეიქმნა ჰონდურასის მარქსისტების I ეროვნ. კონფერენციაზე 1954 აპრილში. კონფერენციაზე მიიღეს პარტიის წესდება, აირჩიეს ცკ და გამოაცხადეს დადგენილება გაზეთის გამოცემის შესახებ. დაარსებიდანვე შექმნისა ჰკპ იატაკქვეშეთში მოქმედებს. ჰკპ-ის I ყრილობაზე (1958) აირჩიეს ახ. მმართველი ორგანოები, დაამტკიცეს წესდება და წამოაყენეს „თავისუფალი, სუვერენული და დამოუკიდებელი ჰონდურასისათვის" ბრძოლის ლოზუნგი. ჰკპ-ის II ყრილობამ (1972, აპრ.) მიიღო პოლიტ. თეზისები, მიიღო პარტიის ახ. პროგრამა და წესდება და აირჩია პარტიის მმართველი ორგანოების ახ. შემადგენლობა. ჰკპ-ის III ყრილობა ჩატარდა 1977 იან. არალეგალურად. ჰკპ-ის IV ყრილობა ჩატარდა არალეგალურად 1986-ის იანვ. ჰკპ დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირების მუშაობაში (1957, 1960, 1969, მოსკოვი).

ჰკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის — ცკ. ჰკპ-ის ცკ გენ. მდივანია რიგობერტო პადილია რუში. ბეჭდვითი ორგანოები — ბიულეტენი „ტრაბახო" („Trabajo") და ყოველთვიური გაზ. „ვოს პოპულარ" („Voz Popular").

**ჰონდურასის ყურე** (ინგლ. Gulf of Honduras, ესპ. Golfo de Honduras), კარიბის ზღვაში, ცენტრ. ამერიკის ნაპირთან. სიღრმე 22—54 მ, შესასვლელთან — 2000 მ-ზე მეტი. წყლის საშ. წლ. ტემპ-რა 27°C, მარილიანობა დაახლ. 36‰. მოქცევა შერეული, სიმაღლე 0,7 მ. ყ. ნაპირზე არის ნავსადგურები პუერტო-კორტესი (ჰონდურასი), პუერტო-ბარიოსი და ლივინგსტონი (გვატემალა).

**ჰონეკერი** (Honecker) ერიხ (დ. 25. VIII. 1912, ნოინკირხენი, საარის ოლქი), გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე, გდრ-ის პარტიული და სახელმწ. მოღვაწე. 1929-იდან გერმ. კომპარტიის (გკპ) წევრი. 1930—31 სწავლობდა კომინტერნის ახალგაზრდობის სკოლაში მოსკოვში. ფაშისტური რეჟიმის წლებში არალეგალურ მოღვაწეობას ეწეოდა, 1935 დააპატიმრეს, 1937 მიუსაჯეს 10 წლის პატიმრობა. 1945 საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა პატიმრობიდან. 1946-იდან გკპ ცკ-ის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა გერმ. ერთიანი სოციალ. პარტიის (გსეპ) დაარსებაში, 1946 აპრ-იდან მისი გამგეობის, ხოლო შემდეგ ცკ-ის წევრი. 1958 გსეპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. 1955—56 სწავლობდა სკკპ ცკ-თან არსებულ უმაღლეს პარტ. სკოლაში მოსკოვში. 1958 გსეპ ცკ-ის მდივანი, 1971—76 პირველი მდივანი, 1976-იდან გენ. მდივანი. 1949-იდან გდრ-ის სახ. პალატის დეპუტატი, 1971-იდან თავდაცვის ეროვნ. საბჭოს თავ-რე. 1976-იდან გდრ-ის სახელმწ. საბჭოს თავ-რე. დაჯილდოებულია 2 კარლ მარქსის ორდენით, შრომის გმირი (1972); ლენინის ორდენით (1972) და ოქტ. რევ. (1977) ორდენით.

**ჰონიარა** (Honiara), სოლომონის კუნძულების დედაქალაქი. გაშენებულია კ. გუადალკანალზე. 23,5 ათ. მცხ. (1984). ნავსადგური. ჰ-ის მიდამოებში არის ქოქოსის პალმის პლანტაციები. გააქვთ კოპრა.

**ჰონიგმანი** (Honigmann) ერნსტ (1892—1954), ბელგიელი მეცნიერი, ბიზანტინისტი. ძირითადად წერდა ფრანგ. ენაზე. იკვლევდა ბიზანტ. ჰაგიოგრაფიას, აღმოსავლეთის ქრისტ. რელიგიისა და ბიზანტ.-ქართ. კულტ. ურთიერთობის საკითხებს. ნარკვევში „პეტრე იბერიელი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი" (1952) ჰ-მა შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად გამოთქვა მოსაზრება ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის შესახებ (იხ. არეოპაგიტიკა). ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართ. და უცხ. მეცნიერებაში.



ე. ჰონიგმანი.

თხზ.: Pierre l'Ibérien et les écrits du Pseudo-Denys l'Aréopagite, Brux., 1952; Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, «თსუ შრომები», 1966, ტ. 59.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 9, თბ., 1963; ჯ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ი., არეოპაგიტიკის პრობლემები, თბ., 1972; მ ა ს ი ე ი, ფსევდო-დიონისეს და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და უცხოურ მეცნიერებაში, თბ., 1979; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., შრომები, ტ. 6, თბ., 1975; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973; Д а н е л и я С. И., К вопросу о личности Псевдо-Дионисия Ареопагита, «Византийский временник», 1956, т. 8; Н у ц у б и д з е Ш., Петр Ивер и античное философское наследие, Тб., 1963.

ი. ლოლაშვილი.

**ჰონინგება** (ინგლ. honing<hone — ხონინგება, სალესი ქვით — ალესვა), მ ი ხ ვ ნ ე ვ ა - მ ი ლ ე ს ვ ა, ნაწარმის გამოყვანა სპეც. იარაღით — ჰ ო ნ ი თ, რ-იც აღჭურვილია წვრილმარცვლოვანი აბრაზიული ძელაკებით. ჰონი ბრუნავს და ერთდროულად ასრულებს უკუქცევით-წინსვლით მოძრაობას. ჰ-ს ძირითადად ცილინდრული გამჭოლი ნახვრეტების, ყრუ და საფეხუროვანი ნახვრეტების სუფთად დასამუშავებლად იყენებენ.

**ჰონკონგი** (Hongkong), ტერიტორია სიანგანის ინგლ. სახელწოდება.

**ჰონკონგის მეზღვაურთა გაფიცვა 1922,** იხ. სიანგანის მეზღვაურთა გაფიცვა 1922.

**ჰონოლულუ** (Honolulu), ქალაქი და ნავსადგური, აშშ-ის ჰავაის შტატის ადმ. ცენტრი. წყნარ ოკეანეზე გამავალი საზღვ. და საჰაერო გზების მნიშვნელოვანი კვანძი. გაშენებულია კ. ოაჰუს სამხრ. ნაპირზე. 383 ათ. მცხ. (1984). შაქრის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვთა ქ-ნები, გემსაშენები. ჰ-ს მეშვეობით ხორციელდება ჰავაის კ-ების თითქმის მთელი სავაჭრო გაცვლა. კურორტი და ტურისტული ცენტრი. ჰ-ს დას-ით, პერლ-ჰარბორის უბეში, არის აშშ-ის უდიდესი სამხ.-საზღვ. ბაზა წყნარ ოკეანეში, რ-იც ჰ-თან ერთად წარმოადგენს სიმაგრეებისა და აეროდრომების ერთიან კომპლექსს.

**ჰონორარი** ს ა ა ვ ტ ო რ ო (ლათ. honorarium — გასამრჯელო მომსახურებისათვის), გასამრჯელო, რ-საც უხდიან ლიტ-რის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორს ან მის მემკვიდრეს ამ ნაწარმოების გამოყენებისათვის. ჰ-ის განაკვეთებს ნაწარმოებითა გამოყენებისათვის აწესებს მთავრობა. კანონმდებლობა, ზოგ შემთხვევაში — საავტ. კანონმდებლობა თუ საავტორო გასამრჯე-

ლის დამტკიცებული განაკვეთები არ არსებობს, ავტორის საზღაური ნაწარმოების გამოყენებისათვის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 493). ლიტ. ნაწარმოების გამოცემისათვის ჰ. დიფერენცირებულია ან განაკვეთების კონკრეტულ (მაგ., მხატვრული პროზისათვის საავტორო თაბახში დადგენილია ჰ-ის განაკვეთი 150, 175, 200, 225, 300, 400 მან. ოდენობით), ან მინ. და მაქს. (მაგ., მასობრივ-პოლიტ. ლიტ-რისათვის 100—250 მან.) ოდენობაზე მითითების გზით. განაკვეთების ფარგლებში ჰ. კონკრეტულად განისაზღვრება საავტორო ხელშეკრულებით. მისი მოცულობა დამოკიდებულია ნაწარმოების სახეზე, წინა გამოცემების რაოდენობაზე, ტირაჟზე. საერთო წესის მიხედვით, ავტორი ჰ-ს იღებს დადგენილი ოდენობით როგორც პირველი, ისე ყოველი შემდგომი გამოცემებისათვის. მემკვიდრე ჰ-ს იღებს ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან 25 წლის განმავლობაში.

ჭ. ანთელავა.



ჰოპერი

**ჰონორიუსი** (Honorius), რომის პაპების სახელი. **ჰ. I** (გ. 638), რომის პაპი 625-იდან. წარჩინებულთა გვარის წარმომადგენელი, გააფართოვა და გააძლიერა ქრისტ. მისიონი ინგლისში. კათოლიკეებსა და მონოთელიტებს შორის ქრისტეს ორბუნებოვნების საკითხზე კამათში მომრიგებლის როლში გამოდიოდა და ამიტომ უსამართლოდ დასწამეს ცილი მონოთელიტობაში. **ჰ. II** (1009, ვერონის მახლობლად — 1072), ანტიპაპი (1061—1072). გერმ. წარმოშობისა იყო, გვარად კადალუსი. პაპად აირჩიეს იმპ. აგნესას მეწევეობით ბაზელის ასამბლეაზე. 1062 აიღო რომი. 1064 გერმ. მთავრებმა მიატოვეს და გარდაიცვალა ყველასაგან მიტოვებული. ჰ. II ლომბარდიის პარტიის წარმომადგენელი იყო, რ-იც ოპოზიციაში იდგა რომაულ არისტოკრატიას. **ჰ. II** (? ფანიანო, იმოლა — 1130, რომი), პაპი 1124-იდან. ოსტიის კარდინალ-ეპისკოპოსი 1117. პაპ კალიქსტუს II-ის წარმომადგენელი იყო ვორმსის კონკორდატზე (1122). ხელი შეუწყო ლოთარ III-ის იმპერატორად კურთხევას. პაპის სამფლობელოების გაფართოებისათვის ბრძოლაში დამარცხდა როჯერ სიცილიელისაგან (1128). **ჰ. III** (ჩენჩიო საველი) (? რომი — 1227), პაპი 1216-იდან, 1201-იდან კარდინალი. 1220 იმპერატორად აკურთხა ფრიდრიხ II. ალბიგოელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა სიმონ დე მონფორს. **ჰ. IV** (ჯაკომო საველი) (1210, რომი — 1287), პაპი 1285-იდან. ჰ. III-ის ძმის შვილიშვილი. მფარველობდა ნეაპოლის სამეფოს, ანჟუს სამეფო სახლს, ესპანეთიდან განდევნა კი არაგონელი. სიცილიის სამეფოს მეფე-მფარველობდა მათხოვრულ ორდენებს.



ჰორაციუსი ძვ. რომაული მონეტის გამოსახულება

**ჰონსიუ,** ჰონდო, კუნძული იაპონიაში. გარს აკრავს წყნარი ოკ., იაპ. შიდა ზღვა და სრუტეები: ცუგარუ, კიი და კამონი. სიგრძე 1400 კმ-ზე მეტი. ფართ. (მიმდებარე კუნძულებიანად) დაახლ. 230 ათ. $კმ^2$ (უდიდესია იაპ. კ-ებიდან). სანაპირო ხაზის სიგრძე 8000 კმ-ზე მეტია. წყნარი ოკ. სანაპიროზე ბევრი ყურე და უბეა; იაპ. ზღვის სანაპირო კი ნაკლებად არის შეჭრილ-შემოჭრილი. რელიეფი უმთავრესად დაბალ- და საშუალომთიანია. ქედებიდან აღსანიშნავია ოუ, ჰიდა, კისო და აკაიში სიმაღლე 2500—3000 მ და მეტი; რელიეფი ალპურია. ჰ-ს ცენტრში აღმართულია ვულკ. ფუძიამა (3776 მ). სამხრ.-დას-ით მთათაშუა დადაბლებაში არის ჰ-ს უდიდესი ტბა ბივა და შეჭრილია ისეს ყურე. სანაპიროს გასწვრივ პატარ-პატარა ვაკეებია. ჰ-ზე არის 19 მოქმედი და მრავალი ჩამქრალი ვულკანი. არის გოგირდის, რკინის, სპილენძის, ტყვია-თუთიის, ნავთობის, ცხელი აირის საბადოები. სეისმურია. ჰავა ოკეანური, მუსონურია; ჩრდ-ით — ზომიერი, სამხრ-ით — სუბტროპიკული. იანვ. საშ. ტემპ-რა —2-იდან 5°C-მდეა, ივლ. 20—25°C, ნალექები 1000—4000 მმ წელიწადში. ხშირია ტაიფუნი. მდ-ები მოკლეა და ჩქარობიანი; იყენებენ ბრინჯის ნათესების სარწყავად. ჰ. ჩრდ-ით შემოსილია ფართოფოთლოვანი და ტაიგის ტყეებით, სამხრ-ით — სუბტროპ. მარადმწვანე და წიწვოვანი ტყეებით. მთავარი ქ-ებია: ტოკიო, ოსაკა, ნაგოია, კიოტო, იოკოჰამა, კობე.

**ჰოპერი** (ინგლ. hopper) — ბუნკერისებრი ძარის მქონე სატვირთო ვაგონი. იყენებენ ნახშირის მადნისა და სხვა ფხვიერი ტვირთის გადასაზიდად. ვაგონში ჩატვირთვა ხდება ზემოდან, გადმოტვირთვა კი — ქვემოთ განლაგებული ლიუკებიდან.

**ჰოპი** (Hopp) ჰანს (9. II 1890, ლიუბეკი, — 21. II. 1971, ბერლინი), გერმანელი არქიტექტორი (გდრ). სწავლობდა უმაღლეს ტექ. სკოლაში კარლსრუესა და მიუნხენში (თ. ფიშერთან). 1952-იდან გდრ-ის არქიტ. კავშირის პრეზიდენტი (1967-იდან საპატიო პრეზიდენტი). ჰ-ის 1950-იანი წწ. ნამუშევრებში კონსტრუქტივიზმის ტრადიციები შეხამებულია კლასიკურ არქიტ. ფორმებთან: ტუბერკულოზიანთა სანატორიუმი ბად-ბერკში (თიურინგია, 1951—53), კარლ-მარქს-ალეის განაშენიანება ბერლინში (თანაავტორებთან ერთად). გდრ-ის ეროვნ. პრემია (1952).

**ჰოპკინსი** (Hopkins) ფრედერიკ გოულენდ (20. VI. 1861, ისტბორნი, — 16. V 1947, კემბრიჯი), ინგლისელი ბიოქიმიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1905-იდან; 1930—35 პრეზიდენტი). დაამთავრა ლონდონის უნ-ტი (ფილოს. დოქტორი, 1894), სადაც მუშაობდა 1898-მდე. 1914-იდან კემბრიჯის უნ-ტის ბიოქიმ. პროფესორი. მისი ძირითადი შრომები ეხება ორგანიზმში აზოტური ცვლის შესწავლას, აღმოაჩინა ტრიპტოფანი (1901), გლუტათიონი (1921). 1906 ჩამოაყალიბა დებულება კვების შეუცვლელი ფაქტორების შესახებ (შეუცვლელი ამინომჟავეები). პირველმა დაადგინა კუნთში რძემჟავას დაგროვება. ფერმენტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. აღმოაჩინა რძის შემადგენლობაში ზრდის მასტიმულირებელი A და D ფაქტორები. სსრკ მეცნ. აკად. უცხ. საპატიო წევრი (1934). ნობელის პრემია (1929, ქ. ეიკმანთან ერთად).

**ჰოპლიტი** (hoplitai), მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მებრძოლი ძვ. საბერძნეთში. აღჭურვილი იყო შუბით, მახვილით, გრძელი ფარით, მუზარადით, ჯავშნითა და საწვივეებით. ჰ-ები იბრძოდნენ მჭიდრო ხაზოვანი წყობით — ფალანგით. ჰ-ების ლაშქარი თავისუფალი საშ. მესაკუთრეებისაგან კომპლექტდებოდა. IV ს. ჰ-ებმა დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, ისინი თანდათანობით დაქირავებულმა ჯარისკაცებმა შეცვალეს.

**„ჰოპუნა"**, ქართული ხალხური შრომის სიმღერა, იგივეა, რაც „პერხული".

**ჰორა** (Hora) იოსეფ (8. VII. 1891, დობრჟენი, რაუდნიცეს ახლოს, — 21. VI. 1945, პრაღა), ჩეხი პოეტი. ჩეხოსლ. სახ. მწერალი (1946, სიკვდილის შემდეგ). მისი პირველი კრებ. იყო „ლექსები" (1915). პოეტის სოციალ. მრწამსი მომწიფდა I მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, იგი გახდა ჩეხოსლ. კპ-ის წევრი (1921). ამ პერიოდის ლექსებისათვის დამახასიათებელია სოც. პროტესტი („აფეთქებული ხე", 1920; „სამყაროს გული და ქალაქი", 1922). ჰ. უწევდა პროლეტ. ხელოვნ. პროპაგანდას. 20-იანი წლების ბოლოს იდეურ კრიზისს განიცდიდა. 30-იან წლებში შექმნა მისტიკური განწყობილების ლექსები. 1938 — 45 პერიოდში წერდა პატრ. ლექსებს (კრებ. „სამშობლო", 1938 და სხვ.). ავტორია რომანებისა „სოციალისტური იმედი", „თიხის ბაბილონი" (ორივე 1922), „მშიერი წელი" (1926), „სუნთქვა მიწაზე" (1938) და სხვ.

**ჰორაციუსი** კვინტუს ფლაკუს (Horatius Quintus Flaccus), (ძვ. წ. 8. XII. 65, აპულიის ვენუზია, — ძვ. წ. 27. II. 8, რომი), რომაელი პოეტი. ვერგილიუსთან და ოვიდიუსთან ერთად შექმნა ავგუსტუსის ხანის (პრინციპატის ეპოქის, ანუ ძ. წ. ოქროს საუკუნის) რომაული პოეზიის კორიფეთა კოლეგიუმი, რ-მაც დიდი როლი ითამაშა ევრ. ლიტ-რის ისტორიაში. ჰ-ის მამა გაათავისუფლებული მონა იყო, საკმაო შეძლების პატრონმა შვილს კარგი განათლება მისცა. ჰ. ჯერ რომში და შემდეგ ათენში ღრმად დაეუფლა ბერძნ. ენასა და მწერლობას, ფილოსოფიას, განსაკუთრებით ეპიკურეიზმს. ამან განსაზღვრა მის შემოქმედებაში მკვეთრი ელინოფილური მიმართულება. იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ ჰ. რესპუბლიკის მიმხრე და ბრუტუსის ლაშქარში სამხ. ტრიბუნად მსახურობდა. ფილიპებთან ბრძოლაში ბრუტუსისა და კასიუსის დამარცხების შემდეგ, ძვ. წ. 42, ჰ. ამნისტიის ძალით რომს დაუბრუნდა. ვინაიდან მის ქონებას კონფისკაცია უყვეს, ჰ. იძულებული გახდა სახელმწ. სამსახურში ჩამდგარიყო და გადამწერლად ემუშავა. ამ დროს დაიწყო ბერძენი პოეტის არქილოქეს მოტივებზე ეპოდებისა და ჰექსამეტრებით გამართული სატირების (ლათ. საუბრების ანუ დიატრიბების) წერა. ძვ. წ. 38 ვერგილიუსისა და ვარიუსის წარდგენით ჰ. რომის კულტ. საქმეთა თავკაცმა მეცენატმა თავის წრეში მიიღო და მერე პრინცეფსის — ოქტავიანე ავგუსტუსის კარის მგოსნად აქცია. მან საჩუქრად მიიღო მამული და მატერიალურად უზრუნველყოფილმა მთლიანად პოეზიისათვის გადადო თავი. ჰ-ის ლიტ. მემკვიდრეობა შეიცავს 17 ეპოდს, 18 სატირას (ორ წიგნად), „ოდებს" (4 წიგნ., 103 ლირიკ. ლექსი), 76-კარედიან „საიუბილეო ჰიმნს" და „ეპისტოლეებს" (პოეტურად დამუშავებული 23 წერილი ორ წიგნშია განაწილებული). შემოქმედების ადრეულ პერიოდში ჰ. დაინტერესებული იყო მორალურ-ფილოს. ლიტ. და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებით, რ-თაც ყველაზე ადრეული ეპოდებსა და სატირებშია. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ლირ. პოეზიაა; ჰ-მა ზურგი აქცია იმ დროს გავრცელებულ ალექსანდრიულ მიმართულებას და საბოლოოდ დაისახა ბერძ. მელიკური ლირიკა; მან გადმონერგა ალკეოსის, საფოსა და ანაკრეონტის ჰანგები; თავის ოდებში უაღრესად დახვეწა ლათ. პოეტური ენა. სტილი, მეტრიკა და რომაული ლირიკა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. ძვ. წ. 17 ოქტავიანე ავგუსტუსის დავალებით შეთხზა პანეგირიკული „საიუბილეო ჰიმნი" (Carmen seculare). ჰ-ის დიდი დამსახურებაა ეპისტოლური ჟანრის დახვეწა-ჩამოყალიბება. ბოლო პერიოდში შეთხზა ეპისტოლეთა 2 წიგნი (I შეიცავს 20, II — 3 წერილს). „ეპისტოლენი" ანუ „გზავნილები" გამართულია დაქტილური ჰექსამეტრით, თემატურად უახლოვდება „სატირებს", რასაც თავად ავტორი აღნიშნავს და ორივეს „საუბრებს" (sermones) უწოდებს. მსოფლიო ლიტ-რაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ეპისტოლეთა" II წიგნის მესამე წერილს — „წერილი პიზონებისადმი" ანუ „წიგნი პოეტური ხელოვნებისათვის" ანდა „პოეტური ხელოვნება". ეს ეპისტოლე 476 ჰექსამეტრულ კარედს შეიცავს და არის კლასიკური ესთეტიკის საუკეთესო ნიმუში. არისტოტელეს თეორ. ხასიათის პოეტიკისაგან განსხვავებით ჰ-ის „პოეტურ ხელოვნებას"

ჯგუფი მოქმედებს გარკვეულ, ე. წ. სამიზნე ორგანოებზე, ხოლო მეორე ჯგუფი — მთელ ორგანიზმზე. მაგ., თირეოქსინი მოქმედებს უმთავრესად ფარისებრ ჯირკვალზე, ხოლო ინსულინი — ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლაზე. ამა თუ იმ ჰორმონის სიჭარბე ან შემცირება იწვევს მნიშვნელოვან ფიზიოლ. მოშლილობას (ბაზედოვის დაავადება, მიქსედემა, დიაბეტი). ჰ. რ. აღინიშნება მცენარეებშიც (იხ. ფიტოჰორმონები). ჰორმონები მონაწილეობენ ორგანიზმის გენეტ. სისტემის ფუნქციონირების რეგულაციაში.

**ჰორმუზის სრუტე,** სრუტე არაბეთის ნ.-კ-სა და აზიის კონტინენტს შორის, აკავშირებს სპარს. და ომანის ყურეებს. სიგრძე 195 კმ, უმცირესი სიგანე 54 კმ, სიღრმე ფარვატერზე 27,5 მ. სრუტის ნაპირზეა ნავსადგური ბენდერ-აბასი (ირანი).


ჰორსტი

**ჰორნი,** ჰ ე რ ნ ი (Horn) არვიდ ბერნჰარდ (6. IV. 1664, პალიკი, ფინეთი, — 17. IV. 1742, ეკებიუჰოლმი), შვედეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. *ჩრდილოეთის ომის* (1700—21) დროს მონაწილეობდა *ნარვის ბრძოლაში* (1700); 1704 გენ.-ლ., შვედეთის მეფის ემისარი პოლონეთში, ხელი შეუწყო პოლონეთში *სტანისლავ I* ლეშჩინსკის გამეფებას და ალტრანშტედტის ზავის 1706 დადებას. 1709—19 შვედეთის სამეფოს კანცლერი და სამეფო საბჭოს პრეზიდენტი (1710—15). ეწინააღმდეგებოდა *კარლ XII*-ის დაპყრობით პოლიტიკას, რის გამოც გადააყენეს. 1720—38 ისევ კანცლერი იყო. ატარებდა მერკანტილისტურ პოლიტიკას.

**ჰორნი** (Horn, Hoorn, Hoorne, Hornes) ფილიპ დე მონმორანსი (Philipp de Montmorency) (დაახლ. 1524 — 5 VI. 1568, ბრიუსელი), გრაფი, ნიდერლანდების ოპოზიციური თავადაზნაურობის ერთ-ერთი ლიდერი XVI ს. ნიდერლანდების ბურჟ. რევ. წინა პერიოდში და რევ. დასაწყისში ნიდერლ. სახელმწ. საბჭოს წევრი (1561-იდან), ფლანდრიის ფლოტის ადმირალი, გელდერნისა და ზუტფენის შტატჰალტერი. უკმაყოფილო იყო ესპ. ჰაბსბურგების პოლიტიკით ნიდერლანდებში, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა ბურჟ. რადიკალიზმსა და მასების დამოუკიდებელ გამოსვლებს. მონაწილეობდა ხატმებრძოლთა გამოსვლების (1566) ჩახშობაში. ესპ. მეფის ფილიპე II-ის წინაშე ერთგულების ფიცი დადო (1567), მაგრამ ჰერცოგ ალბას ნიდერლანდში ჩასვლის შემდეგ ეგმონტთან ერთად დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

**ჰორნი** (Cabo de Hornos, Hoorn), კონცხი, სამხრ. ამერიკის უკიდურესი სამხრ. წერტილი კ. ჰორნზე, ცეცხლოვანი მიწის საზღვრით (ს. გ. 55°59' და დ. გ. 67°16'). 1616 აღმოაჩინეს ჰოლანდიელებმა ი. ლემერმა და ვ. სხაუტენმა. სახელი ეწოდა ვ. სხაუტენის მშობლიური ქ. ჰორნის პატივსაცემად.

**ჰოროსკოპი** (ბერძნ. hōroskopos), ნახაზი, რ-ითაც ასტროლოგიაში „ბედს წინასწარმეტყველებენ". 12 „სახლში" განალაგებენ პლანეტებს ადამიანის დაბადების ან რომელიმე მოვლენის მომენტში ცაზე მათი განლაგების შესაბამისად და ცდილობენ განჭვრიტონ ადამიანის ბედი ან ამა თუ იმ მოვლენის შედეგი, რასაც თითქოს ციური მნათობები განსაზღვრავენ.

**ჰორსტი** (გერმ. Horst), დედამიწის ქერქის აზევებული, ჩვეულებრივ, წაგრძელებული უბანი, რ-იც შემოსაზღვრულია ციცაბო რღვევებით — *ნასხლეტებით* ან *შესხლეტებით*. ჰ-ის სიგანე რამდენიმე ათეული კმ, ხოლო სიგრძე — რამდენიმე ასეულ კმ აღწევს. ხშირად ჰ. ართულებს ნაოჭა სტრუქტურებს და ქმნის ჰ ო რ ს ტ-ა ნ ტ ი კ ლ ი ნ ს — ანტიკლინს, რ-ის გული რღვევების გასწვრივ აზევებულია ფრთების მიმართ. ჰორსტ-ანტიკლინი დამახასიათებელია ახალგაზრდა ნაოჭებისათვის.

**ჰორტენზია,** დეკორატიული მეყვავილეობაში გავრცელებული გვარი ჰ ი დ რ ა ნ გ ე ა ს სახელწოდებით. ყველაზე პოპულ. სახეობაა დ ი დ ფ ო თ ო ლ ა ჰ. — Hydrangea macrophylla, რ-საც საბაღე ჰ-ს უწოდებენ. ჰ-ის სამშობლოა იაპონია. კულტურაში დანერგეს XVIII ს. ბოლოს. ფოთოლმცვენი ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 1—2 მ აღწევს. აქვს ფართო, კვერცხისებრი ფოთოლი, ფარისებრი ყვავილედი, რ-ის ცენტრში ორსქესიანი ყვავილი, ხოლო გარშემო მსხვილი უსქესო ყვავილებია. ცნობილია ჯიშები, რომელთა ყვავილები ვარდისფერი, ცისფერი, თეთრია. ისინი გამოიყენება ორანჟერეებსა და ოთახის პირობებში. ყვავის ივნ.-იდან აგვ.-მდე. ამრავლებენ მწვანე კალმით. იყენებენ ბორდიურებისათვის, კარგი მასალაა ყვავილწნულებისათვის.

ლ. ახალშენელი.


ჰორტენზია

**ჰორტი** (Horthy), ნ ა დ ი ბ ა ნ ი ა ი ჰ ო რ ტ ი (Nagybanyai Horthy) მიკლოშ (18. VI. 1868, კენდერეში, — 9. II. 1957, ესტორილი, ლისაბონის მახლობლად), უნგრეთის ფაშისტი დიქტატორი 1920—44. განათლება მიიღო ფიუმეს (რიეკა) სამხ.-საზღვ. აკადემიაში. ხელმძღვანელობდა კოტორის აჯანყების (1918) ჩახშობას. კონტრრევ. მთავრობის სამხ. მინისტრი სეგედში (1919). უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის (1919) დაცემის შემდეგ თეთრი ტერორის გზას დაადგა. 1920 მარტში რეგენტად გამოაცხადეს, დაამყარა ფაშისტური დიქტატურა. 1941 ჩააბა ქვეყანა სსრკ-თან ომში ფაშისტური გერმ. მხარეზე.

**ჰოსეინი ხამენეი** ალი (დ. 1940, მეშჰედი), ირანის პრეზიდენტი 1981 ოქტ.-იდან. დაიბადა მღვდელმსახურის ოჯახში. სწავლობდა ნაჯაფის (ერაყი) თეოლ. სკოლაში. 1958 დაბრუნდა ირანში, სადაც გახდა აიათოლა რ. *ხომეინის* მოწაფე. 1964—79 ასწავლიდა თეოლოგიას მეშჰედში. 1964—78 შაჰის ხელისუფლებამ რ-ჯერ დააპატიმრა. 1979—80 ოქტ.-მდე თავდაცვის მინისტრის მოადგილე, „ისლამის რევოლუციის მცველთა" კორპუსის მეთაური, ისლამის რევ. საბჭოს წევრი, აიათოლა რ. ხომეინის წარმომადგენელი თავდაცვის უმაღლეს საბჭოში. 1980 მარტში აირჩიეს ირანის ისლამური საბჭოს კრების დეპუტატად. 1981 აგვ.-დან ისლამის რესპ. პარტიის გენ. მდივანი.

**ჰოსპიტალიერები,** იხ. იოანიტები.

**ჰოტენტოტები** (მათ სახელწ. კ ო ი - კ ო ი ნ — ნამდვილი ხალხი), ნამიბიის ცენტრ. და სამხრ. რ-ნების (45 ათ., 1978), აგრეთვე სამხრ. აფრ. რესპუბლიკის (2 ათ. კაცი) მკვიდრი ხალხი. ლაპარაკობენ ჰოტენტოტურ ენებზე. იცავენ აფრიკაანსსაც. რელიგიით უმრავლესობა პროტესტანტია. ბუშმენების მსგავსად ჰ. სამხრ. აფრ. უძველესი მოსახლეობაა. რ-ებიც ბანტუ ხალხებმა მატერიკის სამხრ.-დას. უკიდურეს რ-ნებში განდევნეს, ხოლო XVII ს-იდან — XX ს. დასაწყისამდე ევრ. კოლონიზატორებმა გაანადგურეს. ამჟამად ჰ-ის ნაწილი ცხოვრობს რეზერვაციებში. მისდევენ მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. უმრავლესობა მუშაობს ევროპელთა ფერმებსა და ქ-ებში.

**ჰოტენტოტური ენები,** გავრცელებულია ნამიბიასა და სამხრ. აფრიკის რესპუბლიკის ზოგ. ნაწილში. ისინი მკვლევრის ე. უესტფალის კლასიფიკაციით, ჰ. ე. სანდავე ენებთან ერთად შეადგენს დამოუკიდებელ ჯგუფს. ჰ. ე.-ზე ლაპარაკობს 80 ათ.-მდე კაცი. გამოიყოფა 4 ჯგუფი: 1 კოი (ნამა, კორა, გრიკვა) და ნაური (ნაროინ) ენა, 2 კვა (დემისა, ჩუმაკვა-შუაკვე) ენა, 3 ჩუ (ჰიოჩუაუ, ჰაინუმაუ) ენა, 4 სანდავე ენა. ეს უკანასკნელი გავრცელებულია კონტინენტურ ტანზანიაში. ჰ. ე. და სანდავე ახლო მონათესავე ენებია როგორც ფონეტ. და გრამატ. წყობით, ისე სიტყვათა ძირების მიხედვით. გერმ. ლინგვისტი კ. მაინჰოფი ჰ. ე-ს ქამიტურ ენებად თვლიდა, ამერ. მეცნ. ჯ. გრინბერგი მათ, ბუშმენურ ენებთან ერთად, კოისანურ ჯგუფს მიაკუთვნებს.

ლიტ.: Ольдерогге Д. А., Языки и письменности народов Африки, წგ.: Народы Африки, М., 1954.

**ჰოუ,** ჰ ა უ (Howe) ჯორჯ უილიამ ოსბორნ (4. XII. 1876, ჩარლტონი, კენტის საგრაფო, — 7. XI. 1960, გლაზგო), ინგლისელი რადიოტექნიკოსი, გლაზგოს უნ-ტის პროფესორი ელექტროტექნიკის დარგში (1921—46). ჰ-ს შრომები ეძღვნება რადიოტალღების გავრცელებასა და ანტენების ტექნიკას. დაამუშავა გრძელტალღიანი ანტენების ტევადობის გაანგარიშების მეთოდი, რ-საც მისი სახელი ეწოდება.

**ჰობარტი** (Hobart), ქალაქი ავსტრალიაში, ტასმანიის შტატის ადმ. ცენტრი. 179,7 ათ. მცხ. (1983). ნავსადგური მდ. დერუენტის ესტუარის ნაპირზე, იმ ადგილთან ახლოს, სადაც მდინარე ერთვის წყნარ ოკეანეს. სატრანსპ. კვანძი. ელექტრომეტალურგია, ქიმ.- და ავტომშენებლობა. ხე-ტყის ხერხვა. კვების მრეწველობა. უნ-ტი.

**ჰოგარტი** (Hogarth) უილიამ (10. XI. 1697, ლონდონი, — 26. X. 1764, იქვე), ინგლისელი ფერმწერი, გრაფიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი. სწავლობდა გრავიორ ე. გემბლთან, 1720-იდან — ჯ. თორნჰილის აკადემიაში, ლონდონში. მუშაობდა ლონდონში, 1743 და 1748 იმოგზაურა საფრანგეთში. ჰ-ს აღიარება მოუტანა სატირულმა სურათებმა და სპილენძზე შესრულებულმა გრავიურებმა (სერიები „მეძავის კარიერა", 6 სურათი, 1730—31, არ შემონახულა, გრავირებულია 1732; „მფლანგველის კარიერა", 8 სურათი, 1732—35, სოუნის მუზეუმი, ლონდონი, გრავირებულია 1735 და სხვ.). სახეთა დემოკრატიულობით, ცხოვრებისეული ხასიათებით, რეალისტური მანერით გამოირჩევიან ჰ-ის მიერ შესრულებული პორტრეტები („კაპიტანი ტ. კორემი", 1740, კორემის სახ. ობოლთა თავშესაფარი, ლონდონი; ავტოპორტრეტი, 1745, ტეიტის გალერეა, ლონდონი) იყო. ტრაქტატში „სილამაზის ანალიზი" (1753) ჰ. ცდილობდა გამოეყენებინა ასიმეტრიული, დეკორატიული ფორმები (მაგ., კლაკნილი ხაზი). ჰ-ის იდეებმა და ნამუშევრებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XVIII ს. ევროპის კულტურაზე (ლ. სტერნი დიდ ბრიტანეთში, გ. ე. ლესინგი, გ. კ. ლიხტენბერგი გერმანიაში და სხვ.).

**ჰოუელსი,** ჰ ა უ ე ლ ს ი (Howells) უილიამ დინ (1 III. 1837, მარტინსფერი, ოჰაიოს შტ., — 11. V. 1920, ნიუ-იორკი), ამერიკელი მწერალი, კრიტიკოსი. 1861—65 იყო აშშ-ის კონსული ვენეციაში. აქვეყნებდა ლექს., წერილებს, რეცენზიებს, ესეებს, მოგონებებს, წერდა ნოველებსა და რომანებს. ჰ-ის ნაწარმოებები თანაბარი ღირებულებისა არ არის. მის საუკეთესო რომანებად შეიძლება ჩაითვალოს „საილას ლაფემის აღზევება" (1885), „ახალი ბედნიერების ძიება" (1889), უტოპიური რომანი „ალტრურიელი მოგზაური" (1894) და მისი გაგრძელება „ნემსის ყუნწში" (1907); დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ესეების კრებულებს „კრიტიციზმი და ბელეტრისტიკა" (1891), „ლიტერატურული მეგობრები და ნაცნობები" (1899) და სხვ.

**„ჰოლდინგ კომპანი"** (ინგლ. holding — მფლობელი), სააქციო კომპანია, რ-იც თავისი კაპიტალით ფლობს სხვა კომპანიათა აქციების საკონტროლო

**ჰუქბალაჰაპი** (შემოკლებით ტაგალური Hukbong bayan laban sa Hapon — სახალხო ანტიიაპონური არმია), სახალხო არმია, რ-იც შეიქმნა 1942 წ. 29 მარტს კომპარტიის ხელმძღვანელობით ფილიპინებზე პარტიზ. რაზმების გაერთიანების შედეგად. 1944 დასასრ. ითვლიდა დაახლ. 10 ათ. მეომარს. მონაწილეობდა იაპ. ოკუპანტების, ფილიპინელი მემამულე-კოლაბორაციონისტებისა და მარიონეტული რეჟიმის ჟანდარმერიის წინააღმდეგ. 1945 სექტ., II მსოფლიო ომში (1939—45) იაპ. კაპიტულაციის შემდეგ, ჰ. ლიდერმა და მისმა მებრძოლებმა შექმნეს ჰ-ის ვეტერანთა ლიგა, რ-იც მოითხოვდა დემოკრ. აგრ. რეფორმის გატარებას. მთავრობასთან ჰ-ის ხელმძღვანელობის მოლაპარაკებები (1946—47) საკამათო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე უშედეგოდ დამთავრდა. კომპარტია სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ. ჰ. გარდაიქმნა და ქვეყნის განთავისუფლების არმია (ქგა) ეწოდა. 1952 დასასრ. ქგა-ის ძირითადი ძალები მთავრობის ჯარებმა გაანადგურეს.

**ჰუკერი** (Hooker) უილიამ ჯექსონ (6. VII. 1785, ნორიჯი, — 12. VIII. 1865, ლონდონი), ინგლისელი ბოტანიკოსი, ჯ. დ. ჰუკერის მამა, გლაზგოს უნ-ტის პროფესორი (1820-იდან). 1841—65 კიუს ბოტან. ბაღის დირექტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ ბაღის გადაქცევა მსოფლიოს ფლორის შემსწავლელ უდიდეს ბოტან. ცენტრად. ჰ. თავისი დროის უდიდესი სისტემატიკოსია. გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი შრომა ინგლ., ამერ. და აფრ. ფლორის შესახებ, მონოგრაფიები გვიმრანაირებზე. დააარსა მრავალი ჟურნალი და სერია, მ. შ. „Icones plantarum" (1836), რ-იც დღესაც გამოდის.

**ჰუკერი** (Hooker) ჯოზეფ დოლტონ (30. VI. 1817, ჰელზუორთი, — 10. XII. 1911, სანინგდეილი), ინგლისელი ბოტანიკოსი, პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1858), უ. ჯ. ჰუკერის შვილი. 1839—43 მონაწილეობდა ანტარქტიკის ექსპედიციაში (ავსტრალია, ახალი ზელანდია, კერგელენი, ცეცხლოვანი მიწა, ფოლკლენდის კ-ბი). 1847—51 შეისწავლა ჩრდ. ინდოეთისა და ნეპალის ფლორა. 1865—85 კიუს ბოტან. ბაღის დირექტორი, 1873—78 ლონდონის სამეფო საზ-ბის პრეზიდენტი. დარვინის იდეების მიმდევარი. მცენარეთა გვარების (Genera plantarum) მონოგრაფიის ავტორი (ჯ. ბენტამთან ერთად). ჰ-მა შექმნა (1893) თესლოვანი მცენარეების ყველა აღწერილი სახეობის საძიებელი („Index kewensis"), რ-იც დღესაც გამოდის.

**ჰუკერის კუნძული**, კუნძული ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, ფრანც-იოსების მიწის არქიპელაგის სამხრ. ნაწილში. ფართ. დაახლ. 508 $км^2$, სიმაღლე 576 მ-მდე. ჰ. კ-ის დიდი ნაწილი დაფარულია მყინვარებით. ჩრდ.-დას-ით მდებარე მყუდრო ყურეში 1913—14 გამოიზამთრა ჩრდ. პოლუსისაკენ მიმავალმა გ. სედოვის ექსპედიციამ. სახელი ეწოდა ინგლ. ბოტანიკოსის ჯ. ჰუკერის პატივსაცემად.

**ჰუკი** (Hooke) რობერტ (18. VII. 1635, ქ. უაიტი, — 3. III. 1703, ლონდონი), ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1663). 1653 შევიდა ოქსფორდის უნ-ტში, სადაც შემდგომში გახდა რ. ბოილის ასისტენტი. ლონდონის უნ-ტის პროფესორი (1665-იდან). ჰ. იყო მრავალმხრივი მეცნიერი და გამომგონებელი. ააგო საჰაერო ტუმბო (1659), ქ. ჰიუგენსთან ერთად დაადგინა (დაახლ. 1660) თერმომეტრის მუდმივი წერტილები — ყინულის დნობისა და წყლის დუღილისა, სრულყო ბარომეტრი, სარკული ტელესკოპი. კუთხეების გასაზომად გამოიყენა საჭვრეტი მილი. ააგო ქარის ძალის საზომი ხელსაწყო, წრის დაყოფის მანქანა და სხვა ხელსაწყოები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ აღმოჩენილ (1660) კანონს (იხ. ჰუკის კანონი). ჰ-მა გამოთქვა იდეა, რომ ყველა ციური სხეული ერთმანეთს იზიდავს და მიუდგა პლანეტების მოძრაობის ზოგადი სურათის მან წინასწარმეტყველა ი. ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი. 1679 გამოთქვა მოსაზრება, რომ, თუ მიზიდულობის ძალა მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია, მაშინ პლანეტა უნდა მოძრაობდეს ელიფსზე. იგი მხარს უჭერდა სინათლის ტალღურ თეორიას და სადავოდ ხდიდა კორპუსკულურს, სითბოს განიხილავდა როგორც ნივთიერების ნაწილაკების მექან. მოძრაობის შედეგს.

ჰ-მა თავის მიერვე გაუმჯობესებული მიკროსკოპით შეისწავლა მცენარეთა სტრუქტურა და პირველმა მოგვცა კორპის უჯრედული აგებულების მკაფიო სურათი (ტერმ. „უჯრედი" ჰ-მა შემოიღო). ჰ-ის აზრით, დედამიწის ზედაპირის შეცვლას ფაუნის შეცვლა მოჰყვა, გაქვავებული ნაშთები წინათ მცხოვრებ არსებათა ნარჩენებია, რ-თა მიხედვითაც შეიძლება აღვადგინოთ დედამიწის ისტორია. ჰ. ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც არქიტექტორი.

თხზ.: Общая схема, или идея настоящего состояния естественной философии. ნაშრ.: Научное наследство. Естественнонаучная серия, т. 1, М.—Л., 1948.

**ჰუკის კანონი**, კანონი, რ-იც გამოხატავს წრფივ დამოკიდებულებას დრეკად სხეულზე მოდებულ ძაბვებსა და მასში აღძრულ დეფორმაციების მახასიათებელ სიდიდეებს შორის. დაადგინა რ. ჰუკმა 1660 უმარტივესი შემთხვევისათვის, როდესაც ხდება ღეროს გაჭიმვა ან შეკუმშვა, შემდეგი ფორმით: ცილინდრული ღეროს აბსოლ. წაგრძელება (შემოკლება) $\Delta l$ პირდაპირპროპორციულია გამჭიმი (მკუმშავი) $F$ ძალისა, ე. ი. $\Delta l = kF$, სადაც $k = l/ES$ [$l$ არის ღეროს საწყისი სიგრძე, $S$ — მისი განივკვეთის ფართობი, ხოლო $E$ — გრძივი დრეკადობის მოდული, რ-იც ნივთიერების მექან. მახასიათებელია (მუდმივაა)]. უფრო მოსახერხებელია ჰ. კ-ის ჩაწერა ასეთი სახით: $\sigma = E\varepsilon$, $\sigma = F/S$ არის ნორმალური ძაბვა ღეროს განივკვეთში, ხოლო $\varepsilon = \Delta l/l$ — ღეროს ფარდობითი წაგრძელება (შემოკლება).

ძვრის დეფორმაციის დროს ჰ. კ. ჩაიწერება შემდეგი სახით: $\tau = G\gamma$; $\tau$ არის მხები ძაბვა, $\gamma$ — ფარდობითი ძვრა, ხოლო $G$ — ე. წ. ძვრის მოდული. ძვრის დროს მხები ძაბვა ფარდობითი ძვრის პირდაპირპროპორციულია.

განზოგადებული ჰ. კ. ამტკიცებს, რომ წერტილში დაძაბული მდგომარეობის განმსაზღვრელი 6 სიდიდე წრფივად გამოისახება ამ წერტილის მახლობლად დეფორმაციის განმსაზღვრელი 6 სიდიდის მეშვეობით. ამ თანაფარდობებში შემავალ პროპორციულობის კოეფიციენტებს დრეკადობის მოდულებს უწოდებენ.

როდესაც რომელიმე ძაბვა (ან დეფორმაცია) აღწევს მოცემული მასალისათვის დამახასიათებელ ზღვრულ მნიშვნელობებს, ჰ. კ. აღარ სრულდება და სხეული გადადის დრეკად-პლასტ. მდგომარეობაში. ჰ. კ. ძირითადი თანაფარდობაა კონსტრუქციებისა და ნაგებობების სიმტკიცისა და დეფორმირებადობის გაანგარიშების დროს.

**ჰულაგუიანები**, მონღოლური დინასტია, რ-ის წარმომადგენლები XIII ს. შუა წლებიდან — XIV ს. შუა წლებამდე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს განაგებდნენ. ჰქონდათ ილხანის („ხალხის ხანის") ტიტული. იყვნენ ჰულაგუ-ხანის შთამომავლები. ჰ-ის სახელმწიფო შეიქმნა მონღ. ფეოდ. იმპერიის დაშლის პროცესში. იგი მოიცავდა ირანს, ახლანდ. ავღანეთს, თურქმენეთს, ამიერკავკ. დიდ ნაწილს, არაბეთის ერაყს და მცირე აზიის აღმ. ნაწილს. მისი ვასალები და მოხარკეები იყვნენ საქართველო, ტრაპიზონის იმპერია, კონიის სასულთნო, კილიკიის სომხ. სამეფო, კვიპროსის სამეფო, [illegible] სახელმწიფო. დედაქალაქები (თანამიმდევრობით) — მარაღა, თავრიზი, სოლთანიე. ჰ. ებრძოდნენ ჩინგიზიანებს, ოქროს ურდოს და ეგვ. მამლუქთა სახელმწიფოს. ჰ-თა სახელმწიფოს I პერიოდში (1256—95) ძლიერი იყო მონღ.-თურქ. ტრადიციები. ილხანმა ყაზან-ყაენმა (1295—1304) ქმედითად შეცვალა საშინაო პოლიტიკა, დაუახლოვდა მუსლ. (ირანულ) არისტოკრატიას და სამოქალაქო ბიუროკრატიას. რაშიდ ალ-დინის თანადგომითა და ხელშეწყობით მან გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რამაც გამოიწვია დროებითი ეკონ. აღმავლობა სახელმწიფოში. აბუ საიდის (1316—35) სიკვდილის შემდეგ ცალკეულ ფეოდ. დაჯგუფებებს ტახტზე აჰყავდათ მარიონეტი ილხანები ჰ-ის საგვარეულოდან. XIV ს. 40-იან წლებში ჰ-ის სახელმწიფო რამდენიმე ფეოდ. სამეფოდ დაიყო (ჯალაირიდთა, ჩობანიდთა, მოზაფარიდთა). ჰ-ის სახელმწიფოს დაშლაში დიდი როლი ითამაშა ხალხ. აჯანყებებმა (სარბედართა, გილანის, მაზანდარანის და სხვ.). უკანასკნელი ჰ. ილხანი — თუღაი თემურ-ხანი 1353 დაიღუპა სარბედართა ხელით.

ჰ-თა დინასტიის ილხანები: ჰულაგუ-ხანი (1256—65), აბაღა-ხანი (1265—82), აჰმედ თეგუდარი (1282—84), არღუნ-ხანი (1284—91), ქეიხათუ-ყაენი (1291—95), ბაიდუ-ხანი (1295), ყაზან-ყაენი (1295—1304), ოლჯაითუ-ყაენი (მუჰამად ხუდაბანდა) (1304—16), აბუ საიდ ბაჰადურ-ხანი (1316—35), არფა (1335—36), მუსა (1336).

ლიტ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1957; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982; Б а р т о л ь д В. В., Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, Соч., т. 2, ч. 1, М., 1963; История Ирана, М., 1977.

დ. კაციტაძე.

**ჰულაგუიანური დირჰამი**, ყაზან-ყაენის ფულადი რეფორმის შემდეგ (XIII ს. მიწურული) ჰულაგუიანი ილხანების სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა. გავრცელებული იყო საქართველოში (ქოდალოს, ყარალეთის განძები). ამ ტიპის ფულს თბილ. ზარაფხანაშიც ჭრიდნენ.

ი. ჯალაღანია.

**ჰულაგუ-ხანი** (1217 — 8. II. 1265, მარაღა, ირანი), ჰულაგუიანების დინასტიისა და სახელმწიფოს დამაარსებელი. ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი. დაიბადა მონღოლეთში. ახალგაზრდობა გაატარა სამხ. ლაშქრობებში. 1256 მონღ. ჯარებს მეთაურობდა ახლო აღმოსავლეთში და ამით დაასრულა მონღოლების მიერ ირანის, ერაყისა და მეზობელი ქვეყნების დაპყრობა. ჰ.-ხ-მა დაარბია ისმაილიტების სახელმწიფო ირანში (1256) და აბასიანთა სახალიფო (1258), ებრძოდა მამლუქებს სირიაში (1260) და ოქროს ურდოს (1262). 1256 თავი ხელმწიფედ გამოაცხადა (თუმცა ნომინალურად აღიარებდა დიდი ყაენის სიუზერენიტეტს, რ-ისგანაც 1261 მიიღო ილხანის, ე. ი. ტომის ხანის ტიტული).

**ჰუმანიზმი** (ლათ. humanus — ადამიანისეული, ადამიანური; განათლებული), ვიწრო აზრით — რენესანსის ეპოქის კულტურული მიმართულება, რ-მაც შუა საუკუნეების მისტიკურად გაგებულ ადამიანის კულტს მიწიერი, ამქვეყნიური ადამიანის იდეალი დაუპირისპირა და მისთვის ზრუნვა საყოველთაო მიზნად გამოაცხადა. ფართო აზრით — ისტორიულად ცვალებადი შეხედულებათა სისტემა, რ-იც ძირითად ღირებულებად თვლის ადამიანის პიროვნებას, აღიარებს მის უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ყოველგვარი უნარის გა-

ბოლუენაზე. მისი აზრით, ადამიანის კეთილდღეობა სოც. ინ-ტების ეფექტიანობის შეფასების საზომია, ხოლო თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპები — ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმები.

ადამიანურობისა და კაცთმოყვარეობის მოტივები უძველესი დროიდან იჩენდა თავს ფოლკლორულ, მხატვრულ-ლიტ. მასალაში, ეთიკურ-ფილოს. და რელიგ. კონცეფციებში. ჰ., როგორც სისტემური მსოფლმხედველობა, წარმოიშვა რენესანსის ეპოქაში და წამყვან მსოფლმხედველობრივ და კულტურულ ნაკადად იქცა.

ჰ-ის ისტორიაში ახ. თვისებრივი ეტაპი შექმნეს XVII–XIX სს-ში რევ. ბურჟ. იდეოლოგებმა, რ-ებიც აყენებდნენ ადამიანის „ბუნებრივ უფლებებთან" საზ. წყობის შესატყვისობის იდეას, ე. ი. ყოველგვარ წყობილებას აფასებდნენ ადამიანის აზრით. „ბუნებასთან" მისი შესაბამისობის თვალსაზრისით. მ. შ. განსაკუთრებული როლი შეასრულეს XVIII ს. ფრანგმა მატერიალისტებმა, რ-ებმაც ჰ. მატერიალიზმსა და ათეიზმს დაუკავშირეს და ადამიანის განთავისუფლების ძირითად პირობად თვლიდ. ლიბერალიზმის ლიდერებიც მიიჩნიეს. ჰუმანისტური მსოფლმხედველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ი. კანტის შეხედულებებს, რ-ის მიხედვით, ადამიანი სხვა ადამიანისათვის შეიძლება იყოს მხოლოდ მიზანი და არა საშუალება.

საერთოდ მარქსამდელ ბურჟ. ჰ-ს, მიუხედავად მისი დიდი ისტ. მნიშვნელობისა, ჰქონდა მრავალი ნაკლი, გამოწვეული არსებული ბურჟ. სინამდვილის მანკიერებებით.

კლასობრივ-ანტაგონისტური საზ-ბის ანტიჰუმანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა ადამიანის გადაქცევა საშუალებად და არა მიზნად. კ. მარქსის „კაპიტალში" დასაბუთებულია, რომ კაპიტალ. საზ-ბაში განსხვისების ფენომენი თიშავს შრომასა და მის პროდუქტებს მწარმოებლებისაგან, შრომის სოციალურ, ჰუმანურ არსებას — შრომისაგან, იწვევს ადამიანის მოღვაწეობის გაუცხოებას, ადამიანის არსების გაორებას.

მარქსამდელი ჰ-ის ნაკლოვანებათა უმრავლესობას ადამიანის სიყვარულის გრძნობა არსებითად ფილანთროპიულ ფარისევლობაზე დაჰყავდა. მაგრამ რეალური ჰ. არის არა ემპირიული სამყაროს ფენომენი, არამედ ადამიანის სოც. გვარის ყოველმხრივი განვითარებისა და აქტიურობის შედეგი. ამ გაგებით რეალური, პრაქტ. ჰ. არის კომუნიზმი.

მარქსამდელი ბურჟ. ჰუმანისტები ადამიანებს ყოფდნენ ჰუმანურობის სუბიექტებად და ობიექტებად, „კეთილი ნების" მატარებლებად და მათი მოწყალების მომლოდინე ბრბოდ, განსხვავებულ მწირთლებად. ასეთი ჰ. ნებსით თუ უნებლიეთ ხდება არაადამიანურ ურთიერთობათა გამართლების ნიღაბი და საშუალება.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, კომუნიზმის პირობებში პრაქტიკულად ხდება „საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარება" (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 6, გვ. 51).

ჰ-ის პრაქტ. რეალიზაციის აუცილებელი წანამძღვარია ექსპლუატაციისა და ძალმომრეობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა, რაც პროლეტარული, სოციალ. ჰ-ის მებრძოლი ბუნების გამოხატულებაა. ჰუმანურობის პრინციპების განხორციელებით სოციალიზმი ქმნის ახ. სოც. ურთიერთობებს, რ-ებიც ემყარება საზ. საკუთრებას, მეურნ. გეგმაზომიერად წარმართვას, საწარმოო ძალებისა და მეცნ. განვითარების მაღალ ტემპებსა და დონეს.

ამგვარად, ჰ-ის პრინციპების განხორციელების საქმით მჭიდროდ უკავშირდება მთელი საზ. სისტ. მის. ქმედითუნარიანობის, მისი ეკონ., სოც., პოლიტ., იდეოლოგიური და სულიერ-კულტ. ამოცანების გადაწყვეტის ამ საკითხის თეორ. ასპექტი, რ-იც არკვევს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისა და კეთილდღეობის ცენტრ. ადგილს სოციალ. ჰ-ში, ეხება სოციალ. ჰ-ის პრინციპულ დაპირისპირებას „საყოველთაო კეთილდღეობის" თანამედროვე ბურჟ. ჰუმანისტურ დოქტრინებთან, რ-თა დამცველები ცილს სწამებენ სოციალ. საზ-ბას ადამიანის პიროვნების დეგრადაციაში, ნიველირებაში და სხვ. პრაქტ. თვალსაზრისით კი სოციალ. ჰ. ნიშნავს მრავალი სოც.-ეკონ. ამოცანების გადაჭრას, რაც განაპირობებს ახ. ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალ. წესის სრულყოფას.

სოციალ. ჰ. მეცნიერულად იისახება მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში და ხორციელდება საზ. ურთიერთობებში, გლობალური მასშტაბის პროგრამებსა და ყოველდღიურ ღონისძიებებში, რ-ებიც ხორციელდება ადამიანის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, მისი პიროვნების, ღირსების დასაცავად, უფლება-მოვალეობათა თანაფარდობის პრინციპის შემუშავებისა და განმტკიცებისათვის.

სოციალიზმი ქმნის საზ-ის ყველა წევრის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების ობიექტურ წანამძღვრებს. ეს წანამძღვრები ადამიანში იწვევს ყოველმხრივი განვითარების გაცნობიერებულ მოთხოვნილებას. ამ წანამძღვრებისა და მოთხოვნილებების ჰარმონიული შეთანხმების აუცილებელი საშუალებაა ადამიანის ყოველმხრივი აღზრდის მოთხოვნის ეკონ., ზნეობრივი, იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. სოციალიზმის დროს ჰუმანურობის მიღწევის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა კოლექტივების სოც. განვითარების დაგეგმვა, რ-ის ამოცანაა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მიზნისადმი მატერ. და კულტ. ღირებულებათა მოხმარების დაქვემდებარება, საზ-ბის წევრებში უფლება-მოვალეობათა თანაფარდობის სწორი შეგნების გამომუშავება, მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდა, იმ შეგნების გამომუშავება, რომ კოლექტივის სოც. განვითარების ცენტრში დგას ადამიანი, მისი კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის, დასვენების, კულტ. განვითარების, ემოციურ-ზნეობრივი და იდეურ-პოლიტ. განვითარების საკითხები.

ლიტ.: Каримский А. М., Проблема гуманизма в современной американской философии, М., 1978; Кошелева В. В., Гуманизм действительный и мнимый, М., 1973; Корелин М. С., Ранний итальянский гуманизм и его историография, т. 1—4, СПб., 1914; Петросян М. И., Гуманизм, М., 1964; Проблемы гуманизма в марксистско-ленинской философии, М., 1975; Чхиквадзе В. М., Социалистический гуманизм и права человека, М., 1978. ლიტ. იხ. აგრეთვე სტ-თან რ ე ნ ე ს ა ნ ს ი.

გ. ახათთანი.

**ჰუმანიტარული განათლება**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ფილოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ.) დარგებში ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების სისტემა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების უმთავრესი საშუალება; დიდ როლს თამაშობს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში, ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ და იდეურ-პოლიტ. აღზრდაში. სოციალ. ქვეყნებში ჰ. გ-ის იდეური და მეთოდ. საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი. განარჩევენ ზოგად და პროფ. ჰ. გ-ს. ზოგადს იძლევა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (სსრკ-ში ყველა სახის პროფტექ., საშ. სპეც. და უმაღლესი სასწავლებლებიც). სსრკ-ში ზოგადი ჰ. გ-ის ამაღლებას ემსახურება აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები, სახალხო უნივერსიტეტები და სხვ. კულტ.-საგანმ. დაწესებულებები.

სპეც. ჰ. გ-ს (ფილოს., ისტ., ფილოლ., ეკონ., სამართლის, პედ., ხელოვნებათმცოდნეობის, ხელოვნ. სხვადასხვა სახის, კულტ. დარგებში) იძლევა ძირითადად უნ-ტები, დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები (იხ. სტატიები: *საბიბლიოთეკო და მუზეუმთმცოდნეობითი განათლება, ჟურნალისტური განათლება, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, სამუსიკო განათლება, ხელოვნებათმცოდნეობითი განათლება, პედაგოგიური განათლება, ფილოლოგიური განათლება, ფილოსოფიური განათლება, ფსიქოლოგიური განათლება, ეკონომიკური განათლება კადრებისა, იურიდიული განათლება, სამხატვრო განათლება* და სხვ.).

სსრკ-ში ჰ. გ-ის სისტემის ფართო განვითარება არის სკკპ პროგრამით გათვალისწინებული ხალხის კულტ. და განათლების მუდმივი ამაღლების ღონისძიებათა ნაწილი. სამეცნ.-ტექ. პროგრესთან დაკავშირებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სულ უფრო ღრმად იჭრება საბუნებისმეტყველო, მათ. და ტექ. მეცნიერებათა მეთოდები (კიბერნეტიკა, მათ. მოდელირება და სხვ.).


ა. ჰუმბოლდტი.

**ჰუმბოლდტი** (Humboldt) ალექსანდერ (14. IX. 1769, ბერლინი, — 6. V. 1859, იქვე), გერმანელი ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური, ბერლინის მეცნ. აკად. წევრი (1800), პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1818). დაიბადა საქსონიის კურფიურსტის კარისკაცის ოჯახში. ვ. ჰუმბოლდტის ძმა. 1787—92 სწავლობდა ბუნებისმეტყველებას, ეკონ. მეცნიერებებს, სამართალსა და სამთო საქმეს ოდერის ფრანკფურტისა და გეტინგენის უნ-ტებში, ჰამბურგის სავაჭრო და ფრაიბერგის სამთო აკადემიებში. 1790 გ. ფორსტერთან ერთად იმოგზაურა საფრანგეთში, ნიდერლანდსა და ინგლისში. 1793 გამოქვეყნდა ჰ-ის ბოტან.-ფიზიოლ. გამოკვლევა „ფრაიბერგის მაღაროების ფლორა". 1799—1804 ფრანგ ბოტანიკოს ე. ბონპლანთან ერთად იმოგზაურა ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში, საიდანაც ჩამოიტანა მდიდარი კოლექცია, რ-საც ამუშავებდა პარიზში 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. 1807—34 გამოვიდა ჰ-ის 30-ტომიანი „მოგზაურობა ახალი ქვეყნის ბუნიობის მხარეში 1799—1804 წლებში". 1827 ჰ. პარიზიდან გადავიდა ბერლინში, სადაც ასრულებდა პრუსიის მეფის კამერჰერისა და მრჩევლის მოვალეობას.

1829 ჰ-მა იმოგზაურა რუსეთში. აზიის ბუნების საკითხებს მიუძღვნა შრომები: „ფრაგმენტები აზიის გეოლოგიიდან და კლიმატოლოგიიდან" და „ცენტრალური აზია". ჰ-ის მეცნ. შეხედულებანი დედამიწისა და სამყაროს ბუნების შესახებ გადმოცემულია მის შრომაში „კოსმოსი" (ტ. 1—5, 1845—62). ჰ-ის მიერ შემუშავებულ პრინციპებს მაღალ შეფასებას აძლევდა ფ. ენგელსი, რ-იც ჰ-ს აყენებდა იმ მეცნიერთა გვერდით, რ-თა საქმიანობამაც ხელი შეუწყო მატერიალ. მიმართულების განვითარებას ბუნებისმეტყველებაში.

ჰ-ის შეხედულებანი დაედო საფუძვლად ზოგად ფიზ. გეოგრაფიასა და ლანდშაფტმცოდნეობას, აგრეთვე მცენარეთა გეოგრაფიასა და კლიმატოლოგიას. მისი სამეცნ. ინტერესების სფერო იმდენად ფართო იყო, რომ თანამედროვენი მას „XIX ს. არისტოტელეს" უწოდებდნენ. ჰ. იყო ჰუმანიზმის დამცველი. იგი გამოდიოდა რასებისა და ხალხების უთანასწორობისა და დამპყრობლური ომების წინააღმდეგ. ჰ-ის სახელი ეწოდება მთელ

რის გეოგრ. ობიექტებს, მ. შ. ქედებს ცენტრ. აზიასა და ჩრდ. ამერიკაში, მთას ქ. ახალ კალედონიაში, მყინვარს ჩრდ.-დას. გრენლანდიაში, მდინარესა და რამდენიმე დასახლ. პუნქტს აშშ-ში, რამდენიმე მცენარეს, მინერალსა და კრატერს მთვარეზე. ძმების ალექსანდერ და ვილჰელმ ჰუმბოლდტების სახელს ატარებს ბერლინის (გდრ) უნ-ტი.

**ჰუმბოლდტი** (Humboldt) ვილჰელმ ფრიდრიხ ფონ (22. VI. 1767, პოტსდამი, — 8. IV. 1835, ტეგელი, ბერლინთან), გერმანელი ენათმეცნიერი, ესთეტიკოსი, ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე. ბერლინის უნ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოს. ფუძემდებელი. 1801—10 წლებში იყო პრუსიის რეზიდენტი პაპის კარზე; სარწმუნოებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორი. მისი მოღვაწეობა აღინიშნა დაწყებით სკოლაში ი. პესტალოცის მეთოდების შემოღებით, პრუსიის მეცნ. აკად. გარდაქმნით. საშინაო საქმეთა ერთ-ერთი მინისტრი (1819). ქვეყნის გამგებლობას ჩამოაშორეს სკოლა. მის ფილოს.-ისტ. შეხედულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურას, როგორც ირგ. მთლიანობას და ისტორიაში მოქმედ ძალთა „სულს". ჰ-მა საფუძვლიანად იკვლია მრავალი კონკრეტული ენა, მისთვის დამახასიათებელია ენებისადმი ინდუქციური მიდგომა. ჰ-ის ძირითადი ნაშრომია „ადამიანური ენების აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითი განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ", რ-იც სამტომიანი გამოკვლევის („კავი ენის შესახებ კუნძულ იავაზე", 1836, 1838, 1839) შესავალს წარმოადგენს.


ვ. ჰუმბოლდტი

ჰ-ის მიერ წამოყენებულ იდეებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ასეთებია: საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქციების აღიარება და ამასთან დაკავშირებით ენის ფიზიკური მხარის მნიშვნელობის გაზიარება; ენაში კოლექტ. და ინდ. საწყისების დაპირისპირება; ენის მიჩნევა სისტემად; ენის აღიარება არა მზამზარეულ წარმონაქმნად (ergon), არამედ წარმოქმნად, შემოქმედებად (energeia) და სხვ. ჰ-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ენათა მორფოლ. კლასიფიკაციის დამუშავებაში. ჰ-ის თეორიის ზოგიერთ დებულებას ემყარება თანამედროვე ენათმეცნ. 2 მიმდინარეობა: ნეოჰუმბოლდტიანელობა ევროპაში (ლ. ვაისგერბერი ..) და ეთნოლინგვისტიკა აშშ-ში (ედ. სეპირი, ბ. უორფი.. )

*თ. შარაძენიძე.*

**ჰუმბოლდტი** (Humboldt), მდინარე აშშ-ში, უდიდესია დიდი აუზის ფარგლებში. სიგრძე დაახლ. 600 კმ, აუზის ფართ. 37,6 ათ. კმ². მთის მდინარეა. მიედინება ნახევრუდაბნოში და ერთვის ჰუმბოლდტის ტბას. საზრდოობს წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის დეკ-იდან მაისამდე. ზაფხულობით ზოგჯერ შრება. ქვემოთში წყლის საშ. ხარჯი 6—7 მ³/წმ; მაქს. დაახლ.— 150 მ³/წმ. ჰ-ზე აგებულია წყალსაცავები. იყენებენ სარწყავად. ჰ-ის ხეობაში გადის გზატკეცილი და ტრანსკონტინენტური რკინიგზა. სახელი ეწოდა ა. ჰუმბოლდტის პატივსაცემად.

**„ჰუმეთი"** („ენერგია"), აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი. შეიქმნა 1904 რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტთან მუსლიმან მშრომელთა შორის პოლიტ. მუშაობის წარმართვისათვის, რევ. ბრძოლებში მათი ჩაბმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. იგი მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი გახდა. აზერბ. ენაზე უშვებდა ფურცლებს და გაზ. „ჰუმეთს" (1904 ოქტ. —1905 თებ.). „ჰ-ის" ჯგუფები შეიქმნა ელიზავეტპოლში, ნახჭევანსა და თბილისში (მხოლოდ მათში ჭარბობდნენ მენშევიკები). 1907—11 დაპატიმრებების შემდეგ „ჰ-ის" მუშაობა შეწყდა, მისი აქტ. მუშაობა განახლდა 1917 თებ. რევ. შემდეგ. რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე ბაქოს პარტ. ორგანიზაციასთან ერთად „ჰ-იც" იყო წარმოდგენილი. ყრილობამ მოისმინა ინფორმაცია „ჰ-ის" მუშაობის შესახებ. ყრილობის დადგენილებით რსდმპ (ბ) ცკ მიესალმა „ჰ-ს", როგორც მუსლიმან მუშათა მოძრაობის ბოლშევიკური მიმართულების პიონერ სოც.-დემ. ორგანიზაციას და აღნიშნა მისი რევ. დამსახურება. ბაქოში საბჭ. ხელისუფლების დროებით დამარცხების (1918 ივლ.) შემდეგ „ჰ-მა" არალეგალურად დაიწყო მუშაობა. მისი წევრები გადმოხვდნენ ასტრახანში, სადაც შექმნეს ბიურო და უშვებდნენ გაზ. „ჰუმეთს". 1918 დეკემბ. ბაქოში ჩავიდნენ თბილ. „ჰ-ის" ორგანიზაციის მენშევიკი ლიდერები, ისინი შევიდნენ მუსავატელების პარლამენტში, შექმნეს სოციალისტების ფრაქცია. პარლამენტის ტრიბუნის რევ. პროპაგანდისათვის გამოყენების მიზნით, ბაქოს არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტი დაითანხმდა შეექმნათ „ჰ-ის" გაერთ. ორგანიზაცია (1919 მარტი). მაგრამ 1919 ზაფხულის დამლევს, „ჰ-ის" ბოლშევიკებმა მენშევიკებთან კავშირი გაწყვიტეს. 1920 თებ-ში რკპ (ბ) ბაქოს ორგანიზაცია „ჰ." და „ადალეთი", რ-თა უმრავლესობა ფაქტობრივად ერთიან ორგანიზაციას შეადგენდნენ, გაერთიანდნენ აზერბ. კომუნისტურ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციად.

ლიტ.: კ ა ჯ ა ძ ე ს., თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს, თბ., 1967; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები, შრომების კრებული, 1971, №17; Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, Баку, 1963; Шестой съезд РСДРП(б). Протоколы, М., 1958

*შ. გაგუშიძე.*

**ჰუმიფიკაცია** (ლათ. humus — მიწა, ნიადაგი და facio — ვაკეთებ), პროცესი, რ-ის დროსაც ორგანული ნარჩენების დაშლის პროდუქტები ჰუმუსოვან ნივთიერებად გარდაიქმნება. ჰ-ის პროცესზე გავლენას ახდენს ტემპ-რა, ტენიანობა, აერაცია, ნიადაგის ქიმ. თვისებები, დასაშლელი ორგ. ნივთიერების ქიმ. შედგენილობა და სხვ. ნიადაგში ხდება ორგ. ნივთიერების დაშლა და სინთეზი. ამ პროცესში მონაწილეობენ მიკროორგანიზმები. აღნიშნული ბიოქიმ. გარდაქმნების შედეგად წარმოიშობა ახ. ჰუმუსოვანი ნივთიერებები — ჰუმინ-, ულმინ- და ფულვომჟავები. ნიადაგში ჰუმუსის შეკავება-დამაგრებას (ჰუმიფიკაცია) ხელს უწყობს Ca, რ-ის მოქმედებით ხდება კოაგულაცია და წარმოიქმნება შეუქცევადი მტკიცე ორგ.-მინერ. ნაერთები.

*ე მბეიძე.*

**ჰუმორალური რეგულაცია** (ლათ. humor — სითხე), ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესთა ურთიერთშეხამებული მოქმედება, კოორდინაცია, რ-იც ხორციელდება ორგანიზმის თხევად გარემოში (სისხლი, ლიმფა, ქსოვილური სითხე) უჯრედებიდან და ქსოვილებიდან გამოყოფილი ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებების (მეტაბოლიტების, ჰორმონების, ჰორმონოიდების, იონების) მეშვეობით. მაღალგანვითარებული ორგანიზმებისა და ადამიანის ჰ. რ. ექვემდებარება ნერვულ რეგულაციას და მასთან ერთად შეადგენს ნეირო-ჰუმორული რეგულაციის სისტემას. ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები მოქმედებენ არა მარტო ამა თუ იმ ორგანოზე, არამედ მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებზე, ნერვულ ცენტრებზე, სადაც ჰუმორულად ან რეფლექსურად იწვევენ გარკვეულ ფიზიოლ. და ბიოქიმ. რეაქციებს. ნერვული იმპულსების ჰუმორული გადაცემა ხდება მედიატორებით. ჰ. რ-ის დარღვევა იწვევს სხვადასხვა დაავადებას. *დ. ჯოხაძე.*

**ჰუმოფოსი**, ერთ-ერთი ორგანულ-მინერალური სასუქი.

**ჰუმუსი** (ლათ. humus — მიწა, ნიადაგი), ნ ე შ ო მ პ ა ლ ა, ნიადაგის ორგანული, ჩვეულებრივ, მუქად შეფერილი ნაწილი, რ-იც წარმოქმნილია მცენარეული და ცხოველური ნარჩენების ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგად. ჰ-ის შემადგენლობაში შედის ჰუმინომჟავები (დიდი მნიშვნელობა აქვთ ნიადაგის ნაყოფიერებისათვის) და ფულვომჟავები (კრენისა და აპოკრენის). ჰ. შეიცავს მცენარის კვებისათვის საჭირო ყველა ელემენტს, რ-ებიც მიკროორგანიზმების ზემოქმედებით მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი ხდება. ჰ-ს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს შავმიწები. საქართვ. შავმიწებში ჰ. 7%, რუსეთის შავმიწებში 12% აღწევს. შედარებით მცირე რაოდენობითაა ჰ. ეწერ და რუხ ნიადაგებში. იხ. აგრეთვე ნიადაგი.

*ვ. მბეიძე.*

**ჰუნები** (ბერძ. Hunnoi, ლათ. Chunni, Hunni), ცენტრ. აზიის ტრამალებიდან გამოსული თათართა მოდგმის ტომები, რ-ებიც II—IV სს-ში გამოჩნდნენ აღმ. ევროპაში. IV ს. 70-იან წლებში დაიწყეს მასობრივი გადასახლება დასავლეთის მიმართულებით. შეუტიეს ოსტგუთებს, ვესტგუთებს, სხვა ტომებს და ამით ბიძგი მისცეს ე. წ. ხალხთა დიდ გადასახლებას. ჰ-მა გაანადგურეს, განდევნეს, დაიმორჩილეს ან შეიერთეს ბევრი ტომი, შექმნეს ტომთა დიდი გაერთიანება ატილას (მართავდა 434—453) მეთაურობით. 451 ჰ. შეიჭრნენ გალიაში, მაგრამ რომაელებმა შეკრეს კავშირი ვესტგუთებთან და ფრანკებთან და დაამარცხეს ჰ. კატალაუნის ბრძოლაში (451). ატილას გარდაცვალების (453) შემდეგ ჰ-ის ტომობრივი გაერთიანება დაიშალა.

*რ. სიკინჭილაშვილი.*

**ჰუნედოარა** (Hunedoara), ქალაქი რუმინეთში, ჰუნედოარის ჟუდეცში, ჩერნის (მდ. მურეშის შენაკადი) ხეობაში. 87 ათ. მცხ. (1983). შავი მეტალ. ცენტრი. კოქსის, ქიმ., კვების, სამშენ. მასალათა მრეწვ. საწარმოები. ისტ. ძეგლი — ჰუნიადის ციხე-დარბაზი.

**ჰუნედოარა** (Hunedoara), ჟუდეცი ცენტრ. რუმინეთში, სამხრ. კარპატების, დას. რუმინ. მთებისა და პოიანა-რუსკის მთების პლატოს. ფართ. 7 ათ. კმ². მოსახლ. 548,3 ათ კაცი (1983). ადმ. ც. — ქ. დევა. განვითარებულია შავი მეტალურგია, სათბობ-ენერგეტ., აგრეთვე მანქანათსაშ., კვების, ქიმ., ხე-ტყისა და ხის დასამუშ., ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, სამშენ. მასალათა მრეწვ., ფერადი მეტალურგია. იღებენ ქვანახშირს, რკინის, სპილენძის, პოლიმეტალების მადანს, პირიტს, ტალკს, მარმარილოს, სამშენ ქვას. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ჰუნედოარა და პეტროშენი. არის მარცვლეული და საკვები კულტურების ნათესები. მოჰყავთ კარტოფილი, ბოსტნეული. განვითარებულია მეხილეობა, მეცხოველეობა.

**ჰუპერტი** (Huppert) ჰუგო (5. VI. 1902, ბიალა-ბიელსკო, სილეზია, ახლანდ. ბიელსკო-ბიალა, პოლონეთი, — 25. III. 1982, ვენა), ავსტრიელი პოეტი, მთარგმნელი. 1921-იდან ავსტრ. კომპარტიის წევრი. სწავლობდა სორბონის უნ-ტში, მოსკ. წითელი პროფესურის ინ-ტში, 1928—32 მუშაობდა მოსკოვში, მარქს-ენგელს-ლენინის ინ-ტში, 1936-იდან — ჟურნ. „ინტერნაციონალური ლიტერატურის" („გერმანული ფურცლების") მთავარი რედაქტორის მოადგილე, 1939—41 — მ. გორკის სახ. მსოფლიო ლიტ-რის ინ-ტში. 1944—45 საბჭოთა არმიაში მსახურობდა. 1963 აირჩიეს გდრ-ის ხელოვნ. აკად. წ.-კორ-ად. 1964 მიენიჭა გდრ-ის ჰ. ჰაინეს პრემია, 1967 — გდრ-ის ეროვნ. პრემია, 1969 ავსტრ. რესპუბლიკამ მიანიჭა პროფესორის წოდება და დააჯილდოვა მეცნ. და ხელოვნ. საპატიო ჯვრით.



მ. ჰუსეინოვი. სას-ტუმრო „აზერბაიჯანი". 1969 ბაქო.

**ჰუსეინოვი** მიქაელ ალესკერ-ოღლუ [დ. 6 (19) IV. 1905, ბაქო], საბჭ. არქიტექტორი და არქიტექტურის ისტორიკოსი, სსრკ სახ. არქიტექტორი (1970), აზერბ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945) სწავლობდა აზერბ. პოლიტექ. ინ-ტში (1922—29), ასწავლიდა იქვე (1930—70, 1942-იდან პროფესორი). აზერბ. სსრ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავ-რე (1947-იდან). 1946-მდე მუშაობდა ს. დადაშევთან ერთად. ნამუშევრები 1946 შემდეგ: მ. ახუნდოვის სახ. რესპ. საჯარო ბ-კა (1960), აზერბ. სსრ მეცნ. აკად. ნაგებობათა კომპლექსი (1960-იანი წწ.) ორივე ბაქოში; სსრკ სახელმწ. პრემია (1941). სსრკ IV და V მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

**ჰუსეინ რაჰმი გურფინარი** (Huseyin Rahmi Gürpinar) (17. VIII. 1864, სტამბოლი, — 8. III. 1944, იქვე), თურქი მწერალი. დაიბადა სულთნის კარის მოხელის ოჯახში. შეისწავლა ფრანგ. ენა. მუშაობდა წვრილი მოხელის თანამდებობებზე. 1908 ბურჟ. რევ. შემდეგ მწერლობით ირჩენდა თავს. მისი თხზულებების პერსონაჟები სტამბოლის მკვიდრნი არიან. მწერალი ე. წ. „პატარა კაცის" გულის მესაიდუმლეა, ილაშქრებს სოც. უსამართლობის წინააღმდეგ, დასცინის თურქ. მაღალი საზ-ბის გალოთმანებას. ავტორია რომანებისა „შიკი" (1889), „ნანა" (1900), „მოკვეთილი თავი" (1942), „გიჟი ვარ" (1934), მოთხრობების კრებულებისა და პიესებისა. მისი ნაწარმოებების სტილი მსუბუქია, შეიცავს სტამბოლის სალაპარაკო ენის ელემენტებს.

ლიტ.: Ahmet Kabakli, Turk Edebiyati, cilt 3, Ist., 1966

*ი. გიგინეიშვილი.*

**ჰუსეინ ჯავიდი** (ნამდვილი სახელი ჰ უ ს ე ი ნ რ ა ს ი ზ ა დ ე) (24. X. 1884, ნახიჩევანი, — 1944), აზერბაიჯანელი საბჭ. პოეტი და დრამატურგი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1906-იდან. მისი ლექსთა კრებულები „წარსულის დღეები" (1913), „გაზაფხულის ნამი" (1917) მიმართულია სოც. უთანასწორობის წინააღმდეგ. მისთვის დამახასიათებელია ღრმა ჰუმანიზმი (ტრაგედია „სატანა", 1917). ოქტ. რევოლუციამ გაუღვიძა მოხალისე რწმენა. პოეტმა უმღერა სოციალ. რეკონსტრუქციას (პოემა „აზერი", 1926—27), ინტერნაციონალისტურ იდეებს (დრამა „თოფალი", 1929). ჰ. 30-ში გაიარა რთული შემოქმედებითი გზა წვრილბურჟ. რომანტიკოსობიდან საბჭ. რეალისტ პოეტამდე.

*გ. შალუტაშვილი.*

**ჰუსერლი** (Husserl) ედმუნდ (8 IV. 1859, პროსნიცი, მორავია, — 26. IV. 1938, ფრაიბურგი), გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის ფუძემდებელი; სწავლობდა ლაიფციგში, ბერლინსა და ვენაში. 1883 ვაიერშტრასის ასისტენტი იყო. ფ. ბრენტანოსა და კ. შტუმპფის გავლენით ცდილობდა მათემატიკა ფსიქოლოგისტურად დაეფუძნებინა („რიცხვის ცნების შესახებ", 1887; „არითმეტიკის ფილოსოფია", 1891). ფილოსოფიის პროფესორი ჰალეში, გეტინგენსა და ფრაიბურგში, საიდანაც ფაშისტებმა გერმანულობის გამო დაითხოვეს.

გ. ფრეგეს კრიტიკამ დააჩქარა ჰ-ის მიერ ფსიქოლოგიზმის უარყოფა მეცნიერებათა ფილოს. დაფუძნების ახ. პოზიცია ჰ-მა ჩამოაყალიბა „ლოგიკური გამოკვლევების" 2 ტომში (1900—1901). I ტომის გამო იგი ანტიფსიქოლოგიზმის მეთაურად აღიარეს. II ტომის გამო კი ფსიქოლოგიზმის დაცვა დააბრალეს, რადგან ლოგიკა და საგნები მოქცეულია ფაქტის ცნობიერებაში ინტენციონალური ზედროული აქტების გზით დესკრიპტიული ფსიქოლოგია უწოდა. ჰ. ცოდნის ობიექტურობის საფუძვლებს სუბიექტურობაში — ობიექტების შესახებ ჩვენს ცოდნაში ეძებდა, რასაც ხელი შეუწყო მისმა შეხვედრამ ვ. დილთაისთან (1905). განავითარა „ფილოსოფიის, როგორც მკაცრი მეცნიერების" (1911) იდეა. ეს იდეა დაიცვა შრომაში „იდეები წმინდა ფენომენოლოგიისა და ფენომენოლოგიური ფილოსოფიისათვის" (დაწერა 3 წიგნად, 1913 გამოიცა პირველი — „ზოგადი შესავალი ფენომენოლოგიაში", სხვები კი — ჰ-ის სიკვდილის შემდეგ). ჰ. არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, მუდამ ახ. დასაბუთებას ეძებდა თავისი ფენომენოლოგიისათვის. იგი თანდათან მეტ როლს ანიჭებდა წმინდა სუბიექტურობას, როგორც ჩვენი ცოდნის მაკონსტიტუირებელს. ამგვარი ტრანსცენდენტალური იდეალიზმით მას სურდა დაეძლია ბ. მოლეცანის გავლენით გაზიარებული „თავისთავადი ჭეშმარიტების" ბუნება. მაგრამ არც ეს და არც „თავად საგნებისაკენ" სწრაფვა არ წარმართავდა ჰ-თვის არც ცნობიერების გარეთ გასვლას და არც ცნობიერების ინტენსიურობას; ამიტომ მისი ფენომენოლოგია ტრანსცენდენტალური ეგოლოგიის (მონადების ამსოლუტური „მეს" შესახებ) სახეს იღებს: სუბიექტი ფენომენებს, როგორც ცნობიერების ნაკადის მყარ ელემენტებს, არსების ჭვრეტით აკონსტიტუირებს. ჰ. ამ მიზნით იყენებს რ. დეკარტის, ი. კანტისა და სხვ. შეხედულებებს. სხვა შრომებში ჰ. ცდილობს ახლებურად დაასაბუთოს ის შეხედულებანი, რ-ებიც მოცემულია მის ძირითად ნაშრომში „იდეები..." (1913). ეგზისტენციალიზმის აღმოცენების შემდეგ ჰ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საკუთარი მეთოდით გაგებულ ემპირიულ ადამიანს და სოც. გარემოს. ამის შედეგია ნაშრომი „ევროპული მეცნიერების კრიზისი და ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია" (1954).

ჰ-ის გავლენას განიცდიდნენ კ. იასპერსი, მ. ჰაიდეგერი, ნ. ჰარტმანი, მ. შელერი, ჟ. პ. სარტრი, მ. მერლო-პონტი და სხვ. ოციანი წლების დასაწყისში ჰ-ის სემინარების აქტ. მონაწილე იყო პროფ. კ. ბაქრაძე. ჰ-ის კვლევის ცენტრია მონაულ ქოვაჟიაში, არქივი და გამომცემლობა — ლუვენში.

თხზ.: Husserliana Gesammelte Werke, Bd. 1—10, 12—18, 22, Haag, 1950—79; Логические исследования, ч. 1, СПб., 1909, Философия как строгая наука, «Логос», 1911, кн. 1

ლიტ.: ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1968; XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970; ბიჭიკაშვილი ა., ფსიქოლოგიის პრობლემური საკითხები, ნაწ. 2, თბ., 1969, Бесмашнов А. Ф., Проблема начала познания у Б. Рассела и Э. Гуссерля, Тб., 1969 Какабадзе З. М., Проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Э. Гуссерля, Тб., 1966.

*გ. თევზაძე.*



ჰ. ჰუსერლი

**ჰუსი** (Hus) იან (1371, ჰუსინეცი, — 6. VII 1415, კონსტანცა), ჩეხი ხალხის ეროვნული გმირი, ჩეხური რეფორმაციის იდეოლოგი, მქადაგებელი. 1393 დაამთავრა კარლის (პრაღა) უნ-ტი 1396-იდან მაგისტრი, 1401—02 — თავისუფალ ხელოვნებათა ფაკ-ტის დეკანი, 1402—03 და 1409—10 კარლის უნ-ტის რექტორი. ჰ. გამოდიოდა ჩეხი ხალხის, ჩეხ. ენისა და კულტურის ერთგ. უფლებების დასაცავად, ილაშქრებდა გერმ. მოძალეობისა და სოც. უსამართლობის წინააღმდეგ. ჰ. ეზიარა ინგლ. რეფორმატორის ჯ. უიკლიფის და ჩეხი მქადაგებლების იან მილიჩის და მათე იანოველის იდეებს. მათზე დაყრდნობით ჰ-მა შექმნა მწყობრი მოძღვრება, რ-შიც იგი მოითხოვდა საზ. ცხოვრების გარდაქმნას, ეკლესიის ძირეულ რეფორმას ადრინდ. ქრისტ. ეკლესიის ყაიდაზე და საეკლ. მიწების სეკულარიზაციას. მორწმუნეთა ქცევის ნორმად ის აცხადებდა საღმრთო წერილს. განსაკუთრებული კლასებისათვის ხელისუფლების შენარჩუნების უმთავრესი პირობა უნდა ყოფილიყო „საღმრთო სჯულის" დაცვა. ამ უზენაესი ნორმის დარღვევა მათ ქვეშევრდომებს ათავისუფლებდა მორჩილებისაგან. ამ დებულებიდან შემდგომში რადიკალებმა პრაქტ. რევ. დასკვნები გამოიტანეს. 1410 პაპმა შეაჩვენა ჰ. 1412 ჰ-მა ხმა აიმაღლა ინდულგენციების ვაჭრობის წინააღმდეგ, რისთვისაც პრაღა დაატოვებინეს. სამხრ. ჩეხიაში ჰ-მა 2 წელი იცხოვრა. აქ დაასრულა მან თავისი ტრაქტატი „ეკლესიის შესახებ" (1413) და ბიბლიის ჩეხ. თარგმანი, აქვე შექმნა ჩეხ. ენის ორთოგრაფია. 1414 ჰ. გამოიძახეს კონსტანცის საეკლ. კრებაზე. მიუხედავად იმპერატორ სიგიზმუნდის მიერ ნაბოძები შეუვალობის სიგელისა, კონსტანცაში ჩასული ჰ. დააპატიმრეს 1414 წ. 28 ოქტ., ხოლო 1415, როგორც უტეხი ერეტიკოსი — ცოცხლად დაწვეს. ჰ-ის მოწამეობრივმა სიკვდილმა დააჩქარა ჩეხიაში რევ. მოძრაობა, რ-საც მისივე რეფორმისტული იდეები ედო ქვაკუთხედად (იხ. ჰუსიტური ომები 1419—37).

თხზ.: Послания магистра Иоанна Гуса, пер. с чеш. и лат., М., 1903.

ლიტ.: Маркс К., Хронологические выписки, [тетрадь] 2, წგნ.: Архив Маркса и Энгельса, т. 6, [Л.], 1939; Рубцов Б. Т., Ян Гус, М., 1958.

*ნ. გიომარელი.*



ი. ჰუსი

**ჰუსიტური ომები 1419—37,** ჩეხი ხალხის რევოლუციური ბრძოლა ფეოდალური ექსპლუატაციის, კათოლიკური ეკლესიისა და გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ. XV ს. პირველ მეოთხედში ჩეხიაში რთული სოც.-ეკონ. პირობები შეიქმნა. სოფლად სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა შეჭრამ გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია და უმრავლესობის გაღატაკება გამოიწვია. გაძლიერდა აგრეთვე გლეხობის ექსპლუატაცია საერო და სას. ფეოდალთა მხრივ. რ-თა ნაწილი გერმანელები იყვნენ. ქალაქის პატრიციატი კი თითქმის მთლიანად გერმანელებისაგან შედგებოდა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მის ანტაგონიზმს ამქრებთან და ქალაქის პლებსთან. კონფლიქტს განსაკუთრებულ ხასიათს აძლევდა მისი ანტიკათოლ. მიმართულება. ქვეყნის უმდიდრესი ფეოდალი — კათოლ. ეკლესია სახელი გაიტეხა კორუფციით და უზნეობით არც შინაფეოდ. ომებს უწყდა დასასრული. ასეთ ვითარებაში ხალხის რევ. მოძრაობა შეამზადა ი. ჰუსის და სხ. მქადაგებლების (კონრად ვალდჰაუზერი, მილიჩ კრომერჟიჟელი, მათე იანოველი და სხვ.) მოღვაწეობამ. ი. ჰუსის (1415) და იერონიმ პრაღელის (1416) კოცონზე დაწვამ ჩეხი ხალხის ყველა სოც. ფენა შეძრა. სახ. მქადაგებლების (მიკულაშ პელჰრიმოვის, იან ჩაპეკის, ვაცლავ კორანდის) მოწოდებით გლეხები და ქალაქის ხელოსნები არბევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ხოცავდნენ ეკლესიის სამღვდელო მსახურთ და ფეოდალებს. ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო: ფეოდ.-კათოლიკურად და ჰუსიტურად. ფეოდ.-კათოლ. ბანაკში გაერთიანდნენ უმაღლესი სამღვდელოება, მსხვილ

ფეოდალთა ნაწილი და ქალაქების ბიურგერ-პატრიციატი, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რომის კათოლ. ეკლესიასთან. ჩეხეთის მოსახლ. უმრავლესობა კი ჰუსიტთა ბანაკში აღმოჩნდა. 1419 წ. 30 ივლ. პრაღაში აჯანყებამ იფეთქა. ქალაქის პლებსმა იან ჟელივსკის მეთაურობით რატუშის ფანჯრებიდან გადმოყარა მაგისტრატის წევრები ძალაუფლება ხელთ იგდო ხალხმა. შეიარაღებული აჯანყება ქვეყნის სხვა რ-ნებსაც მოედო. მალე აჯანყებულთა ცენტრს — ტაბორს მოუყვნდა მეკხება — პლზენის რაზმები ვ. კორანდას მეთაურობით, რომებმაც ბრძოლით გაიკაფეს გზა ჰუსიტთა ბანაკში იმთავითვე 2 ფრთა გამოიკვეთა: ზომიერი — ჩაშნიკები და რადიკალური — ტაბორიტები. ისინი განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ, მაგრამ საერთო საფრთხის გამო ერთად მოქმედებდნენ. 1420 აპრილში რომის პაპმა მარტინ V-მ და იმპ. სიგიზმუნდ I-მა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადეს ჩეხეთის წინააღმდეგ. 1420 წ. 14 ივლ. აჯანყებულებმა ი. ჟიჟკას მეთაურობით პრაღისათვის ბრძოლაში ვიტკოს მთასთან სასტიკად დაამარცხეს ჯვაროსნები. 1421 გარდატეხის წელი აღმოჩნდა ჰუსიტთა რევ. მოძრაობის ისტორიაში. ტაბორიტების რიგებში განხეთქილება მოხდა და ზომიერმა ტაბორიტებმა დახოცეს მემარცხენეთა (პიკარტების) ბელადები — იან ბიდლონსკი, პეტრე კანიში, მარტინ ჰუსკა და სხვ. 1422 წ. 9 მარტს მოკლეს იან ჟელივსკიც. ევროპის ფეოდ.-კათოლ. რეაქციამ კიდევ რამდენიმე წარუმატებელი ლაშქრობა მოაწყო აჯანყებულთა წინააღმდეგ: 1422 წ. 10 იანვ. ნემეცკი-ბროდთან ი. ჟიჟკას ჯარმა გაანადგურა ჯვაროსნები. მესამე ლაშქრობაში ჯვაროსნები სამარცხვინოდ გაიქცნენ (ტახოვი. 1422. შემოდგომა). 1426 წ. 16 ივნ. უსტი-ნად-ლაბემთან იმპერატორის ჯარი დაამარცხა უკვე პროკოპ დიდმა. მარცხით დასრულდა IV და V ჯვაროსნული ლაშქრობებიც (ტახოვი, 1427 წ. 4 აგვ.; დომაჟლიცე, 1431 წ. 14 აგვ.). ტაბორიტების და ე. წ. „ობლების“ (ასე უწოდებდნენ თავს ი. ჟიჟკას გარდაცვალების შემდეგ მისი რაზმები) ჯარებმა თავად ილაშქრეს მტრის ტერიტორიაზე: 1427—28 სილეზიაში, 1429—30 საქსონიაში, ზემო ფრანკონიასა და ბავარიაში, ხოლო 1433 ჰუსიტთა ჯარი აღმ. სლოვაკიასა და ბალტიის ზღვის სანაპირომდეც მივიდა. მრავალწლიანმა ომებმა თანდათან გამოფიტა აჯანყებული ძალები, რომლებსაც ბაზელის საეკლესიო კრებაზე ჩაიშალა სამშვიდობო მოლაპარაკებები, რადიკალები და ბიურგერები (ჩაშნიკები) აშკარად გადაუდგნენ ტაბორიტებს და ფეოდ.-კათოლ. ბანაკში გადავიდნენ. 1434 წ. 30 მაისს ლიპანის ბრძოლაში მათ დაამარცხეს პროკოპ დიდის ჯარი ტაბორიტები ჰეტმან იან როჰაჩის მეთაურობით 1437-მდე უწევდნენ მათ წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს ისინიც მოსპეს.

ჰ. ო. ჩეხი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ხალხმა სცადა ფეოდ. წყობილების დამხობა, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა კათოლ. ეკლესიას. ჰ. ო. XVI ს. რეფორმაციის პროლოგი იყო.

ლიტ.: Рубцов Б. Т., Гуситские войны, М., 1955. ნ. გოთმაშვილი.

**ჰუსიტური სიმღერები,** ჩეხური ხალხური სიმღერა-ჰიმნები, შეიქმნა ი. ჰუსის მოღვაწეობისა და ჰუსიტური ომების (1419—37) პერიოდში. ჰ. ს. წარმოადგენდა ხალხ. სიმღერების მელოდიურ ინტონაციებზე აგებულ ტას. საგალობლებს, რომლებშიც გამოხატული იყო ხალხთა მასების სოც. პროტესტი, პატრიოტული გრძნობები და საბრძოლო განწყობილებანი.

**ჰუტენი** (Hutten) ულრიხ ფონ (21. IV. 1488, შტეკელბერგი. — 29. VIII. 1523, კ. უფენაუ, ციურიხის ტბა), გერმანელი ჰუმანისტი, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე. ეკუთვნოდა რაინდთა წოდებას. იყო ერფურტის ჰუმანისტთა წრის აქტ. წევრი, „ბნელი ადამიანების წერილების“ (1515—17) ერთ-ერთი მთავარი ავტორი; ამხელდა სამღვდელოების სქოლასტიკურ ცრუმეცნიერებას და გახრწნილობას. გამოდიოდა საერო კულტ. განვითარების მომხრედ, თავის პუბლიცისტიკაში ოსტატურად იყენებდა კათოლ. დოგმების კრიტიკის რაციონალისტურ მეთოდს. გერმ. რეფორმაციის დაწყების შემდეგ მიემხრო მ. ლუთერის ირგვლივ შემოკრებილ ოპოზიციას. მოითხოვდა აშკარა ომს პაპობასა და მთავრებთან. მონაწილეობდა რაინდთა აჯანყებაში გერმანიაში 1522—23, რის დამარცხების შემდეგ გაიქცა შვეიცარიაში, სადაც მალე გარდაიცვალა. ჰ-ს ეკუთვნის სატირულ-პოლემიკური ლექსები, დიალოგები, მოწოდებები, ლათ. წერილები, პამფლეტები. წერდა ჯერ ლათ. ენაზე, შემდეგ გერმანულზეც.

**ჰუფუფი,** ელ-ჰუფუფი, ქალაქი საუდის არაბეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ელ-ჰასის პროვ. ადმ. ცენტრი. 100 ათ.-ზე მეტი მცხ. სატრანსპ. პუნქტი ჯიდა (წითელი ზღვა) — ერ-რიადი—რას-ტანურის (სპარს. ყურე) გზატკეცილის შტოზე. რკინიგზის სადგური. ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების (შალის ქსოვილები, ლაბადები, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობანი) ცენტრი. ფინიკის გადასამუშ. ქ-ნა.

**ჰუხელი** (Huchel) პეტერ (3. IV. 1903, ბერლინ-ლიხტერფელდე. — 30. IV. 1981, ტაუფკირხენი), გერმანელი მწერალი. 1971-მდე ცხოვრობდა გდრ-ში, შემდეგ იტალიასა და გფრ-ში. თავდაპირველად იყენებდა ტრად., კონვენციურ ფორმასა და გამოსახვის საშუალებებს, თანდათანობით გადავიდა ურითმო, შინაგან რიტმზე დაფუძნებულ ლექსებზე. მისმა ლირიკამ ფილოს. ხასიათი მიიღო, ყურადღების ცენტრში დააყენა ადამიანის ეგზისტენციური შეგრძნება (კრებ. „ლექსები“, 1948, „მარაგზები, შარაგზები“, 1963, „დათვლილი დღეები“, 1972). ჰ-ს მიღებული აქვს რამდენიმე ლიტ. პრემია, იყო რამდენიმე აკად. წევრი.


უ. ფონ ჰუტენი

**ჰუხი** (Huch) რიკარდა (18. VII. 1864, ბრაუნშვაიგი, — 17. XI. 1947, შენბერგი), გერმანელი მწერალი ქალი. ფილოს. დოქტორი (1892). 1926-იდან პრუსიის ხელოვნებათა აკად. წევრი. აკადემიიდან გამოვიდა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ფაშისტური გერმ. დამარცხების შემდეგ „კულტურბუნდის“ საპატიო თავ-რე, გერმ. მწერალთა I საერთო გერმ. კონგრესის საპატიო თავ-რე (1947). თავდაპირველად წერდა ნეორომანტ. რომანებს, ლირ. ლექსებსა და ნოველებს. აღსანიშნავია მისი რომანები „ფონ ლუდოლფ ურსლეი უმცროსის მოგონებანი“ (1893), „ტრიუმფალური ქუჩა-ბანდიდან“ (1902), „დიდი ომი გერმანიაში“ (3 ტ. 1912—14, გადამუშავებული სათაურით „ოცდაათწლიანი ომი“, 1929); შემდეგ ჰ-ის შემოქმედებაში გაჩნდა ფილოს. და რელიგ. თემატიკა („ლუთერის რწმენა“, 1916, „სამეფო წერილის აზრი“, 1919, „გაუპიროვნება“, 1921). უაღრესად საინტერესოა ჰ-ის რომანტიზმის აღქმა-რეცეფცია („რომანტიზმი“, ტ. 1—2, 1908). ი. გ. გოეთეს (1931), გ. რააბეს (1944) პრემიების ლაურეატი.

# ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციები

*ბიოლოგიის, მედიცინის და სოფლის მეურნეობისა.* რედაქციის გამგე მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფ. ა. ჯაბუშიძე; ბიოლოგიის ჯგუფის ხელმძღ. რ. წერეთელი; სოფ. მეურნეობის ჯგუფის ხელმძღ. გ. ძველაძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ც. იაშვილი, მ. ნაცაძე; სამეცნ. რედ. ა. მანნაძე; უმცრ. რედ. ც. ხელაძე.

*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა.* რედაქციის გამგე ე. ლოლაძე; საქართველოს გეოგრაფიის ჯგუფის ხელმძღ. ი. ?იაშვი-ლიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: გეოლოგ. მეცნ. დოქტორი, პროფ. დ. უძილაშა, ა. ინნოსაძე; სამეცნ. რედაქტორები: მ. ბა-ლიაური, დ. სახნიძე, ლ. ხარხაშელიძე; უმცრ. რედ. ა. ტაბატაძე.

*ეკონომიკისა და სამართლისა.* რედაქციის გამგე ეკონ. მეცნ. კანდიდატი ჯ. კახიძიშვილი; სამართლის ჯგუფის ხელმძღ. იურიდ. მეცნ. კანდიდატი ი. შატბერაძე, უფრ. სამეცნ. რედ. გ. ჟორჟიაძე; უმცრ. რედ. ნ. გოგაშვილი.

*ენისა და ლიტერატურისა.* რედაქციის გამგე შ. მაღლაკელი-ძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორი: ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ლ. აბულაძე, ი. ლაბაძე; სამეცნ. რედაქტორები: მ. ტიტვინიძე, მ. შონია; უმცრ. რედ. ლ. ჯაფარიძე.

*მსოფლიო ისტორიისა და სამხედრო საქმისა.* რედაქციის გამგე ი. ჯაფარიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ც. ქიზირია, ლ. შანშიაშვილი; სამეცნ. რედაქტორები: ი. ბრეგვაძე, ლ. მაიაშვილი, ზ. ჯავახიშვილი; უმცრ. რედ. ნ. ერისთავიშვილი.

*სალიტერატურო კონტროლისა.* რედაქციის გამგე ც. ცქიტიშვილი; სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღ. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი მ. ჟამაშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: მ. ახვლედიანი, ქ. ლებანიძე, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ა. ძიძიგური, მ. მაკალათია, ჟ. ფარტენიძე; სამეცნ. რედ. რ. შერმაძე; უფრ. რედაქტორები: ნ. ცინცაძე, ქ. ხომერიკი.

*სამეცნიერო კონტროლისა და კომპლექსური სტატიებისა.* რედაქციის გამგე ნ. ბერიშვილი; კომპლექსური სტატიების ჯგუფის ხელმძღ. თ. აფხაზიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: რ. პაპავაძე, ი. იაშაძე, ც. მოისწრაფიშვილი, ო. ჯანიაშვილი; სამეცნ. რედაქტორები: ლ. ბუჩუკიშვილი, ვ. ჯაფარიძე; უმცრ. რედ. დ. ხინთიბიძე.

*საქართველოს ისტორიისა.* რედაქციის გამგე ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. შოშიაშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორი ლ. ღლონტიძე; სამეცნ. რედაქტორები: ა. ქართველი, ბ. ნარსია; უმცრ. რედ. ნ. ტყემალაძე.

*სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის და დაკომპლექტებისა.* რედაქციის გამგე ი. ძიძიგური; ბიბლიოგრაფიის ჯგუფის ხელმძღ. ა. ბოლქ-ვაძე; დაკომპლექტების ჯგუფის ხელმძღ. ც. ქავთარაძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ე. ლეჟავა, ქ. მენაბდიშვილი; სამეცნ. რედაქტორები: ზ. ბიჩაძე, ქ. თურმანი, მ. სილაგაძე, ნ. ზაალიშვილი, ი. ჩარკვიანი, ო. ჭილაძე; უფრ. რედ. ლ. ხუციშვილი; უმცრ. რედაქტორები: მ. ბაბუნია, დ. კუჭუხიძე.

*სსრკ ხალხთა, სკკპ და საქართველოს კპ ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიისა.* რედაქციის გამგე ისტ. მეცნ. კანდიდატი ბ. მეტრეველი, უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ნ. ვაჩეიშვილი, მ. ბარი; სამეცნ. რედაქტორები: ნ. ბოლქვაძე, ზ. კარიბელი, უმცრ. რედ. ლ. პაპავაძე.

*ფიზიკა-მათემატიკისა და ტექნიკისა.* რედაქციის გამგე ზ. ჩხეიძე, ტექნიკის ჯგუფის ხელმძღ. ა. აბულაშვილი; უფრ. სამეცნ რედაქტორები: მ. ბოლქვაშვილი, ქ. ლომთაძე; სამეცნ რედაქტორები: ო. არსენაძე, მ. ტაბიძიშვილი; უმცრ. რედ. შ. ინასარიძე.

*ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, სახალხო განათლების და პრესისა.* რედაქციის გამგე მ. ბაქრაძე; ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმისა და ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღ. ფილოს. მეცნ. დოქტორი, პროფ. ბ. ასათიანი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ზ. იოსელიანი, მ. კვარაცხელია, უმცრ. რედ. მ. შერგილაშვილი.

*ხელოვნების...* ...ა. რედაქციის გამგე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატ... ...ჭარტიშვილი; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: შ. სა-... ...ელი, მეცნ კანდიდატი ლ. ძიძიძე; სამეცნ. რედაქტორ... ..., ბაირამაშვილი, მ. ითამარაშვილი; უმცრ. რედ. შ. ძ... ...აძე.

*ილუსტრაციის, კარტოგრაფიის და საწარმოო-ტექნიკური განყოფილებისა.* რედაქციის გამგე შ. ნიჟარაძე; კარტოგრაფიის ჯგუფის ხელმძღ. ც. მამაძიძე; უფრ. სამეცნ. რედაქტორები: ო. ... მ. ელიზბარაძე, ნ. ჯანაშელია, ი. ბარნაველიშვილი; ...ცნ. რედაქტორები: ლ. პილიპენკო, ზ. ბოლქვაძე, ... მაჩავარიანი, ე. ფიცხელაური, ფილ. მეცნ. კანდიდატი ე. ხარჩილავა; უფრ. რედ. ლ. ბიბილეიშვილი; უფრ. ტექნ. რედ. თ. ტაბატაძე, ტექ. რედ. ა. ჩიქოვანი; უმცრ. რედ. ი. ბარამიძე; ფოტოგრაფი ვ. ბოჭორიშვილი; გამომშვები ო. ცაგარელი.

*საკორექტორო.* საკორექტოს გამგე ო. ლომაძე; უფროსი კორექტორები: მ. ბოკერიაძე, ნ. ჯაფარიძე, ე. მარაძე, ლ. საბაშვილი, კორექტორები: მ. მენაბდიშვილი, მ. ნადირაშვილი, ლ. ტატუნაშვილი.

*სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.* ბიბლ. გამგე გ. ძიძიძე; უფრ. ბიბლიოგრაფი ლ. ჯიბლაძე; ბიბლიოგრაფი შ. ღლონტი.

მთავარი ბუღალტერი ლ. ტიაზოვა. მთავარი ბუღალტრის მოადგილე ლ. გელაძე. უფროსი ბუღალტერი ზ. პაპასქირია. მოლარე ქ. ქუსიაშვილი. საგეგმო განყოფილების გამგე ლ. ხაჩაპურიძე. უფროსი ეკონომისტი მ. ჯაფარიშვილი. ეკონომისტი ბ. ბოჭორიძე. საერთო განყოფილების გამგე ჯ. სულაქველიძე. კადრების უფროსი ინსპექტორი ე. ძიძიგური. არქივის გამგე ე. ხვადაძე. საქმისმწარმოებელი მ. იოსელიანი. მდივანმემანქანე ნ. ქოჩიაშვილი. სამეურნეო ნაწილის გამგე ო ბასილაშვილი. უფროსი მემანქანეები: ო. ჩიტაია, ო. ბოლქვაძე, ა. თავხელიძე, ი. მელიძე, ც. საბაძე, ნ. სარიშვილიძე, ლ. ფურცელაძე. მემანქანეები: ო. ბერიძე, ა. ქართველიშვილი, ც. ხარაზია.

მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. საყვარელიძე, პასუხისმგებელი მდივანი ი. ფარულავა, პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე წარმოების დარგში ზ. ასათიანი.

